

როგორც ■ სსსელებში და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

ბერჰარდ რობერტი

სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ნევირ ქვეყნებში



Konrad
Adenauer
Stiftung

პროფ. გერჰარდ რობერსი (რედ.)
სახელმწიფოსა და ეკლესიის კვლევის
ევროპის კონსორციუმთან თანამშრომლობით

სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში
მეორე გამოცემა 2011

ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ:

რედაქტორები: პაატა გაჩეჩილაძე
ხათუნა ცინცაძე

თარგმანი: სამეცნიერო ინსტიტუტი ტექნიფორმი

დიზაინი: ოთარ ყარალაშვილი

გამომცემლები: კავშირი “21-ე საუკუნე”
კონრად ადენაუერის ფონდი

წიგნი დაბეჭდილია: შპს “სარეკლამო ჯგუფი” 2010 წელი

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
რიკ ტორვსი სახელმწიფო და ეკლესია ბელგიაში	11
ირჟი რაიმუნდ ტრეტირა სახელმწიფო და ეკლესია ჩეხეთის რესპუბლიკაში	40
ინგარ დუბაკი სახელმწიფო და ეკლესია დანიაში	63
გერჰარდ როპერსი სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში	89
მერილინ კივიორგი სახელმწიფო და ეკლესია ესტონეთში	109
კარალამგოს ჰაჰანსტათისი სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში	132
ივან ს. იზანი სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში	159
ბრიჯიტ ბასდევან-გოდემე სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში	178

ჯეიმს ქეისი	
სახელმწიფო და ეკლესია ირლანდიაში	215
სილვიო ფერარი	
სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში	242
აქილეს ემილიანიძისი	
სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში	268
რინგოლდს ბალოდისი	
სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში	294
იოლანტა კუზნეკოვიჩევა	
სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში	325
ალექსის პოლი	
სახელმწიფო და ეკლესია ლუქსემბურგში	350
ბალაზ შანდა	
სახელმწიფო და ეკლესია უნგრეთში	369
უგო მიფსუდ ბონიჩი	
სახელმწიფო და ეკლესია მალტაში	396
სოფი ს. ვან ბრიჟსტერველდი	
სახელმწიფო და ეკლესია ნიდერლანდებში	418
რიჩარდ პოტზი	
სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში	448
მიხაელ რინკოვსკი	
სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში	480

ვიტალინო კანასი	
სახელმწიფო და ეკლესია პორტუგალიაში	502
ლოვრო შტურმი	
სახელმწიფო და ეკლესია სლოვენიაში	538
მიკაელა მორავცინოვა	
სახელმწიფო და ეკლესია სლოვაკეთის რესპუბლიკაში	565
მარკუ ჰაიკილა, ირკი კნუშტილა, მარტინ შაინინი	
სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში	596
ლარს ფრიდნერი	
სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში	618
დემიდ მაკლინი	
სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში	635
გერჰარდ როპერსი	
სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში	663

წინასიტყვაობა

კონსტიტუციაში, რომელიც ევროპის ქვეყნებისათვის არის გამიზნული, ევროკავშირი პირობას იძლევა, რომ უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, პატივს სცემს რელიგიების მრავალფეროვნებას და გამართავს დიალოგს ეკლესიებთან, რელიგიურ საზოგადოებრიობებთან და არაკონფესიურ ორგანიზაციებთან. ამავე დროს, კავშირი ვალდებულებას იღებს, პატივი სცეს ყველა ეკლესიის და ორგანიზაციის სტატუსს, მათი წევრი-ქვეყნების სახელმწიფო კანონების შესაბამისად. ევროკავშირი აცნობიერებს რელიგიის მნიშვნელობას და თავის მიდგომას აფუძნებს ევროპის რელიგიურ მემკვიდრეობაზე.

ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით ევროკავშირი მდიდრდება გამოცდილებით და ახალ-ახალი მიდგომებით რელიგიის საკითხებზე. ყოველივე ეს კი აისახება წევრი-სახელმწიფოების საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობის თანდათანობით განვითარებაში.

ამ ვითარებას ეხმაურება წინამდებარე წიგნის მეორე გამოცემა. მასში წარმოდგენილია ანგარიში საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობაზე ყველა წევრი-ქვეყანაში და თავად ევროკავშირში. წიგნში მოცემული მასალა სტრუქტურულად ერთნაირად არის აგებული, რაც სხვადასხვა სისტემის შედარების საშუალებას იძლევა.

ყველა ანგარიშის ინგლისური თარგმანის რედაქტირება განახორციელა დევიდ მაკკლინიმ, შეფილდის და კემბრიჯის პენი გრენჯერის კოლეჯის პროფესორმა. პირველ გამოცემაში მოყვანილი ყველა მასალა განახლდა. განახლებული ვარიანტის თარგმანი პორტუგალიურად შეასრულა ბ-ნმა ფლორიან დეკერმა. მასალა პოლონეთსა და ესპანეთზე და ყველა სხვა განახლებული ვარიანტი თარგმნილია ჩემ მიერ.

მადლობას ვუხდის ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ წიგნის შექმნაში. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა მისი გამოცემა, განსაკუთრებით ქ-ნ შოლზენ-ვიდმანს, ქ-ნ კლაუდია ლინენს, ქ-ნ ქრისტინ მერტესდორფს და ბ-ნ მაიკლ რეიჰსს.

ტრირი, გაზაფხული, 2005 წ.

გერჰარდ რობერსი

სახელმწიფო და ეკლესია ბელგიაში

I. სოციალური ფაქტები

ბელგიაში რელიგიური გაერთიანებების წევრთა შესახებ ზუსტი მონაცემის მოპოვება საკმაოდ რთულია. ამჟამად ქვეყანაში არ მოქმედებს ეროვნული აღწერის სისტემა, თუმცა მისი არსებობის დროსაც რელიგიურ აღმსარებლობაზე კითხვების დასმა რელიგიის თავისუფლებასთან შეუთავსებლად ითვლებოდა.

მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული სტატისტიკური მონაცემები. დღეისათვის ბელგიის მოსახლეობა 10 მილიონზე მეტია, რომელთაგან 70%-ზე მეტი თავს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წევრად მიიჩნევს. ეს რაოდენობა ოცი წლის წინანდელ მაჩვენებელზე 10%-ით ნაკლებია.

პროტესტანტების რაოდენობა 70 000-100 000-ს შორის მერყეობს, ანუ მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 1%-ია. მუსლიმანები, რომლებიც ბელგიაში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდნენ, ამჟამად მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენენ. სხვა რელიგიური ჯგუფები შედარებით მცირერიცხოვანია და მათი რაოდენობა დაახლოებით შემდეგია: 21 000 ანგლიკანი, 40 000 იუდაიზმის მიმდევარი და 60 000-ზე მეტი მართლმადიდებელი.

რაც შეეხება არამორწმუნე მოსახლეობას, მათი რაოდენობის შესახებ მონაცემები საკამათოა. არამორწმუნე ადამიანების ოფიციალური მოძრაობების წარმომადგენელთა შეფასებით, მოძრაობის წევრთა რაოდენობა 1,5 მილიონს, ანუ მოსახლეობის 15%-ს შეადგენს¹. ხელისუფლების მონაცემებით კი მათი რაოდენობა მხოლოდ 350 000-ია². მონაცემთა შორის არსებული განსხვავება შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ბევრ ადამიანს, რომელიც არ არის მორწმუნე ან აქვს ანთროპოლოგიური შეხედულება, არ სურს იყოს არამორწმუნეთა ოფიციალური და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული მოძრაობების წევრი.

1 შედ. კითხვები და პასუხები, წარმომადგენლობითი პალატა, 2000-2001, 13 აგვისტო 2001, 1003 (კითხვის ნომ. 373 ვან დენ ეინდ).

2 იხ: www.state.gov/g/drl/rls/inf/2001.

ბელგიისთვის დამახასიათებელია სეკულარიზაციის (ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება) მაღალი დონე. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში რელიგია უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური ფენომენია. უკანასკნელ ხანებში ბელგიაში შეინიშნება ისლამის როლის ზრდა და მიმდინარეობს “ახალი ბელგიელების” ინტეგრაციის პროცესი საზოგადოებაში. რელიგიას ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიტიკური საკითხების დღის წესრიგში.

II. ისტორიული ფონი

ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციაში უკვე არსებობდა სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლები. იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციაში რამდენჯერმე შეიტანეს შესწორებები, სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი პრინციპები უცვლელი დარჩა. 1831 წლის კონსტიტუციაში ჯერ კიდევ იგრძნობა ის განწყობა, რომელიც 1830 წელს, ბელგიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროს, არსებობდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ახალგაზრდა, ლიბერალ პოლიტიკოსებს სურდათ არა მხოლოდ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პროპაგანდა, არამედ მათი კონსტიტუციით დაცვა. ამავე დროს, ეს იყო პერიოდი, როდესაც ბელგიის ეკლესია მზად იყო გადაეღვა პროგრესული ნაბიჯი და მონაწილეობა მიეღო საკონსტიტუციო საკითხების განხილვაში. პრინცი დე მინის, მიშელინის არქიეპისკოპოსის, წერილმა, რომელიც 1830 წლის 17 დეკემბერს ეროვნული კონგრესის წინაშე წაიკითხეს, დიდი გავლენა მოახდინა 1831 წლის კონსტიტუციის მე-14, მე-15, მე-16 და 117-ე მუხლების ფორმირებაზე, რომლებშიც განსაზღვრული იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საფუძვლები³. XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაწყებული რეფორმის შემდეგ ბელგიის კონსტიტუციის მუხლების ნუმერაცია შეიცვალა. 1994 წლის თებერვლის შემდგომ სახელმწიფოს და ეკლესიას შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები ასახულია მე-19, მე-20, 21-ე და 181-ე მუხლებში.

ბელგიის კონსტიტუცია კათოლიკეებსა და ლიბერალებს შორის ისტორიული კომპრომისია. ანტიკლერიკალმა ლიბერალებმა საკანონმდებლო ასამბლეაში უარი

3 ე. ჰიუტენს, განხილვა ბელგიის ეროვნულ კონგრესში, I, ბრიუსელი, “Société typographique belge”, 1844, გვ. 525.

თქვეს ეკლესიაზე აბსოლუტური სამთავრობო ზედამხედველობის განხორციელების მცდელობაზე, კათოლიკე პოლიტიკოსები კი ამ პერიოდისათვის რომაული კათოლიკური ეკლესიის ადრე არსებულ პრივილეგიურ მდგომარეობას მხარს აღარ უჭერდნენ.

III. სამართლებრივი წყაროები

ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა ბელგიაში მნიშვნელოვანწილად 1831 წლის კონსტიტუციით რეგულირდება. კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები ასევე ეხება რელიგიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს, კერძოდ, განათლების თავისუფლებას (24-ე მუხლი) და პრესის თავისუფლებას (25-ე მუხლი). ამავე დროს, კონსტიტუცია კონკრეტულად უზრუნველყოფს აღმსარებლობის თავისუფლებას, რაც ოთხი სპეციალური მუხლით რეგულირდება.

აღმსარებლობის თავისუფლება და მისი თავისუფლად და საჯაროდ გამოხატვის უფლება კონსტიტუციის მე-19 მუხლითაა გარანტირებული. მე-20 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება პირმა იძულებით მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალში ან იძულებით სცეს პატივი რელიგიური ხასიათის უქმე დღეებს. 21-ე მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობის სასულიერო პირების დანიშვნასა და განთავსებაში, ასევე – აუკრძალოს მათ წერილობითი ურთიერთობა თავიანთი ეკლესიების ხელმძღვანელებთან ან გამოაქვეყნოს მათ მიერ მიღებული აქტები. ეს მუხლი ინტერპრეტირებულია, როგორც ეკლესიის შიდა ორგანიზაციის თავისუფლების დამადასტურებელი, თუმცა, ამავე დროს, მოიცავს ამ პრინციპიდან გამონაკლისს, როდესაც განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო ქორწინება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს საეკლესიო ქორწინების ცერემონიას, გარდა კანონით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევებისა.

კონსტიტუციის 181-ე მუხლის შესაბამისად, სასულიერო პირების ხელფასებისა და პენსიების გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტს ეკისრება.

ბელგიის ბოლოდროინდელმა რეგიონალიზაციამ გავლენა მოახდინა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ ურთიერთობაზე⁴. ეს გავლენა არის როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი.

კულტურისა და განათლების სფეროების რეგიონალიზაციის არაპირდაპირი გავლენის შედეგები რელიგიის სამართლებრივ მდგომარეობას ეხება. მაგალითად, რელიგიისთვის ადგილის განსაზღვრა რადიოსა და ტელევიზიაში რეგიონალური საქმეა და მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური განათლება კონსტიტუციის მიხედვით სავალდებულოა, ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლების შერჩევა მედიაში სასაუბროდ რეგიონალურ დონეზე ხდება.

რეგიონალიზაციამ პირდაპირი გავლენა მოახდინა რელიგიაზე 2001 წლის 13 ივლისის კანონის ძალაში შესვლის შედეგად. ამ პერიოდის შემდეგ რეგიონები (და არა ფედერალური სახელმწიფო) პასუხისმგებელი გახდნენ აღიარებული რელიგიების მატერიალური მხარის ორგანიზებაზე⁵.

რელიგიის სამართლებრივი მდგომარეობა თანდათან მრავალმხრივ შინაარსს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ელემენტები, კონსტიტუციის ოთხი შესაბამისი მუხლის ჩათვლით, რჩება ფედერალურ დონეზე, ნელ-ნელა იზრდება რეგიონების გავლენა და კომპეტენცია.

ბელგიაში მოქმედებს აგრეთვე ორდინარული კანონები და შეთანხმებები და კანონით დადგენილი დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივ ურთიერთობასთან. სისხლის სამართლის კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად, სასულიერო პირები, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხელისუფლებაზე ახორციელებენ პირდაპირ შეტევას, ისჯებიან ჯარიმით და თავისუფლების აღკვეთით. სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 144-ე მუხლებით განისაზღვრება ჯარიმის ოდენობა ღვთისმსახურების დროს არეულობის გამოწვევის, სამართალდარღვევისა და აბურხად აგდებისთვის. 145-ე და 146-ე მუხლები ეხება სასულიერო პირის დისკრედიტაციას და შეურაცხყოფას. 228-ე მუხლი იცავს ოფიციალურ საეკლესიო სამოსს და 267-ე მუხლის შესაბამისად, კანონდარღვევად მიიჩნევა მღვდლის მიერ საეკლესიო ქორწინების ჩატარება, თუ არ ჩატარებულა სამოქალაქო ქორწინების ცერემონიალი.

4 J. Dujardin/E. Vandenbossche, "De regionalisering van de bestuursinstellingen van de erkende erediensten", Tijdschrift voor Bestuurswetenschappen en Publiek Recht, 2002, გვ. 447 e.v.

5 2001 წელი 13 ივლისის კანონი, პუნქტი 4, "ბელგიის მონიტორი", 3 აგვისტო 2001 წ.

IV. სისტემის ძირითადი კატეგორიები

ტერმინი “ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება” საკმაოდ ხშირად გამოიყენება ამ ორ ერთეულს შორის არსებული ურთიერთობის აღსაწერად. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერმინოლოგიის არასწორ შერჩევასთან⁶. პირველ ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა იგულისხმება “განცალკევებაში”⁷. იმ შემთხვევაში, თუ ამ ტერმინით საჭიროა იმის გამოხატვა, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთმანეთთან საერთო აბსოლუტურად არაფერი აქვს, მაშინ იგი არაადეკვატურია. ამ მნიშვნელობით “განცალკევების” გამოყენება არ შეესაბამება კონსტიტუციის 181-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ეკლესიის მსახურებს ხელფასებს და პენსიებს სახელმწიფო უხდის. მიუხედავად ამისა, ჩნდება კითხვა: აუცილებლად ნიშნავს თუ არა “განცალკევება” ამ ორ ერთეულს შორის ურთიერთობის არარსებობას?

არსებობს კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც უფრო ნათლად გამოხატავს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობას. ზოგიერთი ექსპერტი საუბრობს ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლობაზე⁸, რაც ხაზს უსვამს არა მხოლოდ ეკლესიის თავისუფლებას, არამედ გულისხმობს ამ ერთეულების მიერ სხვადასხვა საკითხის ერთობლივ განხილვასაც. ბელგიაში როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და პლურალიზმის ფართოდ გავრცელება აიძულებს სახელმწიფოს, დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია⁹. მთავრობა მხარს უჭერს და იცავს ეკლესიებსა და არაკონფესიურ ორგანიზაციებს. სახელმწიფო მხარს უჭერს და პოზიტიურად არის განწყობილი რელიგიური და ინსტიტუციური საქმიანობის თავისუფალი განვითარების მიმართ და არ ერევა მათ დამოუკიდებლობაში.

-
- 6 შედ. ალნიშულ თემზე H. Wagnon, “Le Congrès national belge a-t-il établi la separation de l’Église et de l’État?”, in: *Études d’histoire du droit canonique dédiées à Gabriel Le Bras*, Paris, Sirey, 1965, I, გვ . 753-781.
 - 7 ტერმინი განცალკევება გამოიყენეს ცნობილმა ძველმა ავტორებმა, მაგ. როგორცაა A. Giron, *Le droit public de la Belgique*, Brussels, A. Manceaux, 1884, გვ. 342.
 - 8 შედ. P. Errera, *Traité de droit public belge*, Paris, Giard et Brière, 1918, p. 87: “indépendance mutuelle”; F. Laurent, *L’Église et l’État en Belgique*, Brussels/Leipzig, Lacroix Verbroeckhoven, 1862, გვ . 351.
 - 9 შედ. Ph. Braud, *La notion de liberté publique en droit français*, Paris, L.G.D.J., 1968, 383. მოცემული პრინციპის ხელახალი ფორმულირება ეკუთვნის პრემიერ-მინისტრს, ამავდროულად იუსტიციის მინისტრს. რელიგიურ ლიდერებთან შეხვედრაზე 2004 წელს, საფრანგეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ აიკრძალა მუსლიმანური თავსახვევები. მათ შეახსენეს, რომ ბელგია ნეიტრალური და საერო ქვეყანაა, სადაც არ არსებობს რელიგიური დისკრიმინაცია.

ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მოქმედებას შეიძლება ეწოდოს პოზიტიური ნეიტრალიტეტი¹⁰.

V. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი

მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის კანონმდებლობა ცნობს ყველა რელიგიის თანასწორობას არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთი რელიგიის მიმართ დამოკიდებულება პრაქტიკულად განსხვავებულია. რამდენიმე რელიგიამ მიიღო ოფიციალური აღიარება ან მის საფუძველზე კანონი. რელიგიის აღიარების ძირითადი საფუძველია რელიგიის სოციალური ფასეულობის, მის მიერ მოსახლეობისათვის სამსახურის გაწევის აღიარება¹¹. ამჟამად ასეთი სტატუსი ექვს დენომინაციას: კათოლიციზმს, პროტესტანტიზმს, იუდაიზმს, ანგლიკანობას (1870 წლის 4 მარტის კანონი რელიგიების დროებითი მოთხოვნების ორგანიზებაზე)¹², ისლამს (1974 წლის 19 ივლისის კანონი, რომელმაც ჩაანაცვლა 1870 წლის კანონი) და მართლმადიდებლურ (ბერძნულ და რუსულ) ეკლესიას (1985 წლის 17 აპრილის კანონი, რომელმაც ჩაანაცვლა 1870 წლის იგივე კანონი).

10 J. De Groof, "De bescherming van de ideologische en filosofische strekkingen. Een inleiding", in: A. Alen/L.P. Suetens (ed.), *Zeven knelpunten na zeven jaar staats hervorming*, Brussels, Story-Scientia, 1988, გვ. 312. პ. ვონონი იყენებს ფრანზას დაცული თავისუფლება, *liberté protégée*. Cf. H. Wagnon, "La condition juridique de l'Église catholique en Belgique", *Annales de droit et de sciences politiques*, 1964, p. 70.

11 კონკრეტულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, იხ. "კითხვები და პასუხები, "Chamber", 1999-2000, 4 სექტემბერი 2000, 5120, (კითხვის ნომ. 44, ბორგინონი); "კითხვები და პასუხები, "Chambar", 1996-1997, 4 ივლისი 1997, 12970 (კითხვის ნომ. 631, ბორგინონი). რელიგიური ჯგუფი უნდა იყოს (ა) შედარებით დიდი; (ბ) კარგად ორგანიზებული; (გ) მოღვაწეობდეს ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში; (დ) იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი; (ე) თავისი საქმიანობით არ ქმნიდეს საფრთხეს სოციალური წესრიგისათვის.

12 მოცემული კანონი მხოლოდ წყარო არაა. კათოლიციზმის აღიარება წარმოადგენს კონკორდატის უშუალო შედეგს, 1801 წ-ს გამყარებულს კანონით – 18th Germinal X (8 აპრილი 1802). პროტესტანტიზმმა აგრეთვე მოიპოვა აღიარება კანონი 18th Germinal X-ის შესაბამისად, მაშინ, როდესაც იუდაიზმმა მოიპოვა აღიარება 1808 წლის 17 მარტის ბრძანებით. საბოლოოდ ანგლიკანურმა ეკლესიამ მოიპოვა აღიარება 1835 წლის 18 და 24 აპრილის ბრძანებებით. ყოველივე ეს გაამყარა 1870 წლის 4 მარტის კანონმა.

კონსტიტუციაში 1993 წლის 5 ივნისს¹³ შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვია შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებში¹⁴, რომლებსაც დაემატა არამორწმუნე ჰუმანისტების ჯგუფები¹⁵.

მთავრობის მიერ აღიარებული სამრევლოების ან ეპარქიების¹⁶ სასულიერო პირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული მოკრძალებული გასამრჯელოს გარდა (კონსტიტუციის 181-ე მუხლი), ეს აღიარება ამ რელიგიებისთვის სხვა სარგებელსაც გულისხმობს.

იურიდიული პირის სტატუსი ენიჭება ეკლესიის საერო საჭიროებებზე პასუხისმგებელ საეკლესიო ადმინისტრაციებს¹⁷. თვითონ ეკლესიებს და საეკლესიო სტრუქტურებს არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საეკლესიო ადმინისტრაციის საერო საქონელზე წარმოქმნილი დეფიციტი უნდა იფარებოდეს მუნიციპალიტეტების მიერ. თავის არიდების აღნიშნული შესაძლებლობა ყოველთვის ხელს არ უწყობს სათანადო პასუხისმგებლობას ადმინისტრაციის მხრიდან¹⁸. კიდევ ერთი სარგებელი,

-
- 13 მოვლენების მიმოხილვისათვის, რომელთაც გამოიწვიეს კონსტიტუციის ცვლილება, იხ. J.-P. Martin, "La Belgique: de l'affrontement laïques-confessionnels au pluralisme institutionnel", in J. Bauberot (ed.) Religions et laïcité dans l'Europe des Douze, Paris, Syros, 1994, გვ. 29-39.
 - 14 ფინანსური შედეგების მიმოხილვისათვის იხ. P. De Pooter, De rechtspositie van erkende erediensten en levensbeschouwingen in Staat en maatschappij, Brussels, Larquier, 2003, გვ. 207-214.
 - 15 მათი წარმომადგენლობითი ორგანოებია: Centrale Vrijzinnige Raad/Conseil Central Laïque.
 - 16 დაახლოებით 1 000 ევრო თვეში კათოლიკე მღვდლისათვის.
 - 17 სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული "kerkfabrieken" "fabriques d'églises"-თვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო 1809 წლის 20 დეკემბრის უმაღლესი ბრძანებულება, 1870 წლის 4 მარტის კანონი, Moniteur belge. აღნიშნული ადგილის რეგიონალიზაციასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ახალი ფლამანდიური ბრძანების გამოსვლა. სამომავლო გეგმებისათვის იხ. F. Amez, "Un aspect oublié de la réforme de l'État: le régime des cultes", Journal des Tribunaux, 2002, გვ. 509-537.
 - 18 ვალონიაში მუნიციპალიტეტების ხარჯი რელიგიაზე შეადგენს მათი საშუალო ხარჯის 1.2%-ს, შდრ.. R. Collinet, "À propos des fabriques d'églises, des secours communaux et de quelques subsides", in: Le Semeur sortit pour semer. Grand Séminaire de Liège 1592-1992, Liège-Bressoux, Éditions Dricot, 1992, გვ. 407.

რომელსაც ეკლესია იღებს, არის სახელმწიფო სუბსიდიები, რომლებიც გამიზნულია საეკლესიო შენობების მშენებლობისა და განახლებისათვის¹⁹.

პასტორები და ეპისკოპოსები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი²⁰ საცხოვრებლით, ხოლო ნებისმიერი გადასახადი, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს ხარჯებთან, უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტებმა ან პროვინციებმა.

გარდა ამისა, აღიარებულ რელიგიებს უფლება აქვს უფასოდ გამოიყენოს საეთერო დრო საზოგადოებრივ რადიოსა და ტელევიზიაში²¹. აღიარებულმა რელიგიებმა შეიძლება დანიშნოს კაპელანები ჯარსა და ციხეებში, რომელთა ხელფასებს სახელმწიფო ბიუჯეტი იხდის²².

ექვსი აღიარებული რელიგიიდან კათოლიციზმი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება. თუმცა, კათოლიციზმს სამართლებრივი თვალსაზრისით, არ აქვს პრივილეგიური მდგომარეობა, რაც არ ითქმის მის ფაქტობრივ მდგომარეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიის კანონმდებლობაში რელიგიების სამართლებრივ სტატუსზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურამ და საქმიანობამ. მაგალითად, ეკლესიის მსახურებისთვის სახელმწიფოს მიერ გადახდის რეალური მოთხოვნის წარდგენისთვის აუცილებელია ნათლად ჩამოყალიბებული იერარქიული სტრუქტურის არსებობა, ტერიტორიულ საფუძველზე მოქმედი სტრუქტურის მსგავსად. კათოლიკური ეკლესიისათვის ეს არაა პრობლემა, მაგრამ ისლამთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა. ისლამური რელიგიის მსახურებს სახელმწიფო ვერ კიდევ არ უხდის ანაზღაურებას.

როდესაც საქმე ეხება რწმენის საჯარო გამოხატვას, რომაულ-კათოლიკური ეკლესია უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე სხვა რელიგიები. ეს კარგად ჩანს, როცა სამხედრო მოსამსახურეები სალუტს აძლევენ მადლობის ლოცვის შესრულების ფონზე, რომელსაც ეროვნული დღის აღსანიშნავ

19 სამართლებრივი წყაროებია: 1809 წლის 30 დეკემბრის უმაღლესი ბრძანების მუხლი. 92(3); 1870 წლის 4 მარტის კანონი (“ბელგიის მონიტორი”, 1870 წ. 9 მარტი) და 1931 წლის 7 აგვისტოს კანონი (“მონიტორ ბელგე”, 1931 წლის 5 სექტემბერი), ისევე, როგორც 1949 წლის 2 ივლისის და 1952 წლის 1 ივლისის სამეფო ბრძანება.

20 “შესაბამისი” ნიშნავს: მისი სოციალური სტატუსის შესაბამისად. იხ. მაგ სახელმწიფოს საბჭო, 1953 წლის 2 აპრილი. Rechtskundig Weekblad, 1952-1953, გვ. 1691.

21 იხ E. Henau, God op de buis. Over religieuze uitzendingen in de openbare omroep, Louvain, Davidsfonds, 1993, გვ. 112.

22 Pandectes belges, Aumônerie, Aumôniers, ნომ. 1-16.

დღესასწაულზე უკრავენ²³. კათოლიკურ ეკლესიას აგრეთვე წამყვანი როლი ეკისრებოდა მეფე ბოლდუინის დაკრძალვის დროს, 1993 წლის 7 აგვისტოს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ექვსი აღიარებული რელიგია, რომელთა შორის კათოლიციზმს უკავია “პირველი ადგილი თანასწორთა შორის”.

არსებობს მთელი რიგი არაღიარებული რელიგიები, რომელთაგან რაოდენობრივი თვალსაზრისით წამყვანი ადგილი იელოვას მონუმებს უჭირავთ. მათი რაოდენობა 20 000-ს შეადგენს. რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე არიან მორმონები, რომელთაც 3 000 მორწმუნე ჰყავთ. მრავალი სხვა ჯგუფის წევრთა რაოდენობა ასეულობით განისაზღვრება.

ამ მიმდინარეობებს ყოველთვის არ აქვს სახარბიელო სამართლებრივი სტატუსი. გარდა იმისა, რომ ეს რელიგიები არ სარგებლობს იმ უპირატესობებით, რომლებიც გარანტირებულია აღიარებული რელიგიებისთვის, ისინი ზოგჯერ არც კი განიხილება რელიგიებად. ტერმინი “რელიგია” არ არის სამართლებრივად განმარტებული, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების უფლება, არის თუ არა ესა თუ ის მიმდინარეობა რელიგია, ეკისრება სასამართლოებს. როდესაც მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, არის თუ არა რომელიმე მოძრაობა რელიგია, ბელგიაში არსებული რელიგიის თავისუფლების და ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გათვალისწინებით, მას არ აქვს უფლება, გადაუხვიოს წარმოდგენილ არგუმენტებს²⁴. მოსამართლისთვის, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის გათვალისწინება ან გადასახადებისგან განთავისუფლების დოკუმენტების განხილვა იმის დასადგენად, ნამდვილად არის თუ არა კონკრეტული მოძრაობა რელიგია²⁵, სამუშაო პროცესია იმის

23 1923 წლის 18 ივნისის კასაციის შესაბამისად, *Pasicrisie*, 1923, I, გვ. 375 ეს არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-15 მუხლს და ნეგატიურ რელიგიურ თავისუფლებას, გამოხატულს ამ მუხლში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად *Te Deum*-მა დაკარგა თავისი წინანდელი ადგილი, იგი კვლავ წარმოადგენს 21 ივლისის (ეროვნული დღე) ოფიციალური ცერემონიის ნაწილს, მაგრამ უკვე არ არის ოფიციალურად შეტანილი 15 ნოემბრის (დინასტიის დღე) პროგრამაში.

24 იხ. G. Van Haegendoren, “Sekte of kerk: de niet-erkende erediensten in België”, *Tijdschrift voor Bestuurswetenschappen en Publiek Recht*, 1986, p. 390.

25 იხ. მაგ. *Stévinisme*, სააპელაციო სასამართლო, 14 იანვარი 1885, *Pasicrisie*, 1885, II, p. 121; ხსნის არმია, გენტის ტრიბუნალი, 4 დეკემბერი 1890, *Pasicrisie*, 1891, III, გვ. 117 და ბრიუსელის ტრიბუნალი, 6 თებერვალი, 1891, *Journal des Tribunaux*, 1891, გვ. 204; ბაჰაი, ბრიუსელის სააპელაციო სასამართლო, 12 ოქტომბერი, 1960, ციტირებული *W.I.B. კომენტარებში*, 157/28; იელოვას მონუმები, ბრიუსელის სააპელაციო სასამართლო, 24 იანვარი, 1962, ციტირებული *W.I.B. კომენტარებში*, 157/29.

გასარკვევად, რამდენად სერიოზული და არგუმენტირებულია საზოგადოება, რომლის საკითხსაც განიხილავს სასამართლო და შეიძლება თუ არა, იგი იწოდებოდეს “რელიგიად”²⁶. გამოტანილი გადანყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემყარებოდეს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: სალოცავი ადგილის, ლოცვანის ან სარიტუალო აქტების არსებობა. თუმცა ზოგჯერ ესეც არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი განხილვა იმის გასარკვევად, რას წარმოადგენს მოძრაობა, რომლის საკითხიც სასამართლოში წყდება. კანონმდებლობა მხარს უჭერს შეხედულებას, რომ კონკრეტული მოძრაობის რელიგიად მიჩნევისთვის მას უნდა გააჩნდეს ღვთაების კულტი²⁷.

შესაძლებელია, არალიარებული რელიგიების და რელიგიური ჯგუფების მოქმედება არ შეესაბამებოდეს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: საზოგადოებრივი წესრიგი და მოქმედების კარგი პრაქტიკა სახელმწიფო წესრიგის ფარგლებში. კარგადაა ცნობილი ის პრობლემები, რომელთაც აწყდებოდნენ იელოვას მონმეები სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებამდე. ისინი უარს ამბობდნენ არა მარტო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე, არამედ ალტერნატიულ სამსახურზეც. სამხედრო სისხლის სამართლის კანონთა წიგნის 46-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი პირი გათანაბრებული იყო დეზერტირთან და, როგორც წესი, ისჯებოდა ორწლიანი პატიმრობით²⁸.

ამის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს რელიგიათა სამი კატეგორია:

- (ა) კანონიერად აღიარებული და რეალურად ყველაზე მნიშვნელოვანი – რომის კათოლიკური ეკლესია;
- (ბ) ხუთი კანონიერად აღიარებული, მაგრამ რეალურად ნაკლები მნიშვნელობის მქონე რელიგიური გაერთიანება, ასევე ჰუმანისტები;
- (გ) არალიარებული მიმდინარეობები.

26 იხ. იურისპრუდენცია ციტირებული P. Mahillon/S. Fredericq, *„Het regime van de minoritaire erediensten”*, Rechtskundig Weekblad, 1961, 62, ჩვ. 2376.

27 შედ. ლიეჟის სააპელაციო სასამართლო, 21 ნოემბერი, 1949, *Pasicrisie*, 1950, II, 57. ანტონიზმი არის კულტი, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ მისი წევრებით. საბოლოოდ იგი განისაზღვრა ხელისუფლების მიერ როგორც *“oeuvre philanthropique”*, რელიგიისათვის აუცილებელი დამახასიათებელი თვისებების გარეშე.

28 შედ. R. Torfs, *“L’objection de conscience en Belgique”*, ევროპის კონსორციუმი, ეკლესია-სახელმწიფოს კვლევა (რედ), კეთილგანწყობილი პროტესტი ევროკავშირის ქვეყნებში, მილანი, ვიუფრე, 1992, გვ. 217 e.s.

არც ისე დიდი ხნის წინ ბელგია იმ ქვეყნებს შორის იყო, სადაც არსებობდა ე.წ. “ზიანის მომტან სექტებთან”²⁹ დაკავშირებული პრობლემა. 1997 წლის 28 აპრილს პარლამენტმა წარმომადგენლობით პალატას წარუდგინა ანგარიში ამ საკითხზე, რომელსაც თან ერთვოდა დამატებითი სია, ე.წ. “მიმოხილვითი ცხრილი”, რომელშიც მოცემული იყო ორგანიზაციების ჩამონათვალი. ამ სიის გამოქვეყნებამ დიდი მლელვარება გამოიწვია, ამიტომ საპარლამენტო კომისიამ, რომელმაც გამოაქვეყნა ანგარიში ცხრილთან ერთად, განაცხადა, რომ ზოგიერთი მოძრაობის შეტანა ამ სიაში არ ნიშნავდა მის სექტად აღიარებას და კლასიფიცირებას საზოგადოებისთვის საშიშ მოძრაობად³⁰. ანგარიშის შესწავლის შემდეგ 1998 წლის 2 ივნისის კანონის საფუძველზე შეიქმნა ინფორმაციისა და კონსულტაციების ცენტრი³¹. ცენტრთან და მის ფუნქციებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა დაისვა როგორც ბელგიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საარბიტრაჟო სასამართლოს 2000 წლის გადაწყვეტილებით, ცენტრს არ აქვს უფლება, აუკრძალოს რელიგიურ ან ფილოსოფიურ უმცირესობას გამოთქვას თავისი შეხედულებები. ცენტრის კომპეტენციაში შედის მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში სხვადასხვა ასოციაციის საქმიანობაზე იმ მიზნით, რომ მოქალაქეებმა თავად შეაფასონ მათი საქმიანობა.

კონსტიტუციის 21-ე მუხლი ყოველთვის ითვლებოდა რელიგიური გაერთიანებების თვითმმართველობის მიძღვრ იურიდიული საფუძველად. ამ მუხლის მიხედვით სახელმწიფომ არ უნდა გაუწიოს ზედამხედველობა ეკლესიას, რომელსაც შეუძლია, თავად განსაზღვროს საკუთარი შიდა სტრუქტურა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ სახელმწიფოს არ აქვს არანაირი შესაძლებლობა, აკონტროლოს ეკლესიები და მათი საქმიანობა?!

ტრადიციულად, საერო სასამართლოების მიერ განხორციელებული კონტროლი ფორმალურ დონეზე რჩებოდა. სამოქალაქო მოსამართლეს მხოლოდ იმის განსაზღვრის უფლება ჰქონდა, იყო თუ არა სადავო გადაწყვეტილება მიღებული

29 Cf. L.-L. Christians, “Vers un principe de précaution religieuse en Europe? Risque sectaire et conflit de norms”, *Il Diritto Ecclesiastico*, 2001, p. 173-213; R. Torfs, “Sekten en recht”, *Collationes*, 1998, p. 385-406; R. Torfs, “Sekten, godsdienstvrijheid en de staat”, *Ethiek en Maatschappij*, 2002, ნომ. 1, გვ 69-81.

30 საპარლამენტო დოკუმენტები, პალატა, 1995-96, 313/8, გვ. 227.

31 “ბელგიის მონიტორი”, 25 ნოემბერი, 1998. შიდა სტატუსის თაობაზე იხილეთ საპარლამენტო დოკუმენტები, პალატა, 1999-2000, ნომ. 231/001, გვ. 269. დამატებითი ინფორმაციისათვის: L. Vervliet, “Bestrijding van schadelijke sektarische organisaties”, *ინტერკონტაქტი*, 1999, გვ. 30-33.

უფლებამოსილი საეკლესიო პირის მიერ. ეს მიდგომა დომინირებდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში³².

საკითხმა შემდგომი განვითარება პოვა ბელგიის უზენაესი სასამართლოს ორ გადაწყვეტილებაში – 1994-სა და 1999 წლებში³³. საკასაციო სასამართლო აღიარებდა ავტონომიის პრინციპს, რომელიც ფორმულირებული იყო კონსტიტუციის 21-ე მუხლში. უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს ორივე გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ რელიგიურმა ჯგუფებმა უნდა დაიცვან არა მარტო შიდა პროცედურები, არამედ პატივი უნდა სცენ დაცვის უფლებას და სხვა პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1)³⁴ მუხლში. საკასაციო სასამართლო მხარს არ უჭერდა ამ საკმაოდ რევოლუციურ შეხედულებას, მაგრამ ამ მიდგომამ მიიღო საკვანძო პრინციპის სახე და სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რელიგიური ჯგუფები უნდა მოქმედებდეს “მოცემული რელიგიის ნორმების ფარგლებში”.

ამ პოზიციის დაკავებით საკასაციო სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა, ვიდრე ამას ტრადიციულად აკეთებდა, ორი სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი რადიკალური გადაწყვეტილებების გათვალისწინების გარეშე.

ზემოაღნიშნული შეიძლება შეჯამდეს ცხრილის სახით, რომელშიც მოცემულია სამი პოზიცია:

32 შედ. ლიეჟის სასამართლო, 29 ივლისი 1848, ბელგიის სასამართლო, 1848, გვ. 1078; ლიეჟის სააპელაციო სასამართლო, 22 მარტი 1883, *Pasicrisie*, 1883, II, გვ. 157.

33 *Cour de Cassation*, 20 October 1994, *Arresten van het Hof van Cassatie*, 1994, 861, *Rechtskundig Weekblad*, 1994-1995, p. 1082 and *Recente Arresten van het Hof van Cassatie*, 1995, p. 57; *Cour de Cassation*, 3 June 1999 (United Chambers), *Chroniques de droit public. Publiekrechtelijke kronieken*, 2000, p. 214 and *Jaarboek Mensenrechten 1998/2000*, p. 253-255; K. Martens, “Het Hof van Cassatie en de interpretatie van artikel 21 G.W.: de verhouding tussen Kerk en Staat dan toch niet op nieuwe wegen?”, (შენიშვნა: 3 ივნისი 1999 წელი, კასაცია), *Chroniques de droit public. Publiekrechtelijke kronieken*, 2000, p. 215-218; R. Torfs, “Religieuze gemeenschappen en interne autonomie. Fluwelen evolutie?”, *Jaarboek Mensenrechten 1998/2000*, გვ. 256-264.

34 მონის სააპელაციო სასამართლო, 7 იანვარი 1993, *Jurisprudence de Liège, Mons et Bruxelles*, 1993, გვ. 242, შენიშვნა L.-L. Christians and *Revue de droit social*, 1993, გვ. 69, შენიშვნა R. Torfs; ლიეჟის სააპელაციო სასამართლო, *Jurisprudence de Liège, Mons et Bruxelles*, 1998, გვ. 680, შენიშვნა მ. ვესტრეიდი.

ა	ტრადიციული პოზიცია	მიიღო თუ არა კომპეტენტურმა რელიგიურმა ხელისუფლებამ სადავო გადაწყვეტილება?
ბ	ამჟამინდელი უმაღლესი სასამართლოს პოზიცია	მიიღო თუ არა კომპეტენტურმა რელიგიურმა ხელისუფლებამ სადავო გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება მოცემული რელიგიის პროცედურულ ნორმებს?
გ	უარყოფილი რადიკალური პოზიცია	მიიღო თუ არა კომპეტენტურმა რელიგიურმა ხელისუფლებამ სადავო გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება ამ რელიგიის პროცედურულ ნორმებს? ითვალისწინებს თუ არა ეს ნორმები დაცვის უფლებას ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლით აღიარებული სხვა პრინციპები?

ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ეკლესიების საქმიანობის იმ საზღვრების დადგენის პრობლემა, რომელიც დაცული უნდა იყოს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლში მოცემული ავტონომიით მხოლოდ საეკლესიო ორგანიზაცია (ყველაზე მკაცრი გაგებით) სარგებლობს სრულად.

ეკლესიები, რომელთაც სურთ საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის და განათლების სფეროში, შეზღუდულია სამოქალაქო კანონმდებლობით. ამ სფეროებში სრულ-უფლებიანი მოღვაწეობისთვის ისინი, ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული პირები უნდა იყვნენ³⁵. ეს აუცილებელია ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, თავად ეკლესიებს, ეპარქიებს, აგრეთვე სამრევლოებს და სხვა საეკლესიო სტრუქტურებს ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად, არ აქვს სამართლებრივი სტატუსი. მეორეც, V.Z.W. სტრუქტურა ხშირად საჭიროა სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარების მიღების და არსებობის შენარჩუნების მარტივი მიზეზით.

ეს რეალობა სანყის წერტილად უნდა იქცეს ეკლესიის საქველმოქმედო პოლიტიკისთვის. სამოქალაქო სტრუქტურები სავალდებულოა, რის გამოც საჭიროა მათი სანყის წერტილად აღქმა: საეკლესიო სამართლის მოთხოვნები და მისწრაფებები, რომლებიც აღიარებულია საეკლესიო ხელისუფლების მიერ, უნდა იყოს ინტეგრირებული მოცემულ სავალდებულო სტრუქტურაში³⁶.

35 1921წ. 27 ივნისის კანონი, "ბელგიის მონიტორი", 1 ივლისი, 1921.

36 ამოსავალი წერტილი მომავალი კათოლიკური ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტების სტრუქტურების შესწავლაში: ტორფსი,რ., Congregationele gezondheidsinstellingen. Toekomstige structuren naar profaan en kerkelijk recht, Leuven, Peeters, 1992, XX+336გგ.

VI. ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები პოლიტიკური სტრუქტურის ფარგლებში

ბელგიაში პოლიტიკასა და რელიგიას შორის კავშირი ყოველთვის არაფორმალური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მრავალი წლის განმავლობაში კათოლიკური და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი მუდამ ხელისუფლების სათავეში იყო სხვადასხვა კოალიციური მთავრობის სახით, 1954-58 წლების გარდა. 1960-იანი წლების ბოლოს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია ორად გაიყო: ჰოლანდიურ ენაზე მოლაპარაკე ნაწილად და ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ნაწილად. 1999 წლამდე ქრისტიან-დემოკრატები მთავრობაში რჩებოდნენ, მაგრამ შემდეგ მათ წააგეს არჩევნები და ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში პირველად ეს პარტია ოპოზიციური გახდა. ამგვარი რამ ისევ მოხდა ფედერალურ მთავრობაში 2003 წლის არჩევნების შემდეგ. 2004 წელს რეგიონალურ არჩევნებში წარმატების შემდეგ ისინი კვლავ გამოჩნდნენ რეგიონალურ მთავრობაში. იმის გამო, რომ კოალიციები ტრადიციულად ერთი და იგივეა როგორც ფედერალურ, ისე რეგიონალურ დონეზე, ქრისტიან-დემოკრატების დაბრუნება ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებში სრულიადაც არ იქნება მოულოდნელი.

ამ პერიოდის განმავლობაში კავშირი კათოლიკურ ეკლესიასა და ქრისტიან-დემოკრატებს შორის თანდათან შესუსტდა. საეკლესიო ლიდერების გავლენა ნაკლებშესამჩნევი გახდა და დღეს იგი მარგინალური ხასიათისაა. ბელგიაში აბორტების თაობაზე მიღებულ კანონს, რომელიც პარლამენტმა 1993 წელს დაამტკიცა, ქრისტიან-დემოკრატებმა მხარი არ დაუჭირეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავად იყვნენ მთავრობაში. ეს საკითხი მათ თავისუფალ კენჭისყრაზე დააყენეს პარლამენტში³⁷. როდესაც 2002 წელს მიიღეს ლიბერალური კანონი ევთანაზიის შესახებ, ქრისტიან-დემოკრატები იყვნენ ოპოზიციაში, მაგრამ მათი წინააღმდეგობა ძირითადად ეხებოდა ტექნიკურ საკითხებს და არ იყო მწვავე³⁸. ხოლო, როდესაც 2003 წელს დაუშვეს ჰომოსექსუალური ქორწინება, ამას ქრისტიან-დემოკრატების მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია³⁹.

37 1990 წლის 3 აპრილის კანონი, "ბელგიის მონიტორი", 4 აპრილი, 1990 წ.

38 2002 წლის 28 მაისის კანონი, "ბელგიის მონიტორი", 2002 წლის 22 ივნისი.

39 2003 წლის 13 თებერვალის კანონი, "ბელგიის მონიტორი", 2003 წლის 28 თებერვალი.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიან-დემოკრატები კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბელგიაში, მათი კავშირი ეკლესიასთან შესამჩნევად შესუსტებული. დღეისათვის ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში განევრინება არამორწმუნეებსაც შეუძლიათ.

VII. კულტურა

ეკლესიები, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბელგიის კულტურულ ცხოვრებაში.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კათოლიკურ განათლებას სახელმწიფო განათლებასთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს⁴⁰. საშუალო სკოლების მოსწავლეების 60% კათოლიკური ეკლესიის სკოლებში დადის. ეს მონაცემი ფლანდრიაში 75%-ს შეადგენს, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დასავლეთ ევროპაში⁴¹.

განათლების საკითხებით სხვა რელიგიებიც არიან დაკავებული⁴². ამ სფეროში დიდი ხნის გამოცდილება აქვს იუდაიზმს. 1989 წლის სექტემბერში ბელგიაში, ქ. ბრიუსელში, გაიხსნა პირველი ისლამური სკოლა “ალ-გაზი”, რის გამოც ზოგიერთმა პოლიტიკოსმა შემოფოთება გამოთქვა სხვადასხვა მიზეზის გამო⁴³.

უფასო სკოლების ქსელთან ერთად არსებობს “ოფიციალური” ქსელი, რომელსაც გარეშე დამკვირვებლისთვის ძალიან რთული სტრუქტურა აქვს. 1988 წლის 15 ივლისის საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ განხორციელდა განათლების სისტემის სრული რეორგანიზაცია⁴⁴. ეს პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო

40 შედ. D. Grootaers, *Histoire de l'enseignement en Belgique*, Louvain-la-Neuve, CRISP, 1998, გვ. 615.

41 იხ. J. Bulckens, “L'enseignement de la religion dans les écoles secondaires catholiques en Flandre”, in: J. Bulckens/H. Lombaerts (ed.), *L'enseignement de la religion catholique à l'école secondaire. Enjeux pour la nouvelle Europe*, Leuven, უნივერსიტეტის გამომცემლობა/პიტერსი, 1993, გვ. 143.

42 A. Overbeeke, “De uitwerking van het recht op onderwijs door levensbeschouwelijke minderheden”, *Tijdschrift voor Onderwijsrecht en Beleid*, 1994-1995, გვ. 295 ე.ვ.

43 J. Leman/M. Renaerts/D. Van den Bulck, “Islam en islamitisch recht in België”, in: *Recht van de Islam* 10, Maastricht, Rimo, 1992, გვ. 53-54.

44 1988 წლის 15 ივლისის კანონი, “ბელგიის მონიტორი”, 19 ივლისი 1988. შდრ. M. Leroy, “La communautarisation de l'enseignement”, *Journal des Tribunaux*, 1989, გვ. 71-74.

განათლების სისტემის ევოლუციაში, რომელიც ჯერ კიდევ 1970 წლიდან დაიწყო. 1988 წლის 15 ივლისიდან ჰოლანდიურმა, ფრანგულმა და გერმანულენოვანმა თემებმა განათლების საკუთარი სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო, რაც ნიშნავდა, რომ თითოეულ მათგანს შეეძლო თავისი საკუთარი პოლიტიკის ამოქმედება. ერთადერთ ვალდებულებას მათ აკისრებს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების სფეროს დაცვას ყოველგვარი იდეოლოგიური ზეგავლენისგან. ეს განსაკუთრებით აშკარაა მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დებულებით, რომლის მიხედვითაც საზოგადოება მშობლებს სწავლების თავისუფალი არჩევანის გარანტიას აძლევს, ხოლო სწავლებას ახორციელებს განათლების ნეიტრალური სისტემის მეშვეობით, რომელიც არ არის შეზღუდული რომელიმე სპეციფიკური იდეოლოგიით. იგი პატივს სცემს მშობლებისა და მოსწავლეების ფილოსოფიურ, იდეოლოგიურ და რელიგიურ შეხედულებებს. სკოლები, რომლებიც სახელმწიფოს მიერაა ორგანიზებული, სავალდებულო განათლების ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანს ერთ-ერთი აღიარებული რელიგიის და არარელიგიური ეთიკის კურსებს შორის. 24(3)-ე მუხლის შესაბამისად სავალდებულო განათლების ასაკის ყველა სტუდენტს უფლება აქვს, საზოგადოების ხარჯზე მიიღოს ეთიკური ან რელიგიური განათლება.

ეს სამართლებრივი შეთანხმება, რომელიც ფაქტობრივად პოლიტიკური შეთანხმებაა, ხორცშესხმული ე.წ. სასკოლო პაქტით და 1959 წლის 29 მაისის სასკოლო პაქტის აქტის სახით წარმოშობს ორი სხვადასხვა სახის პრობლემას:

პირველი პრობლემა ეხება ეთიკის კურსის შინაარსს. ეთიკის კურსი ანაცვლებს რელიგიის სწავლებას მოსწავლის სურვილის შემთხვევაში. 1985 წელს სახელმწიფო საბჭომ სლუიჯის საქმეში გადაწყვიტა, რომ ეთიკის კურსი, რომელიც არაკონფესიურია და მხარს უჭერს ე.წ. “თავისუფალი აზროვნების” იდეებს, ძალდატანებით არავინ უნდა გაიაროს⁴⁵. ამგვარი სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანეს იელოვას მონმის, ვერმირშის, საქმესთან დაკავშირებითაც, რომელსაც არ სურდა, არჩევანი გაეკეთებინა რელიგიური განათლების სასარგებლოდ ოფიციალურად აღიარებული რელიგიებიდან. სახელმწიფო საბჭოს თვალსაზრისით, ამგვარი არჩევანის გასაკეთებლად და ინდივიდის რწმენის საწინააღმდეგოდ⁴⁶ დაუშვებელია ძალდატანება.

ამ სიტუაციამ გამოიწვია ადამიანთა იმ რაოდენობის თანდათანობითი ზრდა, რომლებიც მოითხოვდნენ განთავისუფლებას როგორც რელიგიური განათლების, ისე არარელიგიური ეთიკის კურსებიდან. ყოველივე ამის საფუძველი იყო არა

45 სახელმწიფო საბჭო, 14 მაისი 1985, ნ° 25.326, გადაწყვეტილება სლუიჯის შესახებ.

46 სახელმწიფო საბჭო, 10 ივლისი 1990, ნ° 35.442, გადაწყვეტილება ვერმირშის შესახებ.

ფილოსოფიური და მორალური შეხედულებები, არამედ ინდიფერენტულობა. მთავრობა მზად იყო მიენიჭებინა მთხოვნელებისთვის სრული თავისუფლება. მაგალითად, ფლანდრიის სკოლებში 1992 წლის 8 ივლისის ცირკულარული წერილის გავრცელების შემდეგ აღნიშნული საგანმანათლებლო კურსიდან განთავისუფლებას უკვე აღარ სჭირდებოდა ეკლესიის მსახურების ჩარევა. ამ საკითხის გადაწყვეტა დაევალა სკოლების მმართველ საბჭოებს, რამაც გამოიწვია არსებული პრაქტიკის შესუსტება.

საუნივერსიტეტო დონეზე სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და თეოლოგიის სწავლებასა და კვლევას შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს. "Faculté universitaire pour la théologie protestante" დაარსდა 1950 წელს და 1963 წელს აღიარეს საუნივერსიტეტო დონის ინსტიტუტად⁴⁷.

"Instituut voor Hoger Joodse Studies / Institut de Hautes Études Juives" დაარსდა 1959 წელს. მას კავშირი ჰქონდა ბრიუსელის "ლიბრეს უნივერსიტეტის" სოციოლოგიის ინსტიტუტთან. 2000-2001 წლებიდან ინსტიტუტის ჰოლანდიურენოვანი ნაწილი გადავიდა ახალ ინსტიტუტში "Instituut Joodse Studies of the University of Antwerp". ახალი ინსტიტუტი ფინანსურ დახმარებას იღებს ფლამანდიელთა საზოგადოებისგან.

ამკარაა, რომ კათოლიკური თეოლოგიის პოზიცია უფრო მნიშვნელოვანია და განვითარებული. ბელგიაში ექვსი კათოლიკური უნივერსიტეტია⁴⁸. "კათოლიკური"

47 თეოლოგიის პროტესტანტულ ფაკულტეტს აქვს ისტორიული ფესვები და მისი ხელახალი დაფუძნება მოხდა 1942-1944 წლებს შორის. მან მოქმედება დაიწყო 1950 წელს და დააარსა "Faculté universitaire pour la théologie protestante". 1954წ. იყო პირველი წელი ჰოლანდიურენოვანი "Universitaire faculteit voor protestantse godgeleerdheid"-თვის. ორივე ფაკულტეტს კვლავ ჰყავს საერთო მმართველთა საბჭო. 1963 წელს ისინი აღიარეს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებად. ამ ფაკულტეტების ხარჯებს ნაწილობრივ (60%) ფარავს სახელმწიფო ხელისუფლება. ამასთან დაკავშირებით, მკვეთრი განსხვავებაა "Katholieke Universiteit Leuven"-ისა და "Université Catholique de Louvain"-ის თეოლოგიის ფაკულტეტებს შორის, იქ ხელისუფლება მთლიანად ფარავს მათ ხარჯებს. არსებობს აგრეთვე ევანგელისტური ფაკულტეტი ჰეველიში. იგი გასცემს ზუსტად ისეთივე მონუმენტებს, როგორსაც პროტესტანტული ფაკულტეტი, მაგრამ არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, შდრ. კითხვები და პასუხები, ფლამანდიური პარლამენტი, 1998-99, 3 დეკემბერი 1998, გვ. 1101 (კითხვა ნომ. 46 ლოუენსი). დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. პ. დე პუტერი, o.c., 443.

48 ექვსი უნივერსიტეტი შემდეგია: Katholieke Universiteit Leuven, Katholieke Universiteit Brussel, Université Catholique de Louvain, Facultés Universitaires Saint-Louis (Bruxelles), Facultés Universitaires Notre Dame de la Paix (FUNDP – Namur), Facultés Universitaires Catholiques de Mons (FUCaM).

უფრო სოციოლოგიური ცნებაა, ვიდრე იდეოლოგიური, რადგან ბევრი სტრუქტურა და პერსონალი მორწმუნე არ არის. კათოლიკური თეოლოგია ისწავლება მხოლოდ "Katholieke Universiteit Leuven"-სა (ჰოლანდიურად და ინგლისურად) და "Université Catholique de Louvain"-ში (ფრანგულად), საეკლესიო სამართალი ისწავლება მხოლოდ "Katholieke Universiteit Leuven"-ში (ინგლისურად და ჰოლანდიურად).

რაც შეეხება რადიოსა და ტელევიზიაში რელიგიურ გადაცემებს, ბელგიას აქვს სისტემა, რომელსაც ეწოდება "le droit à l'antenne". ესაა უფლება, რომელიც ენიჭება კერძო ასოციაციებს, რომლებიც წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ ჯგუფებს, რათა გამოიყენონ საზოგადოებრივი მედიასაშუალებები როგორც თავიანთი წევრების, ასევე საზოგადოების ინტერესების დასაცმაცოფილებლად.

ეს პრინციპი პირველად შემუშავდა 1964 წლის 2 ივლისს სამეფო დეკრეტით⁴⁹. დღეისათვის რადიო და ტელევიზია რეგიონალურ საკითხთა სფეროს განეკუთვნება. 1997 წლის 29 აპრილის დეკრეტი სამართლებრივი ბაზაა ფლანდრიაში რელიგიური პროგრამების გადასაცემად⁵⁰. ფრანგთა და გერმანელთა საზოგადოებებშიც მიმდინარეობდა მსგავსი წესების პროპაგანდა⁵¹.

არსებული სისტემა ყველას არ აკმაყოფილებს. იმის გამო, რომ უკვე არსებობს სპეციფიკური გადაცემები და მათზე მოთხოვნა საკმაოდ დაბალია, საზოგადოებრივ მაუწყებლებს მიაჩნია, რომ რელიგიურ სიახლეებზე ყურადღების გამახვილება საჭირო აღარ არის. თუმცა ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ეკლესიის კავშირი მედიასთან სასურველია ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლების მეშვეობით.

ბეჭდურ მედიაში ეკლესიის როლი უფრო არაპირდაპირია. ისტორიულად ყოველდღიური გაზეთების საკმაოდ დიდი ნაწილი კათოლიკური მრწამსის მატარებელი იყო, რის გამოხატულებაცაა "De Standaard and La Libre Belgique". თუმცა ბევრი გაზეთი, რომელიც თავდაპირველად კათოლიკური იყო, შემდგომში პლურალისტური გახდა და ზოგჯერ გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებასაც კი ავლენს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიმართ. დღეისათვის არც ერთი მნიშვნელოვანი ყოველდღიური გაზეთი არ არის მთლიანად კათოლიკური. ფლანდრიაში ამ ახალი ვითარების საპასუხოდ ეკლესიამ გარეშე სპონსორებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ ყოველკვირეულ გაზეთს "Tertio" რომელსაც

49 "ბელგიის მონიტორი", 21 ნოემბერი, 1964.

50 "ბელგიის მონიტორი", 1 მაისი 1997, შეცდ. "ბელგიის მონიტორი", 17 მაისი 1997.

51 იხ. პ. დე პუტერი, o.c., 180 e.s.

მკითხველების შეზღუდული რაოდენობა ჰყავს, მაგრამ გამოირჩევა კათოლიკური პოზიციით. კათოლიკურია აგრეთვე ყოველკვირეული გამოცემები "Kerk en Leven" და "Dimanche". მათ უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, მაგრამ აქვს შედარებით ნაკლები ამბიცია ინტელექტუალური გამოცემის სახელწოდების ფლობაზე.

ბელგიაში, რომელიც რელიგიური, სახელმწიფო და ლინგვისტური განსხვავებებით ხასიათდება, ოფიციალური სტრუქტურები ყოველთვის ცდილობს, დაამყაროს პოლიტიკური და იდეოლოგიური ბალანსი. ეს არ ინვესტს ეკლესიის პირდაპირ ჩარევას აღნიშნულ საქმიანობაში. 1960 წლამდე სახალხო ქრისტიანული პარტია ცდილობდა მოეხდინა ეკლესიის წარმომადგენელთა თავის რიგებში სენატორების სახით ასიმილირება, მაგრამ შემდგომში ეს პრაქტიკა აღარ გაგრძელდა. ამჟამად ზოგიერთი მღვდელი მონაწილეობს პარლამენტის მუშაობაში, თუმცა ისინი არ არიან ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრები.

VIII. შრომის კანონი რელიგიურ საზოგადოებებში

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საკითხზე, რა მასშტაბით შეეხება დასაქმების კანონი ეკლესიების საქმიანობას⁵². საჭიროა ზღვრის გავლება რელიგიის მსახურსა და ჩვეულებრივ საერო წარმომადგენელს შორის. ეს პროცესი შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად:

პირველ ეტაპზე ბერების და მონაზვნების ეკლესიებთან ურთიერთობაში დომინირებდა რელიგიური ელემენტი. შესაბამისად, ამ სიტუაციაში არ მოქმედებდა სამუშაო კონტრაქტი და ეს ურთიერთობა ეფუძნებოდა მონაწილე მხარეების სურვილს. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ საჭირო არ იყო სოციალური გადასახადების გადახდა, თუმცა ეკლესიის მსახურებს არ ჰქონდათ მოხუცებულობის პენსიაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

ეს სიტუაცია შეიცვალა, როდესაც ეკლესიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა წარადგინა თხოვნა პენსიის მისაღებად. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო

52 იხ. რ. ტორფსი, "Les églises et le droit du travail", საეკლესიო-სახელმწიფო კვლევების ევროპის კონსორციუმი (რედ), ეკლესია და შრომითი კანონი ევროკავშირის ქვეყნებში, მილანი/მადრიდი, Giuffrè/Facultad de Derecho, 1993, გვ . 35-59.

იყო დადგენა, მოქმედებდა თუ არა დასაქმების კონტრაქტი. ამ მდგომარეობამ დასაბამი დაუდო მეორე ეტაპის დაწყებას.

მეორე ეტაპზე რელიგიური ურთიერთობა დომინირებდა სამუშაო სიტუაციაზე, რის გამოც არ მოქმედებდა შრომითი კონტრაქტი. რელიგიური ცხოვრების განსაკუთრებული ხასიათის გამო რელიგიის მსახურები აღთქმის დადების გამო არ განიხილებიან თანამშრომლებად და თვითდასაქმებულებად. ამგვარად, რელიგიური საზოგადოების წევრობის იდეას ფართო მნიშვნელობა მიეცა და ჩანაცვლა რელიგიური ურთიერთობის ყველა დანარჩენი საკითხი⁵³. გარკვეული დროის შემდეგ საპრეცედენტო სამართალმა უარყო შრომითი ურთიერთობის ეს პრინციპი⁵⁴, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ საკასაციო სასამართლოს გაუადვილდა დასაქმების კონტრაქტის აღიარება. დასაქმების კონტრაქტთან დაკავშირებული ტრადიციული ელემენტების (უფლებამოსილება, მართვა, ზედამხედველობა, ანაზღაურება) გარდა, საჭირო იყო დასაქმების კონტრაქტთან დაკავშირებით სათანადო მტკიცებულების წარდგენა⁵⁵. ამან კიდევ ერთი დამატებითი პირობა შექმნა, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელი იყო დასაქმების კონტრაქტის აღიარებამდე. პრაქტიკული თვალსაზრისით კი ეს იყო პირობა, რომლის დაკმაყოფილებაც საკმაოდ ძნელი იყო⁵⁶.

მესამე, ამჟამინდელ ეტაპზე ვარაუდი რელიგიურ ურთიერთობის უპირატესობასთან დაკავშირებით აღარ არსებობს. ბრიუსელისა და ანტვერპენის

-
- 53 იხ. მაგ. Conseil d'Etat, 25 ოქტომბერი 1961, ნ° 8.883, გადაწყვეტილება კლოსეტი და რ. ვერსტეგენი, "Arbeidsovereenkomsten voor geestelijken: een beslissende stap", Tijdschrift voor Sociaal Recht, 1983, გვ. 4.
- 54 იხ. მაგ. ბრიუსელის შრომითი სასამართლო, 7 დეკემბერი, 1971 წელი; ტურნაის შრომის სასამართლო, 13 თებერვალი, 1973; გენტის შრომის სასამართლო, 16 იანვარი 1976, ყველა ციტირება რ. ვერსტეგენის მიერ, Geestelijken naar Belgisch Recht. Oude en nieuwe vragen, Berchem-Antwerpen/Amsterdam, Maarten Kluwer, 1977, პ. 37-39.
- 55 იხ. Cour de Cassation, 21 ნოემბერი, 1977, Pasicrisie, 1978, I, გვ. 317; Arresten van het Hof van Cassatie, 1978, გვ. 331; Tijdschrift voor Sociaal Recht, 1977, გვ. 479, მიმოხილვა პ. დიმისტერის. მსგავსი სუბსტიციზმი ახასიათებს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებსაც, საკასაციო სასამართლო, 7 თებერვალი 1973 წელი, Pasicrisie, 1973, I, გვ. 541; Arresten van het Hof van Cassatie, 1973, გვ. 568; საკასაციო სასამართლო, 5 იანვარი, 1977 წელი, I, გვ. 485; საკასაციო სასამართლო, 21 ნოემბერი, 1977 წელი (ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული), Pasicrisie, 1978, I, გვ. 316; Arresten van het Hof van Cassatie, 1978, პ. 330; საკასაციო სასამართლო, 23 თებერვალი, 1981 წელი, Rechtskundig Weekblad, 1981-1982, გვ. 2152.
- 56 H. Demeester, observation on Cour de Cassation, 21 November 1977, Tijdschrift voor Sociaal Recht, 1977, p. 485.

სააპელაციო შრომითი სასამართლოების გადანყვეტილებები⁵⁷ სტიმული გახდა, რომ საკასაციო სასამართლოს შეეცვალა შეხედულება თავის 1982 წლის 25 იანვრის გადანყვეტილებასთან დაკავშირებით⁵⁸. გარდაუვალი გახდა კანონის ეს მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ეფუძნებოდა დასაქმების კონტრაქტის არსებობაზე ჩუმ თანხმობას მაშინ, როცა დამსაქმებელი თავად არ იყო რელიგიური ორდენის წარმომადგენელი. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოება უკვე აღარ განიხილავს რელიგიასთან დაკავშირებულ შრომას, როგორც სხვა სამუშაოსგან მკვეთრად განსხვავებულ საქმიანობას⁵⁹.

სამ ეტაპიანი ევოლუციის არსებობა, რომლის მონახაზიც ზევით იყო მოცემული, განაპირობა რელიგიის მსახურთა მიერ პენსიების მოთხოვნამ. ასევე სულ უფრო ხშირად დგებოდა საერო საეკლესიო მოსამსახურეთა დასაქმების კანონის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად შესაძლებელია იმ თეორიის გამოყენება, რომელიც დამუშავებულია სამღვდელოებისთვის⁶⁰, მაინც არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება.

დღეს არსებობენ სასულიერო პირები, რომლებიც მსახურობენ ეკლესიის მღვდლების რანგში იმგვარად, როგორც ეს განსაზღვრულია კონსტიტუციის 181-ე მუხლით და იღებენ სახელმწიფოსგან ხელფასს მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის. ურთიერთობა ამ პირებსა და ეკლესიის ხელმძღვანელებს შორის რეგულირდება შესაბამისი რელიგიის შიდა კანონებით. როდესაც საქმე ეხება კათოლიკურ ეკლესიას, შეიძლება საეკლესიო სამართლის 265-ე პრინციპის გამოყენება და ზოგადად განიხილება საეკლესიო სამართალიც.

როდესაც ეკლესიის ხელმძღვანელობა ეკლესიის მსახურს განსხვავებული ფუნქციის შესრულებას ავალებს, როგორცაა, მაგალითად, სკოლაში სწავლება, საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 13 იანვრის გადანყვეტილებით (თავდაპირველად ეკლესიის სასარგებლოდ⁶¹), თუ დასაქმების კონტრაქტში

57 ბრიუსელის სააპელაციო სასამართლო დასაქმების საკითხებში, 23 მარტი 1978 წელი, Tijdschrift voor Sociaal Recht, 1978, p. 521; Labour Court of Appeal of Antwerpen, 19 November 1980, Tijdschrift voor Sociaal Recht, 1983, p. 95.

58 Cour de Cassation, 25 January 1982, Tijdschrift voor Sociaal Recht, 1983, p. 85.

59 R. Verstegen, "Arbeidsovereenkomsten...", Tijdschrift voor Sociaal Recht, 1983, გვ. 79-80.

60 ტურნაის შრომის სასამართლო, 13 დეკემბერი 1985 წ. Journal des Tribunaux du Travail, 1987, გვ. 37.

61 მაგ. ტურნაის შრომის სასამართლო, 13 დეკემბერი 1985, Journal des Tribunaux du Travail, 1987, გვ. 37; ლიუქსის შრომის სააპელაციო სასამართლო, 26 ნოემბერი 1986 წ. Journal des Tribunaux du Travail, 1987, გვ. 411.

მოცემულია დასაქმების კონტრაქტის ობიექტური მახასიათებლები, შეიძლება ითქვას, რომ აშკარაა კონტრაქტის არსებობა⁶². არც კონსტიტუციის 21-ე მუხლი, არც ის ფაქტი, რომ ეპისკოპოსს შეუძლია გააუქმოს თავისი ლიცენზია სწავლებასთან დაკავშირებით, არ უნდა ინვევედეს სასულიერო პირის მიერ იმ სამუშაოს შეუსრულებლობას, რომელიც მიანდეს დასაქმების კონტრაქტის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 13 იანვრის დადგენილებას ჰქონდა შორსმიმავალი შედეგი. ამ დადგენილების მიღების შემდეგ გაჩნდა მკაფიო განსხვავება ეკლესიის იმ მსახურებს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ეკლესიასთან და იმათ შორის, ვინც სამუშაოდ იგზავნებოდნენ ეკლესიის ხელმძღვანელობის მიერ და საბოლოოდ შეიძლება დასაქმებულიყვნენ შრომითი კონტრაქტის შესაბამისად.

ეკლესიის მსახურებსა და სასულიერო პირებთან ერთად ეკლესიისთვის საერო პირების სულ უფრო მზარდი რაოდენობა მუშაობს. ზოგიერთი მათგანი საქმიანობს როგორც მღვდელი და მათ აფინანსებს სახელმწიფო კონსტიტუციის 181-ე მუხლის შესაბამისად. საერო პირების სასულიერო პირთა რანგში სამსახურის შესაძლებლობა გაჩნდა 1997 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაიდო “ჯენტლმენური შეთანხმება” ბელგიის ეპისკოპოსებსა და იუსტიციის სამინისტროს შორის⁶³. ტერმინი ‘მინისტრი du culte არ იყო განსაზღვრული და 1997 წლამდე მიიჩნეოდა, რომ საერო პირებს არ ჰქონდათ ეკლესიაში მსახურების უფლება. არსებული სიტუაცია 1997 წელს შეიცვალა.

ეკლესიაში მომსახურე საერო პირების სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი მდგომარეობდა იმაში, მუშაობდნენ თუ არა ისინი შრომითი კონტრაქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ალტერნატივაა იმ თავისებური პოზიციის არსებობა საეკლესიო ხელმძღვანელობის კონტროლქვეშ, რომელიც არ უკავშირდება შრომით კონტრაქტს. ზუსტად ასეთია დღეს ეკლესიის მსახურების არსებული მდგომარეობა.

მდგომარეობა შრომით კონტრაქტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ არის ნათელი. ამ სტუაციაში სიცხადის შეტანა საპრეცედენტო სამართალს შეუძლია. თუმცა არსე-

62 საკასაციო სასამართლო, 13 იანვარი 1992 წელი, Journal des Tribunaux du Travail, 1992, გვ. 225; Rechtskundig Weekblad, 1992-1993, გვ. 121.

63 დაწვრილებითი ანალოზისათვის იხ. რ. ტორფსი (რედ), Parochie-assistenten. Leken als bedienaar van de eredienst?, პიტერსი, 1998, x+142 გვ.

ბობს რამდენიმე არგუმენტი შრომითი კონტრაქტის სასარგებლოდ⁶⁴: პირველია ის, რომ საერო პირები მუშაობენ როგორც დაქვემდებურებულნი და იღებენ ხელფასს (ასრულებენ შრომითი კონტრაქტის პირობებს). მეორე არგუმენტი ისაა, რომ სასულიერო პირებისაგან განსხვავებით საერო პირები არ არიან გაერთიანებული ეპარქიაში. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს კავშირზე დაფუძნებული ურთიერთობა ეპისკოპოსთან, რომელიც მათ მატერიალური უზრუნველყოფის გარანტიას შესთავაზებდა, როგორც კი მათი საეკლესიო მსახურის ფუნქცია ამოიწურებოდა.

IX. ეკლესიების დაფინანსება

როგორც ითქვა, კონსტიტუციის 181-ე მუხლში ნათლად არის აღნიშნული, რომ ეკლესიის მსახურების ხელფასებს და პენსიებს იხდის სახელმწიფო. მასში აგრეთვე მოცემულია, რომ ამ მიზნით საჭირო თანხა უნდა შეიტანონ სახელმწიფოს წლიურ ბიუჯეტში.

1993 წლის 5 აპრილს კონსტიტუციის 181-ე მუხლს დაემატა მეორე პუნქტი: “კანონის მიერ აღიარებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ხელფასებსა და პენსიებს, რომლებიც უზრუნველყოფს მორალურ მომსახურებას ცხოვრების არაკონფესიური ფილოსოფიის საფუძველზე, იხდის სახელმწიფო. თანხა ამ მიზნისთვის უნდა შეიტანონ ეროვნულ ბიუჯეტში ყოველწლიურად”.

ფინანსური სისტემის შეფასება გვიჩვენებს, რომ რელიგიის მსახურებს არ უხდებათ ზრუნვა საკუთარი ბიუჯეტის ფორმირებისთვის და მათ ხელფასებს თითქმის მთლიანად სახელმწიფო ანაზღაურებს. ამავე დროს, არსებობს სხვადასხვა სახის შეღავათი, რომლებიც გაცილებით უადვილებს მათ ცხოვრებას. დაფინანსების ამ სისტემას ემატება შემოსავალი ეკლესიის კუთვნილი ქონებიდან. რელიგიური კონგრეგაციების ქონება ხანდახან საკმაოდ დიდი ოდენობისაა, თუმცა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ეპარქიებს უკვე აღარ გააჩნია მიწის ან ქონების მნიშვნელოვანი რაოდენობა. გარდა ამისა, არსებობს სახსრების მოპოვების პრაქტიკაც, მაგრამ ნიდერლანდებისგან განსხვავებით ბელგიას თითქმის არ აქვს მისი მოპოვების ტრადიცია. მრევლის მხრიდან ფინანსური დახმარების სიმცირე ძირითადად გამომწვეულია სახელმწიფო დაფინანსების

64 C. Engels, “De parochie-assistent en het Belgische arbeidsrecht, zoals vuur en water?”, რ. ტორფსი (რედ), Parochie assistenten. Leken als bedienaar van de eredienst?, პიტერსი, 1998, გვ. 23-39.

არსებობით და იმით, რომ, მრევლის აზრით, ის არაპირდაპირ მონაწილეობს ეკლესიის დაფინანსებაში გადასახადების გადახდის მეშვეობით.

მოსახლეობა დადებითადაა განწყობილი ამჟამად არსებული ბელგიური სისტემის მიმართ და არავინ უარყოფს, რომ იგი კარგად ფუნქციონირებს. თუმცა დროდადრო მისი მისამართით კრიტიკაც გაისმის. 1992 წელს ოფიციალურმა საეკლესიო მოძრაობამ "Humanistisch Verbond" გამოაქვეყნა პამფლეტი, რომელიც ეხებოდა კათოლიკური ეკლესიისთვის განუღო საკმაოდ დიდი ოდენობის ფინანსურ დახმარებას⁶⁵. ავტორები აყენებდნენ ორ წინადადებას: პირველი ითვალისწინებდა სისტემის სრულ განცალკევებას სახელმწიფოს სრული ნეიტრალიტეტის პირობებში, ხოლო მეორე – სახელმწიფო დაფინანსების გაგრძელებას მკაცრი თანასწორუფლებიანობის ფარგლებში სამი პირობის დაცვით, კერძოდ, ესაა: (ა) შესაბამისი ორგანიზაციის საფუძვლის გათვალისწინება, (ბ) წევრების მინიმალური რაოდენობის არსებობა და (გ) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინსტიტუტის მიერ თანამედროვე პლურალისტული დემოკრატიის აღიარება⁶⁶.

ამ და სხვა პუბლიკაციების მიუხედავად, ამჟამად არსებული სისტემა კარგად ფუნქციონირებს და უახლოეს მომავალში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

არსებული სისტემა აგრეთვე მოიცავს საგადასახადო შეღავათებს, კერძოდ, საგადასახადო შეღავათს შემოსავალზე, რომელიც მიღებულია ქონების საკუთრებიდან შენობებზე (ან შენობის ნაწილზე), რომლებშიც ხდება ღვთისმსახურება.

არსებობს სხვა შეღავათებიც. მაგალითად, ქალაქმა, რომელშიც მდებარეობს ეპარქია, უნდა უზრუნველყოს პასტორი საცხოვრებელი (ან საჭირო ეკვივალენტური თანხით)⁶⁷. ქალაქს აგრეთვე ეკისრება რამდენიმე სხვა ფინანსური ვალდებულება ეკლესიების მიმართ⁶⁸.

65 W. Calewaert/L. De Droogh, Voor meer gelijkheid in onze democratie. Een pamflet, Antwerpen, Humanistisch Verbond, 1992, გვ. 72.

66 W. Calewaert/L. De Droogh, o.c., გვ. 70-71.

67 1809 წლის 30 დეკემბრის საიმპერიო დეკრეტი, მუხლი 92 (2).

68 იხ. M. Coppens, "Les différents cultes reconnus en Belgique et les obligations communales à leur égard", in: Les relations entre la commune et les établissements du culte, Louvain-la-Neuve, U.C.L., 1993, გვ. 44.

X. რელიგიური საზოგადოებების სახელმწიფო ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობა

ოფიციალურად აღიარებულ რელიგიებს შეუძლია კაპელანების დანიშვნა ციხეებსა და ჯარში. მათ ხელფასს იხდის სახელმწიფო.

სასულიერო დახმარების ისტორია ციხეებში უკავშირდება 1965 წლის 21 მაისის სამეფო ბრძანებას⁶⁹, რომლის საფუძველზეც პატიმარი უზრუნველყოფილი იყო რელიგიური დახმარებით. ამ თვალსაზრისით კათოლიკე ლეთისმსახურს აქვს მცირე პრივილეგია. მაგალითად, მხოლოდ კათოლიკე მღვდელს აქვს დღიური განმარტოების ორგანიზების საშუალება; ასევე – მეტი მატერიალური შეღავათი⁷⁰.

2001 წელს გაუქმდა კაპელანების და მორალური მრჩევლების ცალკე არსებული სამსახური, რადგან ის ძირითადად არ განსხვავდებოდა სხვა ორგანიზაციებისგან, რომლებიც უზრუნველყოფდა ამგვარ დახმარებას⁷¹. მღვდლების და მრჩევლების რაოდენობა მუდმივი მსჯელობის საგანია. თანდათან იზრდება თანამშრომლობა მრჩევლებს შორის, რომლებიც სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან⁷².

სამართლებრივი საფუძველი ჯარში სულიერი დახმარების აღმოჩენისთვის მოცემულია 1927 წლის 17 აგვისტოს სამეფო ბრძანებაში⁷³. ისტორიულად კათოლიკურმა, პროტესტანტულმა და ებრაულმა რელიგიებმა ეფექტიანად გამოიყენეს ეს უფლება⁷⁴.

69 1965 წლის 21 მაისი, “ბელგიის მონიტორი”, 25 მაისი, 1965. შესაბამისი მუხლებია 16-36-ე და 55-ე. სამეფო ბრძანება, რამდენჯერმე შეიცვალა 1970 წლის .28 აპრილსა და 1990 წლის 4 დეკემბერს შორის, სხვა სამეფო ბრძანების შესაბამისად.

70 1965 წლის 21 მაისის სამეფო ბრძანება, მუხლი 50 და 52.

71 2001 წლის 23 მარტის სამეფო ბრძანება, “ბელგიის მონიტორი”, 3 აპრილი, 2001 წ. იხ. პ. დე პუტერი, დასაწყისში, 186.

72 Cf. “Dossier Interreligieuze samenwerking binnen de gevangenis. Samenwerking met islamconsulenten en werken met moslimgedetineerden”, Metanoia, 2002, გვ. 138.

73 1927 წ. 17 აგვისტოს სამეფო ბრძანება, “ბელგიის მონიტორი”, 1 სექტემბერი, 1927. სამეფო ბრძანება მრავალჯერ შეიცვალა 1927 წლის 1 სექტემბერსა და 1996 წლის 2 აპრილს შორის.

74 1991 წ. 18 თებერვლის კანონის შესაბამისად, (“ბელგიის მონიტორი”, 1991 წლის 7 მარტი) დაიშვებიან აგრეთვე არაკონფესიური მრჩევლები. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ფორმულირებული მოთხოვნა ყოველთვის იყო უარყოფილი, მოთხოვნა მუსულმანების მხრიდან განხილვის პროცესშია. იხ. P. De Pooter, o.c., 191.

ჯარში კაპულანებს ნიშნავს სახელმწიფო რელიგიური პირების წინადადებით, თუმცა ისინი არ ითვლებიან ოფიციალურ სახელმწიფო პირებად⁷⁵. ცოცხალი ხნის წინ განხორციელდა არმიაში იმ კაპულანთა რაოდენობის შემცირება, რომელთაც ხელფასებს სახელმწიფო უხდოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების შედეგად შეიარაღებული ძალების რაოდენობა მცირდება⁷⁶.

სახელმწიფო სავალდებულოებისთვის შეზღუდული პირობები არსებობს და მათ სახელმწიფო არ აფინანსებს. 1964 წლის 23 ოქტომბრის სამეფო ბრძანებაში ნათქვამია, რომ მხოლოდ პაციენტის თხოვნის საფუძველზე აქვთ შერჩეულ მღვდლებს და საერო მრჩევლებს სავალდებულოში შესვლის უფლება. შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, აქვთ თუ არა სხვა არალიარებული რელიგიების წარმომადგენლებს იგივე უფლებები. ისინი შესაძლოა არ დაუშვან სავალდებულოებში, თუ მათ მიერ აღმოჩენილი რელიგიური დახმარება მოიცავს მკურნალობას შთაგონებით და ალტერნატიულ მედიცინას⁷⁷.

XI. მღვდლების და საეკლესიო რანგების წევრების სამართლებრივი სტატუსი

მღვდლების და ეკლესიის სხვა წარმომადგენლების სამართლებრივი სტატუსი არ განსხვავდება სხვა მოქალაქეების სტატუსისგან. თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 224(6)-ე მუხლის შესაბამისად, საეკლესიო მსახური განთავისუფლებულია ნაფიც მსაჯულთა სესიაში სამსახურისგან, რომელიც განიხილავს სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულს.

არსებობს მთელი რიგი შეუსაბამოები, რომლებიც ბევრ კითხვას ბადებს. კონსტიტუციის 36-ე მუხლი დემონსტრირებას ახდენს შეუსაბამობისა,

75 Cour de Cassation, 23 November 1957, Pasicrisie, 1958, I, p. 983.

76 შედ. დე სტანდაარტი, 15 იანვარი, 2003წ, ახალი სტრუქტურა სულიერი მრჩევლებისთვის არმიაში: 10 კათოლიკე, 1 პროტესტანტი, 1 ებრაელი, 1 მართლმადიდებელი, 6 არაკონფესიური.

77 G. Van Haegendoren, "Sekte of kerk. De niet-erkende erediensten in België", Tijdschrift voor Bestuurswetenschappen en Publiek Recht, 1986, p. 390.

იყო სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებადი ჩინოვნიკი და ამავე დროს – პარლამენტის წევრიც. ეს ნიშნავს, რომ საეკლესიო მსახური კონსტიტუციის 181-ე მუხლის მიხედვით არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი. რაც შეეხება ადგილს კომიტეტებში ან სხვა ორგანოებში, რომლებიც განსხვავდება ეროვნული პარლამენტისგან, პროვინციის ან ადგილობრივი საბჭოებისგან, მათ შეუძლიათ მისი დაკავება.

არსებობს ასევე მთელი რიგი სხვა თანამდებობები, რომლებზეც მუშაობა მღვდლებს არ შეუძლიათ. ეს თანამდებობებია: სახელმწიფო მრჩეველი, აუდიტის ორგანოს წევრი, ასევე უამრავი ფუნქცია საარბიტრაჟო სასამართლოში (მოსამართლის, რეგისტრატორის, ადგილობრივი მმართველის, ადგილობრივი რეგისტრატორის), რაიონის რწმუნებული და ქალაქის მმართველობის წევრი⁷⁸.

მაგალითად, მღვდელი, რომლის ხელფასსაც არ იხდის სახელმწიფო და რომელსაც სურდა გამხდარიყო მოსამართლე, იუსტიციის სამინისტრომ არ მიიღო კანდიდატად იმ საფუნქციოზე, რომ იგი იყო საეკლესიო მოსამსახურე. მან ეს საკითხი გაასაჩივრა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში. მისი საჩივარი ეფუძნებოდა სამოქალაქო საპროცედურო კოდექსის 293-ე მუხლს. კომისიამ მიიღო მისი სანინალმდეგო გადაწყვეტილება, რადგან ვერ დაინახა რელიგიური თავისუფლების დარღვევა, როგორც ეს მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში⁷⁹.

XII. საქორწინო და საოჯახო სამართალი

კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო ქორწინება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს საეკლესიო ქორწინების ცერემონიალს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. სისხლის სამართლის კოდექსით (267-ე მუხლი), დადგენილია სანქცია ეკლესიის მსახურისთვის, რომელიც, საკონსტიტუციო აკრძალვის მიუხედავად, ჩაატარებს საქორწინო ცერემონიალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთ პარტნიორს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება.

78 იხ. e.g. Law of 12 January 1973, art. 107, 1°; Law of 28 June 1983, article 35(1); Code of Civil Procedure, art. 293(1).

79 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კომისია, ჰ. დიმისტერი ბელგიის წინააღმდეგ. "Journal des Tribunaux", 1982, გვ. 524; ჯურა ფალკონისი, 1981-1982, გვ. 449 რ. ტორფის კრიტიკული მიმოხილვით.

21-ე მუხლის მეორე ნაწილი აყალიბებს პირველი ნაწილიდან გამონაკლისს, რომელიც ადასტურებს რელიგიების შიდა ორგანიზაციის თავისუფლებას. ამის ისტორიული მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ამ აკრძალვის საფუძველში. მეცხრამეტე საუკუნეში, დიდი ხნის განმავლობაში არსებული ტრადიციის შესაბამისად, ბევრი ადამიანი ქორწინდებოდა მხოლოდ ეკლესიაში, მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსები ურჩევდნენ მათ, ჩაეტარებინათ სამოქალაქო ქორწინება. ამგვარი პრაქტიკა ზიანს აყენებდა სამოქალაქო მხარის ეფექტიანობას. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ეროვნული კონგრესის კათოლიკურმა უმრავლესობამ დაამტკიცა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პარაგრაფი⁸⁰.

ამის შემდეგ საეკლესიო ქორწინების ცერემონიამდე სამოქალაქო ქორწინება ბელგიელი საზოგადოების ძირითადი ნაწილისთვის ნორმად იქცა, თუმცა თავი იჩინა ახალმა პრობლემამ⁸¹. ბევრ ადამიანს სურს ქორწინება, მაგრამ არ სურს ამასთან დაკავშირებული სოციალური გადასახადების გადახდა. ისინი ირჩევენ საეკლესიო ქორწინებას, ამგვარად იმჟღავნებენ თავიანთ სინდისს და არ იხდიან ერთობლივი თანაცხოვრების გადასახადებს. არსებული საკონსტიტუციო წესები ამ მდგომარეობას მიუღებლად მიიჩნევენ. ეს სიტუაცია გარკვეულ კითხვებს ბადებს: ერთი მხრივ, ის მოტივები, რომლებმაც გამოიწვია კონსტიტუციის 21(2)-ე მუხლის მიღება, დღეს ნაკლებადაა საყოველთაოდ მიღებული; მეორე მხრივ, ერთად ცხოვრება, როგორც ქორწინების ალტერნატივა, განიხილება მოსახლეობის სულ უფრო დიდი რაოდენობის მიერ. ამგვარი სიტუაცია კი უნებლიეთ ემსგავსება განმარტებას, რომლის მიხედვითაც ქორწინება ეკლესიაში არის ცოდვაში ცხოვრების ერთადერთი ფორმა, რომელიც არ არის კანონიერი.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 2001 წლიდან ბელგიამ ჰომოსექსუალური ქორწინება ჰეტეროსექსუალური ქორწინების თანასწორად აღიარა. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ შვილად აყვანასთან დაკავშირებით, რის უფლებაც მხოლოდ ჰეტეროსექსუალურ წყვილს აქვს.

80 ი. ჰიუტენსი, *ო.ც.*, II, გვ. 468.

81 უკვე განხილული საკითხების გარდა, მოცემულ ნაშრომში განხილულია სხვა საკითხებიც, მაგალითად, როგორიცაა ბელგიის დამოკიდებულება პოლიგამიის მიმართ. პოლიგამიური ქორწინებები აკრძალულია ბელგიაში, მაგრამ, ამავე დროს, არსებობს გარკვეული ტოლერანტობა იმ პოლიგამიური ქორწინებების სამოქალაქო ეფექტის თაობაზე, რომლებიც გაფორმებულია სხვა ტერიტორიაზე იხ. R. Torfs, "Le mariage religieux et son efficacité civile en Belgique", ეკლესია-სახელმწიფოს კვლევის ევროპული კონსორციუმი (რედ.) ქორწინება და რელიგია ევროპაში, მილანი, ჯუიფრე, 1993, გვ. 221-251.

XIII. დასკვნა

ბელგიაში ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. არსებული სისტემა კეთილგანწყობილია რელიგიის მიმართ და ემყარება ურთიერთდამოკიდებულებას და არა განცალკევებას (ამ სიტყვის მკაცრი გაგებით).
2. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რელიგია თეორიულად თანაბარი უფლებებით სარგებლობს, არსებობს მნიშვნელოვანი იურიდიული განსხვავება აღიარებულ და არაღიარებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის. ამავე დროს, პრაქტიკულად კათოლიკური რელიგია არის “უპირველესი თანასწორთა შორის” აღიარებულ ჯგუფებში.
3. ბელგიაში ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობას თანამიმდევრული სეკულარიზაცია ახასიათებს. ეს განცალკევება ხასიათდება არა რელიგიაზე პირდაპირი შეტევით, არამედ სხვადასხვა სფეროში ეკლესიის ავტონომიის თანდათანობით დაკარგვით. ამის ნათელი მაგალითია შრომის კანონის გავლენა საეკლესიო ცხოვრებაზე, ასევე სახელმწიფოს მიერ ეკლესიის შიდა პროცედურების ზომიერი კონტროლის არსებული ტენდენცია.

XIV. ბიბლიოგრაფია

Pandectes belges, V^o Église et État; Églises protestante et israélite; Fabrique d'église; Puissance ecclésiastique; Traitement du clergé.

P. De Pooter, De rechtspositie van erkende erediensten en levensbeschouwingen in Staat en maatschappij, Brussels, Larcier, 2003, xxix + 575p.

R. Georges, «La nature juridique des traitements du clergé catholique», Annales de droit et de sciences politiques, 1962, p. 85-122.

R. Torfs, Congregationele gezondheidsinstellingen. Toekomstige structuur naar profaan en kerkelijk recht, Louvain, Peeters, 1992, xx + 336p.

სახელმწიფო და ეკლესია ჩეხეთის რესპუბლიკაში

I. სოციალური მონაცემები

ჩეხეთის რესპუბლიკაში ეკლესიების ანუ რელიგიური საზოგადოებების⁸² (რელიგიური გაერთიანებები) წევრობა განისაზღვრება ამ საზოგადოებების წესდებით. ეკლესიის წევრთა რეგისტრაციისათვის სახელმწიფო არ ადგენს სპეციალურ პირობებს. მოსახლეობის აღწერის მასალები შეიცავს კითხვას რელიგიური გაერთიანებების წევრობის შესახებ, თუმცა, ინდივიდუალური პასუხები არ ქმნის რელიგიური გაერთიანებების საერთო სურათს.

1991 წლის აღწერის მასალების მიხედვით ჩეხეთის რესპუბლიკის (ცხრილში “ჩრ”) მოსახლეობა 10302215 ადამიანს შეადგენდა, რომელთა 44,8% თავს რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას მიაკუთვნებდა, 39,9% თავს არც ერთი აღმსარებლობის მიმდევრად არ თვლიდა, ხოლო 16,2%-მა გამოიყენა თავისი უფლება, არ გაეცა ამ კითხვაზე პასუხი. მათ შორის, ვინც თავი ჩათვალა ეკლესიის წევრად, 89,5% იყო რომის კათოლიკური ეკლესიის წევრი, დანარჩენები – ჩეხური საძმობის ევანგელისტური ეკლესიის⁸³, ჩეხოსლოვაკური ჰუსიტური ეკლესიის⁸⁴, აუგსბურგის კონფესიის (ცხრილში “აკ”) სილვოიური ევანგელისტური ეკლესიის, აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის და იელოვას მონაწიეების რელიგიური საზოგადოებების წევრები.

82 “ეკლესიები” და “რელიგიური საზოგადოებები” – ამ ტერმინებს შორის არ არსებობს სამართლებრივი სხვაობა.

83 პირველი უნიფიცირებული ეკლესია ცენტრალურ ევროპაში. იგი დაარსდა 1918 წლის დეკემბერში შვეიცარიული და აუგსბურგის კონფესიის ევანგელისტური ეკლესიის ჩეხური კონგრეგაციების შეერთების შედეგად. დომინირებს კალვინისტური გავლენა, პრესვიტერიანული წესი. ეკლესია არის მსოფლიო პროტესტანტული ალიანსის წევრი.

84 ჩეხოსლოვაკიის ეკლესია წარმოიშვა კათოლიკური მოდერნიზმიდან. იგი აერთიანებს კათოლიკური და პროტესტანტული სარწმუნოებისა და სწავლების ასპექტებს ძველ ჰუსიტურ ტრადიციასთან. როგორც ახალი ეკლესია, იგი დაარსდა 1920 წლის იანვარში და სახელმწიფომ იგი ცნო 1920 წლის სექტემბერში, თუმცა, არა როგორც სახელმწიფო რელიგია. 1971 წლიდან ეს ეკლესია იწოდება ჩეხოსლოვაკიურ ჰუსიტურ ეკლესიად.

მოსახლეობის შემდგომი აღწერა ჩატარდა 2001 წლის მარტში. ამ აღწერის შედეგების მიხედვით აღმსარებლობის გარეშე პირების რიცხვი 58.3%-მდე გაიზარდა, ხოლო რელიგიური გაერთიანებების წევრთა და იმ პირთა რიცხვი, რომელთაც პასუხისაგან თავი შეიკავეს, შემცირდა შესაბამისად 31,7% და 10,1%-მდე. ეკლესიის წევრთა რაოდენობის შემცირება ტიპურია უფრო დიდი ეკლესიებისთვის. მეორე მხრივ, უფრო მცირე რელიგიური გაერთიანებების უმეტესობის (მათ შორის, “ახალმა რელიგიური მოძრაობების”) და ტრადიციული ევანგელური ხასიათის (მაგალითად, საძმოები და ბაპტისტები) ეკლესიების წევრთა რაოდენობა გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაძლევს ამ სტატისტიკური მონაცემების შედარების საშუალებას:

	03.03.1991	01.03.2001
აღმსარებლობის გარეშე	4,112,864	6,039,991
რომის კათოლიკური ეკლესიის	4,021,385	2,740,780
ჩეხური საძმოების ევანგელისტური ეკლესიის	203,996	117,212
ჩეხოსლოვაკიის ჰუსიტური ეკლესია	178,036	99,103
სილეზიური ევანგელისტური ეკლესია (ავ)	33,130	14,020
ლუთერანული ევანგელისტური ეკლესია (ავ) ჩეხეთის რესპუბლიკაში (რეგისტრირებულია. 1995წ.)	0	5,412
ევანგელისტური ეკლესია (ავ) ჩეხეთის რესპუბლიკაში (1991 წლიდან სლოვაკეთის ევანგელისტური ეკლესია (ავ))	4,151	14,885
აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია	19,354	22,968
იელოვას მონაწილეთა რელიგიური საზოგადოება (რეგისტრირებულია 1993წ.)	14,575	23,162
მეშვიდე დღის ადვენტიტები	7,674	9,757
ბერძენი კათოლიკეები	7,030	7,675
ქრისტიანული კონგრეგაცია	3,017	6,927
მეთოდისტური ევანგელისტური ეკლესია	2,855	2,694
საძმოების ეკლესია (კონგრეგაციონალისტები)	2,759	9,931
ძველი კათოლიკური ეკლესია	2,725	1,605
ბაპტისტთა გაერთიანება	2,544	3,622
საძმოების გაერთიანება (მორავიის საძმოები)	2,269	3,426

	03.03.1991	01.03.2001
სამოციქულო ეკლესია (ორმოცდაათიანელთა ეკლესია)	1,485	4,565
ებრაული საზოგადოებების კავშირი ჩრ-ში	1,292	1,515
ახალი სამოციქულო ეკლესია	427	449
უნიტარიანთა რელიგიური საზოგადოება	365	302
ბოლო დროის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია (ალიარებულია 1990 წელს)	“სხვებს” შორის	1,366
სხვები და უზუსტო პასუხები	8,182	196,712
პასუხისაგან თავი შეიკავა	1,665,617	901,981

2001 წლის სტატისტიკური მონაცემები ყურადღებით უნდა გადაამუშავდეს. ამის მიზეზი კითხვარის ფორმატთან არის დაკავშირებული. მაგალითად, გრაფა – “ალმსარებლობის გარეშე” მოცემულია კითხვარის თავში, ამიტომ ადვილია მისი დანახვა და შევსება. კითხვარში მეორე სვეტი ეთმობა რელიგიური გაერთიანების წევრობას, მაგრამ რელიგიური გაერთიანების სრული ოფიციალური სახელწოდების დასაწერად ძალზედ მცირე ადგილია დატოვებული, ამიტომ იმ პირების რიცხვი, რომელთაც ზუსტი პასუხი არ გასცეს თავისი რელიგიური მრწამსის შესახებ ანუ არ მიუთითეს იმ რელიგიური გაერთიანების სრული სახელი, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ, ძალიან მაღალია და რელიგიური გაერთიანებების წევრთა თითქმის 6%-ს შეადგენს. ასევე ნათელია, რომ აუგზბურგის კონფესიის სამი ეკლესიის წევრთა მაჩვენებელი არეულია, რადგან მათი სახელწოდებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

სტატისტიკის მიუხედავად, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა შედარებით მრავალრიცხოვანი ეკლესიების ოფიციალური წევრების შემცირების საერთო ტენდენციის შესახებ. საინტერესოა ამ ტენდენციის მიზეზების გაანალიზება.

ჩეხოსლოვაკიაში ათეისტური პერიოდი გრძელდებოდა კომუნისტური რეჟიმის მთელი მმართველობის განმავლობაში (1948-1989 წლები). რელიგიური გაერთიანებების დევნა აქ უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე სხვა მებობელ კომუნისტურ სახელმწიფოებში. ათეიზმის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა სკოლები, სადაც მასწავლებლები თამაშობდნენ “ათეიზმის მოძღვართა” როლს. მორწმუნეებს არ ეძლეოდათ საშუალება, გამხდარიყვნენ მასწავლებლები. აქედან გამომდინარე, გასაკვირია იმ ადამიანთა შედარებით

დიდი რაოდენობა, რომელთაც 1991 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით თავი მიაკუთვნეს რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას. ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ რიცხვის შემცირება შეიძლება აიხსნას:

1. მარქსისტულ იდეოლოგიაზე აღზრდილი მასწავლებლების გავლენის გაგრძელებით.
2. წინა-კომუნისტურ პერიოდში მიღებული რელიგიური განათლების მქონე ასაკოვანი პირების გარდაცვალებით.
3. მომხმარებელთა საზოგადოებების განვითარებით.

ეკლესიის წევრები მიეკუთვნებიან ჩეხეთის რესპუბლიკის მცხოვრებთა შედარებით ღარიბ ფენას. უფრო მდიდარ ფენას, განსაკუთრებით, ყოფილი ტოტალიტარული რეჟიმის ისტებლიშმენტის წარმომადგენლებს, არ შეცვლიათ უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიური გაერთიანებების მიმართ.

II. ისტორიული მიმოხილვა

დღევანდელი ჩეხეთის ტერიტორიაზე, დიდი მორავიის იმპერიაში შემავალი დასავლეთ სლავურ დასახლებებში ქრისტიანობა მე-9 საუკუნეში ირლანდიური, ფრანკული და ბერძნულ-სლავური მისიების გავლენით გავრცელდა. მოგვიანებით, ჩეხეთის (ბოჰემიის) სამეფო წმინდა რომის იმპერიასთან თავისუფალ ერთობაში შევიდა. სამეფო რომაულ-კათოლიკური სახელმწიფო იყო, თუმცა, მე-15 საუკუნის დასაწყისში სამეფოში უკვე არსებობდა ორი აღიარებული რელიგიური კონფესია: კათოლიკური უმცირესობა და უტრაჟუისტის (ცალიქსტინი) უმრავლესობა. მე-16 საუკუნის განმავლობაში უტრაჟუისტის ეკლესია მოექცა ლუთერანულ-პროტესტანტული გავლენის ქვეშ.

კათოლიციზმის ხელახალი გაძლიერება თეთრი მთის ბრძოლის (1620) და ოცდაათწლიანი ომის დამთავრების (1648) შემდგომ დაკავშირებული იყო გამარჯვებულ ჰაბსბურგებთან. აიკრძალა პროტესტანტიზმი. ჩეხეთის მინები გაერთიანდა ავსტრიულ და ჰაბსბურგის სამეფვიდრეო მინებთან. ამ გაერთიანების მმართველმა მიითვისა *iura maiestica circa sacra*. ამ გზით კათოლიკურმა ეკლესიამ დაკარგა ავტონომიის არსებითი ნაწილი.

1781 წელს ჯოზეფ II-მ შთამომავლობით გადაცემულ მიწებთან დაკავშირებით გამოსცა ტოლერანტობის ვერდიქტი. ჩეხეთის მოსახლეობის 2% აღიარებდა პროტესტანტიზმს: პელეგტიკურ კონფესიას (უმრავლესობა) ან აუგსბურგის კონფესიას.

სახელმწიფოს გავლენისგან ეკლესიის განთავისუფლების პროცესი 1848 წელს დაიწყო. 1867 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა ახალი ლიბერალური კონსტიტუცია ავსტრიულ-უნგრული იმპერიის ცისლეისის (Cisleithan) რეგიონებისთვის. ამ კონსტიტუციის ბაზისს წარმოადგენდა საერო სახელმწიფო, რომელიც ეფუძნებოდა ეკლესიებსა და რელიგიურ საზოგადოებებთან თანამშრომლობის პრინციპებს და მათ პარიტეტს. სახელმწიფოსგან აღიარების უფლება მიენიჭა ყველა რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც პატივს სცემდა მის კანონიერ მოთხოვნებს (1874წ.). ახლად აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს⁸⁵ ჰქონდათ საზოგადოებრივ სკოლებში სწავლებისა და ჯვარში რელიგიური მსახურების უფლება. მღვდლების, მოძღვრებისა და რაბინების გასამრჯელო ფინანსდებოდა ნაწილობრივ რელიგიური გაერთიანებების და ნაწილობრივ სახელმწიფოს მიერ. აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს ჰქონდათ სახელმწიფოს მხარდაჭერა მუნიციპალიტეტებისთვის წარდგენილი რელიგიური ნევრობის ოფიციალური განცხადებების რაოდენობის პროპორციულად.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა დაარსდა 1918 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შედეგად. 1920 წლიდან კონსტიტუციით აღიარებული იქნა რწმენის თავისუფლება. ის ბავშვები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას, ვალდებული იყვნენ დასწრებოდნენ რელიგიის გაკვეთილებს საზოგადოებრივ სკოლებში.

იმის გამო, რომ კათოლიკურ ეკლესიას ადანაშაულებდნენ ჰაბსბურგების დინასტიასთან მჭიდრო კავშირში, ჩეხი ხალხის 20%-ზე მეტმა უარი თქვა კათოლიკური ეკლესიის ნევრობაზე. მათი დაახლოებით 10% თავს არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიეკუთვნებდა, ხოლო 10%-მა დააარსა ჩეხოსლოვაკიის ეკლესია. 1,3%-მა კათოლიკემ მიიღო პროტესტანტიზმი, რის შედეგადაც ჩეხ პროტესტანტთა რიცხვი თითქმის 4%-მდე გაიზარდა; 0,2% კათოლიკე გახდა ახლად დაარსებული აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი.⁸⁶ ჩეხეთის მოსახლეობის დანარჩენი 75% დარჩა კათოლიკური ეკლესიის მრევლად.

85 მაგალითად, ძველი კათოლიკური ეკლესია (1877), და ჰერნჰატი-მორავიული საძმოს ევანგელისტური ეკლესია (1880წ.).

86 აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია აღიარებულ იქნა ტოლერანტობის ვერდიქტით 1781 წელს, თუმცა, ამ ეკლესიის პირველი ჩეხური მრევლი ჩამოყალიბდა 1922 წელს.

1927 წელს დაიდო დროებითი შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის მთავრობისა და სამოციქულო ეპარქიის (Apostolic See) წარმომადგენლებს შორის. იგი არეგულირებდა ჩეხოსლოვაკიაში ეპარქიის მღვდელმთავრების (ეპისკოპოსების) დანიშვნის პროცესს.

ნაცისტების ოკუპაციის პერიოდში 1939-1945 წლებში ჩეხი კათოლიკეები აქტიურად იბრძოდნენ ნაცისტების წინააღმდეგ და იდეენებოდნენ მათ მიერ, რის გამოც ჩეხი ხალხის თვალში დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, “ლიმიტირებული” დემოკრატიის ხანაში, 1945-1948 წლებში ჩეხეთში რელიგია პოპულარული გახდა და რელიგიურმა თავისუფლებამ 1939 წლამდე არსებულ დონეს მიაღწია.

რადიკალური ცვლილებები გამოიწვია 1948 წლის თებერვლის კომუნისტურმა სახელმწიფო გადატრიალებამ. “მეცნიერულმა” ანუ მარქსისტულმა იდეოლოგიამ, რომელიც თავისი არსით ათეისტური იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. 1948-1989 წლებში ათეზმი თამაშობდა სახელმწიფო “რელიგიის” როლს.

ამ პერიოდში რელიგიური გაერთიანებები ერთადერთი ალტერნატიულად მოაზროვნე წარმონაქმნები იყო, რომელთა არსებობაც კანონით დაშვებული იყო, თუმცა, მრავალი შეზღუდვით.⁸⁷ კომუნისტური რეჟიმის საბოლოო მიზანი რელიგიური გაერთიანებების სრული ლიკვიდაცია იყო.

რელიგიური გაერთიანებების კუთვნილი მიწები (ტყეები და მიწის ნაკვეთები), მათი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის მთავარი წყარო, 1948 წლის განმავლობაში სახელმწიფოს განკარგულებაში გადავიდა.

ახალი კანონები, რომლებიც ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლს უზრუნველყოფდა, ძალაში შევიდა 1949 წლის 1 ნოემბერს. ამ კანონმდებლობით დადგენილი იყო სამღვდელთებისთვის ძალიან მცირე გასამრჯელოს გამოყოფა, რომელსაც აფინანსებდა სახელმწიფო. სასულიერო პირის ან საერო მქადაგებლის ნებისმიერი რელიგიური საქმიანობა საჭიროებდა სახელმწიფო ნებართვას, რომელიც გაიცემოდა მხოლოდ გეოგრაფიულად შეზღუდული ტერიტორიებისთვის. ასეთი სახელმწიფო ნებართვის გაუქმება შესაძლებელი იყო ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ამ კანონის დარღვევა ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 1950 და 1961 წლების სისხლის სამართლის კოდექსების თანახმად.

87 რელიგიურობა ღრმად იყო გამჯდარი ჩეხ ხალხში; ეკლესიის მოღვაწეობის სრული აკრძალვა საშიში იყო მათი რეჟიმისთვის, რადგან ასეთ მოპყრობას შესაძლოა მათი გავლენის შესუსტება გამოეწვია.

1950 წლის იანვარში, პირველად ჩეხეთის ისტორიაში, დადგინდა აუცილებელი სამოქალაქო ქორწინება.

1950 წლის აპრილში ყველა მონასტერი სახელმწიფოს მიერ იქნა დაკავებული. მონასტრის წევრების თავისუფლება შეზღუდული იყო რამდენიმე თვით, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მოგვიანებით, ისინი სამი-ოთხი წლით იძულებით სამუშაოებზე გაგზავნეს და შემდგომ სხვადასხვა ადგილებში გაანაწილეს მუშებად. 1950 წლის აგვისტოდან დედათა მონასტრების მონაზვნები გადაასახლეს ბანაკებში, რომლებიც ქვეყნის შორეულ რეგიონებში იყო განლაგებული. მათ იძულებით ამუშავებდნენ ქარხნებში. მონასტრებს აუკრძალეს ახალი წევრების მიღება. ასეთი ძალადობა 1989 წლამდე გაგრძელდა.

1950 წლისთვის გაუქმდა ყველა საეკლესიო სკოლა და სემინარია. სასულიერო პირების მომზადება დაშვებული იყო მხოლოდ სამ სახელმწიფო თეოლოგიურ ფაკულტეტზე (ერთი – კათოლიკეებისთვის, ერთი – პროტესტანტებისთვის და ერთიც – ჩეხოსლოვაკიის ეკლესიისთვის), სადაც სტუდენტების რაოდენობა ლიმიტირებული იყო.

თითქმის ყველა კათოლიკე მღვდელმთავარი (ეპისკოპოსი) დაკავებული ან ინტერნირებული იქნა. სიტუაცია არ შეცვლილა კომუნისტური რეჟიმის დასრულებამდე. დიქტატურა არღვევდა 1927 წლის ხელშეკრულებას. 1953 წლამდე სკოლებში რელიგიური განათლება სავალდებულო იყო რელიგიური გაერთიანებების წევრი ბავშვებისთვის. ამ პერიოდის შემდეგ იგი ისწავლებოდა მხოლოდ სურვილისამებრ. იყო მცდელობა მთლიანად ამოეღოთ იგი სასწავლო პროგრამიდან და ბავშვები, რომლებიც ესწრებოდნენ რელიგიის გაკვეთილებს, კვლავ დისკრიმინირებული იყვნენ.

მხოლოდ პრალის გაზაფხულის პერიოდში (1968-1970 წლები), საბჭოთა პერიოდის მცირეხნიანი “ლიბერალიზაციის” დროს შეძლეს მონაზვნებმა ბანაკების საზღვრებში მიეღოთ ახალი წევრები. იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც სურვილისამებრ ესწრებოდნენ რელიგიის გაკვეთილებს, იზრდებოდა და გაკვეთილებზე დასწრების გამო მათ მიმართ რეპრესიები არ ხორციელდებოდა. ბერებმა განაახლეს საქმიანობა არალეგალურ პირობებში.

1971 წლიდან რელიგიური გაერთიანებების დევნა განახლდა. ყველა რელიგიური გაერთიანება, განსაკუთრებით, კათოლიკური ეკლესია, იქცა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგობის სიმბოლოდ და მას მხარს უჭერდნენ დისიდენტებიც.

1989 წლის 17 ნოემბერს, ნაცისტების მიერ ჩეხეთის უნივერსიტეტების დახურვის 50-ე წლისთავზე, კომუნისტურმა პოლიციამ სასტიკად დაარბია სტუდენტთა პროცესია პრაღაში. ამ მოვლენებს, რომელთაც შემდგომში “ხავერდოვანი რევოლუცია” ეწოდა, მხარი დაუჭირა მთელმა ჩეხოსლოვაკიამ. 1989 წლის 10 დეკემბერი შეიძლება გადატრიალების დღედ ჩაითვალოს. ამ დღეს, უკანასკნელმა კომუნისტმა პრეზიდენტმა დანიშნა მთავრობა, რომლის წევრებიც კომუნისტები არ იყვნენ. მეორე დღეს იგი გადადგა. მთავრობამ კენჭი უყარა თანმიმდევრული ცვლის პოლიტიკას და ძველიდან ახალ რეჟიმზე გადასვლას.

პარლამენტმა გააუქმა ის კანონები, რომლებიც შეიცავდნენ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შემზღუდავ ნორმებს. 1989 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაუქმდა ანტიეკლესიური დებულებები.

ამავე დროს სამოციქულო ეპარქიაში ვიზიტისას მთავრობის დელეგატებმა გააცნობიერეს, რომ 1927 წლის დროებითი შეთანხმება მოძველებული და იურიდიული ძალის არმქონე იყო. 1990 წლის იანვარში გაუქმდა ხელშეკრულების პირობა⁸⁸, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ერეოდა სასულიერო პირთა და ეკლესიის მსახურთა დანიშვნაში.

1991 წლის 9 იანვარს ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერალური რესპუბლიკის (ჩსფრ) პარლამენტმა მოახდინა ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების ქარტიის რატიფიცირება. ამ ქარტიის საფუძველზე მიიღეს ფედერალური კანონი №308/1991, რომელიც არეგულირებდა რელიგიის თავისუფლების, ეკლესიის და რელიგიური საზოგადოებების სტატუსის საკითხებს. მისი ძალაში ყოფნის პერიოდი ჩეხეთის ტერიტორიაზე (1991-2002 წლები) შეიძლება განვიხილოთ იქნეს, როგორც ქვეყნის ისტორიაში რელიგიური თავისუფლების ყველაზე ღირსესანიშნავი პერიოდი. ჩეხეთის რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემა, რომელსაც 1993 წლის 1 იანვრიდან ჩაეყარა საფუძველი, აერთიანებს ჩსფრ-ის საეკლესიო სამართლის პრინციპებს. თუმცა, 2002 წლის იანვარში მიღებული ახალი კანონმდებლობა ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების ზოგიერთ უფლებას.

88 ფედერალური კანონი №23/1990 (ჩეხოსლოვაკიის ან ჩეხეთის რესპუბლიკის კანონები).

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

ეკლესიებთან მიმართებაში ჩეხეთის სამართლებრივი სისტემა მოიცავს ოთხ დონეს: საკონსტიტუციო კანონი, საერთაშორისო ხელშეკრულებები, სახელმწიფო კანონები და ეკლესიას და სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებები.

1. ჩეხეთის საკონსტიტუციო კანონი შედგება ჩეხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციისგან (დადგენილება №1/1993), ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების ქარტიისა (ფედერალური კანონი №23/1991 ხელახლა გამოცემული როგორც №2/1993) და სხვა საკონსტიტუციო კანონებისგან. ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების ქარტია, განსაკუთრებით მისი მე-15 და მე-16 მუხლები, შეიცავს ჩეხეთის სახელმწიფო საეკლესიო კანონის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პირობებს.
2. კონსტიტუციის მე-10 მუხლის შესაბამისად საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ, ჩეხეთის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოცემული ნორმა ჩეხეთის კანონმდებლობას არ შეესაბამება, ძალაშია საერთაშორისო ხელშეკრულება.

მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ჩეხეთის სახელმწიფო საეკლესიო კანონის წყაროა, არის 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც რატიფიცირებული იქნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიერ 1975 წლის ნოემბერში.

სხვა ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია ბავშვთა უფლებების 1989 წლის ნოემბრის კონვენცია, რომელიც რატიფიცირებულ იქნა ჩსფრ-ის მიერ 1990 წლის სექტემბერში და 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია რომელსაც ქვეყანა 1992 წელს შეუერთდა.

2000-2002 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკისა და სამოციქულო ეპარქიის წარმომადგენლებმა მოამზადეს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იქნა მათ მიერ 2002 წლის ივლისში. თუმცა, პარლამენტმა არ

მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია (110 ხმით 90-ის წინააღმდეგ).
ინიციატივა რატიფიკაციის შესახებ შესაძლებელია თავიდან იქნეს დაყენებული
უფრო ხელსაყრელ პერიოდში.

3. ჩეხეთის სამართლებრივი სისტემის მე-3 ნაწილი შედგება იმ კანონებისაგან,
რომლებზეც კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს.

№308/1991 კანონზე დაფუძნებული ჩეხეთის საეკლესიო კანონის
მარეგულირებელი სტრუქტურა შეიცვალა 2002 წლის 7 იანვრის №3/2002
კანონით ეკლესიების და რელიგიური საზოგადოებების მდგომარეობის და
რელიგიური გამოხატვის თავისუფლების შესახებ (კანონი ეკლესიებისა და
რელიგიური საზოგადოებების შესახებ). კანონი ჩეხეთის საკონსტიტუციო
სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა. სასამართლოს გადაწყვეტილების
შედეგად გაუქმდა კანონის ზოგიერთი მუხლი (კერძოდ, საქველმოქმედო და
სხვა საეკლესიო ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მუხლი).

ჯერ კიდევ ძალაშია სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიების ეკონომიკური
გარანტიების შესახებ კანონი №218/1949, რომელიც კომუნიტების მიერ
იყო მიღებული. მასში შეტანილი იქნა ცვლილებები №23/1990კანონით,
რომლითაც გაუქმდა ის მუხლები, რომლებიც მოითხოვდა სახელმწიფოს
სანქციას საეკლესიო მსახურების აღსრულებაზე.

ჩეხეთის საეკლესიო კანონმდებლობის დებულებების ნაწილი მოცემულია
რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონებში,
დადგენილებებსა და ადმინისტრაციულ დირექტივებში.

4. ჩეხეთში არსებობს ასევე ეკლესიას და სახელმწიფოს შორის დადებული
რამდენიმე შეთანხმება:
 - ა. თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის
სამინისტროს, ჩეხეთის რესპუბლიკაში ეკლესიათა ეკუმენურ საბჭოსა და
ჩეხეთის მღვდელმთავართა ასოციაციას (1998) შორის.
 - ბ. ციხეებში ღვთისმსახურების შესახებ შეთანხმება ჩეხეთის რესპუბლიკის
ციხის ადმინისტრაციას, ჩეხეთის რესპუბლიკაში ეკლესიათა ეკუმენურ
საბჭოსა და ჩეხეთის მღვდელმთავართა ასოციაციას შორის (1999),
რომელმაც შეცვალა 1994 წლის შეთანხმება.

- გ. თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ჩეხეთის რადიოს, ⁸⁹ ჩეხეთის მღვდელმთავართა ასოციაციასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ეკლესიათა ეკუმენურ საბჭოს შორის (1999).

2. სისტემური მიდგომის კატეგორიები

ეკლესიასა და სახელმწიფოს სრულ განცალკევებას ჩეხეთის ტერიტორიაზე არასოდეს ჰქონია ადგილი. ამჟამად სახელმწიფო იცავს ნებისმიერ ეკლესიასთან ავტონომიის და პარიტეტის პრინციპს და ურთიერთობს მათთან მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რასაც თანამშრომლობის მოდელი შეიძლება ეწოდოს.

ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლების ქარტია (ჩეხეთის ადამიანის უფლებების ქარტია) აცხადებს, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა ეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს და დაკავშირებული არ არის ცალკეულ იდეოლოგიასა თუ რელიგიასთან (მუხლი 2(1)). რელიგიური თავისუფლება ერთმნიშვნელოვნად არის დაცული ჩეხეთის ქარტიის მე-15 და მე-16 მუხლებით.

მე-15(1) მუხლში გაცხადებულია ადამიანის უფლება, შეიცვალოს რელიგია ან რწმენა ან საერთოდ არ აღიარებდეს არც ერთ რელიგიას. მე-16(1) მუხლი ეხება უფლებას, ღიად და შეუზღუდავად გაცხადდეს პირის ან პირთა ჯგუფის რელიგია ან სარწმუნოება რელიგიური მსახურების, სწავლების, რელიგიური ქმედებებისა და რიტუალების საშუალებით. რელიგიური თავისუფლება გარანტირებულია ყველასათვის და არა მხოლოდ ცნობილი რელიგიური გაერთიანებების წევრებისთვის. ქარტიის მე-16(2) მუხლი ეხება რელიგიური თავისუფლების კოლექტიურ ასპექტებს. იგი ადგენს რელიგიური გაერთიანებებისთვის მინიჭებულ უფლებას, თვითონ მართონ თავიანთი საქმეები, კერძოდ: დააფუძნონ ორგანიზაციები, დანიშნონ სამღვდლოების წარმომადგენლები და დაადგინონ რელიგიური წესები სახელმწიფო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლად.

მე-14(4) მუხლის დებულებები ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვის შესახებ ძალიან ჰგავს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-9(2) მუხლის დებულებებს. კანონით დადგენილი მსგავსი შეზღუდვები გამართლებულია, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და სიმშვიდისთვის, ჯანმრთელობისთვის, ეთიკისთვის ან სხვა უფლებებისთვის. კანონით დადგენილი შეზღუდვის გამოყენების დროსაც კი ადამიანის შესაბამისი უფლებების ძირითადი არსი დაცული უნდა იქნეს (მე-4(4) მუხლი).

89 საზოგადოებრივი რადიოსადგური

ამასთან, მე-17 მუხლი გამოხატვის თავისუფლების შესახებ, 19-ე (შეკრების თავისუფლება) და მე-20 მუხლი (გაერთიანების უფლება) სრულად იცავს რელიგიურ თავისუფლებას.

რელიგიური თავისუფლების დაცვის შესახებ მსგავს პირობებს შეიცავს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-18 მუხლი).

ქარტიის მე-15(3) მუხლის შესაბამისად არავის აქვს უფლება, აიძულოს პირი, გაიაროს სამხედრო სამსახური თავისი სინდისის ან სარწმუნოების სანინააღმდეგოდ. ამ საკითხს დეტალურად არეგულირებს №18/1992 კანონი ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ. ალტერნატიული სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობაა 18 თვე (შედარებულია 12-თვიან ძირითად სამხედრო სამსახურთან). ეს საკითხი გახდება აქტუალური მომავალში, რადგან 2004/5-დან ჩეხეთის ჯარი მთლიანად პროფესიონალური უნდა გახდეს.

IV. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

1991 წლამდე ჩეხეთის ტერიტორიაზე არსებობისთვის რელიგიური გაერთიანებები საჭიროებდნენ სახელმწიფოს მიერ აღიარებას. ასეთი აღიარება ხდებოდა კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე (რომაული კათოლიკური ეკლესია და ებრაული საზოგადოებები – დიდი ხნის მანძილზე, ევანგელისტური ეკლესია 1781 წლიდან) ან კანონზე დაფუძნებული ადმინისტრაციული დადგენილებით (1874-1949 წლები.)

1880-1949 წლებში რამდენიმე რელიგიურმა გაერთიანებამ აირჩია სამოქალაქო საფუძველებზე⁹⁰ საქმიანობა. 1991 წლიდან ეს პრაქტიკა აღარ არსებობს.

№308/1991 კანონმა განსაზღვრა ტერმინი “ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები”, ტერმინი “აღიარება” შეცვალა ტერმინით “რეგისტრაცია” და განსაზღვრა მისი პირობები. რელიგიური გაერთიანებების ეს ორივე ტიპი განხილულია, როგორც იმ ადამიანების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც

90 ჩეხეთში ეს გზა გააზრებულად აირჩიეს ბაპტისტებმა, კონგრეგაციონალისტებმა (საძმობის ეკლესია), მეშვიდე დღის ატვენტისტებმა და სხვა. კომუნისტურმა რეჟიმმა აიძულა ისინი მიეღოთ ეკლესიის სტატუსი.

აღიარებენ ერთი და იმავე რელიგიას, გაერთიანებული არიან საკუთარ სტრუქტურაში, საკუთარ ორგანიზაციაში, საკუთარი შიდა პირობებითა და რიტუალებით (ნაწილი 4). ამ კანონის მიხედვით, სახელმწიფოს ტერიტორიაზე რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისთვის რეგისტრაცია აუცილებელი პირობა იყო. კანონის 22-ე ნაწილის თანახმად წინა კანონით და კანონის დანართით აღიარებული ყველა რელიგიური გაერთიანება განიხილება, როგორც რეგისტრირებული ეკლესია. ცხრამეტმა რელიგიურმა გაერთიანებამ დააკმაყოფილა კანონის ეს პირობა.

№161/1992 კანონის მიხედვით რეგისტრაციის პირობა იყო ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები 10000 პირის ან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობის შემთხვევაში – 500 მიმდევრის გაერთიანება.

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია ხორციელდებოდა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს – ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ. 1993-1995 წლებში აღნიშნული წესით განხორციელდა ორი რელიგიური გაერთიანების, იეღოვას მონაწილეთა რელიგიური საზოგადოების და ლუთერანული ევანგელისტური ეკლესიის (აუგსბურგის კონფესია) რეგისტრაცია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობის საფუძველზე⁹¹ ჯერჯერობით არც ერთი ეკლესია არ დარეგისტრირებულა.

№3/2002 კანონი ეკლესიებსა და რელიგიურ საზოგადოებებს უფრო ვიწრო ჩარჩოში აქცევს, ვიდრე წინა კანონი. კერძოდ, ამ ახალი კანონის მიხედვით ისინი წარმოადგენს დაწესებულებებს, რომელთა მიზანია გაავრცელონ რელიგია და განახორციელონ ღვთისმსახურება. ახალი კანონი არ ეხება საქველმოქმედო საქმიანობას. ინდივიდუალურ ლეგალურ საეკლესიო ორგანოებს უნდა გაევიდეთ რეგისტრაცია კულტურის სამინისტროში ერთი წლის განმავლობაში სტატუსის დაკარგვის საწყევით. ამგვარად, საეკლესიო საქველმოქმედო ორგანიზაციები საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და 21 სენატორისგან შემდგარმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, რომ ბრნოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეხედა ამ კანონისთვის. 2002 წლის ნოემბერში სასამართლომ გააუქმა კანონის მე-6(2) ნაწილი რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის შეზღუდვის შესახებ. ეს გადაწყვეტილება აისახა №4/2003 კანონში.

91 ანგლიკანური კონგრეგაცია, რომელიც დაარსებულია პრაღაში წმინდა კლიმენტის ევანგელისტურ ეკლესიაში 1990 წლის შემდგომ, იყენებს რეგისტრირებული ეკლესიის უფლებებს, როგორც ძველი კათოლიკური ეკლესიის ავტონომიური ნაწილი ჩეხეთის რესპუბლიკაში.

№3/2002 კანონით შესაძლებელი გახდა, რეგისტრაცია გაველო რელიგიური გაერთიანებების ფართო სპექტრს. გაერთიანების წევრთა სავალდებულო რაოდენობა 10000-დან 300-მდე შემცირდა. ახლად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს⁹² ენიჭებოდა მხოლოდ ზოგადი სამართლებრივი სტატუსი. რელიგიური გაერთიანებების ადრე არსებული თითქმის ყველა უფლება გაერთიანდა ახალ კატეგორიაში – “სპეციალური უფლებები”. ახალ რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ მიიღონ ეს უფლებები რეგისტრაციის თარიღიდან მხოლოდ 10 წლის შემდეგ, თუ მათი წევრების რიცხვი მცხოვრებთა 0,1%-ს (10000-ზე მეტს) მიაღწევს, თუ ისინი აქვეყნებენ ყოველწლიურ ბიუჯეტს და ა.შ. 1991 წლის კანონით რეგისტრირებული და №3/2002 კანონის ჩამონათვალში მითითებული რელიგიური გაერთიანებები ავტომატურად იღებენ ამ “სპეციალურ უფლებებს”, ოღონდ გარკვეული პირობებით, რომლებიც შესაძლოა წაუყენოს მათ სახელმწიფომ.

“სპეციალური უფლებებია”: სკოლებში რელიგიის სწავლება, სკოლების დაარსება, პასტორების საქმიანობა ციხეებსა და ჯარში, სახელმწიფო სუბსიდიების მოპოვება. აღსარების კონფიდენციალობის “სპეციალურ უფლებას” რელიგიური გაერთიანებები მიიღებენ მხოლოდ მაშინ, თუ დაამტკიცებენ, რომ ამგვარი კონფიდენციალობა მათ აქვთ სულ მცირე 50 წლის განმავლობაში.

გაურკვეველია რელიგიური გაერთიანებების, როგორც საჯარო სამართლით აღიარებული კორპორაციების სტატუსი, ვინაიდან არ არსებობს ასეთი კორპორაციების ზუსტი სამართლებრივი განსაზღვრება. მათ შეუძლიათ დააფუძნონ საქველმოქმედო ორგანიზაციები, საავადმყოფოები, სკოლები და განაგონ მათი შემოსავალი.

რელიგიურ გაერთიანებებს და მათში შემავალ ორგანიზაციებს აქვთ იურიდიული პირის ნიშნები. ეს ორგანიზაციები, მათ შორის, საქველმოქმედო ორგანიზაციები, უნდა დარეგისტრირდნენ იურიდიულ პირებად, რასაც წარმართავს კულტურის სამინისტრო. სხვა სამინისტროები არეგისტრირებენ საეკლესიო სკოლებსა და საავადმყოფოებს.

რელიგიური გაერთიანებების წევრებს აქვთ იგივე უფლებები, რომლებიც სხვა მოქალაქეებს. ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მათი შიდა წესებით და არა სახელმწიფოს მხრიდან.

92 2002 წლის განმავლობასი ოთხმა რელიგიურმა გაერთიანებამ გაიარა რეგისტრაცია “სპეციალური უფლების” გარეშე: ჩეხეთის ბუდისტთა საზოგადოება, ჰარი კრიშნას რელიგიური საზოგადოება, ქრისტიანული გაერთიანებები და ქრისტიანული გაერთიანება – თეოსოფები.

V. ეკლესიები და კულტურა

1. საჯარო და კერძო საეკლესიო სკოლების სტრუქტურა

ჩეხეთის დანყებითი და საშუალო სკოლები შესაძლებელია დაიყოს 3 კატეგორიად:

1. საჯარო სკოლები (სკოლების უმრავლესობა), რომლებიც დაარსებულია მუნიციპალიტეტებისა და რეგიონული ხელისუფლების ან სახელმწიფოს (განათლების სამინისტრო) მიერ.
2. სკოლები, რომლებიც შექმნილია რელიგიური გაერთიანებების (საეკლესიო ეროვნული ცენტრები, ეპარქიები, სოციალური ჯგუფები, მრევლი) მიერ.
3. სკოლები (კერძო სკოლები), რომლებიც დაარსებულია ინდივიდუალური ან იურიდიული პირების მიერ

ყველა სკოლა უნდა იყოს რეგისტრირებული განათლების სამინისტროს მიერ.

საეკლესიო სკოლები დაიხურა 1950 წელს, 1990 წლის ივნისში კი გამოიცა ახალი საეკლესიო სკოლების დაარსების ნებართვა.

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო სკოლის ხარჯების ანაზღაურებაში სახელმწიფო უფრო მეტ მონაწილეობას იღებს, ვიდრე კერძო სკოლის. შესაბამისი ეკლესიის დამფუძნებელი, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს სკოლას შენობით და ნიშნავს სკოლის დირექტორს. მოსწავლეების მიღება ხდება საგამოცდო ტესტების შედეგების მიხედვით და არა რეკომენდაციით. მასწავლებლები, შესაძლოა, არ მიეკუთვნებოდნენ არც ერთ რელიგიურ კონფესიას ან იყვნენ სხვა რელიგიური გაერთიანების წევრები, თუმცა, უპირატესობა ენიჭება იმ ეკლესიას, რომელმაც დააფუძნა ეს სკოლა. ეს გადაწყვეტილება მოხერხებულია ეკლესიისგან საკმაოდ შორს მდგომი ჩეხი ხალხისთვის: საეკლესიო სკოლები ხდება სულ უფრო პოპულარული ჩეხ საზოგადოებაში.⁹³

93 კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მორწმუნეებს არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ პედაგოგიური განათლება, ამიტომ დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს საეკლესიო სკოლების შედარებით მაღალი რიცხვი ჩეხეთის რესპუბლიკაში. ქვეყანაში ამჟამად არსებობს 88 კათოლიკური, 22 პროტესტანტული, 2 ებრაული, 2 აღმოსავლეთის მართლმადიდებლური საეკლესიო სკოლა და ჩეხოსლოვაკიის ჰუსიტური ეკლესიის 2 სკოლა.

კერძო სკოლებს ევალუბათ დაიცვან სახელმწიფო სწავლების კურსი; მათ მიერ გაცემული სერტიფიკატები აღიარებულია; ასეთი სკოლის ხარჯები მხოლოდ ნაწილობრივ ნაზღაურდება სახელმწიფოს მიერ, დანარჩენ ხარჯებს კი ფარავს სკოლები (მაგალითად, სწავლის გადასახადებისაგან). ამ სკოლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საკუთარი სპეციფიკური მსოფლმხედველობა, თუნდაც რელიგიური. მათ ასევე აქვთ მოსწავლეთა საკუთარი კრიტერიუმებით შერჩევის უფლება. ამგვარი სკოლების დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ, სხვებს შორის, საეკლესიო პირები და ორგანიზაციები, თუმცა, ეკლესიები იშვიათად იყენებენ ამ შესაძლებლობას, რადგან მათი წევრები ძირითადად მატერიალურად ხელმოკლე ადამიანები არიან, რომელთაც არა აქვთ სასკოლო გადასახადების გადახდის საშუალება.

2. უმაღლესი საეკლესიო სკოლები

რელიგიური გაერთიანებების მიერ დაფუძნებულია რამდენიმე უმაღლესი სკოლა⁹⁴, რომლებიც იძლევა თეოლოგიურ და სხვა სპეციალურ განათლებას. ასეთი სკოლები იღებენ სტუდენტებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ სკოლის დამამთავრებელი გამოცდები ჩეხეთის საშუალო სკოლაში (რვანლედო). ამგვარად, ასეთი უმაღლესი სკოლა ახლოს არის უნივერსიტეტთან, მაგრამ მის სტუდენტს არ ეძლევა სამეცნიერო ხარისხი. უმაღლესი საეკლესიო სკოლა ამზადებს სტუდენტებს რელიგიის მასწავლებლებად, სოციალურ მუშაკებად, პასტორის ასისტენტებად და ჟურნალისტებად.

3. რელიგიური განათლება

ეკლესიებს უფლება აქვთ, დააარსონ არასავალდებულო რელიგიური კლასები ყველა საჯარო სკოლაში. ასეთი კლასების მასწავლებლები ეკლესიის მიერ უნდა იყვნენ წარდგენილი, თუმცა, ხელფასს მათ სკოლა უხდის. ნებისმიერი მოსწავლეს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ამ ეკლესიის წევრი, უფლება აქვს გაიაროს რელიგიური განათლების კურსი. რელიგიური გაერთიანებები მხარს უჭერენ ასეთ პრაქტიკას. რელიგიური განათლება ასევე შეუძლიათ მიიღონ აღმსარებლობის არმქონე სტუდენტებმა.

ამ სისტემის ნაკლია ის, რომ საზოგადოებრივ სკოლებში არ არსებობს ალტერნატიული საგანი და ამიტომ რელიგია ისწავლება მხოლოდ კვირაში თავისუფალ დღეს, ძირითადად, ოთხშაბათის შუადღეს.

94 ჩეხეთის რესპუბლიკაში კათოლიკური ეკლესიის მიერ დაფუძნებულია ხუთი და პროტესტანტული ეკლესიის მიერ – ექვსი უმაღლესი სკოლა.

საეკლესიო სკოლებშიც, ჩვეულებრივ, რელიგიური განათლება ნებაყოფლობითია, ალტერნატიული საგანი – ეთიკა კი გათვალისწინებულია. ეს, როგორც ჩანს, უკეთესი მოდელია და სასურველია ეს პრაქტიკა საჯარო სკოლებშიც დაინერგოს.

კერძო სკოლებს აქვთ სავალდებულო ან ნებაყოფლობითი რელიგიური განათლების კურსის არჩევის სრული თავისუფლება ერთ ან მეტ კონფესიაში. მათ შუედლიათ, მთლიანად ამოიღონ სასწავლო პროგრამიდან რელიგიური განათლება.

4. საზოგადოებრივი უნივერსიტეტების თეოლოგიური ფაკულტეტები

ჩეხეთის დღევანდელი კანონებით უნივერსიტეტები ავტონომიურ წარმონაქმნებად მოიაზრება. ისინი შეიძლება დაფუძნდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო პირების მიერ. რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ დააარსონ მხოლოდ კერძო უნივერსიტეტები, თუმცა, მათ ეს უფლება ჯერ არ გამოუყენებიათ.

დღეისათვის ჩეხეთის რესპუბლიკაში საჯარო უნივერსიტეტების ფარგლებში არსებობს ხუთი თეოლოგიური ფაკულტეტი: სამი მათგანი (კათოლიკური, პროტესტანტული და ჰუსიტური) – ჩარლის უნივერსიტეტში პრაღაში და ორი კათოლიკური თეოლოგიური ფაკულტეტი – სხვა უნივერსიტეტებში.

5. რადიო და ტელემაუწყებლობა

ეკლესიების მონაწილეობა ჩეხეთის საზოგადოებრივი რადიოს მაუწყებლობაში განსაზღვრულია 1999 წლის ხელშეკრულებით. ძალიან პოპულარულია კერძო რადიოსადგური "Proglas", რომლის დირექტორია კათოლიკე მღვდელი. მეშვიდე დღის ადვენტისტთა ეკლესიამ დააარსა კერძო რადიოსადგური "The Voice of Hope".

ჩეხეთის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ შექმნა რელიგიური მაუწყებლობის სპეციალური განყოფილება, რომელშიც შეიყვანა კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენლები. იგი ფუნქციონირებს რელიგიურ გაერთიანებებთან ხელშეკრულების გარეშე და სარგებლობს სანდოობის მაღალი ხარისხით. არც ერთი საზოგადოებრივი სატელევიზიო პროგრამა არ შეიძლება შეწყვეტილი იქნეს რეკლამით. რეკლამა ნებადართულია მხოლოდ პროგრამებს შორის.

კერძო ტელესადგურებს არა აქვთ რეგულარული რელიგიური მაუწყებლობა. ყველა პროგრამა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს რეკლამით. ეკლესიებს ჯერჯერობით არა

აქვთ უფლება, საკუთარი დელეგატების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ რადიო- და ტელემუხყებლობის საბჭოების მართვაში.

VI. შრომის კანონი რელიგიური გაერთიანებების შიგნით

ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გააუქმა საერო სასამართლოს იურისდიქცია სამღვდლოების წევრების მსახურების სფეროსთან დაკავშირებით. 2001 წელს სტრასბურგის ადამიანთა უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება.

რელიგიური გაერთიანებების სამღვდლოების და სხვა რელიგიური მუშაკების (მათ შორის, არასასულიერო პირებისაც) დასაქმება ხდება ამ გაერთიანებების შიდა კანონების თანახმად (საეკლესიო სამართალი, კანონიკური სამართალი). კონფლიქტური სიტუაციები განიხილება საეკლესიო სასამართლოს მიერ; თუ ამ სასამართლოების მიერ საკითხის განხილვა შესაძლებელი არ არის, იგი განიხილება სახელმწიფოს მიერ. თუ რელიგიურ გაერთიანებას დადგენილი არა აქვს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული წესი, აუცილებელია გამოყენებული იქნეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესი.

არაპასტორალური მუშაკების დასაქმება ხდება შრომის კოდექსის (1964 წელი) თანახმად.

VII. კანონი ქორწინების და ოჯახის შესახებ

ჩეხოსლოვაკიის 1963 წლის კანონში ოჯახის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია, შეტანილი იქნა ცვლილებები №234/1992 ფედერალური კანონით, რომლის შედეგადაც 1992 წლის 1 ივლისიდან აღდგა ეკლესიაში ქორწინების სამართლებრივი ძალა. დღეისათვის ჩეხეთის რესპუბლიკაში ქორწინების რელიგიურ და სამოქალაქო ფორმებს შორის არჩევანი თავისუფალია. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო არ აღიარებს საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებას ქორწინების შეწყვეტის შესახებ.

№91/1998 კანონით შეიცვალა აღნიშნული პირობები, რომლის საფუძველზედაც ქორწინების მსურველები ვალდებული არიან ქორწინებამდე 3 თვის განმავლობაში განსახილველად წარადგინონ სახელმწიფო რეგისტრაციის ბიუროს ცნობა, რომელიც დაადასტურებს, რომ სამოქალაქო კანონებით ამ ქორწინების ხელშემშლელი ფაქტორები არ არსებობს.

მოზარდის რელიგიური გაერთიანების წევრობა დამოკიდებულია მისი მშობლის (ან მეურვის) სურვილზე და საკუთარ არჩევანზე. ჩეხეთის საეკლესიო სამართალი აღიარებს და იცავს ბავშვთა უფლებების კონვენციის პირობებს. ბავშვებისთვის სკოლებში რელიგიური განათლების მიღების საკითხი წყდება იგივე გზით.

VIII. ეკლესიის ფინანსები

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ რელიგიური ორგანიზაციები ჩეხეთში ფლობდნენ ეკლესიების და სამღვდლოების კუთვნილი უძრავი ქონების უმეტესობას და შეწირულობებისა და დანახოვების სახით მიღებულ შემოსავალს.⁹⁵ 1990 წლის ბოლომდე სახელმწიფო აგრძელებდა სამღვდლოების წარმომადგენლებისთვის ხელფასების გადახდას და ასევე იხდიდა ეკლესიების სათავო ოფისების ნაწილის და საეკლესიო ნაგებობების აღდგენის ხარჯებს. რელიგიური გაერთიანებები ფულადი შეწირულობებიდან მიღებული სახსრებით იხდიდნენ ეკლესიის მსახურთა და სხვა საერო (არასასულიერო) მუშაკთა ხელფასებს და ასევე საეკლესიო შენობების რეგულარულ ხარჯებს.

რესტიტუციის აქტი, რომლის მიხედვითაც კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩამორთმეული ქონება უბრუნდება თავის ყოფილ მფლობელს, არ შეხება ყველა რელიგიურ სუბიექტს. თუმცა, აუცილებელი იყო უძრავი ქონების ზოგიერთი რელიგიური დაწესებულებისთვის უკან დაბრუნება, რათა მათ შეძლებოდათ გაერთიანებების შექმნა, მონაზვნობის ინსტიტუტის აღდგენა და თავიანთი საქმიანობის აღორძინება. №298/1990 და №338/1991 კანონებით აღდგა რელიგიური ორდენის (დედათა და მამათა ორდენები) საკუთრების უფლება ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ 170 რელიგიურ სახლზე (86 მამათა სახლი და 84 დედათა სახლი). რამდენიმე ასეთ შენობაში დაარსდა საეკლესიო სკოლები და ბავშვთა სახლები, ეკლესიის სოციალური დაწესებულებები და საავადმყოფოები.

95 კომუნისტური რეჟიმის დასასრულს, დედათა მონასტრებმა, რომლებიც განთავსებული იყო ბანაკებში, დაზოგეს თანხა თავიანთი შემოსავლებიდან.

ზოგიერთი შენობა, რომელიც გადაცემული არ იყო სახელმწიფო მფლობელობაში რეესტრის მიხედვით, უკან დაბრუნდა ადმინისტრაციის მიერ ან იურიდიული გზით. ტყე და სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც მრევლის, ეკლესიებისა და მონასტრების ქონების ნაწილი იყო, კათოლიკურ ეკლესიას უკან არ დაბრუნებია. იჯარით აღებული სახლები, მინდვრები და სხვა ნაციონალიზებული ქონება უკან არ დაბრუნებია პროტესტანტულ ეკლესიას; მხოლოდ №212/2000 კანონით დაიწყო ქონების დაბრუნება ებრაული საზოგადოებებისთვის.

ჯერ კიდევ ღიად რჩება ეკლესიისთვის ფინანსების დაბრუნების საკითხი. სპეციალური დადგენილება (1991 წელი) კრძალავს ამ ქონების სხვა პირისთვის გადაცემას. ფინანსების ნაწილი გადაეცა მუნიციპალიტეტებს ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე, რაც ხელს უშლის მისი დაბრუნების შესაძლებლობას. ეკლესიები მოითხოვენ ფინანსურ კომპენსაციას, მაგრამ ამისათვის არ არსებობს მყარი პოლიტიკური ნება.

სახელმწიფო აგრძელებს რელიგიური გაერთიანებების სუბსიდირებას. ზოგიერთი პოლიტიკოსი მხარს უჭერს რესტიტუციას, როგორც ამ სუბსიდიების გაუქმების წინაპირობას. რელიგიური გაერთიანებების უმეტესობა ამაზე თანახმაა.

რელიგიური გაერთიანებების შემოსავლის ძირითადი წყაროა ფულადი შეწირულობები, ეკლესიის არსებული ქონება კი მცირე ფინანსურ შემოსავალს იძლევა.

სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები ცდილობენ ფინანსური მონაწილეობა მიიღონ ისტორიული საეკლესიო ნაგებობების გარემონტებაში. ფულის უქონლობის გამო რელიგიურ გაერთიანებებს აქვთ უზარმაზარი პრობლემა – დაიცვან არა მხოლოდ თავიანთი ისტორიული შენობები, არამედ არაისტორიული და თანამედროვე შენობებიც.

საეკლესიო სკოლებს, საჯარო სკოლების რელიგიის მასწავლებლებსა და სამხედრო ნაწილებში მომსახურე სამღვდელეობას ხელფასს სახელმწიფო უხდის. ციხეებში რელიგიურ მსახურებას სახელმწიფო ნაწილობრივ აფინანსებს, ხოლო სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში მსახურებას სახელმწიფო საერთოდ არ აფინანსებს.

IX. რელიგიური თანადგომა საჯარო დაწესებულებებში

ჩეხეთის რესპუბლიკის ციხის ადმინისტრაციას, ეკლესიათა ეკუმენურ საბჭოს და ჩეხეთის მღვდელმთავართა ასოციაციას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად 1994 წლის შემდეგ ეკლესიები ახორციელებენ რელიგიურ მსახურებას ციხეებში. ახალი ხელშეკრულება დაიდო 1999 წელს; მხოლოდ 2002 წლის ივნისიდან უხდის სახელმწიფო ხელფასს ზოგიერთი რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელ სასულიერო პირს, რომელიც ციხეში უზრუნველყოფს რელიგიურ მსახურებას. ხშირ შემთხვევაში ეს პირები მუშაობენ იმავე ციხეში, რომელშიც თვითონ იყვნენ მოთავსებული პატიმრობის დროს 1989 წლამდე. სამოქალაქო ეკუმენური ორგანიზაციების ბევრი მოხალისე წევრი მონაწილეობს ამ პასტორალურ მსახურებაში.

სამხედრო სასულიერო პირების სტატუსი დადგენილია ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, ჩეხეთის რესპუბლიკაში ეკლესიათა ეკუმენური საბჭოსა და ჩეხეთის მღვდელმთავართა ასოციაციას შორის 1998 წლის 3 ივნისს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებით. სამხედრო სასულიერო პირები არიან ოფიცრები. ისინი ინიშნებიან აღნიშნული ხელშეკრულების წევრი ყველა ეკლესიის კოლექტიური წინადადების საფუძველზე. სამხედრო სასულიერო პირების თანამდებობა მათი ეკლესიის სტრუქტურისათვის შეუსაბამოა. სამხედრო სასულიერო პირების დანიშნვის პირობები ფორმულირებულია ჩეხეთის რესპუბლიკაში ეკლესიათა ეკუმენურ საბჭოსა და ჩეხეთის მღვდელმთავართა ასოციაციას შორის 1998 წლის 10 ივნისს დადებულ ხელშეკრულებაში, რაც ჩეხეთის რესპუბლიკაში გამორჩეული ეკუმენური თანამშრომლობის ბრწყინვალე მაგალითია.

რელიგიური თანადგომა საავადმყოფოებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში არ რეგულირდება კანონით ან რაიმე ხელშეკრულებით. იგი ეფუძნება მხოლოდ კონსტიტუციურ საფუძვლებს და რეალურად დამოკიდებულია მსგავსი დაწესებულებების ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზე.

X. სისხლის სამართალი და რელიგია

ჩეხეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად (198-ე პუნქტი) დანაშაულად ითვლება შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება ადამიანების მიმართ მათი აღმსარებლობის გამო. ეს კოდექსი არ ითვალისწინებს სასჯელს ღვთის გმობისათვის.

№308/1991 კანონით სახელმწიფო აღიარებს რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების წევრი თითოეული პირის კონფესიური კონფიდენციალობის დაცვის უფლებას (მე-8 პუნქტი), ხოლო №3/2002 კანონი აღიარებს ამ უფლებას, როგორც ერთ-ერთს იმ “სპეციალური უფლებებიდან”, რომლებიც მიენიჭებათ რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს სპეციალური სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით. ამასთან, პიროვნების კონფესიური კონფიდენციალობის დაცვის სპეციალური უფლების მინიჭება დამოკიდებულია ამ რელიგიური გაერთიანებების ტრადიციულ საქმიანობაზე, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს სულ მცირე ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

XI. სამღვდელოებისა და რელიგიური პირების სამართლებრივი სტატუსი

სამღვდელოების და რელიგიური პირების სამართლებრივი სტატუსი, რომელიც არ განსხვავდება სხვა მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსისგან, მოიცავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. სახელმწიფოს ვალდებულება, ცნოს რელიგიური სახელები, ძალაში არ შესულა და პირად დოკუმენტებში ამ სახელების მითითება ხორციელდება მხოლოდ კეთილი ნების საფუძველზე. 2001 წლის ივლისში ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს უფლება აქვთ პირად დოკუმენტებში შეიტანონ ორი სახელი, ასე რომ რელიგიური სახელების საკითხი შესაძლოა ამ გზით გადაიჭრას.

რაც შეეხება მემკვიდრეობის უფლებას, სამღვდელოების წარმომადგენლებს აქვთ იგივე უფლება, რომელიც სხვა მოქალაქეებს.

სამხედრო სამსახურის ვალდებულებასთან დაკავშირებით რელიგიური ჯგუფის წევრები ხშირად მსახურობენ ჩეხეთის რესპუბლიკის არმიის ჰუმანიტარულ სამსახურში. სამღვდელოების წარმომადგენლები სარგებლობენ განსაზღვრული პრივილეგიებით და მათ შეუძლიათ იმსახურონ ჩეხეთის რესპუბლიკის ჯარის პასტორალურ სამსახურში.

XII. ბიბლიოგრაფია

Jiří Rajmund Tretera, *Rechtliche und wirtschaftliche Grundlagen für den Dienst der Kirchen*, in: *Gemeinsame Wege – getrennte Wege, Die Zukunft der Beziehungen zwischen Staat und Kirchen*, Prag, Konrad-Adenauer-Stiftung, 1996, p. 75-85.

Jiří Rajmund Tretera, *Finansowanie Kościołów w Republice Czeskiej*, in: *Systemy finansowania instytucji kościelnych w Europie*, Towarzystwo Naukowe KUL, Lublin, 2000, p. 109-121.

Jiří Rajmund Tretera, *Church and State in the Czech Republic*, in: *European Journal for Church and State Research*, Peeters, Leuven, volume 7, 2000, p. 299-315, volume 8, 2001, p. 287-294.

Jiří Rajmund Tretera, *Church Autonomy in the Czech Republic*, in: *Robbers, Gerhard (ed.), Church Autonomy, A Comparative Survey*, Frankfurt a/M., 2001, p. 633-644.

Jiří Rajmund Tretera, *Systems of Relations between the State and Churches in general and their Occurrence in the Czech Lands in particular*, in: *Many Cultures, Many Faces*, Monsignor W. Onclin Chair, Katholieke Universiteit Leuven, 2002, p. 31-56.

Jiří Rajmund Tretera, *Stát a církev v České republice*, Karmelitánské nakladatelství, Kostelní Vydří, 2002, 156 p.

Jiří Rajmund Tretera, *Die jüngsten Rechtsfragen des tschechischen Religionsrechts*, Teil 1, in: *Österreichisches Archiv für Recht und Religion*, Heft 2, Wien, 2002, p. 230-238.

Periodicals:

Revue církevního práva/Church Law Review, Společnost pro církevní právo, Praha.

European Journal for Church and State Research, Peeters, Leuven.

სახელმწიფო და ეკლესია დანიაში

I. სოციალური ფაქტები

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია დანიის ეროვნული ეკლესიაა და მას სახალხო ეკლესიას (Folkekirken an Folk Church) უწოდებენ. 1991 წელს სახალხო ეკლესიის წევრად ითვლებოდა დანიის მოსახლეობის 88%, 2002 წელს კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 84%-ს შეადგენდა. თუ ამ მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, სახალხო ეკლესიის წევრთა რიცხვი შემცირდა, რაც შეიძლება მოსახლეობის რელიგიურობის კლების ტენდენციად ჩაითვალოს, თუმცა, ბოლო დროს დანიაში შემომწევა სხვადასხვა რელიგიური დენომინაციების და გაერთიანებების ზრდა. ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა შესახებ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მიღება შეუძლებელია, ვინაიდან საჯარო და კერძო რეესტრში რელიგიური მრწამსის შესახებ ინფორმაციის რეგისტრირება კანონით იკრძალება. იმიგრანტების რიცხვის მატებასთან ერთად ზოგადად მოსახლეობის რაოდენობაც გაიზარდა. ბევრი იმიგრანტი არა სახალხო ეკლესიის, არამედ სხვა რელიგიური გაერთიანებების წევრები არიან. სავარაუდოდ, მოსახლეობაში რელიგიური აქტიურობის დონის ზრდაზე ამ ფაქტორმაც იმოქმედა. შესამჩნევია, რომ ბოლო დროს სხვადასხვა მედია საშუალებები სულ უფრო ხშირად აშუქებენ რელიგიის, ფილოსოფიისა და სულიერების სხვადასხვა საკითხებს.

II. ისტორიული ფონი

დანიაში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა მეფე ჰაროლდ ბლუთუზმა გამოაცხადა მას შემდეგ, რაც თვითონ მოინათლა ქრისტეს შობიდან 960 წელს. თუმცა, პირველი მისიონერები დანიაში ჯერ კიდევ 700 წელს გამოჩნდნენ. ანსგარის (801-865 წლები) მისიონერობის დროს ქრისტიანობა იუტლანდიის სამხრეთ ნაწილში ვრცელდებოდა. დაახლოებით 1000 წლიდან, ანგლო-დანიური იმპერიის პერიოდში, დანიის ეკლესიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინგლისის ეკლესია. 1536 წლამდე დანიური ეკლესია იყო რომის კათოლიკური ეკლესიის ნაწილი. XV საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა ეროვნული და სახელმწიფო ეკლესიური აზროვნება, რამაც ქვეყანაში ნიადაგი მოამზადა XVI საუკუნეში რეფორმაციის იდეების გავრცელებისთვის. 1534-36 წლებში დანიაში მოხდა

რევოლუციის და სამოქალაქო ომის მსგავსი მოვლენა. ამის შედეგად სამეფოს სათავეში ჩაუდგნენ მეფე ქრისტიან III (1536-1559) და მისი კარის აზნაურები. მეფე ქრისტიანი ლუთერან მეფედ აკურთხეს 1536 წელს. მისი გამარჯვების ერთ-ერთი პოლიტიკური შედეგი რეფორმაცია გახდა. მან თანამდებობიდან გადააყენა ყველა ეპისკოპოსი და მათი ქონება კონფისკაციას დაუქვემდებარა.

რეფორმატორმა იოჰან ბუგენჰაგენმა ახლებურად ააწყო საეკლესიო იერარქია, რომელიც სანეციონერული იყო მარტინ ლუთერის მიერ. მან თანამდებობებზე დანიშნა ახალი ლუთერანი მღვდლები და ეპისკოპოსები. დანიელი ეპისკოპოსები თანამდებობაზე პაპის მიერ დადგენილი წესით აღარ ინიშნებოდნენ. ეკლესია ფაქტობრივად იქცა სახელმწიფო ეკლესიად, რომლის კანონების მიღება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეეძლო მეფეს და მის საბჭოს. ასოლუტისტური კონსტიტუცია, ე. წ. "Lex Regia", 1665 წლიდან ავალდებულებდა მეფეს, ყოფილიყო 1530 წლის აუგსბურგის კონფესიის მიმდევარი და ხელი შეეწყო ყველა მისი ქვეშევრდომის ერთი სარწმუნოების მიმდევრობისთვის. გარდა ამისა, მეფეს სამეფო უნდა დაეცვა მწვალებლების, ფანატიკოსების და ღვთის მგომბელებისგან. კონსტიტუციის მე-6 მუხლი მეფეს აძლევდა სრულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალაუფლებას ეკლესიის ადმინისტრაციის და სასულიერო პირების მიმართ. დანიის კოდექსთა წიგნის (Danske Lov) მე-2 წიგნში, რომელიც რელიგიასა და სამღვდლოებას ეხებოდა, 1683 წლიდან მოცემულია ქრისტიანობის, როგორც საჯარო საკითხის, თავისებური სამართლებრივი განმარტება.

1849 წელს ახალი დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებასთან ერთად გაუქმდა ეკლესიაში ყველა მოქალაქის იძულებითი განევრიანების წესი და ყველას მიენიჭა უფლება, განევრიანებულიყო იმ რელიგიურ გაერთიანებაში, რომელიც მისთვის მისაღებ სარწმუნოებას ქადაგებდა. არავინ უნდა გამხდარიყო იძულებული, განევრიანებულიყო რომელიმე ეკლესიაში, თუმცა, ეს წესი არ ვრცელდებოდა მეფესა და დედოფალზე. მე-6 მუხლის თანახმად "მეფე და დედოფალი უნდა იყვნენ ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის წევრები". თუმცა, ეს არ ნიშნავდა, რომ მეფე ან დედოფალი მაინცდამაინც სახალხო ეკლესიის წევრი უნდა ყოფილიყო, საკმარისი იქნებოდა რომელიმე ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის წევრობა.

დანიის ეკლესია გახდა სახალხო ეკლესია. იგი აღარ იყო სახელმწიფო ეკლესია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჯერ კიდევ არსებობდა მყარი კავშირი. ბოლო წლებში საზოგადოებაში ორი განსხვავებული მიდგომა ამ ურთიერთობის შესახებ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის, ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი, ემხრობა სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან განცალკევებას, თუმცა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ახალმა კონსტიტუციამ რელიგიას ფორმალური თავისუფლება მიანიჭა, მაგრამ რელიგიების თანასწორობის პრინციპი არ დაუნესებია. აბსოლუტიზმის თითქმის ასოთხმოცდაათწლიან პერიოდში (1660-1849) სახელმწიფო პოლიტიკა სხვადასხვა რელიგიური დენომინაციების მიმდევარი უცხოელების მიმართ უფრო შემწყნარებლური გახდა. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ 1849 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, პრაქტიკულად დამკვიდრდა რელიგიის თავისუფლება.

დღეს დანიაში 12 ეპარქია მოქმედებს, აქედან სამ ეპარქიას ხელმძღვანელობს ქალი ეპისკოპოსი. 1990 წლამდე ფარერის კუნძულები შედიოდა კოპენჰაგენის ეპარქიაში, თუმცა, ამჟამად ისინი ცალკე ეპარქიას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას გრენლანდიის შესახებ, რომელმაც 1994 წელს მიიღო იგივე სტატუსი, რაც ფარერის კუნძულებმა და საკუთარი ეპისკოპოსი ჰყავს.

III. ზოგადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

საეკლესიო სამართალი შეიცავს შესაბამის სამართლებრივ წყაროებს დანიის ყველა ქრისტიანული ეკლესიისთვის, რელიგიური ჯგუფის და საზოგადოებისთვის. სახალხო ეკლესიის სამართლებრივ წყაროებს შეადგენს კონსტიტუციური და ზოგადი კანონები, სტატუტები, სახელმწიფო განკარგულებები და სასამართლოების გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია უზენაესი სასამართლოს და ახალი საეკლესიო სასამართლოს მიერ სადოქტრინო საქმეებთან დაკავშირებით. სასტატუტო სამართალი ეხება ეკლესიის ეკონომიკურ საკითხებს, ეკლესიის შენობებსა და სასაფლაოებს. სხვა კანონები არეგულირებს ეკლესიაში განწევრიანებასთან, ეკლესიის თანამშრომლებთან, მრევლსა და სამრევლო ეკლესიებთან დაკავშირებულ საკითხებს. სახელმწიფოსა და სახალხო ეკლესიას შორის წერილობითი ხელშეკრულება დანიის სამართლებრივ სისტემაში პრაქტიკაში გამოყენებული არ ყოფილა.

დანიის კონსტიტუციის (Danmarks Riges Grundlov) მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია, დააფინანსოს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, წარმოადგენს ზოგად დებულებას, რომელიც სახალხო ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობას ეხება. ამ მუხლის მიხედვით “ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია არის სახალხო ეკლესია და ამიტომაც იგი სახელმწიფო

მხარდაჭერით სარგებლობს”. ტერმინი “სახალხო ეკლესია” სათავეს იღებს 1849 წელს მიღებული პირველი კონსტიტუციიდან და არ შეცვლილა 1866, 1915, 1920 და 1953 წლების კონსტიტუციებით. იგი გულისხმობს, რომ დანიის მოსახლეობის უმრავლესობა ამ ეკლესიას ეკუთვნის. სახელმწიფო მხარს უჭერს სახალხო ეკლესიას ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ სფეროებში. სახალხო ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან ოფიციალურად განცალკევება შეუძლებელია კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გარეშე, რაც გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს საკონსტიტუციო ცვლილებებისადმი სპეციალური საპროცედურო მოთხოვნების გამო.

სახელმწიფოს სახალხო ეკლესიის დახმარების ვალდებულება არ ნიშნავს იმას, რომ მას არ შეუძლია სხვა რელიგიური საზოგადოებების და მიმდინარეობების დახმარება. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ფორმით იღებს სუბსიდიებს. მაგალითად, ბევრ მიმდინარეობას და საზოგადოებას აქვს გარკვეული შენობების უსასყიდლოდ გამოყენების უფლება ან იღებს დახმარებას ბავშვთა განათლების სფეროში. მე-4 მუხლი მუნიციპალურ ხელისუფლებას სახალხო ეკლესიის დახმარებას არ ავალდებულებს, თუმცა, ანიჭებს მას ამის უფლებას, თუ ასეთი დახმარება მუნიციპალურ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

66-ე მუხლის მიხედვით სახალხო ეკლესიას უნდა ჰქონოდა საკუთარი სინოდური კონსტიტუცია, რომელიც მას მიანიჭებდა ავტონომიას და თავისუფლებას ყველა საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის უნდა შექმნილიყო ცენტრალური საეკლესიო საბჭო, რომელიც ეკლესიის წარმომადგენელი იქნებოდა. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ დაპირებად დარჩა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა რამდენიმე კომისია, რომლებსაც უნდა შეემუშავებინათ საეკლესიო ხელისუფლების სისტემა, მაგრამ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს დადებითი შედეგი არ მოუტანია. ეს თემა დღესაც აქტუალურია იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ფონზე, რომლებიც მიიღო საეკლესიო საქმეთა მინისტრმა, რის გამოც ის გააკრიტიკეს როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო პირებმა. ბევრმა მოიწონა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან განცალკევების შედეგური მოდელი. პრაქტიკულად, როგორც 66-ე მუხლი განმარტავს, იგი მხოლოდ უზრუნველყოფს იმას, რომ “სახალხო ეკლესიის არსებობის პირობებს კანონი უნდა არეგულირებდეს”.

დროთა განმავლობაში კანონით დადგენილმა ბევრმა სპეციფიკურმა უფლებამ მრავალი საეკლესიო საკითხი გადაწყვიტა. 1855 წელს გაუქმდა წესი, რომელიც მრევლს ავალდებულებდა, ესარგებლა დანიშნული მოძღვრის მომსახურებით, ხოლო 1868 წელს ნებისმიერ ადამიანს მიენიჭა უფლება, საკუთარი ნებით გახდარიყო რომელიმე სამრევლოს წევრი. 1903 წლის აქტმა “თავისუფალი სამრევლო საბჭოების შესახებ”

სახალხო ეკლესიის ყველა 18 წელს მიღწეულ წევრს მიანიჭა სამრევლო ეკლესიაში ხმის მიცემის და არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სამრევლოები, რომელთა რიცხვი დაახლოებით 2200-ს აღწევს, არის ის ძირითადი დემოკრატიული ერთეულები, რომლებსაც სახალხო ეკლესია ეფუძნება. XX საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში ძალაში შევიდა ახალი კანონმდებლობა საერთაშორისო და ეკლესიათაშორის თანამშრომლობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლების პრინციპი პრაქტიკაში ჯერ კიდევ 1849 წლამდე დამკვიდრდა, იგი საჯაროდ აღიარებული იქნა 1849 წლის და ყველა მომდევნო კონსტიტუციით. არსებული კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად “მოქალაქეებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ საზოგადოებებში, რათა თავყვანი სცენ ღმერთს იმ სახით, რომელიც შეესაბამება მათ რწმენას, თუ ასეთი საზოგადოებების სწავლება ან მოქმედება არ ეწინააღმდეგება მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებს”.

68-ე მუხლის მიხედვით არავინ არის ვალდებული, პირადი მატერიალური სახსრებით დაეხმაროს რომელიმე სარწმუნოებას, გარდა საკუთარი სარწმუნოებისა. ის, ვინც არ არის სახალხო ეკლესიის წევრი, თავისუფალია საეკლესიო გადასახადებისგან. თუმცა, რელიგიური საზოგადოებები და მათი მიმდევრები იხდიან ჩვეულებრივ გადასახადებს, როგორცაა, მაგალითად, მიწის გადასახადი, რომელიც სავალდებულოა უძრავი ქონების ყველა მფლობელისათვის.

69-ე მუხლის თანახმად “რელიგიური საზოგადოებებისა და მიმდინარეობების საქმიანობას, სახალხო ეკლესიის გარდა, აწესრიგებს სპეციალური მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს განსხვავებულად მოაზროვნე პირთა სამართლებრივ მდგომარეობას”. ასეთი აქტი არასოდეს ყოფილა მიღებული, თუმცა, ასეთ საზოგადოებებს გარკვეულ გარანტიებს ანიჭებს სისხლის სამართლის კოდექსის და ადმინისტრაციული კანონმდებლობის სხვადასხვა მუხლები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიის საფუძველზე.

70-ე მუხლი მიმართულია დისკრიმინაციის წინააღმდეგ: “დაუშვებელია ადამიანისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების წართმევა მისი რწმენის თუ წარმოშობის საფუძველზე და ამავე დროს, არავის აქვს უფლება, ამავე საფუძველზე თავი აარიდოს თავისი სამოქალაქო მოვალეობების შესრულებას”. 70-ე მუხლი აგრეთვე იცავს უცხო ქვეყნებში მცხოვრებ პირთა უფლებებს, რომლებიც ქონებას ფლობენ დანიაში და, ზოგადად, ნებისმიერი რელიგიის მიმდევარ პირთა უფლებებს. აქტი “შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ” (459/1996) გამოყენებული იქნა ორ შემთხვევაში, რომლებიც ეხებოდა ჩადრის

ტარებას. პირველ შემთხვევაში (U 2000, 2350) უმაღლესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა ჩადრის ტარების გამო იყო ირიბი დისკრიმინაცია და ნიშნავდა კომპანიის მიერ თავისი მოვალეობის უგულვებელყოფას, ჰქონდა ნათელი პოზიცია თანამშრომლების ჩაცმულობასთან დაკავშირებით. მეორე საქმე პირველად უმაღლეს სასამართლოში გადაწყდა, ხოლო შემდეგ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ აპელაცია დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ. უმაღლესი სასამართლოს დასკვნის თანახმად, კომპანიის მიერ თანამშრომლისთვის თავსაბურავის ტარების აკრძალვა გამონეწეული იყო ობიექტური მიზეზებით, ვინაიდან კომპანია აწარმოებდა კვების პროდუქტებს და საქმე ეხებოდა ჰიგიენის აუცილებელი ნორმების დაცვას.

71-ე მუხლი განმარტავს, რომ “დაუშვებელია დანიის მოქალაქის დაპატიმრება მისი რელიგიური შეხედულებების საფუძველზე”. ეს ეხება ყველა სახის თავისუფლების აღკვეთას, მათ შორის იძულებით ჰოსპიტალიზაციას. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ დანიის მოქალაქეებზე, რის გამოც ის შეიძლება დისკრიმინაციულად ჩაითვალოს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი ზოგადად კრძალავს დისკრიმინაციას პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე, რასაც 71-ე მუხლის ფორმალური თუ არა, პრაქტიკული კორექტირება უნდა გამოენჯია. 1992 წლიდან დანიის კანონმდებლობაში გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში აღნიშნული რელიგიის თავისუფლების დებულებები, რაც 67-ე მუხლით გათვალისწინებულ ოფიციალურ გარანტიას აძლიერებს.

2. სისტემური მიდგომის კატეგორიები

სახალხო ეკლესია ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებს: ერთი მხრივ, ის არის სახელმწიფო ეკლესია, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ევანგელურ-ლუთერანული რწმენის ღვთისმსახურება და რელიგიური ფუნქციების შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, დანიელი ხალხის დიდი უმრავლესობისთვის არის დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელსაც აქვს ადგილობრივი წარმომადგენლობითი თვითმმართველობა. სახალხო ეკლესიას ეხმარება სახელმწიფო, მაგრამ ის არ არის სახელმწიფო ორგანიზაცია ამ იტყვის სრული მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო ეკლესია რელიგიური მიმდინარეობაა, იგი არ ითვლება ისეთ კერძო გაერთიანებად, როგორცაა სხვა აღიარებული თუ აუღიარებელი რელიგიური საზოგადოებები. სახალხო ეკლესია ექვემდებარება პარლამენტს და საეკლესიო საქმეთა მინისტრს. იურიდიულ წრეებში მნიშვნელოვანი დავა იყო იმის თაობაზე, ითვლებოდა თუ არა სახალხო ეკლესია რელიგიურ საზოგადოებად. ზოგიერთი საეკლესიო კანონმდებელი

სახალხო ეკლესიას ასეთ საზოგადოებად მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ ეს ეკლესია მოკლებულია ყოველგვარ ავტონომიას და ყველა იურიდიული გადაწყვეტილება პარლამენტის ან მთავრობის (კერძოდ, საეკლესიო საქმეთა მინისტრის) მიერ უნდა იქნეს მიღებული, თუმცა, პარლამენტმა და მთავრობამ პატივი უნდა სცენ ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიას და მის დოქტრინას.

სახალხო ეკლესია სარგებლობს სახელმწიფო ორგანიზაციების მსგავსი სტატუსით, ხოლო სამართლებრივი ნორმები, რომლებითაც მისი საქმიანობა რეგულირდება, საჯარო სამართლის ნაწილია. სხვა რელიგიური საზოგადოებების სტატუსი არის იგივე, რაც კერძო ასოციაციების სტატუსი, ხოლო მათი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ზოგადი სამართლებრივი სისტემის ნაწილია და შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალს. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვა ეკლესიების და რელიგიური მიმდინარეობების სამართლებრივ სტრუქტურაზე შედარებით დიდ გავლენას ახდენენ სათავო, უცხოური ორგანიზაციები და, შესაბამისად, ისინი იმართება შიდა სტატუტებით, კონვენციებითა და ტრადიციებით.

ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესია შეიძლება სახელმწიფო ორგანიზაციად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებს და სამოქალაქო სამართლებრივ საქმიანობას ეწევა ცენტრალური ადმინისტრაციისთვის. სხვადასხვა ეკლესიის მრევლი, როგორც წესი, გარკვეულ ქონებას (მაგალითად, უძრავი ქონება) ფლობს, რაც მათ გარკვეულ შემოსავალს აძლევს. ამის გამო ადგილობრივ ეკლესიათა უმრავლესობა შესაძლოა განხილული იქნეს იურიდიულ პირებად ან იურიდიული ძალის მქონე ერთეულებად. სამრევლო საბჭოები (როგორცაა ადგილობრივ მრევლთა დირექტორთა საბჭო) დამოუკიდებელი იურიდიული პირები არიან, რომლებიც ბევრ სფეროში ქმედუნარიანი არიან, არა მხოლოდ ადგილობრივად, როგორც ადმინისტრაციული ხელისუფლება, არამედ მაშინაც, როცა საქმე ეხება მღვდლების არჩევას, წირვას, რიტუალებსა და სხვა ასპექტებს.

სხვა რელიგიური საზოგადოებები კერძო და ავტონომიური დაწესებულებებია, რომლებიც ხშირად იმართება, როგორც კერძო ასოციაციები, სადაც წევრები სანევრო გადასახადებს იხდიან. ამგვარ რელიგიური გაერთიანებებს სახელმწიფო არ ანიჭებს განსაკუთრებულ შეღავათებს ან სამართლებრივ სტატუსს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობენ უძრავ ქონებას ან დააარსებენ ფონდს (საქველმოქმედო დაწესებულებას, სკოლას, საავადმყოფოს და ა.შ.), მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ დანიის შესაბამის საკანონმდებლო ორგანოებს, რის შემდეგაც მათ შეიძლება მიიღონ გარკვეული შეღავათები და დოტაციები.

IV. რელიგიური ერთეულების სამართლებრივი სტატუსი

1. სამართლებრივი სტატუსი

კანონის შესაბამისად რელიგიური ერთეულები სამ ჯგუფად იყოფა: აღიარებული საზოგადოებები, ქორწინების ჩატარების უფლების მქონე საზოგადოებები და სხვა რელიგიური საზოგადოებები, რომლებიც ოფიციალურად არ არიან აღიარებული. დანიის კონსტიტუციამდელ კანონმდებლობაში უკვე გამოიყენებოდა აღიარებული რელიგიური საზოგადოების ცნება გერმანიის და საფრანგეთის რეფორმირებულ ეკლესიებთან, რომელთა კათოლიკურ ეკლესიასა და ებრაულ საზოგადოებასთან მიმართებაში. აღიარების ცნება მოიხსენიებოდა 1849 და 1866 წლების კონსტიტუციებში, თუმცა, 1915 წლის კონსტიტუციის 69-ე მუხლში აღნიშნულია მხოლოდ “სხვა რელიგიური საზოგადოებები, სახალხო ეკლესიის გარდა”. 1969 წლამდე აღიარება მეფის განკარგულებით ენიჭებოდა ამა თუ იმ მრევლის მოძღვარს, რომელსაც ეძლეოდა ქორწინების ჩატარების, ნათლობის და ინდივიდუალური სტატუსის მქონე რეესტრის წარმოების უფლება. მოგვიანებით, ამ პრაქტიკის შესაბამისად, ასეთი აღიარება მოიპოვეს ბაპტისტებმა, მეთოდისტებმა, გუსტავის შვედურმა ეკლესიამ, ნორვეგიის მეფე ჰაკონის ეკლესიამ, ფინურმა ეკლესიამ, ისლანდიის ეკლესიამ, დანიის რეფორმირებულმა ეკლესიამ, წმინდა ალბანის სახელობის ინგლისურმა ეკლესიამ და რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ.

დღეს იმ რელიგიურ საზოგადოებათა რიცხვი, რომელთა სასულიერო პირებს აქვთ ქორწინების ჩატარების უფლება, ოთხმოცდაათს შეადგენს. იგი მოიცავს სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს, რომელთაგან 50 ქრისტიანული, 18 ისლამური და 4 ბუდისტური საზოგადოებაა.

ქორწინების ჩატარების ნებართვის მისაღებად აუცილებელია, რომ რელიგიური საზოგადოება იყოს ნათლად განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის და წარმომადგენლობის მქონე რელიგიური მიმდინარეობა. ასეთი საზოგადოება ნევრთა გარკვეული რაოდენობისგან უნდა შედგებოდეს. საკმარისი არა არის მხოლოდ რელიგიური მოძრაობის ან ფილოსოფიური ან სამეცნიერო ასოციაციის სტატუსი. რელიგიურ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს რწმენის საგანი, დოქტრინა და რიტუალი, რომლებიც კანონით დასაშვებია და არ ეწინააღმდეგება მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებს. ასეთი რელიგიური საზოგადოებების სასულიერო პირებისთვის დანიის მოქალაქეობა სავალდებულო არ არის, თუმცა, ისინი კარგად უნდა ფლობდნენ დანიურ ენას. მათ აგრეთვე უნდა განაცხადონ, რომ დაიცავენ დანიის კანონმდებლობას და სახელმწიფო დადგენილებებს და

პატივს სცემენ ცერემონიალების საერო ასპექტებს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ზოგიერთი იმამი მწვავედ გააკრიტიკეს დანიელი ხალხის ძირითად კულტურულ ფასეულობათა უპატივცემლობის და პოლიტიკური პროპაგანდის გამო. აღიარების შედეგად, რომელიც მხოლოდ საქორწინო რიტუალების ჩატარების უფლებით შემოიფარგლება, უფლებამოსილ სასულიერო პირებს არ აქვთ სამართლებრივი ძალის სამოქალაქო ნათლობის ჩატარების და პერსონალური ინფორმაციის რეგისტრირების უფლება. ასეთი რეგისტრაციის უფლება აქვს მხოლოდ სახალხო ეკლესიის მრევლის მოძღვარს. უკანასკნელ ხანებში ეს ფაქტი მწვავე კრიტიკის საგნად იქცა.

ქორწინების ჩატარების უფლების მიღების შედეგად რელიგიური საზოგადოება “სახელმწიფოსთვის საშემოსავლო გადასახადების შეფასების შესახებ” აქტის (791/2002) შესაბამისად ავტომატურად თავისუფლდება 500-დან 5000-მდე დანიური კრონის ოდენობის ერთჯერადი შეწირულობისთვის დაწესებული გადასახადისგან. დონორებს აგრეთვე შეუძლიათ თავის თავზე აიღონ უფრო დიდი ოდენობის ფინანსური დახმარების განევა სულ ცოტა 10 წლის განმავლობაში იმ გაერთიანებების, დაწესებულებების და რელიგიური საზოგადოებებისთვის, რომლებსაც გადასახადების მინისტრი დაამტკიცებს. ასეთი დადგენილების მისაღებად აუცილებელია, რომ ასეთი რელიგიური საზოგადოების ადგილსამყოფელი დანიაში იყოს. საგადასახადო უწყებები სისტემატურად აქვეყნებენ ინფორმაციას ასეთი გაერთიანებების და რელიგიური საზოგადოებების შესახებ.

თუ ეკლესია, რელიგიური მიმდინარეობა ან რამდენიმე რელიგიური ასოციაციისგან შემდგარი გაერთიანება ჩაითვლება რელიგიურ საზოგადოებად, იგი ავტომატურად განთავისუფლდება გადასახადებისგან, ხოლო სხვა ორგანიზაციებმა, რომელთა მიზნებს (საქველმოქმედო, სოციალური და კულტურული საქმიანობა) შორის ერთ-ერთი რელიგიურია, გადასახადებისაგან განთავისუფლებისთვის უნდა დააკმაყოფილონ მთელი რიგი სამართლებრივი მოთხოვნები, როგორცაა წევრთა რაოდენობა, დონორთა მინიმალური რაოდენობა, მყარი ფინანსური საფუძველი და ა.შ. სახალხო ეკლესიის ფარგლებში მოღვაწე რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც რელიგიურ, სოციალურ და კულტურულ მიზნებს ემსახურებიან, სავარაუდოდ, არ შეეხებათ “საშემოსავლო გადასახადების შეფასების შესახებ” აქტი.

1868 წლიდან სახალხო ეკლესიის წევრებს შეეძლოთ სამრევლოს შექმნა და რომელიმე სასულიერო პირის სულიერ მოძღვრად არჩევა. ასეთი “არჩეული მრევლი” სახალხო ეკლესიის შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება. მრევლს საკუთარი ეკლესია ან საეკლესიო დარბაზი უნდა ჰქონდეს. არჩეული მრევლის წევრებმა ყველა ხარჯი საკუთარი სახსრებით უნდა დაფარონ და ისინი ვერ იღებენ სახელმწიფო დახმარებას. მრევლს უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალის მქონე საკუთარი მმართველი საბჭო. არჩეული მრევლი არის იურიდიული

პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი იურიდიული უფლებები საჯარო და კერძო დაწესებულებებსა და პირებთან მიმართებით. საეკლესიო საქმეთა სამინისტროსა და ამ მრევლის ურთიერთობებს ეპისკოპოსი კურირებს. მსგავსი არჩეული მრევლის მოდელები გამოიყენებოდა სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის სპეციალურ მრევლთა დაარსებისთვის. ასეთი მრევლებისთვის სპეციალურად ინვრთნებოდნენ “ყრუ მღვდლები”.

შესაძლებელია “თავისუფალ მრევლთა” დაარსება სახალხო ეკლესიის ფარგლებს გარეთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინიც ევანგელურ-ლუთერანულ რწმენას აღიარებენ. თავისუფალ მრევლებს სურთ ჰქონდეთ ავტონომია ორგანიზაციულ საკითხებში და ისეთივე პირობები, რომლებითაც სარგებლობენ არჩეული მრევლები. სხვა რელიგიურ საზოგადოებებთან შედარებით ისინი უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ, მაგალითად, შეუძლიათ ღვთისმსახურებისთვის გამოიყენონ სახალხო ეკლესიის ტაძრები, ხოლო ისეთ მღვდლებს, რომელთაც სულ მცირე შვიდი წლის მსახურების სტაჟი აქვთ, შეუძლიათ ატარონ იგივე ანაფორა, რომელსაც სახალხო ეკლესიის მღვდლები ატარებენ. ამ მღვდლებს ასევე შეუძლიათ გაიარონ შესაბამისი კურსი “სამღვდელოების უმაღლეს სკოლაში” და “სამღვდელოების სანვრთნელ კოლეჯში”. თუმცა, მათ არ აქვთ უფლება, ჩაატარონ სამოქალაქო ძალის მქონე ქორწინებასა და ნათლობასთან დაკავშირებული რიტუალები.

ისეთ ახალ რელიგიურ მოძრაობებს, როგორცაა “ახალი ეპოქა” და სხვა ფილოსოფიური მიმართულების მოძრაობები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ტრადიციული დასავლური კულტურისადმი, კერძოდ, სულიერი საკითხების, მისტიციზმის, გლობალური იდეებისა და რეინკარნაციის თეორიების მიმართ ალტერნატიული მიდგომა, შეიძლება იცავდეს 67-ე მუხლი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აღიარებენ რელიგიურ საზოგადოებებად, მათ აუცილებლად დაიცავს 78-ე მუხლი გაერთიანებათა თავისუფლების შესახებ. 67-ე მუხლი აგრეთვე იცავს ცალკეულ პირებს, როგორებიც არიან მუსულმანი იმამები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევენ.

2. რელიგიური საზოგადოებების საქმიანობა

თანამედროვე საზოგადოებაში ხელისუფლება, ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე, პასუხისმგებელია სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე, მათ შორის, ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლებაზე. თუმცა, სახელმწიფო სექტორი აღარ არის “კეთილდღეობის” ერთადერთი გარანტი. სახელმწიფო კრზისმა სოციალური უზრუნველყოფის სფეროში განაპირობა ქველმოქმედებისა და

დახმარების სფეროში ალტერნატიული რესურსების და გადანყვეტილებების ძიების აუცილებლობა. “სოციალური უზრუნველყოფის მიქსის” ცნება აერთიანებს სოციალური უზრუნველყოფის მიმწოდებელი სხვადასხვა სექტორის ერთობლიობას: საჯარო სექტორს (სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი), საბაზრო სექტორს (მომგებიანი კერძო კომპანიები) და სამოქალაქო საზოგადოების სექტორს (მოხალისე, არამომგებიანი ქსელები და გაერთიანებები). დანიაში დაახლოებით 100 კერძო იურიდიული პირის სტატუსის მქონე, ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ჰუმანიტარულ საქმიანობაში როგორც დანიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დაახლოებით 15 უცხოური ასოციაცია საერთაშორისო მისიისთვის მუშაობს. ეს დამოუკიდებელი ორგანიზაციები სახალხო ეკლესიასთან ან რელიგიურ საზოგადოებებთან არიან დაკავშირებული, ქმნიან სხვადასხვა სახის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებს, კომერციულ სანარმოებს, სკოლებს. მესვეურობენ რა საბავშვო ბალებს, დაწყებით და საშუალო სკოლებს, მოხუცებულთა სახლებს და სხვა მსგავს დაწესებულებებს, ასეთი ორგანიზაციები წარმოადგენენ დანიის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს. ამ სფეროში სამთავრობო ორგანოებთან ერთობლივი მუშაობის შემთხვევაში ისინი სახელმწიფოსგან ფულად დახმარებას იღებენ.

ქრისტიანულ საზოგადოებაზე დიდი გავლენა ჰქონდა მე-19 საუკუნის შუა წლებში სასულიერო სფეროში მომხდარ გარდაქმნებს. ამ მოვლენების შეფასებისას მნიშვნელოვანია ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ერთეულის, ერთი მხრივ, “შიდა მისიის ქრისტიანული ასოციაციის”, ხოლო, მეორე მხრივ – მღვდლის, მეფსალმუნის და მწერლის, ფრედერიკ გრუნდტიგის (1783-1872) სახელობის მოძრაობის – “გრუნდტიგული მოძრაობის” როლის შესწავლა. “შიდა მისია” არის ალორძინების მოძრაობა, რომელიც ხალხს ქრისტეს რწმენისა და ერთგულებისკენ მოუწოდებს. ამ მოძრაობის ფილიალები გახსნილია ქვეყნის ყველა კუთხეში, სადაც მთლიანობაში 100 დანიშნული საერო წარმომადგენელი მუშაობს. “შიდა მისიამ” გახსნა საკვირაო სკოლები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა “YMCA” – სკაუტი ვაჟების საზოგადოება და “YWCA” – სკაუტი გოგონების საზოგადოება, აგრეთვე “FDF” და “FPF” (ვაჟების რაზმი და გოგონების რაზმი). “გრუნდტიგული მოძრაობა” ნაკლებად ორგანიზებული, თუმცა, აღნიშნულ პერიოდში დანიის რელიგიურ ცხოვრებაში ძალიან გავლენიანი საზოგადოება იყო. ეს მოძრაობა აშენებდა სახლებს, რომლებიც არა მხოლოდ სალოცავის, არამედ უბრალო ხალხის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ფიზიკური და მორალური აღზრდისთვის განკუთვნილი ადგილის ფუნქციას ასრულებდა. “გრუნდტიგელებმა” დააარსეს “დანიის ზრდასრულთა სახალხო სკოლა”, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობდა სახალხო განათლების გავრცელების საქმეში და ჩვეულებრივი დაწყებითი სკოლის მნიშვნელოვან დანამატს წარმოადგენდა.

ყველა აღიარებულ და არაღიარებულ რელიგიურ საზოგადოებას აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით აწარმოოს შენირულობების შეგროვება და დახარჯოს ასეთი სახსრები სოციალური და ჰუმანიტარული მიზნებით. ყველა საქველმოქმედო, ჰუმანიტარულ, კერძო ორგანიზაციას აქვს უფლება მიიღოს შენირულობა. ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ სახალხო ეკლესიასთან ან სხვა ეკლესიებთან. ერთ-ერთი მათგანია ორგანიზაცია “კარიტასი”. სახალხო ეკლესიაში შემავალ სამრევლო საბჭოებს შეუძლიათ შენირულობების შეგროვება და მათი დახარჯვა სხვადასხვა საქმიანობისთვის. ზოგიერთ სამრევლო საბჭოს არ აქვს უფლება, დახარჯოს ფული სამოხალისო ქრისტიანული ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებისთვის, თუ ამისთვის საეკლესიო საქმეთა სამინისტროსგან შესაბამის ნებართვას არ მიიღებს. თუმცა, “სახალხო ეკლესიის ეკლესიათა შორის თანამშრომლობაში მონაწილეობის შესახებ” აქტის (334/1989) თანახმად ორ ან მეტ სამრევლო საბჭოს შეუძლია ერთმანეთთან თანამშრომლობით და ერთობლივად მოაპოვონ საჭირო ფულადი სახსრები აღნიშნული მიზნებისთვის. ეს აქტი აგრეთვე ითვალისწინებს სახალხო ეკლესიის სხვა რელიგიურ საზოგადოებებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების ხელშეწყობას. თუმცა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი ეკლესიათაშორისი საბჭო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს სინოდურ ხასიათს. ამ სამუშაოსათვის შესაბამისი ეპარქიის მრევლებიდან გამოიყოფა სახსრები და დოტაციები.

“სახალხო ეკლესიის დახმარება” (Folkekirkens nødhjælp) არის კერძო ქრისტიანული ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობას იღებს ეროვნულ და საერთაშორისო თანამშრომლობაში. “ეკლესიის ჯვრის არმია” (Kirkens Korshær) აქვს მჭიდრო კავშირი სახალხო ეკლესიასთან და თანამშრომლობს ხელისუფლების ორგანოებთან. მაგალითად, კოპენჰაგენში ის მუშაობს მეძავეებთან, ნარკომანებთან და უსახლკაროებთან.

კონსტიტუციის 76-ე მუხლი იცავს “ყველა ბავშვის მიერ უფასო განათლების მიღების უფლებას” (განათლების თავისუფლებას). მშობლები და მეურვეები, რომლებსაც სურთ თავიანთი ბავშვების განათლების დაგეგმვა, ვალდებული არ არიან, რომ ბავშვები მიაბარონ საჯარო დაწყებით სკოლაში, თუ მათ მიერ არჩეული სწავლის მეთოდი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება დაწყებით სკოლებში არსებული სწავლებისგან. სკოლის არჩევის ასეთი თავისუფლება გამომდინარეობს მშობლების უფლებიდან, ბავშვს მისცენ შესაბამისი განათლება როგორც სახლში, ისე კერძო სკოლაში. მშობლებმა კერძო სკოლა შეიძლება აირჩიონ პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, პედაგოგიური, ეროვნული და პირადი მიზეზებით, რასაც ითვალისწინებს “უფასო სკოლებისა და კერძო დაწყებითი სკოლების შესახებ” აქტი (619/2002).

არ არსებობს სპეციალური კერძო სკოლები იმ ბავშვებისათვის, რომლებიც განვეერიანებული არიან სახალხო ეკლესიაში, თუმცა, მსგავსი კერძო სკოლები იხსნება სხვადასხვა რელიგიური საზოგადოებების და მიმდინარეობების წევრებისთვის. სახელმწიფოს მიერ მათი დაფინანსება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ მთელ რიგ ისეთ პირობებს, როგორცაა სწავლების მაღალი დონე, დამოუკიდებლობა და ეფექტური ადმინისტრირება. ეს სკოლები უნდა იმართებოდეს გარკვეული ინტერესების მქონე ჯგუფების მიერ და დაუშვებელია მათი თანამშრომლობა ისეთ დაწესებულებებსა და ჯგუფებთან, რომელთა საქმიანობაც არ შეესაბამება მიღებულ სასწავლო პროგრამას, (მაგ. ისეთ ჯგუფებთან რომლებიც მისდევენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებას). მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა რამდენიმე მუსულმანურ სკოლაში, რის გამოც ხელისუფლებამ ეს სკოლები დახურა. სხვა შემთხვევაში უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა მუნიციპალიტეტის უარი, გამოეყო ახალი შენობა საენტოლოგიის მოძრაობაში განვეერიანებულ მშობელთა და ბავშვთა უფასო სკოლისთვის და ეს გადაწყვეტილება მიიჩნია ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად. თუმცა, სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ გასარკვევია, არის თუ არა რეალურად საენტოლოგიის მოძრაობა რელიგიური საზოგადოება (VLD 12/1 1999).

V. ეკლესია და კულტურა

1. რელიგიური განათლება

“ქრისტიანობის სწავლების” პრაქტიკა დაწყებით სკოლებში 1975 წლიდან შეიცვალა “რელიგიათმცოდნეობის” სწავლებით. მიუხედავად ამისა, “დაწყებითი განათლების შესახებ” აქტი (730/2000) ეხება სწორედ “ქრისტიანობის შესახებ მოძღვრების” სწავლებას. ეს საგანი სასკოლო პროგრამის სავალდებულო ნაწილია სწავლების ყველა საფეხურზე, პირველიდან მეათე კლასის ჩათვლით. თუმცა, ბავშვებს მირონცხებისთვის მომზადების საშუალება ეძლევათ მეშვიდე და მერვე კლასებში.

რელიგიათმცოდნეობაში ძირითადი ადგილი სახალხო ეკლესიის ევანგელურ-ლუთერანულ მოძღვრებას უჭირავს. მაღალ კლასებში ბავშვები ეცნობიან სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიის მიმდინარეობებს. ქრისტიანობის სწავლება მოიცავს ევროპისა და დანიის ქრისტიანობის ისტორიას, რეფორმაციას და დანიის სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობას. ამ საგნის სწავლების მიზანია აგრეთვე მოსწავლეებისთვის ბიბლიაზე დაფუძნებული, დანიური კულტურის

ძირეული ფასეულობების გაცნობა. გიმნაზიასა და საშუალო სკოლაში რელიგია სავალდებულო საგანია მხოლოდ სწავლების ბოლო სამი წლის განმავლობაში. ეს სწავლება ეხება არა მხოლოდ ქრისტიანობას, არამედ ზოგადად რელიგიას.

ბავშვები, რომელთაც არ სურთ მირონცხება, ვალდებული არ არიან გაიარონ ჩვეულებრივი ქრისტიანული განათლება მრევლის მოძღვართან მისვლის მაგივრად. მშობლების მოთხოვნის საფუძველზე ბავშვი შეიძლება გაანთავისუფლონ ქრისტიანობის სწავლებისგან, თუმცა, როცა ბავშვი თხუთმეტი წლის ხდება, იგი მშობლების ამ მოთხოვნას თვითონაც უნდა დაეთანხმოს. მასწავლებელს შეუძლია მოითხოვოს, რომ ბავშვი გაანთავისუფლონ ქრისტიანობის სწავლებისგან.

დანის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი თავისებურებაა ე.წ. “ზრდასრულთა სახალხო სკოლა”, რომელიც განუთავსებელია როგორც შედარებით ახალგაზრდა, ისე ასაკოვანი პირებისთვის და – დაწყებითი სკოლის შემდგომი სკოლა 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის, რომელთაც დამთავრებულ აქვთ დაწყებითი სკოლა და არ სურთ სწავლის გაგრძელება გიმნაზიაში. ამ სკოლაში მოსწავლეები გადაიან რამდენიმე საგანს, რომელიც აქ უფრო საფუძვლიანად და დამოუკიდებლად ისწავლება, ვიდრე ჩვეულებრივ დაწყებით სკოლაში.

თეოლოგიური განათლების მიღება ძირითადად კოპენჰაგენისა და აარჰუსის უნივერსიტეტების თეოლოგიურ ფაკულტეტებზეა შესაძლებელი. როგორც წესი, ყველა მღვდელს, დეკანოზსა და ეპისკოპოსს თეოლოგიური განათლება უნდა ჰქონდეს. იმ პირებს, რომელთაც გრენლანდიის ეკლესიაში უმსახურიათ, ქრისტიანულ სწავლებაში სპეციალური ტრენინგი აქვთ გავლილი და ფლობენ დანიურ ენას, შეუძლიათ სახალხო ეკლესიის მღვდლები გახდნენ. საეკლესიო საქმეთა მინისტრს უფლება აქვს, დაუშვას გამონაკლისი და ნება დართოს თეოლოგიური განათლების არმქონე პირს, გახდეს მღვდელი. ასეთი სახის გამონაკლისები, როგორც წესი, ეხება ისტორიის, ქრისტიანობის მცოდნეობისა და უცხო ენების სფეროში უმაღლესი განათლების მქონე პირებს. ასეთი გამონაკლისი ასევე შეიძლება დაშვებული იქნეს უცხოეთის მისიაში მოღვაწე პირებისთვის.

ამასთან ერთად, წმინდა კონფესიურ საფუძველზე თეოლოგიის შემსწავლელ სტუდენტთათვის ორხუთსა სპეციალური სასწავლო დაწესებულება ფუნქციონირებს. თეოლოგიის ორი ზემოაღნიშნული არაკონფესიური ფაკულტეტისგან განსხვავებით, ამ სასწავლებლის მიზანია, უზრუნველყოს მღვდლები განათლებით ბიბლიური და პროტესტანტულ-ლუთერანული კონფესიური ხასიათის წერილებზე დაყრდნობით. ორხუთსის სასწავლო დაწესებულებას ჰქვია “სამრევლო ფაკულტეტი” (Menighedsfakultetet). კოპენჰაგენში არსებულ მსგავს სასწავლებელს ჰქვია დანის ბიბლიის ინსტიტუტი

(Dansk Bibel-Institut). დღეს ამ ორი სასწავლებლიდან ვერც ერთი ვერ უზრუნველყოფს სრულ თეოლოგიურ განათლებას, თუმცა, ორივე სწორედ ამისკენ ისწრაფვის.

სახალხო ეკლესიის განკარგულებაშია სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებას და დამხმარე ტრენინგს საუნივერსიტეტო განათლების დონეზე. თეოლოგიის სფეროში ახლად კურსდამთავრებულთათვის სამოძღვრო და ლიტურგიულ თეოლოგიაში სავალდებულო მომზადებას უზრუნველყოფს მღვდელთა სასწავლო კოლეჯი (Pastoralseminaritet). უმაღლეს სამღვდელო სკოლაში (Præthekjaskolen) უმაღლესი განათლების მქონე მღვდლები გადიან დამატებით ტრენინგს პრაქტიკულ და ზოგად თეოლოგიაში. გარდა ამისა, არსებობს სამი საეკლესიო მუსიკალური სკოლა ორლანისტების, მგალობლებისა და ზარებზე დამკვრელთათვის. მღვდელთა ეს ორი კოლეჯი და მუსიკალური სკოლები ფინანსდება სახალხო ეკლესიის მიერ ე. წ. “ერთობლივი ფონდიდან”.

2. მედია

დანის რადიოსა და ტელევიზიის სისტემა ორი ნაწილისგან შედგება: 1. “DR” (დანიური რადიო და ტელევიზია), რომელიც გარკვეული ავტონომიის მქონე საჯარო ორგანიზაციაა. 2. “TV 2/ Danmark”, კერძო ფონდი. ეს უკანასკნელი ფლობს 8 რეგიონულ საზოგადოებრივ სატელევიზიო კომპანიას. ზოგიერთ ორგანიზაციას შეუძლია მოიპოვოს გრანტი რადიოსთვის ან ადგილობრივი და რეგიონული ტელევიზიებისთვის გადაცემების მოსამზადებლად. “რადიოსა და ტელევიზიის საქმიანობის შესახებ” აქტის (1052/2002) თანახმად, მუნიციპალიტეტების მსგავსად, გაერთიანებებს და კერძო საზოგადოებებს პროგრამების მომზადებისთვის აგრეთვე შეუძლიათ მიიღონ სპეციალური გრანტები.

“DR”-ს, “TV 2/ Danmark”-ს და 8 რეგიონულ სამაუწყებლო კომპანიას ევალებათ საზოგადოებრივი მომსახურება ტელევიზიის, რადიოს და ინტერნეტის საშუალებით. საზოგადოებრივი მომსახურება მოიცავს ახალ ამბებს, ინფორმაციას, განათლებას, ხელოვნებასა და გართობას. პროგრამები მრავალფეროვანი უნდა იყოს და აკმაყოფილებდეს დანიის საზოგადოების მრავალმხრივ კულტურულ ინტერესებს და არა მხოლოდ სახალხო ეკლესიის ინტერესებს.

ანიშნული აქტის მიღებას მოჰყვა ზოგიერთი დეპარტამენტისთვის რეკლამის შინაარსთან დაკავშირებული ნორმების დადგენა. აკრძალულია ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებსაც შეუძლია გააღვივოს რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ თუ სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებული შეუწყნარებლობა (აქტი 1174/2002, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას მაუწყებლობის შესახებ).

არ არსებობს ისეთი განსაკუთრებული ნორმები, რომლებიც ეხება ამა თუ იმ რელიგიური საზოგადოებისთვის პროგრამის ჩვენების საეთერო დროს. მიუხედავად ამისა, სისტემის ძირითადი ნორმები და სტრუქტურა ამასაც ითვალისწინებს. "DR" ყოველი სამუშაო დღის დილას გადასცემს დილის ლოცვას კოპენჰაგენის საკათედრო ტაძრიდან, ხოლო კვირაობით და დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე ამ არხის მეშვეობით რადიოთი და ტელევიზიით ხდება არა მხოლოდ სახალხო ეკლესიის, არამედ სხვა ქრისტიანული საზოგადოებების ეკლესიების დილისა და შუადღის ლეთისმსახურების გადაცემა. ყოველ შაბათს, შუადღით, "DR"-ზე გადის გადაცემა საბავშვო საეკლესიო გუნდის შესახებ, სადაც აგრეთვე იკითხება მომდევნო კვირისთვის განსახილველი თემების ანონსი. წლის განმავლობაში ტელევიზიით უჩვენებენ სხვადასხვა ეკლესიებს და საეკლესიო გუნდებს. როგორც ჩანს, ასეთი ტელე- და რადიოგადაცემები საკმაოდ პოპულარულია და "DR"-ის რეკომენდაციები ასეთი სახის გადაცემების დახურვასთან დაკავშირებით დიდ პროტესტს იწვევს.

ბევრი პროგრამა ეხება რელიგიისა და ქრისტიანული ცხოვრების საკითხებს. ზოგიერთმა ქრისტიანულმა საზოგადოებამ დააარსა საკუთარი ადგილობრივი სატელევიზიო სადგური. მაგალითად, ორხუსში 1998 წელს კომერციული ფონდის სახით დაარსდა პროგრამული ცენტრი ვიდეოების, კომპაქტ-დისკებისა და სპეციალური სატელევიზიო გადაცემებისთვის, რომელსაც ჰქვია დანიის საეკლესიო მედია ცენტრი (Danmarks Kirkelige Mediecenter). ზოგიერთი გაზეთი იკვლევს რელიგიის და ქრისტიანობის საკითხებს, თუმცა, ჩვეულებრივ ახალ ამბებსაც აქვეყნებს. დანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური გადაცემები ემყარება მის ქრისტიანულ პრინციპებს.

რელიგიური პროგრამების რეკლამით შეწყვეტის პრობლემა დანიაში არ არსებობს, ვინაიდან "რადიოსა და ტელევიზიის შესახებ" აქტი მოითხოვს, რომ სარეკლამო ბლოკები გაშვებული იქნეს მხოლოდ გადაცემებს შორის (1052/2002 პარაგრაფი 73).

რადიო- და ტელეკომპანიებს მართავენ სხვადასხვა საგანგებოდ დანიშნული კომისიები. მაგალითად, "DR"-ის კომისიის 10 წევრს წარადგენს კულტურის მინისტრი, ექვსს – პარლამენტი, ხოლო ერთს – "DR"-ის თანამშრომლები. დანიშნული წევრები კომპეტენტური უნდა იყვნენ კულტურის, მედიის, მენეჯმენტისა და ბიზნესის საკითხებში. თუ მღვდლები აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს, შესაძლებელია მათი წარდგენაც. "TV 2/ Danmark"-ის შემთხვევაში, კულტურის მინისტრი კომისიაში წარადგენს 9 წევრს, ხოლო თანამშრომლები – 1 წევრს. ზემოაღნიშნული მოთხოვნები ამ შემთხვევაშიც ძალაშია. რეგიონული კომპანიების კომისიებში ინიშნებიან საბჭოს და თანამშრომლების მიერ არჩეული კანდიდატები. დაუშვებელია პარლამენტის წევრების ან რეგიონული მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი პოლიტიკოსების წარდგენა.

VI. შრომის კანონმდებლობა და რელიგიური საზოგადოებები

1. კანონი ინდივიდუალური შრომის შესახებ

“სახალხო ეკლესიის თანამდებობებზე დასაქმების შესახებ” აქტი (310/1990) ვრცელდება არა მარტო სამღვდლოებზე, არამედ სხვა საეკლესიო სამსახურების, მაგალითად, ადმინისტრაციისა და სასაფლაოების მუშაკებზეც. სასულიერო პირები თანამდებობებზე ინიშნებიან “სამოქალაქო მოხელეთა შესახებ” აქტის (678/1998) ნორმების თანახმად და განიხილებიან ჩვეულებრივ სამოქალაქო აპარატთან მიმაგრებულ მოხელეებად. მღვდლების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან დათხოვნა ხორციელდება საეკლესიო საქმეთა სამინისტროს მიერ, თუმცა, მღვდელი თანამდებობაზე ვერ დაინიშნება, თუ მას სამრევლო საბჭო არ წარადგენს. სამღვდლოებასა და მრევლს შორის განსაკუთრებულმა ურთიერთობამ გამოიწვია ის, რომ “სამოქალაქო მოხელეთა შესახებ” აქტი შეიცავს სპეციალურ მუხლს სახალხო ეკლესიის სამოქალაქო მოხელეთა შესახებ.

სამოქალაქო მოხელეთა თანამდებობიდან დროებითი გადაყენებისა და დისციპლინური ზომები შეიძლება ამოქმედდეს მღვდლებთან მიმართებაშიც, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც დოქტრინას ეხება. დათხოვნის წესი გამოიყენება იმ შემთხვევებში, თუ მღვდელსა და მრევლს შორის წლების მანძილზე სერიოზულ უთანხმოებას აქვს ადგილი, რაც უარყოფითად მოქმედებს მრევლის საეკლესიო ცხოვრებაზე.

სხვა რელიგიური საზოგადოებებისთვის მთავარი პრინციპია როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვა. “შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ” აქტი (459/1996) დამსაქმებელს უფლებას აძლევს, სამსახურიდან გაათავისუფლოს ისეთი პირები, რომლებიც არ არიან რომელიმე აღმსარებლობის მიმდევარნი, მაგალითად, რელიგიური სკოლის მასწავლებელი, თუ ასეთი აღმსარებლობა საჭიროა მისი სამუშაოს შესრულებისათვის. “გარკვეული გაერთიანების წევრობის მიზეზით დასაქმებულის სამსახურიდან გაათავისუფლების აკრძალვის შესახებ” აქტი (443/1990) არ უკრძალავს დამსაქმებელს, რომელიც წარმოადგენს გარკვეული რელიგიის გამავრცელებელ გაერთიანებას (მაგალითად, რელიგიურ საზოგადოებას), მუშაობის დაწყების მსურველ მღვდელს დასაქმების ერთ-ერთ პირობად წაუყენოს ამ რელიგიური საზოგადოების წევრობა.

2. კოლექტიური შრომის კანონმდებლობა

მუშაკთა სხვადასხვა ჯგუფები გაერთიანებული არიან რამდენიმე მმართველი ორგანიზაციით წარმოდგენილ სხვადასხვა პროფესიულ კავშირში. ამ ორგანიზაციებს უფლება აქვთ აწარმოონ მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროსთან ხელფასისა და დასაქმების სხვა პირობების შესახებ. მღვდლებს, დეკანოზებსა და ეკლესიის სხვა წარმომადგენლებს აქვთ მსგავსი მმართველი ორგანიზაციები, რომლებიც აგრეთვე უფლებამოსილი არიან, აწარმოონ მოლაპარაკება ფინანსთა მინისტრთან. ეკლესიის მსახურთა მმართველი ორგანიზაცია:

1. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ უნივერსიტეტდამთავრებულთა სახელმწიფო ასოციაცია, რომელსაც შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს მღვდლების, დეკანოზების, ეპისკოპოსების, კვალიფიციური მებაღეებისა და უმაღლესი განათლების მქონე ორლანისტების და მგალობლების სახელით.
2. სპეციალური (არასაუნივერსიტეტო დონის) განათლების მქონე შტატის მოსამსახურეთა მმართველი ორგანიზაცია. მას შეუძლია სამრევლო მოხელეების, გარკვეული კატეგორიის ორლანისტების, სასაფლაოების მეთვალყურეების და დამხმარე პერსონალის ინტერესების დაცვა.
3. სახელმწიფო მოხელეთა კავშირი, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებს არაკვალიფიციურ მებაღეთა, მესაფლავეთა და სხვა მოხელეთა სახელით.

ეკლესიის მოსამსახურეთა ყველა ჯგუფი წარმოდგენილია პროფესიული კავშირებით. ასეთი პროფესიული კავშირის მაგალითებია დანიის მღვდელთა ასოციაცია (Den danske Præsteforening) და დეკანოზთა ასოციაცია (Provsteforeningen), რომელთაც უფლება აქვთ, აწარმოონ მოლაპარაკება ეკლესიის ხელმძღვანელობასა და მათ წევრებს შორის არსებულ ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ მრევლის საბჭოების წევრებს დემოკრატიული გზით ირჩევენ, მათაც აქვთ თავიანთი ინტერესების დამცველი ორგანიზაცია, რომელიც, არ არის პროფესიული კავშირი.

როგორც წესი, ძირითად საკითხებზე მოლაპარაკებები წარმოებს ფინანსთა მინისტრსა და მმართველ ორგანიზაციას შორის, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში საეკლესიო მოხელეთა პროფკავშირებთან მოლაპარაკებებში შეიძლება ჩაერთოს საეკლესიო საქმეთა მინისტრიც. თანამშრომლებს აქვთ უფლება,

სამუშაო პირობების შესახებ სამრეწვლო საბჭოსთან მოლაპარაკებებში თავიანთ წარმოდგენლებად დანიშნონ პროფკავშირები. მმართველი ორგანიზაციები მოლაპარაკებებს ანარმოებენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა შრომის ანაზღაურება და სხვა პირობები, მაგალითად, საცდელი ვადის ხანგრძლივობა, კომუნალური გადასახადების გადახდისას დახმარება, მგზავრობის ხარჯები, ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლასთან დაკავშირებული დახმარება, ბიულეტენი და უმუშევრობის სარგებელი.

სახელმწიფო ადმინისტრაციის მოხელეებისთვის, მათ შორის, სასულიერო პირებისთვის სავალდებულოა სახელმწიფოს მიმართ მკვეთრად გამოხატული ლოიალობა, რის გამოც მათ გაფიცვა ეკრძალებათ. თავის მხრივ, არც სახელმწიფოს აქვს თავისი მოხელეების მიმართ ლოკაუტის გამოყენების უფლება. რაც შეეხება ეკლესიის სხვა მოსამსახურეებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები, ისინი შრომის ბაზარზე სარგებლობენ ყველა ჩვეულებრივი კოლექტიური უფლებით, მათ შორის, გაფიცვის უფლებით.

VII. საქონინო და საოჯახო სამართალი

“ქორწინების შესახებ” აქტის (147/1999) თანახმად ქორწინების მსურველი ორივე მხარე უნდა იყოს დანიის მოქალაქე ან სარგებლობდეს “უცხოელთა შესახებ” აქტით (608/2002) გათვალისწინებული ლეგალური ცხოვრების უფლებით. ბოლო წლებში “ქორწინების შესახებ” აქტმა ცვლილებები განიცადა და ამჟამად რამდენიმე საკმაოდ მკაცრ პირობას შეიცავს. თუ ქორწინება ატარებს ფიქტიურ ან ანგარებიან ხასიათს და შემდგარია სპეციალურად ქვეყანაში ცხოვრების ნებართვის მიღების მიზნით, ასეთი ნებართვა არ გაიცემა და ასეთ ქორწინებას არ ცნობენ. “უცხოელთა შესახებ” აქტით გაუქმებულია ქვეყანაში საცხოვრებელი ნებართვის გაცემა მხოლოდ ოჯახის გაერთიანების მიზნით (იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ამგვარი გაერთიანება მხოლოდ საბაბია). ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 და მე-12 მუხლებისა და გაეროს კონვენციების თანახმად, იმ ქვეყნის მთავრობამ, რომელსაც უცხოელი წარმოადგენს, უნდა უზრუნველყოს ყველა ლეგალური პირობის არსებობა. ახალი ნორმების შემოღების შედეგად იმიგრანტთა ოჯახების გაერთიანების რიცხვმა მკვეთრად იკლო. ამასთან, ამ ნორმებმა პრობლემები შეუქმნა დანიის მოქალაქეებსაც, რომლებიც საზღვარგარეთ რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრების ან სწავლის შემდეგ უცხოელ მეუღლესთან ერთად სამშობლოში დაბრუნებას აპირებენ. მეუღლისათვის საცხოვრებელი ნებართვის მისაღებად ასეთმა პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ დანიასთან უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე იმ ქვეყანასთან, საიდანაც არის მისი

მეუღლე, ასევე ის ფაქტი, რომ მათ შორის ასაკობრივი განსხვავება 24 წელს არ აღემატება. ახალგაზრდა იმიგრანტი ქალების ფიქტიური ქორწინების რიცხვი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა.

ქორწინების წესი, მეუღლეთა გადაწყვეტილებით, შეიძლება იყოს როგორც რელიგიური, ისე სამოქალაქო. ქორწინება შეიძლება ჩატარდეს სახალხო ეკლესიაში, თუ ერთ-ერთი მხარე ამ ეკლესიის წევრია. ანალოგიური პირობა უნდა იყოს დაცული სხვა აღიარებული ეკლესიების შემთხვევაშიც ანუ ქორწინების ერთ-ერთი მხარე ამ რელიგიური საზოგადოების წევრი უნდა იყოს. დანარჩენ რელიგიურ საზოგადოებათა შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ასეთი საზოგადოების წარმომადგენელი, ხოლო ამ საზოგადოებას უნდა ჰყავდეს საქორწინო რიტუალის ჩატარების უფლების მქონე სასულიერო პირი. სამოქალაქო ქორწინების უფლება ყველას აქვს.

აღიარებული ეკლესიების გარდა, ქორწინების ჩატარების უფლება აქვთ ოთხმოცდაათი სხვადასხვა რელიგიური საზოგადოების სასულიერო პირებს. ბოლოს ასეთი უფლება 2003 წლის ნოემბერში მოიპოვა ე. წ. “ფორნ სიდრმა”, საზოგადოებამ, რომელიც აღიარებს უძველეს სკანდინავიურ ღვთაებებს ოდინსა და თორს. ამ ფაქტმა გამოიწვია იმ პირთა პროტესტი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ვიკინგების ხანის წარმართობის რელიგიური საზოგადოების რანგში აყვანას და, შესაბამისად, გადასახადებისგან განთავისუფლებას.

განქორწინების ან დაშორების შემთხვევაში მღვდლის მიერ მორიგების პროცედურა ნებაყოფლობითია; იგივე ეხება ფსიქოლოგისა და სამოქალაქო მოხელის მომსახურებას.

VIII. ეკლესიის ფინანსები

სახალხო ეკლესიის შემოსავალი დაახლოებით 4.5 მილიარდ კრონს აღწევს, აქედან 75%-ს გადასახადების სახით იხდიან ეკლესიის წევრები. სახელმწიფოს დოტაცია შეადგენს 12%-ს, ხოლო დანარჩენ 13% მოდის სხვადასხვა ფონდებიდან, უძრავი ქონებიდან და ცალკეული შეწირულობებიდან.

სახალხო ეკლესიის ხარჯები შემდეგნაირადაა განაწილებული: 50% იხარჯება მღვდლების, დეკანოზების, ეპისკოპოსებისა და სხვადასხვა მომსახურე პერსონალის ხელფასებზე, 25% – ყოველდღიურ ხარჯებზე, 10% – პენსიებზე და 15% – ახალ ინვესტიციებზე.

საეკლესიო გადასახადების 60% გამოიყენება მღვდლებისა და დეკანოზების ხელფასების დასაფარად. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები ირიცხება საეკლესიო საქმეთა სამინისტროში, აგრეთვე გამოიყენება ეპისკოპოსთა ხელფასების, მღვდელთა და დეკანოზთა პენსიების დასაფარად, ხოლო დანარჩენი 40% იხარჯება მღვდლებისა და დეკანოზების ხელფასების, მრევლებისა და ეპარქიების ადმინისტრირებისა და განათლებისთვის, აგრეთვე ისტორიული ეკლესიების, ჩუქურთმების, საფლავებისა და მონუმენტების რესტავრაციისა და დაცვისთვის სპეციალურად გამოყოფილ გრანტებში.

ყველა სახის შემოსავალი გროვდება ერთობლივ ფონდში, რომელსაც საეპარქიო მმართველობა განაგებს.

IX. რელიგიის როლი სახელმწიფო დანაშაულებებში

საეკლესიო საქმეთა სამინისტროს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თეოლოგიური განათლების მქონე პირის მივლინების შესახებ ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებაში ან მიზნობრივ ჯგუფში, რომელიც არ არის გაერთიანებული რომელიმე მრევლში. ასეთ დაწესებულებას ან ჯგუფს შეიძლება წარმოადგენდნენ, მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელიმე კერძო რელიგიური საზოგადოება, ჰუმანიტარული ორგანიზაცია, საავადმყოფო ან ციხე. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სასულიერო პირები უფრო აქტიურად ჩანან სოციალურ ასპარეზზე, რაც გამოიხატება, მაგალითად, უბედური შემთხვევების ადგილებში სასულიერო პირების მიერ შესაბამისი სამსახურის განვლაში, ქუჩის ბავშვებისა თუ შიდსით დაავადებულთათვის დახმარების აღმოჩენაში და ა. შ.

“შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შესახებ” აქტის თანახმად, შეიარაღებულ ძალებში სასულიერო პირებიც მსახურობენ. სამხედრო კაპელანების სამსახური სხვადასხვა სახის შეიარაღებულ ძალებში (ჯარი, საზღვაო ფლოტი, საჰაერო ძალები) ჩველებრივი მოვლენაა. ბოლო დროს ბევრი კაპელანი მსახურობს გაეროს შეიარაღებულ ძალებში, ნატოს ფარგლებში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ წარმოებულ ოპერაციებში და ერაყში – როგორც საომარი მოქმედებების დროს, ისე ჰუმანიტარულ მისიებში.

X. სისხლის სამართალი და რელიგია

ნებისმიერი პირი, რომელიც შეეცდება ხელი შეუშალოს ან ჩაშალოს ღვთისმსახურება ან სხვა სახის საკლესიო რიტუალი, შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე პარაგრაფის თანახმად. გარდა ამისა, 140-ე პარაგრაფის მიხედვით პირს, რომელიც საჯაროდ დასცინის ან შეურაცხყოფს რელიგიური საზოგადოების სარწმუნოებას, რწმენას ან ღვთის თაყვანისცემას, შეიძლება მიესაჯოს 4 თვემდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას – დაეკისროს ჯარიმა. “ლეგიტიმურობის” ტერმინი ეფუძნება არა აღიარებული ან არაღიარებული რელიგიური საზოგადოების სტატუსს, არამედ კონსტიტუციით გათვალისწინებულ პირობას, რომ ყველა ასეთი საზოგადოება კანონს უნდა ემორჩილებოდეს.

სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე (ბ) პარაგრაფის თანახმად ისჯება საჯარო განცხადებები ან საჯარო ინფორმაციის გავრცელება, ან ასეთი განცხადებებისა და ინფორმაციის გავრცელების განზრახვა, რომლითაც ემუქრებიან, შეურაცხყოფას აყენებენ ან ამცირებენ ადამიანთა ჯგუფს მათი რასის, კანის ფერის, ეროვნული და ეთნიკური ნიშნის, რწმენის და სექსუალური ორიენტაციის გამო. თუ მსგავსი საქმიანობა ან ინფორმაცია პროპაგანდის ხასიათს ატარებს, ეს დამამძიმებელ გარემოებად შეფასდება. რადიკალურმა მემარჯვენე პარტიამ “Dansk Folkeparti”, მისთვის არასასურველი სასამართლო გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული პარაგრაფი. ამ პარტიის წევრები ირწმუნებიან, რომ თუ მათ აეკრძალებათ თავიანთი კრიტიკული შეხედულების გამოხატვა იმიგრანტებზე, განსაკუთრებით, მუსულმანებზე, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული პარაგრაფი ზღუდავს მათი სიტყვის თავისუფლებას. ამის გამო ისინი მოითხოვენ 266-ე (ბ) პარაგრაფის გაუქმებას.

“რელიგიური დღესასწაულების შესახებ” აქტი (279/1983), ფაქტობრივად, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე პარაგრაფის დანამატი და ეხება მხოლოდ განზრახ ხმაურსა და არეულობას. აქტის პირველი პარაგრაფით იკრძალება სახალხო ეკლესიის დღესასწაულებზე ნებისმიერი სახის ისეთი ქმედება, რომელიც საეკლესიო მსახურებას ხელს უშლის. ეს აქტი არ ითვალისწინებს სხვა ეკლესიების და რელიგიური საზოგადოებების დღესასწაულებს.

რაც შეეხება დანიის საპროცედურო სამართალს, ფიცის მიცემა ძალაში აღარ არის. ეს წესი გაუქმდა 1965 წელს.

პატიმრებს, რომლებიც სასჯელს იხდიან ღია ან დახურულ ციხეებში, უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში, რომლებიც

ამ დანესებულების ტერიტორიაზე იმართება. “სასჯელის მოხდის შესახებ” აქტი (432/2000, 35-ე) მათ ანიჭებს უფლებას, შეხვდნენ თავისი რელიგიური საზოგადოების მღვდელს ან შესაბამის სასულიერო პირს. თუმცა, მიმდინარე გამოძიებისას მათი ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს. თუ ციხის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია პატიმართა კვებაზე, მან უნდა უზრუნველყოს შეაბამისი რაციონი მუსულმანების, ებრაელების და სხვა რელიგიის წარმომადგენლებისთვის, თუ ამას მათი რწმენა მოითხოვს.

XI. სამღვდლოების სამართლებრივი სტატუსი

მღვდლები სარგებლობენ კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით. მათ აქვთ სიკცვის თავისუფლება. “სამრევლო საბჭოების შესახებ” აქტის (571/ 1996) 37-ე პარაგრაფში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თავისი ფუნქციების შესრულებისას და სულიერი რჩევების მიცემისას მღვდელი სამრევლო საბჭოსგან დამოუკიდებელია. ამ პრინციპს “აღსარების თავისუფლება” ჰქვია.

“სამოქალაქო სამსახურის შესახებ” აქტის მე-17 პარაგრაფი განმარტავს, რომ სამოქალაქო მოსამსახურეები, მათი ძირითადი სამუშაოს გარდა შეიძლება დაკავებული იყვნენ სხვა საქმიანობითაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეთავსება პირს ხელს არ შეუშლის სამსახურის კეთილსინდისიერად, სათანადო პატივისცემით და ხარისხიანად შესრულებაში. “სამოქალაქო მოსამსახურეთა შესახებ” აქტის მე-10 მუხლში აღნიშნულია “ეტიკეტის” დაცვის “საერთო ვალდებულება”, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეებს ავალდებულებს, დაიცვან დასაქმების წესები და როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში დაამტკიცონ, რომ არიან იმ პატივისცემის და ნდობის ღირსი, რომელსაც მათი თანამდებობა მოითხოვს.

მღვდელს აქვს პროფესიული საიდუმლოების შენახვის უფლება არა მარტო აღსარების საიდუმლოებასთან, არამედ ნებისმიერ ინფორმაციასთან მიმართებაში, რომელსაც იგი ღვთისმსახურების დროს მიიღებს. ასეთ ინფორმაციად შეიძლება ჩათვალოს, მაგალითად, ინფორმაცია პერსონალური აღრიცხვის შესახებ (“ადმინისტრაციის შესახებ” აქტი, თავი 8; სისხლის სამართლის კოდექსი, 152-ე პარაგრაფი).

თუ ნებისმიერ მოსამსახურეს, მათ შორის, მღვდელს, აირჩევენ "Folketinget", კონსტიტუციის 30-ე (2) მუხლი ამ შემთხვევაში ნათლად მიუთითებს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მღვდელს არ დასჭირდება მთავრობის ნებართვა. დღესდღეობით "Folketinget" 4 მღვდელია. "სამოქალაქო მოსამსახურეთა შესახებ" აქტის 58-ე პარაგრაფის თანახმად იმისთვის, რომ იმსახუროს, მღვდელმა წინასწარ უნდა მიიღოს სრული ან ნაწილობრივი შვებულება. იგივე წესი ვრცელდება სახელმწიფო მოსამსახურეებზე, რომლებსაც ირჩევენ ადგილობრივ მუნიციპალურ საბჭოებში. ზემოაღნიშნულ საპატიო თანამდებობაზე მოვალეობების შესრულებისას შესაძლოა შეუძლებელი გახდეს ყოველდღიური სამსახურით გათვალისწინებული მოვალეობების სრულყოფილად შესრულება. თუმცა, სახელმწიფო მოსამსახურეები, მათ შორის, სასულიერო პირები, ვალდებული არ არიან, ანგარიში ჩააბარონ ხელმძღვანელებს იმ შემთხვევაში, თუ მოინდომებენ კერძო საქმიანობის წამოწყებას, თუ ასეთი საქმიანობა მათ ძირითად სამუშაოსთან შეთავსებადი იქნება.

სამღვდელოების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, ნებისმიერი სახით მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იყვნენ კულტურის სფეროს რომელიმე საზოგადოებრივი საბჭოს წევრები, თუ ეს არ ხელს არ უშლის მათ მოვალეობებს და არ ეწინააღმდეგება ეტიკეტს. სამღვდელოების წარმომადგენლებს ხშირად სთავაზობენ, წარმომადგენლის რანგში მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ საქმიანობაში, მაგალითად, მღვდელთა პროფკავშირების ჩამოყალიბებაში, საეკლესიო საქმეთა სამინისტროს მიერ საეკლესიო კანონმდებლობის მომზადებაში და სხვა ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც კრძალავს დანიის სახალხო ეკლესიის სახელით გამოსვლას, ვინაიდან მისი მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ მას არ გააჩნია ცენტრალური სინოდი ან საბჭო.

"სადოქტრინო საქმეების შესახებ" აქტი (336/1992) გამოიყენება ე. წ. სამღვდელო ან საეპისკოპოსო სასამართლოებში განსახილველ საქმეებთან მიმართებაში, როდესაც მღვდელი სახარების თავისებური ქადაგებით უგულვებლყოფს სახალხო ეკლესიის კონფესიურ საფუძვლებს, რითაც დაარღვევს თავის აღთქმას, "იქადაგოს ღვთის სიტყვები უბინოებითა და სისუფთავით." სადოქტრინო საქმეები ეხება დისციპლინის დარღვევას და აქ არ განიხილება, სისხლის სამართლის საქმეები. ჩვეულებრივი სასამართლო განიხილავს დოქტრინულ საკითხებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწვეულია ორი სპეციალისტი თეოლოგის სფეროში. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს სასამართლოში, სადაც საქმეში უკვე სამი სპეციალისტი ერთვება. სამღვდელო სასამართლოს წევრებისთვის აუცილებელი არ არის, ჰქონდეთ სასულიერო წოდება. ასეთ სპეციალისტებს, მმართველი ორგანიზაციის თანხმობით, კენჭისყრის საფუძველზე ირჩევენ

საეკლესიო საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი სიიდან. თუ საქმე ეხება ეპისკოპოსს, მისი კანდიდატურა ჯერ განიხილება უმაღლეს სასამართლოში, ხოლო აპელირება მოხდება უზენაეს სასამართლოში. საეპისკოპოსო სასამართლოს სპეციალისტებად აირჩევიან ორი ყველაზე მაღალი რანგის მქონე ეპისკოპოსი, რაც მათი მსახურების სტაჟით განისაზღვრება. მღვდელს ან ეპისკოპოსს, რომლის წინააღმდეგაც აღიძვრება სადოქტრინო საქმე, უფლება აქვს აიყვანოს ადვოკატი ან იურიდიული მრჩეველი. აღნიშნულ სასამართლოებს ჯერჯერობით მხოლოდ ორი ასეთი საქმე აქვთ განხილული.

XII. ბიბლიოგრაფია

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), Church and Labour Law in the EC-Countries, Milano, 1993.

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), Marriage and Religion in Europe, Milano, 1993.

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church research (ed.), Status of Churches in the European Countries, Milano 1995.

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), The Constitutional Status of Churches in the European Union Countries, Milano 1995.

Inger Dübeck, in: Gerhard Robbers (ed.), State and Church in the European Union. Baden-Baden, 1996.

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), New Liberties and Church and State relationships in Europe, Milano 1998.

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), Citizens and Believers in the Countries of the European Union, Milano 1999.

Inger Dübeck, Kirchenfinanzierung der nordischen Länder, in: Zeitschrift für Evangelisches Kirchenrecht, Band 47, Tübingen 2002.

Inger Dübeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), *Social Welfare, Religious Organisations and the State*, Milano 2003.

Lisbet Christoffersen, *Kirkeret mellem stat, marked og civilsamfund*, Copenhagen 1998.

Preben Espersen, *Kirkeret. Almindelig Del*, Copenhagen 1993.

Preben Espersen, *Kirkeret i Grundtræk*, Copenhagen 2000.

Ingrid Lund-Andersen et al., *Familieret*, 5. edition, Copenhagen 2003.

Karsten Nissen et al., *Huset mellem himmel og jord – en bog om folkekirken*, Skive 1993.

Henrik Zahle (ed.), *Danmarks Riges Grundlov med kommentarer*, Copenhagen 1999.

სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში

I. სოციალური მონაცემები

გერმანიაში, სადაც დაახლოებით 82.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ფუნქციონირებს ორი, დაახლოებით ერთნაირი სიდიდის და მნიშვნელობის ეკლესია. კათოლიკური ეკლესია დაახლოებით 26.5 მილიონ წევრს აერთიანებს, პროტესტანტული კი – 26.2 მილიონს. პროტესტანტული ეკლესია შედგება ტერიტორიულად ბაზირებული მრავალი ეკლესიისგან, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი ერთეულია. ისინი ერთობლიობაში გერმანიაში ქმნიან ევანგელისტურ ეკლესიას. არსებობს აგრეთვე რამდენიმე, ფედერაციის გარეთ მყოფი, შედარებით მცირე პროტესტანტული ეკლესია, რომლებიც ცნობილია, როგორც თავისუფალი ეკლესიები (Freikirchen). პროტესტანტული ეკლესიები ან ლუთერანულია, ან რეფორმისტული; ზოგიც შერწყმული კონფესიაა, ამ ორი აღმსარებლობისგან სხვადასხვა გზით მიღებული. ისლამს გერმანიაში დაახლოებით 3.2 მილიონი ადამიანი მისდევს. ებრაული თემი 100 000-ზე მეტი წევრისგან შედგება, მართლმადიდებელი ქრისტიანების რიცხვი კი 1.2 მილიონს აღწევს. ქვეყანაში აგრეთვე არსებობს მრავალი შედარებით მცირე რელიგია: ზოგ მათგანს დიდი ტრადიცია აქვს გერმანიაში, ზოგი კი სულ მცირე ხანია არსებობს. მათი წევრების რაოდენობა დაახლოებით 1.6 მილიონია. გერმანიის 22 მილიონი მცხოვრები თავის თავს აღმსარებლობის გარეშე აცხადებს⁹⁶. ეს შესაძლოა იმის შედეგი იყოს, რომ ყოფილი აღმოსავლეთი გერმანიის პოლიტიკური სისტემა მტრულად იყო განწყობილი ეკლესიის მიმართ. ამასთან ერთად, იმიგრაციის და სხვა სოციალური ფაქტორების შედეგად კონფესიური სურათი გერმანიაში ძალიან სწრაფად იცვლება, ასე რომ, შეფასება პირობითი და ცვალებადია.

II. ისტორიული მიმოხილვა

რელიგიური სიტუაცია გერმანიაში დღესაც კი 1517 წლის რეფორმაციის ძლიერი გავლენის ქვეშაა. ლუთერანულმა რეფორმაციამ, ადგილობრივი მმართველების საქმიანობამ და ტერიტორიულმა სუვერენიტეტმა საფუძველი ჩაუყარა დღევანდელ (Landeskirchen) ეკლესიებს, რომელთა უმაღლესი მღვდელმთავრები ხშირად დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ. ისინი ახერხებდნენ, ახლო ურთიერთობა შეენარჩუნებინათ სამეფო ტახტსა და საკურთხეველს შორის, რაც 1919 წლამდე გაგრძელდა. შუა საუკუნეების შემდგომ კათოლიკურმა ეკლესიამ გარკვეული სუვერენიტეტი და ძალაუფლება მოიპოვა. ტრიერის, კიოლნისა და მაინცის მთავარეპისკოპოსები თვითონ ირჩევდნენ წმინდა რომის იმპერიის მმართველს. მათი საერო ძალაუფლება დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ამომრჩეველთა ძალაუფლებისგან.

სუვერენიტეტის ეს მდგომარეობა 1803 წლის საეკლესიო მფლობელობების გაუქმებასთან (Reichsdeputationshauptschluss) ერთად დასრულდა. ზარალი ნაწილობრივ ანაზღაურა “მარჯვენა რეინის” ლორდთა უმრავლესობამ, როცა “რეინის მარცხენა” მხარის დაკარგვას (საფრანგეთთან) შედეგად მოჰყვა ლუნევილის 1801 წლის ზავი. ამ პროცესში გაუქმდა ეკლესიური მმართველების “მინიერი” სუვერენიტეტი და მათი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გადანაწილდა. კათოლიკურ ეკლესიას ქონების უმეტესი ნაწილი ჩამოერთვა და ამის შემდგომ მისი ქონება რომელიმე ადგილობრივი მრევლის ქონებას არ აღემატებოდა.

1555 წელს, აუგსბურგის რელიგიური მშვიდობის პერიოდში, ლუთერანული და კათოლიკური კონფესიები არსებითად თანაბარი უფლების მქონედ აღიარეს. ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648 წწ.) არც ერთ რელიგიურ მხარეს არ მოუტანა გამარჯვება. დღესაც რელიგიური კონგრეგაციების ტერიტორიული განაწილება ამ მოვლენებს უკავშირდება.

მე-19 საუკუნის განმავლობაში თანდათან სუსტდებოდა კავშირი სახელმწიფოსა და პროტესტანტულ ეკლესიას შორის. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციას შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს და ეკლესიის გაყოფა, თუმცა ძალაში დარჩა ურთიერთთანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში, საეკლესიო გადასახადი და ღვთისმსახურება ჯარში. იკისრა რა პასუხისმგებლობა ნაცისტური გერმანიის მიერ მილიონობით ევროპელი ებრაელის განადგურებაზე, გერმანიამ მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა რიცხობრივად მცირე ებრაულ რელიგიურ საზოგადოებებს.

III. სამართლებრივი წყაროები

ძირითადი კანონის მე-4 მუხლი იძლევა რელიგიის თავისუფლების გარანტიას. ხელშეუხებელია რწმენის, სინდისის, აღმსარებლობის, რელიგიის თუ იდეოლოგიის თავისუფლება. უზრუნველყოფილია რელიგიის ხელშეუხებლობა. ასევე ცალკეული უფლებები, რაც ქმნის რელიგიის თავისუფლების გარანტიას, იგი ჩამოყალიბებულია GG-ს 140-ე მუხლში. ამ ნორმებს ფუნდამენტურ კანონად 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციის 136-139-ე და 141-ე მუხლები აერთიანებს. ასე რომ, ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონსტიტუციური უფლებები. უფრო მეტიც, ძირითადი კანონის მე-7 მუხლის (2) და (3) პუნქტებით, გარანტირებულია საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების მიღება. მრავალ სხვა მუხლს, მაგ., როგორცაა სახელმწიფო უნივერსიტეტებში თეოლოგიური ფაკულტეტების არსებობა, შეიცავს ძირითადი კანონი და ფედერალური მიწების (Bundesländer) სხვა კანონები. გერმანიაში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის განსაზღვრა უმეტესწილად Bundesländer-ის კომპეტენციაა. დეტალური შეთანხმება საეკლესიო-სახელმწიფო სისტემის საკონსტიტუციო ბაზისის შესახებ დადგენილია ძირითადი კანონის შემდგომ მიღებულ მრავალ ინსტრუქციასა და ოურიდიულ პირობაში.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და მისმა Bundesländer-მა გერმანიაში არსებულ ეკლესიებთან შექმნა მრავალი კონკორდატი და სახელმწიფო-ეკლესიის შორის ხელშეკრულება⁹⁷. რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, მასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი საფუძველია საერთაშორისო სამართლით აღიარებული 1933 წლის საიმპერიო კონკორდატი (Reichskonkordat-ი). ხელშეკრულებები ან შეთანხმებები ასევე დადებულია არაერთ მცირე რელიგიურ კონგრეგაციასთან. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული ამგვარი ხელშეკრულებები ეხება სახელმწიფოსა და მღვდელმთავრებს შორის თანამშრომლობას, საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების გარანტიას, თეოლოგიურ ფაკულტეტებს, ჯარში ღვთისმსახურებას და ეკლესიის მიერ მრევლიდან სახსრების მოზიდვას.

97 Cf. Joseph Listl (ed), Konkordate und Kirchenverträge in der Bundesrepublik Deutschland, 2 vols., 1987.

IV. სისტემის ძირითადი კატეგორიები

ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობის ევროპულ სისტემაში გერმანიას შუალედური პოზიცია უჭირავს. ესაა შუალედური მდგომარეობა იმ მოდელს შორის, რომლებიც, ერთი მხრივ, სახელმწიფო ეკლესიის არსებობას გულისხმობს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობას ითვალისწინებს. ძირითადი კანონი აყალიბებს სისტემას, რომლის მიხედვითაც ეკლესია და სახელმწიფო განცალკევებულია და ამავე დროს, მათ შორის არსებობს კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი თანამშრომლობის ფორმა. შესაბამისად, გერმანიის ეკლესია-სახელმწიფო სისტემის სამართლებრივი საფუძველი ემყარება სამ მთავარ პრინციპს: ნეიტრალიტეტს, ტოლერანტობასა და პარიტეტს.

ნეიტრალიტეტის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ არ მოხდეს სახელმწიფოს იდენტიფიცირება ეკლესიასთან, ანუ ესაა სახელმწიფო-ეკლესიის არარსებობა (მუხ. 137(1) WRV დაკავშირებულია მუხ. 140 GG)⁹⁸. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე კერძო რელიგიურ კონგრეგაციას ან განსაჯოს რომელიმე კონგრეგაციის შეხედულებები, ან იდეოლოგია. იდეოლოგიური ორგანიზაციები უნდა სარგებლობდნენ რელიგიური ორგანიზაციების თანაბარი უფლებებით; ეს ეხება ჰუმანისტური იდეოლოგიის ან პოზიციის მქონე გაერთიანებებს. თუმცა ამას მხოლოდ მინიმალური სოციალური შედეგი აქვს. მეორე მხრივ, რელიგიური წარმონაქმნებები არ უნდა იყოს ჩაყენებული სოციალურ ჯგუფებზე უფრო არახელსაყრელ პოზიციაში, იგი კრძალავს სახელმწიფო ათეიზმის მხარდამჭერი გადანყვეტილებების მიღებას. ნეიტრალიტეტი ნიშნავს სრულ ჩაურევლობას: სახელმწიფოს არ აქვს უფლება, უხეშად ჩაერიოს რელიგიური გაერთიანების საქმეში, რაც ნათლად ჩანს მუხლში 137(3) WRV: ყოველი რელიგიური გაერთიანება არეგულირებს და განაგებს თავის საქმეებს დამოუკიდებლად, საერთო კანონის ფარგლებში. სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, თვითგამორკვევის ეს უფლება ყველა რელიგიურ კონგრეგაციას აქვს.

ტოლერანტობის პრინციპი სახელმწიფოს ავალდებულებს იყოს არა მხოლოდ მიუკერძოებელი სხვადასხვა რელიგიური შეხედულების მიმართ, არამედ გაგებით მოეკიდოს რელიგიურ მოთხოვნებს.

98 Cf. აგრეთვე მუხლი. 136 WRV დაკავშირებული მუხლთან. 140 GG, Art. 4, 33(3) GG.

პარიტეტი გულისხმობს თანაბარ მოპყრობას ყველა რელიგიური გაერთიანების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი სტატუსის საკონსტიტუციო დიფერენციაციის გზით დამკვიდრდა ე.წ. კლასიფიცირებული პარიტეტი, რომელიც ადეკვატურ საფუძველს უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალური მოვლენისთვის. პარიტეტის ისტორიული ფესვები XVI–XVII საუკუნის რელიგიური ომების შედეგთანაა დაკავშირებული.

რელიგიის თავისუფლების ეს ძირითადი პრინციპები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მე-4 მუხლში. ზუსტად აქაა პოზიტიური ტოლერანტობის მოთხოვნა. რწმენის თავისუფლება გარანტირებულია და ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს, ირწმუნოს, რაც სურს. რწმენის თავისუფლება პატივს სცემს პიროვნების უფლებას, არ ჰქონდეს რაიმე მსოფლმხედველობა და/ან არ მიეკუთვნებოდეს რომელიმე ცალკე სარწმუნოებას. ასევე რელიგიის თავისუფლება იძლევა პიროვნების რწმენის შესაბამისი ქმედების უფლებას. შედეგად, ღრმა მორწმუნეები ზოგჯერ სერიოზულ პრობლემებს ქმნიან: მაგ., იელოვას მონმე ქალბატონი, თავისი რწმენის შესაბამისად, უარს ამბობდა სამედიცინო მკურნალობაზე, მიუხედავად იმისა, რომ იყო მძიმე ავადმყოფი. იმავე სარწმუნოების მიმდევარი მისი მეუღლე პატივს სცემდა მის გადანყვეტილებას. შედეგად კი ქალბატონი გარდაიცვალა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ (Bundesverfassungsgericht) იგი არ ცნო დამნაშავედ დახმარების ვალდებულების შეუსრულებლობაში, ანუ კანონის დარღვევაში⁹⁹, ვინაიდან ქმარი მოქმედებდა თავისი რწმენისა და სინდისის შესაბამისად. ეს პიროვნება განთავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

რწმენის თავისუფლება პოზიტიური ტოლერანტობის გზით სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, საჯარო სკოლებში ჩაატაროს ინტერკონფესიური ლოცვები, იმ პირობით, რომ მასში მონაწილეობა იქნება ნებაყოფლობითი. სახელმწიფოს განსაზღვრულ სიტუაციებში მოეთხოვება უზრუნველყოს იმ ადამიანის რელიგიური მოთხოვნები, რომელიც იმყოფება სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ გარემოში, მაგ., სკოლაში, სადაც დადის პიროვნება და ა.შ.¹⁰⁰ ეს თანაბრად ეხება როგორც ქვეყნის თავდაცვის ძალებს, ასევე სასჯელალსრულებით დაწესებულებებს.

რელიგიურ ორგანიზაციებს ასევე შეუძლია აპელირება რწმენის თავისუფლებაზე, რომელიც კოლექტიური უფლებაა.

99 Cf. BVerfGE 32, p. 98.

100 Cf. BVerfGE 52, p. 223.

V. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი

გერმანიაში მრავალრიცხოვანი რელიგიური გაერთიანების, ისევე როგორც შედარებით მცირე რელიგიური გაერთიანების მნიშვნელოვან ნაწილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს. სხვადასხვა ხელშეკრულების თანახმად, საეკლესიო მრევლი, ეპარქიები, Landeskirchen და საეკლესიო ორგანიზაციები მოიაზრებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირებისგან განსხვავებით, ამ სტატუსის მქონე რელიგიური გაერთიანებები არ ინტეგრირდება სახელმწიფო სტრუქტურებში. ისინი, როგორც საჯარო იურიდიული პირები, ინარჩუნებენ თავიანთ სრულ დამოუკიდებლობას. ამ იურიდიული ნორმით, არანაირი სპეციფიური იდენტიფიკაცია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არ არსებობს; პირიქით, სახელმწიფო რელიგიურ გაერთიანებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად მიიჩნევს. მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებული უფლება ასოცირდება ამ სტატუსთან. ყველა რელიგიურ გაერთიანებას შეუძლია მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, თუკი ის აჩვენებს თავისი წევრების რაოდენობას და დაადასტურებს, რომ იგი ნამდვილად არის პერმანენტული გაერთიანება (მუხლი 137-ე (2)(2) WRV; მუხლი 140-ე GG). იელოვას მონუმენტის მცდელობისას, მოეპოვებინათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ სტატუსის მისაღებად ასევე აუცილებელია კანონის პატივისცემა და მისი მორჩილება. 2004 წელს მათი საქმე ჯერ კიდევ არ იყო დახურული ადმინისტრაციულ სასამართლოში.

სხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა მიიღეს სამართლებრივი სტატუსი სამოქალაქო სამართლის შესაბამისად. ეს სტატუსი, სულ მცირე, კერძო რეგისტრირებული ასოციაციის სტატუსია. რწმენის თავისუფლების გარანტიის შედეგად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რელიგიის თავისებურებანი და სადაც აუცილებელია სამოქალაქო სამართლის პირობები სასულიერო მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს¹⁰¹. შესაბამისად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, სამოქალაქო სამართლის მოთხოვნების საპირისპიროდ, ამას კონსტიტუციურ მოთხოვნად მიიჩნევს. მაგალითად, სასულიერო კონსულტაციური მმართველობა – ბაჰაი, რომელიც სამართლებრივ სტატუსს ითხოვს, უნდა შევიდეს ასოციაციის რეგისტრში, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ბაჰაის რელიგიური მოძრაობის სხვა ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი.

101 Cf. BVerfGE 83, p. 341.

VI. რელიგიური გაერთიანების მნიშვნელობა და თვითგამორკვევის უფლება

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ რელიგიური გაერთიანების თვითგამორკვევის უფლება (მუხლი 137 (3) WRV 140-ე GG პუნქტებთან ერთად) გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში მისი სოციალური და სამართლებრივი ცხოვრების ცენტრალური საკითხია. ნებისმიერი რელიგიური გაერთიანება ძირითადი კანონის ფარგლებში დამოუკიდებლად არეგულირებს და წარმართავს საკუთარ საქმიანობას. აქედან გამომდინარე, თითოეული რელიგიური გაერთიანება, მიუხედავად თავისი სამართლებრივი სტატუსისა, შეიძლება დამოუკიდებლად უძღვებოდეს საკუთარ საქმიანობას. თვითგამორკვევის ეს უფლება მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: რელიგიური დოგმა და სწავლება, ოფიციალური შეხვედრების დანიშვნა, რელიგიური მსახურებანი, საქველმოქმედო საქმიანობის ორგანიზება, საკითხები, რომლებიც დამქირავებულსა და დაქირავებულ პირს შორის ურთიერთობის უმთავრეს ასპექტებს და მონაცემების დაცვას ეხება. სავარაუდო მაგალითების ნუსხამ უმართებულოდ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ თვითგამორკვევის უფლება არ არის ყოვლისმომცველი და არც ისე უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეკლესიების სამოქმედო სფერო გარკვეული არეალითაა შეზღუდული.

თვითგამორკვევის უფლების საზღვრების მნიშვნელობა და ფორმულირება არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული, ის მხოლოდ ძირითადი კანონის ფარგლებში არსებობს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იძლეოდა იმგვარ ფორმულირებას, რომ კანონი არ დაპირისპირებოდა რელიგიური გაერთიანებების თვითგამორკვევის უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი მხოლოდ ამ რელიგიურ გაერთიანებას კი არ შეეხებოდა, არამედ ყველას განურჩევლად. აქედან გამომდინარე, ეკლესიის თვითგამორკვევის უფლება ირრევეა არა იმ დროს, როდესაც მასზე ისეთივე სისრულით არ ვრცელდება კანონი, როგორც სხვებზე, არამედ მაშინ, როცა ეკლესიის განსაკუთრებული თავისებურებები, მისი თვითმყოფადობა და განსაკუთრებით მისი სულიერ-რელიგიური საჭიროებანი არასახარბიელო პირობებშია ჩაყენებული. უფრო ადეკვატურია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემუშავებული სხვა ფორმულირება, რომლის მიხედვითაც თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითად კანონს, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის დებულებაა საყოველთაო კეთილდღეობისთვის¹⁰².

102 Cf. BVerfGE 42, 312/334; 66,1/20.

ამ საკითხის გასაგებად აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესიის თვითმყოფადობას: ეკლესიის საკუთარ საქმეებში იგულისხმება, კერძოდ, ის, თუ რა მიაჩნია თავად ეკლესიას საკუთარ საქმიანობად, თუმცა ძირითადი კანონის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია სახელმწიფო სასამართლოებს ეკუთვნის. ეკლესიის თვითგამორკვევის უფლების ცენტრალური მნიშვნელობა მხედველობაში უნდა მივიღოთ მაშინ, როდესაც დგინდება ამგვარი უფლების ზღვარი.

ეკლესიის თვითგამორკვევის უფლება კონკრეტულად “საეკლესიო” საქმიანობათა ვინაობა სფეროთი არ შემოიფარგლება. რელიგიური მოღვაწეობის თავისუფლების იდეა რელიგიურ მიზნებზე დაფუძნებულ სხვა ისეთ სფეროებზეც ვრცელდება, როგორებიცაა: საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, მოხუცებულთა თავშესაფრების, კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების მართვა.

ფაქტობრივად გერმანიაში სოციალური მომსახურება უზრუნველყოფილია მრავალრიცხოვანი ეკლესიების მიერ, განსაკუთრებით ეს ეხება კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაცია “კარიტასს” და ევანგელისტური ეკლესიის დიაკონურ სამსახურს.

ამ მომსახურებათა გარეშე სახელმწიფოს სოციალური გარანტიები, მე-20 მუხლის 1-ელ და 28-ე მუხლის 1-ელ პუნქტებში მოცემული, მხოლოდ ლიტონი სიტყვები იქნებოდა. სინამდვილეში, ყველა ეს აქტიურობა იმის ნაწილია, რასაც მთლიანობაში რელიგიური გაერთიანებები და თავად ეკლესიები ახორციელებს. ამ სფეროში ეკლესიათა მიერ განეული მომსახურება სახელმწიფო კანონის მიერ მათი აღიარების საფუძველია.

ამდენად, თვითგამორკვევის ეს უფლება უბრალოდ კი არ ახასიათებს ეკლესიას, როგორც გარკვეულ ერთეულს, არამედ, გარკვეული აზრით, ეს საერთოა ყველა დაწესებულებისთვის, რომლებიც ამა თუ იმ გზით დაკავშირებულია ეკლესიასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ ფორმას იღებს ეს კავშირები. ეს მიდგომა სამართლიანია, თუკი, მათი თვითმყოფადობიდან გამომდინარე, მათი მიზნები ან მოვალეობანი სათანადოდ ხორციელდება, რაც ეკლესიის ქვეყნის უფლებამოსილებად აღიქმება¹⁰³.

103 Cf. BVerfGE 70, 138/162 with further references.

საჯარო კორპორაციის სტატუსის გათვალისწინებით, ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რელიგიური გაერთიანებების საავადმყოფოების გაკოტრების მარეგულირებელი სახელმწიფო კანონების მიღმა დატოვება, მაშინაც კი, როცა მათი შინაგანანგის მიხედვით ეს საავადმყოფოები მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაკავშირებული რომელიმე ცალკეულ ეკლესიასთან. თვითგამორკვევის უფლების იდეასთან შეუსაბამო იქნებოდა, რომ სამართლებრივად განწესებული ადმინისტრაციული მიმღები მოქმედებდეს რომელიმე რელიგიური დაწესებულების კონკრეტული სტრუქტურის ან ორგანიზაციის ფარგლებში¹⁰⁴.

თვითგამორკვევის უფლების ჩარჩო, რომელიც საფუძვლად უდევს რელიგიური გაერთიანებების არსებობას გერმანიაში, დიდმა ეკლესიებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ შეეშუშავებინათ საკუთარი დეტალური შიდასამართლებრივი სისტემები, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება საეკლესიო საკითხებს ეთმობა და რომლებიც სახელმწიფო კანონების პარალელურად მოქმედებს. თვითგამორკვევის უფლების ფარგლებში არსებობს ასევე იურისდიქციული სისტემა, რომელიც ეკლესიას ეკუთვნის. თვითგამორკვევის უფლება იმასაც გულისხმობს, რომ ეკლესიის იურისდიქცია თავად ეკლესიის საქმეა და საეკლესიო საკითხები, რომლებიც მის შიგნით გვარდება, არ ექვემდებარება სახელმწიფო სასამართლოების მხრიდან გადასინჯვას. თუმცა, თუ დეტალურად განვიხილავთ საკითხს, აღმოჩნდება, რომ ამ დებულებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი ისეთი რამაა, რაც საკამათოა. ბოლო დროს განვითარებული ტენდენციიდან ნათელია, რომ სახელმწიფო სასამართლოები სულ უფრო მეტ მზადყოფნას გამოხატავენ ჩაერიონ საეკლესიო საკითხებში, თუმცა ყოველი ცალკეული შემთხვევის შეფასებისას ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ თვითგამორკვევის უფლებას.

VII. ეკლესია და კულტურა

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კერძო სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს დიდი ეკლესიები კურირებს. მათი უმეტესობით ხდება საჯარო სკოლების ჩანაცვლება, რადგან ისინი განათლების ისეთივე დონეს სთავაზობს, როგორც სახელმწიფო სკოლები. შედეგად, ისინი საჯარო სკოლებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინსტრუქციას ემორჩილება. გერმანიის სასკოლო სისტემა არსებობს მე-7(1) მუხლის საფუძველზე და ამდენად, სახელმწიფო მეთვალყურეობის ქვეშაა. სახელმწიფო სკოლებთან

104 Cf. BVerfGE 66, p. 1.

შედარებით, საეკლესიო ან სხვა კერძო სკოლები, ან სასწავლო დაწესებულებები ქმნის უმცირესობას. რაც შეეხება კერძო სკოლების დაფინანსებას, ეკლესიები, ისე, როგორც კერძო სკოლების მმართველი სხვა ორგანიზაციები, იღებს სახელმწიფო დაფინანსებას. დიდი ეკლესიები მართავს საბავშვო ბაღების მნიშვნელოვან ნაწილსაც, რომლებშიც ბავშვების ასაკი 4-დან 7 წლამდე განისაზღვრება.

რელიგიური სწავლება საჯარო სკოლებში, არაკონფესიური სკოლების გარდა, მე-7(3) GG მუხლის შესაბამისად, უნდა იყოს სტანდარტული. სახელმწიფო უფლების მიუხედავად, რელიგიური განათლება უნდა მიმდინარეობდეს რელიგიური გაერთიანებების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. არც ერთი მასწავლებელი არაა ვალდებული, თავისი ნების საწინააღმდეგოდ მისცეს რელიგიური განათლება. მშობლებს ან მეურვეებს უფლება აქვთ გააკონტროლონ თავიანთი ბავშვების დასწრება რელიგიის გაკვეთილებზე.

პრინციპში, როცა ბავშვი აღწევს 12 წლის ასაკს, მშობლის გადანყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის სურვილს. 14 წლის ზევით ბავშვს თვითონ შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება.

მე-7(3) GG მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში უნდა იყოს სტანდარტული საგანი, ამიტომ არ შეიძლება იგი მოიზარებოდეს და ისწავლებოდეს, როგორც დამატებითი ან ფაკულტატიური საგანი. რელიგიური სწავლების შინაარსის საკითხი უნდა გადანყვედეს შესაბამისი რელიგიის კონფესიური სწავლების შესაბამისად. როდესაც ერთი კონკრეტული კონფესიის მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა ექვსიდან რვა მოსწავლემდეა, საზოგადოებრივი სკოლა ვალდებულია, მათ შესაბამისი რელიგიური განათლება შესთავაზოს. ბავშვებს, მშობლებსა და რელიგიურ გაერთიანებებს ასეთი საგანმანათლებლო მომსახურების მოთხოვნის კონსტიტუციური უფლება აქვთ.

ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მონესრიგებული რელიგიური სწავლება მუსლიმანური სკოლის ბავშვებისთვის, რადგან რელიგიური სწავლების უფლებისდა მიუხედავად, ისლამური საზოგადოებების მხრიდან ხშირია მომსახურეთა უკმარისობა. მუსლიმანური რელიგიისა და კულტურის სწავლება მიგრანტი ბავშვებისათვის ხშირად თურქულენოვან და სპარსულენოვან კლასებში მიმდინარეობს. გერმანიის სკოლებში სულ 600 000-ზე მეტი მუსლიმანი მოსწავლე სწავლობს. საჯარო სკოლებში მოსწავლეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ რელიგიური სიმბოლიკა, როგორცაა მუსლიმანური თავსაბურავი. იგივე ეხება უმეტეს ფედერალურ ტერიტორიას, თუმცა ზოგან საჯარო სკოლებში პედაგოგებისათვის უკვე რელიგიური სიმბოლიკის გამოყენება აკრძალეს. ეს მეტად საკამათო საკითხი ძირითადად ქალის მუსლიმანურ თავსაბურავთანაა დაკავშირებული.

ბევრ საჯარო უნივერსიტეტში არსებობს ცალკეული კონფესიის თეოლოგიური ფაკულტეტები. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ეკლესიას მეტ-ნაკლებად გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის პროფესორთა შერჩევის, სასწავლო გეგმების შექმნისა და გამოცდების მსვლელობის დროს. ამ სფეროში კათოლიკური ეკლესია ევანგელისტურ ეკლესიაზე ბევრად უფრო გავლენიანია, სახელმწიფო უნივერსიტეტების თეოლოგიური ფაკულტეტების პროფესორები სახელმწიფო მოხელეები არიან. ამის მიუხედავად, კათოლიკურ ფაკულტეტებზე მათ სჭირდებათ, კათოლიკური ეკლესიისგან მიიღონ *missio canonica*, რის გარეშეც პროფესორს თეოლოგიური ფაკულტეტის წევრად დარჩენის უფლება არ ეძლევა. თუმცა მას, როგორც სახელმწიფო მოხელეს, კვლავ გააჩნია უფლება-მოვალეობანი, ამიტომ უნდა მიეცეს სხვა დატვირთვა უნივერსიტეტის შიგნით. სახელმწიფო ვალდებულია იპოვოს შემცველი თეოლოგიის პროფესორის ვაკანტურ ადგილზე.

გარდა ამისა, დიდ ეკლესიებს თავიანთი საკუთარი თეოლოგიური ფაკულტეტები გააჩნია. კათოლიკურ ეკლესიას აიშტადში აქვს საკუთარი უნივერსიტეტი, რომელიც არათეოლოგიური ფაკულტეტების საკმაო რაოდენობასაც შეიცავს. აგრეთვე არსებობს ბევრი საეკლესიო კოლეჯი, მსურველს ბევრად უფრო პროფესიულ განათლებას რომ სთავაზობს, ვიდრე თავად უნივერსიტეტები.

ეკლესიების განსაკუთრებული მდგომარეობის მანიშნებელია მათი სპეციალური საზოგადოებრივი მანდატი, რომელსაც საფუძვლად უდევს რელიგიური თავისუფლება და იგი დაცულია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული მრავალი ხელშეკრულებით. შესაბამისად, ეს მათ საშუალებას აძლევს, თავიანთი სიტყვა თქვან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ საზოგადოებრივი მანდატის საფუძველზე რელიგიურმა ორგანიზაციებმა რადიოსა და ტელევიზიაში თავიანთი სამოქმედო სქემა შექმნა. მათ ასევე გამოეყოთ ადგილი საზოგადოებრივი დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოებში, რომლებშიც აუცილებელია საზოგადოებრივი წარმომადგენლობა. ეკლესიების პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საზოგადოებრივი სამაუწყებლო კორპორაციების კომისიებში, როგორებიცაა: ZDF, ARD და Land, კერძო ტელე-რადიო სადგურების სამეთვალყურეო საბჭოებსა და შემფასებელ საბჭოებში, იმისათვის, რომ მოხდეს იმ სცენარების და ფილმების შეზღუდვა, რომლებიც ინვესტს ახალგაზრდობის გარყვნას და ზიანს აყენებს მათ ფსიქიკას. ისტორიული და კულტურული გავლენის ასახვისათვის ებრაულ საზოგადოებებსაც ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლობები ამ ორგანოებში. მომავალი გვიჩვენებს, წარმოაჩენს თუ არა და როგორ ამ სფეროში თავს მუსლიმანური საზოგადოება.

VIII. შრომის კანონი ეკლესიაში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიდ ეკლესიებში მილიონზე მეტი ადამიანია დასაქმებული, რაც ეკლესიის, როგორც დამსაქმებლის, მნიშვნელობაზე მეტყველებს.

როგორც საჯარო კორპორაცია, ეკლესია უფლებამოსილია, დაიქირავოს პირები საჯარო სამსახურში. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ სამოქალაქო პირებს შესთავაზონ სამსახური. მეორე მხრივ, საეკლესიო ადმინისტრაციების სტრუქტურა სახელმწიფო ადმინისტრაციების სტრუქტურის მსგავსია. ეკლესიების მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პრაქტიკა ამ პირების მიმართ და იგი სამოქალაქო სამსახურის კანონის მსგავსია. ეს პრაქტიკა გამოიყენება მაშინაც კი, როცა საკითხი ხელფასსა და შემოსავლებს ეხება. მღვდლებისა და საეკლესიო მსახურებისთვის სამსახურის ცალკე კანონი მოქმედებს, რაც ასევე, განსაკუთრებული კონტექსტის გათვალისწინებით, საჯარო (სამოქალაქო) სამსახურის კანონს ასახავს.

მიუხედავად ამისა, ეკლესიის სამსახურში მყოფი თანამშრომლების უმრავლესობისთვის შრომის ჩვეულებრივი კანონი მოქმედებს, რომელიც ეკლესიის თვითგამორკვევის უფლებისა და მისი განსაკუთრებული რელიგიური კონტექსტის საფუძველზე ხშირად ცვლილებებს განიცდის. რელიგიის თავისუფლება მოითხოვს, ეკლესიაში მომსახურეთა შრომითი საქმიანობის რეგულირებისას, მხედველობაში იქნეს მიღებული საეკლესიო მოვალეობებიდან გამომდინარე განსაკუთრებული პირობები.

ზემოთქმული, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ ეკლესიის თანამშრომლები განსაკუთრებული ანგარიშვალდებულებით არიან დაკავშირებულნი ეკლესიაში თავიანთ დამქირავებელთან. კონსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში ეკლესია თავად განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის, კეთილგანწყობის და ცრურწმენათა აკრძალვის შინაარსს. რელიგიურ გაერთიანებათა თვითგამორკვევის უფლება ეკლესიებს ნებას რთავს, ძირითადი კანონის ფარგლებში საკუთარი წესების შესაბამისად მოანესრიგოს ეკლესიაში შრომის პირობები და ამასთან უზრუნველყოს ეკლესიის თანამშრომელთა გარკვეული მოვალეობების სავალდებულო ხასიათი. ორგანიზებული ეკლესიის მიერ აღიარებული სტანდარტები განსაზღვრავს დასაქმების პირობების მიხედვით, ეკლესიის რომელი ძირითადი მოვალეობა მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვნად. სადავო საკითხების განხილვისას შრომის სასამართლო ვალდებულია მხედველობაში მიიღოს ეკლესიის მხრიდან კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვის სტანდარტები, რადგან ძირითადი კანონი აღიარებს ეკლესიის უფლებას, საეკლესიო დავა მოაგვაროს შიდა დონეზე.

ამდენად, სწორედ ორგანიზებულია ეკლესიამ უნდა გადანყვიტოს, რა არის საჭირო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეკლესიისა და მისი სწავლების სანდოობა, კონკრეტულად რა არის ეკლესიის მოვალეობა, რა არის რწმენისა და ზნეობრიობის არსებითი პრინციპები და რა მიიჩნევა ამ ნორმების საპირისპიროდ. იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებული პირი დაარღვევს ამგვარ ანგარიშვალდებულებას, შრომის სასამართლო საბოლოოდ გადანყვეტს, გამართლებულია თუ არა ეკლესიის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნა¹⁰⁵. რელიგიური უფლებამოსილების საფუძველზე ეკლესიას უფლება აქვს, ესა თუ ის თანამშრომელი დაითხოვოს მაშინ, როცა მისი ცხოვრების საზოგადოებრივი წესი ან საჯაროდ გამოთქმული შეხედულებები ეკლესიის სწავლებას უპირისპირდება. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არაკონსტიტუციური არ ყოფილა ქმედება, როცა სამსახურიდან დაითხოვეს კათოლიკური საავადმყოფოდან ექიმი, რომელმაც ტელევიზიისა და ჟურნალის საშუალებით საჯაროდ გააკეთა განცხადება აბორტის საკითხთან დაკავშირებით, იგი ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის პოზიციას. ეს გადანყვეტილება ადამიანთა უფლებების ევროპულმა კომისიამაც დაადასტურა¹⁰⁶.

რელიგიური თავისუფლების ცნების და, შესაბამისად, თვითგამორკვევის უფლების შედეგად, ეკლესიები განსაკუთრებულ მდგომარეობაშია კოლექტიური შრომის უფლებების სფეროში. საჯარო თანამშრომლების კანონები მათ სტრუქტურებს არ ეხება.¹⁰⁷ სახელმწიფოს, ზოგადად, უფლება არ აქვს ჩაერიოს ეკლესიის შიდაორგანიზაციულ სტრუქტურებსა და მონეობაში¹⁰⁸. ამ სფეროში ეკლესიებმა ე.წ. მესამე გზა განავითარა. ისინი მიიჩნევენ, რომ მათი მონოღება, განსაკუთრებით, ქველმოქმედების სფეროში რელიგიურობაზე დაფუძნებული ვალდებულების ერთი განუყოფელი ნაწილია. არსებითად ეს მათთვის შეუძლებელს ხდის მიიღონ შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება დამქირავებელსა და დაქირავებულ პირს შორის ფუნდამენტური დაპირისპირების იდეას.

ამიტომ კათოლიკური ეკლესია პროტესტანტული ეკლესიების უმეტესობასთან ერთად უარს ამბობს კოლექტიური მოლაპარაკებების გზით პროფკავშირებთან შეთანხმებაზე¹⁰⁹.

105 Cf. BVerfGE 70, p. 138.

106 Cf. BVerfGE 70, p. 138; EKMR, 12242/86, 1989 წლის 6 სექტემბრის გადანყვეტილება.

107 § 118 BetrVerfG; § 1 IV MitbestG.

108 Cf. BVerfGE 53, p. 366/400.

109 ზოგიერთმა პროტესტანტულმა Landeskirchen (Nordelbien, Berlin-Brandenburg) ამის მაგივრად დადო კოლექტიური ხელშეკრულება თავის მუშაკებთან.

საეკლესიო სტრუქტურის ფარგლებში არ არსებობს გაფიცვის უფლება ისევე, როგორც არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა ეკლესიის შიდა გადაწყვეტილების გზით მოხდეს დაქირავებული პირების განთავისუფლება სამსახურიდან. ეკლესიებმა თანამშრომელთა წარმომადგენლობისა და თანაგამორკვევის საკუთარი სისტემა შექმნა. ეს სისტემა, გარკვეული ზრით, თანამშრომლებს უფრო ფართო უფლებებს ანიჭებს, ვიდრე საზოგადოებრივი თანაგამორკვევის სისტემა.

IX. ეკლესიების დაფინანსება

იმის გამო, რომ წარსულში ეკლესიის საკუთრების მითვისების არაერთი შემთხვევა მომხდარა, ამჟამად გერმანიაში ეკლესიები მხოლოდ მცირე საკუთრებას ფლობს. ამგვარი მდგომარეობის კომპენსირებისთვის, ... 1803 წლის Reichsdeputationshauptschluss-ის შესაბამისად, მთავრობის გადაწყვეტილებათა სერიამ განაპირობა ეკლესიათათვის ფონდების მოძიება, რომელთა უზრუნველყოფაც მოხდა 138-ე (1) WRV და 140-ე GG პუნქტების საფუძველზე. ეს დებულება ითვალისწინებს კომპენსაციასთან დაკავშირებული გადასახადების გაუქმებასაც. თუმცა ეს ჯერჯერობით არ განხორციელებულა, რადგან იგი არაპრაქტიკულად მიიჩნეის. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ გაცემული სუბსიდიები ხშირად ეკლესიის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოთქმულ მოთხოვნებს უკავშირდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ეკლესიის შენობების შენახვას. სწორედ ასევე, კონტრაქტის პირობების თანახმად, სახელმწიფო გარკვეულწილად ვალდებულია ეკლესიის წინაშე. ეს ეხება, მაგალითად, სუბსიდიების გაცემას ეკლესიის ხელმძღვანელობის ხელფასებისთვის.

თუმცა მთლიანი საეკლესიო ბიუჯეტის დაახლოებით 80% საეკლესიო გადასახადზე მოდის, რომლის გარანტიაცაა 137(6) WRV და 140 GG პუნქტები. სამოქალაქო ბეგარის ჩამონათვალის საფუძველზე, Länder კანონის შესაბამისად, ის რელიგიური გაერთიანება, რომელიც საჯარო კორპორაციაა, უფლებამოსილია, დაანესოს გადასახადები. დიდმა ეკლესიებმა ფართოდ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რასაც ვერ ვიტყვით საჯარო კორპორაციის სტატუსის მქონე, ისეთ შედარებით მცირე რელიგიურ გაერთიანებაზე, როგორიცაა ებრაული თემი. მხოლოდ ცალკეული ეკლესიის წევრები, რომელთაც შეუძლიათ დაანესონ საეკლესიო ბეგარა, ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადები. საეკლესიო გადასახადი მე-19 საუკუნის დასაწყისში შემოიღეს იმისათვის, რომ ეროვნული

ბიუჯეტი ეკლესიის წინაშე ვალდებულებისგან განთავისუფლებულიყო, რაც თავის მხრივ ეკლესიის საკუთრების სეკულარიზაციაზე იყო დამოკიდებული.

გადასახადისგან განთავისუფლება შესაძლებელია ეკლესიის დატოვების შედეგად, მას შემდეგ, რაც პირი სახელმწიფოს შესაბამის ოფიციალურ სტრუქტურაში დარეგისტრირდება. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო კლასიფიკაციის მიხედვით, ამა თუ იმ პირმა ოფიციალურად შეწყვიტა რომელიმე ეკლესიის წევრობა.

მაგრამ პროტესტანტული ეკლესიების უმრავლესობა თვლის, რომ ეკლესიის დატოვება, კერძოდ, მათი ეკლესიიდან გასვლასაც გულისხმობს. კათოლიკური ეკლესია, როგორც წესი, მიიჩნევს, რომ პიროვნების მიერ ეკლესიის დატოვება ეკლესიის მიმართ აღებული ვალდებულებების სერიოზული დარღვევაა. იგი ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას არ ამახვილებს ეკლესიის წევრობის თეოლოგიურ ასპექტზე.

საეკლესიო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ინდივიდის ხელფასისა და საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების 8-9%-ით. შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე სხვა სტანდარტები. მიუხედავად იმისა, რომ ეს სავალდებულო არ არის, შეთანხმების საფუძველზე დიდი ეკლესიებისთვის საეკლესიო გადასახადს უმეტესად სახელმწიფო გადასახადების ამკრეფნი იღებენ. ამ მომსახურებისთვის ეკლესიები სახელმწიფოს საშემოსავლო მოსაკრებლის 3-5%-ს უხდის. თუ ეკლესიის წევრი უარს ამბობს გადაიხადოს სავალდებულო გადასახადი, შეიძლება სამართლებრივი საშუალებების გამოყენება. თუმცა გადაუხდელობის შემთხვევაში ეკლესია ვალდებული არაა სასამართლოს მიმართოს, ვინაიდან საეკლესიო გადასახადი თანამშრომელთა საშემოსავლო გადასახადებთანაა დაკავშირებული, დამქირავებელი ფინანსურ ორგანოებს პირდაპირ გადასცემს საეკლესიო გადასახადებს საშემოსავლო გადასახადებთან ერთად.

სახელმწიფო გადასახადებთან კავშირის გამო გადასახადებისგან განთავისუფლება საეკლესიო გადასახადზეც ვრცელდება. ვარაუდობენ, რომ ეკლესიის წევრების ერთი მესამედი საეკლესიო გადასახადს არ იხდის, რადგან ისინი ანგარიშვალდებულნი არ არიან გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი. ზოგ შემთხვევაში ეკლესია ალტერნატიულ შეწირულებას ითხოვს, რაც საშემოსავლო ბეგარას არ ექვემდებარება.

საერთო საზოგადოებრივი დაფინანსების სისტემა, რომლის ნაწილია ზოგიერთი საეკლესიო ინსტიტუტი, მათთვის დამატებითი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გერმანიის უმეტეს ნაწილში პაციენტთა ჰოსპიტალიზაციისთვის

ყველაზე ხელმისაწვდომია ეკლესიათა მფარველობის ქვეშ არსებული საავადმყოფოები. ეს საავადმყოფოები საზოგადოებრივი დაფინანსების სისტემაში შედის, რადგან მათ ინახავენ იმ სახსრებით, რომლებითაც სამედიცინო დაზღვევა იხდის შევსებული საწოლებისათვის.

უფრო მეტიც, ბევრი ეკლესია თავისი საქმიანობისთვის სახელმწიფოსგან იღებს თანხებს: სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის იდეიდან გამომდინარე, ეკლესიის საქმიანობა არ უნდა ჩააყენონ იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე, ვთქვათ, ათლექთათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილობრივი კლუბები.

ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესია თავისუფლდება გადასახადებისგან. საეკლესიო გადასახადი და ეკლესიისადმი საქველმოქმედო შემოწირულებანი შეიძლება საშემოსავლო გადასახადიდან ამოირიცხოს. ეს ეხება აგრეთვე არასაშემოსავლო ორგანიზაციებისთვის შემოწირულებებს. გარდა ამისა, ეკლესიას არ მოეთხოვება გარკვეული გადასახადების გადახდა და ზოგიერთი მოვალეობის შესრულება.

X. რელიგიური დახმარება სახელმწიფო ინსტიტუტებში

როცა საქმე ეხება შეიარაღებულ ჯარებში, საავადმყოფოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში ან სხვა საჯარო ინსტიტუტებში რელიგიური მსახურების და რელიგიური დახმარების საკითხს, სხვადასხვა რელიგიურ ინსტიტუტს უფლება აქვს, საკუთარ თავზე აიღოს ეს საქმიანობა. მათ უფლება აქვთ საავადმყოფოებსა და საპატიმროებში რელიგიური დახმარება გაუწიონ. პოლიციაში და სამხედრო ძალებში რელიგიური საქმიანობა კონტრაქტებითაა დარეგულირებული. ეკლესიები გარკვეული დროით აგზავნიან სამხედრო კაპელანებს ამგვარ დაწესებულებებში სასამსახუროდ. სამსახურის ხანგრძლივობისთვის ამ პირებს სახელმწიფო მოხელის სტატუსი ენიჭებათ. შესაძლებელია ასევე საკონტრაქტო სტატუსი. სახელმწიფო თანამდებობაზე ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ფედერალური თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელის წინაშე. გერმანელ სამხედრო კაპელანებს აქვთ ჩვეულებრივი სამოქალაქო სახელმწიფო თანამშრომლის სტატუსი უნიფორმისა და სამხედრო რანგის გარეშე. სახელმწიფო ადმინისტრაციაში არსებობს როგორც პროტესტანტი სამხედრო კაპელანებისათვის არსებული თავდაცვის ძალების ევანგელისტური ეკლესიის სამსახური, ისე კათოლიკეებისთვის – კათოლიკე სამხედრო ეპისკოპოსის სამსახური. მათ მოვალეობებს განსაზღვრავს როგორც ეკლესია, ასევე სახელმწიფო ადმინისტრაცია. ეკლესიის საკითხებში ისინი

ექვემდებარებიან თავიანთი ეკლესიის სამხედრო ეპისკოპოსს, საზოგადოებრივი ადმინისტრაციის საკითხებში კი პასუხს აგებენ ფედერალური თავდაცვის მინისტრის წინაშე.

XI. მღვდლებისა და რელიგიური ორღანების წევრთა სამართლებრივი მდგომარეობა

გერმანული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო კანონმდებლობა საზოგადოდ არ ანიჭებს რაიმე განსაკუთრებულ სტატუსს მღვდლებს, მოძღვრებს და რელიგიური ორღანების წევრებს. არსებობს მხოლოდ რამდენიმე კერძო გარემოება. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებით, რელიგიური ინსტიტუტები უფლებამოსილია, საეკლესიო თანამდებობაზე მყოფ პირებს უარი უთხრას სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დაწყებაზე, ვიდრე ისინი საეკლესიო მოვალეობებს ასრულებენ¹¹⁰. სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით, ხმის მიცემისა და არჩევის უფლება არ არის შეზღუდული, ამისათვის სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობს. ამგვარი დადგენილება უპირისპირდება მე-3 (3) GG მუხლს, რომლის თანახმადაც არავინ უნდა იყოს არც უუფლებო მდგომარეობაში, არც განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდეს რწმენის საფუძველზე. უფრო მეტიც, 33-ე (3) მუხლი აცხადებს, რომ სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა, საზოგადოებრივ სამსახურში შესვლა და სახელმწიფო სამსახურით მინიჭებული უფლებები პიროვნების აღმსარებლობაზე არ არის დამოკიდებული. საკუთარი აღმსარებლობის ან იდეოლოგიის გამო არავინ არ უნდა ჩააყენონ არასახარბიელო მდგომარეობაში. ამგვარი დებულებანი გვხვდება 138-ე WRV და 140-ე GG მუხლებში. თუმცა დისკრიმინაციის აკრძალვა არ არის დამოკიდებული იმაზე, უკავია თუ არა პირს რელიგიური თანამდებობა. დიაკვნებად ხელდასმული პროტესტანტი მოძღვრები და რომელი კათოლიკეები განთავისუფლებული არიან თავდაცვის ძალებში სამსახურისგან ისევე, როგორც მათი დენომინაციების ყველაზე აქტიური წევრები. ხელდასმულ პირებს უფლება აქვთ, სამსახური თავდაცვის ძალებში გადაავადონ. (11, 12 WPflG) მოძღვრები არ არიან ვალდებული ჩვენება მისცენ, განსაკუთრებით სასამართლოში გამოცხადებით, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის მოძღვრის ფუნქციის შესრულების დროს გახდა ცნობილი (მაგ. 53.1.1 StPO).

110 BVerfGE 42, p. 312.

XII. ქორწინებისა და ოჯახის კანონი

ზოგიერთი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, გერმანიაში ეკლესიებს არ აქვს რაიმე კომპეტენცია ქორწინებისა და საოჯახო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. გერმანიის სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ქორწინება მთლიანად სამოქალაქო საქმეა. იგი სარეგისტრაციო სამსახურში სრულდება. განსხვავებული ფორმა, განსაკუთრებით კი სამართლებრივი ეფექტის მქონე რელიგიური ქორწინება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ უცხოელებს შორის იმ ორგანოს წინაშე, რომელიც მათ მშობლიურ ქვეყანაშია აღიარებული და ამდენად, უფლებამოსილია ქორწინების ჩატარებაზე. გერმანიაში ქვეყნის მოქალაქეებისთვის რელიგიურ ქორწინებას სახელმწიფოს მიერ არ აქვს მინიჭებული სამართლებრივი ეფექტი. თუმცა, მეორე მხრივ, ყველას აქვს რელიგიური საქორწინო მომსახურების უფლება კონსტიტუციური დებულების მიხედვით, რომელზეც კამათი მიმდინარეობს. ამ დებულებით, რელიგიური ქორწინება წინ არ უნდა უსწრებდეს სამოქალაქო ქორწინებას. მაგრამ ამ ნესის დარღვევის შემთხვევაში საჩუციები არ არის გათვალისწინებული.

XIII. რელიგია და სისხლის სამართლის კანონი

გერმანული სისხლის სამართლისა და საპროცედურო კანონმდებლობის მიერ რელიგიური თავისუფლება მნიშვნელოვანწილად არის დაცული. სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც განსაზღვრული მეთოდებით აღვივებს შუღლს რომელიმე რელიგიური ჯგუფის მიმართ, ისჯება სამ წლამდე პატიმრობით ან ჯარიმით. ასევე ისჯება ის პირი, რომელიც აგრესიულად უპირისპირდება რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებების შინაარსს ისე, რომ ეს საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს. იგივე ეხება იმ პირს, რომელიც ცდილობს ჩაშალოს გერმანიაში არსებული რომელიმე რელიგიური გაერთიანების მიერ აღვლენილი ღვთისმსახურება, ან/და შეუფერებლად იქცევა ამა თუ იმ გაერთიანების ღვთისმსახურების ადგილებში. დაცულია აგრეთვე ფილოსოფიური, არარელიგიური გაერთიანებები. ისჯება დაკრძალვის ცერემონიალის და გარდაცვლილთა სიმშვიდის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 166-168-ე მუხლები).

პირი, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე იყენებს ტიტულებს, რანგებს, უნიფორმებს ან რელიგიური გაერთიანების ნიშნებს, ასევე ექვემდებარება

დასჯას – ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმის სახით. სახელმწიფო სამართლის რელიგიური გაერთიანების ოფიციალური დოკუმენტების განადგურება ან დამალვა ისჯება ორ წლამდე პატიმრობით ან ჯარიმით. მძიმე შემთხვევებში პატიმრობის ვადა 5 წლამდე იზრდება.

აღმსარებლობითი საიდუმლო ფართოდაა დაცული. სამღვდელოების წარმომადგენელი ვალდებული არაა, რაიმე გარემოებაში პოლიციას მოახსენოს ის, რაც სულიერი მსახურების დროს მოისმინა (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე (2) მუხლი, სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის 53-ე პარაგრ., სამოქალაქო საპროცედურო კოდექსის 282-ე პარაგრ. და ა. შ.). ამ გარემოების მიხედვით სასულიერო პირებს ასევე არ ევალებათ, შეატყობინონ მოსალოდნელი დანაშაულის თაობაზე.

XIV. საეკლესიო კანონმდებლობის განსაკუთრებული საკითხები

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მარეგულირებელმა გერმანულმა კანონმდებლობამ (რომელიც ძირითად დადებითად უნდა შეფასდეს) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელშეწყობით დაამტკიცა, რომ აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული მყარი საფუძველი და უნარი შესწევს, სოციალური საჭიროებანი შესაფერისი საშუალებებით დააკმაყოფილოს. მისი შემდგომი განვითარება გულისხმობს ახალი რელიგიების და არარელიგიური ჯგუფების, კერძოდ, ერთი მხრივ, ისლამის და მეორე მხრივ, ფართოდ გავრცელებული რელიგიური სუბტიციზმის აღიარებას: ეს ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელთა მოგვარებაც მომავალში მოგვიხდება.

XV. ბიბლიოგრაფია

Axel Frhr. von Campenhausen, Staatskirchenrecht, 3rd ed., 1983.

Alexander Hollerbach, «Grundlagen des Staatskirchenrechts», in Josef Isensee/Paul Kirchhof (ed.), Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, vol. VI, 1989, p. 471.

Alexander Hollerbach, «Der verfassungsrechtliche Schutz kirchlicher Organisation», *ibid.*, p. 557.

Alexander Hollerbach, «Freiheit kirchlichen Wirkens», *ibid.*, p. 595.

Axel Frhr. von Campenhausen, «Religionsfreiheit», *ibid.*, p. 369.

Bernd Jeand'Heur/Stefan Koriath, Grundzüge des Staatskirchenrechts, Stuttgart 2000.

Jörg Winter, Staatskirchenrecht der Bundesrepublik Deutschland. Eine Einführung mit kirchenrechtlichen Exkursen, Neuwied 2001.

Joseph Listl, «Das Verhältnis von Kirche und Staat in der Bundesrepublik Deutschland», in Joseph Listl/Hubert Müller/Heribert Schmitz (ed.), Handbuch des katholischen Kirchenrechts, 1983, p. 1050.

Joseph Listl (ed.), Konkordate und Kirchenverträge in der Bundesrepublik Deutschland, 2 vols., 1987.

Joseph Listl/Dietrich Pirson, Handbuch des Staatskirchenrechts der Bundesrepublik Deutschland, 2 vols., 2. ed. 1994.

Gerhard Robbers, «Das Verhältnis von Staat und Kirche in der Bundesrepublik Deutschland», in Gottfried Zieger (ed.), Die Rechtstellung der Kirchen im geteilten Deutschland, 1989, p. 7.

პერიოდული გამოცემა:

Archiv des katholischen Kirchenrechts

Zeitschrift für evangelisches Kirchenrecht

Kirche und Recht

სახელმწიფო და ეკლესია ესტონეთში

I. სოციალური ფაქტები

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების მსგავსად ესტონეთშიც დაიწყო ე.წ. “რელიგიის დაბრუნება”. ეს პროცესი იყო, ერთი მხრივ, საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის გამოხატვა, ხოლო მეორე მხრივ – რეაქცია სამოქალაქო თავისუფლებაზე საბჭოთა რეჟიმის მიერ ზენოლაზე. თუმცა, რელიგიისადმი ამგვარი სწრაფვა მალე შენედა და რელიგიურ გაერთიანებებში სწრაფი და მასობრივი განვითარებაც შემცირდა.

მიუხედავად უმნიშვნელოვანესი როლისა, რომელსაც ქრისტიანობა ოდიტორიულად ასრულებდა ესტონეთის ისტორიაში, ეს ქვეყანა არ მიეკუთვნება რელიგიურად ერთგვაროვან სახელმწიფოთა რიცხვს. დღევანდელი ესტონეთის რელიგიური საზოგადოება სხვადასხვა აღმსარებლობების და რელიგიური დენომინაციებისაგან შედგება. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან განცალკევების პროცესს, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში და რომლის დროსაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე საზოგადოების რელიგიისადმი დამოკიდებულება. დღეს ესტონეთის მოსახლეობის (რომელიც 2003 წლის იანვრის მონაცემებით 1,356,045 ადამიანს შეადგენდა¹¹¹) მხოლოდ 23% არის ოფიციალურად განვითარებული ქრისტიანული ეკლესიის ან თუ იმ მიმდინარეობაში.

111 ესტონეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემები ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე: <http://www.stat.ee>

მე-16 საუკუნის შუა წლებიდან ესტონეთში დომინირებს პროტესტანტულ-ლუთერანული ეკლესია. ამ დროს ოფიციალურად ამ ეკლესიას მიეკუთვნება მოსახლეობის მხოლოდ 11%-მდე¹¹². სიდიდით მეორე და აგრეთვე დიდი ტრადიციის მქონეა მართლმადიდებელი მრევლი (მოსახლეობის დაახლოებით 10%).¹¹³ მოცემული პროცენტული მაჩვენებლები ასახავს ეკლესიების როგორც აქტიურ, ისე პასიურ წევრობას. უფრო მცირერიცხოვანია კათოლიკეების, ბაპტისტების, ებრაელების, მეთოდისტების, მუსულმანების, ბუდისტებისა და სხვა რელიგიების მიმდევართა ჯგუფები.

112 ამის საპირისპიროდ, XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში, საბჭოთა ოკუპაციამდე, ესტონეთი რელიგიურად მეტ-ნაკლებად ერთფეროვანი იყო. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 76%) მიეკუთვნებოდა ესტონეთის პროტესტანტულ-ლუთერანულ ეკლესიას. მოსახლეობის 1934 წლის აღწერის მიხედვით ესტონეთში 874 026 პროტესტანტი ლუთერანი იყო მაშინ, როცა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის რიცხვი 1126413-ს შეადგენდა. იხილეთ ვებ-გვერდი: <http://www.Estonica.org/culture/religion>, 17.01.2004. ბევრი ამტკიცებს, რომ ამჟამად ეკლესიის წევრთა სიმცირე საბჭოთა ოკუპაციისა და ათეისტური განათლების შედეგია. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერება სიმართლეს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მეორე მსოფლიო ომამდე და საბჭოთა ოკუპაციამდე ეკლესიის წევრთა დიდი რიცხვი ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ ლუთერანული ეკლესია შეიძლება ჩათვლილიყო სახელმწიფო ეკლესიად. უფრო მეტიც, ის წინააღმდეგობა, რომელიც გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში არსებობდა გაბატონებულ გერმანულ სამღვდლოებსა და ადგილობრივ სამღვდლოებს შორის, იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ეკლესიას გარკვეული გზა უნდა გაეგლო იმისთვის, რომ ბოლომდე მოეგო ერის გული და გონება. “ლუთერანულმა ეკლესიამ ვერ მოასწრო თავის დამკვიდრება, როგორც ესტონელი ხალხის ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ასე რომ ყოფილიყო, ათეისტური განათლებას, სავარაუდოდ, არ მიეცემოდა საშუალება, მოეკიდა ფესვი ისე ღრმად, როგორც ეს სინამდვილეშია.” მ. კეტოლა, “ეროვნული საკითხის ზოგიერთი ასპექტი ესტონეთის პროტესტანტურ ეკლესიაში, 1918-39 წლები.”, გამოქვეყნებულია გამოცემაში “რელიგია, სახელმწიფო და საზოგადოება” (ოქსფორდი: კესტონის ინსტიტუტი, 1999 წელი), ტომი 27, №2, გვ. 239-243.

113 ესტონეთში ორი მართლმადიდებელი ეკლესიაა: ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მოსკოვის პატრიარქატს ექვემდებარება და ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ექვემდებარება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. ეს ორი მართლმადიდებელი ეკლესია ერთმანეთისგან ნაწილობრივ ეროვნული ნიშნით განსხვავდება: ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ძირითადად ესტონურენოვანი მრევლითაა დაკომპლექტებული, ხოლო ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია – რუსულენოვანით.

II. ისტორიული ფონი

სავარაუდოდ ქრისტიანობა უკვე დამკვიდრებული იყო ესტონეთში 1054 წლისათვის. ესტონეთის ოფიციალური გაქრისტიანება კი XIII საუკუნის შუა წლებში მოხდა. ეპისკოპოსმა ალბერტმა და მახვილის ორდენის სამომ გააერთიანეს ძალები, რათა ორდენის რაინდებს დაეპყროთ ესტონეთის მიწა-წყალი, ხოლო მღვდლებს ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტიანებად მოექციათ. ესტონეთის დალაშქრის შემდეგ ამ ქვეყნის უმაღლესი სუვერენი რომის პაპი გახდა. მან ახლად მოქცეული ესტონელები პირადი მფარველობის ქვეშ აიყვანა და ესტონეთის ტერიტორიაზე საეკლესიო სახელმწიფო დააფუძნა. XVII საუკუნეში, როცა ესტონეთი შვედეთის მმართველობას დაექვემდებარა, ქვეყანაში დაიწყო ლუთერანული ეკლესიის ცხოვრების წესის დამკვიდრება და კათოლიკური ეკლესია, ფაქტობრივად, განიღვნა. რეფორმაციამ ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა რადიკალურად შეცვალა, რის შედეგადაც წარმოიშვა სახელმწიფო ეკლესია, უფრო სწორედ კი, სამამულო ეკლესია.¹¹⁴ XVIII საუკუნის დასაწყისში რუსული მმართველობის დამკვიდრებას ქვეყანაში არსებითად არაფერი შეუცვლია. XIX საუკუნეში ესტონეთის ეკლესიას გარკვეული პრივილეგიებიც კი მიენიჭა, მაგალითად, 1817 წელს რუსეთის მეფემ, ალექსანდრე I-მა ნება დართო პერნოპეტის მოძრაობას, ეწარმოებინა თავისი საქმიანობა. XIX საუკუნის 40-იან წლებში შეიძლება სამამულო ეკლესიიდან მეფის – რუსულ მართლმადიდებლურ რწმენაზე მოქცევა, რის შემდეგაც მოქცეულის კვლავ სამამულო ეკლესიაში დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო. 80-იან წლებში კი უკვე დაარსდა თავისუფალი (ბაპტისტური) ეკლესიის პირველი კონგრეგაციები. ფორმალურად რუსეთის მეფის ყველა ქვეშევრდომს რელიგიის თავისუფლება მიენიჭა 1905 წლის 17 აპრილის “ტოლერანტობის შესახებ” აქტის მიღების შედეგად.

ესტონეთში რელიგიების შესახებ კანონმდებლობის ისტორია შეიძლება ოთხ ძირითად პერიოდად დაიყოს. პირველი პერიოდი 1918 წელს ესტონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებით¹¹⁵ დაიწყო და გაგრძელდა 1920 წელს კონსტიტუციის მიღებით, რომელმაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მკვეთრი ზღვარი დაადგინა.¹¹⁶ ამას მოჰყვა 1925 წლის აქტი “რელიგიურ საზოგადოებათა და მათი ასოციაციების შესახებ”, რომელმაც კვლავ აღიარა ყველა რელიგიური ორგანიზაციისადმი თანაბარი დამოკიდებულება და სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან განცალკევება.¹¹⁷

114 ესტონეთის რელიგიების ისტორიის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: <http://www.estonica.org>, 16.01.2004.

115 1917 წლის რუსეთის რევოლუციამდე ესტონეთი რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო.

116 RT 1920,113/114, 243

117 RT 1925, 183/184, 96

მეორე პერიოდმა (XX საუკუნის 30-იანი წლები) ესტონეთის საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები შეიტანა, რომელთაგან აღსანიშნავია სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრალიზება, ხელისუფლების კონცენტრაცია, დემოკრატიის დაკნინება და სახელმწიფო მმართველობის გაძლიერება. 1934 წელს გამოიცა აქტი “ეკლესიებისა და რელიგიური საზოგადოებების შესახებ”, მაგრამ არა პარლამენტის მიერ, არამედ სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტის) განკარგულებით.¹¹⁸ ამ განკარგულებამ ეკლესიების და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ სხვადასხვაგვარი სამართლებრივი დამოკიდებულება დაამკვიდრა. მთელი რიგი, განსაკუთრებით, დიდი ეკლესიების სტატუსი, გარკვეულწილად დაემსგავსა სახელმწიფო ეკლესიის სტატუსს. 1938 წლის კონსტიტუციის 84-ე (1)(ბ) მუხლის თანახმად ორი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ეკლესიის მესვეურებმა მიიღეს პარლამენტის ზედა პალატის ე. წ. ex officio წევრობის უფლება.¹¹⁹ ყველა ეკლესიის მმართველობა სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა.

მესამე პერიოდი დაიწყო ესტონეთის საბჭოთა ოკუპაციით. საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა რელიგიის შესახებ ეფუძნებოდა ლენინის 1918 წლის დეკრეტს ეკლესიის სახელმწიფოსგან, ხოლო სკოლის – ეკლესიისგან განცალკევების შესახებ. უცნაური იყო ის, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის (თუ სხვა რელიგიურ გაერთიანებათა) “განცალკევება”, ფაქტობრივად, განცალკევება არ ყოფილა, ვინაიდან სახელმწიფო აკონტროლებდა რელიგიურ ორგანიზაციებს ყველა ასპექტში, მათ შორის, ამ ორგანიზაციების ლიდერებს და ზოგჯერ მათ რიგით წევრებსაც კი. 1940 წელს ესტონეთი გახდა საბჭოთა კავშირის ნაწილი და ოკუპაციის განმავლობაში იურიდიულ დამოუკიდებლობას თითქმის სრულიად მოკლებული იყო. ოკუპაციის მთელი პერიოდის განმავლობაში სსრკ-ის კანონმდებლობის შესაბამისად ხდებოდა რელიგიის “თავისუფლების” შესახებ ნორმების დადგენა.

მეოთხე პერიოდი დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის აღდგენით და 1992 წელს კონსტიტუციის მიღებით.¹²⁰ ესტონეთმა დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ახლებურად შექმნა რესტიტუციის პრინციპით, მაგრამ ამავე დროს ევროპულ სამართლებრივ წესებსა და აზროვნებაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. ესტონეთის კონსტიტუცია ღიად იცავს რელიგიის თავისუფლებას. მე-40 მუხლის თანახმად “ყველას აქვს სინდისის, რელიგიისა და აზროვნების თავისუფლება. ყველას აქვს უფლება, იყოს ეკლესიებისა თუ სხვა რელიგიური გაერთიანებების წევრი. არ

118 RT 1934,107, 840

119 RT 1937, 71, 590

120 Eesti Vabariigi põhiseadus [ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია] (Riigi Teataja toimetuse väljaanne. ტალინი, 1994 წელი).

არსებობს სახელმწიფო ეკლესია. ყველას აქვს უფლება, დაიცვას თავისი რელიგიის წესები, ცალკე ან ჯგუფურად, საჯაროდ და კონფიდენციალურად, თუ ეს ზიანს არ აყენებს საზოგადოებრივ წესრიგს, ჯანმრთელობას ან მორალის ნორმებს.”.

1992 წლის კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლებისადმი მიძღვნილ პარაგრაფებს მოჰყვა 1993 წლის კანონი “ეკლესიებისა და კონგრეგაციების შესახებ”¹²¹. 2002 წლის 1 ივლისს 1993 წლის კანონი შეიცვალა განახლებული აქტით “ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ”¹²². 2002 წლის კანონით განსაზღვრული რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი პრინციპულად განსხვავდებოდა 1993 წლის კანონით განსაზღვრული იგივე წესისგან. 1993 წლის აქტის მიხედვით რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, ახალი კანონით, რელიგიურ გაერთიანებებს არეგისტრირებენ უკვე ქვეყნის სარეგისტრაციო დეპარტამენტები და ქალაქის სასამართლოები.

ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ სისტემაში შეინიშნება როგორც პირველი დამოუკიდებლობის (1918-1940), ისე უფრო გვიანდელი, 50-წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდის გადმონაშთები. ესტონეთი ჯერ კიდევ გარდამავალ სტადიაზე მყოფი ქვეყანაა.

III. ზოგადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

ესტონეთის რელიგიის შესახებ კანონის სამართლებრივი წყაროებია: (1) სახელმწიფოს სამართლებრივი დოკუმენტები¹²³ (ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, არამომგებიანი ორგანიზაციების შესახებ კანონი¹²⁴, ეკლესიებისა და კონგრეგაციების შესახებ აქტი და სხვა აქტები, რომლებიც პირდაპირ თუ

121 RT I 1993, 30, 510; RT I 1994, 28, 425.

122 RT I 2002, 24, 135; RT I 2002, 61, 375.

123 ესტონეთის ამ საკანონმდებლო აქტების ტექსტების თარგმანი იხილეთ ვებ-გვერდზე: www.legaltext.ee. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის არაოფიციალური თარგმანი (ესტონეთში არ არსებობს საკანონმდებლო აქტების ოფიციალური თარგმანი) და ეს თარგმნილი ვერსიები ყოველთვის არ ითვალისწინებს კანონში შეტანილ უახლეს შესწორებებს.

124 RT I 1996, 42, 811; RT I 1998, 96, 1515 (შესწორებული ტექსტი); RT I 2002, 53, 336.

ირიბად არეგულირებენ ინდივიდისა თუ ჯგუფის რელიგიურ თავისუფლებას), (2) საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, და (3) სასამართლოების მიერ ძირითადი თავისუფლებებისა და უფლებების განმარტება (მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს და ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები). ესტონეთი ევროკავშირს 2004 წლის 1 მაისს შეუერთდა.¹²⁵ ევროკავშირის კანონმდებლობას უპირატესი ძალა ენიჭება ესტონეთის კანონმდებლობასთან შედარებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ესტონეთის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.¹²⁶ ესტონეთში რელიგიის თავისუფლება დაცულია 1992 წლის კონსტიტუციით და ესტონეთის კანონმდებლობაში გაერთიანებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. რაც შეეხება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, ესტონეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლი მიუთითებს, რომ მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები ესტონეთის კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. ამ მუხლის თანახმად მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები გაერთიანებული ესტონეთის სამართლებრივ სისტემაში და შემდგომ ცვლილებებს არ საჭიროებს. ეს პრინციპები და ნორმები სახელმწიფოს კანონმდებლობაზე მაღლა დგას და მათ ექვემდებარება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და იურიდიული ხელისუფლება. აღსანიშნავია, რომ მე-3 მუხლის მიხედვით ესტონეთის სამართლებრივი სისტემა მოიცავს როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის, ისე ზოგადი სამართლის პრინციპებს.

ესტონეთის სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო შეთანხმებებს (რომლებიც დამტკიცებულია პარლამენტის მიერ¹²⁷) კონსტიტუციის 123-ე (2) მუხლი ითვალისწინებს. ამ მუხლის თანახმად, თუ ესტონეთის სამართლებრივი აქტები ან სხვა საკანონმდებლო დოკუმენტები ეწინააღმდეგება პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, ძალაში შევა საერთაშორისო შეთანხმებების პირობები. ესტონეთი აგრეთვე ევროპასა და მსოფლიოში მიღებულ ადამიანის უფლებათა დოკუმენტების უმეტესობის მონაწილე მხარეა.¹²⁸

125 შეთანხმება განეწინააღმდეგებოდა შესახებ, RT II, 2004, 3, 8.

126 ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებები, RT I 2003, 64, 429.

127 121-ე (1) მუხლის თანახმად პარლამენტი ამტკიცებს შეთანხმებებს: (1) რომლებიც ცვლიან სახელმწიფო საზღვრებს; (2) რომელთა შესრულება მოითხოვს ესტონეთის კანონების მიღებას, შესწორებას ან გაუქმებას; (3) რომლებითაც ესტონეთის რესპუბლიკა წევრიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში და ლიგებში; (4) რომლითაც ესტონეთი კისრულობს სამხედრო ან ფინანსურ ვალდებულებებს; (5) რომლებიც მოითხოვენ რატიფიცირებას.

128 როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.

კონსტიტუცია არაფერს ამბობს ესტონეთის მთავრობის მიერ დადებული იმ საერთაშორისო შეთანხმებების იერარქიაზე, რომლებიც პარლამენტს არ დაუმტკიცებია. არსებობს ბევრი ასეთი საერთაშორისო შეთანხმება და სამართალმცოდნეთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამ შეთანხმებებს იერარქიაში იგივე პოზიცია უკავიათ, რაც იმ შეთანხმებებს, რომლებიც პარლამენტმა დაამტკიცა. ამგვარი ინტერპრეტაცია აგრეთვე ეფუძნება 1969 წლის ვენის კონვენციით ესტონეთზე დაკისრებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.¹²⁹

ესტონეთის კონსტიტუციის მე-40 მუხლი ღიად იცავს რელიგიის თავისუფლებას. საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი დაუშვებელია კონსტიტუციის მე-40 მუხლით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა (მუხლი 130-ე). რელიგიის თავისუფლების პრინციპს კიდევ უფრო აძლიერებს 41-ე მუხლი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ და 42-ე მუხლი რელიგიისა და რწმენის ხელშეუხებლობის შესახებ. რელიგიის თავისუფლების საერთო სურათს ემატება კონსტიტუციის სხვა დებულებებიც. მაგალითად, 45-ე მუხლი ეხება ზოგადად სიკვცის თავისუფლებას, 47-ე მუხლი – საზოგადოებრივი თავშეყრის უფლებას, 48-ე მუხლი – გაერთიანების შექმნის უფლებას. ყველა ზემოაღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტების დაცვას. საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის გარდა, ესტონეთში რელიგიის თავისუფლება და სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება რეგულირდება მთელი რიგი რეგულაციებით და სამართლებრივი აქტებით. სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი განმსაზღვრელია “არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ” აქტი და 2002 წლის აქტი “ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ”. ცალკეული პირის ან ჯგუფის რელიგიის თავისუფლებას პირდაპირ თუ ირიბად ასევე არეგულირებს ბევრი სხვა საკანონმდებლო აქტი, როგორცაა, მაგალითად, გადასახადების ამოღების და განათლების მარეგულირებელი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტები.

ესტონეთში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებს აწესრიგებს არა მარტო ზოგადი კანონები, არამედ ფორმალური შეთანხმებებიც, რომლებიც იდება სახელმწიფოს და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. ზოგიერთი ასეთი შეთანხმება საერთაშორისო შეთანხმებადაც ითვლება (მაგალითად, შეთანხმება სახელმწიფოს და ვატიკანს შორის). სახელმწიფოს და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებები შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხასიათის, ანდა –

129 Eesti Vabariigi Põhiseadus. Kommenteeritud väljaanne [კომენტარები ესტონეთის კონსტიტუციის შესახებ], ტალინი: Juura, 2002 წელი; კ. მერუსკი/რ. ნარიცი, Eesti Konstitutsiooniõigusest [საკონსტიტუციო სამართლის შესახებ], ტალინი, 1998 წელი, გვ. 26-32

თანამშრომლობის შეთანხმებები, რასაც სამოქალაქო სამართალი არეგულირებს. ასეთ შეთანხმებებს შეიძლება სხვადასხვა მიზნები ჰქონდეს, საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებით დაწყებული და რელიგიური საზოგადოების კონკრეტულ რელიგიურ მოთხოვნებთან შესაბამის ხელშეკრულების დადებით დამთავრებული. ეს შეთანხმებები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს რელიგიურ საზოგადოებებს და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში. ამ ურთიერთობების მიმართ ასეთი მიდგომა ესტონეთში შედარებით ახალია და მის დამკვიდრებას თან ახლავს საკმაოდ ბევრი სირთულე და წინააღმდეგობა – განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ეხება რელიგიურ საზოგადოებათა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

2. სისტემური მიდგომის კატეგორიები

ესტონეთში ოფიციალური სახელმწიფო ეკლესიის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ატარებს რელიგიისგან აშკარა განცალკევების პოლიტიკას. მას შემდეგ, რაც ესტონეთი XX საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა, ქვეყანაში ტრადიციულად მონიხვევ ევანგელურ-ლუთერანულმა ეკლესიამ ნელ-ნელა დაიწყო საზოგადოებაში საკუთარი პოზიციების დაბრუნება და მთავრობისა და პარლამენტისგან უფრო პრივილეგირებული მდგომარეობის მოთხოვნა. კონსტიტუციის თანახმად ესტონეთში არ არსებობს “სახელმწიფო ეკლესია”. კონსტიტუცია ნათლად აცხადებს, რომ “სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს” (მე-40 მუხლი). თუმცა, ადმინისტრაციული პრაქტიკა აუცილებელ პირობად არ მიიჩნევს სახელმწიფოსა და ეკლესიის (განსაკუთრებით ევანგელურ-ლუთერანულის) ერთმანეთისგან განცალკევებას. ამის გამო ბევრი თვლის, რომ ესტონეთს აქვს დე ფაქტო სახელმწიფო ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება აშკარად გაზვიადებულია, ესტონეთის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია სარგებლობს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პრივილეგირებული დამოკიდებულებით. ეს კი, თავის მხრივ, წარმოშობს კითხვას – შეიძლება თუ არა ამ თანამშრომლობის ყველანაირი ფორმა განიხილებოდეს იმ საკონსტიტუციო პრინციპების ფონზე, რომლებიც სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან განცალკევებას და სხვადასხვა რელიგიური საზოგადოებებისადმი თანაბარ მოპყრობას ქადაგებს. არსებობს ქრისტიანული ეკლესიების პრივილეგირებულობის სხვა ფორმებიც. მაგალითად, ესტონეთის საეკლესიო საბჭო, რომელიც 10 ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლებისგან შედგება¹³⁰, საკმაოდ აქტიურად იღვწის სახელმწიფოს და ეკლესი(ებ)ის ურთიერთობების განსაზღვრის საკითხებზე. სახელმწიფო ამ საბჭოს

130 საბჭო თავისი სტატუსტებით განსაზღვრავს, თუ რომელი ეკლესია იქნეს დაშვებული საბჭოში.

მიიჩნევს პარტნიორად რელიგიის თავისუფლების საკითხებზე გადანყვეტილების მიღებისას. საბჭოს პრივილეგირებული მდგომარეობა ყველაზე მეტად შესამჩნევი და ალბათ, ზოგიერთისთვის მტკივნეულიცაა მაშინ, როდესაც საქმე ეხება განათლებას და ფინანსურ მხარდაჭერას. 2002 წლის 17 ოქტომბერს მთავრობამ და ესტონეთის საეკლესიო საბჭომ ხელი მოაწერეს ოქმს “საერთო პრობლემების შესახებ”. როგორც ამტკიცებდნენ, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც შეეძლოთ მსგავსი თანამშრომლობის მოთხოვნა, თუმცა, ჯერჯერობით ამის მიღწევა ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა. აგრეთვე ხშირად გაისმოდა ახალი კანონის (2002 წლის აქტი “ეკლესიებისა და კონგრეგაციების შესახებ”) კრიტიკა, სადაც ქრისტიანული ტერმინოლოგია გამოყენებულია არაქრისტიანულ რელიგიებთან მიმართებაში და სადაც ზოგადად იგრძნობოდა ქრისტიანობის პრივილეგირებული მდგომარეობა. არაქრისტიანულმა ორგანიზაციებმა პეტიციით მიმართეს იურიდიულ კანცლერს, განეხილა ამ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობა¹³¹. ამ კანონში შესატანი შესწორებების პროექტი უკვე მზადდება შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ პროექტის თანახმად რელიგიურ გაერთიანებებს მიენიჭებათ უფლება, გამოიყენონ თავიანთი ისტორიული სახელწოდებები 2002 წლის ეკლესიებისა და კონგრეგაციების შესახებ აქტის მიერ განსაზღვრული სახელწოდებების ნაცვლად.

საკმაოდ ძნელია იმის გარკვევა, თუ რამდენად ძლიერია სინამდვილეში ესტონური საზოგადოების მოთხოვნილება ან ტრადიცია (მათ შორის, სამართლებრივი ტრადიცია), გაამართლონ სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციათა მიმართ არაერთგვაროვანი სამართლებრივი დამოკიდებულება. თანასწორობის პრინციპი ხაზგასმულია ესტონეთის კონსტიტუციის მე-12 მუხლში, რომელიც ადგენს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. მე-12 მუხლის მე-2 პარაგრაფით დატულია დისკრიმინაციის, კერძოდ, რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი. ვინაიდან კონსტიტუცია იცავს რელიგიის როგორც პიროვნულ, ისე კოლექტიურ თავისუფლებას, ეს პრინციპები უნდა მოქმედებდეს აგრეთვე რელიგიური საზოგადოებების მიმართ. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი არის თანასწორუფლებიანობის განსაკუთრებული პირობა და ემსახურება უმცირესობათა დაცვას. კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად “უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისად. თუ ამგვარი შეზღუდვები აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მათი გატარება არ უნდა იწვევდეს უფლებათა და თავისუფლებათა არასწორ განმარტებას”. ამგვარად, უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, ზოგადი თანასწორობის უფლების (თანასწორობის

131 პეტიცია ეკლესიებისა და კონგრეგაციების მე-2, მე-7 და მე-11 პარაგრაფების კონსტიტუციურობის შემონების შესახებ, რეგისტრაციის № 1-14/158, 22.05.2002, იურიდიული კანცლერის სამსახური.

პრინციპის) და განსაკუთრებული თანასწორობის უფლების (დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის) ნებისმიერი შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს და მან უნდა გაიაროს ტესტი პროპორციულობაზე.

IV. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

1. რელიგიური საზოგადოებების სამართლებრივი სტატუსი

ესტონეთში ნებისმიერი რელიგიური გაერთიანება კერძო სამართალში განიხილება, როგორც ოურიდიული პირი (2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტი, მე-5 მუხლი (1)). ეს აქტი ნათლად აცხადებს, რომ “არასამთავრობო ორგანიზაციათა შესახებ” აქტი¹³² და 2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტი ერთმანეთთან მიმართებაში განიხილება, როგორც შესაბამისად ზოგადი ხასიათის და სპეციალური კანონმდებლობა (მე-5 მუხლი (1)). ესტონეთის კანონი ცნობს რელიგიური ორგანიზაციების ხუთ სხვადასხვა ტიპს: ეკლესიებს, კონგრეგაციებს, კონგრეგაციათა ასოციაციებს, მონასტრებსა და რელიგიურ საზოგადოებებს. 2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტი რელიგიური ორგანიზაციების ხუთივე კატეგორიის სამართლებრივ განმარტებას იძლევა.¹³³

132 RT I 1996, 42, 811; RT I 1998, 96. 1515 (შესწორებული ტექსტი); RT I 2002, 53, 336

133 (1) ეკლესია არის ასოციაცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: მასში ნებაყოფლობით შედის სულ მცირე სამი კონგრეგაცია, რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში, მონყობილი არიან ეპარქიული სისტემით და თავიანთი დოქტრინით შეესაბამებიან სამ მსოფლიო კრებაზე აღიარებულ მრწამსს; იგი მოქმედებს თავისი შიდაგანაწესის თანახმად. მას მართავს მმართველი საბჭო; იგი შეტანილია რეესტრში.

(2) კონგრეგაცია არის ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც ერთ საერთო რწმენას აღიარებენ. კონგრეგაცია მოქმედებს შიდაგანაწესით. მას ხელმძღვანელობს არჩეულ მმართველთა საბჭო და იგი რეესტრშია შეტანილი.

(3) კონგრეგაციათა ასოციაცია არის სულ მცირე სამი ნებაყოფლობითი გაერთიანებული კონგრეგაციის ერთობლიობა, რომლებიც ერთ საერთო რწმენას აღიარებენ და მოქმედებენ შიდაგანაწესით; მას ხელმძღვანელობს არჩეულ მმართველთა საბჭო და იგი რეესტრშია შეტანილი.

(4) მონასტერი არის ერთი საერთო რწმენის აღმსარებელ ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი სათემო გაერთიანება, რომელიც შესაბამისი ეკლესიის წესებითა ან საკუთარი შიდაგანაწესით მოქმედებს; მას ხელმძღვანელობს არჩეული ან დანიშნული მონასტრის წინამძღვარი და იგი რეესტრშია შეტანილი.

იგი ასახელებს ზევით ჩამოთვლილიდან მხოლოდ პირველ ოთხს. რელიგიური საზოგადოებების საქმიანობას კი არეგულირებს არა ეს აქტი, არამედ აქტი “არამომგებიანი ორგანიზაციების შესახებ.”

რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი ქმედუნარიანობა იწყება მისი რელიგიური გაერთიანებების რეესტრში შეტანით. კანონით აკრძალული არ არის დაურეგისტრირებელი რელიგიური გაერთიანებების საქმიანობა, თუმცა, ამ შემთხვევაში ისინი არ ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად და, შესაბამისად, ვერ ისარგებლებენ იმ უფლებებითა და დახმარებით, რომლითაც სარგებლობენ იურიდიულ პირებად რეესტრირებული რელიგიური ორგანიზაციები.

უკანასკნელ ხანებში ესტონეთი ძალიან ლიბერალურად არის განწყობილი ე. წ. არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების მიმართ. თუმცა, ესტონეთის პარლამენტის მიერ 2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე, ესტონეთის საეკლესიო საბჭომ წერილობითი თხოვნით მიმართა საპარლამენტო კომიტეტს, მიეღო ზომები “არაკონსტრუქციულ რელიგიურ საზოგადოებათა” საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ეს წინადადებები კანონში არ შესულა. სავარაუდოდ, საბჭოს მიზანი იყო “პროზელიტიზმის” საკითხის წამოყენებით ადამიანებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის წამოწევა აუიოტაჟის მიზეზი გახდა მაშინ, როდესაც იგი განხილული იქნა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის, არამედ მთელი ევროპის მასშტაბით.

2. რელიგიური საზოგადოების მნიშვნელობა და თვითგამორკვევის/ავტონომიის უფლება

პირის (როგორც კონკრეტული ადამიანის, ისე ადამიანთა ჯგუფის) თვითგამორკვევის უფლებას უზრუნველყოფს ესტონეთის კონსტიტუციის მე-19 მუხლი. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად “ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი თვითრეალიზაციის უფლება”. რელიგიის (ეკლესიის) ავტონომიის უფლება აღიარებულია კონსტიტუციის მე-40 მუხლით, აგრეთვე 48-ე, მე-19 (1) და მე-9 (2)¹³⁴ მუხლებით დაცულია კოლექტიური რელიგიის თავისუფლება. რელიგიურ საზოგადოებათა ავტონომია აგრეთვე ნიშნავს თვითადმინისტრირების უფლებას შიდაგანანესის და შიდა კანონების თანახმად.

134 პრეზიდენტის ვეტო 2002 წლის აქტზე “ეკლესიათა და კონგრეგაციათა შესახებ” RTL-ში, 03.07.2001, 82, 1120.

2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტი რელიგიურ გაერთიანებებს ანიჭებს თავისუფლებას, რათა მათ მოახდინონ თვითორგანიზება თავიანთი სწავლებებისა და სტრუქტურების თანახმად. აქტები რელიგიურ ასოციაციათა შესახებ შეიძლება განსხვავდებოდეს “არამომგებიანი ორგანიზაციების შესახებ” აქტით გათვალისწინებული დებულებებისგან, რომლებიც ეხება ორგანიზაციებში განწევრიანებას და მართვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განსხვავება მდგომარეობს მოცემული რელიგიური გაერთიანების ტრადიციულ სწავლებაში და სტრუქტურაში (მე-5 მუხლი (2)). სხვა გაერთიანებებსა და რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან “არამომგებიანი ორგანიზაციათა შესახებ” აქტის შესაბამისად, იგივე თავისუფლებები არ გააჩნიათ. “არამომგებიანი ორგანიზაციათა შესახებ” აქტი განსაზღვრავს (დემოკრატიული) მართვის სტრუქტურასა და პრინციპებს. მაშასადამე, რელიგიურ გაერთიანებებსა და საზოგადოებებს თავიანთ საშინაო საქმეებში აქვთ ავტონომიის სხვადასხვა დონე. რელიგიური საზოგადოებები განიხილება, როგორც ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ისინი სარგებლობენ გაცილებით ნაკლები ავტონომიით, ვიდრე რელიგიური გაერთიანებები. მიუხედავად ამისა, საკმაოდ პრობლემატურია რელიგიურ გაერთიანებასა და რელიგიურ საზოგადოებას შორის ზღვარის გავლება.

V. ეკლესია და კულტურა

რელიგიური განათლება ესტონეთში მწვავე და საკამათო საკითხია. მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, კონსტიტუციის 37-ე მუხლი განსაზღვრავს სასკოლო განათლების სისტემის საფუძველს და აცხადებს, რომ განათლების უზრუნველყოფას ზედამხედველობას უწევს უშუალოდ სახელმწიფო. ესტონეთის სასკოლო განათლების სისტემა ძირითადად სახელმწიფო სკოლებისგან შედგება. ამგვარად, რელიგიური განათლების მიღების მთავარ ადგილად სახელმწიფო სკოლები ითვლება. კანონით გათვალისწინებულია რელიგიური განათლების ორგანიზების შესაძლებლობა. “განათლების შესახებ” აქტის¹³⁵ მე-4 (4) მუხლის თანახმად ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში რელიგიის სწავლა და სწავლება ნებაყოფლობითი და არაკონფესიური. “დაწყებითი სკოლებისა და გიმნაზიების შესახებ”¹³⁶ აქტის მიხედვით რელიგიური განათლება ასევე არაკონფესიური საგანია და იგი ნებაყოფლობითია (მე-3 მუხლი (8)). 1999 წელს ესტონეთის პარლამენტმა შესწორებები შეიტანა მოქმედ კანონში.¹³⁷ რელიგიური

135 RT I 1992, 12, 192; RT 1, 2003, 78, 526

136 RT I 1993, 63, 892; RT 1, 1999, 42, 497

137 RT I 1999, 24, 358

განათლება დღეს სავალდებულოა ისეთ სკოლებში, სადაც სულ მცირე თხუთმეტი მოსწავლე მაინც ისურვებს ამ საგნის შესწავლას. ამ კანონის მიღებამდე იმ სკოლებშიც კი, სადაც იყვნენ რელიგიის შესწავლის მსურველი მოსწავლეები, როგორც ნესი, რელიგია არ ისწავლებოდა.

რელიგიის სწავლების პრინციპები და თემები ჩამოყალიბებულია განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროგრამაში. რელიგიის საგანი, რომელიც სკოლაში ისწავლება, განიხილავს სხვადასხვა რელიგიების ხედვებსა და მათ მიერ შეტანილ წვლილს კაცობრიობის განვითარებაში. დაწყებითი კლასების მოსწავლეების მშობლების გადასაწყვეტია, დართონ თუ არა ნება თავიანთ შვილებს, ისწავლონ რელიგიის საგანი. გიმნაზიის (საშუალო სკოლის) ასაკის მოსწავლეები ამას უკვე დამოუკიდებლად წყვეტენ. რელიგიის მასწავლებლებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ტრენინგი როგორც თეოლოგიაში, ისე პედაგოგიაში. რაც შეეხება ამა თუ იმ რელიგიის პრაქტიკულ ცოდნას, მას მოსწავლეები კონგრეგაციების მიერ ორგანიზებულ საკვირაო და საეკლესიო სკოლებში იღებენ.

დღემდე მიმდინარეობს დებატები იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სავალდებულო რელიგიური განათლება. ასეთი სწავლებით მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, მიიღონ თეორიული ცოდნა როგორც ქრისტიანობის, ისე სხვა მსოფლიო რელიგიების შესახებ, აგრეთვე მიიღებენ ინფორმაციას, თუ რა გავლენა მოახდინა მსოფლიო კულტურაზე ამა თუ იმ რელიგიამ. რელიგიის სწავლების მთავარი მიზანი კი იქნებოდა მათი მომზადება პლურალისტულ და მრავალფეროვანი კულტურების მქონე მსოფლიოში საცხოვრებლად.

რელიგიური განათლების რეორგანიზაციას თან ახლავს სხვადასხვა დამაბრკოლებელი ფაქტორები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მოსწავლეების და მათი მშობლების რელიგიის თავისუფლების დაცვა ითვლება. რეორგანიზაციის პროცესში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს აგრეთვე სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლების შემოღების პირველივე დღეებში მიღებული უარყოფითი გამოცდილება. როდესაც სკოლებში შემოიღეს რელიგიური განათლება, მისი სწავლება ბევრმა ენთუზიასტმა, მაგრამ პედაგოგიურ გამოცდილებას და შესაბამის პროფესიულ უნარ-ჩვევებს მოკლებულმა ადამიანმა დაიწყო.¹³⁸ ზოგიერთ შემთხვევაში სკოლებში რელიგიის სწავლება ამა თუ იმ რელიგიის ქადაგებად იქცა. საკმარისი პროფესიული და პედაგოგიური უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებლების ნაკლებობის პრობლემა ამ დარგში დღესაც მწვავედ დგას.

138 აგრეთვე იხილეთ პ. ვალკი, "ესტონეთის სკოლებში რელიგიური განათლების მდგომარეობის განვითარება. ევროპული და ადგილობრივი პერსპექტივები", სამართლის, რელიგიისა და დემოკრატიული საზოგადოების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, ესტონეთი, ტარტუს უნივერსიტეტი, 1999 წ.

საუნივერსიტეტო დონეზე რელიგია 1632 წლიდან ისწავლება ტარტუს უნივერსიტეტში, თუმცა, 1940 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ამ უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტი გააუქმა. 1941 წელს გერმანიის ოკუპაციურმა ძალებმა ესტონელებს უფლება არ მისცეს, აღედგინათ აღნიშნული ფაკულტეტი. სამაგიეროდ, მათ ესტონელებს მისცეს კონსისტორიასთან თეოლოგიური სასწავლო კომისიის დაარსების საშუალება, რის შედეგადაც სჭუდენტებს მიეცათ თეოლოგიაში სამეცნიერო ხარისხის მიღების შესაძლებლობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თეოლოგიის სწავლება გაგრძელდა და საგამოცდო კომისია გადაიქცა ესტონეთის პროტესტანტულ-ლუთერანულ ეკლესიასთან არსებულ თეოლოგიის ინსტიტუტად, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. 1991 წელს ტარტუს უნივერსიტეტში აღდგა თეოლოგიის ფაკულტეტი. აქ შეიძლება უმაღლესი თეოლოგიური განათლების მიღება, თუმცა, ეს ავტომატურად არ აძლევს მის კურსდამთავრებულებს საემარის კვალიფიკაციას იმისათვის, რომ ისინი ღვთისმსახურები გახდნენ. ამ სიტუაციიდან გამოსავალი მოიძებნა ესტონეთის პროტესტანტულ-ლუთერანულ ეკლესიასთან არსებულ თეოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით. თეოლოგიის ფაკულტეტი, როგორც საჯარო უნივერსიტეტის ნაწილი, სრულად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რაც შეეხება ეკლესიის სიტყვის თავისუფლებას, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ანალოგიურ უფლებას, იცავს ესტონეთის კონსტიტუციის 44-ე, 45-ე და 46-ე მუხლები. რელიგიური ორგანიზაციების უფლებას, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია, კანონი არეგულირებს.¹³⁹ აქტი “მამუწყებლობის შესახებ” ადგენს ძირითად პირობებს საზოგადოებრივი და კერძო სამუწყებლო ორგანიზაციებისთვის. ამ კანონის და ორგანიზაციების მიერ მიღებული სამუწყებლო ლიცენზიების თანახმად მათ აქვთ უფლება, თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი პროგრამების შინაარსი. საზოგადოებრივი სამუწყებლო ორგანიზაციებია ესტონეთის ტელევიზია და ესტონეთის რადიო. ორივე ორგანიზაციას დადებული აქვს ხელშეკრულება ესტონეთის საეკლესიო საბჭოსთან რელიგიური თემების გასაშუქებლად პროგრამების უზრუნველყოფის შესახებ. ესტონეთის საეკლესიო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს ამა თუ იმ წევრისთვის გამოსაყოფი საეთერო დროისა და პროგრამის შინაარსის შესახებ. ამ პროგრამების დაფინანსების ძირითად წყაროს კი რელიგიური ორგანიზაციები წარმოადგენენ. ესტონეთის საეკლესიო საბჭო აგრეთვე სარგებლობს მისთვის დახმარების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფონდებით. ასევე არსებობს ბევრი კერძო რადიოსადგური, რომლებიც ძირითადად კონფესიური ხასიათის პროგრამებს გადასცემენ.

დღეს ნებისმიერ პირს შეუძლია თავისუფლად გამოსცეს გაზეთები, პერიოდული გამოცემები და წიგნები. სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულია

139 RT I 1994, 42, 680; RT 1 2003, 83, 560.

გარკვეული შინაარსის მასალების გამოცემა, როგორცაა ომის პროპაგანდა ან რასობრივი ან რელიგიური შეუწყნარებლობის გაღვივება. ბევრ რელიგიურ ორგანიზაციას საკუთარი გაზეთი აქვს. 1991 წელს დაარსდა არამომგებიანი ორგანიზაცია “ესტონეთის პრესის საბჭო”, რომელიც 1997 წლიდან აწვევს გაზეთების ასოციაციას, მაუწყებელთა ასოციაციას, ჟურნალისტთა კავშირს, მედიის განმანათლებელთა კავშირს, მომხმარებელთა კავშირს, არამომგებიან ორგანიზაციას და ფონდების ქსელს და ესტონეთის საეკლესიო საბჭოს. ყველა წერილი ორგანიზაცია პრესის საბჭოში წარადგენს 1-3 კანდიდატს. პრესის საბჭოს ძირითადი ამოცანებია: პრესის თავისუფლების დაცვა, ბეჭდვით და სამაუწყებლო მედიაში ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა, ჟურნალისტთა პროფესიული უნარ-ჩვევების (მათ შორის, ეთიკურის) განვითარების ხელშეწყობა, ჟურნალისტიკის საუკეთესო ტრადიციების დაცვა.

VI. შრომის კანონმდებლობა რელიგიურ გაერთიანებებში

“შრომითი ხელშეკრულების შესახებ” აქტის მე-7 მუხლის თანახმად შრომის კანონმდებლობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც აწარმოებენ რელიგიურ საქმიანობას რელიგიური ორგანიზაციების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია მოცემული ორგანიზაციის შიდაგანაწესით.¹⁴⁰ ეს ის შემთხვევაა, როდესაც შიდაგანაწესით გათვალისწინებულია ამ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. ამ დადგენილების ზუსტი განმარტება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. შესაძლებელია ვარაუდი, რომ ეს მუხლი ვცელდება მხოლოდ მღვდლებზე, ლეთისმსახურებზე და რელიგიური ორგანიზაციების მესვეურებზე, თუმცა, ამ მუხლის შინაარსი ბოლომდე გასაგები არ არის. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ აღნიშნულ პირებთან გააფორმონ ან არ გააფორმონ ხელშეკრულება. სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მიდგომა აქვთ.¹⁴¹ შრომის კანონმდებლობის მიზანია რელიგიებისთვის უფრო ფართო ავტონომიის მინიჭება დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

140 RT I 1992, 15, 241; RT 1 2000, 25, 144

141 მაგალითად, ესტონეთის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის მღვდლებს არ აქვთ შრომითი ხელშეკრულებები. მათი სარგებელის ოდენობას, როგორც წესი, კონგრეგაციის საბჭო განსაზღვრავს. ამგვარად, საბჭოს სხდომათა ოქმი არის სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გადახდის საფუძველი.

VII. საქონინო და საოჯახო სამართალი

ესტონეთის დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში (1918-1940) 1926 წლის აქტი “საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ”¹⁴² ესტონეთის სამღვდლოებას აძლევდა ქორწინების რეგისტრაციის უფლებას. სამოქალაქო იურიდიული ძალის მქონე ქორწინებების რეგისტრაციის უფლება მათ 1940 წელს ჩამოერთვით და კვლავ დაუბრუნდათ 2001 წლის დეკემბერში. ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ უფლების მინიჭების საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული. თუმცა, XX საუკუნის 90-იან წლებში არც საზოგადოება და არც ეკლესია ამ ცვლილებისთვის მზად არ იყო. ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა 2000 წელს, როდესაც წამოყენებული იქნა რამდენიმე წინადადება კანონის შეცვლის თაობაზე. საბოლოოდ, 2001 წლის მაისში ესტონეთის პარლამენტმა “ოჯახის შესახებ” კანონში შეიტანა შესწორებები. ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 2001 წლის დეკემბერში. კანონის თანახმად იმ სასულიერო პირს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიიღებს შესაბამის ნებართვას, მიენიჭება სამოქალაქო ქორწინების ჩატარების უფლება. ამგვარად, სახელმწიფომ კი არ აღიარა რელიგიური ქორწინების კონცეფცია, არამედ შესაძლებელი გახადა სასულიერო პირების და ეკლესიის, კონგრეგაციის და კონგრეგაციათა ასოციაციისთვის სარეგისტრაციო ბიუროს უფლებამოსილებების გადაბარება. საოჯახო სამართლის თანახმად შესაბამისი უფლებებით აღჭურვილ სასულიერო პირს შეუძლია უარი თქვას ქორწინების ჩატარებაზე, თუ ქორწინების მხარეები ეწინააღმდეგებიან ეკლესიის, კონგრეგაციის და კონგრეგაციების ასოციაციის მიერ ქორწინებისთვის დადგენილ რელიგიურ პირობებს.¹⁴³

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლია სასულიერო პირებს მისცეს სამოქალაქო ქორწინების ჩატარების უფლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმატებით გაივლიან სამინისტროს მიერ სხვა სარეგისტრაციო ბიუროებთან ერთად ორგანიზებულ ტრენინგის პროგრამას. სამინისტროს აგრეთვე შეუძლია უარი თქვას სასულიერო პირისათვის ასეთი ნებართვის გაცემაზე, რისი საფუძველიც საკმაოდ შეზღუდულია. ამგვარად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლი მინიმუმამდეა დაყვანილი. სამოქალაქო ქორწინების ჩატარების უფლების მისაღებად განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტის

142 RT 1 1925, 191/192, 110.

143 ამის საპირისპიროდ, 1926 წლის კანონით სასულიერო პირები ვალდებული იყვნენ, აღერიცხათ არა მხოლოდ მათი ეკლესიის წევრები, არამედ ყველა სხვა პირიც. ისინი თვითონაც ზედბოდნენ ამის აუცილებლობას, რადგანაც ეს მეთოდი იძლეოდა განახლებად სტატისტიკურ მონაცემებს ოჯახური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ, რაც წინამორბედი სისტემით ვერ ხერხდებოდა.

შესაბამისად რეგისტრირებულ ეკლესიებს, კონგრეგაციებსა და კონგრეგაციების ასოციაციებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლია ასეთი რეგისტრაციის გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირი არ შეასრულებს სამოქალაქო ქორწინებას კანონის შესაბამისად. სამინისტროს ასევე შეუძლია რეგისტრაციის გაბათილება ეკლესიის, კონგრეგაციისა თუ კონგრეგაციათა ასოციაციის რეკომენდაციის საფუძველზე.

VIII. ეკლესიების დაფინანსება

რადგანაც ესტონეთს სახელმწიფო ეკლესია არა აქვს (კონსტიტუციის მე-40 მუხლი), აქ არც უშუალო საეკლესიო გადასახადი არსებობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკლესიის შენობებს, როგორც წესი, აქვთ ისტორიული, კულტურული და მხატვრული ღირებულება, კანონის თანახმად სახელმწიფო ვალდებულია მოიძიოს დამატებითი სახსრები, რათა დაეხმაროს ეკლესიებს და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს ამ შენობების შენახვაში. ასეთი სახსრების მოძიება, რასაკვირველია, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული.

გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონის¹⁴⁴ და რესპუბლიკის მთავრობის 2000 წლის 21 მარტის №89 დადგენილების საფუძველზე ესტონეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომელიც ადგენს გადასახადებისგან განთავისუფლებულ ორგანიზაციების ჩამონათვალს.¹⁴⁵ საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონის მე-11 (2) მუხლის თანახმად რელიგიური ორგანიზაციები ავტომატურად თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. გადასახადებისგან განთავისუფლებულ არამომგებიან ორგანიზაციათა სიაში მოსახვედრად სხვა არამომგებიანმა ორგანიზაციებმა (მათ შორის, ჰუმანიტარულმა ასოციაციებმა და რელიგიურმა საზოგადოებებმა) წინასწარი განაცხადი უნდა გააკეთონ. ეს კი ნიშნავს, რომ გარკვეული საფუძველების არსებობისას, ამ სტატუსზე ორგანიზაციას შეიძლება უარი ეთქვას. თუმცა, პრაქტიკულად, ამ სიაში მოხვედრა ძნელი არ არის.

რელიგიური ასოციაციები აგრეთვე სარგებლობენ დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული პრივილეგიებით, რაც, ძირითადად, გადასახადის

144 RT I 1993, 79, 1184.

145 RT I 1996, 48, 946.

ჩვეულებრივ სიდიდესთან შედარებით შეღავათიანი ოდენობის გადახდას გულისხმობს. მაგალითად, 2005 წლის 1 ივლისამდე რელიგიურ ორგანიზაციებს შეეძლოთ ელექტროენერჯის შეძენა 5%-იანი დღგ-ით ჩვეულებრივი 18%-იანი დღგ-ის ნაცვლად¹⁴⁶. ეს შეღავათი არ ეხებოდა სხვა არამომგებიან ორგანიზაციებს.

რელიგიური გაერთიანებები განთავისუფლებულია მიწის (ქონების) გადასახადისგან. მიწის გადასახადი არ ვრცელდება მიწის იმ ნაკვეთებზე, სადაც მიმდინარეობს ეკლესიების და კონგრეგაციების ღვთისმსახურება (აქტი “მიწის გადასახადის შესახებ”, მე-4 მუხლი (5)). ამ გადასახადისგან განთავისუფლებული არ არის საერო არამომგებიანი ორგანიზაციების ქონება.

მოცემული მაგალითები მიუთითებს იმ განსხვავებებზე, რომლებიც არსებობს რელიგიური და სხვა არამომგებიანი ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობას შორის. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან სახელმწიფო აქტიურად ეხმარება ესტონეთის საეკლესიო საბჭოს. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედის 10 სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანული ეკლესია, მათ შორის, ორი უდიდესი – ესტონეთის ევანგელურ-ლუთერანული და ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია. საბჭო თავისი წესდების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ეკლესია შევა მის შემადგენლობაში. სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის პარალელურად შესამჩნევია საბჭოსთვის გამოყოფილი სახსრების ზრდის ტენდენცია. მაგალითად, 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბჭოს 4 900 000 მილიონი ესტონური კრონა (დაახლოებით €314,103) გამოეყო¹⁴⁷, მაშინ, როცა 2000 წელს ეს თანხა შეადგენდა 1 945 000 მილიონ ესტონურ კრონას.¹⁴⁸ ასეთი დაფინანსება იწვევს დავას იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში საუბარი იმ გადასახადების გადამხდელთა რელიგიური თავისუფლების შელახვაზე, რომლებიც საბჭოში შემავალ არც ერთ ეკლესიას არ მიეკუთვნებიან. სახელმწიფო არ კარნახობს საბჭოს, თუ როგორ უნდა დახარჯოს მიღებული ფულადი სახსრები.

სახსრების გამოყოფა წარმოებდა ესტონეთის პროტესტანტულ-ლუთერანული ეკლესიის გაზეთის გამოცემისთვისაც. ასეთი სახის დაფინანსების კონსტიტუციური საფუძველი და, ზოგადად, ესტონეთის ეკლესიათა საბჭოს და ლუთერანული ეკლესიის ამგვარი პრივილეგირებული მდგომარეობა არაქრისტიანულ საზოგადოებებში ბევრ კითხვას იწვევს.

146 RT I 2001, 64, 368 (ძალაშია 2002 წლის 1 იანვრიდან).

147 RT I 2004, 1, 1.

148 RT I 2000, 1, 1.

საგრძნობი ფინანსური დახმარება (35 500 000 მილიონი) მიიღო ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც¹⁴⁹. ეს განაპირობა სახელმწიფოს, ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიასა და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებულმა შეთანხმებამ ქონებასთან დაკავშირებული იურიდიული დავის გადასაწყვეტად, რომელიც ამ ორ ეკლესიას შორის არსებობდა.¹⁵⁰

IX. რელიგიის როლი სახელმწიფო დანესებულებაში

სახელმწიფო დანესებულებებში რელიგიური თავისუფლების დაცვას არეგულირებს 2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტის მე-9 (1) მუხლი. ამ მუხლის თანახმად “სამედიცინო, საგანმანათლებლო, სოციალური უზრუნველყოფის, თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში და შეიარაღებულ ძალებში მყოფ პირებს აქვთ უფლება, შეასრულონ რელიგიური რიტუალები თავიანთი სარწმუნოების მიხედვით, თუ ეს არ იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის, მორალის ნორმების, ამ დანესებულებებში დადგენილი წესების დარღვევას, საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან დანესებულებაში მყოფ სხვა ადამიანთა უფლებებს”. სახელმწიფო დანესებულებებში რელიგიური მსახურების ძირითადი პირობები ჩამოყალიბებულია 2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტის მე-9 (2) მუხლში. ამ მუხლის თანახმად რელიგიურ საზოგადოებას უფლება აქვს შეასრულოს რელიგიური მსახურება და რელიგიური რიტუალები სამედიცინო, საგანმანათლებლო და სოციალური უზრუნველყოფის დანესებულებაში მხოლოდ ამ დანესებულების მეპატრონის ან უფროსის ნებართვით, თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში – ციხის უფროსის ნებართვით, შეიარაღებულ ძალებში – სამხედრო ნაწილის მეთაურის ნებართვით, ხოლო თავდაცვის ქვედანაყოფებში – სამხედრო ერთეულის მეთაურის ნებართვით.

149 RT I, 2003, 3, 18; RT I, 2004, 1, 1.

150 ესტონეთის რესპუბლიკისა და ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას და მოსკოვის საპატრიარქოს ესტონეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და ესტონეთის რესპუბლიკის შორის 2002 წლის 4 ოქტომბერს ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას (ხელშეკრულებას).

X. სისხლის სამართალი და რელიგია

განახლებული სისხლის სამართლის კოდექსი¹⁵¹, რომელიც მიღებულია 2001 წლის 6 ივნისს, შეიცავს რამდენიმე დებულებას პირის და ფგუფის რელიგიის თავისუფლების შესახებ. ამ კოდექსით აგრეთვე გათვალისწინებულია რელიგიის თავისუფლების შელახვის აღსაკვეთად აუცილებელი ზომები. სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი ითვალისწინებს აღმკვეთ ღონისძიებებს პირის რელიგიურ კუთვნილებასა თუ რელიგიურ საქმიანობაში ჩარევისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კუთვნილება და საქმიანობა ზიანს აყენებს სხვა ადამიანთა მორალს, უფლებებს ან ჯანმრთელობას, ანდა არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. ადამიანის იძულება, შეუერთდეს ან განეკუთვნოს რომელიმე რელიგიურ საზოგადოებაში, ისჯება ჯარიმით ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით (სისხლის სამართლის კოდექსი, 155-ე მუხლი). კოდექსის 152-ე მუხლი აგრეთვე ითვალისწინებს აღმკვეთ ღონისძიებებს თანასწორობის პრინციპის დარღვევისთვის: “ადამიანის უფლებათა დარღვევა ან უკანონო პრივილეგიების მინიჭება რელიგიურ ნიადაგზე ისჯება ჯარიმით ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით”. ისეთი საქმიანობა, რომელიც საჯაროდ მოუწოდებს ძალადობისკენ რელიგიურ ნიადაგზე, ისჯება ჯარიმით ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით (სისხლის სამართლის კოდექსი, 151-ე მუხლი).

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ესტონურ სამართალში შეიტანა ახალი კონცეფცია – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იურიდიული პირებისთვის. გარკვეული სახის დანაშაულისათვის რელიგიური ორგანიზაცია შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით ლიკვიდაციას. ამის საფუძველი მოცემულია კონსტიტუციის 48-ე (3) მუხლში: “აკრძალულია ისეთი საზოგადოებები, რომლებიც თავიანთი მიზნებით და მოქმედებებით არღვევენ სისხლის სამართლის კოდექსს”.

ახალი სისხლის სამართლის პროცესი¹⁵², რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ივლისს, ითვალისწინებს სასულიერო პირის მიერ სარწმუნოებრივი საიდუმლოების შენახვის უფლებას. კოდექსი აშკარად ცდილობს, მოძებნოს კომპრომისი სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფასა და სასულიერო პირთა რელიგიურ თავისუფლებას შორის. კოდექსის თანახმად ესტონეთში რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებში შემავალ სასულიერო პირებს აქვთ უფლება, უარი თქვან მოწმის სახით ჩვენებების მიცემაზე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათი პროფესიული მოვალეობების

151 RT I 2001, 61, 364 (ძალაშია 2002 წლის 1 სექტემბრიდან).

152 RT I 2003, 27, 166.

შესრულებისას (სისხლის სამართლის პროცესი, მუხლი 72-ე). კანონის თანახმად იგივე უფლება აქვს სასულიერო პირთა დამხმარე პერსონალს. თუმცა, ჩვენების მიცემა შეიძლება მათთვისაც სავალდებულო გახდეს ეჭვმიტანილის და ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნებულია, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ არის დაკავშირებული დამხმარე პერსონალის სასულიერო თუ პროფესიულ საქმიანობასთან, მას შეუძლია მოითხოვოს ამ პირისგან ჩვენების მიცემა. ეს უკანასკნელი დებულებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს არა მარტო საეკლესიო სამართლის ნორმებს, არამედ 2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტსაც¹⁵³. ეს მუხლი კატეგორიულად აცხადებს, რომ სასულიერო პირს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ადამიანის აღსარებისა თუ მრევლის რომელიმე წევრთან სულიერი ხასიათის საუბრის შედეგად და იმ პირის ვინაობა, რომელმაც მას აღსარება ჩააბარა ან რომელთანაც მას მსგავსი საუბარი ჰქონდა. აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ასპექტი, კერძოდ ის, რომ სასამართლო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას მონმის მიწვევის საკითხზე, განმარტავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა “სასულიერო პირი”, “დამხმარე პერსონალი”, და “პროფესიულ მოვალეობებთან დაკავშირებული”. აქედან გამომდინარე, მომავალში სასამართლო პრაქტიკის საქმე იქნება იმის გადაწყვეტა, თუ რა დონის ავტონომია მიენიჭება რელიგიურ ორგანიზაციებს ამ ცნებების განსაზღვრაში.

XI. სასულიერო პირების იურიდიული სტატუსი

ესტონეთში სასულიერო პირებს არ გააჩნიათ განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი, თუმცა, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. როგორც ზევით აღინიშნა, შრომის კანონმდებლობა სასულიერო პირებთან დაკავშირებით ადგენს გამონაკლისებს, რაც არ შეიძლება მხოლოდ სამღვდელოების პრივილეგიად ჩაითვალოს. გამონაკლისები დადგენილია იმისთვის, რომ პატივი სცენ ეკლესიის და რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიას. სამღვდელოების, ეკლესიაში და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებში მომუშავე პირების შრომის ანაზღაურება ხდება ამავე რელიგიური ორგანიზაციების მიერ.¹⁵⁴ როგორც უკვე აღინიშნა, აღმსარებლობის საიდუმლოება კანონით არის დაცული. აგრეთვე შემუშავებული იქნა რამდენიმე

153 აღსანიშნავია, რომ 22-ე მუხლი განსაზღვრავს სასულიერო პირთა მოვალეობას და არა უფლებას.

154 აგრეთვე იხილეთ “შრომითი სამართალი და რელიგიური საზოგადოებები”.

დადგენილება რელიგიური მოღვაწის პროფესიული უნიფორმის დასაცავად. ამა თუ იმ სარწმუნოების ან მიმდინარეობის რელიგიური მოღვაწის პროფესიული ტანსაცმლის ტარების უფლება გაიცემა მხოლოდ შესაბამისი რელიგიური გაერთიანების ნებართვით და ამ გაერთიანების სტატუტის თანახმად. ასეთი შეზღუდვა ძალაშია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რელიგიური მოღვაწის პროფესიული ჩაცმულობის ფორმა ჩვეულებრივი ტანსაცმელია (2002 წლის ეკლესიების და კონგრეგაციების შესახებ აქტი, 21-ე მუხლი).

კანონი არ ზღუდავს სასულიერო პირების უფლებას, არჩეული იყვნენ პარლამენტში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში. ბევრი სასულიერო პირი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევა.

XII. სამოქალაქო საეკლესიო სამართლის გარკვეული საკითხები და მოვლენების განვითარება

დღემდე ესტონეთის უმაღლეს სასამართლოში განხილული იქნა მხოლოდ რამდენიმე საქმე, სადაც აპელირება გაკეთდა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებზე. საერთოდ, ესტონეთის სასამართლოებში რელიგიის და რწმენის თავისუფლების პრობლემასთან დაკავშირებით აღძრული საქმე ძალიან იშვიათია. მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთში ცალკეული ადამიანის თუ ჯგუფის თავისუფლება დაცულია, სახელმწიფოს და ეკლესიას (რელიგიურ ორგანიზაციებს) შორის ურთიერთობა განვითარების სტადიაშია. როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიის მხრიდან აშკარაა ყოყმანისა და ცოდნის ნაკლებობის ნიშნები – ეს კი ხელს უშლის სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

XIII. ბიბლიოგრაფია

- M. Ketola, 'Some aspects of the Nationality Question in the Lutheran Church of Estonia, 1918-39', *Religion, State and Society* (Oxford: Keston Institute, 1999), vol. 27, no. 2.
- M. Kiviorg, 'Church Autonomy in Estonia' in Robbers, G. (ed.). *Church Autonomy. A Comparative Survey*, Peter Lang: Frankfurt am Main, 2001, p. 285-301.
- M. Kiviorg, *Law, Religion and Politics, Rechtstheorie. Zeitschrift für Logik, Methodenlehre, Kybernetik und Soziologie des Rechts*, Berlin: Duncker-Humblot, 2001.
- M. Kiviorg, *Legal Status of Religious Communities in the Realms of Public and Private Law*, *Juridica International. Law Review University of Tartu*, 2001, VI, p. 169-177.
- P. Valk, *Development of the Status of Religious Education in Estonian Schools. European and Local Perspectives*, Conference on Law, Religion and Democratic Society, Estonia, University of Tartu, 1999.
- P. Roosma, *Protection of Fundamental Rights and Freedoms in Estonian Constitutional Jurisprudence*, *Juridica International*, Vol. IV, 1999, p. 35-44.
- R. Ringvee, *Religious Freedom and Legislation in Post-Soviet Estonia*, 2001 *BYU L. Rev.* 631-642.

სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში

I. სოციალური ფაქტები

ბერძენთა უმრავლესობა, ქვეყნის ბერძენი მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის 95 %, მონათლულია აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. რაოდენობრივად მცირერიცხოვანია მოსახლეობის შემდეგი შემადგენლობა: მუსლიმანები (რომლებიც ძირითადად დასავლეთ თრაკიაში ცხოვრობენ), კათოლიკეები, პროტესტანტები, იელოვას მონაწილეები, სომხები და ებრაელები. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია ბერძნული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე, იგულისხმება მართლმადიდებლური ეკლესია. ბოლო წლებში საბერძნეთში მნიშვნელოვნად იმატა ლეგალური და არალეგალური ემიგრანტების რიცხვმა, რომელთა უმრავლესობა მუსლიმანი ალბანელები არიან.

II. ისტორიული საკითხების ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თეორიული ბაზაა ცეზაროპაპიზმის განვითარებული ფორმა, რომელსაც ბერძნულ ლიტერატურაში “სახელმწიფო კანონის უზენაესობას” უწოდებენ. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოსცეს კანონები ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა ადმინისტრაციულ საკითხზე, თუნდაც ეს ეკლესიის შიდა სტრუქტურას ეხებოდეს. ამ საკითხთან დაკავშირებულ ხშირ კრიტიკას იგერიებენ იმ არგუმენტით, რომ ამგვარ პრაქტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც სწორი არაა. რასაკვირველია, ჭეშმარიტებას შეესაბამება ფაქტი, რომ ბიზანტიის ქრისტიანულ იმპერიაში ცეზაროპაპიზმი ნამდვილად ძალაში იყო. თუმცა კონსტანტინოპოლის

დაცემის შემდეგ (1453წ.) მოხდა ინსტიტუციური ცვლილება. მეჰმედ II დამპყრობელმა პოლიტიკური ძალაუფლება გადასცა ეკლესიას: ოტომანთა იმპერიის წინაშე კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი პასუხისმგებელი იყო ყველა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ საქმიანობაზე, რომლებიც სახელმწიფოს მმართველობას ეხებოდა. 1821 წლის დამოუკიდებლობის ომის დროს განვითარდა ახალი ურთიერთობა: საბერძნეთის კონსტიტუციებმა არა მხოლოდ დააკანონა აღმოსავლური მართლმადიდებლური რწმენა, როგორც გაბატონებული რელიგია ან “სახელმწიფო რელიგია”, არამედ უზრუნველყო რწმენის თავისუფლება სხვა რელიგიების წარმომადგენლებისთვისაც. კონსტიტუციები არ შეიცავდა დებულებებს, რითაც სახელმწიფოს უფლება ჰქონდა გამოეცა კანონები საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით. 1831 წელს დიდმა სახელმწიფოებმა საბერძნეთს თავს მოახვია აბსოლუტური მონარქია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრინცი ოტო ბავარიელი. პრინცის არასრულწლოვანების გამო შეიქმნა რეგენტული მმართველობა, რომელიც სამი წევრისგან – ბავარიელი ოფიცრებისაგან – შედგებოდა. 1833 წლის აპრილში რეგენტების მიერ გამოქვეყნდა დეკრეტი 3(15)/14(27), რომელიც ამკვიდრებდა “სახელმწიფო კანონის უზენაესობას”. მცირე ხნის შემდეგ, 1833 წლის 23 ივლისს (4 აგვისტოს), “საბერძნეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის” დეკრეტით, სახელმწიფო გახდა ექსკლუზიური საკანონმდებლო ორგანო და ეკლესია გამოცხადდა მონარქის დაქვემდებარებაში, რომელიც ამავდროულად მისი ხელმძღვანელიც იყო. 1844 წლის კონსტიტუციის 105-ე მუხლი შეიცავდა დებულებას ეკლესიის მართვის საკითხებზე, მასში აღნიშნული იყო, რომ ეკლესიის მართვა შეიძლებოდა სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

არსებული ახალი ვითარება დაამკვიდრა გეორგ ლუდვიგ ფონ მორირმა 1833 წელს. მორირი ერთ-ერთი რეგენტი და ცნობილი იურისტი იყო. მისი წყალობით თანამედროვე საბერძნეთი ფლობს კოდიფიკაციის მნიშვნელოვან სისტემას. თუმცა მორირმა ვერ მიაღწია წარმატებას იმ დებულებების შემუშავების მხრივ, რომლებიც აყალიბებდა ეკლესიასთან ურთიერთობას და განსაზღვრავდა ავტოკეფალიის საკითხებს.

მართლმადიდებლურ ეკლესიაზე სახელმწიფოს გავლენის დამყარების რამდენიმე მიზეზი არსებობდა: თავად მონარქიის ბუნება, მორირის შიში, რომ ეკლესია გახდებოდა რეჟიმის ოპონენტების თავმოყრის ცენტრი, რაც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ იყო თურქეთის ოკუპაციის პერიოდში ეკლესიის პოზიციის გათვალისწინებით. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ მისი ძალისხმევა ეკლესიის მსახურთა კულტურული და საყოფაცხოვრებო დონის ასამაღლებლად, რომელიც შორს იყო სასურველისგან.

III. სამართლებრივი წყაროები

1. კონსტიტუცია

1844 წლის კონსტიტუციის “სახელმწიფო კანონის უზენაესობის” დებულება საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით არ შევიდა 1864, 1911, 1927, და 1952 წლების კონსტიტუციებში. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავდა, რომ მან შეწყვიტა მოქმედება. იგივე დებულება შევიდა კანონით დადგენილ საეკლესიო წესდებაში, რომელსაც სახელმწიფო კანონის ძალა ჰქონდა. ეს დებულება კვლავ ჩნდება სამხედრო ხუნტის მიერ შემუშავებულ 1968 წლის კონსტიტუციაშიც. მუხლი 1(5)-ლი შეიცავდა დებულებას, რომლის მიხედვითაც ეკლესიის მართვასთან დაკავშირებული არც ერთი კანონი არ უნდა ყოფილიყო განხილული წმინდა სინოდთან კონსულტაციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოცი დღის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა. ასეთი პირობა არის შეტანილი ამჟამად მოქმედ 1975 წლის კონსტიტუციაშიც (72(1)-ე მუხლი). კანონპროექტები, რომლებიც ეხება მე-3 (ეკლესიის პოზიცია) და მე-13 (რელიგიის თავისუფლება) მუხლებს, პარლამენტმა შეიძლება განიხილოს მხოლოდ პლენარულ სესიაზე და არა საზაფხულო სესიაზე.

2. სისტემის ძირითადი კატეგორიები

კონსტიტუციის მე-3(1) მუხლი შეიცავს შემდეგ ძირითად მოსაზრებებს საბერძნეთის ეკლესიის პოზიციასთან დაკავშირებით, ასევე მის ურთიერთობას სახელმწიფოსთან: მართლმადიდებლური ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრება უპირატესი რელიგიაა; საბერძნეთის ეკლესია დოქტრინით განუყოფლად არის დაკავშირებული კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან და სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან; ეკლესია არის თვითმართვადი და ავტოკეფალიური.

მე-3 მუხლის ყველა დებულება ახალი არ არის, ისინი ამა თუ იმ ფორმით უკვე შეტანილი იყო ყველა წინა კონსტიტუციაში.

ა) უპირატესი რელიგია

1952 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით ახლანდელი კონსტიტუცია შეიცავს რამდენიმე მუხლს უპირატესი რელიგიის განსაკუთრებულ ასპექტებთან დაკავშირებით. ეს ასპექტები ეხება დებულებებს, რომელთა მიხედვითაც ტახტის მემკვიდრე უნდა იყოს მართლმადიდებელი და მეფედ კურთხევის დროს მეფე წმინდა სინოდის წინაშე დგას

ფიცს, რომ დაიცავს სახელმწიფო რელიგიას. რაც შეეხება დანარჩენს, კონსტიტუციის შესავალი ფრაზა (წმინდა სამების თაობაზე) არ შეცვლილა; იგივე ეხება ფიცს, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი (33(2)-ე მუხლი) და პარლამენტის წევრები დებენ (59(1)-ე მუხლი). არ შეიცვალა ტერმინი “უპირატესის” სამართლებრივი მნიშვნელობაც და უნინდებურად იგი ნიშნავს: (1) მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა არის ბერძნული სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია, (2) ეკლესიას, რომელიც ამ რწმენას განასახიერებს, აქვს თავისი სამართლებრივი სტატუსი: თავის სხვადასხვა სამსახურთან ერთად იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია სამართლებრივ ურთიერთობებში: (მუხლი 1(4)-ლი L. 590/1977 საბერძნეთის ეკლესიის საკანონმდებლო წესდებასთან დაკავშირებით) და (3) სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული და ხელშემწყობია, რაც არ ვრცელდება სხვა რწმენებსა და რელიგიებზე. ზემოაღნიშნული არ არღვევს თანასწორობის საკონსტიტუციო პრინციპებს, რაც ქვემოთ იქნება განმარტებული.

ზემონახსენები განსაკუთრებული მიდგომა გულისხმობს: (1) დამოკიდებულებას თავად ეკლესიასა და არა მის წევრებთან ინდივიდუალურად, რაც შეესაბამება თანასწორობის პრინციპს, რადგან სხვა შემთხვევაში არამართლმადიდებლების მიმართ სხვაგვარმა მოპყრობამ შესაძლოა გამოიწვიოს მოქალაქეების დისკრიმინაცია მათი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე; (2) უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საბერძნეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას და საბერძნეთში არსებულ მსოფლიო საპატრიარქოს ყველა სხვა საეპარქიოს, მაგრამ აგრეთვე ვრცელდება აღმოსავლეთის ყველა სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებზე, ისევე როგორც დიასპორის კუთვნილ ეკლესიებზე (მაგ. 18(8)-ე მუხლი); (3) ხელს უწყობს ზოგადად და არ გულისხმობს დაპირისპირებას რომელიმე კონკრეტულ რწმენასთან ან რელიგიასთან და მის კულტთან; და (4) არ უნდა ჩათვალოს არაკონსტიტუციურად. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიყვანოთ ქალაქი პატრას მაგალითი (საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება 261/1983) იმის თაობაზე, რომ L.D.3485/1955 დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, ელექტროენერჯის ყველა მომხმარებელი ამ ქალაქში იძულებულია გადასახადთან ერთად გაილოს ე.წ. სპეციალური შესანიერი წმ. ანდრეას ეკლესიის მშენებლობისათვის. ეს დაკვალიფიცირდა როგორც აშკარად არაკონსტიტუციური ქმედება.

ტერმინი “უპირატესის” რეალურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლური რწმენის, როგორც ოფიციალური რელიგიის (ან სახელმწიფო რელიგიის), დამკვიდრების გარდა, სხვა პრივილეგიები ვრცელდება არა მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. ფაქტობრივად ნაწილობრივ მანც რომაულ-კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საბერძნეთში და აქედან გამომდინარე, ახორციელებს საჯარო ადმინისტრირებას. ეს მართებულია

სიტუაციისთვის, რომელიც არსებობდა L.1230/1982-ის დებულების ძალაში შესვლამდე და ეხებოდა სამოქალაქო ქორწინებას. ლიცენზიის მიღება ასეთი ქორწინებისათვის არამართლმადიდებელ მღვდელს შეეძლო თავისი ეკლესიის წევრისათვის (იმ პერიოდისთვის ძალაში მყოფი სამოქალაქო კოდექსის 1368-ე მუხლის შესაბამისად). რაც შეეხება უპირატესი რელიგიის მიმართ საჯარო კანონმდებლის მხრიდან ხელშემწყობ მოპყრობას, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ იგი აგრეთვე ვრცელდება სხვა რელიგიებზე. აქვე უნდა ვახსენოთ L.1763/1988, რომელიც ეხება სამხედრო ვალდებულებას (პუნქტი მე-6(1)(c)), რომლის მიხედვითაც ყველა ბერი და მორჩილი, მართლმადიდებლური თუ სხვა რწმენის, თავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან. აგრეთვე L.D. 3843/1958 საშემოსავლო გადასახადთან და L.D. 1249/1982 ქონების გადასახადთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით საგადასახადო შეღავათი ვრცელდება როგორც მართლმადიდებლურ, ასევე არამართლმადიდებლურ ეკლესიებსა და მონასტრებზე. გარდა ამისა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 21-ე (L.D. 22 აპრილი/6 მაისი 1926) მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ მონასტრების უძრავი ქონება არ შეიძლება გადავიდეს მესამე მხარის საკუთრებაში, მართებული იყოს რომაულ-კათოლიკური ეკლესიისთვისაც.

ბ) მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი ერთიანობა

იმისდა მიხედვით, თუ მართვის რა ფორმაა გამოყენებული, მართლმადიდებლური ეკლესია შეიძლება იყოს ავტოკეფალიური ან ავტონომიური. ეკლესია ითვლება ავტოკეფალიურად, როდესაც იგი სულიერ საკითხებთან დაკავშირებით თვითუზრუნველყოფილია და დამოუკიდებელი მართვის მქონეა. ეკლესია ავტონომიურია, როდესაც მხოლოდ დამოუკიდებელი ადმინისტრირების მქონეა. ამჟამად ავტოკეფალიური ეკლესიის სახელს ატარებს შემდეგი ეკლესიები: კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო და ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და საქართველოს საპატრიარქოები; ასევე კვიპროსის, პოლონეთის, საბერძნეთის, ალბანეთის, ჩეხეთის რესპუბლიკის და სლოვაკეთის საარქიეპისკოსოები. ფინეთის და ესტონეთის მართლმადიდებლური ეკლესიები ავტონომიურია. ავტოკეფალიური ეკლესიები დამოუკიდებელნი არიან მართვის თვალსაზრისით დოგმატურ და კანონიკურ ფარგლებში, საიდანაც გამოსვლამ შეიძლება გამოიწვიოს ერესი ან განხეთქილება (სქიზმა). ეს სტრუქტურა წარმოადგენს მართლმადიდებლობის სულიერ მთლიანობას, რომელსაც განიხილავენ დოგმატური და კანონიკური ერთიანობის სახით. დოგმატური ერთიანობა მდგომარეობს წმინდა წერილის მიმდევრობაში, ტრადიციების პატივისცემასა და დოგმების მკაცრ დაცვაში, როგორც ისინი განსაზღვრულია მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და

ადგილობრივი სინოდების მიერ. კანონიერი ერთიანობა შედგება საეკლესიო ადმინისტრირების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტების მკაცრი დაცვისგან, იგი განსაზღვრულია და აღიარებული როგორც საბჭოების და სინოდების მიერ, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიების შიგნით არსებული ურთიერთობებით.

1844 წლის საკონსტიტუციო კანონმდებელმა უკვე განსაზღვრა დოქტრინაში საბერძნეთის ეკლესიის განუყოფელი კავშირი კონსტანტინოპოლში არსებულ ქრისტეს დიდ ტაძარსა და სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან. როგორ მიიღწევა ეს ერთიანობა? ამჟამად კონსტიტუციაში არის შემდეგი სიტყვები: “განუყოფლად გაერთიანებული დოქტრინით”, რომელსაც მოსდევს ფრაზა: “მტკიცედ იცავს, როგორც ისინი, სინოდისა და წმინდა სამოციქულო კანონებს და წმინდა ტრადიციებს”. ზემოთყვანილი ფორმულირება უცვლელი დარჩა 1844 წლიდან და ეხებოდა სულიერ ერთიანობას. თუმცა “სახელმწიფო კანონის უზენაესობის” დამყარების შემდგომ სამართლის თეორია და იურისპრუდენცია მივიდა იმ თვალსაზრისამდე, რომ განვითარების აღნიშნულ ეტაპზე კონსტიტუცია იცავს წმინდა კანონებს. ამ განსხვავებულმა მიდგომამ გამოიწვია ასევე დიამეტრულად განსხვავებული ინტერპრეტაციები, წინააღმდეგობები ამა თუ იმ კანონის კონსტიტუციურ ქმედითობასთან დაკავშირებით და მრავალრიცხოვანი საჩივარი სახელმწიფო საბჭოში (უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო) საზოგადოებრივი და საეკლესიო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების გამო. კონფლიქტი წმინდა კანონების კონსტიტუციური საფუძლიანობის შესახებ მუდმივად აქტიურია საბერძნეთში.

გ) წმიდა კანონების ე.წ. კონსტიტუციურობა

შვიდი მსოფლიო კრების (ჩვენი წელთაღრიცხვის 325-დან 787წწ-მდე), ადგილობრივი სინოდებისა და ეკლესიის მამების მიერ განსაზღვრული ყველა წმინდა კანონი დაკანონებულია კონსტიტუციით, იმის მიუხედავად, ისინი დოგმას ეხება თუ ადმინისტრაციულ საკითხებს. ამრიგად, საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ ძალაში შესული ნებისმიერი კანონმდებლობა, მიუხედავად თავისი მიზნისა, არაკონსტიტუციურია, თუკი იგი ეწინააღმდეგება წმინდა კანონებს. ეკლესია, თეოლოგიური დოქტრინა და ზოგიერთი იურისტი მხარს უჭერს ამ თეორიას.

თუმცა, სხვა თვალსაზრისის მიხედვით, მხოლოდ ეკლესიის დოგმასთან დაკავშირებული წმინდა კანონებია (და არა მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული) კონსტიტუციური. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს შეუძლია თავისუფლად განიხილოს ყველა საკითხი, რომლებიც ზოგადად ეხება ეკლესიის ადმინისტრაციას. ეს არის თეორია, რომელსაც მხარს უჭერს იურისპრუდენცია, იურისტთა უმეტესი ნაწილი და სახელმწიფო ადმინისტრაცია.

ორივე თვალსაზრისი ერთმანეთს ეთანხმება შემდეგი ფრაზების განსხვავებულობაში: “განუყოფლად ერთიანი სარწმუნოებრივ მოძღვრებაში” და “მტკიცედ იცავს იმგვარად, როგორც – ისინი”. ორივე თვალსაზრისის მიხედვით, კონსტიტუციას შემოაქვს ორი საკმაოდ განსხვავებული წესი: (ა) დოგმატური ერთიანობა; და (ბ) წმინდა კანონებისა და ტრადიციისთვის კონსტიტუციური უფლებამოსილების მინიჭება (ან არმინიჭება).

ორივე თეორიამ შესაძლოა წარმოშვას სიძნელები. პირველი თეორიის გატარების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას თეოკრატიული სახელმწიფო და დადგება მოთხოვნა, რომ მოქალაქეთა გათანასწორება იქნეს მიჩნეული არაკონსტიტუციურად, რადგან წმინდა კანონები ყოველთვის მხარს დაუჭერს ქრისტიანებს (იხ. Synod of Troullo-ს კანონი II, ქრისტიანებისა და ებრაელების ურთიერთობებთან დაკავშირებით). მეორე მხრივ, მეორე თეორიის შესაბამისად, ეკლესია შეიძლება გადაიქცეს საჯარო სამსახურად. გარდა დოგმასთან დაკავშირებული საკითხებისა, არსებობს წმინდა კანონები, რომლებიც ადასტურებს ეკლესიის მართლმადიდებლურ ხასიათს, სინოდური სისტემის ჩათვლით. თუმცა, მეორე თეორიის შესაბამისად, კანონმდებელს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს ამ სისტემასთან დაკავშირებით, რადგან წმინდა კანონები, რომლებიც განხილული იქნება, ადმინისტრაციულია.

ყოველივე ზემოთქმული, საბოლოო ჯამში, თავს იყრის კონსტიტუციის ერთი დებულების გარშემო: სახელმწიფოსა და ეკლესიის ვალდებულებაა, უზრუნველყოს ამ უკანასკნელის სულიერი ერთიანობა. ეს დასკვნა მიიღეს როგორც დებულების ტექსტის, ისე მისი საწყისი გამოყენების (1844 წლის კონსტიტუცია) ისტორიული ვითარების გათვალისწინებით. იმ პერიოდისთვის საბერძნეთის ეკლესიას, მსოფლიო საპატრიარქოს და სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის განხეთქილება იყო, იმის გამო, რომ 1833 წლის მოულოდნელი გადაწყვეტილების შედეგად საბერძნეთის ეკლესია გამოცხადდა ავტოკეფალიურად. 1844 წლის კონსტიტუციის პირობების ფორმულირება მოხდა პარლამენტში, რათა გამოცხადებულიყო ახალი სამეფოს ეკლესიის მართლმადიდებლური ხასიათი.

სახელმწიფო საბჭომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო 1967 წელს. მან არა მარტო აღიარა დოგმატურ კანონებთან დაკავშირებული წმინდა კანონების კონსტიტუციური საფუძვლიანობა, არამედ დაადგინა, რომ საზოგადოებრივ კანონმდებელს არ შეუძლია გააგრძელოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში დიდი ხნის დაარსებული ფუნდამენტური ადმინისტრაციული ინსტიტუტების შეცვლა. სახელმწიფო საბჭოს ეს გადაწყვეტილება 1875 წლის კონსტიტუციის ციტირებაა, მუხლი მე-13 (1) და (2) – რელიგიური თავისუფლების შესახებ.

დ) ეკლესიის თვითმმართველობა

ამჟამინდელი კონსტიტუცია, მისი წინამორბედი კონსტიტუციის მსგავსად, ეკლესიის თვითმმართველობის გარანტიას იძლევა. ეკლესიის მართვას ახორციელებს ეპისკოპოსებისგან შემდგარი წმინდა სინოდი. თუმცა 1975 წლის კონსტიტუციაში არის ახალი პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მართავს წმინდა სინოდი (საეკლესიო იერარქია), რომელიც შედგება ყველა მომსახურე ეპისკოპოსისგან (მიტროპოლიტები) და მუდმივმოქმედი წმინდა სინოდისგან, ისიც აგრეთვე მათ მიერაა დაკომპლექტებული.

ეს მოქმედი ეპისკოპოსები არიან პრელატები, რომლებიც რეალურად მართავენ ეკლესიის ეპარქიებს; ის ეპისკოპოსები, რომლებიც აქტიურად არ საქმიანობენ (პენსიაზე მყოფი ეპისკოპოსები), გამოირიცხებიან, ისევე, როგორც წოდების მქონე მიტროპოლიტები. წარსულში, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონფლიქტის არსებობისას, მთავრობას შეეძლო მოეხმო სინოდი, რომელიც შედგებოდა მიტროპოლიტებიდან არჩეული ეპისკოპოსებისგან. ეს უკანასკნელნი პოზიტიურად უნდა ყოფილიყვნენ განწყობილნი არსებული რეჟიმის მიმართ, რათა შეძლებოდათ საქმეების სურვილებისამებრ მოგვარება. ახლა ამის საშიშროება აღარ არსებობს.

იგივე დებულება აცხადებს, რომ საჭიროა განხორციელდეს Patriarchal Tome (1850) ისევე, როგორც პატრიარქალური სინოდის აქტები (1928), რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. კონსტიტუციასთან დაკავშირებული ყველა დებატი, პარლამენტში თუ სახელმწიფო საბჭოში, მიუთითებს, რომ ეს ორი პატრიარქალური დოკუმენტი მხოლოდ მუდმივი წმინდა სინოდის შექმნასთან დაკავშირებით არის ძალაში. ეკლესიის თვითმმართველობა გარანტირებულია კონსტიტუციის 721(1)-ე მუხლის შესაბამისად, სახელდობრ, “სახელმწიფოს კანონის უზენაესობის” თანახმად. ამავე დროს, ყველა აქტი, რომლებიც მომზადებულია სახელმწიფოს მხრიდან ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობაზე უფლებამოსილი პირების მიერ შეიძლება მიიღოს ან უარყოს სახელმწიფო საბჭომ. იგივე შეიძლება ითქვას იმ აქტების შესახებ, რომლებიც მხოლოდ მართვასთან (და არა რელიგიურ ან დოგმატურ საკითხებთან) დაკავშირებულ სამართლებრივი დებულებების განხორციელებას ეხება. სახელმწიფო საბჭოს იურისპრუდენცია ძლიერ მდიდარია, ამავდროულად სულ უფრო ფართოვდება მისი გამოყენების სფერო.

ე) ეკლესიის ავტოკეფალია საბერძნეთში და მისი გამოყენების სფეროები

კონსტიტუციის მე-3(1) მუხლში ნათქვამია, რომ “საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია არის ავტოკეფალური”. ეს დაფიქსირებულია არა მხოლოდ როგორც ფაქტი, არამედ როგორც არსებული მდგომარეობის შენარჩუნების გარანტია. ავტოკეფალიის გაუქმება გამოიწვევს ამ დებულების გადახედვასაც: უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 110(1)-ე მუხლი მიიჩნევს, რომ მოცემული დებულება ექვემდებარება გადახედვას.

“საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია”, რომლის შესახებაც საუბარია მე-3(1) მუხლში, არ აერთიანებს საბერძნეთის სახელმწიფოს ყველა მართლმადიდებელს, ანუ მისი იურისდიქცია არ ვრცელდება მთელ ქვეყანაზე. საბერძნეთის სახელმწიფო იყოფა ხუთ ცალკეულ საეკლესიო პროვინციად თავისი ეკლესიებით, თუმცა ზოგიერთი მათგანი იმავე სინოდური იერარქიის ქვეშაა, მაგრამ განსხვავებულ ადმინისტრაციულ ან სულიერ საფუძველზე.

პროვინციები, რომლებიც დღეს საბერძნეთის ავტოკეფალურ ეკლესიას ეკუთვნის, წინათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იყო. 1821 წლის დამოუკიდებლობის ომის გამო საპატრიარქოსთან ურთიერთობა გაწყდა. ახალი ბერძნული სახელმწიფოს დაარსების შემდეგ ზოგიერთი წრის ხელშეწყობით ავტოკეფალია საბოლოოდ თავს მოახვიეს განთავისუფლებული პროვინციების ეკლესიებს, რაც ეკლესიური და ძირითადად სახელმწიფო პოლიტიკით იყო განპირობებული. მეფე ოტოს გამეფების შემდეგ, რომელიც ადრე ბავარიის პრინცი იყო (1833), ბავარიის რენეგატობამ გამოაცხადა ეკლესიის ავტოკეფალია რიგი კანონიკური ტრადიციის მოთხოვნების შესრულების გარეშე. ამრიგად, 1833 წლის 23 ივლისი/4 აგვისტოს ბრძანების შესაბამისად, (დამოუკიდებელი ბერძნული ეკლესიის შესახებ) სამეფოს ეკლესია გამოცხადდა ავტოკეფალურად, რაც თავისი მნიშვნელობით სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი იყო. მას წინააღმდეგობით შეხვდნენ საბერძნეთში, ისევე, როგორც კონსტანტინოპოლში და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში, რამაც შედეგად გამოიწვია ეკლესიის სულიერი ერთიანობის რღვევა. საბოლოოდ, 1850 წლის 29 ივნისს, საპატრიარქომ გამოაქვეყნა Synodal Tome, რომლის მიხედვითაც საბერძნეთის ეკლესია გამოცხადდა ავტოკეფალიურად. როცა იონიის კუნძულები (1864) და მოგვიანებით თესალია, არტას პროვინცია, ეპირის და მაკედონიის (1880) ზოგიერთი სოფელი შეუერთდა საბერძნეთს, მსოფლიო საპატრიარქომ ყველა ახალი პროვინცია საბერძნეთის ავტოკეფალიურ ეკლესიას დაუთმო (1866 წლის 9 ივლისის და 1882 წლის მასის აქტები).

საპატრიარქოსა და სინოდის 1882 წლის აქტმა განსაზღვრა ავტოკეფალური ეკლესიის საბოლოო იურისდიქცია. ახალი მიწების განთავისუფლების და მათი საბერძნეთისთვის მიერთების შემდეგ ისინი არ შედიოდა საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციაში. თუმცა მას შემდეგ, რაც დაარსდა კრეტის ავტოკეფალური ხელისუფლება (1898), მან მიაღწია შეთანხმებას მსოფლიო საპატრიარქოსთან (1900 წლის 14 ოქტომბერი), რომელიც არეგულირებდა მის კანონიკურ დამოკიდებულებას და ორგანიზაციას. კრეტის ეკლესია სულიერად რჩება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დამოკიდებულებაში და დღემდე ადმინისტრაციულად ნახევრად ავტონომიურია.

1912-13 წლის ბალკანეთის ომებისა და I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მაკედონია, ეპირი, დასავლეთ თრაკია და ეგეოსის კუნძულები განთავისუფლდა და შეუერთდა საბერძნეთს; ამავე დროს, ეს პროვინციები ემორჩილებოდა მსოფლიო საპატრიარქოს. ეგრეთ წოდებული “ახალი მიწები” სანგრძლივი კამათის საგანი გახდა. ამ კამათს კი შედეგად მოჰყვა ფრიად უჩვეულო გადაწყვეტილება (L. 3615/1928 და 1928 წლის საპატრიარქოს და სინოდის აქტი): “ახალი ტერიტორიები” სულიერად მსოფლიო საპატრიარქოზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, ამავე დროს, მათ მართვას განახორციელებს საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა, რომ საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესია კისრულობდა პასუხისმგებლობას ახალი ტერიტორიების ყოველდღიურ მმართველობაზე, როგორც თავის საკუთარ პროვინციებში, თავისი მმართველობის დამკვიდრებით; იგი ასევე პასუხისმგებლობას იღებდა, რომ ეს რეჟიმი იქნებოდა დროებითი. ორივე ტექსტი შეიცავს მთელ რიგ პირობებს, რომლებიც უნდა გამოეყენებინა საბერძნეთის ეკლესიას. თუმცა მან პრაქტიკულად არ გაითვალისწინა 1928 წლის საპატრიარქოს აქტი. 2003 წელს დაიწყო კონფლიქტი ორ ეკლესიას შორის, რომელიც დასრულდა 2004 წლის ივნისში ათენში წმინდა სინოდის მიერ პირობის დადებით, რომ იგი გამოიყენებდა აქტის ყველა პირობას, თავის მხრივ, საბერძნეთის რესპუბლიკაც იძლეოდა იმავე აქტის გამოყენების გარანტიას.

დოდეკანესის კუნძულების საბერძნეთთან გაერთიანების შემდეგ (1947 წლის 7 მარტი) საეკლესიო რეჟიმი არ შეცვლილა, თუმცა ოთხი მიტროპოლიტური საეპარქიო და პატმოსის საეგზარქოსო რჩება მსოფლიო საპატრიარქოს ადმინისტრაციულ იურისდიქციაში. და ბოლოს, ათონის წმინდა მთის ნახევარკუნძული, რომელიც განთავისუფლდა 1912 წელს, ინარჩუნებს თავის პრივილეგიურ უძველეს თვითმმართველობის რეჟიმს, თუმცა, ამავე დროს, რჩება მსოფლიო საპატრიარქოს სულიერ იურისდიქციაში.

საბერძნეთის მიწების ხუთ ეკლესიურ პროვინციად დაყოფა არანაირად არ არის საზიანო მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, როგორც უპირატესი უფლებების მქონე ეკლესიისთვის. კონსტიტუციის მე-3(1) მუხლი ეხება ავტოკეფალურ ეკლესიას და 3(2) იგი აცხადებს, რომ რიგ პროვინციებში არსებული ეკლესიური რეჟიმი წინა პარაგრაფს არ ეწინააღმდეგება.

სხვა ავტოკეფალური ეკლესიის ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი მრევლი ექვემდებარება ამ ეკლესიებს. საბერძნეთის მართლმადიდებლური დიასპორა (დასავლეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპა, ამერიკა, ავსტრალია და შორეული აღმოსავლეთი) დამოკიდებულია მსოფლიო საპატრიარქოზე.

IV. რელიგიის თავისუფლება

საბერძნეთში რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციის მე-13 მუხლის შესაბამისად. რელიგიის თავისუფლება მოიცავს სინდისის თავისუფლებას (მე-13(1) მუხლი) და აღმსარებლობის თავისუფლებას (მე-13(2) მუხლი).

სინდისის თავისუფლება, თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, ეხება ყველა რელიგიას, არარელიგიურ ან ესთეტიკურ რწმენას, ისევე, როგორც ნებისმიერი რელიგიის (ერესი და სქიზმა) დოგმატურ და ადმინისტრაციულ განსხვავებას და ყველა პიროვნებას: ბერძენს ან უცხოელს (კონსტიტუცია, მე-4 და მე-13(1) მუხლები).

თანასწორობის ამ პრინციპიდან გადახვევა მოხდა დანყებითი განათლების სკოლების მასწავლებელთა დანიშვნისას. დანყებით სკოლებში რელიგიური განათლება შეესაბამება უპირატესი რელიგიის სწავლებას და მას ასწავლიან ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებლები. სახელმწიფო საბჭომ (1417/1949) მიიღო გადაწყვეტილება, რომ დანყებითი სკოლის მასწავლებლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მართლმადიდებელი პიროვნება; არამართლმადიდებელ მასწავლებელს, აღმოსავლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად, არ ჰქონდა მასწავლებლად დანიშვნის უფლება. პრაქტიკულად იგივე ხდებოდა საბავშვო ბაღის მასწავლებლებთან დაკავშირებითაც. ეს ვითარება, რელიგიური უმცირესობის სკოლების გამოკლებით, ძალაში დარჩა 1988 წლამდე, როდესაც იგი გაუქმდა (L.1771/1988). აქედან გამომდინარე, ამჟამად არამართლმადიდებელი მასწავლებელი შეიძლება დაინიშნოს იმ სკოლებში, სადაც, სულ მცირე, ორი ადგილია და რელიგიას ასწავლის მისი მართლმადიდებელი კოლეგა.

ასევე რესპუბლიკის პრეზიდენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ ქრისტიანული ფიცი. კონსტიტუციის 33-ე მუხლი არ შეიცავს 59-ე მუხლის მსგავს პირობას, რომელიც უკავშირდება პარლამენტის არაქრისტიანი წევრების მიერ ფიცის დადებას. ესაა ქრისტიანი პრეზიდენტის არჩევისთვის ხელშეწყობის გზა და არღვევს თანასწორობის პრინციპს.

რელიგიური სინდისის თავისუფლებისგან განსხვავებით, აღმსარებლობის თავისუფლება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს. კონსტიტუციის მე-13(2) მუხლის შესაბამისად, რელიგია უნდა იყოს “ცნობილი”, ანუ ისეთი, რომელსაც არ აქვს საიდუმლო დოგმა ან ფარული კულტი. გარდა ამისა, ეს რელიგია არ უნდა შეურაცხყოფდეს საზოგადოებრივ წესრიგს და მორალურ პრინციპებს. იგი მოიცავს მთელ რიგ სამოქალაქო, სოციალურ-ეკონომიკურ და მორალურ პრინციპებსა და შეხედულებებს, რომლებიც ბერძენ საზოგადოებაშია ყოველ მოცემულ პერიოდში. ამავე დროს, მეორე მოსაზრება ემყარება როგორც თეორიულ, ისე იურიდიულ პრაქტიკას: რიგი რელიგიური კონფესიის წევრებს არ აქვთ პროზელიტური საქმიანობის უფლება.

პროზელიტიზმი საბერძნეთში როგორც სისხლის სამართლის დანაშაული F.L.1363/1938-ის შესაბამისად განიხილება, რაც ჩანაცვლდა F.L. 1672/1939 დებულებით. ორივე კანონი მიიღეს მეტაქსას დიქტატორობის დროს. პროზელიტიზმი სისხლის სამართლის დანაშაულია, როდესაც მას სისტემატური და დაჟინებითი ხასიათი აქვს; იგი შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი, ხორციელდებოდეს არაკანონიერი ან არაზნეობრივი საშუალებებით, რომლებიც უტოლდება სხვა რელიგიის წარმომადგენლის რელიგიური რწმენის შეურაცხყოფას, იმ მიზნით, რომ შეიცვალოს თავისი რწმენა. პროზელიტიზმი საკმაოდ მკაცრად ისჯება: პატიმრობით, ჯარიმით, საპოლიციო ზედამხედველობით და გასახლებითაც კი, თუ საქმე ეხება უცხოეთის მოქალაქეს. 1952 წლის კონსტიტუციაში პროზელიტიზმი ითვლებოდა დანაშაულად, როდესაც იგი მიმართული იყო მართლმადიდებლის წინააღმდეგ. ახლანდელი კონსტიტუცია კი (მე-13(2) მუხლი) ყველა რელიგიის წარმომადგენელს იცავს თავისი უფლებების ასეთი დარღვევისგან.

სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა სარიტუალო ადგილის (ეკლესია, სალოცავი სახლი, სინაგოგა ან მეჩეთი) მშენებლობა-დაფუძნების ლიცენზიას აძლევს განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტრო. ასევე საჭიროა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტის ნებართვა (F.L. 1369/1938, მუხლი 41(1)). სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ეხებოდეს სამლოცველო სახლების დაარსებას, თუმცა შესაბამისი კანონი არ იყო ზუსტი ამ საკითხთან მიმართებაში. სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, მიტროპოლიტის ნებართვას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა

და არ იყო სავალდებულო სამინისტროსთვის, მაგრამ, თუ სამინისტრო სარიტუალო ადგილის დაარსების ნებართვას, მიტროპოლიტის რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ, გასცემდა, უნდა დაესაბუთებინა თავისი გადანყვეტილება. პრაქტიკაში მიტროპოლიტები თითქმის ყოველთვის წინააღმდეგნი არიან მოვლენათა მსგავსი განვითარების და სამინისტრო მათ, როგორც წესი, არ ეწინააღმდეგება. ამიტომ დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიმართოს სახელმწიფო საბჭოს და ასეთი მიმართვა მხარდაჭერით სარგებლობს ხოლმე. იგივე მდგომარეობაა მართლმადიდებლებთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება იულიუსის კალენდრის მიმდევრებს (1924 წლიდან): მათ აქვთ საკუთარი იერარქია, ჰყავთ ეკლესიის მსახურები და აქვთ ეპარქიები. ახალი რელიგიური მიმდინარეობები დაცულნი არიან კონსტიტუციის მე-13 მუხლით მხოლოდ მაშინ, თუკი ისინი ითვლებიან რელიგიად. საინტოლოგებს სახელმწიფო საბჭო არ ცნობს როგორც რელიგიას.

სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, არამართლმადიდებლური გაერთიანებები ჩვეულებრივ აღიარებულია როგორც ასოციაციები, რადგან არც ერთი კანონი არ აღიარებს მათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. 1988 წელს განათლების და საკულტო საკითხების სამინისტროს მიერ რელიგიური თავისუფლების საკითხების ზოგადი შესწავლის მიზნით ჩამოყალიბდა სპეციალური კომიტეტი; მინისტრ ენტონი ტრიცის გადადგომის შემდეგ (1988 წლის მაისი) მის შემცვლელებს კომიტეტი აღარ მოუწვევიათ.

V. სახელმწიფო ზედამხედველობა რელიგიაზე

1. ადმინისტრაცია

ყველა რელიგიაზე საერთო-სახელმწიფო ზედამხედველობა ეკისრება ეროვნული განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს გენერალურ სამდივნოს საკულტო საკითხებში. ეს მოვალეობა გულისხმობს და განსაზღვრავს: საკულტო სფეროში სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების ზედამხედველობას; სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების მოვალეობებს: საეკლესიო ადმინისტრაციის დეპარტამენტს დაკავებულს უპირატესი რელიგიის საკითხებით მხოლოდ საბერძნეთის ტერიტორიაზე; საეკლესიო განათლებისა

და რელიგიის სწავლების დეპარტამენტს; განსხვავებული კულტისა და განსხვავებული რელიგიის პირთა დეპარტამენტს, რომლის სახელწოდებაც ერთგვარად პარადოქსულია თანამედროვე სახელმწიფოსთვის. დეპარტამენტი დაკავებულია პროზელიტიზმის საკითხებით, არამართლმადიდებელი ქრისტიანების სალოცავი ადგილების დაფუძნების საქმიანობით, თეოლოგიის სკოლებით, სემინარიებით, ფონდებითა და სხვა იურიდიული პირებით, ისევე, როგორც ყველა ზემოხსენებულის ზედამხედველობით. დეპარტამენტს აგრეთვე ეხება საბერძნეთის მთავარი რაზინის, ებრაელი საზოგადოებრიობის მთავარი რაზინებისა და დასავლეთი თრაკიის მუსლიმანური უმცირესობის სამი მუსლიმანი მუფთის დანიშვნის, განთავისუფლების და ოფიციალური სტატუსის საკითხები.

რელიგიის საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრება საგარეო საქმეთა სამინისტროსაც. საეკლესიო საქმეების თითოეული დეპარტამენტი პასუხისმგებელია საბერძნეთის ფარგლებს გარეთ მდებარე მართლმადიდებლური, სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და მართლმადიდებლურ-თეოლოგიური სკოლების, საეკლესიო ცენტრების, საზღვარგარეთ მცხოვრები მართლმადიდებელი ბერძენი საეკლესიო პირების ზედამხედველობაზე, მათთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაზე, რეკომენდაციების გაცემაზე და საკითხების გადაწყვეტაზე, აგრეთვე ათონის მთის სამოქალაქო მმართველობის საკითხებზე.

2. სახელმწიფო საბჭო

საბერძნეთში მართლმადიდებლური ეკლესია სულიერი და რელიგიური ორგანიზაციაა, მაგრამ ამასთანავე აქვს ადმინისტრაციული უფლებამოსილება და როგორც იურიდიული პირი, ახორციელებს სახელმწიფო კანონმდებლობის დებულებებს. სახელმწიფო საბჭო (რომელიც უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოა) განიხილავს ყველა აქტს, რომლებიც ეხება ადმინისტრაციულ საქმეებს. საბჭო იყენებს სამ შესაბამის კრიტერიუმს: უპირველეს ყოვლისა, აქტი უნდა გამომდინარეობდეს იმ საეკლესიო სააგენტოდან, რომელსაც ეკლესიამ ანდო ეკლესიის მართვა (მაგ., წმიდა სინოდი, საეპარქიოები, სამრევლო საბჭოები); მეორე, განსახილველი აქტი უნდა იყოს მომზადებული სახელმწიფო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; და მესამე, განსახილველი აქტი უნდა იყოს ადმინისტრირების გამოხატულება – ე.ი. უნდა არეგულირებდეს ადმინისტრაციულ საქმეებს და არა დოქტრინას, ღვთისმსახურებას ან სასულიერო ხასიათის საქმეებს და ჯერ არ უნდა იყოს ძალაში შესული.

VI. ეკლესიის ორგანიზაცია

საბერძნეთის ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურა სინოდის სისტემის შესაბამისად არის მოწყობილი; ეს არის ძირეული ადმინისტრაციული ინსტიტუტი თითოეული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის და იგი არსებობს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე. უმაღლესი ხელისუფლებაა იერარქიის წმინდა სინოდი ათენის არქიეპისკოპოსის ხელმძღვანელობით და მისი წევრები არიან მოქმედი ეპისკოპოსები (მიტროპოლიტები). ამჟამად მთლიანად საარქიეპისკოპოსოში არის ოთხმოცი მიტროპოლიტური ეპარქია: აქედან 43 ავტოკეფალურ ეკლესიაში და 36 ახალ ტერიტორიებზე. კრეტის ეკლესიას აქვს საეპისკოპოსო და შვიდი მიტროპოლიტური ეპარქია, დოდეკანესის კუნძულებს – ოთხი, ხოლო წმინდა მთა თავად მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაშია.

წმინდა სინოდს აქვს ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და იურიდიული კომპეტენცია. რომელიც საშუალებას აძლევს გამოაქვეყნოს ნორმატივები და საეკლესიო ბრძანებები იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც ეკლესიას საკონსტიტუციო წესდების შესაბამისად მინიჭებული აქვს რამდენიმე სფეროში (L. 590/1977). სინოდი იკრიბება *ipso jure* (თვით კანონის თანახმად) ყოველწლიურად, 1 ოქტომბერს და ნებისმიერ სხვა დროს საჭიროებიდან გამომდინარე. მუდმივ ადმინისტრაციულ მომსახურებას უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი წმინდა სინოდი (Permanent Holy Synod); იგი შედგება თორმეტი მიტროპოლიტისგან (ექვსი ავტოკეფალური ეკლესიიდან და ექვსი ახალი ტერიტორიების ეკლესიებიდან). მას სათავეში უდგას ათენის არქიეპისკოპოსი, რომელსაც აქვს თანამდებობაზე ყოფნის წლიური ვადა და უფლებამოსილება დადგენილ ფარგლებში.

ამავე დროს, არსებობს სინოდის რამდენიმე კომიტეტი, რომლებიც ეხმარება სინოდს. მას აგრეთვე ეკუთვნის რიგი ორგანიზაციები, როგორც იურიდიული პირები: Apostoliki Diakonia (აპოსტოლიკი დიაკონია) და Inter-Orthodox Centre (მართლმადიდებლობათშორისი ცენტრი).

საბერძნეთის ეკლესია ორგანიზებულია შემდეგნაირად:

1. ათენის საარქიეპისკოპოსო და სამიტროპოლიტო ეპარქიები, მათი საზღვრები და დასახელებები განისაზღვრება იერარქიის წმინდა სინოდის მიერ. სამიტროპოლიტო ეპარქიები წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ეპისკოპოსი მთავარი ადმინისტრატორია ყველა პროვინციაში და აქვს მიტროპოლიტის ტიტული; ეკლესიებთან და ეპარქიებთან დაკავშირებულ

საკითხებს განიხილავს მიტროპოლიტის საბჭო, რომელიც შედგება მოსამართლისგან, ფინანსური სამინისტროს ოფიციალური პირისგან, ორი მღვდლისა და ეპარქიის მრჩევლისგან. ათენის არქიეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის არჩევა ხდება იერარქიის წმინდა სინოდის მიერ. ყველა მიტროპოლიტი შეიძლება აირჩიონ საარქიეპისკოპოსოში იმ მღვდლებთან ერთად, რომლებიც კანდიდატების სიაში არიან შეყვანილი. მღვდლები, რომლებიც კანდიდატები არიან მიტროპოლიტის არჩევნებისთვის, უნდა იყვნენ შეყვანილი არქიეპისკოპოსის კანდიდატობის სიაში, ამ სიას კი ქმნის წმინდა სინოდი. ეკლესიის მიერ ჩამოყალიბებული კონსტიტუციური წესდების კრიტერიუმების შესაბამისად, ყოველ წელს სიას ემატება ახალი კანდიდატები. კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს უფლება აქვს, სიას დაუმატოს ახალი წევრები, მაგრამ მხოლოდ ახალი ტერიტორიების ეპარქიებისთვის. კანდიდატებად აგრეთვე შეიძლება დასახელდნენ პრელატები, რომლებიც არ არიან მოქმედი მიტროპოლიტები. არქიეპისკოპოსების და მიტროპოლიტების არჩევის შესახებ ოფიციალური საბუთები ბარდება განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს, რომელიც გასცემს განკარგულებას საპრეზიდენტო ბრძანების გამოქვეყნებაზე; ამის შემდგომ არჩეული პრელატი წარუდგენს თავის დამტკიცების საბუთს რესპუბლიკის პრეზიდენტს და შეუდგება მოვალეობის შესრულებას.

2. სამრევლო საჯარო სამართლის იურიდიული პირია. იგი ფუძნდება პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ხოლო მის მართვას ახორციელებს სამრევლო მღვდლის და საერო პირებისგან შემდგარი ხუთკაციანი საბჭო. სამრევლოს მღვდელი უნდა იყოს დაქორწინებული; ის მღვდლები, რომლებსაც არ აქვთ ოჯახი, შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ დროებით. ვაკანსიების შევსება ხდება ბრძანების მეშვეობით.
3. მონასტრებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირებია და ისინი ფუძნდება საპრეზიდენტო ბრძანებულების შესაბამისად. საბერძნეთის ეკლესიის მონასტრები იყოფა ორ კატეგორიად: მონასტრები, რომელთა ზედამხედველობა ხორციელდება ადგილობრივი მიტროპოლიტის მიერ და ისინი, რომელთაც ზედამხედველობს წმინდა სინოდი. საბერძნეთში აგრეთვე არის მონასტრები, რომელთაც ზედამხედველობს მსოფლიო საპატრიარქო ან დამოკიდებულნი არიან ათონის მთაზე მდებარე მონასტრებზე, უფლის წმინდა საფლავის ან სინაის მთის მონასტერზე.

VII. ეკლესია და კულტურა

დანყებით და საშუალო სკოლებში რელიგიური განათლების კურსს ასწავლიან აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრებისა და ტრადიციების შესაბამისად. დანყებით სკოლებში ასწავლებლები, საშუალო სკოლებში – თეოლოგიის კურსდამთავრებულები. ორივე კატეგორია მიეკუთნება საჯარო მოსამსახურეებს. ისინი იღებენ ხელფასს სახელმწიფოსგან, ხოლო მათი დანიშვნის და სწავლების პროგრამის საკითხებს აკონტროლებს ეკლესია. რელიგიის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, არამართლმადიდებელი მონაწევები არ არიან ვალდებული, დაესწრონ კურსებს. მშობლები ზრდიან თავიანთ შვილებს საკუთარი რელიგიური რწმენის შესაბამისად.

საბერძნეთში თითოეულ რელიგიურ კონფესიას აქვს თავისი სკოლა. სახელმწიფოსაც აქვს სკოლები მუსლიმანური უმცირესობისთვის დასავლეთ თრაკიაში და კოლევჯი მომავალი მასწავლებლების მოსამზადებლად ამ სკოლებისთვის.

მართლმადიდებელი საეკლესიო წოდების მიღების მსურველები განათლებას იღებენ ოცდაერთ სკოლაში (საშუალო სკოლები, უმაღლესი სკოლები და დაჩქარებული სწავლების სკოლები). ეს დანესებულებები აგრეთვე უზრუნველყოფს სტუდენტებს საცხოვრებლითა და კვებით. ყველა ხარჯს კისრულობს სახელმწიფო და მასწავლებლები გათანაბრებული არიან საჯარო მოხელეებთან.

როგორც ათენის, ისე სალონიკის უნივერსიტეტებს აქვს თეოლოგიის ფაკულტეტები, რომლებზეც იღებენ არამართლმადიდებელ სტუდენტებს.

VIII. სისხლის სამართალი

ეკლესიის სისხლის სამართლის იურისდიქცია, კანონდარღვევები და პროცედურები იმართება სახელმწიფო კანონით 5383/1932. სახელმწიფო კანონის უზენაესობის პირობებში საეკლესიო სასამართლოების იურისდიქცია შემოიფარგლებოდა საეკლესიო მსახურებითა და ბერებით, რომლებიც არ ასამართლებენ საერო პირებს. თუ საერო პირი სერიოზულად დაარღვევს რწმენას ან საეკლესიო წესს – როგორცაა ერესი ან სქიზმა – იერარქიის წმინდა სინოდს შეუძლია გადასცეს იგი ანათემას ან განკვეთოს. შემდეგი საეკლესიო სასამართლობა: მღვდლებისთვის, დიაკვნებისა და ბერებისთვის – საეპისკოპოსო

სასამართლო; პირველი ინსტანციის და მეორე ინსტანციის სინოდის სასამართლო; ეპისკოპოსებისთვის – პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები; მხოლოდ წმინდა სინოდის მუდმივი წევრებისთვის – სპეციალური სასამართლო. ყველა ეპისკოპოსს, რომელიც მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ აღიარებულია დამნაშავედ, უფლება აქვს, აპელაცია შეიტანოს მსოფლიო საპატრიარქოში. საეკლესიო სასამართლოების სადამსჯელო ღონისძიებებია: დაქვეითება, უფლებამოსილების შეჩერება, რანგის დაკარგვა (მხოლოდ ეპისკოპოსებისთვის), ჯარიმა, ინტერნირება და სასულიერო წოდების ჩამორთმევა (იხ. აგრეთვე ნაწილი X ქვემოთ).

IX. ეკლესიების დაფინანსება

საბერძნეთში არ არის საეკლესიო გადასახადი. თითოეულ რელიგიას აქვს თავისი შემოსავალი მოძრავი და უძრავი ქონებიდან და წევრთა შემოწირულებებიდან. სახელმწიფომ თითქმის მთლიანად თავის თავზე აიღო უპირატესი რელიგიის დაფინანსება, რაც სხვადასხვა ფორმით კეთდება: პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდირება, როგორცაა "Apostoliki Diakonia" (L. 976/1946, Art. 24(1)(8)) და ათენის ტაძრის (L.2844/1954) წლიური სუბსიდირება, ეკლესიებისა და მონასტრების საჭიროებებისთვის სხვადასხვა გრანტის გაცემა. ამავე დროს, სახელმწიფო იხდის მართლმადიდებელი საეკლესიო მსახურების განათლების ყველა ხარჯს.

სახელმწიფო იხდის პრელატებისა და მღვდლების ხელფასებს, რომლებიც მსახურობენ სამრევლოებში, ასევე დიაკვნების (მღვდლების და დიაკვნების რაოდენობა 10,000-მდეა), მქადაგებლებისა და საერო მომსახურეების ხელფასებს, რომლებიც მსახურობენ მართლმადიდებელ ეკლესიაში. იგივე პირები პენსიაზე გასვლის შემდეგ პენსიებს სახელმწიფოსგან იღებენ. კანონი, რომელიც ყველა სამრევლოს აკისრებდა სახელმწიფო გადასახადს საკუთარი შემოსავლიდან 35%-ის ოდენობით, გაუქმდა 2004 წელს. ბერები არიან დაზღვეული (ჯანმრთელობა და პენსია) "Farmers' Security Organisation"-ის მიერ. მღვდლები, რომლებიც მუშაობენ სასაფლაოებზე და საავადმყოფოებში ხელფასს ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ან საავადმყოფოს ადმინისტრაციიდან იღებენ. არმისასა და საპოლიციო ძალებში მომსახურე მღვდლებს ენიჭებათ ოფიცრის რანგი და იღებენ ხელფასს ან პენსიას თავიანთი რანგის გამო. ამავდროულად ისინი შესაძლოა იყვნენ საჯარო ან კერძო სამსახურში – ჩვეულებრივ მასწავლებლის როლში – შესაბამისი ანაზღაურებით.

საგადასახადო შეღავათი: როგორც მართლმადიდებელი ეკლესიები, ისე სხვა კონფესიები და რელიგიური ორგანიზაციები, იღებს ისეთ საგადასახადო შეღავათებს, როგორებიცაა: უძრავი ქონების გადასახადი, უძრავი ქონების საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი უძრავი ქონების გადაცემამზე, შემონორულებებსა და მემკვიდრეობაზე. ყველაზე მეტი საგადასახადო შეღავათი აქვს ათენის მთას.

სხვა სახის ფინანსური პრივილეგიაა გაუსხვისებელი უძრავი ქონება, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ეკუთვნის, ისევე, როგორც მსოფლიო საპატრიარქოს მონასტრებს. ეს გულისხმობს, რომ მონასტრების კუთვნილი უძრავი ქონება არ შეიძლება გადაეცეს მესამე მხარეს. სალონიკში სააპელაციო სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომ ეს გავრცელდეს რომაულ-კათოლიკურ მონასტრებზეც (1161/1983).

სახელმწიფო არ უხდის ხელფასს ლობტარებსა და საეკლესიო ქონების მცველებს; თუმცა ეს პირები არ არიან საჯარო მუშაკები შრომის საერთო კანონების შესაბამისად, რადგან წმინდა კანონებით, ისინი ითვლებიან დაბალი რანგის მომუშავეებად. მიუხედავად იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი პირებიდან მხოლოდ რამდენიმეს აქვს ეს სტატუსი, ძველი ფინანსური რეჟიმი კვლავ მათი ერთგული რჩება, ანუ, როდესაც ისინი ინიშნებიან მიტროპოლიტის მიერ, იღებენ ეკლესიიდან ხელფასს, რომელიც მხარეებს შორის არის შეთანხმებული. ეკლესიის სხვა მსახურები იღებენ ანაზღაურებას როგორც მსგავსი კატეგორიის საჯარო მოსამსახურეები.

X. სასულიერო წოდების მიღება და მღვდლების და ბერების სამართლებრივი მდგომარეობა

სასულიერო წოდების მისაღებად კანდიდატისთვის აუცილებელია შემდეგი კვალიფიკაცია: (ა) იგი უნდა იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი, (ბ) უნდა გააჩნდეს სწორი და მყარი რწმენა, (გ) უნდა იყოს მამრობითი სქესის, (დ) უნდა იყოს სათანადო ასაკის (დიაკვნის შემთხვევაში, სულ მცირე, 25 წლის, 30 წლის მღვდლისა და 34 წლის ეპისკოპოსისთვის), (ე) უნდა ჰქონდეს აუცილებელი განათლება, (ვ) იყოს ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, (ზ) თუკი დაოჯახებულია, მისი ქორწინება უნდა შეესაბამებოდეს წმინდა კანონებს, (თ) არ უნდა ჰქონდეს ქორწინების გარეთ კავშირები და (ი) უნდა იყოს უმნიშვნელო ქცევის.

თუ მას საეკლესიო სასამართლო მიიჩნევს დამნაშავედ, მღვდელმა შეიძლება დაკარგოს თავისი ატრიბუტიკა და ჩამოერთვას სასულიერო წოდება. ასეთ შემთხვევაში მღვდელი იბრუნებს სტატუსს, რომელიც მას სასულიერო წოდების მინიჭებამდე ჰქონდა როგორც საერო პირს ან ბერს. აღმოსავლური ეკლესია თვლის, რომ წოდებაჩამორთმეული მღვდლის მოქმედებებს ძალა არ აქვს.

მღვდლები უნდა დაექვემდებარონ შემდეგ შეზღუდვებს: ისინი არ შეიძლება დაინიშნონ მცირენიშნის პირების ან სასამართლოს მიერ დამნაშავედ აღიარებული პირების მეთურეებად. წმინდა კანონები მღვდლებს უკრძალავს ვაჭრობას; თუკი მღვდელი აღმოჩნდება სისტემატურ სავაჭრო საქმიანობაში ჩართული, იგი ჩაითვლება მოვაჭრედ და იქნება შესაბამისად დასჯილი. სისხლის სამართალში არსებობს არაერთი დანაშაული, რომლებიც შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ მღვდლებმა, ესენია: სამღვდლო რანგის შეურაცხყოფა (196-ე მუხლი), ეკლესიაში მომსახურე ბავშვის შეურაცხყოფა გარკვეული ქმედებით ან სიტყვიერად (342(1)-ე მუხლი), კონფიდენციალურობის დარღვევა (371(1)-ე მუხლი). სხვა სახის დანაშაულთ განეკუთვნება ჯვრისწერის აღნიშვნა ქორწინებამდე ან ქორწინება ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, ეკლესიის კონსტიტუციური წესდების შესაბამისად (მუხლი 49(2) და (3)). ამ სამართალდარღვევისთვის შეიძლება მღვდელი დაისაჯოს წლამდე პატიმრობით სახელმწიფო სასამართლოს მიერ, იგი აგრეთვე ითვალისწინებს საეკლესიო სასამართლოს სასჯელს.

სისხლისა და სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ფიცის მიღების დროს მღვდლებმა მხოლოდ თანხმობა უნდა დაადასტურონ; მათ არ მოეთხოვებათ ზიარების დროს მიღებული ინფორმაციის გამოცხადება. პრელატისგან ფიცს იღებენ მის საცხოვრებელში და შემდეგ კითხულობენ სასამართლოში. ეპისკოპოსებთან მიმართებით გამოიყენება სპეციალური სისხლის სამართლის იურისდიქცია სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის შესაბამისად. პრელატის მიერ ჩადენილი უმნიშვნელო სამართალდარღვევისას, მას ასამართლებენ "crown court"-ში და არა პოლიციის სასამართლოში; მაშინ, როდესაც დანაშაულისათვის ასამართლებენ სააპელაციო სასამართლოში და არა "crown court"-ში. ეს წარსულში სტანდარტული პრაქტიკა იყო, მაგრამ საერო წარმომადგენლები ამჟამად არ იღებენ მონაწილეობას საეკლესიო ორგანიზაციების მართვაში და პრელატების და სამრევლოს მღვდლების არჩევნებში.

ბერის სტატუსს იღებენ ტონზურის მეშვეობით – ეს ცერემონიალია და არა საიდუმლო. ტონზურას აკეთებენ მონასტერში, სადაც ბერი ცხოვრობს. ცერემონიალის დროს ბერი იღებს მორჩილების, მწირი ცხოვრებისა და გულწრფელობის ფიცს. ტონზურის წინა პერიოდში მომავალი ბერი უნდა იყოს მორჩილი ჩვეულებრივ სამი წლის განმავლობაში. მორჩილი არ შეიძლება იყოს 16 წელზე ნაკლები ასაკის.

ისევე როგორც მღვდლად ყოფნა, ტონზურაც დაბრკოლებაა ქორწინებისათვის; ტონზურა ავტომატურად არ აუქმებს წინა ქორწინებას, თუმცა მეორე მხარის მიერ განქორწინების მოთხოვნის მიზეზია. ბერის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხი განსაკუთრებულად რთული სამართლებრივი საქმიანობის საგანია საბერძნეთში. საკმარისია იმის თქმა, რომ ბერის ქონების მემკვიდრეობით მიღება ხდება ორჯერ: მისი ტონზურისა და გარდაცვალების შემდეგ. ტონზურის შემდეგ მისი უძრავი ქონება გადადის მონასტრის მფლობელობაში და თუ იგი დაქორწინებული იყო, მისი მეუღლის ან შვილების საკუთრებაში. გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება ტონზურის შემდეგ გადადის მის მეუღლესა და შვილებზე, თუკი იგი დაქორწინებული იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ქონება თანაბრად ნაწილდება მონასტერსა და ეკლესიას შორის.

XI. კანონი ქორწინებასა და ოჯახზე

სამღვდლო პირისთვის აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ქორწინება შეუთავსებლად არ ითვლება, თუმცა იგი უნდა მოხდეს მორჩილად კურთხევამდე. ეპისკოპოსის ირჩევენ მხოლოდ დაუქორწინებელი ან დაქვრივებული მღვდლებისგან.

საბერძნეთში სამოქალაქო ქორწინება 1982 წელს შემოვიდა. ამ პერიოდამდე საეკლესიო ქორწინება იყო ქორწინების ერთადერთი კანონიერი ფორმა; სამოქალაქო ქორწინილი შეიძლება შემდგარიყო მხოლოდ საზღვარგარეთ და მას არ ცნობდნენ საბერძნეთში. L. 1250/1982 თანახმად, შესაძლებელი გახდა როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო ქორწინება. ამავდროულად გაუქმდა სამოქალაქო კოდექსში ქორწინებასთან დაკავშირებული ბევრი დაბრკოლება, თუმცა საბერძნეთის ეკლესიამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, მართლმადიდებელი არ შეიძლება დაქორწინებულიყო სხვა რელიგიის წარმომადგენელზე, არც მაშინ, როდესაც ამკარაა მესამე ქორწინება ან როდესაც არსებობს ახლო სისხლისმიერი ურთიერთობა, ან სულიერი ერთიანობა მონათვლის შემდეგ, ან როდესაც სისხლის სამართლის სასამართლო დაადანაშაულებს მათ ლალატი (თუმცა ამჟამად ლალატი აღარ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად). ქორწინება არ არის ნებადართული მღვდლებსა და ბერებზე და ქალზე, რომლის ბოლო განქორწინებიდან გასულია ათ თვეზე ნაკლები.

ეკლესიაში ქორწინებისთვის საჭიროა მიტროპოლიტის ლიცენზია. პრაქტიკაში იგი იმ ლიცენზიის ტოლფასია, რომელსაც ითხოვს მუნიციპალიტეტი ან საზოგადოებრიობა სამოქალაქო ქორწინების გასაფორმებლად. ცერემონიალის ჩამტარებელი მართლმადიდებელი მღვდელი უნდა იყოს “მოქმედი”, რომელსაც

ნება ეძლევა ჩაატაროს საეკლესიო რიტუალები. სხვაგვარად (სამოქალაქო კოდექსი, 1371-ე მუხ.) ქორწინება არ ჩაითვლება კანონიერად. განქორწინებას აფორმებს მხოლოდ სამოქალაქო სასამართლო. ეკლესიას უფლება აქვს, ჩაერიოს საქმის წარმოებაში ორჯერ: განქორწინების გადაწყვეტილების გამოტანამდე შერიგების მცდელობით (სამოქალაქო პროცედურების კოდექსი, მუხლი 593-ე და ფ) (იგი გაუქმდა სამოქალაქო ქორწინების შემოღების შემდეგ); და მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომ ეკლესია ახდენს სულიერ განქორწინებას. ეს კვლავ ძალაშია, თუკი პირებს, რომლებიც საეკლესიო ქორწინებაში იმყოფებოდნენ, სურთ მეორედ დაქორწინება.

XII. ათონის მთა

ათონის ნახევარკუნძულზე ბერების ორგანიზებულ ცხოვრებას საფუძველი 963 წლიდან ჩაეყარა, როდესაც აშენდა დიდი ლავრის მონასტერი. ბიზანტიის იმპერატორების მიერ ათონის მთისთვის თვითმმართველობის პრივილეგიების მინიჭება ჩვეული იყო (იგი ეხებოდა საკანონმდებლო, იურიდიულ და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებას). ეს აგრეთვე ეხებოდა რელიგიური, პირადი და ფინანსური ხასიათის პრივილეგიებს. ათონის მთა გახდა საყოველთაო მართლმადიდებლური სამონასტრო ცენტრი, რომელშიც იმყოფებოდნენ ბერები ყველა მართლმადიდებელი ქვეყნიდან. დღეისათვის იქ სამონასტრო ცხოვრებით დაახლოებით 2,500 ბერი ცხოვრობს.

საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად (მუხლი 105-ე), ათონის ნახევარკუნძული საბერძნეთის სახელმწიფოს თვითმმართველობითი ნაწილია, რომლის სუვერენიტეტი ხელშეუხებელია. სულიერად ათონის მთა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს პირდაპირ იურისდიქციაშია. ყველა პირს, რომლებიც იქ სამონასტრო ცხოვრებას ეწევიან, კანონის ძალით ეძლევა საბერძნეთის მოქალაქეობა იმ მომენტიდან, როდესაც ისინი მონასტერში ხვდებიან ბერების ან მორჩილების სახით. ათონის მთის მართვა ხდება მისი ოცი მონასტრის პრივილეგიური რეჟიმის მეშვეობით და მთლიანი ნახევარკუნძული მათ შორისაა დანაწილებული. ნახევარკუნძულის მთელი ტერიტორია განთავისუფლებულია კონფისკაციისგან. მართვა ხორციელდება ოცი მონასტრის წარმომადგენლთა მიერ, რომლებიც ქმნიან წმინდა საზოგადოებას და მისი აღმასრულებელი ორგანოა *Holy Epistassia* (ზედამხედველობა), რომელიც შედგება ოთხი სხვადასხვა მონასტრის ოთხი ბერისგან, რომელთა როტაციაც ყოველწლიურად ხდება. კონსტიტუცია არ იძლევა რაიმე ცვლილების განხორციელების ნებართვას ადმინისტრაციულ სისტემაში, მონასტრების რაოდენობაში, მათ იერარქიულ

წყობასა და მათ ურთიერთობაში მათთან დამოკიდებულებაში მყოფ პირებთან (სენაკები, განმარტოებული საცხოვრებლები). არამართლმადიდებელ ქრისტიანებს ან მართლმადიდებელ სქიზმატებს აკრძალული აქვთ იქ ცხოვრება. ათონის მთის ერთეულების რეჟიმის დეტალური განსაზღვრა და მათი საქმიანობის რეგულირება ხდება ათონის მთის წესდების შესაბამისად. ეს წესდება ჩამოყალიბდა და მას ხმა მისცა ოცმა მონასტერმა, იგი რატიფიცირებულ იქნა მსოფლიო საპატრიარქოსა და საბერძნეთის პარლამენტის მიერ. წესდება ძალაში შევიდა და ამოქმედდა 1927 წელს.

სულიერ სფეროში ათონელების რეჟიმის დაცვა მასში შემავალი ერთეულების მიერ მსოფლიო საპატრიარქოს მეთვალყურეობის ქვეშაა, ხოლო ადმინისტრაციულ სფეროში – საბერძნეთის რესპუბლიკის ზედამხედველობის ქვეშ. იგი განსაკუთრებულად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო წესრიგის და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ძალაუფლება ხორციელდება სამოქალაქო მმართველის მიერ, რომლის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კანონის შესაბამისად და ამ პირს ნიშნავს საგარეო საქმეთა სამინისტრო. კანონი განსაზღვრავს სამართლებრივ უფლებას, რომელიც ხორციელდება მონასტრის ხელისუფლების და წმინდა საზოგადოებრიობის მიერ, ისევე როგორც საბაჟო და საგადასახადო პრივილეგიებს (საკანონმდებლო ბრძანება 10/16-9-1926).

კონსტიტუციის, წესდებისა და L.D.-ის გარდა, ძალაშია ორი სხვა ძირითადი სამართლებრივი წყარო: ლიზანის 1923 წლის ხელშეკრულების მე-16 პროტოკოლის მე-13 მუხლი, რომელიც იცავს არაბერძნული წარმოშობის სამონასტრო საზოგადოების უფლებებსა და თავისუფლებებს, და საბერძნეთის ევროპის კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების საბოლოო აქტის (1979) ერთობლივი დეკლარაცია №4, რომელშიც გაცხადებულია, რომ საზოგადოებამ უნდა შეინარჩუნოს ათონის მთის სტატუსი, განსაკუთრებით საბაჟო პრივილეგიებთან, საგადასახადო შეღავათებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

XIII. სხვადასხვა კულტისა და რელიგიის სპეციალური სამართლებრივი სტატუსი

1. არამართლმადიდებელი ქრისტიანები, ისევე, როგორც მართლმადიდებლები, რომლებიც სარგებლობენ იულიუსის კალენდრით, თითქმის ყოველთვის გაერთიანებული არიან სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ ასოციაციებად, რადგან არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც ცნობდნენ მათ საჯარო სამართლის სუბიექტობას.

1830 წლის ლონდონის მესამე პროტოკოლი, რომელიც ეხებოდა საბერძნეთის სახელმწიფოს შექმნას, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო რომაულ-კათოლიკური ეკლესიის პოზიციასთან საბერძნეთში. ამ პროტოკოლის დებულებების შესაბამისად: ა) საფრანგეთი – რომელმაც იკისრა კათოლიკეების დაცვა ოტომანების მმართველობის პერიოდში – მიატოვა ეს როლი განთავისუფლებულ ტერიტორიებზე, გადასცა რა ეს ამოცანა ახლად შექმნილი სახელმწიფოს სუვერენს, და ბ) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რომაულ-კათოლიკური ეკლესია თავისუფლად და საჯაროდ განახორციელებდა თავის რიტუალებს, ანუ დაცული იქნებოდა მისი საკუთრება, მისი ეპისკოპოსები შეინარჩუნებოდნენ იმ ფუნქციებს, უფლებებს და პრივილეგიებს, რომლებიც მათ ჰქონდათ საფრანგეთის მეფეების პატრონაჟით, ძველი ფრანგული მისიების ან ფრანგული დასახლებების კუთვნილი ქონება იქნებოდა აღიარებული და მას სცემდნენ პატივს.

მისი მომდევნო № 33 (1830) პროტოკოლი აყალიბებდა, რომ პრივილეგიები, რომლებიც გააჩნდათ კათოლიკეებს, არ შეიძლებოდა თავს მოხვეოდა საბერძნეთის მთავრობას, რადგან ვალდებულებები საბოლოოდ გამოინვევდა მიკერძოებულ შეხედულებას დომინირებული რელიგიის მიმართ. როდესაც იონიის კუნძულები კვლავ საბერძნეთს შეუერთდა (1864), მე-3 პროტოკოლი კვლავ ძალაში შევიდა. 1923 წელს, სევრის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც ეხებოდა საბერძნეთში უმცირესობის წარმომადგენლების დაცვას, საბერძნეთში არსებული აზრით და კანონმდებლობის შესაბამისად, ლონდონის პროტოკოლმა არსებობა შეწყვიტა. ეს ინტერპრეტაცია ქმნის სხვადასხვა პრობლემას კათოლიკური ეკლესიის შიგნით, ახალი ეპარქიების შექმნის, პრელატების ოფიციალურ დონეზე ცნობის, ადმინისტრაციული ორგანოების ხასიათის და ფუნქციების, ან თავად კანონიკური კანონის გამოყენების თვალსაზრისით.

არ არსებობს კანონმდებლობა პროტესტანტულ კულტთან დაკავშირებით. რამდენიმე წლის წინ დადგა ევანგელისტური ეკლესიის სამართალსუბიექტობის საკითხი. 1961 წელს კატერინის მართლმსაჯულების შესაბამისად, ეს ეკლესია წარმოადგენდა კერძო სამართლის მორალურ პირს. იმავე ქალაქის პირველი ინსტანციის სასამართლომ და სალონიკის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა ამის საპირისპირო დადგენილება, რომ ევანგელისტური ეკლესია მოკლებულია სამართალსუბიექტობას. Areios Pagos-მა მიაკუთვნა ეს ეკლესია კერძო სამართლის მორალურ სუბიექტს. იგივე იქნა შენარჩუნებული სომხური ეპარქიებისათვისაც საბერძნეთში. რაც შეეხება იელოვას მოწმეებს, სახელმწიფო საბჭომ გამოაცხადა რომ ეს არის აღიარებული რელიგია კონსტიტუციის მე-13 მუხლის შესაბამისად, მაშინ,

როდესაც Areios Pagos-ი და სხვა სამოქალაქო სასამართლოები ყოველთვის ინარჩუნებს თავის უარყოფით პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საინტოლოგია არ არის აღიარებული, როგორც ცნობადი რელიგია.

2. მუსლიმანები. მუსლიმანური უმცირესობის მართვა, რომელიც დაფუძნებულია დასავლეთ თრაკიაში, ხორციელდება ლოზანის ხელშეკრულების შესაბამისად (1923) და სხვადასხვა უფრო ახალი კანონით. უმცირესობას, რომელიც სამ რაიონად არის დაყოფილი (Xanthi, Komotini, Didymoteicho), სათავეში უდგას ეროვნული განათლებისა და საკულტო საკითხების მინისტრის მიერ დანიშნული სამი მუფთი. თითოეული მუფთის იურისდიქცია ხორციელდება თავისი რაიონის მუსლიმანური რელიგიის ყველა ღვთისმსახურზე და იგი სჯის საქმეებს, რომლებიც ეხება თავისი სარწმუნოების პირთა შესაბამის საოჯახო და მემკვიდრეობის კანონებს. ყოველი მუფთის გვერდით შექმნილია კომიტეტი, რომელიც განკარგავს რელიგიური კოლექტივებისა და მოცემული რაიონის საეკლესიო დაწესებულებების ქონებას (evkaf). საბერძნეთის სახელმწიფო ყურადღებას აქცევს მუსლიმანური უმცირესობის სკოლებს, ისევე, როგორც მედრესეებს (სემინარიებს) და სალონიკის სკოლის მოსწავლეებს.
3. ებრაელთა თემი. საბერძნეთში ებრაული რელიგიის სამართლებრივი სტატუსი დაცულია რამდენიმე კანონით (L. 2456/1920, M.L. 367/1945, L. 1657/1951, R.D. of 25.6.1951, D.L. 01/1069). ქალაქებში, სადაც ცხოვრობს ხუთ ებრაულ ოჯახზე მეტი, შეიძლება დაარსდეს ებრაელთა საზოგადოებები პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად. ეს საზოგადოებრიობები წარმოადგენს საჯარო სამართლის მორალურ პირებს და მათი ადმინისტრირება ხდება საზოგადოებრიობის ასამბლეის და საბჭოს მიერ – ორგანოების, რომლებსაც ირჩევენ წევრები. საბერძნეთში არსებული ყველა ებრაელი საზოგადოება წარმოდგენილია “ისრაელის ცენტრალური საბჭოს მიერ კოორდინაციის კონსულტაციების საკითხებში”, მას ირჩევს გენერალური ასამბლეა სამი წლის ვადით, იგი თავისი სპეციალური წარმომადგენლებისგან შედგება. თითოეულ რელიგიურ საზოგადოებას ხელმძღვანელობს რაბინი, რომელიც ინიშნება, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, შესაბამისი საზოგადოების წინადადების საფუძველზე. ასევე არსებობს რაბინების საბჭო, რომელიც მოქმედებს როგორც რელიგიური სასამართლო (Beth-Din). 1946 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, გაუქმდა მისი სამოქალაქო იურისდიქცია. მიუხედავად ამისა, Beth-Din კვლავ აგრძელებს თავისი კომპეტენციის განხორციელებას იმ ისრაელებზე, რომლებსაც არ აქვთ საბერძნეთის მოქალაქეობა, აგრეთვე ახდენს ქორწინების სასულიერო დაშლას, რომლის შესახებაც სამოქალაქო სასამართლომ გამოიტანა განქორწინების გადაწყვეტილება.

XIV. პიპლიომგრავი

Alivizatos H., Die Oikonomie nach dem Canonischen Recht der Orthodoxen Kirche, Frankfurt a M., 1998.

Deliyannis J., Le Mariage Religieux et son Efficacité Civile en Droit Hellénique, in: Marriage and Religion in Europe, Milano (European Consortium for Church-State Research) 1993, p. 121-151.

Ioannou N.-N., Discipline Générale Antique (IIe-IX es.), Rome (P. Comm., Redazione di Codice di Diritto Canonico Orientale – Fonti, IX) 1962-1964.

Konidaris J., Legal Status of Minority Churches and Religious Communities in Greece, in: The Legal Status of Religious Minorities in the European Union, Thessaloniki-Milano (European Consortium for Church-State Research), 1994, p. 171-181.

Konidaris J., Die Orthodoxen Kirchen in Griechenland nach der neuen Grundgesetzgebung, in: Zeitschrift für Evangelisches Kirchenrecht 23 (1978) 189-201.

Koukiadis I./Papastathis. Ch., Droit du Travail et Religion en Grèce, in: Churches and Labour Law in the EC Countries, Milano-Madrid (European Consortium for Church-State Research) 1993, p. 115-125.

Kyriazopoulos K., Church and State in Modern Europe, in: Catharine Cookson (ed.) Encyclopaedia of Religious Freedom, Routledge, New York/London, p. 56-60.

Manitakis A./Photiadou A., New Liberties and Church-State Relationships in Greece, in: New Liberties and Church and State in Europe, Milan, (European Consortium for Church-State Research) 1998, p. 141-158.

Mavrakis A., The Law of Marriage and Divorce in the Church of England and the Church of Greece in Recent Times, 1850-1980, Athens 1992.

Maximos Metropolitan of Sardes, The Ecumenical Patriarchate in the Orthodox Church, Thessaloniki (Patriarchal Institute for Patristic Studies) 1976.

Naskou-Perraki P., The Legal Framework of Religious Freedom in Greece, Athens-Komotini, A. Sakkoulas, 2000.

Nicodemur and Agapiur, The Rudder of the Orthodox Catholic Church. The Compilation of the Holy Canons, Chicago, 1957 (Reprinted, New York 1983).

Papageorgiou Const., Freedom of Religion: A Case of Discrepancy between the Greek and the European Legal Order before the European Court of Human Rights, in: Erasmus Intensive Seminar on Legal Theory: Jurisdiction in Europe. Towards a Common Legal Method, Munster, 1997, p. 215-22.

Papastathis Ch., State Financial Support for the Church in Greece, in: Church and State in Europe: State Financial Support – Religion and the School, Milano (European Consortium for Church-State Research) 1992, p. 1-18.

Papastathis Ch., The Hellenic Republic and the Prevailing Religion, in: Brigham Young University Law Review (1996) p. 815-852.

Papastathis Ch., The Status of Mount Athos in Hellenic Public Law, in: Mount Athos and the European Community, Thessaloniki (Institute for Balkan Studies) 1993, p. 55-75.

Papastathis Ch., The Legal Status of the Monks of Non-Greek Origin in Mount Athos, in: Huit Siècles de Monastere de Chilandar, Belgrade, 2000, p. 179-185.

Papathomas Gr., Le Patriarcat Oecumenique de Constantinople (y Compris la Politeia Monastique du Mont Athos) dans l' Europe Unie, Katerini, 1998.

Perrakis S., L' Objection de Conscience dans l' Ordre Juridique Hellénique, in: Conscientious Objection in the EC Countries, Milano (European Consortium for Church-State Research) 1992, p. 195-210.

Phidas VI., Droit Canon. Une Perspective Orthodoxe, Chambesy/Genève, 1998.

Pitsakis C., La Synallelia Principe Fondamental des Rapports Entre l' Eglise et l'Etat, in: Kanon 10 (1991) p. 17-35.

Poulitsas N., Die Orthodoxe Kirche in Griechischer Sicht, in: Die Beziehungen zwischen Staat und Kirche in Griechenland, B. II, Stuttgart (1960), p. 38-48.

Schaff P./Wace H., A Select Library of Nicene and Post-Nicene Fathers of the Christian Church, 2nd Ser. Vol. XIV: The Seven Ecumenical Councils of the Undivided Church. Reprint: Edinburgh-Grand Rapids, Mich. 1991.

Spyropoulos N., Die Beziehungen Zwischen Staat und Kirche in Griechenland, Athens, 1981.

Troianos S., Die Beziehungen Zwischen Staat und Kirche in Griechenland, in: Orthodoxes Forum 6 (1992), p. 221-231.

Troianos S., Die Synode der Hierarchie als Höchstes Verwaltungsorgan der einzelnen Autokephalen Orthodoxen Kirchen, in: Kanon 2 (1974) p. 192-216.

Tsourkas. D., Les Juridictions Musulmanes en Grèce, in: Hellenic Review of International Law 2 (1981-1982) p. 581-598.

Zhisman J., Das Eherecht der Orientalischen Kirche, Vienna (W. Braumuller), 1864.

სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში

I. სოციალური ფაქტები

ესპანეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების წევრთა ზუსტი რაოდენობის დადგენის რაიმე მექანიზმს. არ არსებობს ასეთი ინფორმაციის შემცველი რეესტრის მონაცემები ან სხვა სახის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა არაპირდაპირი გზით (მაგალითად, რელიგიური გადასახადები) ასეთი მონაცემების მიღება. უფრო მეტიც, ესპანეთის კონსტიტუცია კრძალავს მსგავსი მექანიზმის არსებობას, რადგან კონსტიტუციის მე-16 მუხლი მიუთითებს, რომ "არავინ უნდა იყოს იძულებული, განაცხადოს თავისი რელიგიის, რწმენის ან იდეოლოგიის შესახებ". რელიგიური ჯგუფების წევრთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა სახის კვლევების გამოყენება. ყველაზე ახალი, საკმაოდ სანდო სოციოლოგიური კვლევა (Centro de Investigaciones Sociológicas, 2002 წლის დეკემბრის №2.474 კვლევა) იძლევა ინფორმაციას გამოკითხვის დროს დაფიქსირებული რელიგიური აღმსარებლობის შესახებ:

კათოლიკეები – 80.3%

სხვა რელიგიური მრწამსის მქონე – 1.9%

ურწმუნოები – 10.6%

ათეისტები – 5.2%

პასუხისგან თავი შეიკავა – 2.1%

ზევით მოყვანილი მონაცემები მიუთითებს, რომ ერთადერთი რელიგია, რომელიც ფართოდაა გავრცელებული, კათოლიციზმია. თუმცა, შესაძლებელია ამ ძლიერი «სოციალური არსებობის გადასინჯვა» ორი მიზეზით. პირველი მიზეზი ის არის, რომ ყოველწლიურად მცირდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც თავს კათოლიკეებად აღიარებენ; მეორე მიზეზი კი ისაა, რომ იმ პირთა ქცევის ნორმები, რომლებიც თავს კათოლიკეებად აცხადებენ, კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ დოქტრინას ყოველთვის არ შეესაბამება. ამაში დასარწმუნებლად საკმარისი იქნება გავითვალისწინოთ, რომ ზევით აღნიშნული კვლევისას კათოლიკეთა დაახლოებით ნახევარმა განაცხადა, რომ თითქმის არასოდეს დასწრებია მესას, ხოლო მათი

1/5-ზე ნაკლები მესას ყოველ კვირას ესწრება მაშინ, როდესაც მესაზე დასწრება არის ვალდებულება, რომელსაც უნდა ასრულებდეს ყველა პირი, ვინც თავს კათოლიციზმის მიმდევრად აღიარებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ ესპანეთში ძლიერი სოციალური პოზიციები მართლაც კათოლიციზმს აქვს, მაგრამ ეს უნდა განვიხილოთ მზარდი სეკულარული საზოგადოების კონტექსტში, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყნის ნორმა არც ერთი ოფიციალური რელიგიის მიერ არ უნდა იყოს ნაკარნახევი. არც სხვა რელიგიური ჯგუფების მიმდევართა რაოდენობის ზრდა უნდა შეფასდეს გადაჭარბებულად, სტატისტიკური მონაცემებით ისინი კვლავ უმცირესობაში რჩებიან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევის შედეგად გამოკითხულთა 65%-ის აზრით, რელიგიას ნაკლები გავლენა ექნება ათი წლის შემდეგ, ხოლო მათი ერთი მესამედი ფიქრობს, რომ ათი წლის წინ ეკლესია უფრო გავლენიანი იყო.

II. ისტორიული წინაპირობები

ესპანეთში კათოლიციზმის ასეთ ფართო გავრცელებას ისტორიული ახსნა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების დეტალებზე საუბარი ზედმეტია, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ტოლედოს მესამე კრების დროს (589წ.) კათოლიციზმი აღიარებული იყო ესპანეთის ოფიციალურ რელიგიად. ბიბლიური რელიგიები (ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი) თანაარსებობდნენ იბერიის ნახევარკუნძულზე, თუმცა, ესპანეთის გაერთიანების (1492წ.) ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ისლამის სახედრო მარცხს და ებრაელთა განდევნას დაემთხვა. ასე რომ, ეროვნული იდენტურობა მნიშვნელოვნად ეფუძნება რელიგიურ ერთიანობას.

კონკრეტულ ეკლესიასთან დაკავშირებული ერის და შესაბამისად სახელმწიფოს იდენტურობის მნიშვნელოვანი ელემენტი რეფორმაცია იყო, რასაც ეროვნული ეკლესიების ფენომენის გაძლიერება მოჰყვა.

რეფორმაცია ნაკლებად შეეხო ესპანეთს, მაგრამ ესპანეთის კათოლიკე მონარქმა, სხვა კათოლიკე მონარქების მსგავსად, კარგად იცოდა, როგორ მიეღო მისგან სარგებელი. ერთი მხრივ, მან რომისგან გამოყოფის გარეშე მოიპოვა კათოლიკურ ეკლესიაზე კონტროლი თავისი სახელმწიფოს ფარგლებში ისევე, როგორც ეს გააკეთეს პროტესტანტმა მონარქებმა თავიანთ სამეფოებში. ეს ფაქტი ცნობილია რეგალიზმის სახელით. მეორე მხრივ, რეფორმაციისგან კათოლიციზმის დაცვამ, მას საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების დამკვიდრების საშუალება მისცა, რომლებიც სცილდებოდა წმინდა რელიგიურ სფეროს და გადადიოდა პოლიტიკურ

სფეროში. ინკვიზიცია ამის ნათელი მაგალითია. ასე რომ, მე-18 საუკუნეში ყველაზე ცხადად, მაგრამ გაცილებით ადრეც არც თუ ისე შორეულ წარსულამდე, ესპანეთის მონარქია რომის მღუმარე თანხმობით არა მარტო მანიპულირებდა კათოლიკური რელიგიით, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმით, არამედ თავისი ტერიტორიული სუვერენიტეტის ფარგლებში რომის თანხმობის გარეშე ახორციელებდა კონტროლს კათოლიკურ ეკლესიაზე. რეგალიზმისა და მისი კონტროლის მექანიზმების მიმართ პაპის მხრიდან ოპონირების მიუხედავად, ესპანეთის სამეფო ტახტის მიმართ კიდევ ერთი გამონაკლისი განხორციელდა. საქმე ეხება ამერიკული რეგალიზმი, რომელიც გაგებულია ამერიკის ტერიტორიებზე განვითარებულ რეგალიზმად, რაზედაც რომი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, როგორც ამ მიწებზე კათოლიციზმის გავრცელების ერთადერთ გზას.

სამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებით მე-19 საუკუნე კონსტიტუციების სიმრავლით ხასიათდებოდა, რომელთა მიღება სხვადასხვა პოლიტიკური ცვლილებების (ლიბერალიზმიდან დაწყებული კონსერვატიზმით დამთავრებული) ფონზე ხდებოდა. მე-19 საუკუნის ლიბერალიზმი ანტიკლერಿಕალურ პოლიტიკას წევრთა მისაზიდად იყენებდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ლიბერალიზმმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კათოლიციზმთან ესპანეთის იდენტიფიკაციის მსხვერველზე. მაგალითად შესაძლოა მოყვანილი იქნეს ქადესის კონსტიტუცია (1812), რომელიც ესპანური ლიბერალიზმის ნიმუშია და კათოლიციზმს ოფიციალურ რელიგიად აღიარებს, ხოლო სხვა რელიგიას კი კრძალავს. ასეთი პრინციპი გასაკვირი არ არის, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის გარემოება, რომ ასამბლეის 1/3 დაკომპლექტებული იყო ან კათოლიკური სასულიერო პირების ან რელიგიური ორდენების წარმომადგენელთა მიერ.

სამართლებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების და კათოლიციზმის პირველი აშკარა გამიჯვნა 1931 წელს მოხდა, როდესაც მიღებული იქნა მეორე რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელშიც განსაზღვრული იყო, რომ “ესპანეთის სახელმწიფოს არა აქვს ოფიციალური რელიგია” (მე-3 მუხლი); რელიგიის სწავლება აიკრძალა, კათოლიკური ეკლესიის დაფინანსება გაუქმდა და განხორციელდა მთელი რიგი სხვა ცვლილებები. მეორე რესპუბლიკა ალბათ სწორედ მოქმედებდა, როდესაც ამ რეფორმას ახორციელებდა, თუმცა, სწორად ვერ შეარჩია მისი განხორციელების დრო, რადგან ანტიკლერಿಕალური ხასიათის სეკულარიზაციის პოლიტიკა იყო ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია სახელმწიფო გადატრიალება, რაც სისხლიანი სამოქალაქო ომის (1936-1939 წლები) დაწყების მიზეზი გახდა.

სამხედრო ფრაქცია, რომელმაც პრინციპული როლი შეასრულა სამოქალაქო ომის გაჩაღებაში, სამოქალაქო ომის გასამართლებელ მიზეზად იყენებდა ესპანეთში კათოლიკური ერთიანობის დაცვას. ესპანეთის კათოლიკური წრეები თითქმის

ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ამ ფრაქციას და არ მორიდებიან ომის რელიგიურ ჯვაროსნულ ლაშქრობად გამოცხადებასაც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სამოქალაქო ომის შემდგომმა რეჟიმმა ერის ეკლესიასთან იდენტიფიკაციის საკითხში ყველაზე ტრადიციული პოზიცია დაიკავა. კათოლიციზმში ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. არასაუნივერსიტეტო განათლება პრაქტიკულად კათოლიკური ეკლესიის მიერ იქნა მონოპოლიზებული. კათოლიკური წრეების საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი ასევე წარმოდგენილი იყო პოლიტიკურ სტრუქტურებში, ხოლო 1953 წელს გაფორმდა კონკორდატი, რომელმაც აღიარა როგორც კათოლიკური ეკლესიის მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვნა, ასევე გაითვალისწინა იმ დროისათვის არსებული მდგომარეობა. ჩამოყალიბდა ძალიან მკაცრი და ანაქრონული მოდელი, რომელმაც ვერ შეძლო გენერალ ფრანკოს ავტოკრატიული რეჟიმის დასრულებამდე არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სისტემა 40-წლიანი არსებობის მანძილზე გარკვეულწილად განვითარდა, ფუნდამენტური ცვლილებები ფრანკოს სიკვდილამდე (1975 წელი) არ განხორციელებულა.

სწრაფმა და ეფექტურმა გარდამავალმა პროცესებმა, რაც ფრანკოს გარდაცვალებას მოჰყვა, მთლიანად შეცვალა სამართლებრივი სისტემა და ავტოკრატიული რეჟიმი დემოკრატიულ სისტემად გარდაქმნა. ეს პროცესი, როგორც მოსალოდნელი იყო, ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობებშიც აისახა.

1976 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ვატიკანთან, რომელიც 1953 წლის კონკორდატის ჩანაცვლების საფუძველი გახდა. 1978 წელს მიღებული იქნა კონსტიტუცია, რომელმაც აღიარა სახელმწიფოს არადენომინაციური ბუნება და სრული რელიგიური თავისუფლება. ვატიკანთან გაფორმებული სხვადასხვა ხელშეკრულებების (რომლებმაც კონკორდატი ჩანაცვლეს (1979)), რელიგიის თავისუფლების შესახებ აქტის (1980) და სხვა რეფორმების შედეგად, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ესპანური სისტემა, რომელიც ადრე არსებული ვითარების სრულიად საწინააღმდეგო იყო. ხელისუფლებაში სოციალისტური მთავრობის მოსვლის შემდეგ, როდესაც განხორციელდა საგანმანათლებლო რეფორმები და 1992 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებებს სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებთან, დასრულდა რეფორმების ციკლი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამჟამად არსებულ საეკლესიო სამართლის სისტემას, რომელზედაც ქვემოთ მოცემულ თავებში იქნება საუბარი.

III. ქირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

ესპანეთის საკანონმდებლო წყაროებში კონსტიტუცია უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე დგას. მე-16 მუხლი ანებს საეკლესიო სამართლის საფუძვლებს შემდეგ საკითხებზე:

1. იდეოლოგიის, რელიგიის, ღვთისმსახურების თავისუფლება გარანტირებულია კერძო პირებისთვის და გაერთიანებებისთვის და მათ გამოხატვაზე არ შეიძლება განხორციელდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა საზოგადოებრივი წესრიგის საკეთილდღეოდ აუცილებელი შეზღუდვებისა, როგორც ეს კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.
2. არავინ უნდა იყოს იძულებული განაცხადოს თავისი რელიგია, რწმენა და იდეოლოგია.
3. არ არსებობს სახელმწიფო რელიგია. საჯარო ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ესპანეთის საზოგადოების რელიგიური მრწამსი და შეინარჩუნოს შესაბამისი თანამშრომლობა კათოლიკურ ეკლესიასთან და სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან”.

ეკლესიის და სახელმწიფოს საკითხებთან მიმართებაში სხვა წესებიც მოქმედებს. მე-14 (2) მუხლი აცხადებს: “ესპანელები თანასწორნი არიან კანონის წინაშე და არ შეიძლება დისკრიმინებული იყვნენ რელიგიის მიხედვით” და 27-ე (3) მუხლის მიხედვით “საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოფს მშობლის უფლებას, რომ მისი შვილები იღებდნენ რელიგიურ და მორალურ განათლებას მათი რწმენის შესაბამისად”.

ესპანეთის ადგილობრივ საკანონმდებლო წყაროებს შორის წამყვან ადგილზეა საერთაშორისო სამართალიც. ესპანეთმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა მთავარ დეკლარაციებს; კონსტიტუცია საერთაშორისო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით განსაზღვრავს: “კონსტიტუციის მიერ აღიარებული უფლებების და თავისუფლებების შესახებ წესები ინტერპრეტირებული უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის და ესპანეთის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესაბამისად” (მე-10 (2) მუხლი).

ესპანეთს ტრადიციულად დადებული ჰქონდა კონკორდატები ვატიკანთან. მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საკონსტიტუციო ცვლილებების და კონსტიტუციის ამჟამინდელი შინაარსის ადრეული ვერსიებისგან განსხვავების მიუხედავად, ეს სისტემა ჯერ კიდევ არსებობს. ვატიკანთან ურთიერთობა ხუთი შეთანხმებითაა განსაზღვრული. მათგან ოთხი კონკორდატი 1979 წლითაა დათარიღებული და ეხება სამართლებრივ საკითხებს (იურიდიული პირის სტატუსთან და ქორწინებასთან დაკავშირებით), საგანმანათლებლო და კულტურულ საკითხებს, შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებულ და ეკონომიკურ საკითხებს, ხოლო 1962 წლის შეთანხმება საეკლესიო უნივერსიტეტებში არასაეკლესიო განათლების საკითხებს არეგულირებს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამ შეთანხმებებს საერთაშორისო ხელშეკრულებების სტატუსი აქვთ, როგორც ეს დამონშებულია საპარლამენტო პროცედურებით და ესპანეთის უზენაესი სასამართლოს და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

როგორც აღინიშნა, 1980 წელს მიღებული იქნა რელიგიის თავისუფლების აქტი. ეს აქტი აღიარებს რელიგიის კოლექტიურ და ინდივიდუალურ თავისუფლებას და ცდილობს განსაზღვროს რელიგიური კანონმდებლობის შინაარსი და სფერო. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ესპანეთის სამართლებრივ სისტემაში კათოლიკური ეკლესიის გარდა სხვა რელიგიური გაერთიანებების ადგილის განსაზღვრაა. ეს არ ეხება კათოლიკურ ეკლესიას, რომლის ადგილიც კონკორდატების მეშვეობითაა განსაზღვრული.

რელიგიის თავისუფლების აქტი განსაზღვრავს შესაძლებლობას, რომელიც ესპანეთის საეკლესიო სამართალში აბსოლუტურ ინოვაციას წარმოადგენს:

“სახელმწიფო, მხედველობაში იღებს რა ესპანეთის საზოგადოებაში გავრცელებულ სხვადასხვა რელიგიურ რწმენას, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს შეთანხმებებს ან ხელშეკრულებებს რეგისტრირებულ ეკლესიებთან, რელიგიურ თუ სარწმუნოებრივ გაერთიანებებთან, რითაც უზრუნველყოფილია მათი ამკარა გავლენა ესპანურ საზოგადოებაში, მათ მიმდევართა რაოდენობისა და დომინირების გამო. ასეთი შეთანხმებების აღიარება ნებისმიერ შემთხვევაში საპარლამენტო აქტით უნდა განხორციელდეს” (მე-7 (1) მუხლი).

ამ პრინციპზე დაყრდნობით ძალაში შევიდა პროტესტანტულ ეკლესიებთან, ებრაულ და მუსულმანურ თემებთან გაფორმებული სამი შეთანხმება. კვლავ საკამათო საკითხად რჩება მათი ზუსტი სამართლებრივი ხასიათი, თუმცა, ამ დროისათვის კითხვად რჩება, შეუძლია თუ არა პარლამენტს მათში ცალმხრივად ცვლილებების შეტანა. აღსანიშნავია, რომ კათოლიკური ეკლესიის მიერ

მოპოვებული უფლებები უფრო მეტი და შინაარსობრივად უფრო ეფექტურია. მაგალითად, რელიგიის სწავლების შეთავაზება დაყენებულია როგორც კათოლიკური ეკლესიის, ისე სხვა დენომინაციების მიერ, მაგრამ პირველ შემთხვევაში, შეთავაზება სავალდებულო ხასიათს ატარებს და ხარჯებსაც სახელმწიფო გაიღებს, სხვა შემთხვევებში კი ამგვარი წესი არ მოქმედებს. კათოლიკური საავადმყოფოს დახმარების ხარჯებს ფარავს სახელმწიფო, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დახმარება უზრუნველყოფილია იმ რელიგიური უმცირესობების მიერ, რომელთაც შეთანხმებები აქვთ გაფორმებული სახელმწიფოსთან. სამართლებრივი მნიშვნელობის გარდა, აღსანიშნავია ამ საკანონმდებლო აქტების სიმბოლური როლიც: მართალია, მკაცრად ინსტრუმენტულ დონეზე, მაგრამ მაინც რელიგიური უმცირესობები კათოლიკური ეკლესიის თანასწორ პოზიციაზე იმყოფებიან. ხოლო ის გარემოება, შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს რეალობიდან გამომდინარე, არ ამცირებს მის სიმბოლურ გამოხატულებას.

სხვა საკანონმდებლო აქტებში არსებობს რიგი სპეციფიკური დებულებები რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით. მაგალითად, საგადასახადო, შრომის, ურბანულ საკითხთა კანონმდებლობა, თუმცა, ეს უკვე ამ განხილვის სფეროს სცილდება.

საინტერესოა ესპანეთის უზენაესი სასამართლოს და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ავსებს ესპანეთის კანონმდებლობას და, შესაბამისად, ესპანეთის საეკლესიო სამართალს.

მაგალითად, რელიგიური და ეთიკური მოსაზრებებით აბორტზე უარის თქმის ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს. თუმცა, ისინი არ წარმოადგენს საკანონმდებლო წყაროს, არსებობს ესპანეთის ადმინისტრაციის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორცაა შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოებში რელიგიური გაერთიანებების აღრიცხვის, საავადმყოფოებში რელიგიური დახმარების განხორციელების პრაქტიკული საშუალებების უზრუნველყოფის შესახებ და ა.შ.

საკანონმდებლო წყაროების ამ მოკლე მიმოხილვის ბოლოს უნდა აღინიშნოს ორი საკითხი. პირველი საკითხია ე.წ. “ავტონომიური რეგიონების კანონმდებლობა”. 1978 წლის კონსტიტუციით ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მონყობა ინოვაციურ სისტემად განვითარდა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სრული საკანონმდებლო ძალაუფლება აქვთ. მართალია, ისინი პირდაპირ არ ფლობენ შესაბამის ძალაუფლებას რელიგიის თავისუფლების, რელიგიური დენომინაციების და სხვა მსგავს საკითხებთან

დაკავშირებით, თუმცა, არაპირდაპირი გზით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საეკლესიო სამართლის მოქმედი მოდელის ჩამოყალიბებაში. ავტონომიური რეგიონების კომპეტენციას განეკუთვნება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (რელიგიური დახმარება საავადმყოფოებში), განათლების და ქალაქის დაგეგმარების საკითხები, რომლებიც კავშირშია რელიგიური უმცირესობების საქმიანობასთან.

მეორე საკითხია დენომინაციური სამართლებრივი სისტემების რელევანტულობა. სასტატუტო კანონმდებლობად (Statute Law) მათი მიჩნევის გარდა, საკონფესიო სამართლის პირდაპირი მოქმედების გადმონაშთების არსებობა ესპანეთის კანონმდებლობაში სახეზეა. ეს აისახება, მაგალითად, კანონიკურ სამართალზე ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, ასეთ არსებობას უბრალოდ ნარჩენი მოქმედების ეფექტი აქვს.

2. მოდელის მახასიათებლები

ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის თანამედროვე მოდელებს ტრადიციულად მიღებული კლასიფიკაციები აღარ შეესაბამება. გარდა ამისა, ესპანეთის სისტემა არც სახელმწიფო ეკლესიის მაგალითად შეიძლება იქნეს მიჩნეული და არც დენომინაციურ მოდელად. იგი მკაცრი გაგებით არც ეკლესიის და სახელმწიფოს გაყოფის მოდელს შეეფერება.

კონსტიტუცია უშვებს რელიგიური ფენომენის გათვალისწინებას, მაგრამ ცოტა უფრო წინ მიდის იმის განსაზღვრაში, თუ რას უნდა მოიცავდეს იგი. გასათვალისწინებელია, რომ ამჟამინდელი სამართლებრივი სისტემა ისტორიის ანარეკლია და კათოლიკური აღმსარებლობის კვალი მცირედ, მაგრამ მაინც არსებობს. კონსტიტუციაში კათოლიკური ეკლესიის მოხსენიებას განსაკუთრებულ სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია, თუმცა, ეს ფაქტი მისი ისტორიული და სოციალური მნიშვნელობის აღიარებაა.

სისტემა პრაქტიკულად ორი იდეის გარშემო ტრიალებს. ერთი მხრივ, რელიგიურმა დენომინაციებმა სახელმწიფოსგან უნდა მიიღონ გარკვეული აღიარება, რომლის შედეგიც იქნება სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ სპეციფიკური მოპყრობა. მეორე მხრივ, სისტემისთვის არსებითია რელიგიის თავისუფლების იდეა არა მხოლოდ რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპის აღიარებით, არამედ ასევე რელიგიური უმცირესობებისთვის აღიარების დონის შეზღუდვაც. რელიგიურ უმცირესობებს შეუძლიათ სახელმწიფოსგან დახმარების მიღება, თუ ასეთი დახმარება ზიანს არ აყენებს რელიგიის თავისუფლებას და თანასწორობას.

სამართლებრივად საკანონმდებლო სისტემამ შეთანხმებების მექანიზმი აირჩია რელიგიური უმცირესობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით შემოღებული იქნა პირამიდის სისტემა. კათოლიკური ეკლესია კონკორდატების მეშვეობით მაქსიმალურ უფლებებს იღებს და შესაბამისად პირველ ადგილზე დგას. მეორე ადგილზე ის რელიგიური უმცირესობები არიან, რომელთაც სახელმწიფოსთან შეთანხმებები აქვთ გაფორმებული. მესამე ადგილზე არიან შესაბამის რეესტრში აღრიცხული რელიგიური ჯგუფები, ხოლო ბოლო ადგილს სპეციფიკური სამართლებრივი სტატუსის გარეშე არსებული რელიგიური ჯგუფები იკავებენ.

რელიგიური უმცირესობების მიმართ მოპყრობის პირამიდული სტრუქტურის წარმომავლობა საკანონმდებლო წყაროების სისტემაში დევს, რომელიც თავადაც ასევე იღებს ამ სტრუქტურას. გამარტივებულად და საეკლესიო სამართლის სპეციფიკურ წესებთან მიმართებაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტიტუცია ერთგვარი მწვერვალია. ვატიკანთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების მთელი სერია, რომლებიც ერთად ქმნიან კონკორდატს, განსაზღვრავს კათოლიკური ეკლესიის სამართლებრივ ადგილს. სამი რელიგიური უმცირესობის ადგილს კი არეგულირებს შეთანხმებები, რომელთაც მარეგულირებელი კანონის სტატუსი აქვთ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მისი კონვენციური ბუნებითაა განმტკიცებული. რელიგიის თავისუფლების აქტი აყალიბებს რელიგიური ქცევის ჩარჩოებს, რომელიც არ მოიცავს ოთხიდან არც ერთ რელიგიურ გაერთიანებას, რომლებმაც სახელმწიფოსთან გააფორმეს ხელშეკრულება.

IV. რელიგიური ერთეულების სამართლებრივი სტატუსი

რელიგიის თავისუფლების აქტი (7/1980) აწესებს, რომ “ეკლესიებმა, სარწმუნოებრივმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა, ასევე მათმა ფედერაციებმა, უნდა მიიღონ სამართლებრივი პირის სტატუსი შესაბამის საჯარო რეესტრში, რომელიც ამ მიზნით არის შექმნილი და იუსტიციის სამინისტროში ინახება” (მე-5 (1) მუხლი). აქედან გამომდინარე, რელიგიური უმცირესობების სამართლებრივი სტატუსის აღიარებაში მნიშვნელოვანია საჯარო ადმინისტრაციის როლი. ადმინისტრაციის მხრიდან რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება განიხილონ სასამართლო ორგანოებმა. თავად კანონი აწესებს რეგისტრაციის მოთხოვნებს: “რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს აპლიკაციის საფუძველზე, რომელსაც თან

ერთვის ესპანეთში ორგანიზაციის დაფუძნების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაციის მისი რელიგიური მიზნების, დენომინაციის ან იდენტურობის სხვა მახასიათებლების, წარმომადგენლობითი ორგანოების, მათი უფლებამოსილებებისა და სწორი რეკვიზიტების შესახებ” (მე-5 (2) მუხლი).

საწყის პერიოდს, როცა რეგისტრაციის კრიტერიუმები გაცილებით ფართო იყო, მოჰყვა ისეთი პერიოდი, რომელიც შესაბამისი ორგანოების, საჯარო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მხრიდან უფრო მკაცრი მოთხოვნებით ხასიათდება. ამ მოთხოვნების თანახმად წარდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია რელიგიური აღმსარებლობის არსებობის, მიმდევართა გარკვეული რაოდენობის, ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ და სხვა. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო დროინდელი გადაწყვეტილებით (46/2001, 15 თებერვალი) ალბათ ისევე აღდება უფრო გამარტივებული რეგისტრაციის სისტემა. რეგისტრირებული რელიგიური ერთეულების რაოდენობა ამჟამად ათასს უნდა აღემატებოდეს, რაც არ გულისხმობს, რომ ყველა მათგანი რელიგიური უმცირესობაა პირდაპირი გაგებით.¹⁵⁵ გარდა იურიდიული პირის სტატუსის მიღების შესაძლებლობისა, რეგისტრაციის შედეგად კანონით მთელი რიგი სხვა უფლებებიც არის განსაზღვრული: “რეგისტრირებული ეკლესიები, აღმსარებლობები და რელიგიური გაერთიანებები უნდა იყვნენ სრულად დამოუკიდებელი და თავად შეუძლიათ დამტკიცონ მათი ორგანიზაციული წესები, შიდა და თანამშრომლებთან დაკავშირებული დადგენილებები” (მე-6 მუხლი (1)).

თუმცა, როგორც ზევით აღინიშნა, უფრო ფართომასშტაბიანი პრივილეგიების მოპოვების შესაძლებლობა სახელმწიფოსთან შეთანხმების გაფორმებაა. ამისათვის კი სამმა რელიგიურმა გაერთიანებამ თავისი ფედერაციები შექმნეს, რის საფუძველზედაც მათ საშუალება მიეცათ შეთანხმება დაედოთ სახელმწიფოსთან და ეს დამტკიცდა შემდგომი კანონმდებლობის მეშვეობით: ესპანეთის პროტესტანტული ეკლესიების ფედერაცია (კანონი 24/1992), ესპანეთის ებრაული თემის ფედერაცია (კანონი 25/1992) და ისლამური კომისია (კანონი 26/1992).

ამ შეთანხმებების შინაარსი პრაქტიკულად ერთნაირია, ისევე როგორც მათი მიღების დრო, რის საფუძველზედაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ისინი

155 რელიგიურ საკითხთა გენერალური დირექტორატის ინფორმაციის თანახმად (Dirección General de Asuntos Religiosos) 1998 წლისთვის რეგისტრირებულია შემდეგი ერთეულები: პროტესტანტული ეკლესიები და გაერთიანებები: 744; მართლმადიდებელი ეკლესიები: 5; ქრისტიანულ მეცნიერთა: 3; იელოვას მოწმეები: 1; მორმონები: 1; სხვა ქრისტიანული დენომინაციები: 10; იუდაიზმი: 15; ისლამი: 99; ბაჰაის რწმენა: 2; ინდუიზმი: 13; Guia de Entidades Religiosas de España, Secretaria General Técnica. Ministerio de Justicia, Madrid, 1998, p23

ნარმოადგენენ არა სპეციფიკურ შეთანხმებებს, არამედ სახელმწიფოს მიერ წარდგენილ ტექსტს, რომელიც ზოგადად უნდა ყოფილიყო მიღებული. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, საჯარო ადმინისტრაციას არ სურს სისტემის გაფართოება. რელიგიურ უმცირესობებს შეუძლიათ შეთანხმებებში გათვალისწინებული პრივილეგიების მიღება რომელიმე ზევით ჩამოთვლილ ფედერაციაში განწევრიანებით. პრივილეგიების მიღების ეს სისტემა ეფუძნება იმ პრაქტიკას, რომლის საშუალებითაც ახალი რელიგიური უმცირესობები გაერთიანდნენ სახელმწიფოსთან შეთანხმებაში მყოფ ფედერაციებთან. ამგვარი პრაქტიკა საჯარო ადმინისტრაციას თავიდან ააცილებს მრავალი შეთანხმების გაფორმებას. თუმცა, ასეთმა პრაქტიკამ მაინც გამოიწვია პარადოქსული შედეგები. ამის ყველაზე კარგი მაგალითია მართლმადიდებელი ქრისტიანული გაერთიანებების პროტესტანტულ ფედერაციაში გაერთიანება შეთანხმების მიღწევის მიზნით. რელიგიური უმცირესობების რომელიმე არსებულ ფედერაციასთან შეერთების მცდელობა ხშირად მარცხით მთავრდება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ფედერაციებს უფლება აქვთ თვითონ გადაწყვიტონ, ვის მიიღებენ ახალ წევრად. უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე ფედერაციაში გაერთიანებით გამორიცხულია სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ზოგიერთი რელიგიური უმცირესობის მიერ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პრივილეგიების მიღება დამოკიდებულია არა სახელმწიფოს, არამედ ფედერაციის წევრი რელიგიური უმცირესობების ნებაზე.

როგორც ზევით აღინიშნა, ხელშეკრულებების სისტემა ესპანეთში შემოღებული იქნა, როგორც რელიგიური უმცირესობებისთვის პრივილეგიების მინიჭების მეთოდი და უბრალოდ რეგისტრირებული გაერთიანებები იღებენ გაცილებით ნაკლებ შესაძლებლობებს, ხოლო შეთანხმებაში მყოფი გაერთიანები კი – ძალიან ფართო შესაძლებლობებს.

კათოლიკური ეკლესია განყენებული მაგალითია, რომელიც რეგისტრირებული არ არის ესპანეთის იუსტიციის სამინისტროს რეესტრში. მისი პოზიცია, ფაქტობრივად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირდება. მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, კერძო სამართლის ფარგლებში კათოლიკური ეკლესია მოქმედებს მისთვის სასურველი მოდელით. ესპანეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რელიგიური უმცირესობის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს. კათოლიკური ეკლესიის ფართო ორგანიზაციული შესაძლებლობები გულისხმობს, რომ იურიდიული პირის სტატუსის მიმნიჭებელი სისტემები განსხვავდება მისი სხვადასხვა ერთეულების მიმართ. საეპისკოპოსო კონფერენციას კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირის სტატუსი აქვს. ეპარქიებსა და სხვა

ტერიტორიულ დანაყოფებს კი მისი მიღება უბრალოდ სახელმწიფოსთვის შეტყობინების საფუძველზე შეუძლიათ. რელიგიური ორდენები და კონგრეგაციები უნდა დარეგისტრირდნენ, ხოლო ასოციაციები და ფონდები კი ზოგადი სამართლის განხილვის საკითხებია.

რაც შეეხება დანარჩენ კოლექტიურ რელიგიურ ჯგუფებს, ესპანეთის კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის მათ მიმართ სპეციფიკური მოპყრობა. დაურეგისტრირებელ რელიგიურ უმცირესობებზე ვრცელდება საერთო სამართლის პრინციპები. ასევე, ე.წ. “ახალი რელიგიური მიმდინარეობები” არ სარგებლობენ განსაკუთრებული დამოკიდებულებით და მიეკუთვნებიან საერთო სამართლის განხილვის საგანს ასოციაციის, ღვთისმსახურებისა და გამონხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. არ არსებობს არანაირი შეზღუდვა ან პრივილეგია რომელიმე რწმენის მიმდევრობის ან რელიგიურ უმცირესობაში იერარქიული ადგილის დაკავების შემთხვევაში (გარდა კათოლიკურ იერარქიასთან დაკავშირებული ანაქრონული გამონაკლისი შემთხვევებისა).

V. ეკლესია და კულტურა

რელიგიური უმცირესობებისთვის არ არსებობს არანაირი პრივილეგიები განათლების და კულტურის სფეროში, თუმცა, ამ საკითხის რამდენიმე ასპექტი უნდა იქნეს განხილული.

არასაუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ცენტრების შექმნასთან დაკავშირებით რელიგიურ უმცირესობებს იგივე უფლებები აქვთ, როგორც ნებისმიერ სხვა ერთეულს ან პირს. ესპანეთში არსებობს როგორც უფასო საჯარო სკოლების, ისე კერძო საგანმანათლებლო ცენტრების შექმნის თავისუფლება. ამ კერძო ცენტრებმა შეიძლება მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება ან თვითდაფინანსებაზე იმუშაონ. ის სკოლები, რომლებსაც სახელმწიფო დახმარების მიღება სურთ, რაც ძირითადად ყველა სახის ხარჯს ფარავს, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. მაგალითად, განათლება უნდა იყოს უფასო, მოსწავლეთა მიღების წესები უნდა იყოს სახელმწიფო ცენტრებში არსებული წესების მსგავსი და ცენტრის საქმეების მართვაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და სხვა პერსონალი. სახელმწიფო ცენტრებისგან განსხვავებით კერძო ცენტრებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეულ იდეოლოგიური მიმართულება. იდეოლოგიური ორიენტაციის არსებობის შესაძლებლობა გულისხმობს სწავლების თავისუფლების შეზღუდვას ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს ცენტრის იდეოლოგიას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ესპანეთში შესაძლებელია კერძო საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა, რომლებიც

სახელმწიფოსგან იღებენ დაფინანსებას და გარკვეულ რელიგიურ იდეოლოგიას ატარებენ, თუმცა, ამის სანაცვლოდ ისინი უფრო მკაცრ პირობებში მუშაობენ, ვიდრე სახელმწიფო დაფინანსების გარეშე არსებული კერძო საგანმანათლებლო ცენტრები.

საკმაოდ განსხვავებული მდგომარეობაა რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით. ყველა საგანმანათლებლო ცენტრში, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებაზეა, კათოლიკური რელიგიის შესწავლა ფაკულტატური საგანია. მასწავლებელთა კადრები შეირჩევა საეპისკოპოსო კონფერენციის მიერ, მაგრამ მათ ხელფასს სახელმწიფო უხდის. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ტრადიციული პრობლემაა იმ მოსწავლეებისთვის ალტერნატიული საგნის შეთავაზება, რომლებმაც არ აირჩიეს კათოლიკური რელიგიის სწავლა და უნდა ჩაითვალოს თუ არა მიღებული ნიშნები აკადემიური წლის შეფასებისას. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზის გამოძებნა დამოკიდებული იყო მთავრობის პოლიტიკურ შეხედულებებზე.

ფედერაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (მე-10 მუხლი) სხვა რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით ითვალისწინებს ასეთი სასწავლო პროგრამის შეთავაზებას როგორც კერძო (სახელმწიფო დაფინანსებით), ისე სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენტრებში, თუ ის ცენტრის იდეოლოგიას არ ეწინააღმდეგება. თუმცა, იმისათვის, რომ სახელმწიფომ სწავლის ხარჯები დააფინანსოს, საგანი უნდა აირჩიოს სულ ცოტა ათმა მოსწავლემ. ეს ესპანეთის რეალობაში ნიშნავს, რომ სეუტასა და მელილას (რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარეობს, თუმცა, ესპანეთის მმართველობაშია) შემთხვევების გარდა, ამ საგნების სწავლის ხარჯებს ყველა შემთხვევაში რელიგიური უმცირესობები იხდიან.

ესპანეთში რელიგიურ უმცირესობას შეუძლია უნივერსიტეტის დაარსება ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ერთეულს ან პირს. ერთადერთი გამონაკლისი, როგორც ყოველთვის, კათოლიკური ეკლესიაა. ეკლესიის ოთხი უნივერსიტეტი (საეპისკოპოსო კონფერენციის მიერ მართული სალამანკას შემთხვევაში ოპუს დეი ნავარას შემთხვევაში და იზუიტები დეუსტოსა და კომილას შემთხვევაში) 1962 წლის 5 აპრილის შეთანხმების საფუძველზე მიღებულ სტატუსს ფლობს. თუმცა, ამჟამად ახალი საეკლესიო უნივერსიტეტებიც არსებობენ, რომელთაც არა აქვთ შეთანხმებასთან მიერთების შესაძლებლობა, მაგრამ შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტებისა და დაწესებულებების შესახებ არსებულ ზოგად კანონმდებლობას.

ესპანეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არ არსებობს თეოლოგიური ფაკულტეტები და არც მათი დაარსების შესაძლებლობა ახლო მომავალში, რაც ტრადიციის დარღვევაა. თუმცა, თეოლოგიური და სხვა ნებისმიერი საეკლესიო განათლება კათოლიკური ეკლესიის უნივერსიტეტებში სამოქალაქო სამართლის მიზნებადაა აღიარებული.

მედიასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური გაერთიანებები სხვა სოციალური ჯგუფების თანაბარ დონეზე დგანან. მათ შეუძლიათ დაარსონ რადიო, გაზეთი, ჟურნალი ან სატელევიზიო არხი. ისინი არ წარმოადგენენ საჯარო მედიაორგანოს ნაწილს. პრაქტიკულად, როგორც სახელმწიფო ტელევიზიაში, ისე რადიოში, დირექტორთა საბჭოს მიერ მათთვის გამოყოფილია საეთერო დრო. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლის 12 ივლისის კანონით ესპანეთში ამოქმედდა რეკლამასთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივა (89/552).

VI. შრომის კანონმდებლობა რელიგიურ გაერთიანებებში

შრომითი დებულებები რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით გამოიყენება იმ სპეციფიკური მახასიათებლებით, რომლებიც რელიგიურ ერთეულებს აქვთ.

ზოგიერთი რელიგიური პირის მიერ მისი რელიგიური ორდენის უფლებამოსილების ან წესების ფარგლებში განუღებლად სამუშაო, დასაბამი მისცა რამოდენიმე პრეცედენტულ სამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც ყოველთვის არაა ერთსახოვანი, მაგრამ აქ არ არის მისი დეტალურად განხილვის შესაძლებლობა.

VII. სამორწინო და სამოწახო სამართალი

სამოქალაქო ქორწინების პარალელურად არსებობს ქორწინების გარკვეული რელიგიური ფორმები, რომელთაც ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით სამართლებრივი ძალა აქვთ. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი აწესებს, რომ “კანონიერი სამართლის წესების შესაბამისად გაფორმებულ ქორწინებას შეიძლება ჰქონდეს ძალა სამოქალაქო სამართალში” (მე-60 მუხლი). აღიარებულია პროტესტანტული ეკლესიის, ებრაული და მუსულმანური თემების მიერ ჩატარებული ქორწინების იურიდიული ძალაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესპანეთში არსებობს მხოლოდ ერთი სახის ქორწინება – სამოქალაქო ქორწინება, მაგრამ მას აქვს სხვადასხვა ფორმები: სამოქალაქო, კათოლიკური, პროტესტანტული, ებრაული და მუსულმანური.

საკმაოდ რთულია შემდეგი დებულების ინტერპრეტაცია: “ქორწინებაში შესვლის მსურველ მხარეებს, კანონიერი სამართლის დებულებების მიხედვით,

შეუძლიათ საეკლესიო სასამართლოებისთვის მიმართვა, ქორწინების გაუქმების ან პაპის გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. ზემოხსენებულ საეკლესიო გადაწყვეტილებებს სამოქალაქო სამართლის მიხედვით შეიძლება სრული იურიდიული ძალა მიეცეთ, თუ ისინი სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად არის აღიარებული” (მე-6 მუხლი (2)), შეთანხმება სამართლებრივ საკითხებზე). სირთულე იმის გარკვევაა, რა არის სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისი. თუმცა, პრობლემა უფრო თეორიული ხასიათისაა, რადგან მხარეთა კონფლიქტი შეიძლება სასურველი შედეგით დასრულდეს სამოქალაქო განქორწინების მეშვეობით, რომელიც ესპანეთის კანონმდებლობაში პრაქტიკულად ავტომატურად ხორციელდება.

VIII. ეკლესიების დაფინანსება

კათოლიკური ეკლესია ერთადერთი ეკლესიაა, რომელიც პირდაპირ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს. არსებული პროცედურის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელმა პირმა უნდა მიუთითოს, რომ თანხის 0.5% პირდაპირ ეკლესიას შეიძლება გადაერიცხოს. უნდა განიმარტოს, რომ ეს არ არის ეკლესიისთვის აუცილებლად გადასახდელი თანხა, რადგან გადამხდელი თავად წვევტს, რისთვის გადაიხადოს თანხის ეს ნაწილი – ეკლესიისთვის, სხვა სოციალური საჭიროებებისთვის თუ პირდაპირ სახელმწიფოს გადასცეს. სხვა რელიგიურ გაერთიანებებს არა აქვთ ამ მექანიზმის გამოყენების უფლება. თუმცა, კათოლიკური ეკლესიის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების მიზნით შექმნილ მექანიზმზე, რომელიც გადასახადის გადამხდელი პირის სურვილზეა დამოკიდებული, დროებითი სიტუაციის შენარჩუნების მცდელობამ არასახარბიელოდ იმოქმედა.

ვატიკანთან ეკონომიკურ საკითხებზე გაფორმებულმა ხელშეკრულებამ დაფინანსების ამ სისტემის წარმოდგენით დაადგინა, რომ სამი წლის მანძილზე, სახელმწიფომ ეკლესიისათვის ამ მეთოდით მიღებულ თანხასა და პირდაპირ ბიუჯეტიდან მიღებულ თანხას შორის განსხვავება უნდა შეავსოს. სამი წლის შემდეგ, თავად გადასახადის გადამხდელზე იქნება დამოკიდებული, რა რაოდენობის თანხა იქნება მიღებული. თუმცა, წლიდან წლამდე განსხვავება ისევე იფარება, როგორც განსაზღვრულია იყო სამწლიანი დროებითი პერიოდისთვის.

დაფინანსების მიზნით ბიუჯეტიდან თანხის გაცემის ალტერნატიული გზაა გარკვეული საგადასახადო შეღავათების მინიჭება. მიუხედავად ესპანეთის საგადასახადო კოდექსის სირთულისა, ამ საკითხთან დაკავშირებით ესპანეთის

სამართლებრივი სისტემა გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. დეტალების განხილვის საჭიროება აქ არ არის, საკმარისია იმის თქმაც, რომ შეთანხმების გამფორმებელი რელიგიური გაერთიანებები (კათოლიკური ეკლესია, პროტესტანტული ეკლესია, ებრაული და მუსულმანური თემები) კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში განიხილება, როგორც არამომგებიანი ორგანიზაციები. ისინი განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან, რადგან მიჩნეულია, რომ მათი შემოსავალი მათი თემების საჭიროებებს ხმარდება. გარდა ამისა, არ იბეგრება გამოკვეთილად რელიგიური ხასიათის გარკვეული ღონისძიებები, გამოცემები, რელიგიური საგნების შექენა და ა.შ.

IX. რელიგიური დახმარება საჯარო ინსტიტუტებში

რელიგიური დახმარება უზრუნველყოფილია სამი ტიპის საჯარო ინსტიტუტში, კერძოდ, შეიარაღებულ ძალებში, სასჯელალსრულების დაწესებულებებში და საავადმყოფოებში. უახლოეს წარსულში ეს დახმარება სტრუქტურულად ისე იყო ორგანიზებული, რომ არსებობდა სახელმწიფო სამოქალაქო პირთა გარკვეული ერთეულები, რომლებიც კათოლიკე კაპლანები იყვნენ თითოეული ამ ინსტიტუტისათვის. სხვა სახის დახმარება არ არსებობდა. თუმცა, სისტემა განვითარდა იმგვარად, რომ ადმინისტრაციული ურთიერთობა საკონტრაქტო ურთიერთობამ ჩაანაცვლა. ამჟამად განზრახულია ამ პრაქტიკის სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე განვრცობა. თუმცა, მიღებული უფლებების პატივისცემის მიზნით, შენარჩუნებული იქნა ძველი სისტემის ფარგლებში არსებული ზოგიერთი ნესიცი.

შეიარაღებულ ძალებში კათოლიკური რელიგიური დახმარება უზრუნველყოფილია შეიარაღებული ძალების სამხედრო ეპარქიის მიერ (პერსონალური და არა ტერიტორიული ეპარქია), რომელსაც ხელმძღვანელობს ეკლესიის და სახელმწიფოს შეთანხმების საფუძველზე დანიშნული ეპისკოპოსი. ეპისკოპოსს ეხმარება მღვდლების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ კონტრაქტის საფუძველზე დროებით ან მუდმივად. მათ ხელფასს უხდის სახელმწიფო და სამართლებრივი ვალდებულების მიხედვით შეუძლიათ მოითხოვონ განუყოფელი სამსახურის კომპენსაცია. სხვა მღვდლებს ან რელიგიური ორდენის წარმომადგენლებს შეუძლიათ მათთან თანამშრომლობა, მაგრამ არა კონტრაქტის

საფუძველზე. არაკათოლიკური რელიგიური დახმარება უზრუნველყოფილია შეიარაღებული ძალების შესახებ სამეფო განკარგულების და 1992 წლის შეთანხმებების საფუძველზე. შესაბამისი დენომინაციის სასულიერო პირებს უფლება აქვთ მიიღონ სამხედრო დაწესებულებებში დახმარების განწვევის შესაძლებლობა, თუმცა, ისინი ვალდებული არ არიან ასეთი დახმარების განწვევა და არც სახელმწიფოსგან ფინანსდებიან. ანალოგიური რეჟიმი ვრცელდება პოლიციის ეროვნულ ძალებზე.

ციხეებში კათოლიკური დახმარება სასულიერო პირების მიერაა უზრუნველყოფილი, რომელთაც იმ ტერიტორიის ეპისკოპოსი ნიშნავს, სადაც ციხე მდებარეობს. ისინი უფლებამოსილნი არიან და მათი ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც კათოლიკეები არ არიან, არსებობს მათთან უბრალოდ შესვლის შესაძლებლობის მოპოვების უფლება.

დაახლოებით იგივე სისტემაა საზოგადოებრივ საავადმყოფოებთან დაკავშირებით.

X. რელიგია და სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კოდექსის XXI თავის (სისხლის სამართლის დანაშაული კონსტიტუციის წინააღმდეგ) სათაურია: “სისხლის სამართლის დანაშაული სინდისის თავისუფლების, რელიგიური გრძნობების წინააღმდეგ და მიცვალებულთა პატივისცემა”. იგი ხუთი მუხლისაგან შედგება (522-526 მუხლები). სისხლის სამართლის დანაშაულს მიეკუთვნება რელიგიური საქმიანობისთვის ხელის შეშლა, რელიგიური საქმიანობის განხორციელების იძულება, რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების რელიგიური საქმიანობისთვის ხელის შეშლა, ღვთისმსახურების ადგილებზე რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, რელიგიური გრძნობების საჯაროდ დაცინვა და საფლავების ხელყოფა.

უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება, თუ დისკრიმინაციული მოპყრობა რელიგიური მოტივებით არის გამოწვეული.

XI. სასულიერო პირთა სამართლებრივი სტატუსი

პირველი სირთულე სასულიერო პირების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით იმის განსაზღვრაა, თუ როდის გვაქვს საქმე რელიგიურ მსახურთან ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით. კათოლიკური ეკლესიის შემთხვევაში ამ თვალსაზრისით არ არსებობს არანაირი პრობლემა. ასევე თითქმის არ არსებობს პრობლემა იმ რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით, რომლებსაც დადებული აქვთ ხელშეკრულებები და სადაც განსაზღვრულია მათი უფლებამოსილება (მე-3 მუხლი)

ისტორიულად გამართლებული იყო სასულიერო პირთა სტატუსზე საუბარი სხვადასხვა სპეციფიკური უფლებებისა და მოვალეობების კუთხით, თუმცა, სიტუაცია შეიცვალა. მაგალითად, ის ფაქტი, რომ მოქმედებს დებულებები განსაზღვრული დენომინაციის სასულიერო პირთა სოციალური დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებით ან განსაზღვრული რელიგიური ორდენების წევრთა მიმართ ამგვარი პრაქტიკის გამოყენება, ეს არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სპეციფიკური სტატუსის მიმართ ხელსაყრელი მოპყრობა. ეს უბრალოდ ის შემთხვევაა, როცა ცალკეული კერძო პირებისათვის, რომლებიც დაცვის ამ უნივერსალურ სისტემაში გარკვეულ სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ, უზრუნველყოფის ყველაზე შესაფერისი ფორმის მორგებას ცდილობენ.

ეჭვს გარეშეა, რომ ჯერ კიდევ არსებობს ძველი სისტემის გადმონაშთები, რომელთაც განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ. მაგალითად, ეპისკოპოსს უნდა ეცნობოს კათოლიკე მღვდლის ან რელიგიური ორდენის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ (1976 წლის 28 ივლისის ხელშეკრულება ვატიკანთან, მე-2 მუხლი) ან როცა აღიარებული რელიგიური გაერთიანების მაღალი თანამდებობის პირი სამხედრო პროცედურის აქტის მიერ განთავისუფლდება ჩვენების მისაცემად სასამართლოში გამოცხადებისგან მაშინ როცა ეს წერილობითი ფორმით შეიძლება გაკეთდეს (135-ე (2) მუხლი).

რაც შეეხება აღსარების საიდუმლოებას, რომელიც, სავარაუდოდ, პროფესიულ საიდუმლოს მიეკუთვნება, სისხლის სამართლის დევნის შესახებ აქტი რელიგიის ყველა მსახურს ჩვენების მიცემის ან მონმედ გამოსვლის ვალდებულებისაგან ანთავისუფლებს იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც მათ მიიღეს მათი ღვთისმსახურების მოვალეობის შესრულებისას.

XII. პიბლიოგრაფია

Legislation

A.-C. Álvarez Cortina/M.J. Villa Robledo, Repertorio Legislativo y Jurisprudencial de Derecho Eclesiástico Español, Universidad de Oviedo–EUNSA, Pamplona, 1998.

A. De la Hera/R..M. Martínez De Codes, Spanish Legislation on Religious Affairs, Centro de Publicaciones. Ministerio de Justicia. Madrid, 1998.

M.E. Olmos/J. Landete Casas, Legislación Eclesiástica, Thomson-Civitas, Madrid, 2004.

I.C. Ibán/M. González, Textos de Derecho Eclesiástico (Siglos XIX y XX), Centro de Estudios Políticos y Constitucionales–Boletín Oficial del Estado, Madrid, 2001.

Journals

«Anuario de Derecho Eclesiástico del Estado», 1985 and following years.

«Laicidad y Libertades. Escritos Jurídicos», 2001 and following years.

Textbooks

I.C. Ibán/L. Prieto Sanchís / A. Mottilla, Manual de Derecho Eclesiástico, Editorial Trotta, Madrid, 2004.

J. Ferrer Ortiz (ed.), Derecho Eclesiástico del Estado Español, EUNSA, Pamplona, 2004.

J.M. González del Valle/M. Rodríguez Blanco, Derecho Eclesiástico Español, Civitas, Madrid, 2002.

სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში

I. სოციალური ფაქტები

საფრანგეთი კათოლიკური ტრადიციების ქვეყანაა, თუმცა დღეს რელიგიურ წესებს ნაკლებად იცავენ¹⁵⁶. ამჟამად არსებული “ექვსი დიდი რელიგიის” მიმდევრებიდან დაახლოებით 750,000 პროტესტანტია, 650,000 ებრაელი, 200,000 მართლ-მადიდებელი და 6,000,000 მუსლიმანი. ისლამი ქვეყნის რიგით მეორე რელიგიაა.

პროტესტანტული ეკლესიები არაა ერთი გაერთიანებული ორგანიზაციის ნაწილი, ისინი განსაკუთრებულ “ასოცირებულ” სტრუქტურაშია გაერთიანებული. თითოეულ ეპარქიაში ეპარქიის ასოციაცია ირჩევს სამრევლო საბჭოს. სამრევლოები დაჯგუფებულია “კონსისტორიებად” (წრიული სტრუქტურები), რომლებიც აერთიანებს ყველა მოქმედ პასტორს მოცემულ ტერიტორიაზე და მათზე ორჯერ მეტ საერო წარმომადგენელს. უფრო მაღალ საფეხურებზე ორგანიზაციული სტრუქტურა არ არის ერთგვაროვანი. შეიძლება ვახსენოთ ორი ყველაზე დიდი მიმდინარეობა რეფორმირებულ ეკლესიებში, რომლებიც აერთიანებს საფრანგეთის პროტესტანტების ყველაზე დიდ რაოდენობას, გარდა ამისა, არის რეგიონალური სინოდები და ეროვნული სინოდი. აუგუსტურგის კონფესიის ეკლესიებს ელზასსა და მოზელში ჰყავს უფროსი სამღვდლო პირები და უმაღლესი კონსისტორია. 1905 წელს მიღებული კანონის კვალდაკვალ შეიქმნა Fédération Protestante de France (საფრანგეთის პროტესტანტების ფედერაცია), რომელიც ფორმირებული იყო 1901 წლის კანონის ფარგლებში და დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ეკლესიების ერთგვარი კონფედერაციის ფორმად, რომლის თითოეული წევრიც ეჭვიანობდა თავის დამოუკიდებლობაზე სხვებთან შედარებით, საფრანგეთის პროტესტანტების ფედერაციას შეეძლო გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ მისი წევრების ანონიმური ხმის მიცემის წესით, რაც უნდობლობის გამოხატულება იყო. 1962 წელს მიღებულმა ახალმა წესდებამ ორგანიზაციას დაუმკვიდრა ახალი სახე, რომელსაც შეეძლო მიეღო გადაწყვეტილებები (დოქტრინის გარდა) ხმათა უბრალო უმრავლესობით. “ფედერაციას” სხვა მიზნებს შორის აქვს ერთი – “წარმოადგინოს ფრანგული პროტესტანტიზმი სახელმწიფო ხელისუფლების და უცხოური და საერთაშორისო ინსტიტუტების წინაშე”, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მოიცავს მთელ პროტესტანტულ საზოგადოებრიობას. რიგი ორგანიზაციები,

156 საფრანგეთის მოსახლეობის თითქმის 80 % აცხადებს, რომ კათოლიკეა, თუმცა 15%-ზე ნაკლები ესწრება რეგულარულად საკვირაო მესას.

რომლებსაც შეუძლია მოქმედება მხოლოდ საერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მისი სტრუქტურის ნაწილია (ინფორმაცია, ახალგაზრდობა, საგარეო ურთიერთობები, რადიო და ტელევიზია, საკაპულანო მოღვაწეობა ციხეში).

მსგავსი სტრუქტურა – ხელმძღვანელობის კონსისტორიული ფორმა – აქვთ იუდეველებს. პარიზში მდებარეობს ცენტრალური კონსისტორია, რომელშიც შედის ყველა ებრაული რელიგიური ორგანიზაცია. იგი საფრანგეთის ებრაელობის წარმომადგენლობითი ორგანოა ხელისუფლებასთან ურთიერთობისას და ირჩევს საფრანგეთის მთავარ რაბინს. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფრანგული ებრაელი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი საბჭო.

ისლამი აერთიანებს სხვადასხვა წარმომავლობის და ეროვნების ხალხს, მაგრამ საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმანების 80% დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაა. ისინი ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობას ეკუთვნიან, რის გამოც გაძნელებულია მათი ქმედებების კოორდინაცია. მათთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს რელიგიურ საქმეთა ბიურო. 2002 წლის აპრილში აირჩიეს მუსლიმანური რელიგიის ფრანგული საბჭო (CFCM) და რეგიონალური საბჭოები. მუსლიმანებს აქვთ მრავალი სამლოცველო, მაგრამ არსებული მწირი რესურსების პირობებში მათი მატერიალური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. არქიტექტურული ღირებულების თვალსაზრისით საფრანგეთში მხოლოდ რვა მნიშვნელოვანი მეჩეთია.

მართლმადიდებლურ ეპარქიებს, რომლებიც შექმნილია ეთნიკურ ან ეროვნულ საფუძველზე, კოორდინაციას უწევს საეპისკოპოსთაშორისი კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს მიტროპოლიტი. იგი მოქმედებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის სახელით.

და ბოლოს, ბუდისტების კავშირი მოიცავს პავოდეების, ცენტრების და ინსტიტუტების 80%-ს. ისინი აცხადებენ, რომ არიან ბუდისტური ტრადიციების მიმდევრები.

II. ისტორიული მონაცემები

საფრანგეთში ეკლესიების სამართლებრივი სტატუსი დიდად არის დამოკიდებული ისტორიაზე.

- (ა) 1789 წლის 26 აგვისტოს “ადამიანის და მოქალაქის უფლებების” დეკლარაციის მიხედვით გამოცხადდა რწმენის თავისუფლება (პუნქტი X), ხოლო 1791 წლის კონსტიტუცია (ნაწილი I) იძლეოდა რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას. 1789 წლის 2 ნოემბრის

დეკრეტის შესაბამისად ჩატარდა ეკლესიის საკუთრების ნაციონალიზაცია. ამის სანაცვლოდ სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა ეკლესიის მიმდინარე და სამღვდლოების შესანახი ხარჯი. საეკლესიო მსახურთა სამოქალაქო კონსტიტუცია (1790 წლის 12 ივლისი) სახელმწიფოს მხრიდან იყო ცალმხრივი აქტი, რომელიც არეგულირებდა სამღვდლოების სტატუსს და კათოლიკური რელიგიის საქმიანობის ორგანიზაციას. იგი აღმოჩნდა სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებული და განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო სამსახური. პაპმა პიუს VI-მ დაგმო არსებული მდგომარეობა 1791 წლის 10 მარტის მოკლე Quod Aliquantum-ში. თანდათანობით, კონვენტის რეჟიმის დროს, განსაკუთრებით ტერორის პერიოდში (1793 წლის მაისიდან 1795 წლის ივლისამდე), ტარდებოდა სისტემატური დექრისტოიანიზაციის პოლიტიკა. 1795 წლის 21 თებერვლის დეკრეტის შესაბამისად, დაიწყო ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკა აღიარებდა რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას, იგი არ უზრუნველყოფდა რელიგიის მსახურებს ხელფასით, შენობებით და არ ცნობდა მათ. ეკლესია განიცდიდა ინტენსიურ დევნას.

- (ბ) ბონაპარტემ აღადგინა რელიგიური მშვიდობა კონკორდატთან მოლაპარაკების მეშვეობით, რომელსაც 1801 წლის 15 ივლისს (26 Messidor year IX) ხელი მოაწერეს მან და პაპმა პიუს VII-მ. მოკლე ტექსტობრივ მასალაში, რომელიც 17 პუნქტისგან შედგებოდა, ბონაპარტემ დატოვა არაერთი გაუგებარი ადგილი¹⁵⁷. პროცესი დასრულდა კონკორდატის ძირითადი პუნქტების მიღებით (77 პუნქტი), საფრანგეთის მთავრობის ცალმხრივი აქტით, რომელიც არ აღიარა წმინდა საყდარმა, მაგრამ, ამავე დროს, ვრცელდებოდა როგორც კონკორდატი (Law of 18 Germinal year X) და მას იყენებდნენ მომდევნო მთავრობები მე-19 საუკუნის განმავლობაში. ეს ძირითადი მუხლები აყალიბებდა კავშირს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ისინი საშუალებას აძლევდა სამოქალაქო ხელისუფლებას, მკაცრი კონტროლი

157 მუხლი 1 იძლეოდა გარანტიას რელიგიის საზოგადოებრივი პრაქტიკის თაობაზე “ისეთი წესების შესაბამისად, როგორსაც მთავრობა თვლის აუცილებლად საზოგადოებრივი სამიშვიდის შესანარჩუნებლად”. რელიგიური საზღვრები ხელახლა იყო განსაზღვრული ხელშეკრულებით რელიგიის და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის. ეპისკოპოსების და ეპარქიის მღვდლების გასამრჯელო წარმოადგენდა სახელმწიფო ხარჯს. ის ეკლესიები, რომლებიც არ იყო მიტოვებული და რომლებიც საჭირო იყო რელიგიური რიტუალებისათვის, კვლავ ხელმისაწვდომი იყო ეპისკოპოსებისათვის (Conseil d’Etat მოგვიანებით გადაწყვიტა საკითხი, თუ რა იყო სახელმწიფოს საკუთრება და რა საზოგადოების)

განხორციელებინა რელიგიის მსახურებზე, რათა მიეღწიათ პროგრესისთვის რელიგიის თვალსაზრისით. ამ კანონს ბონაპარტემ დაუმატა 44 ძირითადი პუნქტი, რომლებიც უკავშირდებოდა პროტესტანტულ ეკლესიას. ისინი უქვემდებარებდა რეფორმირებული ეკლესიის ორგანიზაციას და აუგბურგის კონფესიის ეკლესიის კონტროლს, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაზე განხორციელებული კონტროლის მსგავსი იყო. იუდაიზმთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა 1808 წლის სამი დეკრეტით.

ამ კანონების კრებული შეივსო სხვა ტექსტებითაც, რომლებითაც რეგულირდებოდა რელიგიის მსახურთა სამართლებრივი პოზიცია და მათი ხელფასი, ისევე, როგორც სამართლებრივი წესები ეკლესიისთვის გამოყოფილ ქონებასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა საზოგადოებრივმა რელიგიურმა ორგანიზაციამ თავი გაართვა ამ მემკვიდრეობას. განსაკუთრებით მათ, რომელთა სტრუქტურა და ძალაუფლება რეგულირდებოდა 1809 წლის 30 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ოთხი “აღიარებული ეკლესია” სარგებლობდა არაერთი უპირატესობით, განსაკუთრებით კი ფინანსურით, მაგრამ ისინი იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ.

ამ კანონმდებლობის ძირითად ნაწილს იყენებდნენ მრავალფეროვან პოლიტიკურ კონტექსტში. მთავრობები, რომლებიც კეთილგანწყობილნი იყვნენ კათოლიკური ეკლესიის ან ყველა რელიგიის მიმართ, სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს. მე-19 საუკუნის საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, რელიგიური ინტერესები ფუნდამენტური პოლიტიკური დებატების ნაწილი იყო. რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა შემდგომ კონფლიქტებს. ივლისის მონარქიიდან დაწყებული (1830წ.) და შემდგომ სხვადასხვა შეხედულების ჩამოყალიბებამ კათოლიკური ეკლესიის შიგნით, ისევე, როგორც პოლიტიკურ სამყაროში, დიდი წვლილი შეიტანა ორი საპირისპირო ჯგუფის შექმნაში. ერთი ჯგუფი შედგებოდა ტრადიციული წესის მომხრეებისგან, იგი დაკავებული იყო ძველი პოლიტიკის (Ancien Régimem) აღდგენით და ეს ადამიანები განიხილებოდნენ, როგორც ეკლესიის ძალაუფლების უპირობო მომხრეები. მეორე მხარეს შეადგენდნენ ახალი მონყოლის მომხრეები, რომლებიც მხარს უჭერდნენ 1789 წლის ფასეულობებს და იყვნენ კათოლიკური ეკლესიის და მისი სამღვდელოების შეურიგებელი ოპონენტები. ამ ორი მტრული მხარის ვითომდა მარტივი დაპირისპირების სურათის მიღმა შეიძლება ყოფილიყო უფრო რთული პერიპეტეიები, თუმცა ამ ორმა საწინააღმდეგო ტენდენციამ ეკლესიების სამართლებრივი სტატუსი უპირველესი მნიშვნელობის პოლიტიკურ საკითხად აქცია. როგორც კი

რესპუბლიკელებმა კვლავ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება 1879-1880 წლის შემდეგ, ანტიკლერიკალიზმი მათი პოლიტიკური პროგრამის სათავეში მოექცა. მათთვის თავად რესპუბლიკური რეჟიმის არსებობა შეუთავსებელი იყო ეკლესიის შენარჩუნებასთან რაიმე სიცოცხლისუნარიანი სახით. ამ განწყობით მათ აამოქმედეს 1880-იანი წლების ანტიკლერიკალური კანონები, რომლებიც მიუღებელი იყო ეკლესიისთვის. ამ კანონების უმეტესობა დღეს კვლავ ძალაშია. 1904 წელს წმიდა საყდართან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის შემდეგ, 1905 წლის 9 სექტემბრის კანონმა აღადგინა საფრანგეთში სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების რეჟიმი.

- (გ) ეკლესიების ახალი სტატუსის ფუნდამენტური პრინციპები მოცემულია პირველ ორ მუხლში. რესპუბლიკა იძლევა საჯარო აღმსარებლობის გარანტიას, მაგრამ ბოლოს უღებს “აღიარებული ეკლესიების” სტატუსის არსებობას. არც ერთმა რელიგიამ არ უნდა მიიღოს სამართლებრივი აღიარება. ეკლესია აღარ იყო საჯარო ინსტიტუტი, იგი კერძო სექტორის ნაწილი გახდა. მოგვიანებით პაპმა თავის ცირკულარულ წერილში *Vehementer Nos* (11 თებერვალი 1906) დაგმო ეკლესიის და სახელმწიფოს გამიჯვნა და სთხოვა ეპისკოპოსებს, წასულიყვნენ 1905 წლის კანონის განხორციელების წინააღმდეგ. სახელმწიფო ზოგი გვიანდელი კანონით ცდილობდა შეეცაოს ის სამართლებრივი სიცარიელე, რომელიც დარჩა მას შემდეგ, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ უარი განაცხადა თანამშრომლობაზე.

1870 წელს აღმოსავლეთი საფრანგეთის სამი ადმინისტრაციული ოლქი (*Haut-Rhin, Bas-Rhin, Moselle*) გერმანულ მმართველობაში აღმოჩნდა. გერმანიის იმპერატორი და წმიდა სინოდი შეთანხმდნენ დაეტოვებინათ სტრასბურგისა და მეცის საეპარქიოში ფრანგული რელიგიური კანონები, რომლებიც ძალაში იყო მათი ანექსიის დროს. საიმპერატორო ბრძანებით ხდებოდა ზოგიერთი დებულების ცვლილება ან მათში ჩამატებების შეტანა. 1918 წელს, სამი ადმინისტრაციული ოლქის დაბრუნების შემდეგ, პოლიტიკურ წინამძღოლებს და ადგილობრივ მოსახლეობას სურვილი ჰქონდა, შეენარჩუნებინათ წონასწორობა. ელზასა და მოზელის ადგილობრივი კანონი ინარჩუნებს აღიარებული ეკლესიების სისტემას, რომელსაც ფინანსურად მხარს უჭერს სახელმწიფო. მათზე არ ვრცელდება 1905 წლის კანონი.

III. სამართლებრივი წყაროები და საკონსტიტუციო რეჟიმი

1905 წლის კანონით დაცულია ფუნდამენტური პრინციპები. 1958 წლის კონსტიტუციაში ფაქტობრივად არ იყო გათვალისწინებული ეკლესიების საკონსტიტუციო რეჟიმის ჩამოყალიბება, იგი შეიცავდა მხოლოდ ორ დებულებას, რომლებიც ეკლესიის სტატუსს ეხებოდა¹⁵⁸. ეს კონსტიტუციური წყაროები მწირია, მაგრამ ფუნდამენტური, რადგან ისინი აყალიბებს სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. 1905 წლის კანონის პირველ ორ პუნქტში წინ არის წამოწეული ფუნდამენტური პრინციპები: რწმენის თავისუფლება მისი “ალიარების” და სუბსიდიირების¹⁵⁹ გარეშე.

სრული მიუკერძოებლობის პირობებში, როგორც ჩაფიქრებული იყო არსებული დოქტრინების მეშვეობით, “French laïcité”-ის რწმენის თავისუფლების პრინციპი მყარ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოს, ეს პრინციპი სავსებით შეესაბამება განცალკევების პოლიტიკას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველამ შეძლოს თავის მიერ არჩეული ეკლესიის ცერემონიებზე დასწრება და არჩეული რწმენის შესაბამისი საეკლესიო მომსახურების მიღება. დროთა განმავლობაში საფრანგეთში უპირატესობით სარგებლობს სახელმწიფოს როლის მიმართ ახალი მიდგომა, რომელიც მოითხოვს ხშირ ჩარევას იმიტომ, რომ ყველგან უზრუნველყოს აუცილებელი პრაქტიკული პირობები საზოგადოებრივი აღმსარებლობისთვის ყველა რელიგიასთან დაკავშირებით.

158 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა ნათლად ეხება “ადამიანის და მოქალაქის უფლებების დეკლარაციას”, რომელიც რწმენის თავისუფლების გარანტიას იძლეოდა. მე-2 მუხლი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი “არის საერო რესპუბლიკა (რომელიც)... უზრუნველყოფს მისი ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე, მოუხედავად მათი წარმომავლობისა, რასისა ან რელიგიისა. იგი პატივს სცემს ყველა რწმენას”.

159 მუხლი 1: “რესპუბლიკა უზრუნველყოფს სინდისის თავისუფლებას. იგი იძლევა გარანტიას რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევებით, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით”.
მუხლი 2: “რესპუბლიკა არ ალიარებს, აფინანსებს ან აწარმოებს ნებისმიერი რელიგიის სუბსიდიირებას. ... მოუხედავად ამისა, აღნიშნულ ბიუჯეტებში (სახელმწიფო ან საჯარო ერთეულები) შეიძლება შეტანილ იქნას ხარჯები დაკავშირებული საკაპლანო სამსახურთან, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რათა უზრუნველყო რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობა ისეთ დაწესებულებებში, როგორცაა საშუალო სკოლები, კოლეჯები, საბავშვო სახლები, თავშესაფრები და ციხეები”

სხვადასხვა რელიგიას შორის თანასწორობა გულისხმობს სახელმწიფო რელიგიის, “ოფიციალური” ან დომინანტური რელიგიის, აღიარებული ეკლესიების არარსებობას. არც ერთ რელიგიას არ აქვს განსაკუთრებული სახელმწიფო სტატუსი. 1905 წლის კანონმდებელს უნდოდა, რელიგია კერძო საქმედ ექცია და დაექვემდებარებინა იგი კერძო სამართლისთვის. თუმცა სახელმწიფო რელიგიას ყოველთვის არ განიხილავს როგორც წმინდა კერძო მოვლენას, მას ზოგჯერ განსხვავებულ სტატუსსაც ანიჭებს.

მაგრამ რომელ ჯგუფებს ან საქმიანობას ეხება ეს სპეციალური პოლიტიკა? რა არის რელიგია? შეკითხვა საკმაოდ დელიკატურია. კანონმდებელი, სასამართლოები, დოქტრინის ავტორები ვერ იძლევიან პასუხს. მათ არ აქვთ უფლება გამოხატონ თავიანთი აზრი ამის თაობაზე, მხედველობაში იღებენ რა სახელმწიფოს ნეიტრალიტეტს რელიგიასთან მიმართებაში. პრაქტიკაში ამას გადაწყვეტს მოსამართლე (Conseil d'État an Cour de Cassation), იგი იღებს გადაწყვეტილებას საქმიდან საქმემდე და ამასთან თავს არიდებს ზოგად გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს სხვა საქმის გადასაწყვეტად. ამრიგად, სასამართლოები იღებს გადაწყვეტილებას ცალკეულ ჯგუფებთან ან ასოციაციებთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს თუ არა მათი, როგორც ეკლესიის მსგავსი ორგანიზაციების, აღიარება და იმ დროისთვის მოქმედი სამართლებრივი წესები ხელსაყრელია თუ არა, ან შეიძლება თუ არა მათი გამოყენება. კონსტიტუციის “სიჩუმე”, განცალკევების პოლიტიკა, სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი და კანონმდებლის სიფრთხილე განაპირობებს იმას, რომ ფრანგული საეკლესიო კანონი ძირითადად გამომდინარეობს სასამართლო გადაწყვეტილებებიდან. მართალია, არსებობს შესაბამისი კანონები, ბრძანებები და სხვა დებულებები, მაგრამ საფრანგეთს ესაჭიროება კანონები, რომლებიც უფრო მოქნილია და უფრო ზუსტი მათი გამოყენების სფეროსთან მიმართებით. ისინი ორი ფორმისაა: შინაგან საქმეთა სამინისტროს საეკლესიო/საკულტო საქმეთა ბიუროს (Bureau des Cultes) მიერ გამოცემული ცირკულარები და ფართოდ გავრცელებული საპრეცედენტო სამართალი (Conseil d'État of the Cour de Cassation), აგრეთვე აღსანიშნავია უფრო ახალი და ნაკლებმნიშვნელოვანი საკონსტიტუციო საბჭოს (Conseil constitutionnel) მიერ გამოცემული აქტები.

საფრანგეთის “საერო ნეიტრალიტეტის” პოლიტიკამ ახალი მიმართულება მიიღო 2004 წლის 15 მარტის კანონის მიღების შემდეგ. ამ კანონის თანახმად, იკრძალებოდა “საჯარო სასწავლებლებსა და კოლეჯებში რელიგიური ატრიბუტიკის და მსგავსი დატვირთვის მქონე ტანსაცმლის ტარება აღსაზრდელების მიერ, რადგან ამით ისინი ღიად გამოხატავდნენ თავიანთ რელიგიურ კუთვნილებას”.

IV. რელიგიური ჯგუფების სამართლებრივი სტატუსი. ახალი რელიგიური მოძრაობების მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ეკლესიების არალიარების პრინციპი არსებობს, რელიგიური ჯგუფების მიმართ გამოიყენება გარკვეული სპეციალური წესები. ეს არის არა იმ სტატუსის საკითხი, რომელიც ეკლესიებს ზოგადად აქვს მინიჭებული, არამედ უფრო სამართლებრივი წესები, რომლებიც გამოიყენება რიგ ინსტიტუტებთან, ორგანოებთან ან ჯგუფებთან მიმართებაში. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკლესიის ცხოვრებაში. ჩვენ ვახსენებთ ძირითად კანონებს, მაგრამ, ამავე დროს, აღვნიშნავთ, რომ არსებობს სხვა ორგანოები (ფონდები, საეკლესიო კომპანიები და ა.შ.) და სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც ამ ნაშრომში არ არის განხილული.

1. საკულტო ასოციაციები (Associations cultuelles)

1905 წლის კანონის IV პუნქტი უზრუნველყოფდა იმ საკულტო ასოციაციების შექმნას, რომლებსაც შეეძლო ყოფილი საეკლესიო დაწესებულების კონფისკაციაში მოყოლილი ქონების მიღება. შესაბამისი ასოციაციები ექვემდებარება 1901 წლის 1 ივლისის კანონს, რომელიც არეგულირებს მათ საქმიანობას¹⁶⁰, ასევე – დამატებით კანონებს, რომლებიც ასეთად ჩამოყალიბდა 1905 წელს; მე-19 პუნქტის შესაბამისად, ისინი უნდა იყოს შექმნილი ექსკლუზიურად საეკლესიო მიზნებისთვის და მოცემული ისეთი ფორმით, როგორიცაა დეპარტამენტი ან კომუნა, რომელიც

160 1901 წლის 1 ივლისის კანონი, რომელიც ძალაში რჩება, აკანონებს გაერთიანების თავისუფლების პრინციპს ყველასთვის, რომლებიც იზიარებენ ცოდნას ან საქმიანობას, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც გამიზნულია მოგების მისაღებად. ასოციაცია შეიძლება იყოს კანონიერი მისი შემადგენელი ობიექტების აღიარების გარეშე. მისი ჩამოყალიბება წარმოებს მისი წესდების პრეფექტურაში ჩაბარების შემდეგ და ამის შემდეგ იგი იძენს სამართლებრივ სტატუსს. იგი შეიძლება ცნონ კანონის შესაბამისად როგორც “მუნიციპალური საზოგადოება” [d'utilité publique]. ამგვარად აღიარებულმა საზოგადოებამ შეიძლება მიიღოს გრანტი იმ რაოდენობით, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და პირობებში ნებადართული იქნება ბრძანებით. მაგრამ იგივე კანონი შეიცავს არახელსაყრელ და ძლიერ შემზღუდავ წესებს, რომლებიც ეხება რელიგიურ წესებს: „III თავის პუნქტ 13-ში მოცემულია: “არც ერთი რელიგიური ორდენი არ შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული კანონში ავტორიზაციის გარეშე” იგი აკონკრეტებს პირობებს, რომლებიც მოცემულია მის საქმიანობასთან დაკავშირებით”.

საშუალებას მისცემს მათ, სუბსიდირება მიიღონ სახელმწიფოსგან. კანონში აგრეთვე დაკონკრეტებულია ის შემადგენლობა, რომელიც ასოციაციებს უნდა გააჩნდეს, ასევე ასოციაციის სიდიდე, იგი უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას. ფონდების დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია. რელიგიური დაწესებულებებისთვის შემონიშნულებები უნდა იქნეს გაღებული მორწმუნე ადამიანების მიერ, გარდა თანხებისა, რომლებიც მიღებულია არსებული ძეგლების რესტავრაციის მიზნით. მასთან დაკავშირებული თანხა არ განიხილება როგორც აკრძალული სუბსიდირება.¹⁶¹ ამ საკულტო ასოციაციებმა დიდი მოგება ნახა იმ შეღავათებისგან, რომლებიც მათ საგადასახადო კანონის მიხედვით მიენიჭა. ეს ნიშნავს, რომ ახლა ბევრი ისწრაფვის მსგავსი “სახელწოდების” მოპოვებას. 1905 წლიდან პროტესტანტებმა და ებრაელებმა გამოიყენეს კანონი და დააარსეს საკულტო ასოციაციები (associations culturelles), რომლებიც დღესაც აქტიურია 1905 წლის კანონის დებულებების შესაბამისად.

2. საეპარქიო ასოციაციები (Associations diocésaines)

საკულტო ასოციაციებზე საუბრისას ჩვენ არ გვიხსენებია კათოლიკური ეკლესია. მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვანია. კათოლიკური ეკლესია უარს აცხადებს 1905 წლის კანონის გამოყენებაზე წმიდა სინოდის და ეპისკოპოსების იმ ნაწილის წინააღმდეგობის გამო, რომელიც უშუალოდ დაკავებული იყო საკულტო ასოციაციების საკითხით. კათოლიკური იერარქიის წარმომადგენლები ფრთხილად ეკიდებიან სხვადასხვა გაერთიანების შექმნას, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ წარმოადგენენ კათოლიკურ ეკლესიას, თუმცა მათი კონტროლი იერარქიას არ შეუძლია, რადგან იქ საერო პირებს აქვთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კანონის განხილვისას. საფრანგეთის ეკლესიაში რიგმა წარმომადგენლებმა გამოხატეს თავიანთი დაინტერესება და მათმა აზრმა გამოხმაურება პოვა საპარლამენტო დებატებში. საბოლოოდ, კანონის მე-4 პუნქტის მიხედვით მიიღეს დადგენილება, რომ Associations culturelles უნდა დაემორჩილოს “რელიგიის საერთო ორგანიზაციულ კანონებს, რომლებიც ასოციაციამ უნდა განავითაროს”. მართალია, ამის შესახებ მოცემული ფორმულის მეშვეობით პირდაპირი მითითება არაა, მაგრამ კათოლიკური საეკლესიო ხელისუფლება იმედოვნებს შეინარჩუნოს თავისი უფლებამოსილება.

161 ეს დებულება შეიცვალა 1908 წლის აპრილის კანონის შესაბამისად იმგვარად, როგორც ხელსაყრელი იყო ეკლესიებისათვის, იგი ავალდებულებდა ადგილობრივ ხელისუფლებას გავლო მათ კუთვნილებაში მყოფი ეკლესიის შენობების შეკეთების ხარჯები.

მიუხედავად ამ გარანტიისა, კათოლიკურმა ეკლესიამ არ შექმნა საკულტო ასოციაციები. 1907 წლის 2 იანვრის კანონის თანახმად, სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად რელიგიის საჯაროობა შეიძლება გაუმჯობესდეს 1901 წლის კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებული გაერთიანებების მიერ. იგივე შესაძლებელია შეკრებების თავისუფლებასთან დაკავშირებული 1881 წლის კანონის მიხედვით ინდივიდუალური ინიციატივით მონვეული შეხვედრების მეშვეობით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაუმჯობესდა. აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა წმიდა საყდართან. ამასთან ერთად, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ვატიკანთან მოხდა შეთანხმება, რომ კათოლიკურ ეკლესიას შეუძლია საეპარქიო ასოციაციების დაარსება სპეციალური სანიმუშო დებულებების შესაბამისად. Conseil d'État-მა აღიარა ეს სპეციალური სტატუსი, როგორც საფრანგეთის კანონმდებლობის (სახელდობრ, 1901 და 1905 წლების კანონებთან) შესატყვისი და პიუ XI-მ ნებართვა გასცა გაერთიანებების დაარსებაზე (1924 წლის 18 იანვარი). 1924 წლიდან ფრანგმა ეპისკოპოსებმა დააარსეს საეპარქიო ასოციაციები, რომლებიც საკულტო ასოციაციებია. მათი საქმიანობა რეგულირდება 1901 და 1905 წლების კანონებით მაშინაც კი, როდესაც ეკლესიის ხარჯების დაფარვა უკვე აღარ არის ნახსენები როგორც გაერთიანების ექსკლუზიური მიზანი. აგრეთვე დატყულია კანონიკური სამართალი, კერძოდ, გაერთიანებები, რომლებიც მოქმედებს “ეპისკოპოსის უფლებამოსილებით წმიდა სინოდთან და კათოლიკური ეკლესიის კონსტიტუციასთან ერთად” (სანიმუშო წესდების მე-2 პუნქტი).

მოვლენათა ამ განვითარებამ თავისი ასახვა პოვა კათოლიკური ეკლესიის სამართლებრივ სტატუსზე, რადგან ახლად შექმნილი ერთეულების მიზანი იყო რელიგიის გავრცელება და ამ მიზნით გამოყენებაში არსებული ქონების მართვა. ამრიგად, რაც შეეხება საეკლესიო შენობების ფლობას, 1905 წლის კანონების მიხედვით, პროტესტანტული და ებრაული ეკლესიის შენობები გადაეცა შესაბამის საკულტო გაერთიანებებს. მეორე მხრივ, 1907 წლის 2 იანვრის და 1908 წლის 3 აპრილის კანონების შესაბამისად, კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი ქონების ფლობის უფლება და მისი შეკეთების პასუხისმგებლობა გადაეცა სახელმწიფოს (საკათედრო ტაძრები და ეპისკოპოსების სახლები გადაეცა სახელმწიფოს, სამრევლო ეკლესიები და პრესვიტერები კი – კომუნებს). ამის საწინააღმდეგოდ 1924 წლის შემდეგ საეპისკოპოსო ასოციაციებს (Associations diocésaines) დაეკისრა გადაწყვეტილების მიღება ახალი სამლოცველოების მშენებლობის დაფინანსებაზე, ხოლო, როგორც მფლობელებს ევალებოდა შენობების სათანადოდ შეკეთების უზრუნველყოფა.

ისტორიის ამ უკულმართობებით შეიძლება აიხსნას საკულტო ასოციაციების (Associations culturelles) თანაარსებობა 1905 წლის კანონის ფარგლებში, გაერთიანებების, რომლებიც შეიქმნა საეკლესიო მიზნით 1907 წლის კანონის პირობების შესაბამისად და უპასუხებდა 1901 წლის კანონის მოთხოვნებს; ასეთივე მდგომარეობაში იყო აგრეთვე საეპარქიო გაერთიანებები (Associations diocésaines), რომლებიც შეესაბამებოდა 1901 და 1905 წლების კანონების მოთხოვნებსა და დამატებით კრიტერიუმებს. გარდა ამისა, გაერთიანებების თავისუფლება, რომელიც უზრუნველყოფილი იყო 1901 წლის კანონის ფარგლებში, იძლეოდა მრავალი გაერთიანების არსებობის ნებართვას, განსაკუთრებით საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მიზნით. ეს გაერთიანებები მუშაობდა საეკლესიო ავტორიტეტებთან ერთად, მაგრამ არ ჰქონდა მხოლოდ რელიგიური მიზანი, ამის გამო ისინი არ იყო ე.წ. საკულტო "cultuelles". ამ უკანასკნელ კატეგორიაში შედის მრავალრიცხოვანი კულტურული ასოციაციები, რომელთაც საგანმანათლებლო მიზნები გააჩნია, ისინი ორიენტირებულია რელიგიურ რწმენაზე. მუსლიმანები ამჟამად იყენებენ 1901 წლის კანონის სამართლებრივ ფორმას: ყურანის სკოლის არსებობა ადასტურებს მის, როგორც "კულტურული დაწესებულების" კვალიფიკაციას. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლასთან ერთად იქ არსებობს აგრეთვე მეჩეთი, რომელსაც მართავს იგივე კულტურული ასოციაცია, განსხვავება საკულტო (cultuelle) ასოციაციას და კულტურულ (cultural) ასოციაციას შორის ასახავს ძირითადად სამართლებრივ განსხვავებას: პირველი იმართება 1905 წლის კანონის შესაბამისად, ხოლო მეორე – 1901 წლის კანონის შესაბამისად. განსხვავდება მათი ფინანსური და ფისკალური რეჟიმებიც.

3. რელიგიური ორდენები ¹⁶²

ფრანგულ საკანონმდებლო ტექსტებში არ არის განსაზღვრული ტერმინი congrégation (რელიგიური ორდენი), რადგან 1901 წლის კანონმდებლის უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო ეროვნული ტერიტორიიდან მათი განდევნა. ამის გამო აქტუალური აღარ იყო იმ ინსტიტუტის არსის განსაზღვრა, რომლის მთლიანი გაქრობის სურვილიც კანონმდებელს ჰქონდა. მოსამართლეების ფუნქციაში

162 Les congrégations et l'Etat [რელიგიური ორდენები და სახელმწიფო], რედ. J.P. Durand, Paris, La documentation française, 1992, 139 p.; J.P. Durand, Les congrégations religieuses: droit canonique et droit français, [რელიგიური ორდენები: საეკლესიო კანონი და ფრანგული კანონი] თუზისები, ოურიდიული ფაკულტეტი, პარიზის უნივერსიტეტი XI და ICP, პარიზი, სერტ, 1999, 3.

შედის იმის განსაზღვრა, თუ რომელი დაჯგუფება ეკუთვნის ამა თუ იმ რელიგიურ ორდენს. ასეთ დროს მხედველობაში იღებენ ზოგიერთ ფაქტს. ესენია: საეკლესიო ვალდებულების არსებობა, ორდენის მიერ შესრულებული რელიგიური სამუშაო, ორდენის წევრების მიერ საეკლესიო ხელისუფლების მიერ დამტკიცებული წესების დაცვა.

რელიგიური ორდენების ამჟამინდელი მდგომარეობა მის ისტორიულ წარსულს ეფუძნება. მე-19 საუკუნეში არსებობდა სხვადასხვა ფორმის საკანონმდებლო აქტი და რელიგიური ორდენისთვის უფლებამოსილების მისანიჭებლად საჭირო იყო შესაბამისი კანონი ან ბრძანება. მიუხედავად ამისა, ბევრი ორდენი არსებობდა შესაბამისი ფორმით მსგავსი უფლებამოსილების გარეშე. მესამე რესპუბლიკის დროს ორდენები უნდა გაუჩინარებულიყო. ამ თვალსაზრისით, 1901 წლის კანონმა (თავი III) ყველა ორდენი, რომლებიც არ მიიღებდა სამართლებრივ აღიარებას (პუნქტი XIII), აკრძალულად გამოაცხადა, ხოლო პარლამენტი სისტემატურად უარყოფდა აღიარების ყველა მოთხოვნას, რომელთაც წარადგენდნენ ორდენები. თუმცა 1914 წლიდან საფრანგეთში გამოჩნდა ორდენები, რომლებიც არ იყო ნებადართული, მაგრამ არც იდევნებოდა. 1942 წლის 8 აპრილის კანონის მიხედვით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან მოეხსნა “არაკანონიერი ორდენის” ბრალდება. მათ შეეძლო დე ფაქტო ჯგუფების სახით არსებობა სამართლებრივი არსებობის ან სამართალსუბიექტად ყოფნის გარეშე. მეორე მხრივ, პროცედურა სამართლებრივი არსებობის სტატუსის მისაღებად გამარტივდა: უფრო ადვილი გახდა “უფლებამოსილების მიღება”, “სამართლებრივი აღიარება”, რომელსაც Conseil d’État დეკრეტი ანიჭებდა, ასევე გამარტივდა სამართლებრივი ქმედითობის მინიჭება. ეს პროცესი ახალ წესებს მხოლოდ 1970 წლის შემდეგ დაექვემდებარა, ხოლო 1987 წლიდან დაჩქარდა.

1987 წელს სამართლებრივი აღიარების პროცესი ხელმისაწვდომი გახდა არაკათოლიკური ორდენებისთვის¹⁶³. აღიარებულ ორდენს აქვს სრული სამოქალაქო უფლებამოსილება: ფრანგული კანონმდებლობის ფარგლებში მისი პოზიცია ახლოსაა ასოციაციასთან, რომელიც აღიარებულია როგორც მუნიციპალური სამსახური (utilité publique) (იგი არ გულისხმობს, რომ ორდენი წარმოადგენს ასოციაციას). ორდენი ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან ეგრეთ წოდებულ სამეურვეო ზედამხედველობას, რომელიც მნიშვნელოვნად შემსუბუქდა ბოლო დროს.

163 ბუდისტები, მართლმადიდებლები, პროტესტანტები.

4. ახალი რელიგიური მოძრაობები და „სექტები“

ფრანგული კანონმდებლობა გარკვეულ სიძნელებებს აწყდება ახალი რელიგიური მოძრაობების დამკვიდრების თვალსაზრისით, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მან უარი განაცხადა მიეღო რელიგიის განსაზღვრა. თუმცა სასამართლოები, უპირველეს ყოვლისა კი Conseil d'État, არ აღიარებს ყველა ჯგუფს როგორც „რელიგიურს“, მიუხედავად მათი მცდელობისა, წარმოაჩინოს თავიანთი თავი ამგვარად. თუკი სახელმწიფო ორგანოები აღიარებენ, რომ რელიგიური მოძრაობა ორგანიზებულია საკულტო/საეკლესიო ასოციაციის ფორმით, ამ ფაქტით ისინი უშვებენ მათ კავშირს რელიგიასთან, მაშინაც კი, როდესაც არ ხმარობენ ამ ტერმინს. საკულტო ასოციაციის (Association culturelle) კატეგორია მოძრაობას ენიჭება უფრო იშვიათად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ახალ რელიგიურ მოძრაობაზე. სასამართლოები საკმაოდ ყოყმანობს იმის განსაზღვრისას, არის თუ არა ჯგუფი „საეკლესიო“ და ამრიგად გაერთიანება, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს culturelle-ს სახელი. ზოგიერთმა „სექტამ“ სცადა ჩამოყალიბებულიყო, როგორც Associations culturelles 1905 წლის კანონის შესაბამისად; Conseil d'État ყოველთვის კრძალავდა ამას 1905 წლის კანონის მე-19 პუნქტის საფუძველზე, რომელშიც დაკონკრეტებულია, რომ Associations culturelles-ს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური რელიგიური მიზნები. ყველა ცალკეულ შემთხვევაში აღინიშნებოდა, რომ გაერთიანების მიზნები ჩანდა შეუთავსებელი საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებასთან, ან გაერთიანებას გააჩნდა საქმიანობის სხვა ფორმები (კულტურული, კომერციული, სამედიცინო...). როგორ უნდა განვასხვაოთ „რელიგია“ და „სექტა“? დიდი ხნის განმავლობაში საფრანგეთის კანონმდებელი ცნობიერების და რელიგიის თავისუფლების სახელით უარს აცხადებდა კანონმდებლობის შემუშავებაზე „სექტების“ შესახებ. ბრძოლა ამ მოძრაობებთან იყო იმ მოსამართლეთა მუშაობის შედეგი, რომლებიც უარს ამბობდნენ Associations culturelles-თვის ფინანსური უპირატესობის მინიჭებაზე, ამასთან აკონტროლებდნენ მათ უკანონო საქმიანობას. 2001 წლის 12 ივნისის კანონის შესაბამისად შემოიღეს სხვადასხვა საშუალება „სექტის საქმიანობის“ შესამოწმებლად. მოსამართლეს შეუძლია გააუქმოს იურიდიული პირის უფლებამოსილება, რომლის საქმიანობაც საფრთხეს ქმნის. გაფართოვდა იურიდიული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არეალი. კანონი იძლევა ბრალდების საშუალებას „განზრან შეურაცხყოფის ან სხვა მსგავსი ქმედების გამო“. სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მხარედ გამოსვლა შეუძლია აღიარებული მუნიციპალურ გაერთიანებებს, რომლებიც სექტების წინააღმდეგ იბრძვიან.

დიდმა რელიგიებმა გამოხატეს თავიანთი შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ, როდესაც ძალაში შეიყვანს ახალ კანონს, არ შეზღუდოს რელიგიის თავისუფლება.

5. საეკლესიო ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებენ სოციალურ მომსახურებას¹⁶⁴

ეკლესიები უზრუნველყოფს ზოგადი ხასიათის დახმარების განწევას და მონაწილეობას იღებს კომუნალურ მომსახურებაში “სპეციალური პროფილის” ინსტიტუტების დახმარებით. ისინი ხელმძღვანელობენ კონფესიური ხასიათის ორგანიზაციებს სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად მუნიციპალურ მომსახურებასთან თანამშრომლობის საფუძველზე, განსაკუთრებით განათლების (შედრ. იხ. იქვ. 6) და დახმარების სფეროში.

საფრანგეთში პირველადი დახმარება და ჯანდაცვა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სამსახურებია, ოღონდ უფრო მეტი მასშტაბით, ვიდრე სხვა ევროპულ სახელმწიფოებში (მაგალითად: გერმანია, ნიდერლანდები)¹⁶⁵. თუმცა მზრუნველობის განწევა ეკლესიის სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. საფრანგეთის კანონმდებლობა ნებას რთავს ეკლესიებს, აკონტროლოს საკუთარი სოციალური დახმარების ინსტიტუტები – იქნება ეს ჰუმანიტარული დახმარება თუ ჯანდაცვა. გამომდინარე იმ მდგომარეობიდან, რომელიც მას უკავია ქვეყანაში, ამ საქმიანობაში ძირითადად ჩაბმულია კათოლიკური ეკლესია.

სახელმწიფო კანონის თვალსაზრისით, საქველმოქმედო საქმიანობას, რელიგიური მოტივაციიდან გამომდინარე, მისი კონფესიური ხასიათის გამო არ გააჩნია ერთიანი, სპეციალური სამართლებრივი რეგულირება. ამ შემთხვევაში მოქმედება ნებისმიერი სხვა კერძო ინიციატივის მსგავსია. რელიგიური ხასიათის მქონე კერძო საავადმყოფოები შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც ფონდები, Conseil d'État-ის მიერ გამოცხადებული მუნიციპალური სამსახურები ან კომპანიები, ან ასოციაციების რომელიმე ფორმის მსგავსი წარმონაქმნები: გაერთიანებები, 1901 წლის კანონის შესაბამისად, როგორც სამართალსუბიექტები ან გაერთიანებები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც მუნიციპალური სამსახურები გაზრდილი სამართლებრივი ქმედითობით. მათ შეეძლო საჩუქრების და მიმკვიდრეობის მიღება, მაგრამ ექვემდებარებოდა უფრო მეტ ადმინისტრაციულ კონტროლს. *Utilité publique*-ის აღიარება არ არის დამოკიდებული კონფესიურობაზე, მას ანიჭებენ დასახული სოციალური მიზნების და მათი განხორციელებისთვის მიმართული სამუშაოს გამო.

164 B. Basdevant-Gaudemet et F. Messmer, “ Les établissements de santé et les institutions d’assistance confessionnels en France ”, *Revue de Droit canonique*, tome 52/1, 2002, p. 187-213; reproduits dans *Les Établissements d’assistance, l’État, les Églises et la société*, ეკლესია-სახელმწიფოს კვლევის ევროპის კონსორციუმი, Guiffré, Milano, 2003, p. 73-99.

165 შედ. კვლევა, წარმოდგენილი B. Basdevant-Gaudeme-ს მიერ, “*les activités d’assistance*”, კანონიკური სამართლის მე-8 კონგრესი, ლუბლინი, სექტემბერი, 1993.

ზოგიერთი ამ სამუშაოს კონფესიური ხასიათი არ იწვევს წინააღმდეგობას და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები მათ მხედველობაში იღებენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ არის დაფიქსირებული რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი სტატუსით. ამგვარი მიდგომა გამოიყენება ჰუმანიტარულ დახმარებასთან¹⁶⁶ და საავადმყოფოში მუშაობასთან დაკავშირებით¹⁶⁷. ამ დაწესებულებების სამართლებრივი პოზიცია შეიძლება სხვადასხვა იყოს. ორდენი, კომპანია ან გაერთიანება, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულებას, შეიძლება ფლობდეს ან არ ფლობდეს შენობებს, მიწას, რომელზედაც ისინი დგას, ასევე მონყობილობას...და ა.შ. ამ რესურსებს ჩვეულებრივ ემატება შემონირებულებები საზოგადო ფონდებიდან, დოტაციები სახელმწიფოდან ან ადგილობრივი ხელისუფლებიდან, რადგან ისინი ეკლესიისთვის არა შემონირულებად ითვლება, რაც იკრძალება 1905 წლის კანონით, არამედ დახმარებად საზოგადო ინტერესების დაცვის სამუშაოებისთვის.

საკელესიო ხელმძღვანელობას შეუძლია ნება დართოს ან აკრძალოს დაწესებულებებში ზოგიერთი სახის სამედიცინო მკურნალობა, რომლებიც “განსხვავებული ხასიათისაა”¹⁶⁸. ისინი ახორციელებენ კონტროლს პერსონალზე, რომელიც საკონფესიო საავადმყოფოებში მუშაობს. რელიგიის წარმომადგენლები დამოკიდებული არიან თავიანთ ორდენზე და არა საავადმყოფოზე. დასაქმების კონტრაქტი, თუკი ის არსებობს, დადებულია დაწესებულებასა და ორდენს შორის; რელიგიის წარმომადგენლები არ არიან ხელშეკრულების ცალკეული მხარეები. პოსპიტლის პერსონალი, რომელსაც რელიგიური ბაზა აქვს, ძირითადად შედგება საერო პირებისგან. მათ სამართლებრივ პოზიციას (დასაქმების, მუშაობის, უფლებამოსილების პირობები...) – ამ ყველაფერს მართავს საერო კანონი და არსებული კოლექტიური შეთანხმებები. დასაქმების კვალიფიკაცია დამოკიდებულია

166 Secours Catholique, CCFD, სხვ. სრულად არის აღიარებული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ როგორც საკელესიო ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ თავისი “განსხვავებული ხასიათი” და თავისი მიზნები, მაგრამ შეუძლიათ მუშაობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, როგორც ფრანგული, ასევე საერთაშორისო, მათ მიერ წარმოებულ სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებით.

167 A. Bamberg, Hôpital et Eglises [Hospital and Churches], cerdic, Strasbourg, 1987, 408 p.

168 A. Bamberg, Hôpital et Eglises [საავადმყოფო და ეკლესიები], სტრასბურგი, 1987, 408 გვ. სამართლებრივი პირობების მრავალფეროვნება ხელს არ უშლის სახელმწიფოს “განსხვავებული მახასიათებლების” პატივისცემასა და აღიარებაში ან იმის აღიარებაში, რომ სპეციფიკური საქმიანობა მიმდინარეობს ან არ მიმდინარეობს რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებაში. სახელდობრ, შეიძლება აკრძალული იყოს ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა. ეკლესია იღებს ზომებს, რათა “განსხვავებული მახასიათებელი” წერილობითი ფორმით მოხვედეს წესდებაში, რომელიც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი სამოქალაქო სამართალწარმოების დროს.

სახელმწიფო დიპლომატზე. ეკლესიის ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს თავისი მოთხოვნები, რომლებსაც ისინი აკისრებენ თავიანთ თანამშრომლებს, მაგრამ სამოქალაქო მოსამართლემ პატივი უნდა სცეს მათ¹⁶⁹. ისინი ეხება ზოგიერთ საკითხს, რომელთაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისინი ძალზე სპეციფიკურია და შედარებით მცირერიცხოვანი. იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა არ ხერხდება რელიგიური უფლებამოსილებით, ესადაგება ჩვეულებრივი დასაქმების კანონები.

V. ურთიერთობა პოლიტიკურ სისტემასთან

ფრანგული პოლიტიკის პირობებში, რომლებიც გულისხმობს განცალკევებას და საერო ხასიათის საქმიანობას, რელიგიურ კონფესიებს არ აქვს პირდაპირი და ოფიციალურად აღიარებული ურთიერთობა პოლიტიკურ სისტემებთან. მიუხედავად ამისა, ძირითადი კონფესიების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული რეგულარულ კონსულტაციებში საზოგადოებაში დიდი დებატების დროს, ეს განსაკუთრებით ეხება ეთიკის საკითხებთან დაკავშირებულ განხილვებს. მეორე მხრივ, რელიგიასთან მიმართებაში არსებობს რიგი სამართლებრივი სისტემები, რომლებიც მთლიანად დაფუძნებულია საერო ხასიათზე (laïcité). მიუხედავად ამისა, 1905 წლის კანონი ეხება მხოლოდ მეტროპოლიას და არა ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

აღმოსავლეთ საფრანგეთის სამ ნაწილში (Haut-Rhin, Bas-Rhin and Moselle) არსებობს “აღიარებული აღმსარებლობა”. იგი მემკვიდრეობით არის მიღებული ნაპოლეონის სისტემიდან, რომელიც მოდიფიცირებულია გერმანული კანონმდებლობის მიერ 1871 და 1918 წწ. შორის, მაგრამ გარკვეულწილად შეიცვალა საფრანგეთში ელზასსა და მოზელის დაბრუნების შემდეგ, 1918 წელს¹⁷⁰. ეკლესიის მსახურებს ხელფასს უხდის სახელმწიფო. რელიგიურ განათლებას იღებენ სახელმწიფო სკოლებში, სტრასბურგის არქიეპისკოპოსსა და მეცის ეპისკოპოს ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური.

საზღვარგარეთის ზოგიერთი დეპარტამენტი და ტერიტორია აგრეთვე ახორციელებს სპეციფიკურ პოლიტიკას. 1905 წლის კანონი არ ეხება დეპარტამენტებს (Réunion, Martinique, Guadeloupe), რომლებშიც კონკორდატის რეჟიმი შემოიღეს მე-19 საუკუნის დასაწყისში. 1828 წლის 27 აგვისტოდან საფრანგეთის გვინეა იმართება სამეფო ბრძანებულების შესაბამისად, რომლის

169 შედ. ნაწილი VI ქვემოთ. შრომითი კანონი და ეკლესიები.

170 J.-L. Vallens (ed.), *Le guide du droit local; le droit applicable en Alsace et en Moselle de A à Z*, Paris, Économica, 1997.

მიხედვითაც კათოლიკური რელიგია ფინანსდება სახელმწიფო ფონდიდან. 1939 წლის "Décrets Mandel"-ის შესაბამისად, სხვა რელიგიებს მიენიჭა რიგი უფლებები და განსაკუთრებით უფლება, რომ მოიპოვოს მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება ადგილობრივი საზოგადოებრიობიდან. ეს წესები ეხება საზღვარგარეთ არსებულ უმეტეს დეპარტამენტსა და ტერიტორიას, თუმცა რიგი სპეციფიკური დებულებებით¹⁷¹.

VI. კულტურის სფერო: კერძო სკოლები, რელიგიური განათლება, თეოლოგიის ფაკულტეტები სახელმწიფო უნივერსიტეტებში, მედია

1. კერძო სკოლები¹⁷²

განათლების თავისუფლება კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც გარანტირებულია 1848 წლის კონსტიტუციით (პუნქტი მე-9). მაშინ, როდესაც თანამედროვე საკონსტიტუციო ტექსტები (1946 და 1958 წლების კონსტიტუციები) მკაფიოდ არ ახსენებს ამ თავისუფლებას, Conseil constitutionnel-მა ორ გადანუყვეტილებაში დაადასტურა, რომ განათლების თავისუფლება "ერთ-ერთ ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც აღიარებულია რესპუბლიკის კანონების მიხედვით"¹⁷³.

განათლების თავისუფლებას არეგულირებს მე-19 საუკუნის ზოგიერთი კანონი, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის განვითარების შესაბამისი ფაზის განმავლობაში. ისინი განმარტავს კერძო

171 F. Messner, P.-H. Prélôt, J.-M. Woehrling, *Traité de droit français des religions*, Paris, Litec, 2003, p. 835-838.

172 Cf. N. Fontaine, *La liberté d'enseignement, guide juridique de l'enseignement associé à l'Etat par le contrat*, [განათლების თავისუფლება: კანონი განათლების შესახებ სახელმწიფო კონტრაქტის შესაბამისად] მე-3 გამოცემა, რედ. პარზი, UNAPEC, 1980, 665 p.

173 (C.C. 23 ნოემბერი 1977, A.J.D.A. 1978, გვ. 565, note Rivero; C.C. 18 იანვარი 1985, R.F.D.A. 1985, 5, გვ. 633, art. Delvolvé). იმავე სასამართლო დაადგინა, რომ ფუნდამენტურ პრინციპებს, აღიარებულს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად, ჰქონდეს იგივე კონსტიტუციური სტატუსი (C.C. 16 ივლისი 1971).

სკოლების ორგანიზაციულ და ფინანსურ რეჟიმს განათლების სხვადასხვა დონის მიხედვით და ადგილების სხვადასხვაობას, რომელიც ეკლესიას უკავია სხვადასხვა დონეზე სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში¹⁷⁴.

კანონმდებლობა, რომელიც ამკვიდრებს განათლების თავისუფლებას, საშუალებას იძლევა შეიქმნას თავისუფალი საგანმანათლებლო სექტორი. იგი არსებობს დიდ სახელმწიფო სამსახურთან ერთად, რომელიც დააარსა ნაპოლეონმა, როგორც მონოპოლიის მქონემ, 1806 წელს მთელ საგანმანათლებლო სისტემაში¹⁷⁵. დღეს კერძო განათლებას მონაფეების საერთო რაოდენობის მხოლოდ 18% იღებს. კერძო დაწესებულებების 90% კათოლიკურია, დარჩენილი 10% გაყოფილია პროტესტანტულ და ებრაულ სკოლებს შორის, მცირე რაოდენობა კი არაკონფესიური სკოლებია. ეს კერძო განათლების სკოლები მიჩნეულია როგორც მთელი ეროვნული საგანმანათლებლო მომსახურების შემადგენელი ნაწილი¹⁷⁶. loi Debré-ს მიხედვით (31 დეკემბერი 1959), კერძო განათლება, კონფესიურია იგი თუ არა, სრულად იყო აღიარებული. მისი “განსხვავებული ხასიათი” გარანტირებულია. კერძო დაწესებულებები შეიძლება შევიდეს საკონტრაქტო ურთიერთობაში სახელმწიფოსთან, როგორც ეს მოხდა დიდი უმრავლესობის შემთხვევაში¹⁷⁷.

174 ძირითადი კანონები, რომლებიც განათლების თავისუფლების გარანტიას იძლევა:
- დაწყებითი განათლება, loi Guizot, 28 ივნისი 1833 (1882 წლის 28 მარტის და 1886 წლის 30 ოქტომბრის კანონები ეხება საერო განათლების საკითხებს დაწყებით სახელმწიფო სკოლებში); საშუალო განათლება, loi Falloux, 15 მარტი 1850; უმაღლესი განათლება, loi Dupanloup, 12 ივლისი 1875; ტექნიკური განათლება, loi Estier, 23 ივლისი 1919.

175 1806 წლის 10 მაისის კანონი, რომლის შესაბამისადაც დაარსდა საიმპერატორო უნივერსიტეტი, რომელმაც სახელმწიფოს გამგებლობაში დატოვა უმაღლესი განათლების მონოპოლია. ეკლესიამ თავისი როლი შეასრულა ამ სახელმწიფო საგანმანათლებლო სამსახურის საქმიანობაში, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლქვეშ. ამ შემთხვევაში არ იყო ადგილი თავისუფალი სექტორისთვის, რომელიც შექმნილი იყო კერძო ინიციატივებზე დაყრდნობით.

176 მე-4 რესპუბლიკის დროსაც კი lois Marie და Baranger სახელმწიფომ მიანიჭა გარკვეული აღიარება და რიგი მატერიალური უპირატესობა კერძო დაწესებულებებს.

177 ეს კონტრაქტები ორი ტიპისაა: მარტივი კონტრაქტები, რომლებიც იძლევა თანამშრომლების ანაზღაურების შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ; და კონტრაქტები d'association, უფრო გავრცელებული, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო უხდის თანამშრომლებს და ადგილობრივი ხელისუფლება ახდენს გარკვეული სახის სუბსიდირებას იმის მსგავსად, როგორც სახელმწიფო სკოლებში აღნიშნული სკოლებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. სისტემა რთულია; სახელმწიფო სუბსიდიები სკოლის ხარჯებს მეტად თუ ნაკლებად ფარავს განათლების დონიდან გამომდინარე. ეს სირთულე ისტორიული გარემოებებით არის გამოწვეული, ზოგი რეფორმა ახლახან იქნა განხილული, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული.

რელიგიური განათლება უზრუნველყოფილია კერძო კონფესიურ სკოლებში. თუმცა სკოლები სახელმწიფო კონტრაქტით ვალდებულებას იღებს, არ გაარჩიოს ბავშვები რასის ან რელიგიის მიხედვით. იქ რელიგიური განათლება არ არის სავალდებულო.

2. რელიგიური განათლება სახელმწიფო სკოლებში – “aumôneries” (კაპელანობა) ¹⁷⁸

ისტორიული მიზეზების გამო, სამი დეპარტამენტის გარდა, აღმოსავლეთ საფრანგეთში სახელმწიფო განათლება საეროა, მაგრამ მას სხვადასხვა ფორმა აქვს განხილვაში არსებული განათლების დონის შესაბამისად. ამჟამად არსებული სურათი ამგვარია:

- დაწყებით სკოლებში, 1882 წლის 28 მარტის კანონის შესაბამისად, რომელიც რესპუბლიკელების პლატფორმის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა იმ პერიოდისთვის, ერთი დღე უნდა იყოს თავისუფალი კვირაში, რათა მშობლებს, რომელთაც სურთ თავიანთ ბავშვებს რელიგიური განათლება სკოლის გარეთ მიაღებინონ, ამის საშუალება ჰქონდეთ. ეს არ უნდა ხდებოდეს სკოლის შიგნით. სკოლაში ბავშვებს სთავაზობენ “ზნეობრივ და სამოქალაქო” განათლებას უფრო, ვიდრე “ზნეობრივსა და რელიგიურს”. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ფაქტობრივად გაცვეთილები არ აქვთ ოთხშაბათობით ¹⁷⁹.
- როდესაც ნაპოლეონმა დააარსა ლიცეუმები ბიჭებისათვის, მან შექმნა კაპელანის ინსტიტუტი, როგორც ამ სკოლების განუყოფელი ნაწილი. 1880 წელს loi Camille Sée-ის თანახმად დაარსდა ლიცეუმი გოგონებისათვის და ეკლესიის მასწავლებლები სასწავლებლის ნაწილს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პოზიციაში იყვნენ, ვიდრე მათი კოლეგები ბიჭების სკოლაში ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისიდან.

178 J.M. Swerry, *Les aumôneries catholiques dans l'enseignement public*, [კათოლიკური კაპელანობა სახელმწიფო განათლების სისტემაში, თეზისები, სამართლის ფაკულტეტი, პარიზის უნივერსიტეტი XI, 1990, ed. cerf, 439 გვ., 1995.

179 საკითხე მიმდინარეობს დებატები. ზოგიერთ სკოლაში შაბათის კლასები ჩანაცვლდა ოთხშაბათით, რათა გაეთავისუფლებინათ კვირის ბოლო ოჯახის მიერ შერჩეული საქმიანობისათვის, რაც სამღვდელოების მხრიდან კრიტიკის საგანია.

- მესამე რესპუბლიკის დროს გაუქმდა საეკლესიო მასწავლებლების ადგილი. 1905 წლიდან უკვე არსებობდნენ კაპელანები. სახელმწიფო არ არის ვალდებული ამ ხარჯების ანაზღაურებაზე და ამჟამადაც არ იხდის. სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი (1960 წლის 22 აპრილის ბრძანება და სამინისტროს ცირკულარი, რომელიც დათარიღებულია 1988 წლის 22 აპრილით) არეგულირებს ამ საკითხს. პოსტებს ქმნის სკოლის ხელმძღვანელი მშობლების მოთხოვნით და ისინი ფუნქციონირებს ზოგჯერ სკოლის შიგნით, ზოგჯერ მის გარეთ. ხარჯების დაფარვა ხდება ნაწილობრივ მშობლების შემოწირულობებით და ნაწილობრივ საეპისკოპოსოსების ხარჯზე. ფაქტობრივად დანიშვნას ახორციელებს სკოლის ხელმძღვანელი შესაბამისი საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის საფუძველზე.
- Alsace-Lorraine-ის ადგილობრივი კანონი: აღმოსავლეთ საფრანგეთში რელიგიური განათლება სამ დეპარტამენტში დატოვებულია იმ ზოგადი პრინციპით, როგორც ეს ხდებოდა მოქმედი კანონის შესაბამისად 1871 წლამდე. სახელმწიფო სკოლებში – როგორც დანაწილებაში, ასევე საშუალოში, რელიგიური განათლება ზოგადი სასწავლო პროგრამის ნაწილია. მასწავლებლებს ფაქტობრივად უხდის სახელმწიფო (თუმცა შეწირულებები ხშირად საჭიროა დანაწილებაში სკოლებში). მშობლებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, დაესწრონ თუ არა ამ მეცადინეობებს მათი შვილები. მოსწავლეთა შეფასებაში ნიშნებს არ ექცევა ყურადღება.

3. თეოლოგიის ფაკულტეტები სახელმწიფო უნივერსიტეტებში ¹⁸⁰

სახელმწიფო უნივერსიტეტებში განათლებას საერო ხასიათი აქვს. მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ამ ვითარებამ გამოიწვია რელიგიური საკითხების სწავლების ფაქტობრივი უგულებელყოფა. ეკლესიის ისტორია ინარჩუნებს ადგილს ხელოვნების ფაკულტეტებზე, თუმცა ოურიდიული ფაკულტეტები ძლიერ მცირე დროს უთმობს ეკლესიებთან დაკავშირებულ სამართალს. კანონიკურ

180 P.H. Prelot, Naissance de l'enseignement supérieur libre, la loi du 12 juillet 1975, [თავისუფალი უმაღლესი განათლების დაბადება; 1875 წლის 12 ივლისის კანონი], პარიზი, P.U.F., 1987, გვ. 139; [იგივე ავტორი] Les établissements privés d'enseignement supérieurs, [კერძო უმაღლესი სასწავლებლები], თუზისები. ოურიდიული ფაკულტეტი, პარიზის უნივერსიტეტი, II, L.G.D.J., 1989.

კანონმდებლობას ეხებიან მხოლოდ სამართლის ისტორიის კონტექსტში. საეკლესიო სამართალი არ არის არც ერთი სპეციალური კურსის საგანი და მას ყურადღებას მხოლოდ ფრაგმენტულად უთმობს ზოგიერთი ლექტორი სახელმწიფო სამართლის შესწავლის დროს კონსტიტუციური ან ადმინისტრაციული სამართლის კონტექსტში, ან სახელმწიფო თავისუფლებების შესწავლისას, ხოლო კერძო სამართლის მასწავლებლები ქორნიზების, ოჯახის და სახელმწიფო წესრიგის *ordre public*¹⁸¹ შესწავლისას.

1875 წლის 12 ივლისის კანონის შესაბამისად, არსებობს უფასო უმაღლესი განათლების სექტორი. 1880 წელს ანტიკლერიკალიზმის მწვერვალზე რესპუბლიკელებმა აუკრძალეს ამ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გამოეყენებინათ სიტყვა “უნივერსიტეტი”. ისინი გასცემდნენ თავიანთ და არა სახელმწიფო დიპლომებს. თუმცა 1970 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის დაიდო უამრავი ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც სტუდენტებს “თავისუფალი” სექტორიდან შეეძლოთ ჩაებარებინათ გამოცდები გამომცდელთა შერეული საბჭოსთვის (საბჭო შედგებოდა ორივე ტიპის სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებისგან) და მიეღოთ ერთდროულად ორივე – სახელმწიფო და მეორე ტიპის, კერძო ინსტიტუტის – დიპლომი¹⁸².

4. ეკლესია და მედია¹⁸³

ეკლესიებს აქვს თავიანთი პრესგანყოფილებები და საკუთარი შეხედულებები შეუძლია მიიტანოს საზოგადოებამდე საეკლესიო მედიის, საზოგადოებრივი ან კერძო მედიის საშუალებით.

181 P. Coulombel, “Le droit privé français devant le fait religieux depuis la séparation de l’Eglise et de l’Etat”, [ფრანგული კერძო სამართალი რელიგიასთან დაკავშირებით სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების შემდეგ] *Rev. trim. dt civ.*, 1956, გვ. 1-54.

182 ამჟამად მოქმედებაშია კათოლიკური ინსტიტუტები (პარიზის, ლილის, ანჟერის, ტულუზის და ლიონის), რომლებიც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ დონეს. ისინი გულუხვად ფინანსდება კერძო წყაროების მეშვეობით, სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადების ჩათვლით, ამავე დროს, ეს ინსტიტუტები იღებს სუბსიდიებს სახელმწიფოსგან და ადგილობრივი ხელისუფლებისგან, თუმცა ამას არ მოითხოვს კანონი. სტრასბურგის უნივერსიტეტი განსაკუთრებულ სიტუაციაშია. 1902 წელს კონვენციამ წმიდა სინოდსა და გერმანიას შორის შექმნა თეოლოგიის ფაკულტეტი. მან გააგრძელა არსებობა 1919 წლის შემდეგ და გასცემს სახელმწიფო დიპლომებს, რომლებიც, ამავე დროს, პონტიფიკის დიპლომებია.

183 შედ. L. De Fleurquin, ნაშრომი “L’Eglise et les médias”, [ეკლესია და მედია] მე-8 საერთაშორისო კონგრესი საეკლესიო კანონმდებლობის საკითხებზე, ლუბლინი, სექტემბერი, 1993.

- არსებობს გაზეთები, რადიოსადგურები, როგორცაა, მაგალითად, რადიო Notre-Dame და განსაკუთრებული პროგრამები, რომლებიც ეკუთვნის ეკლესიას. კათოლიკეებისთვის ამ საქმიანობას ხელმძღვანელობს ორგანო, რომელიც შექმნილია საეპისკოპოსოს სამდივნოს მიერ "Chrétiens-médias national". კათოლიკური პრესა დიდი ტირაჟით გამოდის. მასში შედის ყოველდღიური გაზეთები (La Croix), ყოველკვირეულები (La Vie, Témoignage Chrétien...), ასევე სპეციალური საგამომცემლო სახლები (Bayard Presse...). გარდა ამისა, "Fédération française des radios chrétiennes" თავის მმართველ საბჭოში შეიცავს "Fédération protestante"-ს, კათოლიკურ ეკლესიას, სომხურ აპოსტოლურ ეკლესიას და მართლმადიდებლურ ეკლესიას. მას აქვს 30 სამაუწყებლო სადგური.
- საერო მედია აგრეთვე უთმობს ადგილს რელიგიურ საკითხებს და მიკერძობებს გარეშე აშუქებს მათ. ამას ნაწილობრივ ახორციელებს სახელმწიფო რადიო და სატელევიზიო სამსახური. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტელევიზიაში შეიქმნა პროგრამა "le jour du Seigneur". სახელმწიფო მაუწყებლობაში მუშაობს ახალი საკვირაო პროგრამა, რომელიც ეძღვნება საფრანგეთში არსებულ ძირითად რელიგიებს¹⁸⁴. იგი საჯარო მომსახურების ვალდებულებაა 1886 წლის 30 სექტემბრის კანონის 56-ე პუნქტის შესაბამისად.

VII. შრომითი კანონი და ეკლესიები¹⁸⁵

1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში, რომელზეც მიუთითებს 1958 წლის კონსტიტუცია, ნათქვამია: "არავინ არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას, იქნება ეს სამსახური თუ დასაქმება, თავისი წარმოშობის, შეხედულების ან რწმენის გამო". შეიძლება თუ არა, რომ რელიგიურ რწმენას ან თუნდაც მღვდლის პოზიციას ეკლესიაში არ ჰქონდეს გავლენა შრომით კანონზე? რეალობა უფრო რთულია და პოზიცია განსხვავდება იმისა და მიხედვით, პირი სასულიეროა თუ საერო.

184 1993 წელს, როდესაც რადიოს სამსახურები იყო ნაციონალიზებული, ყველა რელიგიურმა გადაცემამ შეწყვიტა არსებობა გამომდინარე პრინციპიდან laïcité. ზოგი რელიგიური პროგრამა მალე აღადგინეს, მაგრამ მხოლოდ 1944 წლის შემდეგ მოხდა რელიგიური ხასიათის გადაცემების საფუძვლიანი დამკვიდრება.

185 N. Guinezames, "L'Église et le droit du travail", Les Églises et le droit du travail dans les pays de la Communauté européenne, Milan-Madrid, Giuffrè, 1993, p. 83-103.; J. SAVATIER, "L'animateur pastoral selon le droit du travail", l'année canonique, t.35, 1992 p. 29-43; G. DOLE, Les professions ecclésiastiques, fiction juridique et réalité sociale, Paris, LGDJ, 1987, 590 p.; Idem, La liberté d'opinion et de conscience en droit comparé du travail; Union européenne t.I : Droit européen et droit français, Paris, LGDJ, 1987, 256 p.

1. ფრანგული შრომის კანონი და ეკლესიის მსახურები

- პრინციპში, სასულიერო სტატუსს არ აქვს სამოქალაქო ასახვა ფრანგულ კანონმდებლობაში, აგრეთვე მას არ გააჩნია მნიშვნელობა შრომით კონტრაქტთან დაკავშირებით. როდესაც საერო პირი ეძებს სამსახურს, იგი არ არის ვალდებული, განაცხადოს თავისი სასულიერო სტატუსი. საპრეცედენტო სამართალი სწორად არ მიიჩნევს სამსახურიდან განთავისუფლებას იმ საფუძველზე, რომ ეს ფაქტი¹⁸⁶ არ გაამყლავნეს. ეს არის მომსახურე მღვდლების პოზიცია შრომის კანონის მიმართ.
- რელიგიის მსახურთა მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. წარმოადგენს თუ არა მღვდელი საკულტო ასოციაციის (association culturelle) თუ საეპარქიო ასოციაციის (association diocésaine), მასზე იერარქიით უფრო მაღლა მდგომ სასულიერო პირს თუ იმ ხელისუფლების (ინდივიდუალური პირი ან იურიდიული სტატუსის მქონე ორგანო) თანამშრომელს, რომელიც მას თანამდებობაზე ნიშნავს და ხელფასს უხდის? 1912 წლის საკასაციო სასამართლოს (Cour de Cassation) გადაწყვეტილებებიდან დაწყებული საპრეცედენტო სამართალი თანამიმდევრული იყო. არ არსებობს კონტრაქტი სასულიერო მსახურსა და მის ზემდგომ საფეხურზე მყოფს შორის, ე.ი. პირველი არ არის მეორის „თანამშრომელი“. მათი ურთიერთობა სხვა ტიპისაა და საერო კანონი, რომელიც ნეიტრალურ მდგომარეობას ინარჩუნებს, უარს ამბობს იმ კავშირების კატეგორიებად დაყოფაზე, რომლებიც გამომდინარეობს ეკლესიების შიდა მდგომარეობიდან. ასე რომ, სამოქალაქო სასამართლოები თავიანთ თავს არაკომპეტენტურად მიიჩნევენ იმ არქიეპისკოპოსის გადაწყვეტილებების განსახილველად, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მღვდლის ან რელიგიის მსახურის მიერ საეკლესიო ფუნქციების განხორციელების შეწყვეტის თაობაზე. ესაა ნაბიჯი, რომელსაც საბოლოოდ ამ სასულიერო პირის გადაყენება მოჰყვება.

186 აქვე უნდა ვახსენოთ აბატ Bouteyre-ის ცნობილი საქმე, C.E. 10 მაისი 1912; Conseil d'État-მა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობდა, რომ საეკლესიო პირს უნდა აეკრძალოს საჯარო საშუალო სკოლებში მონაწილეობის მიღება მასწავლებლის კვალიფიკაციის მოსაპოვებელ კონკურსში. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეიძლება აღინიშნოს ორი მომენტი: საქმე ეხებოდა სახელმწიფო განათლებას და არა დასაქმების ჩვეულებრივ კანონს და გადაწყვეტილება მიიღეს მესამე რესპუბლიკის დროს გაჩაღებულ ანტიკლერიკალურ ტალღაზე. საინტერესოა, იქნებოდა თუ არა თავისი გადაწყვეტილების ერთგული Conseil d'État, ეს საკითხი დღეს რომ დამდგარიყო დღის წესრიგში.

- თუმცა სასულიერო მსახურს მაინც აქვს რიგი უფლებები, როგორც დაქირავებულ პირს, მათ შორის ისეთები, რომლებიც ეხება ეროვნულ დაზღვევას. პროტესტანტმა საეკლესიო მსახურებმა და ებრაელმა რაბინებმა სარგებლობა მიიღეს სოციალური უზრუნველყოფის სისტემით მისი შემოღების შემდეგ 1945 წელს. კათოლიკე მღვდლებისა და საეკლესიო მსახურებისთვის 1959 წლიდან შემოიღეს საეკლესიო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, რომლებიც არეგულირებდა, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობის და შემდეგ – პენსიის საკითხებს. ამ საკითხების მართვა სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა სოციალური უზრუნველყოფის საერთო სისტემას. საბოლოოდ, 1978 წლის 2 იანვრის კანონით, კათოლიკე საეკლესიო პირები სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფის სისტემას შეუერთდნენ, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით¹⁸⁷.

2. ფრანგული შრომითი კანონი და საერო პირები, რომლებიც მუშაობენ რელიგიის განხრით

საერო პირების მდგომარეობა, რომლებიც ეკლესიაში მსახურობენ, სხვადასხვაგვარია. ისინი შეიძლება ასრულებდნენ საეკლესიო დავალებებს ან მონაწილეობდნენ ეკლესიის რელიგიურ მსახურებაში, ეხმარებოდნენ მღვდლებს მათ მიერ სასულიერო ფუნქციების განხორციელებაში, ისევე, როგორც ამას აკეთებენ “ეკლესიის მსახურები”¹⁸⁸.

საყოველთაოდ მიღებული შრომითი კანონი მოიცავს ყველა საერო პირს, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით. საერო პირებს, რომლებიც მუშაობენ საეკლესიო ორგანოში, აქვთ შრომითი კონტრაქტი. დამქირავებელი შეიძლება იყოს საკულტო ან საეპარქიო ასოციაცია. ფრანგულ კანონმდებლობაში სამრევლოს არ აქვს სამართალსუბიექტის სამართლებრივი სტატუსი და არ შეუძლია იყოს დამქირავებელი. 1901 წლის კანონის შესაბამისად, დამქირავებელი შეიძლება იყოს ასოციაცია, რომელიც დაკავშირებულია ეკლესიასთან. შრომითი კანონის საერთო წესები ეხება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის არსებულ კავშირს.

მაგრამ შეუძლია თუ არა ეკლესიას დამატებითი პირობების დაკისრება, როდესაც საერო პირებს აქვთ საეკლესიო ფუნქციები? საეპარქიოს ეპისკოპოსი გადასცემს თითოეულ სამრევლოს მუშაკს ინდივიდუალურ “lettre de mission”-ს (სამუშაოს აღწერა), იმ სამუშაოს განსაზღვრით, რომელიც მუშაკმა უნდა შეასრულოს, თუმცა

187 J.P. Durand, in Valdrini, Durand, Echappé, Vernay: Le droit canonique, précis Dalloz, Paris, 1989, p. 622.

188 აქ არ არის განხილული სიტუაცია, დაკავშირებული საპატიო თანამშენებთან, რომლებსაც შრომითი კანონის უმეტესი ნაწილი არ ეხებათ.

იგი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს. მხოლოდ ამ lettre de mission-ის მეშვეობით შეუძლია სამრევლოს მუშაკს გახდეს საეპარქიო ასოციაციის (association diocésaine) მუშაკი. “ნერილის” ჩამორთმევა ეპისკოპოსის მიერ თავისთავად ითვლება თუ არა დასაქმების კონტრაქტის დასრულებად, თუ, გარდა ამისა, საჭიროა დამსაქმებელმა უფრო მკაფიოდ დაადასტუროს ეს? როგორი იქნება ამ შემთხვევაში საკომპენსაციო გადასახადის რაოდენობა ასოციაციის მიერ, რომელიც ფაქტობრივი დაქირავებულია. ამჟამად მიმდინარეობს დებატები, თუ როგორი უნდა იყოს დასაქმების კონტრაქტი სამრევლო მუშაკებისთვის, ამავე დროს, განიხილება ეპისკოპოსის ლიცენზიის საკითხიც.

სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება იმ პირების დათხოვნის სამართლებრივ ხასიათზე, რომლებიც განქორწინებული და განმეორებით დაქორწინებული არიან და შესაძლოა მუშაობდნენ კათოლიკურ საავადმყოფოებში ან კათოლიკურ კერძო სკოლებში. ასეთ თანამშრომლებს არ მოეთხოვებათ lettre de mission, მაგრამ ისინი მუშაობენ ე.წ. “entreprise de tendance”-ში, ანუ ისეთ ადგილას, სადაც მათ რელიგიურ შეხედულებებს ითვალისწინებენ. საპრეცედენტო სამართლის მრავალი ცვლილების შემდეგ საკასაციო სასამართლომ (Cour de Cassation) მიიღო გადაწყვეტილება კათოლიკური სკოლის მასწავლებლის განთავისუფლების შესახებ, რომელიც განქორწინებული და ხელახლა დაქორწინებული იყო¹⁸⁹. ისინი, ვინც კომენტარს უკეთებენ ამ გადაწყვეტილებას, არ არიან ერთსულოვანი მის მხარდაჭერაში, ეს არ ეხება კათოლიკურ საავადმყოფოებში მომუშავე პირებს, რადგან არ ეხება საგანმანათლებლო მიზნებს.

VIII. ეკლესიის დაფინანსება

1. ისტორიული ფაქტების შეჯამება

საუკუნეების განმავლობაში ეკლესია ფლობდა მნიშვნელოვან ქონებას, რომელიც მისი შემოსავლის წყარო იყო. 1789 წლის 2 ნოემბრის დეკრეტის შესაბამისად, საკანონმდებლო ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა ეკლესიის ქონების ნაციონალიზაცია და გაეყიდა იგი, რათა შეეცხო სახელმწიფო ხაზინის დეფიციტი. ამის სანაცვლოდ სახელმწიფო შეჰპირდა შესაბამის ანაზღაურებას რელიგიის მსახურებს.

189 C. Cass. Ass. Plén. 19 May 1978, D. 1978, p. 541, concl. Schmelck, n.Ph. Ardant. მიღებული გადაწყვეტილება უკვე ძველია. ეკლესია თავს არიდებს მსგავსი საქმეების სასამართლოს წინაშე წარდგენას, რადგან სასამართლოს დამოკიდებულება ცვალებადია; “Les motifs de licenciement dans les entreprises de tendance”, synthèse du colloque du centre Droit et Sociétés religieuses, par E. Hirsoux, l’année canonique, 39, 1997, გვ. 151-174

კონკორდატის დროს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კომუნები (communes) მეტ-ნაკლებად აგრძელებდა ოთხი ალიარებული ეკლესიის დაფინანსებას, რაც გულისხმობდა ხელფასების გაცემას მღვდლებისათვის, მშენებლობის დაფინანსებას და დახმარებას მათ შეკეთებაში, ყველაზე მეტად კი მონანილეობას საოპერაციო ხარჯებში. ეს პოლიტიკა აღმოსავლეთ საფრანგეთის სამ დეპარტამენტში დღესაც რჩება ძალაში¹⁹⁰.

1905 წლის კანონის II პუნქტის მიხედვით შეწყდა ეკლესიის დაფინანსება, ასევე ეკლესიის მსახურების ხელფასების და სხვა სუბსიდიების გადახდა სახელმწიფო ფონდიდან. თუმცა ეკლესიის სისტემატური შევიწროება უკვე წარსულს ჩაბარდა. ამის შედეგად ეკლესიებს აქვს დაფინანსების ორი წყარო: კერძო დაფინანსება, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, არაპირდაპირი დახმარება სახელმწიფოსგან იმ ფორმებში, რომლებიც არაა სუბსიდიები. გარდა ამისა, ასოციაციებს, რომლებიც არ განეკუთვნება საკულტო ასოციაციებს (associations culturelles), მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმყოფება ეკლესიის ორბიტაში, შეუძლია მიიღოს სახელმწიფო სუბსიდიები.

2. კერძო დაფინანსება 1905 წლის შემდგომ

ეს არის ჩვეულებრივი ფუნდამენტური შემოსავლის წყარო. ახლა, როდესაც სახელმწიფო აღარ უხდის ეკლესიის მსახურებს, ეკლესიამ თითქმის ყველა რესურსი უნდა მიიღოს კერძო წყაროებიდან. ყველა ეკლესიამ თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიპოვოს სახსრები და როგორ გამოიყენოს ისინი. ფაქტობრივი მეთოდები განსხვავებულია. რამდენიმე მაგალითი:

- საფრანგეთის რეფორმირებულ ეკლესიაში სახსრების მიღება ხდება მორწმუნეებისგან¹⁹¹. თითოეული ადგილობრივი ეკლესია თავად მართავს თავის რესურსებს, მაგრამ მოქმედებს სოლიდარობის პრინციპი, რათა შეამციროს განსხვავება მდიდარსა და ღარიბ რეგიონებს შორის. პასტორის ხელფასი განსხვავდება მისი ასაკის და ოჯახური მდგომარეობის, მაგრამ არა ადგილმდებარეობის გამო.

190 Fr. Messner, Le financement des Eglises, [ეკლესიების დაფინანსება] სტრასბურგი, cerdic, 1984, 259 p.

191 ამან შეიძლება მიიღოს ორი ფორმა (1) რეგულარული გადახდა, ყოველგვარი ფიქსირებული თანხის გარეშე სამრევლოს ასოციაციისათვის, რომელსაც თითოეული ინდივიდი ეკუთვნის; (2) შემოწირულებები საკვირაო სამსახურის დროს.

- კათოლიკურ ეკლესიაში აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მორწმუნეთა საჩუქრებს¹⁹². რესურსების გამოყენება და მათი განაწილების განკარგვა მიმდინარეობს ეპარქიის დონეზე.

საჩუქრებს შეიძლება ჰქონდეს იმგვარი ფორმა, რომ უზრუნველყოს ქონების გადაცემა იმ მიზნით, რომელიც სახელმწიფო ინტერესებშია, ისინი შეიძლება შეიქმნას და/ან განიკარგოს ეკლესიის მიერ.

3. სახელმწიფოს არაპირდაპირი დახმარება 1905 წლიდან¹⁹³

აღნიშნული შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად:

1905 წლის კანონის დარღვევის გარეშე რელიგიის ზოგიერთი მსახურის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს მიერ. ესენი არიან ციხეებში ან საავადმყოფოებში მომუშავეები,¹⁹⁴ ან საეკლესიო მასწავლებლები კერძო სკოლებში, ეს იმ შემთხვევაში, თუ სკოლას აქვს საკონტრაქტო ურთიერთობა სახელმწიფოსთან 1959 წლის კანონის შესაბამისად.

სახელმწიფოს შეუძლია იმ თანხების გარანტირება, რომლებიც ნასესხები აქვს საკულტო ან საეპარქიო ასოციაციებს ახალი სამლოცველოების ასაშენებლად¹⁹⁵. იმავე მიზნებისთვისაა გათვალისწინებული იპოთეკური დაფინანსება კომუნების მიერ საკულტო ასოციაციებისთვის, რომლებიც არსებობს 1930 წლიდან და ჩვეულებრივ 99 წლის ვადით გაიცემა. მისი ნომინალური გადასახადია ერთი

192 ეკლესიის ფულადი შემონირულებები მორწმუნეების ნებაყოფლობითი შემონირულობაა. მსგავს შემონირულობას აკეთებს კათოლიკე მორწმუნეების ნახევარზე ნაკლები, რომლებიც რეგულარულად დადიან ეკლესიაში. იგი ითვლება შემოსავლის კარგ წყაროდ, თუნდაც იგი საშუალებას იძლეოდეს განხორციელებდეს მხოლოდ საეპარქიოს საეკლესიო პირების ანაზღაურება. სახსრების მოპოვება ზემოაღნიშნული ჯგუფის გარეთ კიდევ უფრო ზრდის მას.

193 J. Gueydan, X. Delsol, P. Desjonquieres, Cultes et religions, impôts et charges sociales, [ეკლესიები და რელიგიური ჯგუფები: გადასახადი და სოციალური გადასახადები], პარიზი, LGDJ, 1991, 270 გვ.

194 შედ. ქვემოთ, ნაწილი VIII.

195 1961 წლის 29 ივლისის (პუნქტი 1) loi de finance rectificative ნებას აძლევს დეპარტამენტებს და კომუნებს გასცენ მსგავსი გარანტიები. სახელმწიფოს, ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით შეუძლია იმავეს გაკეთება.

ფრანკი წელიწადში. პირველად იგი გამოიყენეს ეკლესიების მშენებლობისთვის პარიზში, შემდეგ ეს პრაქტიკა გავრცელდა ადმინისტრაციული წინააღმდეგობის გარეშე.

სახელმწიფო ფლობს 1905 წლამდე აშენებულ კათოლიკურ სამლოცველოებს, რომლებშიც იგი ახორციელებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს.

საკულტო და საეპარქიო ასოციაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი უკიდურესად შეღავათიანია. ამჟამინდელი საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად ორგანიზაციებს და ცალკეულ გადამხდელებს ნება ეძლევათ, საგადასახადო თანხას გამოაკლონ გარკვეული რაოდენობის შემოწირულება იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. Conseil d'État-მა თავის 1962 წლის 15 მაისის დასკვნაში განაცხადა, რომ ეს ეხებოდა associations culturelles სახსრებს, რომლებიც განზრახული იყო ეკლესიის შენობების ასაშენებლად და მოსავლელად, ან რიგი საქველმოქმედო, საგანამანათლებლო, სოციალური ან საოჯახო ხასიათის საქმიანობისთვის. თუმცა 1962 წელს ამის საპირისპიროდ გამოკლების უფლება არ ვრცელდებოდა შემოწირულებებზე, რომლებიც გამიზნული იყო სამღვდლოების ხელფასების გადასახდელად.

საკულტო ასოციაციების საგადასახადო შეღავათები გაცილებით უფრო გაიზარდა მეცენატობის კანონის მიღების შემდეგ (loi du Mécénat)¹⁹⁶. ამრიგად, გასაგებია ის ინტერესი, რომელიც სხვადასვა ჯგუფს გააჩნია, რათა მიიღოს association culturelle სახელწოდება. მოსამართლეები, როგორც ვთქვით, ფხიზლად ადევნებენ თვალს, რათა ეს არ იქნეს ბოროტად გამოყენებული.

4. დამფინანსებელი ასოციაციები 1901 წლის კანონის შესაბამისად

თუკი საეკლესიო სფეროში მომუშავე ჯგუფს არ აქვს საკულტო ასოციაციად ყოფნის შესაძლებლობა, მაშინ იგი 1901 წლის კანონის მიხედვით ყალიბდება ჩვეულებრივი ასოციაციის სახით, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სუბსიდიები სახელმწიფოსგან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან. ამ ასოციაციებს შეუძლია შემოწირულებების მიღება ცალკეული პირებისგან,

196 J.P. Durand, "Chronique de droit civil ecclésiastique", l'année canonique, 1988, p. 443-462; დასაშვები საგადასახადო გამოქვითვის რაოდენობის გაზრდა და შესაძლო გამოქვითვა "საკულტო შენაწირებიდან".

რომელთაც არ აქვთ საგადასახადო შეღავათები¹⁹⁷. შემონიშნულებზე, რომლებიც გამიზნულია utilité pratique-ს მიერ აღიარებული ასოციაციებისთვის, ვრცელდება საგადასახადო შეღავათები.

IX. რელიგიური დახმარება სახელმწიფო ინსტიტუტებში

ნათლად გამოხატული laïcité დოქტრინა გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა პიროვნების მიერ რელიგიური აღმსარებლობის განხორციელების შესაძლებლობა. თუკი პიროვნება იმყოფება დაწესებულებაში, რომელიც არის სახელმწიფო მმართველობის ქვეშ, არ შეუძლია მისი დატოვება და თავისი რელიგიური რიტუალის შესრულება ამ დაწესებულების გარეთ, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, თავისი რიტუალი ჩაატაროს დაწესებულების შიგნით. ამიტომ სახელმწიფო კისრულობს პასუხისმგებლობას სულიერ დახმარებაზე იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ შენობიდან გარეთ გასვლა. 1905 წლის კანონის II პუნქტში მოცემულია ჩამონათვალი: “ლიცეუმები, კოლეჯები, საავადმყოფოები, ციხეები”. სინამდვილეში, რეჟიმი, რომელიც ამ ცალკეულ დაწესებულებაში არსებობს, სხვადასხვაა, რადგან უფრო ადვილია ლიცეუმიდან ან კოლეჯიდან გამოსვლა (თუნდაც ეს იყოს პანსიონის მცხოვრები), ვიდრე ჰოსპიტლიდან ან ციხიდან¹⁹⁸. სამხედრო კაპულანობა დაკავშირებულია იმავე საჭიროებებთან.

1. საავადმყოფოები და ციხეები

1905 წლის კანონი ნებას რთავს კაპულანობის ორგანიზებაზე და მათ უფლებაზე, განკარგონ საჯარო ფონდები დამატებითი პასუხისმგებლობის გარეშე. Conseil d'État-ის საპრეცედენტო სამართალმა სამინისტროს ცირკულარებთან ერთად შექმნა შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი.

საავადმყოფოების ხელმძღვანელობას ეკისრება ვალდებულება, მიიღოს საჭირო ზომები, რათა მათმა ბინადრებმა ჩაატარონ თავიანთი რელიგიური რიტუალები

197 აღნიშნული ბევრი მუსლიმანური associations culturelles-ის პოზიციაა, ასოციაციების, რომელთა მიზანი არა მხოლოდ აღსარებაა, არამედ ყურანის სკოლების, სამედიცინო და ა.შ. (მეჩეთისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის) შექმნა. ეს არის აგრეთვე სამართლებრივი ფორმა, რომელიც არჩეული აქვს ბევრ საგანმანათლებლო ორგანიზაციას საეკლესიო ორბიტაზე.

198 შედ. ზემომოყვანილს, ნაწილი V.

შენობის შიგნით. ეს საკითხი კი საჭიროა ადგილობრივად მოგვარდეს. უფრო მეტი სიზუსტე ამ საკითხში შეაქვს სამინისტროს 1976 წლის 26 ივლისის ცირკულარს. საავადმყოფოს ადმინისტრაციას შეუძლია მოინვიოს სხვადასხვა ეკლესიის მღვდელი იმ პაციენტებისთვის, რომელთაც ამის სურვილი გააჩნიათ. კაპელანებმა შეიძლება დადონ შეთანხმება საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან მას შემდეგ, რაც მოიპოვებენ ამ საკითხთან დაკავშირებით ეკლესიის ხელმძღვანელობისგან ნებართვას. მათ ეძლევათ ხელფასი, მათ პატივი უნდა სცენ საავადმყოფოს წესებს და იმყოფებიან სოციალური დაცვის ქვეშ. მათი შრომითი კონტრაქტი შეიძლება განსხვავებული იყოს. არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება შეწყდეს ადმინისტრაციის მიერ ცალმხრივად, სამთვლიანი წინასწარი შეტყობინების თანახმად (გარდა რაიმე სერიოზული დარღვევისა), რელიგიური ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე.

ამჟამად ციხეებში პაციენტების სულიერი დახმარების საკითხი რეგულირდება 1972 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით. იუსტიციის მინისტრი ნიშნავს ეკლესიების კაპელანებს კომპეტენტურ რელიგიურ ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის შემდეგ. დანიშნულ პირებს არ აქვთ კონტრაქტი, მაგრამ ექვემდებარებიან სპეციალურ წესებს, როგორც აუღიარებელი სახელმწიფო ოფიციალური პირები. ისინი იღებენ ხელფასს და არიან სოციალური დაცვის ზოგადი პოლიტიკის ქვეშ.

2. არმიის კაპელანობა¹⁹⁹

არმიის კაპელანობას საფუძველი ჩაეყარა 1880 წლის 8 ივლისის კანონის შესაბამისად. Conseil d'État-ის თვალსაზრისით, 1905 წლის კანონში ამის შესახებ აკრძალვის არარსებობა არ გულისხმობდა ამ სამსახურის აკრძალვას და მის მოქცევას სახელმწიფო ანაზღაურების ქვეშ. პრაქტიკაში État-major des armées დეპარტამენტში არის სამი სამხედრო კაპელანი, რომლებიც წარმოადგენენ კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს, ასევე სინაგოგას. თითოეული პასუხისმგებელია საკაპელანო მუშაობაზე თავის ეკლესიასთან და უზრუნველყოფს თანამშრომლობას ადმინისტრაციასა და რელიგიურ ხელმძღვანელობას შორის²⁰⁰. კაპელანების უპრობლემო არსებობას აფერხებს ორი სახის

199 G. Dole, Les professions ecclésiastiques, op. cit. p. 312.

200 კაპელანები სამ კატეგორიად იყოფა: (1) სამხედრო კაპელანები, რომელთაც ნიშნავს მინისტრი და მათი კარიერა ოფიცრის კარიერის მსგავსია; (2) კაპელანები, რომლებიც სამოქალაქო ფუნქციებით არიან დაკავებული და აქვთ შრომითი კონტრაქტი; მათი პოზიცია იმ დაქირავებული სამოქალაქო პირების პოზიციის მსგავსია, რომლებიც მუშაობენ თავდაცვის სამინისტროში; (3) მოხალისე კაპელანები, რომელთაც არ უხდინან ხელფასს, მაგრამ ისინი არიან დაზღვეული სამსახურში რაიმე უბედური შემთხვევისგან.

დაბრკოლება: სხვადასხვა ეკლესიის კაპელანების არასაკმაო რაოდენობა როგორც საავადმყოფოებში, ასევე ციხეებში; განსაკუთრებით იგრძნობა მუსლიმანი კაპელანების მკვეთრი ნაკლებობა.

X. საეკლესიო მსახურების და მორწმუნეების სტატუსი ²⁰¹

მღვდლები, მორწმუნეები და ეკლესიის მსახურები ექვემდებარებიან საერთო კანონს, რომელიც ეხება ყველა ინდივიდს საფრანგეთის ტერიტორიაზე. პრინციპში, არ არსებობს რელიგიის მსახურების სპეციალური სტატუსი. თუმცა თავისი ფუნქციების წყალობით იგი ექვემდებარება მრავალ სპეციალურ წესს, რომლებიც არ ვრცელდება სხვა პირების ცხოვრებაზე ²⁰². თუმცა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, არ შეიძლება საუბარი განსაკუთრებულ სტატუსზე.

201 J. Kerlevoe, *l'Eglise catholique en régime français de séparation*, [კათოლიკური ეკლესია განცალკევების ფრანგული პოლიტიკის პირობებში] T.III, *Le prêtre catholique en droit français*, [კათოლიკური მღვდლები ფრანგულ კანონში] ed. Desclé, Paris, 1962; P. Barbier, "Le ministre du culte peut-il voir sa responsabilité civile engagée à l'occasion des actes qu'il accomplit dans l'exercice de son ministère", [საეკლესიო მღვდლების სამოქალაქო ვალდებულება აქტებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის განხორციელებასთან], *l'année canonique*, 1987, p. 235-256.

202 ზოგიერთი მაგალითი აღნიშნული უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სპეციალურად რელიგიის მსახურებს ეხებათ: 1.) ზოგიერთი პროფესია, რომელთა რაოდენობა მცირეა, შეუთავსებელია საეკლესიო მღვდლის პოზიციასთან. 1882, 1886 და 1904 წლების კანონების შესაბამისად, მღვდლებს თანდათან აკრძალათ მასწავლებლად მუშაობა დაწყებით სკოლებში, აკრძალა, რომელიც საშუალო სკოლაზე ვრცელდება (მდრ. ზემოთ, ნაწილი V). 2.) სამოქალაქო კოდექსის პუნქტი 909 უკრძალავს ეკლესიის მღვდელს მიიღოს საჩუქრები ან მემკვიდრეობა ავადმყოფი პირისაგან, რომელიც მისი სულიერი ზედამხედველობის ქვეშ იყო ამ პირის ავადმყოფობის ბოლო სტადიაში. 3.) ზოგი საეკლესიო ფუნქციის განხორციელება უნდა მოხდეს საერო კანონის დებულებების შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მიზნით: ეკლესიის მსახურზე აკრძალვის გავრცელებით იმის გამო, რომ მან ჩაატარა ქორწინების საეკლესიო ცერემონია სამოქალაქო ქორწინების ცერემონიამდე; დაკრძალვის ცერემონიის აკრძალვა მანამ, სანამ არ იქნება მიღებული ადმინისტრაციული უფლება სამოქალაქო სტატუსის მქონე ოფიცრისაგან, რომელსაც თავის მხრივ არა აქვს უფლება მის გაცემაზე, თუკი არ ექნება ექიმის ხელმოწერილი გარდაცვალების მოწმობა, აკრძალვა აღსარებაზე (მაგ. ბაპტიზმი) დაინტერესებული მხარეების თანხმობის გარეშე (ან მშობლების უფლებამოსილების მქონე პირების, თუკი საქმე ეხება ბავშვს); ეს ემსახურება მოქალაქეთა სინდისის

XI. საქონი და საოჯახო კანონი ²⁰³

მრავალი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთში, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყანაში, ეკლესია არეგულირებდა საქონი და საოჯახო კანონებს. თანდათანობით მოხდა ამ პროცედურების განცალკევება ეკლესიისგან. საფრანგეთის რევოლუციამ მიაღწია ამ განცალკევებას. დღეს ამ სფეროში ფრანგული საერო და საეკლესიო კანონი ავტონომიურია, მაგრამ მათ არ შეუძლია ერთმანეთის იგნორირება. ჩვენ აღვნიშნავთ, თუ რა ზომით იღებს მხედველობაში ფრანგული სამოქალაქო კანონი ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიასთან.

1. ქორწინება

ორი ლეგალური ბრძანებულების არსებობა მთელ რიგ სიძნელეებს ქმნის. ნაპოლეონის კოდიფიკაციის შესაბამისად საჭირო იყო, რათა ორ პიროვნებას, რომელთაც სურდათ გაეფორმებინათ საეკლესიო ქორწინება, ჯერ გაეფორმებინათ სამოქალაქო ქორწინება სამოქალაქო სტატუსის მქონე მოხელის მონაწილეობით. წმიდა რელიგიური ცერემონია ვერასოდეს გახდებოდა სრულფასოვანი ქორწინება ფრანგული კანონის მიხედვით და რელიგიის მსახური, რომელიც გააფორმებდა მსგავს ქორწინებას, დაექვემდებარებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ²⁰⁴. თუმცა ქორწინება, რომელიც გაფორმებული იყო მხოლოდ რელიგიური სახით საზღვარგარეთ და ექვემდებარებოდა უცხოურ კანონს იმ ადგილის მიხედვით, სადაც შედგა, აღიარებული იქნებოდა საფრანგეთში.

თავისუფლების დაცვას (შდრ ლიეჟი, 5 მაისი 1909, D.P. II.2.364; ბებიამ მონათვლინა ბავშვი ქერივი მამის თანხმობის გარეშე, ამის გამო მას დაეკისრა სიმბოლური ჯარიმის გადახდა). 4.) დაჯარიმება შეიძლება მოხდეს, როდესაც დარღვევა დაშვებულია რელიგიის მსახურის მიერ. 5.) პროფესიული საიდუმლოს დაცვის ვალდებულება (რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ კონფესიურით) ნებას აძლევს რელიგიის მსახურს, არ მისცეს ჩვენება ფაქტების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების დროს, ა.შ.

203 G. Cornu, *Droit civil, la famille*, Domat, 2003; J. Carbonnier, *Droit civil, la famille*, Paris, Montchrétien, 1999, 20^eéd.; Malaurie et Aynes, *Droit civil, la famille*, Paris, Cujas, 1998, 6^e éd.; H. Gaudemet-Tallon, v^o "Famille", *Répertoire Dalloz*, 1997; "Divorce et nullité de mariage, colloque de droit canonique et de droit civil", *actes du colloque de Poitiers*, avril 1989, l'année canonique, t. 32, 1989, p. 13-195; Y. Gerald, *La religion en droit privé*, thèse droit Limoges, 1978; მრავალი სტატია *Revue de Droit Canonique*-ში, სტრასბურგი.

204 Art. 199 and 200 C. pen. Cf. T. Revet, "De l'ordre des célébrations civiles et religieuses du mariage", [სამოქალაქო და რელიგიური ქორწინების ცერემონიის წესის შესახებ], *la Semaine Juridique*, G. no. 49, 1987, 3309, p. 1-8.

შეიძლება თუ არა რელიგიური ფაქტების მხედველობაში მიღება სამოქალაქო ქორწინების გაფორმების შემდეგ? თუკი ეს შეიძლება, მხოლოდ არაპირდაპირი გზით. მაგალითად, მღვდლის ქორწინების ძალაში ყოფნა არ შეიძლება უარყოფილ იქნეს ფრანგული კანონმდებლობის შესაბამისად²⁰⁵. თუკი სასამართლო ასეთ ქორწინებას ძალადაკარგულად გამოაცხადებს, ეს მოხდება არა იმიტომ, რომ ეკლესიამ აკრძალა, არამედ პირთან დაკავშირებული არსებითი შეცდომის გამო, ანუ, როცა მღვდელმა დამალა თავისი საეკლესიო სტატუსი. განქორწინებული პირის ხელახალი ქორწინება შეიძლება გაუქმდეს არა იმის გამო, რომ კათოლიკური ეკლესია კრძალავს ხელახალ ქორწინებას, არამედ იმის გამო, რომ ერთმა მხარემ დამალა ინფორმაცია თავისი წარსულის შესახებ და თუ მეორე მხარე დაამტკიცებს, რომ ეს ფაქტი, თუ იგი ცნობილი იქნებოდა მისთვის, წარმოშობდა ბარიერს ქორწინებისთვის²⁰⁶. განვიხილოთ მეორე მაგალითი: როდესაც მეუღლეები არ არიან ფრანგები, მოსამართლე მიმართავს მათ ეროვნულ კანონმდებლობას, რათა განსაზღვროს ქორწინების ძალაში ყოფნა. რელიგიური საკითხები შეიძლება მხედველობაში მიიღონ როგორც ამ კანონმდებლობების ელემენტები, მაგრამ არა როგორც მხოლოდ საკონფესიო კანონები. თუმცა ამგვარი საქმეების (მაგ. ქორწინების აკრძალვა პირთან, რომელიც სხვა რელიგიის წარმომადგენელია) იგნორირება შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის საფუძველზე²⁰⁷.

2. განქორწინება

ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებულია განქორწინება იმ კანონმდებლობით, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა²⁰⁸. ამჟამად მისი მართვა ხორციელდება 1975 წლის 11 ივლისის კანონის შესაბამისად, რომელიც საკონფესიო კანონების იგნორირებას ახდენს. ორი

205 This, the current position of the courts, had already been adopted in the 19th century; the Law of 1905 had no effect on the matter (C.Cass. civ. 25 January 1888).

206 T.G.I. Le Mans, 7 December. 1981, J.C.P. 1986, 20573.

207 H. Gaudemet-Tallon, La désunion du couple en droit international privé, recueil des cours, académie de droit international de La Haye, 1991, I, 279 p.; რელიგიურ საკითხებზე, იხ. გვ. 179-273.

208 1792 წ. 20 სექტემბრის კანონის შესაბამისად, პირველად იქნა შემოტანილი განქორწინება, როგორც შედეგი ინდივიდუალური თავისუფლების, გვიანდელმა რეფორმებმა შეამცირეს ამის შესაძლო საფუძველი. განქორწინება დარჩა ღია 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად და იგი უფრო ადვილი მისაღწევი იყო მამაკაცებისათვის, ვიდრე ქალებისათვის. იგი გაუქმდა 1816 წლის რესტრუქციის დროს. საბოლოოდ 1884 წლის 27 ივლისის loi Naquet-მა აღადგინა განქორწინება საფრანგეთში.

სამართლებრივი ბრძანებულებიდან ორივეს თავისი ინტერესის სფერო აქვს. სამოქალაქო ქორწინება აღიარებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ და მხოლოდ სამოქალაქო ძალა აქვს. ქორწინების კანონიკურ არაქმედითობას არ აქვს მნიშვნელობა შესაძლო სამოქალაქო არაქმედითობაზე. თუმცა რელიგიურმა ფაქტორებმა შესაძლოა თავისი გავლენა მოახდინოს საერო სასამართლოებში:

- მეუღლის მიერ უარის თქმა რელიგიური ქორწინების ჩატარებაზე, რომელზეც მან თანხმობა განაცხადა სამოქალაქო ქორწინებამდე, არასწორია და საფუძველია განქორწინებისთვის. სასამართლოები აღნიშნავს პირობის დარღვევას, როგორც დაზარალებული მხარის რელიგიური რწმენის შეურაცხყოფას;
- როდესაც მრავალწლიანი ერთობლივი ცხოვრების შემდეგ ცოლი ტოვებს ოჯახს, რათა იკისროს საეკლესიო ვალდებულება, ეს ქმრისთვის საფუძველია მიიღოს განქორწინება თავისი ცოლის მხრიდან ზიანის მიყენების საფუძველზე²⁰⁹;
- სასამართლო ჩვეულებრივ კათოლიკური ეკლესიის პოზიციის იგნორირებას ახდენს, როდესაც ეკლესია უარს აცხადებს განქორწინების ნებართვის გაცემაზე. თუმცა მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ განქორწინება ხდება მეუღლის სურვილის წინააღმდეგ და იმ გარემოებას, რომ კათოლიკესთვის, რომლის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ განსაკუთრებულია, განქორწინება გამოიწვევს “უკიდურეს სიძნელეებს” იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რწმენა ქადაგებს ქორწინების სიმტკიცეს. მოსამართლე გამოიყენებს “ძნელ პუნქტს” სამოქალაქო კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად²¹⁰.
- სამოქალაქო მოსამართლისთვის უფრო ადვილია ისეთ რელიგიებთან ურთიერთობა, რომლებიც იძლევა განქორწინების და ხელახალი ქორწინების ნებართვას, მაგალითად, როგორიცაა იუდაიზმი. ებრაული რწმენის შესაბამისად, ქორწინებაზე უარის თქმა, რომელიც წარმოადგენს *gett*-ს რაბინის თანდასწრებით, ნებას აძლევს ცოლს ხელმეორედ გათხოვდეს, რელიგიური წესის დაცვით. ამის შემდეგ სამოქალაქო მოსამართლემ, რომელიც აცხადებს სამოქალაქო განქორწინებას, შეიძლება მხედველობაში მიიღოს ქმრის უარი *gett*-ის მოტანასთან დაკავშირებით და ქმარს მისცეს

209 C. A. Amiens, 3 March 1975, D.S. 1975, p. 706.

210 Civ., 2, 23 October 1991, D. 1993, p. 193, 1^o esp. n. Villaceque. თუმცა თანამედროვე შეხედულების შესაბამისად, თუნდაც ყველაზე ღრმად მორწმუნე კათოლიკური რწმენის მეუღლემ თანამედროვე საზოგადოებაში უნდა მიიღოს განქორწინების უფლება, თუკი მას ამის სურვილი აქვს.

მითითება, რათა მან ანაზღაუროს ცოლისთვის მიყენებული ზარალი კომპენსაციის მიცემით, მაგრამ არ აქვს უფლება განკარგულება გასცეს ქმრის პოზიტიურ რელიგიურ ქმედებაზე²¹¹.

3. ოჯახის შიდა მონყოლა

ოჯახის შიდა მონყოლის საკითხებთან დაკავშირებით, მოსამართლე მხედველობაში იღებს რელიგიურ მოტივაციას. იგი პატივს სცემს სინდისის თავისუფლებას და საშუალებას აძლევს მეუღლეს, მიიღოს სხვა რელიგია ან მონანილეობა რელიგიურ რიტუალში ქორწინების დროს, იმ ფანატიზმის გარეშე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ქორწინების ფუნდამენტურ ღირებულებას და ვალდებულებებს. ასე რომ, სექტის წევრობა თავისთავად არ არის ისეთი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოსამართლემ დაგმოს, ამან შეიძლება გამოიწვიოს მეუღლესთვის “grave errors” მდგომარეობის შექმნა.

შვილების რელიგიურმა განათლებამ შეიძლება უთანხმოება ჩამოაგდოს მეუღლეებს შორის²¹². მშობლებმა ერთად უნდა იმსჯელონ იმ გეგმებზე, რომელთა განხორციელებასაც ისინი აპირებენ (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 371(2)-ე) გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მას პატივს სცემს სასამართლოც. განქორწინების ან ოჯახში მშობლებს შორის უთანხმოების შემთხვევაში ამ საკითხზე მოსამართლე მხარს დაუჭერს წინათ მიღწეულ შეთანხმებას²¹³. გარდა ამისა, საფრანგეთი შეზღუდულია 1989 წლის 29 ნოემბრის ბავშვთა კონვენციის მე-14 მუხლით, რომელიც ეხება ბავშვის უფლებებს, ამავე დროს, მან უნდა გაითვალისწინოს ბავშვის შეცნობადობის უნარი²¹⁴.

211 P. Barbier, “Le problème du Gueth”, G.P. 1987, doct. p. 485 et C. Cass. 15 juin 1988, Bull. Civ. II, no. 146; C. Cass. 21 November 1990, D. 1991, 434, n. E. Agostini; H. Gaudemet-Tallon, op. cit. p. 248-253.

212 Cl. Castellan, L'éducation de l'enfant, puissance paternelle en droit canonique et autorité parentale en droit français, Thèse, droit, Paris XI et ICP, 2001. საკმაოდ სანერძლივი დროის განმავლობაში შერეული ქორწინების დროს ეკლესიის მოთხოვნა იყო, რათა არაკათოლიკე მეუღლეს დაედო პირობა, რომ იგი ნებას დართავდა თავის მეუღლეს აღწარდა ბავშვები კათოლიკური რწმენით. მსგავს შეთანხმებას ძალა გააჩნდა ეკლესიის თვალსაზრისით, მაგრამ არა სამოქალაქო სასამართლოებისათვის. თუმცა მოსამართლეს, რომელიც სამოქალაქო საქმეს განიხილავს, არ შეუძლია მისი საფუძვლით იგნორირება და იგი ჩვეულებრივ აღნიშნავს, რომ დაირღვა ადრე არსებული შეთანხმება, მაგრამ არ საუბრობენ შეთანხმების დეტალებზე.

213 Paris, 6 April 1967, J.C.P. 1967, II, 15100

214 Cass. Civ. 1^o 11 June 1991, D. 1991, 521 n. Malaurie.

საოჯახო სამართალი ხშირად ითვალისწინებს რელიგიურ მოტივს, მაგრამ კანონმდებელი იშვიათად მიმართავს მას. ეს თითოეულ შემთხვევაში საპრეცედენტო სამართლის საქმეა. მოსამართლე არ გამოიყენებს კანონიკურ წესებს როგორც ასეთს, მაგრამ გაითვალისწინებს მათ შესაძლო ეფექტს “სამოქალაქო” ურთიერთობებში მხარეებს შორის.

XII. ბიბლიოგრაფია

ძირითადი ნაშრომია:

Messmer Fr./Prélot P.-H./Woehrling J.-M. (eds.), *Traité de droit français des religions*, Paris, LITEC, 2003, 1317 p.

Other sources are:

Basdevant-Gaudemet B., *Le jeu concordataire dans la France du XIX^e siècle*, Paris, P.U.F., 1988, 289 p.

Basdevant-Gaudemet B./Messner Fr. (eds.), *Les origines historiques du statut des confessions religieuses dans les pays de l'Union européenne*, Paris, PUF, coll. Histoire, 1999.

Basdevant-Gaudemet B., «Droit et religions en France”, *Revue internationale de droit comparé*, 1998, p. 23-55, reproduits dans :*La religion en droit comparé à l'aube du XXI^e siècle*, (ed. Caparros), Bruylant, Bruxelles, 2000, p. 123-164.

Bauberot J., *Histoire de la laïcité française*, Paris, PUF, que sais-je ?, 2000, 128 p.

Bauberot J., *Vers un nouveau pacte laïque*, 1990.

Berlingo S. (ed.), *Code européen, Droit et Religions, T.I, Union européenne ; les pays de la Méditerranée*, Milan, Giuffrè, 2000 (p. 153-273 sur la France).

Boyer A., *Le droit des religions en France*, Paris, P.U.F., 1993, 260 p.

- Durand J.P., in Durand, Echappé, Vernay, Valdrini, Le droit canonique, Paris, Dalloz, 1989, 747 p.
- Jeuffroy B./Tricard F. (eds.), Liberté religieuse et régimes des cultes en droit français, Textes, Pratique administrative, jurisprudence, Paris, cerf, 1996, 1242 p.
- Kerleveo J., L'Église catholique en régime français de séparation, 3 vol. Paris, Desclé, 1962.
- Mayeur J.M., La Séparation des Églises et de l'État, Paris, ed. Ouvrières, 1991, 188 p.
- Messner F. (ed.), Les «sectes” et le droit en France, Paris, PUF, 1999.
- Poulat E., La solution laïque et ses problèmes, Berg international, 1997, 229 p.
- Prélot P.-H., «Chronique de droit français des religions”, dans chaque numéro de la Revue européenne des relations religions États, Leuven, Peeters.
- Robert J./Duffar J., Droits de l'homme et libertés fondamentales, Paris, Montchrestien, 7^e éd., 1999, 855 p.

სახელმწიფო და ეკლესია ირლანდიაში

I. სოციალური ფაქტები

ირლანდიის სახელმწიფოსა და ეკლესიის საკითხების განხილვისას გასათვალისწინებელია ქვეყნისათვის დამახასიათებელი ორი თავისებურება. პირველი მათგანი სტატისტიკისა და სოციოლოგიის სფეროს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ აქ მრავალი სარწმუნოების აღმსარებელია (ასევე მრავალი ათეისტი) ირლანდია მაინც უმეტესად კათოლიკური ქვეყანაა. მოსახლეობის 88%-ზე მეტი კათოლიკედ არის მონათლული²¹⁵ და ამ ადამიანთა დიდი ნაწილი დღემდე ამ სარწმუნოებისა და წესების მიმდევრად რჩება. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა პროტესტანტურ ეკლესიას ეკუთვნის, ნაწილი კი – მცირერიცხოვან ებრაულ, მუსლიმანურ და მართლმადიდებლურ სათემო ჯგუფებს²¹⁶.

მეორე თავისებურება სამართლებრივი ხასიათისაა. ირლანდია დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მსგავსად ზოგადი სამართლის ტრადიციის მატარებელი ქვეყანაა, მაგრამ აქვს თავისი დანერგილი კონსტიტუციაც, რომელიც მოიცავს სასამართლო ზედამხედველობას. ამ თვალსაზრისით, ირლანდია კონტინენტური ევროპის ისეთ სახელმწიფოებს წააგავს, როგორებიცაა გერმანია, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი, თუმცა მათგან განსხვავებით არ გააჩნია რაიმე სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო. ამის ნაცვლად სასამართლო ზედამხედველობა ევალება უმაღლეს სასამართლოს, ხოლო ამ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში – უზენაეს სასამართლოს. ამას ისიც ემატება, რომ პრაქტიკაში დამკვიდრდა საკონსტიტუციო ზედამხედველობის წესით გადაწყვეტილებების მიღება. ამ გარემოებების ერთობლიობამ კონსტიტუციის განკარგულებებსა და ირლანდიაში მოქმედ ზოგად სამართალს შორის “სიმბიოზური” ურთიერთდამოკიდებულება განაპირობა.

215 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, კათოლიკეების საერთო რაოდენობა 3,462,606-ს შეადგენდა: Census 2002: Principal Demographic Results (სტატისტიკის ცენტრალური დეპარტამენტი, დუბლინი, 2003 წ.), გვ.82

216 ირლანდიის ეკლესია – 115,611; პრესვიტერიანელები – 20,582; მეთოდისტები – 10,033; იუდეველები – 1790; მუსლიმანები – 19,147; მართლმადიდებელი ქრისტიანები – 10,437.

II. ისტორიული ფონი

1871 წლამდე ირლანდიის (ანგლიკანური) ეკლესია ამ ქვეყანაში კანონით დაარსებული ეკლესია იყო. შემოსავლის მეათედი ნაწილის ეკლესიისთვის შეწირვის სისტემის შემოღების შედეგად გამოწვეული ცვლილებებით ამ ეკლესიას ნება დართეს, ფინანსური დახმარება მიეღო იმ პირებისგანაც კი, რომლებიც მისი წევრები არ იყვნენ²¹⁷. მასთან არსებული სასამართლო კი იყო ერთადერთი ინსტანცია, რომელსაც ჰქონდა საქორწინო საქმეების განხილვის უფლება²¹⁸. 1829 წლამდე კათოლიკეთა უფლებები იზღუდებოდა. მაგალითად, მათ არ შეეძლოთ მიეღოთ სახელმწიფო თანამდებობა, ხოლო მათ ეკლესიას – სახელმწიფო სახსრები²¹⁹. 1829 წელს “კათოლიკეთა უფლებების შეზღუდვის მოხსნის” აქტით გაუქმდა ძირითადი შეზღუდვები, ხოლო 1869 წლის “ირლანდიის ეკლესიის” აქტით შეიცვალა ირლანდიის ეკლესიის სტატუსი. 1870 წელს “საქორწინო საქმეებსა და (ირლანდიის) საქორწინო-საოჯახო სამართალში შესწორებების შეტანის” აქტით საქორწინო იურისდიქციამ გადაინაცვლა ჩვეულებრივ სასამართლოებში.

1829 წლის “კათოლიკეთა უფლებების შეზღუდვის მოხსნის” აქტით რომის კათოლიკური ეკლესიის რელიგიური ორდენების მიმართ, როგორცაა, მაგ., “იესოს საზოგადოება”, ჯერ კიდევ ძალაში იყო გარკვეული სახის შეზღუდვები. მაგალითად, ასეთ ორდენს არ შეეძლო ირლანდიაში საეკლესიო ნოდების მიღება, ხოლო მისთვის შემონიშნულების გაღება და ჩუქება კანონით აკრძალული იყო. თუმცა ყველა ასეთი შეზღუდვა გაუქმდა ირლანდიის მთავრობის 1920 წლის აქტის მე-5(2) პარაგრაფით²²⁰.

217 იხ. Kevin B Nowlan, “Disestablishment: 1800-1869” in Michael Hurley S.J. (ed.), *Irish Anglicanism 1869-1969* (დუბლინი, 1970 წ.), გვ. 1-22.

218 იხ. R.B. McDowell, “The Irish Courts of Law 1801-1869”, *10 Irish Historical Studies* (1957), გვ. 363-391.

219 მიუხედავად ამისა, წმ. პატრიკის სახელობის კოლეჯი, მეინუთი – ირლანდიის მთავარი სასულიერო სემინარია, დაარსდა 1795 წელს სახელმწიფო ფონდების დახმარებით და ყოველწლიურ სუბსიდიებს იღებდა 1869 წლის “ირლანდიის ეკლესიის” აქტამდე. აგრეთვე იხილეთ Nowlan, (ციტატა), აღნიშნული წყარო, №3.

220 რომელშიც ნათქვამია: “აქტის მიღების დღიდან ირლანდიაში ძალას კარგავს ნებისმიერი ისეთი კანონი, რომლითაც რელიგიური აღმსარებლობის, ან რომელიმე რელიგიური ორდენის, ან მისი მსგავსი ორგანიზაციის წევრობის საფუძველზე ადამიანს შეიძლება მიესაჯოს აღმკვეთი ღონისძიება, მიადგეს ზიანი, ან შეზღუდოს უფლება”. იხილეთ Byrne [1935] I.R. 782.

1921 წლის 6 დეკემბრის ინგლის-ირლანდიის ზავის საფუძველზე დაარსდა თავისუფალი ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გარანტირებული იყო რელიგიის თავისუფლება²²¹, იგი ძალაში შევიდა თავისუფალი ირლანდიის 1922 წლის კონსტიტუციით, რომელშიც ნათქვამი იყო: “ყველა მოქალაქეს გარანტირებული აქვს სინდისის თავისუფლება და რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობისა და წეს-ჩვეულებების აღსრულების უფლება საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის ნორმების დაცვით. კანონით აკრძალულია, პირდაპირ თუ ირიბად, რომელიმე რელიგიას გამოეყოს ფონდები, აეკრძალოს ან შეეზღუდოს წეს-ჩვეულებების აღსრულება, ასევე არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ან შეეზღუდოს უფლებები რწმენისა თუ რელიგიური სტატუსის საფუძველზე. აკრძალულია წინასწარი განსჯის საფუძველზე შეილახოს ბავშვის უფლება, ისწავლოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლაში და ამავე დროს, არ დაესწროს რელიგიის გაკვეთილებს ან მოხდეს რომელიმე რელიგიური კონფესიის მიერ დაარსებული სკოლის დისკრიმინაცია სახელმწიფო სახსრების გამოყოფისას. ასევე არ შეიძლება რომელიმე რელიგიური კონფესიის თუ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ნებისმიერი სახის ქონების დაკავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ქონება ხმარდება რკინიგზებს, განათებას, წყლის, კანალიზაციის თუ სხვა სისტემებსა თუ კომუნალურ ნაგებობებს, ან კომპენსაციის გადახდას”.

1922 წლიდან კონსტიტუციაში შევიდა ბევრი და ხშირად რადიკალური შესწორება, თუმცა ეს ცვლილებები არ შეხებია მე-8 მუხლს. მას შემდეგ, რაც 1936 წელს პრემიერ-მინისტრმა, ბ-მა დე ვალერამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის მიღება, დაიწყო ამისთვის მზადება. ახალი კონსტიტუციის ტექსტის დიდი ნაწილი უბრალოდ მისი წინამორბედის გამეორებაა²²², თუმცა

221 რომლის თანახმადაც, “არც თავისუფალი ირლანდიის და არც ჩრდილოეთი ირლანდიის პარლამენტს უფლება არ აქვს, დაანესოს ისეთი კანონი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაუშვებს რომელიმე რელიგიისთვის ფონდების გამოყოფას, აუკრძალავს ან შეუზღუდავს წეს-ჩვეულებების აღსრულებას, მიანიჭებს უპირატესობას ან შეუზღუდავს უფლებებს რწმენისა თუ რელიგიური სტატუსის საფუძველზე, ან წინასწარი განსჯის საფუძველზე შელახავს რომელიმე ბავშვის უფლებას, ისწავლოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლაში და არ დაესწროს ამ სკოლაში ჩატარებულ რელიგიის კურსს, ან მოახდენს რომელიმე რელიგიური კონფესიის მიერ დაარსებული სკოლის დისკრიმინაციას სახელმწიფო სახსრების გამოყოფისას, ან დაუშვებს რომელიმე რელიგიური კონფესიისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ნებისმიერი სახის ქონების დაკავებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ქონება უნდა მოხმარდეს კომუნალურ მომსახურებას ან კომპენსაციის გადახდას”.

222 იხ. James Casey, *Constitutional Law in Ireland* (მე-3 გამოცემა, დუბლინი, 2000 წ.), გვ. 21-23

ის მუხლები, რომლებიც რელიგიას ეხება, მკვეთრად განსხვავებული იყო. 1922 წლის კონსტიტუციის პრეამბულა აღიარებდა, რომ "...ყველა კანონიერი უფლება ადამიანებს ღმერთისგან ეძლევათ". 1937 წლის კონსტიტუცია კი შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: "ყოვლადწმინდა სამების სახელით, რომლისგანაც მომდინარეობს ადამიანის ყველა უფლება და მათ, საბოლოო ჯამში, მიმართავს ყველა ადამიანი თუ სახელმწიფო, ჩვენ, ირლანდიის ხალხი, ვითვალისწინებთ რა ვალდებულებებს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, წინაშე, რომელიც ჩვენს წინაპრებს საუკუნეების განმავლობაში იფარავდა გაჭირვების უამს...", ხოლო მუხლი 44.1, №2 თავისი პირვანდელი სახით აცხადებდა, რომ

2. სახელმწიფო აღიარებს რომის წმინდა სამოციქულო კათოლიკურ ეკლესიას, როგორც მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის რწმენის გარანტს.
3. სახელმწიფო აგრეთვე აღიარებს ირლანდიის ეკლესიას, ირლანდიის პრესვიტერიანულ ეკლესიას, ირლანდიის მეთოდისტურ ეკლესიას, ირლანდიის "მეგობრების რელიგიურ საზოგადოებას", ებრაულ კონგრეგაციებსა და კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღისათვის ირლანდიაში არსებულ სხვა რელიგიებს"²²³.

დიდი ხნის განმავლობაში "პრივილეგიური მდგომარეობის" ცნება სადავო საკითხი იყო. ერთ-ერთი თვალსაზრისით, ამ ცნებით რომის კათოლიკურ ეკლესიას იურიდიული პრივილეგია ენიჭებოდა, ხოლო, მეორე თვალსაზრისით, ეს ფრანზა უბრალოდ იმ დროისთვის არსებულ რეალურ ვითარებას ასახავდა და მას არანაირი იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონდა²²⁴. საქმეში *In Quinn's Supermarket Ltd. v. Att. Gen*²²⁵ უზენაესმა სასამართლომ მეორე თვალსაზრისს დაუჭირა მხარი. სასამართლოს სახელით სიტყვით გამოვლინდა ჯ. უოლშმა აღნიშნა²²⁶: "ეს დეკლარაცია სხვადასხვა სახელის თუ თუნდაც უსახელო რელიგიური კონფესიების თანაარსებობის ნათელი აღიარებაა. იგი არ აღიარებს არც ერთი რელიგიური კონფესიის უპირატესობას, არ ანიჭებს რომელიმე მათგანს პრივილეგიურ მდგომარეობას, არ ზღუდავს რომელიმე მათგანის უფლებას, არ ამცირებს თითოეულის სტატუსს და არც სახელმწიფოს აძლევს რომელიმე ზემოაღნიშნული ქმედების უფლებას".

223 ამ პრობლემის შედგენის სირთულეებზე, კერძოდ, პიუ XI-ისთვის წარდგენილი ვერსიის შესახებ იხილეთ Dermot Keogh, "The Irish Constitutional Revolution: An Analysis of the Making of the Constitution of Ireland 1937-1987 (დუბლინი, 1987 წ.), გვ. 4-84.

224 იხ. J.M. Kelly, *Fundamental Rights in the Irish Law and Constitution* (დუბლინი, 1967 წ.), გვ. 248

225 [1972] I.R.I.

226 At 21

სულ ცოტა ხანში ელექტორატმა რეფერენდუმის შედეგად მოიწონა 1972 წლის “კონსტიტუციაში მესხეთე შესწორების შეტანის” აქტი, რომლითაც გაუქმდა მე-44.1 მუხლის №1 და №2 პუნქტები.

III. სამართლებრივი წყაროები

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ კანონის ძირითადი საფუძველი კონსტიტუციის 44-ე მუხლია (თანამედროვე შესწორებებით). ის მიუთითებს, რომ:

- (1) სახელმწიფო აღიარებს, რომ რელიგიის თავიანთი ცემის პატივისცემა ყოვლისშემძლე ღმერთისგან მოდის. სახელმწიფო მის სახელს მოწინებით მოეპყრობა და პატივს სცემს რელიგიას.
- (2) 1. ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულია სინდისის თავისუფლება და რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობისა და წეს-ჩვეულებების აღსრულების საშუალება საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის ნორმების დაცვით.
2. სახელმწიფო პირობას იძლევა, რომ არ დააფინანსებს არც ერთ რელიგიურ კონფესიას.
3. სახელმწიფო არ შუბლუდავს არც ერთი პირის იურიდიულ უფლებებს და არ მოახდენს რელიგიური კუთვნილების დისკრიმინაციას რწმენის თუ სტატუსის საფუძველზე.
4. სახელმწიფოს მიერ სკოლებისთვის სახსრების გამოყოფის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ დაუშვებს სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე რელიგიური კონფესიის მიერ დაარსებული სკოლის დისკრიმინაციას სახელმწიფო სახსრების გამოყოფისას ან წინასწარი განსჯის საფუძველზე ბავშვის უფლების შელახვას, ისწავლოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლაში და არ დაესწროს რელიგიის კურსს, რომელიც ამ სკოლაში ისწავლება.
5. ყველა რელიგიურ კონფესიას უფლება აქვს, წარმართოს თავისი საქმეები, ჰქონდეს, შეიძინოს და მართოს უძრავი და მოძრავი ქონება, დააარსოს ამა თუ იმ სახის დანესებულება რელიგიური თუ საქველმოქმედო მიზნით.

6. დაუშვებელია რომელიმე რელიგიური კონფესიისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ნებისმიერი სახის ქონების დაკავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ქონება ხმარდება რეინიგებს, განათებას, წყლის, კანალიზაციის და სხვა სისტემებს თუ კომუნალურ ნაგებობებს ან კომპენსაციის გადახდას.

ამ პრინციპებთან შეუთანხმებელი ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული ღონისძიება თუ კანონმდებლობა არაკონსტიტუციურად ჩაითვლება. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს რაიმე კონსტიტუციური თუ იურიდიული ხასიათის შეზღუდვა პროზელიტიზმზე. თუმცა, ცხადია, 44-ე მუხლი თითქმის არ აყენებს საერო სახელმწიფოს აუცილებლობას. როგორც აღინიშნა, ირლანდიის კონსტიტუცია, საბერძნეთის კონსტიტუციის მსგავსად, იწყება ყოვლადწმინდა სამების ხსენებით.

უმენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ 44-ე მუხლის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს რელიგიის წესების სრული და თავისუფალი დაცვის საშუალება²²⁷. აქედან გამომდინარე, რელიგიური კუთვნილების, რწმენისა და სტატუსის საფუძველზე განმასხვავებელი ნიშნების არსებობა კონსტიტუციას შეესაბამება. ასე რომ, როდესაც რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობა საჭიროებს საზოგადოდ გამოყენებული ნორმებისთვის გამონაკლისის დაშვებას, ასეთი გამონაკლისი სრულიად მისაღებია²²⁸.

სახელმწიფოსა და რომის კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობა არ რეგულირდება რაიმე სახის ხელშეკრულებით²²⁹ და სახელმწიფოს ოფიციალურად არ შეუძლია არანაირი გავლენის მოხდენა, როდესაც ხდება რომელიმე პირის უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნა²³⁰. ირლანდიის კანონმდებლობა

227 ზემონახსენები Quinn's Supermarket Ltd. v. Att. Gen., Mulloy v. Minister for Education [1975] I.R. 88

228 ზემონახსენები Quinn's Supermarket Ltd. v. Att. Gen.

229 იხ. J.H. Whyte, Church and State in Modern Ireland, 1923-1979 (მე-2 გამოცემა, დუბლინი, 1980 წ.), გვ. 15: "ირლანდიის სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის არ დადებულა რაიმე შეთანხმება და, რამდენადაც ცნობილია, ამის შესახებ არც რაიმე წინადადება წამოყენებით".

230 ეპისკოპოსების დანიშვნასთან დაკავშირებით პროფესორი უაიტი წერდა: "სამოქალაქო ხელისუფლებას არ შეუძლია ოფიციალურად მონაწილეობა მიიღოს დანიშვნის პროცედურაში და მიუხედავად მთავარი ხმებისა, ამის საპირისპირო ორიოდ შემთხვევის შესახებ, მე პირადად არ შემხედვრია არც ერთი შემთხვევა, რომ სახელმწიფოს, თუნდაც არაოფიციალურად, საეკლესიო ხელისუფლებისათვის შეეთავაზებინოს რომელიმე კანდიდატურა". თუმცა დოქტორი კიუ ვარაუდობს, რომ 1940 წელს პრემიერ-მინისტრმა, იამონ დე ვალდერამ გარკვეული როლი ითამაშა, დუბლინის არქივისკოპოსად ჯონ ჩარლზ მაქჟეიდი რომ დანიშნულიყო: (ციტატა), აღნიშნული წყარო, № 9, გვ. 61.

არ ითვალისწინებს პირობას სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის რაიმე სახის ხელშეკრულების არსებობისათვის, ისეთს, როგორც, მაგალითად, ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის მე-16(3) მუხლშია ნაგულისხმები.

IV. სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან გამოყოფა

ვინაიდან 1871 წელს ირლანდიის ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, ირლანდიის კანონმდებლობამაც – განათლების სფეროს გარდა – აღიარა სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან გამოყოფის პრინციპი. როგორც ვიცით, კონსტიტუციით აკრძალულია რელიგიის დაფინანსება. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ეს პრინციპი უფრო მრავალმხრივია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. საქმეში “ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამოყოფის კამპანია განათლების მინისტრის წინააღმდეგ”²³¹ აგრეთვე გადაწყდა, აკრძალათ სახელმწიფოს მხრიდან (ა) პარალელური დაფინანსება – ე. ი. ყველა რელიგიისთვის ფინანსური და ეკონომიკური დახმარების გაწევა, და (ბ) რელიგიის დაარსება.

მე-44(2) მუხლის მე-5 პარაგრაფი იცავს ყველა რელიგიური დენომინაციის უფლებას, მართონ თავიანთი საქმეები. “რელიგიური დენომინაციის” ცნება კონსტიტუციაში არსად არაა განმარტებული, ხოლო სასამართლოებს არ ჰქონდათ საშუალება, აეხსნათ ამ ფრაზის მნიშვნელობა. სავარაუდოდ, ეს ფრაზა ეხება ტრადიციულ ქრისტიანულ ეკლესიებს, იუდაიზმს, ისლამს, ინდუიზმს და ა.შ. გაურკვეველია, შეეხება თუ არა იგი ისეთ ორგანიზაციას, როგორიცაა “საინტელოჯის ეკლესია”.

როგორც ჩანს, დენომინაციის უფლება, მართოს თავისი საქმეები, ითვალისწინებს საკუთარი თვითმმართველობის წესების შემუშავებას. ერთი შეხედვით, საეკლესიო კანონების კრებულის შინაარსი ეხება ამ ეკლესიის საქმეებს და არ მოითხოვს სახელმწიფო კანონით არც დადგენილებას და არც რაიმე ადმინისტრაციულ ღონისძიებას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ საეკლესიო მმართველობის წესებში ცვლილებები მოხდა ამ ეკლესიის შიდა კონსტიტუციის დარღვევით, სასამართლოებს, თუ მათ მიმართავენ, თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში შეუძლია ამ ეკლესიების მმართველობის სამართლებრივი ნორმების დადგენა²³².

231 [1998] 5. I. R. 321

232 [1925] I I.R. 90.

საქმეში *O’Callaghan v. O’Sullivan*²³³ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართალი განიხილება როგორც უცხო ქვეყნის სამართალი, რის გამოც მისი ნორმები უნდა დადასტურდეს ექსპერტი-მონუმენტების ჩვენებით. იგივე ეხება ნებისმიერი სხვა ეკლესიის კანონიკურ სამართალს ან მსგავს დებულებებს, როგორც ს. ჯ. კენედიმ თავის სიტყვაში აღნიშნა (რაშიც ო’კონორი და ჯ.ჯ. ფიცჯიბონი დაეთანხმნენ)²³⁴:

“ჩემი აზრით, ამ სასამართლოებისთვის უცხოა ყველა კანონი, გარდა იმ კანონებისა, რომელთა შესასრულებლად და ძალაში მოსაყვანად დაარსდა ეს სასამართლოები *Saorstát Eireann*-ის კონსტიტუციის თანახმად. ანუ, გარდა იმ კანონებისა, რომლებიც ძალაში შევიდა კონსტიტუციის 73-ე მუხლით და *Oireachtas*-ის იმ ნორმატიული აქტებით, კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ რომ მიიღეს. ჩვენ იურიდიულად ვერ ვცნობთ და ვერც მხედველობაში ვერ მივიღებთ სხვა რომელიმე კანონს, თუკი მათი არსებობის ფაქტის დამტკიცება არ მოხდება. ყველა სხვა კანონი *Saorstát*-ის სასამართლო ორგანოებისათვის (*Courts of Justice*) უცხოა. ასე მაგალითად, შოტლანდიის კანონი “უცხოა” დიდი ბრიტანეთის იმ ნაწილისთვის, რომელსაც ინგლისი ჰქვია.

V. რელიგიურ ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსი

თანამედროვე ირლანდიის კანონმდებლობის თანახმად, ყველა ეკლესია და რელიგიური ჯგუფი²³⁵ ერთსა და იმავე მდგომარეობაშია ჩაყენებული. ვინაიდან არც ერთი არ არის კანონით შექმნილი, მათ მოხალისეობრივი ორგანიზაციის

233 At 09.

234 საქმეში *Colquhoun v. Fitzgibbon* [1937] I. R. 555 მოსარჩელემ გაასაჩივრა ირლანდიის ეკლესიის გენერალური სინოდის სასამართლოს უფლება, მის წინააღმდეგ წამოეწყოთ გარკვეული პროცესი. უმაღლესმა სასამართლომ (ჯ. მერედითმა) მის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ ამ საქმეში სინოდის სამართლებრივი უფლებამოსილება ნათელი იყო. ხოლო საქმეში *McGrath and Ó Ruairc v. Trustees of Maynooth College* [1979] I.L.R.M. 166 უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა საკმარისი უფლებამოსილება იმისთვის, რათა განხილულიყო საეკლესიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებები.

235 ამ თემასთან დაკავშირებით იხილეთ პროფესორ უაიტის სამაგისტრო ნაშრომი: *Church and State in Modern Ireland 1923-1979* (მე-2 გამოცემა, დუბლინი, 1980 წ.); აგრეთვე G.W. Hogan, “Law and Religion: Church-State Relations in Ireland from Independence to the Present Day” (1987 w.). xxxv *American Journal of Corporative Law* 47.

სტატუსი აქვთ. პ. სალივანმა საქმეში *State (Colquhoun) v. D'Arcy*²³⁶ აღნიშნა: “როგორც ჯ. ბარიმ განაცხადა საქმეში *O’Keeffe v. Cullen* ეკლესიის სტატუსი, რომელიც კანონით არ არის შექმნილი, “არის მოხალისეობრივი ასოციაციის სტატუსი, რომლის წევრებიც თანხმდებიან და პასუხს აგებენ თავიანთი მხრიდან გარკვეული წესების დაცვაზე და ერთმანეთთან ურთიერთობაში იცავენ გარკვეულ წესებსა და პრინციპებს. ამ წესებსა და პრინციპებს მთლიანად განაპირობებს ამ წევრთა ურთიერთმეთანხმება, რასაც ჩვეულებრივი ქვეყნის სასამართლოები არეგულირებს როგორც ხელშეკრულებას, რომელსაც ვერც ერთი სხვა დამოუკიდებელი იურისდიქცია ვერ დაარეგულირებს”.

ეკლესიებსა და რელიგიურ ჯგუფებს თავისთავად არ ეძლევა იურიდიული პირის სტატუსი. როგორც წესი, ისინი სამართლებრივი თვალსაზრისით განიხილება, როგორც არაკორპორაციული ასოციაციები. “კომპანიების შესახებ” აქტით გათვალისწინებულია მექანიზმი, რომლითაც მათ შეუძლია იურიდიული პირის სტატუსის²³⁷ შექმნა, თუმცა როგორც ჩანს, ამ მექანიზმით ჯერ არავის უსარგებლია. კანონმდებლობის არასრულყოფილების გამო საჯარო სამართალი არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ პროცედურას ეკლესიებისა და რელიგიური ჯგუფების კორპორაციულ ორგანიზაციებად გადაქცევისთვის.

იურიდიული პირის სტატუსის ნაკლოვანების გამო – რაც პრაქტიკულად არ ქმნის არანაირ პრობლემას – როგორც წესი, ცალკეული მრეველისა თუ მთლიანი ეპარქიის (ან მათი ეკვივალენტების) საეკლესიო ქონებაზე უფლებები მინიჭებული აქვთ მინდობილ მესაკუთრეებს. ირლანდიის ეკლესიაში ძალაშია ქონების ცენტრალიზებული მართვა. ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის პროცესში ამ ეკლესიამ ნებაყოფლობით დააარსა ეკლესიის წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელიც შეინახავდა მის ქონებას. ეს ჯგუფი დაარსდა 1870 წლის 15 ოქტომბრის სამეფო ქარტიით²³⁸, რომელმაც ეს ჯგუფი დაუქვემდებარა გენერალური სინოდის წესებსა და მმართველობას. როგორც მოხდა საქმეებში: “ეკლესიის წარმომადგენლობითი ჯგუფი ჰოლის წინააღმდეგ”²³⁹ და “კირვანი ეკლესიის წარმომადგენლობითი ჯგუფის წინააღმდეგ”²⁴⁰, მას შეუძლია საქმე აღძრას და მის წინააღმდეგ შეიძლება საქმე აღძრას მისთვის მინდობილი საეკლესიო ქონების გამო.

236 [1936] I.R. 641 at 650

237 იხ. Patrick Ussher, *Company Law in Ireland* (ლონდონი, 1986 წ.), გვ. 7-8.

238 ამ ქარტიის გამოცემის უფლებამოსილება განაპირობა 1869 წლის “ირლანდიის ეკლესიის” აქტის 22-ე პარაგრაფმა.

239 [1928] I.R.334

240 [1959] I.R.215

ძირითადად, ცალკეული ეკლესიისა თუ რელიგიური ჯგუფის მიერ ქონების შექმნა თუ განკარგვა საკუთარი შიდა წესებითა და პროცედურებით რეგულირდება. სამოქალაქო სამართალი ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების მინდობის შემდეგ მისი განკარგვა მოხდა მინდობილობის წესის დარღვევით²⁴¹. საჯარო სამართალი დაპროექტების მარეგულირებელი კანონმდებლობის სახით ნაავსებს პროცედურას, რომლის დროსაც დაპროექტების მარეგულირებელმა ხელისუფლებამ შეიძლება შეადგინოს დასაცავი შენობათა სია მათი ისტორიული თუ ხუროთმოძღვრული ღირებულების საფუძველზე. ასეთი სახის შენობების სახეცვლილება ან დანგრევა დასაშვებია მხოლოდ ნებართვის საფუძველზე – აქ შეიძლება ეკლესიების მოჭარბებული რაოდენობის პრობლემასთან პარალელის გავლება. გარდა ამისა, 1930-1987 წლებში “სახელმწიფო ძეგლების შესახებ” მიღებული აქტების თანახმად, ძეგლი, რომელიც დაკავშირებულია იმ ადგილის რელიგიის ისტორიასთან, სადაც ის მდებარეობს, “ისტორიულია”. შესაბამისად, იგი შეიძლება შევიდეს ისეთი ძეგლების სიაში, რომელშიც რაიმე ცვლილების შეტანა თუ ნებისმიერი სახის ჩარევა მოითხოვს საჯარო ნაგებობებზე პასუხისმგებელ პირთა ნებართვას²⁴².

ეკლესიებსა და რელიგიურ ჯგუფებს დაპროექტების მარეგულირებელი კანონმდებლობა გარკვეულ შეღავათებს ანიჭებს. კანონის თანახმად²⁴³ ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებებით, “შეღავათიანი დაპროექტება” განიმარტება, როგორც არსებული ნაგებობის დანიშნულების შეცვლა შემდეგი მიზნებისათვის: “ნაგებობის გამოყენება საჯარო ღვთისმსახურებისა თუ რელიგიური სწავლების მიზნით. ასეთი ნაგებობის გამოყენება ნაგებობით მოსარგებლელ რელიგიური ორგანიზაციის მიერ სოციალური თუ დასვენების მიზნით, მონასტრის სახით გამოყენება”²⁴⁴.

თუმცა ნაგებობის გამოყენება ახალი მიზნისთვის არ უნდა მოიცავდეს ნაგებობის ტერიტორიაზე რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოს. აქედან გამომდინარე,

241 ან იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი მოვლენების განვითარების გამო მინდობის განხორციელება შეუძლებელი გახდა და უმაღლეს სასამართლოს მიმართავენ თხოვნით, დართონ ნება, რომ მინდობილი საკუთრება გამოიყენონ მინდობილი საკუთრების მფლობელის სურვილის მაქსიმალური გათვალისწინებით.

242 ამ კანონის დარღვევა ისჯება შეჯამებული წარმოების წესით და ითვალისწინებს ჯარიმას 1000 ფუნტი სტერლინგიდან და/ან ექვსთვიან პატიმრობას, ხოლო საბრალდებლო აქტით გასამართლებისას – ჯარიმას 50,000 ფუნტი სტერლინგიდან და/ან თორმეტ თვემდე პატიმრობას.

243 Planning and Development Act 2000, პარაგრაფი 4 (2)

244 Planning and Development Regulations 2001 (S.I. No 600 of 2001), მუხლი 10

ეკლესიის, სკოლის, საავადმყოფოსა თუ მსგავსი ნაგებობის ახლიდან აშენებას დაარეგულირებს ზოგადი სამართალი და შესაბამისად, ეს მოითხოვს ხელახალი დაგეგმარების ნებართვას.

ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით 2000 წლის “დაგეგმარებისა და დაპროექტების” აქტის IV ნაწილი ითვალისწინებს სხვადასხვა ნაგებობის, მათ შორის ეკლესიების, ინტერიერის ცვლილებებზე კონტროლის დაწესებას, რაც მე-52 მუხლის (2) პარაგრაფშია მითითებული. ამ სიახლემ ზოგიერთი სასულიერო პირის პროტესტი გამოიწვია.

ეკლესიებისა და რელიგიური ჯგუფების ქონების განსაკუთრებულ, თუმცა არააბსოლუტურ დაცვას უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-44.2 მუხლის მე-6 პარაგრაფი. ეს მუხლი მიუთითებს, რომ “ნებისმიერი რელიგიური კონფესიის თუ საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების დაკავება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ქონება ხმარდება საჯარო ნაგებობებზე ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს ან კომპენსაციის გადახდას”.

ამ გარანტიის შინაარსი ჯერ კიდევ არ ყოფილა იურიდიულად განმარტებული²⁴⁵.

VI. ეკლესიის ავტონომია

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის მე-44..2 მუხლის მე-5 პარაგრაფში ნათქვამია: “ნებისმიერ რელიგიურ კონფესიას უფლება აქვს, წარმართოს თავისი საქმეები, ჰქონდეს, შეიძინოს და მართოს უძრავი და მოძრავი ქონება, ასევე დააარსოს ამა თუ იმ სახის დაწესებულება რელიგიური თუ საქველმოქმედო მიზნით”. ამ დებულების აზრი განმარტა უზენაესმა სასამართლომ საქმეში *McGrath and Ó Ruairc v Trustees of Maynooth College*²⁴⁶. მოსარჩელე მხარე – ორი გადამდგარი სასულიერო პირი – ჩამოაშორეს იმ დაწესებულების პედაგოგობას, რომელიც კანონის მიხედვით სემინარია იყო, თუმცა აგრეთვე ფუნქციონირებდა, როგორც საეპისკოპოსო უნივერსიტეტი და როგორც ირლანდიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აღიარებული კოლეჯი (სწორედ ამ უკანასკნელი ფუნქციის გამო მას მთავრობა აფინანსებდა). მათი განთავისუფლების მიზეზი მოსარჩელების მიერ კოლეჯის შიდაგანაწესის ზოგიერთი მუხლის დარღვევა იყო. მოსარჩელეთა

245 იხ. Ronan Keane, *The Law of Local government in the Republic of Ireland* (დუბლინი, 1982 წ.), გვ. 225-226: *Casey*, (ციტატა) No. 8 *supra*, გვ.572-574.

246 [1979] I. L.R.M. 166

მტკიცებით, შიდაგანანესის ამ მუხლებით ხდებოდა საერო მასწავლებლების სასულიერო მასწავლებლებისგან გარჩევა და ამ უკანასკნელთა დისკრიმინაცია, რაც კონსტიტუციის მე-44.2 მუხლის მე-3 პარაგრაფს ეწინააღმდეგებოდა. უზენაესმა სასამართლომ ეს არგუმენტი უარყო. ჯ. ჰენრიმ (გრიფინის, კენისა და ჯ.ჯ. პარკის თანხმობით) განაცხადა (გვ. 187-188): “ამ კოლეჯის არსი, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად გაფართოვდა ის წლების განმავლობაში აკადემიური თუ საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ისაა, რომ იგი მთელი თავისი არსებობის პერიოდში ყოველთვის იყო სახელმწიფო სემინარია, რომელშიც სტუდენტები იღებენ განათლებას და ემზადებიან იმისთვის, რომ გახდნენ რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდლები. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელთა პერსონალის გარკვეულ ნაწილს უნდა შეადგენდნენ არა მხოლოდ უბრალო მღვდლები, არამედ გარკვეული კვალიფიკაციის მქონე მღვდლები, რომლებმაც უნდა დაიცვან სხვადასხვა რელიგიური ტრადიცია და ქვეყნის ნორმა. შიდაგანანესის ნორმების (რომლებიც სწორედ ამ მიზნით შეადგინეს მინდობილმა მესაკუთრეებმა – რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსებმა და რომლის დაცვასაც სახელმწიფო მათ არ ავალდებულებს) ერთ-ერთი მიზანი სწორედ სამღვდლოების წარმომადგენელ მასწავლებელთა პერსონალის მიერ შესაბამისი სტანდარტების დაცვაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემული შიდაგანანესის ნორმებს მოწონებისა და მხარდაჭერის შედეგად სახელმწიფო დაანესებს, ამ ნორმებით გათვალისწინებული სასულიერო და საერო პირებისთვის დადგენილი განსხვავებული იურიდიული შეზღუდვა თუ არაერთგვაროვანი მიდგომა არ აიკრძალება მე-44.2 მუხლის მე-3 პარაგრაფით. ეს ნორმები არ იძლევა სახელმწიფოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ მითითებას, რომლის შესაბამისად მღვდელს ენიჭება უპირატესობა საერო პირზე ან, პირიქით, როგორც მოხდა საქმეში *Molloy v. Minister for Education* [1975] IR 88. პირიქით, ეს ნორმები ითვალისწინებს იმ გარანტიის შესრულებას, რომელიც მოცემულია ამ პარაგრაფის მე-5 ქვეპუნქტში და მოუთხოვს, რომ “ყველა რელიგიურ კონფესიას უფლება აქვს, წარმართოს თავისი საქმეები, ჰქონდეს, შეიძინოს და მართოს უძრავი და მოძრავი ქონება, დაარსოს ამა თუ იმ სახის დანესებულება რელიგიური თუ საქველმოქმედო მიზნით”. ირლანდიის კათოლიკური ეკლესიის მმართველობამ შიდაგანანესის ეს ნორმები მოცემული სემინარიისათვის მიზანშეწონილად ჩათვალა. ამ ნორმების არსებობა ან პირობები სახელმწიფოს არაკონსტიტუციურ სასჯელად არ უნდა ჩაითვალოს”...

როგორც ჩანს, 44(2)-ე მუხლით რელიგიურ კონფესიებს თავისუფლება ეძლევა თავიანთი კონსტიტუციებისა და ამ კონფესიების მიმდევრებისთვის სხვადასხვა წესის შედგენაში. ამით გამოირიცხება სადოქტრინო თუ დისციპლინურ საკითხებში სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობა, რომელიც სინამდვილეში არც არსებობს. ვინაიდან სახელმწიფო არ აფინანსებს არც ერთ ეკლესიას თუ

რელიგიურ ჯგუფს, მას არ ეხება არც ისეთი საეკლესიო საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, ეპარქიების რიცხვი ან ცალკეულ მრევლზე მიმავრებული სასულიერო პირების რაოდენობა.

ყველა ეკლესიას ან რელიგიურ ჯგუფს შეუძლია იმავე უფლებებით, რომლებითაც სარგებლობს კერძო პირთა ჯგუფი, შექმნას ეკონომიკური სანარმო, როგორიცაა, მაგალითად, გამომცემლობა. (ამ მიზნისათვის უნდა დააარსდეს სპეციალური კომპანია). ეკლესიას ან რელიგიურ ჯგუფს არ შეეძლება იურიდიული დაბრკოლება, თუკი იგი მოისურვებს რადიომუშყებლობის ნებართვის მოპოვებას²⁴⁷. აგრეთვე მათ თავისუფლად შეუძლიათ დააარსონ სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებები, როგორებიცაა: საავადმყოფოები²⁴⁸, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები ან საქველმოქმედო ორგანიზაციები²⁴⁹ (ფაქტობრივად საავადმყოფოებსა და ბავშვთა თავშესაფრებს მართავს არა ეკლესიები, როგორც კოლექტიური ორგანიზაციები, არამედ მათ შემადგენლობაში შემავალი ერთეულები, როგორებიცაა, მაგალითად, რელიგიური ორდენები).

VII. ეკლესიები და კულტურა

1. სკოლები

ირლანდიაში დაწყებით და საშუალო განათლებას ძირითადად სხვადასხვა რელიგიური დენომინაცია მართავს – ოლონდ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დაფინანსებით. კონსტიტუციის 42.4-ე მუხლში ნათქვამია: “სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო დაწყებითი განათლება, საჭიროების შემთხვევაში

247 1988 წლის აქტი “რადიოსა და ტელევიზიის შესახებ”, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს, ასეთ დაბრკოლებას არ ქმნის. თუმცა რაც შეეხება ტელევიზიას, იგი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ სახელმწიფო მომსახურებას, იმის გარდა, რასაც ლადიო თელევის [პირიანს (სახელმწიფო კორპორაცია) გეთავაზობს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე ეკლესიას ან ეკლესიათა ჯგუფს ჰქონდეს მასში სახსრების დაბანდების საშუალება.

248 პრაქტიკულად შეუძლებელია კონფესიური საავადმყოფოს დაარსება, თუ მას სახელმწიფო დროულად არ დააფინანსებს. თუმცა სახელმწიფო არ არის ვალდებული, ამისთვის სახსრები გამოყოფს საქმეში (Governors of Barrington’s Hospital v. Minister for Health) [1988] I. R. 56 და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან ეს მოიმოქმედოს, თუ მოცემულ არეში უკვე მოხდა საავადმყოფოს დაფინანსება.

249 არსებობს ბევრი ასეთი ორგანიზაცია, რომელთა შორის ალბათ ყველაზე ცნობილია წმ. ვინსენტ დე პოლის (კათოლიკური) საზოგადოება.

შეავსოს დანაკლისი და დაეხმაროს კერძო და კორპორაციულ საგანმანათლებლო ინიციატივებს, აგრეთვე საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნით ამგვარი მხარდაჭერა გაუწიოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თუმცა მშობლების უფლებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხება რელიგიურ და მორალურ აღზრდას”.

დანებებით განათლებას ძირითადად უზრუნველყოფს “სახელმწიფო სკოლები”, რომლებიც, მათი სახელწოდების მიუხედავად, მთლიანად არ ეკუთვნის, არ იმართება და არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ასეთი სკოლები კონფესიური ხასიათისაა. განათლების დეპარტამენტის მეშვეობით სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას გაუწევს მშობელთა ნებისმიერ ჯგუფს (მნიშვნელობა არ აქვს, ატარებს თუ არა ეს ჯგუფი კონფესიურ ხასიათს), რომელსაც სურს ამგვარი სკოლის დაარსება, იმ შემთხვევაში, თუ ეს ჯგუფი დაასაბუთებს, რომ ამ სკოლაში პოტენციურ მოსწავლეთა რაოდენობა გაამართლებს ასეთი სკოლის დაარსებას²⁵⁰.

ცხადია, უმცირესობის ეკლესიებს დაქვემდებარებული სკოლების არსებობა დამოკიდებულია დემოგრაფიულ ფაქტორებზე. თუკი მშობლებისთვის ხელმიუწვდომელი იქნება ისეთი ადგილობრივი სკოლები, რომლებიც მათ რელიგიურ რწმენას ასახავს, სკოლის უფასო სატრანსპორტო სისტემა შეძლებს მათი შვილების სხვა ახლომდებარე სკოლაში ტარებას. მაგრამ ეს ვარიანტი ვერ დაეხმარება მათ, ვინც ძალზე მცირე რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ, თუკი ალტერნატიული განათლება უზრუნველყოფილია მოცემულ არეალში, მშობელთა ჯგუფის მიერ მოხალისეობრივ საწყისზე დაარსებულ სკოლას ავტომატურად არ მიეცემა სახელმწიფო დაფინანსება: *OSheil & Ors v. Minister for Education*²⁵¹.

ამ მხრივ აღსანიშნავია კონსტიტუციის 44.2-ე მუხლის მე-4 პარაგრაფი, რომელშიც ნათქვამია: “კანონმდებლობამ, რომელიც სახელმწიფო სკოლებისათვის დახმარებას ითვალისწინებს, არ უნდა დაუშვას რომელიმე რელიგიური კონფესიის მიერ დაარსებული სკოლის დისკრიმინაცია, ან რომელიმე ბავშვის უფლების დარღვევა, ისწავლოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლაში და ამავე დროს, არ დაესწროს ამ სკოლაში ჩატარებულ რელიგიის კურსს”.

მრავალი წლის განმავლობაში მოთხოვნა იყო, რომ ოფიციალური რელიგიის კურსი მითითებული ყოფილიყო სახელმწიფო სკოლის ცხრილებში და ხელი

250 იხ. John Coolahan, *Irish Education: History and Structure* (Dublin 1981), მე-10 თავი.

251 [1999] 2 I.R. 321.

შეწყობით იმ მოსწავლეების გარიცხვისათვის, რომელთა მშობლებიც არ ეთანხმებოდნენ ამ კურსს²⁵². მაგრამ ახალ კურიკულუმში, რომელიც 1970 წელს მიიღეს, წერია, რომ რელიგიური მოძღვრება ინტეგრირებული უნდა იქნეს საერო საგნებში და როგორც ჩანს, ეს კურიკულუმი პრაქტიკულად ხორციელდება. მოკლედ, ამ ახალმა ცვლილებებმა უფრო რთული გახადა მოსწავლეებისთვის იმ რელიგიური კურსისთვის თავის არიდება, რომელსაც მათი მშობლები ან მეურვეები არ ეთანხმებოდნენ. ეს საკითხი განიხილა კონსტიტუციაში ცვლილებების შემუშავებელმა ჯგუფმა 1996 წლის მაისის ანგარიშში²⁵³. მათ დაასკვნეს შემდეგი²⁵⁴: “...სასკოლო სისტემის არსებული კონფესიური ხასიათი უთანხმოებაშია 44(2.4)-ე მუხლთან... უნდა შეიცვალოს ან 44(2.4)-ე მუხლი (ეს შესაძლებლობა ჯგუფმა უარყო), ან სკოლის სისტემა, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს 44(2.4)-ე მუხლთან”.

ზემოსხენებული საკითხის გარდა, დაწყებითი განათლების სისტემაში ჩატარებული ღონისძიებების კონსტიტუციურობა ეჭვგარეშეა. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციური მოვალეობაა არა უფასო დაწყებითი განათლების, არამედ უფასო დაწყებითი განათლებისთვის პირობების უზრუნველყოფა, “უმაღლესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ ღონისძიებებს საქმეში *Crowley v. Ireland*²⁵⁵.”

რელიგიის კურსს სახელმწიფო სკოლებში, როგორც წესი, ამ სკოლების მასწავლებლები კითხულობენ. საერო კურსისგან განსხვავებით მათ ზედამხედველობას არ უწევს განათლების დეპარტამენტის ინსპექტორები. ასეთი ზედამხედველობის განევა შესაბამისი ეკლესიის მესვეურების მოვალეობაა.

2. საშუალო სკოლები

საშუალო დონის განათლებას უზრუნველყოფს სხვადასხვა დაწესებულება, რომელთა უმრავლესობას რელიგიური ხასიათი აქვს. უძველესი ჯგუფია საშუალო სკოლები, ისინი შეიქმნა როგორც კერძო მოხალისეობრივი დაწესებულებები, რომლებსაც კავშირი ჰქონდა ეკლესიებთან. მათი უმრავლესობა რომის კათოლიკური ეკლესიის ორდენებს მიეკუთვნება, თუმცა ზოგიერთი პროტესტანტულ ეკლესიებს ექვემდებარება. დუბლინში ებრაული საშუალო

252 Rules for National Schools (სახელმწიფო კანცელარია, დუბლინი, 1965 წ.), ნორმა 69.

253 Report of the Constitution Review Group (სახელმწიფო კანცელარია, დუბლინი, 1965 წ.).

254 იქვე, გვ. 375.

255 [1980] I.R. 102.

სკოლაც არსებობს. ყველა ეს სკოლა სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსებით, რაც მოიცავს ადმინისტრაციის და მოვლა-შენახვის ტექნიკურ ხარჯებს, მასწავლებლების ხელფასებს და ახალი შენობების აშენების ღირებულების²⁵⁶ 80%-ს. ძირითადი დაფინანსების მექანიზმი (ხელფასებისა და შენობების ხარჯების გარდა) რომის კათოლიკური სკოლების შემთხვევაში დოტაციებია, რომლებიც შესაბამისად ჩგათვლილია თითოეულ პირზე. პროტესტანტულ სკოლებში სახელმწიფო უხდის ერთჯერად სუბსიდიებს ეკლესიის საშუალო განათლების კომიტეტს, რომელიც მას ანაწილებს. რამდენადაც ქვეყნის უმეტეს ნაწილში პროტესტანტული სკოლები არ არსებობს, მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ პროტესტანტულ სკოლაში სიარული, სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ სკოლის პანსიონატში იცხოვრონ. საშუალო განათლების კომიტეტს შეუძლია თავისი თანხით უზრუნველყოს საპანსიონატო გრანტები.

თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე ასეთი სკოლები რელიგიურ მოძღვრებებს ასწავლიან და მათი ზედამხედველობა შესაბამისი ეკლესიის მესვეურთა მოვალეობაა. მათ მოეთხოვებათ უზრუნველყონ ისეთი მონყობა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები, რომელთა მშობლები არ იზიარებენ ასეთ ინსტრუქციებს, შეიძლება გაირიცხონ სკოლიდან²⁵⁷. ამგვარი სიტუაციაა უფრო თანამედროვე ტიპის დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და არასრულწლოვან დამნაშავეთა სკოლებში. ეს სკოლები დემოგრაფიული და სხვა სოციალური ტენდენციების შედეგია – რელიგიური სკოლების შემცირების ჩათვლით, რასაც ისინი დახურვამდეც კი მიჰყავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში იყო რაიონები, სადაც დაწყებითი განათლების შემდგომი განათლება საფრთხის წინაშე იდგა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სრულად ფინანსდება – შენობის მიმდინარე ხარჯების და ხელფასის ჩათვლით – სახელმწიფოს მიერ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად კონფესიური ხასიათის სკოლებია. იგივე შეიძლება ითქვას არასრულწლოვან დამნაშავეთა სკოლა-ინტერნატების შესახებაც, რომელთა შემთხვევაში სახელმწიფო აფინანსებს მიმდინარე ხარჯებს და ხელფასებს, ხოლო ადგილობრივი შემონირულებების შემთხვევაში – მშენებლობის ხარჯების უდიდეს ნაწილსაც²⁵⁸.

კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებული არაა, დააფინანსოს მეორე დონის განათლება, თუმცა მას შეუძლია ამის გაკეთება. არსებული ღონისძიებები

256 J. Coolahan, (ციტატა) № 36, მე-12 თავი.

257 იქვე, გვ. 159.

258 იქვე, გვ. 218-220; აგრეთვე იხილეთ Louis O'Flaherty, Management and Control in Irish Education: The Post-Primary Experience (დუბლინი, 1992 წ.), მე-3 თავი.

არ არღვევს 44.2-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ აკრძალვას, რამდენადაც, როგორც ვნახეთ, 44.2-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი სპეციალურად განიხილავს კონფესიური სკოლებისათვის სახელმწიფო დახმარებას. ამრიგად, ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს მხარი დაუჭერა უზენაესმა სასამართლომ საქმეში “სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან გამოყოფის კამპანია განათლების მინისტრის წინააღმდეგ”²⁵⁹.

3. კულტურა

ირლანდიური უნივერსიტეტები ღიაა ნებისმიერი რწმენის თუ არამორწმუნე ადამიანისთვის. პირის რელიგიურ სტატუსს – როგორცაა მღვდელი თუ მონაზონი – არ შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ პიროვნებას უარი ეთქვას სურვილზე, დაესწროს კურსს, ხოლო სტიპენდია და საჯარო სუბსიდია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეკლესიის მსახურებისთვის იმავე პირობებით, რა პირობებითაც ის ნებისმიერი სხვა სტუდენტისთვის არის ხელმისაწვდომი. კონსტიტუციის 44.2-ე მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტია ნებისმიერი სხვა სახის რეგულირების საფუძველია.

თეოლოგია უნივერსიტეტის დონეზე ისწავლება ირლანდიის ეროვნულ უნივერსიტეტში, მეინუთსა²⁶⁰ და დუბლინის უნივერსიტეტში. ამ კურსის გავლა შეუძლია ნებისმიერი კონფესიის, ისევე როგორც არც ერთი კონფესიის მიმდევარ სტუდენტს.

კანონით შექმნილი რამდენიმე ორგანიზაცია განეკუთვნება კულტურის სფეროს, მათ შორისაა “Radio Telefís Éireann Authority”²⁶¹, ირლანდიის სამაუწყებლო

259 [1998] 3 I.R. 321

260 ეს დაწესებულება, რომელიც კანონით დაარსდა, როგორც სემინარია – წმ. პატრიკის კოლეჯი – 1975 წელს, 1997 წლის “უნივერსიტეტების შესახებ” აქტით გახდა ირლანდიის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი. ერთ ტერიტორიაზე არსებობს სემინარია და საეპისკოპოსო უნივერსიტეტი. რაც შეეხება ირლანდიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ცალკეული კოლეჯის მმართველობას, დადგენილებები ამის შესახებ მიღებულია 1997 წლის აქტით.

261 რომელიც დაარსდა 1960 წელს “სამაუწყებლო უფლებების შესახებ” აქტით რადიო და სატელევიზიო მომსახურების მიზნით, მას სახელმწიფო დააფინანსებს. იგი შედგება არანაკლებ შვიდი და არა უმეტეს ცხრა წევრისგან, რომლებსაც ხელისუფლება ხუთი წლის ვადით ნიშნავს.

კომიტეტი²⁶², გამომცემლობის დირექტორთა საბჭოს ცენზორების²⁶³ და ხელოვნების საბჭო²⁶⁴. არც ერთი ეკლესია ან რელიგიური ჯგუფი არ არის გარანტირებულად წარმოდგენილი არც ერთ ასეთ ორგანიზაციაში, თუმცა ალბათ მისაღები იქნებოდა, რომ დაენიშნათ, სულ მცირე, ერთი წევრი მაინც უმცირესობათა ეკლესიიდან.

4. რელიგია მასმედიის საშუალებებში

ირლანდიის ყურნალ-ვაზეთებს ფაქტობრივად რელიგიური საკითხების გაშუქების შეუზღუდავი საშუალება აქვს, ხოლო ეკლესიებსა და რელიგიურ ჯგუფებს შეუძლია თავიანთი მასალების თავისუფლად გამოცემა. შეზღუდვები გათვალისწინებულია მხოლოდ ზოგადი სამართლის ნორმებით, კერძოდ, სასამართლოს უპატივცემულობისა და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისათვის²⁶⁵.

ელექტრონული მედიის საშუალებების მიმართ ოდნავ განსხვავებული მოპყრობაა. თავდაპირველად საჯარო თუ კერძო სამაუწყებლო ორგანიზაციებს ეკრძალებოდა რელიგიური მიზნებისთვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის რეკლამის ეთერში გაშვება²⁶⁶. ეს აკრძალვა უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო საქმეში “მერფი დამოუკიდებელი რადიო და სატელევიზიო კომიტეტის წინააღმდეგ”²⁶⁷. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ იგივე აკრძალვა საქმეში “მერფი ირლანდიის წინააღმდეგ” (2003 წლის 10 ივლისი) კონვენციის შესაბამისად ცნო.

262 თავდაპირველად მას “დამოუკიდებელი რადიო და სატელევიზიო კომიტეტი” ეწოდებოდა და კომერციული მაუწყებლების ლიცენზირება ევალბოდა. მოგვიანებით, 2001 წლის სამაუწყებლო აქტის მიღებასთან ერთად, რომელმაც ამ კომიტეტის როლი გაზარდა, მას “ირლანდიის სამაუწყებლო კომიტეტი” ეწოდა. იგი 7-9 წევრისგან შედგება, რომლებსაც ხელისუფლება ხუთი წლის ვადით ნიშნავს.

263 რომელიც დაარსდა 1946 წლის “გამომცემლობებზე ცენზურის შესახებ” აქტის საფუძველზე. იგი ხუთი წევრისგან შედგება, რომლებსაც იუსტიციის მინისტრი ნიშნავს. აგრეთვე არსებობს სააპელაციო საბჭო, რომლის წევრებიც აგრეთვე იუსტიციის მინისტრის მიერ ინიშნება.

264 დაარსებულია “ხელოვნების შესახებ” აქტით 2003 წელს და შედგება ხელოვნების, სპორტისა და ტურინგის მინისტრის მიერ დანიშნული თავმჯდომარისა და თორმეტი წევრისგან.

265 ამასთან დაკავშირებით იხილეთ Casey (ციტატა), აღნიშნული წყარო, № 8, მე-15 თავი.

266 1960 წლის “სამაუწყებლო უფლებების” აქტი, პარაგრაფი მე-20(4): 1968 “რადიოსა და ტელევიზიის” აქტი, პარაგრაფი მე-10(3)

267 [1999] I I.R. 12

პირველადი შეზღუდვა გარკვეულწილად შეამსუბუქა 2001 წლის “სამაუნწყებლო აქტის” 65-ე პარაგრაფმა: მაგალითად, ამ აქტით დასაშვები გახდა რომელიმე რელიგიური ცერემონიის ან ღონისძიების ჩატარებაზე ინფორმაციის გავრცელება. ამ საკითხის განხილვის შესახებ კავშირგაბმულობის მინისტრმა განაცხადა²⁶⁸.

მეორე მხრივ, სამაუნწყებლო ორგანიზაციებს შეუძლია თავისუფლად გადმოსცეს რელიგიური რიტუალების შესრულება და რელიგიური შინაარსის პროგრამები, რასაც ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ კიდევ.

VIII. შრომის სამართალი და ეკლესიები

როგორც ჩანს, წმინდა ორდენების წარმომადგენლებს თუ სასულიერო პირებს თავიანთ საეკლესიო ხელმძღვანელებთან არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ აკავშირებთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის მტკიცებულება არ არსებობს²⁶⁹. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, ეს პირები არ ექვემდებარებიან შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, რომელიც ეხება მხოლოდ “დაქირავებულ პირებს”, ანუ მათ, ვინც დასაქმებულნი არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე²⁷⁰.

ამის საპირისპიროდ ეკლესიის თუ სხვა რელიგიური ჯგუფის მიერ დაქირავებულ საერო პირებს თავიანთ დამსაქმებლებთან ხელშეკრულებითი ურთიერთობა აკავშირებთ, რაც განაპირობებს იმას, რომ ეს პირები ზემოაღნიშნულ კანონმდებლობას დაექვემდებარებიან. ასე მაგალითად, რელიგიური ორდენის მიერ დაქირავებულ საერო მასწავლებელს იცავს 1977 წლის “სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვნის” აქტი. თუმცა საქმეში “განკარგულება დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შესახებ”²⁷¹ უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონმდებლობა, რომელიც ამა თუ იმ კონფესიის მიერ დაფინანსებულ სკოლას თუ საავადმყოფოს უფლებას აძლევს, სამუშაოზე აყვანისას თუ დათხოვნისას მოახდინოს არჩევანი რელიგიურ ნიადაგზე, კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, თავისი რელიგიური სულისკვეთების ინტერესების დასაცავად ასეთ ორგანიზაციას შეუძლია თანამშრომლისგან მოითხოვოს ქცევის ის ნორმები, რომლებსაც ვერ მოითხოვს ვერც ერთი საერო ორგანიზაცია.

268 The Irish Times, 2003 წლის 3 მარტი

269 Wright v. Day, [1895] 2 I.R. 337. აგრეთვე იხილეთ O’Dea v. O’Brian [1992] I.L.R.M.364.

270 მაგალითად, 1977 წლის აქტი “დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შესახებ” და 1977 წლის აქტი “სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვნის შესახებ”.

271 [1997] 2 I.R. 321.

მიუხედავად პროფკავშირების მიერ განათლების სფეროსა და საავადმყოფოების საქმეებში აქტიური მონაწილეობისა, მათ ეკლესიასთან არანაირი კოლექტიური შეთანხმება, როგორც ასეთი, არ აქვს. ისეთი საკითხი, როგორიცაა სახელმწიფო სახსრებით მოსარგებლე კონფესიური სკოლების მასწავლებლების ხელფასის ოდენობა, რეგულირდება კოლექტიური ხელშეკრულებით, რომლის პირობებზეც თანხმდებიან განათლების დეპარტამენტი და მასწავლებელთა პროფკავშირები. ნებისმიერი სახის საავადმყოფოებში დაქირავებულ პირებზე ვრცელდება ჯანდაცვის დეპარტამენტსა და სხვადასხვა პროფკავშირის შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებები. ხოლო, რაც შეეხება ისეთ კონფესიურ სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა დასაქმების ვადებსა და პირობებს, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებით არ სარგებლობენ, ისინი განისაზღვრება მათ დამსაქმებლებს (ჩვეულებრივ, რელიგიურ ორდენტა) და შესაბამის პროფკავშირს შორის არსებული ხელშეკრულებით.

ეკლესიები და რელიგიური ჯგუფები ვალდებული არიან, თავიანთი სახსრები მოიპოვონ ისეთი საქმიანობისთვის, როგორიცაა რელიგიური აღმსარებლობის შესრულების ადგილების და მღვდლების შენახვა. სახელმწიფო არ ითვალისწინებს ასეთი სახის ხარჯისთვის რაიმე სუბსიდიას თუ შემონიშნულებს. ეს დაუშვებელი იქნებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული რელიგიის დაფინანსების აკრძალვის პრინციპის გამო, როგორც ამას უზენაესი სასამართლო განმარტავს²⁷².

მღვდლებისთვის, მონაზვნებისთვის და ა. შ. გადასახდელ ხელფასებზე, განურჩევლად მათი წყაროსი, ვრცელდება საშემოსავლო გადასახადი (საქმე *Donlan v. K*)²⁷³. მაგრამ ეკლესიის, რელიგიური ორდენტის თუ რელიგიური ჯგუფის შემოსავალი, რომელიც წარმოიშვა ჩუქების ან ანდერძის შედეგად, განიმარტება, როგორც “საქველმოქმედო” და არ იბეგრება. ამ კატეგორიით გათვალისწინებულ საჩუქარზე ან ანდერძით დატოვებულ ქონებაზე მემკვიდრეობის გადასახადი არ ვრცელდება²⁷⁴.

ირლანდიის 1838 წლის “ლარიბებისათვის შელავათების შესახებ” აქტის 63-ე პარაგრაფის თანახმად, საგადასახადო განაკვეთებისგან (ადგილობრივი გადასახადებისთვის) განთავისუფლებულია “... ნებისმიერი ეკლესია, სამრეკლო თუ რელიგიური დანიშნულების მქონე სხვა ნებისმიერი შენობა...”.

272 “ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამოყოფის კამპანია განათლების მინისტრის წინააღმდეგ” (*Campaign to Separate church and State v. Minister for Education*) [1998] 3 I.R.321.

273 [1944] I.R. 470.

274 ქველმოქმედება, კერძოდ კი საქველმოქმედო ტრასტები, საკმაოდ რთული საკითხია. იხილეთ James C. Brady, *Religion and the Law of Charities in Ireland* (ბელფასტი, 1976 წ.).

ცხადია, ეს განმარტება ვრცელდება ყველა რელიგიურ შენობაზე, დაწყებული ანგლიკანური თუ კათოლიკური ტაძრით, დამთავრებული სინაგოგით თუ მეჩეთით. ამ გადასახადებისგან განთავისუფლებულია აგრეთვე საავადმყოფოები²⁷⁵. რაც შეეხება საშუალო სკოლებს, ისინი განსხვავებულ და უფრო რთულ სისტემას ექვემდებარება²⁷⁶.

IX. რელიგია სახელმწიფო დაწესებულებაში

ირლანდიის საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აქ დღის წესრიგში დადგეს სასულიერო პირების მიერ დახმარების განწესის საჭიროება. თუმცა მინდობილი მესაკუთრეობის უფლებების გადაცემის აქტით, რომლითაც იმართება საზოგადოებრივი სკოლები, მმართველი საბჭო ვალდებულია აიყვანოს სასულიერო პირი. ეს პირი არ უნდა იყოს საშტატო მასწავლებელი, მაგრამ უნდა იღებდეს იმავე ოდენობის ანაზღაურებას, როგორსაც ჩვეულებრივი მასწავლებლები იღებენ, ამასთან ერთად, მუშაობდეს სრულ განაკვეთზე და “დანიშნული იყოს შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ”²⁷⁷. ამ დადგენილებათა კონსტიტუციასთან შესაბამისობა უზენაესმა სასამართლომ განიხილა²⁷⁸.

კაპელანებს ნიშნავენ შეიარაღებულ ძალებსა და ციხეებში და უნიშნავენ მთლიანი თუ ნახევარი განაკვეთის ხელფასს, რომლის გადახდასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს. ეს წესი შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ მტკიცებულებად იმის წინააღმდეგ, რომ კონსტიტუციის 44(2.2)-ე მუხლით ნამდვილად დაცულია კონსტიტუციით აღიარებული დაუფინანსებლობის პრინციპი. ეს მტკიცებულება ემყარება შემდეგ მოსაზრებას: არც ერთი სხვა წესი არ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურე პერსონალს თუ პატიმრებს მიეცემათ თავისუფალი აღმსარებლობის შესაძლებლობა – რაც სწორედ კონსტიტუციის 44-ე მუხლის მთავარი ამოცანაა.

275 63-ე პარაგრაფის დეტალური განხილვისთვის იხილეთ Keane (ციტატა), აღნიშნული წყარო, №31, გვ. 289.

276 1978 წლის “ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ” აქტის ფინანსური დებულებების საფუძველზე.

277 რაც ასეა განმარტებული: “რომის კათოლიკური ეკლესიისა და ირლანდიის ეკლესიის საეკლესიო მსაჯული და ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ერთი ან რამდენიმე პირი, რომლებიც მოცემული ეკლესიის თუ აღმსარებლობის ნორმების თანახმად დროებით ასრულებენ ამავე ეკლესიისა თუ აღმსარებლობის სხვა წევრებისთვის რელიგიურ ზემდგომთა ფუნქციებს და ცხოვრობენ იქ, სადაც ეკლესია მდებარეობს”.

278 Campaign to Separate church and State v. Minister for Education [1998] 3 I.R.321.

X. სისხლის სამართალი და რელიგია

კონსტიტუციის მე-40.6.1 მუხლში, რომელიც იცავს სიტყვის თავისუფლებას, ნათქვამია: “მკრეხელობითი შინაარსის გამოცემა თუ გამოთქმა არის სამართალდარღვევა, რომელიც კანონით ისჯება”. თუმცა საქმეში *Corway v. Independent Newspapers (Ireland) Ltd*²⁷⁹ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ მკრეხელობის ფაქტზე აღძრული საქმეების წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელია. მოსარჩელე ირწმუნებოდა, რომ მოპასუხე კომპანიამ გამოაქვეყნა მკრეხელოური და ცილისმწამებლოური სტატია, რითაც დაარღვია 1961 წლის “ცილისწამების წინააღმდეგ” აქტის მე-13(1) პარაგრაფი. ამ აქტის მე-8 პარაგრაფის საფუძველზე მოსარჩელე უმაღლეს სასამართლოს ნებართვას თხოვდა, საქმე აღედრა კომპანიის წინააღმდეგ. უმაღლესმა სასამართლომ მოსარჩელეს ამ თხოვნაზე უარი უთხრა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ აპელაციისას ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება. ჯ. ბარინგტონმა უზენაესი სასამართლოს სახელით განაცხადა, რომ არ არსებობს მკრეხელობის საკონსტიტუციო თუ იურიდიული განმარტება. ზოგადი სამართლის მიერ შემოთავაზებული ამ სიტყვის განმარტება, რომელიც ჯერ კიდევ ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამოყოფამდე არსებობდა, თანამედროვე ირლანდიაში აღარ გამოიყენებოდა. ამგვარად, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რას ითვალისწინებდა მკრეხელობა, რის გამოც სასამართლოს არ შეეძლო პროცესის დაწყება მოპასუხე მხარის წინააღმდეგ²⁸⁰.

1989 წლის “სიძულვილისკენ მონოდების აკრძალვის” აქტით, სამართალდარღვევად ითვლება ისეთი მასალის გამოქვეყნება, გავრცელება ან ჩვენება, რომელიც მიიჩნევა “მუქარის შემცველად, დამამცირებლად და შეურაცხყოფლად” და აშკარად თუ სავარაუდოდ მიზნად ისახავს სიძულვილის აღძვრას. იგივე ითქმის მასალაზე, რომელიც აშკარად ან სავარაუდოდ მიზნად ისახავს რელიგიური ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის მიმართ სიძულვილის გაღვივებას.

279 [1999] 4 I.R. 88.

280 იხ. James Casey, “Church and State in Ireland in 1999”, *European Journal for Church and State Research*, მე-7 ტომი (2000 წ.), გვ. 93-95

XI. სამღვდელმთავრის სამართლებრივი სტატუსი

ვერანაირი კანონმდებლობა თუ ადმინისტრაციული შეთანხმება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მღვდლებისა თუ სხვა სასულიერო პირების დისკრიმინაცია, საბოლოოდ ვერ უფლებებელყოფს კონსტიტუციის მიერ გარანტირებული უფლებების რეალიზაციის მოთხოვნებს. ამას ადასტურებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში “მელოი განათლების მინისტრის წინააღმდეგ”²⁸¹. ამ საქმეში მოსარჩელე მხარემ გაასაჩივრა მინისტრის მიერ მიღებული ის დადგენილებები, რომლებიც ეხებოდა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში პედაგოგიური საქმიანობის პერიოდს. ამ დადგენილებების თანახმად, მხოლოდ საერო მასწავლებლებს შეეძლოთ ამგვარი სამუშაოს შესრულების შემდეგ ირლანდიაში დაბრუნებისას მიეღოთ გაზრდილი ხელფასი და პენსია. მამა მელოი, რომელიც ყველა დანარჩენი კრიტერიუმით სრულიად შეესაბამებოდა ამ წესს, ამტკიცებდა, რომ რელიგიის მოღვაწეთა ამ პროგრამიდან ამოღებით ირლანდია კონსტიტუციის 44.2-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი. უზენაესმა სასამართლომ მის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ ამ წესით, რომელიც ითვალისწინებდა საერო პირისთვის უფრო დიდი ფინანსური გასამრჯელოს მიღების საშუალებას იმავე სამუშაოსთვის, რომელსაც სასულიერო პირი ასრულებდა, ხდებოდა ადამიანების დისკრიმინაცია რელიგიური სტატუსის მიხედვით.

მღვდლებს, მონაზვნებსა და სხვა სასულიერო პირებს უფლება აქვთ, კენჭი იყარონ და თუ აირჩევენ, დაიკავონ ადგილი Oireachtas-ის ნებისმიერ პალატაში – თუმცა ჯერჯერობით ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ირლანდიის პარლამენტის ქვედა პალატაში (Dáil Éireann²⁸²) კენჭისყრის ან წევრობის უფლების ჩამორთმევა 1992 წლის “საარჩევნო აქტის” 41-ე პარაგრაფის საგანია, იგი არ აკეთებს აქცენტს რაიმე რელიგიურ სტატუსზე.

ზემოაღნიშნულ საქმეში Mulloy v. Minister for Education უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიის მსახურთა საერო პირებისგან დიფერენციაცია დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ამას საჭიროებს რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის გარანტიის უზრუნველყოფა. საგარაუდოდ, ამის შედეგად

281 [1975] I.R.88

282 რაც აგრეთვე ირლანდიის პარლამენტის ზედა პალატაზე (Seanad Éireann) ვრცელდება, რამდენადაც კონსტიტუციის 18.2-ე მუხლში მითითებულია: “ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს გახდეს პარლამენტის ზედა პალატის წევრი, მანამდე უფლებამოსილი უნდა იყოს პარლამენტის ქვედა პალატის (Dáil Éireann) წევრობაზე”.

ძალაში შეეცა 1976 წლის “ნაფიც მსაჯულთა შესახებ” აქტი, რომელიც თხოვნის საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა მოვალეობების შესრულებისგან გაათავისუფლებს “წმინდა ორდენში განწევრიანებულ პირს, ნებისმიერი რელიგიური კონფესიის თუ გაერთიანების წინამძღვარს, მონასტერში ან რელიგიურ თემში მცხოვრებ ამა თუ იმ რელიგიური ორდენის ხელდასხმულ წევრს”. როგორც ჩანს, აგრეთვე დაამტკიცებენ იმ იურიდიულ დებულებებს, რომლებიც აღიარებს მღვდლების პრივილეგიას მტკიცებულებით სამართალში²⁸³.

ვინაიდან ირლანდიაში არასდროს ყოფილა სავალდებულო სამხედრო სამსახური, მისგან რელიგიურ მოსამსახურეთა განთავისუფლების საკითხიც არასდროს დამდგარა.

XII. საქონინო და საოჯახო სამართალი

სამოქალაქო ქორწინება, რომელიც ირლანდიაში 1844 წელს დამკვიდრდა²⁸⁴, სავალდებულო არ არის. ქორწინებების უმრავლესობა იმართება რელიგიური წესების დაცვით და გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში მთელი რიგი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ მათ კანონიერი ძალა ენიჭება. არ არის სავალდებულო, რომ ამ პირობებს შესაბამისი ეკლესიის შიდაგანაწესი კარნახობდეს. ასე მაგალითად, კათოლიკური ქორწინების სამოქალაქო სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული იმ საეკლესიო კანონზე, რომელიც მოითხოვს ქორწინებას მეჯვარეთა თანდასწრებით²⁸⁵. ნებისმიერი სახის ქორწინება – სამოქალაქო თუ რელიგიური – უნდა დარეგისტრირდეს, რაიმე მიზეზით დაურეგისტრირებულ ქორწინებას სამართლებრივი ძალა არ აქვს²⁸⁶.

როგორც ჩანს, რომის კათოლიკური ეკლესია ერთადერთი ეკლესიაა ირლანდიაში, რომლის სასამართლო სისტემას გააჩნია საქონინო საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება. არც ერთ ასეთ სასამართლო გადაწყვეტილებას არ აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ძალა. სახელმწიფომ სასამართლო ხელისუფლებით

283 როგორცაა კონფიდენციალურ ვითარებაში მოპოვებული ინფორმაციის შესახებ ჩვენების იძულებითი მიცემისგან განთავისუფლება – Cook v. Carroll [1945] I.R. 515 E.R. v. J.R. [1981] I.L.R.M. 125, ორივე გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესმა სასამართლომ.

284 (ირლანდიის) 1844 წლის აქტი “ქორწინებების შესახებ”.

285 იხ. James Casey, “Religious Marriage and its Civil Effectiveness in Ireland” ვეროპაში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის, ქორწინებისა და რელიგიის საკითხებისადმი მიძღვნილ ვეროპის კონსორციუმში (მილანი, 1993 წ.), გვ. 112-115.

286 იქვე, 116

აღჭურვა მხოლოდ კონსტიტუციის საფუძველზე დაარსებული სასამართლოები²⁸⁷. ამ განკარგულებების აღიარებას, მაგალითად, რეგისტრაციის საფუძველზე, არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს. ნებისმიერი ასეთი კანონის კონსტიტუციასთან, განსაკუთრებით კი 44.2-ე მუხლის მე-3 პარაგრაფთან შესაბამისობა ფრიად საეჭვოა.

დღემდე არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, რომ ანულირების, იურიდიული განცალკევების თუ გაყრის შესახებ მიღებულ სამოქალაქო განკარგულებაზე გავლენა მოეხდინოს რომელიმე რელიგიურ ფაქტორს. რომელიმე რელიგიური კონფესიის მიერ დადგენილი ქორწინების ცერემონიის რელიგიური წესის დარღვევის გამო ჯერჯერობით არ გაუქმებულა არც ერთი ქორწინება, რომელსაც კანონიერად ცნობს ზოგადი სამართალი ან სტატუსი. თუმცა ისეთი შემთხვევა, როდესაც ირღვევა ბავშვების რომელიმე რელიგიის პრინციპებით გამზრდის წინასწარი შეთანხმება, შეიძლება გახდეს იურიდიული განცალკევებისთვის სარჩელის შეტანის საფუძველი. 1989 წლის “იურიდიული განცალკევებისა და საოჯახო სასამართლო რეფორმის” აქტის სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი საფუძველი გახდა ის, რომ “...მოპასუხის საქციელის გამო მოსარჩელის მასთან ერთად ცხოვრება აღარ იყო მიზანშეწონილი”.

ირლანდიის კანონით, ბავშვის რელიგიური აღზრდა მშობლების ურთიერთ-შეთანხმების საკითხია. ასეთი შეთანხმება, აშკარა თუ ნაგულისხმები, ორივე მხარეს ავალდებულებს და არც ერთ მხარეს არ შეუძლია მისი ცალმხრივად შეწყვეტა²⁸⁸.

XIII. რელიგიური მნიშვნელობის ადგილები

სულ ცოტა ხნის წინ უმაღლესმა სასამართლომ საქმეში Tara Prospecting Ltd. v. Minister for Energy²⁸⁹ დაადგინა, რომ რელიგიურ ფაქტორებს შეუძლია გავლენა მოახდინოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხების ადმინისტრაციულ რეგულირებაზე. ამ საქმეში მოსარჩელე კომპანია რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლევას მაიოს საგრაფოში. ერთ-ერთი ადგილი, სადაც ეს კვლევა წარმოებდა, იყო იმ მთის ნაწილი, რომელიც, Croagh Patrick-ის სახელითაა ცნობილი. ეს კვლევა წარმოებდა საკვლევე ლიცენზიების საფუძველზე, რომელიც მოსარჩელემ

287 იხ. James Casey, (ციტატა), აღნიშნული წყარო, №8, გვ. 194

288 Tilson [1951] I.R. I: May [1959] I.R. 74

289 [1993] I.L.R.M. 771

კანონით მიიღო. გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს კომპანია, რომელსაც იმ დროისთვის კვლევით სამუშაოებში დახარჯული ჰქონდა დაახლოებით 1.8 მილიონი ფუნტი სტერლინგი, შეუდგა ოქროს საბადოების დამუშავებას. ამ ფაქტმა საზოგადოების ყურადღება და შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან ეს მთა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ასოცირდებოდა ირლანდიის მფარველთან – წმ. პატრიკთან და დიდი ხნის განმავლობაში იზიდავდა როგორც ცალკეულ პილიგრიმებს, ისე პილიგრიმების ჯგუფებს. 1990 წლის მაისში მოპასუხე მინისტრმა კომპანიას უარი უთხრა Croagh Patrick-ზე კვლევის სანარმოებლად ლიცენზიის განახლებაზე. კომპანიას სასამართლოში არგუმენტად მოჰყავდა ის, რომ ეს გადაწყვეტილება უკანონო იყო, ვინაიდან იგი ამკარად ეფუძნებოდა რელიგიურ, კულტურულ და მემკვიდრეობის ინტერესებს. იგი ირწმუნებოდა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის პირობებში მინისტრს არ ჰქონდა უფლება, მიეღო გადაწყვეტილება ამ ფაქტორებზე დაყრდნობით.

ჯ. კოსტელომ უარყო მოსარჩელე კომპანიის პრეტენზია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაბამისი აქტის თანახმად, მინისტრს უფლება ჰქონდა, “... საჯარო ინტერესი” დაეცვა. ეს ცნება საკმარისი იყო იმისთვის, რომ მინისტრს თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა, ჩაითვლებოდა თუ არა კომპანიის მიერ მოთხოვნილი საქმიანობა ბევრი ადამიანის რელიგიისთვის საზიანოდ. როგორც სასამართლო განაჩენში ითქვა²⁹⁰, “თავისი მოვალეობების შესრულებისას მინისტრი უნდა ზრუნავდეს კონსტიტუციის დაცვაზე. მისი პრეამბულა ნათლად მიუთითებს, რომ ირლანდიელები რელიგიური ერია, ხოლო მის პირველ მუხლში ნათქვამია – ირლანდიელი ერი თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას წარმართავს თავისი სულიკვეთებისა და ტრადიციებიდან გამომდინარე. თუკი მინისტრს თავისი კანონიერი უფლებამოსილების შესრულებისას მოეთხოვება საჯარო ინტერესებზე ზრუნვა, მას შეუძლია მხედველობაში მიიღოს ის, თუ რას ამბობს კონსტიტუცია ირლანდიელი ერის და ირლანდიელი ხალხის შესახებ. აქედან გამომდინარე, ისეთი საქმიანობის აღკვეთა, რომელსაც იგი ირლანდიის საზოგადოების დიდი ნაწილისთვის რელიგიურად საზიანოდ მიიჩნევს, არ ჩაითვლება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებად. მაშასადამე, უნდა განვაცხადო, რომ მინისტრის გადაწყვეტილება არ იყო მისი უფლებამოსილების გადაჭარბება”.

290 At 781

XIV. პიბლიოგრაფია

James Casey, *Constitutional Law in Ireland*, 3rd ed., Dublin 2000, Chapter 19.

Desmond Clarke, *Church and State: Essays in Political Philosophy*, Cork 1985.

Michael Forde, *Constitutional Law of Ireland*, Cork/Dublin 1987, Chapter XIX.

G.W. Hogan, «Law and Religion: Church-State Relations in Ireland from Independence to the Present Day», 1987, XXXV *American Journal of Comparative Law* 47-96.

J.M. Kelly, *The Irish Constitution*, 3rd ed. By G. Hogan and G. Whyte, Dublin 1994, p. 1092-1116.

G. Whyte, «Education and the Constitution», in: Dermot A. Lane (ed.), *Religion, Education and the Constitution* Dublin 1992, p. 84-117.

J.H. Whyte, *Church and State in Modern Ireland 1923-1979*, Dublin 1980.

სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში

I. სოციალური ფაქტები

იტალია უმეტესწილად კათოლიკური ქვეყანაა, თუმცა ძნელია მიახლოებითაც კი დასახელდეს იმ იტალიელთა რაოდენობა, რომლებიც კათოლიკურ რწმენას აღიარებენ. არსებობს ამ სტატისტიკის სარწმუნოების პრობლემა, რადგან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები საგრძობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. სახელმწიფო სკოლების მოსწავლეების 90%-ზე მეტი ესწრება მეცადინეობებს კათოლიკური რელიგიური განათლების კლასებში, მაშინ, როდესაც გადასახადების გადამხდელთა 40%-ზე ნაკლები უხდის ეკლესიებს თავისი საშემოსავლო გადასახადის (imposta sulle persone fisiche, IRPEF) იმ ნაწილს, რომელიც გათვალისწინებულია რელიგიური კონფესიებისთვის ან სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტებისთვის. საეკლესიო ქორწინებათა 70% კათოლიკური რიტუალის დაცვით ტარდება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური რწმენის მქონე მოქალაქეები პროცენტულად საკმაოდ ბევრია, მათგან მხოლოდ 30%-ზე ნაკლები იღებს რეგულარულ მონაწილეობას საკვირაო მესაში.

რა სიზუსტისაც უნდა იყოს იტალიელების რელიგიური რწმენის ეს სტატისტიკური მონაცემები, ფაქტია, ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებზე კათოლიკური ეკლესიის გავლენა საკმაოდ დიდია, რაც იმითაა განპირობებული, რომ პაპის რწმენითაა იტალიაში მდებარეობს. რაც შეეხება სხვა კონფესიებს, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია მუსლიმანები, ვიდრე იელოვას მონაწილეები. ამის მიზეზია ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნებიდან ემიგრანტთა მასობრივი შესვლა იტალიაში. მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი ხნის ისტორია აქვთ, რაოდენობრივად თვალსაზრისით ებრაელები და ვალდენზიელები ნაკლები არიან. ახალი რელიგიური მიმდინარეობების (შეუსაბამო ტერმინი, რომელიც ჩვეულებრივი გახდა) გავრცელება კი ისეთივეა, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

II. ისტორიული მონაცემები

იტალიის გაერთიანებამ (1860–70წწ.) სერიოზული კრიზისი გამოიწვია კათოლიკური ეკლესიის და ახალი სახელმწიფოს ურთიერთობაში. კავორის ლიბერალურმა მთავრობამ და მისმა მემკვიდრეებმა დაიწყეს ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სეკულარიზაციის (ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება) პროცესი, მაგალითად, შემოიღეს სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება 1861 წელს, კათოლიკური რელიგიის სწავლება შეზღუდეს სახელმწიფო სკოლებში 1877 წელს, რელიგიის დასაცავად განახორციელეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა 1889 წელს, დაანესეს სახელმწიფო კონტროლი საქველმოქმედო და სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტებზე 1890 წელს. ეს ცვლილებები გააპროტესტა საეკლესიო იერარქიამ, რომელიც შემფოთებული იყო ეკლესიის ეკონომიკური ძალაუფლების შემცირებისკენ მიმართული ზომებით. განსაკუთრებით 1866–1867 წელს ეს ცვლილებები აღინიშნა რამდენიმე საეკლესიო ერთეულის გაუქმებითა და მათი ქონების კონფისკაციით.

იტალიის გაერთიანება დასრულდა 1870 წლის სექტემბერში რომის შემოერთებითა და პაპების საერო ძალაუფლების გაუქმებით. ამან განსაკუთრებული ბიძგი მისცა იმ ანტაგონისტური განწყობის გაღვივებას, რომელსაც ბევრი კათოლიკე განიცდიდა იტალიის სამეფოს მიმართ, რადგან ამ უკანასკნელს ადანაშაულებდნენ, რომ იგი შეეცადა მიესაკუთრებინა სამღვდლოებისა და ეკლესიის ქონება და მოესპო მათთვის დარჩენილი თავისუფლება. იტალიის მთავრობის უმეტესწილად ზომიერი პოლიტიკის შედეგად, განსაკუთრებით კი 1871 წელს გარანტიების შესახებ კანონის გამოცემის შემდგომ (*legge delle Guarentigie*), დაძაბულობა თანდათანობით შემცირდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა პაპის ლეო XIII-ის (1878-1903) და ჯიოვანი ჯიოლიტის პერიოდში, ეს უკანასკნელი იტალიის პოლიტიკას წარმართავდა მეოცე საუკუნის პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში. თუმცა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ აღდგენას და კონკრეტული შედეგების მიღწევას. ომის შემდეგ, 1922 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, ხელისუფლების სათავეში მყოფი ფაშისტური პარტია კათოლიკური ეკლესიის მიმართ შემრიგებლურ პოლიტიკას ატარებდა, რასაც 1929 წელს ლათერანის ხელშეკრულებზე (*Lateran Treaties*) ხელმოწერა მოჰყვა. ამის შედეგად გადაწყდა “რომთან დაკავშირებული საკითხი” (კონფლიქტი პაპსა და იტალიის სახელმწიფოს შორის რომის სუვერენიტეტის თაობაზე) ვატიკანის სახელმწიფოს შექმნით. ხელშეკრულებების მეშვეობით აღდგა ეკლესიის ის არაერთი პრივილეგია საქორწინო, ეკონომიკურ საკითხებსა და სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლების სფეროში, რომლებიც დაკარგა ლიბერალური პოლიტიკის პერიოდში.

1948 წელს რესპუბლიკის კონსტიტუციის გამოქვეყნებამ საფუძველი შექმნა ლათერანის კონკორდატის იმ დებულებების გადასინჯვისთვის, რომლებიც მოცემული იყო კონსტიტუციაში და რელიგიურ საკითხებში ყველაზე ნაკლებად შეესაბამებოდა თავისუფლების და თანასწორობის პრინციპებს. თუმცა ეროვნული და საერთაშორისო მიზეზების გამო იტალიური საეკლესიო სამართლის რეფორმა ვერ განხორციელდა 1980-იან წლებამდე. აღსანიშნავია, რომ სეკულარიზაციის მასშტაბური პროცესის შემდეგ (კანონმდებლობის სფეროში მისი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი (1970წ.) განქორწინების შემოღება და აბორტების დეკანონება (1978წ.) გახლდათ) მნიშვნელოვნად შეიცვალა იტალიელი საზოგადოება.

III. სამართლებრივი წყაროები

იტალიის საეკლესიო კანონმდებლობის ფუნდამენტური დებულებები კონსტიტუციაშია ასახული, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს რელიგიურ საკითხებში პიროვნებების თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, სახელწიფოსა და რელიგიურ კონფესიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

კონსტიტუციის მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ “ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი რწმენა ყველა შესაძლო ფორმით: ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, ხელი შეუწყოს მას და განახორციელოს აღმსარებლობა საჯაროდ ან განმარტოებით იმ პირობით, რომ ეს რიტუალი არ შეურაცხყოფს საზოგადოებაში მიღებულ წესებს”. მე-3(1) მუხლი თავის მხრივ ადასტურებს, რომ “ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი სოციალური ღირსება და ისინი თანასწორი არიან კანონის წინაშე, მიუხედავად თავიანთი სქესის, რასის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების ან პირადი, ან სოციალური მდგომარეობისა”.

როგორც ითქვა, იტალიის საეკლესიო კანონმდებლობის სისტემა ორი ნაწილისგან შედგება. ერთი მხრივ, იგი იძლევა რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის გარანტიას (მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩათვლით): ტერმინი “რელიგიის” უპირატესი განმარტება მხარს უჭერს მე-3 და მე-19 მუხლებში არსებული გარანტიების განვრცობას ათეისტებზე ან აგნოსტიკური შეხედულების მქონე პირებზე. იტალიის კანონმდებლობა, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის პიროვნული უფლებებიდან გამომდინარე, შესაბამისობაშია ამ სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების ძირითად დებულებებთან და სხვა პრინციპებთან, რომელთაც დასავლეთის სხვა ქვეყნების კონსტიტუციათა უმრავლესობა შეიცავს.

რელიგიური თავისუფლების მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას ხელი შეუწყო სამხედრო სამსახურის თაობაზე სპეციალური წესების შემოღებამ, ისინი ეხებოდა ამ სამსახურზე უარის თქმას რელიგიური ან სხვა მოსაზრებებით (1972) და წესებს სამედიცინო პერსონალის მონაწილეობაზე აბორტების გაკეთებაში (1978). თუმცა ბევრი სხვა პრობლემა ჯერ კიდევ რჩება გადაუჭრელი. ამასთან მიმართებით ძირითადი პრობლემაა იმ რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც იტალიაში შედარებით მცირე ხნის წინ გაჩნდა. შეიძლება გავიხსენოთ განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც ეხება სამედიცინო ჩარევებზე უარის თქმას (მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს უარის თქმას გარკვეული სახის სამედიცინო მომსახურებაზე, თუკი იგი არ არის სავალდებულო კანონის შესაბამისად. თუმცა აქ დაცული უნდა იყოს პირობა, რომ მსგავსი უარის თქმა, მაგალითად უარი სისხლის გადასხმაზე, სახიფათო არ არის პიროვნების სიცოცხლისათვის), ასევე რელიგიური დღესასწაულების დროს მუშაობაზე უარის თქმას (ეს უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ კონფესიების მიმდევრებს, რომლებმაც იტალიის სახელმწიფოსთან ამის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. სხვები, მუსლიმანების ჩათვლით, არ სარგებლობენ ამგვარი უფლებით).

ცალკეული პირების უფლებებთან დაკავშირებულ დებულებებთან ერთად არსებობს რამდენიმე დებულება, რომლებიც კონფესიების სამართლებრივ მდგომარეობას ეხება. მე-8(1) მუხლი ადასტურებს, რომ “ყველა კონფესია თანაბარია კანონის წინაშე”. ეს მუხლი მოიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება უმცირესობაში მყოფ კონფესიებს: “არაკათოლიკურ კონფესიებს აქვს თვითორგანიზების უფლება საკუთარი წესდების შესაბამისად, თუკი ამის გამო ისინი არ ეწინააღმდეგება იტალიის კანონმდებლობას. მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან შესაბამის წარმომადგენლებთან შეთანხმების საფუძველზე იმართება”. მე-7 მუხლის შესაბამისად სპეციალური სასამართლო დადგენილება კათოლიკურ ეკლესიას ეხება: “სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია, თითოეული თავისი წესის შესაბამისად, დამოუკიდებელი და სუვერენულია. მათი ურთიერთობა ლათერანის ხელშეკრულებებით რეგულირდება. ამ ხელშეკრულებებში ორივე მხარის მიერ შეთანხმებული შესწორებების შეტანა აუცილებელი არაა, თუ ისინი საკონსტიტუციო შესწორებებითაა მიღებული/გათვალისწინებული.

და ბოლოს, მე-20 მუხლი, რომელიც აგრეთვე ყველა დენომინაციას ეხება, ადგენს, რომ “რომელიმე გაერთიანების ან ინსტიტუტის ღვთისმსახურება, საეკლესიო ხასიათი ან მიზანი შეიძლება არ შეესაბამებოდეს იმ საკანონმდებლო შეზღუდვებს ან საგადასახადო ვალდებულებებს, რომლებიც დაწესებულია მისი დაფუძნების, სამართლებრივი შესაძლებლობების ან საქმიანობის ნებისმიერ ფორმაზე”.

1984 წელს მე-7 მუხლის შესაბამისად სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის გაფორმდა ვილა მადამას ხელშეკრულება (*Accordo di Villa Madama*), რომელმაც შეცვალა 1929 წლის ლათერანის კონკორდატი. ამ ხელშეკრულებას მოჰყვა არაერთი სპეციალური ხელშეკრულება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი უკავშირდებოდა საეკლესიო ორგანიზაციების რეგულირებას და ქონებას (1984), კათოლიკური რელიგიის სწავლებას სახელმწიფო სკოლებში (1985), რელიგიურ უქმე დღეებს (1985), კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის დაცვას (1996) და პოლიციის ძალებში საპასტორო სამსახურს (1999). მე-8(3) მუხლის შესაბამისად შემდეგ შეთანხმებებს მიაღწიეს: იტალიის სახელმწიფოსა და ვალდენზიელებს შორის (*tavola valdeses*) (1984), მეშვიდე დღის ადვენტიცტების ქრისტიანულ ეკლესიებთან (1986), ებრაული გაერთიანებების კავშირთან (1987), *Assemblee di Dio*-სთან (“საღვთო გაერთიანებები”, სამების ეკლესია) (1986), ქრისტიანულ ევანგელისტურ-ბაპტისტურ კავშირთან (1993) და ლუთერანულ ეკლესიასთან (1993), კიდევ ორი ხელშეკრულება იელოვას მონაწილეს ქრისტიანულ გაერთიანებასა და ბუდისტურ კავშირთან 2000 წელს დაიდო, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული პარლამენტის მიერ.

დანარჩენი კონფესიების საქმიანობა რეგულირება 1929 წლის 24 ივნისის № 1159 კანონის შესაბამისად. ეს კანონი, მის მიღებასთან დაკავშირებული ისტორიული წინაპირობიდან გამომდინარე, შეიცავს რამდენიმე დებულებას, რომლებიც თითქოსდა არ შეესაბამება კონსტიტუციის პრინციპებს. თუმცა მისი რეფორმირების წინადადება, რომელიც მინისტრთა საბჭომ მიიღო 1990 წელს, ჯერ კიდევ არ გადასცემია პარლამენტს დასამტკიცებლად.

კიდევ უფრო რთული განსახილველია ის საკითხი, რომელიც ეხება არა ცალკეული პიროვნებების უფლებებს, არამედ ეკლესიების კლასიფიკაციას. ამ სფეროში კონკორდატებისა და შეთანხმებების სისტემას დიფერენცირების ელემენტები შემოაქვს დენომინაციებს შორის. მიუხედავად ამისა, მე-8 (1) მუხლი არ გამორიცხავს მათ საერთო წესიდან, მიუთითებს რა “თანაბარ თავისუფლებას” და არა გათანაბრებას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ შეიძლება გავლენა მოახდინონ ცალკეული პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე. ამის დამადასტურებელი მაგალითების პოვნა შეიძლება კონფესიების დაფინანსებასთან და სახელმწიფო სკოლებში რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებული თავის შემდგომ ნაწილებში. ამ მიზეზით სწორი დამოკიდებულება თავისუფლებასა (ანუ შესაბამისი დებულების არსებობის შესაძლებლობა თითოეული დენომინაციისთვის) და თანასწორობას (ანუ ყველასთვის საერთო წესების და მოვალეობების არსებობა) შორის იტალიის საეკლესიო სამართლისთვის განვითარების დღევანდელ სტადიაზე ცენტრალური პრობლემაა.

იტალიის საეკლესიო სამართალი სამსაფეხურიანი სისტემაა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი კათოლიკურ ეკლესიას უკავია, რაც მისი მიმდევრების რაოდენობასთან ერთად მთელი რიგი სხვა მიზეზებითაა განპირობებული, როგორც იტალიის ისტორიაში, ისე მის თანამედროვეობაში. ვატიკანთან იტალიის ურთიერთობა ვილა მადამას ხელშეკრულებით (*Accordo di Villa Madama*) და სხვა ნორმატივებით რეგულირდება. შუალედური პოზიცია უკავია იმ კონფესიებს, რომლებმაც სახელმწიფოსთან შეთანხმების მიღწევა შეძლო. ეს ის ჯგუფებია, რომლებიც იტალიაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა (მაგ. ვალდენზიელები, ებრაელები და პროტესტანტები) ან, რომელთაც იტალიის კანონებთან არათავსებადი ნიშნები არ ახასიათებს. ცალკეული ხელშეკრულებებით გარანტირებულია მათი ეკვივალენტური თუ არა თანასწორი მდგომარეობა კათოლიკური ეკლესიის პოზიციასთან. უმდაბლეს საფეხურზეა ისეთი კონფესია (ზოგიერთი მათგანი მორწმუნეთა მნიშვნელოვანი რაოდენობითაც კი), როგორიცაა მუსლიმანები, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასახლდნენ იტალიაში. მათ მიერ აღიარებული პრაქტიკა, დამახასიათებელი დოქტრინები თუ გავრცელებული შეხედულებები მეტ-ნაკლებად ღიად უპირისპირდება საზოგადოებრივ წესრიგს. ამ ჯგუფში ასევე შედის ზოგიერთი უაღრესად წინააღმდეგობრივი “ახალი რელიგიური მიმდინარეობები”, როგორიცაა, მაგალითად, საენტოლოგიური ეკლესია. ამ ჯგუფების საქმიანობას არეგულირებს 1929 წლის კანონი № 1159 და/ან ასოციაციების შესახებ საერთო კანონები. მათზე არ ვრცელდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრივილეგია (მაგალითად, დაფინანსებასთან, რელიგიურ განათლებასთან და პასტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული), რაც გარანტირებულია კონკორდატის ან ხელშეკრულებების საფუძველზე.

ზოგადად, ეს სამსაფეხურიანი სისტემა დაფუძნებულია იტალიის ისტორიასა და კულტურაზე, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ სხვა თვალთახედვითაც.

პირველი თვალსაზრისი ეხება ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სისტემის გაფართოებას ისეთი საკითხების დარეგულირების მიზნით, რომლებიც სახელმწიფო კანონის ფარგლებში შეიძლება მოქცეულიყო, რაც თავისთავად შესაძლებელს გახდიდა თანასწორობის პრინციპებთან მიმართებაში უფრო დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღებას.

მაგალითად, კონფესიების დაფინანსების თვალსაზრისით დღევანდელი სისტემა გამორიცხავს მუსლიმანებსა და იელოვას მონაწილეს (რომლებიც რიცხოვნობიდან მეორე და მესამე უდიდესი რელიგიური გაერთიანებებია იტალიაში). მათ შეთანხმების გარეშე არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება IRPEF-ის 0.8 %-ის

განანილებაში და არც – თავიანთი რელიგიური საზოგადოებისთვის დასაბეგრი შემოსავალიდან შეწირული თანხის დაკავება. სახელმწიფო კანონმა, გაულო რა ამგვარი დაფინანსების არხები იტალიური კანონით აღიარებულ ყველა კონფესიას, გამოსატა მეტი პატივისცემა “თანაბარი თავისუფლების” მიმართ, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

ეს კრიტიკა ეხება იტალიური საეკლესიო კანონის სხვა სფეროებსაც. არ არსებობს ერთიანი კანონი ყველა რელიგიური საზოგადოებისთვის იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ერთიანად გადაწყდეს (გარდა დაფინანსების, საჯარო ინსტიტუტებში პასტორული საქმიანობის, სკოლებში შესვლის უფლების და ა.შ.). მსგავსი კანონების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით საჭირო იქნებოდა მხოლოდ იმ საკითხების რეგულირება, რომლებიც ცალკეული კონფესიისთვის სპეციალური ინტერესის საგანი გახდებოდა. ესაა, მაგალითად, სისხლის გადასხმაზე უარის თქმა იელოვას მონუმენტის მიერ, ცხოველების რიტუალური დაკვლა და დასვენების დღედ შაბათის მიჩნევა ებრაელებისთვის, ხოლო მეშვიდე დღის ადვენტისტებისთვის.

იტალიური საეკლესიო კანონის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კრიტიკას იმსახურებს, ეხება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მოქმედების თავისუფლებას, მიიღოს ან უარყოს კონფესიის წინადადება შეთანხმების მიღწევის მიზნით მოლაპარაკების დაწყებაზე.

რასაკვირველია, განაცხადის და განსაკუთრებით მისი შინაარსის განხილვისას საჭიროა მეტი მოქნილობა. თუმცა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მიერ ობიექტურ კრიტერიუმებზე (მორწმუნეების რაოდენობა, მათი იტალიაში ან სხვა ქვეყნებში ყოფნის ხანგრძლივობა, ორგანიზაციის ტიპი და ა.შ.) დაუმყარებელი გადანყვეტილების მიღება შეიძლება შეურაცხმყოფელიც კი აღმოჩნდეს რომელიმე მხარისთვის.

IV. რელიგიური საზოგადოებების სამართლებრივი სტატუსი

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ იტალიური სამართლებრივი სისტემის ფარგლებში რელიგიური მიზნების მქონე ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია აუცილებელი ნებართვის ან წინასწარი რეგისტრაციის გარეშე დაფუძნება და არსებობა. შეზღუდვების დაწესება ხდება მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგისა და ზოგადი

წესიერების ფარგლების დასაცავად. ამ მიზნით სხვადასხვა დენომინაციას (უფრო ზუსტად, მათ იურიდიულ პირებს) შეუძლია არჩევანი გააკეთოს იტალიის კანონმდებლობის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სამართლებრივ შესაძლებლობას შორის.

უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო კოდექსის 36-38-ე მუხლების მიხედვით ისინი შეიძლება დაარსდეს როგორც არლიარებული ასოციაციები (*associazione non riconosciuta*). ეს ის უმარტივესი მოდელია, რომელსაც აგრეთვე პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები იყენებს. ამგვარად, კონფესია იღებს სამართლებრივ უფლებამოსილებას (აქვს საშუალება, მიიღოს შემონიშნულობები, განახორციელოს სამართლებრივი ქმედება, ინარჩუნებს დამოუკიდებლობას ქონებრივ საკითხებში ა.შ.) სრული თავისუფლებით და არ ევალება ამა თუ იმ სახის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოს წარუდგინოს დაფუძნების დოკუმენტაცია ან წესდება. სამოქალაქო კოდექსის 14-35-ე მუხლების და 2000 წლის 10 თებერვალის პრ. № 361-ის შესაბამისად, აღიარებული ასოციაციების (*associazioni riconosciute*) მიმართ მოქმედებს უფრო მკაცრი და სავალდებულო წესები. პრეფექტურაში რეგისტრაციის შემდეგ მათ ანიჭებენ სამართალსუბიექტის სტატუსს იმ პირობით, თუ მათ აქვთ სოციალურად სასარგებლო მიზნები და საკმაო ფინანსური სახსარი.

სამოქალაქო კანონის სამართლებრივი უფლებაუნარიანობა შეიძლება აგრეთვე მიიღონ *Disposizioni sulle legge in generale*-ის მე-16 მუხლის (ზოგადი კანონის დებულებები) შესაბამისად, რომელიც უცხოურ სამართლებრივ ერთეულებს ანიჭებს იტალიური საკანონმდებლო ერთეულების გარანტიას შექცევადობის საფუძველზე.

სამოქალაქო კანონის სამართლებრივი უფლებაუნარიანობა შეიძლება აგრეთვე მიიღონ ზოგადი კანონის დებულებების მე-16 მუხლის, ასევე შეერთებულ შტატებთან მეგობრობის, ვაჭრობის და გადაზიდვების შესახებ 1948 წლის ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის/ურთიერთობის საფუძველზე უცხოურ სამართლებრივ ერთეულებს იტალიური "საკანონმდებლო ერთეულებს"/ "იურიდიული პირების" უფლებებს ანიჭებს. დაახლოებით ოცდაათმა დენომინაციამ (ან დენომინაციის იურიდიულმა პირმა) შეიტანა განცხადება და ამ გზით მიიღო სამართლებრივი უფლებაუნარიანობა დენომინაციებისთვის განკუთვნილი სავადასახადო შეღავათების მისაღებად. მაგრამ სხვადასხვა ფორმით უფლებაუნარიანობის მოპოვებამ გამოიწვია სხვადასხვა პრივილეგიის დაკარგვა და ახლა მათ მინიჭებული აქვთ აღიარებული ასოციაციების მსგავსი იურიდიული სტატუსი. მოცემული თავი აქამდე განიხილავდა მხოლოდ იურიდიული უფლებამოსილების მიღებას იმ ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო

ზოგადი კანონებით ყველა ჯგუფებისთვის, მათი რელიგიური ან სხვა მიზნების მიუხედავად. თუმცა რელიგიური ჯგუფებისთვის არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელიც გამოიყენეს ყველაზე მნიშვნელოვანმა უმცირესობათა წარმომადგენელმა დენომინაციებმა (მათ შორის მუსლიმანებმა, მორმონებმა და ელოვას მოწმეებმა). ეს გულისხმობს რელიგიური ორგანიზაციებისთვის იურიდიული უფლებამოსილების მოპოვებას იმ კანონის საფუძველზე, რომელიც განსაკუთრებით რელიგიური მიზნების მქონე ჯგუფებისთვის იყო მიღებული, კერძოდ – ესაა 1929 წლის კანონი №1159, რომელიც განსაზღვრავს იტალიაში დარეგისტრირებული რელიგიების საქმიანობას. იგი, აწესებს რა თანასწორ მოპყრობას რელიგიური მიზნების მიმართ სოციალური დაცვისა და განათლების საკითხებისთვის, მათ მნიშვნელოვან საგადასახადო პრივილეგიებს ანიჭებს, ამგვარად უპირატესობები მათზეც ვრცელდება. მეორე მხრივ, ეს კანონი რელიგიური მიზნების მქონე ჯგუფებს უქვემდებარებს მთავრობის კონტროლს და სახელმწიფო უფლებამოსილ პირებს ანიჭებს უფლებას, ჩაანაცვლონ ასოციაციების ადმინისტრაციული ორგანოები სახელმწიფო კომისრით და გააუქმონ მათი გადამწყვეტილებები. მაგრამ ამ დებულებების უპირატესობის თუ ნაკლოვანების მიუხედავად, 1929 წლის №1159 კანონის მიხედვით, სამართალ-სუბიექტობის აღიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი აღიარებული ჯგუფის რელიგიურ ხასიათს ადასტურებს. ის იტალიის სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობის ზოგად წინაპირობას ქმნის (ფაქტობრივად, თუ არა კანონით) მე-8(3) მუხლის შესაბამისად.

ექვსი დენომინაცია, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას იტალიის სახელმწიფოსთან, უკვე აღარ ექვემდებარება 1929 წლის №1159 კანონს, მათ შემთხვევაში იგი ჩანაცვლდა უფრო მეტად ხელსაყრელი დებულებებით, რომლებიც შესულია მათ ცალკეულ ხელშეკრულებებში. თუმცა მათ უნარჩუნდება ის სამართალუნარიანობა, რომელიც მოცემული კანონის საფუძველზე ამ ექვს კონფესიას აქვს მინიჭებული. ებრაელი საზოგადოებები და მათი კავშირი, მეორე მხრივ, არასოდეს ექვემდებარებოდა ზემოთ დასახელებულ კანონს. მათ სამართალსუბიექტობა 1930 წლის №1731 კანონის ძალით მიენიჭა, იგი სპეციალურად მათთვის შეიქმნა და დეტალურად არეგულირებდა მათ საქმიანობას. კანონი გაუქმდა ხელშეკრულებების დადების შემდეგ, მაგრამ ებრაელმა საზოგადოებებმა და მათმა კავშირმა სამართალუნარიანობა შეინარჩუნა, რომელიც მათ ამ კანონის ძალით ჰქონდა მინიჭებული. იგივე დებულებები ეხება Tavola Valdese-სა და Vaudois Valleys-ში მდებარე საეკლესიო კონსისტორიებს, რომელთაც ხელშეკრულებების დასრულების შემდეგაც შეინარჩუნეს თავიანთი სამართალუნარიანობა. მათ ეს სამართალუნარიანობა მიიღეს არა სამართლებრივი დებულებების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ ისინი იყვნენ "antico possessore di stato" (სტატუსის მფლობელობა დიდი ხნის

განმავლობაში). ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიის სახელმწიფოს შექმნამდე დიდი ხნით ადრე მათ სამართლებრივი უფლებაუნარიანობა გააჩნდა.

განსაკუთრებული შენიშვნა უნდა გაკეთდეს კათოლიკური ეკლესიის თაობაზე, რომელსაც საჯარო სამართლის უფლებაუნარიანობა აქვს, თუმცა არანაირად არ ჰგავს სახელმწიფო ორგანიზაციის შემადგენელ ორგანოებს. იგი შეიძლება შევადაროთ უცხოურ სახელმწიფოებს, რომლებიც იტალიურ კანონმდებლობაში საჯარო სამართლის სუბიექტებია.

როგორც ითქვა, 1929 წლის № 1159 კანონის თანახმად, მხოლოდ დენომინაციებს შეუძლია სამართლებრივი უფლებაუნარიანობის მოპოვება და ხელშეკრულებების დადება (კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად) სახელმწიფოსთან. ამრიგად, არსებობს ტერმინი “დენომინაციის” გარკვევის კუთხით პრობლემა, რომელიც აქტუალური გახდა იტალიაში ამ ბოლო დროს და იგი უკავშირდება “ახალი რელიგიური მიმდინარეობების” გავრცელებას. კანონით დადგენილი განსაზღვრის არარსებობის გამო, ზოგიერთი კომენტატორის აზრით, სახელმწიფოს არ გააჩნია არც შესაძლებლობა და არც კომპეტენცია, განსაზღვროს, რა არის დენომინაცია. აქედან გამომდინარე, გამოაქვთ დასკვნა, რომ საკითხის გადაწყვეტა უნდა მიანდონ ამა თუ იმ ჯგუფის მიმდევრებს, რომლებსაც სურთ თავიანთი ჯგუფის დენომინაციად ცნობა. თუკი მორწმუნეები იზიარებენ თვალსაზრისს, რომ ისინი ქმნიან დენომინაციას, მაშინ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ეს შეფასება. საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთ უახლეს გადაწყვეტილებას (სახელდობრ, 1992 წლის ნომბრის №467 გადაწყვეტილება) სხვა მიმართულება აქვს, კერძოდ, როდესაც ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ტერმინი “დენომინაცია” უნდა ემყარებოდეს ობიექტურ და არა სუბიექტურ საფუძველს. ამ თვალსაზრისით, საკითხის გადაწყვეტაზე მომუშავეთა ერთი ჯგუფი შეეცადა მოეხდინა იმ დამახასიათებელი თვისებების განსაზღვრა, რომლებიც აღიარებული უნდა იყოს ყველა იმ ჯგუფში, კლასიფიცირება რომ სურს, როგორც დენომინაციას. ეს მახასიათებლებია: ზებუნებრივი რეალობის რწმენა (არ არის აუცილებელი ღმერთი), რომელსაც შეუძლია პასუხის გაცემა ფუნდამენტურ კითხვებზე – ადამიანისა და საგნების არსებობაზე; გააჩნია მორალური კოდექსი და ქმნის ეგზისტენციურ ურთიერთდამოკიდებულებას თაყვანისცემის სახით; აგრეთვე აუცილებელია თუნდაც მინიმალური სტრუქტურის არსებობა. აბრაამისეული სამი რელიგიის (საწყისს იღებენ აბრაამიდან) გარდა, ბევრი ორიენტალური წარმომობის რელიგია ესადაგება ამ პარადიგმას, ხოლო გამოირიცხება პარაფსიქოლოგიური, სპირიტუალისტური და ოკულტური ჯგუფები. ზოგიერთი “ახალი რელიგიური მიმდინარეობა”, როგორცაა: საენტოლოგიური ეკლესია, იმყოფება გამყოფ მიჯნაზე, როგორც ამას აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ მიღებული სანინაალმდეგო გადაწყვეტილებები ადასტურებს.

V. თვითგამორკვევის უფლება

ისევე როგორც კონსტიტუციის მე-7(1) მუხლი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას აღიარებს, მე-8(2) მუხლი ყველა სხვა დენომინაციას უფლებას ანიჭებს, ჩამოყალიბდეს საკუთარი წესდების შესაბამისად. ამდენად, დენომინაციებს აქვს შიდა ავტონომიის მაღალი დონის გარანტია, მაგრამ მათი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იტალიის კანონმდებლობას. მათ შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ თავიანთი თავის ორგანიზება, ხოლო სახელმწიფო მათ იცავს.

გარდა ციტირებული მუხლებისა, დენომინაციებს ავტონომიის უფრო ძლიერ გარანტიას ანიჭებს მე-7 და მე-8 მუხლის ბოლო ნაწილები, რომლებიც უზრუნველყოფს დენომინაციის სამართლებრივ ორგანიზაციასთან სახელმწიფოს ურთიერთობას მხოლოდ ხელშეკრულების მეშვეობით, ე.ი. იმ პირობით, რომ იგი ამა თუ იმ კონფესიასთან ურთიერთობას დაარეგულირებს მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე. ეს ორი ნაწილი აგრეთვე სახელმწიფოსა და დენომინაციას შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ მასში ნებისმიერი შესწორების შეტანას მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოფს. დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ინიციატივის საფუძველზე ცვლილებების შეტანა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მე-7 და მე-8 მუხლში საკონსტიტუციო ცვლილებების მეშვეობით წარმოებს ცვლილებების შეტანა. ამგვარად, კათოლიკურ ეკლესიასა და ექვს დენომინაციას, რომლებმაც სახელმწიფოსთან შეთანხმებას მიაღწია, აქვს იმის გარანტია, რომ მათი ამჟამინდელი სამართლებრივი სტატუსი არ შეიცვლება (*in peiu*) უარესობისკენ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს კიდევ ერთი ფაქტორია, რაც ამ დენომინაციებს განასხვავებს სხვებისგან, რომლებიც არ სარგებლობენ ამგვარი გარანტიებით.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით კათოლიკურ ეკლესიაზე და სხვა დენომინაციებზე დამოკიდებულ ინსტიტუტებს (სავადმყოფოები, სკოლები და ა.შ.) არ გააჩნია სპეციალური ავტონომია. ამ წესებიდან რიგი გამონაკლისები აღწერილია მომდევნო VI თავში.

VI. ეკლესია და კულტურა

იტალიის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არ არის ღვთისმეტყველების ფაკულტეტები. დენომინაციები არ არის შერღულდული თავიანთ უფლებებში, დაარსოს ყველა დონის და ტიპის სკოლები, ასევე სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტები: ეს ფაქტობრივად კონსტიტუციის 33-ე მუხლითაა გარანტირებული

ყველა კერძო სამართლის პირისთვის; ვილა მადამას ხელშეკრულება და სხვა დენომინაციებთან დადებული ხელშეკრულებების მუხლები მხოლოდ იმეორებს და იყენებს ამ წესს. დიდი ხნის განმავლობაში კერძო სკოლები (მათ შორის ისინი, რომლებიც ეკუთვნოდა რელიგიურ ორგანიზაციებს) სახელმწიფოსგან არ იღებდა ფინანსურ დახმარებას, მაგრამ 2000 წელს მიღებულმა ახალმა კანონმა დაადგინა, რომ ოჯახები, რომლებიც გზავნიან თავიანთ შვილებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კერძო სკოლებში, უფლებამოსილნი არიან ნაწილობრივ გადაიხადონ სწავლების გადასახადი.

განათლების სფეროში საკითხის განხილვა ძირითადად სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლების თემაზეა კონცენტრირებული. ამ საკითხთან დაკავშირებული მუხლები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, როდესაც საქმე ეხება, ერთი მხრივ, კათოლიკურ ეკლესიას და მეორე მხრივ, სხვა კონფესიებს. ვილა მადამას ხელშეკრულება ადგენს მოსამზადებელ და დაწყებით სკოლებში კვირაში ორსაათიან რელიგიურ განათლებას, ხოლო უფროსი კლასებისთვის – ერთი საათის ხანგრძლივობით. უნივერსიტეტში რელიგიურ განათლებას არ იძლევიან. კათოლიკურ რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო კისრულობს.

ყოველ წელს მოსწავლეების მიღების დროს ან საშუალო სკოლის დამთავრებამდე (ჩვეულებრივ 13 წლის ასაკში ამთავრებენ საშუალო სკოლას) მშობლებმა უნდა განაცხადონ, სურთ თუ არა კათოლიკური რელიგიური განათლების მიღება თავიანთი შვილებისთვის შესაბამის კლასებში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ამ პერიოდის განმავლობაში მოწაფეებს შეუძლიათ, სხვა საგნებს დაუფლონ ან ამ პერიოდის განმავლობაში არ იმყოფებოდნენ სკოლის შენობაში. მოწაფეებმა ეს უფლება ხანგრძლივი კონფლიქტის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს 1991 წლის № 13 გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღეს.

რელიგიური განათლებისთვის მასწავლებლებს არჩევს ეპარქიის ეპისკოპოსი იმ პირთა სიიდან, რომელთაც ღვთისმეტყველებასა და საეკლესიო დისციპლინებში კვალიფიკაციის სერტიფიცირება აქვთ და წარმატებით გაიარეს ეროვნულ კონკურსში. გარდა ამისა, მათ მისაღებად საჭიროა საეკლესიო წარმომადგენლების, სახელდობრ ეპარქიის ეპისკოპოსის, წერილობითი თანხმობა, თუ რამდენად შეესაბამებინ ისინი რელიგიის მასწავლებლის კატეგორიას. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული ნებართვა უქმდება, მასწავლებელმა უნდა შეწყვიტოს კათოლიკური რელიგიის სწავლება და იგი ან უნდა გადაიყვანონ სხვა საგნის მასწავლებლად (თუკი მას აქვს სათანადო კვალიფიკაცია), ან მისცენ სხვა სამსახური სახელმწიფო სექტორში.

კათოლიკური რელიგიის სასწავლო პროგრამის შეთანხმება სკოლის თითოეული ტიპისთვის სახელმწიფო განათლების მინისტრსა და იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის თავმჯდომარეს შორის ხდება. წიგნებს უნდა ჰქონდეს კონფერენციის ეპისკოპოსების და იმ ეპარქიის ეპისკოპოსის nihil obstat, რათა ისინი გამოიყენონ.

ექვს კონფესიას, რომელმაც ხელშეკრულება გააფორმა იტალიის სახელმწიფოსთან, უფლება აქვს თავისი კონფესიიდან მასწავლებლები მიავლინოს სახელმწიფო სკოლებში, თუკი მოსწავლეები, მშობლები ან სასკოლო ორგანიზაციები ითხოვენ ამა თუ იმ რელიგიის (მაგ., ოუდაიზმი) სწავლებას ან ზოგადად “რელიგიის ფენომენის და მისი მნიშვნელობის” შესწავლას (როგორც ეს ჩამოყალიბებულია Tavola Valdese-ის მე-10 მუხლში). ამგვარი კლასების ორგანიზება შეთანხმებულია სკოლის კომპეტენტურ ხელისუფლებასა და კონფესიის წარმომადგენლებს შორის, ხოლო ფინანსურ ხარჯებს თვით კონფესია იღებს თავის თავზე. იმ კონფესიებს, რომელთაც ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული სახელმწიფოსთან, უფლებამოსილი არაა, წარმომადგენლები გაგზავნოს სახელმწიფო სკოლებში.

ხელშეკრულებები უმცირეს კონფესიებსა და იტალიის სახელმწიფოს შორის აგრეთვე შეიცავს ზოგადი მნიშვნელობის დებულებებს რელიგიური განათლების “დიფუზიის” ფორმების გარეშე, რომლებიც ხშირად სხვა საგნების საფარქვეშ ხდება და კრძალავს რელიგიურ ან საკულტო აღმსარებლობით აქტებში მოსწავლეების იძულებით მონაწილეობას. ამან, თავის მხრივ, სახელმწიფო სკოლებში გავრცელებული ტრადიციების ამ დებულებებთან თავსებადობის პრობლემა წარმოშვა. მაგალითად, სასკოლო ოთახების კურთხევა (რაც წელიწადში ერთხელ კეთდება კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლის მიერ), სასკოლო საათების განმავლობაში მოსწავლეთა მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიებში (ჩვეულებრივ მესამე, რომელსაც აღნიშნავენ კათოლიკური რიტუალის შესაბამისად) და ზოგჯერ პასტორული ვიზიტებისას ეპარქიის ეპისკოპოსთან მოსწავლეთა შეხვედრები. განათლების სამინისტროს 1992 წლის ბრძანების საფუძველზე მსგავს საქმიანობასთან დაკავშირებით სკოლებს მიენიჭა უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირობით, რომ მოწაფეთა მონაწილეობა იქნება ნებაყოფლობითი, მაგრამ შემდგომში სასამართლებმა ხელახლა დაადასტურა, რომ ამგვარი საქმიანობა არ იყო კანონიერი.

ვილა მადამას ხელშეკრულებასა და სხვა ხელშეკრულებებში არსებული რელიგიური განათლების ნორმები მრავალი კონფლიქტის მიზეზი გახდა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ჩარევის შემდეგ სისტემა განონასწორდა. რჩება გარკვეული ეჭვი ახალი სამართლებრივი დებულებების ხასიათთან დაკავშირებით:

კერძოდ, მოსწავლეთა ვალდებულება განცხადების გაცემების შესახებ, სურთ თუ არა მონაწილეობის მიღება კათოლიკურ განათლებაში (რაც შეეხება არჩეული კონფესიის კონფიდენციალურობის დაცვას); აგრეთვე ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კათოლიკური რელიგიის განათლებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, მაგრამ არა სხვა კონფესიების (რაც შემთხვევაში თავად კონფესიები აცხადებენ უარს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებაზე), ასევე იმ კონფესიის რელიგიური განათლების კლასების შეზღუდვა, რომელსაც სახელმწიფოსთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, ხოლო სწავლების შესახებ მოსწავლეთა მოთხოვნა არსებობდა. რელიგიური განათლების არსებული პრობლემები – რომელთაგან ზოგიერთზე უკვე ვისაუბრეთ – სწორედ ის ზოგადი ხასიათის პრობლემებია, რომლებიც ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს ემყარება და იტალიის საეკლესიო კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს, სხვაგვარი ფორმით ისინი თავს იჩენს სისტემის ყველა სფეროში.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვილა მადამას ხელშეკრულების დასკვნითი დებულებები (მუხლი 10, რომელიც შესულია სხვა კონფესიებთან დადებულ ხელშეკრულებებში) ადგენს, რომ სემინარიები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები საეკლესიო დისციპლინების განხრით სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევისგან თავისუფალია და მხოლოდ ეკლესიის უფლებამოსილების ქვეშაა. იგივე მუხლი ადგენს, რომ Università Cattolica del Sacro Cuore კათოლიკურ უნივერსიტეტში პროფესორების დანიშვნა რელიგიურ ასპექტებთან დაკავშირების გამო საეკლესიო ხელისუფლების თანხმობას ექვემდებარება.

VII. შრომითი კანონმდებლობა ეკლესიაში

შრომითი კანონმდებლობის ზოგადი წესების შესაბამისად, ცალკეული პიროვნებების რელიგიური შეხედულებები არ უნდა გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი მის დასაქმებასთან, სამუშაოდან დათხოვნასთან, პროფესიულ წინსვლასთან და ა.შ. დაკავშირებით. ამ წესიდან გარკვეული გამონაკლისია დასაქმება ორგანიზაციებში, რომელთაც მკაფიოდ გამოხატული რელიგიური ხასიათი აქვს (მაგ., ჰოსპიტალი ან სკოლა, რომელიც ეკუთვნის რელიგიურ ორდენს). ისინი ორგანიზაციებია, რომელთაც გააჩნია კონკრეტული დანიშნულება, როგორც პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს და ა.შ., რის გამოც ექვემდებარება სპეციალურ წესებს. ეს საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორგანიზაციის რელიგიურ მიზნებს პატივი სცეს ყველა თანამშრომელმა. სახელდობრ, რელიგიურმა ორგანიზაციებმა შესაძლოა უარი განაცხადონ,

სამუშაოდ აიყვანონ პიროვნება რელიგიური რწმენიდან გამომდინარე და გაათავისუფლონ თანამშრომელი, რომელიც მხარს უჭერს იდეოლოგიას ან ამჟღავნებს ქცევას, რომელიც კონფლიქტშია ორგანიზაციის რელიგიურ ორიენტაციასთან; მაგალითად, კათოლიკური სკოლის მასწავლებელი, რომელიც გამოთქვამს ეჭვს კათოლიკური დოქტრინის ფუნდამენტურ პრინციპებთან დაკავშირებით ან აფორმებს სამოქალაქო ქორწინებას. ეს მიმართულება ახლახან აისახა 2003 წლის 9 ივლისის ბრძანებაში №216, რომელიც შემდგომ განვითარებას აძლევს ევროკავშირის 2000/78/CE დირექტივას იტალიაში.

განსაკუთრებული პრობლემები წარმოიშვა რელიგიური ორდენის წევრების შემთხვევაში, რომლებიც მუშაობენ როგორც თავიანთი ორდენის ფარგლებში, ასევე მის გარეთ. მაგალითად, კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც დადებულია რელიგიურ ორდენსა და სხვა იურიდიულ პირს შორის ორდენის გარეთ; მაგალითად, საავადმყოფოს შორის, რომელშიც ორდენის წევრები ასრულებენ მომვლელების ფუნქციებს ანაზღაურების მიღების გარეშე. ამ შემთხვევაში ხშირად იგნორირებულია, რომ წევრების საქმიანობა – ესაა პროფესიული საქმიანობა და საკამათო ყოფილა ის საკითხი, რომ ეს არის სამუშაო, რომელიც ხორციელდება რელიგიური მიზნით (*religionis causa*). და ბოლოს, ორდენის წევრებს არ აქვთ ნორმალური დასაქმების უფლებები (ხელფასი, კომპენსაცია ადგილის დაკარგვის გამო, სოციალური დაზღვევის გადასახადები) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ესა თუ ის წევრი ტოვებს ორდენს.

VIII. ეკლესიის დაფინანსება

1948 წლის ვილა მადამას ხელშეკრულებამ, რომელიც აგრეთვე იყენებს საეკლესიო კანონთა წიგნის (*Codex Iuris Canonici*) მიერ შექმნილ ახალ შესაძლებლობებს, ძირეულად შეცვალა კათოლიკური ეკლესიის დაფინანსების სისტემა. საუკუნეების განმავლობაში საეკლესიო პირების ანაზღაურება უზრუნველყოფილი იყო ბენეფიციუმის (*beneficium*) მეშვეობით – ესაა საკუთრების გარკვეული რაოდენობა, რომელიც დაკავშირებულია თითოეული სასულიერო პირის თანამდებობასთან. ამ სისტემის გამოყენებამ გამოიწვია ერთგვარი ეკონომიკური თავისუფლება, რადგან თითოეულ საეკლესიო მსახურს თავად შეეძლო საკუთარი ბენეფიციიდან მიღებული თანხის მართვა; თუმცა ამან საკმაოდ დიდი განსხვავება განაპირობა მდიდარი და ღარიბი ბენეფიციის მფლობელებს შორის. თუკი მიღებული სამრევლოდან შემოსავალი ძლიერ მცირე იყო, სახელმწიფო მას თავის საკუთარ თანხას ამატებდა, რომელსაც მღვდელმსახურის ანაზღაურებაზე დანამატი (*supplemento di congrua*) ეწოდებოდა (იმის გამო, რომ იგი სამრევლოს

შემოსავალზე დანამატის მეშვეობით “ადეკვატური” საარსებო საშუალების მიღებას ნიშნავდა.). რადგან ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილი იყო, რაც მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებისგან შედგებოდა, ეს ღონისძიება იმას ნიშნავდა, რომ ყველა მოქალაქე ავტომატურად აკეთებდა შენაწირს კათოლიკური საეკლესიო მომსახურებისათვის, მათი რელიგიური რწმენის მიუხედავად.

საეკლესიო პირების და ქონების ხელშეკრულება, რომელიც იტალიის სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის 1984 წელს გაფორმდა, ძალაში შევიდა 1985 წლის 20 მაისის №222 კანონის ძალით. ბენეფიციუმები გაუქმდა და მათი ქონება გადაეცა ახლად დაარსებულ ორგანიზაციებს, საეპარქიო ინსტიტუტებს საეკლესიო მსახურებისთვის დასახმარებლად. იგი უზრუნველყოფდა თითოეულ საეპარქიოში იმჟამად თანამდებობაზე მყოფი საეკლესიო პირების ფინანსურ მხარდაჭერას. უშუალოდ ამის შემდეგ საეკლესიო მსახურთა დასახმარებლად დაარსდა ცენტრალური ინსტიტუტი, იგი უზრუნველყოფდა ფინანსური რესურსების დანამატს იმ საეპარქიო ინსტიტუტებისთვის, რომელთაც არ შეეძლო საკუთარი ძალებით თავიანთ ამოცანებთან გამკლავება. ამ რეფორმის მეშვეობით კათოლიკური ეკლესიის მსახურნი გადაიქცნენ ანაზღაურებად პირებად იმ მოდელის შესაბამისად, რომელიც უკვე ინგლისის ეკლესიაში მოქმედებდა. ამით გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი თანასწორობა ყველა საეკლესიო მსახურის ხელფასით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუნდაც ამ გზით მათი ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა მომხდარიყო. ხოლო სამრევლოების გაუქმებამ აგრეთვე გამოიწვია *supplementi di congrua*-ს დასრულება, რომელსაც ახორციელებდა სახელმწიფო. მის ნაცვლად დაფინანსების ორი სისტემა დაარსდა, მათგან მოგებას იღებდა არა მხოლოდ კათოლიკური ეკლესია, არამედ სხვა კონფესიებიც, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას. პირველი ტიპი მოიცავს მოგებიდან 0.8% რაოდენობის კვოტას, იგი მიღებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან (*imposta sul reddito delle persone fisiche*), რომლებსაც ყოველწლიურად ყველა ის იტალიელი იხდის, ვინც გადასახადის გადახდას ექვემდებარება და გააჩნია გარკვეულ მინიმალურ თანხაზე მეტი შემოსავალი.

გადამხდელი, რომელიც იხდის გადასახადს, თავის საგადასახადო დეკლარაციაში სპეციალურად აკონკრეტებს, ვინ უნდა მიიღოს ეს გადასახადი:

- ა) იტალიის სახელმწიფომ განსაკუთრებული ღონისძიებებისთვის შიმშილის წინააღმდეგ მსოფლიოში, ბუნებრივი კატაკლიზმების სალიკვიდაციოდ, ლტოლვილების დასახმარებლად, კულტურული მონუმენტების შესანახად;

- ბ) კათოლიკურმა ეკლესიამ მოსახლეობის აღმსარებლობის საჭიროებებისათვის, საეკლესიო მსახურების დასახმარებლად, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნულ საზოგადოებრიობას ან მესამე სამყაროს ქვეყნებს;
- გ) ერთ-ერთმა კონფესიამ, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას იტალიის სახელმწიფოსთან; ეს დეკლარაცია ექვემდებარება სპეციალურ პირობებს, რომლებიც ქვემოთ არის განმარტებული.
- დ) 0.8% კვოტა ნაწილდება იმ პირების დეკლარაციების საფუძველზე, რომელთა შემოსავალიც ექვემდებარება გადასახადის გადახდას.

იმ პიროვნებების რაოდენობის პროპორციული პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც არ განუცხადებიათ მათი უპირატესობების შესახებ, ნაწილდება სხვადასხვა მიმღებს შორის, საშემოსავლო გადასახადს დაქვემდებარებული დარჩენილი მოსახლეობის არჩევანის პროპორციის შესაბამისად.

დღემდე არსებული მონაცემები (1997 წლამდე) გვიჩვენებს შემდეგი სახის განაწილებას: გადასახადს დაქვემდებარებული მოსახლეობის 40%-მა გააკეთა არჩევანი და ამათგან 81%-მა (რაც დაახლოებით ტოლია იმ პირების 32%-ისა, რომლებიც ექვემდებარებიან გადასახადს) არჩევანი გააკეთა კათოლიკური ეკლესიის სასარგებლოდ, ხოლო 15%-მა – იტალიის სახელმწიფოს სასარგებლოდ, დარჩენილი 4% კი განაწილდა მეშვიდე დღის ადვენტისტებს, ღმერთის ასამბლეას (ორმოცდაათიანელები), ვალდენსიელების, ლუთერანების და ებრაელი საზოგადოების კავშირს შორის. იმ თანხიდან, რომელიც გადაეცა იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის, 35% გამოიყენეს საეკლესიო პირთა შესანახად, დაახლოებით 20% – სოციალური მიზნებისთვის და დარჩენილი თანხა (დაახლოებით 45%) მოსახლეობის – აღმსარებლობის მიზნებისთვის.

შეთანხმების საფუძველზე შექმნილი დაფინანსების მეორე ტიპი როგორც კათოლიკური ეკლესიის წევრებისთვის, აგრეთვე სხვა კონფესიებისთვის საგადასახადო შემოსავლიდან 1,032,91 ევრომდე შეწირულებებია ცენტრალური ინსტიტუტისთვის და ისინი გათვალისწინებულია საეკლესიო მსახურების ან სხვა კონფესიების მსგავსი ინსტიტუტების მხარდასაჭერად.

როგორც აღვნიშნეთ, დაფინანსების აღწერილი ორი წყარო აგრეთვე ექვსი კონფესიისთვისაა ხელმისაწვდომი. თუმცა უნდა ვახსენოთ არსებული თავისებურებები. ქრისტიანულმა ევანგელისტურ-ბაპტისტურმა კავშირმა უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო განაწილებაში; ვალდენსიელებმა და ორმოცდაათიანელებმა

გადაწყვიტეს, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან 0.8%-ის ეკვივალენტი დაეთმოთ იმ პირებისათვის, რომლებმაც არ “გაამხილეს არჩევანი” და ადვენტივებისგან ერთად გადაწყვიტეს თავიანთი შემოსავალი მხოლოდ სოციალური და ჰუმანიტარული მიზნებისთვის გამოყენებინათ, რადგან, მათი შეხედულების შესაბამისად, ეკლესიის დაფინანსება და საეკლესიო პირების მომსახურება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მათი ნევრების შემონირობების ხარჯზე.

სხვა სამართლებრივ დებულებებში შესულია კონფესიების პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების დამატებითი ფორმები. მაგალითად, რეგიონალური კანონები, რომლებიც ანაწილებს მიწის ნაკვეთებს და ტერიტორიებს ეკლესიის შენობების ასაშენებლად, და 1986 წლის №390 კანონი, რომელიც საეკლესიო ორგანიზაციებს მინიმალური გადასახადის პირობებში სესხის მიღების ან სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების დაქირავების საშუალებას აძლევს. ორივე შემთხვევის არც ერთი დებულებიდან გარკვეული არაა, ისინი მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოსთან შეთანხმებაში მყოფ კონფესიებს ეხება თუ ყველა არსებულ კონფესიას.

თუკი ამ სიტუაციას 1984 წლამდე იტალიაში არსებულ სიტუაციას შევადარებთ, ეჭვგარეშეა, რომ ესპანური მოდელის მსგავსი დაფინანსების ამჟამინდელი სისტემა წინ გადადგმული ნაბიჯია. გარკვეული თვალსაზრისით იგი ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ, ხშირად მოუქნელი მექანიზმების მქონე სისტემებზე უკეთესია, რადგან ხანდახან შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რელიგიური თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს. თუმცა IRPEF-ის კოტას თანამედროვე დებულებების რიგმა ძირითადად მასსიათებლებმა, განაწილების გარდა (ეხება პირებს, რომელთაც არ გაუკეთებიათ განაცხადი თავიანთი გადაწყვეტილების თაობაზე), შეიძლება წამოქმნას პრობლემები. სახელდობრ, დაფინანსების ორი ძირითადი წყაროს (IRPEF-ის 0.8% და საგადასახადო შემოსავლიდან დაქვითული შემონირობა) ხელმისაწვდომობის წინაპირობას წარმოადგენს კონკორდატი ან შეთანხმება იტალიის სახელმწიფოსთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი კონფესია გამორიცხულია სახელმწიფო დაფინანსების ყველა ფორმიდან, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ მათ არ შეუძლია ან არ უნდა მსგავსი შეთანხმების დადება და მეორე მხრივ, მათი განცხადება უარყო სახელმწიფომ, რომელიც, თანამედროვე პირობების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების დიდ თავისუფლებას ფლობს.

საგადასახადო სფეროში კონფესიებს მრავალი პრივილეგია აქვს. მოცემულ ტექსტში საუბარია მხოლოდ სისტემის ძირითად პრინციპებზე. როგორც აღინიშნა, ესაა სამართლებრივი საფუძველი რელიგიური და საეკლესიო ორგანიზაციების სააღმსარებლო მიზნების განსახორციელებლად, სოციალური უზრუნველყოფისა და განათლებისადმი თანასწორი მიდგომა.

კათოლიკური საეკლესიო ორგანიზაციებისთვის ამ თანასწორი მიდგომის საფუძველს უზრუნველყოფს ვილა მადამას ხელშეკრულების მე-7(3) მუხლი, ხოლო სხვა კონფესიებისთვის 1930 წლის 28 თებერვლის სამეფო ბრძანების მე-12 მუხლი, რომელიც გამოსცეს 1929 წლის №1159 კანონის შესრულების მიზნით. იმავე დებულებას მეტ-ნაკლებად უცვლელი ფორმით შეიცავს ხელშეკრულების ტექსტი სახელმწიფოსა და ზოგიერთ კონფესიას შორის. ამ თანასწორი მიდგომის გამო საეკლესიო ერთეულებს გააჩნია მრავალი უპირატესობა, მაგალითად 50%-იანი შეღავათი კორპორაციულ გადასახადზე (imposta sul reddito delle persone giuridiche, IRPEG), ისინი გათავისუფლებული არიან სამემკვიდრეო და საშემონირულებო გადასახადისგან. შემდგომი შეღავათი გულისხმობს დამატებულ ღირებულების გადასახადს (imposta sul valore aggiunto, IVA), ადგილობრივი მიწის გადაცემის გადასახადს (imposta comunale sull'incremento di valore dei beni immobili) და სხვა არაპირდაპირ გადასახადებს.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ტერიტორიაზე მდებარე (Lateran Treaty-ის მე-13 და მე-14 მუხლები) ვატიკანის უძრავი ქონება, ისევე, როგორც სხვა უძრავი ქონება, რომელიც ნახსენებია ხელშეკრულების მე-13 და მე-14 მუხლებში, განთავისუფლებულია სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიმართ ნებისმიერი გადასახადისგან ან მოსაკრებლისგან.

IX. სასულიერო დახმარება სახელმწიფო ინსტიტუტებში

ვილა მადამას ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად, პასტორის მომსახურება ჯვარისკაცებისათვის, პატიმრებისათვის, საავადმყოფოების პაციენტებისა და მოზუცებულთა სახლებისთვის კათოლიკური სამღვდლოების პასუხისმგებლობაა. პასტორები ინიშნებიან სახელმწიფოს კომპეტენტური წარმომადგენლების და სახელმწიფო უფლებამოსილი პირების მიერ. მათი სამართლებრივი სტატუსის დეტალები და წესები, რომლებიც მართავს პასტორის მომსახურების დებულებას, უნდა შეიტანონ სპეციალურ ხელშეკრულებებში, რომელთაგანაც მხოლოდ პოლიციასთან დაკავშირებული ნაწილია დასრულებული.

არმიასთან მიმართებით პასტორის მომსახურება არმიის იმ კაპელანთა პასუხისმგებლობაა, რომლებიც ეპისკოპოსის მიერ დასახელებული კანდიდატურებიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით ინიშნებიან. არმიის პასტორები სახელმწიფოს მუდმივი თანამშრომლები არიან. ისინი ხელფასს ბიუჯეტიდან იღებენ, შეადგენენ სამხედრო იერარქიის ნაწილს და აქვთ ოფიცრის რანგი.

საპატიმროებშიც არიან კაპელანები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასს სახელმწიფოსგან იღებენ, მაინც არ ითვლებიან მუდმივ სახელმწიფო მოხელეებად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ღია დასაქმების ხელშეკრულების პირობებში მსახურობენ, რაც ეპარქიის ეპისკოპოსისგან თანხმობის (nihil obstat) მიღების შემდეგ იუსტიციის სამინისტროს მიერ არის უზრუნველყოფილი. დასაქმება უქმდება nihil obstat გაუქმების ან კაპელანსა და საპატიმროს საზოგადოებას შორის ამკარა შეუთავსებლობის შემთხვევაში.

საავადმყოფოებში მოძღვარის მომსახურება იმ საეკლესიო პირთა მოვალეობაა, რომლებიც შეყვანილი არიან ადგილობრივი სამედიცინო სამსახურების დასაქმების ბიუჯეტის გეგმაში (azienda sanitaria locale) ან საკონტრაქტო საფუძველზე მუშაობენ იმ სამედიცინო ხელმძღვანელობასთან, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს საეკლესიო მსახურების ხელფასისა და პასტორის მომსახურებისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნაზე. ამგვარ სასულიერო პირებს ნიშნავს ეპარქიის ეპისკოპოსი.

ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია უმცირეს კონფესიებთან, უზრუნველყოფს სამღვდელოების წარმომადგენლების უფლებას სპეციალური ნებართვის და დროში შეზღუდვის გარეშე შევიდნენ საპატიმროებსა და საავადმყოფოებში. ეს მათ საშუალებას აძლევს, განახორციელონ პასტორის ძირითადი საქმიანობა და არა ექსკლუზიურად, პატიმრების და პაციენტების თხოვნის შესაბამისად. ჯარისკაცებს, რომლებიც ამ კონფესიებს ეკუთვნიან, დისლოკაციის ან მის ახლომდებარე ადგილებში აღმსარებლობის, ასევე თავიანთი სამღვდელოების მიერ ორგანიზებულ საეკლესიო საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ. თუკი საუბარია განსაკუთრებულად მოშორებულ ტერიტორიებზე, ჯარისკაცებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სპეციალურად ლოცვისთვის ორგანიზებულ შეხვედრებში, ამ მიზნით მათ განკარგულებაშია ოთახები, რომლებიც გადასცა სამხედრო ხელმძღვანელობამ. პასტორის საქმიანობას ფინანსური თვალსაზრისით კონფესიები უზრუნველყოფს.

კონფესიების სამღვდელოებას საპატიმროებში ან საავადმყოფოებში ხელშეკრულების გარეშე აქვს შესვლის უფლება, რათა დახმარება გაუწიოს იმ პატიმრებს ან პაციენტებს, რომლებსაც თავად აქვთ ასეთი დახმარების სურვილი. ეს უფლება ემყარება 1930 წლის სამეფო ბრძანების მე-5 და მე-6 მუხლებს და სხვა კონფესიების შესახებ ზოგადი სამართლებრივი დებულებების საფუძველს. მათ აგრეთვე უფლება აქვთ ავადმყოფი ჯარისკაცები უზრუნველყონ მოძღვრით, თუკი ჯარისკაცებს ამის სურვილი ექნებათ.

პასტორების მომსახურება არანაირი ფორმით არ არის გათვალისწინებული სკოლებში (მიუხედავად იმისა, რომ იქ არის სასულიერო განათლების კლასები, იხ. V ნაწილი).

X. სასულიერო პირების სამართლებრივი სტატუსი და რელიგიური ორდენების წევრები

იტალიის კანონმდებლობაში არ არის ტერმინი “საეკლესიო პირი ან სამღვდელთა” განსაზღვრა, ამდენად, ეს სიტუაცია უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა კონფესიის სამართლებრივი სტრუქტურის გამოკვლევის დროს. ტერმინი საკმაოდ კარგად არის განსაზღვრული საეკლესიო კანონში, რომლის მიხედვითაც მღვდლები არიან პირები, რომლებმაც მიიღეს კურთხევა სასულიერო პირად გახდომისთვის, იგულისხმება არსებული სამი ნოდებიდან ერთ-ერთი: დიაკვანი, მღვდელი ან ეპისკოპოსი. უფრო რთული სიტუაციაა ზოგიერთ მცირე კონფესიაში და განსაკუთრებით, ეგრეთ ნოდებულ “ახალ რელიგიურ მოძრაობებში”, როცა ყოველთვის ნათელი როდია, ვის ეკუთვნის ეს ტერმინი.

იტალიური კანონმდებლობის შესაბამისად, საეკლესიო მსახურებს სპეციალური სამართლებრივი სტატუსი აქვთ. ეს სტატუსი ნაწილობრივ აღნიშნავს პრეფერენციულ მოპყრობას: მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული განიხილება როგორც დამამძიმებელი გარემოებების ქვეშ ჩადენილი და ა.შ. თუმცა უფრო ხშირად იგი შემზღვევად ეფექტს შეიცავს, როგორცაა ზოგიერთ სახელმწიფო თანამდებობასთან შეუსაბამობა (როგორცაა, მაგალითად, მერი, მაგრამ არა პარლამენტის წევრი), შეუსაბამობა ზოგი პროფესიისთვის (ნოტარიუსი, იურისტი, საგადასახადო ინსპექტორი) და შეუსაბამობა ზოგი სამართლებრივი ფუნქციისთვის, როგორცაა: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ზოგიერთი ეს წესი წარსულის ანარეკლია, როცა საეკლესიო მსახურებს ადვილად შეეძლოთ გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე, ამჟამად ეს წესები მოძველებულია, რადგან სეკულარიზაციის პროცესმა განაპირობა საზოგადოების გარდაქმნა.

ზოგადი კანონის დებულებების შესაბამისად, ვილა მადამას ხელშეკრულება და სხვა კონფესიებთან ხელშეკრულებები შეიცავს წესებს, რომლებიც მონოდებულია საეკლესიო მსახურების სტატუსის დასარეგულირებლად.

ეს წესები, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას ეხება, მაგრამ ამ საკითხმა დაკარგა თავისი აქტუალურობა და მნიშვნელობა, რომელიც ადრე ჰქონდა, რადგან 2004 წელს იტალიაში სავალდებულო სამხედრო სამსახური გაუქმდა. შემდეგი მომენტი, რომლის რეგულირება წარმოებს ხელშეკრულების შესაბამისად (და ნაწილობრივ ზოგადი კანონის დებულებებით), საიდუმლოს ვალდებულებაა. ვილა მადამას ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, საეკლესიო პირებმა მოსამართლეებს ან სხვა პასუხისმგებელ

პირებს არ უნდა გაუმჟღავნონ ინფორმაცია იმ პირების ან ვითარების შესახებ, რომელიც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოიპოვეს. იმავე დებულებას შეიცავს ხელშეკრულებები ებრაელ საზოგადოებასა და პროტესტანტულ-ლუთერანულ ეკლესიასთან. სხვა ხელშეკრულებებში მსგავსი არაფერია აღნიშნული. თუმცა ამ დებულების არარსებობა არ იწვევს მნიშვნელოვან დისკრიმინაციას, რადგან სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცედურების კოდექსი ისედაც ითვალისწინებს სამღვდელოების მიერ საიდუმლოს შენახვის უფლებას სასამართლოში.

XI. სამორწინო და სამოჯახო სამართალი

1865 წლის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, იტალიაში შემოიღეს სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება, როგორც ქორწინების ერთადერთი ფორმა, რომელსაც ცნობდა სახელმწიფო. ამ რეფორმის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ეკლესიამ, რომელიც არასოდეს აღიარებდა იმ ფაქტს, რომ რელიგიურმა ქორწინებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა სახელმწიფო კანონმდებლობაში. ამ მიზეზის გამო მოლაპარაკებების დროს ქორწინების რეგულირების საკითხების განხილვამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რის ერთ-ერთი შედეგიც იყო Lateran Concordat-ის გაფორმება. 34-ე მუხლმა აღადგინა ქორწინების სამოქალაქო სამართლის კანონიერება *in facie Ecclesiae*: ამ მუხლით გათვალისწინებული იყო საეკლესიო ქორწინების დარეგისტრირება დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების რეესტრში, რომელიც ინახებოდა ყველა იტალიურ მუნიციპალიტეტში და ასე იღებდა სრულ ძალას სახელმწიფო კანონის მიხედვით. გარდა ამისა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საეკლესიო სასამართლოებს ენიჭებოდა საეკლესიო წესით გაფორმებული ქორწინებების გაუქმების კომპეტენცია. საეკლესიო კანონის შესაბამისად, ამ სასამართლოების გადაწყვეტილებები იღებდა სამოქალაქო კანონის ძალას აღიარების პროცედურით (*giudizio di delibazione*) იტალიის სააპელაციო სასამართლოებში. რასაკვირველია, კვლავ შესაძლებელი იყო იტალიელ მოქალაქეებს აერჩიათ ქორწინება სამოქალაქო წესის შესაბამისად, რომელსაც სრულად არეგულირებდა სახელმწიფო კანონი და იგი ექვემდებარებოდა სახელმწიფო სასამართლოების იურისდიქციას. არაკათოლიკური კონფესიების მიმდევრებისთვის შესაძლებელი იყო ქორწინების გაფორმება თავიანთი კონფესიის მღვდლის მიერ 1929 წლის № 1159 კანონის შესაბამისად, თუმცა (“კონკორდატის ქორწინებებისგან” განსხვავებით) ამ ქორწინების რეგულირება სახელმწიფო კანონმდებლობის და სასამართლოების საქმე იყო.

კონკორდატის 34-ე მუხლმა და 1929 წლის №847 კანონმა გამოიწვია უამრავი პრობლემა, რომელთა გამოსწორებასაც ვილა მადამას ხელშეკრულება შეეცადა 1929 წელს ჩამოყალიბებული ფუნდამენტური პრინციპების კომპრომისის გარეშე. ხელშეკრულების მე-8 მუხლი აღიარებს სამოქალაქო კანონით გაფორმებულ ქორწინებას, რომელიც შეესაბამება საეკლესიო სამართლის პირობებს, რომლის თანახმადაც სერტიფიკატი, რომელიც გაცემულია ცერემონიალის ჩამტარებელი საეკლესიო პირის მიერ, გადაეცა სახელმწიფო რეესტრს, სადაც ფიქსირდება დაბადების, ქორწინების და სიკვდილის ფაქტები. სამოქალაქო სამართლის ძალა იწყება ქორწინების მომენტიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სერტიფიკატის გადაცემა ჭიანჭურდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. შეუძლებელია დარეგისტრირდეს და სამოქალაქო სამართლის ძალა მიენიჭოს იმ პირების საეკლესიო ქორწინებას, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ სამოქალაქო ქორწინების გასაფორმებლად საჭირო ასაკისთვის (იგი შეადგენს 18 წელს ან სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში 16 წელს) ან თუკი არსებობს დაბრკოლება ქორწინებისთვის, რომლის გადალახვაც არ შეიძლება სამოქალაქო სამართლის შესაბამისად: ვილა მადამას ხელშეკრულების დამატებითი №4 ოქმი ამგვარ დაბრკოლებად მიიჩნევს შეურაცხადობას, ადრე არსებულ ქორწინებას, რაიმე სახის დანაშაულს და სისხლისმიერ პირდაპირ ნათესაობას. შესაძლო დაბრკოლებების დადგენის მიზნით მხარეებმა ქალაქის მუნიციპალიტეტში უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი განცხადება იმ ნესების მიხედვით, რომლებიც ასევე სამოქალაქო ქორწინებას ეხება. აღნიშნული გულისხმობს მცდელობას, რათა თავიდან ავიცილოთ რელიგიური ქორწინებების რეგისტრაციის გზით სამოქალაქო სამართლის კანონიერების მიღება, რომლის გაფორმებაც შეუძლებელი იქნებოდა სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, ასე დაცული იქნება მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ქორწინების შემთხვევაში იმ კონფესიის მიუხედავად, რომელსაც ისინი შეიძლება ეკუთვნოდნენ.

იგივე მუხლი აცხადებს, რომ მხარეების მიერ შესაბამისი განცხადების გაკეთების შემთხვევაში იტალიური კანონმდებლობის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია კანონიერად გამოაცხადოს საეკლესიო სასამართლოების მიერ გაუქმებული ქორწინება, რომელსაც ძალა აქვს საეკლესიო კანონების შესაბამისად. ამისათვის სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს შემდეგი (ა) გააჩნდა თუ არა საეკლესიო სასამართლოს შესაბამისი იურისდიქცია, რათა მხედველობაში მიეღო გაუქმების საფუძველი; (ბ) კანონიკური პროცედურის დროს გათვალისწინებული იყო მხარეთა უფლება გასაჩივრების შენარჩუნებასა და დაცვაზე იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოდიოდა იტალიის კანონების

ფუნდამენტურ პრინციპებთან²⁹¹; და (გ) ყველა შემდგომი წინაპირობა უცხოური სასამართლოს გასაწყვეტილების მისაღებად დაკმაყოფილებულ იქნა იტალიაში.

სამოქალაქო პროცედურების კოდექსის 797-ე მუხლში აღნიშნული პირობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმათ, რომლებიც მიუთითებს, რომ ეკლესიის მიერ ქორწინების გაუქმება არ უნდა ეფუძნებოდეს დებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება იტალიის კანონმდებლობას. ამ დებულების საფუძველზე მტკიცდება, რომ ეკლესიის გადანყვეტილება ქორწინების გაუქმების შესახებ ტიპური დენომინაციური მიზეზებით (მაგალითად, *disparitas cultus* სასულიერო პირად კურთხევა და ფიცი უცოდველობაზე) შეიძლება არ იყოს აღიარებული იტალიის კანონმდებლობის მიერ, რადგან ეს ეწინააღმდეგება რელიგიური თავისუფლების პრინციპს. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა მსგავსი კონფლიქტის არსებობას ეკლესიის გადანყვეტილებებში, რომლებიც ეხებოდა ქორწინების გაუქმებას ერთ-ერთი მხარის მხრიდან სიცრუის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, იტალიური კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ამგვარი გადანყვეტილებების სამართლიანად გამოცხადება “მოტყუებული” მხარის თანხმობის შემთხვევაში, ან თუ იგი არაა წინააღმდეგი, ან, რაც დამტკიცდება, რომ ტყუილი ცნობილი ან სულ ცოტა შესამჩნევი გახდა მაინც ამ უკანასკნელისთვის ქორწინებაში ყოფნის პერიოდში.

საეკლესიო სასამართლოების იურისდიქციის თემასთან დაკავშირებით ვილა მადამას ხელშეკრულების მე-8 მუხლი ორაზროვნად იქნა ფორმულირებული – შესაძლოა განზრახვაც კი, რაც მოლაპარაკებების პროცესში მხარეებს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობის გადალახვის სიძნელესთან იყო დაკავშირებული.

სახელდობრ, მუხლი არ იმეორებს ლათერანის ხელშეკრულების 34-ე მუხლის იმ ნათელ ფორმულირებას, რომელიც ადგენს, რომ შემთხვევები, რომლებიც ქორწინების გაუქმებას და განქორწინებას ეხება და გაფორმდა, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რჩება საეკლესიო სასამართლოების და კურიის დეპარტამენტების (*dicasteries*) კომპეტენციაში;

291 ევროპის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი იტალიის მიმართ (პელეგრინი იტალიის წინააღმდეგ, ნომ. 30882/96, ივლისი 20, 2001). სასამართლომ არაკანონიერად ცნო ფლორენციის სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკლესიის სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა “კონკორდატული ქორწინება”: ევროპის სასამართლოს შესაბამისად, საეკლესიო გადანყვეტილებამ არ დააკმაყოფილა სამართლიანი გადანყვეტილების პირობები, რომლებიც გარანტირებული იყო ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

საკლესიო სასამართლოს იურისდიქციის სასარგებლოდ რაიმე წინაპირობის არარსებობის გამო ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი აცხადებს, რომ ეს წინაპირობა უკვე აღარ არსებობს და სახელმწიფო სასამართლოები კომპეტენტურნი არიან ეკლესიასთან ერთად გამოაცხადონ კონკორდატის ქორწინებები გაუქმებულად. ეს შეხედულება მიიღო საკვასაციო სასამართლომ 1993 წლის თებერვლის გადაწყვეტილებაში და მას მიჰბაძა იტალიის სასამართლოების უმრავლესობამ.

წარსულში საეკლესიო ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ საჭიროა იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ თეორიულად რაოდენ საინტერესოც უნდა იყოს ეს პრობლემა, მას ძალიან მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან იტალიაში 1970 წელს, განქორწინების შემოღების მომენტიდან, განცხადებათა რიცხვი საეკლესიო სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე წელიწადში რამდენიმე ასეულამდე შემცირდა.

როგორც ვთქვით, მოქალაქეებმა, რომელთაც არ სურთ იქორწინონ *in facie Ecclesiae*, შეიძლება გააფორმონ სამოქალაქო ქორწინება ან, თუკი ისინი არიან კონფესიის წევრები, გარდა კათოლიკური ეკლესიისა, უნდა დაქორწინდნენ მათი საკუთარი კონფესიის მღვდლის მიერ 1929 წლის №1159 კანონის დებულებების შესაბამისად. ეს კანონი უკვე აღარ ეხება კონფესიებს, რომლებმაც მიაღწიეს შეთანხმებას იტალიის სახელმწიფოსთან. მაგრამ ქორწინების სამართლის დებულებები, რომლებსაც შეიცავს ხელშეკრულებები – თუნდაც ისინი იყოს მნიშვნელოვანი სიახლე, როგორცაა, მაგალითად, წინასწარი სახელმწიფო უფლებამოსილების გაუქმება მღვდლისათვის, რომელიც ატარებს საქორწინო ცერემონიას – არ ცვლის ქორწინების ინსტიტუტის სტრუქტურას, იგი მთლიანად რჩება სამოქალაქო სამართლის ფარგლებში თუნდაც ის ხდებოდეს რელიგიურ კონტექსტში.

XII. სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომელთა მიხედვითაც ისჯება ღვთის გმობა (რა რელიგიასაც უნდა ეხებოდეს იგი), სასულიერო პირების და სასულიერო ნივთების შეურაცხყოფა, რელიგიური ცერემონიებისთვის ხელის შეშლა (მუხლები 724-ე და 403-406-ე). ნამქმნებლობა ან დისკრიმინაცია რელიგიური მოტივებით ისჯება 1975 წლის №654 კანონით (რომელიც მოდიფიცირებულ იქნა 1993 წლის კანონით №205), რომელსაც ძალაში შეჰყავს იტალიაში გაეროს 1965 წლის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია.

XIII. ბიბლიოგრაფია

Legislation:

S. Berlingò/G. Casuscelli (ed.), Codice del diritto ecclesiastico, Giuffrè, Milano, 2003.

Textbooks:

F. Finocchiaro, Diritto ecclesiastico, Zanichelli, Bologna 2003.

C. Cardia, Ordinamenti religiosi e ordinamenti dello Stato, Bologna, Il Mulino, 2003.

Periodicals:

Il diritto ecclesiastico, Giuffrè, Milano.

Quaderni di diritto e politica ecclesiastica, Il Mulino, Bologna.

სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში

I. სოციალური ფაქტები

კვიპროსი, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული რესპუბლიკა, შეიქმნა 1960 წლის 16 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც მისი კონსტიტუცია შევიდა ძალაში და ბრიტანეთის ბატონობა ამ კუნძულზე, როგორც კოლონიაზე, დასრულდა. რესპუბლიკის შექმნა ციურისისა და ლონდონის ხელშეკრულებების შედეგი იყო. ისინი შემდგომ საფუძვლად დაედო კონსტიტუციას.

1973 წლის აღწერის მონაცემებით, კვიპროსის მოსახლეობა შეადგენდა 631,778 ადამიანს. აქედან 498,511 (78.9%) იყო ბერძნული თემი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სომხები, მარონიტები და რომაელი კათოლიკეები, 116,000 (18,4%) მიეკუთვნებოდა თურქულ თემს და 17,267 (2.7%) წარმოადგენდა სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ძირითადად ბრიტანელებს.

1974 წლის 20 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, რომლებიც კვიპროსის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული ერთიანობის ერთ-ერთი გარანტი იყო, თავს დაესხა ქვეყანას და დაიკავა კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი. ოკუპაციის შედეგად ამ რეგიონის ბერძნული და სხვა ქრისტიანი მოსახლეობა გახდა ლტოლვილი და გადაადგილდა კუნძულის სამხრეთ ნაწილში, ხოლო კუნძულის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები თურქები ნაქვების შედეგად გადაადგილდნენ ჩრდილოეთისკენ.

თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია დღემდე გრძელდება, რის გამოც კვიპროსის რესპუბლიკას არ შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია კუნძულის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კვიპროსის რესპუბლიკის ამჟამინდელი მოსახლეობის მიახლოებითი შეფასების ოფიციალური სტატისტიკა, 83% არის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევარი, 13%-ს შეადგენენ მუსლიმანები (ამ ხალხის თითქმის მთლიანი რაოდენობა ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელსაც ვერ აკონტროლებს რესპუბლიკა), 0.6% არიან მარონიტები, 0.6% – სომხები და 0.3% – რომაელი კათოლიკეები, მოსახლეობის 2.5% ეკუთვნის სხვა ეკლესიებს.

II. ისტორიული მონაცემები

თუ არ გავითვალისწინებთ არაბთა ცალკეულ თავდასხმებს, კვიპროსი რვა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, 325-1191 წლებში, ბიზანტიის იმპერიის ნაწილი იყო, ხოლო ქრისტიანობა – კუნძულის სახელმწიფო რელიგია. ფრანკთა მმართველობის დროს (1191-1489) რომაულ-კათოლიკური ან ლათინური ეკლესია გახდა სამეფოს ოფიციალური ეკლესია კვიპროსის ბერძნული ავტოკეფალიური ეკლესიის ხარჯზე. ვენეციური პერიოდის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა 82 წლის (1489-1571) განმავლობაში, ოსმალეთის მმართველობა გაგრძელდა სამ საუკუნეზე მეტხანს (1571-1878). ამ პერიოდის განმავლობაში და შემდგომ, ბრიტანეთის ოკუპაციის დროს, რომელიც დამყარდა ოსმალეთის იმპერიის მმართველობის შემდეგ (1878-1960), მართლმადიდებელ ეკლესიას ორმაგი როლი ეკისრა. ის იყო რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებდა ღვთისმსახურებას კუნძულის მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის და ამავე დროს – ბერძნების ეროვნული საერთო-სახალხო პოლიტიკური კოალიციის წარმმართველი ძალა უცხოური გამგებლობის ქვეშ.

1878 წელს ოსმალეთის იმპერიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, დიდმა ბრიტანეთმა მოიპოვა კვიპროსის ფლობის და მართვის უფლება. სულთანმა შეინარჩუნა კუნძულის შეზღუდული ფლობა და კვიპროსის მოსახლეობა დარჩა ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომად. დიდი ბრიტანეთი დათანხმდა შეინარჩუნებინა სტატუს-კვო, უფლებაუნარიანობის ჩათვლით, რომელსაც ანიჭებდა დიდი ბრიტანეთის საიმპერიო ბრძანება, Hatt-i-Humayun (1856წ.), ეკლესიებისა და სხვადასხვა რელიგიის ხელმძღვანელობას²⁹². ეს უფლებაუნარიანობა მოიცავდა სასულიერო უპირატესობებსა და შეღავათებს. ამგვარი ვითარება შეინარჩუნა დიდმა ბრიტანეთმა 1914 წელს კვიპროსის ოკუპაციის შემდეგაც თურქეთის მიერ აღნიშნული ანექსიის აღიარების შემდეგ, 1923 წელს და კუნძულის დიდი ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადების შემდგომ, 1925 წელს²⁹³.

1914 წლის მართლმადიდებლური ეკლესიის წესდება შეადგინა და აამოქმედა თავად ეკლესიამ ბრიტანეთის ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. იგი ძალაში იყო 66 წლის განმავლობაში, 1980 წლის წესდების

292 See A. Emilianides, “კერძო საერთაშორისო სამართალი”, 90, C. Tornaritis, “ურთიერთობები”, 11.

293 C. Papastathis, ადმინისტრაციული ორგანიზაციის შესახებ, 29.

ამოქმედებამდე, რომელიც კვლავ ძალაში რჩება. კვიპროსის ეკლესია დაფუძნდა როგორც იურიდიული პირი მისი არსის შემდგომი განსაზღვრის გარეშე (მუხლი 94-ე). შეიძლება სრული დამაჯერებლობით ითქვას, რომ ეკლესია საკუთარ თავს მიიჩნევდა კერძო სამართლის იურიდიულ პირად. წესდებას არასოდეს ენიჭებოდა სახელმწიფო უფლებამოსილება და ეკლესიაზე არ ხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი, რაც აუცილებლად მოხდებოდა, თუ ეკლესია იქნებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეკლესიის მიერ გამოცემულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის აქტებს, საეკლესიო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ქორწინებებს, რომლებიც გაფორმებული იყო მხოლოდ საეკლესიო ცერემონიის მეშვეობით, აღიარებდა სახელმწიფო ადმინისტრაცია და მართლმსაჯულება. ამ სიტუაციის გამო დიდმა ბრიტანეთმა კვიპროსის ანექსიის შემდეგ ამ სფეროში შეინარჩუნა არსებული ვითარება.

მართლმადიდებელი ეკლესიის და სხვა ეკლესიების და რელიგიების სტატუსი დადასტურდა 1935 წლის კანონის შესაბამისად, რომელიც ეხებოდა მართლმსაჯულების აღსრულებას. იგი ერთმნიშვნელოვნად გამოორიცხავდა სახელმწიფო სასამართლოების იურისდიქციიდან “ნებისმიერ დისკუსიას საქორწინო საკითხებზე საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრებს შორის ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინება გაფორმებული იყო ...ცერემონიის მიხედვით. ნებისმიერი სხვა შემთხვევა, რომელიც ოსმალეთის კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებდა წინათ კვიპროსში, განეკუთნებოდა მოსარჩელე მხარეების რელიგიური საზოგადოებრიობის საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციას”.

ეპისკოპოსების არჩევა და საეკლესიო ქონების მართვა ითვლება მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმედ. კანონები 33/1937 და 34/1937, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ არჩეული არქიეპისკოპოსები უნდა ყოფილიყვნენ დამტკიცებული კოლონიური მთავრობის მიერ, იყო მცდელობა, შეზღუდულიყო ეკლესიის პრივილეგიები, მაგრამ ეკლესიის მხრიდან მძლავრი პროტესტის შემდეგ ეს პრაქტიკა შეიცვალა კანონით 20/1946. ეკლესიის უფლება, აერჩია არქიეპისკოპოსი და განეხორციელებინა თავისი საშინაო საქმეების მართვა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე, დადასტურდა ნიქოზიის საოქლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (343/1948).

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

რესპუბლიკაში არსებული რელიგიის/გაერთიანებების საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ბაზაა კვიპროსის კონსტიტუცია. ორმაგი საზოგადოებრივი სტრუქტურის გამო, რომელიც ასახავს თავისი მოქალაქეების რელიგიას, კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი ეხება რელიგიას. კონსტიტუციის ძირითადი მუხლები, რომლებიც რელიგიის საკითხებს ეხება, შემდეგია: მე-18 მუხლი, რომელიც იძლევა რელიგიური თავისუფლების გარანტიას. 23-ე მუხლი (მე-9 და მე-10 ნაწილები), რომლის მიხედვითაც აკრძალულია ქრისტიანული და მუსლიმანური გაერთიანებების და ინსტიტუტების ქონებრივი უფლებების შეზღუდვა შესაბამისი საეკლესიო ხელისუფლების ან თურქული სათემო პალატის თანხმობის გარეშე; 87-ე (ს) მუხლი, რომლის შესაბამისადაც ორივე თემის ყველა რელიგიურ საკითხზე სამართლებრივი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ორივე სათემო პალატას; 110-ე მუხლი, რომელიც იცავს ყველა სარწმუნოების ავტონომიას და ქონებას და 111(1)-ე მუხლი, რომელიც მოიცავს საოჯახო სამართლის საკამათო საკითხებს.

კონსტიტუციის მე-18 მუხლი იძლევა რელიგიის თავისუფლების გარანტიას რელიგიური სინდისის და რწმენის თავისუფლების ჩათვლით. ეს მუხლი ბევრ საკითხში შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლს (რაციფიცირება მოხდა კვიპროსში კანონის 39/1962 მეშვეობით), მაგრამ მე-18 მუხლი უფრო დეტალურია და მისი დებულებები მოიცავს იმ ასპექტებსაც, რომლებიც არ არის განხილული მე-9 მუხლში.

მე-18(1) მუხლის შესაბამისად, “ყველა პიროვნებას გააჩნია აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება”. ამრიგად, აზრის თავისუფლება გარანტირებულია ნებისმიერი პირისთვის – მოწმუნისა თუ ათეისტისთვის, მიუხედავად იმისა, იგი კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქეა თუ არა. მე-8(2) მუხლის მიხედვით, “ყველა რელიგია, რომელთა დოქტრინა ან რიტუალი არაა ფარული, თავისუფალია”.

მე-18(3) მუხლის შესაბამისად, “ყველა რელიგია თანასწორია კანონის წინაშე. მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით არსებული სათემო პალატების მიმართ რაიმე მიკერძოების გარეშე რესპუბლიკის საკანონმდებლო, აღამასრულებელი ან ადმინისტრაციული აქტი არ უნდა გულისხმობდეს რელიგიური ინსტიტუტების ან რელიგიის დისკრიმინაციას”. უნდა აღინიშნოს, რომ სათემო პალატები უკვე აღარ არსებობს. მოხდა ბერძნული სათემო პალატის თვითლიკვიდაცია. მისი

საკანონმდებლო კომპეტენცია გადაეცა წარმომადგენლობით პალატას, ხოლო ადმინისტრაციული უფლებამოსილება – სხვადასხვა სამინისტროს. თურქეთის სათემო პალატა დე ფაქტო აღარ არსებობს თურქების გადაადგილების გამო მათ მიერ კუნძულის ოკუპირებული ნაწილისაკენ.

მე-18(4) მუხლის შესაბამისად, გარანტირებულია პიროვნების რელიგიური თავისუფლება: “ყველა პიროვნება თავისუფალია და აქვს რწმენის აღიარების, რელიგიის ან რწმენის ღია გამოვლენის, მისი თაყვანისცემის, სწავლების, პრაქტიკული საქმიანობის ან რელიგიური რიტუალის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, პირადად ან სახალხოდ გამოვლენის და რელიგიის ან რწმენის შეცვლის უფლება”. ნებისმიერი პირისთვის აკრძალულია არაკანონიერი პროზელიტიზმი რომელიმე რელიგიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რადგან მე-18(5) მუხლის შესაბამისად აკრძალულია “ფიზიკური ან მორალური ძალდატანება იმ მიზნით, რომ პიროვნებამ რელიგია შეიცვალოს ან ხელი შეეშალოს მის შეცვლაში”. თუმცა ეს საკონსტიტუციო ნორმა ჯერ კიდევ არ არის ასახული სხვა საკანონმდებლო აქტებში.

პიროვნების მიერ თავისი რელიგიური რწმენის გამოვლენის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მე-18(6) მუხლით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მსგავსი შეზღუდვა რეკომენდებულია კანონით და განპირობებულია შემდეგი ინტერესებით:

- ა) რესპუბლიკის უსაფრთხოება;
- ბ) საკონსტიტუციო წყობა;
- გ) სახელმწიფო უსაფრთხოება;
- დ) სახელმწიფო წყობა;
- ე) საზოგადოებრივი ჯანმრთელობა;
- ვ) საზოგადოებრივი მორალი;
- ზ) კონსტიტუციის მიერ გარანტირებული თითოეული პიროვნების უფლებების და თავისუფლებების დაცვა.

გარდა ზემოთ ნახსენები პირობებისა, რელიგიური რწმენის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა ჩაითვალოს შესაძლებლად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9(2) მუხლის შესაბამისად.

კონსტიტუციის მე-18(7) მუხლი ადგენს, რომ “იმ მომენტამდე, სანამ პიროვნება მიაღწევს თექვსმეტი წლის ასაკს, გადაწყვეტილება რელიგიის შესახებ, რომელიც მან უნდა აღიაროს, უნდა მიიღოს იმ პირმა, რომელიც ახორციელებს კანონიერ მეურვეობას ამ პიროვნებაზე”. დასასრულ, მე-18(8) მუხლის შესაბამისად, “არც ერთ პიროვნებაზე არ უნდა განხორციელდეს ძალადობა, იმ მიზნით, რომ მან გადაიხადოს გადასახადი ან საბაჟო მოსაკრებელი, რომლის ამონაგებიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება მისი აღმსარებლობისგან განსხვავებული რელიგიის მიზნებისთვის”.

მე-10(3b) და 28(2)-ე მუხლი არაპირდაპირ უკავშირდება რელიგიურ თავისუფლებას. მე-10(3b) მუხლში ნათქვამია, რომ ტერმინი “იძულებითი ან სავალდებულო მუშაობა”, რომელთა შესრულება არ ევალუება არც ერთ პიროვნებას, არ უნდა გულისხმობდეს “სამხედრო ხასიათის სამსახურს, თუკი ის თავსმოხვეულია ან თუ უარი სამხედრო სამსახურზე განპირობებულია რელიგიური მოსაზრებით. ამასთან იგი აღიარებული უნდა იყოს კანონით და ჩანაცვლებული სამსახურით, რომლის შესრულება აუცილებელია სავალდებულო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ”. მოცემული ახდენს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4(3b) მუხლის რეალიზაციას და ძალაში შეჰყავს საკანონმდებლო აქტი, რათა გაათავისუფლოს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან პირები, რომლებიც უარს ამბობენ მასზე რწმენის გამო და მოითხოვს მათგან სხვა სახის სამსახურის განევას. კვიპროსის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რელიგიური თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა, რომელიც გამოწვეულია აღნიშნული სამსახურის გამო გამართლებულია, იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომლებიც არსებობს კვიპროსში²⁹⁴.

კონსტიტუციის 28(2)-ე მუხლში, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის რეალიზაციას რომ ახდენს, ნათქვამია: “ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს კონსტიტუციაში მოცემული უფლებებით და თავისუფლებებით ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე პიროვნების მიმართ და გამოწვეული ამა თუ იმ თემის წევრობით, მისი რასობრივი წარმოშობის, რელიგიის, ენის, სქესის, პოლიტიკური ან სხვა რწმენის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, დაბადების, კანის ფერის, ქონების, სოციალური კუთვნილების ან რაიმე სხვა საფუძვლის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონსტიტუციაში მოცემულის რამე სანინაალმდეგო დებულებაა”. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია

294 ამის გამო იელოვას მოწმეების რელიგიური შეხედულებები არ იყო ჩათვლილი კანონიერ საფუძვლად, რათა არ მომხდარიყო მათი განვევა ეროვნულ გვარდიაში. იხ. მიქაელ ანდრუა პიცილიდისი და სხვა რესპუბლიკის წინააღმდეგ (1983) 2 C.L.R 374.

შეიცავს რიგ დებულებებს, რომლებიც ამჟამად არ არის ძალაში და მათ შეუძლია მნიშვნელოვანი რელიგიური დისკრიმინაციის, როგორც კონსტიტუციის ორმაგი თემობრივი ხასიათის შედეგის, გამოწვევა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 109-ე მუხლის თანახმად, “რელიგიურ ჯგუფს” აქვს უფლება წარმოდგენილი იყოს მსგავსი ჯგუფის ან ჯგუფების არჩეული წევრით, ან წევრებით საზოგადოების თემთა პალატაში, რომელთანაც მიერთება გადანყვიტა თავად ჯგუფმა, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამის სათემო კანონში. მას შემდეგ, რაც მოხდა ბერძნული თემთა პალატის თვითლიკვიდაცია, სამი “რელიგიური ჯგუფის” წევრები, გარდა მათთვის მინიჭებული უფლებისა, აერჩიათ და ყოფილიყვნენ არჩეული საპარლამენტო არჩევნებში, აგრეთვე ირჩევენ, როგორც რელიგიური ჯგუფის წევრები, ერთ წევრს თითოეული ჯგუფიდან, რათა ამ წევრმა წარმოადგინოს ეს ჯგუფი პარლამენტში. ეს წევრი აწარმოებს ზედამხედველობას ყველა საქმეზე, რომლებიც კავშირშია ჯგუფთან, მაგრამ მას არა აქვს ხმის მიცემის უფლება (კანონი 38/1976).

მე-18 და 110-ე მუხლები აღიარებს იმ რელიგიურ კანონებს, რომლებიც მართავს რელიგიის და რწმენის შიდა საქმეებს. 110(1)-ე მუხლი ადასტურებს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებას, არეგულიროს და მართოს თავისი საშინაო საქმეები და საკუთრება, განაპირობებს ამ უფლების განხორციელებას “წმინდა კანონების და მისი წესდების შესაბამისად, რომლებიც იმ დროისთვის ძალაშია”. ძალაში მყოფი წმინდა კანონები, რომელთა უფლებამოსილება გარანტირებულია კონსტიტუციის მიერ, არის არა მხოლოდ ისინი, რომლებიც ეხება ეკლესიის დოქტრინას, არამედ ისინიც, რომელიც ეხება ეკლესიის საშინაო საქმეების მართვას და საკუთრებას. აღნიშნული მოიცავს დოქტრინების მკაცრ დაცვას (დოქტრინის დანაყოფი) და საეკლესიო კანონის ფუნდამენტური ადმინისტრაციული ინსტიტუტების გავლენას, რომელიც ანიჭებს ეკლესიას თავის მართლმადიდებლურ ხასიათს (კანონიკური დანაყოფი). გარდა წმინდა კანონებისა, კონსტიტუცია აგრეთვე აკეთებს მითითებას კვიპროსის ეკლესიის წესდებაზე. აქ ჩნდება კითხვა – აქვს თუ არა კვიპროსის ეკლესიას საკუთარი საკანონმდებლო უფლებამოსილება და აქედან გამომდინარე, უფლება, მოამზადოს და ძალაში შეიყვანოს ახალი წესდება?

საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეკლესიას აქვს უფლება, თავისუფლად გამოსცეს კანონები იმ პირობის დაცვით, რომ მისი ახალი წესდება არ იქნება წინააღმდეგობაში საღვთო წერილთან, წმინდა ტრადიციებთან და იმ წმინდა კანონებთან, რომლებიც აღიარებულია ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ. იმავეს ადასტურებს კონსტიტუციაც. 110(1)-ე მუხლი ადგენს,

რომ ეკლესიას “აქვს ექსკლუზიური უფლება, დაარეგულიროს და მართოს თავისი საშინაო საქმეები და საკუთრება” და “საბერძნეთის თემთა პალატა არ იქნება არათანამიმდევრული ამგვარი უფლების გამოყენების საქმეში”. გარდა ამისა, 111(1)-ე მუხლი აღიარებს, რომ კვიპროსის ეკლესიას, ისევე, როგორც სხვა ეკლესიებს, აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება. იგი ადგენს, რომ “საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრების ზოგი მატრიმონიალური ინსტიტუტები” უნდა იმართებოდეს საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ან მსგავსი რელიგიური ჯგუფის ეკლესიის კანონმდებლობის მიერ”. ამის შედეგად კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს უფლება, მოამზადოს და აამოქმედოს ახალი წესდება. კონსტიტუციის მიერ აღიარებულია თითოეული მსგავსი მოქმედი წესდების გაზრდილი გავლენა, იმ პირობით, რომ ძალაში მყოფი წესდება მომზადებულია და მიღებულია ეკლესიის მიერ წმინდა კანონების შესაბამისად. თუ ახალი წესდება შეიცავს დებულებებს საკითხებზე, რომლებიც არ იყო შეტანილი 1914 წლის წესდებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ძალაში შევიდა კონსტიტუცია, მაშინ ეს საკითხები არ იქნება გარანტირებული კონსტიტუციის მიერ²⁹⁵.

კვიპროსის ეკლესიის ახალი წესდება ძალაში შევიდა 1980 წლის 1 იანვარს. იგი შედგება 355 მუხლისგან, რომლებიც დაყოფილია ცხრა თავად. მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- 1) ეკლესიის ადმინისტრირების სინოდური სისტემის გაძლიერება;
- 2) საერო წარმომადგენლების საკმაო რაოდენობის მონაწილეობა საეკლესიო ადმინისტრირებაში და მიტროპოლიტების და არქიეპისკოპოსების არჩევაში;
- 3) მამაკაცების და ქალების თანასწორობა საეკლესიო ორგანიზაციების ადმინისტრირების განხრით და არჩევითი ასამბლეები – თუმცა ეს საკითხები მთლიანად არ განეკუთვნება საოჯახო სამართლის საქმეების სფეროს;
- 4) საეკლესიო მსახურების და ეკლესიაში მომსახურე სხვა პირების ფინანსური ანაზღაურება;
- 5) ფინანსური მენეჯმენტის დეტალური აუდიტი²⁹⁶.

295 C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე, 58ff.

296 C. Papastathis, “ახალი წესდება”.

2. სისტემური მიდგომის კატეგორიები

კონსტიტუციამ არ შექმნა ახალი შიდასამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვა რელიგიისთვის კვიპროსში²⁹⁷. მან ძალაში დატოვა ოსმალეთის იმპერიის კანონები, განსაკუთრებით Hatt-i-Humayun, თითოეული რელიგიური საზოგადოების და რელიგიური ჯგუფის რელიგიური კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

- 1) მათ რელიგიურ საქმეებს თუ საქმიანობას;
- 2) საოჯახო სამართლის ინსტიტუტებს და სათანადო რელიგიური სასამართლოების მიერ მათდამი ქვემდებარე სადავო საკითხების გადანაცვლას. თუმცა ეს ოურისდიქცია ექვემდებარება კონსტიტუციის დებულებებს. რელიგიური კანონის ნებისმიერი დებულება, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციას, არ ხორციელდება.

კონსტიტუციის 110(1)-ე მუხლის შესაბამისად, კვიპროსის საბერძნეთის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას კვლავ აქვს თავისი საშინაო საქმეების და საკუთრების რეგულირების და ადმინისტრირების უფლება წმიდა კანონების და აღნიშნული პერიოდისათვის ძალაში მყოფი წესდების შესაბამისად. საბერძნეთის სათემო პალატამ (ამჟამად წარმომადგენლობითმა პალატამ) არ უნდა იმოქმედოს არათანამიმდევრულად მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავს უფლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 111(1)-ე მუხლში ნათქვამია, რომ ნებისმიერი პროცესი, რომელიც უკავშირდება საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრების ნიშნობას, ქორწინებას, განქორწინებას, ქორწინების გაუქმებას, დაშორებას, სასამართლოს დადგენილების შესაბამისად, მეუღლეების უფლებების აღდგენას ან საოჯახო კავშირებს (გარდა ლეგიტიმიზაციისა სასამართლოს დადგენილებით ან შვილად აყვანისა) უნდა იმართებოდეს საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანონის შესაბამისად და უნდა იქნეს აღიარებული ეკლესიის სასამართლოს მიერ. ბერძნულ თემთა პალატას არ აქვს უფლებამოსილება, იმოქმედოს კანონის დებულებებთან შესაბამისობის გარეშე, მაშინ, როდესაც საეკლესიო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება ევალებათ რესპუბლიკის საჯარო მოხელეებს (90(5)-ე მუხლის, 111(2)-ე მუხლის შესაბამისად)²⁹⁸. უნდა აღინიშნოს, რომ 111-ე მუხლი “მონოდებული იყო შეენარჩუნებინა და არა განევრცო საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასამართლოების კომპეტენცია, როგორც ეს ხდებოდა კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროს”²⁹⁹.

297 C. Tornaritis, “ურთიერთობები”, 13.

298 მუხლი 111-ე საბოლოოდ იქნა შეცვლილი. იხ. ნაწილი III.

299 Myrianthi Charalambous Christodoulou Tyllirou v Charalambos Christodoulou Tylliros 3 R.S.C.C 21.

მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა აღნიშნული უფლება ასევე გარანტირებულია რესპუბლიკის სხვა “რელიგიური ჯგუფებისთვის”, რომლებზეც ვრცელდება კონსტიტუციის მე-2(3) მუხლის დებულებები (110(3)-ე, 111(1)-ე მუხლები). კონსტიტუციური თვალსაზრისით, “რელიგიური ჯგუფი” არის პირების ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობს კვიპროსში, აღიარებს ერთ რომელიმე რელიგიას ან ეკუთვნის იმავე რიტუალურ ჯგუფს ან ექვემდებარება იმავე იურისდიქციას. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისთვის ამ ჯგუფების წევრთა რაოდენობა აღემატებოდა ათასს, საიდანაც, სულ მცირე, ხუთასი გახდა რესპუბლიკის მოქალაქე იმ დროისთვის (მე-2(3) მუხლი). “რელიგიური ჯგუფების” შემადგენლობაში შედიან სომხები, მარონიტები და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წევრები (დანართი “ე” – დაფუძნების ხელშეკრულება გაერთიანებულ სამეფოს, საბერძნეთს, თურქეთსა და კვიპროსის რესპუბლიკას შორის). მათ აირჩიეს ბერძნული საზოგადოების წევრობა და ამჟამად ცხოვრობენ ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს კვიპროსის რესპუბლიკა. სხვა რელიგიების და წეს-ჩვეულებების წარმომადგენლები (როგორებიცაა: იელოვას მონაწილეები ან მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც იყენებენ ძველ კალენდარს) სარგებლობენ რელიგიური თავისუფლებით, მაგრამ არ ითვლებიან “რელიგიურ ჯგუფებად” საკონსტიტუციო თვალსაზრისით.

110(2)-ე მუხლი აღიარებს Evkaf-ის (1571 წლიდან მუსლიმანთა სათემო ადმინისტრირების ორგანო) ინსტიტუტებს, კანონებს და პრინციპებს იმგვარად, როგორც ხელსაყრელია მუსლიმანური რელიგიისთვის³⁰⁰. იგი უზრუნველყოფს, რომ “ყველა საკითხი, რომლებიც უკავშირდება ან რამენაირად დაკავშირებულია Evkaf-ის ინსტიტუტთან ან დაფუძნებასთან, ასევე Evkaf-ის ქონება იმ საკუთრების ჩათვლით, რომელიც მეჩეთს ეკუთვნის და ნებისმიერი სხვა მუსლიმანური რელიგიური ინსტიტუტი, იმართება მხოლოდ Evkaf-ის კანონებით და პრინციპებით (ahkamul evkaf), ასევე კანონებით და ნორმატივებით, რომლებიც ძალაშია ან მომზადებულია თურქეთის თემთა პალატის მიერ. არც ერთი საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან სხვა აქტი არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი ან უპირატესი, ან არ უნდა გადაფაროს Evkaf-ის შესაბამისი კანონები ან პრინციპები და თურქეთის სათემო პალატის მსგავსი კანონები და ნორმატივები. კონსტიტუცია არ შეიცავს დებულებას, რომელიც 111(1)-ე მუხლის მსგავსია, იგი აკანონებს მუსლიმანური რელიგიური ინსტიტუტების კომპეტენციას საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებით თურქეთის კვიპროსული ინსტიტუტების რადიკალური ცვლილებების გამო ქემალის რეფორმების მიღების შემდგომ³⁰¹.

300 See K. Dizdar, “კვიპროსის Evkaf-ის წარმოშობა და ადმინისტრაცია”.

301 A. Emilianides, “კერძო საერთაშორისო სამართალი”, 91.

23(9)-ე მუხლი მიუთითებს, რომ არანაირი შეზღუდვა ან აკრძალვა უფლების, მიიღოს, ფლობდეს, განკარგავდეს ნებისმიერ მოძრავ ან უძრავ ქონებას, რომელიც ეკუთნის რომელიმე ეპარქიას, მონასტერს, ეკლესიას ან უფლება მასზე ან ინტერესი მის მიმართ, არ იქნება განხორციელებული, გარდა წერილობითი თანხმობისა, იმ შესაბამისი საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ახორციელებს კონტროლს მსგავს ქონებაზე.

ამგვარი უფლება ენიჭება ყველა მუსლიმანურ რელიგიურ ინსტიტუტს. 23(10)-ე მუხლის შესაბამისად, მსგავსი განკვეთა, შეზღუდვა ან აკრძალვა არ შეიძლება დაეკისროს ნებისმიერი ვაკვის უძრავ ან მოძრავ ქონებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამაზე არსებობს თურქული სათემო პალატის თანხმობა და იგი შესაბამისობაშია Evkaf-ების კანონებთან და პრინციპებთან. ამგვარი ქონება მოიცავს Evkaf-ების ობიექტებს და ქონებას, რომლებიც ეკუთვნის მეჩეთს ან ნებისმიერ სხვა მუსლიმანურ რელიგიურ ინსტიტუტს, ან რაიმე უფლებას, ან ინტერესს.

ამ კონსტიტუციური დებულებებიდან ნათელია, რომ არც ერთი რელიგია ან სარწმუნოება არ არის კვიპროსში აღიარებული როგორც ოფიციალური რელიგია. ამიტომ:

- ა) არ არსებობს უპირატესი რელიგია ან სახელმწიფო რელიგია და
- ბ) სახელმწიფო არაკონფესიურია.

ამგვარად, სახელმწიფო მოხელეები პოსტის მიღების დროს არ დებენ ფიცს. ისინი მხოლოდ გამოხატავენ პატივისცემას და ადასტურებენ თავიანთ ლოიალურობას ქვეყნის კანონმდებლობისა და კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, კონსტიტუციის 42(1)-ე, 59(4)-ე, 69-ე და მე-100 მუხლების შესაბამისად.

საკონსტიტუციო დებულებებმა ჩაანაცვლა სახელმწიფოს და რელიგიის ზომიერი განცალკევების სისტემა, რომელიც დომინირებდა ქვეყანაში ინგლისის მმართველობის დროს, მის მაგივრად კი შემოიღო კოორდინაციის სისტემა კვიპროსის რესპუბლიკაში ყველა სხვა რელიგიებისა და ქრისტიანული რწმენისთვის. ამიტომ:

- 1) ყველა რელიგია და სარწმუნოება კვიპროსში უშუალოდ ახორციელებს მხოლოდ საკუთარ საქმიანობას და ისინი არ ერევიან სახელმწიფოს საქმეებში;

- 2) სახელმწიფო ცნობს ფართო დისკრეციულ უფლებას მათ სასარგებლოდ და არ აქვს უფლება, ჩაერიოს რელიგიური გაერთიანებების სამინაო საქმეებში;
- 3) საკითხის წარმოშობისთანავე, რომელიც საერთო ინტერესებშია (როგორცაა: რელიგიური განათლება და საოჯახო სამართალი), სახელმწიფო და რელიგიური გაერთიანებები თანაბარ პირობებში აწარმოებს დებატებს³⁰².

ეს სისტემა ძალაშია, თუმცა მართლმადიდებელი ქრისტიანული და ისლამური რელიგია ასრულებს კვიპროსის რეპუბლიკის ბისაზოგადობრივი ხასიათის ერთ კრიტერიუმს. კონსტიტუციის მე-2(1) მუხლის შესაბამისად, ბერძნული თემი შედგება რესპუბლიკის მოქალაქეებისგან, რომლებიც საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები არიან, მაშინ, როდესაც მუსლიმანური რელიგიის მიმდევარი მოქალაქეები ეკუთნიან თურქულ თემს (მუხლი მე-2(2)). როგორც აღნიშნა, როდესაც “რელიგიურ ჯგუფებს” მოუხდა არჩევანის გაკეთება ბერძნულ და თურქულ თემებს შორის კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში (მუხლი 2(3)), მათ აირჩიეს ბერძნული თემი.

ეს განსაკუთრებული სტატუსი ორი რელიგიისთვის არ ნიშნავს მათთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებას სხვა რელიგიების ხარჯზე.

IV. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

ადრე არსებული წესდება აფუძნებდა კვიპროსის ეკლესიას როგორც იურიდიულ პირს (მუხლი 94-ე). ახლანდელი წესდება შეიცავს მსგავს დებულებას, თუმცა მხოლოდ განსაკუთრებული საეკლესიო გაერთიანებებისათვის: მეტროპოლიებისათვის (მუხლი 153-ე), სამრევლო ეკლესიებისათვის (მუხლი მე-80(3) და 160-ე), მონასტრებისათვის (მუხლი 184-ე), საეკლესიო ქონების მართვის კოლექტიური ორგანოებისათვის (მუხლი 210-ე) და რიგი საქველმოქმედო ფონდებისათვის, რომლებიც არსებობს ეკლესიებთან (მუხლი 190-ე), მაგრამ არა ეკლესიისათვის. უდავოა, რომ ეკლესია რჩება იურიდიულ პირად, რადგან:

302 C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე 34.

- 1) ადრე არსებული წესდება კვლავ ძალაშია კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ოცი წლის შემდეგ;
- 2) ყველა რელიგიის და სარწმუნოების, ისევე როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის ინსტიტუციური სტატუსი განისაზღვრება კონსტიტუციის 110(1)-ე მუხლით. გარდა ამისა, ეკლესია უნდა იქნეს განხილული როგორც იურიდიული ერთეული საჯარო კანონის დაქვემდებარებაში, რადგან კონსტიტუცია მას ანიჭებს ძალაუფლებას, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს³⁰³.

თუმცა, კვიპროსის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეკლესია არაა მიჩნეული რესპუბლიკის “ორგანოდ” ან “ხელისუფლებად” კონსტიტუციის 139-ე მუხლის თვალსაზრისით³⁰⁴. ამ მუხლის თანახმად, “ორგანოები” ან “ხელისუფლება” ნიშნავს სპეციალურ იურიდიულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვს მთავრობის ინდივიდუალური და ფუძემდებელი ინსტიტუტების ნიშნები და ფუნქციონირებს ისეთი იურიდიული ერთეულისთვის და ისეთი სახელით, როგორცაა კვიპროსის რესპუბლიკა³⁰⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ცნობილი რელიგია ამჟამად აღიარებულია როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. საჭირო არაა, რელიგიები დარეგისტრირდეს სამთავრობო სტრუქტურებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ სურთ მონაწილეობის მიღება ფინანსურ ტრანზაქციებში.

V. ეკლესია და კულტურა

დანებებით და საშუალო სკოლებში რელიგიური განათლება მიმდინარეობს აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლების შესაბამისად. მართლმადიდებელი მონაფეხებისთვის დასწრება სავალდებულოა. საშუალო სკოლებში რელიგიის კურსს ასწავლიან საუნივერსიტეტო ღვთისმეტყველების კურსდამთავრებულები, ხოლო დანებებით სკოლებში – სკოლის მასწავლებლები. არსებობს აგრეთვე დანებებითი და საშუალო საგანმანათლებლო ინსტიტუტები სომეხი მოსწავლეებისთვის. მართლმადიდებელ ეკლესიასთან და სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან აგრეთვე მოქმედებს საკვირაო სკოლები.

303 C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე 37ff.

304 Autocephalous, Saint, Orthodox and Apostolic Church of Cyprus v The House of Representatives, (1990) 3 C.L.R. 338.

305 Fuat Celaleddin and Others v The Council of Ministers and Others, 5 R.S.C.C 102.

კვიპროსის უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს ღვთისმეტყველების სკოლა. მათ, ვისაც სურს თეოლოგიის სწავლა, მიემგზავრება საზღვარგარეთ, ძირითადად საბერძნეთში, სადაც მართლმადიდებლურ თეოლოგიურ აკადემიებს აქვს საუნივერსიტეტო კოლეჯის სტატუსი. წმიდა სინოდის ზედამხედველობით ნიქოზიაში ფუნქციონირებს "Apostolos Vanavas" სამღვდლო სკოლა, როგორც კიკოსის მონასტერთან არსებული.

უნდა აღინიშნოს, რომ კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასევე იგი ფლობს კერძო რადიოსადგურს, სახელწოდებით "Logos" და კერძო სატელევიზიო არხს, რომელიც მიაქირავებს ბერძნულ "Mega Channel"-ს.

VI. საეკლესიო ადმინისტრაცია

საეკლესიო ადმინისტრაცია იყოფა ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებად.

1. ცენტრალური ინსტიტუტებია: ა) წმიდა სინოდი და ბ) არქიეპისკოპოსი.
 - ა) როგორც ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რელიგიური კონგრეგაცია (საეკლესიო მსახურები, ბერები, საერო წარმომადგენლები) კვიპროსის ეკლესიაში შეადგენს უმაღლეს ხელისუფლებას (ნესდება, მუხლი მე-5). ამ უფლებამოსილებას ასორციელებს წმიდა სინოდი, რომელიც შედგება ერთი მომსახურე არქიეპისკოპოსისგან, მიტროპოლიტებისგან და ეპისკოპოსებისგან, რომლებსაც არ აქვთ დაკისრებული ადმინისტრაციული მოვალეობები, მაგრამ დახმარებას უწევენ არქიეპისკოპოსს თავის მუშაობაში (მუხლი მე-6). თუკი პრელატს მიღებული აქვს კანონიკური სასჯელი (საყვედურის გამოტანის გამოკლებით), მას არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს წმიდა სინოდის შეხვედრებში სასჯელის მოხდის განმავლობაში (მუხლი 23-ე). არქიეპისკოპოსი თავმჯდომარეობს წმიდა სინოდს (მუხლი 23-ე). თუკი არსებობს დაბრკოლება მსგავსი თავმჯდომარეობისთვის ან თუ არსებული ადგილი არ არის დაკავებული, მაშინ თავმჯდომარის ადგილს იკავებს შესაბამისი რანგის მიტროპოლიტი (მუხლი მე-8) შემდეგი თანამიმდევრობით: პაპოსის, კიტინის, კირენის, ლიმასოლის და მორფოს მიტროპოლიტები.

წმიდა სინოდის თავმჯდომარე ჩვეულებრივ შეხვედრას წელიწადში სამჯერ იწვევს. სინოდი აგრეთვე იკრიბება სპეციალურ სესიებზე, როდესაც თავმჯდომარე ამას საჭიროდ მიიჩნევს ან თუ მისი, სულ მცირე, ორი წევრი

აყენებს ამგვარ თხოვნას (მუხლი მე-9). წმიდა სინოდის შეხვედრაზე კვორუმი ითვლება შემდგარად, როდესაც მისი წევრების ნახევარი ესწრება შეხვედრას თავმჯდომარის ჩათვლით (მუხლი მე-11). თუ მისი ზოგიერთი წევრი უარს ამბობს მონაწილეობის მიღებაზე ან არსებობს ვაკანტური საეპისკოპოსოები, რის გამოც შეუძლებელია კვორუმის მიღწევა, ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიხატოს ერთი ან ორი პრელატი აღმოსავლეთის საპატრიარქოებიდან ან საბერძნეთის ეკლესიიდან (მუხლი 14-ე). სინოდის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუკი მას ხმას აძლევს დამსწრე წევრების აბსოლუტური უმრავლესობა, მაშინ, როდესაც მისი წესდების დებულებების გადახედვისთვის საჭიროა მისი წევრების უმრავლესობა (მუხლი მე-12).

წმიდა სინოდი ახორციელებს საეკლესიო მსახურების და მთლიანად საეკლესიო საზოგადოების ზედამხედველობას და საკანონმდებლო, იურიდიულ და ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას. მას აგრეთვე გააჩნია “იურისდიქციის პრეზუმფცია”, რაც იურისდიქცია ნებისმიერ მოვლენაზე, რომელიც არ არის სხვა ორგანოს იურისდიქციის ქვეშ (მუხლი მე-18). გარდა ამისა, იგი უმაღლესი სასამართლო ორგანოა კანონიერი დარღვევებისთვის, რომლებიც ჩადენილია ეკლესიის მსახურების, ბერების და საერო წარმომადგენლების მიერ (მუხლი მე-19). როდესაც იგი იკრიბება, რათა განიხილოს პრელატის საქმე, რომელსაც რალაკაში ადანაშაულებენ, რაც საეკლესიო კანონის შესაბამისად ისჯება სასულიერო წოდების ჩამორთმევით, მაშინ სინოდი იკრიბება, როგორც უზენაესი სასამართლო. ეს სასამართლო, რომლის წევრთა რაოდენობაა ცამეტი თავმჯდომარის ჩათვლით, შედგება სინოდის წევრებისგან და სხვა ეკლესიების პრელატებისგან (მუხლი 25-ე).

- ბ) არქიეპისკოპოსი ადმინისტრაციის ცენტრალური ფიგურაა, ისევე, როგორც ადგილობრივ დონეზე – ეპისკოპოსები თავიანთ საეპისკოპოსო ეპარქიაში. იგი თავმჯდომარეობს წმიდა სინოდის კრებებს და წარმოადგენს ეკლესიას რესპუბლიკის, სხვა ქვეყნებისა და ეკლესიების წინაშე. მეხუთე საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორ ზენოს მიერ მინიჭებული პრივილეგიის შესაბამისად, კვიპროსის არქიეპისკოპოსი ხელს აწერს წითელი მეღვინით, შემოსილია სამეფო მენამული ფერის ტანსაცმლით და ხელთ უპყრია სამეფო კვერთხი (მუხლი 33-ე).
2. ადგილობრივი ინსტიტუტებია: ა) საეპისკოპოსოები და მიტროპოლიები, ბ) სამრევლოები, გ) მონასტრები.

- ა) გარდა საეპისკოპოსოებისა, რომლის პრელატიც არის არქიეპისკოპოსი (იმყოფება ნიჟოზიაში), არსებობს ხუთი სამიტროპოლიტო, რომელთაგან თითოეულს მართავს მიტროპოლიტი (პაპოსი, კიტიონი, კირენია, ლიმასონი და მორფო). მიტროპოლიტს აქვს ეპისკოპოსის საკულტო რანგი და ახორციელებს იურიდიულ, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ძალაუფლებას თავის რაიონში. იგი აკონტროლებს და ახორციელებს ზედამხედველობას მის პროვინციაში არსებულ საეპისკოპოსოების და მონასტრების ადმინისტრაციასა და მართვაზე და საზოგადოდ აღჭურვილია იმ კომპეტენციით, რომელიც მას გადაცემული აქვს წმიდა კანონებით და წესდებით (მუხლი 45-ე). არქიეპისკოპოსის და მიტროპოლიტების არჩევა ხდება მთელი სიცოცხლის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადადგებიან ან განთავისუფლდებიან ავადმყოფობის ან საეკლესიო ბრალდების გამო (მუხლი 55-ე).
- ბ) სამრევლო განსაკუთრებული გაერთიანებაა, რომლის მართლმადიდებელი მცხოვრებნი ახორციელებენ თავიანთ რელიგიურ რიტუალებს კონკრეტულ ეკლესიაში (მუხლი 81-ე). სამრევლოს მართლმადიდებელი მცხოვრებნი სამრევლოს წევრები ხდებიან რომელიმე ადგილას ერთი წლის ცხოვრების შემდეგ. ახალი სამრევლოს შესაქმნელად საჭიროა, იქ იყოს 2,500 მცხოვრები ქალაქებისთვის და 1,500 პატარა ქალაქებსა და სოფლებში. შეიძლება მხედველობაში მიიღონ რეგიონის სპეციფიკური პირობები, თუკი მორწმუნეების რაოდენობა უფრო მცირეა. სამრევლოს ხელმძღვანელია სამრევლოს მღვდელი, რომელიც უნდა იყოს დაქორწინებული ღვთის მსახური (მუხლი 82-ე). სამრევლოების მომსახურებად აგრეთვე ითვლებიან საეკლესიო გუნდის მომღერლები და საეკლესიო სამოსლის და ჭურჭლის მცველები (მუხლი 83-ე).
- გ) მონასტრები ადმინისტრაციული თვალსაზრისით იყოფა “სამეფოდ”, სამრევლოდ და საეპარქიოდ. “სამეფო” მონასტრები სრულად ავტონომიურია თავის შიდა ადმინისტრაციასა და მართვაში, ასევე სულიერად (მაგრამ არა ადმინისტრაციულად). ისინი არქიეპისკოპოსს ექვემდებარება (მუხლი 89-ე). სამრევლო მონასტრები ნახევრად ადმინისტრაციულია და სულიერად ექვემდებარება ადგილობრივ მიტროპოლიტს (მუხლი 90-ე). მონასტრები, რომლებიც მიტოვებულია, უწოდებენ საეპარქიო მონასტრებს და ეკუთვნის ადგილობრივ მიტროპოლიას (მუხლი 90-ე). მონასტრებს მართავს აბატი, სააბატო საბჭო და ბერების საძმო.

VII. შრომითი კანონი რელიგიურ საზოგადოებრიობებში

კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის წესდების 75-ე და 79-ე მუხლის შესაბამისად, ხუთი მიტროპოლიტისაგან თითოეულს შეუძლია დაიქირავოს ეკლესიის მომსახურეები ან საერო პირები, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ ეკლესიას სასულიერო და ადმინისტრაციულ მუშაობაში. თანამშრომლებს იღებენ ორწლიანი საგამოცდო პერიოდით, რომლის შემდეგაც ეპისკოპოსი გადაწყვეტს იქნება, თუ არა ეს დასაქმება მუდმივი. ეპისკოპოსს შეუძლია დააკისროს ჯარიმა სამსახურთან დაკავშირებული დანაშაულისთვის ან შეწყვიტოს იმ ნებისმიერი თანამშრომლის დასაქმება, რომელიც ავლენს უუნარობას შეასრულოს თავისი ვალდებულებები, უდისციპლინობას, არათანამიმდევრულობას ან არასათანადო ქცევას.

ეპისკოპოსი და საეპარქიოს ფონდი იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომლების ხელფასების თაობაზე. თანამშრომელთა სიაში შეყვანილ ნებისმიერ წევრს, რომელიც ეკლესიაში დასაქმებულია სრული სამუშაო დღით, დაზღვევისა და სამედიცინო მომსახურების უფლება აქვს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია რესპუბლიკაში საჯარო მოხელეებისთვის. საერო პირს, რომელიც სარეზერვო პოზიციაშია, შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად სარეზერვო პირებისთვის გათვალისწინებული კომპენსაცია.

VIII. საქორწინო და ოჯახის სამართალი

კონსტიტუციის 111-ე მუხლი ეხება ქრისტიანული აღმსარებლობის სასამართლოებს. მართლმადიდებელ, მარონიტების, ლათინურ და სომხურ ეკლესიებს – ყველას აქვს საეკლესიო სასამართლო.

საქორწინო დავების განხილვა მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის, რომლებმაც გადაიხადეს რელიგიური ქორწილი, წინათ მიეკუთვნებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის სასამართლო იურისდიქციას. იმ შემთხვევაში, როდესაც მომავალი მეუღლეები იყვნენ მართლმადიდებლები და კვიპროსის მოქალაქეები, მათ არ შეეძლოთ გაეფორმებინათ სამოქალაქო ქორწილი კვიპროსში. მაგრამ თუკი ისინი გააფორმებდნენ სამოქალაქო ქორწინებას საზღვარგარეთ, ხდებოდა მათი აღიარება იმ ადგილის კანონის ძალით, სადაც

ხდებოდა მოქმედება. 1977 წელს კვიპროსის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო ქორწინება მართლმადიდებლებს შორის ითვლებოდა ანულირებულად, სადაც უნდა ყოფილიყო იგი გაფორმებული³⁰⁶, რადგან კონსტიტუციის 111-ე მუხლი ადგენდა, რომ “ნებისმიერი აქტი, რომელიც დაკავშირებული იყო ნიშნობასთან, ქორწინებასთან, განქორწინებასთან, ქორწინების გაუქმებასთან, იურიდიულ განქორწინებასთან ან ურთიერთობის აღდგენასთან თუ საოჯახო ურთიერთობებთან,.....რომლებიც დაკავშირებულია საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ან რელიგიურ ჯგუფებთან,...უნდა ხელმძღვანელობდეს საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანონით ან ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის კანონით, როგორც ამას მოითხოვს ვითარება და უნდა იქნეს აღიარებული შესაბამისი ეკლესიის უმაღლესი სასამართლო ორგანოს მიერ. ამრიგად, ქორწინების შესაბამისი ფორმა მართლმადიდებლებისთვის, სომხებისთვის, მარონიტებისა და რომაული წესის კათოლიკეებისთვის იყო რელიგიური ფორმა.

მართლმადიდებელი ეკლესიის წესდება დეტალურად მიუთითებს საოჯახო სამართლის ინსტიტუტებზე, რომლებიც ექცევა საეკლესიო სასამართლოების იურისდიქციაში, სახელდობრ, ნიშნობა, ქორწინება, განქორწინება და შვილად აყვანა (მუხლები 236-335-ე).

იმის საჭიროებამ, რომ მომხდარიყო ყველა კერძო შემთხვევის კორექტირება თანამედროვე სამართლებრივი პრინციპების და სოციალური აქტის დონემდე, კვიპროსის რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, საჭირო გახდა კონსტიტუციის პირველი შესწორება (კანონი 95/1989), რომლის დროსაც ჩასწორდა 111-ე მუხლი 95/1989 კანონის დებულებების შესაბამისად:

- 1) ყველა შემთხვევა, რომლებიც უკავშირდება განქორწინებას, სასამართლო წესით დაშორებას ან მეუღლეთა უფლებების აღდგენას, ან მართლმადიდებლური ეკლესიის წევრების საოჯახო ურთიერთობებს, შევიდა საოჯახო სასამართლოს იურისდიქციაში. განქორწინების შემთხვევებში სასამართლო შედგება სამი წევრისგან. მას თავმჯდომარეობს სასულიერო პირი, დანარჩენი ორი საერო პირი ასრულებს სხვა ორი მოსამართლის ფუნქციას. თუკი სასამართლო არ დანიშნავს თავმჯდომარეს, რაც აქამდე იყო პრაქტიკაში, მას დანიშნავს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო. საოჯახო სასამართლოები ძალაში შევიდა კანონის 23/1990 შესაბამისად.

306 Metaxa v Mita (1977) 1 C.L.R 1.

- 2) განქორწინებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, სამი რელიგიური ჯგუფის წევრების მუდღეობრივი ან საოჯახო ურთიერთობის სასამართლოს ძალით შეწყვეტა ან აღდგენა შევიდა საოჯახო სასამართლოების იურისდიქციაში კანონის 87/1994 შესაბამისად.
- 3) კონსტიტუცია აქცენტს აკეთებს განქორწინების საფუძველზე. როდესაც მოსარჩელისთვის მიუღებელია ჩამოყალიბებული საოჯახო ურთიერთობა და ცოლქმრული ურთიერთობის გადარჩენა შეუძლებელია, შეიძლება განქორწინების პროცესის დაწყება. ზემოაღნიშნული, როგორც მოტივი, დაემატა განქორწინების საფუძველს და შევიდა მოქმედ წესდებაში. წარმომადგენლობითმა პალატამ შეიძლება კანონის ძალით შექმნას სხვა საფუძველი განქორწინებისათვის. მათ საბოლოოდ შექმნეს კიდევ ახალი საფუძველი შეუქცევადი განქორწინების კანონის გამოქვეყნებით 46(II)/1999.
- 4) ბერძენთა საზოგადოების წევრებს შეუძლიათ აირჩიონ ქორწინების გაფორმება სამოქალაქო წესით. ეს შესაძლებელი გახდა კანონის 21/1990 გამოქვეყნების შემდეგ, რომელმაც დაადგინა ორმაგი, სამოქალაქო და რელიგიური რეჟიმი ქორწინებისათვის.
- 5) საკითხებს, რომლებიც ეხება ნიშნობას, ქორწინებას და მის გაუქმებას, კვლავ მართავს ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონი ან რელიგიური ჯგუფი ეკლესიის მიხედვით, სხვადასხვა შემთხვევის მიხედვით.

ამრიგად, კვიპროსის რესპუბლიკის საქორწინო კანონმდებლობა მოდერნიზაციის იმავე დონეზეა, როგორც ვეროპის უმეტესი ქვეყანა.

1983 წლის 1 ივნისს კვიპროსის ეკლესიამ მნიშვნელოვან ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი, რათა დაერეგულირებინა მომავალი მუდღეობის ქორწინების წინა ჯანმრთელობის საკითხები, რის მიმართაც უმეტეს ეკლესიებს სხვა ქვეყნებში აქვს უარყოფითი დამოკიდებულება. კვიპროსში ყოველწლიურად აღინიშნება ნამგლისებული უჯრედის ანემიის – sickle-cell anaemia – რამდენიმე შემთხვევა. წმიდა სინოდმა გადაწყვიტა, რომ იმ საბუთებს შორის, რომლებიც მომავალ მუდღეობებს უნდა წარედგინათ ეკლესიისათვის რელიგიური ქორწინების ცერემონიის ჩასატარებლად, უნდა ყოფილიყო სერტიფიკატი, რომელიც გაცემული იქნებოდა სახელმწიფოს მიერ დანიშნული ექიმის მიერ იმის დასტურად, რომ ისინი შემოწმდნენ ამ დაავადებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტესტი დაადასტურებს ავადმყოფობას, ეს არ შეაფერხებს ქორწინების გაფორმებას. ტესტის მიზანია დაეხმაროს მომავალ მუდღეობებს, თავად გააკეთონ არჩევანი თავიანთ მომავალთან დაკავშირებით³⁰⁷.

307 "Apostolos varnavas" 44 (1983) 63-64.

IX. ეკლესიის დაფინანსება

კვიპროსის რესპუბლიკა არ უზრუნველყოფს რელიგიური გაერიანებების დაფინანსებას, აგრეთვე არ ავალდებულებს მათ, გადაიხადონ რაიმე სპეციალური გადასახადი. ამის შედეგად თითოეული რელიგია თავად მართავს თავის საკუთარ ქონებას სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ყველა რელიგიური ინსტიტუტი სარგებლობს საგადასახადო შეღავათით (კანონის 118 (1)/2002, მუხლი მე-8(13)), ხოლო ყველა სამშენებლო მასალა, მოწყობილობა და ავეჯი ეკლესიებისა და მეჩეთებისთვის, ასევე ყველა სახის სამოსი და სხვა ნივთები, რომლებიც რელიგიური მიზნებითაა იმპორტირებული საეკლესიო და რელიგიურ ხელისუფალთა მიერ, ექვემდებარება შეღავათებს საიმპორტო გადასახადსა და სააქციზო გადასახადზე.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კვიპროსის რესპუბლიკასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, ეკლესიამ მთელი უძრავი ქონება გადასცა რესპუბლიკას, რომელიც ამის სანაცვლოდ უხდის სტიპენდიებს სამრევლოების საეკლესიო მსახურებს. მთავრობამ გადანყვიტა, რომ ეს ხელშეკრულება აგრეთვე უნდა მოიცავდეს იმ სამი რელიგიური ჯგუფის საეკლესიო მომსახურებებს, რომლებიც აღიარებულია კონსტიტუციის მიხედვით (მარონიტები, სომხები და რომაელი კათოლიკეები). სახელმწიფო დახმარებამ მართლმადიდებელი ეკლესიისა და სამი რელიგიური ჯგუფისადმი 2003 წელს 2,319,000 კვიპროსული ფუნტი (დაახლოებით 3,500,000 ევრო) შეადგინა.

მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შექმნა ცენტრალური და ადგილობრივი ინსტიტუტები თავისი ქონების მართვის მიზნით.

1. ცენტრალურ ინსტიტუტებს განეკუთვნება: ა) ცენტრალური საეკლესიო ფონდი, ბ) აუდიტის განყოფილება, გ) საეკლესიო ფინანსური საბჭო. ყველა მათგანი მდებარეობს ნიქოზიაში.
 - ა) ცენტრალური საეკლესიო ფონდის ზედამხედველობას ახორციელებს წმიდა სინოდი. მისი რესურსები შედგება მიტროპოლიების და მონასტრების მთლიანი რესურსების წილობრივი რაოდენობისგან (123-ე მუხლი). იგი ახდენს სხვადასხვა საეკლესიო-სამართლებრივი ერთეულების სუბსიდირებას, როდესაც მათი საკუთარი რესურსი არ არის საკმარისი, ასევე – სხვადასხვა საეკლესიო საქმიანობის, როგორებიცაა: იერარქიული სკოლების საქმიანობა, ოფიციალური მიმოხილვის "Apostolos varnavas" გამოცემა და კვიპროსელების მონაწილეობა ეკლესიათაშორის რელიგიურ ღონისძიებებში (124-ე მუხლი).

- ბ) აუდიტის დეპარტამენტს ზედამხედველობას უწევს წმიდა სინოდი, იგი ამასთანავე ინსპექტირებას უწევს ეპარქიებს, მეტროპოლიებს და “სამეფო” მონასტრებს (125-ე მუხლი). წმიდა სინოდი დაკომპლექტებულია საერო პირებით (127-ე მუხლი).
- გ) საეკლესიო ფინანსურ საბჭოში შედის ათი საერო წევრი, რომლებიც მსახურობენ იქ ოთხი წლის ვადით (130-ე მუხლი). იგი ადგენს რეკომენდაციებს საეკლესიო ქონების ეფექტიანად გამოყენების თაობაზე (მუხლი 129-ე). ეს რეკომენდაციები არ არის სავალდებულო, ვიდრე მათ არ მიიღებს წმიდა სინოდი (137-ე მუხლი).
2. ადგილობრივი ინსტიტუტებია: ა) ეპარქიის კომიტეტი, ბ) ეპარქიის ფონდი, გ) საეკლესიო მსახურების სახელფასო ფონდი, დ) სამრევლო კომიტეტები, ე) სააბატოს საბჭოები და ვ) ფილანთროპიული და საქველმოქმედო საეკლესიო ფონდები.
- ა) თითოეულ მიტროპოლიაში არის საეპარქიო კომიტეტი. მისი თავმჯდომარე მიტროპოლიტია. მის გარდა, კომიტეტში კიდევ რვა სხვა წევრია – ოთხი საეკლესიო და ოთხი საერო პირი (მუხლი 140-ე). საეპარქიო კომიტეტს ევალება სწავლება, თავისი საეპარქიოების ფინანსების ზედამხედველობა და მართვა (მუხლი 152-ე).
- ბ) ეპარქიის ფონდი მუშაობს საეპარქიო კომიტეტის მითითებებით და პასუხისმგებელია თითოეული მეტროპოლიის ფინანსების ფისკალურ მენეჯმენტზე (მუხლი 155-ე).
- გ) საეკლესიო მსახურების სახელფასო ფონდი სპეციალურ გადასახადს უხდის ეკლესიის მსახურებს იმ შემოსავალთან ერთად, რომელიც მათ თავიანთი ეპარქიებიდან აქვთ, ისე, რომ მათი მთლიანი შემოსავალი გათანასწორებული და გათანაბრებულია (მუხლი 157-ე).
- დ) სამრევლო კომიტეტი მართავს ეპარქიის ფინანსებს. კომიტეტის თავმჯდომარეა ეპარქიის მღვდელი. ეს კომიტეტი შედგება ორიდან ოთხ საერო წევრამდე, რომელთაც ირჩევენ ყოველ ოთხ წელიწადში ეპარქიის წევრები (მუხლი 158-ე).
- ე) სააბატოს საბჭოს თავმჯდომარეობს აბატი და საბჭო მართავს მონასტრის ქონებას (მუხლი 181-ე).

- ვ) თითოეულ მიტროპოლიტს შეუძლია დაარსოს ფილანთროპიული და სხვა საქველმოქმედო ფონდები, როგორცაა უპატრონოთა სახლები, მოხუცებულთა თავშესაფრები და ინტერნატები (მუხლი 187-ე). თითოეულ მათგანს მართავს საბჭო, რომელსაც ნიშნავს და თავმჯდომარეობს მიტროპოლიტი (მუხლი 188-ე). ფონდებს, რომლებიც შეიქმნა უკანასკნელი სურვილის და ანდერძის შესაბამისად და გადავიდა ეკლესიის იურისდიქციაში, განკარგავენ მონადერძის პირობების მიხედვით.

X. სისხლის სამართლის კანონი და რელიგია

საკონსტიტუციო დებულებებთან ერთად რიგი რელიგიური აქტები დაცულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით. კვიპროსის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია შემდეგი სახის დანაშაული: ცილისწამება (138-ე მუხლი), რელიგიური თავყრილობისათვის ხელის შეშლა (139-ე მუხლი), დაკრძალვის ადგილის არაკანონიერი ხელყოფა (140-ე მუხლი), რელიგიური გრძნობების საჯაროდ შეურაცხყოფა სიტყვიერად ან რაიმე ქმედებით (141-ე მუხლი), რელიგიის მადისკრედიტებელი და მისთვის ზიანის მომტანი გამოცემების პუბლიკაცია (142-ე მუხლი). უნდა აღინიშნოს, რომ კვიპროსის კანონმდებლობა არ ათავისუფლებს ეკლესიის მსახურებს სისხლის სამართლებრივი ან სამოქალაქო პროცედურებისაგან ნებისმიერი ხასიათის საკონფესიო საიდუმლოებასთან დაკავშირებით.

XI. საეკლესიო მსახურების სამართლებრივი სტატუსი, ბერები და საერო პირები

მართლმადიდებელ ქრისტიანად კურთხევა ხორციელდება მონათვლით და მირონცხებით, რომელიც აღმოსავლურ ეკლესიაში ხდება ერთდროულად. კვიპროსის ეკლესიის წევრი შეიძლება იყოს:

- ა) ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ კუნძულზე, მიუხედავად მოქალაქეობისა და სქესისა;
- ბ) კვიპროსული წარმოშობის მქონე პირი, რომელიც მონათლა კვიპროსში, მაგრამ ცხოვრობს საზღვარგარეთ.

ეს უკანასკნელი დებულება სიახლეა,³⁰⁸ რადგან ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიების თვალსაზრისით (მსოფლიო საპატრიარქო, ალექსანდრიის და იერუსალიმის საპატრიარქოები და კვიპროსის და საბერძნეთის მიტროპოლიები) დიდი დიასპორა ექვემდებარება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. ამის მიუხედავად, კვიპროსის ეკლესიამ არ დააფუძნა ეპარქიები საზღვარგარეთ, რის შედეგადაც კვიპროსელები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ღვთისმსახურებას მსოფლიო საპატრიარქოში ალავლენენ. მართლმადიდებელი ქრისტიანის სტატუსის ჩამორთმევა ხდება სიკვდილის, ეკლესიისგან განკვეთის ან ეკლესიიდან ნებაყოფლობით გამოსვლის შემთხვევაში.

როგორც ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში, კვიპროსის ეკლესიის წევრები იყოფიან: 1) საეკლესიო მსახურებად, 2) ბერებად, 3) საერო წარმომადგენლებად.

- 1) საეკლესიო მსახურებს შეადგენენ დიაკვნები, მღვდლები და ეპისკოპოსები. მათ მინიჭებული აქვთ ცერემონიული, ადმინისტრაციული და სწავლების უფლებამოსილება. სასულიერო რანგს დიაკვანს ან მღვდლს ანიჭებს მინიმუმ ერთი ეპისკოპოსი. ეპისკოპოსს სასულიერო რანგს ანიჭებს არქიეპისკოპოსი ან ამ უკანასკნელის განკარგულებით ყველაზე უფროსი მიტროპოლიტი (63(5)-ე მუხლი). თუკი მიტროპოლიტის საეპარქიო ვაკანტურია, არქიეპისკოპოსი მოქმედებს, როგორც საეპისკოპოსოს სამრევლო მღვდელი (33-ე მუხლი).

არქიეპისკოპოსსა და მიტროპოლიტებს ირჩევს საარჩევნო ასამბლეა, რომელიც შედგება საეკლესიო მსახურების, ბერების და საერო წარმომადგენლებისგან (62-63 მუხლები). კანდიდატი უნდა იყოს დაუქორწინებელი, ოცდაათ წელზე მეტი ხნის, ღვთისმეტყველების სკოლადამთავრებული, იყოს გამორჩეული თავისი პატიოსნებით და ღვთისმოსაობით და უნდა ჰქონდეს საეკლესიო სამსახურის, სულ მცირე, სუთი წლის გამოცდილება (71-ე მუხლი).

საეკლესიო მსახურის სტატუსს საეკლესიო მსახურს ართმევენ სასულიერო წოდების ჩამორთმევის შემთხვევაში. სასულიერო წოდების ჩამორთმევის სახით სასჯელს აკისრებს წმიდა სინოდი, რომელიც იკრიბება როგორც სასამართლო ორგანო (22-ე მუხლი). მღვდლების შემთხვევაში სასულიერო წოდების ჩამორთმევის სასჯელის დაკისრება ხდება ზემდგომი სინოდური სასამართლოს მიერ (მუხლი 25-ე). სასულიერო მსახურის უფლებათუარაი-ანობა შეიძლება აღდგეს, როდესაც შეინყალებს იგივე სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დანაშაულის გადაწყვეტილება (24-ე მუხლი).

308 C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე, 66.

კვიპროსის რესპუბლიკის კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებებს საეკლესიო მსახურების სამართლებრივ სტატუსზე. წესდება შემოიფარგლება წინააღმდეგობით საქორწინო ურთიერთობის გაფორმებაზე (220(2დ)-ე მუხლი) და შეიცავს მღვდლებისა და დაუქორწინებელი საეკლესიო მსახურების მემკვიდრეობის დებულებას. დაქორწინებული საეკლესიო მსახურების მემკვიდრეობა იმართება მემკვიდრეობის წესების მიხედვით, რომლებიც შესულია სამოქალაქო კანონმდებლობის დებულებებში. დაუქორწინებელი დიაკვნების და პრესვიტერების მემკვიდრეობა იმ წესების დებულებებით, რომლებიც ეხება მღვდლების მემკვიდრეობითობას (74-ე მუხლი), იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არიან მეტროპოლიის თანამშრომლები, იმის მიუხედავად, მსახურობდნენ თუ არა ისინი კვლავ სიკვდილის მომენტისთვის (79-ე მუხლი). საეკლესიო კანონის შესაბამისად, საეკლესიო მსახურებს ეკრძალებათ ზოგიერთი სახის საქმიანობა, მაგალითად, კომერციული, რომელიც შეუთავსებელია მათ სამღვდლო ფუნქციასთან, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში თანამდებობების დაკავება და უფრო განზოგადებულად, საერო ხასიათის პოსტების დაკავება.

- 2) ბერის სტატუსს მოიპოვებენ ტონზურის (მე-100 მუხლი) მეშვეობით. მინიმალური ასაკი ტონზურისთვის არის თვრამეტი წელი, მას შემდეგ, რაც კანდიდატი გაივლის სამწლიან ვადას როგორც მორჩილი (102-ე მუხლი). ტონზურა სრულდება ეპისკოპოსის ან მღვდლის მიერ ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვით. სხვაგვარად იგი ჩაითვლება ძალადაკარგულად და უკანონოდ (103-ე მუხლი). წმიდა ბერები და დიაკვნები, რომლებმაც გაიარეს ტონზურა იმ მიზნით, რომ გამხდარიყვნენ პრესვიტერები და შესაბამისად დიაკვნები, აგრეთვე მიეკუთვნებიან ბერების ორდენს (მე-100 და 101-ე მუხლები). კვიპროსის რესპუბლიკის კანონები არ შეიცავს დებულებას ბერების სამართლებრივი სტატუსის თაობაზე. წესდება ზღუდავს ქორწინების ცერემონიალს (220(2დ)-ე მუხლი) და საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე (107-ე მუხლი). საეკლესიო კანონის დებულებები გამოიყენება მონასტრების შიდა ნორმატივებთან ერთად.
- 3) საერო პირები მონაწილეობას იღებენ ეკლესიის საქმიანობის თითქმის მთელ სპექტრში. საერო პირების მონაწილეობის ხარისხი კვიპროსის ეკლესიის საქმიანობაში ალბათ ყველაზე მაღალია მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოში. ეს ეხება როგორც მათ უფლებაუნარიანობას, ასევე სტატუსს ეკლესიის მართვის ორგანოებში³⁰⁹. საერო პირები მონაწილეობას იღებენ ეკლესიის ცენტრალური და პერიფერიული ორგანოების მუშაობაში, ისევე,

309 C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე, 84.

როგორც ქონების მენეჯმენტსა და საარჩევნო ასამბლეაში, რომელიც ხმას აძლევს არქიეპისკოპოსებს და მიტროპოლიტებს კუნძულზე. ამ ფუნქციების შესასრულებლად ხდება არა მათი დანიშვნა, არამედ არჩევა ფარული და საყოველთაო ხმის მიცემის გზით ეკლესიის კონგრეგაციის მეშვეობით, ქალებსა და მამაკაცებს შორის დისკრიმინაციის გარეშე.

საერო პირები მონაწილეობას იღებენ შემდეგ საქმიანობებში:

- ა) არქიეპისკოპოსის და მიტროპოლიტების არჩევა (62-63 მუხლები);
- ბ) ეკლესიის ქონების მართვის ცენტრალურ ინსტიტუტებში მუშაობა (127-ე, 131-ე მუხლები);
- გ) ეკლესიის ადმინისტრაციის ადგილობრივ ინსტიტუტებში მუშაობა (75-ე, 146-ე, 161-ე, 178-ე მუხლები),
- დ) ფილანთროპიული და სხვა საქველმოქმედო საეკლესიო ფონდების ადმინისტრირება (188-ე მუხლი),
- ე) საოჯახო სამართლის საეკლესიო სასამართლოებში საქმიანობა (242-ე, 250-ე მუხლები).

თუკი საერო პირი ჩაიდენს საეკლესიო დანაშაულს, მას, გამომდინარე დანაშაულის სიმძიმიდან, შეიძლება დაედოს ეპიტემია ან დაეკისროს საეკლესიო სასჯელი ეპისკოპოსის ან წმიდა სინოდის მიერ.

XII. ბიბლიოგრაფია

Chrysostomos, Archbishop of Cyprus, Introductory Report on the New Charter of the Church of Cyprus (in Greek), Apostolos Varnavas 40 (1979), 376-406.

Dizdar K., «The Origin and Administration of the Cyprus Evkaf», Proceedings of the First International Cyprological Congress, vol. II/1, 1973, 63-78.

Emilianides A., «Private International Law in Cyprus», Symposium on Cypriot Juridical Issues, (in Greek), Thessaloniki, 1974.

Mantzouneas E., Ecclesiastical Law of the Apostolic Orthodox Church of Cyprus (in Greek), Evrihou/Cyprus, 1988.

Papastathis C., «The New Statutory Charter of the Church of Cyprus» (in Greek), Hydor ek Petras, St Nicholas, Crete, 1980, no. 5-6, 5-17.

Papastathis C., On the Administrative Organization of the Church of Cyprus, (in Greek), Thessaloniki 1981.

Papastathis C., «The Legal Status of Religions in the Republic of Cyprus», The Status of Religious Confessions of the States Applying for Membership to the European Union, Strasbourg 2000.

Papathomas G., L'Église Autocéphale de Chypre dans l'Europe Unie, Approche Nomocanonique, Katerini 1998.

Polyzoides C., A Commentary on the Charter of the Church of Cyprus, (in Greek), Thessaloniki, 1997.

Serghides G., Internal and External Conflict of Laws in Regard to Family Relations in Cyprus, Nicosia, 1988.

Tornaritis C., «The Relations Between Church and State Under the Law of Cyprus», (in Greek), Review of Public and Private Law (in Greek), Nicosia 1967, 9-16.

Tornaritis C., The Ecclesiastical Courts Especially in Cyprus, Nicosia, 1976.

სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში

I. სოციალური ფაქტები

ლატვია ბალტიის ზღვასთან მდებარე 64 589 კვადრატული კილომეტრი ფართობის ქვეყანაა, რომელშიც 2,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. 2000 წლის მონაცემებით ლატვიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასეთი იყო:

ლატვიელები	57.6%
რუსები	29.6%
ბელორუსები	4.1%
უკრაინელები	2.7%
პოლონელები	2.5%
ლიტველები	1.4%
ებრაელები	0.4%
გერმანელები	0.1%
სხვა	1.6%

ამჟამად ლატვიაში მრავალი აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს. ქვეყანაში დაახლოებით 170 სხვადასხვა დენომინაცია და რელიგიური ჯგუფია. ქვეყანაში სამი უმსხვილესი რელიგიური მიმდინარეობაა: კათოლიციზმი, ლუთერანობა და მართლმადიდებლობა. ლატვიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის მიერ 2003 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით ლატვიის მცხოვრებთა 49.3% ბიბლიას არ კითხულობს, 4% – თითქმის ყოველდღე კითხულობს და მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი – პერიოდულად. ამ კვლევის მონაცემების მიხედვით რელიგიური მიმდინარეობები, რომლის მიმდევრობასაც მოსახლეობა საჯაროდ აღიარებს, შემდეგია:

მართლმადიდებლები	25%
ლუთერანები	25%
კათოლიკეები	21%
ძველმორწმუნეები	2.7%
ადვენტიტები	0.4%
ოუდეველები	0.1%

ამ კვლევის მიხედვით მოსახლეობის 9% თავს მორწმუნედ თვლიდა, მაგრამ არ მიუთითებდა, რომელი კონკრეტული აღმსარებლობის მიმდევარია, ხოლო 12% აცხადებდა, რომ მორწმუნე არ არის. ლატვიაში ათეისტების საკმაოდ დიდი რიცხვია. მართლმადიდებელთა შორის ბევრია რუსულენოვანი, მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ქვეყანაში მუდმივად ცხოვრობს. ისინი ძირითადად დიდი ქალაქების მკვიდრნი არიან, კათოლიკეების უმეტესობა კი აღმოსავლეთ ლატვიაში ცხოვრობს.

რელიგიურ საკითხთა დირექტორთა საბჭოს ინფორმაცია უფრო სარწმუნო ჩანს, რადგანაც ეს მონაცემები თავად რელიგიური კონფესიების მიერ არის მიწოდებული. ამ მონაცემების მიხედვით სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა რაოდენობა შემდეგია:

კათოლიკეები	443,480
ევანგელისტ-ლუთერანები	400,300
მართლმადიდებლები	350,000
ძველმორწმუნეები	60,000
ბაპტისტები	6,788
ევანგელისტი ქრისტიანები და ახალი თაობა	6,589
მეშიდე დღის ადვენტისტები	3,869
ორმოცდაათიანელები	3,721
მუსულმანები	1,000
ახალი სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები	973
მეთოდისტები	750
მორმონები	605
“დიევტური” ნეო-ნარმართები	603
ოუდველები	550
აუგსბურგის კონფესიის ლუთერანები	392
სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები	275
კრიშნას მიმდევრები	135 ³¹⁰
იელოვას მონმეები	115
რეფორმატორები	95
ბუდისტები	75
ბაჰაისტები	48
ბესარიონის მიმდევრები	23
პრესვიტერიანელები	14

310 1995 წელს – 2400.

სხვა რელიგიების მიმდევრების საერთო რაოდენობა 1 253-ს შეადგენს. რაც შეეხება ევანგელისტ-ლუთერანებს, 2000 წელს ამ ეკლესიის მონაცემების მიხედვით მათ 400 300 წევრი ჰყავდათ, ხოლო 2001 წელს და მომდევნო წლებში რელიგიურ საქმეთა საბჭოსათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის წევრების რაოდენობაა 37 000; ეს ეკლესია არ ეთანხმებოდა მონაცემებს კათოლიკეებისა და მართლმადიდებელი მორწმუნეების რაოდენობის შესახებ (როგორც ჩანს, გამოყენებული იყო დათვლის სხვადასხვა მეთოდები) და მიიჩნევდა, რომ ეს მონაცემები გადაჭარბებული იყო. სხვა ეკლესიების მიერ მორწმუნეთა რაოდენობის შესახებ წარდგენილი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ევანგელისტ-ლუთერან მორწმუნეთა რიცხვი 2001 წელს ნამდვილად 400 300 უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მუსულმანებს, მათი რაოდენობა მიახლოებითაა დათვლილი.

2003 წლის 1 ოქტომბრისთვის ლატვიის რესპუბლიკაში რეგისტრირებული რელიგიურ კონფესიათა კონგრეგაციების სტატისტიკა:

კონფესია	კონგრეგაციების რაოდენობა			
	1980	1990	2000	2003
კათოლიციზმი	178	187	247	252
ევანგელურ-ლუთერანიზმი	206	252	302	307
აუფსპურგის კონფესიის ლუთერანიზმი	—	—	9	10
მართლმადიდებლობა	88	89	112	117
სტაროვერობა (ძველმორწმუნეობა)	68	65	66	67
ბაპტიზმი	62	61	87	90
მეშვიდე დღის ადვენტიზმი	23	28	46	47
მეთოდისმი	—	—	10	12
ოუდაიზმი	4	4	8	13
მუსულმანობა	—	—	6	5
კრიშნაიზმი	—	—	10	10
ახალი მოციქულობა	—	—	11	11
ორმოცდაათიანელობა	2	7	77	57
ევანგელისტი ქრისტიანები და ახალი თაობა	—	—	16	43
ბუდიზმი	—	—	3	5
ლვთის მომხრეები	—	—	13	13
იელოველობა	—	—	10	12
მორმონები	—	—	3	3
სხვა რელიგიები/აღმსარებლობა	—	3	22	24
სულ	631	693	1058	1098

II. ისტორიული წინაპირობები

გერმანიის ექსპანსიამდე XII საუკუნეში ლატივის ტერიტორია დასახლებული იყო მონათესავე ბალტიური ტომებით (ზემგალი, კურში, ლატგალი). ამ ტომებს შორის ყველაზე გავრცელებული რელიგია იყო "დიევტურიზა" – ერთგვარი წარმართობა. მართლმადიდებელი რუსეთი, რომელიც ლატივის მეზობელი იყო, წარუმატებლად ცდილობდა ლატგალის ტომების მართლმადიდებლებად მოქცევას. ისტორიული წყაროების მიხედვით, რუსმა მღვდლებმა ლატვიაში ქრისტიანობის ქადაგება IX-X საუკუნეებში დაიწყეს. 1180 წელს გერმანელმა მღვდელმა მეინჰარდტმა, პოლოცკის მთავრის წინასწარი ნებართვით (ამ პრიოდში ლატვიის ნაწილი რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა) ლატვიაში ქადაგება დაიწყო. წარმართი ტომების გაქრისტიანების წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, მან რომის პაპს მიმართა ბალტიისპირეთში ჯვაროსნული ლაშქრობის ნებართვისთვის. თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და ლატვიაში გერმანელების შემოსევა დაიწყო. წინააღმდეგობის მიუხედავად, ლატვია XVIII საუკუნემდე გერმანელების გავლენის ქვეშ იყო. გერმანელი მინათმფლობელების გავლენით გავრცელდა ლუთერანული დოქტრინა, რომელიც კარგი საფუძველი აღმოჩნდა პროტესტანტიზმის სხვა მიმართულებების განვითარებისთვის. 1524 წელი მიიჩნევა ლატვიის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის დაარსების თარიღად.

შვედეთის ჩრდილოეთის ომში დამარცხების შემდეგ, XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ლატვია რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. რუსეთი ახლად შემოერთებული ტერიტორიის "მეფის რწმენაზე" მოქცევას ცდილობდა. თუმცა, მართლმადიდებლობა ლატვიელებში პოპულარობით არ სარგებლობდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ რწმენაზე მოექცა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლატვიაში გააქტიურდნენ ძველმორწმუნეები. მიუხედავად იმისა, რომ ლატვია რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, მათ აქ იპოვეს თავშესაფარი, რადგან ლატვიაში იმპერიის სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო ლიბერალური რელიგიური პოლიტიკა ტარდებოდა. ამჟამად ლატვიის ძველმორწმუნეები მსოფლიოს მართლმადიდებლურ ძველმორწმუნეთა კონფესიის უმსხვილესი ჯგუფია, ხოლო რიგაში არსებული გრებენშიკოვის ეკლესიაში (ამ რწმენის უდიდესი რელიგიური დანიშნულების შენობა მსოფლიოში) მათი უმსხვილესი კონგრეგაციაა (5 000 მიმდევარი).

დღეისათვის ლატვიაში 5 000-მდე იუდეველია, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომამდე მათი რიცხვი 100 000-ს შეადგენდა. იუდაიზმის მიმდევართა რიცხვის ასეთი კლება ნაცისტების მიერ ებრაელების მასობრივმა გენოციდმა გამოიწვია.

მეშვიდე დღის ადვენტიტები და ბაპტიტები ლატვიაში XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ, ხოლო მეთოდისტები, იელოვას მოწმეები და ქრისტიანი მეცნიერები XX საუკუნის დასაწყისიდან.

ლატვიის პირველი რესპუბლიკა 1918 წლის 18 ნოემბერს დაარსდა და 1940 წლამდე, საბჭოთა ოკუპაციამდე იარსება. ლატვიის მეორე რესპუბლიკა 1991 წელს შეიქმნა. 1918 წელს ლატვიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება გარკვეულწილად განაპირობა სახელმწიფოს დამაარსებლების დაპირებამ (რომლებიც კათოლიკური ეკლესიის წევრები იყვნენ), რომ ისინი ვატიკანთან ხელს მოაწერდნენ ხელშეკრულებას ლატვიაში მცხოვრები კათოლიკეების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. ასე, რომ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა დამოკიდებული იყო კათოლიკეების მიმართ გამოხატულ ტოლერანტულ დამოკიდებულებაზე.

III. სამართლებრივი წყაროები

1. სამართლებრივი პრინციპები

ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება:

ა. სეკულარიზაცია

ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება არასოდეს გულისხმობდა რელიგიის საზოგადოებისგან განცალკევებას ან ეკლესიის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან იზოლაციას. ეს შეუძლებელი იქნებოდა დემოკრატიულ ქვეყანაში, ვინაიდან რელიგია და რელიგიური გაერთიანებები საზოგადოების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია. ლატვიაში სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან განცალკევებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაწესებულებები საერო ხასიათისაა, ხოლო რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეასრულონ ხელისუფლების ფუნქციები მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სახელმწიფო დაწესებულებები ზედამხედველობენ და არეგულირებენ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. რელიგიურ საქმეთა საბჭო არეგულირებს სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს და რელიგიური ორგანიზაციების მოთხოვნისას დახმარებას უწევს მათ საორგანიზაციო, სამართლებრივი და სხვა საკითხების მოგვარებაში.

ბ. რელიგიის თავისუფლება

დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს მიერ 2002 წელს გამოქვეყნებული რელიგიის თავისუფლების შესახებ საერთაშორისო მოხსენების მიხედვით ლატივის რესპუბლიკის კონსტიტუცია უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას, მათ შორის, ნებისმიერი რელიგიის (როგორც ინდივიდუალურად, ისე გაერთიანების ფარგლებში) აღმსარებლობას, რელიგიის თავისუფლად შეცვლას და რელიგიური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებას არსებული კანონმდებლობის თანახმად. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად იკრძალება რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე ლატივის მოსახლეობის უფლებების აშკარა და ფარული შელახვა, პრივილეგიების მინიჭება, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ან სიძულვილის აღძვრა. ამ კანონის დამრღვევი პირები პასუხს აგებენ კანონის წინაშე. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში არ შეიძლება ადამიანის შეხედულების, რწმენის და რელიგიური აღმსარებლობის მითითება. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-4(4) მუხლის მიხედვით სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებს, საჯარო ორგანიზაციებს, სანარმოებსა და კომერციულ ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება, თავიანთი თანამშრომლებისგან და სხვა პირებისგან მოითხოვონ ინფორმაცია მათი რელიგიისადმი დამოკიდებულების და რელიგიური მიმდევრობის შესახებ.

გ. “ტრადიციულობა”

ლატვიაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია. ლატივის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (Sartversme) არ მოიხსენიება არც ერთი კონკრეტული რელიგია. ლატივის კანონმდებლობა (ლატივის კანონმდებლობისგან განსხვავებით) არ ითვალისწინებს “ტრადიციულ” კონფესიათა ცნებას. ამგვარი განმარტება არ არის არც “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონში, სადაც არ არის განსაზღვრული ტრადიციული რელიგიური კონფესიები. ამასთან, სამოქალაქო სამართლის 51-ე მუხლში მითითებულია ის კონფესიები, რომელთაც აქვთ ქორწინების ჩატარების უფლება და ისინი “ტრადიციულად” იწოდებიან. ესენია ლუთერანული, კათოლიკური, მართლმადიდებლური, ძველმორწმუნე, მეთოდისტური, ბაპტიტური, მეშვიდე დღის ადვენტისტური ეკლესიები და იუდეური რელიგიური საზოგადოებები.

დ. ნეიტრალიტეტი და პატივისცემა

სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებებს შორის ძირითადად კეთილმეგობრული ურთიერთობებია. ეკუმენიზმი ქვეყანაში შედარებით ახალი ცნებაა და ტრადიციული რელიგიები მის მიმართ აშკარად გამოხატული თავშეკავებული პოზიცია აქვთ. სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს რელიგიურ საქმეთა საბჭო, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციათა მოთხოვნისამებრ ეხმარება მათ საორგანიზაციო, სამართლებრივი და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. სახელმწიფო აღიარებს მშობლების და კანონით გათვალისწინებული მეურვეების უფლებებს, მისცენ ბავშვებს თავიანთი რელიგიური შეხედულებების შესაბამისი განათლება. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-5(3) მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს მშობლებისა და მეურვეების უფლებას, შვილები გაზარდონ თავიანთი რელიგიური მრწამსის თანახმად.

ე. გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირება

ხელისუფლებამ ქორწინების რეგისტრაციის უფლება მიანიჭა მხოლოდ რამდენიმე რელიგიურ კონფესიას, რომელთა სასულიერო პირები არ ასრულებენ სახელმწიფო მოხელეების ფუნქციებს და რომლებსაც სახელმწიფო არ უხდის ხელფასს ან სარგებელს.

რელიგია მოიხსენიება ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 99-ე მუხლში, რომელიც აცხადებს, რომ “ყველას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება. ეკლესია სახელმწიფოსგან განცალკევებულია.” ეს დებულება შევიდა 1998 წლის კონსტიტუციაში, როდესაც კონსტიტუციას დაემატა ახალი პარაგრაფი ადამიანის უფლებების შესახებ. რელიგიის თავისუფლების პრინციპი ასევე მოცემულია 1995 წლის 7 სექტემბრის კანონში “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ”. კანონის მიზანი მითითებულია 2(2) პუნქტში, რომლითაც ლატვიის მოქალაქეებს ენიჭებათ აღმსარებლობის თავისუფლება, ასევე ეძლევათ უფლება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება რელიგიისადმი, აღიარონ ნებისმიერი რელიგია ინდივიდუალურად ან თემის სხვა წევრებთან ერთად ან არ აღიარონ არც ერთი რელიგია, თავისუფლად შეიცვალონ მრწამსი არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

კანონი “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ”, რომელიც თანხმობაშია ლატვიის კონსტიტუციასთან და რელიგიის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, არეგულირებს საზოგადოებრივ

ურთიერთობებს, რომლებიც სინდისის თავისუფლების პრაქტიკულად განხორციელების და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბდა. სახელმწიფო იცავს რელიგიური ორგანიზაციების კანონიერ უფლებებს. სახელმწიფო, მუნიციპალიტეტები და მათი უწყებები, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები ხელს არ უშლიან რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას.

ლატვიაში ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციით, პრაქტიკულად არ ხორციელდება. ლატვია რომელიმე კონკრეტულ რელიგიასთან არ ასოცირდება და საკითხი დგას არა რელიგიური ტოლერანტობის შესახებ, არამედ კანონის იმ მუხლის ინტერპრეტაციის შესახებ, რომელიც ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფას ენება, რადგანაც სახელმწიფოს და ეკლესიის უფლებები მკაფიოდ არ არის გამიჯნული. ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელია, მაგრამ თუ ვისაუბრებთ იმ ძირითად პირობებზე, რომლებიც ეკლესიის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის გარანტია, ვნახავთ, რომ ლატვიაში არც ერთი ეს პირობა არ არსებობს. ეს გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ლატვია ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახელმწიფოა. მცირე დროის განმავლობაში თეორიისა და პრაქტიკის იდეალური ბალანსის მიღწევა შეუძლებელია. კონკრეტულ საზოგადოებრივ გარემოში შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა გარკვეული დრო. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სწორად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 99-ე მუხლში გაცხადებულ პრინციპებს (მაგალითად, თითოეული კონფესიის სახელზე მხოლოდ ერთი რელიგიური ასოციაცია შეიძლება იქნეს რეგისტრირებული).

2. ხელშეკრულებები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის

1996 წელს ლატვიის რესპუბლიკაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ტრადიციული ეკლესიების სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე იმ ხელშეკრულების პროექტის მომზადება დაევალა, რომელიც მთავრობასა და ამ ეკლესიებს შორის უნდა დადებულიყო. ხელშეკრულების სამუშაო ვარიანტი უარყოფილი იქნა 1997 წელს იმ მიზეზით, რომ ის სრულყოფილი არ იყო. ბევრმა ლატვიელმა იურისტმა ასეთი სტანდარტული ხელშეკრულება საჭიროდ არ მიიჩნია. მართლაც, ეს სამუშაო ვარიანტი ძირითადად ზოგად დებულებებს მოიცავდა. ეს საკითხი დღის წესრიგში ხელახლა დადგა 2000 წლის 9 ოქტომბერს, როდესაც მინისტრთა საბჭომ რომის კათოლიკური ეკლესიის სტატუსის საფუძველზე ვატიკანთან დადებული ხელშეკრულება განიხილა. მთავრობამ “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონში შესატანი ცვლილებები მოამზადა იმ პირობით,

რომ მინისტრთა საბჭოს უფლება ექნებოდა დაედო ხელშეკრულება რელიგიურ გაერთიანებებთან იმ საკითხებზე, რომლებიც ამ რელიგიური გაერთიანებების, უშუალოდ მათი მიმდევრების და შესაბამისი კონფესიების ინტერესებს ეხებოდა. სპეციალური კანონებით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობის დარეგულირება. ლატვიის პარლამენტი ორი წლის განმავლობაში (2000-2002) მსჯელობდა ამ ცვლილებების შესახებ, თუმცა, საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ეკლესიების ზენოლის შედეგად, 2002 წლის 12 სექტემბერს, ვატიკანთან ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს და “რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ” კანონს ახალი, მე-7(5) მუხლი დაამატეს, რომლის მიხედვითაც “სპეციალური კანონები უნდა არეგულირებდეს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის”. ამ ცვლილებაში არ არსებობს მითითება სხვა ეკლესიებთან ხელშეკრულების შესახებ, რადგანაც პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებრივ საქმეთა კომიტეტის თვალსაზრისით, სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულებები მხოლოდ გაართულებდა ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის.

2003 წლის შემოდგომაზე ლატვიის ევანგელურ-ლუთერანულმა და მართლმადიდებელმა ეკლესიებმა “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-7(5) მუხლის საფუძველზე შეიმუშავეს ორი კანონპროექტი და განსახილველად გადასცეს რელიგიურ საქმეთა საბჭოს. ორივე კანონპროექტის ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ამ პროექტებში მოცემული დებულებების დიდი ნაწილი ამოღებული იყო ვატიკანთან დადებული ხელშეკრულებიდან და კანონპროექტების შინაარსიც მთლიანად ამ ხელშეკრულების მოდელს მიყვებოდა. ეკლესიის საჯარო სამართლისადმი დაქვემდებარების შესაძლებლობის საკითხი ძალზე მწვავედ დადგა და რელიგიურ საქმეთა საბჭომ გამოთქვა აზრი, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ხელი მოეწერებოდა ხელშეკრულებებს, რის შემდეგაც ამ ხელშეკრულებების საფუძველზე მიიღებდნენ სპეციალურ კანონებს. პრესის მხრიდან მწვავე კრიტიკის მიუხედავად, 2004 წლის 8 ივნისს ლატვიის მთავრობამ ხელშეკრულებები გააფორმა შვიდ ტრადიციულ კონფესიასთან. ამაჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულებების განხილვა ლატვიის პარლამენტში.

3. ეკლესიები და შიდა ორგანიზება

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მიხედვით რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მმართველ ორგანოდ უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციას ასახელებენ, ლატვიის რესპუბლიკაში შეიძლება დარეგისტრირდნენ, როგორც “ავტონომიური რელიგიური

ორგანიზაციები”, რაც იმას ნიშნავს, რომ ლატვია ითვალისწინებს კავშირს კონგრეგაციასა და მის უცხოურ ცენტრს შორის. თუმცა, კანონთან შესაბამისობის პასუხისმგებლობა თავად რეგისტრირებულ კონგრეგაციას ეკისრება.

ლატვიაში არსებულმა რელიგიური ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა მიუთითა, რომ მათი ცენტრები საზღვარგარეთ მდებარეობს. ლატვიის მართლმადიდებელი ეკლესია კანონიკურად ემორჩილება მოსკოვის საპატრიარქოს. რიგის არქიეპისკოპოსის ეპარქიის რომის პაპის კურია წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაციას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება რიგის ეპარქიაში რომის კათოლიკური ეკლესიის მმართველობა კათოლიკური ეკლესიის კანონების მიხედვით და რომელიც აკონტროლებს ლატვიის ყველა ეპარქიას. ბუდისტური კონგრეგაციის თეოლოგიური ცენტრი “Drinkung Kagyu Dharmachakra Centre” ინდოეთში მდებარეობს. მორმონთა ეკლესიის ცენტრი სოლტ-ლეიკ-სიტიშია (აშშ), მეშიდე დღის ადვენტისტთა ეკლესია ბალტიისპირეთის კავშირის ნაწილია, რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიოს ადვენტისტურ ეკლესიაში (გენერალური კონფერენცია) შედის. ლატვიაში კონგრეგაციად დარეგისტრირებული “ხსნის არმია” იმავე სახელწოდების საერთაშორისო ორგანიზაციის ნაწილია, რომელიც რეგიონული წარმომადგენლობის სახით შვედურ კორპუსს ექვემდებარება. ლატვიის მეთოდისტური ეკლესია ნორვეგიისა და ბალტიისპირეთის მეთოდისტთა გაერთიანებაში შედის. ლატვიის თორმეტი მუსულმანური კონგრეგაციიდან შვიდმა თავის თეოლოგიურ ცენტრად დაასახელა რუსეთში რეგისტრირებული მუსულმანთა სულიერ ლიდერთა საბჭო. ეს კონგრეგაციები აღიარებენ, რომ ისინი თავიანთ რელიგიური ცენტრებს ემორჩილებიან რელიგიურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში. სხვა მუსულმანურ კონგრეგაციებს პრეტენზია აქვთ “ავტონომიურ” სტატუსზე, თუმცა, ოთხი მათგანი ექვემდებარება საუდის არაბეთის თეოლოგიურ ცენტრს და ერთი – თათარსტანის სულიერ ცენტრს. სუკიო მაჰიკარის ლატვიური კონგრეგაცია იაპონიაში იმავე სახელწოდებით რეგისტრირებული ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილია. კონგრეგაცია მიუთითებს, რომ მას აკონტროლებს ლუქსემბურგში ბაზირებული ევროპისა და აფრიკის რეგიონული ცენტრი. ბაჰაისტური კონგრეგაციის უმაღლესი მმართველი ორგანო ხაიფაში (ისრაელი) არის განთავსებული. წმინდა გრიგოლ განმანათლებლის (სომხური) ეკლესიის რიგის კონგრეგაცია ახალი ნახჭევანის ეპარქიისა და რუსეთის სომხური სამოციქულო ეკლესიის შემადგენლობაშია. ქრისტიანული მეცნიერების კონგრეგაციის “მშობელი ეკლესია” რიგაში არის “ქრისტიანული მეცნიერების პირველი ეკლესია”.

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-14 მუხლის თანახმად რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ლატვიის რესპუბლიკაში რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიონ სასულიერო პირები

ან მისიონერები, თუ მათთვის მიიღებენ ცხოვრების ნებართვას კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. 1999 წლიდან მოქმედი სავიზო რეჟიმის მიხედვით რელიგიური მოღვაწეები ვალდებული არიან წარადგინონ თავიანთი ხელდასმის სერტიფიკატი ან რელიგიური განათლების მოწმობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ლატვიურ თეოლოგიის ბაკალავრის ხარისხს. ვიზის მიღების რეჟიმი ჯერ კიდევ დაუზვენავია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა დახმარებას უწევს შესაბამის ორგანოებს რელიგიური მოღვაწეების მიერ ვიზების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში, პრობლემები მაინც არსებობს. (2002 წლის ივნისში ამერიკელმა რელიგიურმა მოღვაწემ წარმატებით გაასაჩივრა ვიზზე უარის მიღების ფაქტი, თუმცა, ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით შეიცვალა მთავრობის მიერ წარდგენილი აპელაციის საფუძველზე.) უცხოელ ევანგელისტებს და მისიონერებს, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩასულ მოღვაწეებს, უფლება აქვთ, გამართონ კრებები და დაკავდნენ პროზელიტიზმით, მაგრამ კანონი ადგენს, რომ მხოლოდ ადგილობრივ რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ მათი მიწვევა ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად. უცხოურმა რელიგიურმა კონფესიებმა გააკრიტიკეს ეს დებულება. 2002 წელს რელიგიურმა ორგანიზაციებმა 176 უცხოელი სასულიერო პირი მიიწვიეს.

4. რელიგიური გაერთიანებების საზოგადოებრივი საქმიანობა ადგილობრივ დონეზე

სახელმწიფოს მიზანია უზრუნველყოს, რომ მისი მოქალაქეების თავისუფლება არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ინტერესებსა და დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს და ამავე დროს გარანტირებული იყოს ყოველი ინდივიდის უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი რელიგიური თუ ათეისტური მრწამსის შესაბამისად. რელიგიური ორგანიზაციების საზოგადოებრივი საქმიანობა ლატვიაში თავისებურად რეგულირდება. რეგისტრაციის შესახებ განაცხადის მიღებაზე უარი ხელს არ უშლის ცალკეული ინდივიდების რელიგიურ აღმსარებლობას და მათ უფლებას, განეწიანდნენ რელიგიურ ორგანიზაციებში. მშვიდობიანი შეკრების უფლება განსაზღვრულია კანონით “შეკრებების, დემონსტრაციების და პიკეტების” შესახებ. ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად ყველას აქვს უფლება, მოაწყოს მშვიდობიანი მიტინგები, დემონსტრაციები და პიკეტები ან მონაწილეობა მიიღოს მათში, თუმცა, ეს არ ეხება რელიგიური ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებს. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-14(3) მუხლის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ჩაერთონ რელიგიურ საქმიანობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ მიღებული აქვთ ნებართვა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან. რელიგიურ საქმიანობაში მონაწილეობისას საზოგადოებრივი წესრიგი არ უნდა იქნეს დარღვეული.

IV. სამართლებრივი სტატუსი

1. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

ლატვიაში იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია სამოქალაქო კანონით, მაგრამ რელიგიურ ორგანიზაციათა სტატუსი და რეგისტრაციის წესები რეგულირდება 1995 წლის 7 სექტემბრის კანონით “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ”. სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფკავშირებისა და სამეწარმეო პირების გარდა) საქმიანობა რეგულირდება “საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მათი ასოციაციების შესახებ” კანონით. ლატვიაში რელიგიური ჯგუფების რეგისტრაცია არ მოითხოვება, მაგრამ კანონი რელიგიურ ორგანიზაციებს რეგისტრაციის შემთხვევაში გარკვეულ უფლებებსა და პრივილეგიებს ანიჭებს (იურიდიული პირის სტატუსი ქონების საკუთრებისათვის, ფინანსური ტრანზაქციები, დონორებისათვის საგადასახადო შეღავათები). რეგისტრაცია აადვილებს საზოგადოებრივი თავშეყრის წესებსაც.

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მიხედვით 25 სრულწლოვან პირს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ლატვიის მოქალაქეთა რეესტრში და იზიარებენ ერთ აღმსარებლობას, შეუძლიათ რელიგიური ორგანიზაციის დააარსება. ერთი და იმავე დენომინაციის ათ და მეტ დარეგისტრირებულ კონგრეგაციას შეუძლია რელიგიური ასოციაციის ჩამოყალიბება. როგორც კანონით “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” არის გათვალისწინებული, რელიგიური ორგანიზაციები (საეკლესიო კონგრეგაციები, რელიგიური თემები და ეპარქიები), სემინარიები, მონასტრები და დიაკონური ინსტიტუტები უნდა დარეგისტრირდნენ. მხოლოდ რელიგიური ასოციაციის სტატუსის მქონე ეკლესიებს შეუძლიათ თეოლოგიური სკოლებისა თუ მონასტრების დაარსება.

ეკლესიის დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რელიგიურ საქმეთა საბჭო, რომელიც 2000 წლის ბოლოს დაარსდა. რელიგიურ საქმეთა საბჭო არის სახელმწიფო ორგანო, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო უწევს ზედამხედველობას, რომელიც თავის მხრივ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად მოქმედებს. რელიგიის საქმეთა საბჭო იურიდიული პირია. მისი

კომპეტენციის ფარგლებში ის უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და რელიგიურ საქმეთა კოორდინაციას, აკვარებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების საკითხებს და მონიტორინგს უწევს იმ დადგენილებების მუშაობას, რომელიც სახელმწიფოში რელიგიის საქმიანობას ეხება. იგი განსახილველად გადასცემს წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ლატივის კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით აღმოფხვრას რელიგიასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. რელიგიურ საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს მუშაობასა და მისი ფუნქციების შესრულებაზე. რელიგიური ორგანიზაციების კანონები შეიძლება შეიცავდეს წესდებს, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციის საშინაო საქმეებს. რელიგიურ საქმეთა საბჭომ განაცხადები ერთი თვის ვადაში უნდა განიხილოს.

რელიგიურ საქმეთა საბჭოში რეგისტრაციის შედეგად რელიგიურ ორგანიზაციებს იურიდიული პირის სტატუსი ენიჭებათ. ლატივის რესპუბლიკის კანონმდებლობით რეგისტრაცია აუცილებელი არ არის რწმენის თავისუფლების გამოხატვისთვის. ყველა დაურეგისტრირებელ რელიგიურ ჯგუფს უფლება აქვს ჩაატაროს წირვა, რელიგიური რიტუალები და ცერემონიები და განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა, თუ ეს კანონს არ ეწინააღმდეგება.

რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობა ეფუძნება რელიგიურ საქმეთა საბჭოს რეესტრში შეტანილ დადგენილებებს, კანონიკურ წესებს და ლატივის რესპუბლიკის კანონმდებლობას. “რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ” კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ორგანიზაციათა საქმიანობა ეფუძნება მათ კანონებსა და დადგენილებებს. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის პირველი მუხლის მიხედვით რელიგიური საქმიანობა მოიცავს რელიგიის, რწმენისა და კულტის საჯაროდ დემონსტრირებას, რელიგიური ცერემონიალებისა და რიტუალების ჩატარებას და რელიგიურ სწავლებას ქადაგების გზით. იურიდიული პირის სტატუსის მიღების შემდეგ რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია: (1) ორგანიზება გაუწიოს საჯარო მსახურებს; (2) დააარსოს მონასტრები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც იმოღვაწეონ ამ ორგანიზაციის სასულიერო პირები; (3) რელიგიური საქმიანობა განახორციელოს საავადმყოფოებში და სტაციონარებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში; (4) გამოიყენოს რელიგიური სიმბოლოები იმ დებულებების შესაბამისად, სადაც მითითებულია, რომ “მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებს ან მათს მიერ დაარსებულ დაწესებულებებს აქვთ უფლება, თავიანთ ოფიციალურ ფორმებში და ბეჭდებში გამოიყენონ რელიგიურ ორგანიზაციათა დასახელებები და სიმბოლოები.”

რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს ლატვიის კონსტიტუციის 116-ე მუხლით. რელიგიურ ორგანიზაციათა ისეთი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს შეუწყნარებლობას და სიძულვილს, კანონის დარღვევას და აქეზებს ამგვარი ქმედებისკენ, არღვევს ან რაიმე მიზეზით არ ემორჩილება რელიგიურ ორგანიზაციათა წესდებას, ან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს, სიმშვიდეს, ან სხვა ადამიანთა ჯანმრთელობას ან მორალის ნორმებს, შეიძლება შეწყდეს სასამართლოს მიერ აკრძალვის შედეგად. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-14 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს აგრეთვე შეუძლია ამის საფუძველზე შეზღუდოს რელიგიურ ორგანიზაციათა და მათ მიმდევართა საქმიანობა. სახელმწიფომ თავისი მოქალაქეებისთვის უნდა უზრუნველყოს თავიანთი რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის შესაძლებლობა. თუმცა აღმსარებლობის თავისუფლება არავის აძლევს უფლებას, არ დაიცვას კანონი. უცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს იურიდიული უფლება, ადამიანთა უფლებების, სახელმწიფოს დემოკრატიის, უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, კეთილდღეობის, აგრეთვე ადამიანთა ჯანმრთელობისა და მორალური ნორმების დაცვის მიზნით შეზღუდოს რელიგიის საჯარო გამოვლინება.

იმ შემთხვევაში, თუ რელიგიურ ორგანიზაციას უარს ეტყვიან რეგისტრაციაზე, მას უფლება აქვს, ხელმოკრედ შეიტანოს განაცხადი, აღმოფხვრის რა იმ მიზეზებს, რომლებიც მიღებული უარის საფუძველი გახდა. რელიგიურ საქმეთა გამგეობის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირების შესახებ უარის შეიძლება გასაჩივრდეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

რელიგიურ ორგანიზაციათა ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნა, რომელსაც “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-8(4) მუხლი ითვალისწინებს, ეხება მხოლოდ ისეთი დენომინაციების კონგრეგაციას, რომელიც ლატვიის რესპუბლიკაში საქმიანობას პირველად იწყებს და არა ისეთ რელიგიურ თემებს, რომლებიც უკვე რეგისტრირებულია ლატვიაში. ხელახალი რეგისტრაციის მიზანია ამა თუ იმ კონგრეგაციის მიერ ლატვიის სახელმწიფოსადმი ერთგულების დამტკიცება და ამ კონგრეგაციის მიერ მზადყოფნის გამოხატვა, თავისი საქმიანობა დაუქვემდებაროს შესაბამის კანონმდებლობას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მეათეჯერ რეგისტრაციის შემდეგ რელიგიური ორგანიზაცია იძენს მუდმივად რეგისტრირებული ორგანიზაციის სტატუსს. ამჟამად რელიგიურ საქმეთა საბჭოში რეგისტრირებულია 1 160 რელიგიური ორგანიზაცია და მათი დანესებულება, აქედან 81 კონგრეგაციამ ყოველწლიურად უნდა გაიაროს ხელახალი რეგისტრაცია.

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-7(3) მუხლის თანახმად ერთ დენომინაციას აქვს მხოლოდ ერთი რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის დაარსების უფლება. ამ დებულების ძალაში შესვლამდე სამების კონფესიას ჰქონდა ორი რეგისტრირებული რელიგიური საზოგადოება, კერძოდ, ლატვიის სამების საზოგადოების ცენტრი და საერთაშორისო საღვთო საზოგადოების ლატვიის სამების მრევლის ასოციაცია. მიუხედავად ამისა, მთელმა რიგმა დაურეგისტრირებელმა დენომინაციებმა წამოიწყეს კამპანია, რომელიც მოითხოვს, ერთი კონფესიის ფარგლებში რელიგიურ საზოგადოებათა განუსაზღვრელი რაოდენობით დარეგისტრირების უფლებას (მაგალითად, კონფესიური ლუთერანული ეკლესიის და თავისუფალი მართლმადიდებელი ეკლესიის დარეგისტრირების ნებართვის მოთხოვნა).

როგორც ჩანს, კონგრეგაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებული აღნიშნული წესები შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს: “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონით ლატვიის მოქალაქეთა რეესტრში რეგისტრირებულ და ერთი კონფესიის აღმსარებლობის მიმდევარ 25 სრულწლოვან პირს შეუძლია ჩამოაყალიბოს რელიგიური ორგანიზაცია, თუ ყველა სარეგისტრაციო დოკუმენტი (კონგრეგაციის წესდება, სხდომის ოქმი და ა.შ.) სათანადოაა შედგენილი და გადაცემულია შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებისთვის. რაც შეეხება კონფესიის რეგისტრაციის პირობებს, სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესში დიდ ინტერესს იჩენს, რაც აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპს ეწინააღმდეგება. რელიგიურ საზოგადოებას რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანდება დენომინაციის ათი კონგრეგაცია და, შესაბამისად, არც ერთი რელიგიური საზოგადოება არ იქნება დარეგისტრირებული შესაბამის კონფესიაში. ეს მკაცრი პირობა სახელმწიფოს მხრიდან გამართლებული არ არის, რადგანაც არ არსებობს საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს საზოგადოებრივ წესრიგს, სახელმწიფო უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას ან მორალურ ნორმებს.

2. ახალი რელიგიური მოძრაობები

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა 1997 წლის რელიგიის თავისუფლების შესახებ მოხსენებაში გააკრიტიკა ლატვია რელიგიის თავისუფლების დარღვევისთვის, რადგან მან უარი თქვა დაურეგისტრირებინა იელოვას მონუმეები. მოგვიანებით ეს პრობლემა გადანყდა და 1998 წლის შემოდგომაზე ლატვიის იუსტიციის სამინისტრომ დაარეგისტრირა იელოვას მონუმეთა პირველი ორი კონგრეგაცია. ამჟამად ლატვიაში რეგისტრირებულია ამ მოძრაობის 12 კონგრეგაცია; ლატვიის სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ რაიმე ინფორმაცია ამ მოძრაობის

თავისუფლების შელახვის შესახებ. სანამ 2002 წელს ქრისტიან მეცნიერთა კონგრესაციას დაარეგისტრირებდნენ, იუსტიციის სამინისტრომ მისი განაცხადი ექვეჯერ უარყო, რადგან ლატვიის მედიკოსთა ასოციაციის დადგენილების მიხედვით ამ ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა – ადამიანთა არასამედიცინო მეთოდებით მკურნალობა – ეწინააღმდეგებოდა ლატვიის კანონმდებლობას და სამედიცინო ეთიკის კოდექსს.

3. ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები პოლიტიკურ სისტემაში

ლატვიის რესპუბლიკის “არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების” შესახებ 1992 წლის კანონის მიხედვით პოლიტიკური ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას 200 ფიზიკური პირის მიერ. ლატვიაში ეკლესიებს არ დაუარსებიათ საკუთარი პარტია. ლატვიის მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული არ არის რელიგიური ორგანიზაციების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებისას პოლიტიკური ორგანიზაციის “პირველი პარტია” საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ეკლესიებმა (ლუთერანულმა, კათოლიკურმა და მართლმადიდებელმა ეკლესიებმა). მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიები მას არ აფინანსებენ, ამ პარტიას “დაერქვა” “კლერიკალური პარტია”, იგი მოხვდა პარლამენტში და ამჟამად მმართველი კოალიციის წევრია. პარტია ცდილობს, მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი ტრადიციულ და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს. 2002-2003 წლებში ამ პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბაპტისტი მღვდელი იყო ბავშვთა და ოჯახის საქმეთა მინისტრი.

V. ეკლესიები და კულტურა

1. რელიგიური განათლება

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-6 მუხლის თანახმად ქრისტიანული რელიგიის კურსი შეიძლება ისწავლებოდეს სახელმწიფო და მუნიციპალურ სკოლებში წინასწარი წერილობითი განაცხადის საფუძველზე. არასრულწლოვანთა განაცხადები ქრისტიანული რელიგიის კურსის გავლის შესახებ დამტკიცებული უნდა იქნეს მშობლების ან მეურვეების მიერ. თუ არასრულწლოვანი 14 წლამდე ასაკისაა, განაცხადი უნდა წარადგინონ მისმა მშობლებმა ან მეურვეებმა. რელიგიური სწავლების კურსი არ მოიცავს

იუდაიზმს ან ისლამს. ქრისტიანული რელიგიის კურსს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის შესაბამისად, შეიძლება ასწავლიდნენ ევანგელურ-ლუთერანული, რომის კათოლიკური, მართლმადიდებელი, ძველმორწმუნე და ბაპტიტური კონფესიების წარმომადგენელი მასწავლებლები, იმ შემთხვევაში, თუ ერთი სკოლის 10 მოსწავლეზე მეტი გამოთქვამს სურვილს, დაესწროს გარკვეული რელიგიური კონფესიის მიერ რელიგიის სწავლების კურსს. მასწავლებლებს ირჩევენ კონგრეგაციის ლიდერები და ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 1998 წელს არსებულ კანონს დაემატა მე-6(5) მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ რელიგიისა და ეთიკის გაკვეთილებს აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. 1998 წელს სახელმწიფომ ამ სახის განათლებისთვის გამოყო 100 000 ლატვიური ლატი (ანუ 210 000 აშშ დოლარი). რელიგიის კურსის ალტერნატივად მოსწავლეებს სთავაზობენ ეთიკის საგანს.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მოსწავლეებსაც სურვილისამებრ შეუძლიათ მიიღონ განათლება “ეროვნული უმცირესობის დამახასიათებელი” რელიგიის შესახებ. სხვა კონფესიებს შეუძლიათ ასწავლონ რელიგიის კურსი მხოლოდ კერძო სკოლებში.

ლატვიასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულების მე-15 მუხლის თანახმად კათოლიკური რელიგიის სწავლება წარიმართება მხოლოდ ლატვიის ეპისკოპოსთა კონფერენციაზე დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ასეთ სწავლებას უზრუნველყოფენ მხოლოდ კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს ლატვიის ეპისკოპოსთა კონფერენციისგან. ასეთი სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში ავტომატურად უქმდება კათოლიკური რელიგიის სწავლების უფლება.

კანონის თანახმად ნებისმიერ პირს, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, შეუძლია ჩაატაროს რელიგიური განათლების კურსი რელიგიური ორგანიზაციების საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში, რომლებსაც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი აფინანსებს, მოსწავლეების ან მათი მშობლების და მეურვეების სურვილისამებრ, ისწავლება კონკრეტული ეროვნული უმცირესობის რელიგია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. მაგალითად, მართლმადიდებლებს, რომელთა რელიგიაც მითითებული არ არის “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონში, შეუძლიათ თავიანთი შვილების რელიგიის გაკვეთილებით უზრუნველყოფა.

3. თეოლოგიის ფაკულტეტები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

ლატვიის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტი არაკონფესიურია. ეს ფაკულტეტი დაარსდა 1920 წელს, თუმცა, იგი გაუქმდა 1940 წელს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ. ფაკულტეტი აღადგინეს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა რეჟიმის ნგრევის შემდეგ. 1998 წლის უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის წესდების თანახმად ამჟამად თეოლოგიის ფაკულტეტი წარმოადგენს ლატვიის უნივერსიტეტის ეკუმენურ ქრისტიანულ აკადემიურ და კვლევით დეპარტამენტს, რომელიც ამზადებს მომავალ თეოლოგებს, რელიგიური მეცნიერების აკადემიურ მკვლევარებს, ლექტორებსა და რელიგიისა და ეთიკის პროფესიონალ მასწავლებლებს, აგრეთვე ეთიკის საკითხების სპეციალისტებს. ფაკულტეტი არც ერთ ეკლესიას არ ექვემდებარება და ყველა ეკლესიასთან თანამშრომლობს. სტუდენტები და ლექტორები სხვადასხვა კონფესიებს წარმოადგენენ. ფაკულტეტის ამგვარ არაკონფესიურ ხასიათს საინტერესო შედეგები ახასიათებს: ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება აქ თავს იჩენს, როგორც თეოლოგიისა და ეკლესიის განცალკევება. ფაკულტეტი მღვდლების სწავლებაზე მეტად აქცენტს თეოლოგიის სოციალურ საკითხებზე აკეთებს, რაც კლასიკური მოდელის შემთხვევაში საეკლესიო საქმიანობის ფარგლებში უნდა ხორციელდებოდა.

4. რელიგია და მედია

კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ პროცედურას, რომელიც რელიგიურმა ორგანიზაციამ უნდა გაიაროს მედია-საშუალების დაარსებისთვის. რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ დააარსონ ჟურნალები, გაზეთები და პერიოდული გამოცემები ზოგადი პროცედურის შესაბამისად. ასეთი ლიბერალური დამოკიდებულება ზოგჯერ პრობლემებს იწვევს. ამის მაგალითია რელიგიური გაზეთი “ლატვიელი ლუთერანი”, რომელსაც გამოსცემს აუტსტურგის ინსტიტუტი, ლატვიაში რეგისტრირებული ორგანიზაცია. ამ გაზეთში გამოთქმული შეხედულებები ლატვიის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ოფიციალური პოზიციისგან განსხვავდება, რის გამოც 1999 წელს რელიგიის საქმეთა საბჭოს მოუწია ეკლესიის მიერ გამოთქმულ საყვედურებზე პასუხის გაცემა, აღნიშნული ორგანიზაციისგან ახსნა-განმარტების მიღება და იმ საკითხის გარკვევა, რატომ ჩაერთო ეს ორგანიზაცია რელიგიურ საქმიანობაში მაშინ, როდესაც კანონი ამის უფლებას მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებს ანიჭებდა.

5. ლატვიის რესპუბლიკაში ოფიციალურად აღიარებული სინმინდებები

ლატვიაში არსებული 881 ტაძარი და საკულტო ნაგებობა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაშია, აქედან 300 ეკუთვნის ლუთერანებს, 216 – კათოლიკეებს, 122 – მართლმადიდებლებს, 66 – სტაროვერებს, 66 – ბაპტისტებს, 79 – მეშვიდე დღის ადვენტისტებს, 24 – ორმოცდაათიანელებს, ხოლო 8 – სხნის არმიას. ეკლესიათა დიდი ნაწილი შეტანილია სახელმწიფო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლების ნუსხაში. ყველაზე ცნობილი ეკლესიებია რიგის კათედრალური ტაძარი, რომელიც ლუთერანულ ეკლესიას ეკუთვნის და კათოლიკური აგლონის ბაზილიკა. აგლონის ბაზილიკა დღეს ლატვიის რესპუბლიკაში ერთადერთი ოფიციალურად აღიარებული წმინდა სალოცავია. იგი 1800 წელს დომინიკელმა ბერებმა ააგეს. ბაზილიკა, რომელიც ბევრ მომლოცველს იზიდავს, 1993 წელს ეწვია რომის პაპი იოანე პავლე II და აკურთხა იგი. ყოველი წლის 14 და 15 აგვისტოს აქ კათოლიკეები წმინდა ღვთისმშობლის მიძინებას აღნიშნავენ. ამ დროს ბაზილიკაში უამრავი ხალხი იკრიბება. მაგალითად, 2003 წლის აგვისტოს აგლონაში გამართულ ზეიმში 100 000-მდე მომლოცველმა მიიღო მონაწილეობა.

ამ წმინდა სალოცავთან დაკავშირებით სპეციალური კანონია მიღებული. 1995 წლის “აგლონის საერთაშორისო მნიშვნელობის წმინდა სალოცავის შესახებ” კანონის პირველი მუხლის მიხედვით აგლონა წარმოადგენს როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე წმინდა სალოცავს, ისე ლატვიის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილს, კულტურულ ძეგლსა და სალოცავ ადგილს. აგლონის წმინდა სალოცავი მხოლოდ რელიგიური და სასულიერო მიზნებით უნდა იყოს გამოყენებული ლატვიის კათოლიკური ეკლესიის მფარველობით”. ამ კანონის საფუძველზე ლატვიის მთავრობამ 1999 წელს გამოსცა დებულებები “აგლონის წმინდა სალოცავის დაცულ ტერიტორიაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობის შესახებ.” ამ დებულებებში მითითებულია, რომ ხის ჭრა და ნებისმიერი სახის სამუშაო, რომელიც ეხება მდინარეს ან ტბას, ნებისმიერი სახის და დანიშნულების შენობების, სასტუმროების და გასართობი ნაგებობების აშენება და აღმართვა შეიძლება მხოლოდ კონგრეგაციისგან წინასწარი წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ. არავის აქვს უფლება, წმინდა სალოცავის მიმდებარე ტერიტორიაზე კონგრეგაციის ნებართვის გარეშე გაყიდოს ან რეკლამა გაუწიოს ალკოჰოლურ სასმელებს და გასართობი დანიშნულების საგნებს; ასეთი ნებართვის გარეშე აკრძალულია ამ ტერიტორიაზე ნადირობა და თევზაობა.

ვატიკანთან დადებული ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად ავლონის წმინდა სალოცავი ლატვიის რესპუბლიკის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილია და მას ლატვიის კანონმდებლობა იცავს. უშუალოდ ბაზილიკის შენობის, ბაზილიკის წინ მდებარე წმინდა მოედნის, სასაფლაოსა და წყაროს გარდა, წმინდა სალოცავის დაცული ტერიტორია აგრეთვე მოიცავს ყველა სხვა შენობას, ნაგებობას და მიწას, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის.

VI. შრომის კანონმდებლობა რელიგიურ ბაერთიანებებში

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონში შრომითი ურთიერთობა მხოლოდ ორჯერაა ნახსენები. პირველ რიგში აღსანიშნავია კანონის მე-19 მუხლი, რომლის მიხედვითაც რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ეს ორგანიზაცია წყვეტს შრომით ურთიერთობებს მის ყველა თანამშრომელთან ლატვიის შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად. შრომითი ურთიერთობა აგრეთვე ნახსენებია მე-14 მუხლში, რომელიც მიუთითებს, რომ რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია დანიშნოს, აირჩიოს ან გადააყენოს მღვდლები თავისივე წესდების თანახმად და დაასაქმოს და გაათავისუფლოს სხვა თანამშრომლები შესაბამისი შრომითი კანონმდებლობის მიხედვით. ლატვიაში მოქმედი შრომის კანონმდებლობა არ ეხება რელიგიურ ორგანიზაციათა სპეციფიკურობას ანუ რელიგიურ ორგანიზაციებზე ვრცელდება იგივე კანონები, რაც სხვა ნებისმიერ საჯარო თუ კომერციულ ორგანიზაციებზე.

2001 წლის 20 ივნისს მიღებული შრომის კანონის მე-7(2) მუხლი კრძალავს პიროვნების პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკისა და რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების საფუძველზე. შრომის კანონის 29-ე მუხლი ეხება “დიფერენცირებული მოპყრობის აკრძალვას”, რაც ითვალისწინებს დამსაქმებლის მხრიდან დაქირავებული პირის მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის აღკვეთას, რომელსაც საფუძველად დაედება დაქირავებული პირის რასა, კანის ფერი, ასაკი, ფიზიკური ნაკლი, პოლიტიკური და სხვა სახის შეხედულება, ეროვნული და სოციალური წარმომავლობა, საკუთრება, ოჯახური მდგომარეობა და რელიგიური მიმდევრობა. ამავე მუხლში ნათქვამია, რომ რელიგიის საფუძველზე დაქირავებული პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც რელიგიური აღმსარებლობა გარკვეული სახის სამუშაოს შესრულების ან დასაქმებისთვის გამართლებული და ობიექტური წინაპირობაა. აღნიშნული კანონი (კერძოდ, 33(2)(4) მუხლი) აგრეთვე მიუთითებს, რომ დაუშვებელია გასაუბრების დროს

ისეთი კითხვების დასმა, რომლებიც არ ეხება შესასრულებელ სამუშაოს ან დაქირავებული პირის მოცემულ სამუშაოსთან შესაბამისობას, აგრეთვე ისეთი კითხვების დასმა, რომლებიც დაქირავებული პირის პირდაპირ თუ ირიბ დისკრიმინაციას ითვალისწინებს. დისკრიმინაციული ხასიათის კითხვებს განეკუთვნება ისეთი კითხვები, რომლებიც ეხება რელიგიურ კუთვნილებას ან რელიგიური კონფესიის წევრობას. შრომის კანონის 34-ე(1) მუხლის მიხედვით შრომითი ურთიერთობის დამყარებისას დამსაქმებლის მხრიდან დიფერენცირებული მიდგომის შემთხვევაში სამუშაოზე განმცხადებელს უფლება აქვს, მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია. შეუთანხმებლობის შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

VII. ფინანსური საკითხები

ლატვიაში არ არსებობს არც ერთი კანონი ეკლესიების მიერ გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით. ეკლესიების ფინანსურ და საგადასახადო საკითხებს ლატვიის სხვადასხვა კანონები და დებულებები არეგულირებს. რელიგიურ ორგანიზაციათა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი კანონებიდან შეიძლება აღინიშნოს:

- “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-15 მუხლის თანახმად ამ ორგანიზაციებს აქვთ ბიზნესში ჩართვის უფლება. თუ ორგანიზაციის შემოსავლები ერთ კალენდარულ წელიწადში აღემატება მინიმალური თვიური ხელფასის ხუთასამაგ ოდენობას, რელიგიურ ორგანიზაციას უფლება აქვს, დააარსოს კომპანია და აწარმოოს ამ კომპანიის საქმიანობა “მენარმეობის შესახებ” კანონის შესაბამისად;
- “მენარმეობის შესახებ” კანონის თანახმად რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ჩაერთონ ბიზნესში, დააარსონ კომპანიები და შეიძინონ სხვადასხვა კომპანიების აქციები;
- “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-16 მუხლის თანახმად რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ იქონიონ უძრავი და მოძრავი ქონება, თუმცა, მათ ეკრძალებათ საეკლესიო შენობების და სარიტუალო ძეგლების დაგირავება, ხოლო კრედიტორებს – აღნიშნული საგნების მიღება/დაუფლება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ეხება რელიგიური ორგანიზაციების გადასახადებისგან განთავისუფლებას:

- “უძრავი ქონების გადასახადის შესახებ” კანონის თანახმად რელიგიური ორგანიზაციის კუთვნილებაში არსებული და რელიგიური საქმიანობის მიზნით გამოყენებული უძრავი ქონება 2001 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება;
- “დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ” კანონის თანახმად რელიგიური ორგანიზაციების მიერ განეული რელიგიური, რიტუალური და სხვა არამომგებიანი დანიშნულების მომსახურება განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან;
- კომპანიებს, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციებისთვის შეწირულობებს გაიღებენ, ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე შეუძლიათ მოითხოვონ გადასახადებისგან 85%-იანი განთავისუფლება, რასაც “კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის შესახებ” კანონის მე-20 მუხლი ითვალისწინებს. გადასახადებისგან ამგვარი განთავისუფლება არ ვრცელდება ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც ახალი საგადასახადო პერიოდის მეორე თვის პირველი დღისათვის გადასახდელი აქვთ წინა ფისკალური წლის საგადასახადო დავალიანება. კანონის მიხედვით გადასახადისგან ჯამური განთავისუფლება არ შეიძლება აღემატებოდეს კომპანიის სრული საგადასახადო ვალდებულების 20%-ს;
- “ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის შესახებ” კანონის თანახმად ფიზიკურ პირს, რომელიც შეწირულობებს იღებს სახელმწიფო და რელიგიური ორგანიზაციისთვის (ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული ნებართვის საფუძველზე) შეუძლია, ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის შესახებ ანგარიშის ჩაბარებამდე ეს თანხა გამოაკლოს თავის დასაბეგრ შემოსავალს. უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ორგანიზაციები არ იხდიან კორპორატიულ ან ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს. თუ რელიგიური ორგანიზაციები უცხო ქვეყნებიდან იღებენ ტექნიკურ დახმარებას, ისინი თავისუფლდებიან საბაჟო და დამატებითი ღირებულების გადასახადებისგან;
- რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მიიღონ ჰუმანიტარული დახმარება. ჰუმანიტარული დახმარების ტვირთები საბაჟო და სხვა გადასახადებისგან თავისუფალია კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ჰუმანიტარული დახმარების მიმღები ორგანიზაციების სია ყოველწლიურად განახლდება მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებების შესაბამისად.

VIII. რელიგიური მომსახურება სახელმწიფო დაწესებულებებში

სახელმწიფო დაწესებულებებში რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობა ძირითადად კაპელანების მიერ ხორციელდება. 2002 წელს ლაგვიაში იყო 17 ლუთერანი, 10 ბაპტისტი, 7 რომოცდათიანელი, 4 მეშვიდე დღის ადვენტისტი და 1 სტაროვერი კაპელანი. კაპელანობა ერთადერთი პროფესიაა ლაგვიაში, რომელსაც სტატუსსა და აღიარებას ეკლესია ანიჭებს. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის პირველი (8) მუხლის მიხედვით კაპელანები სასულიერო მომსახურე პერსონალია, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ სასჯელალსრულების დაწესებულებებში, ეროვნული შეიარაღებული ძალების ნაწილებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც ჩვეულებრივი მღვდელი ხელმისაწვდომი არ არის. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-14 (5) მუხლის თანახმად ლაგვიაში კაპელანები მუშაობენ მინისტრთა საბჭოს მიერ კაპელანთა მომსახურების შესახებ მიღებული დადგენილებების შესაბამისად. მინისტრთა საბჭომ დადგენილებები “კაპელანთა მომსახურების შესახებ” 2002 წლის 2 ივლისს გამოსცა.

კაპელანთა საქმიანობას აფინანსებს და მათ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას უწევს შესაბამისი სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო თავისი ბიუჯეტის ფარგლებში, ანდა – შესაბამისი რელიგიური ორგანიზაცია.

დებულებები არეგულირებს ლაგვიაში კაპელანთა მომსახურებას და ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

- თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე კაპელანები პატიმრობის, მსჯავრდებისა და დაკავების ადგილებში უზრუნველყოფენ სასულიერო მომსახურებას და მორალურ მხარდაჭერას. ისინი არიან მრჩეველები რელიგიისა და ეთიკის საკითხებში და ზრუნავენ მორალურ განათლებაზე. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კაპელანთა მომსახურების სტრუქტურას განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის ადგილების საბჭო რელიგიის საქმეთა საბჭოსთან შეთანხმებით. კაპელანთა მომსახურებას არეგულირებს ციხის ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დაწესებულებების შიდაგანაწესი. ყველა პატიმარს უფლება აქვს, თვეში ერთხელ პირისპირ შეხვდეს მღვდელს;
- ეროვნული შეიარაღებული ძალების კაპელანები სასულიერო მომსახურებას უწევენ ეროვნული შეიარაღებული ძალების პერსონალს. მათ სამხედრო ჩინები ეძლევათ. კაპელანებს არ აქვთ იარაღის ტარების უფლება. ეს კაპელანები, წარმოადგენენ რა სამხედრო პირებს, ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში

ნებაყოფლობით გადიან სამხედრო სამსახურს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით. ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კაპელანების საქმიანობას ხელმძღვანელობს ეროვნული შეიარაღებული ძალების უფროსი კაპელანი, რომელიც ადმინისტრაციულად უშუალოდ შეიარაღებული ძალების სარდალს ექვემდებარება. “კაპელანის მომსახურების შესახებ” დებულებების მე-14 პარაგრაფის თანახმად ეროვნული შეიარაღებული ძალების კაპელანებს ადმინისტრაციულ საკითხებში ხელმძღვანელობს ნანილის მეთაური, საკაპელანო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში – ეროვნული შეიარაღებული ძალების უფროსი კაპელანი, ხოლო რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებში – შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო ლიდერი.

- აეროპორტების, საზღვაო პორტებისა და სახმელეთო სატრანსპორტო ტერმინალების კაპელანები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სასულიერო მომსახურებას, მორალურ მხარდაჭერასა და რელიგიურ საკითხებში საჭირო რჩევებს უზრუნველყოფენ აეროპორტების, საზღვაო პორტებისა და სახმელეთო სატრანსპორტო ტერმინალების თანამშრომლებისთვის;
- სამედიცინო და სოციალური მომსახურების დაწესებულებების კაპელანები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სასულიერო მომსახურებას, მორალურ მხარდაჭერასა და რელიგიურ საკითხებში საჭირო რჩევებს უზრუნველყოფენ სამედიცინო და სოციალური მომსახურების დაწესებულებების პერსონალისა და მოსარგებლე პირებისთვის.

კაპელანების დანიშვნა შეუძლიათ მხოლოდ შემდეგ რელიგიურ ორგანიზაციებს: ლატვიის ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიების საბჭო, რიგის არქიეპისკოპოსის ეპარქიის კათოლიკური კურია, ლატვიის მართლმადიდებელი ეკლესიები, ლატვიის სტაროვერული ეკლესიის ცენტრალური საბჭო, ლატვიის გაერთიანებული მეთოდისტთა ეკლესიები, ლატვიის ბაპტისტთა საზოგადოების ასოციაცია, მეშვიდე დღის ადვენტიცისტთა ლატვიის სათემო ასოციაცია, რიგის იუდეურ რელიგიური საზოგადოება და ლატვიის სამების საერთაშორისო საღვთო სათემო ასოციაცია.

“ლატვიის ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში კათოლიკეებისთვის რელიგიური მომსახურების შესახებ” ლატვიის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულების III ნაწილის 23-ე და 29-ე მუხლების თანახმად “ვატიკანმა ლატვიის რესპუბლიკის კათოლიკური ეკლესიის ფარგლებში უნდა დაანესოს სამხედრო ორდინარიატი, რომელიც ლატვიის თავდაცვის სამინისტროსა და ეპისკოპოსთა კონფერენციას შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე ლატვიის ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კათოლიკეებს შესთავაზებს რელიგიურ მომსახურებას”.

IX. მღვდლების და რელიგიური ორგანიზაციების წევრების სამართლებრივი სტატუსი

2003 წელს ლატვიაში რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებში 875 სასულიერო პირი მსახურობდა. ესენი იყვნენ:

149	ლუთერანი
121	კათოლიკე
80	ბაპტიستي
77	ევანგელისტი
75	მართლმადიდებელი
76	ორმოცდაათიანელი
35	მეშვიდე დღის ადვენტიستي
35	ქველმორწმუნე
26	იელოვას მონაწილე

“რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის პირველი მუხლის თანახმად რელიგიურ ორგანიზაციათა მოხელეები, მათ შორის, სასულიერო პირები, არჩეული ორგანოების (საბჭოების, კოლეგიებისა და აუდიტორული კომიტეტების) წევრები არიან. რელიგიურ ორგანიზაციებში განწევრიანებული სასულიერო პირები არიან არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, პასტორი, მღვდელი, დეკანოზი, რაბინი და სხვა.

ლატვიის რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციაში სასულიერო ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება არანაირ პრივილეგიას არ ითვალისწინებს. ერთადერთი გამონაკლისი სამხედრო სამსახურს ეხება. “სავადებულო სამხედრო სამსახურის შესახებ” კანონის 21-ე (1)(7) მუხლის თანახმად ლატვიაში ნებისმიერ რელიგიურ ორგანიზაციაში შემავალ სასულიერო წოდების მქონე პირებზე, ასევე იმ პირებზე, რომლებიც ამ წოდებების მისაღებად რელიგიური ორგანიზაციების სემინარიებში სწავლობენ, არ ვრცელდება სავადებულო სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება. ლატვიაში აკრძალულია რელიგიური მიზნების გამო სამხედრო სამსახურისგან განთავისუფლების წესთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვება და ნებისმიერ მცდელობა სამხედრო წოდების გამოყენებისა რომელიმე პირის ამა თუ იმ რელიგიურ აღმსარებლობაზე მოქცევის მიზნით.

ლატვიის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად აღსარების საიდუმლო ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება, დაკითხოს კათოლიკე მღვდელი აღსარების საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაშინაც კი, როდესაც ეს მღვდელი წარდგება მოწმედ საერო სასამართლოს წინაშე. თუმცა, მღვდლების ეს უფლება დაცული არ არის ლატვიის რესპუბლიკაში მოქმედი სისხლის სამართლის პროცესით. ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც საბჭოთა პერიოდში მიიღეს, ბევრჯერ შეიცვალა. ამჟამად მომზადდა ახალი კოდექსი, რომელიც სრულად აღიარებს აღსარების ხელშეუხებლობას. პარლამენტის მიერ პირველი მოსმენისთანავე მიღებული ლატვიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 121-ე მუხლით გათვალისწინებულია “სისხლის სამართლის პროცესით დაცული პროფესიონალური საიდუმლოებები”. 1(1) მუხლის თანახმად სასულიერო პირთა უფლება, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე იმის შესახებ, რაც მათთვის აღსარების შედეგად გახდა ცნობილი და ასევე – აღნიშნული საკითხების შესახებ ნებისმიერი პირადი შენიშვნების გახმაურებაზე, არანაირად არ შეიზღუდება. ლატვიის სასამართლოებში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა ან ისეთი საკითხის განხილვა, რომელიც მსჯავრდებულსა და მღვდელს შორის ჩვეულებრივ საუბარსა და აღსარებას შორის ზღვარის დადგენას შეეცდებოდა.

X. სისხლის სამართალი და რელიგია

1. სისხლის სამართალი

ლატვიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 227-ე მუხლით ისჯება რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი წევრების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედება. ისეთი ჯგუფის ორგანიზების და ხელმძღვანელობისთვის, რომელიც ასწავლის ან ატარებს სახელმწიფოს უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის ჯანმრთელობისა და კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ რელიგიურ რიტუალებს, კანონით გათვალისწინებულია 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან მინიმალური თვითური ხელფასის ასმაგი ოდენობის ჯარიმა.³¹¹ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ადამიანის უფლებებზე და რელიგიაზე დაფუძნებული არჩევანის თავისუფლების (იმ საქმიანობის გარდა, რომელიც

311 2004 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფოს მიერ დაწესებული მინიმალური ხელფასი შეადგენს დაახლოებით 124 ევროს.

გამომდინარეობს მისი ამა თუ რელიგიური კონფესიის კუთვნილებიდან) პირდაპირ თუ ირიბად შეზღუდვისთვის, ასევე – რელიგიური გრძნობების შელახვის და რელიგიის და ათეიზმისადმი დამოკიდებულების გამო სიძულვილის აღძვრისთვის. ასეთი დანაშაული ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან მინიმალური თვიური ხელფასის ორმოცმაგი ოდენობამდე ჯარიმით.

რელიგიური რიტუალების განზრახ ჩაშლისთვის, თუ ასეთი რიტუალები არ უკავშირდება კანონის ან ადამიანის უფლებების დარღვევას, სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელს საზოგადოებრივი სამუშაოების სახით ან მინიმალური თვიური ხელფასის ასმაგ ოდენობამდე ჯარიმას.

2. ადმინისტრაციული კანონმდებლობა

ლატვიის სამოქალაქო სამართლის თანახმად მკრეხელობა არამართლზომიერ ქმედებად ითვლება. “არასანქცირებული და უხამსი ქმედებები, რომელთა მიზანი ეწინააღმდეგება რელიგიას, კანონსა და მორალის ნორმებს ან მიმართულია კანონის მოთხოვნის თავიდან აცილებისკენ, არ შეიძლება წარმოადგენდეს იურიდიული შეთანხმების საგანს და ნებისმიერი ასეთი სახის შეთანხმება ანუღირებულია”. “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-4 მუხლით აგრეთვე აკრძალულია პირდაპირ თუ ირიბად ადამიანთა რელიგიური გრძნობების შელახვა.

“სავაჭრო ნიშნებისა და გეოგრაფიული დასახელებების შესახებ” კანონის მე-2 მუხლის მიხედვით დაუშვებელია რელიგიური სიმბოლოების სავაჭრო ნიშნებად რეგისტრირება. რელიგიური სიმბოლოები განეკუთვნება ე. წ. “არარეგისტრირებად ნიშანთა” ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად რელიგიური სიმბოლოები შევიდა არარეგისტრირებად ნიშანთა იმ ჯგუფში, რომელიც აგრეთვე სახელმწიფო ემბლემებს მოიცავს.

“რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ” კანონის მე-13(3) მუხლით არარეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს ეკრძალება რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების დასახელებებისა და სიმბოლოების გამოყენება.

“პრესისა და ინფორმაციის სხვა საჯარო საშუალებების შესახებ” კანონის მე-7 მუხლით იკრძალება ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება და გავრცელება, რომელიც ლატვიაში რელიგიურ შეუწყნარებლობას ამართლებს. ანალოგიურად, აკრძალულია რელიგიური გრძნობების შემლახველი კომერციული ვიდეო-რგოლების ჩვენება. “რეკლამის შესახებ” კანონის მე-4 მუხლით აკრძალულია

ადამიანის რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ფინანსური სტატუსის და სხვა გარემოებების საფუძველზე ადამიანის დისკრიმინაციის რეკლამირება. გარდა ამისა, რეკლამებში აკრძალულია “შიშისა და ცრურწმენის თემის გამოყენება”, რაც გარკვეულწილად ზოგიერთ რელიგიურ კონფესიასაც ეხება. ამ პრინციპების დარღვევისათვის სანქციები არა სისხლის სამართლის, არამედ ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხასიათისაა, მაგრამ საკმაოდ მკაცრია იმისათვის, რომ რეკლამის პროდიუსერმა ან გამავრცელებელმა თავი შეიკავოს რელიგიის შეურაცხმყოფელი მასალის გამოქვეყნებაზე. “რადიოსა და ტელევიზიის შესახებ” კანონის მე-20 მუხლში აგრეთვე ნათქვამია, რომ კომერციული ვიდეორგოლები ზიანს არ უნდა აყენებდეს ადამიანის ღირსებასა და რელიგიურ გრძნობებს.

X. საქორწინო და საოჯახო სამართალი

ლატვიაში ეკლესიების მიერ ქორწინების რეგისტრირების პრაქტიკის საფუძველია განსაკუთრებული სამართლებრივი, ისტორიული და კულტურული პირობები. რუსეთის იმპერიის პერიოდში (როდესაც ლატვია რუსეთის პროვინცია იყო), ქორწინების რეგისტრაცია ცენტრალიზებული არ იყო და ქორწინების, დაბადების, ნათლობის, გარდაცვალების და დაკრძალვის რეგისტრაციას რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია აწარმოებდა. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ეს პრივილეგია ლუთერანულ და კათოლიკურ ეკლესიებზეც ვრცელდებოდა. 1917 წელს რუსეთის დროებითმა მთავრობამ მიიღო კანონი რელიგიის თავისუფლების და საკუთარი რელიგიის აღმსარებლობის უფლების შესახებ. ამ კანონის მიხედვით პირებს, რომლებიც არც ერთ რელიგიურ კონფესიას არ მიეკუთვნებოდნენ, შეეძლოთ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით შეესრულებინათ სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული პროცედურები. ეს ძველი სისტემის ალტერნატიული სისტემით (ეკლესიის ან მმაჩის ბიუროს მომსახურება) შეცვლას ნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბოლშევიკებმა ეკლესიებს ჩამოართვეს სამოქალაქო სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებული პროცესების წარმოების უფლება, ლატვიის ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში 1920 წლამდე ძალაში დარჩა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ მიღებული კანონი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ, ისევე როგორც სამოქალაქო სტატუსის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი სხვა კანონები. 1922 წელს დამფუძნებელთა კრებამ გამოსცა კანონი “ქორწინების შესახებ”, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებდა, ეწარმოებინა თავისი მოქალაქეების სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული აქტები. მიუხედავად ამისა, ამ კანონით ზოგიერთ ეკლესიას ენიჭებოდა

სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული აქტების რეგისტრაციის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირები ასეთი აქტების შესახებ სახელმწიფო დაწესებულებებს ზუსტ ანგარიშს ვერ წარუდგენდნენ, ისინი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოცემულიყვნენ. 1937 წლის სამოქალაქო სამართალი მიუთითებდა 10 კონფესიას, რომლებსაც თავიანთი წევრების ქორწინების რეგისტრაციის უფლება ეძლეოდა. აღნიშნული კონფესიის წევრს ჰქონდა არჩევანის უფლება, სად დაერეგისტრირებინა ქორწინება – ქორწინების რეგისტრაციის სახელმწიფო ბიუროში თუ საკუთარი კონფესიის ეკლესიაში.

ლატვიის მიერ დამოუკიდებლობის ხელმოწერედ მოპოვების შემდეგ აღდგენილი იქნა 1937 წლის სამოქალაქო სამართალი (კერძოდ, სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომლებიც საქორწინო სამართალს ეხებოდა). აგრეთვე აღდგა ეკლესიების მიერ ქორწინების რეგისტრირების პრაქტიკა. ლატვიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის თანახმად რვა რელიგიურ კონფესიას აქვს ქორწინების ჩატარების უფლება. განახლებული სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავისი ქორწინება დაარეგისტრიროს როგორც ქორწინებათა სარეგისტრაციო ბიუროში, ისე სასულიერო პირთან. სამოქალაქო სამართლის 51-ე მუხლის მიხედვით, თუ ქორწინების მოსურნე ადამიანი განეკუთვნება ლუთერანულ, კათოლიკურ, მართლმადიდებელ, სტაროვერულ, მეთოდისტურ, ბაპტისტურ, მეშვიდე დღის ადვენტიცტურ ან იუდეურ რელიგიას და სურს თავისი კონფესიის ტაძარში დაქორწინება, ამ ტაძრის მიერ დანიშნული სასულიერო პირს შეუძლია ამ ქორწინების რეგისტრაცია შესაბამისი ტაძრის წესდების თანახმად, სათანადო შეტყობინების საფუძველზე. სამოქალაქო სამართლის 58-ე მუხლი მიუთითებს, რომ სასულიერო პირმა ქორწინების სარეგისტრაციო ოფისის ჩატარებული ქორწინების შესახებ თოთხმეტი დღის განმავლობაში უნდა შეატყობინოს. “სამოქალაქო აქტების სტატუსის შესახებ” (13.2 მუხლი) 1993 წლის კანონის თანახმად სასულიერო პირს სახელმწიფოს სახელით ქორწინების რეგისტრირების უფლებამოსილება შესაბამისმა ეკლესიამ უნდა მიანიჭოს.

ქორწინების კანონიერების საკითხი კონკორდატშიც არის განხილული. ლატვიის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად ეკლესიური ქორწინება მისი ჩატარებისთანავე ლატვიის რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული სამოქალაქო ძალის მქონე ხდება, თუკი ხელშეკრულების მხარეებს შორის არ არსებობს არანაირი ხელის შემშლელი ფაქტორი და დაცულია ლატვიის რესპუბლიკის კანონმდებლობა. საეკლესიო ქორწინების შესაბამის სამოქალაქო უწყებაში რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს ლატვიის კანონმდებლობა.

ამჟამად ქორწინებების დაახლოებით ერთი მესამედი ეკლესიებში სრულდება. 2002 წელს ქორწინების ჩატარების ნებართვა 339 მღვდელს მიეცა. ამ მღვდლებმა 2002 წელს ჩაატარეს 2276 ქორწინება, აქედან 1018 ქორწინება ჩაატარეს ლუთერანებმა, 679 – კათოლიკეებმა, 522 – მართლმადიდებლებმა, 36 – ბაპტიცტებმა, 12 – მეშიდე დღის ადვენტიცტებმა, 7 – მეთოდისტებმა და 2 – იუდეველთა თემის წარმომადგენლებმა.

XII. გარკვეული საკითხები საეკლესიო კანონებისა და მოვლენების შესახებ

2000 წელს ლატვიის პარლამენტმა მიიღო კანონი “პირადი ინფორმაციის შესახებ”. ამ კანონის თანახმად პირადად ჩაითვლება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება დადგენილი ან დაუდგენელი ვინაობის ფიზიკურ პირს. ინფორმაცია ადამიანის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ საიდუმლო ინფორმაციად ითვლება. რელიგიურ საქმეთა საბჭო შეიძლება ჩაითვალოს კანონით განსაზღვრულ “ინფორმაციის კონტროლიორად”, ვინაიდან, კანონის თანახმად, რელიგიური ორგანიზაციები რეგისტრირდება იურიდიული პირის სტატუსით და ისინი სახელმწიფო ორგანიზაციებს აწვდიან შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის დამფუძნებელთა პირად ინფორმაციას. სხვა მონაცემებთან ერთად, ამ ინფორმაციაში მითითებულია ამ პირთა მისამართი და რელიგიური აღმსარებლობა. თუ ეს საიდუმლო ინფორმაცია სათანადოდ დაცული არ იქნება, მის გამჟღავნებას შეიძლება ფარული დისკრიმინაცია მოჰყვეს. მაგალითად, არსებობს იმის საშიშროება, რომ თუ დამსაქმებელი, რომელიც კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევარია, მოიპოვებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პირი, რომელსაც იგი გაესაუბრა, კრიშნაიტია, მას ამ ადამიანის დასაქმებაზე უარის თქმის საბაზი გაუჩნდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მოვლენები ხდება მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის პირადობის დამადასტურებელ საბუთებში მითითებული არ არის რელიგიური აღმსარებლობა და ლატვიის კანონმდებლობით მკაცრადაა აკრძალული კანდიდატის რელიგიური კუთვნილების შესახებ ცნობების მოძიება.

XIII. ბიბლიოგრაფია

Sources

1. Results of the 2000 population and housing census in Latvia – collection of statistical data. – Central Statistical Bureau of Latvia, Riga, 2002.
2. Item to mass media from the Board of Religious Affairs of the Ministry of Justice of the Republic of Latvia of June 2003 «On the activity reports of Religious associations (churches), dioceses and religious organisations in 2002”.
3. Balodis R., Valsts un Baznīca (State and Church). – R: Nordik, 2000.
4. Balodis R., Baznīcu tiesības (The Church Law). – R: RBA, 2002.
5. State and Church in the Baltic States: 2001. (ed. Balodis R.)
– R.: Latvian Association for Freedom of Religion, 2001 (94 l p.).

Legislation

1. Latvijas Republikas Satversme (The Constitution of the Republic of Latvia) // Latvijas Vēstnesis, 01.07.1993, Nr. 43;
2. 2000.gada 8.novembra «Latvijas Republikas un Svētā Krēsla līgums” («Agreement between the Republic of Latvia and the Holy See” of 8th November 2000)// Latvijas Vēstnesis, 25.09.2002, Nr. 137 3.1995. gada 7.septembra Reliģisko organizāciju likums (Law on Religious Organisations of 7th September 1995) //Latvijas Vēstnesis, 26.09.1995, Nr. 146;
3. Latvijas Republikas Ministru kabineta 2000.gada 19.septembra noteikumi Nr.321 «Reliģisko lietu pārvaldes nolikums” (Regulations of Council of Ministers of the Republic of Latvia of 19th September 2000 «Rule of the Board of Religious Affairs”)//Latvijas Vēstnesis, 22.09.2000, Nr. 331/333;
4. Latvijas Republikas Ministru kabineta 2002gada 2.jūlija noteikumi Nr. 277 «Noteikumi par kapelānu dienestu” (Regulations of Council of Ministers of the Republic of Latvia of 2th July 2002 «Regulations on the Chaplaincy Service”)// Latvijas Vēstnesis, 05.07.2002, Nr. 101.

სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში

I. სოციალური მონაცემები

სტატისტიკური მონაცემებით, ლიტვა ძირითადად რომაულ-კათოლიკური ქვეყანაა. ლიტვის მოსახლეობის უმეტესობა – 79% – თავს კათოლიკედ მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა არ დადის ეკლესიაში რეგულარულად (მხოლოდ 3% დადის ეკლესიაში კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად), ლიტველი კათოლიკეები მკაცრად იცავენ კათოლიკური ეკლესიის წეს-ჩვეულებებს. მათგან დაახლოებით 90% ფიქრობს, რომ მეტად მნიშვნელოვანია კათოლიკური წესით ნათლობის, ქორწინების და დაკრძალვის ცერემონიის ჩატარება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 80% თვლის, რომ ღვთისმსახურმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და არ უნდა მოახდინოს გავლენა ხალხის არჩევანზე³¹².

ლიტვის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა 2001 წლისთვის გამოსახულია შემდეგი ცხრილით³¹³:

კონფესია	წვერი (რაოდ)	წვერი %
კათოლიკეები	2,752,447	79
რუს. მართლმადიდებლები	141,821	4.07
ძველმორწმუნეები	27,073	0.78
ევანგელ. ლუთერანები	19,637	0.56
ევანგელ. რეფორმისტები	7,082	0.2
იელოვას მონაწილეები	3,512	0.1
მუსლიმანები (სუნიტები)	2,860	0.08
ორმოცდაათიანელები (სულ)	1,307	0.04
ოუდეველები	1,272	0.04
ბალტიისპირეთის წარმართები	1,270	0.04
ბაპტისტები (სულ)	1,249	0.04

312 Matulionis A. (ed.) (2001), Europa ir mes, Vilnius, Gervelė, p. 129, 139.

313 მოსახლეობის აღწერის მონაცემები, 2001. წყარო : www.std.lt.

კონფესია	წევრი (რაოდ)	წევრი %
ადვენტიტები	547	0.02
ახალი სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები	436	0.01
ბუდისტები აღმოსავლეთის წესის კათოლიკეები	408	0.01
ბერძენი კათოლიკეები	364	0.01
კრიშნაიდები	265	0.01
ყარაიმები	258	0.01
მეთოდისტები	211	0.01
მორმონები	197	0.01
არაკონფესიური პირები	239	0.01
პირები კონკრეტული რელიგიის გარეშე	331,087	9.9
პასუხისგან თავი შეიკავა	186,447	5.35

II. ისტორიული მიმოხილვა

ლიტვის სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებულია მეფე მინდაუგასთან, რომელიც 1251 წელს მოინათლა. ამ დროს დაარსდა ლიტვის ეპარქია. მიუხედავად ამისა, ლიტვა მხოლოდ 1387 წელს გამოცხადდა ოფიციალურად ქრისტიანულ სახელმწიფოდ. დიდი ჰერცოგის – ჯოგაილას – მიერ მინიჭებული პრივილეგიით ვილნიუსის ეპისკოპოსს გადაეცა დიდი ფართობის სახელმწიფო მიწა და ეკლესია-მონასტრები განთავისუფლდა სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულებებისგან³¹⁴.

ლიტვის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელსაც ყველანაირად მხარს უჭერდა დიდი ჰერცოგი და თვით სახელმწიფო. პროტესტანტიზმის და უნიატების გავლენის შესამცირებლად ლიტვის სეიმმა (პარლამენტი) მიიღო კანონები (1630, 1648, 1666, 1674 წლის კონსტიტუციები), რომლებიც კრძალავდა ახალი ეკლესიების მშენებლობას სხვა დენომინაციებისთვის. 1733 წელს სეიმმა უარი თქვა სახელმწიფო საქმეებში სხვა რელიგიური კონფესიების მონაწილეობაზე. 1791 წლის კონსტიტუციით კი, კათოლიკური სარწმუნოება უპირატესად გამოცხადდა.

314 Jucas M., Luksaite I., Merkys V. (1988), Lietuvos istorija, Vilnius, Moksias.

კათოლიკური ეკლესიის დათრგუნვის პერიოდი დაიწყო მას შემდეგ, რაც 1795 წელს რუსეთმა მოახდინა ლიტვის ანექსია. ეკატერინე II-ის მიერ 1769–1772 წლების პერიოდში გამოცემული დოკუმენტების თანახმად, კათოლიკე მღვდელმსახურებს ჩამოერთვათ მანამდე მინიჭებული პრივილეგიების უმეტესობა. უფრო მეტიც, მთავრობას მიეცა ეკლესიის შიდა ცხოვრებაში ჩარევის უფლება. კათოლიკურ ეკლესიას ასევე ჩამოერთვა ეპისკოპოსების დამოუკიდებლად არჩევის, ახალი სამრევლოების დაარსების, მრევლის მოძღვრისა და სემინარიების რექტორის დანიშვნის უფლება, გარდა ამისა, სემინარიებისთვის სტუდენტების შერჩევის, რელიგიური ლიტერატურის გამოცემის და კათოლიკურ ეკლესიაში სხვა მორწმუნეთა მიღების უფლება.

კათოლიკური ეკლესიის შევიწროება უფრო გაძლიერდა 1863 წლის აჯანყების შემდგომ. აიკრძალა ეკლესიის საზოგადოებრივი მსვლელობები, კათოლიკურ ეკლესიას ჩამოერთვა მიწები და ქონება, კათოლიკურ გამოცემებსა და ქადაგებებზე შემოიღეს ცენზურა, აკრძალეს სკოლებში რელიგიური საგნებისა და ლიტერატურის სწავლება.

ურთიერთობები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1918 წლის 16 თებერვალს ლიტვამ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. 1922 წლის კონსტიტუციით, რელიგიურ გაერთიანებებს კვლავ დაუბრუნდა თავიანთი შიდა საქმეების საკუთარი კანონებით მართვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობის უფლება. სახელმწიფომ აღიარა დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების საეკლესიო რეგისტრაცია. რელიგიურ გაერთიანებებს ასევე მიენიჭა იურიდიული პირის უფლებები.

მიუხედავად ამისა, 1938 წელს მიღებული ლიტვის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციით, იზღუდებოდა რელიგიური გაერთიანებების ზოგიერთი უფლება. კონსტიტუცია არ აღიარებდა რელიგიური გაერთიანების უფლებას, მოეგვარებინა თავისი საქმეები საკუთარი კანონებითა და წესდებით. იგი ასევე ზღუდავდა მათ საზოგადოებრივ საქმიანობას, არ იძლეოდა გარანტიას, რომ აღიარებდა დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების საეკლესიო რეგისტრაციას და რომ სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას გაუწევდა კერძო კონფესიურ სკოლებს³¹⁵.

რელიგიურ გაერთიანებათა სტატუსი კვლავ არსებითად შეიცვალა საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1940 წლის 15 ივნისიდან. ეკლესიების უფლებათა შეზღუდვას თან სდევდა მათი ქონების ნაციონალიზაცია, ღვთისმსახურებისა და მორწმუნეების დევნა და დეპორტაცია.

315 Vardys V. (1997), ქრისტიანობა ლიტვაში, Cikaga, გვ. 240-269.

ახალი პერიოდი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში დაიწყო მას შემდეგ, რაც 1990 წლის 11 მარტს ლიტვამ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

1991 წლის 30 აგვისტოს აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა ლიტვის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის. ერთი წლის შემდეგ ლიტვის ელჩმა ვატიკანში, კ. ლოზორაიტისმა, წარადგინა თავისი რწმუნებათა სიგელი.

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, დაკავშირებული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობასთან, არის ლიტვაში კათოლიკური ეკლესიის სტატუსის რესტიტუციის აქტი, რომელიც მიიღეს 1990 წლის 12 ივნისს. ეს აქტი – აღიარებს ეკლესიის უფლებას, განაგოს თავისი შიდა საქმე საეკლესიო სამართლისა და ნორმების შესაბამისად. ამასთანავე უზრუნველყოფს ზარალის ანაზღაურებას სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი იძლევა იმის გარანტიას, რომ არ შეიზღუდება ეკლესიის საგანმანათლებლო საქმიანობა, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობას პარიტეტულ საწყისზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტს არ აქვს კანონის ძალა, იგი მეტად მნიშვნელოვანი იყო 1990 წლისთვის. იგი გამოხატავს სახელმწიფოს პოზიციას და ვალდებულებას, დამყარდეს სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მაგრამ რესტიტუციის ეს აქტი ვრცელდება მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიაზე.

III ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

ფუნდამენტური სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციაა. იგი მიიღეს 1992 წლის 25 ოქტომბერს. კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის საფუძვლებს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებს. იგი იძლევა პიროვნების რელიგიისა და რწმენის არჩევანის თავისუფლებისა და მისი ლოცვაში, პრაქტიკასა და სწავლებაში გამოხატვის თავისუფლების გარანტიას (მუხლი 25-ე და 26-ე). კონსტიტუცია მიუთითებს, რომ რელიგიამ ან სარწმუნოებრივმა სწავლებამ არ შეიძლება გაამართლოს დანაშაული ან კანონის დარღვევა. თავისი უფლებებისა და თავისუფლების გამოყენების დროს პიროვნება

ვალდებულია აღასრულოს კონსტიტუცია და არ შეზღუდოს სხვათა უფლებები და თავისუფლება (მუხლი 28-ე).

ყველაზე სრულ და მრავლისმომცველ პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობასთან, შეიცავს 1995 წლის კანონი რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ (LRCA)³¹⁶. ეს კანონი იძლევა რელიგიის თავისუფლების გარანტიას, რომელიც დადგენილია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით (მუხლი მე-2, მე-3 და მე-8); იგი აღნუსხავს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ტრადიციულ რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებს (მუხლი მე-5), განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან სხვა რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების აღიარების კრიტერიუმებსა და პროცედურებს (მუხლი მე-5 და მე-6), უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური ასოციაციების, სხვა რელიგიური გაერთიანებების და ასოციაციების რეგისტრაციას იურიდიულ პირებად (მუხლი მე-5, მე-6, მე-10, მე-11 და მე-12). რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ (LRCA) კანონში ასევე განხილულია რელიგიური საქმიანობის დროებითი შეჩერების ან შეწყვეტის პროცედურა.

კანონი (LRCA) აგრეთვე არეგულირებს სკოლებში რელიგიური განათლების საკითხს, რელიგიური ორგანიზაციების საქველმოქმედო, ფილანთროპიულ და საგანმანათლებლო საქმიანობას (მუხლი მე-14), მათ ქონებრივ უფლებებს, შრომით ურთიერთობებს, საგადასახადო და სოციალურ საკითხებს (მე-13, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლები).

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები ასევე შეიძლება მოვიძიოთ ლიტვის სამოქალაქო კოდექსში³¹⁷, განათლების კანონში³¹⁸ და პენსიის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის კანონში³¹⁹, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ძირითად საკითხებს.

316 კანონი რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ, მიღებული 1995 წლის 4 ოქტომბერს//Valstybės žiniuos, 1995, No. 89-1985. შესწორებები გამოქვეყნებულია Valstybės žiniuos-ში 1997, No. 66-1618, 2000, No. 40-1115.

317 ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი//Valstybės žiniuos, 2000, No. 74-2262.

318 ლიტვის რესპუბლიკის განათლების კანონი//Valstybės žiniuos, 2003, No. 63-2853.

319 ლიტვის რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პენსიის კანონი//Valstybės žiniuos, 1994, No. 59-1153; No. 113-3283; No. 41-1165; No. 92-2862.

ამასთან ერთად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების მარეგულირებელ ზოგად კანონებთან ერთად სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობების სამართლებრივი სტრუქტურა ემყარება სამ ხელშეკრულებას, რომლებიც ხელმოწერილია ვატიკანისა და ლიტვის რესპუბლიკის მიერ 2000 წლის 5 მაისს.

პირველი ხელშეკრულება ეხება თანამშრომლობას განათლებისა და კულტურის სფეროში³²⁰, მეორე – ჯარში მომსახურე კათოლიკეებისთვის განუხლ პასტორულ საქმიანობას,³²¹ ხოლო ბოლო – მესამე – სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობის იურიდიულ ასპექტებს³²².

სახელმწიფოსა და რელიგიურ ასოციაციას შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე რელიგიური ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის შესაძლებლობას უზრუნველყოფს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 43-ე მუხლი. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ხელშეკრულებით რეგულირებულია ურთიერთობა მხოლოდ სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის.

2. სისტემის ძირითადი კატეგორიები

ლიტვაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სისტემა ხასიათდება ზომიერი მიდგომით. ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა აღიარებულია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 43-ე მუხლი უზრუნველყოფს რელიგიური ორგანიზაციების თავისუფლად ფუნქციონირების უფლებას თავიანთი კანონებისა და წესდების შესაბამისად და აცხადებს, რომ ლიტვის რესპუბლიკაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია³²³.

320 ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, Valstybės žinios, 2000, No. 67-2024.

321 ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება ჯარში მომსახურე კათოლიკეებისთვის განუხლ პასტორული საქმიანობის შესახებ, Valstybės žinios, 2000, No. 67-2023.

322 კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობის იურიდიულ ასპექტებს, Valstybės žinios, 2000, No. 67-2022.

323 ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია.//Valstybės žinios, 1992, No. 33-1014.

უფრო სრულ და მრავლისმომცველ წესებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობასთან, უზრუნველყოფს რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ (LRCA) კანონი. ამ კანონის მე-7 მუხლის თანახმად: “რელიგიური გაერთიანება და ასოციაცია არ უნდა ერეოდეს სახელმწიფო ფუნქციებში, ხოლო სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს რელიგიური გაერთიანებისა და ასოციაციის ფუნქციებში”.

კონსტიტუციური განაცხადი, რომ ლიტვაში სახელმწიფო რელიგია არ არსებობს, განმარტებულია 2000 წლის 13 ივნისის კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებით³²⁴. გადაწყვეტილების თანახმად, ლიტვაში სახელმწიფო რელიგიის არარსებობის განაცხადი გულისხმობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას. ურთიერთდამოუკიდებლობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაფუძნებულია ორ ძირითად პრინციპზე. პირველი – სახელმწიფო საქმიანობა ემყარება საერო (არასაეკლესიო) პრინციპებს და მეორე – სახელმწიფოს და ეკლესიის ფუნქციონირების და საქმიანობის შიდა არეალი შეუზღუდავია. ამგვარად, სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან განცალკევება (დამოუკიდებლობა) გულისხმობს, რომ პირველი: ეკლესია და რელიგიური ორგანიზაცია არ ერევა სახელმწიფოს ოფიციალურ საქმიანობაში და არ აწარმოებს სახელმწიფო პოლიტიკას და მეორე: სახელმწიფო არ ერევა იმ ეკლესიების შიდა საქმეებში, რომლებიც ფუნქციონირებენ თავიანთი საკუთარი კანონების და წესდების შესაბამისად. თუმცა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან განცალკევება არ გულისხმობს, რომ მათ საერთო არაფერი აქვს. ტერმინი “განცალკევება” უფრო ხაზს უსვამს როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკლესიის მნიშვნელობას ლიტვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე გულისხმობს, რომ მათ შორის კონტაქტი არ არსებობს. ნეიტრალიტეტი გულისხმობს, რომ სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები ნეიტრალურია სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და რელიგიის მიმართ. ნეიტრალიტეტი იძლევა სხვადასხვა რელიგიური მსოფლმხედველობის მიმართ ტოლერანტობის და მორწმუნეთა არადისკრიმინაციის გარანტიას.

324 ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ლიტვის რესპუბლიკის განათლების კანონის მუხლი 1-ლი(5), მუხლი მე-10(3 და 4), მუხლი მე-15(1), მუხლი მე-20, მუხლი 21-ე(2), მუხლი 32-ე(2), მუხლი 34-ე(2, 3, და 4), მუხლი 35-ე(2 და 5), მუხლი 37-ე(2), და მუხლი 38(2 და 3)-ის ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე 13 ივნისი 2000//Valstybės žinios, 2000, No. 49-1424.

IV. რელიგიების სტატუსი

1. რელიგიური ჯგუფების სამართლებრივი სტატუსი

რელიგიური გაერთიანების ცნება განსაზღვრულია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ (LRCA) კანონში. ამ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, რელიგიური გაერთიანება იმ ინდივიდთა ჯგუფია, რომელსაც აერთიანებს ერთი და იგივე რელიგიური მისწრაფება. ასოციაცია უნდა შეიცავდეს საერთო ხელმძღვანელობის მქონე, სულ მცირე, ორ რელიგიურ გაერთიანებას. რელიგიური ცენტრი კი რელიგიური ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს.

ამგვარი განსაზღვრისას, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის თანაარსებობის უზრუნველსაყოფად, LRCA-ი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ჯგუფის წევრთა სურვილი შეესაბამებოდეს თავიანთ რელიგიურ მიზნებს. რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, თუმცა დაურეგისტრირებელი რელიგიური გაერთიანება არაა სამართლის სუბიექტი.

LRCA-ი განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების სამ განსხვავებულ კატეგორიას: “ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები”, “სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები” და “სხვა (არატრადიციული) რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები”.

LRCA-ი აცხადებს, რომ ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციებია ის რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები, რომლებიც ლიტვის ისტორიული, სულიერი და სოციალური მემკვიდრეობის ნაწილია. მე-5 მუხლში ჩამოთვლილია ლიტვაში არსებული ცხრა ტრადიციული ეკლესია: რომანულ-კათოლიკური, ბერძნულ-კათოლიკური, ევანგელურ-ლუთერანული, ევანგელურ-რეფორმისტული, რუსული მართლმადიდებლური, ძველმორწმუნეების, ებრაული, სუნიტი მუსლიმანებისა და კარაიტე.

არატრადიციულ რელიგიურ გაერთიანებასა და ასოციაციას შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების სტატუსი, მას შეუძლია გაიაროს რეგისტრაცია და მიიღოს იურიდიული პირის უფლებები.

LRCA-ის მე-6 მუხლი გვაუწყებს, რომ რელიგიურმა გაერთიანებამ (ასოციაციამ) შესაძლოა მიიღოს აღიარება სახელმწიფოს მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს ისტორიული, სულიერი და სოციალური მემკვიდრეობის ნაწილს, არის “მონონებული” სახელმწიფოს მიერ და მისი სწავლება და წეს-ჩვეულებები არ ეწინააღმდეგება კანონსა და მორალს.

შედეგად, LRCA-ის შესაბამისად, ორივე – როგორც ტრადიციული, ისე აღიარებული – რელიგიური გაერთიანება და ასოციაცია მიჩნეულია ლიტვის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად. თუმცა აღიარება არ ნიშნავს ტრადიციულობას. საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად, “ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების ტრადიციულად დასახელება არ არის მათი ტრადიციულ ორგანიზაციებად დაფუძნების აქტი, არამედ მათი ტრადიციული ხასიათის და იმავდროულად მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის სტატუსის განაცხადია. ამგვარი აქტი ასახავს რელიგიური კულტურისა და მდგომარეობის განვითარებას საზოგადოებაში”. კანონმდებლის სურვილით, ტრადიცია არც იქმნება და არც უქმდება. ამის შედეგია ტრადიციულ ეკლესიათა ნუსხის დახურვა³²⁵.

რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებს შეუძლია მოითხოვოს აღიარება სახელმწიფოს მხრიდან, ლიტვაში მათი პირველადი რეგისტრაციიდან 25 წლის შემდეგ. სახელმწიფო აღიარებას ანიჭებს ლიტვის რესპუბლიკის სეიმი იუსტიციის სამინისტროს დასკვნის მიღების შემდეგ. თუკი მოთხოვნა უარყვეს, მისი თავიდან განხილვა უარიდან 10 წლის შემდეგ ხდება (მუხლი მე-6, LRCA). 2001 წლის 1 ივლისს სეიმმა სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული რელიგიური გაერთიანების სტატუსი მიანიჭა ლიტვის ევანგელურ-ბაპტისტურ გაერთიანებას³²⁶.

როგორც ტრადიციული, ისე სხვა რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციებისათვის, იურიდიული პირის სტატუსის მიღების პროცედურა დადგენილია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციით, LRCA-ითა და სამოქალაქო კოდექსით.

325 ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლიტვის რესპუბლიკის განათლების კანონის მუხლი 1(5), მუხლი 10(3 და 4), მუხლი 15(1), მუხლი 20, მუხლი 21(2), მუხლი 32(2), მუხლი 34(2, 3, და 4), მუხლი 35(2 და 5), მუხლი 37(2) და მუხლი 38(2 და 3)-ის და ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე 13 ივნისი 2000//Valstybės žinios, 2000, No. 49-1424.

326 გადაწყვეტილება №9-464, Valstybės žinios, 2001, No. 62-2249.

კონსტიტუციის 43-ე მუხლით, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს აქვს იურიდიული პირის სტატუსი და კანონი მათგან აღარ ითხოვს რეგისტრაციას, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების მსგავსად³²⁷. ახლად დაარსებული (ან ხელახლა დაარსებული) ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები იღებს იურიდიული პირის სტატუსს თავიანთი ხელმძღვანელების მიერ იუსტიციის სამინისტროში წარდგენილი მოხსენებითი ბარათის შემდგომ.

არატრადიციული რელიგიური გაერთიანება და ასოციაცია იღებს იურიდიული პირის სტატუსს იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. გაერთიანებამ შეიძლება გაიაროს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენლობაშია ლიტივის რესპუბლიკის მოქალაქეობის მქონე სრულწლოვანი, სულ მცირე, 15 წევრი. რელიგიურმა ასოციაციამ შეიძლება გაიაროს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ ის შეიცავს, სულ მცირე, ორ გაერთიანებას. რელიგიურმა ცენტრმა შეიძლება გაიაროს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ ის დაფუძნებულია რელიგიური ასოციაციის წესდების ან სხვა სათანადო დოკუმენტის შესაბამისად.

რელიგიურმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს განსახილველად დოკუმენტები იუსტიციის სამინისტროში, LRCA-ით და სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. სამინისტრო განიხილავს დოკუმენტებს, შეამოწმებს, შეესაბამება თუ არა იგი LRCA-ს და ხომ არ არღვევს ამ რელიგიის საქმიანობა ადამიანის უფლებებს და საზოგადოებრივ წესრიგს. რელიგიური ასოციაცია შეიძლება დარეგისტრირდეს მოთხოვნის წარდგენის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

განსახილველი სტატუსი ან შესაბამისი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს გაერთიანების სახელწოდებას, მისი მთავარი ოფისის, სამართლებრივი ფორმის, რელიგიის მიზნების, საორგანიზაციო სტრუქტურის, გაერთიანების ან ასოციაციის ხელმძღვანელობის მონაცემებს, ასევე მენეჯმენტის პროცედურას, სტატუსის შესწორების პროცედურას, გაერთიანებაში შესვლის და მისი დატოვების წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს, რეორგანიზაციის პროცედურას და მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების განაწილების მექანიზმს.

327 იუსტიციის სამინისტრომ უკვე მიაწიჭა იურიდიული პირის სტატუსი 967 ტრადიციულ რელიგიურ გაერთიანებას, ასოციაციასა და ცენტრს. წყარო: www.religija.lt.

რელიგიური გაერთიანება, რომელიც მიეკუთვნება უკვე რეგისტრირებულ არატრადიციულ რელიგიურ გაერთიანებას, იღებს იურიდიული პირის სტატუსს მაშინ, როცა რელიგიური ასოციაციის ხელმძღვანელობა დაადასტურებს თავის არსებობას და წერილობით აუწყებს ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროს³²⁸.

იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს უარი უთხრას რეგისტრაციაზე რელიგიურ გაერთიანებას ან ასოციაციას, თუ “(1) არ არის წარმოდგენილი აუცილებელი მონაცემები, (2) ამ რელიგიური გაერთიანების ან ასოციაციის საქმიანობა არღვევს ადამიანის უფლებებს და საზოგადოებრივ წესრიგს, (3) წესდება იმავე სახელწოდებით უკვე რეგისტრირებულია” (მუხლი მე-12, LRCA).

სამოქალაქო კოდექსის II წიგნის, IV თავის, მუხლი 2(34)-ის შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები წარმოადგენს საზოგადოებრივ (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

გათვალისწინა რა 2000 წლის 14 აპრილის ევროპის პარლამენტის კომიტეტის რეკომენდაცია “რელიგიური სექტების არაკანონიერ საქმიანობასთან დაკავშირებით”, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა კომისია, რომელიც გაუწევდა კოორდინაციას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტდა რელიგიური, ეზოთერული და სპირიტისტული ჯგუფების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს. ეს კომისია შედგება ძირითადი სამინისტროების – იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, ასევე გენერალური პროკურატურის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის და რელიგიური სწავლებისა და კვლევის ცენტრის წარმომადგენლებისგან. ამ კომისიის ძირითადი მიზანია შემდეგი:

- 1) ცალკეული ჯგუფების საქმიანობის კვლევის კოორდინაცია;
- 2) სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ინფორმაციის გაცვლის გარანტირება და თუ საჭიროა, სახელმწიფოსათვის ამ ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებული აუცილებელი რჩევების მიცემა. კომისია ვალდებულია, ყოველ ექვს თვეში მთავრობას და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მიანოდოს ინფორმაცია თავისი მუშაობის შესახებ.

328 1988 წლიდან ლიგვაში 140-მა არატრადიციულმა რელიგიურმა გაერთიანებამ მიიღო იურიდიული პირის სტატუსი. წყარო: www.religija.lt

2. რელიგიური გაერთიანების მნიშვნელობა და თვითგამორკვევის უფლება

თვითგამორკვევის უფლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცენტრალური საკითხი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას ლიტვაში. რელიგიური გაერთიანებების შიდა თვითმმართველობის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით. 43-ე მუხლის შესაბამისად, რელიგიურ გაერთიანებას შეუძლია იფუნქციონიროს თავისუფლად საკუთარი კანონებისა და სტატუტის შესაბამისად, ასევე უფლება აქვს, თავისუფლად გაავრცელოს თავისი სწავლება, აღასრულოს რიტუალები, ჰქონდეს სამლოცველო სახლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები თავისი მღვდელმსახურების მოსამზადებლად, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ლიტვის კანონებს.

LRCA კანონი ეხება რელიგიური გაერთიანებების საორგანიზაციო სტრუქტურას ისევე, როგორც მათ უფლებას, აღასრულონ თავიანთი რელიგიური საქმიანობა. მე-7 მუხლი გვამცნობს, რომ რელიგიურ გაერთიანებას და ასოციაციას უფლება აქვს მონიყოს თავისი ორგანიზაცია იერარქიული და ინსტიტუციური სტრუქტურის თანახმად და წარმართოს საქმიანობა საკუთარი კანონების, სტატუტისა და სხვა ნორმების შესაბამისად.

ლიტვური კანონმდებლობით, რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციებისათვის არჩევანის თავისუფლების მინიჭება – განახორციელონ სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობა, ასევე სწავლება – თვითგამორკვევის უფლების კიდევ ერთ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე აღიარებულია, რომ რელიგიურ გაერთიანებასა და ასოციაციას შეუძლია აწარმოოს გარკვეული ტიპის ეკონომიკური საქმიანობა, მაგ., დააარსოს გამომცემლობა, სამედიცინო და საქველმოქმედო დაწესებულებები და ორგანიზაციები, საზოგადოებრივი საინფორმაციო მედია (მუხლი მე-14, მე-15 LRCA). თუმცა, ამ საქმიანობის განხორციელებისას, რელიგიური გაერთიანებები, როგორც არაკომერციული ორგანიზაციები, შეზღუდულია სამოქალაქო კანონმდებლობით.

კათოლიკური ეკლესიის სუვერენიტეტი აღიარებულია ლიტვის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელიც ეხება კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის იურიდიულ ასპექტებს. 1-ელ მუხლში ხაზგასმულია კათოლიკური ეკლესიის და სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ავტონომია (მუხლი 1(2)), ასევე აღნიშნულია, რომ სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული საქმიანობის აღსრულებისას კათოლიკურმა ეკლესიამ უნდა იხელმძღვანელოს არა მხოლოდ საეკლესიო სამართლის კანონებით, არამედ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებითაც (მუხლი 4). მე-5

მუხლით სახელმწიფო აღიარებს თავის სფეროში კათოლიკური ეკლესიის სრულ კომპეტენტურობას.

V. ეკლესია და კულტურა

განათლება შესაძლოა, იყოს სფერო, რომელიც ყველაზე მეტად აახლოებს სახელმწიფოს და ეკლესიას ლიტვაში. ძირითადი პირობები დეკლარირებულია კონსტიტუციაში, LRCA-სა და განათლების კანონში.

კონსტიტუციის მე-40 მუხლით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო და საგანმანათლებლო ადგილობრივი დაწესებულებები უნდა იყოს საერო (არასაეკლესიო) და ადგილობრივმა სამთავრობო დაწესებულებებმა, მშობლების მოთხოვნით, რელიგიური სწავლების კლასებს ორგანიზება უნდა გაუწიოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების თანახმად, საერო განათლება გულისხმობს იმასაც, რომ ყველა სახელმწიფო და მუნიციპალური საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა იყოს ტოლერანტული, ღია და ხელმისაწვდომი ყველა რელიგიის (ან რელიგიის არმქონე) პირისათვის, სასწავლო გეგმა და მსოფლმხედველობა კი – საერო. არ არსებობს პედაგოგთა რწმენასა და რელიგიასთან დაკავშირებული მოთხოვნა, გამონაკლისია მხოლოდ რელიგიის პედაგოგი³²⁹.

მიუხედავად იმისა, რომ LRCA და კონსტიტუცია ანსხვავებს ტრადიციულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს, წინა კანონი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას, ტრადიციულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებს ანიჭებდა ერთნაირ უფლებებს რელიგიური სწავლების სფეროში. მაგალითად, რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების კანონის 1995 წლის 4 ოქტომბრის რედაქციაში მითითებულია, რომ, მშობელთა მოთხოვნის თანახმად, ტრადიციული და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების რელიგიები შეიძლება ისწავლებოდეს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მე-9 მუხლი). შემდგომი დოკუმენტები კი ასახავს ტრადიციული და სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებებისათვის განსხვავებული უფლებების მინიჭების ტენდენციას.

329 Valstybes zinios, Nr. 49, 2000 birzelio 16 d. p. 17.

მაგალითად, განათლების კანონის მე-20 მუხლისა და შესწორებული LRCA-ის მე-9 მუხლის პირობების თანახმად, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაძლოა ისწავლებოდეს მხოლოდ ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების რელიგია.

ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების რელიგიური სწავლების კლასები არსებობს ყველა სახელმწიფო და მუნიციპალურ სკოლაში. მათ, ვინც არ ესწრება რელიგიის გაკვეთილებს, სთავაზობენ ეთიკის გაკვეთილებს. დასწრება დამოკიდებულია მშობლის ან მეურვის გადაწყვეტილებაზე. თხუთმეტი წლის ასაკიდან მოსწავლე თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით (განათლების კანონი, მუხლი მე-20). ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მზრუნველობის ქვეშ, რელიგიის გაკვეთილებს ირჩევენ თავიანთი ოჯახების მიერ აღიარებული რელიგიის შესაბამისად (განათლების კანონი, მუხლი მე-20).

რელიგიის პედაგოგების შერჩევა ხდება ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების მიერ. თუმცა მათ ასევე მოეთხოვებათ პედაგოგიური კვალიფიკაცია. მასწავლებლებს ამზადებენ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათ მუშაობას სკოლაში ანაზღაურებს სახელმწიფო.

კანონის შესაბამისად, რელიგიურ გაერთიანებას და ასოციაციას უფლება აქვს დააფუძნოს და იქონიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სასწავლო დაწესებულებები ღვთისმსახურთა და რელიგიის მასწავლებელთათვის (კონსტიტუციის მე-40 მუხლი, განათლების კანონის მე-10 მუხლი, LRCA-ის მე-14 მუხლი).

განათლების კანონის მე-10 მუხლი საშუალებას იძლევა, მშობელთა მოთხოვნით შეიქმნას სახელმწიფო და მუნიციპალური საგანმანათლებლო დაწესებულებები ტრადიციულ რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებთან ერთობლივად. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასეთი სკოლები არის საერო (არასაეკლესიო). ამ ტიპის ერთობლივ სკოლებში მოსწავლეებს შეუძლიათ დაესწრონ რელიგიის გაკვეთილებს მხოლოდ თავიანთი მშობლების მოთხოვნით. ტრადიციულ რელიგიურ გაერთიანებასა და ასოციაციას შეუძლია არეგულიროს მხოლოდ რელიგიური განათლება. მას არ აქვს უფლება, თავს მოახვიოს სკოლის პერსონალს თავისი მსოფლმხედველობა ან სასწავლო მოთხოვნები, შეაფასოს მასწავლებლები და სხვა პერსონალი ან დანიშნოს სკოლის ხელმძღვანელი³³⁰.

330 საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება//Valstubes zinios, 2000, No. 49.

სახელმწიფოსა და კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობის რეგულირება ხორციელდება განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია ვატიკანსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის. განათლების სფეროში ძირითადი პირობები ეხება ზოგად სკოლებში კათოლიკური რელიგიის სწავლების პროცესს, რელიგიის პედაგოგთა მომზადებას, კათოლიკური თეოლოგიის ფაკულტეტებისა და სემინარიების სტატუსსა და დაფინანსებას.

სახელმწიფო ახდენს იმ სკოლების სუბსიდირებას, რომლებიც ამზადებს კათოლიკური რელიგიის მასწავლებლებს და საშუალო განათლების შემდგომი სახელმწიფო დაწესებულებების სუბსიდირებას, მათ შორის იქ, სადაც დაარსებულია კათოლიკური თეოლოგიის ფაკულტეტები, რელიგიური სწავლების ცენტრები და განყოფილებები (ხელშეკრულება განათლების და კულტურის შესახებ, მუხლი მე-10). ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფომ ასევე უნდა გაუწიოს ფინანსური მხარდაჭერა კათოლიკურ სემინარიებს. თანხის ფიქსირება უნდა ხდებოდეს ცალკე ხელშეკრულებით, რომელიც იდება სახელმწიფოსა და ლიტვის ეპისკოპოსთა კონფერენციას შორის. ბოლო პერიოდში არ არსებობდა ამგვარი ხელშეკრულება, მიუხედავად ამისა, ორ სემინარიას (კაუნასი და ვილკავისკისი) აქვს უმაღლესი სკოლის სტატუსი (ისინი Vytautas Magnus უნივერსიტეტის ნაწილია) და სრული სახელმწიფო მხარდაჭერა.

ხელშეკრულების თანახმად, თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები სახელმწიფო მოხელეები არიან. სემინარიის პროფესორებსა და სტუდენტებს აქვთ იგივე უფლება-მოვალეობანი, როგორც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორებსა და სტუდენტებს (ხელშეკრულება განათლების შესახებ, მუხლი მე-11).

სემინარიის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დიპლომებს სახელმწიფო აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ სწავლების დონე შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციისათვის წარდგენილ მოთხოვნებს (ხელშეკრულება განათლების შესახებ, მუხლი მე-11). სახელმწიფო ასევე აღიარებს დიპლომებს და აკადემიურ კვალიფიკაციებს, რომელთაც გასცემს თეოლოგიის ფაკულტეტი, იგი ფუნქციონირებდა კაუნასის სემინარიაში 1940-1991 წლებში (ხელშეკრულება განათლების შესახებ, მუხლი მე-10).

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა განათლების სფეროში ასევე რეგულირდება კონფესიური საგანმანათლებლო დაწესებულებების გადანყვეტილებით. ამ გადანყვეტილების თანახმად, კულტურისა და განათლების სამინისტროს მოთხოვნით, მთავრობას შეუძლია კენჭი უყაროს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციას კონფესიურ სასწავლებლად და გასცეს იჯარით შენობა-ნაგებობები, რომლებიც ეკუთვნოდა სახელმწიფო სკოლას.

ეკლესიასა და მედიას შორის ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ ნაციონალური რადიოსა და ტელევიზიის კანონით³³¹. ამ კანონის თანახმად, ნაციონალურმა რადიომ და ტელევიზიამ უნდა უზრუნველყოს საეთერო დროით ტრადიციული და სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებები, რათა გადაიცეს რელიგიური მსახურება იმ პირობისა და პროცედურის შესაბამისად, რომელიც მოცემულია ორმხრივ ხელშეკრულებაში. შესაძლოა, მასმედიის ყველაზე გავლენიანი საშუალება იყოს ყოველდღიური პროგრამა "Mazoji studija" ("მცირე სტუდია"), რომელიც გადაიცემა ნაციონალური რადიოთი. ნაციონალური რადიო და სატელევიზიო სადგურების ხელმძღვანელობა არ ერევა პროგრამის შინაარსში. ამ პროგრამას მხარდაჭერას უწევს კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია და უცხოური კათოლიკური ფონდები.

სახელმწიფო არ აფინანსებს კათოლიკური ან სხვა რომელიმე რელიგიური გაერთიანების მედიასაშუალებებს.

განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია ვატიკანსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის, სპეციალური მუხლები ეხება კათოლიკურ ეკლესიას. ამ მუხლების მიხედვით, კათოლიკური ეკლესიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებრივი მედია. თუმცა კათოლიკური რადიო და სატელევიზიო პროგრამების ტრანსლაცია რეგულირდება სპეციალური ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია ლიტვის ეპისკოპოსთა კონფერენციისა და ლიტვის რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს შორის (ხელშეკრულება განათლების შესახებ, მუხლი მე-12).

331 ლიტვის რესპუბლიკის კანონი ნაციონალური რადიოსა და ტელევიზიის შესახებ//Valstybes zinios, 2000, No. 58-1712; 1996, No. 102-2319.

VI. შრომის კანონი რელიგიურ გაერთიანებებში

სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობას შრომის სფეროში ძირითადად არეგულირებს LRCA და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პენსიის კანონი.

LRCA-ის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებს ლიტვაში უფლება აქვს, სამუშაო კონტრაქტით დაიქირავოს პირები სამსახურში. ლიტვაში ეკლესიების უმეტესობას ჰყავს დაქირავებული თანამშრომლები, რომლებიც მოიაზრებიან როგორც სამოქალაქო მოსამსახურეები. საეკლესიო მსახურთა უმეტესობისთვის მოქმედებს ჩვეულებრივი შრომის კანონი (მუხლი მე-17).

პირებს, რომლებიც მუშაობენ რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებში შრომითი კონტრაქტის საფუძველზე, უფლება აქვთ, მიიღონ სოციალური დაზღვევა და კანონით დადგენილი სხვა გარანტიები. ამ მიზნით რელიგიურმა ორგანიზაციებმა თავიანთი შემოსავლიდან უნდა შეიტანონ შენატანი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდში იმავე თანხის ოდენობით, როგორც შეაქვს სახელმწიფო სტრუქტურებს.

LRCA-ი ადგენს, რომ სამღვდლოების წევრებს შესაძლებელია მხარი დაუჭიროონ მათი რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების ფონდებმა დადგენილი პროცედურების შესაბამისად. რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაქირავებულ სამღვდლოების იმ წევრებსა და სხვა პირებს, რომლებიც მუშაობენ შრომითი კონტრაქტის გარეშე, შესაძლებლობა აქვთ, თავად შეიტანონ საკუთარი შენატანი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდში კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად (LRCA-ის მუხლი მე-18). რაც შეეხება ანაზღაურებად სამსახურს, სამღვდლოება იზიარებს იმავე სოციალურ უფლებებსა და უპირატესობებს, რასაც ჩვეულებრივი თანამშრომლები.

2000 წლის 1 იანვრიდან ტრადიციული და სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელი სასულიერო პირების, მათ შორის მონასტრებში მოღვაწე ბერების, სოციალური საპენსიო დაზღვევა ხდება სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო იხდის ეროვნულ ბიუჯეტში თითოეული შესაბამისი პიროვნებისთვის ყველა სავალდებულო შენატანს. სხვა პირებს, რომლებიც მუშაობენ რელიგიურ ორგანიზაციებში, შესაძლებლობა აქვთ, დაეხმვიონ სოციალური დაზღვევის საპენსიო ფონდში ნებაყოფლობით, თავისი ან რელიგიური ორგანიზაციის შეხედულებისამებრ. სასულიერო პირები, რომლებიც მუშაობენ საერო დაწესებულებებში, იხდიან სახელმწიფო საპენსიო სოციალური დაზღვევის ფონდში იმავე თანხას, როგორსაც სხვა თანამშრომლები.

VII. ეკლესიის დაფინანსება

სახელმწიფოსა და ეკლესიის ფინანსური ურთიერთობა ძირითადად შეიცავს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებებისათვის ფინანსური მხარდაჭერას და მეორე მხრივ – საგადასახადო პოლიტიკას. სახელმწიფოს ეკლესიისთვის ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი სფერო არის განათლება.

LRCA-ის მე-14 მუხლის შესწორება (2000 წლის მაისი) გვაუწყებს, რომ ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამის განათლებას, იღებს სახელმწიფო მხარდაჭერასა და დაფინანსებას.

2001 წლის 1 სექტემბრიდან ტრადიციული რელიგიური ასოციაციის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა შესაძლოა იყოს მხარდაჭერილი და დაფინანსებული მთავრობის ან სამთავრობო სტრუქტურის მიერ, ყველა საჭირო პროცედურის შესაბამისად, ბიუჯეტიდან მათთვის ისეთივე თანხის გამოყოფით, როგორც გამოეყოთ სახელმწიფო ან ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებს. თანხა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი საგანმანათლებლო სტრუქტურების დანახარჯის შესაბამისად თითოეულ ბავშვზე ან მოსწავლეზე³³².

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში ყოველივე ეს უფრო დანვრილებით არის განსაზღვრული კათოლიკური ეკლესიისთვის. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, კათოლიკურ ეკლესიასთან დაარსებულ სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისევე, როგორც არასახელმწიფოებრივ და არამუნიციპალურ კათოლიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი განათლების მიმცემი პროგრამები “დაფინანსებულია საბიუჯეტო ფონდებიდან ისევე, როგორც მსგავსი დონისა და ტიპის სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულებები, ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის ან სამთავრობო სტრუქტურის მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად”. თუმცა დაარსებულმა დაწესებულებამ უნდა დააფინანსოს არასახელმწიფო კათოლიკური საგანმანათლებლო დაწესებულების დამატებითი პროგრამები.

სხვა რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების კერძო კონფესიურმა სკოლებმა, რომლებიც იძლევა სახელმწიფოს მოთხოვნის შესაბამის განათლებას, ასევე შეიძლება მიიღოს ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა ნაციონალური და მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

332 ლიტვის რესპუბლიკის რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების კანონის მე-14 მუხლის შესწორება, 2000 წლის მაისი No. VIII-1677//Valstybes zinios, 2000, No. 40-1115.

საგადასახადო პოლიტიკის მთავარი პრინციპები აღწერილია LRCA-ის მე-16 მუხლში. ამ მუხლის თანახმად, ყველა რელიგიური გაერთიანება, ასოციაცია და ცენტრი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. კანონის თანახმად, ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი (შენაწირი), რომელიც არის საქველმოქმედო ხასიათის, ანუ, თუ იგი განსაზღვრულია სამლოცველო სახლების მშენებლობისთვის ან შეკეთება-რესტავრაციისთვის, ასევე საქველმოქმედო, კულტურული და საგანმანათლებლო მიზნებისთვის, დაბეგვრას არ ექვემდებარება. სამღვდელოების და მისი დამხმარე პერსონალის მიერ (გარდა იმ პირებისა, ვინც ასრულებს სამშენებლო და სარესტავრაციო სამუშაოს) მიღებული შემოსავალი რელიგიური რიტუალის ან მსახურების შესრულების შედეგად პერსონალური საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

საქველმოქმედო შემონირულება და რელიგიური პროექტების განვითარების მხარდაჭერა ასევე განთავისუფლებულია გადასახადებისგან³³³. რელიგიური გაერთიანება და ასოციაცია ვალდებულია გადასცეს თავისი სპონსორობისა და საქველმოქმედო ფონდების მონაცემები საგადასახადო ინსპექციას და სტატისტიკის სამთავრობო დეპარტამენტს.

რელიგიური გაერთიანების მიერ იურიდიული პირის სტატუსით საზღვარგარეთიდან ლიტვაში შემოტანილი რელიგიური ხასიათის საქონელი და ლიტერატურა საბაჟო გადასახადს არ ექვემდებარება.

მიუხედავად ამისა, LRCA-ის მე-16 მუხლის შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებების მიერ დაარსებული სანარმოები (ორგანიზაციები) ექვემდებარება საგადასახადო დაბეგვრას, სამეურნეო სანარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონის შესაბამისად. საშემოსავლო გადასახადს ექვემდებარება რელიგიური გაერთიანების ან ასოციაციის კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ რელიგიური ასოციაცია რესტიტუციის გზით მიღებულ ქონებას გაყიდის, იგი ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი იმ თანხის ოდენობით, რომელიც უდრის გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას გამოკლებული ქონების ღირებულება რესტიტუციის მომენტიდან³³⁴.

333 კანონი სპონსორობისა და საქველმოქმედო ფონდების შესახებ//Valstybes zinios, 2000, No. 61-1818.

334 სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის დოკუმენტი, 2000 წლის 12 იანვარი, No. 08-01 -06/470.

რელიგიური გაერთიანებები განთავისუფლებულია უძრავი ქონების გადასახადისგან იმ შემთხვევაში, თუ ეს შენობები გამოყენებულია მხოლოდ რელიგიური მიზნით ან რელიგიური დანიშნულების საქონლის წარმოების მიზნით. თუკი რელიგიური გაერთიანება იჯარით გასცემს თავის ქონებას ან იყენებს სხვა მიზნებისთვის, ის ვალდებულია, გადაიხადოს უძრავი ქონების გადასახადი³³⁵.

ზემოაღნიშნული გადასახადების უმეტესობა არ ეხება კათოლიკურ ეკლესიას. ვატიკანსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელიც ეხება კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ლეგალურ ასპექტებს, განსაზღვრულია, რომ იურიდიულ პირთა საეკლესიო სამართლით დადგენილი ქონება, რომელსაც იყენებენ პასტორული, საქველმოქმედო, სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული მიზნებისათვის (კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის ჩათვლით), სახელმწიფო დაბეგრვას არ ექვემდებარება.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის დოკუმენტის შესაბამისად, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების მიერ ჩატარებული მსახურება, დაფინანსებული ფულადი შემოწირულობით, არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით³³⁶.

LRCA-ის მე-7 მუხლის მიხედვით ყველა იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურმა გაერთიანებამ და ასოციაციამ შეიძლება მოიპოვოს სახელმწიფო დაფინანსება კულტურულ, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობაში კანონით დადგენილი პროცენტის შესაბამისად. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ კანონი სახელმწიფოს უბრალოდ მხარდაჭერის უფლებას აძლევს და არ ავალდებულებს მას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთივე საშუალებას კანონი ანიჭებს აგრეთვე ნებისმიერ რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციას, მას უფრო ადვილად მოიპოვებს ტრადიციული რელიგიური ასოციაციები. მაგალითად, ლიტვის მთავრობის ყოველწლიური გადანაწილებით, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისთვის გამოყოფენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 0,8-დან 4 მილიონამდე ლიტვურ ლიტს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სხვა საჭიროებისათვის³³⁷.

335 Ziliute, D. Gilodenis, სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში, in: R. Balodis (ed.), სახელმწიფო და ეკლესია ბალტიის ქვეყნებში: 2001, p. 83.

336 სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის დოკუმენტი, 2000 წლის 12 იანვარი, No. 08-01-06/470.

337 მაგ. 2002 წელს გამოიყო 2,879 მლნ. Lt.; 2000 წელს – 2,492 მლნ. Lt.; 1998 წელს – 1,783 მლნ. Lt.; 1997 წელს – 3,0 მლნ. Lt..

ეს თანხა იყოფა ამ გაერთიანებების წევრობის შესაბამისად, იმ პირობით, რომ თითოეულ გაერთიანებას შეხვდება ფიქსირებული მინიმალური თანხა. სახელმწიფოს და ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტიდან ასევე გამოიყოფა მიზნობრივად თანხა ეკლესიების რესტავრაციისთვის, მათი საქველმოქმედო საქმიანობისა და სემინარიების რემონტისთვის. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება მცირე შეღავათს უწევს ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს.

სახელმწიფოს განსხვავებული ფინანსური ურთიერთობა სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებასთან მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და უკმაყოფილებას იწვევს იმის გამო, რომ სახელმწიფო არ იჩენს საკმარის ყურადღებას ყველა რელიგიური ჯგუფის მიმართ.

ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, უპირატესობები, რომლებითაც სარგებლობენ ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები, დაკუთვლია კონსტიტუციით. რელიგიური ორგანიზაციისთვის “ტრადიციული ეკლესიის” სახელის მინიჭება სახელმწიფოს მხრიდან აღიარების სპეციალური მეთოდია. ტრადიციული ეკლესიების დაფუძნება აღიარებულია კონსტიტუციით. ტრადიციულობა გულისხმობს სპეციალურ მდგომარეობას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში, რაც იწვევს რელიგიური კულტურის გავლენას საზოგადოების განვითარებაზე. ამ მიზნით ტრადიციულმა ეკლესიებმა შეიძლება მიიღონ ის უფლებები, რაც არ აქვს სხვა ეკლესიებს³³⁸.

სამლოცველო სახლებისა და სხვა შენობების აღდგენა-რესტავრაციის კანონი არეგულირებს მნიშვნელოვან საკითხებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ფინანსურ ურთიერთობაში. 1990 წლის თებერვალში პარლამენტმა კანონი მიიღო. ამ დოკუმენტმა გააუქმა ლიტვის 1948 წლის 6 ივნისის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სამლოცველო სახლების, საეკლესიო და სხვა საჭირო ნაგებობების ნაციონალიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებს დაევალა ხელის მონერა რელიგიურ გაერთიანებებთან ხელშეკრულებაზე ნაციონალიზებული შენობების რესტიტუციისთვის ვადების განსაზღვრაზე ან ფინანსური კომპენსაციის გამოყოფაზე, ან სხვა მეთოდზე, რის შედეგადაც მოხდებოდა ეკლესიისთვის კუთვნილი შენობების რესტიტუცია.

338 Valstybes žinios, Nr. 49, 2000 birzelio 16 d. p. 16-17.

VIII. რელიგიური დახმარება საჯარო ინსტიტუტებში

LRCA საზოგადოებრივ ინსტიტუტებში ქმნის რელიგიური დახმარების სამართლებრივ საფუძველს. ეს კანონი გვაუწყებს, რომ მორწმუნეთა მოთხოვნით, რელიგიური რიტუალები შეიძლება ჩატარდეს საავადმყოფოებში, საზოგადოებრივი ზრუნვის ადგილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და სამხედრო ნაწილებში. ხელმძღვანელობა ვალდებულია უზრუნველყოს რელიგიური რიტუალის აღსრულება და შეათანხმოს რელიგიური ცერემონიებისა და რიტუალების ჩატარების დრო (მუხლი მე-8).

რელიგიური დახმარების საკითხი კათოლიკეებისთვის, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, რეგულირდება ლიტვის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულებით. ამ დოკუმენტის თანახმად, ვატიკანმა უნდა შექმნას სამხედრო ორდინარიატი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმ კათოლიკეების პასტორულ მზრუნველობაზე, რომლებიც მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში (მუხლი 1-ლი). თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით, სამხედრო ორდინარი ნიშნავს მთავარ ვიკარს. მთავარი ვიკარი იმავდროულად მთავარი სამხედრო კაპელანია (მუხლი მე-3). სამხედრო კაპელანი ასრულებს მღვდლის ფუნქციას საეკლესიო სამართლის შესაბამისად. სამხედრო კაპელანის მოვალეობაა: მოინახულოს სამხედრო ნაწილი, ჩაატაროს მესა და აღასრულოს საიდუმლოებანი, ასწავლოს რელიგია და მორალი და სხვა (მუხლი მე-8).

ეროვნული თავდაცვის სამინისტრო თავის თავზე იღებს სამხედრო ორდინარიატისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფას და სასულიერო საქმიანობაში სამხედრო კაპელანების თანადგომას (მუხლი მე-7).

ლიტვის რესპუბლიკის სასჯელალსრულების კოდექსი არეგულირებს რელიგიურ მსახურებას სასჯელალსრულების დაწესებულებებში. იგი შემდეგს გვაუწყებს: “პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს რელიგიური რიტუალის ჩატარება იმ პირებისთვის, ვინც იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ყველა კონფესიის სასულიერო პირს უნდა ჰქონდეს უფლება, შეზღუდვის გარეშე მოინახულოს პენიტენციური დაწესებულებები” (მუხლი 60)³³⁹. სასულიერო პირს შეუძლია მოინახულოს პატიმრები მათი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ დროს. იურიდიული

339 პენიტენციური დაწესებულებების შიდა კანონები, დამტკიცებული იუსტიციის სამინისტროს მიერ, № 172, 2000 წლის 16 აგვისტო//Valstybes zinios, 2000, No. 72.

პირის სტატუსის მქონე რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების წარმომადგენლებს, უფლება აქვთ სასჯელალსრულების ადგილები მოინახულონ ადმინისტრაციის ნებართვით³⁴⁰.

IX. მღვდლებისა და რელიგიური ორღანების წევრთა სამართლებრივი მდგომარეობა

ლიტვის სამართლებრივ სისტემაში არ არსებობს სპეციალური მუხლი, რომელიც ეხება სასულიერო პირების სამართლებრივ სტატუსს. კონსტიტუცია და LRCA მხოლოდ გაკვრით ეხება ამ საკითხს. კონსტიტუციის თანახმად, ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავისი სახელმწიფოს მართვაში როგორც პირდაპირი, ასევე არჩევნების გზით და ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები სახელმწიფო სამსახურში სამოღვაწეოდ. მოქალაქეებს 18 წლიდან უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში (მუხლები 33-ე, 34-ე). LRCA ავსებს კონსტიტუციას და აცხადებს, რომ ნებისმიერი პირი, მიუხედავად თავისი აღმსარებლობისა, თანასწორია კანონის წინაშე, ამიტომ აკრძალულია მისი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა ან, პირიქით, მისთვის პრივილეგიების მინიჭება.

X. კანონი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

ქორწინება ლიტვაში არის როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკლესიის საქმე. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ახდენს ქორწინების, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციას და აღიარებს ეკლესიის მიერ რეგისტრირებულ ქორწინებას (მუხლი 38-ე).

ქორწინების რეგისტრაციის პროცედურა მოცემულია სამოქალაქო კოდექსში. საეკლესიო ქორწინებას, როგორც სახელმწიფოს სამართლებრივ აქტს, რელიგიური რიტუალის აღსრულების მომენტიდან აქვს სამოქალაქო ძალა, თუკი იგი უპასუხებს შემდეგ მოთხოვნებს:

340 პენიტენციური დაწესებულებების შიდა კანონები, დამტკიცებული იუსტიციის სამინისტროს მიერ, № 172, 2001 წლის 16 აგვისტო//Valstybes zinios, 2001, No. 72.

- ა) აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის მუხლის 3.12-3.17 მოთხოვნას, რომელიც ეხება მეუღლეთა ასაკსა და თავისუფალ ნებას;
- ბ) ქორწინების აღსრულება ხდება ლიციის სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული და აღიარებული რელიგიური ორგანიზაციების კანონების შესაბამისად;
- გ) საეკლესიო ქორწინება რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრში (ხელშეკრულება იურიდიულ ასპექტებთან დაკავშირებით, მუხლი მე-13).

საეკლესიო ქორწინება უნდა გატარდეს სამოქალაქო რეესტრში. რელიგიურმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს სამოქალაქო რეგისტრაციის ოფისში სპეციალური ტიპის ფორმა (გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ) ქორწინების ცერემონიიდან 10 დღის განმავლობაში. სამოქალაქო რეგისტრაციის ოფისში მოხდება ქორწინების რეგისტრაცია და გაიცემა ქორწინების მოწმობა. ქორწინების რეგისტრაციის თარიღად ითვლება საეკლესიო ქორწინების თარიღი. თუკი სამოქალაქო რეგისტრაციის ოფისში არ წარადგენენ სპეციალური ტიპის ფორმას ქორწინების ცერემონიიდან 10 დღის განმავლობაში, მაშინ ქორწინების რეგისტრაციის თარიღად ჩაითვლება თარიღი, როდესაც ქორწინება დარეგისტრირდება სამოქალაქო რეგისტრაციის ოფისში (სამოქალაქო კოდექსის მუხლი მე-3(304)).

საეკლესიო სასამართლოსა და ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელის გადნყვეტილება ქორწინების ანულირების შესახებ უნდა ეუნყოს ლიციის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს, რათა მოხდეს ასეთი გადნყვეტილების სამართლებრივი შედეგების რეგულირება სახელმწიფო კანონის შესაბამისად (ხელშეკრულება იურიდიულ ასპექტებთან დაკავშირებით, მუხლი მე-13).

XI. სისხლის სამართალი

რელიგიურ რიტუალებსა და ცერემონიებში ჩარევა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით. პიროვნებას, რომელიც თავგასული ქმედებით ჩაშლის სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანების მსახურებას ან რომელიმე რიტუალს, ან საშიშროებას შეუქმნის მას, ცნობენ დამნაშავედ სამართალდარღვევაში და სჯიან თავისუფლების აღკვეთით ან საზოგადოებრივი მუშაობით, ან აჯარიმებენ.

XII. ბიბლიოგრაფია

J. Kuznecoviene, Church and State in Lithuania, European Journal for Church and State Research, 1999-Volume 6, p. 205-217.

Religijos Lietuvoje, Siauliai, Nova Vita, 1999.

Žiliūtė R., Glodenis D. (2001), State and Church in Lithuania /Church and State in the Baltic States: 2001, Riga, Religijas Brivibas Asociacija, 2001.

Religija ir teisė pilietinėje visuomenėje. Tarptautinės konferencijos medžiaga. Vilnius, Justitia, 2001.

Matulionis A. (ed.) (2001), Europa ir mes. Vilnius, Gervelė, p. 129, 139

სახელმწიფო და ეკლესია ლუქსემბურგში

I. სოციალური ფაქტები

ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო გერმანიას, ბელგიასა და საფრანგეთს შორის მდებარეობს და ევროგაერთიანების ყველაზე პატარა სახელმწიფოა. ლუქსემბურგის ფართობი 2 586,36 კვადრატული კილომეტრია და მისი მოსახლეობა 450 000 მცხოვრებს აღემატება. მოსახლეობის 40 %-ს ლუქსემბურგში მცხოვრები უცხოელები შეადგენენ.

1979 წელს ამოქმედებული კანონის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ინდივიდის რელიგიური მრწამსის ან რელიგიური ერთობის ნევრობაზე მონაცემების შეგროვება არ არის დაშვებული. ამის მიუხედავად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს კათოლიკედ მიიჩნევს. ქვეყანაში რამდენიმე ათასი პროტესტანტი, ლუთერანი, კალვინისტი და თავისუფალი ეკლესიების წევრი ცხოვრობს, ასევე ათასამდე იუდეველი, მართლმადიდებლური და ანგლიკანური რელიგიური ერთობის წევრი. მაჰმადიანები ძირითადად ბალკანელი ლტოლვილების სახით არიან წარმოდგენილი. მოსახლეობის პორტუგალიურ ნაწილში ბევრი იელოვას მონმედ თვლის თავს. რამდენიმე ათასი ადამიანი არც ერთ რელიგიას არ მიეკუთვნება, დარჩენილი ნაწილი კი თავს სხვა არაფორმალურ რელიგიურ ერთობებს მიეკუთვნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთულია ლუქსემბურგის მოსახლეობაში სხვადასხვა კონფესიის ავტორიტეტის დონის დადგენა უცხოელთა დიდი რაოდენობის გამო.

ამ სტატისტიკიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლუქსემბურგში რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. არსებული სიტუაციის სრული აღქმისთვის საჭიროა მდგომარეობის განხილვა ისტორიული ასპექტის გათვალისწინებით.

II. ისტორიული წინაპირობა

XVII საუკუნეში ლუქსემბურგის საჰერცოგო შემდეგ ექვს კათოლიკურ ეპარქიას – ტრიერი, ლიეჟი, მეცი, ვერდენი, რეიმსი და კიოლნი – შორის დაიყო. ამ დანაწილებას სერიოზული შედეგი ჰქონდა, განსაკუთრებით საეკლესიო წესებთან დაკავშირებით. ლუქსემბურგის რელიგიის ისტორია ნაწილობრივ უცხოური ეპარქიების ისტორიას გადაეჯაჭვა.

სახელმწიფოს ძალაუფლება თითქმის შეუზღუდავი იყო საკმაოდ სუსტი ეკლესიის პირობებში და კიდევ უფრო გაძლიერდა ბურგუნდიელების მმართველობის დროს. სახელმწიფომ შეინარჩუნა ფორმალური კონტროლი ეკლესიაზე. ასევე მოქმედებდა ესპანელი მეფეც. ავსტრიელი მმართველები ეკლესიაზე კონტროლს წარმატებით აგრძელებდნენ თავიანთი მმართველობის წლებში. კარლ VI იშვიათად ერეოდა ეკლესიის საქმეებში. მისგან განსხვავებით, მარია-ტერეზას და ჟოზეფ II-ის ჩარევა ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს სახელით იმდენად რეგულარულ და სისტემატურ ხასიათს ატარებდა, რომ “ჟოზეფინის” სახელით შეიძლება მოვიხსენიოთ. სხვადასხვა მმართველი ცდილობდა პოპულარული რწმენის ზოგიერთ ფორმაზე კონტროლის მოპოვებას და რელიგიური ერთობების მართვას. ჟოზეფ II-ის მმართველობის დროს ეს ცდები იმდენად შორს წავიდა, რომ სასულიერო პირების მომზადებაში ჩარევის და კონტროლის მოპოვების მცდელობაც კი იყო. ფრანგული რევოლუციის წლები ამკარად აღინიშნებოდა სასულიერო წრეების და ლუქსემბურგის მოსახლეობის წინააღმდეგობით და ოპოზიციური დამოკიდებულებით რესპუბლიკის კანონების მიმართ. ლუქსემბურგში რელიგიის და სახელმწიფოს ურთიერთობის გაგების და ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია 1801 წლის კონკორდატის როლის გათვალისწინება. ლუქსემბურგე ამ დროისთვის საფრანგეთის ნაწილი იყო. დამატებითი ხელშეკრულებების და კანონების მიღება დაიწყო 1998 წლიდან.

III. კონკორდატი: მოქმედება და წინააღმდეგობები

1801 წელს კონკორდატის ძალაში შესვლის და განსაკუთრებით ბონაპარტის მიერ articles organiques (ორგანული მუხლების) ცალმხრივი ამოქმედების შემდეგ კონკორდატს მკვეთრად დაუპირისპირდა საეკლესიო იერარქია. ლუქსემბურგში ბევრი დისკუსია იმართებოდა კონკორდატის თემაზე. თავდაპირველად აკრიტიკებდნენ მის ზოგიერთ ნაწილს, მაგრამ ლუქსემბურგის დამოუკიდებლობის შემდეგ მთელი კონკორდატის იურიდიული ძალა დადგა კითხვის ქვეშ. 1998 წელს საკანონმდებლო ორგანომ ზოგიერთი ორგანული მუხლის ანულირება მოახდინა.

1. კონკორდატის მოქმედება ქვეყნის დამოუკიდებლობამდე

ა) ფრანგული პერიოდი

1801 წლის კონკორდატის დებულებების თანახმად, ლუქსემბურგის დიდი ნაწილი მეცის ეპარქიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. იმ წლებში მეცი საფრანგეთის უდიდესი ეპარქია იყო. საეკლესიო ცხოვრება მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა იყო დაპირისპირება ორ ახალ რელიგიურ ჯგუფს შორის. სასულიერო პირების და მორწმუნეების უმრავლესობა მიესალმებოდა ახალ კანონს და ლოიალური იყო ახლად დანიშნული ეპისკოპოსის მიმართ. ზოგიერთი სამღვდლო პირი, რომლებიც უარს ამბობდნენ კონკორდატზე და მათი მცირერიცხოვანი მომხრეები ძირითადად ქვეყნის ფრანგულენოვანი ნაწილის მცხოვრებნი იყვნენ.

ბ) ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს პოლანდიის მმართველობის ქვეშ ყოფნის პერიოდი

1814 და 1815 წლებში მეფე და ეკლესია, თუმცა სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ ერთნაირად დაუპირისპირდნენ 1801 წლის კონკორდატს. მეფეს სჯეროდა, რომ 1815 წლის კონსტიტუცია უზრუნველყოფდა ეკლესიაზე კონტროლს. ის, როგორც პოლანდიელი მმართველების მემკვიდრე, ცდილობდა თავის სასარგებლოდ აღედგინა indul (საერთო წესისგან განსხვავებით, პაპის მიერ ზოგიერთი უფლების მინიჭება), რომელიც პაპმა პავლე VI-მ ფილიპ II-ს და მის მემკვიდრეებს მიანიჭა 1559 წელს და რომლის ძალითაც მათ ეძლეოდათ ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება. 1801 წლის კონკორდატის მე-17 მუხლის თანახმად, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალურ შეთანხმებას იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მეთაური კათოლიკე არ იქნებოდა, 1827 წელს მეფესა და პაპს შორის დაიდო მეორე კონკორდატი. ახალი კონკორდატით, განმტკიცდა 1801 წლის კონკორდატის მოქმედება. გარდა ამისა, მის თანახმად, ეპისკოპოსის თანამდებობაზე კანდიდატურებს ეპარქიის საკრებულო წარადგენდა. მეფეს შეეძლო, ამ სიიდან ამოეღო მისთვის არასასურველი კანდიდატურები. ეპარქიის საკრებულო ირჩევდა მომავალ ეპისკოპოსს იმ კანდიდატებიდან, რომლებიც მეფემ უკვე მოიწონა. პაპი, თავის მხრივ, ეპისკოპოსად ნიშნავდა იმ კანდიდატურას, რომელიც აკმაყოფილებდა კანონიკური სამართლით დადგენილ მოთხოვნებს. 1827 წლის კონკორდატი არასდროს შესრულებულა და ორივე მხარემ გააუქმა იგი 1852 წელს. 1823 წელს ლუქსემბურგი გამოეყო მეცის ეპარქიას და გადავიდა ნამურის ეპარქიის კონტროლქვეშ.

გ) ლუქსემბურგი ბელგიის რევოლუციის დროს

1830-1839 წლებში, გარდა კარგად დაცული ქალაქი ლუქსემბურგისა, მთელი ქვეყანა ბელგიას ეკუთვნოდა. ამან საფუძველი დაუდო ორმაგ საკანონმდებლო სისტემას რელიგიურ საკითხებში. ურთიერთობა ქალაქ ლუქსემბურგსა და ნამურის ეპარქიას შორის სწრაფად გაუარესდა. 1833 წელს პაპი იძულებული გახდა, ქალაქი ლუქსემბურგი ნამურის ეპარქიიდან გამოეყო და პაპის ნაცვალის დაქვემდებარებაში ქალაქში. ვინაიდან იმ დროს მოქმედი კონკორდატით ამგვარი თანამდებობა არ იყო გათვალისწინებული, დანიშვნას იყენებდნენ კონკორდატის ანულირებისათვის. ქვეყნის დარჩენილ ნაწილში მოქმედებდა ბელგიის კონსტიტუცია. მოგვიანებით ეს უნდა გამხდარიყო ლუქსემბურგის სახელმწიფოსთვის მოდელი.

2. კონკორდატი დამოუკიდებლობის წლებში

ა) ლუქსემბურგი უილიამ I-ის მმართველობის წლებში

ლუქსემბურგის გაერთიანება დედაქალაქის გარშემო მოხდა საკმაოდ მძიმე გარემოებებში. ადმინისტრაციული სტრუქტურების რღვევის თავიდან ასაცილებლად დროებით ძალაში უნდა დარჩენილიყო წინა კანონმდებლობა. ბევრის მოსაზრებით, ბელგიის კონკორდატის სისტემა ახლა მთელი ლუქსემბურგისათვის ძალაში იყო. სხვანი არ ეთანხმებოდნენ ამ პოზიციას, იმიტომ რომ ეს სისტემა ანულირებულ იქნა ლონდონის შეთანხმებით. დიდი საჰერცოგო თავისი ახალი საზღვრებით გამოეყო ნამურის ეპარქიას და შეუერთდა პაპის ნაცვლის ლუქსემბურგის სამწყსოს.

ბ) 1848 წლის კონსტიტუცია

ბელგიის 1831 წლის კონსტიტუცია ლუქსემბურგის კონსტიტუციის შემქმნელებმა გამოიყენეს როგორც მოდელი. ამავე დროს, რელიგიის თავისუფლების საკითხებში ლუქსემბურგის კონსტიტუცია გაცილებით მეტ შუზღედვას ითვალისწინებდა. მასში იგრძნობოდა ლიბერალების ძლიერი გავლენა. იმის გამო, რომ არ სურდათ მთლიანად განთავისუფლება 1801 წლის კონკორდატისგან, კონსტიტუციის ავტორების აზრით, უნდა შექმნილიყო ახალი კონკორდატი, ხოლო მის შექმნამდე მოქმედი კონკორდატის პირობები უნდა დარჩენილიყო ძალაში, რაც გამოიხატა საკმაოდ მერყევი და ბუნდოვანი კომპრომისით. 1848 წლის კონსტიტუციის 23-ე მუხლი (ამჟამინდელი კონსტიტუციის 22-ე მუხლი) აცხადებს, რომ “დიდი საჰერცოგოში chefs de cultes კანდიდატურების წარდგენა და მათ დანიშვნაში

ჩარევა, წარდგენის მეთოდი და დარჩენილი საეკლესიო პირების კანდიდატურებზე უარის თქმა, ასევე მათი საქმიანობის თაობაზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის საკითხებში საჯარო ანგარიშგება უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების საფუძველზე და წარედგინოს დასამტკიცებლად დეპუტატთა პალატას, იმ შემთხვევაში, თუ ჩარევის დებულებების ამოქმედება აუცილებელი გახდება”.

გარდამავალ დებულებებს დაემატა 125-ე მუხლი, რომელიც აცხადებდა, რომ 23(22)-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებების დადებამდე ეკლესიასთან დაკავშირებული უპირატესი დებულებები ძალაში უნდა დარჩენილიყო.

3. კონკორდატის პრაქტიკული ამოქმედება

ადვილი არ არის კონკორდატის ამჟამინდელი მოქმედების გაანალიზება. მისი ბევრი დებულება ძალიან აბსტრაქტული და ზოგადია, იმისათვის რომ უშუალოდ ან არაპირდაპირ იქნეს ამოქმედებული. საჭიროა პირველად ტექსტში დამატებების და ცვლილებების შეტანა. ამავე დროს, კონკორდატი ხშირად ჯერ კიდევ იძლევა იმ სქემას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია პრობლემების გადაწყვეტა.

1801 წლის კონკორდატით კათოლიკური ეკლესიის, როგორც ასეთის, ნაცვლად ცნობილი იყო მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, 1809 წლის ბრძანებულება შეეხებოდა ეკლესიის საბჭოებს (conseils des fabriques d'Eglise). ის ცნობდა ამ ორგანოების იურიდიულ უფლებამოსილებას და აწესრიგებდა მათი საკუთრების მართვას ადმინისტრაციული და სახედასხედველო ორგანოების შექმნით.

IV. ლუქსემბურგის კონკორდატის მოდელი პრაქტიკაში

1. ლუქსემბურგის კონკორდატის მოდელი

ამ მომენტამდე, ამ ნაშრომის მიზანი იყო საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობის აღწერა 1801 წლის კონკორდატის შესაბამისად. კონკორდატის მოქმედება მრავალრიცხოვანი დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა. ზოგიერთებისთვის, განსაკუთრებით XIX საუკუნის ლიბერალებისთვის, ის არა მხოლოდ ძალაში

რჩებოდა, არამედ კანონიერი საშუალება იყო ეკლესიაზე კონტროლის განსახორციელებლად და ეკლესიის გარკვეულ დადგენილ საზღვრებში შესაკავებლად. სხვებისათვის, ძირითადად კათოლიკეებისათვის, ის ან გაუქმებულად ითვლებოდა ან უნდა განეხილათ მისი ანუღიორების საკითხი, რადგან იგი მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ეკლესიის თავისუფლებას.

ჩემი მოსაზრებით, კონკორდატი ოფიციალურად არასდროს გაუქმებულა. მისი მოქმედების არე სინამდვილეში გაფართოვდა და მოდიფიკაცია განიცადა. თუმცა აუცილებელი არაა იმის დადგენა, კონკორდატის რომელი დებულებები არის ჯერ კიდევ ძალაში, რომელი გაუქმდა ან უბრალოდ გაუგებრად გადაიქცა დროის მსვლელობის გამო; იყო აგრეთვე ზოგიერთი მუხლი, რომლებიც დასაწყისში მოქმედებდა, მაგრამ შეწყვიტა მოქმედება იმ დროიდან, რომლის ზუსტი დადგენაც არ ხერხდება.

1801 წლის კონკორდატით შესაძლებელია ლუქსემბურგის კონკორდატის მოდელზე საუბარი. ეს არის ეკლესიის და სახელმწიფოს განზრახვა, ერთად გადანყვიტოს ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წამოიჭრება და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს სირთულეების შემთხვევაში. სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკლესიას დაცვით და ზოგიერთ შემთხვევაში გადასცემს ფინანსებს თავის განკარგულებაში. ეკლესია, თავის მხრივ, სთავაზობს სახელმწიფოს მორალურ მხარდაჭერას და ნაწილობრივ უზრუნველყოფს სახელმწიფოს ლეგიტიმიზაციას. ლუქსემბურგი, როგორც პატარა ქვეყანა, ადვილად შეიძლება გამხდარიყო სხვისი აგრესიის სამიზნე, რადგან ვერ გაუმკლავდებოდა რაიმე მნიშვნელოვან შიდა კრიზისს, რასაც ეკლესია და პროფესიული კავშირები მხედველობაში იღებდნენ.

2. კონკორდატის მოდელის შეთავსებადობა

კონკორდატის მოდელი განსაცვიფრებლად შეთავსებადია. ამავე დროს, არ იქნებოდა სწორი 1801 წლის კონკორდატი უცვლელ დოკუმენტად ჩაგვეთვალა. ასობით წლის განმავლობაში, როცა ის ძალაში იყო საფრანგეთში, მან ბევრი ცვლილება განიცადა. კონკორდატის შეთავსებადობას გარკვეული მიზეზები აქვს, მაგალითად, ის, რომ ლუქსემბურგში არასდროს ყოფილა განსაკუთრებული საერო კანონმდებლობა. ეჭვგარეშეა, რომ XIX საუკუნის ანტიკლერკალური მოძრაობა მიზნად ისახავდა ეკლესიის ძალაუფლების მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში მოქცევას. გარდა ამისა, ლუქსემბურგის კონსტიტუცია უფრო ნაკლებად მომგებიანი იყო ეკლესიისთვის, ვიდრე ბელგიის. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კათოლიკეებმა პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვეს.

ამავე დროს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ლუქსემბურგის ადმინისტრაციული სისტემის მოქნილობა. ყველა იცნობს ერთმანეთს და აქედან გამომდინარე, პრობლემების გადაწყვეტა გაიოლებულია. ეკლესიის სტატუსის მონეწრეების საკითხის მიმართ კი თავშეკავებული დამოკიდებულებაა. არის პრობლემის გადაჭრის ცდები, მაგალითად, საბიუჯეტო კანონების, ასევე საჯარო სამსახურის კანონების მიღებით ან უბრალოდ ნაგულისხმები ადმინისტრაციული შეთანხმებებით. საკანონმდებლო გადაწყვეტის ამგვარი მეთოდების მიღმა ლუქსემბურგის საზოგადოებაში იგრძნობა საგრძნობი მხარდაჭერა და კონსესუსი. შეიძლება უფრო ადვილი იყოს დაწერილი კანონის შეცვლა, ვიდრე მტკიცედ დამკვიდრებული შეთანხმების. რა თქმა უნდა, ნათელი არ არის, იქნებოდა თუ არა ეკლესიის ინტერესებში, მოეთხოვათ მკაცრად დადგენილი კანონმდებლობა. ეკლესიას სწორად არ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ეკლესიის გარკვეულ სტრუქტურებს, როგორებიცაა: ეპარქია ან სამწყსო, ცნობს სახელმწიფო. ამ მიმართულებით საეკლესიო და სახელმწიფო კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას ლუქსემბურგში აწესრიგებს კონკორდატის სისტემა, ამ პროცესს ხელს უწყობს კონსტიტუცია, ასევე პრაქტიკული შეთანხმების მიღწევა და მოლაპარაკებები.

3. ლუქსემბურგის საეკლესიო კანონმდებლობის სისტემატიკა

ლუქსემბურგში კათოლიკურ ეკლესიას მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რელიგიის და რწმენის თავისუფლება სრულად არის გარანტირებული კონსტიტუციის მე-19 მუხლით.

V. რელიგიური დანესეპულებების იურიდიული სტატუსი

1. შეთანხმებები და ხელშეკრულებები რელიგიურ ერთობებთან

1998 წელს ხელშეკრულებები დაიდო შემდეგ ეკლესიებთან: კათოლიკურ ეკლესიასთან, პროტესტანტულ ეკლესიასთან (რეფორმირებულ ეკლესიას ხელშეკრულება ჰქონდა 1982 წლიდან), იუდეველებთან, ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. 2004 წელს დღის წესრიგში იყო კიდევ სამი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი – ანგლიკანურ ეკლესიასთან, რუმინულ და სერბულ-

ხორვატიულ მართლამადიდებლურ ეკლესიებთან, მაგრამ სახელმწიფო საბჭო ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა.

ის ეკლესიები, რომლებიც საზოგადოებრივ კორპორაციებადაა აღიარებული, ხშირად აარსებენ ასოციაციებს და საზოგადოებებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, რათა მართონ მათ ხელში არსებული საკუთრება.

მუსლიმანების შემთხვევაში ხელისუფლებას ჯერ არ ჰყავს ნაპოვნი წარმომადგენლობითი პარტნიორი, რომელიც მისაღები იქნება ყველა მაჰმადიანისა და ხელისუფლებისათვის. პოლიტიკური ზენოლა ასევე მოდის აშშ-დან. სხვა რელიგიური გაერთიანებები ლუქსემბურგში ჯერ კიდევ არაა აღიარებული საზოგადოებრივ კორპორაციებად. მიუხედავად ამისა, რელიგიურ ერთობებს, რომლებიც არაა ოფიციალურად აღიარებული, შეუძლია ისარგებლოს ყველა იურიდიული უფლებით, კერძო სამართლის თანახმად. მაგალითად, შეუძლიათ ფონდების დაარსება. ამგვარი ფონდები თითქმის იმავე უფლებებით სარგებლობს, როგორც აღიარებული რელიგიური ერთობები.

2. ეპარქია

მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნეშიც იყო ამის მცდელობა, მხოლოდ 1870 წელს, პაპის ცალმხრივი აქტის თანახმად, დაარსდა ლუქსემბურგის ეპარქია. სახელმწიფო სტრუქტურები გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ეს არ იყო წინასწარ შეთანხმებული მათთან, ამიტომ ეპარქიის დაუყენებლევ აღიარებაზე სახელმწიფომ უარი თქვა. 1873 წლის 30 აპრილს მიღებული კანონით მოხდა ლუქსემბურგში ეპარქიის დაფუძნების აღიარება იმ პირობით, რომ “არ უნდა შეცვლილიყო არსებული ურთიერთობა ეკლესიის მესვეურებს შორის და შემდგომშიც მათი უფლებები და ვალდებულებები მოქმედი დებულებებით დარეგულირდებოდა”. ამ პირობებიდან შესაძლებელია შემდეგი ორი დასკვნის გაკეთება: პირველი – ეს ეპარქია არ იქნებოდა აღიარებული იურიდიული უფლებამოსილების მქონედ და მეორე, კანონის ინიციატორი არ აყენებდა კონკორდატის და სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის გადასინჯვის საკითხს. კანონი განსაზღვრავდა ეპისკოპოსის მიერ ფიცის მიღებას და მის შემოსავალს. ეპისკოპოსი მხოლოდ ლუქსემბურგის მოქალაქე შეიძლება გამხდარიყო. და ბოლოს, დანიშვნა კანონიერად ჩაითვლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო განაცხადებდა თანხმობას. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა, რომ პაპის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა, რომელსაც არ მოიწონებდა ხელისუფლება, ვერაფერს გააკეთებდა ისეთს, რაც ხელისუფლების მხრიდან დადასტურებას მოითხოვდა. ეპისკოპოსი ასევე ვერ შეძლებდა რელიგიური დაწესებულებებისთვის უფლებამოსილების მინიჭებას და თავადაც ვერ მიიღებდა ხელფასს.

1981 წელს მიღებული კანონის საფუძველზე ეპისკოპოსის წოდების მქონე პირი ექვემდებარება საჯარო სამართალს. ეს დებულება, რომელსაც საჯარო სამართალი არეგულირებს გერმანიაში, ლუქსემბურგის სისტემაში ტრანსპლანტატის სახით დამკვიდრდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ კანონით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები არამომგებიანი ორგანიზაციების და საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის მინიჭებულის მსგავსია.

1988 წელს, პაპის ცალმხრივი აქტის თანახმად, ლუქსემბურგის ეპარქიას არქიეპარქიის სტატუსი მიენიჭა.

3. ეკლესიის ავტონომია საზოგადოებრივ სფეროში, კერძოდ სოციალურ მომსახურებაში

ლუქსემბურგში წინათ იყო ბევრი რელიგიური დაწესებულება, რომლებიც სოციალური მომსახურების სფეროში ახორციელებდა საქმიანობას. მათ შორის იყო საავადმყოფოები და პენსიონერთა სახლები, რომელთა უმრავლესობას ქალთა რელიგიური ორდენები მსვლელობდნენ. ასეთი დაწესებულებების რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა და მათი დაფინანსება საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით ხდებოდა. სახელმწიფო დამატებით გამოყოფდა დაფინანსებას იმ საავადმყოფოების და პენსიონერთა სახლებისთვის, რომლებსაც მონაზვნები მართავდნენ.

ზოგადად, ასეთი ტიპის დაწესებულებები, რომლებსაც ამჟამადაც ეკლესია მართავს, კერძო სამართალს ექვემდებარება. ეს შეეხება საავადმყოფოებს, პენსიონერთა სახლებს და სკოლებს. ამ საკითხებს დეტალურად აღვწერთ ქვემოთ.

VI. ეკლესიები და კულტურა

1. სკოლები

არც 1801 წლის კონკორდატი და არც articles organiques არ შეიცავს განსაკუთრებულ რელიგიურ წესებს სკოლებისთვის.

ა) კონსტიტუციის დებულებები

სკოლების საკითხი მხოლოდ მოკლედ არის ასახული ლუქსემბურგის კონსტიტუციაში. 23-ე მუხლი ადგენს: “სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა ლუქსემბურგელის დაწყებით განათლებაზე... სახელმწიფო პასუხისმგებელია აუცილებელი საშუალო სკოლების და კოლეჯების დაარსებაზე... საჯარო განათლების სისტემის დაფინანსება და სკოლებზე ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების მიერ რეგულირდება კანონმდებლობის ფარგლებში. გარდა ამისა, განათლების სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს უნდა არეგულირებდეს კანონი... ყველა ლუქსემბურგელს უფლება აქვს, მიიღოს განათლება თავის მიერ შერჩეულ უნივერსიტეტში დიდ საპროცენტოში ან საზღვარგარეთ, იმ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რომლებიც უკავშირდება გარკვეულ სამუშაო ადგილებზე მათ მიღებასა და საქმიანობის განხორციელებას”.

კონსტიტუცია არ შეიცავს განსაკუთრებულ დებულებებს განათლების სისტემაში რელიგიასთან ან რელიგიურ სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა არ კრძალავს ამის შესაძლებლობას. კერძო სკოლების სისტემა არ არის განსაკუთრებულად დაცული კონსტიტუციით. ლუქსემბურგის მოქალაქეს უფლება აქვს, ისწავლოს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ სკოლაში. XIX საუკუნიდან საკანონმდებლო ნორმები ანესრიგებდა რელიგიურ სწავლებას სახელმწიფო სკოლებში. ეს კანონები გამოიყენებოდა ასევე კერძო სკოლების საქმიანობის რეგულირებისთვის. თუმცა უნდა ითქვას, რომ კერძო სკოლები არასოდეს თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ლუქსემბურგში. ეკლესია ცდილობდა, გავლენის ქვეშ მოექცია სახელმწიფო სკოლების სისტემა, რათა მათ არ შეექმნა საკუთარი სახელმძღვანელოები რელიგიური სწავლებისათვის.

ბ) ეკლესია და კერძო სკოლები

აა) საკანონმდებლო ჩარჩო

1982 წლის 31 მაისს მიღებული კანონი ანესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და კერძო საშუალო სკოლებს შორის. დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ამ კანონის მიღებამდე პოლიტიკოსები ცდილობდნენ გადაეჭრათ კერძო სკოლების პრობლემა იმით, რომ ის სკოლები, რომლებსაც ასეთი სურვილი ჰქონდა, შეიძლებოდა გაერთიანებულიყო სახელმწიფო სკოლების სისტემაში. ერთ-ერთი ასეთი კანონპროექტი შემოიტანეს 1974 წელს, თუმცა 1982 წლის კანონმდებლობა სანინალმდეგო მიმართულებით მიდის კერძო სკოლების არსებობის აღიარებით

და ახორციელებს მათი კონტროლის და შემოწმების რეგულირებას, ასევე სტანდარტიზაციას. ამ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები ვალდებული არიან, ჰქონდეთ საჭირო პროფესიული კვალიფიკაცია. ამგვარი სკოლის გახსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული სასამართლოსთვის (პირველი და მეორე ინსტანციის) მიმართვა.

ბ ბ) ფინანსური ჩარჩო

1982 წლის ახალი კანონი კერძო სკოლებს საკონტრაქტო პირობებით მუშაობის ნებას რთავს. ამ პირობების თანახმად, სწავლების ხარისხი საშუალო დონეზე უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სკოლების სისტემას, სახელმწიფო სკოლებში სწავლების სტრუქტურა უნდა იყოს დაცული და კერძო სკოლებმა ყველა დონეზე უნდა გამოიყენოს სახელმწიფო სკოლების სასწავლო პროგრამები. ამავე დროს, კვირაში სამი გაკვეთილის შინაარსი შესაძლებელია დაადგინოს თვითონ სკოლამ. კერძო სკოლებმა, გარდა ამისა, უნდა გამოიყენოს სკოლაში მიღების და კლასიდან კლასში გადაყვანის იგივე კრიტერიუმები, რომლებიც სახელმწიფო სკოლებშია დაშვებული. თუ ყველა ზემოაღნიშნული პირობა შესრულდება, სახელმწიფო თავის თავზე აიღებს სწავლების ხარჯების 80%-ს სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. თუ სკოლა ვერ შეძლებს ყველა პირობის შესრულებას, სახელმწიფო დააფინანსებს ამ ხარჯების მხოლოდ 40%-ს. მასწავლებლების სტატუსს საერო სკოლებში, როგორც წესი, არეგულირებს მოქმედი შრომითი კანონმდებლობა იმ დებულებებით, რომლებიც კერძო სექტორში დასაქმების საკითხები შეეხება, ასე რომ, მასწავლებლების სტატუსის არასაიმედოობა აშკარაა. სოციალისტების შეთავაზება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ასეთი მასწავლებლების დაცვა და მათი სამსახურებრივი მოვალეობები, არ მიიღეს. სკოლებს ასევე შეუძლია მიიღოს სახელმწიფო დოტაცია სკოლის შენობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებისთვის (2003 წლის კანონი).

2. სემინარია

ლუქსემბურგს აქვს საკუთარი სემინარია, რომელიც შეიქმნა სასულიერო კადრების მოსამზადებლად. ეს სემინარია არ არის უნივერსიტეტის ნაწილი. სინამდვილეში, ლუქსემბურგს არც კი გააჩნია სრულად ჩამოყალიბებული სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქედან გამომდინარე, სემინარია თვითდაფინანსებაზე მყოფი რელიგიური დაწესებულებაა.

სემინარია 1842 წელს სამეფო დეკრეტით დაარსდა და აქვს იურიდიული უფლებამოსილება (1801 წლის კონკორდატის მე-11 მუხლი, 1809 წლის

კანონის 113-ე მუხლი და 1813 წლის კანონის IV ნაწილი). დირექტორებს და პროფესორებს ანაზღაურება ეძლევათ საჯარო ფონდებიდან, მაგრამ, ვინაიდან, სასულიერო პირების თანამდებობების რაოდენობა ძალიან მცირეა, საკმაოდ ცოტა მომავალი სასულიერო პირი სწავლობს საზღვარგარეთ. სემინარიას აქვს თავისი დივერსიფიცირებული სასწავლო პროგრამა და ამჟამად რელიგიის საერო მასწავლებლებს ამზადებს.

3. მასმედია

ლუქსემბურგში ყველაზე დიდი ტირაჟის მქონე ყოველდღიური გაზეთი არის "Luxemburger Wort". მისი ტირაჟი 80 000 ეგზემპლარია დღეში. გაზეთი არქივისკოპოსს ეკუთვნის. მისი მეშვეობით არქივისკოპოსი ასევე ფლობს რადიოსადგურ "De Neie Radio"-ში (D.N.R.) საკონტროლო პაკეტს.

VII. შრომის კანონმდებლობა ეკლესიაში

1. მღვდლები და სხვა სასულიერო პირები

კონსტიტუცია უზრუნველყოფს სასულიერო პირებისთვის ანაზღაურების და პენსიების გაცემას სახელმწიფოს მიერ, რაც რეგულირდება კანონით (1868 წლის კონსტიტუციის 106-ე მუხლი). 1848 წელს ტექსტის მნიშვნელობა გასაგები იყო კონსტიტუციის ავტორთათვის, იმიტომ რომ არსებობდა მხოლოდ ერთი აღიარებული რელიგიური ერთობა – კათოლიკური ეკლესია.

ამჟამად სიტუაცია აღარ არის ასეთი ნათელი: მოვლენები, რომლებიც ეკლესიის შიგნით მიმდინარეობს, უფრო რთული და მრავალნახნაგოვანია. უფრო მეტიც, პროტესტანტული ეკლესიები, ბერძნულ-მართლმადიდებლური და იუდეველთა რელიგიური ერთობები ოფიციალურადაა აღიარებული სახელმწიფოს მიერ.

ეკლესიაში საერო პირების, განსაკუთრებით კატეხიზმოს "მასწავლებელთა" როლი ასევე ძალიან გაიზარდა. შესაძლებელია თუ არა, კანონის შემქმნელები ტერმინში "მღვდლები და სხვა სასულიერო პირები" ამ პირებს გულისხმობდნენ?" 1998 წლის ხელშეკრულების შემდეგ ეს საკითხი ეჭვს აღარ იწვევდა. ამჟამად ეკლესიებს და იუდეველთა რელიგიურ ერთობებს შეუძლია თავიანთი შიდა სტრუქტურის მოწყობა საკუთარი გადაწყვეტილებით.

2. განსაკუთრებული სტატუსი

სავარაუდოდ კონკორდატს ხელახლა უნდა დაემკვიდრებინა რელიგიური ზედამხედველობის უფლება საფრანგეთის ტერიტორიაზე. XIX საუკუნეში ლიბერალები ლუქსემბურგში ასევე გამოთქვამდნენ სურვილს, სასულიერო პირები გაერთიანებინათ სახელმწიფო სტრუქტურულ დანაყოფში. ეს გაკეთდა “დაბალი ნოდების სასულიერო პირების” მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და “მაღალი ნოდების სასულიერო პირების” პრივილეგიების შესაზღვრად. შედეგები ნაწილობრივ მომგებიანი და ნაწილობრივ წამგებიანი გამოდგა ყველა ნოდებისთვის.

ა) მიღებული უპირატესობა

1842 წლიდან ეკლესიის მიერ მღვდლების დანიშვნას სახელმწიფოს მხრიდან დადასტურება არ სჭირდებოდა. დღეს სასულიერო პირების დანიშვნას და გადაყვანას ერთპიროვნულად ახორციელებს არქიეპისკოპოსი. სასულიერო პირები არ ექვემდებარებიან საჯარო ადმინისტრირებას.

რელიგიის თავისუფლების სფეროში ეკლესიის ფუნქციები და წარჩინებული სასულიერო პირების დაცულობა ნათლად არის განსაზღვრული (ლუქსემბურგის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი).

სასულიერო პირების შრომის ანაზღაურების პრინციპი კონსტიტუციით (მუხლი 126-ე) არის გარანტირებული. ამავე დროს, სასულიერო პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების უმრავლესობა კონკორდატის დებულებებით არის განსაზღვრული.

ლუქსემბურგელ ან უცხოელ სასულიერო პირებს შორის ამჟამად განსხვავება არ არის.

განსაკუთრებით საკამათოა საკითხი, თუ ვის აქვს დისციპლინური დევნის განხორციელების უფლება მღვდლებისა და სხვა სასულიერო პირების წინააღმდეგ. სახელმწიფოს ყველა შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ზომები, როცა სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად საქმეა აღძრული ან როცა სასამართლო განხილვის შედეგი შესაძლებელია განსასჯელის დაპატიმრება იყოს.

კითხვაზე – რა სიტუაციაში ახორციელებს ეპისკოპოსი დისციპლინურ დევნას სასულიერო პირის წინააღმდეგ? როგორც ჩანს, ზუსტი სამართლებრივი პასუხი არ არსებობს. ეპისკოპოსი პასუხისმგებელია რწმენისა და მორალის საკითხების ზედამხედველობაზე, სახელმწიფო კი – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. იმ სახელმწიფო სასამართლოების კომპეტენციაში, რომლებიც შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავენ, შედიან სასულიერო პირებიც.

ბ) ნაკლოვანებანი

სასულიერო პირებისათვის მოყვანილი ნამგებიანი შედეგები შემდეგი სახის იყო:

ლუქსემბურგის სისხლის სამართლის კოდექსის 268-ე მუხლის მიხედვით, მღვდელი ვალდებულია თავშეკავება გამოიჩინოს ქადაგების დროს. სასულიერო პირი, რომელიც ქადაგების დროს აღწერდა სამოქალაქო ქორწინებას, როგორც საყვარლების თანაცხოვრებას და თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად იყენებდა უწმინდურ გამოთქმებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გარდა ამისა, მღვდლებს ნება არ ეძლევათ, გახდნენ საჯარო თანამდებობის პირები, პარლამენტის და ევროპარლამენტის წევრები, მერები ან მათი მოადგილეები. და ბოლოს, იმის გამო, რომ მღვდელი ემორჩილება თავისი ეკლესიის წინამძღვრის ძალაუფლებას, არ შეუძლია იუსტიციის სისტემაში, როგორც დამოუკიდებელ პასუხისმგებელ პირს, მოქმედება, მას ეკრძალება რწმუნებულის სახით მოქმედება.

3. სოციალური დაცვა

მღვდლები და სხვა სასულიერო პირები, რომლებიც შრომის ანაზღაურებას ხელფასის სახით იღებენ, იმავე სოციალური უფლებებით და უპირატესობებით სარგებლობენ, როგორც მათი საერო კოლეგები. მათ მიმართაც ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება იქნება, როგორც მასწავლებლების, საავადმყოფოების თანამშრომლების ან პროფესორების მიმართ. სოციალური დაცვის კანონ-მდებლობით დადგენილი სასულიერო პირების მდგომარეობის ანალიზის ჩასატარებლად ცალ-ცალკე უნდა განიხილონ მღვდლები და სხვა სასულიერო პირები, ერთი მხრივ და ეკლესიის სხვა მსახურები – მეორე მხრივ.

ა) მღვდლები და სხვა სასულიერო პირები

სოციალური დაცვის სფეროს კანონმდებლობის თანახმად, მღვდლები იმავე სამართლებრივ დონეზე იმყოფებიან, როგორც საჯარო თანამდებობის პირები და საჯარო მოსამსახურეები. ავადმყოფობის ან უუნარობის შემთხვევაში მათ ისეთივე სადაზღვევო დაცვა ეკუთვნით, როგორც სხვა საჯარო თანამდებობის პირებს. სასულიერო პირებისთვის გარანტირებულია პენსიები ლუქსემბურგის კონსტიტუციის 106-ე მუხლით. პენსიაზე გასვლის სტანდარტული ასაკი, როცა უკვე შესაძლებელია პენსიის მიღება, 65 წელია. მღვდლებს, ამავე დროს, უფლება აქვთ გააგრძელონ მუშაობა ამ ასაკის შემდეგაც.

ის მღვდლები ან სასულიერო პირები, რომლებიც ტოვებენ საეკლესიო ან რელიგიურ თანამდებობას, უფლებამოსილნი არიან მიიღონ კუთვნილი პენსიის ნაწილი, რომელიც გამოითვლება მათი ნამსახურობის წლების ხანგრძლივობით.

გარდა ამისა, მღვდლებს და სასულიერო პირებს სოციალური დაცვის კანონმდებლობა იცავს დაშავების შემთხვევაში, თუ ეს მოხდა მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ბ) ეკლესიის სხვა მსახურები

1974 წელს მიღებული კანონით ეკლესიის სასულიერო წოდების არმქონე თანამშრომელები დაცულნი იყვნენ შესაბამისი სოციალური გარანტიებით.

რელიგიური ორდენის წევრად კვალიფიცირების კრიტერიუმები ძალიან ზოგადად იყო ინტერპრეტირებული და კანონიკურ მოთხოვნებს სცდებოდა. ეკლესიაში დასაქმებული საერო პირი ექვემდებარება კერძო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, ისევე, როგორც სხვა კერძო სტრუქტურაში დასაქმებული ინდივიდი და ეს ეხება პენსიებსაც, უბედურ შემთხვევებსაც და ჯანმრთელობის დაზღვევასაც.

4. ეკლესიაში დასაქმებული საერო პირები

კურთხევამიღებული მღვდლების სიმცირის შედეგია ეკლესიაში საერო პირების სიმრავლე, რომლებსაც სულ უფრო ხშირად ანდობენ რელიგიური ფუნქციების შესრულებას.

კონკორდატში არაა წესები, რომლებიც საერო პირებს ეხება. იმის გამო, რომ არ არსებობს საკანონმდებლო დებულებები და შესაბამისი სასამართლო პრეცედენტები, ბრკოლდება ეკლესიაში დასაქმებულ საერო პირთა სამართლებრივი მდგომარეობის ზუსტი პირობების ჩამოყალიბება. რელიგიის ბევრი საერო მასწავლებელი მუშაობს შრომითი კონტრაქტით, რომელსაც კერძო სამართალი არეგულირებს. არქიეპისკოპოსი განათლების მინისტრს სთავაზობს დასასაქმებლად კატეხიზმოს მასწავლებლებს და მას შემდეგ, რაც მათ სამუშაოზე მიიღებენ, ის აძლევს მათ *missio canonica*-ს სტანდარტის მიხედვით.

როგორც ირკვევა, კერძო სამართლის პირობებით დასაქმებულებს ეხებათ *missio canonica*-ს სტანდარტი.

VIII. ეკლესიის დაფინანსება

გერმანიისგან განსხვავებით ლუქსემბურგის ეკლესია დაფინანსებას არ იღებს საეკლესიო გადასახადებიდან. ამის ნაცვლად მისი დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მაღალი წოდების სასულიერო პირები, როგორებიც არიან: ეპისკოპოსები, მღვდლები და ეკლესიაში მომუშავე ზოგიერთი საერო პირი, შრომის ანაზღაურებას იღებენ საერთო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გარდა ამისა, იმ ეკლესიებს, რომლებიც საზოგადოებაში, როგორც კორპორაციები, აღიარებით სარგებლობს, საჯარო სამართლის ფარგლებში აქვს ისეთივე საგადასახადო შეღავათები, როგორიც კერძო სამართლის ფონდებს.

IX. სასულიერო პირების საქმიანობა საზოგადოებრივ დაწესებულებებში

1. სამხედრო დაწესებულებების და საავადმყოფოების კაპელანები

ლუქსემბურგში სამხედრო მოსამსახურეები და პოლიცია სამხედრო კაპელანის მზრუნველობის ქვეშაა. კაპელანების სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება სამხედრო კანონმდებლობით. საზოგადოებრივ საავადმყოფოებში კაპელანებს უფლება აქვთ მოინახულონ პაციენტები, თუმცა არ არსებობს რაიმე სპეციალური საკანონმდებლო ნორმა, რომლებიც შეეხება საავადმყოფოებში ან სამკურნალო დაწესებულებებში პაციენტებზე სასულიერო პირის მზრუნველობას.

2. ეკლესია და სახელმწიფო სასკოლო სისტემა

დაწყებით სკოლებში სწავლების შესახებ 1843 წლის კანონის თანახმად, ეკლესიას ნებას რთავენ, ჰქონდეს გარკვეული უფლებები. ეკლესიას ზოგადად ზედამხედველობის უფლება ჰქონდა საჯარო დაწყებით სკოლებზე, ასევე სახელმძღვანელოების შექმნაში ჩარევის უფლება და შესაძლებლობა, რელიგიური განათლება სავალდებულო საგნად გაეხადა.

1912 წელს სოციალ-ლიბერალურმა კოალიციამ შემოიტანა კანონი, რომელიც მოითხოვდა, დაწყებითი სკოლები რელიგიის თვალსაზრისით ნეიტრალური

ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიამ დაკარგა ძალაუფლება სასკოლო სისტემაზე, მღვდლებს ჯერ კიდევ ნებას აძლევდნენ, ჩაეტარებინათ რელიგიის გაკვეთილები ერთი საათის განმავლობაში. ეპისკოპოსმა ბოიკოტი გამოუცხადა ამ კანონს 1921 წლამდე, როცა *modus vivendi* იქნა დაფუძნებული. ის თავისუფლებას ანიჭებდა არა მარტო მასწავლებლებს, არამედ მოსწავლეებსაც, რომელთაც უფლება ჰქონდათ (დანყებით და საშუალო სკოლებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში) აერჩიათ ქრისტიანული რელიგიური განათლება ან ეთიკის კურსი.

X. მღვდლების და სასულიერო პირების იურიდიული სტატუსი: არჩევითობის უფლება

ლუქსემბურგში მღვდლების და სამღვდელოების სხვა წარმომადგენლების, რომლებიც ანაზღაურებას იღებენ, არჩევა არ შეიძლება პარლამენტში ან ადგილობრივ საბჭოებში. ასეთივე შეზღუდვა ეხება მოსამართლეებსაც. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი იყო ის, რომ მღვდელს და მოსამართლეს არ აქვთ უფლება, შეწყვიტონ საქმიანობა პოლიტიკური მანდატის შესასრულებლად.

მეორე მხრივ, ეკლესიის იმ მსახურებს, რომლებიც არ იღებენ ანაზღაურებას, შეუძლიათ ჩაერთონ პოლიტიკაში.

XI. ქორწინების და საოჯახო სამართალი

ლუქსემბურგში კანონმდებლობის ამ სფეროში არავითარი თავისებურება არაა. სამოქალაქო ქორწინების უნივერსალური სამართლებრივი პრინციპები აქაც ძალაშია.

XII. პიბლიოგრაფია

- E. Donckel, Die Kirche in Luxemburg von den Anfängen bis zur Gegenwart, ლუქსემბურგი, Sankt-Paulus-Druckerei, 1950.
- P. Eyschen, Das Staatsrecht in Luxemburg, in: Marquadsens Handbuch des öffentlichen Rechts IV, I.H.II, Freiburg, J.C.B. Mohr, 1890.
- P. Eyschen, Das Staatsrecht in Luxemburg, in: Das öffentliche Recht der Gegenwart, Tübingen, J.C.B. Mohr, 1910.
- A. Heiderscheid, Aspects de sociologie religieuse du diocèse de Luxembourg, ლუქსემბურგი, Imprimerie St. Paul, t. 1 (1961); t. 2 (1962).
- L. Held, (FIDELIS Catholicus), Staatsrecht und Kirchenrecht im Grossherzogtum, ლუქსემბურგი, Sankt-Paulus-Druckerei, 1984.
- G. Hellinghausen, Kampf um die Apostolischen Vikare des Nordens, J.-Th. Laurent and C.A. Luepke, Roma, Editrice Pontificia Università Gregoriana, 1987.
- N. Majerus, La situation légale de l'Eglise catholique au Grand-Duché de Luxembourg, ლუქსემბურგი, Imprimerie St. Paul, 1926.
- N. Majerus, L'Administration des Biens d'Eglise dans le Grand-Duché de Luxembourg, ლუქსემბურგი, Imprimerie St. Paul, 1937.
- A. Pauly, Stato e Chiesa in Lussemburgo, Città e Regione, # 6, Dicembre 1982, p. 185-195.
- A. Pauly, Eglise et Etat dans le Grand-Duché de Luxembourg, un modèle concordataire original, in: Conscience et Liberté, 32, 1986, p. 114-122.
- A. Pauly, Kirche und Staat im Grossherzogtum Luxemburg, in: Gewissen und Freiheit, 27, 1986, p. 77-84.
- A. Pauly, Les Cultes au Luxembourg, Un modèle concordataire, ლუქსემბურგი, forum, 1989.
- A. Pauly, Eglise et Etat au Grand-Duché de Luxembourg 1992, in: ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის კვლევის ევროპული კონსორციუმი, ბიულეტენი, ნომბერი 1993, გვ. 44-46.
- A. Pauly, Eglises et droit du travail au Grand-Duché de Luxembourg, in: ეკლესია და შრომის სამართალი ევროგაერთიანების ქვეყნებში, ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის კვლევის ევროპული კონსორციუმი, Pubblicazioni di diritto ecclesiastico, #.9, Università degli studi di Milano, milano 1933, p. 173-194.

- A. Pauly, Nouveaux droits et relations Eglises-Etat au Luxembourg, p. 267-285.
- A. Pauly, Religions et État au Grand-Duché de Luxembourg en 2000, p. 217-218.
- A. Pauly, Religions et État au Grand-Duché de Luxembourg en 1999, p. 179-188.
- A. Pauly, Religions et Etat au Grand-Duché de Luxembourg en 1998, p. 145-147.
- A. Pauly, Religions et Etat au Grand-Duché de Luxembourg en 1997, p. 93-98.
- A. Pauly, Religions et Etat au Grand-Duché de Luxembourg en 1996, p. 91-109.
- A. Pauly, Eglises et Etat au Grand-Duché de Luxembourg en 1995, p. 69-75.
- A. Pauly, Eglises et Etat au Grand-Duché de Luxembourg en 1994, p. 67-71.
- A. Pauly, Eglise et état au Grand-Duché de Luxembourg en 1993, p. 67-73.
- A. Pauly, Rapport luxembourgeois, p.133-136.
- A. Pauly, Le régime constitutionnel des cultes au Luxembourg, p. 191-202.
- M. Pauly, Von der staatlichen Kontrolle zur Partnerschaft,
in: Landeskundliche Vierteljahresblätter, 28, 1982, Heft 1, p. 14-27.
- M. Schiltz, A. Pauly, Les nouveaux mouvements religieux au Grand-Duché de Luxembourg, p.239-255.
- A. Thill, L'assujettissement du clergé à la Sécurité Sociale,
in: Questions Sociales, #. 3, 1971, p. 106-116.
- G. Trausch, Le Luxembourg à l'époque contemporaine,
ლუქსემბურგი, Bourg-Bourger 1973.
- G. Trausch, Le Luxembourg sous l'Ancien Régime,
ლუქსემბურგი, Bourg-Bourger, 1975.
- G. Vuillermoz, Das luxemburgische Primärschulgesetz. Eine rechtsgeschichtliche und kirchenrechtliche Untersuchung, Thèse de Droit canonique, Pontificia Universitas Gregoriana, 1955, (სელნანერი).
- P. Weber, (Abbé), La Condition Juridique de l'Eglise Catholique au Grand-Duché de Luxembourg,
in: Feuilles de Liaison de la Conférence Saint-Yves, mai 1977, # 38, გვ. 3-17.
- P. Weber, (Abbé), La nomination des évêques au Grand-Duché de Luxembourg, in:
Feuilles de Liaison de la Conférence Saint-Yves, 1968, # 29-30, გვ. 12-1

სახელმწიფო და ეკლესია უნგრეთში

I. სოციალური ფაქტები

უნგრეთის სახელმწიფოს მიერ³⁴¹ რელიგიური აღმსარებლობის საკითხი მიჩნეულია პირად ინფორმაციად, რის გამოც არ ხდება მისი რეგისტრირება. ამიტომ ქვეყანაში არ არსებობს სრულფასოვანი ოფიციალური სტატისტიკა რელიგიური კუთვნილების თაობაზე. სოციოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის უმეტესობას ახასიათებს კონფესიური ერთგვაროვნება და ისინი თავიანთ თავს მიიჩნევენ მორწმუნეებად. მიუხედავად ამისა, მხოლოდ უნგრელების 15% დადის რეგულარულად ეკლესიაში. უნგრეთის მოსახლეობის ნახევარი თავის თავს “თავისებურ მორწმუნედ” მიიჩნევს. სწრაფად განვითარებული სეკულარიზაციის პროცესის შედეგად XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსთვის საზოგადოებაში რელიგიურობისკენ მიდრეკილების ტენდენცია საგრძნობლად გაიზარდა³⁴². 2001 წელს ჩატარებული აღწერისას მასში შეტანილ იყო რელიგიის საკითხი. კითხვა პირდაპირ და ლიად იყო დასმული (კითხვარში არ იყო შეტანილი წინასწარ ფორმულირებული პასუხები). მიღებული მონაცემების დაცვის მიზნით პასუხები იყო არჩევითი და ანონიმური. აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები მოყვანილია ქვემოთ:

341 აქტი IV/1990, ნაწილი 3 (4).

342 მიდგომათა შედარებითი მიმოხილვისათვის იხ. Tomka, M./Zulehner, P., Religion in den Reformländern Ost(Mittel) Europas, Ostfildern 1999.

კათოლიკური	5,558,961	54.5 %
რომაულ-კათოლიკური	5,289,521	51.9 %
ბერძნულ-კათოლიკური	268,935	2.6 %
რეფორმირებული (კალვინისტური)	1,622,796	15.9 %
ლუთერანული	303,864	3.0 %
ებრაული	12,871	0.1 %
სხვები	112,121	1.1 %
მართლმადიდებლური	15,298	0.2 %
ბაპტისტური	17,705	0.2 %
ადვენტისტური	5,840	0.1 %
სხვა ქრისტიანული	24,340	0.2 %
კონფესიის გარეშე	1,483,369	14.5 %
პასუხის გარეშე	1,034,767	10.1 %
ინფორმაცია უცნობია	69,566	0.7 %
მთლიანი მოსახლეობა	10,198,315	100 %

შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური კუთვნილების მქონე პირების რაოდენობა იზრდება რესპონდენტების ასაკთან ერთად. მოსახლეობის საშუალო ასაკი შეადგენს 39.22 წელს, ისევე, როგორც ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების ასაკი და მათი, ვინც თავიანთ თავს მიაკუთვნებს “სხვა კონფესიებს”. რომაულ-კათოლიკური მორწმუნეების საშუალო ასაკი შეადგენს 41.69 წელს კალვინისტების – 42.49-ს, ლუთერანების – 44.79-ს, ხოლო მათი, ვისაც არ გააჩნიათ მსგავსი კუთვნილება მხოლოდ 28.85-ს, ვინც არ პასუხობს ამ კითხვას – 34.61-ს. საზოგადოდ, მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო დიდმა პროცენტმა განაცხადა ამა თუ იმ ეკლესიის მიმართ თავისი კუთვნილების შესახებ. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით აგრეთვე შეიძლება ვისაუბროთ გარკვეულ ცვლილებებზე თითოეული კონფესიის შიგნით: პროტესტანტების თითქმის საუკუნობრივი დაღმასვლა (განსაკუთრებით ლუთერანებთან დაკავშირებით, რომლებიც დიასპორაში ცხოვრობენ შედარებით მაღალი შერეული ქორწინებების პროცენტით) კათოლიკურ მოსახლეობასთან შედარებით (განსაკუთრებით ბერძნულ-კათოლიკურ უმცირესობასთან) გრძელდებოდა კომუნისტების მმართველობის ათწლეულების განმავლობაში. ძირითადი ქრისტიანული კონფესიების გაღვლეა უფრო ძლიერია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც არ უპასუხებდნენ დასმულ კითხვას, უფრო მეტი იყო ბუდაპეშტში, ვიდრე მცირე ზომის დასახლებებში, სადაც აღნიშნული პროცენტი საკმაოდ დაბალია. რელიგიათა უმეტესობაში უფრო მეტია მორწმუნე ქალი, ვიდრე მამაკაცი. საბოლოოდ, მამაკაცებმა იმათი უმრავლესობა შეადგინეს, ვისაც ან არ აქვთ გარკვეული თავიანთი რელიგიური კუთვნილება,

ან არ უპასუხებენ ამ კითხვას. ებრაელები და ზოგიერთი “ახალი რელიგიის მიმდევრები” სავარაუდოდ არიან იმ უმრავლესობაში, რომლებიც არ იძლევიან პასუხს თავიანთი რელიგიის თაობაზე: რიგი შეფასებების თანახმად, ებრაელების რაოდენობა ათჯერ უფრო მეტია, ვიდრე გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები.

2001 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებით, ყველაზე დიდი მართლმადიდებლური ეკლესია უნგრეთში რომაული მართლმადიდებლური ეკლესიაა 5,598 მორწმუნეთი. 3,502 პიროვნება ეკუთვნის ეპარქიას, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაშია, ხოლო 2,472 – კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქატის ეგზარქატს. 1,914-მა გამოკითხულმა განაცხადა თავისი კუთვნილება სერბეთის მართლმადიდებლური და 508 გამოკითხულმა კი ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. შემდგომი საინტერესო მონაცემები: 21,688 პიროვნებამ განაცხადა, რომ არიან იეღოვას მოწმეები, 6,541 წარმოადგენს უნიტარულ ეკლესიას. გარდა ამისა, დაფიქსირდა 7,408 სამების მიმდევარი და 2,907 მუსლიმანი. მთლიანობაში მორწმუნეები 260 სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებასა და საზოგადოებაში არიან გაერთიანებული³⁴³.

II. ისტორიული მონაცემები

უნგრეთი ქვეყანაა, რომლის სახელმწიფოებრიობის შექმნა განაპირობა მის მიერ ქრისტიანობის მიღებამ ათასწლეულის პირველ ნახევარში. კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურას საფუძველი ჩაუყარა წმ. სტეფანემ (997-1038), უნგრეთის პირველმა მეფემ, რომელმაც დააარსა ათი ეპარქია. რელიგიის პატრონაჟი, სულიერ საკითხებზე სამეფო (სახელმწიფო) მფარველობა უცვლელად მყარი დარჩა მთელი XX საუკუნის განმავლობაში. მართალია, უნგრეთის ისტორიის ფორმირება გარკვეულწილად განსაზღვრა მის მიერ დასავლეთის ქრისტიანობის მხარდაჭერამ, მაგრამ მართლმადიდებლური უმცირესობა უნგრეთში არსებობდა ქვეყნის ისტორიის მთელი პერიოდის განმავლობაში.

343 გამოქვეყნებულ მონაცემებში მოცემული იყო რეგიონები, დასახლებები, ასევე საოჯახო სტატუსის და ასაკის ურთიერთკავშირი. Központi Statisztikai Hivatal, 2001, évi népszámlálás, 5. Vallás, felekezet. Budapest, Központi Statisztikai Hivatal 2002; უნგრეთის ცენტრალური სტატისტიკური ოფისი, მოსახლეობის აღწერა. 2001, 5, რელიგია, კონფესია, ბუდაპეშტი, უნგრეთის სტატისტიკის ოფისი; <http://www.nepszamlalas2001.hu/dokumentumok/pdfs/vallas.pdf>.

რეფორმაციის პერიოდის დაწყება ქვეყანაში უკავშირდება ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს, ამიტომ იგი წარმატებით ვითარდებოდა XVI საუკუნის განმავლობაში. რეფორმირებული (კალვინისტურ-პრესვიტერიანული) ეკლესია გახდა ეროვნული კულტურის აღმოცენების წიაღი, რაც უკავშირდებოდა ბიბლიის თარგმანს, სკოლებს და ა.შ. რეფორმიზმის საწინააღმდეგო მოძრაობაც წარმატებული იყო, მაგრამ ქვეყანამ შეინარჩუნა საკონფესიო პლურალიზმის მაღალი დონე. უნგრელ საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გამდგარი ზოგად ტოლერანტულ მიდგომას რელიგიის საკითხებისადმი. კათოლიკეების და პროტესტანტების თანაარსებობა (ძირითადად კალვინისტების, რომლებიც ხშირად უწოდებენ საკუთარ თავს “ერის ეკლესიას”) ყოველთვის არ იყო უკონფლიქტო, მაგრამ ამ დაპირისპირებას თავისი დადებითი, ნაყოფიერი შედეგიც ჰქონდა, რომელიც პოზიტიური იყო როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი კულტურისათვის. მაშინ, როდესაც სერბები სამხრეთში ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლობას, რუმინელების დიდი რაოდენობა ტრანსილვანიაში და რუთენიანელები კარპატებში დაუკავშირდნენ კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც შაბსბურგების კეთილგანწყობით სარგებლობდა.

XIX საუკუნის ბოლოს ქვეყანაში ებრაელი მოსახლეობის რაოდენობამ 5%-ს გადააჭარბა. ამ საუკუნის ლიბერალურმა პერიოდმა დააჩქარა უნგრელი ებრაელების ასიმილაციის პროცესი. ამ პერიოდში, სახელდობრ 1895 წელს, მიიღეს კანონი №43, რომლის მიხედვითაც გამოცხადდა რელიგიური თავისუფლება ყველასთვის, თუმცა იგი ზღუდავდა საჯარო ღვთისმსახურებას აღიარებული გაერთიანებებისათვის. კანონი აფუძნებდა რელიგიური გაერთიანებების დე ფაქტო ორსაფეხურიან სისტემას: იგი მხარს უჭერდა სამართლებრივ სტრუქტურას, რომელიც აღმოცენდა ისტორიის განმავლობაში და უკავშირდებოდა კათოლიკური ეკლესიის სტატუსს, რეფორმირებულ (კალვინისტურ) და ლუთერანულ ეკლესიებს, უნიტარისტებსა და ებრაელებს (ეს უკანასკნელები ცოტა ხნის წინ გახდნენ “გაერთიანებული” რელიგია), მაგრამ კანონი აგრეთვე იძლეოდა საშუალებას “აღიარებული” კონფესიების შესაქმნელად. ძირითადი ეკლესიები რჩებოდა “ისტებლიშმენტის” ნაწილად არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც, მაგალითად, 1945 წლამდე კათოლიკური ეკლესია უდიდესი მინათმფლობელი იყო და 1948 წლამდე დაწყებითი სკოლების ორი მესამედი ეკუთვნოდა მას. ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ პოლიტიკურ და კულტურულ არენაზე დომინირებდნენ ეროვნული კონსერვატიული ძალები, რომლებმაც შეკვეცეს 1800-იანი წლების დასასრულის სხვადასხვა ლიბერალური კანონმდებლობა. უნგრეთი, პატარა ქვეყანა, გარშემორტყმული იყო თავისი ყოფილი ტერიტორიებითა და მრავალრიცხოვანი

ეთნიკური უნგრული უმცირესობებით. ქვეყანა ჩაება მეორე მსოფლიო ომში და გერმანელებმა 1944 წლის 19 მარტს მოახდინეს უნგრეთის ოკუპაცია. მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში უნგრული ებრაელების სამი მეოთხედი, რომელიც მასობრივ დისკრიმინაციას განიცდიდა, მაგრამ შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდა თავს ამ პერიოდამდე, დეპორტირებულ და განადგურებულ იქნა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელისუფლების სათავეში საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით მოვიდნენ კომუნისტები, რომლებმაც გააუქმეს დემოკრატიული სტრუქტურები. მათ უგულვებლყვეს ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატურად აყენებდნენ შეურაცხყოფას საეკლესიო მსახურებს და საერო მორწმუნეებს. რელიგიური თავისუფლება, მკვდრადმოხილი დებულება, მხოლოდ იმ ქალაქებში რჩებოდა, რომელზეც კონსტიტუცია იყო დანერგილი. თავს მოხვეული “განცალკევება” სხვა არა იყო რა, თუ არა მკაცრი სახელმწიფო კონტროლი და დევნა. ეკლესიებზე ტოტალური კონტროლის დაწესების შემდეგ დევნას უკვე აღარ ჰქონდა ღია სახე, იგი უფრო ფარული და რბილი გახდა (“goulash communism”), მაგრამ სახელმძღვანელო პრინციპები არ შეცვლილა 1989 წლამდე. 1970-იან და 1980-იან წლებში ეკლესიებს მეტი თავისუფლება მიეცა თავიანთი აღმსარებლობის გამოსავლენად საკუთარი ეკლესიების შიგნით, მაგრამ, ამავე დროს, არ იყო საუბარი არავითარ სოციალურ აქტივობაზე – არანაირი კავშირი, საქველმოქმედო ორგანიზაციები, ინსტიტუტები ან რელიგიური ორდენები. უნგრეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წმიდა ტახტის Ostpolitik-ში, როგორც ექსპერიმენტული საცდელი მაგალითი. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაძაბულობის შემცირებას დადებითი გავლენა ჰქონდა, მაგრამ იგი ამასთანავე მოიცავდა მტკივნეულ კომპრომისებს. წმიდა ტახტმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ 1964 წელს დადო შეთანხმება. კომუნისტური მმართველობის პირველმა სამმა ათწლეულმა მოიტანა უნგრული საზოგადოების მასობრივი და ძალადობრივი სექულარიზაცია. კომუნისტმა უნგრეთი დატოვა ფეთქებად და მორალურ ვაკუუმში მყოფ ქვეყნად. მიუხედავად ამისა, ეკლესიები, რომლებმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო რეჟიმისგან, აღმოჩნდა სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე დიდი ძალა. კომუნისტური რეჟიმის დაცემას მოჰყვა ახალი თავისუფლება და ახალი ამოცანები. უნგრეთის ისტორიაში ეკლესიებს არასოდეს ჰქონია იმ მოცულობის დამოუკიდებლობა, რაც ამჟამად აქვს – ერთი მხრივ, მათზე აღარ ვრცელდება სახელმწიფო კონტროლი, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ აღარ გააჩნია ის სახსრები, რომლებიც მათ ჰქონდა მეორე მსოფლიო ომამდე. მათი ახალი როლის დამკვიდრება საზოგადოებაში ძნელი და რთული პროცესია.

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

საეკლესიო კანონმდებლობის წყაროები, ჩვეულებრივ, კანონების ზოგადად აღიარებული წყაროებია კონსტიტუცია, პარლამენტის აქტები, მთავრობის და მინისტრების დეკრეტები.

უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-60 ნაწილის შესაბამისად:

- (1) უნგრეთის რესპუბლიკაში ყველას აქვს რწმენის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება;
- (2) ეს უფლება ითვალისწინებს რელიგიის ან სხვა რწმენის თავისუფალ არჩევანს და უფლებას მათ საჯაროდ ან მარტო გამოხატვაზე, ან არგამოხატვაზე, რელიგიური რიტუალების განხორციელებაზე სხვადასხვა საშუალებით, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, აგრეთვე რელიგიურ სწავლებაზე;
- (3) უნგრეთის რესპუბლიკაში საეკლესიო ფუნქციები გამიჯნულია სახელმწიფოსგან;
- (4) კანონის რატიფიცირებისთვის რელიგიის და რწმენის თავისუფლების საკითხებზე საჭიროა ხმა მისცეს დამსწრე პარლამენტარების ორმა მესამედმა.

სინდისის, რელიგიის და ეკლესიის თავისუფლების აქტი უზრუნველყოფს რელიგიური საზოგადოების სამართლებრივ სტატუსს და აყალიბებს დეტალურ სტრუქტურას მათი დამოუკიდებელი საქმიანობისათვის (აქტი 4/1990). ეკლესიების ყოფილი უძრავი ქონების საკუთრების რეგულირების აქტი (აქტი 32/1991) უზრუნველყოფს საეკლესიო ქონების დაბრუნებას, რომელიც წინათ ეკლესიის საკუთრებაში იყო და მას სამომავლოდ გამოიყენებენ საკულტო ან საზოგადოებრივი სარგებლობის მიზნით. ეკლესიების რელიგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის ფინანსური პირობების აქტი (აქტი 124/1997) საფუძველს უყრის სახელმწიფო სუბსიდირებას ეკლესიებისთვის. სხვა აქტები უკავშირდება ეკლესიების საქმიანობას (განათლება, დაბეგვრა და ა.შ.), დამატებითი სამთავრობო ბრძანებები კი ეხება საეკლესიო ცხოვრების რიგ კონკრეტულ საკითხებს.

უნგრეთი იმ არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე მხარეა, რომლებიც მნიშვნელოვანია რელიგიური თავისუფლების საკითხებისთვის. უნგრეთმა ხელი მოაწერა და რატიფიცირება მოახდინა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების³⁴⁴ საერთაშორისო პაქტს, ბავშვთა უფლებების³⁴⁵ კონვენციას, ისევე როგორც ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპულ კონვენციას³⁴⁶ მისი დამატებითი პროტოკოლებით.

1990 წლის 9 თებერვალს, რამდენიმე დღის შემდეგ, რაც პარლამენტმა დაამტკიცა რელიგიების თავისუფლების ახალი კანონი, ვიდრე იგი გამოქვეყნდებოდა, წმიდა ტახტმა და უნგრეთმა აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა. შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოეწერა ბუდაპეშტში, ნათქვამია, რომ საკითხები, რომლებიც ეხება ეკლესიას, უნდა გადაჭრილიყო რელიგიის თავისუფლების³⁴⁷ ახალი კანონის მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ეკლესიების შესახებ უნგრული კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ემყარება არა შეთანხმებების სისტემას, არამედ კანონს,³⁴⁸ მეორე მხრივ, ამგვარი რეგულაცია პოზიტიურად არის მიჩნეული კათოლიკური ეკლესიის მიერ. გარდა ამისა, წმიდა საყდართან დაიდო ორი სხვა შეთანხმაც. 1994 წლის 10 იანვარს დაიდო სამხედრო ვალდებულების ხელშეკრულება³⁴⁹, რადგან ეს იყო მთავრობისთვის წინაპირობა სამხედრო კაპულანების სამსახურის შემოსაღებად. 1997 წლის 20 ივნისს ვატიკანში, სადღესასწაულო ვითარებაში, ხელი მოეწერა მესამე შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს³⁵⁰. უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებები უნგრეთსა და წმიდა ტახტს შორის უაღრესად ტექნიკური ხასიათისაა, ისინი არ შეიცავს ზოგად განაცხადებებს, რომლებიც დამახასიათებელია კონკორდატის ტიპის შეთანხმებებისთვის. უნგრეთსა და წმიდა ტახტს შორის არ არსებობს გენერალური შეთანხმება, როგორც კონკორდატის ხელშეკრულება, ასევე ძირითადი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი წესების ერთიანობას.

344 რატიფიცირებულია საკანონმდებლო დეკრეტით 8/1976.

345 რატიფიცირებულია აქტით 94/1991.

346 რატიფიცირებულია აქტით 31/1993.

347 გამოქვეყნებულია ოფიციალურ გაზეთში Magyar Közlöny 1990/35.

348 Erdő, P., Aktuelle staatskirchenrechtliche Fragen in Ungarn, ÖArchKR 40 (1991), 390.

349 AAS 86 (1994) 574-579, 19/1994 თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო შეთანხმება; Baura, E., L'Accordo tra la Santa Sede a la Republica di Ungheria sull'assistenza religiosa alle Forze Armate e di Polizia di Frontiera, in Ius Ecclesiae, 7 (1995), 374-381.

350 რატიფიცირებულია საპარლამენტო დეკრეტით: აქტი 70X/1999; AAS 90 (1998), 330-341.

სხვა ეკლესიებმაც გააფორმა საკონტრაქტო შეთანხმება მთავრობასთან, თუმცა ისინი საერთაშორისო სასიათის არაა. ხელი მოეწერა არმიის კაპულანების კონტრაქტებს, ისევე, როგორც შეთანხმებას ფინანსურ საკითხებზე; ეს განსაკუთრებით ეხება იმ შეთანხმებებს რეფორმირებულ ეკლესიასთან და ებრაელთა საზოგადოებების კავშირთან, რომლებიც შეიცავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობის ნორმატივებს. თუმცა ამ შეთანხმებების სტატუსი საკამათოა.

სინდისის თავისუფლება ისევეა დაცული, როგორც რელიგიის თავისუფლება. მოთხოვნის წარდგენა რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, ხდება ცალკეული პირების მიერ, ვიდრე ცალკეული ჯგუფების მიერ პრივილეგიების მინიჭებასთან დაკავშირებით. მაგალითად, რელიგიური მოსაზრებით სამხედრო სამსახურზე უარის თქმის შემთხვევაში მხედველობაში იღებენ, რომ საქმე ეხება ინდივიდუალურ და არა მთელი რელიგიური საზოგადოებრიობის უარს. სინდისის თავისუფლების საკითხები თავიანთ ასახვას პოეზებს შრომით კანონში, მაგრამ შესაბამისი საპრეცედენტო კანონი არ არის განსაკუთრებით მდიდარი პრეცედენტების რაოდენობის მხრივ.

რელიგიის თავისუფლება ითვლება ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად უფლებად. ამ ძირითადი უფლების თავისუფალი განხორციელების შეზღუდვა თავად მის შეზღუდულ ინტერპრეტაციასთან არის დაკავშირებული. საზოგადოდ, ძირითადი უფლებების შეზღუდვა უნდა დაწვრილებით განიხილოს მისი აუცილებლობის კრიტერიუმიდან და პროპორციულობიდან გამომდინარე. შეზღუდვები უნდა მიიღოს საპარლამენტო აქტების მეშვეობით. ისინი აუცილებელია იმისთვის, რომ უზრუნველყოს სხვა ტიპის კონსტიტუციური უფლებების ან კონსტიტუციური ღირებულებების დაცვა. შეზღუდვა უნდა იყოს შეზღუდვის მიზნის პროპორციული. ფუნდამენტური უფლებების ძირითადი შინაარსი არ უნდა შეიზღუდოს. ქვეყანაში საკმაოდ იშვიათია სასამართლო პროცესი რელიგიური თავისუფლების საკითხებზე.

2. სისტემის კატეგორიები: ნეიტრალიტეტი, განცალკევება, თანამშრომლობა

ნეიტრალიტეტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც იყენებს სახელმწიფო თავის ურთიერთობაში რელიგიურ საზოგადოებრიობებთან, ისევე, როგორც სხვა იდეოლოგიებთან. სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, როდესაც საქმე ეხება იდეოლოგიას: არ უნდა არსებობდეს სახელმწიფო იდეოლოგია, იქნება იგი რელიგიური თუ საეკლესიო. ნეიტრალიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს

იდენტიფიკაცია ნებისმიერ იდეოლოგიასთან (ან რელიგიასთან). იგი არ უნდა იყოს ინსტიტუციურად დაკავშირებული ეკლესიებთან ან რომელიმე ერთ ეკლესიასთან. ეს გვიჩვენებს, რომ განცალკევების პრინციპის უკან მდებარე დოქტრინა (როგორც ეს ნათლად არის აღნიშნული კონსტიტუციაში) არის სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი. ამავე დროს, აღვნიშნავთ, რომ ნეიტრალიტეტი უნდა განვასხვავოთ ინდიფერენტობისგან, იგი არ არის ჩადებული კონსტიტუციაში გამომდინარე ნეიტრალიტეტის ცნებიდან, რომელიც შემუშავებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ნეიტრალიტეტი აგრეთვე არ არის “საეროობა”: სახელმწიფომ შეიძლება აქტიური როლი შეასრულოს ინსტიტუციური სამართლებრივი ბაზის შექმნაში, ისევე, როგორც ეკლესიებისთვის საჭირო ფონდების არსებობაში, რათა უზრუნველყოს რელიგიური პრაქტიკის თავისუფალი გამოვლინება: “რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მოვალეობა, უზრუნველყოს პირადი რწმენის თავისუფალი ფორმირების შესაძლებლობა”³⁵¹. სახელმწიფო არ უნდა დაუკავშირდეს ინსტიტუციურად რომელიმე ორგანიზაციას, რომელიც ეფუძნება იდეოლოგიას, იქნება იგი რელიგიური თუ საერო. რელიგიის თავისუფლება და რელიგიისგან თავისუფლება ერთნაირად უნდა დაიცვან. არც ერთი მათგანი არ უნდა განიხილონ როგორც გამონაკლისი. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ვალდებულია დაიცვას ნეიტრალიტეტის პრინციპი: სახელმწიფო არ უნდა უზრუნველყოფდეს ისეთი არანეიტრალური ინსტიტუტების ფუნქციონირებას, როგორებიცაა: სკოლები და ღვთისმეტყველების ფაკულტეტები ან სხვა საეკლესიო დაწესებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას.

განცალკევების მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს, ერთი მხრივ, როგორც ეკლესიების ავტონომიურობის პატივისცემა (ან თვითგამორკვევა) (“სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებში”) და მეორე მხრივ – პრინციპით, რომელიც მოცემულია რელიგიური თავისუფლების კანონში: “დაუშვებელია სახელმწიფო ზეწოლის გამოყენება ეკლესიის შიდა კანონების და წესების მიმართ”³⁵². რელიგიურ გაერთიანებებს არა აქვს სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენების უფლება ინდივიდსა და მის ეკლესიას შორის ურთიერთობაში. სახელმწიფო არ თამაშობს არანაირ როლს.

351 გადანყვეტილება 4/1993 (ლ. 12.) AB (კომენტარები და ტექსტი ინგლისურად: Sólyom, L./Brunner, G. (eds.), კონსტიტუციური იურისდიქცია ახალი დემოკრატიის პირობებში. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, მიჩიგანის უნივერსიტეტის პრესა 2000, 246-266; გერმანულად: Brunner, G./Sólyom, L. (eds.), Verfassungsgerichtsbarkeit in Ungarn. Analysen und Entscheidungssammlung 1990-1993, Baden-Baden 1995, 421-468).

352 აქტი 4/1990, ნაწილი 15.

ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, უნგრული სისტემა ყველაზე ახლოსაა იტალიურ-ესპანურ მოდელთან. სეკულარიზაცია, განსაკუთრებით ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური განცალკევება, უნგრეთში ერთმნიშვნელოვნად უფრო მკაცრია, ვიდრე გერმანიის “თანამშრომლობის მოდელში”, მაგრამ უნგრეთის სახელმწიფო უზრუნველყოფს ხელშეწყობის პირობების არსებობას ეკლესიის საქმიანობისათვის და გაცილებით მეტი სახელმწიფო ფონდის არსებობას, ვიდრე იყო ფრანგულ “საერო” სისტემაში. უნგრული მოდელი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 90-იან წლებში, შეიძლება აღინეროს, როგორც “კეთილმოსურნე” განცალკევება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო რელიგიური თავისუფლება და ეკლესიების თავისუფლება, რომელმაც გააუმჯობესა მათი საქმიანობა და ღია იყო თანამშრომლობისათვის საერთო კეთილდღეობისათვის – განსაკუთრებით საზოგადოების სამსახურის განხრით.

IV. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

1. რელიგიური საზოგადოებების სამართლებრივი სტატუსი

სინდისის, რელიგიის და ეკლესიების თავისუფლების კანონი გამოქვეყნდა 1990 წელს. ამ კანონის შესაბამისად:

“მათ, ვისაც აქვთ ერთიანი რელიგიური რწმენა, შეუძლიათ, რელიგიური მიზნების განხორციელების მიზნით დააარსონ რელიგიური საზოგადოება, რელიგიური კონფესია ან ეკლესია (რომლებიც შემდგომში მოხსენებული იქნება როგორც “ეკლესია”), რომელსაც ექნება თვითმმართველობის შესაძლებლობა.... ეკლესიები შეიძლება დაარსდეს ყველა რელიგიური საქმიანობისათვის, რომლებიც არ არის ანტიკონსტიტუციური და არ წარმოადგენს კანონდარღვევას”.

ეკლესიების რეგისტრაციას აწარმოებს საოლქო სასამართლოები, გავრთიანებების, პოლიტიკური პარტიების ან ფონდების მსგავსად. მოთხოვნები საკმაოდ ფორმალურია: 1990 წლამდე დარეგისტრირებული ეკლესიების ხელახალი რეგისტრაცია ხდება ავტომატურად. სხვა რელიგიურმა საზოგადოებებმა, რომელთაც სურთ რეგისტრაციის გავლა, უნდა წარადგინონ 100 კერძო პირის, როგორც დამფუძნებლის, სახელი და წესდება, რომელიც, სულ მცირე, შეიცავს რელიგიის სახელწოდებას, მის სათავო დაწესებულების მისამართს და მის შიდა საორგანიზაციო სტრუქტურას, ეკლესიის იმ შიდა ერთეულების დასახელებით, რომელთაც გააჩნია სამართლებრივი უფლებაუნარიანობა. აგრეთვე საჭიროა,

რომ მათ ჰქონდეს ადმინისტრაციის არჩევითი სისტემა და წარმომადგენლობა. დამფუძნებლებმა აგრეთვე უნდა წარადგინონ დეკლარაცია იმის თაობაზე, რომ მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას რელიგიური ხასიათი აქვს და მისი საქმიანობა შეესაბამება კონსტიტუციას და კანონმდებლობას (ნაწილები 8-9).

ყველა რეგისტრირებულ ეკლესიას აქვს ამგვარი უფლება და მოვალეობა. თუმცა თანასწორობა სამართლებრივი სტატუსის და არა სოციალური მნიშვნელობის საკითხია. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების შესაბამისად:

“ეკლესიების მიმართ თანასწორი მიდგომა არ გამორიცხავს ცალკეული ეკლესიების ფაქტობრივი სოციალური როლის გათვალისწინებას”³⁵³.

საბოლოოდ, რელიგიურ საზოგადოებებს შორის არსებული გარეშე სოციალური განსხვავება შეიძლება კანონმდებელმა მხედველობაში მიიღოს, თუკი იგი უკავშირდება მოცემულ საკითხს.

ეკლესიების სტატუსი არ განეკუთვნება არც საჯარო სამართლის კორპორაციის და არც გაერთიანების სტატუსს. ეკლესიებს მინიჭებული აქვს სამართლებრივი უფლებათნარიანობა როგორც განსაკუთრებულ ერთეულებს. მათი შიდა საორგანიზაციო ერთეულები, როგორებიცაა: ინსტიტუტები ან ეპარქიები აგრეთვე სამართლებრივი ერთეულებია, თუკი ეკლესიის წესდება ამას ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ თითოეული რელიგიური გაერთიანების შიდა კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ აღიარებული იურიდიული პირის ცნობის საკითხს – აღარ არის საჭირო ამ პირთა შემდგომი სახელმწიფო რეგისტრაცია. კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებით საეკლესიო კანონთა კოდექსი და აღმოსავლეთ ეკლესიების კანონიკური კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელ საეკლესიო ერთეულს აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება უნგრეთის სამართლებრივ სისტემაში. “ეკლესიების დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც შექნილია რელიგიური მიზნებისთვის” (როგორც რელიგიური ორდენები) აგრეთვე იურიდიული პირებია, მაგრამ საჭიროა მათი რეგისტრაცია სასამართლოში.

იმის გამო, რომ სამართლებრივი სისტემა დაბრკოლების გარეშე იძლევა რელიგიების რეგისტრაციის საშუალებას და უზრუნველყოფს სამართალ-უნარიანობის მინიჭებას, “ახალ რელიგიურ მოძრაობებს” და განცალკევებულ ჯგუფებს ადვილად შეუძლია გამოიყენოს იგივე სამართლებრივი რეჟიმები, როგორებსაც ტრადიციული ეკლესიები იყენებს. ამჟამად რეგისტრირებული რელიგიური საზოგადოებების რაოდენობა დაახლოებით 150-ს შეადგენს.

353 გადაწყვეტილება No. 4/1993 (II. 12.) AB.

2. რელიგიური საზოგადოებრიობების შინაარსი და თვითგამორკვევის უფლება

საეკლესიო ავტონომია შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებად იმ სხვადასხვა ერთეულს, რომლებიც რეგისტრირებულია, ერთი მხრივ, როგორც ეკლესიები და დანარჩენ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს³⁵⁴ შორის, როგორებიცაა: გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები ან პროფკავშირები. ავტონომია, მკაცრი სამართლებრივი თვალსაზრისით, ნიშნავს, რომ იმ ორგანიზაციების შიდაორგანიზაციული საქმიანობა, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც “ეკლესიები”, არ ექვემდებარება არანაირ სახელმწიფო ჩარევას. მაშინ, როდესაც ასოციაციის მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გაიტანონ სასამართლოს წინაშე (და სასამართლოებს აქვს უფლებამოსილება დახუროს იგი, თუკი აღნიშნული შიდა ქმედებები უკანონოა ან არღვევს გაერთიანების წესდებას), ეპისკოპოსის ან სინოდის დადგენილება არ შეიძლება განიხილოს სახელმწიფო სასამართლოებმა. ეკლესიები, თავის მხრივ, ვალდებული არიან, იყვნენ დემოკრატიულნი. თუკი ეკლესია არღვევს კანონს, პროკურორს უფლება აქვს აღძრას საქმე ეკლესიის წინააღმდეგ. სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა მოიწვიოს ეკლესია, რათა აღადგინოს მისი საქმიანობის სამართალუნარიანობა. იმ შემთხვევაში, თუ ეკლესია არ ემორჩილება სასამართლოს განკარგულებას, მას ამოიღებენ ეკლესიების რეესტრიდან. ეს ნიშნავს მისი სტატუსის – “ეკლესიის” – გაუქმებას, მაგრამ მას არ ეკრძალება თავისი საქმიანობის გაგრძელება. უკანონი ქმედებები თავისთავად არ შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, მაგრამ იგი შეიძლება გახდეს ეკლესიის რეესტრიდან ამოღების მიზეზი. ეკლესია განსაზღვრავს თავის სტრუქტურას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად: არ არის საჭირო არც თანხმობა, არც დადასტურება, მაგალითად, ახალი ეპარქიის შექმნის დროს. საეკლესიო ოფიციალური პირების დანიშვნას ექსკლუზიურად განსაზღვრავს თავად დაინტერესებული ეკლესია. მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის სამხედრო-საეკლესიო კაპელანის დანიშვნა ექვემდებარება მთავრობისთვის წინასწარ შეტყობინებას.

ეკლესიებს, ისევე როგორც სხვა არასახელმწიფო ერთეულებს, შეიძლება ჰქონდეს სკოლები, ინსტიტუტები უმაღლესი განათლებისთვის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები. ისინი შეიძლება ჩაბმულნი იყვნენ ეკონომიკურ საქმიანობაში სპეციალური დაფინანსების და დაბეგვრის ხელშეკრულების არსებობის პირობებში.

354 გადაწყვეტილება 8/1990 (ლ. 27.).

3. ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები პოლიტიკური სისტემის ფარგლებში

ეკლესიების პოლიტიკური მოღვაწეობა არ არის შეზღუდული. განცალკევების პრინციპის მკაცრი ინტერპრეტაცია გამორიცხავს ნებისმიერი შეზღუდვის ან აკრძალვის შესაძლებლობას საეკლესიო მსახურებზე ან ეკლესიებზე მათ პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით. ეკლესიების დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით ფრიად განსხვავებულია. ძირითად ეკლესიებს ურჩევნია არ ჩაენეროს თავგამოდებულ პოლიტიკოსთა რიგებში. ეს თვითშეზღუდვაა, რომელიც არაერთხელ მოუხვევიათ თავს ეკლესიისთვის სახელმწიფო წარმომადგენლებს. ეკლესიების მიერ მსგავს თავშეკავებას ხშირად ხელს უწყობს ზოგიერთი მოქმედი პირი პოლიტიკური არენიდან, იმის შიშით, რომ ეკლესიის ჩარევა პოლიტიკაში შეიძლება იყოს ტენდენციური ან ეკლესიები შეიძლება გახდეს იარაღი ამგვარ თამაშში. თუმცა მორალურ განცხადებებს, თუკი ასეთი არსებობს, მხარს უჭერენ. კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციამ გამოსცა მნიშვნელოვანი დოკუმენტები სოციალურ საკითხებზე, ოჯახსა და ბიოეთიკაზე.

V. ეკლესია და კულტურა

მშობლებს, რომელთაც გააჩნიათ კონსტიტუციური უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი შვილების განათლებაზე³⁵⁵, აგრეთვე უფლება აქვთ დააარსონ სკოლები, რომლებიც არ იქნება ნეიტრალური. “საეკლესიო სკოლები” არ არის არც სახელმწიფო, არც კერძო. სახელმწიფო სკოლების შემდეგ, რომლებიც მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, სკოლების უმეტესობას მართავს ეკლესიები: საშუალო განათლების დონეზე საეკლესიო სკოლების წილი შეადგენს 10%-ზე მეტს. უნგრეთში ყველა სკოლისათვის სავალდებულოა ეროვნული სასწავლო პროგრამით დადგენილი სტანდარტები. თუმცა ყველა სკოლას აქვს უფლება, თავად შექმნას თავისი საკუთარი სასწავლო პროგრამა. სასკოლო სახელმძღვანელოებს დიდი რაოდენობით გამოსცემენ, თუმცა ისინი არაა სავალდებულო სასკოლო სახელმძღვანელოები. საეკლესიო სკოლები არაა შეზღუდული სავალდებულო იდეოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით. ეს ნიშნავს, რომ ასეთ სკოლებს შეუძლია საკუთარი თავის იდენტიფიცირება კონკრეტულ რელიგიასთან. რელიგიური სიმბოლიკის არსებობა დასაშვებია როგორც სკოლის შენობაში, ასევე საკლასო ოთახებში. რელიგიური განათლება შეიძლება იყოს სასწავლო პროგრამის ნაწილი და სასკოლო ატესტატში

355 კონსტიტუცია, ნაწილი 67 (2).

აისახება მიღებული ნიშნები. საეკლესიო სკოლებს უფლება აქვს აირჩიოს არა მარტო თავისი სასწავლო კადრები, არამედ თავისი მონაფეხბიცი, რელიგიური პრინციპების შესაბამისად. ყოველივე ეს დაუშვებელია სახელმწიფო სკოლებში. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანაბარი დაფინანსება საეკლესიო სკოლებისთვის. ფორმალურად სკოლის შენახვის ხარჯებს იხდის ეკლესია, მაგრამ სახელმწიფო უზრუნველყოფს მას აუცილებელი სახსრებით, სახელმწიფო სუბსიდირებით, რაც საშუალებას იძლევა სწავლების გადასახადის თავიდან აცილებას. თანაბარი დაფინანსება გარანტირებულია კანონით³⁵⁶ და იგი კიდევ ერთხელ დამტკიცდა როგორც პრინციპი, განსაზღვრული კონსტიტუციით, რომელიც იძლეოდა რელიგიური თავისუფლების გარანტიას, ანიჭებდა მშობლებს არჩევანის უფლებას და განაპირობებდა განათლების არადისკრიმინაციულ ხასიათს³⁵⁷. საეკლესიო სკოლების უმეტესობა ფუნქციონირებს შენობებში, რომლებიც 1948 წლის ნაციონალიზაციამდე საეკლესიო სკოლები იყო; მაგრამ ეკლესიები აგრეთვე აშენებენ ახალ სკოლებს და რიგ შემთხვევებში საკონტრაქტო ბაზაზე აქვთ სახელმწიფო სკოლები მუნიციპალიტეტებისგან.

ეკლესიებს აგრეთვე აქვს უფლება წარმართოს სასულიერო განათლება სახელმწიფო სკოლებში სტუდენტების ან მათი მშობლების თხოვნის საფუძველზე³⁵⁸. არასახელმწიფო სკოლები ვალდებული არაა უზრუნველყოს სასულიერო განათლება. სახელმწიფო სკოლებს მოეთხოვება იყოს ნეიტრალური და ხელმისაწვდომი ყველასთვის. ნეიტრალურმა სახელმწიფო სკოლებმა მხარი არ უნდა დაუჭიროს რომელიმე რელიგიას ან იდეოლოგიას, მაგრამ უნდა უზრუნველყოს რელიგიის და ფილოსოფიური რწმენის ობიექტური ინფორმაცია. სახელმწიფო სკოლებში პედაგოგებმა სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ ნეიტრალურ საფუძველზე. მათ აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი ან შეხედულება რწმენაზე, მაგრამ არ უნდა მოახდინონ სტუდენტების დამოძღვრა (მუსლიმანური თავსაბურავი ჯერ კიდევ არ გამხდარა მსჯელობის საგანი უნგრეთში, თუმცა არ არსებობს რაიმე რეგულაცია ტანსაცმლის ტარების თაობაზე, რომლის შესაბამისადაც შეიძლება მისი აკრძალვა). სკოლებმა უნდა უზრუნველყოს საფუძვლიანი ინფორმაციის არსებობა ეთიკის საკითხებზე³⁵⁹. სახელმწიფო განათლება რელიგიის შესახებ და სასულიერო განათლება რელიგიის სფეროში არ არის ერთი და იგივე. სახელმწიფო სკოლებში საეკლესიო რელიგიური განათლება არ არის სასკოლო პროგრამის ნაწილი, რელიგიის მასწავლებელი არ არის შტატიანი მასწავლებელი

356 აქტი 4/1990, ნაწილი 19 (1).

357 გადანყვეტილება ნომერი. 22/1997 (4. 25.) AB.

358 აქტი 4/1990, ნაწილი 17 (2), Act 79/1993 (განათლების შესახებ), ნაწილები 4 (4), 10 (3) d), 13 (3)

359 აქტი 79/1993, ნაწილი 4 (2)-(3).

და შეფასება არ აისახება სასწავლო ანგარიშში. ეკლესიებს შეუძლია თავისუფლად გადანაწილოს რელიგიური კლასების სასწავლო პროგრამების საკითხი, ისევე, როგორც მათი ზედამხედველობის შესახებ. რელიგიის მასწავლებლები ეკლესიის თანამშრომლებად ითვლებიან, თუმცა სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკლესიებს სახელფასო სახსრებით. სკოლებმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო დროის გამოყოფა რელიგიური მეცადინეობებისთვის (ხშირად ეს რთული გადასაწყვეტია), ასევე სასწავლო საშუალებები. ეკლესიები თავისუფალია თავიანთი რწმენის განმარტებაში რელიგიური კლასის განმავლობაში: ისინი ვალდებული არ არიან, შეზღუდონ თავიანთი თავი ნეიტრალური განათლებით, მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის გადაცემით რელიგიის თაობაზე, ისევე, როგორც სახელმწიფო სკოლების შემთხვევაში, რომელთაც სანინაალმდეგო ევალუა. სასულიერო განათლება არ არის სახელმწიფო სკოლების წინაშე მდგარი ამოცანის ნაწილი. ეს არის ცხოვრებისთვის მომზადების ფორმა და ამა თუ იმ რელიგიური საზოგადოების დოქტრინა მოსწავლეების და მათი მშობლების თხოვნის შესაბამისად.

უნგრეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არ არის ღვთისმეტყველების ფაკულტეტი. სახელმწიფოს და ეკლესიის განცალკევება და ნეიტრალიტეტი არ ქმნის შესაძლებლობას, რომ არსებობდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ან მასთან დაკავშირებული რელიგიური ინსტიტუტები. რასაკვირველია, სახელმწიფო საგანმანათლებლო ინსტიტუტებში შეიძლება არსებობდეს რელიგიის შესახებ კურსი, მაგრამ არა რელიგიის კურსი. ეკლესიებს აგრეთვე უფლება აქვს ჰქონდეს უნივერსიტეტები და უმაღლესი განათლების სხვა ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფს მომზადებას ღვთისმეტყველებისგან განსხვავებულ სფეროებში. საეკლესიო სპეციალობების სწავლება ისეთივე კონტროლს ექვემდებარება აკრედიტაციის მიზნით, როგორსაც სახელმწიფო უნივერსიტეტები. ხარისხებს იგივე ღირებულება აქვს და ინსტიტუტები ფინანსდება იმავე მოცულობით, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტები. სუბსიდირებული სტუდენტების ადგილები განისაზღვრება ყოველ წელიწადს ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც ფორმდება მხარდამჭერ ეკლესიასა და მთავრობას შორის. მას შემდეგ, რაც რეფორმირებულმა ეკლესიამ დააფუძნა პედაგოგიური კოლეჯი, კათოლიკური ღვთისმეტყველების უნივერსიტეტი ბუდაპეშტში გარდაიქმნა “პიტერ პაზმანის კათოლიკურ უნივერსიტეტად” (“Péter Pázmány Catholic University”), რომელსაც, ღვთისმეტყველების ფაკულტეტის გარდა, აქვს ჰუმანიტარული, საინფორმაციო ტექნოლოგიების, იურიდიული და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტები, აგრეთვე კანონიკური სამართლის ინსტიტუტი. კათოლიკური უნივერსიტეტის დაფუძნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ რეფორმირებულმა ეკლესიამ აგრეთვე დააარსა უნივერსიტეტი და მის ღვთისმეტყველების ფაკულტეტს ბუდაპეშტში

დაემატა ჰუმანიტარული და იურიდიული ფაკულტეტები. მასში აგრეთვე გაერთიანდა მასწავლებელთა მოსამზადებელი კოლეჯი.

ღვთისმეტყველების უმაღლესი განათლების ინსტიტუტები აღიარებულია როგორც კოლეჯები, ხოლო ღვთისმეტყველების არსებული ფაკულტეტები კლასიფიცირდება, როგორც “ღვთისმეტყველების უნივერსიტეტები”, თუმცა ეს არ მოქმედებს ამ ინსტიტუტების საეკლესიო ხასიათზე. ღვთისმეტყველების ინსტიტუტების ჩამონათვალი, რომელთა რაოდენობაც რამდენჯერმე გაიზარდა, თან ერთვის უმაღლესი განათლების აქტს³⁶⁰. უმაღლესი განათლების კანონი მოითხოვს ღვთისმეტყველების ინსტიტუტების აკრედიტაციას, მაგრამ ღვთისმეტყველების კურსის შინაარსი არ ექვემდებარება დანვრილებით შემოწმებას³⁶¹. გაცემული ხარისხები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. კანონში შესულია დეტალური დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს საეკლესიო ინსტიტუტების განთავისუფლებას სხვადასხვა ვალდებულებისგან, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში არ ხდება ამგვარი განსხვავება. საეკლესიო უნივერსიტეტების პროფესორებს, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტების პროფესორებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ხდება ერთობლივად – მხარდაჭერი ეკლესიის და მინისტრის მიერ. საეკლესიო მსახურების ტრენინგის გარდა, რელიგიის მასწავლებელთა ტრენინგი საეკლესიო ინსტიტუტების ძირითადი საქმიანობაა.

ეკლესიებს შეიძლება ჰქონდეს მედიასაშუალებები, ისევე, როგორც სხვა დანესებულებები. ფაქტობრივად რამდენიმე ადგილობრივი რადიოსადგური ეკუთვნის კიდევ კათოლიკურ ეკლესიას. საზოგადოებრივ მედიაში არის ორივე: რელიგიური და საეკლესიო პროგრამები. რელიგიური პროგრამები ეხება ზოგადად რელიგიებს (ნეიტრალურ ბაზაზე), მაშინ, როდესაც საეკლესიო პროგრამები ასახავს შესაბამისი საზოგადოების რწმენას. საზოგადოებრივი მედია საეთერო დროს (რომელიც მიდის რეკლამების გარეშე) უთმობს რვა რელიგიურ საზოგადოებას. საზოგადოებრივი მედიის საბჭოში არის ორი ადგილი თითოეული რელიგიური საზოგადოების წარმომადგენლისთვის: ერთ ადგილს როტაციის წესით იკავებს ერთ-ერთი წარმომადგენელი ოთხი რელიგიური საზოგადოებიდან (კათოლიკური

360 აქტი 80/1993 (უმაღლესი განათლების შესახებ); ამჟამად არის ხუთი “საეკლესიო უნივერსიტეტი” (კათოლიკური, ლუთერანული, ებრაული და ორი კალვინისტური), ისევე, როგორც 23 სხვა უმაღლესი განათლების ინსტიტუტი, რომელთაგან 13 კათოლიკურია (ერთი ბერძულ-კათოლიკური), ხოლო ზოგი რელიგიური საზოგადოება, რომლებიც არაა უნგრეთში მასშტაბური ხასიათის, მხარს უჭერს მსგავს ინსტიტუტებს (ბაპტისტური, ადვენტისტების, წმიდა სამების, ბუდისტები და ა.შ.).

361 აქტი 80/1993, ნაწილი 114.

ეკლესია, რეფორმირებული ეკლესია, ლუთერანული ეკლესია, ებრაელთა საზოგადოებების გაერთიანება), მაშინ, როდესაც ყველა სხვა რეგისტრირებულ რელიგიურ საზოგადოებას შეუძლია წარადგინოს განაცხადი მეორე ადგილზე, რომლის მფლობელიც გაირკვევა კენჭისყრით³⁶².

VI. შრომითი კანონმდებლობა რელიგიური ორგანიზაციების ფარგლებში

შრომითი და სოციალური უზრუნველყოფის კანონი უზრუნველყოფს განსაკუთრებულ სქემებს პირებისთვის, რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია ეკლესიის შიდა კანონების შესაბამისად; ეს პირები განსაკუთრებულ “საეკლესიო შრომით რეჟიმში” არიან ეკლესიასთან³⁶³. ურთიერთობა საეკლესიო მსახურებსა და ეკლესიას შორის ჩვეულებრივ არ ექვემდებარება შრომით კანონს, იგი ერთმნიშვნელოვნად რეგულირდება ეკლესიის შიდა კანონებით.

დისკრიმინაცია, მათ შორის რელიგიურ საფუძველზე, აკრძალულია შრომითი კოდექსის შესაბამისად³⁶⁴. განსხვავებები, რომლებიც სამსახურთან დაკავშირებული მოთხოვნების მიხედვითაა დადგენილი, არ ითვლება დისკრიმინაციულად. იგი გამონაკლისია, სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე და გულისხმობს, რომ შეიძლება სხვადასხვა სტანდარტის გამოყენება, მაგალითად მასწავლებლის ან დამლაგებლის მიმართ საეკლესიო სკოლებში. არ არსებობს ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდნენ ეკლესიის მესვეურები თავიანთ მოთხოვნებში რწმენის, წევრობის ან ლოიალურობის გამო, როდესაც ირჩევენ თანამშრომლებს. არადისკრიმინაციული მიდგომის ზოგადი კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლისს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია რელიგიაზე ან რწმენაზე, თუკი ეს ასპექტი პირდაპირაა დაკავშირებული მოცემულ ორგანიზაციასთან³⁶⁵. საეკლესიო ინსტიტუტების თანამშრომლები, რომლებიც მსახურობენ, მაგალითად, სკოლებში, საავადმყოფოებში და ა.შ., არ არიან საჯარო მოხელეები: ისინი იმყოფებიან შრომითი კოდექსის და არა საჯარო სამსახურის რეჟიმქვეშ, როგორც მათი კოლეგები მუნიციპალურ ინსტიტუტებში. პრაქტიკაში ეკლესიები უზრუნველყოფს თითქმის სამოქალაქო სამსახურის რეჟიმს თავიანთი შრომითი კონტრაქტის გაფორმებისას.

362 აქტი 1/1996 (მედიპი), ნაწილები 5, 10, 17, 23, 25, 56.

363 აქტი 80/1997 (სოციალურ უზრუნველყოფასა და კერძო პენსიებზე), ნაწილი 26 (3).

364 აქტი 22/1992 (შრომის კოდექსი), ნაწილი 5.

365 აქტი 125/2003 (ერთგვაროვანი მიდგომის შესახებ), ნაწილი 6 (1)(c).

VII. საქორწინო და საოჯახო კანონი

1895 წლიდან უნგრეთში მოქმედებს სამოქალაქო ქორწინების სავალდებულო რეჟიმი. კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს 1962 წლიდან, აუცილებელი არ არის საეკლესიო ქორწინებას უსწრებდეს სამოქალაქო ქორწინების ცერემონიალი. ეს კი ნიშნავს, რომ შეიძლება საეკლესიო ქორწინების გაფორმება საკანონმდებლო შედეგის გარეშე (თუკი, სახელმწიფო კანონის შესაბამისად, ასეთ წყვილებს აქვთ დაუქორწინებელი პარტნიორების სტატუსი)³⁶⁶.

VIII. ეკლესიების დაფინანსება

1. ნაციონალიზებული ქონების რესტიტუცია

უნგრეთში კომუნისტური წყობის კრახის შემდეგ არ მომხდარა რეპრივაციზაცია. ნაციონალიზაციას განხილავდნენ როგორც ზიანის მომტანს, უსამართლოს და უკანონოს, მაგრამ ძალაში მყოფს. ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც დატოვა “ნამდვილმა სოციალიზმმა”, არ იძლეოდა სრული რესტიტუციის ან სრული კომპენსაციის საშუალებას. კერძო პირებმა, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი ქონება, მიიღეს ნაწილობრივი კომპენსაცია ვაუჩერების სახით. მათ შეეძლოთ ისინი გამოეყენებინათ პრივატიზაციის პროცესის დროს. პოლიტიკურ პარტიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით დაჰპირდნენ საოფისე ფართებს – ჩვეულებრივ ყოფილი კომუნისტური პარტიის სარგებლობაში არსებულს. ეკლესიებს გადაუხადეს კომპენსაცია სპეციალური კანონის საფუძველზე³⁶⁷, რომლის შესაბამისადაც მათ შეეძლოთ გამოეთხოვათ შენობები, რომელთა ექსპროპრიაცია მოხდა 1948 წლის შემდეგ, ისინი თავიდანვე გამოიყენებოდა სპეციფიკური მიზნებით და აქტის ძალაში შესვლის დროისთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთრებას. ეს სპეციფიკური მიზნები არ გულისხმობდა მათ გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობისთვის, მაგრამ მოიცავდა რელიგიური და არაკომერციული საქმიანობის ფართო სპექტრს, როგორებიც იყო: რელიგიური ცხოვრება, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის ინსტიტუტები და რელიგიური ორდენების სახლები. ასეთი გამოთხოვილი შენობა უნდა გამოეყენებინათ ერთ-ერთი ზემომოყვანილი მიზნით. მკაცრი სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ხელახალ პრივატიზაციას

366 აქტი 31/1894 (ქორწინების კანონის შესახებ).

367 აქტი 32/1991.

კი არ წარმოადგენდა, არამედ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი იმ შენობის უკან გადაცემას ეკლესიისთვის, რომელიც წინათ მის საკუთრებაში იყო. ნაციონალიზაცია არ უქმდებოდა, მაგრამ ხდებოდა ქონების ახალი გადანაწილება. აქტის სახელმძღვანელო პრინციპი იყო ის, რომ ეკლესიებს ესაჭიროებოდა დახმარება, რათა აღედგინა თავიანთი ფუნქციები: ეს იყო კონსტიტუციური აქტი, რომლითაც მოხდებოდა რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფა³⁶⁸. გარდა ამისა, კანონმდებელი ცდილობდა თავიდან აეცილებინა ახალი უსამართლო ქმედებები და გაურკვეველი სამართლებრივი ვითარებები. თითოეული კონფესიისთვის დაარსდა ერთობლივი კომიტეტი, რომელიც შედგებოდა ეკლესიის და მთავრობის წარმომადგენლებისგან. მის კომპეტენციაში შედიოდა წინადადებების მომზადება საკუთრების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. საბოლოო გადაწყვეტილებას ასეთ წინადადებებთან დაკავშირებით იღებდა მთავრობა. კანონის მიერ გათვალისწინებულია კომპენსაციის გადახდა არსებული ქონების მეპატრონისთვის, უმეტესწილად მუნიციპალიტეტისთვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ფინანსური გადასახადის გამო პროცედურა გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, 1997 წელს ამ პროცედურის საბოლოოდ განხორციელების ვადამ თავდაპირველი 10 წლიდან გადაინა 20 წლამდე. წმიდა ტახტთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ, 1997 წლის 20 ივნისს, გამოქვეყნდა ახალი კანონი³⁶⁹, რომელიც ითვალისწინებდა უკან დაუბრუნებელი ქონების ღირებულების გადაყვანას ვირტუალურ თანხად, რომელიც ყოველწლიურად კონკრეტული ოდენობის თანხად გადაეცემოდა შესაბამის ეკლესიას. ამგვარი შეთანხმებები წმიდა ტახტის გარდა, დაიდო ებრაელთა საზოგადოების კომიტეტებთან, ლუთერანულ ეკლესიასთან, რეფორმირებულ ეკლესიასთან, ბაპტისტურ ეკლესიასთან და სერბეთის მართლმადიდებელ ეპარქიასთან. ის პრეტენზია, რომლებიც აქტის მოქმედების არეალში ხვდებოდა, შეიძლება გადაჭრილიყო შემდეგი გზით:

- პირდაპირი შეთანხმებით მესაკუთრესა (მუნიციპალიტეტსა) და ეკლესიას შორის ქონების გადაცემის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში შენობას არა სახელმწიფო, არამედ ეკლესია იყენებდა, როგორც აღმსარებლობის ადგილებს ან საეპარქიო შენობებს; ამ შემთხვევაში გადაცემა უფრო მფლობელობის გადაცემას ეხება, ვიდრე რეალურ ქონებას და აქ არ მოქმედებს ფინანსური კომპენსაციის მექანიზმი.

368 გადაწყვეტილება 4/1993 (ლ. 12.) AB.

369 აქტი 124/1997.

- შენობის გადაცემა მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მისი მფლობელისთვის კომპენსაციით. ასეთ შემთხვევებში ცენტრალური ბიუჯეტი უზრუნველყოფს სახსრების გამოყოფას მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც ტოვებს შენობას მის უკან გადასაცემად ეკლესიისათვის და იღებს კომპენსაციას სახელმწიფო ინსტიტუტის (მაგ., როგორცაა: სკოლა), ახალ ადგილას გადატანისთვის.
- ფინანსური კომპენსაციით მთავრობის მხრიდან შენობის უკან მიღების სანაცვლოდ. ამ შესაძლებლობას იყენებს ეკლესიები, რომელიც დაინტერესებული არაა არსებული შენობის მიღებით და ურჩევნია მოახდინოს ინვესტირება ახალ მშენებლობაში.
- ქონებაზე მოთხოვნის გადაცემით ფონდში, რომელიც გადაიხდის ფიქსირებულ დივიდენდს დროის არალიმიტირებულ პერიოდში.

2. საჯარო საქმიანობის დაფინანსება

ეკლესიებს შეუძლია ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელსაც არ ზღუდავს სახელმწიფო. საჯარო საქმიანობით დაკავებულ ეკლესიებს (სკოლების გაძღოლა ან სოციალური მომსახურება) ეძლევა დახმარება ბიუჯეტიდან, იგი უტოლდება იმ სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მიღებულ დახმარებას, რომლებიც იმავე ფუნქციებს ასორციელებს³⁷⁰. განათლების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ბიუჯეტი ახდენს ეკლესიების კუთვნილი სკოლების სუბსიდირებას, თითოეული მოსწავლის (სტუდენტის) მიხედვით, ზუსტად იმავე ოდენობით, რასაც მუნიციპალიტეტი ხარჯავს განათლებაზე საშუალოდ ეროვნულ დონეზე. ეკლესიის საკუთრებაში არსებული საავადმყოფოს შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს იმავე ანაზღაურებას, როგორსაც სახელმწიფო ზოგადი პროფილის საავადმყოფოებისათვის. საჯარო საქმიანობის თანაბარი დაფინანსების პრინციპი გარანტირებულია კანონით და იგი კიდევ უფრო გაძლიერდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტით, რომელმაც დაადგინა, რომ თანაბარი დაფინანსება გათვალისწინებულია კონსტიტუციის შესაბამისად, როგორც რელიგიური თავისუფლებისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპის³⁷¹ აღიარების შედეგი. შეთანხმებამ წმიდა ტახტთან და სხვა ძირითად ეკლესიებთან მეტი ძალა შესძინა ამ პრინციპს, რომელიც უნგრეთში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის დამახასიათებელი და უდავო მიღწევაა.

370 აქტი 4/1990, ნაწილი 19 (1).

371 გადაწყვეტილება 22/1997 (IV. 25.) AB.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ სოციალურ და ფინანსურ ვითარებაში მხოლოდ ეს პრინციპი უზრუნველყოფს საეკლესიო ინსტიტუტების წარმომადგენლობას სახელმწიფო სამსახურებში. რადგან დაფინანსება გარანტირებულია სხვადასხვა საშუალებით და მიმდინარეობს ავტომატურად, იგი არ ხელყოფს ეკლესიების მფლობელობაში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების ინტერესებს.

3. რელიგიური საქმიანობის დაფინანსება-გადასახადი (1 %)

1998 წლამდე ეკლესიები პირდაპირ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. 1997 წლის საგადასახადო დეკლარაციის მიღების შემდეგ (რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის მარტში) გადასახადის გადამხდელებმა მიიღეს შესაძლებლობა, საშემოსავლო გადასახადის 1% გადაეხადათ ეკლესიისთვის ან საზოგადოებრივი ფონდებისთვის თავიანთი არჩევანის მიხედვით (შემდგომი 1% მათ შეიძლება გადაეხადათ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, თეატრებისთვის, მუზეუმებისთვის და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტებისთვის)³⁷². 2002 წლამდე სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იყო აღნიშნულ რაოდენობაზე 0.5% საშემოსავლო გადასახადის დამატება დეკლარაციების პროპორციის მიხედვით ეკლესიების სასარგებლოდ. 2003 წლიდან ამ თანხას დაემატა საშემოსავლო გადასახადის მთლიანი სახელმწიფო შემოსავლის 0.8% და 2004 წლიდან შეადგინა 0.9%. სისტემა საკმაოდ რთულია (ნაწილობრივ ეს გამოწვეულია მონაცემთა დაცვით), ეკლესიას გადასცემენ ე.წ. ტექნიკურ ნომერს, რომელიც უნდა ჩაინეროს სპეციალურ ფორმაში. იგი თან ერთვის საგადასახადო დეკლარაციას ან ხდება მისი გადაცემა დამქირავებლისთვის, თუკი თანამშრომლის შემოსავალი დამოკიდებულია მხოლოდ ამ დამქირავებელზე, ისე, რომ მომუშავეს არ დასჭირდეს საგადასახადო დეკლარაციის შევსება. ამის შედეგად პირველი წლის განმავლობაში გადასახადების გადამხდელების მხოლოდ 10%-მა (პრაქტიკულად მხოლოდ მათ, ვინც რეგულარულად დადიოდა ეკლესიაში) შეავსო დეკლარაცია. ეს პროცენტი ამჟამად 15-მდე გაიზარდა. სისტემის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ იტალიური მოდელისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელები იხდიან თავიანთი საშემოსავლო გადასახადის მხოლოდ 1%-ს. ამრიგად, მათ, ვისაც გააჩნია უფრო დიდი შემოსავალი და იხდის მეტ საშემოსავლო გადასახადს (პროგრესულ ბაზაზე), მეტი უფლება აქვს ჩაერიოს აღნიშნული თანხის განაწილებაში. შემდგომი ასპექტი ეხება პენსიონერებს (რომლებიც არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, თუკი მათი შემოსავლის წყარო მხოლოდ პენსიაა) და დაბალი შემოსავლის მქონე გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც გამოირიცხებიან არიან ამ სქემიდან. ამის შედეგი კი ისაა, რომ აქტიური მოსახლეობის მხოლოდ მცირე

372 აქტი 129/1996 (პირადი საშემოსავლო გადასახადის გამოყენების თაობაზე გადამხდელის მითითებების შესაბამისად).

ნაწილი და არა მთლიანი სამოქალაქო საზოგადოება იღებს მონაწილეობას ამგვარი სახსრების განაწილებაში. საკონფესიო წილების პროპორციული შემადგენლობა არ იწვევს გაკვირვებას: დეკლარაციების დაახლოებით 65% ეკუთვნის კათოლიკურ ეკლესიას, დაახლოებით 20% – რეფორმირებულ ეკლესიას და 5.7% – ლუთერანულ ეკლესიას. დეკლარაციების წილის შესაბამისად რწმენის ეკლესია (ქარიზმატულ-ევანგელისტური თავყრილობა) გახდა მეოთხე უდიდესი რელიგიური საზოგადოება, რომელსაც მოსდევს ებრაელთა საზოგადოება. ამჟამად მთლიანობაში დაახლოებით 100 რელიგიური საზოგადოება სარგებლობს დაფინანსების ამ სისტემით.

4. დაფინანსების სხვა წყაროები

ეკლესიებს შეუძლია სუბსიდიების მიღება ცენტრალური ბიუჯეტიდან რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ნაგებობების, არქივების, ბიბლიოთეკების და მუზეუმების მოვლა-პატრონობის მიზნით³⁷³. ზოგიერთი მუნიციპალიტეტი აგრეთვე იღებს შეწირულებებს სარეკონსტრუქციო პროექტებისათვის.

ეკლესიებს არ აქვს არანაირი შეზღუდვა შემონირულებების მიღების თვალსაზრისით (შეზღუდული საგადასახადო დაქვითვით). ეკლესიას აგრეთვე უფლება აქვს იმოქმედოს როგორც მენარმემ და მიიღოს გარკვეული სახის შემოსავალი. პრაქტიკაში ეკლესიების ბიზნეს-საქმიანობა უმნიშვნელოა, გარდა ზოგიერთი “ახალი რელიგიური მოძრაობისა”. ეკლესიებს აქვს სხვადასხვა სახის შეღავათი, რომლებიც არაკომერციული ორგანიზაციებისთვის დაწესებული შეღავათების მსგავსია: მაგალითად, ისინი განთავისუფლებულნი არიან ადგილობრივი გადასახადებისგან³⁷⁴ და მოსაკრებლებისგან³⁷⁵.

2002 წლიდან ეკლესიებმა მიიღო სპეციალური შემონირულებები თავიანთი თანამშრომლების ხელფასებისთვის (საეკლესიო მსახურები და სრული დატვირთვით მომუშავე ეკლესიის მიერ დაქირავებული სხვა მუშაკები), რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ ქალაქგარეთ, სადაც 5,000-ზე ნაკლები მცხოვრებია. ასეთი გრანტების გაცემით მთავრობა აღიარებს, რომ ეკლესიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პერიფერიების განვითარების საქმეში. სახელმწიფო სტიპენდიებს იღებს ეკლესია და არა ცალკეული საეკლესიო მსახური, თუმცა ისევე ეკლესიის თანამშრომლების დახმარების მიზნით, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით პროვინციის განვითარებაში.

373 აქტი 124/1997, ნაწილი 7 (1).

374 აქტი 100/1990 (ადგილობრივ გადასახადებზე), ნაწილი 3 (2).

375 აქტი 93/1990 (გადასახადების შესახებ), ნაწილი 5.

გარდა სახელმწიფო სუბსიდიების კომპლექსისა, ადგილობრივ დონეზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიებს ინახავენ მორწმუნეების ნებაყოფლობითი შემონირულებების ხარჯზეც.

IX. სასულიერო დახმარება საჯარო ინსტიტუტებისათვის

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტებში³⁷⁶, ისევე, როგორც სასჯელალსარულების ინსტიტუტებში³⁷⁷ ხდება ინდივიდუალური და კოლექტიური აღმსარებლობის ხელშეწყობა. ძირითადი კონფესიების კაპელანები სასჯელალსარულების ინსტიტუტებში შეიძლება იყვნენ საჯარო მოსამსახურეები, მაგრამ ყველა კონფესიის პასტორისთვის ასეთ ინსტიტუტებში შესვლა თავისუფალია.

იმ კონფესიებისათვის, რომელთაც შეუძლია რელიგიური მომსახურების მინიმალური დონის უზრუნველყოფა არმიაში (კათოლიკური ეკლესია, რეფორმირებული ეკლესია, ლუთერანული ეკლესია, ებრაელთა საზოგადოების გაერთიანება), შეიქმნა სამხედრო საკაპელანო სამსახური³⁷⁸. სხვა რელიგიური საზოგადოებები თავისუფალნი არიან იმოქმედონ სამხედრო ორგანიზაციის შიგნით არმიის წესების და ნორმატივების შესაბამისად. სამხედრო სამსახურის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არმიის კაპელანობა არ ითვლებოდა არაკონსტიტუციურად. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე მიიღო ინტერპრეტირების ზღვარი სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური საზოგადოებების მიმართ სხვადასხვაგვარ მიდგომასთან დაკავშირებით, რომლებსაც ახასიათებს მნიშვნელოვანი განსხვავება პრაქტიკაში. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, კაპელანობა არ იწვევს არაკონსტიტუციურ გართულებას, რადგან იგი ინსტიტუციურად კი არ ხდება სამხედრო სამსახურის ნაწილი, არამედ მუშაობს მის პარალელურად³⁷⁹. არმიის კაპელანებს წარადგენენ თავიანთი ეკლესიები, მათ ნიშნავენ ოფიცრებად, რომელთაც აქვთ სამხედრო წოდება. ისინი უნდა დაემორჩილონ სამხედრო ბრძანებებს, მაგრამ მათი რელიგიური საქმიანობა არ ექვემდებარება არმიის იერარქიას. კაპელანების ინსტიტუტს აფინანსებს სახელმწიფო. წმიდა ტახტთან შეთანხმების შესაბამისად, სამხედრო ორდინარიატი მოქმედებს სამოციქულო

376 აქტი 4/1990, ნაწილი 6; აქტი CLIV/1997 (ჯანმრთელობის დაცვაზე), ნაწილი 11 (6).

377 6/1996 (VII. 12.) IM, ნაწილები 93-99; 13/2000 (VII. 14.) IM.

378 სამთავრობო ბრძანება 61/1994 (IV. 20.) Korm.

379 გადაწყვეტილება ნომერი 970/B/1994, AB, ABH 1995, 739.

კონსტიტუციის შესაბამისად "Spirituali Militum Curae". მომსახურე ინიშნება წმიდა ტახტის მიერ უნგრეთის მთავრობისთვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ სამხედრო საჭიროებების გათვალისწინებით. მთავრობას უფლება აქვს გამოთქვას პრეტენზია 15 დღის განმავლობაში, მაგრამ ეს არანაირად არ ავალდებულებს წმიდა ტახტს. საეკლესიო წარმომადგენელი, ამავე დროს, შეიძლება იყოს ეპარქიის ეპისკოპოსი. სამხედრო საეკლესიო პირებს და კაპელანებს უკავიათ სხვადასხვა პოზიცია, ისეთი, როგორცაა არმიის ოფიცრები და ორდინარიატის მღვდლები. მათი ვალდებულებები მკაცრად არის გამიჯნული. მსგავსი მოთხოვნები ეხება პროტესტანტ პასტორებს არმიაში და აგრეთვე არმიის რაზმებს.

X. სისხლის სამართლის კანონი და რელიგია

სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს "სინდისის თავისუფლების და რელიგიური წესების დარღვევის"³⁸⁰ დებულებას. იგი შევიდა კოდექსში აქტით 4/1990. ამ დებულების შესაბამისად, ვინც:

- ა) ზღუდავს სხვა პიროვნების სინდისის თავისუფლებას ძალის გამოყენებით ან დაშინებით;
- ბ) უკრძალავს სხვა პირს თავისი რელიგიის თავისუფალ გამოვლინებას ძალადობით ან დაშინებით, ჩადის დანაშაულს და ისჯება პატიმრობით ვადით სამ წლამდე.

პიროვნების შეურაცხყოფა მისი ფაქტობრივი ან სავარაუდო წევრობის გამო ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფებში ისჯება ხუთწლიანი პატიმრობით. თუმცა ძნელია დამტკიცება, რომ პიროვნებაზე ზეწოლა განხორციელდა მისი ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის წევრობის გამო.

საეკლესიო მსახურეები სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობენ დაცვით, როგორც "პირები, რომლებიც ასრულებენ საჯარო მოვალეობას", მაგალითად, ადვოკატები, მასწავლებლები, მორიგე ექიმები ან მეხანძრეები³⁸¹.

"აღმსარებლობის უფლების დარღვევა" ისჯება როგორც დანაშაული, ამის შესაბამისად:

380 აქტი 4/1978 (სისხლის სამართლის კოდექსი), ნაწილი 174/A.

381 აქტი 4/1978, 137, 2. j).

“ჯარიმა, რომელიც არ აღემატება ასი ათას უნგრულ ფორინტს, შეიძლება დაეკისროს მას, ვინც ინვესტს საზოგადოებრივ სკანდალს შენობაში, რომელიც გათვალისწინებულია აღიარებული ეკლესიის ცერემონიებისათვის ან შეურაცხყოფს რელიგიური აღმსარებლობის ობიექტს”³⁸².

გარკვეულწილად ეს დებულება იცავს ინსტიტუტს: თავად რელიგიურ საზოგადოებას და არა მხოლოდ ცალკეული წევრების ან საზოგადოების რწმენას და გრძნობებს.

XI. საეკლესიო მსახურების სამართლებრივი სტატუსი

საეკლესიო მსახურების პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით არ არსებობს შეზღუდვა. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, ძირითადი ეკლესიები პრაქტიკაში თავშეკავებას იჩენს.

სამღვდელოება სარგებლობს პრივილეგიით სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით. 2004 წელს გაუქმდა ეროვნული სამხედრო სამსახური, მაგრამ იმ პერიოდამდეც კი სამღვდელოების განვება არ ხდებოდა მშვიდობიან დროს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, სამღვდელოებას შეუძლია გამოიყენოს დებულება, რომელიც ნებას აძლევს, უარი განაცხადოს ფიცის დადებაზე მათ “პროფესიულ” საიდუმლოსთან დაკავშირებით. საკონფესიო საიდუმლოს დაცვა იმგვარადვე წარმოებს, როგორც ექიმების ან ადვოკატების, რომლებზეც ვრცელდება იმ საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, რომელიც მათ შეიძლება გახდონ პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს. ახალი სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსის შესაბამისად, სამღვდელოებას აქვს კვალიფიციური დაცვა იმ განხრით, რომ არ შეიძლება მათი დაკითხვა იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ეხება აღსარების საიდუმლოს³⁸³. ეს ნიშნავს, რომ სასულიერო პირმა კი არ უნდა განაცხადოს უარი ფიცის დადებაზე, არამედ სასამართლომ და პროკურორმა არ უნდა ჩაატაროს ჯვარედინი დაკითხვა.

382 აქტი 69/1999 (დარღვევაზე, ნაწილი 150).

383 აქტი XIX/1998 (სისხლის სამართლის პროცედურებზე), ნაწილი 81 (1) ა)

XII. განსაკუთრებული კითხვები სამოქალაქო საეკლესიო კანონზე და მისი შემდგომი განვითარება

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, როგორც ჩანს, სოციალური კონსენსუსის სტადიაშია. მაგრამ კონსენსუსი არ ნიშნავს, რომ არ ხდება მსჯელობა ცალკეულ საკითხებზე. ბევრის თვალსაზრისით, რელიგიური საზოგადოებების მარტივი რეგისტრაციის პროცედურა და ყველა რეგისტრირებული საზოგადოების ფორმალური თანასწორობა ძლიერი დადებითი ყესტია ახალი რელიგიური მოძრაობებისა და განცალკევებული ჯგუფებისთვის. ზოგიერთი ჯგუფი რეგისტრირებულია, როგორც “ეკლესია” და შეიძლება არ ჰქონდეს გარკვეული მორალური მიზნები. ისინი შეიძლება იყვნენ რეგისტრირებული მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიიღონ გარკვეული შეღავათი. პროცედურები არაა ეფექტიანი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სისტემის ბოროტად გამოყენება ან ბოროტად გამოყენებლების დადანაშაულება. ზოგს მიაჩნია, რომ ეკლესიების ფორმალური თანასწორობა გადაძლია ეტაპობრივმა დე ფაქტო თანამშრომლობამ სახელმწიფოსა და ძირითად ან ისტორიულ ეკლესიებს შორის. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ემხრობა ორსაფეხურიან სისტემას, სხვები მიიჩნევენ ყველა რელიგიური საზოგადოების თანასწორობას რელიგიური თავისუფლების ქვაკუთხედად. ზოგიერთი მხარს უჭერს უფრო საფუძვლიან რელიგიურ განათლებას სახელმწიფო სკოლებში. რელიგიური განათლების არჩევითობის სისტემა არაა დებატების საგანი, მაგრამ განიხილება საკითხი, შეიძლება თუ არა ის იყოს უფრო მეტად ინტეგრირებული სახელმწიფო სკოლის სასწავლო პროგრამებში: თუკი სახელმწიფომ შემოიღო ეთიკის სასწავლო კურსი, მათ, ვინც მონაწილეობს რელიგიური განათლების პროგრამაში სკოლებში, შეიძლება არ მოეთხოვოთ ეთიკის კურსში მონაწილეობა. ამავე დროს, მხედველობაში უნდა მიიღონ მონაცემთა დაცვა, მშობელთა უფლებები და ეკლესიის ავტონომიურობა. ასევე გაისმის მოწოდება, რომ სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება მოძველდა და არის მცდელობა, დაამკვიდრონ საეკლესიო ქორწინების ცნობადობა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის გაცხოველებული კამათის შედეგად სისტემის საფუძველი ახლა უკვე საიმედოდ არის დაფუძნებული. დაფუძნება ეყრდნობა როგორც პიროვნების პატივისცემას, ასევე რელიგიური საზოგადოებრიობების თვითმმართველობის პატივისცემას, სახელმწიფოს პოზიტიურ ნეიტრალიტეტს და მკაცრ ინსტიტუციურ განცალკევებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რომელიც მზად არის თანამშრომლობისთვის.

XIII. ბიბლიოგრაფია

- Ádám, Antal, La liberté religieuse en Hongrie, in *Il diritto ecclesiastico* XI (1995), p. 283-309.
- Boleratzky Lóránd, Neues Gesetz über die Gewissens- und Religionsfreiheit und die Kirchen in Ungarn, in *Zeitschrift für Evangelisches Kirchenrecht* 35 (1990), p. 323-331
- Erdő, Péter, Aktuelle staatskirchenrechtliche Fragen in Ungarn, in *Österreichisches Archiv für Kirchenrecht* 40 (1991), p. 387-397.
- Erdő, Péter, Die gegenwärtige Lage des Staat-Kirche-Verhältnisses in Ungarn – Staatskirchenrechtliche und kanonistische Aspekte, in *Essener Gespräche zum Thema Staat und Kirche* 29 (1995), p. 134-150.
- Erdő, Péter, Libéralisation de la société civile et responsabilité de l'Église catholique en Hongrie, in *Folia Theologica* 7 (1996), p. 5-20.
- Erdő, Péter, Das Verhältnis von Staat und Kirche in Ungarn nach Beendigung der kommunistischen Ära, in *La libertad religiosa. Memoria del IX Congreso Internacional de Derecho Canónico, México 1996*, p. 621-638.
- Erdő, Péter, Accordo tra la Santa Sede e la Repubblica d'Ungheria, in *Anuario de Derecho Eclesiástico del Estado* XIV (1998) 721-728; *Ius Ecclesiae* 10 (1998), p. 652-659.
- Erdő, Péter – Schanda, Balázs, Church and State in Hungary. An Overview of Legal Questions, in *European Journal for Church and State Research* 6 (1999), p. 219-231.
- Schanda, Balázs, Freedom of Religion and Minority Religions in Hungary, in *Social Justice Research* 12/4 (1999), p. 297-313.
- Schanda, Balázs, Church and State in Hungary in 1999. The Funding of the Churches in Hungary, in *European Journal for Church and State Research* 7 (2000), p. 259-278.
- Schanda, Balázs, Church Autonomy and Religious Liberty – National Report on Hungary, in *Robbers, Gerhard (ed.), Church Autonomy. A Comparative Study*, Frankfurt am Main 2001, p. 541-560.
- Schanda, Balázs (ed.), *Legislation on Church-State Relations in Hungary*, Budapest 2002.
- Schanda, Balázs, *Magyar állami egyházjog (Hungarian ecclesiastical law)*, 2nd edition, Budapest 2003.
- Tomka, Miklós, Changes in the Structure of Denominations in East and Central Europe, in *Review of Sociology (Special Issue)* 1996, p. 88-103.

სახელმწიფო და ეკლესია მალტაში

I. სოციალური ფაქტები

2003 წლის 1 ოქტომბერს მალტის კუნძულების მოსახლეობა 398 985 ადამიანს შეადგენდა. იმის გამო, რომ ამ კუნძულთა საერთო ფართობი 316 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობის სიმჭიდროვით იგი პირველ ადგილზეა ევროპაში – 1 263 ადამიანი ერთ კვადრატულ კილომეტრზე. ასაკობრივი პროპორცია 2002 წელს იყო 68 ხანდაზმული ასაკზე, ხოლო სხვაზე დამოკიდებული პირების შეფარდება 46,09 შეადგინა. 2002 წელს შობადობის მონაცემი 9,86 (17,6 – 1970 წელს) იყო, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შეფარდება კი 14,95-ს შეადგენდა. სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი იყო 7,85, სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი კი – 75,78 წელი მამაკაცებისთვის და 80,48 წელი ქალებისთვის. ქორწინების საერთო მაჩვენებელი – 5,80. 2002 წელს რეგისტრირებული 2 240 ქორწინებიდან 575 სამოქალაქო, ხოლო დანარჩენი რელიგიური (ძირითადად კათოლიკური) წესით განხორციელდა. 500 მალტელი დაქორწინდა უცხოელზე, 2002 წელს კი შობადობის მთლიანი მაჩვენებელი იყო 1,46.

ეთნიკური შემადგენლობით მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ხმელთაშუაზღვისპირელი, ძირითადად სამხრეთ ევროპელია. ბრიტანელები უფრო მეტად უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში შერეული ქორწინებების ხარჯზე დამკვიდრდნენ კუნძულზე. მართალია, ფიზიკური მახასიათებლები განსხვავებულია, მაგრამ მოსახლეობა ძალიან ერთგვაროვანია კულტურის და მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. უკანასკნელი აღწერის (1995წ.) შედეგებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად მეორე ენის (ინგლისური) და სხვა ენების (იტალიური, ფრანგული და გერმანული) ცოდნის მაღალი დონისა, თითქმის ყველა მალტელმა იცის მალტური ენა, რომელიც ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სასამართლოებში, ეკლესიებსა და პარლამენტში. ინგლისური მეორე ოფიციალური ენაა და სახელმწიფოს მართვისას გამოიყენება. მალტური რთული ენაა სემიტური საფუძვლით. ლექსიკასა და წინადადებების სტრუქტურაში ჭარბადაა გაბატონებული რომანული ელემენტები. ენაში ბევრია ცოცხალი ინგლისური ტერმინი.

მოსახლეობის აღწერის ანკეტაში ტრადიციულად არ არის კითხვა რელიგიური მრწამსის შესახებ, თუმცა ცნობილია, რომ თითქმის ყველა მალტელი მონათლული კათოლიკეა. საკვირაო მესაზე დასწრების მაჩვენებელი

პროცენტული გამოხატულებით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ზოგიერთ ქალაქებსა და სოფლებში დაბალ 48%-სა და გოზოს მიდამოებში მალალ 79%-ს შორის მერყეობს, საშუალო მონაცემი 61%-ია. მალტაში არის რამდენიმე პროტესტანტული – ანგლიკანური, პრესვიტერიანული და ბაპტისტური მიმდინარეობის ეკლესია მალტის უცხოელი მოსახლეობისათვის. მოქმედებს იელოვას მონუმენტის და უნიფიცირებული ეკლესიის მიმდევრების ცენტრები. მისი წევრები ძირითადად რეპატრიანტი მალტელი ემიგრანტები არიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ავსტრალიიდან. არის მეჩეთიც, სადაც ძირითადად უცხოელი მაჰმადიანები და მათი მალტელი ცოლები დადიან.

ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება კათოლიკური ტრადიციების ნიშნით – საკვირაო მესებითა და მფარველი წმინდანების თაყვანისცემის დღეებით – აღინიშნება. მალტაში კვირების და წლების ათვლა ლიტურგიკული კალენდრით ხდება. მიუხედავად ზემოთქმულისა, ცხოვრების სტილი შუაევროპულსკენ იცვლება, რაც, სტატისტიკის მიხედვით, გულისხმობს შობადობის და ქორწინებების რიცხვის შემცირებას³⁸⁴.

II. ისტორიული წინაპირობა

როჯერ ნორმანელის მიერ 1090 წელს მალტისა და გოზოს არაბთა მმართველობისგან განთავისუფლებამ (reconquista) ხელი შეუწყო ძალიან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას სამოქალაქო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის. გრაფი როჯერი და მისი მემკვიდრე ნორმანელი მეფეები თავიანთ თავს ეკლესიის მესვეურებად და კეთილისმყოფელებად მიიჩნევდნენ, რის გამოც პაპისგან ნაბოძები ჰქონდათ თავიანთ სამფლობელოში ეპისკოპოსის ადგილის დაკავების უფლება. დღესაც კი ძველი დედაქალაქი მდინის მოქმედ ტაძარში მოიხსენიება ნორმანელი განმათავისუფლებლების შემოწირულობები. შუა საუკუნეებში მალტური უნივერსიტა³⁸⁵ მართავდა კუნძულს ეკლესიის მხარდაჭერით და ნორმანელი, ანგლიკანი, შვაბი, არაგონელი თუ ესპანელი მეფეებისა და იმპერატორებისგან მიღებული პრივილეგიებით. ხოლო ეკლესიას

384 წყაროები: “პერიოდული დემოგრაფიული სტატისტიკური მაჩვენებლები”, გამოცემული მალტის სტატისტიკის ეროვნული ოფისის მიერ, 2002 წლის “დემოგრაფიული მიმოხილვა” და “მალტის დემოგრაფია ევროპის 2002 წლის პერსპექტივაში”, ორივე გამოცემულია მალტის ეროვნული სტატისტიკური ოფისის მიერ.

385 სახელისუფლებო ან მუნიციპალური ორგანო, რომელიც ქვეყნის პერმანენტული მმართველი იყო.

უცხო ეროვნების ეპისკოპოსების არყოფნისას მართავდა საკრებულო. მღვდლები არასდროს შეადგენდნენ ამ ორგანიზმის ნაწილს, ისინი ძირითადად დაკავებული იყვნენ დაწყებითი სკოლების ან საავადმყოფოების მართვით უნივერსიტადან და ეკლესიიდან (აგრეთვე დროდადრო ადგილზე არმყოფი ეპისკოპოსის რენტიდან) მიღებული ფინანსური კონტრიბუციის მეშვეობით. როდესაც იმპერატორმა ჩარლზ V-მ გადასცა წმინდა იოანეს ორდენს მალტის ფეოდალური ადგილ-მამული 1530 წელს, ამ კუნძულების სამოქალაქო და რელიგიური საქმეები კიდევ უფრო მჭიდროდ გადაიჯაჭვა. “ჰოსპიტალიელები” იყო რელიგიური ორდენი, რომელიც უშუალოდ პაპს ემორჩილებოდა და ევალეობდა ქვეყნის დაცვა. იგი მალტის de facto ხელისუფლებად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ვალდებული იყო პატივისცემით მოჰკიდებოდა უნივერსიტას – franchigie-ს. აქედან გამომდინარე, ორდენის დიდი მაგისტრი მართავდა და ორდენი ასრულებდა ხელისუფლების ყველა ფუნქციას, გარდა ზოგიერთი სასამართლო ფუნქციისა, რომელიც მდინაში მოქმედმა უნივერსიტას სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოებმა შეინარჩუნა. დიდი მაგისტრის აბსოლუტური ძალაუფლება დროდადრო კომპრომისზე მიდიოდა ეპისკოპოსის და მოგვიანებით რომის ინკვიზიციის წინაშე. ეს ნიშნავს, რომ სამი რელიგიური ხელისუფლება მართავდა ქვეყანას. საუკუნეების განმავლობაში ეკლესია, კოლეგიური საკრებულოები და მონასტრები იღებდა მემკვიდრეობას და რელიგიურ ფონდებს რაინდების, დიდგვაროვნების და მოსახლეობის ყველა რელიგიური ფენიდან, რის შედეგადაც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ორივე კუნძულის უძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიის ხელში გადავიდა.

როდესაც გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელიც ეგვიპტისაკენ მიმავალ საფრანგეთის რესპუბლიკის არმიას ედგა სათავეში, მალტის ნაპირზე გადმოვიდა 1798 წლის ივნისში, სიტუაცია შეიცვალა: წმ. იოანეს ორდენი გაუქმდა და მთელი მისი ქონება (ოცდათვრამეტი ეკლესია და ტაძარი საგანძურის ჩათვლით) სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა. სხვა რელიგიური ორდენები იძულებულნი იყვნენ შეეზღუდათ თავიანთი საქმიანობა თითო მონასტრამდე მალტასა და გოზოში. კარმელიტების ეკლესიის და მდინას მონასტრის წმინდა სამოსელის და ვერცხლეულის საჯარო აუქციონით გაყიდვა, რაც ეკლესიის კიდევ უფრო შევიწროებას ისახავდა მიზნად, მალტის კონტრრევოლუციის მიზეზად იქცა და კუნძულები განთავისუფლდა საფრანგეთის რესპუბლიკის არმიისგან ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების და მოკავშირე პორტუგალიელების დახმარებით.

ბრიტანეთის ხელისუფლებას, რომელიც დახმარებას უწევდა მალტელ ამბოხებულებს, თვითონაც სურდა მალტაში დარჩენა და კუნძულებმა ც სთხოვეს, გაეგრძელებინათ მათი “დაცვა”. ამავე დროს, 1802 წლის უფლებების დეკლარაცია, რომელიც მალტელებმა მიიღეს, ღიად გამოხატავდა პატივისცემას კათოლიკური ეკლესიის სტატუსის მიმართ. ფრანგული გამოცდილება ბრიტანეთის

კოლონიურ პრინციპებთან ერთად ითვალისწინებდა ჩაურევლობას ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური რწმენის საკითხებში და შესაბამისად, კოლონიური მმართველობის მთელი დროის განმავლობაში (არაფორმალურად 1800 წლიდან და ფორმალურად 1814-1964 წლებში) კათოლიკური ეკლესიის სტატუსი ზოგადად გარანტირებული იყო. ეს არ ნიშნავდა, რომ არაფერი არ შეცვლილა. როდესაც დიდი ბრიტანეთის ძალაუფლება ამ კუნძულებზე უფრო განმტკიცდა, გამოვიდა რამდენიმე დეკლარაცია და დეკრეტი, რომელთა ძალითაც ეკლესიამ³⁸⁶ დაკარგა ზოგიერთი პრივილეგია.

386 1822 წლის XXIII დეკლარაციით ძალაში შევიდა მორტმენის კანონი, რომლითაც გაიყინა ეკლესიის და მისი დაქვემდებარებული ორგანოების მიერ უძრავი ქონების ფლობის საკითხი. ეკლესია და მისი ორდენები, საკრებულოები, ფონდები და სხვა ორგანოები ვერ მიიღებდა ახალ საკუთრებას ნებისმიერი საქმიანი გარიგებით *inter vivos* მთავრობის თანხმობის გარეშე, ამასთან ერთი წლის განმავლობაში უნდა გაეყიდათ კონფისკაციის საფრთხის გამო ნებისმიერი უძრავი ქონება, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული *causa mortis*. მორტმენის კანონის ეს პრინციპი, უფრო მოქნილი 1967 წლის ვერსიის მიხედვით, ფაქტობრივად მოქმედებდა მალტაში 1992 წლამდე. ბრიტანეთის კოლონიური მმართველები ხელისუფალ გეიტლენდის მეშვეობით მორტმენის კანონის ამოქმედებას ამართლებდნენ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დაცვით. ეკლესიის ხელში არსებული ქონება, როგორც ამბობდნენ, ფაქტობრივად *extra commercium* იყო. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი. გარდა ამისა, ეკლესიის ეკონომიკური ძალაუფლების შეზღუდვა გათვალისწინებული იყო 1828 წლის V დეკლარაციით, რომელიც ამჟამადაც პირველი თავისი სახით არის წარმოდგენილი მალტის კანონების კრებულში და რომლის თანახმადაც, საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა ყოფილიყო მომავალში საგაღმწესო სასაიათის მქონე სამოქალაქო კანონმდებლობისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს სპეციალური კანონით იყო დადგენილი. იმავე წელს მიღებულმა VI დეკლარაციამ (რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია II თავის სახით) გააუქმა თავშესაფრის მიცემის უფლება. ადრე ამ უფლების ძალით დანაშაულის ან სამოქალაქო ვალის გამო დაპატიმრების საშიშროების ქვეშ მყოფ პირებს შეეძლოთ, თავშესაფარი ეპოვათ ზოგიერთ ეკლესიაში. 1831 წლის კანონი (ამჟამად III თავი) განსაზღვრავდა, რომ კურიის დეპუტაცია, რომელიც წყვეტდა ეკლესიის მმართველობაში არსებული ქორწინებით მიღებული მემკვიდრეობის გადაცემის საკითხებს, უნდა დანიშნულიყო ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ. 1834 წლის კანონი (ამჟამად V თავი) ზღუდავს ქორწინების დაპირების შედეგად გარკვეულ შემთხვევებში ზიანის მიყენების თობაზე საქმის აღძვრას მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოს მიერ. კანონი, რომელიც გამოქვეყნდა 1838 წლის დეკლარაციის VI სახით (ამჟამად VI თავი) ადგენდა, რომ უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების დანიშვნა საეკლესიო თანამდებობებზე და მათთვის შემოსავლები უნდა განესაზღვრათ მხოლოდ ხელისუფლებასთან კონსულტაციით. ამავე დროს, ვაკანტურ ადგილზე მმართველის ან ბენეფიციარის დანიშვნა, როდესაც ეს ტრადიციის გამო უცხო სახელმწიფოს პრეროგატივა იყო, შემდგომში უნდა მომხდარიყო მალტის არქიეპისკოპოსის მიერ და თუ არქიეპისკოპოსი არ დანიშნავდა ამ პირს თხოუთმეტი დღის განმავლობაში, ამას ხელისუფლება გააკეთებდა.

საიდუმლო დოკუმენტების³⁸⁷ აღმოჩენის შედეგად ამჟამად ჩვენთვის ცნობილია, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებას ძალიან აღელვებდა ეპარქიის ეპისკოპოსის მდგომარეობა და მისი mensas მეშვეობით მიღებული შემოსავალი, მაგრამ მათთვის კიდევ უფრო შემამოფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ ორი სიცილიის მეფეს (Kingdom of the Two Sicilies) უფლება ჰქონდა, სამი კანდიდატურა წარედგინა პაპისათვის, როცა ეპისკოპოსის თანამდებობა ვაკანტური იყო. კანდიდატურების წარდგენის ეს უფლება, რომელიც ნორმანელების ეპოქიდან იღებდა სათავეს, შემოიღო პაპმა 1807 წელს ეპისკოპოს ლაბინის გარდაცვალების შემდეგ გაჩენილ ვაკანსიასთან დაკავშირებით. ვატიკანი, რასაკვირველია მოხარული იყო, რომ ეს გადმონაშთი გაუქმდა და როდესაც გარდაიცვალა ეპისკოპოსი მატეი, ის წინააღმდეგობით შეხვდა ბრიტანეთის მთავრობის მცდელობას, ფრანჩესკო სავერიო გარუანა დაენიშნათ შემდეგ ეპისკოპოსად. აკრძალვა საბოლოოდ მოიხსნა, როცა ახალმა პაპმა პიუს IX-მ არჩია დასთანხმებოდა „კონსულტაციას“ ყოველი ახალი დანიშვნის წინ. ეს განხორციელდა გარუანას გარდაცვალების შემდეგ.

ბრიტანეთის სუვერენობის მთელი დროის განმავლობაში როგორც ბრიტანეთის იმპერიული მთავრობა, ასევე ვატიკანი, თავს არიდებდა კონფრონტაციას³⁸⁸.

387 დაცულია ეროვნულ არქივში და ამჟამად მისი გაცნობა და შესწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომია.

388 ამავე დროს, მიღებული იყო გადაწყვეტილება გადაესინჯათ მალტის კანონმდებლობა და ამ მიზნით დანიშნა ძირითადად ბრიტანელი მოსამართლეებისაგან შემდგარი კომისია. ამასთანავე, ძალიან მალე გაირკვა, რომ მალტელი ოურისტები, რომლებიც ამ კომისიაში უმცირესობაში იყვნენ, ფლობდნენ კონტინენტურ ოურიდიულ კულტურას, რომელიც რომაულ სამართალს ეფუძნებოდა და მათი პრაქტიკული საქმიანობა იტალიურ ენასთან იყო დაკავშირებული. მოდერნიზების ერთადერთი ლოგიკური და მისაღები გზა იქნებოდა იმავე კულტურულ გარემოში მუშაობის გაგრძელება საერთო-სამართლის თავს მოხვევის მცდელობის გარეშე. საბოლოო ჯამში, შეიქმნა ახალი კომისია, რომელიც მთლიანად მალტელი მოსამართლეებისაგან შედგებოდა. ამ კომისიამ მიიღო ნაპოლეონის კოდექსი, რომელიც არა მარტო არ ახსენებდა გაყრის ცნებას, არამედ იფულისხმებოდა ქვეტექსტი, რომ კანონიკური სამართალი იყო ერთადერთი სამართალი, რომელიც კათოლიკეებს შორის ქორწინების საკითხებს არეგულირებდა მალტაში. სხვა სახის ქორწინებისთვის არავითარი დებულება არ იყო გათვალისწინებული. ბრიტანელი პროტესტანტები თავდაპირველად ქორწინდებოდნენ მმართველის პირად სამლოცველოში, სასახლეში და მოგვიანებით ახლად აგებულ ანგლიკანურ ტაძარში, ასევე რამდენიმე პროტესტანტულ ეკლესიაში. პრობლემა წარმოიშვა შერეულ ქორწინებებთან და განსაკუთრებით იმ ქორწინებების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომლებიც ყოფილი კათოლიკე მღვდლების მიერ პროტესტანტულ ეკლესიებში ხორციელდებოდა. ამ პრობლემამ გამოიწვია ხანგრძლივი მოლაპარაკებები ვატიკანში კარდინალ რამპოლას, სახელმწიფო მდივანსა და მალტის მმართველ ლინტორნ სიმონს შორის, რომელიც ბრიტანეთის

კოლონიური ხელისუფლება დიდ პატივისცემას გამოხატავდა და პრივილეგიებს ანიჭებდა მალტის ეპისკოპოსს და ვიზიტად მყოფ კარდინალებსა და პრელატებს. მალტისა და გოზოს (როდესაც გოზოს საეპისკოპოსო ცალკე ეპარქია გახდა) ეპისკოპოსები განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ჩვეულებრივ სასამართლოებში.

თვითმმართველობის შემოღებასთან ერთად 1921 წელს, ადგილობრივმა პოლიტიკური ხასიათის გართულებებმა აიძულა ვესტმინსტერის ხელისუფლება და ვატიკანი ისევ ჩარეულიყო მოვლენების მსვლელობაში, თუმცა საკუთარი ნების წინააღმდეგ. 1921 წელს ბრიტანეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ მიღებულ პირველ თვითმმართველობის კონსტიტუციაში არც ერთი მუხლი არ ეხებოდა რელიგიის საკითხებს. მალტის საკანონმდებლო ასამბლეის მიერ მიღებულმა პირველმა აქტმა კათოლიკური რწმენა მალტის რელიგიად გამოაცხადა. გარკვეული დროის განმავლობაში სიმშვიდემ დაისადგურა. თუმცა 1928-1932 წლებში ლორდ სტრიკლენდის მთავრობა, რომელიც კონსტიტუციურ³⁸⁹ და ლეიბორისტულ პარტიებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, დაუპირისპირდა მალტის და გოზოს კათოლიკურ ეპარქიებს საეკლესიო წესებთან დაკავშირებულ საკითხებში³⁹⁰.

ხელისუფლებას წარმოადგენდა. საკანონმდებლო გადაწყვეტილების პოვნა არ მოხერხდა, მაგრამ ორივე მხარე გრძობდა, რომ მათ შეეძლო მალტის სასამართლოს ყოველი თავმჯდომარის, სერ ადრიან დინგლის, წერილობით რჩევაზე დაყრდნობა, რომ *inveterata consuetude*-ს მიხედვით. ყველა ქორწინება, რომელიც ეკლესიაში ან ღვთისმსახურების ადგილზე ხორციელდებოდა სხვადასხვა რელიგიის წესების თანახმად, კანონიერად უნდა ჩათვლილიყო. კანონიერების საკითხებში მხარეები პასუხისმგებელნი იყვნენ თავიანთი რწმენის კანონიკური სამართლის შესაბამისად. ასეთი იყო კანონის ძირითადი დებულება ნაპოლეონის ჩამოსვლამდე. ოუდეველთა და მაჰმადიანთა ქორწინებები ყოველთვის კანონიერად ითვლებოდა მალტაში უხსოვარი დროიდან. “შერეული” ქორწინებების საკითხი, თუ ქორწინება არ იყო ჩატარებული ტრენტის საბჭოს დეკრეტის მიხედვით და ერთი მხარე იყო კათოლიკე, 1974 წლამდე არ იყო კანონმდებლობით დადგენილი.

389 უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პრობრიტანული პარტია იყო.

390 მალტელი ბერი, რომელიც ვალეტის საკონსტიტუციო კლუბის მხარდამჭერი იყო, იტალიელმა არქივისკოპოსმა გადაიყვანა იტალიურ მონასტერში. ხელისუფლება ჩაერია მალტელი ბერის პასპორტის გამოთხოვნით და იტალიელი არქივისკოპოსი, მამა კარტა, *persona non grata*-დ გამოაცხადა. სიტუაცია გამწვავდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა პასტორალი, რომელიც უბრძანებდა მორწმუნეებს, ეკლესიის სასჯელის შიშით არ მიეცათ ხმა ლორდი სტრიკლენდის და მისი მხარდამჭერებისთვის. 1930 წლის არჩევნები შეჩერდა უშუალოდ კენჭისყრის მიმდინარეობის დროს და ასევე ნაწილობრივ – კონსტიტუცია. მის აღდგენამდე ვატიკანმა მალტაში გააგზავნა ცნობილი მღვდელთმსახური, მონსენიორ რობინსონი, რომელიც გამოვიდა ლორდ სტრიკლენდის წინააღმდეგ და ფაქტობრივად ის აიძულა, უკან დაეხია 1932 წლის არჩევნებამდე, რომელშიც ლორდი დამარცხდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ კი, 1947 წელს აღდგა თვითმმართველობა. 1955 წლამდე სახელმწიფოს და ეკლესიას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა პირველი ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრის და მოგვიანებით ნაციონალისტებისა და კოალიციური ხელისუფლების დროს. რამდენიმე კრიზისული სიტუაცია შეიქმნა, როცა მეორე ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრი, დომ მინტოფი, მოიქცა გარკვეულწილად თვითნებურად ინტერესთა კონფლიქტის დროს, 1958³⁹¹ წელს, საეკლესიო იერარქიასთან არქიეპისკოპოს გონზის პერიოდში და 1962-1967³⁹² წლებში. მინტოფს ეჭვი გაუჩნდა შეთქმულებაზე ბრიტანეთის ხელისუფლებას, ადგილობრივ ხელისუფლებაში მყოფ ნაციონალისტურ პარტიასა და ეკლესიას (რომელსაც გონზი ედგა სათავეში) შორის იმ მოლაპარაკებების დროს, რომლებიც 1964 წლის დამოუკიდებლობის კონსტიტუციას შეეხებოდა. დომ მინტოფი მოითხოვდა კონსტიტუციაში ექვსი პუნქტის შეტანას, რომლებიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს და ეკლესიის უფრო მკვეთრ გამიჯვნას. კამათი შეწყდა 1967 წელს, დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, მაგრამ იმ ექვსი პუნქტის საკითხი ლეიბორისტული პარტიის და ეკლესიის ურთერთობას ხელს უშლიდა რამდენიმე წლის განმავლობაში, 1974 წელს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანამდე და უფრო გვიანაც.

მინტოფი ხელახლა აირჩიეს პრემიერ-მინისტრად 1971 წელს, მან საფუძველი ჩაუყარა კურსს, რომელიც მალტის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე კათოლიკური ეკლესიის, მისი აზრით, შეუსაბამო გავლენას შეასუსტებდა. 1974 წელს, სანამ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ნაციონალისტური პარტიის ოპოზიციურ ძალებთან 1964 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ლეიბორისტულმა ხელისუფლებამ გამოიყენა შანსი და სცადა ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება უშუალოდ ვატიკანთან. რაც შეეხება პირდაპირ პოლიტიკურ გავლენას, ლეიბორისტული პარტია დაჟინებით მოითხოვდა „კორუფციული პრაქტიკის“ უფრო ნათელ განმარტებას ეკლესიის

სტრიკლენდი ყველანაირად ხელს უშლიდა გონზის არქიეპისკოპოს მონსენიორ გონზის (რადგან ეჭვობდა, რომ აღნიშნული პასტორალი მისი ინიციატივით გამოქვეყნდა), როდესაც ამ უკანასკნელის კანდიდატურა განიხილებოდა მალტის არქიეპისკოპოსის, მონსენიორ გარუანას, შემცვლელად. გონზი მალტის ეპისკოპოსი გახდა მხოლოდ 1943 წელს, როცა სტრიკლენდი სამი წლის გარდაცვლილი იყო.

391 კარავაჯოს შედგერის, რომელზეც წმინდანის თავის მოკვეთა იყო გამოსახული, წმინდა იოანეს ტაძარში დაბრუნების საკითხში, ასევე გონზის მტკიცე პრობორიტანული პოზიცია კონსტიტუციის შეჩერების ფაქტთან დაკავშირებით.

392 ოპოზიციის იმდროინდელი ლიდერის მინტოფის მკვეთრად ექსტრემისტული, მემარცხენე შეხედულებების და საერო პოლიტიკის და ნაციონალისტური პარტიისკენ გონზის სავარაუდო გადახრასთან დაკავშირებით.

მიერ მორალური სანქციების არჩევის დროს. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანხმად, სინდისის თავისუფლება გულისხმობდა, რომ რელიგიურ რწმენას არ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა სახელისუფლებო თანამდებობის დაკავების და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისთვის. ყველა ნაგულისხმები ან რეალური³⁹³ პრივილეგია, რომლებიც ჰქონდათ ეპისოპოსებს, იკრძალებოდა.

გარდა ამისა, 1971-76, 1976-81, 1981-87 წლების ლეიბორისტულმა ხელისუფლებამ რამდენიმე ღონისძიება გაატარა კათოლიკური ეკლესიის გავლენის შესამცირებლად. უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი, რომელიც 1592 წელს მისი დაარსებიდან უმნიშვნელოვანესი ფაკულტეტი იყო, გაუქმდა და ეკლესია იძულებული გახდა, უნივერსიტეტის გარეთ ხელახლა დაეარსებინა ის. კათოლიკური სკოლები, რომლებშიც მალტელი მოსწავლეების მესამედი სწავლობდა, დაასუსტა „უფასო“ სწავლების შემოღებამ. უფასო სწავლება აუცილებელი იყო სკოლის შესანარჩუნებლად და ეკლესია ვალდებული იყო, დაეფინანსებინა სკოლები ეკლესიის ქონებიდან მიღებული შემოსავლით, დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების გარეშე. ეს კი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სკოლები ძალისმიერი მეთოდებით დახურეს და სკოლების კარებთან პოლიციელები დააყენეს. საეკლესიო სკოლებს დამხმარედ მოევიწინა სახელმწიფო სკოლების მასწავლებლების გაფიცვა, რაც პარადოქსული იქნებოდა ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, გარდა კათოლიკური მალტისა. გარდა ამისა, ლეიბორისტული ხელისუფლება ცდილობდა ჩამოერთმია ეკლესიისა და მისი დაქვემდებარებული ერთეულებისთვის მთელი უძრავი ქონება, თუ ეკლესიას არ ექნებოდა ამ ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. გასაგებია, რომ მალტის სასამართლოებმა ეს კანონი (ე.წ. „გადაცემის აქტი“) არაკონსტიტუციურად ჩათვალა, რადგან ის ეხებოდა იმ საკუთრებას, რომელიც ეკლესიის ხელში ზოგიერთ შემთხვევაში ცხრაას წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო. ამ ქონების ნაწილი სავარაუდოდ ეკლესიას გადასცა შემოწირულების სახით 1090 წელს გრაფმა როჯერ ნორმანელმა. საეკლესიო საავადმყოფოები იძულებულნი იყვნენ, რომ დახურულიყვნენ, რადგან ხელისუფლებამ მათი ლიცენზიების განახლების პირობად წამოაყენა საწოლების ნახევრის უფასოდ უზრუნველყოფა სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი დამატებითი დოტაციის გარეშე. 1974 წლის ქორწინების კანონმა ძალიან დაძაბა ურთიერთობა. კანონიკურ სამართალს აღარ უნდა ჰქონოდა უპირატესი ძალა სამოქალაქო სამართალზე და კათოლიკური ქორწინების Roman Rota-ს – ყველა დეკლარაციის ცნობა აღარ იყო აუცილებელი. უცხოური წყაროებიდან გადმოტანილი დებულებები

393 როგორც იყო იმუნიტეტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან სახელმწიფო სასამართლოებში.

გაყრის თაობაზე კი, პირიქით, აღიარა მალტის სამოქალაქო სასამართლოებმა. ქორწინების გაუქმების დეკლარაციის პირობები კანონიერი სამართლისას არ შეესაბამებოდა. ეს ნაწილობრივ გამოსწორდა 1981 წელს. ტრიდენტინული წესის მიხედვით ჩატარებული ქორწინება არ უნდა ჩათვლილიყო კანონიერად, თუ მას არ ახლდა ეკლესიაში ხელისუფლების პასუხისმგებელი პირის მიერ ქორწინების რეგისტრაცია. ამგვარად, არა მარტო განისაზღვრა სამოქალაქო ქორწინების ფორმა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული პარლამენტის მიერ, არამედ ყველა ქორწინება გახდა „სამოქალაქო“.

სკოლების და დელეგირების კანონის საკითხებთან დაკავშირებული კრიზისი განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ლეიბორისტების მომხრეთა დემონსტრაცია სასამართლოებსა და კურიას მიანყდა სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად, რომელიც დელეგირების კანონს არაკონსტიტუციურად აცხადებდა. ამის შემდგომ ვატიკანიდან წამოვიდა მოლაპარაკებების ინიციატივა, რომლის მიზანიც იყო წამოჭრილი პრობლემების გარკვეული ფორმით გადაწყვეტა. საეკლესიო სკოლები უნდა გამხდარიყო უფასო, ეკლესიის კეთილი ნების გამოხატულება, მაგრამ ხელისუფლება დასთანხმდა ნაწილობრივ დოტაციას. საეკლესიო სკოლების და მოსწავლეების რაოდენობა არ უნდა შეცვლილიყო. ხელისუფლებამ გააუქმა დელეგირების კანონი. საეკლესიო საავადმყოფოები აღარ გახსნილა, თუმცა ზოგიერთმა რელიგიურმა ორდენმა გადააკეთა ისინი მოხუცებულთა თავმესაფრებად.

ვატიკანმა გააგზავნა კარდინალ კასაროლის წრის წარმომადგენელი, დიპლომატი ლუიჯი სელატა, პაპის ნუნციის რანგში და მოლაპარაკებების გზით გარკვეულ კომპრომისულ გადაწყვეტილებებს მიაღწია. მათ შორის იყო სახელმწიფო დოტაციების თანდათანობითი შემოღება. 1987 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა მნიშვნელოვად გაუმჯობესდა და contentieux სისტემატურად და რადიკალურად განიხილებოდა. აქედან გამომდინარე, შეთანხმდნენ, რომ ეკლესიის მფლობელობაში არსებული ყველანაირი უძრავი ქონება, რომელიც არ იყო საჭირო პასტორული, საგანმანათლებლო ან სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, გადაეცემოდა სახელმწიფოს სამართლიან „სოციალურ“ ფასად. ის ქონება, რომელსაც ენებოდა გადაცემის კანონი, გადასცეს და სასამართლოს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომლითაც ეს კანონი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, გამოიტანეს. 1822 წლით დათარიღებული მორტმენის კანონი 1967 წლის ცვლილებებითურთ გაუქმდა და ასე მოიხსნა ყველა დაბრკოლება ქონების შექენაზე, რაც დისკრიმინაციულად ჩაითვლებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კონტექსტში. ნაციონალისტურმა მთავრობამ 1987 წელს ხელისუფლებაში დაბრუნებისთანავე უზრუნველყო

კონვენციის ამოქმედება. ცალკე შეთანხმებები დაიდო იმ დოტაციების თაობაზე, რომლებიც სახელმწიფოს უნდა მიეცა რელიგიური სკოლებისთვის მათ მიერ უფასო სწავლების გასაგრძელებლად, ასევე კათოლიკური რელიგიური საფუძვლების სწავლების თაობაზე სახელმწიფო სკოლებში. თეოლოგიური ფაკულტეტი დაბრუნდა უნივერსიტეტში. ეპისკოპოსის ხელისუფლებასთან კონსულტაციით შეთანხმებას მიაღწიეს აგრეთვე საეკლესიო „ანიმატორების“, როგორც სახელმწიფო სკოლების სულიერი დირექტორების, დანიშვნის თაობაზე³⁹⁴. 1974 წლის ქორწინების კანონში 1980 წელს ცვლილებების შეტანის შემდეგ ამ კანონთან დაკავშირებული სიძნელებები აღმოიფხვრა.

III. საკანონმდებლო სიტუაცია ამჟამად

1. კონსტიტუცია

I. კონსტიტუციის მე-2 მუხლი შეეხება რელიგიას და დასაბუთებულია ასეც – “რელიგია”. ის შემდეგი შინაარსისაა:

- (1) მალტის რელიგია არის რომანულ-კათოლიკური სამოციქულო რელიგია.
- (2) რომანულ-კათოლიკური ეკლესიის ხელისუფალთა მოვალეობა და უფლებაა ასწავლოს, რომელი პრინციპებია სწორი, რომელი – არასწორი.
- (3) რომანულ-კათოლიკური სამოციქულო რწმენის რელიგიური სწავლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფო სკოლებში, როგორც სავალდებულო სწავლების ნაწილი.

ეს არ არის 1964 წლის კონსტიტუციის თავდაპირველი ტექსტი. იგი 1977 წელს ვატიკანში შეთანხმებული რედაქციაა, რასთან დაკავშირებითაც პარლამენტში ნაციონალისტურმა ოპოზიციამ თანხმობა განაცხადა, თუმცა აკრიტიკებდა ტექსტის ნაწილს, როგორც ბუნდოვანს და არაზუსტს, კერძოდ, მეორე პუნქტს. ცვლილება ძალაში შევიდა 1974 წლის VIII აქტით.

394 ამ კონტრიბუციის ავტორი იყო იმ დროს განათლების მინისტრი, რომელიც დელეგირებულ იქნა ნაციონალისტური ხელისუფლების მიერ მოლაპარაკებების საწარმოებლად და ამ ხელშეკრულების და შეთანხმებების დასაადგინად.

განმარტების თანახმად, ქვეპუნქტი (1) უნდა ჩათვლილიყო არა დირექტივების მიმცემად, არამედ მხოლოდ თვალსაჩინოებად. ფაქტობრივად ქვეპუნქტები (1) და (3) არ არის გამყარებული 66-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებების შეტანის განსაკუთრებულ პირობებს, მაშინ, როცა იგი ამყარებს ქვეპუნქტს (2), რომელიც აღიარებს ეკლესიის უფლებას სწავლებაზე. კამათს იწვევდა ის, რომ სწავლების უფლება აღიარებული უნდა ყოფილიყო იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ეკლესია აღარ იქნებოდა უმრავლესობის ეკლესია.

მიუხედავად ზოგიერთი წინააღმდეგობისა, მე-2 მუხლი მნიშვნელოვანია იმ გარემოების გამო, რომ უზრუნველყოფს პარლამენტის, სასამართლოს, სახელმწიფო სკოლებისა და საავადმყოფოების შენობებში ჯვარცმის განთავსების პრაქტიკის სამართლებრივ საფუძველს. ლოცვა, რომელსაც წარმოთქვამს პარლამენტის მდივანი თითოეული საპარლამენტო სხდომის წინ, კათოლიკური ლოცვაა და პარლამენტის თითოეული სესია იწყება მესით სულიწმიდის სახელზე წმ. იოანეს ტაძარში, რომელიც სულ ცოტა სახელმწიფოს თანამფლობელობაში ითვლება. თანამდებობის პირების მიერ ფიცის დადების ფორმა ჩვეულებრივ კათოლიკურია, თუმცა კანონმდებლობა უზრუნველყოფს ფორმალურ დამტკიცებას, რაიმე რელიგიური ქვეტექსტის მიუხედავად. ამ დებულების თანახმად, სახელმწიფო ანაზღაურებას უხდის საავადმყოფოების, სკოლების, ციხეების, პოლიციის და შეიარაღებული ძალების კაპულანებს.

(3) პუნქტის მონახაზი განისაზღვრა მაშინ, როდესაც კონსტიტუცია აღნიშნავდა და მე-10 მუხლში ამჟამადაც მიუთითებს, რომ დაწყებითი განათლება უნდა იყოს თავისუფალი და სავალდებულო. 1974 წლიდან სავალდებულო სწავლის ასაკი თექვსმეტ წლამდე იყო გაგრძელებული და შესაბამისად, კათოლიკური რწმენის რელიგიური სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო დაწყებით და საშუალო სკოლაში. ეს არ ნიშნავს, რომ სტუდენტებისთვის სავალდებულოა ამგვარი განათლების მიღება, თუმცა სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს და დააფინანსოს იგი.

II. 32-ე მუხლი, რომელიც 1964 წლის თავდაპირველი დებულებაა, ეხება პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და პირველია იმ მუხლების სერიიდან, რომლებიც IV თავშია გაერთიანებული ერთი და იმავე აღწერით. ტექსტი შემდეგი შინაარსისა:

“მალტაში ნებისმიერ პირს აქვს ფუნდამენტური უფლებები და ინდივიდუალური თავისუფლებები, რაც ნიშნავს რასის, წარმომავლობის ადგილის, პოლიტიკური შეხედულებების, კანის ფერის, რელიგიური კუთვნილების და სქესის მიუხედავად,

ასევე სხვების უფლებების და თავისუფლებების შელახვის გარეშე და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა უფლებას:

- (ა) პიროვნების სიცოცხლის, თავისუფლების, უსაფრთხოების, საკუთრების ფლობის და კანონის დაცვის ქვეშ ყოფნის უფლებას;
- (ბ) სინდისის, აზრის გამოხატვის, მშვიდობიანი მსვლელობების და გაერთიანებების თავისუფლების უფლებას;
- (გ) პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ამ თავის მომდევნო დებულებები ძალაში უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნისთვის იმ შემთხვევაში, რომ ერთი ინდივიდის მიერ ამ უფლებების და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები ან საზოგადოებრივი ინტერესები”.

მალტას სხვადასხვა რასის და რელიგიური კუთვნილების ადამიანების მასპინძლობის დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ბრიტანეთის კოლონიური მმართველობის დროს ხშირი იყო სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს მიკუთვნიებული პროტესტანტების მიერ მაღალი თანამდებობების დაკავება სახელმწიფოში. კუნძულებზე საუკუნეების განმავლობაში იყო მცირე ებრაული მოსახლეობა და მუსლიმანი ვაჭრების და მენარმეების გარკვეული რაოდენობა. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ხელისუფლების დაფინანსებით არაკათოლიკეთათვის მოაწყვეს რამდენიმე სასაფლაო, რომანულ-კათოლიკური სასაფლაოს გაკეთების პარალელურად. დისკრიმინაციაზე უარის თქმის პრინციპი დაცული იყო თვითმმართველობის დროს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და დღესაც ასე გრძელდება.

იმავე თავის მე-40 მუხლი უზრუნველყოფს სინდისის და ღვთისმსახურების თავისუფლებას შემდეგი პირობების თანახმად:

- (1) ნებისმიერ პირს მალტაში მინიჭებული აქვს სინდისის და რელიგიური ღვთისმსახურების სრული თავისუფლება მისი რწმენის შესაბამისი ფორმით;
- (2) დაუშვებელია ინდივიდს მოსთხოვონ რელიგიური განათლების მიღება ან რელიგიის ცოდნის და ჩვევების გამოვლენა, თუ იმ ინდივიდის შემთხვევაში, რომელიც ჯერ არ არის თექვსმეტი წლის, ამ მოთხოვნის შესრულების წინააღმდეგია ის პირი, ვინც კანონმდებლობის მიხედვით პასუხს აგებს

არასრულწლოვანზე და ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, თუ პირი, ვისაც უყენებენ ამგვარ მოთხოვნას, ამის წინააღმდეგია.

ამავე დროს, ეს მოთხოვნა არ უნდა ჩაითვალოს ამ ნაწილთან წინააღმდეგობაში და არ არღვევს ამგვარი მოთხოვნის წაყენების უფლებას იმ შემთხვევაში, როცა რელიგიის ცოდნა ან რელიგიური ჩვევების გამოვლენა საჭიროა ამ რელიგიის სწავლების, სასულიერო პირის ადგილის დაკავების, რელიგიური ორდენის წევრად გახდომისათვის ან სხვა რელიგიური მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი მოთხოვნა არ არის გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში.

- (3) ნებისმიერი სხვა კანონის არც ერთი დებულება ან, ამ კანონის თანახმად, განხორციელებული ქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არ უნდა არღვევდეს ქვეპუნქტს (1), გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასახელებული კანონის ეს დებულება საჭიროა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი მორალის ან წესიერების, ადამიანის ჯანმრთელობის, სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ დებულების განხორციელება ან ჩაღვნილი ქმედება არ არის გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ეს არ იყო 1964 წლის კონსტიტუციის თავდაპირველი ტექსტი. ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს დებულებები გამართული ფრაზების სახით არის წარმოდგენილი. ეს ალბათ არა მარტო მალტის ხელისუფლებასა და ვატიკანის პოზიციას შორის კომპრომისის მიღწევის, არამედ აზრის ცუდად ჩამოყალიბების შედეგაც იყო.

მიუხედავად ამისა, ეს ფრაზები უდაბლეს ტექნიკურ დონეზე მანაც აკმაყოფილებდა კომპრომისის მოთხოვნას იმ მომენტისათვის მას არავითარი სირთულე არ შეუქმნია ინტერპრეტაციის თვალსაზრისით იმ დროიდან მოყოლებული, იქიდან გამომდინარე, რომ ამ უხვსიტყვიანი ფორმულირების მიუხედავად, დებულებები საკმაოდ გასაგები იყო. იმავე თავის 45-ე მუხლი განსაზღვრავს ზარალის ანაზღაურების და მდგომარეობის გამოსწორების ზომებს სხვადასხვა საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევებში. განმარტებისთვის გთავაზობთ შემდეგ პუნქტს:

კანონი ადგენს, რომ რომანულ-კათოლიკური რელიგია უნდა ასწავლოს იმ პირმა, ვინც აღიარებს, რომ რელიგია არ უნდა გამოიყენონ ისე, რომ ეწინააღმდეგებოდეს ან არღვევდეს ამ ნაწილის დებულებებს.

2. განათლების აქტი

(1988 წლის XXIV აქტი, მალტის კანონმდებლობის 327-ე თავი)

ამ აქტის მიღება დაიგეგმა მაშინ, როდესაც ყველას ნათლად ახსოვდა ეკლესიასა და ლეიბორისტულ ხელისუფლებას შორის არსებული პრობლემები მეოცე საუკუნის 70–80-იან წლებში. მე-3 მუხლი უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის განათლების უფლებას, ხოლო შემდეგი მუხლები აღიარებს მშრომელების (მუხლი მე-5 და მე-6), სახელმწიფოს (მუხლი მე-4 და მე-7) და დაწესებულებების (მუხლი მე-8) უფლებებს და ვალდებულებებს, რომელთა შორის რომანულ-კათოლიკური ეკლესია საზღვარგარეთ მოხსენიებულია. ამ მუხლის (2) პუნქტი განსაზღვრავს, რომ თუ ეკლესია [ნახსენებია ცალკე, მაგრამ იგულისხმება ერთობლიობაში სხვა მორალის დამცავ დაწესებულებებთან, რომლებსაც მოგება არ აქვთ მიზნად] აკეთებს განაცხადს ლიცენზიის მიღებაზე, რათა გახსნას სკოლა [იმ პირობით, რომ ეს განაცხადება ხელმწიფოლია მოქმედი ეპისკოპოსის მიერ], განათლების მინისტრი [იმ პირობით, რომ შემოთავაზებული სკოლა აკმაყოფილებს მინიმალურ პირობებს], უარს ვერ იტყვის ლიცენზიის გაცემაზე. ფაქტობრივად აქტი აღიარებს ყველა მოქალაქის და მათი მშობლების ან მეურვეების უფლებას, არასრულწლოვანისთვის აირჩიოს სასკოლო დაწესებულება. იგი აგრეთვე ავალდებულებს სახელმწიფოს, გამოყოფს სკოლებისთვის შესაფერისი ნაგებობები სხვადასხვა კულტურისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს საჭირო არჩევანი.

ფუნქციონირებს სასკოლო სასამართლო, მას შეიძლება მიმართოს იმ სასწავლო დაწესებულებამ, რომელიც თავის უფლებებს დარღვეულად ჩათვლის მინისტრის უარის შემთხვევაში ლიცენზიის გაცემაზე, იმ მოტივით, რომ მინიმალური მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული.

3. სისხლის სამართლის კოდექსი

(მალტის კანონმდებლობის მე-9 თავი)

სისხლის სამართლის კოდექსის IV ნაწილის 163-165-ე მუხლები ადგენს სანქციებს იმ დანაშაულისათვის, რომლებიც ლახავს პირის ან პირთა ჯგუფის რელიგიურ გრძობებს. 163-ე და 164-ე მუხლი განიხილავს რომის კათოლიკური ეკლესიის (163-ე მუხლი) ან ნებისმიერი სხვა რელიგიის [გამოყენებულია ფრაზა “სახელმწიფოს მიერ ნებადართული კულტი”, რაც ძველი დროის გადმონაშთად უნდა ჩავთვალოთ] (164-ე მუხლი) საჯარო “ძაგებას” სიტყვიერ, ფესტიკულაციით, წერილობითი, ნაბეჭდი ან ხელნაწერი ფორმით, სურათებით თუ სხვა ვიზუალური ხერხებით. არსებობს განსხვავება დასჯის ფორმებს შორის, რაც გამართლებული

იყო იმ გარემოებით, რომ კათოლიკური ეკლესიის საჯარო შეურაცხყოფას შეეძლო და ინვევდა კიდევაც სამოქალაქო არეულობას. მართალია, იშვიათად, მაგრამ ასეთი შემთხვევები ხდებოდა.

165-ე მუხლი ითვალისწინებს “რომაულ-კათოლიკური სამოციქულო ან ნებისმიერი სხვა ეკლესიის მიერ ნებისმიერი ფუნქციის, ცერემონიის ან რელიგიური მსახურების ხელის შემშლელი ან შემაფერხებელი ქმედებისათვის” პატიმრობას არა უმეტეს ერთი წლის ვადისა. ამ პატიმრობის ვადა გაიზრდება, თუ ამ აქტს თან ახლდა მუქარა ან ძალადობა ინდივიდის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში პატიმრობის ვადა ორ წლამდე იზრდება. 165-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე სახის დისკრიმინაციას რელიგიებს შორის.

4. საფინანსო სამართალი

ეკლესია არ არის განთავისუფლებული საშემოსავლო, დამატებითი ღირებულების, საბაჟო და სხვა ნებისმიერი გადასახადისაგან. შეღავათებს საგადასახადო კუთხით ეკლესია და მისი დაქვემდებარებული დაწესებულებები იღებს იმავე ფორმით, როგორც სხვა ფილანთროპიული და საქველმოქმედო ორგანიზაციები. მაგალითად, მათ კუთვნილ ზოგიერთი სახის საქონელზე, როგორცაა: საგანმანათლებლო ან განათლების პროცესთან დაკავშირებული ნივთები, არ არის გათვალისწინებული არავითარი გადასახადი.

არის შემთხვევები, როდესაც ფინანსთა მინისტრს თავისი სურვილისამებრ შეუძლია ცნოს რომელიმე დაწესებულება ან ინიციატივა ფილანთროპიული ან საქველმოქმედო ხასიათის მქონედ და უმრავლეს შემთხვევაში საეკლესიო დაწესებულებები და ინიციატივები სწორედ ასეთადაა ცნობილი.

მაღლაში არ არსებობს რაიმე საშუალება, რითაც მოქალაქე შეძლებს თავისი გადასახადების ნაწილი გადასცეს ეკლესიას. ეკლესია ძირითადად ფინანსდება სახელისუფლებო ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, რომელსაც თავისი ყოფილი უძრავი ქონებისათვის ანაზღაურების სახით იღებს, ასევე მორწმუნეთა კონტრიბუციების და სხვა ფინანსური საშუალებების და მემკვიდრეობის მეშვეობით.

5. ქორწინების აქტი.

(1975 წლის XXXVII აქტი, მასში შეტანილი ცვლილებებით, მალტის კანონმდებლობის 255-ე თავი).

1975 წლის ქორწინების აქტის მიზანი, პირველ ყოვლისა, სამოქალაქო ქორწინების ფორმის განსაზღვრა იყო, რადგან ამ თარიღამდე კანონიერად ითვლებოდა მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც რელიგიური ცერემონიის მიხედვით იყო ჩატარებული და ქორწინება მალტელ რომანელ კათოლიკეებს შორის. ისეთი ქორწინება, რომელიც ერთი მხარე იყო მალტელი რომანელი კათოლიკე, ჩაითვლებოდა კანონიერად, თუ ის შეესაბამებოდა კანონიკურ სამართალს და ტრენტის საბჭოს მიერ შემოღებულ ნორმებს. 1975 წლამდე კანონიკური სამართალი ითვლებოდა jus commune-ს ნაწილად, რომელიც მალტაში უხსოვარი დროიდან მოქმედებდა ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით მუნიციპალური კანონმდებლობის უქონლობისას. არსებობდა ვარაუდი, რომ ყველა მალტელი კათოლიკე იყო და კათოლიკესთვის არ შეიძლებოდა სხვა სახის ქორწინება, გარდა სანესჩვეულებო ქორწინებისა. 1975 წლის აქტი (35-ე მუხლი) სპეციალურად განსაზღვრავდა, რომ კანონიკური სამართალი აღარ იქნებოდა მალტის სამართალის ნაწილი.

ამ აქტმა თავისი თავდაპირველი ფორმით მთლიანად შეცვლა ქორწინების საკითხი მალტის კანონმდებლობაში. მისი ძალაში შესვლის შემდეგ ყველა ქორწინება რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო ერთნაირად და ექვემდებარებოდა ერთნაირი პროცედურების შესრულებას საჯარო რეესტრში. თუ მხარეები აირჩევდნენ ეკლესიაში დაქორწინებას და უმრავლესობა ასეც აკეთებდა, მათ უნდა გადაეხადათ ანაზღაურება თანამდებობის პირისათვის, რომელიც ინიშნებოდა რიტუალზე დასასწრებად და შემდგომში ახდენდა ქორწინების რეგისტრაციას საეკლესიო საცავში. ამგვარი რეგისტრაციის გარეშე ქორწინება სამოქალაქო ძალის მქონედ არ ჩაითვლებოდა.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული აქტი განსაზღვრავდა კანონიერების აუცილებელ კომპონენტებს, შესასრულებელ ფორმალობებს, ასევე გაუქმების საფუძვლებს. საეკლესიო სასამართლოების გადანყვეტილებები ქორწინების არსებობის ან არარსებობის თაობაზე აღარ იყო აღიარებული. მეორე მხრივ, არ იყო შემოღებული გაყრა. სხვა ქვეყნების სასამართლოების გადანყვეტილებები ქორწინების გაუქმების თაობაზე (თუ სხვა ქვეყნის ამგვარი სასამართლო ითვლებოდა იურისდიქციის მქონედ ქორწინების საკითხში) ამ დროიდან აღიარებული იყო და თუ რეგისტრაცია პროცედურების დაცვით იყო ჩატარებული, იგი უნდა ეღიარებინათ, როგორც ხელახლა დაქორწინების უფლების მტკიცებულება.

ქორწინების გაუქმების საფუძვლები სათანადოდ არ იყო გათანასწორებული კანონიკურ სამართალთან. 1975 წლის შემდეგ სიტუაცია იმგვარად შეიცვალა, რომ იმ პირებს, ვისაც უნდოდა ქორწინების გაუქმებულად გამოცხადება, არა მარტო უნდა მიემართათ სამოქალაქო სასამართლოებისათვის, რათა მიეღწიათ ქორწინების სამოქალაქო წესით გაუქმება, არამედ, თუ სურვილი ჰქონდათ, ეკლესიაში განმეორებით დაენერათ ჯვარი (რაც, ცხადია, ხშირად ხდებოდა კათოლიკურ მოსახლეობაში), უნდა მიეღოთ იგივე ნებართვა საეკლესიო სასამართლოში. ზოგჯერ ეს პარალელური პროცედურები სხვადასხვა შედეგით სრულდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ, რადგან სამოქალაქო სასამართლოებს ჰქონდა კომპეტენცია, გადაესინჯა 1975 წლამდე ჩატარებული კათოლიკური ქორწინებების კანონიერება, სამოქალაქო მოსამართლეები იძულებული იყვნენ, განეხილათ კანონიკური სამართლის საკითხები. გარდა იმისა, რომ იყო სხვაობა ქორწინებათა გაუქმების საფუძვლებს შორის, ძალიან განსხვავდებოდა სასამართლო პროცედურების ხასიათიც. პროცესის ამგვარ ხასიათს ბევრ ნაკლებად ერთად ერთი უპირატესობა ჰქონდა – საეკლესიო სასამართლოში შესაძლებელი იყო სამოქალაქო სასამართლოში მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენა. რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც მოპასუხემ საეკლესიო სასამართლოს წინაშე გამოცხადებზე უარი თქვა (და ვერ აიძულებდნენ, რომ გამოცხადებულიყო), გადანყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდა საქმის ამ მხარის გაცნობით (in subizione).

1981 წელს იუსტიციის ლეიბორისტმა მინისტრმა ჟოზეფ ბრინკატმა კანონმდებლობაში შეიტანა რამდენიმე ცვლილება, რომლებითაც კანონიკურ სამართალსა და ქორწინების აქტში ქორწინების გაუქმების საფუძვლებს შორის განსხვავება შემცირდა. თუმცა ეკლესია აგრძელებდა უნდობლობის გავლივებს ქორწინების აქტთან დაკავშირებით. კერძოდ, ის არ ცნობდა სამოქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების კანონიერებას და ფაქტობრივად კათოლიკეების დაქორწინებას ეკლესიაში სამოქალაქო სამართლის მიხედვით რეგისტრაციაზე მაღლა აყენებდა. ეკლესია ყოველთვის ფლობდა ექსკლუზიურ იურისდიქციას საქორწინო კავშირზე კათოლიკეებს შორის. მას მიაჩნდა, რომ კათოლიკეებისთვის წეს-ჩვეულება და ქორწინება ერთიანი და განუყოფელი იყო და ვერ ეგუებოდა ისეთ სიტუაციას, როდესაც მას უკრძალავდნენ გადანყვეტილებების მიღებას კანონიკურ სამართალს დაქვემდებარებულ საკითხებში.

1987 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ხანგრძლივი მოლაპარაკებები საბოლოოდ დასრულდა შეთანხმებით, რომელსაც ორი ხელშეკრულება მოჰყვა – 1993 წლის 3 თებერვლის და 1995 წლის 6 იანვრის. შემდგომში ეს ხელშეკრულებები ქორწინების კანონის ცვლილებების აქტის (1995 წლის I აქტი)

დანართი გახდა. კანონიკური სამართლის შესაბამისად განხორციელებული ქორწინება ცნეს სამოქალაქო სამართლის ფარგლებში და აღდგა საეკლესიო სასამართლოს ექსკლუზიური იურისდიქცია კათოლიკურ ქორწინებასთან დაკავშირებით. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მხარე არ მიმართავდა საეკლესიო სასამართლოს ან, თუ ერთ-ერთი მხარე იძულებული იქნებოდა შეენწყვიტა პროცესი, სამოქალაქო სასამართლო განახორციელებდა თავის იურისდიქციას. ამ ცვლილებამ მოაგვარა უთანხმოება, მაგრამ არასასურველი გავლენა მოახდინა სხვა კუთხით. კერძოდ, სამოქალაქო ქორწინება უფრო მიზიდავლილი გახდა, იმიტომ რომ, თუ დაქორწინება მოხდებოდა ეკლესიაში, საეკლესიო სასამართლოს ჰქონდა პრიორიტეტული იურისდიქცია. ხოლო საეკლესიო სასამართლოების პროცედურა უფრო ხანგრძლივი იყო და მოსამართლეებიც ყველანაირად ცდილობდნენ, არ გაეუქმებინათ ქორწინება. სამოქალაქო ქორწინება ასეთ გართულებებთან არ იყო დაკავშირებული და მორწმუნეთა უფრო გულგრილი ნაწილი მას არჩევდა. მრავალი წლის განმავლობაში სამოქალაქო ქორწინებების რაოდენობა მცირე იყო, 1996 წლიდან კი მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

6. კულტურული მემკვიდრეობის კანონი (2002 წლის VI აქტი)

ისევე, როგორც 1925 წლის წინა აქტში, 2002 წლის აქტშიც იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას და კათოლიკურ რელიგიურ ორდენებს ეკუთვნოდა და “განკუთვნილი ან გამოყენებული იყო რელიგიური მიზნებისთვის”, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან ისინი ექვემდებარებოდა (52-ე მუხლი) ექსკლუზიურ რეგულირებას და მეთვალყურეობას კათოლიკური კულტურული მემკვიდრეობის კომისიის მხრიდან. იგივე დადგინდა იმ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რომელიც სხვა ეკლესიების ან რელიგიური ჯგუფების საკუთრებაში იყო.

იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი კომისიები არ დაინიშნებოდა, რეგულირება და მეთვალყურეობა ხდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მეთვალყურეობის წესის თანახმად, რომელიც განსაზღვრული იყო ამ აქტის მე-7 მუხლით.

როდესაც ნაპოლეონ ბონაპარტემ დაიპყრო მალტა, მან გააუქმა წმინდა იოანეს ორდენი და მისი კუთვნილი მთელი ქონება გამოაცხადა სახელმწიფო საკუთრებად. კონფისკაციას დაექვემდებარა არა მხოლოდ სასახლეები და auberges, არამედ ეკლესიები და სამლოცველოებიც კი. ამ ეკლესიებს შორის იყო კონვენტუალური ეკლესია (Conventual Church), რომელიც ფლობდა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ საგანძურს მალტაზე, კარავაჯოს და მატეის პრეტის ტილოების

ჩათვლით. ნაპოლეონმა ნება დართო ეპისკოპოსს, გამოეყენებინა ეკლესია საკათედრო ტაძრად პირადად თავისი ნებართვით, რომელიც დღემდეა შემონახული. კათოლიკური ეკლესია ყოველთვის აცხადებდა, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, ჩამოერთმია ეკლესიისთვის წმ. იოანეს ტაძარი და ყველა სხვა ეკლესია თუ სამლოცველო, რომლებიც ორდენს ეკუთვნოდა, რადგან ეს რელიგიური ორდენი უშუალოდ პაპს ემორჩილებოდა. 1798 წლიდან მოყოლებული წმ. იოანეს ტაძარს იყენებდა ტაძრის საკრებულო და ეპისკოპოსი; ის ასევე იყო სახელმწიფოს “ოფიციალური” ეკლესია, სადაც ტარდებოდა საჯარო სამადლობელი ღონისძიებები. ტაძრის მოვლის ხარჯებს სახელმწიფო იღებდა თავის თავზე, მაგრამ რაღაც მომენტში პრობლემები შექმნა ტურისტების მიერ ტაძრის სმირმა მონახულებამ და მისი სათანადოდ დაცვის საჭიროებას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ. დაარსდა ფონდი, რომელიც საბჭოს მეშვეობით მართავდა ამ მნიშვნელოვან ძეგლს, ამ საბჭოში კი ეკლესიის და სახელმწიფოს წარმომადგენლები დაინიშნა.

7. საჯარო მიტინგების დეკრეტი (68-ე თავი)

ამ კანონის მე-7 ნაწილის თანახმად, პოლიციის კომისარს შეუძლია ბრძანება გასცეს საზოგადოებრივი (პოლიტიკურის ჩათვლით) მიტინგის აკრძალვის თაობაზე ნებისმიერ დღეს იმ ქალაქში ან სოფელში, სადაც მიტინგის ჩატარება იყო დაგეგმილი, თუ ამ დღეს ამ ადგილზე სახალხო საზეიმო ცერემონია ან დღესასწაული ტარდება. პუნქტი (2) განსაზღვრავს, რომ ამ ნაწილის მიზნისთვის “სახალხო დღესასწაული” ნიშნავს საზეიმო ცერემონიას ეკლესიის შენობაში, რასაც შეიძლება ხელი შეემალოს იმ გამოსვლების ან არეულობის გამო, რომელიც ამ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საჯარო მიტინგის ჩატარებამ შეუძლია გამოიწვიოს.

IV. მალტის კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება დღეს

ეკლესიას აქვს რადიოსადგური (Radju ta’Kulhadd [RTK], რაც “ყველას რადიოს” ნიშნავს), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული პოლიტიკური მოვლენების მიუკერძოებელი გაშუქების გამო. ორი ყოველკვირეული (Lehen is-Sewwa, [რაც ნიშნავს “ჭეშმარიტების ხმას”], დაარსებული ოციანი წლების მეორე ნახევარში და II-Gens [ძველ ლათინურად ნიშნავს “ხალხს”]) და ბევრი სხვა გამოცემა, რომლებიც ძირითადად რელიგიურ და ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, სხვადასხვანაირი კათოლიკური შეხედულებების გავრცელებას

დიდ ადგილს უთმობს. გარდა ამისა, ყოველდღიური საერო პუბლიკაციების დიდი ნაწილი [სამი კერძო და ინგლისურენოვანი და ორი მალტურ ენაზე, ერთი ნაციონალისტური პარტიის, მეორე მუშათა გენერალური კავშირის მფლობელობაში] ან ყოველკვირეულები დიდ ადგილს უთმობს ეკლესიის ახალ ამბებს და შეხედულებებს. ქვეყნის ეროვნული თუ ადგილობრივი მნიშვნელობის რელიგიურ დღესასწაულებში საზოგადოების დიდ ნაწილი მონაწილეობს. კვირაობით ეკლესიაში დასწრება ყველა სტანდარტით მაღალია. არ ყოფილა მუშათა კლასის ან ბურჟუაზიის მხრიდან განდგომა. ეკლესია მონაწილეობს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ხელოვნებაზე, ძირითადად საეკლესიო მხატვრობასა და მუსიკაზე ზრუნვით. ქვეყანაში არის სამოცი რელიგიური სკოლა ყველა ასაკისთვის, საბავშვო ბაღიდან მეექვსე კლასამდე და მალტელი მოსწავლეების ერთი მეოთხედი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებიდან სწავლობს ამ სკოლებში. ეს სკოლები უფასოა და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ბიჭების საშუალო სკოლებში იღებენ ჩვეულებრივი მისაღები გამოცდებით. ეკლესიას აქვს ჩვილ ბავშვთა სახლები, ობოლთა რამდენიმე თავშესაფარი, ასევე ინვალიდთა სახლები, რომლებიც ფაქტობრივად ამ საჭიროების ერთადერთი დაწესებულებაა მალტაში. გარდა ამისა, არის მოხუცთა რამდენიმე თავშესაფარი, რომლებსაც რელიგიური ორდენები და კათოლიკური დაწესებულებები მფარველობს. ემიგრანტების კომისია ზრუნავს მალტელი მიგრანტების კეთილდღეობაზე და რადგან მათ სულ უფრო ნაკლები დახმარება სჭირდებათ, კომისიამ თავის თავზე აიღო მესამე მსოფლიოდან მალტაში ჩამოსულ, ხშირად დიდ გაჭირვებაში მყოფ ლტოლვილებზე ზრუნვა. ქვეყანაში მოქმედებს იმუზიტების ორდენის სამართლიანობის კომისია, რომელიც არალეგალურ იმიგრანტებზე ზრუნვას უდგას სათავეში.

საეკლესიო იერარქია ძირითადად ცდილობს შეინარჩუნოს მკაცრად ნეიტრალური პოზიცია პოლიტიკურ უთანხმოებასთან დაკავშირებულ საკითხებში, თუნდაც ეს ეხებოდეს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საკითხებს, როგორებიც იყო, მაგალითად, 1964 წლის რეფერენდუმი და 2003 წლის რეფერენდუმი, რომლებიც ევროგაერთიანებასთან მიერთების საკითხს შეეხებოდა. მიუხედავად ამისა, ეკლესიის სწავლებები გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და აქვს არაპირდაპირი ან ზოგჯერ პირდაპირი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ არჩევანზე.

ეკლესიას აქვს ბანკი – APS. ეს არ არის უბრალოდ დანაზოგების ბანკი. ახორციელებს რა სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, იგი მნიშვნელოვან მესამე ბანკია მალტაში. ბანკს აქვს სხვა ინვესტიციებიც, მაგრამ ძირითადად საქმიანობას ეკონომიკურ სფეროში ახორციელებს და მაქსიმალურად შესაძლებელი წინდახედულობით გამოირჩევა. ეკლესიის უძრავი ქონების უდიდესი ნაწილი, რომელიც არ გამოიყენებოდა ან განუთვნილი იყო პასტორული ან სოციალური საქმიანობისთვის, გადაეცა სახელმწიფოს. 1992 წლის IV აქტის პირობების

თანახმად, ამ ქონების ღირებულება 29 000 000 მალტური ფუნტი, სახელმწიფომ გადაუხადა ეკლესიას ობლიგაციებით, რომელსაც მნიშვნელოვანი მოგება მოაქვს. მალტის ეპარქია და გოზო აქვეყნებს ნლიურ ფინანსურ ანგარიშებს ეკლესიის ფინანსების მართვის საკითხებზე. სახელმწიფო იხდის ანაზღაურებას კაპელანების საქმიანობისათვის საავადმყოფოებსა და მოხუცებულთა თავშესაფრებში, ციხეებში, სასაფლაოებზე, შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში.

ანგლიკანურ ეკლესიას აქვს შესანიშნავი ტაძარი ვალეტაში და ეკლესია – სლიემაში, მოქმედებს სხვა პროტესტანტული მიმდინარეობების ეკლესიები (მოტლანდიის ეკლესია, ბაპტისტური ეკლესია და სხვ.) ძირითადად ექსპატრიანტებისთვის. მალტაზე არიან იეღოვას მონაწილეები და უნიფიცირებული ეკლესიის წევრები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. არის მეჩეთიც, სადაც ძირითადად უცხოელები ან ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსული მუშები, ასევე მათი ცოლები და შერეული ქორწინებით შექმნილი ოჯახის შვილები დადიან.

V. დასკვნითი ნაწილი

ურთიერთობა პაპსა და მალტის ხელისუფლებას შორის ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს გარკვეული დაძაბული პერიოდის შემდეგ, მე-20 საუკუნის 70-იან და ადრეულ 80-იან წლებში. კათოლიკურ იერარქიას და პოლიტიკურ ლიდერებს შორის კონფრონტაცია გარკვეული დროის განმავლობაში აღარ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ლიბორისტი ლიდერი, დოქტორი ალფრედ სანტი, დროდადრო აკეთებდა განაცხადს გაყრის შემოღების საკითხზე, რასაც ეკლესია ეწინააღმდეგებოდა, საკითხი ჯერ არ ყოფილა წარდგენილი ელექტორატის წინაშე აზრის გამოსათქმელად. ორ ყველაზე დიდ პარტიაში ზოგადი კონსენსუსია აბორტის დანაშაულად ცნობის საკითხში. ჰომოსექსუალთა ქორწინების და ევთანაზიის დეკრიმინალიზაციის შეთავაზება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, მცირერიცხოვან მწვანეთა პარტიის მიერაც კი, რომელიც არ არის წარმოდგენილი პარლამენტში, არ მომხდარა. თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა უფრო ცხოვრების ლიბერალური სტილის გავლენის ქვეშაა, ზოგად ეთიკურ ტონს მალტელ საზოგადოებაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები კათოლიკურ ტრადიციებში. ამის მიუხედავად, არის საერთო შეგრძნება, რომ სახელმწიფო უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციას განსხვავებული რწმენის ან ნაკლებმორწმუნეობის გამო. გავრცელებულია მოსაზრება, რომ სახელმწიფო უნდა იყოს საერო ხასიათის, კათოლიკურმა ეკლესიამ კი განაგრძოს თავისუფალი საქმიანობა, სოციალური კრიტიკით ან რამე სხვა მეთოდით რომელიმე რელიგიური რწმენის თავზე მოხვევის მცდელობის გარეშე.

VI. ბიბლიოგრაფია

P. Debono, Storia della Legislazione in Malta, Edizioni Malta, malta 1903.

A. V. Laferla, British Malta, 2 tomi, Aquiline & Co., malta 1938.

A. Bonnici, History of the Church in Malta, Vol. III, Period IV – 1800-1975, Veritas Press, malta 1975, p. 285 + (17).

Esposizione Documentata della Questione Maltese (თებერვალი 1929-ივნისი 1930), The Vatican Polyglot Press, vaticani 1930.

J. M. Pirotta, Fortress Colony: The Final Act 1945-64, Studia Editions 1986.

სახელმწიფო და ეკლესია ნიდერლანდებში

I. სოციალური ფაქტები

კანონმდებლობა, რომელიც ამჟამად მოქმედებს ნიდერლანდებში და იქ არსებული სამართლებრივი გარემო, დიდად განსხვავდება 1801 წლის კონსტიტუციის მიერ დამკვიდრებული სტანდარტებისგან. იგი იყო 1795-1814 ბოლოქარი წლების დროს მოქმედი ერთ-ერთი კონსტიტუციათაგანი, რომლის შესაბამისადაც ოჯახის ყველა წევრს ან ინდივიდუალურ პირს, განურჩევლად სქესისა, თოთხმეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ევალუბოდა დაერეგისტრირებინა თავისი დენომინაცია. მოგვიანებით შესაძლებელი გახდა არსებული დენომინაციის შეცვლა³⁹⁵. ამჟამად საეკლესიო დენომინაციასთან და ეკლესიის წევრობასთან დაკავშირებული ორივე ვალდებულება მოძეულდა, რადგან მიღებული გადაწყვეტილება რელიგიის თავისუფალი არჩევანის გამოხატულებაა და ნათლად მიუთითებს სხვადასხვა რელიგიური დენომინაციის არსებობას. ეს დღევანდელი დღის რეალობაა.

ნიდერლანდებში პლურალიზმი რელიგიური ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. ნიდერლანდების გაერთიანებული რესპუბლიკის არსებობის დროსაც კი, როდესაც რეფორმირებული ეკლესია კარგად იყო ორგანიზებული და მისი მიმდევრები სარგებლობდნენ სხვადასხვა პრივილეგიით, უკვე არსებობდა არაერთი დენომინაცია. 1579 წლის უტრეხტის კავშირი, რომელიც კონფედერაციის საფუძველი იყო, იძლეოდა რელიგიური რწმენის თავისუფლების გარანტიას, ხოლო ინკვიზიცია კანონგარეშედ გამოცხადდა. საჯარო ღვთისმსახურება შეიზღუდა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მეტი ინტენსივობით აღდგა. იგი ხელს უწყობდა ტოლერანტობის დამკვიდრებას. ეროვნული ისტორიის ადრეული პერიოდების დროსაც კი უმცირესი რელიგიები წარმოადგენდა სოციალური მოდელის ნაწილს.

ნიდერლანდების სახელმწიფოს დაარსების შემდგომ, 1814 წელს, რელიგიური მრავალფეროვნება შენარჩუნდა და განვითარდა, თუმცა სხვაგვარ სამართლებრივ კონტექსტში. დაიწყო ძირითადი რეფორმირებული ეკლესიიდან და მოგვიანებით მისი უფრო ახალი მიმდინარეობებიდან განცალკევების პროცესი, რის შედეგადაც შეიქმნა რეფორმირებული დენომინაციების მრავალფეროვნება. XIX საუკუნის

395 Art. 12 Staatsregeling des Bataafschen Volks 1801.

დასასრულიდან გამოჩნდა ახალი საეკლესიო დენომინაციები, მათ შორის სამების ეკლესიები, ევანგელისტური ეკლესიები და ხსნის არმია. ფილოსოფიური მოძრაობები, რომელთა საფუძველი იყო არარელიგიური სულიერი რწმენა, ჩამოყალიბდა სტრუქტურულ ორგანიზაციებად, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საიმიგრაციო პროცესების გააქტიურებამ გამოიწვია დიდი რაოდენობით სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის მომხრეთა შემოსვლა, რომლებიც გარკვეული ეროვნული ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით იყვნენ ორგანიზებულნი. ქვეყანაში ცხოვრობდნენ არაქრისტიანული რელიგიების მიმდევრებიც.

გარდა რელიგიური დივერსიფიკაციისა, საზოგადოებაში შესამჩნევი გახდა სეკულარიზაციის პროცესის გაღრმავება. გამოიკვეთა ეკლესიის მიმდევრების შემცირების ტენდენცია. ეს ტენდენცია პირველად აღინიშნა XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებისათვის ³⁹⁶. XX საუკუნის სამოციან წლებში კიდევ ერთხელ გახდა ნათელი ეკლესიის მხარდამჭერთა რაოდენობის შემცირება. თავდაპირველად საეკლესიო რიტუალებში მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა დიდ ეკლესიებში. რეფორმირებულმა ეკლესიამ უკვე ადრეულ წლებშივე განიცადა ეს ტენდენცია. ოდნავ მოგვიანებით იგივე პროცესები დაიწყო რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში. თუმცა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, წევრთა ნაკლებობა განიცადა ტრადიციულმა ქრისტიანულმა კონფესიებმა, მაშინ, როცა რეფორმირებული ეკლესიების შედარებით ახალმა განმტოებებმა საკმაო სტაბილურობა შეინარჩუნა.

დღემდე რელიგიური დენომინაციების დემოგრაფიული გავრცელება ქვეყნის ფარგლებში საკმაოდ სტაბილურია. ქვეყანაში აგრეთვე შეიძლება გამოიყოს არარელიგიურობით ცნობილი რეგიონები. მოსახლეობის მობილურობის გააქტიურებამ და ეკლესიის მიმდევართა საერთო რაოდენობის შემცირებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მდგომარეობა ³⁹⁷.

ნიდერლანდების მოსახლეობა 16 მილიონზე მეტია. 18 წლის და მასზე უფროსი

396 H. Knippenberg, *De religieuze kaart van Nederland*, Assen 1992, p. 227, p.230.

397 მოუხედავად იმისა, რომ ნიდერლანდებში სეკულარიზაციის ხარისხის მაღალია დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეკლესიის წევრების აქტიური მონაწილეობა თავიანთი ეკლესიების საქმიანობაში შედარებით მაღალია: H. Knippenberg, *op cit*, p. 247-248; M.M.J. van Hemert, *Godsdienst in cijfers*, in: H. Schaeffer et.al. (ed.), *Handboek Godsdienst in Nederland*, Amersfoort 1992, p. 182. იხ. აგრეთვე J.W. Becker, R. Vink, *Secularisatie ნიდერლანდებში, 1966-1991*, Sociaal en Cultureel Planbureau, Rijswijk 1994; Gerard Dekker, Joep de Hart, Jan Peters, *მეფე ნიდერლანდებში, 1966-1996*, ამსტერდამი 1997.

ასაკის მოსახლეობიდან რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წევრია 31% ³⁹⁸. ორი ახალი რეფორმირებული ეკლესიისთვის წევრთა რაოდენობა შესაბამისად 14% და 7%-ის ტოლია ³⁹⁹. 2002 წელს ისლამის მიმდევრების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის იყვნენ, 886,000-ს შეადგენდა, რაც მთლიანი მოსახლეობის 5,5%-ია. ინდუსების რაოდენობა კი დაახლოებით – 95,000 ⁴⁰⁰.

II. ისტორიული მონაცემები

ნიდერლანდების სამეფო, როგორც დეცენტრალიზებული სახელმწიფო, დაარსდა 1814 წლის კონსტიტუციის შესაბამისად. კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას და ათეოსტური წერტილი გახდა ამ პროცესში. მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო ეკლესიის იდეა უკვე წარსულს ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, 1814 წლის კონსტიტუცია არ შეიცავდა განცალკევების წინაპირობებს ⁴⁰¹. დემოკრატიული პრინციპების ზოგადი რეალიზაციის და კანონის უზენაესობის განხორციელების თვალსაზრისით 1814 წლის კონსტიტუცია უფრო ულიბერალი იყო პროგრესულ წინამორბედ კონსტიტუციებთან შედარებით. შემდგომმა კონსტიტუციებმა, დაწყებული 1815 წლის კონსტიტუციიდან, გააგრძელა იგივე ტენდენციები, რომლებიც მანამდე არსებობდა. მიუხედავად ამისა, იყო გარდატეხის რამდენიმე ეტაპი, მთლიანი საკონსტიტუციო განვითარება კი ევოლუციურ ხასიათს ატარებდა, რაც ზოგადად ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობისთვის დამახასიათებელია.

1814 წლის კონსტიტუციის თავი რელიგიის შესახებ ეძღვნებოდა უფრო ეკლესიას და სახელმწიფოს, ვიდრე ინდივიდთა რელიგიურ თავისუფლებას. ეს კონსტიტუცია და განსაკუთრებით მისი მომდევნო, 1815 წლის, ვარიანტი რეალურად შეიცავდა

398 აღნიშნული ციფრები მიეკუთვნება 2002 წელს. წყარო: სტატისტიკის ცენტრალური ბიურო [Centraal Bureau voor de Statistiek] www.cbs.nl; უფრო კონკრეტულად, <http://www.cbs.nl/nl/cijfers/themapagina/leefsituatie/1-cijfers.htm>.

399 ორი ძირითადი რეფორმირებული ეკლესია და ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია გაერთიანდა 2004 წლის მაისიდან, იმისთვის, რომ შეექმნა პროტესტანტული ეკლესია ნიდერლანდებში (Protestantse Kerk in Nederland).

400 მოცემული ციფრები მიეკუთვნება 2002 წლის 1 იანვარს. წყარო: სტატისტიკის ცენტრალური ბიურო.

401 S.C. van Bijsterveld, *Godsdienstvrijheid in Europees perspectief*, Deventer: W.E.J. Tjeenk Willink.

მოსაზრებას, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის ორგანიზაციულ საქმიანობაში, თუმცა პრაქტიკაში სამეფო კარი კვლავ აქტიურად იყო ჩართული საეკლესიო საქმეებში. ეს სიტუაცია შეიცვალა საუკუნის დასასრულს.

1848 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომლებიც განხორციელდა საზღვარგარეთ მომხდარი რევოლუციური გარდაქმნების გავლენით, ხელი შეუწყო კონსტიტუციური მთავრობის შემდგომ ფორმირებას. დეკლარირებულ იქნა რამდენიმე ახალი ფუნდამენტური უფლება, როგორებიცაა: ასოციაციების და განათლების თავისუფლება; ცვლილება განიცადა თავმა რელიგიის შესახებ; 1848 წლის ცვლილებების კარნახით რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ აღადგინა თავისი იერარქია ნიდერლანდებში. ეს ცვლილებები ძალაში შევიდა 1853 წელს. იმავე წელს ძალაში შევიდა რელიგიური ორგანიზაციების კანონიც (Wet op de kerkgenootschappen). მისი ძირითადი ღირსება ეკლესიების შიდა ორგანიზაციის თავისუფლების ნათელი ფორმულირება იყო. ეს კანონი მოქმედებდა 1988 წლამდე.

ერთ საკითხთან დაკავშირებით 1848 წლის კონსტიტუცია აწესებდა გარკვეული ხასიათის შეზღუდვებს. მასში შესული იყო ახალი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც დაშვებული იყო რელიგიური პროცესების ჩატარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობდა ნებართვა ამასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ ამგვარი ნებართვის გაცემა იშვიათად ხდებოდა, იგი რეალურად იყო პროცესების დე ფაქტო აკრძალვა. ეს მაგალითი იმ დაძაბული ურთიერთობის ნათელი ილუსტრაციაა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა საეკლესიო დენომინაციის მიმდევრებს შორის იმ პერიოდში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საერთო კანონი შეკრებებთან დაკავშირებით შენობის გარეთ, რომელიც იმ დროს მოქმედებდა, შეზღუდული იყო თანამედროვე სტანდარტების გადასახედიან.

შემდგომი პერიოდი ძირითადად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსოლიდაციის პერიოდი იყო, იმდენად, რამდენადაც საქმე ეხებოდა ინსტიტუციურ ურთიერთობებს. დებატების ძირითადი თემა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ეხებოდა დახმარების სიმცირეს და განათლების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1917 წლის ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდებოდა იმ კერძო დაწყებითი სკოლების სრული სამთავრობო დაფინანსება, რომლებიც აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო სტანდარტებს და მოქმედი დაფინანსების პირობებს.

1848 წლიდან 1972 წლამდე არ შეცვლილა ეკლესიის შესახებ თავი. 1972 წლის ცვლილებებმა საშუალება მისცა მთავრობას, დაებრუნებინა თავისი ტრადიციული ვალდებულებები ხელფასებთან და პენსიებთან დაკავშირებით სასულიერო პირებისთვის. ეს პროცესი განხორციელდა 1983 წელს. ვალდებულებები

სასულიერო პირთა მიმართ უკავშირდებოდა XVIII საუკუნის დასასრულის პრაქტიკას და თავდაპირველად გამიზნული იყო როგორც კომპენსაცია საეკლესიო ქონების დაკარგვის გამო, მთავრობის მიერ განხორციელებული ექსპროპრიაციის შედეგად.

1983 წელს კონსტიტუციამ განიცადა ძირეული ცვლილებები. შეცვლილი კონსტიტუცია შეიცავდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ახალ ჩამონათვალს, მათ შორის სოციალური უფლებების ფართო სპექტრს. იგი უზრუნველყოფდა იმ ფუნდამენტური უფლებების ახალ ფორმულირებას, რომლებიც უკვე მოქმედებდა. ფუნდამენტური უფლებები შესულია კონსტიტუციის პირველ თავში. თავისუფლების ოპტიმალურად უზრუნველყოფის მიზნით შემოიღეს ფუნდამენტური უფლებების მკაცრი და მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა. 1983 წლის კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების ცნება მოცემული იყო ახალი ფორმულირებით. 1983 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აგრეთვე გარანტირებულია არარელიგიური რწმენის თავისუფლება.

რელიგიური დენომინაცია, პოლიტიკურ ჯგუფებთან ერთად, იყო სოციალური აქტივობის მამოძრავებელი ძალა. სკოლები, საავადმყოფოები, პროფკავშირები, დამქირავებელი ორგანიზაციები, სამაუწყებლო კომპანიები და სხვა სოციალური ინსტიტუტები იყო და არის ორგანიზებული დენომინაციურ ბაზაზე ⁴⁰².

პოლიტიკური პარტიების განვითარების ადრეულ ეტაპზე რელიგიური შეხედულება ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ორგანიზაციის შექმნაში ⁴⁰³.

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

კანონმდებლობის (საკონსტიტუციო) წყაროს ნიდერლანდებში შეადგენს სამეფოს სტატუტები, კონსტიტუცია, შემდგომი კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებები, სამართლებრივი ტრადიცია ან პრეცედენტები და ევროპული ან საერთაშორისო კანონმდებლობა. ეკლესიასა და სახელმწიფოს

402 მისი განვითარების, შექმნის და მნიშვნელობის შესახებ, იხ. A. Lijphart, შემთანხმებლური პოლიტიკა. პლურალიზმი და დემოკრატია ნიდერლანდებში, ბერკლი/ლოს ანჯელესი/ლონდონი 1975.

403 A. Hoogerwerf, Godsdienst en politiek, in: H. Schaeffer et.al. (ed.), Handboek Godsdienst in Nederland, Amersfoort 1992, p.303-312.

შორის სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრისათვის თითოეულ ამ წყაროს თავისი მნიშვნელობა აქვს, თუმცა განსხვავებული ხარისხით ⁴⁰⁴. კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროები ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობისთვის განხილული იქნება ქვემოთ.

ნიდერლანდებში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საფუძველი მოცემულია მის 1983 წლის კონსტიტუციაში. 1983 წლის კონსტიტუციაში ადრე არსებული თავი რელიგიის შესახებ შეიცვალა ერთი პუნქტით. ამ პუნქტით გარანტირებულია რელიგიური თავისუფლება ისევე, როგორც ნებისმიერი მრწამსის თავისუფლება. კონსტიტუციის მე-6 პუნქტის, I ნაწილში გაცხადებულია, რომ “(ე) ყველას აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი რელიგიური კუთვნილება ან რწმენა, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, სხვებთან ერთად, ყოველგვარი მიკერძობის გარეშე მისი კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ”. მეორე ნაწილში მას ემატება შემდეგი: “ნებსები, რომლებიც ეხება ამ უფლების განხორციელებას, გარდა ისეთი ადგილებისა, როგორებიცაა: შენობები და დაჯილდოებული ადგილები, შეიძლება დადგინდეს საპარლამენტო აქტის შესაბამისად პიროვნების ჯანმრთელობის დასაცავად, ტრანსპორტის ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე, უნესრიგობებთან საბრძოლველად და მათი თავიდან ასაცილებლად”.

მე-6 პუნქტი ეხება რელიგიური თავისუფლების ამა თუ იმ გამოხატულებას, თუმცა იგი არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული მასთან დაკავშირებული გარანტიების საკითხზე. მიუხედავად ამისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მე-6 პუნქტში წარმოდგენილი გარანტიები მაინც საკმაოდ ფართოა ⁴⁰⁵. ცვლილებების შეტანის დროისათვის განსაზღვრა, რომ მე-6 პუნქტი არა მარტო იცავს რელიგიურ ან არარელიგიურ მრწამსს, არამედ უზრუნველყოფს მოქმედების თავისუფლებას ამ რწმენის შესაბამისად.

ამ პუნქტის პირველ ნაწილში მოცემული დებულება “კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე”, ნიშნავს, რომ მხოლოდ ეროვნულ კანონმდებელს აქვს კომპეტენცია, შეზღუდოს გარანტირებული

404 სამეფოს სტატუტი, რომელიც ეხება ურთიერთობებს ნიდერლანდებს, ნიდერლანდების ანტილის კუნძულებსა და არუბას შორის, მოცემულ შემთხვევაში იგი შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული.

405 See S.C. van Bijsterveld, op cit; B.P. Vermeulen, Artikel 6, in: A.K. Koekkoek (ed.), De Grondwet. En systematisch en artikelsgewijs commentaar, Deventer 2000, p. 93-109; M.M. den Boer, Artikel 6 Grondwet: vrijheid van godsdienst en levensovertuiging, in: NJCM-Bulletin 1987, p. 110-127.

უფლება. მიუხედავად ამისა, იგი არ იძლევა ზუსტ მითითებას იმ კონკრეტული კრიტერიუმების თაობაზე, რომელთა შესრულება აუცილებელია. მეორე ნაწილის მიზანია, ნება დართოს ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოს გარანტირებული უფლების შეზღუდვა იმდენად, რამდენადაც იგი ეხება რელიგიური ან არარელიგიური მრწამსის განხორციელებას, შენობების და დაცული ადგილების გარდა, თან მხოლოდ იმ მიზნებით, რომლებიც ნახსენები იყო.

სასამართლოებმა ოდნავ სახე უცვალა მკაცრ სისტემას, რომელიც შემოიტანა კონსტიტუციამ ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის კომპეტენციის თაობაზე. ზოგადად რომ ვთქვათ, ამგვარი მიდგომა დამაკმაყოფილებელია.

კონსტიტუციის მე-6 (და მე-9) პუნქტის საფუძველზე ძალაში შევიდა საჯარო მანიფესტაციის აქტი (Wet Openbare Manifestaties). ეს აქტი ასევე არეგულირებს რელიგიური მანიფესტაციის საკითხებს შენობებსა და დაცულ ადგილებს გარეთ, რელიგიური პროცესების ჩათვლით.

მე-6 პუნქტის გარდა, სხვა პუნქტებშიც ეხება რელიგიას. კონსტიტუციის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ნიდერლანდებში ყველა პირის მიმართ მიდგომა თანაბარ პირობებში ერთნაირი უნდა იყოს. გარდა ამისა, ამ პუნქტით იკრძალება დისკრიმინაცია რელიგიის, რწმენის, პოლიტიკური შეხედულებების, რასის, სქესის ან სხვა რაიმე საფუძველზე. რელიგიაზე სპეციალურ მითითებას შეიცავს 23-ე პუნქტი, რომელიც ეხება განათლებას. იგი იძლევა განათლების (დენომინაციურის) თავისუფლებას. რაც შეეხება სახელმწიფო რეგულაციაში არსებულ განათლებას, იგი აწესებს თანაბარ მიდგომას და პატივისცემას ყველა რელიგიის ან რწმენის მიმართ. კონსტიტუციაში არ არის მოცემული სინდისის თავისუფლების ზოგადი გარანტიები ⁴⁰⁶.

კონსტიტუცია უფრო მალა დგას თავისი იერარქიული მდგომარეობით, ვიდრე საპარლამენტო კანონმდებლობა და სასამართლოებს არ აქვს მისი გადასინჯვის უფლება ⁴⁰⁷. საპარლამენტო კანონმდებლობის კონსტიტუციურობის განხილვისას, საკანონმდებლო ხელისუფლებას თავად აქვს უკანასკნელი სიტყვის თქმის უფლება. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს, საპარლამენტო კანონმდებლობის გარდა, ყველა დანარჩენი საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა. თუმცა, კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოებმა შეიძლება განიხილოს ნებისმიერი კანონმდებლობის, მათ შორის საპარლამენტო

406 კონსტიტუციის 99-ე პუნქტი უზრუნველყოფს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის საფუძვლის შექმნას. ამან აზრი დაკარგა განვევის სისტემის გაუქმებასთან ერთად.

407 კონსტიტუციის 120-ე პუნქტი .

კანონმდებლობის და თავად კონსტიტუციის შესაბამისობა საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებთან ან საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებულ რეზოლუციებთან ⁴⁰⁸.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 პუნქტი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-18 პუნქტი შეიძლება გამოიყენონ რელიგიის საკითხებზე წარმოებული სასამართლო პროცედურების დროს. სასამართლოები, განსაკუთრებით უმაღლესი სასამართლო (Hoge Raad), ცვლილებებს დიდი ხალხით არ უჭერს მხარს. თავის 1962 წლის დადგენილებაში უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისთვის არსებული საკონსტიტუციო აკრძალვა რელიგიურ პროცესებზე, ევროპული კონვენციის მე-9 პუნქტთან შესაბამისობაში იყო ⁴⁰⁹. უმაღლესმა სასამართლომ მოახდინა მისთვის მინიჭებული გადახედვის უფლების ინტერპრეტაცია აკრძალვის გზით. იგივე სიტუაცია იყო თავად ევროპული კონვენციის მე-9 პუნქტის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ახლანდელი უმაღლესი სასამართლო უფრო აქტიურად ჩაერთო კანონმდებლობის განხილვის პროცესში. განხილული შემთხვევები არ უკავშირდებოდა რელიგიას. ზოგადად ადმინისტრაციულმა სასამართლომ თავიდანვე მეტად ლიბერალური მიდგომა გამოავლინა ⁴¹⁰.

ამჟამინდელ კონსტიტუციაში ეკლესია, როგორც ორგანიზაცია, აღარ არის ნახსენები. ანალოგიურად, კონსტიტუციაში არ არის ხაზგასმულად განხილული ფინანსური ურთიერთობის საკითხი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მაგრამ აქედან არ უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კონსტიტუცია არ ეხება ამ საკითხს. პირიქით, საეკლესიო ორგანიზაციის თავისუფლება ძირითადი ელემენტია რელიგიის თავისუფლების გარანტირებაში. კონსტიტუცია ქმნის ბაზას ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ფინანსური ურთიერთობის შეფასებისთვის. საჭიროა შემდგომი ინსტიტუციური გარანტიები. იგივე მართებულია რელიგიის თავისუფალ განხორციელებისათვის ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ერთობაში. თავისუფლების ეს გამოხატვა საკანონმდებლო ორგანოს მიერ უნდა იყოს გარანტირებული კანონმდებლობის სხვადასხვა კონკრეტულ სფეროში.

ხელშეკრულებები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არ არის კანონის ჩვეულებრივი მახასიათებელი. განსაკუთრებული მოვლენა იყო შეთანხმება, რომელიც გაფორმდა 1983 წელს სახელმწიფოსა და შესაბამის ეკლესიებს შორის, იგი ეხებოდა მთავრობის ტრადიციული ვალდებულების დასრულებას

408 კონსტიტუციის 94-ე მუხლი.

409 HR 19 იანვარი 1962, NJ 1962, 107

410 Vz.ARRvS 1 მაისი 1981, AB 1982, 28; ARRvS 20 დეკემბერი 1981, AB 1983, 243.

ეკლესიის მსახურების ხელფასებთან და პენსიებთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება საბოლოოდ დამტკიცდა საპარლამენტო აქტით. სამართლებრივი დოქტრინა შეესაბამება ეკლესიის და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განვითარებას, თუმცა თავისთავად საკანონმდებლო წყარო არაა.

რელიგიამ შეიძლება შეასრულოს თავისი როლი სამართლებრივ ურთიერთობაში კერძო პირებს შორის. კანონი უპასუხებს ამგვარ მოთხოვნებს. კონსტიტუციის ზოგადი გადახედვის დროს ნათლად იყო აღიარებული, რომ ფუნდამენტური უფლებები არა მარტო ფუნქციონირებს სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების მიმართ, არამედ კავშირი აქვს სამართლებრივ ურთიერთობასთან კერძო პირებს შორისაც. ასეთი ურთიერთობის ასპექტები შეიძლება განისაზღვროს ზოგადად საკანონმდებლო ორგანოს ჩარევით. უფრო ხშირად სასამართლოს უხდება ინტერესის დაბალანსება კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი ცნებების ინტერპრეტაციით.

2. სისტემური მიდგომის კატეგორიები

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სისტემა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ხასიათდება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის განცალკევებით. ეს პრინციპი არასოდეს ყოფილა ფორმულირებული კონსტიტუციაში ან მის შემდგომ კანონმდებლობაში. მიუხედავად ამისა, იგი თავის როლს ასრულებს და მას მიუთითებენ საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში ადმინისტრაციულ და სასამართლო გადანყვეტილებებში. ამის მსგავსად, ის მნიშვნელოვანია კანონის წინაშე ეკლესიის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე სხვადასხვა დენომინაციის თანასწორუფლებიანობისთვის, ასევე დენომინაციურ და არადენომინაციურ მოძრაობებთან დამოკიდებულებისთვის. თუმცა მისი ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრა ადვილი არ არის.

ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევება არ არის “მკაცრი განცალკევება” იმ აზრით, თითქოს ეკლესიას და სახელმწიფოს არაფერი აქვს საერთო. ამგვარი შეხედულება არ შეესაბამება არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ რეალობას. იგი აგრეთვე არ უნდა გაიგონ, როგორც ეკლესიის მიმართ მტრული მიდგომა. მისი ფაქტობრივი ფუნქციონირებიდან გამომდინარე, მისი გავების საუკეთესო გზაა იმ საკონსტიტუციო დებულებების ინტერპრეტირება, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს ისტორიული წინაპირობის საფუძველზე იქ ჩადებული პრინციპი ამჟამად არსებული კანონის სახით.

ეს ნიშნავს, რომ ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევების პრინციპი უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ერთობლივად სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპსა და რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საფუძველთან ერთად, როგორც ეს მოცემულია კონსტიტუციის პირველ და მე-6 პუნქტებში, ცალ-ცალკე და ერთობლივად.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თანამედროვე ფუნდამენტური უფლებების დოქტრინა აღიარებს იმ გარემოებას, რომ კლასიკურმა ლიბერალურმა უფლებებმა შეიძლება გამოიწვიოს პოზიტიური სამთავრობო ქმედება ზოგიერთ ვითარებაში, იმისათვის, რომ მიაღწიოს ამ უფლების ფუნქციონირებას. იგი აგრეთვე ეხება რელიგიის თავისუფლებას.

არც ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევების პრინციპი და არც მისი საკონსტიტუციო გამოხატულება არ ქმნის შესაბამის ნინასწარ გეგმას ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობისთვის. საჭიროა აგრეთვე იმის გაცნობიერება, რომ გარანტიები, რომლებიც მოცემულ პერიოდში შეიძლება განიხილონ განცალკევების უზრუნველსაყოფად, ეკლესია იქნება თუ სახელმწიფო, შეიძლება საბოლოოდ არც კი იყოს აუცილებელი⁴¹¹. კანონმდებლობის და საზოგადოების განვითარებასთან ერთად შეიძლება საჭირო გახდეს ახალი დამცავი მექანიზმების შექმნა. თუმცა ის საფუძვლები, რომლებზეც აგებულია ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, მოითხოვს მუდმივ ინტერპრეტაციას და განმარტებას.

IV. საეკლესიო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

1. საეკლესიო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

როგორც ორგანიზაცია, ეკლესია აღარ არის ნახსენები კონსტიტუციაში. მიუხედავად ამისა, ეკლესია დაცულია კონსტიტუციით, ისევე, როგორც მისი თავისუფლება თვითორგანიზებაზე. უდავოა, რომ ეკლესიის თავისუფალი ორგანიზების უფლება საჭიროებს განმარტებას კანონის ფარგლებში. ეკლესიის როგორც ორგანიზაციის სტატუსის საბაზისო გამოხატულება შეიძლება მოპოვებულ იქნეს კანონში, რომელიც ეხება იურიდიულ პირებს.

411 იხ. S.C. van Bijsterveld, Kerk en staat. Vrijheid en verantwoordelijkheid, in: H. Schaeffer, et.al. (ed.), Handboek Godsdienst in Nederland, Amersfoort 1992, გვ. 292-302.

ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიული პირია. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ეკლესიები წარმოადგენს განსაკუთრებულ (*sui generis*) იურიდიულ პირებს. ამრიგად, მათი, როგორც იურიდიული პირების, სტატუსი განსხვავდება სხვა იურიდიული პირების სტატუსისგან, როგორებიცაა: ასოციაციების ან ფონდების იურიდიული სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სხვადასხვა იურიდიული პირის სამართლებრივ სტატუსს, მათი შიდაიურიდიული მოწყობის ორგანიზება თავად ეკლესიების ერთპიროვნული პრეროგატივაა. სამოქალაქო კოდექსი უბრალოდ აცხადებს, რომ ეკლესიები იმართება საკუთარი დადგენილებების მიხედვით იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას⁴¹².

როგორც შედეგი ეკლესიის ავტონომიურობისა მის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებიდან, რომლებიც გამოიყენება ყველა ტიპის იურიდიული პირის მიმართ, ამოღებულია ეკლესია. დასაშვებია ამ დებულებების ანალოგიური გამოყენება, იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება ეკლესიის წესდებებს ან მათ შიდა ურთიერთობის ხასიათს⁴¹³. მართალია, ეს უკანასკნელი პარაგრაფი არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, იგი მაინც გამოხატავს საეკლესიო კანონმდებლობის უპირატესობას ამ სფეროში. არსებული ტენდენცია, ანალოგიური მიდგომის სასარგებლოდ, საუკეთესოა ილუსტრირებული უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც დაადგინა, რომ ასეთი მიდგომა ამოსავალი ნერტილი უნდა იყოს ამ სფეროში⁴¹⁴ დადგენილებებისთვის.

არც სამოქალაქო კოდექსი და არც კანონმდებლობის რომელიმე სხვა ნაწილი არ იძლევა “ეკლესიის” განმარტებას. თავად ორგანიზაცია წარმოადგენს ეკლესიას, რომელიც განსაზღვრავს კიდევ მას. კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე, მაგრამ კონფლიქტის დროს გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კამათია მოცემული ორგანიზაციის ბუნების შესახებ, სასამართლომ ჩამოაყალიბა მინიმალური მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც საჭიროა “სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის არსებობა” და “საქმე უნდა ეხებოდეს რელიგიას”⁴¹⁵. ეკლესიების წინასწარი აღიარების სისტემა არ არსებობს.

412 პუნქტი 2:2-ე, სამოქალაქო კოდექსი [Burgerlijk Wetboek]. მუხლის ზუსტი შინაარსი საკამათოა. იხ. J.J.M. Maaijer, *Rechtspersoon, godsdienst en levensovertuiging*, Mededelingen der KNAW, Afd. Letterkunde, Amsterdam 1986.

413 პუნქტი 2:2-ე, ნაწილი მე-2, სამოქალაქო კოდექსი.

414 HR 15 მარტი 1985, NJ 1986, 191.

415 HR 31 ოქტომბერი 1986, NJ 1987, 173.

ეკლესიისგან განსხვავებით, რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლია საკუთარი თავის სხვაგვარად ორგანიზება, სახელდობრ, ასოციაციის ან ფონდის სახით სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის ქვეშ. ამ შემთხვევაში მასზე გავრცელება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები. არაქრისტიანული რელიგიური გაერთიანებები ხშირად ირჩევს ორგანიზაციის ამ ფორმებს⁴¹⁶.

2. ეკლესიის ცნება კანონმდებლობაში და თვითგამორკვევის უფლება

ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, როგორც ითქვა, შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ შეიძლება აგრეთვე გამოიყენონ როგორც ეკლესიების ფარგლებში არსებულ დამოუკიდებელ ერთეულებთან, ასევე ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებშიც გაერთიანებულია ეკლესიები⁴¹⁷. ამიტომ კანონმდებლობა ერთნაირად მგრძნობიარეა საეკლესიო სტრუქტურების მიმართ, რომლებიც დაფუძნებულია ცენტრალურ იერარქიულ საეკლესიო ცნებასა და დეცენტრალიზებულ საეკლესიო მოდელებზე.

ამ კატეგორიიდან არც ერთი არაა განმარტებული კანონით. რაც შეეხება ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანებულია ეკლესიები, მოთხოვნა “საეკლესიო კანონმდებლობაში განსხვავებულ გაერთიანებაზე” ფორმულირებული იყო მისი ძალაში შესვლის პერიოდში⁴¹⁸. გარდა ამისა, ძირითადი პირობა იყო სურვილი, შეექმნათ ამ ტიპის იურიდიული ერთეული. ეკლესიების საბჭოები და თანამშრომლობის სხვა ფორმები ეკლესიებს შორის არ რეგულირდება კანონმდებლობით. რაც შეეხება ეკლესიების დამოუკიდებელ ერთეულებს, ეკლესიის განზრახვა ფორმირებადი პირობაა. ის, თუ როგორ უნდა იყოს გამოხატული ეს განზრახვა, არ არის მთლად ნათელი. მატერიალური კრიტერიუმები (რით არის ორგანიზაცია დაკავებული, მისი რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური საქმიანობა) ისევე, როგორც ოფიციალური კრიტერიუმები, (როგორია ეკლესიის ფორმალური გავლენა ორგანიზაციის შიგნით) შეთავაზებული იყო როგორც ელემენტები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს იმის განსაზღვრაში, შეიძლება თუ არა

416 იხ S.C. van Bijsterveld, რელიგიური უმცირესობები და უმცირესობათა ეკლესიები ნიდერლანდებში, სამართლებრივი კონტექსტი, წყარო: ევროპის კონსორციუმში ეკლესიისა და სახელმწიფო კვლევის საკითხებში, რელიგიური უმცირესობების სამართლებრივი სტატუსი ევროკავშირის ქვეყნებში, სალონიკი/მილანი 1994, გვ. 277-298.

417 ბოლო კატეგორია დამატა 1992 წელს, მაგრამ ფაქტი უკვე აღიარებულია.

418 Kamerstukken II, 1982-1983, 17 725, no. 3, p. 53.

ორგანიზაცია, მისთვის მინიჭებული კატეგორიის შესაბამისად, აღიარებულ იქნეს ეკლესიის დამოუკიდებელ ერთეულად⁴¹⁹. საეკლესიო ორგანიზაციის თავისუფალი განვითარების პირობებში ეკლესიების თვითგამორკვევა მნიშვნელოვანია და ამისთვის არ უნდა არსებობდეს მკაცრი კრიტერიუმები. სამართლებრივი გამჭვირვალობა თავისთავად არ მოითხოვს ზემოაღნიშნულის არსებობას.

ეკლესიები თავისუფალნი არიან მოახდინონ თავიანთი საქმიანობის ორგანიზება რიგ სფეროებში, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულებმა. ფაქტობრივად დიდი ხნის ტრადიცია არსებობს საქმიანობის ორგანიზებაში სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში ჩვეულებრივი ასოციაციების ან ფონდების სახით, რელიგიის ან რწმენის საფუძველზე⁴²⁰. ეს ორგანიზაციები შეიძლება მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყოს ეკლესიებთან და ამ კავშირს შეიძლება ოფიციალური სახე ჰქონდეს წესდებების და დებულებების სახით. ასეთი ორგანიზაციების დენომინაციური იდენტიფიკაცია, ზოგადი თვალსაზრისით, დაცულია სამოქალაქო კოდექსით. ეს ორგანიზაციები ექვემდებარება კანონმდებლობას, რომლებიც მართავს ხსენებულ საქმიანობას⁴²¹. აღნიშნული კანონმდებლობის ფარგლებში შეიძლება საჭირო იყოს სპეციალური დებულებები, რათა გაითვალისწინონ დენომინაციური ასპექტები.

წინამდებარე მასალა გვიჩვენებს, რომ კანონმდებლობაში ძირითადად გათვალისწინებულია ეკლესიის ორგანიზების თავისუფლება და ორგანიზაციის თავისუფლება რელიგიის საფუძველზე. პერიოდულად შეიძლება წარმოიქმნას

419 იხ. მაგ. F.T. Oldenhuis, *Kerkgenootschappen en hun zelfstandige onderdelen*, წყარო: WPNR 5865 (1988), გვ. 155-159.

420 სოფი ს. ბრიჯსტერველდი, ეკლესიასთან დაკავშირებული საქველმოქმედო, არაკომერციული ინსტიტუტები და მათი ურთიერთობა ეკლესიასთან, სახელმწიფოსთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ბაზართან. პოლანდიური გამოცდილება, ევროპის კონსორციუმი ეკლესიის და სახელმწიფო კვლევის საკითხებში. წყარო: Inger Dübeck, Frands Ole Overgaard (ed.), *სოციალური უზრუნველყოფა, რელიგიური ორგანიზაციები და სახელმწიფო*, ევროპის კონსორციუმი ეკლესიისა და სახელმწიფო კვლევების საკითხებში, შეხვედრის მასალები, 18-20 ნოემბერი, 1999 წელი, მილანი 2003, გვ. 137-155. საეკლესიო მასალების და სამოქალაქო სასამართლოს მასალების შესახებ, სოფი ს. ვან ბრიჯსტერველდი, ეკლესიის ავტონომია ნიდერლანდებში. ეკლესიის განსხვავებულობა, ურთიერთქმედება სამართლებრივ, სახალხო და საეკლესიო პერსპექტივებზე. ეკლესიის ავტონომია როგორც "ტესტირების შემთხვევა, წყარო: Hildegard Warnink (ed.), *ეკლესიების და ეკლესიების ავტონომიის სამართლებრივი პოზიცია*, Leuven: Peeters, 2001, p. 147-163; A.H. Santing-Wubs, *Kerken in geding: de burgerlijke rechter en kerkelijke geschillen*, Den Haag: Bju 2002.

421 იხ. აგრეთვე ქვემოთ, ნაწილი VIII.

პრობლემები. ეს არის საკანონმდებლო შემთხვევა, რომელიც თავისთავად არ უკავშირდება ეკლესიას ან რელიგიას, მაგრამ მან შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკლესიასა და რელიგიაზე, მაგალითად, კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციების დემოკრატიზაციას, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას ან თანაბარი მოქცევის კანონმდებლობას.

რომელიმე ტიპის სამართლებრივი ერთეულისთვის შედეგი შეიძლება ყოველთვის არ იყოს დამაკმაყოფილებელი. ნებისმიერ შემთხვევაში დენომინაციური ორგანიზაციების თავისუფლებას ჩვეულებრივ უფრო ნაკლებ პატივს სცემენ, ვიდრე ეკლესიას, როგორც ოურიდიულ პირს, დამოუკიდებელი ერთეულების და სტრუქტურების ჩათვლით, რომლებშიც გაერთიანებულია ეკლესიები. დამოუკიდებელი გაერთიანებების კრიტერიუმების გარშემო დისკუსია ასევე დამატებით განზომილებას იძენს იმ სამართლებრივ შედეგებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას.

3. ეკლესიები და პოლიტიკური სისტემა

პოლიტიკურ ცხოვრებაში ეკლესიების ან საეკლესიო წარმომადგენლების მონაწილეობის საკითხებზე არ არის საკანონმდებლო აქტი ან საპრეცედენტო სამართალი.⁴²² სასულიერო პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკაში ან ფლობენ სახელმწიფო თანამდებობებს, არ ექმნებათ არანაირი დაბრკოლება. ანალოგიურად, ეკლესიებს შეუძლიათ და მონაწილეობენ საჯარო დებატებში. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ან დენომინაციები სხვადასხვაგვარ მონაწილეობას იღებენ აღნიშნულ საქმიანობაში.⁴²³ იგივე ეხება მონაწილეობის გზას და ფორმას.

ნიდერლანდებში ეკლესიები მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმეებში. ეკლესიათა საბჭო ნიდერლანდებში ფორუმია, რომელშიც ფართო სპექტრის ქრისტიანული ეკლესიები თანამშრომლობენ. ისინი ერთობლივად იღებენ განცხადებებს და აკეთებენ კომენტარებს სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე ერთობლივი ინტერესების სფეროში არსებული სამართლებრივი საკითხების შესამუშავებლად ეკლესია-სახელმწიფოს განხრით, რომელიც მოიცავს ისეთ ასპექტს, როგორცაა რელიგიის თავისუფლება. ებრაელთა საზოგადოება და ქრისტიანული ეკლესიები თანამშრომლობენ "Interchurch Contact in Goovernment Affairs"-ის ("სამთავრობო საქმეებში ეკლესიათაშორისი კონტაქტები") –

422 იხ ქვემოთ, ნაწილი XI.

423 Henk Vroom, Henk Woldring (eds.), *Religies in het publieke domein*, Zoetermeer 2002.

(Interkerkelijk Contact in Overheisaken – CIO) ფარგლებში იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ კონტაქტი სახელმწიფო ხელისუფლებასთან ეროვნულ დონეზე. თანამშრომლობის ეს ფორმები ხელს არ უშლის ეკლესიებს, იმოქმედოს საკუთარი სახელით ამ სფეროებში. მუსლიმანი მორწმუნეები კვლავ ერთობლივი ორგანიზაციის შექმნის პროცესში არიან, მან უნდა წარმოადგინოს სხვადასხვა ისლამური საზოგადოება ნიდერლანდებში, რათა შეინარჩუნოს კონტაქტი სახელმწიფო ხელისუფლებასთან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც წარმოდგენილია პარლამენტში (ორივე პალატაში), აქვს კონფესიური საფუძველი. მათგან ყველაზე გავლენიანია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (CDA), რომელიც მუდმივადაა წარმოდგენილი პოლანდის პოლიტიკაში. გარდა ქრისტიან-დემოკრატებისა, ამჟამად ეროვნულ დონეზე კიდევ ორი (მცირე) რეფორმირებული პარტია არსებობს.

V. ეკლესია და კულტურა

გასული საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა განსხვავებას სახელმწიფო (სახელისუფლებო) განათლებასა და კერძო განათლებას შორის. ამ განსხვავების საფუძველზე ხდებოდა თავისუფალი, კერძო განათლების მხარდაჭერა, ხოლო კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო განათლებაზე. განათლების თავისუფლება გარანტირებული იყო 1848 წლის კონსტიტუციით. მომდევნო პერიოდში მსჯელობა ძირითადად მიმდინარეობდა სახელმწიფო სკოლების გარშემო, განსაკუთრებით რელიგიის როლზე ამ სკოლებში და კერძო სკოლების ფინანსურ პოზიციაზე. დაწყებითი სკოლის განვითარება ტონს აძლევდა განათლების სისტემის სხვა სტრუქტურებს.

მითითება, რომ სახელმწიფო განათლების სისტემა გავრცელდეს “ყველა რელიგიასა და რწმენაზე”⁴²⁴ შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც ნეიტრალური პუნქტი, რომელიც მოითხოვს პოზიტიურ დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ. სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილია რელიგიური ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვა. მიღებულია ზომები, რათა ყურადღება მიექცეს რელიგიურ განათლებას სახელმწიფო სკოლებში. ამ სფეროში სწავლება ტარდება სურვილის მიხედვით. მთელი რიგი სასამართლო გადაწყვეტილებები ადგენს, რომ არარელიგიური განათლების შეთავაზება და სუბსიდირება იმგვარადვე უნდა მოხდეს, როგორც საეკლესიო განათლების.

424 პუნქტი 23-ე, ნაწილი მე-3, Const.

განათლების თავისუფლება გულისხმობს სკოლის დაარსების თავისუფლებას, დენომინაციის თავისუფლებას და სკოლის მართვის თავისუფლებას⁴²⁵. კერძო სკოლების დაფინანსებას სახელმწიფო აწარმოებს იმ პირობით, რომ ისინი უპასუხებდნენ რიგ საგანმანათლებლო სტანდარტებს და ემორჩილებოდნენ წაყენებულ ფინანსურ პირობებს. ეს მიდგომა აისახა 1917 წლის კონსტიტუციაში ზოგადი დაწყებითი სკოლებისთვის⁴²⁶. სხვა მოთხოვნებს შორის კანონმდებელი აკონკრეტებს რიგ კრიტერიუმებს სკოლის დაარსებისათვის. სტანდარტების და პირობების შემუშავებისას კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს და პატივი სცეს დენომინაციის და სკოლის მართვის თავისუფლებას⁴²⁷. ამ თავისუფლების ზუსტი ზღვრის დადგენა და კანონმდებლის უფლებები მასთან დაკავშირებით ამჟამად კამათის საგანია.

კერძო (დენომინაციურ) სკოლებში შეიძლება შეიქმნას ლოიალური პირობები მათი კადრების დენომინაციური შეხედულებების გათვალისწინებით. მოსწავლეების მიღების საკითხები შეიძლება აგრეთვე დაექვემდებაროს ამგვარ პირობებს⁴²⁸.

უმალესი განათლების სფეროში საჭიროა კერძო უნივერსიტეტის და სახელმწიფო უნივერსიტეტის გამიჯვნა. კერძო (დენომინაციური) უნივერსიტეტები შეიქმნა გასული საუკუნის ბოლოს. ამ უნივერსიტეტებს აფინანსებს სახელმწიფო იმ პირობით, თუ ისინი აკმაყოფილებს რიგ საგანმანათლებლო სტანდარტებს და ემორჩილება ფინანსურ ნორმატივებს.

კერძო უნივერსიტეტების ლეთისმეტყველების ფაკულტეტებმა სტუდენტებს შეიძლება შესთავაზოს პროგრამები, რომელთაც გააჩნია კვალიფიკაცია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მისაღებად, ისევე, როგორც პროგრამები სასულიერო მსახურების განათლების მიზნით⁴²⁹. გარდა ამ ინსტიტუტებისა, ეკლესიები ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო ცენტრებს, რომლებიც თავად ეკლესიის ფინანსურ და ადმინისტრაციულ კონტროლქვეშაა.

425 ეგრეთ წოდებული “stichting, richting, inrichting”-ის თავისუფლება. იგი რთული გადასათარგმნია.

426 აგრეთვე გამოიყენება სხვა სკოლებისთვისაც.

427 იხ. A.K. Koekkoek, სახელმწიფო კონტროლი განათლებაზე ნიდერლანდებში, წყარო: E.H. Hondius, G.J.W. Steenhoff (eds.), ნიდერლანდების ანგარიში შედარებითი სამართლის მეცამეტე საერთაშორისო კონგრესზე (მონრეალი 1990), ჰააგა 1990.

428 თანასწორობის აქტის შესაბამისად (1994 წლის 2 მარტის აქტი, შტბ. 230), მოცემული უფლებები გარკვეულწილად შეზღუდულია. იხ. ქვემოთ.

429 ზოგიერთ ამ უნივერსიტეტს აქვს ლეთისმეტყველების მხოლოდ ერთი ფაკულტეტი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტი არ ამზადებს სტუდენტებს ეკლესიაში მღვდლის პოსტისთვის, როგორც ეს ადრე ხდებოდა რეფორმირებული ეკლესიისთვის 1876 წლამდე. ეკლესიის მღვდლის პოზიციისთვის საჭირო განათლებით უზრუნველყოფა ევალებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტებს და ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. ზოგიერთი ეკლესია აფუძნებდა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან კოლეჯებს, რომელთაც აგრეთვე აფინანსებდა სახელმწიფო.

რელიგია მნიშვნელოვანი ფაქტორია მედიის სფეროშიც. სამაუწყებლო დრო განანილებულია სამაუწყებლო კომპანიებს შორის. მედიის კანონის შესაბამისად, ეს კომპანიები, რომლებიც სამოქალაქო სამართლის მიხედვით ასოციაციებია, წარმოადგენენ კონკრეტული საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური ან რელიგიური და სულიერი ტენდენციის მატარებლებს და კონცენტრირებას ახდენენ მოსახლეობის შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. თვითოეული კომპანიისათვის გამოყოფილი დრო დამოკიდებულია იმ წევრების რაოდენობაზე, რომლებიც მასში შედიან. ზოგიერთ ამ კომპანიას აქვს დენომინაციური წარსული.

ეკლესიებისთვისაც არის გამოყოფილი სამაუწყებლო დრო. რეალურად ეკლესიების დიდი რაოდენობა მაუწყებლობს ტელევიზიასა და რადიოში. ამ მიზნით ეკლესიებს შეუძლიათ იმუშაონ მათი რელიგიური მიმდინარეობის სამაუწყებლო კომპანიასთან. მათ აგრეთვე შეუძლიათ აწარმოონ მაუწყებლობა საკუთარი სახელით. კანონმდებლობა მედიის შესახებ ადგენს სამაუწყებლო დროის პროცენტს ისევე, როგორც არეგულირებს სხვადასხვა ფინანსურ საკითხს.

ეკლესიები ჩვეულებრივ წარმოდგენილი არაა სახელმწიფო საბჭოებსა და ოფიციალურ საკონსულტაციო კომიტეტებში. მსგავსი სტრუქტურების შემადგენლობის განსაზღვრისათვის საჭიროა ბალანსის მოძიება მისი მახასიათებლების, ისევე როგორც მისი წევრების პოლიტიკური და დენომინაციური საფუძვლის გათვალისწინებით.

VI. შრომითი კანონმდებლობა ეკლესიაში

შრომითი კანონმდებლობის სფეროში რელიგიისა და საეკლესიო ორგანიზაციების თავისუფლება სხვადასხვაგვარად რეგულირდება. მაგალითად, შრომითი ურთიერთობის კანონის შესაბამისად, რელიგიურ ორგანიზაციაში სასულიერო თანამდებობის პირის განთავისუფლების შემთხვევაში საჭირო არ არის სახელმწიფო ხელისუფლების რაიმე ნებართვა. ამ დებულების მნიშვნელობა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობისთვის ნათლად იყო ნაჩვენები

უმალღესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში. თავდაპირველად ისლამური სასულიერო მოღვაწე არ მიიჩნეოდა რელიგიური თანამდებობის პირად. შესაბამისი გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმ გარემოებით, რომ სხვაგვარად იგი ვერ მიიღებდა დაცვას თავისი სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში. უმალღესმა სასამართლომ მიიღო სანინალმდეგო გადაწყვეტილება და ხაზი გაუსვა დებულების მნიშვნელობას ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობაში⁴³⁰. ეკლესიები, მათი დამოუკიდებელი ერთეულები ისევე, როგორც სასულიერო პირები, თავისუფალნი არიან “ზოგადი თანასწორობის აქტის” გამოყენებისგან⁴³¹.

ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ ახორციელებს კონტროლს შრომით ურთიერთობაზე ეკლესიის შიგნით. როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი არ უკრძალავს სასამართლოებს თავიანთი ზოგადი დებულებების გამოყენებას, რომლებიც ეხება სამართლებრივ ერთეულებს, “იმ პირობით, რომ ისინი არ ეწინააღმდეგება ეკლესიების წესდებასა და მათი შიდა ურთიერთობის ზოგად დებულებებს”. ეს ზოგადი დებულებები გულისხმობს, რომ სასამართლოს უფლება აქვს, გაუქმებულად გამოაცხადოს “კეთილსინდისიერი” გადაწყვეტილების სანინალმდეგოდ იურიდიული პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უმალღესმა სასამართლომ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება, ეხებოდა ეკლესიის მღვდელს, რომელიც აპროტესტებდა თავის განთავისუფლებას⁴³².

ტრადიციულად, შრომითი ურთიერთობა ეკლესიის მსახურსა და ეკლესიას შორის არ განიხილება, როგორც დასაქმების კონტრაქტი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად⁴³³. მას შემდეგ, რაც სოციალური უზრუნველყოფის სასამართლომ 1977 წელს მიიღო სხვადასხვა დადგენილება, ნათელი გახდა, რომ სოციალური უზრუნველყოფის სფეროში გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ პერიოდამდე სასულიერო პოსტების მქონენი არ ექვემდებარებოდნენ სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობას, რადგან არ არსებობდა დაქვემდებარების ელემენტები, რომლებიც საჭირო იყო ზემოაღნიშნული კანონის გამოსაყენებლად.

430 HR 30 მაისი 1986, NJ 1986, 702; იხ. აგრეთვე აღნიშნულთან დაკავშირებით ეკლესიის წესდების გამოყენება – Rb. Groningen, 21 დეკემბერი 1990, KG 1991, 90.

431 იხ. აგრეთვე Rb. Den Bosch 11 დეკემბერი 1992 (გამოუქვეყნებელი).

432 HR 15 მარტი 1985, NJ 1986, 191.

433 იხ. J.J. Oostenbrink, Een relativering van “godsdienstig karakter”, წყარო: Een stellig karakter, Zwolle 1982, p. 73-87; და A. Jacobs, შრომის და სოციალური უზრუნველყოფა და ეკლესიები ნიდერლანდებში, წყარო: ევროკავშირის ქვეყნები. ევროპის კონსორციუმი საეკლესიო და სახელმწიფო კვლევის საკითხებში. შეხვედრის მასალები, მადრიდი, ნოემბერი 27-28, 1992, მილანი/მადრიდი 1993, გვ. 215-230.

1977 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თავად სამუშაოს არსებობის ფაქტი, რომელიც იყო სასულიერო ხასიათის, არ გამორიცხავდა დასაქმების კონტრაქტის არსებობას. შეხედულების ცვლილება გამოიხატა დეტალურ საპრეცედენტო სამართალში, რომელიც ყოველთვის არ არის ადვილად მისაღწევი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ასრულებს თუ არა მომსახურე პირი თავის სამუშაოს ვინმეს დაქვემდებარებაში, რაც აუცილებელი პირობაა დაქირავების კონტრაქტისთვის. ითვლება, რომ მღვდლები ეკლესიაში არ აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს.

ჩვეულებრივ სამოქალაქო სასამართლოებში, რომლებშიც სამსახურიდან განთავისუფლების საკითხები განიხილება, არსებული კატეგორიები შეიძლება განსხვავდებოდეს სოციალური უზრუნველყოფის სფეროს კანონმდებლობაში მოცემული კატეგორიებისგან. უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ეკლესიის მღვდელთან დაკავშირებით, რომ მას არ ჰქონდა დასაქმების კონტრაქტი. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პერსპექტივამ და ეკლესიის ორგანიზაციის თავისუფლებამ⁴³⁴. ჩატარდა ანალიზი, იყო თუ არა ეს სამუშაო დაქვემდებარებით შესრულებული სამუშაო. სასამართლოს ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა იმამს, მიიღეს გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ დასაქმების კონტრაქტი არსებობდა⁴³⁵.

შრომითი ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ხორციელდება, მაგრამ რომლის განხორციელებაშიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს ეკლესია (მაგალითად, სამუშაო, რომელსაც ასრულებენ საეკლესიო პირები საავადმყოფოებში ან მოხუცებულთა სახლებში, ან სხვა სოციალურ დაწესებულებებში), სამოქალაქო სასამართლოების მიერ ჩვეულებრივ კლასიფიცირდება როგორც განხორციელებული დასაქმება კონტრაქტებით. დასაქმების არსს შეადგენს საეკლესიო მისია. როდესაც სასულიერო დაწესებულების მოთხოვნები აღარ სრულდება, რაც ეკლესიის გადასაწყვეტი საკითხია, დასაქმების კონტრაქტის საფუძველიც ქრება. პრობლემები თავს იჩენს, როდესაც ეკლესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემყარება მიზეზს, რომელიც დაკავშირებულია საეკლესიო წარმომადგენელთან და სხვა პირის შემთხვევაში არ იქნებოდა საფუძვლიანი მიზეზი მისი განთავისუფლებისთვის. მაგალითად, (მეორედ) ქორწინება.

434 HR 14 ივნისი 1991, NJ 1992, 173; გადაწყვეტილება საპირისპირო იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსი და სააპელაციო სასამართლოსი. უფრო დაბალი რანგის სასამართლოებმა შეიძლება დასკვნან, რომ დასაქმების კონტრაქტი არსებობს, მაგ, Rb. Breda 3 თებერვალი 1987, KG 1987, 103; Ktr.Den Bosch 2 თებერვალი 1988, NJ 1992, 173.

435 HR 17 ივნისი 1994, RvdW. 136.

ამგვარი სიტუაციაა ისეთ სახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორებიცაა: შეიარაღებული ძალები და სასჯელაღსრულების დანესებულებები. განსხვავება ისაა, რომ ეკლესიის მსახურებს ამ შემთხვევაში აქვთ სამხედრო ან საჯარო მოხელის სტატუსი. სასამართლოს დადგენილებაში, რომელიც ეხება სასულიერო დახმარებას სასჯელაღსრულების ინსტიტუტში, აღიარებულ იქნა, რომ ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის ასპექტები თავის როლს ასრულებს საჯარო მოსამსახურის შესახებ შესაბამისი კანონის გამოყენებაში⁴³⁶.

დენომინაციური ინსტიტუტები არარელიგიური ფუნქციების შემსრულებელი პერსონალისთვის იყენებს ზოგადად მიღებულ დასაქმების კონტრაქტებს. ინსტიტუტის იდენტიფიკაციის მიხედვით შეიძლება დასაბუთდეს ლოიალურობის სპეციფიკური მოთხოვნები. საკითხავი ისაა, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს იგი. ეს ძირითადად საპრეცედენტო კანონმდებლობის საქმეა, რომელშიც სასამართლოები აბალანსებს მხარეთა ინტერესებს. “თანასწორი მიდგომის აქტი” ყურადღებას ამახვილებს სასამართლოების მიერ საკითხების ზედმიწევნით განხილვაზე. აქტის შესაბამისად, სკოლებს მინიჭებული აქვს მოქმედების მეტი თავისუფლება.

კოლექტიური შრომითი ურთიერთობა ეკლესიების შიგნით არ არის კარგად განვითარებული⁴³⁷. შრომითი პირობების დადგენა ხდება ერთპიროვნულად. პროფკავშირები, ტერმინის კლასიკური გაგებით, არც კი არსებობს. სხვადასხვა პროფესიული ჯგუფი ეკლესიის შიგნით, თუმცა კი ახდენს საკუთარი თავის ორგანიზებას და მონაწილეობას იღებს დისკუსიებში შრომის პირობებზე, მაგრამ მათ სხვადასხვა სტატუსი გააჩნია.

VII. კანონი ქორწინების და ოჯახის შესახებ

რელიგიას ზოგადად შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კერძო ინდივიდებს შორის ურთიერთობაში, როგორც სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტორმა საოჯახო ურთიერთობაში. იმის გამო, რომ კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საოჯახო ურთიერთობას, არ არის კონკრეტული რელიგიასთან მიმართებაში, სასამართლოები იღებს გადაწყვეტილებებს საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით რელიგიური ასპექტების გათვალისწინებით. საეკლესიო ცნებების ინტერპრეტაციის დროს სასამართლოებს შეუძლია რელიგიური ფაქტორის მხედველობაში მიღება კონკრეტული დენომინაციისთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე.

436 Rb. Assen 23 მარტი 1993, (არ არის გამოქვეყნებული).

437 იხ. A. Jacobs, op.cit., გვ. 225.

კანონმდებლობა ადგენს ურთიერთობას სამოქალაქო ქორწინებასა და “რელიგიურ ქორწინებას” შორის. ქორწინების ინსტიტუტი ნათლად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, იგი მხოლოდ შემოიფარგლება რელიგიურ პროცედურებთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ იგი განიხილავს ქორწინებას მხოლოდ სამოქალაქო ასპექტის თვალსაზრისით. რელიგიური ცერემონია ქორწინებასთან დაკავშირებით⁴³⁸ არ არის სამართლებრივად სავალდებულო და არ შეიძლება ჩატარდეს იურიდიულად კანონიერ ქორწინებამდე. სამოქალაქო კოდექსი ერთმნიშვნელოვნად ადგენს სამოქალაქო ქორწინების უპირატესობას რელიგიურ ქორწინებასთან შედარებით. საეკლესიო მსახური, რომელიც ატარებს რელიგიურ საქორწინო ცერემონიას და წინასწარ არ ამონიშნავს კანონიერად სავალდებულო ქორწინების არსებობას, ექვემდებარება სასამართლო პასუხისმგებლობას⁴³⁹. უკანასკნელ ხანს ამ საკითხთან დაკავშირებით კამათს არ გამოუწვევია რაიმე ცვლილება კანონმდებლობაში.

საეკლესიო ქორწინების კანონიერების უარყოფა ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევების შედეგია. სამოქალაქო ქორწინების უპირატესობის გამართლებამ არ უნდა შექმნას საფუძველი სამართლებრივი შედეგების გაურკვევლობისათვის. ეს ჩამოყალიბებულია ევროპული კონვენციის მე-9 პუნქტში. 1971 წელს ნიდერლანდების უმაღლესმა სასამართლომ მიიღო ამ სისტემის, როგორც რელიგიური თავისუფლების⁴⁴⁰, დასაბუთებული შეზღუდვის დადგენილება.

2002 წლიდან ერთი და იმავე სქესის პირებს შეუძლიათ იქორწინონ⁴⁴¹. ყველა ეკლესია არ აღიარებს ერთი და იმავე სქესის ქორწინებას რელიგიური თვალსაზრისით და ამის გამო ისინი უფლებას არ იძლევიან საეკლესიო ცერემონიის ჩატარებაზე ასეთი ურთიერთობის გასაფორმებლად. 2002 წელს სამოქალაქო კოდექსში⁴⁴² უკვე შემოიღეს ეგრეთ წოდებული “რეგისტრირებული პარტნიორობის” ცნება. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსების კონფერენციამ განსაზღვრა, რომ აკრძალვა ქორწინებაზე ვრცელდება რეგისტრირებულ პარტნიორობაზეც.

ოჯახურ ურთიერთობაში შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტი, რომელიც თავისი ფესვებით დაკავშირებულია რელიგიასთან. მაგალითად, კონფლიქტი მეუღლეებს შორის, ან მშობლებსა და შვილებს შორის. სასამართლოები აღიარებენ, რომ

438 პუნქტი.1:68 სამოქალაქო კოდექსი.

439 პუნქტი.449 სისხლის სამართლის კოდექსი.

440 HR 22 ივნისი 1971, NJ 1972, 31.

441 იხ. პუნქტი 1: 30 სამოქალაქო კოდექსი.

442 იხ პუნქტი 1: 80 ff. სამოქალაქო კოდექსი.

რელიგიურმა განსხვავებამ შეიძლება გამოიწვიოს მეუღლეთა გაუცხოება, რომლის დროსაც განქორწინების მოთხოვნა დასაბუთებული იქნება. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ მშობლის მხრიდან რელიგიურ საფუძვლზე ქორწინების შესახებ უარი არ არის მისაღები. მეორე მხრივ, მშობლებს უფლება აქვთ, უარი უთხრან პასპორტის გაცემაზე ქალიშვილს, რომელიც აპირებს საზღვარგარეთ სამოგზაუროდ წასვლას მეგობარ ბიჭთან ერთად. რელიგიური რწმენა ან ეკლესიის წევრობა არ გადაეცემა მემკვიდრეობით.

მაშინაც კი, როდესაც რელიგიური მოტივი თავისთავად არ არის კონფლიქტის საფუძველი, მას მხედველობაში იღებენ. მეურვეობის შემთხვევაში რელიგიურ საფუძველს იღებენ მხედველობაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს მხარეების მოტივაცია. ამ სფეროს ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, ხდება საპრეცედენტო კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლოები ამ საქმეებს განიხილავს მოთხოვნის საფუძველზე⁴⁴³.

VIII. ეკლესიის ფინანსები

ზოგადად, სახელმწიფო დახმარება ეკლესიებისთვის არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ეკლესიასა და რელიგიას წლების განმავლობაში სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა მიზეზით. ეს დახმარებები შეზღუდული სახისაა. მათი რეგულირების სამართლებრივი ბაზა განსხვავდება ერთმანეთისგან. ფინანსური ურთიერთობა არ არის ნახსენები კონსტიტუციაში⁴⁴⁴.

1980-1990 წლებში ფინანსური ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სერიოზული მსჯელობის საგანი იყო. ამ დისკუსიის შედეგი იყო ის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ფინანსური დახმარების განევა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის ნებადართულია განსაკუთრებულ ვითარებაში, რათა რელიგიის თავისუფალი გამოხატულება არ გახდეს

443 უფრო რთულ და წინააღმდეგობრივ საკითხს, რომელიც ეხება ოჯახებს, წარმოადგენს ის, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს ჩაერიოს შვილად აყვანის პროცესში ან რიც სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

444 წინათ კონსტიტუცია შეიცავდა სპეციალურ პუნქტს აღნიშნულ თემაზე (იხ. ზემოთ). მხოლოდ კონსტიტუციის დამატებით პუნქტებში არის მისი კვალი, რომელმაც დაკარგა თავისი ძალა. მოსალოდნელია, რომ იგი ამოიღონ მიმდინარე გამოცემიდან.

ილუმორული⁴⁴⁵. ამრიგად, კაბინეტმა ღიად დატოვა არაქრისტიანული უმცირესობისთვის მშენებლობის დაფინანსების საკითხი, თუმცა ამჟამად არცაა ამის საჭიროება. ხანდახან ფინანსურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები მიიღება საქალაქო მშენებლობის განახლებული პროექტების შექმნის პროცესში.

ფინანსურ დახმარებას უწევენ კონკრეტულ საეკლესიო წარმომადგენლებს რელიგიური სამსახურისთვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: შეიარაღებული ძალები და სასჯელაღსრულების ინსტიტუტები. ამჟამად ასეთი დახმარების საფუძველია პირების მიერ რელიგიის თავისუფალი გამოვლენის უფლება ამგვარ ინსტიტუტებში. შეიარაღებული ძალების მიმართ სპეციალური დამოკიდებულება არის ეთიკური კონფლიქტის ელემენტი, რომელიც აგრეთვე თავის როლს თამაშობს მის გამართლებაში.

ისეთ ინსტიტუტებში, როგორებიცაა: საავადმყოფოები და მოხუცებულთა სახლები, ხდება სპეციალიზებული სასულიერო მომსახურება. იგი ფინანსდება მსგავსი ინსტიტუტების საერთო ფონდებიდან. სასულიერო მომსახურება განიხილება, როგორც საყოველთაო ზრუნვის მნიშვნელოვანი ელემენტი. მომსახურების ორგანიზებას სპეციალურ ინსტიტუტებში მნიშვნელობა აქვს სასულიერო ზრუნვის გასაწევად. გარდა ამისა, არსებობს ფინანსური დახმარება, რომელიც არ არის პირდაპირ მიმართული ეკლესიისა და რელიგიისკენ, არამედ კონცენტრირებას ახდენს სხვა ასპექტებზე. საგადასახადო შეღავათები არსებობს სხვადასხვა ფორმით. საეკლესიო შემონირულება, ისევე როგორც სხვა საქველმოქმედო ინსტიტუტების შემონირულებები, განთავისუფლებულია გადასახადისგან. ეს ეხება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე კორპორაციებს ან ინსტიტუტებს.

უძველესი საეკლესიო მონუმენტები, მსგავსად სხვა ძეგლებისა, იღებს სახელმწიფო სუბსიდიებს ალდგენისა და მოვლისთვის. გარდა ცენტრალური სამთავრობო ფონდებისა, არის აგრეთვე ადგილობრივი სიები და სუბსიდიები. ეს სუბსიდიები მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურებს საჭირო ხარჯებს, ამიტომ სასულიერო საზოგადოებას, რომელიც იყენებს ამა თუ იმ საეკლესიო შენობას, მნიშვნელოვანი ხარჯის განევა უწევს მის შესანახად. მაგალითად, შენობები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება აღმსარებლობის მიზნით, არ არის შეტანილი ადგილობრივ განაკვეთებში.

445 Kamerstukken II, 1989-1990, 20 868, no. 2; Kamerstukken II, 1990- 1991, 20 868, no. 3; UCV 47, 22 june 1992, Handelingen II, 1991-1992. კომიტეტის ანგარიში, Overheid, godsdienst en levensovertuiging, eindrapport van de Commissie van advies inzake de criteria voor steunverlening door de overheid aan kerkgenootschappen en andere genootschappen op geestelijke grondslag, 's-Gravenhage 1988.

ადგილობრივი მთავრობები აფინანსებს სოციალური აქტივობის ფართო სპექტრს. მათ არ აკისრია ასეთი ვალდებულება, მაგრამ, თუკი ისინი ამას აკეთებენ, არც დენომინაციური საქმიანობა უნდა იქნეს გამორიცხული. მხედველობაში მიიღებენ იმ გარემოებას, თუ დენომინაციური წარმომავლობა სუბსიდირების საკითხთან დაკავშირებით განსხვავების საფუძველს ქმნის. რაც შეეხება სოციალური მუშაობის საკვანძო სფეროებს, როგორცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა, დაფინანსების სტრუქტურა საკმაოდ რთულია. თუმცა დენომინაციური ინსტიტუტები ისეთივე მონაწილეობას იღებს მასში, როგორც სხვა ინსტიტუტები⁴⁴⁶.

IX. სასულიერო დახმარება საჯარო ინსტიტუტებში

სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებში, როგორებიცაა: შეიარაღებული ძალები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტები, ინსტიტუტები ახალგაზრდებისთვის და მოხუცებულთა სახლები, ხდება სპეციალიზებული სასულიერო მომსახურების განევა. ეკლესია განიხილავს ასეთ მომსახურებას, როგორც ხელმისაწვდომ ამოცანას, რომელიც მას შეუძლია გაუწიოს ადამიანებს განსაკუთრებულ სიტუაციებში. სპეციალიზებული სასულიერო დახმარების ისტორია სხვადასხვა ინსტიტუტში, მისი დაფინანსება, სტრუქტურები და მისი სპეციფიკური სამართლებრივი ბაზები განსხვავდება, თუმცა არსებობს მსგავსების რიგი მახასიათებლები.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობიდან გამომდინარე, სასულიერო დახმარების ამ ფორმებს განსაკუთრებული პოზიცია უკავია. მართალია, სასულიერო დახმარების აღმოჩენა თავად ეკლესიის სფეროა და პასუხისმგებლობა, სახელმწიფო მაინც იღებს თავის თავზე თავის წილ პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა ვითარების შესაბამისად განსხვავებულია იმ პირობების მიხედვით, რომლებშიც მიმდინარეობს სასულიერო დახმარების განევა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის ფუნდამენტურ თავისუფლებებს.

446 პრობლემები თავს იჩენს საბიუჯეტო შეკვეცის დროს, აგრეთვე იძულებითი გაერთიანების დროს. ინფორმაციისათვის იხ. ზემომოყვანილი მასალა.

მთავრობის ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ამ დანესებულებებთან მთლიანობაში უნდა განისაზღვროს სასულიერო დახმარების განვების პირობები. იმ ინსტიტუტებში, რომელთა სრულ კონტროლს და დაფინანსებას ახდენს სახელმწიფო, როგორებიცაა, ვთქვათ, სასჯელაღსრულების ინსტიტუტები, მთავრობის პასუხისმგებლობა სასულიერო დახმარების აღმოჩენის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. იმ სოციალურ ინსტიტუტებში, რომლებსაც მთავრობა მხოლოდ ორგანიზაციულ სტრუქტურას განსაზღვრავს, მთავრობის პასუხისმგებლობა სხვა ფორმას იღებს.

ის საფუძველი, რომელიც ამ საქმიანობაში მთავრობის მონაწილეობას განსაზღვრავს, შეიძლება დაზუსტდეს ყველა ტიპის ინსტიტუტისათვის. ამისთვის მნიშვნელოვანია ისეთი დეტალები, როგორებიცაა, მაგალითად, სასჯელაღსრულების დანესებულებებში ყოფნა, კონფრონტაცია ეთიკური ხასიათის კონფლიქტებთან (შეიარაღებული ძალები) და შეზღუდული ხელმისაწვდომობა რეგულარულ სასულიერო მომსახურებაზე, ორგანიზაციის ხასიათიდან (საავადმყოფოები) გამომდინარე.

ნათელია, რომ სასულიერო მომსახურება არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს დენომინაციური პრეფერენციების მქაძარი პროპორციულობის საფუძველზე. აუცილებელია თანამშრომლობა დენომინაციებს შორის⁴⁴⁷. სახელმწიფო ინსტიტუტებში ეკლესიის მსახურს პასუხისმგებელი სამთავრობო მინისტრი ნიშნავს ეკლესიის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან.

საკმაოდ განსხვავებულია ის სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც რეგულირდება სასულიერო დახმარება⁴⁴⁸. სასჯელაღსრულების ინსტიტუტებში ამის საფუძველია საპარლამენტო აქტი. შეიარაღებული ძალების ამგვარი საჭიროებისათვის თანხები გათვალისწინებულია ბიუჯეტში. კონკრეტული სამსახურები თავად უფრო დეტალურად აგვარებს ამ საკითხებს. არ არსებობს რაიმე საპარლამენტო აქტი, რომელიც იძლევა ჯანდაცვის დანესებულებებში სულიერი ზრუნვის ნებართვას. სამინისტროს სუბსიდიებსა და ნორმატივებში ნახსენებია სასულიერო მომსახურება. ასევეა ახალგაზრდობის ინსტიტუტებსა და მოხუცებულთა სახლებშიც.

ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზის არსებობის სურვილი მხოლოდ თეორიაში არაა. პრაქტიკულად, ამგვარი სამართლებრივი ბაზა აუცილებელი გარანტიაა, რადგან მოსალოდნელია ძირეული ცვლილებები ორგანიზაციის

447 აგრეთვე არაქრისტიანული რელიგია და არარელიგიური რწმენა.

448 იხ. Overheid, godsdienst en levensovertuiging, op cit.

სტრუქტურებსა და ზემონახსენები ინსტიტუტების დაფინანსებაში. საკვანძო სიტყვები ამ პროცესში არის “დეცენტრალიზაცია” და “საბიუჯეტო დაფინანსება”. სასულიერო მომსახურების ხელმისაწვდომობა ინსტიტუტებში, გარდა შეიარაღებული ძალებისა, უზრუნველყოფილია საპარლამენტო აქტით..

X. სისხლის სამართლის კანონი და რელიგია

სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს რელიგიის მხოლოდ რამდენიმე დებულებას. საჯაროდ გამოხატული ღვთისგმობის სხვადასხვა ფორმა ისჯება 147-ე მუხლის “ა” პუნქტით. უნდა აღინიშნოს, რომ საეჭვოა მოხდეს ბრალდება ამ პუნქტების საფუძველზე. საჯარო ღვთისგმობის შემცველი მასალების ბეჭდვა ისჯება 419-ე მუხლის “ბ” პუნქტით.

სისხლის სამართლის 137-ე მუხლის “გ-ე” პუნქტების მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივ ადგილებში სიტყვიერი ან წერილობითი გამონათქვამები, რომლებიც შეურაცხყოფელია ადამიანებისთვის მათი რელიგიიდან, რწმენიდან ან რასიდან გამომდინარე, ან რომლებიც აღვივებს სიძულვილს ადამიანების წინააღმდეგ, ან გამიზნულია მათი დისკრიმინაციისკენ. საბრალდებო განაჩენის გამოტანა ამ პუნქტების საფუძველზე პერიოდულად ხდება⁴⁴⁹.

რელიგიასთან დაკავშირებული გამონათქვამები ან რელიგიის შეურაცხყოფელი გამონათქვამები შეიძლება გახდეს სამოქალაქო სასამართლო საქმეების წამოწყების საფუძველი. ამ შემთხვევაში სასამართლო ჩვეულებრივ აბალანსებს მონაწილე მხარეების ინტერესებს, იღებს რა მხედველობაში ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა: რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება და არადისკრიმინაციულობის პრინციპი. სამოქალაქო საკითხების სასამართლოს განხილვის პროცესში მეორე მხარის მიმართ გაკეთებული გამონათქვამი შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ მაშინაც კი, თუ ეს გამონათქვამი ჩვეულებრივ არ ექვემდებარება სასამართლო გარჩევას.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა კავშირშია სისხლის სამართლის კანონი და რელიგია, არის აღსარების საიდუმლოს დაცვა, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი⁴⁵⁰.

449 იხ. S.C. van Bijsterveld, ‘De controversiële godsdienst – en meningsuiting’, in: *Ars Aequi juli/augustus* 2003, p.533-540.

450 იხ. აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის პუნქტი 272-ე პროფესიულ საიდუმლობაზე.

XI. სასულიერო პირის სამართლებრივი სტატუსი

არ იქნება სწორი იმის განცხადება, რომ სასულიერო პირებს აქვთ სპეციალური სამართლებრივი სტატუსი. თუმცა კანონმდებლობის კონკრეტული სფეროები ახსენებს სასულიერო თანამდებობებს. შრომითი კანონის სფეროში, მაგალითად, ზოგადი წესებიდან გამონაკლისი კეთდება სასულიერო თანამდებობის ქონასთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლოებმა ინტერპრეტაციით შეიძლება განიხილონ ეკლესიის შიგნით ის ურთიერთობები, რომლებიც განსხვავებულია შრომითი კონტრაქტისგან⁴⁵¹.

სხვა სფერო, რომელიც უნდა ვახსენოთ, არის სამხედრო სამსახური. სამხედრო განვევის კანონი უზრუნველყოფს საფუძვლის არსებობას სასულიერო ნოდების მქონე პირებისათვის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. იგივე ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც ელოდებიან ხელდასმას. ამ მიზნით კანონმდებლობა დეტალურად განიხილავს სპეციფიკურ სასულიერო თანამდებობებს კონკრეტულ ეკლესიებში. მიუხედავად ამისა, ეს სია არ არის სრული.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულად ითვლება რელიგიური პირის შეურაცხყოფა მის მიერ თავისი მოვალეობის კანონიერად განხორციელების დროს⁴⁵². გარდა ამისა, განხილულია სიძულვილით გამოწვეული დანაშაული რელიგიის საფუძველზე⁴⁵³. ამ პუნქტების საფუძველზე არ არის მოსალოდნელი სასამართლო ბრალდების არსებობა⁴⁵⁴. ნორმატივებში, რომლებიც ეხება სპეციალურ რელიგიურ მსახურებას, ნახსენებია ეკლესიის მსახურის თანამდებობა, ისევე, როგორც კანონმდებლობაში, რომელიც ეხება რელიგიურ და სამოქალაქო ქორწინებას⁴⁵⁵.

451 იხ. ზემოთმოყვანილი, ნაწილი VI.

452 Art.147, introduction and sub 2, Criminal Code.

453 იხ. 147-ე პუნქტის სხვა ნაწილები, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის პუნქტი 147”ა”.

454 429-ე პუნქტი განმეორებით და 137-ე მუხლის “გ-ე” პუნქტები სისხლის სამართლის კოდექსში (დისკრიმინაცია) თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს. ეს პუნქტები არ არის განსაკუთრებულად დაკავშირებული რელიგიის მსახურებთან. იხ. აგრეთვე პუნქტი 145-ე, 146-ე, სისხლის სამართლის კოდექსი ცერემონიების დარღვევის შესახებ.

455 იხ. ზემოთ, ნაწილი VII.

ნარსულში არსებობდა დებულებები, რომლებიც გამოორიცხავდა რელიგიური წოდების მქონე პირის წევრობას სამთავრობო რეპრეზენტაციულ საბჭოებში. 1848-1887წწ. სასულიერო წოდების მქონე პირები არ შეიძლება არჩეული ყოფილიყვნენ და გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები. 1931 წლამდე იგივე დებულებები ფიგურირებდა ადგილობრივი საზოგადოებების აქტში მუნიციპალური საბჭოებისათვის. ასეთი დაბრკოლება ამჟამად აღარ არსებობს.

XII. მოვლენების განვითარება

კანონმდებლობის და მთლიანობაში საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებები გავლენას ახდენს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე და რელიგიის და რწმენის თავისუფლებაზე ნიდერლანდებში. ამან შესაძლოა არ გამოიწვიოს რადიკალური სამართლებრივი ცვლილებები ამ სფეროში, თუმცა იგი აუცილებლად იქონიებს გავლენას იმ პრინციპებზე, რომლებზეც ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა და რელიგიის ან რწმენის თავისუფლებაა დამყარებული.

ამ ურთიერთობის ერთ-ერთი თავისებურება დაკავშირებულია იმიგრაციის და ისლამის მიმდევრების ზრდასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა თავისთავად არ არის ახალი, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უფრო მძაფრი გახდა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს აისახება ინტეგრაციის პოლიტიკის, “ფასეულობების და ნორმების”, ასევე ისლამისა და ქრისტიანობის ურთიერთობის განახლებული მიმართულებების შესახებ დებატებში. უფრო ფართო კონტექსტში კი მოვლენათა განვითარება – კანონისა და მორალური პრინციპების შესაბამისობის განხრით ⁴⁵⁶.

456 იხ. აგრეთვე Sophie van Bijsterveld, ცარიელი ტახტი: დემოკრატია და კანონის უზენაესობა გარდამავალ პერიოდში, ულტრეხტი, 2002.

XIII. ბიბლიოგრაფია

S.C. van Bijsterveld, Church Autonomy in the Netherlands. The Distinctiveness of the Church. The Interplay between Legal, Popular, and Ecclesiastical Perspectives. Church Autonomy as a 'Test Case', in: Hildegard Warnink (ed.), Legal Position of Churches and Church Autonomy, Leuven 2001, p. 147-163.

S.C. van Bijsterveld, 'De controversiële godsdienst- en meningsuiting', in: *Ars Aequi* juli/augustus 2003, p. 533-540.

S.C. van Bijsterveld, 'Freedom of Religion: Legal Perspectives', in: Richard O'Dair, Andrew Lewis (eds.), *Law and Religion. Current Legal Issues 2001 (Vol. 3)*, Oxford, p. 299-309.

S.C. van Bijsterveld, *Godsdienstvrijheid in Europees perspectief*, Deventer 1998.

S.C. van Bijsterveld, Religious Liberty and Church Autonomy in the Netherlands, in: Gerhard Robbers (ed.), *Church Autonomy: A Comparative Survey*, Frankfurt am Main, 2001, p. 59-75.

Gerard Dekker, Joep de Hart, Jan Peters, *God in Nederland, 1966-1996*, Amsterdam 1997.

E.M.H. Hirsch Ballin et.al., *Kerk en Staat. Hun onderlinge verhouding binnen de Nederlandse samenleving*, Baarn 1987.

A. Jacobs, Labour and social security law and the churches in the Netherlands, in: *Churches and Labour Law in the EC Countries*, European Consortium for Church and State Research, Proceedings of the meeting Madrid, November 27-28, 1992, Milan/Madrid 1993, p. 215-230.

H. Knippenberg, *De religieuze kaart van Nederland*, Assen 1992.

B.C. Labuschagne, *Godsdienstvrijheid en niet-gevestigde minderheden. Een grondrechtelijk-rechtsfilosofische studie naar de betekenis en grenzen van religieuze tolerantie*, Groningen 1994.

J.J.M. Maeijer, *Rechtspersoon, godsdienst en levensovertuiging*, Mededelingen der KNAW, Afd. Letterkunde, Amsterdam 1986.

J.J. Oostenbrink, *Een relativering van «godsdienstig karakter»*, in: *Een stellig annotator*, Zwolle 1982.

Overheid, godsdienst en levensovertuiging, eindrapport van de Commissie van advies inzake de criteria voor steunverlening door de overheid aan kerkgenootschappen en andere genootschappen op geestelijke grondslag (Commissie-Hirsch Ballin), 's-Gravenhage 1988.

J.A.F. Peters, (ed.), Kerk en Staat. Actuele ontwikkelingen belicht, Zwolle 1989.

A.H. Santing-Wubs, Kerken in geding: de burgerlijke rechter en kerkelijke geschillen, Den Haag 2002.

H. Schaeffer et.al. (ed.), Handboek Godsdienst in Nederland, Amersfoort 1992.

B.P. Vermeulen, 'Artikel 6', in: A.K. Koekkoek (ed.), De Grondwet. Een systematisch en artikelsgewijs commentaar, Deventer 2000, p. 93-108.

Henk Vroom, Henk Woldring (eds.), Religies in het publieke domein, Zoetermeer 2002.

Annual publications:

The annual proceedings of the European Consortium for Church and State Research.

The European Journal for Church and State Research, with an annual review of developments in the Netherlands.

სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში

1. სოციალური საკითხები

2001 წლის აღწერის თანახმად, ავსტრიის მოსახლეობის რელიგიური და აღმსარებლური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

რომაულ-კათოლიკური ეკლესია	73,66 %
პროტესტანტები	4,68 %
მაჰმადიანები	4,30 %
მართლმადიდებლები	2,17 %
იელოვას მონაწილეები	0,29 %
ძველი კათოლიკეები	0,18 %
ბუდისტები	0,13 %
ებრაელები	0,10 %
ორმოცდაათიანელები	0,09 %
ორიენტალისტი (აღმოსავლური) მართლმადიდებლები	0,06 %
ევანგელისტები	0,06 %
მეშვიდე დღის ადვენტისტები	0,05 %
ახალი სამოციქულო ეკლესია	0,05 %
პირები აღმსარებლობის გარეშე	11,99%

II. ისტორიული წინაპირობა

სოციალურ-კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა გავლენა აისახა ავსტრიის რელიგიის კანონში, ჰაბსბურგების კონტრ-რეფორმაციასა და ჟოზეფ II-ის განმანათლებლურ ეკლესიაში უნდა ვეძიოთ. ამ ფაქტორების გავლენა მე-19 ან მე-20 საუკუნეებში გრძელდებოდა. რელიგიის კანონის ზუსტი განმარტება ძნელია. ამჟამინდელი საეკლესიო კანონმდებლობა მომდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემიდან, რომლებიც ავსტრიაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოქმედებდა და განსაზღვრავდა შესაბამისი ეპოქების რელიგიურ პოლიტიკას.

1867 წლის მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების საკონსტიტუციო აქტი (Staatsgrundgesetz - StGG) ჯერ ისევ ძალაში რჩება. მასში აისახა სახელმწიფოში აღმსარებლობის გავლენის შემცირება და აღმსარებლობის თვალსაზრისით ნეიტრალური სისტემის წარმოშობა საეკლესიო საკითხებში. ამავე დროს, სახელმწიფო და ადმინისტრაცია პრაქტიკულად აგრძელებდა ეკლესიის მიმართ კეთილგანწყობილ პოლიტიკას. 1920 წლის ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კონსტიტუციაში (Bundesverfassungsgesetz – B-VG) StGG პრაქტიკულად შენარჩუნდა, რადგან ფუნდამენტური კანონების ასალ პაკეტზე შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იყო. რელიგიის კანონის გადასინჯვა აუცილებლად მიიჩნეოდა და თავიდან ამ პროცესმა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიაზე მოახდინა გავლენა.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მიიღეს კონკორდატი, რომელიც 1934 წლის 1 მაისს შევიდა ძალაში ერთიან ავტორიტარულ კონსტიტუციასთან ერთად.

ნაციტურ გერმანიასთან 1938 წლის 13 მარტის “ანშლუსის” შემდეგ ავსტრიის სახელმწიფო გაუქმდა. 1934 წლის კონკორდატიც გაუქმებულად გამოცხადდა და იმის გამო, რომ გერმანიის რეიხის კონკორდატის მოქმედება ავსტრიაზე არ გავრცელდა, ავსტრიაში კონკორდატის მოქმედება შეწყდა.

1945 წელს, ავსტრიის სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, რელიგიასთან დაკავშირებული რამდენიმე კანონპროექტი თითქმის ერთდროულად გადაეცა განსახილველად რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს⁴⁵⁷.

თავდაპირველად ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში 1934 წლის კონკორდატის მოქმედება გაურკვეველი იყო. 1957 წლის ფედერალურმა ხელისუფლებამ აღიარა კონკორდატის კანონიერება და დაიწყო რელიგიური საკითხების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე მუშაობის აქტიური პერიოდი, რამაც ფაქტობრივად განაპირობა ზოგიერთი აღიარებული ეკლესიის და რელიგიური ერთობისთვის⁴⁵⁸ შექმნილი კანონების განახლება. რელიგიურ

457 განსაკუთრებით ქორწინების და გაყრის 1938 წლის 6 ივლისის კანონი, Gesetz vom 6. Juli 1938 zur Vereinheitlichung des Rechts der Eheschließung und Ehescheidung (im Land Österreich und im übrigen Reichsgebiet). იხ. ქვემოთ კანონი საეკლესიო კონტრიბუციაზე, Gesetz über die Erhebung von Kirchenbeiträgen im Lande Österreich.

458 განსაკუთრებით მხედველობაში მისაღება ხელშეკრულებები პაპის ხელისუფლებასთან 1960 წელს. 1961 წლის პროტესტანტების აქტი (ProtestantenG) და 1967 წლის მართლმადიდებლების აქტი (OrthodoxenG). ასევე მიღებული იყო 1982 წლის ისლამის აღიარების დეკრეტი (Islam-AnerkennungsVO) და ცვლილებები 1984 წლის ებრაელების აქტში (IsraelitenG).

კანონმდებლობაზე მუშაობის შემდგომი გამოცოცხლება მოხდა უკანასკნელ წლებში და მისი მიზანი იყო ახალი რელიგიური მიმდინარეობების⁴⁵⁹ წარმოშობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

III. საკონსტიტუციო გარანტიები

1. პრინციპები

რელიგიასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო დებულებები ავსტრიის კანონმდებლობაში შეტანილია 1867 წლის 21 დეკემბრის Staatsgrundgesetz (StGG)-ით, რომელიც ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ კანონად გამოცხადდა ავსტრიის 1920 წლის Bundes-Verfassungsgesetz-ის (B-VG)-ის 149(1)-ე მუხლით. რელიგიური უფლებების ინდივიდუალურ გარანტიებს შეიცავს მე-14⁴⁶⁰ მუხლი, ინსტიტუციურ გარანტიებს კი – მე-15 მუხლი. ასევე მნიშვნელოვანია რელიგიის სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მოცემულია წმ. გერმენის ხელშეკრულებაში (1919⁴⁶¹ წლის 10 სექტემბერი) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-9 მუხლში, რომელსაც საკონსტიტუციო სტატუსი აქვს. საკონსტიტუციო და საერთაშორისო კანონმდებლობა რელიგიური თავისუფლების დაცვის საკითხებზე ასევე შეიცავს გარკვეულ გარანტიებს. მათში შეტანილია განსხვავებული აღმსარებლობის გამო დისკრიმინაციაზე უარის თქმის ზოგადი ნორმები.

2. რელიგიის თავისუფლების ყოველმხრივი დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკონსტიტუციო ნორმამ გადაფარა უკვე მოძველებული ცალკეული გარანტიები (რწმენის, სინდისის, კულტის და კონფესიის თავისუფლებები) და გააერთიანა ერთ “საერთო კანონში ადამიანის

459 განსაკუთრებით 1998 წლის BekGG და 1998 წლის Sektenstellenf

460 განსაკუთრებით StGG-ის ნაწილი მე-14; (1) რწმენის და სინდისის სრული თავისუფლება ყველასათვის გარანტირებულია.

461 პუნქტი V (უმცირესობების დაცვა) წმ. გერმენის ხელშეკრულების ნაწილში III უნდა განვიხილოთ, როგორც საკონსტიტუციო კანონი 1920-ის B-VG მუხლის 149 თანახმად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუხლი 63(2): “ავსტრიის ყველა მოქალაქეს აქვს საჯაროდ ან განმარტოებით ნებისმიერი რწმენის რელიგიის ან კონფესიის თავისუფლად განხორციელების უფლება”.

უფლებების შესახებ”⁴⁶². რელიგიის თავისუფლების მრავალმხრივმა იდეამ ყველასთვის ნათელი გახადა, რომ საკონსტიტუციო წესრიგი იცავს არა მარტო რელიგიურ კონფესიას, არამედ მსოფლმხედველობასაც (Weltanschauung), რომელიც არ არის რელიგიასთან დაკავშირებული ცნება.

რელიგიის თავისუფლების კონცეფციის არსი შეხედულებების თავისუფლების პატივისცემაა. სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ შეხედულებების თავისუფალ რეალიზებას განათლების სფეროში და თუ საჭიროა მათ განხორციელებას ალტერნატიული ქმედებებით კანონმდებლობის საბაზისო პრინციპებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე⁴⁶³.

სინდისის თავისუფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასახვა უნდა ვეძებოთ თავდაცვის კანონში. თუ სამხედრო სამსახურში გასანგევი პირი ღიად აცხადებს, რომ ის ვერ შეასრულებს სამხედრო ვალდებულებას, იმიტომ რომ სხვა პიროვნების წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას არ მიიჩნევს დასაშვებად თავის შეხედულებებთან დაკავშირებული პრინციპების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს საჭირო იქნება თავდაცვისთვის ან თავდასხმისგან სხვის დასაცავად, მისთვის სამხედრო სამსახურის დაძლევა აშკარად მორალური კონფლიქტის საფუძველია. ასეთმა პირმა უნდა გაიაროს ალტერნატიული სოციალური სამსახური (ZivildienstG-2(1))⁴⁶⁴.

განათლების კანონის თანახმად, სინდისის თავისუფლება ითვალისწინებს შესაძლებლობას, თავი აარიდო რელიგიის გაკვეთილებს სკოლაში (RelUG 1(2)) და მასწავლებლების უფლებას, უარი თქვან სწავლებაზე რომელიმე აღმსარებლობის კერძო სკოლაში (PrivSchG, ნაწილი მე-20). უნივერსიტეტების დონეზე დირექტორებს და სტუდენტებს უფლება აქვთ არ მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო ამოცანების შესრულებაში, თუ ისინი ეწინააღმდეგება მათ აღმსარებლობას (UniversitätsG, ნაწილი 105-ე).

მედიცინის კანონი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციას იმათ წინააღმდეგ, ვინც რწმენის გამო მიიღებს ან არ მიიღებს მონაწილეობას აბორტის (Strafgesetzbuch, ნაწილები 97(2)-ე და მე-(3)) ან სამედიცინო ჩარევის გამოყენებით ბავშვის ჩასახვის ოპერაციებში (FortpflanzungsG, ნაწილი მე-6).

462 W. Berka, Die Europäische Menschenrechtskonvention und die Österreichische Grundrechtstradition, in: ÖJZ 34/1979, p. 428.

463 იხ. E.W. Böckenförde, Das Grundrecht der Gewissensfreiheit, in: Staat-Gesellschaft-Freiheit, ფრანკფურტი მაინზე 1976, გვ.287.

464 1990 წლის აქტის ცვლილებების გათვალისწინებით.

რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ნებისმიერი რწმენა, ასევე შეიცვალოს ან უარი თქვას მასზე სახელმწიფოს ან საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ჩარევის გარეშე. ეს ფუნდამენტური უფლება შეესაბამება რელიგიიდან განდგომის დებულებას, რომელიც აღიარებული ეკლესიის ან რელიგიური ერთობის შემთხვევაში უნდა გაცხადდეს სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე, რათა ძალაში შევიდეს (InterkonfG 1868, ნაწილი 6). რეგისტრირებული რელიგიური ერთობის შემთხვევაში ფორმალური დებულება განდგომის საკითხზე, მართალია, არ არის სამართლებრივად გათვალისწინებული (BekGG, ნაწილი 4(1)(4)), მაგრამ ნევრობის შეწყვეტა შეიძლება გაცხადდეს რაიონის ადმინისტრაციული ოფისის წინაშე (BekGG, ნაწილი 8(1)).

3. ფუნდამენტური უფლებების დაცვა

რელიგიის თავისუფლება, წარმოადგენს რა ფუნდამენტურ უფლებას, სუბიექტური საზოგადოებრივი უფლებების რიცხვში შედის და მისი დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო ან უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოს (B-VG, მუხლი 144(1)-ე) ამოცანაა ფუნდამენტური უფლებების დაცვა იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული ხელისუფლების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ არის შეტანილი და მომჩივანი ასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციური განკარგულებით ან კანონით (Sonderverwaltungsgerichtshof) თავისი ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების დარღვევას. უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო ახორციელებს კონტროლს კანონის დაცვაზე იმ საჩივრებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით იყო შეტანილი მას შემდეგ, რაც სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა კანონიერი საშუალება ამოიწურა (B-VG, მუხლი 131(1)).

4. ზოგადი კანონმდებლობის დებულებები

სახელმწიფო კანონმდებლობა, რომელიც რელიგიას ეხება, ორ კატეგორიად იყოფა: პირველ კატეგორიაში ერთიანდება რელიგიის კანონთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, 1874 წლის აღიარების აქტი (AnerkennungsG), 1998 წლის კონფესიების აქტი (BeKGG) და 1868 წლის კონფესიათა შორის ურთიერთობის აქტი. მეორე კატეგორიაში მოიაზრება აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების იურიდიული სტატუსის საკითხები. ეკლესიის და სახელმწიფოს სპეციალური კანონი, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას ეხება, ავსტრიაში ტრადიციულად ყალიბდებოდა პაპის ხელისუფლებასთან შეთანხმებებით. ეს ხელშეკრულებები აღიარებულია საერთაშორისო შეთანხმებებად sui generis და ექვემდებარება ცვლილებების პროცედურას (B-VG, მუხლი 50).

ავსტრიის ამჟამინდელი საკონსტიტუციო კანონმდებლობის თანახმად, უკვე აღარ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ეკლესიისა და სახელმწიფოს კანონმდებლობის შეთანხმებათა გზით ჩამოყალიბებისთვის.

სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობაში ბევრი სხვადასხვაგვარი ნიუანსის არსებობის პირობებში საეკლესიო კანონმდებლობამ დროთა განმავლობაში მთლიანად მოიცვა სამართლებრივი წესრიგის ყველა სფერო: “აქედან გამომდინარე, ის იჭრება ყველა სფეროში, შემოიფარგლება რა მხოლოდ რელიგიასთან შესაბამისობით”.

5. ავსტრიის სამართლებრივი სისტემის ძირითადი საკითხები

ავსტრიაში სახელმწიფოს და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი სისტემა ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს – რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის ინდივიდუალური თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას და საზოგადოებაში რელიგიური გაერთიანებების კორპორაციული საქმიანობის გარანტიას, რომელიც გამომდინარეობს ფუნდამენტური უფლებებიდან. ავსტრიაში არ არის ერთი აღიარებული ეკლესია: ინსტიტუციურ დონეზე სახელმწიფო და რელიგიური ერთობები განცალკევებულია. ამავე დროს, სახელმწიფო თანახმაა, რომ ეკლესიებმა და რელიგიურმა ერთობებმა იღვანოს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ სისტემის ძირითადი იდეა საზოგადოებაში პლურალისტური რელიგიების დამკვიდრებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფაა იმ პრინციპის დაცვით, რომ სახელმწიფო არ განახორციელებს მის სუვერენობას.

IV. ზოგადი (სახელმწიფო) კანონმდებლობა

1. რელიგიური ერთობების იურიდიული სტატუსი

ა) აღიარებული ეკლესიები და რელიგიური ასოციაციები

აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების იურიდიული სტატუსის კონსტიტუციური საფუძველი შეიძლება ვიხილოთ StGG-ის მე-15 მუხლში:

კანონმდებლობით აღიარებული ყველა ეკლესია და რელიგიური გაერთიანება უფლებამოსილია განახორციელოს ერთობლივი რელიგიური საზოგადოებრივი საქმიანობა, ავტონომიურად მართოს შიდა საქმეები და საკუთრებაში ჰქონდეს

და გამოიყენოს თავის დაქვემდებარებაში არსებული დანესებულებები, შემონირულებები და ფონდები ღვთისმსახურების, სწავლების და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა იგი ნებისმიერი გაერთიანების მსგავსად ექვემდებარება ქვეყნის ზოგად კანონმდებლობას.

ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის კორპორაციებად ჩათვლა ნაკლებპოზიტიური სამართლებრივი შინაარსის მქონეა, ვიდრე ის კვალიფიკაცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არ მიიჩნევს რელიგიას კერძო საკითხად. ეკლესიები ზოგადად ყოველთვის არის ნაგულისხმები კორპორაციების შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობით სხვა რამ არის დადგენილი⁴⁶⁵. 1874 წლის აღიარების აქტი (AnerkennungsG) განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიპოვონ ამა თუ იმ აღმსარებლობის მიმდევრებმა სამართლებრივი აღიარება. ამ აქტის პირველი ნაწილის თანახმად, რელიგიური ასოციაციის სახით აღიარებას სამართლებრივი აღიარების არმქონე აღმსარებლობის მიმდევრები მიაღწევენ შემდეგი პირობების თანახმად: „(1) რელიგიური სწავლება, ღვთისმსახურება, წესდებები და დასახელებები არ უნდა შეიცავდეს რაიმე უკანონოს ან მორალურად შეურაცხყოფელს და (2) გარანტირებულია, სულ მცირე, ერთი საკულტო ერთობის შექმნა და არსებობა ამ კანონის მოთხოვნების თანახმად“.

ეს დებულება იმპლიმეტირებულ იქნა და მას დაემატა 1998 წლის BeKGG-ს ნაწილი II. აღიარებისათვის საჭირო პირობებს შორის მორწმუნეთა რაოდენობის პირობა იმდენად შემზღუდავი ხასიათისაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ იელოვას მონაწილეები შეძლებდნენ მის დაკმაყოფილებას. ამ პირობის თანახმად, მორწმუნეები უნდა შეადგენდნენ ავსტრიის მოსახლეობის, სულ მცირე, 2%-ს მაინც უკანასკნელი აღწერის (2001 წლის აღწერით – 16 066) მიხედვით.

აღიარების აქტის თანახმად, ამა თუ იმ აღმსარებლობის ცნობა უნდა მოხდეს დეკრეტით⁴⁶⁶. 1998 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლომ დაამტკიცა სამართლებრივად განხორციელებადი აღიარების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ აღიარება უნდა მოხდეს დეკრეტით, აღიარებაზე უარის თქმის ოფიციალური შეტყობინება აუცილებლად უნდა გაიცეს, რითაც უზრუნველყოფილია უზენაეს

465 მაგალითად, კანონი “კერძო რადიომუშყეობის შესახებ” და კანონი “ბეჭდვითი მედიის სუბსიდირების შესახებ” იხილეთ ქვემოთ.

466 აღიარების აქტის საფუძველზე დღეისათვის დეკრეტის ძალით ცნობილია: ძველი კათოლიკური ეკლესია (1877), მეთოდისტური ეკლესია (1951), უკანასკნელი დღის წმინდანების – იესო ქრისტეს ეკლესია (მორმონები) (1955), ახალი სამოციქულო ეკლესია ავსტრიაში (1975), ავსტრიის ბუდისტთა რელიგიური ასოციაცია (1983).

ადმინისტრაციულ სასამართლოში გასაჩივრების საშუალება⁴⁶⁷. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ეს იურიდიული მოთხოვნა დაადასტურა 1997 წელს⁴⁶⁸.

იმ ეკლესიების და რელიგიური ერთობების დებულებებს, რომლებიც აღიარების აქტებადაა ცნობილი, შეგვიძლია ამ დოკუმენტებში გავეცნოთ. ამავე დროს, პრაქტიკა, რომლებიც „ისტორიულად აღიარებულ“ ეკლესიებს და რელიგიურ ერთობებს ეხება, სპეციალური კანონებით ვითარდება.

ამის მაგალითია პაპის ხელისუფლებას და ავსტრიის სახელმწიფოს შორის 1933 წლის 5 ივნისს გაფორმებული კონკორდატი, დამატებითი პროტოკოლითა და შეთანხმებებით⁴⁶⁹.

კონკორდატის თანახმად, სახელმწიფო გარანტიას აძლევს ეკლესიას, რომ შეუძლია მიიღოს კანონები, გამოსცეს დეკრეტები და განკარგულებები თავისი კომპეტენციის სფეროებში დაბრკოლების გარეშე (მუხლი 1(2)-ლი). კანონიერი სამართლის შესაბამისად, კათოლიკური ეკლესიის სამართალ-სუბიექტ ინსტიტუციებს აქვს საჯარო სტატუსიც სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით. ის დაწესებულებები, რომლებიც მომავალში უნდა დაფუძნდეს, მიიღებს სახელმწიფო დაწესებულებების სტატუსს მაშინვე, როგორც კი შეტყობინებას დაფუძნების თაობაზე წარადგენენ კომპეტენტურ ფედერალურ სამინისტროში (მუხლი მე-2). რელიგიური ეპარქიების დაფუძნება და მნიშვნელოვანი ცვლილებები საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა მოხდეს ფედერალურ

467 VfSlg 11.931/1988. თუ პიროვნება ეთანხმება საინააღმდეგო სამართლებრივ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც აღიარების აქტი არ იძლევა განხორციელების სამართლებრივ უფლებას, საკონსტიტუციო განსხვავებას აღიარებულ ან არაღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს შორის არავითარი სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს. სხვაგვარად ეს იქნებოდა თანაბარი მიდგომის პრინციპის (დასაბუთების მოთხოვნა) და კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს, რომ კანონით მინიჭებული უფლება ასევე განხორციელებადი უნდა იყოს.

468 1997 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით, 96/10/0049.

469 1960 წლის შეთანხმება, რომელიც შეეხებოდა ქონებრივი ურთიერთობის მონესრიგებას 1996 წლის 5 დამატებითი შეთანხმების ჩათვლით. შეთანხმება, რომელიც ეხებოდა სასკოლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს და 1962 წლის პროტოკოლის მიღებას. შეთანხმებები, რომლებიც ეპარქიების დაფუძნებას ეხებოდა და ადგენდა ბურგენლანდის სამოციქულო ადმინისტრაციული ერთეულის ეპარქიად გარდაქმნას 1960 წელს, ასევე ინსბრუკ-ფელდკირჩის სამოციქულო ადმინისტრაციული ერთეულის ეპარქიად გარდაქმნას 1964 წელს და ფელდკირჩის ეპარქიის დაფუძნებას 1968 წელს.

ხელისუფლებასთან შეთანხმებით (მე-3 მუხლი)⁴⁷⁰. სახელმწიფოს მონაწილეობა საეკლესიო პოსტებზე დანიშვნისას არ არის გათვალისწინებული, გარდა „პოლიტიკური მუხლით“ დადგენილი შემთხვევისა, რომელიც არქიეპისკოპოსებს შეეხება (მე-4 მუხლი)⁴⁷¹. კონკორდატში არის თეოლოგიური ფაქტორების, რელიგიური ორდენების, ეკლესიის ქონებისა და სხვადასხვა დანესტრუქტურების საქმიანობაში სასულიერო პირების მონაწილეობასთან დაკავშირებული წესები. კონკორდატის ინტერპრეტირებაში სირთულეების ან სახელმწიფოსა და ეკლესიაზე გავლენის მქონე ისეთი პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც ჯერ არ ყოფილა განხილული, უნდა მოხდეს მათი დარეგულირება მოლაპარაკებით (მეგობრობის მუხლი) ან ერთობლივი დადგენილების მიღებით.

1961 წლის ProtestantenGG არის პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიების თანაბარი მდგომარეობისკენ მიმავალი პროცესის დამაგვირგვინებელი დოკუმენტი. კონკორდატთან შედარებით უფრო ახალი ეს სამართლებრივი აქტი მეტი რელიგიური თავისუფლების გარანტიას იძლევა. ProtestantenG-ს ნაწილი 1(1)-ლი ცალ-ცალკე სამართლებრივ აღიარებას აძლევს აუგსბურგულ კონფესიას და პელვეტიკური კონფესიის ეკლესიას, ასევე დამატებით აუგსბურგის ეკლესიისა და პელვეტიკური კონფესიების მათი თხოვნის შემთხვევაში.

პროტესტანტული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან თანამდებობის პირის დანიშვნისას. თუმცა ის ვალდებულია დაასახელოს იურიდიული სტატუსის მქონე მისადმი დაქვემდებარებული ყველა კანონიერი წარმომადგენელი და აცნობოს სახელმწიფოს მათი გვარები პროტესტანტული ეკლესიის მმართველი ორგანოს წევრების გვარებთან ერთად.

1967 წლის Orthodoxen-ით ავსტრიაში არსებული რელიგიური ერთობების პარალელურად პირველად იქნა აღიარებული ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. სახელმწიფო კანონმდებლობის მიზნებისათვის წევრობა მართლმადიდებლური რწმენის ყველა ადამიანისთვის, ვისაც აქვს მუდმივი მისამართი (ან ვისაც არ აქვს მუდმივი მისამართი, მაგრამ აქვს საცხოვრებელი ადგილი) ფედერალურ

470 შეთანხმებები ეპარქიების დაარსებაზე იხილეთ წინა შენიშვნაში.

471 ამ მუხლის თანახმად ავსტრიის ფედერალური ხელისუფლება ინფორმირებული უნდა იყოს არჩეული პირის თაობაზე. ხელისუფლებას შეუძლია შემდგომში დაასახელოს ზოგადი პოლიტიკური ხასიათის პირობები. თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, პაპის ხელისუფლებას შეუძლია დანიშნოს მის მიერ შერჩეული კანდიდატი. პოლიტიკური პირობა დღეისათვის მცირე პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია. თუმცა, ის უფლებას აძლევს პაპის ხელისუფლებას აწარმოოს მოლაპარაკება ხელისუფლებასთან ადრეულ ეტაპზე, თუ სავარაუდოა, რომ კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება განსხვავებული აზრი გაჩნდეს.

ტერიტორიაზე, გამომდინარეობს უშუალოდ კანონიდან. მართლმადიდებლური ეკლესიის შიდა სტრუქტურების გამო, რომლებიც გარკვეული წინააღმდეგობისკენაა მიდრეკილი, სახელმწიფო ვალდებულად თვლის თავის თავს კანონში შეიტანოს მეთვალყურეობის უფლების დებულებები. ამ დებულებებთან დაკავშირებით გაჩნდა მოსაზრება, რომ ისინი არ შეესაბამება კონსტიტუციას.

1890 წლის IsraelitenG ეფუძნებოდა ერთგვაროვანი რელიგიური ერთობის კონცეფციას: თითოეული ებრაელი მიეკუთვნებოდა იმ ტერიტორიული ერთეულის რელიგიურ ერთობას, სადაც ჰქონდა მუდმივი მისამართი. 1984 წელს ამ წესში შევიდა ცვლილება. ამჟამად აღიარების აქტის⁴⁷² თანახმად, თითოეულ ებრაელთა ერთობას უფლება აქვს მიიღოს აღიარება, როგორც დამოუკიდებელმა რელიგიურმა ერთეულმა. მიღების დროიდან გამომდინარე, IsraelitenG გამოირჩევა სახელმწიფოსთვის საეკლესიო კანონმდებლობაზე სუვერენობის მინიჭებით და შეიცავს სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების რამდენიმე უფლებას. ეს უფლებები მათი თავდაპირველი ფორმით აღარ ხორციელდება.

მუსლიმანებს თავდაპირველად მხოლოდ 1912 წლის IslamG-ით მიეცათ აღიარებული რელიგიური ერთობის მიმდევრების სტატუსი, რადგანაც მაჰმადიანობის ინსტიტუციონალური აღიარება AnnerkennungsG-ით დადგენილი პროცედურით შეუძლებელი იყო. მუსლიმური რელიგიური ერთობის ინსტიტუციონალური აღიარება მოხდა 1988 წელს დეკრეტის მეშვეობით, რომელიც შვიდ პუნქტში აჯამებს იმ ელემენტებს, რომლებიც უნდა შევიდეს „განსაკუთრებით“ რელიგიური გაერთიანების საწესდებო დოკუმენტში, მის გარე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ისლამის წესების განხორციელებასთან დაკავშირებულმა სამართლებრივმა საკითხებმა ფუნდამენტურად ლიბერალური გადაწყვეტა პოვა ავსტრიაში არა მხოლოდ ამ რელიგიური ერთობის კანონიერი საზოგადოებრივი სტატუსის გამო. ცხოველთა რიტუალური მსხვერპლშენიშვა არ არის წინააღმდეგობაში „საზოგადოებრივ მორალთან“ ან „საზოგადოებრივ წესრიგთან“, თუ ის ხორციელდება lege artis თანახმად. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მე-19 საუკუნის ბოლოდან და ახლახან დადასტურებულ იქნა საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების⁴⁷³ მიერ.

472 ამ დებულებას სჭირდება მიზნობრივი ინტერპრეტაცია, თუ მხედველობაში მივიღებთ ეკ-ს ნაწილს 11, რომელიც აღიარებისათვის საჭირო მორწმუნეთა მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს.

473 VwSlg 10666/1897; VwSlg 5248 A/1907; OGH 28.3.1996, 15 Os 27, 28/96; VfSlg 15394/1998.

ფუნდამენტური უფლებების ფასეულობათა იერარქიის და ყველა სხვა გარემოებების გათვალისწინებით ცხოველთა უფლებების დაცვა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე პირის მიერ რელიგიური აღმსარებლობის განხორციელება.

დღემდე ავსტრიაში არ ყოფილა არც ერთი პრეცედენტი ისლამურ თავსაბურავთან დაკავშირებით. როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად თავსაბურავის ტარება არ არის რამე მნიშვნელობის მქონე იდენტიფიკაცია? საკუთარ რწმენაზე გადაბირების ან იდეების თავსმოსხვევის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, იმ პირს, ვინც ამგვარ თავსაბურავს ატარებს, არ ექმნება პრობლემა სასწავლო პროცესისას.

2003 წლის Orientalen-მა ბოლო მოუღო უსამართლო ურთიერთდამოკიდებულებას კოპტურ-მართლმადიდებლურ ეკლესიას და ორ სხვა ორიენტალისტურ მართლ-მადიდებლურ ეკლესიას შორის, რომლებიც უკვე აღიარებული იყო. ესენია სომხური სამოციქულო ეკლესია – 1973 წლიდან და სირიული მართლმადიდებ-ლური ეკლესია – 1985 წლიდან. ეს ეკლესიები, დოქტრინების თვალსაზრისით, არ განსხვავდება, თუმცა კანონიკურად დამოუკიდებელნი არიან. ამ კანონის მიზანი იყო ისეთი საკანონმდებლო გარემოს შექმნა, რომელიც არა მარტო პატივს სცემს ორიენტალისტურ მართლმადიდებლურ შინაგანანებს, არამედ ქმნის მათთვის ერთგვაროვან და განსაკუთრებულ რელიგიის კანონს.

ბ) რეგისტრირებული რელიგიური ერთობები

რელიგიური ერთობების იურიდიული სტატუსის 1998 წლის აქტი (BeKGG) ქმნიდა რელიგიური ერთობების სამართალსუბიექტებად გახდომის იურიდიულ საფუძველს საჯარო სამართლის კორპორაციის სტატუსის მინიჭების გარეშე⁴⁷⁴.

ეს კანონი არ შეეხებოდა ფილოსოფიურ ერთობებს, რადგან ისინი იყო „არარელიგიური ერთობები“. ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, განსაკუთრებით, თუ ამ საკითხს განვიხილავთ ფუნდამენტური უფლებების პოზიციიდან.

474 როგორც რელიგიური ერთობები რეგისტრირებულნი არიან: ბაჰაის მიმდევრები, ავსტრიაში ბაპტისტური ერთობების ფედერაცია, ავსტრიაში ევანგელისტური ერთობების ფედერაცია, ავსტრიაში რელიგიური აღორძინების ქრისტიანული ერთობა-მოდრაობა, თავისუფალი ქრისტიანული ერთობა/ორმოცდაათიანელთა ერთობა, ჰინდუ მანდის საზოგადოება, იელოვას მონაწილეები, მეშვიდე დღის ადვენტისტების ეკლესია, ავსტრიის მენონიტების თავისუფალი ეკლესია, ავსტრიაში ორმოცდაათიანელთა ღვთის ეკლესია-ერთობა, ავსტრიაში საინტოლოგთა ეკლესიამ გამოიტანა განაცხადი. ჯაჰაჯა იოვას რეგისტრაციაზე უარი ეთქვა (BeKGG, ნაწილი 5(2)).

რელიგიური ერთობის მიერ იურიდიული სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული დებულებები ჩამოყალიბდა ასოციაციების კანონის მიხედვით. კანონის თანახმად, რეგისტრაცია ხდება განაცხადის წარდგენისას, იმ პირობით, რომ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი დასაბუთება. სამართალსუბიექტის სტატუსი კერძო სამართალში იქმნება რეგისტრაციის მომენტში. განცხადების შეტანისას აპლიკანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ, სულ ცოტა, ავსტრიაში მცხოვრები 300 ადამიანი ეკუთვნის ამ რელიგიურ ერთობას. ეს პირები არ უნდა ყოფილიყვნენ სხვა რელიგიური ერთობის წევრებიც ან იურიდიულად აღიარებული სხვა ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების მიმდევრები (ნაწილი მე-3(3)).

ხელისუფლების ორგანოებმა უარყოფითი პასუხი უნდა გასცეს ისეთ განცხადებას, თუ ერთობის წესდება არ აკმაყოფილებს ფორმალურ იურიდიულ მოთხოვნებს ან, თუ ეს აუცილებელია ამ რელიგიური მიმდინარეობის სწავლებიდან ან რწმენის განხორციელებიდან გამომდინარე დემოკრატიულ საზოგადოებაში წესრიგის, ადამიანების ჯანმრთელობის და მორალის ან სხვა პირთა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. ეს აუცილებელი გარანტიაა დანამაჟულის ჩადენის ნაქვების, უმცირესობების ფსიქოლოგიური განვითარების შეფერხების, წევრთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვის, საფრთხეში ჩაგდების ან მიმდევრების მოზიდვის დროს ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში.

რელიგიური ერთობები რეგისტრაციის დროს იღებს ერთგვარ გარანტიას, რასაც იურიდიული მნიშვნელობაც აქვს, სამართალსუბიექტის სტატუსის მინიჭების გარდა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი დასკვნები ეფუძნება რელიგიური ერთობის სიმრავლეს და არა უბრალოდ აღიარების სტატუსს.

გ) რელიგიური ასოციაციები

2002 წლის VereinsG 2002-ის 1(2)-ლი ნაწილის თანახმად, ეს კანონი არ შეეხება იმ ასოციაციებს, რომლებიც სხვა სამართლებრივი დებულებების თანახმად არიან დაფუძნებულნი ან რომლებმაც სამართლებრივი სტატუსი მიიღეს სხვა შესაბამისი კანონმდებლობით. რელიგიურ ერთობებს ამჟამად შეუძლია სამართალსუბიექტის სტატუსის მოპოვება ასოცირების გზით, რაც შესაძლებელი არ იყო წინა კანონით. რელიგიურ ერთობებს, რომლებიც Vereins-ს მიხედვითაა დაფუძნებული, სხვა იდეოლოგიურ ასოციაციებთან თანაბარი სტატუსი აქვს.

2. რელიგიური ერთობების თავისუფლების ცნება

ტერმინი “შიდა საქმეები” (StGG, მუხლი მე-15) აღიარებულ ეკლესიებთან და რელიგიურ ერთობებთან მიმართებაში საკონსტიტუციო ტერმინია, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლებას. ეკლესიის ზოგადი და ინდივიდუალური აქტები არ არის ადმინისტრაციული აქტები, ფედერალური კონსტიტუციის აზრით. ამგვარად, ისინი არ გადაეცემა ადმინისტრაციულ ან საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლისთვის.

რას ნიშნავს ეს ტერმინი ცალკეული ეკლესიისთვის ან რელიგიური ერთობისთვის უნდა დადგინდეს ამ ორგანოს ფუნქციების ერთობლიობიდან და განისაზღვროს ეკლესიის ან რელიგიური ერთობის შიდა შეთანხმების ფარგლებში. საერთო-სახელმწიფო კანონმდებლობა ვერ დაანესებს შუზღუდავას ეკლესიის ქმედებაზე. ის პატივისცემით უნდა მოექცეს განსხვავებულ პოზიციებს და დაიცვას ფუნდამენტური უფლებები. ეს მოსაზრებები გაიზიარა და მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ⁴⁷⁵.

საკონსტიტუციო სასამართლო ცნობს კანონიერად აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების უფლებას, სრულად არეგულიროს და ადმინისტრირება გაუწიოს თავიანთ შიდა საქმეებს სახელმწიფოს ჩარევის და ზედამხედველობის გარეშე (StGG, მუხლი მე-15 (VfSlg. 6 102/2001)). ეს საკითხი ღიაა კრიტიკისთვის, რადგან ეს უფლება უნდა განვიხილოთ, როგორც რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების შედეგი, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს, სპეციფიკური იურიდიული სტატუსის მიუხედავად.

3. რელიგიური ერთობის ორგანიზება

ა) ეკლესიისთვის დაქვემდებარებული დაწესებულებების საერთო იურიდიული სტატუსი

კათოლიკური ეკლესიის დაწესებულებებს, რომლებიც სამართალსუბიექტები არიან კანონიკური კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე გააჩნიათ საჯარო სამართლის სტატუსიც, სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად. მათ ეს სტატუსი ენიჭებათ,

475 იხ. VfSlg. 3657/1959 (ÖAKR 32/1981, გვ. 426), VfSlg. 7801/1976 (ÖAKR 32/1981, გვ. 556), VfSlg. 7982/1977 (ÖAKR 32/1981, გვ. 559), VfSlg. 11574/1987 (ÖAKR 37/1987/88, გვ. 353).

როგორც კი შეტყობინებას დაფუძნების შესახებ შეიტანენ შესაბამის სამინისტროში (კონკორდატის მე-2 და მე-10 მუხლები). პროტესტანტული ეკლესიის დანესებულებები, რომლებიც სამართალსუბიექტები არიან, საჯარო სამართლის იურიდიული ერთეულები ხდება პროტესტანტული ეკლესიის მიერ შეტყობინების შესაბამის სამინისტროში (Protestanten, ნაწილი მე-4(1)) წარდგენის დღიდან. რაც შეეხება ყველა სხვა აღიარებულ ეკლესიას და რელიგიურ ერთობას, პრინციპში, მხოლოდ რელიგიურმა ერთობებმა და ასოციაციებმა შეიძლება მოიპოვოს სამართალსუბიექტის სტატუსი. გარდა ამისა, რელიგიური ერთობის დანესებულებებს შეუძლია კანონმდებლობით ნებადართული ყველა სხვა იურიდიული ფორმით სარგებლობა.

ბ) საგანმანათლებლო დანესებულებები (იხ. ზემოთ, VI ნაწილში).

გ) ეკლესიების მიერ დაფინანსებული (მხარდაჭერილი) სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციები

საზოგადოების სოციალური უზრუნველყოფის მზარდი ამოცანების რეგულირება ჩვეულებრივად დაკავშირებულია არა სახელმწიფო სპონსორების ინტეგრაციასთან ამ სისტემის მუშაობაში. ტრადიციულად, რელიგიური დანესებულებები ბევრ სფეროში ასრულებდა მნიშვნელოვან როლს. სახელმწიფომ ეს მხედველობაში მიიღო და ლიად მოიხსენია საეკლესიო დანესებულებები რამდენიმე შემთხვევაში, მაგალითად, თავშესაფრის მაძიებლებისათვის დახმარების განევასთან (AsylG, ნაწილი მე-4(2)) და განვითარების სფეროსთან (EntwicklungszusammenarbeitsG 2002, ნაწილი მე-2(3)) დაკავშირებით.

V. ეკლესიები და რელიგიური ერთობები პოლიტიკურ სისტემაში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რელიგიურ ერთობებს მიენიჭა ფუნდამენტური უფლებების და დემოკრატიის “დამცველების სტატუსი”. ამჟამად პოლიტიკურ ასპარეზზე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ რელიგიური ერთობები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საზოგადოებაში, რაც ასახულია აღიარებული ეკლესიებისა და რელიგიური ერთობებისათვის საჯარო სტატუსის მინიჭებაში. რელიგიური ერთობები მიეკუთვნება იმ საზოგადოებრივ ასოციაციებს, რომლებიც ქმნის საზოგადოებასა და პოლიტიკაში კონტექსტს ურთიერთობისთვის. ისინი იმ საზოგადოებრივი დაალოგის მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან, რომლის მეშვეობითაც ხდება მოქალაქეებში პასუხისმგებლობის გრძნობის მოტივირება.

ამას მივყავართ იმ ფაქტის აღიარებამდე, რომ რელიგიური ერთობები არა მხოლოდ ინტეგრირებულია სახელმწიფო კანონმდებლობის თაობაზე მოსაზრებების ჩამოყალიბების პროცესში, რაც მათთვის მნიშვნელოვანია ფართო გაგებით, არამედ ჰყავთ კიდევ წარმომადგენლები ბევრ საკონსულტაციო ორგანოსა და კომიტეტში.

VI. რელიგიური ერთობები კულტურის სახელმწიფო კანონში

1. კერძო სკოლები

ფედერალური რესპუბლიკის, ფედერალური მინებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ დაფინანსებული სახელმწიფო სკოლები ყველასათვის ღიაა, მიუხედავად აღმსარებლობისა და სხვა განსხვავებებისა. კერძო სკოლებს საჯარო სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მათი ხელმძღვანელები და მასწავლებლები უზრუნველყოფენ რეგულარული ხასიათის სწავლებას სათანადო დონეზე ავსტრიის სკოლებისთვის დადგენილი მიზნების შესაბამისად. კანონით დაშვებული სხვადასხვა ტიპის სკოლების შემთხვევაში სწავლების დროს მიღწეული შედეგები იმავე ტიპის სახელმწიფო სკოლების ეკვივალენტური უნდა იყოს. ამ პირობების დაკმაყოფილება არის იურიდიული პრეზუმფცია აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების⁴⁷⁶ შემთხვევაში. მათი საჯარო სტატუსიდან გამომდინარე, მათ დაქვემდებარებაში არსებული სკოლების მიერ გაცემული აკადემიური განათლების მოწოდებები სახელმწიფო სკოლების მიერ გაცემულის თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა.

აღიარებული ეკლესიები და რელიგიური ერთობები სუბსიდიებს იღებს საჯარო სტატუსის მქონე ნებისმიერი აღმსარებლობის კერძო სკოლების თანამშრომლებისათვის (Privatschul, ნაწილი მე-17)⁴⁷⁷. ეს სუბსიდია გაცემული

476 საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს შენიშვნა ამ წესთან დაკავშირებით თანაბარი უფლებების პრინციპის დაცვის კუთხით აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების საუკუნეების განმავლობაში მიღებული გამოცდილების გამო (იხ. call 5063/1965 in ÖAKR 32/1981, გვ. 482).

477 პირიქით, იმ კერძო სკოლებს, რომლებსაც არააღიარებული რელიგიური ერთობები მეთვალყურეობს, არ აქვს დახმარების მოთხოვნის უფლება. ეს პრობლემური საკითხია კონსტიტუციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ECHR-ის დამატებითი პროტოკოლის მე-2 მუხლთან მიმართებაში.

უნდა იყოს, როგორც "საცხოვრებელი სუბსიდია" იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ფედერაციის ან ფედერალური მიწების მიერ არიან დანიშნულნი კერძო სკოლებში. თუ ეს არ არის შესაძლებელი, გაიცემა ეკვივალენტური ფინანსური სუბსიდია (ნაწილი მე-19). დენომინაციურ სკოლებში შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ის მასწავლებლები, რომლებიც ამგვარ დანიშვნაზე თანახმანი არიან და რომელთა დანიშვნაზეც ასევე თანახმაა ეკლესიის ან რელიგიური ერთობის მმართველი ორგანოები. დანიშვნა უნდა შეჩერდეს, თუ ამას მასწავლებელი მოითხოვს ან თუ ეკლესიის მმართველი ორგანო განაცხადებს, რომ რელიგიური მიზეზის გამო ამ მასწავლებლების დასაქმების გაგრძელება მიუღებლად მიაჩნია (ნაწილი მე-20).

2. რელიგიის სწავლება

რელიგიის სწავლება გარანტირებულია StGG-ის მუხლით 17(4), რომლის მიხედვითაც შესაბამისი ეკლესიები და რელიგიური ერთობები პასუხისმგებელნი არიან რელიგიის გაკვეთილებზე სკოლებში. სისტემატურად განახლებადი ეს მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეების და მათი მშობლების რელიგიის თავისუფლებას და მშობლების უფლებას, მისცენ შვილებს რელიგიური ან ფილოსოფიური განათლება.

1962 წლის Schulorganisations-ის მე-2(1) ნაწილის მიხედვით ავსტრიის სასკოლო განათლების მიზანია არის შესაბამისი სწავლებით ახალგაზრდების მიდრეკილებების გამოვლენა რელიგიური ღირებულებების ასათვისებლად სხვა საგნებთან ერთად. იმ მუხლში, რომელიც განათლების მიზნებს აღწერს, რელიგიური ღირებულებების ჩართვა გამოწვეულია განათლების მრავალმხრივობის უზრუნველსაყოფად იმ პირებისთვის, რომლებსაც რელიგიური განათლების მიღება უნდათ ასეთი შანსის მიცემით. შესაბამისად, (RelUG 1949) Religionsunterrichts-ის მე-2(ბ)(1) ნაწილი ადგენს, რომ საჯარო სკოლებში და საჯარო სტატუსის მქონე სკოლებში, სადაც რელიგიური განათლება სავალდებულოა, უნდა განთავსდეს ჯვარცმა, თუ მოსწავლეთა უმრავლესობა ქრისტიანული აღმსარებლობისაა. რელიგიური სწავლების ლეგიტიმაცია ფუნდამენტური უფლების სახით უნდა გულისხმობდეს ეთიკის, როგორც სავალდებულო საგნის შემოღებას. ეთიკას ასწავლიან იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან რომელიმე სამართლებრივად აღიარებულ ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას, ან არ სურთ რელიგიის შესწავლა. სასკოლო ექსპერიმენტი ეთიკაში, რომელიც 1997 წელს დაიწყო, განხორციელდა 100-ზე მეტ სკოლაში 2003/2004 წელს. დაინერგება თუ არა ეს სქემა მთელ სასკოლო სისტემაში, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული.

რელიგიის სწავლების ორგანიზება, განხორციელება და უშუალო კონტროლი შესაბამისი ეკლესიის ან რელიგიური ერთობის საქმეა. სახელმწიფოს უფლება აქვს მეთვალყურეობა გაუწიოს რელიგიის სწავლებას სკოლის ორგანიზების და დისციპლინური ზომების სამეთვალყურეო ორგანოს მეშვეობით (RelUG, ნაწილი 2). აქედან გამომდინარე, რელიგიის სწავლების ორგანიზება ხდება რელიგიური ერთობების და არა სახელმწიფოს მიერ, იმის მიუხედავად, რომ რელიგია, სხვა საგნების მსგავსად, სავალდებულო საგანია.

ყველა მოსწავლისთვის, რომლებიც სამართლებრივად აღიარებულ ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას⁴⁷⁸ განეკუთვნებიან, თავისი აღმსარებლობის რელიგიის სწავლება სავალდებულოა დაწყებით და საშუალო სკოლებში, საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო კოლეჯებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში ტიროლსა და ვორარლბერგში. სხვა სკოლებში რელიგიის გაკვეთილები ნებაყოფლობითია.

თოთხმეტ ნელზე ნაკლები ასაკის მოსწავლეები შეიძლება რელიგიის სწავლებისგან განთავისუფლდნენ მშობლების სურვილით, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობონ სკოლის დირექტორს ყოველი სასწავლო წლის პირველი ათი დღის განმავლობაში. თოთხმეტ ნელზე უფროსი ასაკის მოსწავლეები ამგვარ უარს წერილობითი ფორმით თვითონ წარადგენენ.

რელიგიის სწავლების პროგრამებს ამტკიცებენ ეკლესიები და რელიგიური ერთობები, ხოლო განათლების სამინისტრო ინფორმირებული უნდა იყოს და გამოსცეს ისინი, თუმცა ეს მონაწილეობა მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობისაა. სახელმწიფოს თანხმობა არ არის აუცილებელი. ერთადერთი შეზღუდვა არის მოთხოვნა, რომ მხოლოდ ის წიგნები და სასწავლო მასალები შეიძლება გამოიყენონ, რომლებიც არ ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეების აღზრდის პრინციპს (RelUG-ის, ნაწილი მე-2(3)). რელიგიის სწავლების სახელმძღვანელოები ჩართულია სასკოლო წიგნების პროგრამებში 1967 წლის Familienlasten-AusgleichsG-ის მიხედვით და სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული.

478 რელიგიის სწავლების, რელიგიის თავისუფლების და მშობელთა უფლებების შესაბამისობის თვალსაზრისით, კონსტიტუციურად პრობლემურია რელიგიის სწავლების უფლების მიბმა სამართლებრივ აღიარებასთან. მეორე მხრივ, შესაძლოაა გაჩნდეს კითხვა, რომ ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორც საჯარო სკოლების სისტემა, შეიძლება თუ არა მოითხოვონ გარკვეული სწრაფვა, ითანამშრომლონ აღიარებულ ეკლესიებთან და რელიგიურ ერთობებთან და ამგვარად “სახელმწიფოს ინსტიტუციონალიზებული კონსტიტუციური მოლოდინი”, რომელიც გამოიხატა აქტში, სინამდვილეში გულისხმობს კიდევ ვალდებულებას, მისცეს რელიგიური განათლება.

მოსწავლეები და მასწავლებლები თავიანთი სურვილით მონაწილეობენ რელიგიურ რიტუალებსა და ცერემონიებში (ძირითადად სასკოლო მესაში). რელიგიის მასწავლებლები სახელმწიფო სკოლაში ინიშნებიან ფედერაციის, ფედერალური მინისტრის ან ეკლესიების და რელიგიური ერთობების მიერ. მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებიც მოინონა შესაბამისმა ეკლესიამ ან რელიგიურმა ერთობამ, შეიძლება დაინიშნონ რელიგიის მასწავლებლებად.

3. რელიგიის აკადემიები

1999 წლის (AStG) AkademienStudien-ის მიხედვით, საგანმანათლებლო აკადემიები, რომლებიც ამ დროისათვის ორგანიზებული იყო PrivatschulG-ის თანახმად, უნდა გადაკეთდეს “პედაგოგიური პროფესიების უნივერსიტეტებად”. რელიგიის სწავლების AStG-ის აკადემიისთვის მიკუთვნებამ რამდენიმე შედეგი გამოიღო, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ისლამური აკადემიებისთვის. იმ იდეებსა და ღირებულებებზე ორიენტაცია, რომლებიც AStG-ის მე-5(2)(4) ნაწილის მოთხოვნით ავსტრიის სკოლების ძირითად ამოცანად ჩამოყალიბდა, გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა ისლამს. იგივე შეიძლება ითქვას სამ სხვა ძირითად პრინციპზე: სამეცნიერო თეორიების და მოსაზრებების სფერო და თავისუფლება, კავშირი სამეცნიერო კვლევებსა და სწავლებას შორის და ქალების და მამაკაცების თანასწორობა. იმ დროისთვის ისლამი პირველად იყო მოხსენიებული უნივერსიტეტების შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობაში.

4. სახელმწიფო უნივერსიტეტების თეოლოგიის ფაკულტეტები

ა) კათოლიკური თეოლოგიის ფაკულტეტები

კათოლიკური თეოლოგიის ფაკულტეტები მოქმედებს ვენის, გრაცის, ინსბრუკის და ზალცბურგის უნივერსიტეტებში. კონკორდატის მე-5 მუხლი უზრუნველყოფს ამ ფაკულტეტების მუდმივ ფუნქციონირებას. ისინი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და მომავალ სასულიერო პირებს აძლევს აკადემიურ განათლებას. მათი შიდა ორგანიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკა რეგულირდება უნივერსიტეტების კანონის თანახმად. ტერმინი “შიდა ორგანიზაცია” ამ კონტექსტში შეეხება 2002 წლის (UnivG) UniversitätsG-ის ორგანიზების დებულებებს. ტერმინი “საგანმანათლებლო პრაქტიკა” შეეხება ამ კანონის აკადემიური სწავლების დებულებებს. გარდა ამისა, ნათლად არის ჩამოყალიბებული დებულება, რომელიც შეესაბამება კონკორდატის (UnivG, ნაწილი 38(1)) დებულებებს. თეოლოგიაში

აკადემიური ხარისხები, რომლებსაც რომში მოქმედი პაპის აკადემია ან სხვა რომელიმე აკადემია ანიჭებს, ავსტრიაში იურიდიულად აღიარებულია სახელმწიფო ხარისხად.

პროფესორების და ლექტორების დანიშვნა ან სამუშაოზე მიღება შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამისი საეკლესიო ხელმძღვანელ ორგანოსთან. თუ ეკლესიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილება გაუქმდება, მასწავლებელს უნდა აეკრძალოს შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. უმრავლესობის მოსაზრებით, დისციპლინური ზომა, რომელიც თეოლოგიის პროფესორის სავალდებულო განთავისუფლებას ითვალისწინებს, თუ მას უფლებამოსილებაზე უარი ეთქვა კონკორდატის მე-5(4) მუხლის თანახმად, არ არღვევს რელიგიის და სინდისის, აზრის გამოთქმის ან აკადემიური სწავლების, ან სამეცნიერო კვლევების თავისუფლების პრინციპს, რადგან მიზანი არის მღვდლების და რელიგიის მასწავლებლებისთვის განათლების⁴⁷⁹ მიცემა.

კონკორდატის მე-5 მუხლის საფუძველზე თეოლოგიას შეიძლება ასწავლიდნენ ასევე თეოლოგიის კოლეჯებში, რომლებიც დაარსებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე საეკლესიო ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

ბ) პროტესტანტული თეოლოგიის ფაკულტეტი

სახელმწიფო ვალდებულია შეინარჩუნოს პროტესტანტული თეოლოგიის ფაკულტეტი სულ მცირე ექვსი მუდმივი კათედრით ვენის უნივერსიტეტში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი სასულიერო პირების აკადემიური განათლება, თეოლოგიური კვლევები და სწავლება (ProtestantenG, ნაწილი მე-15). ფაკულტეტებზე მომუშავე მასწავლებლები პროტესტანტული რელიგიის მიმდევრები უნდა იყვნენ. კათედრაზე პროფესორის დანიშვნის დროს კომისიამ, რომელსაც მისი დანიშვნა აქვს დავალებული, უნდა შეათანხმოს დანიშვნა პროტესტანტული ეკლესიის ხელმძღვანელობასთან.

5. ეკლესიის კერძო უნივერსიტეტები

1999 წლის Universitäts-AkkreditierungsG-ის მიხედვით დასრულდა სახელმწიფოს მონოპოლია ავსტრიაში და შესაძლებელი გახდა კერძო უნივერსიტეტების ორგანიზება. 2000 წელს ლინცის კათოლიკური თეოლოგიური კერძო უნივერსიტეტი დაარსდა ამ დებულების თანახმად.

479 საკონსტიტუციო სასამართლო VfSlg. 6998/1973, VwSlg. 8419 A/1973.

6. მასმედია

ა) მაუწყებლობის კანონმდებლობა

2001 წლის კანონმა შექმნა საკანონმდებლო საფუძველი ავსტრიის რადიოს მიერ საზოგადოებრივი სამსახურის როლის შესასრულებლად. ის უნდა მოეკიდოს “ადეკვატური ყურადღებით კანონით აღიარებულ ეკლესიებს და რელიგიურ ერთობებს” მაუწყებლობის დროს (ნაწილი 4(1)(2)). 35 წევრისგან შემდგარი საბჭოს დაფუძნებისას ერთი წარმომადგენელი მაინც უნდა იყოს კანონით აღიარებული ეკლესიებიდან და რელიგიური ერთობებიდან. კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები ნიშნავს ერთ წევრს სამეთვალყურეო საბჭოში, რომელშიც ასევე 35 წევრია (ნაწილი 28(3)(3) და (4)). პროგრამების დირექტივების (1.2.2.) თანახმად, არა მარტო ეკლესიებთან და რელიგიურ ერთობებთან დაკავშირებული მოვლენები უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამის სოციალურ კონტექსტში, არამედ სხვადასხვა ეკლესიის და რელიგიური ერთობის რწმუნათა სისტემები.

2001 წლის Privatfernsehgesetz არეგულირებს კერძო მაუწყებლობას საკაბელო, არასაკაბელო, სატელევიზიო ტელევიზიით და რადიოთი. ეკლესიები და რელიგიური ერთობები მაუწყებლობის ინტერესებიდან არ არიან გამორიცხულნი, რადგანაც ისინი არიან “საჯარო სამართლის იურიდიული პირი” (ნაწილი 10(2)(1)).

ბ) ბეჭდური მედია

კანონით აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობებისთვის ღიად არაა აკრძალული სუბსიდიები ბეჭდური მედიისათვის (რომლებშიც საჯარო სამართლის იურიდიული პირები მონაწილეობენ როგორც მფლობელები, რედაქტორები ან გამომცემლები (1984 წლის PublizistikförderungsG, ნაწილი მე-7(3)). სუბსიდიების განაწილებას ახორციელებს საბჭო, რომლის ერთ-ერთი წევრი კანონით აღიარებული ეკლესიების ან რელიგიური ერთობების წარმომადგენელია (ნაწილი მე-9(1)(6)).

7. ისტორიული ძეგლების დაცვა

2001 წლის (DMSG) Denkmalschutz-ის მე-2(1) ნაწილი აცხადებს, რომ დაცვის იურიდიული პრეზუმფცია აღიარებული ეკლესიების ან რელიგიური ერთობების საკუთრებაში არსებულ ისტორიულ ძეგლებთან მიმართებაში 2009 წლის 31 დეკემბერს შეწყდება (ნაწილი მე-2(4)). ამ დროიდან დაწყებული მხოლოდ ის ძეგლები დარჩება დაცვის ქვეშ, რომლებთანაც დაკავშირებით მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ მათი შენარჩუნება შედის საჯარო ინტერესებში.

ქეგლების ფედერალური ორგანოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია ქეგლების გადაკეთება ან დანგრევა (DMSG, ნაწილი მე-5(1)). ამ დებულების მიუხედავად, გადაკეთების განცხადებაზე უნდა გაიცეს ნებართვა, თუ ამ ქეგლს იყენებენ ღვთისმსახურებისათვის და ეს გადაკეთება აუცილებელია მის განსახორციელებლად, რადგან ამის გარეშე ფერხდება საეკლესიო ღვთისმსახურების რიტუალი.

დაფუძნებულია ისტორიული ქეგლების საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია სპეციალისტებით და ექსპერტებით. შესაბამისი ეკლესიის ან რელიგიური ერთობის თითო წარმომადგენელი ესწრება ამ საბჭოს შეხვედრებს, როგორც ad hoc წევრი, თუ ეკლესიის მფლობელობაში არსებული ქეგლი საფრთხეშია ან თუ მიმდინარეობს სინმინდის სტატუსის მქონე ან სხვაგვარ ქეგლთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა (1979 წლის Denkmalbeirat-VO, ნაწილი მე-5).

VII. შრომის და სოციალური კანონმდებლობა

1. კოლექტიური შრომის კანონმდებლობა

ეკლესიები და რელიგიური ერთობები უფლებამოსილი არიან დადონ კოლექტიური ხელშეკრულებები, რადგანაც მათ საჯარო სამართლის კოორპორაციის სტატუსი აქვთ 1974 წლის (ArbVG) Arbeitsverfassungsgesetz-ის მე-7 ნაწილის შესაბამისად. თუმცა ეს შესაძლებლობა დღევანდლამდე იშვიათად ყოფილა გამოყენებული. ბიზნესის და საწარმოების დონეზე ჩვეულებრივ მოქმედებს კომპანიების ხელშეკრულებები.

ArbVG-ის 132(1)-ე ნაწილის თანახმად, ზოგიერთი დებულება სრულად ან ნაწილობრივ არ ეხება იმ ბიზნესსა თუ საწარმოებს, რომლებიც უშუალოდ ემსახურება პოლიტიკურ, სააღმსარებლო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან სოციალური უზრუნველყოფის მიზნებს. ამ დებულების მიზანია საწარმოების საბჭოების მონაწილეობის გამორიცხვა ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, რაც ამ ინსტიტუციების სპეციფიკური მიზნის შესუსტებას გამოიწვევდა. დასაქმებულთა მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების ზოგადი თავისუფლება არ ესადაგება აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების აღმსარებლურ მიზნებს. ArbVG-ს 132(4)-ე ნაწილის პირველი წინადადება ცხადყოფს, რომ ის დებულებები, რომლებიც სამრეწველო ურთიერთობების ორგანიზებას ეხება, არ გამოიყენება იმ ბიზნესსა და საწარმოებთან დაკავშირებით,

რომლებიც სააღმსარებლო მიზნებს ემსახურება აღიარებულ ეკლესიებში და რელიგიურ ერთობებში, ვინაიდან ეს დებულებები არ შეესაბამება მათ სპეციფიკურ ხასიათს. ამის გამო თითოეული შემთხვევა ცალკე უნდა განიხილოს მათი განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით.

ArbVG-ს ნაწილის 132(4) თანახმად, განსაკუთრებულ შემთხვევებში კომპანიების ხელშეკრულებები და ზოგიერთი სხვა დებულება არც ერთ შემთხვევაში არ გამოიყენება ისეთ სანარმოებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში, რომლებსაც ევალება კანონით აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების შიდა საქმეების ადმინისტრირება.

2. ინდივიდუალური შრომითი კანონმდებლობა

ეკლესიაში დასაქმების საკითხი სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილია. დასაქმებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული შიდასაეკლესიო წესდება ექვემდებარება საკონტრაქტო კანონმდებლობას, რომელიც ეკლესიებს და რელიგიურ ერთობებს ეხება, როგორც კერძო სამართლით განსაზღვრული უფლებების მქონეთ. ეს კანონი პრინციპულად განსხვავდება დასაქმების კონტრაქტების თავისუფალი გამოყენების საკანონმდებლო ფარგლებში⁴⁸⁰.

ის პირები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ძირითადად რელიგიური და სოციალური უზრუნველყოფის მიზნებთან, არ ჩაითვლებიან დასაქმებულ პირებად, თუ მათი დასაქმება არ მოხდა შრომითი კონტრაქტის (ArbVG, ნაწილი 36(2)(6)-ე) საფუძველზე.

განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება ეკლესიასთან და რელიგიურ ერთობასთან, როგორც დამსაქმებელთან, გამომდინარეობს სააღმსარებლო მიზნების განხორციელებაში უშუალო მონაწილეობიდან. ეს გამოიხატება ლოიალურობის განსაკუთრებულ ხასიათში: ეკლესიის ან რელიგიური ერთობის

480 იხილეთ განსაკუთრებით OGH Arb coll 9490/1976, OGH 16.9.1987, 9 Ob A 71/87 (ÖAKR 37/1987/88), გვ. 36. კონფლიქტები ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას და მათ პასუხისმგებელ თანამშრომლებს შორის, კერძო კანონმდებლობის თანახმად, დასაქმების კონტრაქტების საკითხზე, პრინციპში, შესაძლებელია განხილულ იქნეს სასამართლოში. ამავე დროს, ყველა წინასწარი საკითხი, დაკავშირებული, მაგალითად, თანამდებობიდან განთავისუფლების კანონიერებასთან, პენსიაზე გასვლასთან, დისციპლინურ ზომებთან, სხვა თანამდებობაზე გადაყვანასთან და ა.შ. არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას. იხ. OGH SZ 47/135/1974, SZ 60/80/1987 (ÖAKR 37/1987/88, გვ. 371, SZ 60/173/1987 (ÖAKR 37/1987/88, გვ. 376).

სწავლების მიღებაში და ცხოვრების შესაბამის სტილში, ისევე როგორც მზრუნველობის განსაკუთრებულ ვალდებულებაში ეკლესიის როგორც დამსაქმებლის მხრიდან. ეს ლოიალურობა შეიძლება განსხვავდებოდეს ეკლესიის სულიერი მისიისთვის, პირის მიერ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობიდან გამომდინარე.

3. სოციალური უზრუნველყოფის კანონი

სრული დაზღვევით უზრუნველყოფილ პირთა შორის, 1955 წლის (Allgemeines Sozialversicherungsg_ ASV) ჩსოციალური უზრუნველყოფის აქტის 5(1)(7)-ე ნაწილის თანახმად, არიან კათოლიკური ეკლესიების მღვდლები, რელიგიური ორდენებისა და მსგავსი დაწესებულებების წევრები⁴⁸¹, თუ მათ არ აქვთ საკონტრაქტო ურთიერთობა, სხვა კორპორაციებთან მათი ეკლესიების ან მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების გარდა. ამ პირთაგან ზოგიერთს აქვს ნაწილობრივი დაზღვევა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ავადმყოფობას, უბედურ შემთხვევებს ან პენსიას.

თუ პირი, რომელიც უზრუნველყოფილია სრული დაზღვევით, შეწყვეტს სამღვდლოების, რელიგიური ორდენის ან სხვა მსგავსი დაწესებულების წევრობას, მაშინ მსახურების ადგილის შეცვლისას გარკვეული თანხა უნდა იქნეს გადახდილი ახალი საპენსიო დაზღვევის დაწესებულებისათვის (ASV, ნაწილი 314-ე).

1993 წლის ფედერალური უზრუნველყოფის საკონსტიტუციო აქტით (Bundespflegegeld) ჩ მოხდა გადახდის წესების რეორგანიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით იმ პირებისთვის, რომლებსაც სოციალური დახმარება სჭირდებათ. მღვდლები და რელიგიური ორდენების წევრები, რომლებზეც არ ვრცელდება ASV-ის მე-3(1) ნაწილის მოქმედება, არ არიან ჩართული უფლებამოსილ პირთა რიცხვში, რადგან ისინი არ იღებენ "ძირითად ანაზღაურებას ფედერალური კანონმდებლობის" თანახმად. ამავე დროს, კომპეტენტური ფედერალური სამინისტროს დეკრეტით, ის პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან საპენსიო დაზღვევას, შეიძლება შეიყვანონ იმ პირთა რიცხვში, რომლებსაც ეკუთვნით სოციალური უზრუნველყოფის დახმარება. ეს გაკეთდა თეთრი სამღვდლოების წარმომადგენელი მღვდლებისათვის (BGBl), მაგრამ ჯერჯერობით არ ეხება რელიგიური ორდენების წევრებს.

481 პროტესტანტულ ეკლესიაში სასულიერო თანამდებობის პირები, რომლებიც ადრე ასევე განთავისუფლდნენ, ASVG-ში 1980 წლის ცვლილებით და 1996 წლის Sozialrechts-Änderungsg მიხედვით, ექვემდებარებიან სრულ დაზღვევას.

VIII. ეკლესიის დაფინანსება

1. სახელმწიფოს გარანტია ეკლესიის საკუთრებაზე

ეკლესიის მიერ სპეციალური მიზნობრივი ფონდების ფლობა და გამოყენება გარანტირებულია StGG-ის მე-15 მუხლით. ეს არის სპეციალური საკუთრების ზოგადი ფუნდამენტური გარანტიით სარგებლობის დებულება. გარდა ამისა, კონკორდატის მე-13 მუხლი უზრუნველყოფს, რომ კათოლიკური ეკლესიის საკუთრება არ იქნება ხელყოფილი და ეკლესიას შეუძლია შეიძინოს საკუთრება საერთო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასამართლოების და განმმარტებელთა შეთანხმებული მოსაზრებით, ქონების დამოუკიდებელი ადმინისტრირება არის ეკლესიების და რელიგიური ერთობების მიერ გადასაწყვეტი შიდა საკითხი.

2. ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან და საკუთრების შენარჩუნების უფლებები.

სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ერთობები ანაზღაურებას იღებს მხოლოდ ნაციისტური ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. 1955 წლის ვენის შეთანხმების (26-ე მუხლის) თანახმად, ავსტრია ვალდებულია აანაზღაუროს ფინანსური ზარალი, რომელიც მიადგა ნაციისტური კანონმდებლობით ან აჯანყებით ნაციისტური ოკუპაციის პერიოდში. ამის განსახორციელებლად საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება კათოლიკურ, პროტესტანტულ და ძველ კათოლიკურ ეკლესიებთან, ასევე ებრაელთა რელიგიურ ერთობასთან, კანონის თანახმად ანგარიშსწორების განხორციელების თაობაზე⁴⁸².

განსაკუთრებული პრობლემა იყო და არის დაკავშირებული ებრაული ერთობის და მათი დანესებულებების რესტიტუციის და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხებთან. კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად,

482 ამ მიზნისათვის კათოლიკური ეკლესია ამჟამად იღებს 192 მლნ შილინგს, პროტესტანტული – 12 351 მლნ შილინგს, ძველი კათოლიკური ეკლესია – 0,570 მლნ შილინგს, ებრაელთა ერთობა – 3 420 მლნ შილინგს. სახელმწიფო მოსამსახურეთა შესაბამისი რაოდენობის ხელფასების ეკვივალენტით საშუალო ხელფასის საფუძველზე გადაანგარიშებით.

აუცილებელი მტკიცებულებების წარდგენა ხშირად რთულია, ამიტომ ეს კანონები ძალიან ნელა ხორციელდება. 1951 წლის (2.RückstellungsanspruchsG) შენარჩუნების უფლებების აქტი უფლებას აძლევდა ებრაელთა ერთობებს შეეტანა სარჩელები იმ იურიდიული პირების სახელით, რომლებიც ემსახურებოდნენ ებრაელთა ერთობის რელიგიური, კულტურული, სოციალური უზრუნველყოფის მიზნებს ებრაული ფონდების ჩათვლით. საბოლოოდ, ფედერაციამ დააფუძნა საერთო კომპენსაციის ფონდი 2001 წლის შეთანხმების მიხედვით ებრაელთა საკუთრების (რომელიც ჩამოართვეს ან გაანადგურეს ნაცისტების პერიოდში) საკითხებთან დაკავშირებით; ამ ფონდის გამოყენება ასევე შეიძლება საკულტო ერთობების და სხვა ებრაული დაწესებულებების სარჩელების დასაკმაყოფილებლად (2001 წლის EntschädigungsfondsG – საკომპენსაციო ფონდების აქტი).

3. ეკლესიების კონტრიბუციები და გადასახადები

საეკლესიო შენატანების შეგროვება, მატერიალური საჭიროებებისა და პერსონალის დაფინანსებისათვის თანხების შეკრება კანონით აღიარებული ეკლესიის ან რელიგიური ერთობის შიდა საქმეა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია ამოქმედდეს კანონიერი სახელმწიფო გარანტიის უფლება.

საეკლესიო შენატანების კანონი ძალაში შევიდა კათოლიკური, პროტესტანტული და ძველი კათოლიკური ეკლესიებისათვის 1939 წლის 1 მაისს. რელიგიური ერთობის ზრდასრული წევრები ვალდებული არიან გაიღონ კონტრიბუცია, მიუხედავად იმისა, სარგებლობენ თუ არა ისინი ეკლესიის მომსახურებით. გადაწყვეტილების მიღება და შენატანების შეკრება ხდება საეკლესიო შენატანების დეკრეტით, რომელიც ეკლესიებმა მიიღო. დეკრეტის სავალდებულო ხასიათი ეკლესიის წევრებისთვის შიდასაეკლესიო კანონის ნაწილია, შენატანების გადაუხდელობა შეიძლება სამოქალაქო საქმის აღძვრის საფუძველი გახდეს.

იმ ეკლესიებისა და რელიგიური ერთობებისათვის, რომლებსაც არ ეხება საეკლესიო შენატანების კანონი, არსებობს შესაძლებლობა მოიზიდოს ისინი ადმინისტრაციული აღსრულების გზით. ამჟამად არც ერთი ეკლესია და რელიგიური ერთობა არ იყენებს ამ დებულებას.

IX. აღიარებული ეკლესიების და რელიგიური ერთობების სტატუსი საგადასახადო კანონმდებლობაში

საგადასახადო კანონმდებლობის რელიგიასთან დაკავშირებული დებულებები ნაწილობრივ ეფუძნება შემოსავლების კანონს, რომელიც ეკლესიების და რელიგიური ერთობების საჯარო სამართლის სტატუსიდან გამომდინარეობს. გათვალისწინებულია ასევე ის დებულებები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, თუ შემოსავლების კანონით დადგენილია შეღავათები (შემცირება ან განთავისუფლება) კორპორაციებისათვის, რომლებსაც, საზოგადოებრივი სარგებლობის ან საქველმოქმედო მიზნების გარდა⁴⁸³, საეკლესიო მიზნებიც აქვს (1961 წლის Bundesabgabenordnung – ფედერალური შემოსავლების აქტი, ნაწილი 34-ე).

სულის მოსახსენიებელი შემონირულებანი ან შემომწირველის და მისი ნათესავების სულიერი კეთილდღეობისთვის გაღებული თანხა განთავისუფლებულია მემკვიდრეობის და ჩუქების გადასახადებისგან, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ეს შემონირულება გაკეთებული შემომწირავის სიცოცხლეში ან მისი სიკვდილის შემდეგ. მოძრავი ქონების სახით გაღებული შემონირულებები და ინდივიდებისაგან მიღებული თანხა აღიარებული ეკლესიების ან რელიგიური ერთობების მოქმედი ინსტიტუციებისთვის, რომლებიც რელიგიურ მიზნებს ემსახურება, სრულიადაა განთავისუფლებული მემკვიდრეობის და ჩუქების გადასახადისგან (Erbchafts- und Schenkungssteuergesetz – მემკვიდრეობის და ჩუქების კანონი, ნაწილი მე-15(1)(13)-ის და მე-14(ა) და (ბ)-ის თანახმად).

X. რელიგიური ერთობების ურთიერთობა საჯარო დანახავებებთან

1. სასულიერო პირების მოღვაწეობა შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში

კათოლიკე პასტორების მზრუნველობის ორგანიზება შეიარაღებულ ძალებში შეიარაღებული ძალების ეპისკოპოსების ამოცანაა. ეპისკოპოსს პაპი ნიშნავს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ფედერალური ხელისუფლების მხრიდან

483 ანალოგიური შეღავათების გავრცელება (თანაბარი დამოკიდებულების პრინციპიდან გამომდინარე, ალბათ აუცილებელი) შემოსავლების კანონში განსაზღვრული “საეკლესიო მიზნებიდან გამომდინარე” სხვა რელიგიურ ერთობებზე პრაქტიკაში ჯერ არ განხორციელებულა.

შეთავაზების შემდგომ, თუმცა ეს შეთავაზება არ არის სავალდებულო. მომსახურე კაპელანებს ირჩევს ეპისკოპოსი თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით და ნიშნავს სახელმწიფო. კაპელანებს უფლებამოსილებას ანიჭებს ეკლესია, რათა მათ იზრუნონ საზოგადოებაზე (კონკორდატის მუხლი მე-8).

პროტესტანტი სამხედრო უფროსი ვალდებულია, ორგანიზება გაუკეთოს პროტესტანტი მოძღვრის საქმიანობას შეიარაღებულ ძალებში. პროტესტანტული ეკლესიის საბჭო ასახელებს კანდიდატურას და თავდაცვის მდივანი ნიშნავს მას. სულიერ საკითხებში ის ექვემდებარება პროტესტანტული ეკლესიის მმართველ ორგანოს და ყველა სხვა საკითხებში ფედერალური შეიარაღებული ძალების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ ხელმძღვანელებს. კაპელანებს სახელმწიფო ნიშნავს, მაგრამ უფლებამოსილებას ეკლესია ანიჭებს (ProtestantenG, მე-17 ნაწილი).

ისლამური სასულიერო პირის მოღვაწეობის ორგანიზების საკითხი განხილვის სტადიაშია.

პოლიციაში სასულიერო პირის დახმარებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება კათოლიკური რელიგიური დახმარების თაობაზე ავსტრიის ეპისკოპოსების კონფერენციასა და შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის ძალაშია 2002 წლის დეკემბრიდან.

2. სასულიერო პირების დახმარება დაწესებულებებში

სასულიერო პირის განსაკუთრებული მოღვაწეობა შეიძლება ორგანიზებულ იქნეს საავადმყოფოებში, სამედიცინო დაწესებულებებში, სამკურნალო ცენტრებში, ციხეებსა⁴⁸⁴ და მოწყალეების სახლებში შესაბამისი საეკლესიო მმართველი ორგანოს (კათოლიკური ეპარქიის ეპისკოპოსი და პროტესტანტული ეკლესიის ხელმძღვანელი) თანხმობით. გარდა ამისა, ნებისმიერი ადგილობრივი დენომინაციის სასულიერო პირებს, კანონიერი აღიარების არმქონე რელიგიების ჩათვლით, ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, თავიანთი სურვილით იზრუნონ მათი აღმსარებლობის მიმდევრებზე იმ დაწესებულებებში, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებლად ორგანიზებული ეს საქმიანობა.

484 1969 წლის (Strafvollzugs)ჩ პატიმრობის აქტის 85-ე ნაწილი შეიცავს პატიმრების რელიგიური მომსახურების დებულებებს.

XI. სასულიერო პირები და რელიგიური ორდენების წევრები სახელმწიფო კანონმდებლობაში

შესაბამისი რელიგიური ერთობის მიერ, პრინციპში, დამოუკიდებლად შეიძლება იყოს დადგენილი, ვინ უნდა ჩაითვალოს სასულიერო პირად სახელმწიფო კანონმდებლობაზე დაყრდნობით⁴⁸⁵. რაც შეეხება პოლიტიკურ, განსაკუთრებით საჯარო ორგანოებში არჩევის უფლებას, სახელმწიფო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული რაიმე შეზღუდვა.

1. განსაკუთრებული პროცესუალური სტატუსი

მოდლვარი არ შეიძლება წარდგეს მონმის რანგში სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში⁴⁸⁶ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებ მისთვის ცნობილი გახდა აღსარების მიღების დროს ან კონფიდენციალურობის ფარგლებში. რადგან ეს დებულება იცავს რელიგიის ინდივიდუალურ თავისუფლებას, ის შეეხება იმ სასულიერო პირებსაც, რომელთა აღმსარებლობა არ არის კანონით აღიარებული.

2. განსაკუთრებული სტატუსი სამხედრო კანონმდებლობაში

პირები განთავისუფლებული არიან სამხედრო ან სოციალური სამსახურიდან რელიგიური რწმენის გამო, თუ ისინი ეკუთვნიან კანონით აღიარებულ ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას. მათ შორის: მღვდლები – ის პირები, ვინც ახორციელებენ რელიგიურ მზრუნველობას ან სწავლებას თეოლოგიური განათლების სრული კურსის დასრულების შემდეგ, რელიგიური ორდენების წევრები, რომლებსაც სამუდამო ფიცი აქვთ დადებული, თეოლოგი-სტუდენტები, რომლებიც სასულიერო კარიერისათვის ემზადებიან (1990 წლის WehrG (თავდაცვის კანონი), ნაწილი მე-18(3) და 1986 წლის ZivildienstG (სამოქალაქო სამსახურის აქტი), ნაწილი მე-13(ა)(1)).

485 VwGH (Slg 9491/1913) პირი, რომელიც ასწავლის რომელიმე რელიგიურ დოქტრინას ან არის მრჩეველი რელიგიურ საკითხებში, ხელმძღვანელობს მომსახურებას და რიტუალურ დაწესებულებებს, მინდობილი აქვს ქადაგების ჩატარება, მომსახურების ადმინისტრირება და გადაწყვეტილების მიღება რიტუალურ საკითხებში, და ბოლოს, პირი, ვინც აწარმოებს რეესტრს, უნდა ჩაითვალოს სასულიერო პირად.

486 ნაწილი 151(1)-ე, 1975 წლის Strafprozeßordnung (სისხლის სამართლის საპროცესო კანონი), ნაწილი 320(2)-ე, 1895 წლის Zivilprozeßordnung (სამოქალაქო საპროცესო კანონი); ნაწილი 48(2)-ე, 1991 წლის Allgemeines Verwaltungsverfahrensg (ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა)

XII. ქორწინების და საოჯახო კანონმდებლობა

1. ბავშვების რელიგიური აღზრდა⁴⁸⁷

მშობლებს, რომელთა ბავშვებს ჯერ არ მიუღწევიათ სრულწლოვანებისათვის, რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებში მათი ქორწინების პერიოდში დამოუკიდებლად შეუძლიათ შეთანხმდნენ იმ აღმსარებლობის ან ფილოსოფიის შერჩევაზე, რომლითაც სურთ შვილების აღზრდა. ეს შეთანხმება ძალას კარგავს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას. თუ პირი ერთპიროვნულ მზრუნველობას ახორციელებს ბავშვზე, მას შეუძლია გადაწყვიტოს, რა სახის რელიგიური აღზრდა მისცეს ბავშვს. თუმცა მეურვეებს და მზრუნველებს სჭირდებათ სასამართლოს შესაბამისი ნებართვა. გაყრის შემდეგ იმ მშობელს, რომელსაც არ აქვს მინდობილი ბავშვის აღზრდა, უფლება აქვს მხოლოდ აზრი გამოთქვას ბავშვის რელიგიის შეცვლის⁴⁸⁸ შემთხვევაში. ყოველთვის არის შესაძლებელი გადაწყვეტილების შეცვლა. თორმეტი ან მეტი წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში მისი თანხმობა თავის რელიგიურ აღმსარებლობასთან დაკავშირებით აუცილებელია. თუ მშობლები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, გადაწყვეტილებისათვის შეიძლება მიაკითხონ სამეურვეო სასამართლოს. სასამართლომ უნდა მოისმინოს ათი წლის ან მეტი ხნის ბავშვის აზრი. თოთხმეტი წლიდან ნებისმიერ პირს აქვს უფლება, დამოუკიდებლად აირჩიოს რელიგიური აღმსარებლობა თავისი რწმენის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება უნდა დაიცვას სახელმწიფომ⁴⁸⁹.

487 1985 წლის BundesG über die religiöse Kindererziehung, ნაწილები 1-3 (ბავშვთა რელიგიური განათლების ფედერალური კანონი).

488 მშობლისათვის მეურვეობის მინიჭების გადაწყვეტილების გამოტანისას უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუ ბავშვს აიძულებენ საზოგადოებისაგან განდგომილი ადამიანის ცხოვრება აირჩიოს იელოვას მოწმის რწმენით ან მის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება (სისხლის გადასხმის აკრძალვის შემთხვევაში), ეს უნდა ჩაითალოს მნიშვნელოვან ფაქტორად OGH 3.9.1986, 1 Ob 586/86 (ÖAKR 37/1987/88, გვ. 104 და OGH 12.5.1993, 3 Ob 521/93 (ÖAKR 42/1993)). პირველ შემთხვევაში საქმე გადაეცა ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტრასბურგში, რადგან დარღვეული იყო ოჯახური ცხოვრების უფლება ECHR-ის მე-8 მუხლის და ECHR-ის (22.6.1993, Nr 15/1992/360/434, ÖAKR 42/1993) მე-14 მუხლის თანახმად.

489 BundesG über die religiöse Kindererziehung, ნაწილი მე-4; 1868 წლის Interkonf, ნაწილი მე-4.

2. ეკლესია და ქორწინების სახელმწიფო კანონმდებლობა

ავსტრიაში შესაძლებელია ქორწინება საეკლესიო კანონმდებლობის ფარგლებში სახელმწიფო კანონმდებლობის მხრიდან სამართლებრივი აღიარების გარეშე. ამ ალტერნატივის არჩევა ხშირად ეკონომიკური მოსაზრებით ხდება, რადგან დახმარება მარტოხელა დედებისათვის საკმაოდ მაღალია. აქ ეკლესია დიღემის წინაშე დგას – უზრუნველყოს ქორწინების მისეული კონცეფციის მნიშვნელობის განმტკიცება საზოგადოებაში შესაბამისი კანონების მიღების პროცესისათვის ხელშეწყობის გზით. ერთი მხრივ, ის მოითხოვს ქორწინების და ოჯახის მხარდაჭერას, მეორე მხრივ კი, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაციაში მონაწილეობის რისკის წინაშე დგას მაშინ, როცა იგი სამოქალაქო ქორწინების გარეშე საეკლესიო ქორწინების ნებას იძლევა

XIII. სექტების საკითხთა ოფისი

სექტების შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტაციის ორგანოს დაფუძნების 1998 წლის სადავო ფედერალური აქტის (BundesG über die Einrichtung einer Dokumentations- und Informationsstelle für Sektenfragen) სახით შეიქმნა სახელმწიფოს საინფორმაციო საქმიანობის საკანონმდებლო საფუძველი ახალ რელიგიურ მოძრაობებთან მიმართებაში. ეს კანონი არ ეხება აღიარებულ ეკლესიებსა და რელიგიურ ერთობებს ან მათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს (ნაწილი 1(2)-ლი).

სექტების ფედერალური ორგანო (Bundesstelle für Sektenfragen) საჯარო სამართლის დამოუკიდებელი დაწესებულებაა. მისი ამოცანები მოიცავს დოკუმენტაციის და ინფორმაციის მოპოვებას იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება მოდიოდეს სექტების ან სექტის მსგავსი ორგანიზაციების პროგრამებიდან და საქმიანობიდან. უნდა არსებობდეს კარგად დასაბუთებული ეჭვი და საფრთხე ზოგიერთ სამართლებრივ ღირებულებასთან დაკავშირებით. სექტების ფედერალური ორგანოს ამოცანები ECHR-ის მე-8(2) და მე-9(2) მუხლით დადგენილის ეკვივალენტურია. დაცული ფასეულობები, რომლებსაც საფრთხე შეიძლება დაემუქროს, ნათლად არის ჩამოყალიბებული: ადამიანების სიცოცხლე ან ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა; ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვა, მათ შორის რელიგიური ან ფილოსოფიური, ერთობების წევრად გახდომის ან მათი დატოვების უფლება, ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა, საკუთრების და ფინანსური დამოუკიდებლობის დაცვა, ბავშვების და მოზარდების თავისუფალი გონებრივი და ფიზიკური განვითარების უფლება (ნაწილი მე-4(1)).

ფედერალური ორგანო თავისი ამოცანების შესასრულებლად უფლებამოსილია შეაფროვოს, გააანალიზოს და გასცეს ინფორმაცია, მისცეს რჩევები ადამიანებს, რომლებიც მოქცეული არიან გარკვეული გავლენის ქვეშ, ასევე ითანამშრომლოს და გაცვალოს ინფორმაცია ქვეყნის შიგნით და უცხო ქვეყნების მთავრობებთან, დაანესოს ზედამხედველობა და კოორდინაცია გაუწიოს კვლევით პროექტებს ამ სფეროში.

XIV. სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები

რელიგიურ დანაშაულად გარკვეული ქმედების კლასიფიცირება აუცილებელია რელიგიური სიმშვიდის და ადამიანების რელიგიური რწმენის დასაცავად. ამ მიზნით StGB არ ეხება მხოლოდ კანონით აღიარებულ ეკლესიებს ან რელიგიურ ერთობებს, არამედ ყველა მუდმივ ერთობას ავსტრიის ტერიტორიაზე.

უფრო ვიწრო გაგებით რელიგიურ სამართალდარღვევად StGB ასახელებს რელიგიური დოქტრინების⁴⁹⁰ უგულებელყოფას და რელიგიური ღვთისმსახურებისათვის⁴⁹¹ ხელის შეშლას. გარდა ამისა, რელიგიური მოძღვრება იძლევა კვალიფიკაციას ზოგიერთი სამართალდარღვევისათვის, როგორცაა, მაგალითად, სასულიერო პირისათვის თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ცილისწამება, იმ ნივთების დაზიანება ან მოპარვა, რომლებსაც ღვთისმსახურებისას იყენებენ ან ღვთისმსახურების ადგილზე საკუთრების დაზიანება და ქურდობა (StGB, ნაწილები 126-ე და 128-ე).

490 188-ე ნაწილის მიხედვით, პირი, რომელიც დასჯინის ან მასხარად იგდებს პირს ან ეკლესიას, ან რელიგიურ ერთობას და თავყვანისცემის საგანს ავსტრიის ტერიტორიაზე, ან რელიგიურ დოქტრინას, კანონით დაშვებულ ტრადიციას ან ნებართვის მქონე დაწესებულებას, რომელიც ეკლესიის ან რელიგიური ერთობის დაქვემდებარებაშია, ისეთ გარემოებებში, როდესაც ასეთმა ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა, ისჯება პატიმრობით ექვს თვემდე ან ჯარიმით 360 დღიურ ოდენობამდე.

491 189(1)-ე ნაწილის შესაბამისად, პირი, რომელიც შეაფერხებს ან შეწყვეტს ეკლესიის ან რელიგიური ერთობის კანონით ნებადართულ საეკლესიო მსახურებას ან რელიგიურ ცერემონიას, ან ღვთისმსახურების სხვა ფორმას ავსტრიის ტერიტორიაზე ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ისჯება ორწლიანი პატიმრობით. მე-2 ნაწილში განხილულია რელიგიური ღვთისმსახურების ნაკლებად სერიოზული დარღვევები.

XV. ბიბლიოგრაფია

Collection of Laws

I.Gampl/R. Potz/B. Schinkele, Österreichisches Staatskirchenrecht. Gesetze, Materialien, Rechtsprechung. Vol. 1, Wien 1990, Vol. 2, Vienna 1993.

Studies and reference books

H. Kalb/R. Potz/B. Schinkele, Religionsrecht, Vienna 2003.

H. Schwendenwein, Österreichisches Staatskirchenrecht, Graz 1992.

H. Pree, Österreichisches Staatskirchenrecht, Vienna-New York 1984.

I. Gampl, Österreichisches Staatskirchenrecht, Vienna 1971.

Periodical

Österreichisches Archiv für Recht und Religion (öarr), formerly Österreichisches Archiv für Kirchenrecht (ÖAKR), three issues per year, since 1950.

სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში

I. სოციალური მონაცემები

პოლონეთი გამოკვეთილ კათოლიკურ სახელმწიფოდ ითვლება მთელ ევროპაში, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. ზოგიერთი სხვა სახელმწიფოსგან განსხვავებით პოლონეთში სხვადასხვა კონფესიის მიმდევართა ზუსტი რაოდენობა უცნობია. ნანილობრივ ეს განპირობებულია იმით, რომ ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობა არ ფიქსირდება არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, თვით სკოლების ანგარიშშიც კი, რომელშიც აღნიშნულია რელიგიურ განათლებაში მოსწავლეთა შეფასება. მსგავსი ვითარების სამართლებრივ საფუძველს კონსტიტუცია⁴⁹² ქმნის. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის დროს არ იყო დასაშვლი შეკითხვა, თუ რომელ რელიგიურ გაერთიანებას აკუთვნებდნენ თავს გამოკითხული ადამიანები. ამდენად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილი ციფრები მიახლოებითია და გამოყვანილია ნათლობების რაოდენობისა და თითოეული გაერთიანების მიერ მონოდეზულ მონაცემებზე დაყრდნობით. ეს მიახლოებითი მონაცემები კი შემდეგია⁴⁹³;

492 აკრძალულია პიროვნების ცხოვრების ფილოსოფიის, რელიგიური კუთვნილების ან რწმენის გამორკვევა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ – კონსტიტუცია, მუხლი 53(7).

493 მონაცემებში შესულია მხოლოდ ის ეკლესიები და სარწმუნოებრივი გაერთიანებები, რომელთაც ჰყავთ სულ მცირე 5,000 მონათლული წევრი. ებრაული გაერთიანების წევრთა რაოდენობაა დაახლოებით 1,250. სრული მონაცემები შეიძლება ნახოთ: Maly rocznik statystyczny, GUS, Warszawa 2003, str. 135-137.

ეკლესია ან რელიგიური გაერთიანება	მრევლის ან შესაბამისი ორგანიზაციის რაოდენობა	სასულიერო პირთა რაოდენობა	წევრთა რაოდენობა
კათოლიკური ეკლესია/ ლათინური ტრადიცია	10,018	28,259	34,498,271
მართლმადიდებელი ეკლესია	223	296	509,500
კათოლიკური ეკლესია/ ბიზანტ.-უკრ. ტრადიცია	137	71	123,000
იელოვას მონაწიეები	1,769		123,034
აუგსბურგის კონფესია (ლუთერანული) ეკლესია	292	175	86,880
მარავიტთა ძველი კათოლიკური ეკლესია	37	27	24,288
პოლონურ-კათოლიკური ეკლესია	83	106	22,422
სახარების რწმენის ეკლესია	186	324	20,027
მეშვიდე დღის ადვენტიცისტთა ეკლესია	151	69	9,492
კათოლიკური ეკლესია/ სომხური ტრადიცია			8,000
ახალი სამოციქულო ეკლესია	52	50	5,433
ისლამური რელიგიური გაერთიანება	6	5	5,123
კრიშნას მიმდევართა საერთაშორისო საზოგადოება	5	275	5,043
სახარების მქადაგებელი ქრისტიანული ეკლესია	43	43	5,000

ამ ცხრილთან მიმართებაში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. ზემომოყვანილ რაოდენობაში იგულისხმება მონათლულ წევრთა და არა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ესწრებიან რელიგიურ რიტუალებს: კათოლიკურ ეკლესიაში კვირის მსახურებას მონათლულთა დაახლოებით 40% ესწრება და ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია პოლონეთის სხვადასხვა რეგიონისა და ქალაქის სიდიდეზე. ლუთერანულ ეკლესიაში კი ღვთისმსახურებას მონათლულთა საშუალოდ 85% ესწრება.
2. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში ოთხ წესს მოიცავს: ლათინურს (ძირითადად რომაულ-კათოლიკური), სომხურს, ბიზანტიურ-სლავურს (წარმოდგენილია ტერესპოლის ახლოს მხოლოდ ერთი მრევლით – კოსტომლოტში, (Kostomloty)) და ბიზანტიურ-უკრაინულს (ე.წ. ბერძნულ-კათოლიკური). ყველა ეს წესი კათოლიკური ეკლესიის მეთაურად პაპს

აღიარებს. ოთხივე მიმდინარეობის მიმართ გამოიყენება 1989 წლის კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობას.

3. ზემოჩამოთვლილი ეკლესიებისგან განსხვავებით, პოლონურ-კათოლიკური ეკლესია აშშ-ში მე-19 საუკუნეში შეიქმნა. მისი წევრები პოლონეთში მხოლოდ 1918 წლის შემდეგ ჩავიდნენ. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების ოფიციალურ რეესტრში (იხილეთ (4) ქვემოთ) ეს ეკლესია რეგისტრირებულია კათოლიკური ეკლესიისგან დამოუკიდებლად. აღსანიშნავია, რომ პოლონურ-კათოლიკური ეკლესია ძველი კათოლიკური ეკლესიების უტრეხტის კავშირის წევრია და პაპს ეკლესიის მეთაურად არ აღიარებს.
4. შესადარებლად შეიძლება გამოვიყენოთ პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოსახლეობის პირველი აღწერის (1921წ.) მონაცემები³ იმ დროისათვის მოსახლეობის 63.8% თავს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას მიაკუთვნებდა, 11.2% – ბერძნულ-კათოლიკურს, 10.5% – მართლმადიდებელ ეკლესიას, 10.5% – თავს ოუდაიზმის მიმდევრად მიიჩნევდა, 3.7% – სხვადასხვა პროტესტანტული ეკლესიის წევრად და 0.3%-მა – მიუთითა სხვა.

1989 წლის შემდეგ მკვეთრად დაეცა იმ მორწმუნეების რიცხვი, რომლებიც რეგულარულად ესწრებოდნენ მესას, თუმცა ამის შემდეგ მათი რაოდენობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მრავალი სტუდენტი, და არა მხოლოდ ისინი, დადის საუნივერსიტეტო ქალაქების უნივერსიტეტის ეკლესიებში.

II. ისტორიული მიმოხილვა

პოლონური სახელმწიფოს დაარსებისა და პოლონეთის მიწაზე ქრისტიანობის “დაბადების” წლად ითვლება 966 წელი, როდესაც ჰერცოგი მიესზჰო ბოჰემიელ პრინცესა დაბროკვასთან ქორწინების დროს მოინათლა. 968 წელს დაარსდა პირველი ეპარქია პოზნანში. ამას მოჰყვა 1000 წელს საარქიეპისკოპო გენიზში და ეპარქიები კრაკოვში, კოლობოზეგსა და ვროცლავში. თავდაპირველად პოლონეთი დასავლეთ ქრისტიანული სამყაროს ნაწილი იყო. 1385 წელს პოლონელი მეფის, ნმ. ჯადვიგისა (Jadwiga ანჟუთა სამეფო სახლიდან) და ლიტველი მთავრის, ჰერცოგი ჯაგელოს (Jagello) ქორწინების შედეგად გაქრისტიანდა ლიტვა. ამ ორ სახელმწიფოს შორის საბოლოო კავშირი მხოლოდ 1569 წელს გაფორმდა ქ. ლუბლინში. ამგვარად შეიქმნა ორი ერისგან შემდგარი რესპუბლიკა (Rzeczpospolita

Obojga Narodów): მულტინაციონალური და მულტირელიგიური სახელმწიფო, რომელშიც თითოეულ დიდგვაროვანს ჰქონდა პასიური და აქტიური უფლება, აერჩია მეფე ან თავად ყოფილიყო მეფედ არჩეული. ეს პერიოდი, რომელიც პოლონეთის მესამე დაყოფამდე (1795 წელი) გაგრძელდა, ცნობილია, როგორც პირველი რესპუბლიკა და დიდგვაროვანთა რესპუბლიკა.

მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოების მდიდარი ფენის უმეტესობა მიჰყვა ლუთერანიზმს, კალვინიზმს და “პოლონელ ძმებს” (ე.წ. არიანელები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ წმ. სამების დოქტრინას). კონტრრეფორმაციის პერიოდში ბევრი კვლავ დაუბრუნდა კათოლიციზმს. მე-16 საუკუნეში ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით პოლონეთში გარკვეული რელიგიური თავისუფლება არსებობდა. მეფის გარდაცვალებიდან ახალი მეფის არჩევამდე გნიების მთავარეპისკოპოსი იყო ex officio the Interrex. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ვარშავის 1573 წლის კონფედერაცია, რომელმაც შემოიღო რელიგიათა მიმართ თანასწორი მიდგომის პრინციპი. 1596 წელს ხელშეკრულება დაიდო კათოლიკეებსა და მართლმადიდებელი ეკლესიის იმ ნაწილს შორის, რომელიც იცავდა თავის წეს-ჩვეულებებს, თუმცა ეკლესიის მეთაურად პაპს აღიარებდა. ეს იყო ბიზანტიურ-უკრაინული წესის დაარსების დასაწყისი. 1668 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც სიკვდილით ისჯებოდა კათოლიკური სარწმუნოებიდან რომელიმე სხვა სარწმუნოებაზე მოქცევა. აღსანიშნავია, რომ პოლონეთის სამეფოში პროტესტანტთა დევნას არ ჰქონია მასობრივი ხასიათი და მხოლოდ რამდენიმე ჯადოქრის გასამართლებით “შემოიფარგლა”. თუმცა 1716 წლის შემდეგ პროტესტანტული ეკლესიების მშენებლობა აიკრძალა. 1768 წელს კი რელიგიური ტოლერანტობა კიდევ ერთხელ აღიარეს კანონმდებლობით. 1792 წლის 3 მაისს მიღებული პოლონეთის კონსტიტუცია ევროპაში პირველ თანამედროვე კონსტიტუცია იყო. რელიგიასთან დაკავშირებით იგი რამდენიმე დებულებას შეიცავდა. პრეამბულაში ნათქვამია: “სახელითა უფლისათა სამების ნიაღში”, ხოლო პირველ მუხლში ვხვდებით: “დომინანტი ეროვნული რელიგია არის და იქნება წმინდა სარწმუნოება მთელი თავისი უფლებებით. რელიგიური აღმსარებლობის შეცვლა ისჯება განკვეთით. რადგან ჩვენი რწმენა გვიქადაგებს მოძმეთა სიყვარულს, ნებისმიერი კონფესიის ადამიანებს რელიგიურ მშვიდობასა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვას ვთავაზობთ. კანონის შესაბამისად ჩვენ ვიძლევიტ ნებისმიერი რელიგიისა და წესის თავისუფლების გარანტიას პოლონეთის ტერიტორიაზე”.

მიუხედავად ამისა, კონსტიტუციამ ვერ შეძლო პირველი რესპუბლიკის დასასრულის შეჩერება, რასაც შედეგად მოჰყვა პოლონეთის სრული დანაწევრება 1772, 1793 და 1795 წლებში. ამ პერიოდში ეკლესიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა პოლონეთის თვითმყოფადობის, კულტურისა და ენის შენარჩუნების

საკითხში. ამ ფაქტს ადასტურებს გნიეზის მთავარეპისკოპოსის, კარდინალის (Mieczysław Ledóchowski) პრუსიის ციხეში პატიმრობაც. 1916 წელს შეიქმნა სამი ნევრისგან შემდგარი რეგენტთა საბჭო, რომელშიც წამყვანი როლი ვარშავის მთავარეპისკოპოსს, კარდინალ კაკოვსკის, ეჭირა. ქვეყნის დანაწევრების შემდგომ მიღებული პირველი კონსტიტუცია (1921 წლის მარტი) ებრაული და მუსლიმანური გაერთიანებების აღიარების ნიშნად შეიცავს მხოლოდ მოკლე ჩანაწერს (Invocatio Dei): “ყოვლისშემძლე უფლის სახელით”. პირველი კონკორდატი ვატიკანთან 1925 წელს დაიდო.⁴⁹⁴

ომის და ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდებოდა სამი კარდინალის – ადამ სტეფან საპიეჰას (Adam Stefan Sapieha), სტეფან ვისინსკისა (Stefan Wyszyński) და კაროლ ვოიტილას (Karol Wojtyła) მოღვაწეობით. კრაკოვის მთავარეპისკოპოსმა, ადამ სტეფან საპიეჰამ, უპრეცედენტო სიმტკიცე გამოიჩინა ოკუპანტთა წინააღმდეგ პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს, განსაკუთრებით გენერალ ჰ. ფრანკის წინააღმდეგ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გმირები, კარდინალი სტეფან ვისინსკი და კაროლ ვოიტილა (1978 წლიდან რომის პაპი – იოანე-პავლე II), წარმატებით გამოდიოდნენ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მოჩვენებითად პროგრესული კანონები (მაგ., კანონი, რომელიც საეკლესიო საკუთრებას მხოლოდ ქალაქში აღიარებდა), არსებული კანონების იგნორირება (ქონების კონფისკაცია) და მუდამ “უცნობი დამნაშავეს” მიერ ჩადენილი მრავალი სასულიერო პირის საიდუმლოებით მოცული სიკვდილი – კომუნისტური რეჟიმის ანტიეკლესიური პოლიტიკისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

დღეისათვის არსებული ნორმების უმეტესობა მიღებულია 1989 წლის პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა (კათოლიკე) ეპისკოპოსთა კონფერენციაზე განხილული კანონის მიღებით (1989 წელი), რომელიც იძლევა სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას. პოლონეთის სამოქალაქო საეკლესიო სამართლის ისტორიის უახლესი ნაბიჯებია: 1993 წლის კონკორდატი⁴⁹⁵ და 1997 წლის კონსტიტუცია, რომელთა განხილვას ქვემოთ შემოგთავაზებთ.

494 ისტორიული განვითარების გზა, განსაკუთრებით 1921-1989 წლებში, აღწერილია W. Wysoczański-ის მიერ თავის სტატიაში: *Beziehungen zwischen Kirche und Staat in Polen unter besonderer Berücksichtigung der Rechtslage*, in: *ÖfAKR*, 1991, issue 1, p. 145.

495 მიმდინარე კონკორდატის ისტორიის და შინაარსის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოიძიოთ: B. W. Zubert: *Kirche und Staat in Polen im Rahmen des neuen Konkordats*, *ÖfAKR*, 1995/1997, issue 2, p. 491-513.

III. სამართლებრივი წყაროები

1. უპირველეს ყოვლისა, დავინწყით ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი საკითხით: პოლონელი კანონმდებლები იყენებენ ტერმინს "Kościoły i inne związki wyznaniowe", რაც ითარგმნება, როგორც "ეკლესიები და სხვა სარწმუნოებრივი გაერთიანებები", ხოლო უცხოურ გამოცემებში ეს ტერმინი ხშირად თარგმნილია შემდეგნაირად: "ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები". გავრცელებული გერმანული ტერმინი "Staatskirchenrecht" (სამოქალაქო საეკლესიო სამართალი ან სახელმწიფო საეკლესიო სამართალი), რომელიც ასევე ცნობილია პოლონურ სამართლებრივ ნაშრომებში, არ გამოიყენება პოლონეთთან მიმართებაში. კანონის სფეროს, რომელიც განიხილავს ამ საკითხს, ძირითადად უწოდებენ "prawo wyznaniowe" (კონფესიური კანონი)⁴⁹⁶. კონსტიტუციაში და ზოგადად კანონში გამოყენებულია ტერმინები "wolność religii" (რელიგიის თავისუფლება) ან "wolność wyznania" (კონფესიის თავისუფლება). ამ ტერმინოლოგიურ სხვაობას პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა.

სამოქალაქო საეკლესიო სამართლის დებულებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის დებულებები, რომლებიც ყველა ეკლესიას და რელიგიურ გაერთიანებას ეხება (ზოგადი კონფესიური კანონი) და მეორე ჯგუფს – შემავალი დებულებები, რომლებიც ეხება ცალკეულ ეკლესიას და რელიგიურ გაერთიანებას (კერძო კონფესიური კანონი). 1997 წლის კონსტიტუცია და 1989 წლის კანონი, რომლებიც იძლევა სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას, მიეკუთვნება პირველ ჯგუფს.

პოლონური კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა 1997 წლის 2 აპრილის რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუცია ეხება რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. 87-ე მუხლის შესაბამისად, რესპუბლიკის ძირითად სამართლებრივ წყაროს განეკუთვნება შემდეგი სამართლებრივი აქტები: კონსტიტუცია, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, კანონები და დადგენილებები. სამართლებრივი აქტების ყველა ამ კატეგორიაში სხვადასხვა დონეზე გვხვდება რელიგიის შესახებ კანონის ელემენტები, ამიტომ აუცილებელია ისინი აქ განვიხილოთ.

თავად კონსტიტუცია შეიცავს რელიგიასთან დაკავშირებულ რამდენიმე დებულებას, რომლებიც ეხება ეკლესიების და სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს (მუხლი 25-ე), ნაციონალური და ეთნიკური

496 პოლონეთის ყველა ცნობარში ამგვარი სათაურებია, ქვემოთ იხილეთ ლიტერატურა.

უმცირესობების უფლებას, შეინარჩუნონ თავიანთი რელიგიური თვითმყოფადობა (მუხლი 35-ე), რელიგიურ განათლებას სკოლებში (მუხლი 48-ე), რელიგიის თავისუფლებას (მუხლი 53-ე) და შეკრების თავისუფლებას (მუხლი 57-ე). აღსანიშნავია კონსტიტუციის პრეამბულა, რომელიც შეიცავს *Invocatio Dei*-ს და მიღებულია დიდი ხნის მსჯელობის შედეგად: "...პოლონელი ერი – რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, ისინიც, ვისაც აქვს უფლის, როგორც სიმართლის, ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის წყაროს რწმენა და ისინიც, ვინც არ იზიარებენ ამ რწმენას, მაგრამ პატივს სცემენ სხვა წყაროებიდან გამომდინარე ღირებულებებს". ეს პრეამბულა წარდგენილი იყო, როგორც ევროპის კონსტიტუციის შესაძლო მუხლი.

რაც შეეხება ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს, ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია 25-ე მუხლი, რომელიც აცხადებს შემდეგს:

1. ეკლესიებსა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები.
2. პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უნდა იყოს მიუკერძოებელი პიროვნული მრწამსის, რელიგიური თუ ფილოსოფიური, ან ცხოვრებისეული შეხედულებების საკითხებში და უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი გამოხატვის თავისუფლებას....
3. ეკლესიების და სხვა რელიგიური გაერთიანებების და სახელმწიფოს ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს როგორც მათი ავტონომიისა და ორმხრივი დამოუკიდებლობის აღიარების პრინციპზე, ასევე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ზრუნვის პრინციპზე.
4. ურთიერთობა პოლონეთის რესპუბლიკასა და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას შორის უნდა დარეგულირდეს ვატიკანთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საკანონმდებლო აქტით.
5. ურთიერთობა პოლონეთის რესპუბლიკას და სხვა ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო აქტით, რომელსაც იღებენ ხელშეკრულების შესაბამისად თავიანთ წარმომადგენლებსა და მინისტრთა საბჭოს შორის.

1-დან მე-4 ნაწილამდე არანაირი სპეციფიკური საკამათო საკითხი არ ფიგურირებს. რაც შეეხება მე-5 ნაწილს, ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესში მიღწეული შეთანხმებები არ სრულდება. უფრო მეტიც, მოლაპარაკებები თითქმის არც დაწყებულა. სხვადასხვა ეკლესიასა და რელიგიურ გაერთიანებებთან სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ არსებული კანონები სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივ აქტებად შეიძლება მივიჩნიოთ. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს თეორიულად ერთი და იგივე უფლებები აქვთ, პრაქტიკულად კი არსებობს გარკვეული თვალმისაცემი სხვაობა, კერძოდ, რომაულ-კათოლიკური სამღვდლოების გარკვეული პრივილეგია და გავლენა, რაც დაკავშირებულია მათ მნიშვნელოვან რიცხოვრივ უპირატესობასთან სხვა დენომინაციების სამღვდლოებასთან შედარებით.

კონსტიტუციის 53-ე მუხლი ასევე მრავალმხრივია და შედგება შვიდი ნაწილისგან. მისი I ნაწილის შესაბამისად, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ყველასათვის. ეს თავისუფლება მოიცავს (ნაწილი მე-2) უფლების გამოყენების მრავალ ფორმას, მათ შორის, მშობელთა უფლებას თავიანთი შვილების რელიგიური და მორალური განათლების და სწავლების უზრუნველყოფაზე. მე-5 ნაწილში მოცემული რელიგიური თავისუფლების შეზღუდვები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში მოცემული პრინციპები მსგავსია. გარკვეული შეზღუდვები აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალისა და სხვათა თავისუფლებისა და უფლებების დაცვისათვის. მუხლი 85(3)-ის შესაბამისად, რელიგიური შეხედულებებისა და მორალური მრწამსის საფუძველზე შესაძლებელია სამხედრო სამსახურის ჩანაცვლება ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით.

კონსტიტუციის პარალელურად, 1989 წლის 17 მაისს მიღებული კანონი (ქვემოთ მოხსენიებული 1989 წლის კანონის სახელით), რომელიც იძლევა სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას, პოლონეთში სამოქალაქო საეკლესიო კანონის მთელი სისტემის საფუძველია⁴⁹⁷. ეს კანონი ძალაში შევიდა 1989 წლის 4 ივნისის ისტორიულ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ანუ პოლიტიკური სისტემის ცვლილებამდე. კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ ისეთივე კონფესიური თავისუფლება, როგორც პოლონეთის მოქალაქეებს.

497 Dz. U. (პოლონური ოფიციალური ჟურნალი) 1989 No. 29, პუნქტი 155, მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი 1998 წლის 30 მაისის შესწორებით, Dz. U. 98, No 59, p. 375.

2. კომენტარებისა და ცნობარების მიხედვით, ისტორიულ მიზეზთა გამო სახელმწიფოს და ეკლესიის გაცალკეების იდეა იშვიათად წამოჭრილა 1989 წლის შემდეგ. 1989 წლის კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პოლონეთის რესპუბლიკა საერო (სეკულარულ) სახელმწიფოა და იგი რელიგიისა და მსოფლმხედველობის საკითხებში ნეიტრალურია. ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, სახელმწიფო თანამშრომლობს ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებთან მშვიდობის შენარჩუნების, სახელმწიფოს განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის საკითხებში. ეს თანამშრომლობა ასევე გამოიხატება პოლონეთის კულტურული მემკვიდრეობის – რელიგიური ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურული ძეგლების – აღდგენასა და დაცვაში (მუხლი მე-17). ტერმინი თანამშრომლობა აგრეთვე გამოიყენება კონკორდატსა და სხვა კანონებში.

IV. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი

პოლონეთის კანონმდებლობა⁴⁹⁸, კერძოდ, საჯარო სამართალი, არ ცნობს ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი გაერთიანებების კორპორაციულ სამართლებრივ სტატუსს. დღეისათვის ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს. განსხვავება ეკლესიებსა და სარწმუნოებრივ გაერთიანებებს შორის გამოიხატება რეგისტრაციის მეთოდში, თუმცა ყველა კანონიერად რეგისტრირებულ ორგანიზაციას აქვს ერთნაირი იურიდიული უფლებები. ეკლესიები და სარწმუნოებრივი გაერთიანებები მათი აღიარების ან რეგისტრაციის შესაბამისად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. ისინი, ვინც ფუნქციონირებს იმ სპეციალური კანონის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და გარკვეულ ეკლესიებსა და სარწმუნოებრივ გაერთიანებებს შორის, და
2. ისინი, ვინც ფუნქციონირებს 1989 წლის კანონის საფუძველზე და იძლევა სინდისისა და კონფესიური თავისუფლების გარანტიას, ამასთან შექმნა საერთო სტრუქტურა ყველა ეკლესიისა და სარწმუნოებრივი გაერთიანებისათვის პოლონეთში.

498 ზოგიერთმა ეკლესიამ და რელიგიურმა გაერთიანებამ მიიღო ეს სტატუსი მეორე მსოფლიო ომამდე.

150-ზე მეტი აღიარებული ან რეგისტრირებული ეკლესიიდან და რელიგიური გაერთიანებიდან მხოლოდ 14 მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ ეს ჯგუფი შეიცავს ყველაზე დიდ და ამავე დროს, ყველაზე ძველ რელიგიურ გაერთიანებებს (გამონაკლისია იელოვას მოწმეების გაერთიანება, რომელიც სიდიდით მეოთხე გაერთიანებაა და მოქმედებს 1989 წლის კანონის საფუძველზე).

პირველ ჯგუფს ქრონოლოგიურად მიეკუთვნება შემდეგი ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები (ფრჩხილებში მითითებულია შესაბამისი კანონი ან დადგენილება თარიღით): აღმოსავლეთის ძველი წესის ეკლესია (რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილება, 1928 წლის 22 მარტი), ისლამური რელიგიური გაერთიანება (1936 წლის 21 აპრილი), ყარაიმიული რელიგიური გაერთიანება (1936 წლის 21 აპრილი), კათოლიკური ეკლესია (1989 წლის 17 მაისი), პოლონეთის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია (1991 წლის 4 ივლისი), აუგსბურგის კონფესიის ეკლესია პოლონეთის რესპუბლიკაში (ამის შემდგომ წოდებული ლუთერანულ ეკლესიად, 1994 წლის 13 მაისი), პროტესტანტულ-რეფორმისტული ეკლესია (1994 წლის 13 მაისი), პროტესტანტულ-მეთოდისტური ეკლესია (1995 წლის 30 ივნისი), ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესია (1995 წლის 30 ივნისი), მეშვიდე დღის ადვენტიტთა ეკლესია (1995 წლის 30 ივნისი), პოლონურ-კათოლიკური ეკლესია (1995 წლის 30 ივნისი), იუდაიზმის რჯულის გაერთიანებათა კავშირი (1997 წლის 20 თებერვალი), მარიავიტთა კათოლიკური ეკლესია (1997 წლის 20 თებერვალი), მარიავიტული ძველი კათოლიკური ეკლესია (1997 წლის 20 თებერვალი), სახარების რწმენის ეკლესია (1997 წლის 20 თებერვალი).

სხვადასხვა დონისა და ტიპის საეკლესიო დაწესებულებების აღიარებით ზემოხსენებულმა კანონებმა იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა სხვადასხვა კონფესიურ დაწესებულებას. კონკორდატმა აღიარა კათოლიკური ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის სტატუსი, იმ პირობით, რომ იგი მინიჭებულია საეკლესიო სამართლის შესაბამისად. იშვიათ შემთხვევებში ამ სტატუსის მინიჭება ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის დადგენილების საფუძველზე. ამგვარი შემთხვევებია – კათოლიკური ორგანიზაცია “Caritas”, პროტესტანტული “Diaconic Work” ან ტელერადიოსამაუწყებლო ორგანოს “Orthodoxia”-ს დაფუძნება.

1998 წლიდან შესაძლებელი გახდა ჯგუფის მიერ ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანა. ჯგუფი უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, 100 ქმედობაუნარიანი პოლონელი მოქალაქისგან. 1989 წლის კანონის პირველ ვერსიაში წევრთა მინიმალური რაოდენობა შემოიფარგლებოდა 15 პიროვნებით. ამან რიგ შემთხვევებში გამოიწვია არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება განსაკუთრებით სამხედრო სამსახურის მიმართ საბაჟო და

საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით. აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებამოსილია რეგისტრაციაში გაატაროს რელიგიური გაერთიანება 1989 წლის კანონის და 1999 წლის 31 მარტის ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დადგენილების შესაბამისად. ეს განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს: წევრთა ჩამონათვალს, ინფორმაციას ძირითადი მიზნების, დოქტრინის პრინციპებისა და რიტუალური საქმიანობის შესახებ, ასევე ადგილმდებარეობის, დაქვემდებარებული პირების და სტატუსის შესახებ. 1989 წლიდან დაახლოებით 150 ეკლესიამ და რელიგიურმა გაერთიანებამ გაიარა რეგისტრაცია, 48 განმცხადებელს კი ეთქვა უარი. ზოგიერთმა ეკლესიამ და რელიგიურმა გაერთიანებამ განმეორებით მიიღო უარი ფორმალური კრიტერიუმების შეუსაბამობის მიზეზით. ეს კრიტერიუმი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9(2) მუხლის შესაბამისია. შესაბამისი უფლებმოსილი პირი ამონებს, შეესაბამება თუ არა ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების მიზნები და დოქტრინა საზოგადოებრივი წესრიგის და ქვეყნის უშიშროების მოთხოვნებს თუ იგი მიმართულია სიცოცხლისა და მორალის უფლების წინააღმდეგ. 2002 წელს სწორედ ამ მიზეზით ეთქვა უარი რეგისტრაციაზე ორგანიზაციას, რომელსაც სურდა ადამიანის კლონირება⁴⁹⁹. იგივე გადაწყვეტილება მიიღო ადმინისტრაციულმა სასამართლომ (NSA) 1999 წლის 22 იანვარს.

1997 წელს პრემიერ-მინისტრმა შექმნა მინისტრთა კომიტეტი, რომელიც ახალი რელიგიური მიმდინარეობების საკითხებს⁵⁰⁰ განიხილავს. 2000 წელს ამ კომიტეტმა გამოაქვეყნა მოხსენება “სექტების საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთ მოვლენის შესახებ”, რომელიც ზოგადი ხასიათის ინფორმაციას შეიცავდა. არ დაარსებულა სპეციალური ორგანო, რომელიც გააკონტროლებდა სექტების მოღვაწეობას. 2002 წელს კომიტეტმა საქმიანობა შეწყვიტა (2002 წლის 22 მარტის ბრძანება). მაგალითისათვის: პოლონეთში ძალიან აქტიურად მოღვაწეობენ დომინიკანელები, ისინი თავიანთ მონასტრებში აარსებენ ე.წ. სექტის ცენტრებს, რომლებშიც აგროვებენ ინფორმაციას სექტების საქმიანობაზე და ეხმარებიან სექტის შევიწროებულ წევრებსა და მათ ოჯახებს⁵⁰¹.

499 იხ. რეგისტრირებულ ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა ჩამონათვალი: www.mswia.gov.pl/index1_s.html.

500 1997 წლის 25 აგვისტოს ბრძანება, Monitor Polski No 54, Item 513.

501 Cf. internet: www.dominikanie.pl.

V. ეკლესიები და კულტურა

1. ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დააარსონ სკოლები, ბალები და სხვა საგანმანათლებლო-ალმზრდელითი დაწესებულებები (1989 წლის კანონის 21-ე მუხლი). მიუხედავად ამისა, კონფესიური სკოლების რაოდენობა მეტად მცირეა და მათში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1% სწავლობს. ასევე არსებობს არაკათოლიკური საგანმანათლებლო დაწესებულებები. მაგ., ლუთერანულ ეკლესიას პოლონეთში გახსნილი აქვს სამი საბავშვო ბაღი, ორი დაწყებითი სკოლა, ერთი ორენოვანი პოლონურ-გერმანული დაწყებითი სკოლა, ხუთი საშუალო სკოლა და ერთი ბიბლიის სკოლა. უფრო მეტიც, ქ. ვროცლავში "Diaconic Work" ხელმძღვანელობს შრომისუნარობადაკარგული ადამიანებისთვის სასწავლო და სარეაბილიტაციო ცენტრს (CeKiRON).
2. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მალევე, შეწყდა რელიგიური სწავლება ყველა სკოლაში. ასევე დაიხურა კონფესიური სკოლები და რელიგიური სწავლება პოლონეთის სამრევლო სახლებში გაგრძელდა. მხოლოდ 1990 წელს, მთავრობის ხელმძღვანელის ბრძანებით, რამაც იურიდიულ წრეებში ხანგრძლივი დისკუსია გამოიწვია, სკოლებში აღდგა რელიგიის სწავლება. მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება გაამყარა განათლების მინისტრის 1992 წლის დადგენილებამ. ამ დადგენილების შესაბამისად, შვილებისათვის რელიგიური განათლების მიცემის სურვილი მშობელთა მხრიდან შესაძლებელია "ყველაზე მარტივად გამოითქვას". თუ მშობლებს (საშუალო სკოლებში კი თავად მოსწავლეებს) სურთ რელიგიის სწავლება, მათ ალტერნატივის სახით შეიძლება შესთავაზონ ეთიკის გაკვეთილები. თუ განსაზღვრული კონფესიის შვიდმა ან მეტმა მოსწავლემ, ან მათმა მშობლებმა მოითხოვეს რელიგიის გაკვეთილების დანიშვნა, მათი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. თუკი განსაზღვრული კონფესიის მსურველ მოსწავლეთა რიცხვი მერყეობს სამსა და შვიდს შორის, რელიგიური სწავლება სკოლისა და რელიგიური გაერთიანების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება. თუკი მსურველ ბავშვთა რაოდენობა უფრო ნაკლებია, რელიგიური სწავლება შესაბამისი ეკლესიის დაწესებულებაში მოხდება. ყველა შემთხვევაში, რელიგიის პედაგოგს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პედაგოგიური კვალიფიკაცია, რაც მითითებულია ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია განათლების სამინისტროს, ეპისკოპოსთა კონფერენციასა და პოლონურ ეკუმენურ საბჭოს შორის (იხ. XII თავი).
3. თეოლოგიური ფაკულტეტები სახელმწიფო უნივერსიტეტებში მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აღდგა, აკრძალვიდან ოთხი ათეული წლის

შემდგომ. ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტს (KUL) ყოველთვის ჰქონდა თეოლოგიური ფაკულტეტი, მაგრამ KUL-ი ნამდვილად გამონაკლისი იყო მთელ აღმოსავლეთ ბლოკში. ომის შემდგომი პერიოდიდან 1989 წლამდე იგი ფუნქციონირებდა როგორც არასახელმწიფო უნივერსიტეტი და საზრდოობდა მხოლოდ კერძო შემონირულებებით. კომუნისტური წყობის დასრულებას მოჰყვა ცვლილებები: 1991 წლის 14 ივნისის კანონის შესაბამისად, KUL-ის დაფინანსება ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. იგივე ეხება კრაკოვის თეოლოგიურ ფაკულტეტს (1997 წლის 26 ივნისის კანონი) და ვარშავის კარდინალ ვისზინსკის უნივერსიტეტს, რომელიც დაარსდა 1999 წელს, ამასთან გამოეყო კათოლიკური თეოლოგიის აკადემიას (1999 წლის 3 სექტემბრის კანონი).

ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტებში თეოლოგიური ფაკულტეტები გახსნილია შემდეგ ქალაქებში: კატოვიცა, ტორუნი, პოზნანი, ოპოლე და ოლზტინი. დასახელებულთაგან ბოლო ორ შემთხვევაში ფაკულტეტები დაარსდა უნივერსიტეტების დაარსებასთან ერთად, 1990-იან წლებში. ბიალისტოკის უნივერსიტეტში არსებობს ფაკულტეტი, რომელშიც ისწავლება როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება. ვროცლავსა და გდანსკში უნივერსიტეტის საბჭომ თეოლოგიური ფაკულტეტის დაარსების ნინააღმდეგ მისცა ხმა. კათოლიკურ ინსტიტუტებთან ერთად ვარშავაში არსებობს “ქრისტიანული თეოლოგიური აკადემია”, რომელიც უზრუნველყოფს სამღვდლოებისა და თეოლოგების მომზადებას არა რომაულ-კათოლიკური ეკლესიებისათვის. იგი შეიქმნა ვარშავის უნივერსიტეტის ევანგელისტურ-თეოლოგიური ფაკულტეტის მაგივრად, რომელიც 1954 წელს გაუქმდა. “ქრისტიანული თეოლოგიური აკადემია” არსებობდა 1954-1989 წლებშიც კი, მაგრამ კანონის საფუძველზე მხოლოდ 2000 წელს დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აკადემიასთან ერთად ვროცლავში ფუნქციონირებს ბიბლიის სემინარია, რომელსაც ხარისხის მინიჭების უფლება აქვს და იგი ამერიკულ ბაპტისტურ ეკლესიასთან თანამშრომლობს.

ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები აქტიურად თანამშრომლობენ მედიასთან. საზოგადოებრივი ტელევიზიით გადაცემა კონკორდატივად და კანონებით გათვალისწინებული რელიგიური პროგრამები. პოლონეთის ეკუმენურ საბჭოსა და საზოგადოებრივ ტელევიზიას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, არსებობს ეკუმენური რელიგიური პროგრამების ტრანსლაციაზე პასუხისმგებელი სარედაქციო კომიტეტი,

თუმცა არ ჰყავთ ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც ოფიციალურად მოემსახურება სამეთვალყურეო ან სათათბირო საბჭოს. ზოგიერთ ეკლესიასა და რელიგიურ გაერთიანებას აქვს საკუთარი სამაჟინტო სადგურები: არსებობს ნაციონალური და რეგიონალური კათოლიკური რადიოსადგური, ასევე რადიო "Orthodoxia" სახელმწიფოს ნებართვით, რომელიც კანონს შეესაბამება, არსებობს კონფესიური სატელევიზიო სადგური "Trwam".

1989 წლის კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ეკლესიასა და რელიგიურ გაერთიანებას უფლება აქვს უხელმძღვანელოს საგამომცემლო სახლებს, გამოსცეს ჟურნალები და გაზეთები და ამ მიზნით საზღვარგარეთიდან უსასყიდლოდ მიიღოს ქალაქი, საბეჭდი მოწყობილობა და შესაბამისი აღჭურვილობა. საქველმოქმედო და საკულტო მომსახურების საგნები თავისუფალია საბაჟო გადასახადისგან (მუხლი მე-13(7), 1989 წლის კანონი).

VI. შრომის კანონი

პიროვნების რელიგიური კუთვნილება არ აღირიცხება არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში და მასზე არც ცნობების მოძიება შეიძლება.

ღვთისმსახურთათვის მუშაობის პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ყოველი შესაბამისი ეკლესიისა თუ რელიგიური გაერთიანების შიდა დებულებაში. ლუთერანულ ეკლესიაში, მაგალითად, არსებობს ტერმინი "vocation" პასტორსა და მრევლს შორის დადებული შეთანხმებისათვის. ეს შეთანხმება ეხება სასულიერო პირთა (დიაკვანი, პასტორი, ეპისკოპოსი და ა.შ.) ანაზღაურებას ან მათ უფლებებს პენსიაზე გასვლის შემდეგ. იგივე სამუშაო წესები ეხება კონფესიურ დაწესებულებებში მომუშავე საერო პირებსაც, რომელთაც სასულიერო პირების მსგავსი "ერთგულება" მოეთხოვებათ. კათოლიკეთა არასამუშაო დღეები აღნიშნულია კონკორდატის მე-9 მუხლში, რომელიც ამ დღეებს სახელმწიფო დასვენების დღეებად აცხადებს. სხვა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის კანონი განსაზღვრავს არასამუშაო დღეებს იმ პირობით, რომ შესაბამისი კონფესიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ უხელფასოდ დაისვენონ ამ დღეებში.

VII. კანონი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ

კონკორდატის მე-10 მუხლის თანახმად, “ეკლესიურ ქორწინებას აღსრულებისთანავე ისეთივე ეფექტი აქვს, როგორც პოლონური კანონების შესაბამისად შემდგარ ქორწინებას”. სწორედ კონკორდატის ამ მუხლმა განაპირობა პარლამენტის მიერ კონკორდატის რატიფიცირების ხანგრძლივი გადადება: მემარცხენე პოლიტიკური პარტიის (SLD) წარმომადგენლებმა შიში გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ სამღვდლოება დროულად ან სათანადოდ არ აცნობებს ქორწინების შესახებ სარეგისტრაციო ბიუროს. ეგრეთ წოდებული “ქორწინება კონკორდატის საფუძველზე” შესაძლებელი გახდა 1998 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც მოხდა მისი რატიფიცირება და კონკორდატი ძალაში შევიდა, ხოლო 1998 წლის 24 ივლისის კანონით საოჯახო კოდექსში შესაბამისი შესწორება შევიდა. შემდეგი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მიერ – კათოლიკური ეკლესია, მართლმადიდებელი ეკლესია, ლუთერანული ეკლესია, რეფორმისტული ეკლესია, მეთოდისტური ეკლესია, ბაპტისტური ეკლესია, მეშვიდე დღის ადვენტისტები, პოლონური კათოლიკური ეკლესია, იუდაიზმის რჯულის გაერთიანებების კავშირი, ძველი კათოლიკე მარიავიტები, აღმოსავლური წესის ეკლესია, ისლამური რელიგიური გაერთიანება და ყარაიმული რელიგიური გაერთიანება – აღსრულებულ ქორწინებებს ცნობს სამოქალაქო სამართალი. კანონპროექტის ავტორთა განმარტებით, დანარჩენი ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები არ ავლენს ინტერესს ეგრეთ წოდებული “კონკორდატის საფუძველზე ქორწინების” მიმართ.

კათოლიკურ ეკლესიას სრული საფუძველი აქვს განაცხადოს, რომ კონკორდატი პრივილეგიას აძლევს აგრეთვე სხვა ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს, ვინაიდან, კონკორდატის შესაბამისად, თანაბარი სტატუსი ეძლევა მათ და მათ ნევრებს.

საეკლესიო, ანუ “კონფესიური ქორწინება” შეიძლება შედგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარეგისტრაციო ბიუროს ოფისიდან მოვა დამადასტურებელი ცნობა, რომ მხარეთა შორის ეს ქორწინება სამართლებრივად შესაძლებელია (ეს ხდება მრავალცოლიანობისა და მრავალქმრიანობისგან დაცვის მიზნით). აღსანიშნავია, რომ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის შესაბამისად, ქორწინება, “მამაკაცისა და ქალის კავშირი, ხდება პოლონეთის რესპუბლიკის მხრიდან მზრუნველობისა და დაცვის საგანი”.

ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინების შემოღება აუცილებლად გამოიწვევდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, მაგრამ, მიუხედავად

პოლიტიკური დებატებისა, ეს თემა არ დგას დღის წესრიგში. მე-18 მუხლი არის I თავის ნაწილი. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან კონსტიტუციის მე-12 თავის შესაბამისად, შესწორების პროცესი გართულებულია 1-ლი და მე-2 თავებისთვის (ფუნდამენტური უფლებები), ასევე მე-12 თავისთვის. იმისათვის, რომ კონფესიურ ქორწინებას ჰქონდეს სამოქალაქო ეფექტი, მნიშვნელოვანი პირობაა, მღვდელმა აცნობოს ქორწინების შესახებ ადგილობრივ სარეგისტრაციო ბიუროს ხუთი დღის განმავლობაში. ამასთან ერთად, 1999 წელს შემოიღეს ახალი სამართლებრივი პროცედურა, რომელსაც ეწოდა “განცალკევება”. იგი, პრინციპში, ნიშნავს გაყრას, თუმცა კანონიკურად ამის შემდეგაც კი შეუძლებელია შემდგომი ქორწინება.

გაყრა (შემდგომი ქორწინების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო პროცედურის შედეგად. ოჯახის დაცვის მიზნით. მხოლოდ საოლქო (sąd okręgowy) და არა ადგილობრივ მუნიციპალურ (sąd rejonowy) სასამართლოს ეძლევა ქორწინების საქმეების განხილვის კომპეტენცია.

VIII ეკლესიის დაფინანსება

1989 წლის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ორგანიზაციებს უფლება არ აქვს ფინანსური დახმარება გაუწიოს ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს. თუმცა, კანონით, გათვალისწინებულია გარკვეული გამონაკლისებიც. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების არსებობა და ფუნქციონირება შესაძლებელია მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულებებით. პოლონეთში არ არსებობს ეკლესიის დაბეგვრის ტრადიცია, თუმცა ბოლო წლებში აქტიურად განიხილავენ მისი შემოღების შესაძლებლობას⁵⁰². ყველა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებისთვის ძირითადი საარსებო წყაროა ე.წ. კვირა დღის შემოწირულება, ნათლობიდან შემოსული გადასახადი, ასევე ქორწინებიდან, დაკრძალვიდან და ყოველწლიური “პასტორული ვიზიტის” (ჩვეულებრივ “kolęda”-დ წოდებული) შედეგად მიღებული შემოსავალი, რომელიც პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს შობის პერიოდში, ძირითადად იანვარში: მღვდელი ან რომელიმე სხვა სასულიერო პირი ეწვევა სახლში მრევლის ყველა წარმომადგენელს, ვისაც აქვს ამის სურვილი და ესაუბრება მათ რელიგიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

502 ლუთერანულ ეკლესიას პოლონეთში აქვს ე.წ. შიდა საეკლესიო დაბეგვრა (შემოსავლის 1%), თუმცა იგი ვერ შეედრება გერმანულ სისტემას. უპირველეს ყოვლისა, არ არის დაცული გადასახადის აკრეფასთან დაკავშირებული სიზუსტე.

კანონის შესაბამისად, ეკლესიის ქონება და შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას, თუმცა რეალურად, ხშირ შემთხვევაში, გადასახადისგან იურიდიულად განთავისუფლების გამო ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები იშვიათად თუ იხდის გადასახადს თავიანთი არაეკონომიური საქმიანობისთვის. ისინი ვალდებული არიან, გადაიხადონ გადასახადი ეკონომიური საქმიანობის სფეროში, ასევე – საშემოსავლო გადასახადი თავიანთი შემოსავლის იმ ნაწილიდან, რომელიც არ ხმარდება რელიგიურ ცერემონიებსა და შენობების რეკონსტრუქციას. 1998 წლის 20 ნოემბრის კანონის თანახმად, ყველა ეკლესიის და რელიგიური გაერთიანების სამღვდელოება ვალდებულია კვარტალურად გადაიხადოს საბოლოო გადასახადი, რომელიც პასტორისთვის განისაზღვრება მრევლის სიდიდით (319 PLN-სა და 1136-ს შორის), ხოლო ვიკარისთვის – მრევლის სიდიდეს დამატებული ქალაქის სიდიდით.

ამჟამინდელი მემარცხენე მთავრობა ფიქრობს ცვლილებების შეტანას ამ პრაქტიკაში: დღეისთვის გადასახადის გადამხდელებს შეუძლიათ სავალდებულო გადასახადს გამოაკლონ თავიანთი შემოსავლის 10%-ზე მეტი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის შემონირულებისთვის. მთავრობა გეგმავს შეამციროს ეს თანხა წელიწადში დაახლოებით 80 ევრომდე, რაც საშუალო შემოსავლის 1%-ზე ნაკლებია. ამასთან, არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულიც დაექვემდებარება დაბეგვრას 19%-ით. ამგვარად ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები დგება თანაბარ პირობებში სხვა იურიდიულ პირებთან, რაც ეწინააღმდეგება პოლონურ ტრადიციას.

თავისი მოვალეობის შესრულებისათვის სამღვდელო პირი სახელმწიფოსგან ანაზღაურებას არ იღებს. მისი შრომა ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მუშაობს რელიგიის პედაგოგად სკოლაში. 1990/91 სასწავლო წელს, მაშინ, როცა მრავალი წლის შემდეგ აღდგა რელიგიური სწავლება სკოლებში, ეკლესიამ უარი თქვა რელიგიის პედაგოგების ანაზღაურებაზე, ვინაიდან სახელმწიფოში არსებობდა ფინანსური კრიზისი (ეს განსაკუთრებით ეხებოდა მღვდლებსა და მონაზვნებს კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. სულ უფრო იზრდება რელიგიის საერო (არასასულიერო) პედაგოგთა რიცხვი). ამან გამოიწვია შეუსაბამო პოლონეთის შრომის კანონთან, ვინაიდან პიროვნებას არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ანაზღაურებაზე. იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება სოციალურ დაზღვევას, თითოეული სამღვდელოების წარმომადგენელი თავად არის პასუხისმგებელი საკუთარ შემონატანზე. რელიგიური ორდენის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ამ ორდენის წევრთა შემონატანზე. სამღვდელოების წარმომადგენელი იხდის თანხის 20%-ს თვითონ, ხოლო დანარჩენი

ივსება ეკლესიის ფონდიდან. ეკლესიის ფონდი შეიქმნა 1950 წელს, მას შემდეგ, რაც მრავალ ეკლესიასა და რელიგიურ გაერთიანებას ჩამოერთვა ქონება. თავდაპირველად იგი არსებობდა მხოლოდ ქალაქებში, სრულფასოვნად კი ფონდი გასული საუკუნის 90-იან წლებში ამოქმედდა.

დღეისთვის მნიშვნელოვანი საკითხია ეკლესიის ქონების რესტიტუცია, ეგრეთ წოდებული “რეგულაციის პროცესი”. პოლონეთში ეკლესია, მათ შორის კათოლიკურიც, არასოდეს ყოფილა დიდი მიწის მფლობელი (მთლიანობაში იგი ფლობდა დაახლოებით 150 000 ჰექტარს). მიუხედავად ამისა, ომის შემდეგ მათ ჩამოართვეს ქონების უდიდესი ნაწილი. რესტიტუციის პროცესს საფუძვლად დაედო რამდენიმე კანონი. ამ პროცესზე პასუხისმგებლები არიან ე.წ. “რეგულაციის კომიტეტები” – შერეული კომიტეტები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებისგან შედგება. ისინი საარბიტრაჟო სასამართლოს ფუნქციას ასრულებენ. სულ ხუთი კომიტეტი არსებობს: ცალკეულ რელიგიურ გაერთიანებათა კომიტეტები (ანუ კათოლიკური ეკლესია, ლუთერანული ეკლესია, მართლმადიდებელი ეკლესია და ებრაელთა რელიგიური გაერთიანება) და გენერალური კომიტეტი, რომელიც 1989 წლის კანონის შესწორების საფუძველზე დაარსდა. გენერალური კომიტეტის საქმიანობას განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის 2000 წლის 9 თებერვლის დადგენილება. ეს კომიტეტი განიხილავს სხვა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მოთხოვნებსაც (რეფორმისტული ეკლესია, მეთოდისტთა ეკლესია, ბაპტისტური ეკლესია, ადვენტისტთა ეკლესია) და 22 წევრისაგან შედგება: ხელისუფლების 4 წარმომადგენლისა და ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების 18 წარმომადგენლისგან. ყველა ამ კომიტეტის გადანიშნულება სასამართლოს გადანიშნულების ტოლფასია. ისტორიული და სტატისტიკური მონაცემებით, ეს პროცესი ამკარად ეხება კათოლიკურ და ლუთერანულ ეკლესიებს დასავლეთ პოლონეთში. ცალკე განხილვის საგანია ებრაული გაერთიანებების მოთხოვნები, ვინაიდან ისინი ძირითადად ეხება იმ ქონების რესტიტუციას, რომელიც მათ ჩამოართვეს გერმანიის რეიხმა 1933-1945 წწ.-ში. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის ქონების რესტიტუციის დოკუმენტი განსაკუთრებულია პოლონეთის სამართლებრივ სისტემაში, ვინაიდან დღემდე არ არსებობს “რეპრივატიზაციის კანონი”.

IX. რელიგიური დახმარება საჯარო ინსტიტუტებში

არმიაში, პოლიციაში, საავადმყოფოებში, სამედიცინო და საქველმოქმედო ორგანიზაციებში, ისევე როგორც სასჯელალსრულების დაწესებულებებში, რელიგიური დახმარების საკითხს განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიების და სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების ურთიერთობის 1989 წლის კანონი, ასევე დამატებითი კანონები და დადგენილებები. ამასთან დაკავშირებით, დღემდე არანაირი კამათი არ წარმოშობილა. შეიარაღებულ ძალებში არსებობს სამი მიმდინარეობის ეპარქია: კათოლიკური, მართლმადიდებელი და ლუთერანული. სამხედრო კათოლიკე ეპისკოპოსი (უფრო კონკრეტულად biskup polowy) იმავდროულად არის მეორე ხარისხის გენერალი (generał dywizji), სხვა დენომინაციების ეპისკოპოსებს აქვთ პოლკოვნიკიდან დაწყებული პირველი ხარისხის გენერალამდე (generał brygady) წოდება.

X. რელიგია და სისხლის სამართლის კანონი

რესპუბლიკის კონსტიტუციის 32-ე მუხლი შეიცავს დისკრიმინაციის ამკრძალავ დებულებას. ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დანვრილებითი ინფორმაციის შემცველია 1997 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (XXIV თავი, 194-196-ე მუხლები). სისხლის სამართლის კოდექსით სხვადასხვა შემთხვევისთვის გათვალისწინებულია სამი სახის სანქცია: ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ისჯება ყველა ქმედება, რომელიც იწვევს სარწმუნოებრივი ნიშნით პიროვნების უფლებების შეზღუდვას. ასევე დანაშაულად ითვლება სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების ღვთისმსახურების პროცესის ჩაშლა ან ხელის შეშლა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი “ღვთისმსახურება” ფართო ცნებაა და იგი არ ესადაგება მხოლოდ კათოლიკურ მესას ან სხვა ქრისტიანულ მსახურებას. გარდა ამისა, ისჯება პიროვნება, რომელიც ხელს შეუშლის ქორწინების ან დაკრძალვის ცერემონიას, შელახავს სხვა პიროვნების რელიგიურ გრძნობებს ან საქვეყნოდ გამოავლენს რელიგიური საგნის, რიტუალის ან ადგილის მიმართ უპატივცემულობას.

სასჯელალსრულების კანონის 107-ე მუხლის შესაბამისად, პიროვნება, რომელმაც დანაშაული ჩადინა პოლიტიკური ან რელიგიური მოტივით, არ უნდა იხდიდეს სასჯელს “ჩვეულებრივ კრიმინალებთან” ერთად. მას უფლება აქვს ჰქონდეს

საკუთარი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და არ არის ვალდებული, იმუშაოს. ეს პრივილეგიები არ შეეხება პირს, რომელმაც დანაშაული ძალის გამოყენებით ჩაიდინა.

XI. სასულიერო პირთა სამართლებრივი მდგომარეობა

სახელმწიფო, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში სამღვდელეობას აქვს ისეთივე უფლება-მოვალეობანი, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, გარდა იმ უფლებებისა, რაც ენიშნააღმდგევა სასულიერო პირის მსოფლმხედველობას თუ საქმიანობის წესს (1989 წლის კანონის მე-12 მუხლი). ეს განსაკუთრებით ეხება სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების საკითხებს. ასეთ შემთხვევაში რელიგიური გაერთიანების დებულებაში მითითებული უნდა იყოს, ვინ არის გაერთიანების მღვდელი, ასევე – მისი დანიშვნის ან არჩევის მეთოდი და სამუშაო. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების აუცილებელი პირობები დაადგინა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2000 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით⁵⁰³. სეიმის, სენატის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში არ არის შეზღუდული სამღვდელეობის წარმომადგენელთა მონაწილეობა, მაგრამ ტრადიციის ან ეკლესიის შიდა წესების გამო (მაგ. ლუთერანულ ეკლესიაში) სამღვდელეობა არ იღებს მონაწილეობას ამგვარ საქმიანობაში. 1989 წლის შემდეგ, არჩევნების პერიოდში, სამღვდელეობა შეეცადა მოეპოვებინა მორწმუნე საზოგადოებაზე პოლიტიკური გავლენა, მაგრამ ეს უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ სამღვდელი პირები უბრალოდ იხდიან თავიანთ სამოქალაქო მოვალეობას არჩევნებში და არ ახსენებენ არც პარტიების, არც კანდიდატების სახელებს.

კონფესიური საიდუმლო დაცულია როგორც 1964 წლის სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში (მუხ. 261(2)(2)), ასევე 1997 წლის (მუხლი 178-ე) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

503 NSA sygn. III S.A. 1411/00.

XII. საბოლოო შენიშვნები

მიუხედავად იმისა, რომ მესაზე დამსწრეთა რაოდენობა მონათლულ წევრთა რაოდენობაზე გაცილებით ნაკლებია, კათოლიკური ეკლესია თავისი სამი კარდინალით (ვარშავის, კრაკოვისა და ვროცლავის მთავარეპისკოპოსები), 121 ეპისკოპოსით და დაახლოებით 30 000 მღვდლით, ეჭვგარეშეა, ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი რელიგიური გაერთიანებაა პოლონეთში.

1989 წელს შვიდმა დანარჩენმა მრავალრიცხოვანმა ეკლესიამ (ლუთერანები, მეთოდისტები, ბაპტისტები, მარიავიტები, მართლმადიდებლები, რეფორმისტები და პოლონელი-კათოლიკები) დააფუძნა პოლონეთის ეკუმენური საბჭო (Polska Rada Ekumeniczna). კათოლიკური ეკლესია თანამშრომლობს საბჭოსთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაა ამ საბჭოს წევრი. რაღაც ახალი მიდგომა და ახალი სულისკვეთება ჩანს სხვადასხვა დენომინაციის ურთიერთობაში, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ქ. ვროცლავში შობის წინ (2000 წელი), როდესაც სამი ორგანიზაცია – Caritas, Diaconic Work და Orthodox Eleos – ერთად ყიდდა სანთლებს, მიღებული შემოსავალი კი მოხმარდა ბავშვებს. ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები ერთობლივ განცხადებებს აკეთებენ იმ კანონპროექტებისა და დადგენილებების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მათ სოციალურ და საქველმოქმედო საქმიანობასთან, ასევე ატარებენ ერთობლივ კონფერენციებს ამ საკითხების განსახილველად.

ეკუმენური თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია შვიდი ეკლესიის 2000 წლის 23 იანვრის ერთობლივი დეკლარაცია (კათოლიკური, ლუთერანული, მართლმადიდებლური, მეთოდისტური, პოლონურ-კათოლიკური და მარიავიტის ძველი კათოლიკური ეკლესიები), რომელშიც ისინი ერთმანეთის ნათლობას აღიარებენ. ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქ. ვროცლავი, სადაც ერთმანეთისადმი პატივისცემით გამსჭვალული ხუთი დენომინაციის ეპისკოპოსი თანაარსებობს: რომაულ-კათოლიკური, ბერძნულ-კათოლიკური, პოლონურ-კათოლიკური, ლუთერანული და მართლმადიდებელი ეკლესიების რელიგიური ლიდერები და სულ რაღაც 1 000 მეტრში ერთმანეთის გვერდით მდებარეობს რომაულ-კათოლიკური, ლუთერანული, მართლმადიდებლური ეკლესიები და ებრაული სინაგოგა. ქ. ვროცლავი ოფიციალურად ცნობს პრაქტიკული თანამშრომლობის ამგვარ მაგალითებს სკოლებში რელიგიური სწავლების ჩათვლით. ”

XIII. ბიბლიოგრაფია

ძირითადი ცნობარები პოლონურ ენაზე:

- J. Krukowski, K. Warchałowski, Polskie prawo wyznaniowe [poloneTis konfesiuri kanoni], Warszawa 2000.
- H. Misztal, Prawo wyznaniowe [konfesiuri kanoni], Lublin 2000.
- M. Pietrzak, Prawo wyznaniowe [konfesiuri kanoni], Warszawa 1999.
- W. Uruszczak, Z. Zarzycki, Prawo wyznaniowe. Zbiór przepisów [konfesiuri kanoni, teqstebis nakrebi], Kraków 2003.
- M. Winiarczyk-Kossakowska: Państwowe prawo wyznaniowe w praktyce administracyjnej [saxelmwifo konfesiuri kanoni administraciul praqtikaSi], Warszawa 1994.
- W. Wysoczański, M. Pietrzak, Prawo kościołów i związków wyznaniowych niekatolickich w Polsce [arakaTolikuri eklesiebisa da religiuri gaerTianebebis kanoni], Warszawa 1997.
- M. Libichowska-Żółtowska: Kościoły i związek wyznaniowe w Polsce [eklesiebi da religiuri gaerTianebebi poloneTSi], Warszawa 2001.

სტატიები და მოხსენებები უცხო ენაზე:

- M. Lis, Die Kirchen als Arbeitgeber. Tendenzschutz, Nichtdiskriminierung und Anerkennung von Schul- und Berufungsausbildungen, in: Österreichisches Archiv für Recht und Religion, 2003, issue 1, p. 76-84.
- A. Orszulik, Bericht über Polen, in: Essener Gespräche 29, p. 90.
- M. Pietrzak, La situation juridique des communautés religieuses en Pologne contemporaine, in: saxelmwifo-eklesiis kvlevis evropuli Jurnal, tomi 6, 1999, გვ. 233.
- M. Rynkowski, Church and State in Poland in 2000 and in 2001, in: saxelmwifo-eklesiis kvlevis evropuli Jurnal, tomi 9, 2002, გვ. 279-290.
- R. Sobański, Das Verhältnis von Gesellschaft, Staat und Kirche in Polen, in: B. Kämper, M. Schlagheck (Hrsg.) Zwischen nationaler Identität und europäischer Harmonisierung, Berlin 2002, p. 25.
- W. Wysoczański, Beziehungen zwischen Kirche und Staat in Polen unter besonderer Berücksichtigung der Rechtslage, Österreichisches Archiv für Kirchenrecht, 1991/1.
- B. W. Zubert, Kirche und Staat im Rahmen des neuen Konkordats, Österreichisches Archiv für Kirchenrecht, 1995/97, Heft 2, p. 491-513.

სახელმწიფო და ეკლესია პორტუგალიაში

I. სოციალური ფაქტები

ოფიციალური მონაცემების თანახმად (2001 წლის აღწერის შედეგები პორტუგალიაში), 15 წელზე მეტი ასაკის პორტუგალიელების 85% თავის თავს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას მიაკუთვნებს⁵⁰⁴, თუმცა რელიგიურ ცერემონიებსა და რიტუალებში მონაწილეთა რიცხვი ფაქტობრივად შემცირებულია⁵⁰⁵. არსებობს რამდენიმე რელიგიური ჯგუფი, რომლებიც სოციალურად და ორგანიზაციულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ურბანულ ცენტრებში (ძირითადად ლისაბონში, ოპორტოში, სებუტალში, ბრაგაში). ესენია: მართლმადიდებლები, იეღოვას მონაწილეები, რამდენიმე პროტესტანტული ეკლესია, მუსლიმანები (ძირითადად შიიტები და სუნიტები), ებრაელები, ინდუსები და რიგი ახალი მიმდინარეობები, როგორებიცაა: მანას ეკლესია და უფლის სამეფოს უნივერსალური ეკლესია⁵⁰⁶. თუმცა ზოგი მათგანი, განსაკუთრებით ნაკლებტრადიციული, განიხილება, როგორც სექტა და არა როგორც გაერთიანება, რომლებიც უმრავლესობის წარმომადგენელი რელიგიური ჯგუფების ალტერნატივას წარმოადგენს და მეტოქეობას უწევს მათ. ეს ჯგუფები აწყდება ინდიფერენტულ დამოკიდებულებას და მრავალ სფეროში ჯერ კიდევ არ განიხილება თანასწორად არც სახელმწიფოს, არც კერძო პირების მიერ, თუმცა, კონსტიტუციის და კანონიერების მოთხოვნების შესაბამისად, ისინი უნდა განიხილებოდეს როგორც თანასწორუფლებიანი ჯგუფები. არსებული სიტუაცია სათავეს იღებს რელიგიის განვითარების ისტორიული წინაპირობისგან პორტუგალიაში.

504 კათოლიკური მოსახლეობის ყველაზე დიდი კონცენტრაცია – 94% – აღინიშნება აზორებზე, ყველაზე დაბალი კონცენტრაციაა ლისაბონის რეგიონში (73%).

505 მაგ., კათოლიკური ეკლესიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1991 და 2001 წლებს შორის კათოლიციზმის მიმდევართა რაოდენობა ლისაბონის რეგიონში 9%-ით შემცირდა. შემდგომ პერიოდში დაიხურა ზოგიერთი ეკლესია და შემცირდა საეკლესიო ნირვების რიცხვი. იხ. Prática Dominical no Patriarcado de Lisboa. Resultados do Recenseamento de 2001 at <http://www.patriarcado-lisboa.pt>.

506 ზოგიერთი ციფრი 2001 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებიდან: მართლმადიდებლები 17,443, პროტესტანტები: 48,301, მუსლიმანები (შიიტები და სუნიტები) 12,014, ებრაელები 1,773, მანას და უფლის სამეფოს უნივერსალური ეკლესიის შემადგენლობაში შედის სხვა ქრისტიანული კონფესიების 135,000 წევრთა უმეტესობა.

II. ისტორიული მონაცემები

პორტუგალიელების მიერ თავიანთი მებობლებისგან დამოუკიდებლობის მოპოვებას მეთორმეტე საუკუნეში (1143წ.), რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შესაქმნელად, მაგრამ რომის პაპის აღიარების გარეშე პორტუგალია არ იქნებოდა მიჩნეული, როგორც რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. ახალი სახელმწიფოს სახით თავისი არსებობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში პორტუგალიის მმართველები იყვნენ კათოლიკური პაპის ვასალები. ეს უკანასკნელნი არაერთხელ იყენებდნენ თავიანთ ძალაუფლებას იმისთვის, რომ განედევნათ და შეეცვალათ მეფეები. თუმცა მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ეს მდგომარეობა შეიცვალა (მოხდა გარდაქმნა ეგრეთ ნოდებული *jurisdiccionalismo*-ის ან მეფის მიერ ადგილობრივი საეკლესიო ინსტიტუტების კონტროლის განხორციელებაში).

შუა საუკუნეების ბოლოს სახელმწიფომ და კათოლიკურმა ეკლესიამ კვლავ მჭიდრო კავშირი დაამყარა, თუმცა ეს ორი ხელისუფლება ცდილობდა დაებალანსებინა ურთიერთსარგებლიანობა, რომლის მიღწევაც მათ შეძლეს. სახელმწიფო ცდილობდა გამოეყენებინა რელიგია ლეგიტიმიზაციისა და სოციალური კონტროლის მექანიზმის დასამკვიდრებლად. ეკლესია ცდილობდა სახელმწიფო ხელისუფლება გამოეყენებინა, როგორც საეკლესიო რწმენის პროპაგანდის და თავისი მისიის მხარდაჭერის საშუალება.

რეფორმაციის პროცესმა და კონფლიქტმა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ვერ პოვა განვითარება პორტუგალიაში. ლუთერის, კალვინის და სხვათა იდეები არ იყო პოპულარული არც მმართველ წრეებში და არც ზოგადად მოსახლეობაში.

აქედან გამომდინარე, როდესაც საქმე ეხება პირველ ლიბერალურ რევოლუციას და ლიბერალურ იდეალებზე დაფუძნებული კონსტიტუციის ამოქმედებას (1822წ.), არ უნდა გაგვივირდეს პორტუგალიის პირველი კონსტიტუციის 25-ე მუხლში არსებული განცხადება, რომელშიც ნათქვამია: “პორტუგალიელი ერის რელიგია რომაულ-კათოლიკურია”⁵⁰⁷.

507 პორტუგალიის კონსტიტუციებისათვის იხილეთ Jorge Miranda, როგორც *Constituições Portuguesas. De 1822 ao texto actual da Constituição*, 3rd ed., Lisbon, 1992.

სხვა⁵⁰⁸ რელიგიების არსებობა დაშვებული იყო მხოლოდ უცხოელებისათვის. ამასთან მათი საკულტო მსახურება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო საზოგადოებრივ ადგილებში ან საზოგადოებრივი აღმსარებლობის ადგილებში.

მონარქიის უკანასკნელი ოთხმოცდაოთხი წლის განმავლობაში ამოქმედდა ორი შემდგომი კონსტიტუცია: პირველი – 1826 წლის, რომელიც რიგი წყვეტების გამო დარჩა ძალაში დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, რესპუბლიკურ რევოლუციამდე (1910 წლის ოქტომბერი), ხოლო მეორე – 1838 წლის, რომელიც ძალაში იყო მხოლოდ რამდენიმე წელი. ორივე კონსტიტუცია აშკარად მიუთითებდა, რომ კათოლიკური რელიგია იყო სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია. თუმცა 1826 წლის კონსტიტუციის ავტორი (თვით მეფე პედრო IV) პორტუგალიაში პირველად იძლეოდა გარანტიას, რომ “არ განხორციელებულიყო დევნა რელიგიური მოტივების გამო, იმ პირობით, თუ სახელმწიფო რელიგიას პატივისცემით მოეპყრობოდნენ და არ შეურაცხყოფდნენ” (პუნქტი 145(4)-ე).

XIX საუკუნის ბოლოს, მიუხედავად არსებული დე ფაქტო ლიბერალიზაციისა, საკმაოდ მცირე იყო სამართლებრივი შეღავათი რელიგიის და სინდისის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკური რევოლუცია (1910 წ.), ამავე დროს, რელიგიური რევოლუცია იყო. რესპუბლიკური ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი გადანწყვეტილება გახლდათ ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების პრინციპის

508 პორტუგალიის კონსტიტუციონალიზმის საკითხების შესახებ ანგარიშისათვის, Lopes Praça, *Estudos sobre a Carta Constitucional e o Acto Adicional de 1852*, I, Coimbra 1878, p. 57 ff; Marnoco e Sousa, *A Constituição Política da República Portuguesa. Comentário*, Coimbra, 1913, p. 59 ff; Marcello Caetano, *Curso de Ciência Política e Direito Constitucional*, (3rd ed.), vol. II, Lisbon, 1961; *Manual de Direito Administrativo*, vol. I, Coimbra, 1973 (10 ed.), p. 403; António Leite, “A religião no Direito Constitucional Português”, in *Estudos sobre a Constituição*, vol. III, ed. J. Miranda, Lisbon, 1978, p. 279; J. Miranda, *Manual de Direito Constitucional*, IV vol, 3.^a edição, Lisboa, 2000, 410-16; Jónatas Eduardo Mendes Machado, *Liberdade Religiosa numa Comunidade Constitucional Inclusiva. Dos Direitos da Verdade aos Direitos dos Cidadãos*, Coimbra, 1996, 103-26; Antunes Varela, *Lei da liberdade religiosa e Lei de imprensa, revista e anotada*, Coimbra, 1972; judgment 423/87 of the Constitutional Court in *Acórdãos do Tribunal Constitucional*, vol. 10 (1987), p. 77 to 160; Sousa e Brito, 174/93 გადანწყვეტილების მიმართ 1993 წლის 17 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული შეხედულება, იხ: *Diário da República* 127, 1993 წლის 1 ივნისის; Paulo Pulido Adragão, *A Liberdade Religiosa e o Estado*, Coimbra, 2002, 279 e segs.; Manuel Braga da Cruz, *O Estado Novo e a Igreja Católica*, Lisboa, 1998.

შემოღება (1911 წლის 20 აპრილის დეკრეტი, “განცალკევების კანონი”), მისი შექმნა უკავშირდებოდა 1905 წლის ანალოგიურ ფრანგულ კანონს. 1911 წლის კონსტიტუციამ ეს პრინციპი დაადასტურა.

იაკობინელების მხრიდან რადიკალური წნეხის და კათოლიკური ეკლესიის კონსერვატიულობის გამო განცალკევების პრინციპი არ იქნა აღქმული იმგვარ პრინციპად, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს დაავალებდა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი ეკლესიებთან მიმართებაში. განცალკევება ბევრ შემთხვევაში უბრალოდ დაპირისპირებას⁵⁰⁹ ნიშნავდა. ნეიტრალიტეტის ნაცვლად სახელმწიფო ხშირად იკავებდა ნეგატიურ პოზიციას რელიგიის და ღმერთის არსებობის მიმართ და ჩართული იყო პერმანენტულ მტრულ ბრძოლაში კათოლიკურ ეკლესიასთან⁵¹⁰. მაგრამ, მიუხედავად ზომიერების ნაკლებობისა, ეს იყო გრძელვადიანი პროცესი, რომლის შედეგსაც წარმოადგენდა სამოქალაქო უფლებების საკითხების განხილვა⁵¹¹. რელიგიის და სინდისის თავისუფლება აღიარეს ადამიანური ღირსების ფუნდამენტურ ასპექტად.

1926 წლის 28 მაისის აჯანყებამ ბოლო მოუღო ლიბერალურ-რესპუბლიკურ რეჟიმს. 1933 წლის კონსტიტუცია სალაზარმა შექმნა. მისი კავშირი საეკლესიო იერარქიასთან და კათოლიკურ მოძრაობასთან აშკარა იყო. თუმცა მისი კონსტიტუცია რელიგიურ საკითხებთან მიმართებაში გამოირჩეოდა სიფრთხილით და მასში გარკვეულწილად ასახული იყო წინათ არსებული ლიბერალურ-რესპუბლიკური მიღწევები. კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო და კათოლიკური ან ნებისმიერი სხვა ეკლესია, ან რელიგია განცალკევებული იყო. 45-ე მუხლი ხაზგასმით აღნიშნავდა სხვადასხვა კონფესიის მიმართ თანაბარი მიდგომის პრინციპის აუცილებლობას, ორგანიზაციის და აღმსარებლობის თავისუფლებას და სახელმწიფო სკოლებში სწავლების ნეიტრალური ხასიათის საჭიროებას.

509 იხ. გარკვეულწილად ზომიერი ინტერპრეტაცია შემდეგ წყაროებში: João T. Magalhães Collaço, “O regimen de separação”, *Boletim da Faculdade de Direito da Universidade de Coimbra*, n 31/40, 1917-18, გვ. 654.

510 ეს მტრობა დასრულდა 1918 წლის შემდეგ. 1918 წლის 22 თებერვლის №3856 ბრძანებამ ხელი შეუწყო სიტუაციის განმუხტვას. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ დებატები “განცალკევების კანონის” შესახებ (1911 წლის 20 აპრილის დეკრეტი) რჩება იმავე ემოციურ დონეზე. იხ. მასალა კათოლიკური ეკლესიის პოზიციის შესახებ: Mário Bigotte Chorão, “Formação eclesialística e educação católica”, in *A Concordata de 1940 Portugal – Santa Sé, Lisbon, 1993*, გვ. 249.

511 უთანხმოება, Paulo Adragão, *A liberdade...*, გვ. 322.

არსებული კონსტიტუციური ბალანსი მალე დაირღვა. თანამიმდევრული საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომლებიც მოიცავდა 1935 წლიდან (კანონი №1910) 1971 წლამდე პერიოდს, კათოლიციზმმა აღიდგინა თავისი პოზიცია, როგორც “პორტუგალიელი ერის რელიგიამ” (1951 წლის ცვლილება, კანონი №2048) ან “როგორც პორტუგალიელი ერის ტრადიციულმა რელიგიამ” (1971 წლის ცვლილება, კანონი 3/71)⁵¹².

მაგრამ სიტყვიერი ცვლილებები კონსტიტუციაში მკაცრად სემანტიკური ხასიათის იყო⁵¹³, რადგან ისინი რეალურად არ იყო მნიშვნელოვანი. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ურთიერთობა სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის მოცემული იყო კონკორდატში, რომლის შეთანხმებაც მოხდა პორტუგალიასა და წმინდა საყდარს შორის (როგორც საერთაშორისო კანონმდებლობის ორ სუბიექტს შორის⁵¹⁴) 1940⁵¹⁵ წელს. ეს კონკორდატი ნაწილობრივ ძალაში იყო 2004 წლის დეკემბრამდე.

კონკორდატის სისტემა უდავოდ იყო არათანასწორუფლებიანობის სისტემა. 1971 წელს, რეჟიმის “ლიბერალური ფაზის” პერიოდში, 4/71 კანონის მეშვეობით, იყო მცდელობა, შეერბილებინათ ეს არათანასწორუფლებიანობა ზოგიერთი კონფესიისთვის რიგი ინსტიტუციური უფლებების მინიჭებით და სამოქალაქო უფლებების გარანტირებით მათი მორწმუნეებისათვის. მაგრამ ეს არ იყო იმ უფლებების თანაბარი უფლებები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას.

თითქმის თანასწორუფლებიანი მიდგომის განხორციელება შესაძლებელი გახდა 1976 წლის კონსტიტუციის შედეგად 22 ივნისის კანონით №16/2001 (“რელიგიური

512 უთანხმოება, Paulo Adragão, A Liberdade..., -თან გვ. 357, რომელსაც მოჰყავს არგუმენტი, რომ “კონსტიტუციური გადასინჯვა სხვა არაფერია, თუ არა სოციოლოგიური ფაქტების აღწერა”.

513 იხ. ცნება შემდეგ წყაროში Karl Löwenstein, Teoria de la Constitución, ხელახალი გამოცემა 1982, ბარსელონა, გვ. 218.

514 საბოლოოდ, კონკორდატი თითქმის ერთსულოვნად აღიარებულია, როგორც შეთანხმება საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. შდრ. ამ მტკიცებულებებში რიგი სიძნელეების გადასინჯვა მოცემულია წყარო: Jónatas Eduardo Mendes Machado, O regime concordatário entre a “libertas ecclesiae” e a liberdade religiosa. Liberdade de religião ou liberdade da Igreja, Coimbra, 1993, გვ. 87.

515 ეს კონკორდატი ერთ-ერთი ხელშეკრულებაა წმინდა ტახტსა და პორტუგალიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის. ამასთან დაკავშირებით, იხ. António Leite, “Acordos entre a Santa Sé e Portugal anteriores à Concordata de 1940”, წყარო: A Concordata de 1940, გვ. 11, და Brotéria, n. 132, გვ. 493.

თავისუფლების” კანონი). კიდევ ერთი ნაბიჯი ამ მიზნის მისაღწევად გადაიდგა ახალი კონკორდატით, რომელიც გაფორმდა პორტუგალიის სახელმწიფოსა და წმინდა საყდარს შორის. მას ხელი მოეწერა 2004 წლის 18 მარტს.

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

პორტუგალიაში 1976 წლის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის არსებობს შესაბამისი სამართლებრივი წყაროები⁵¹⁶:

- პორტუგალიის რესპუბლიკის 1976 წლის კონსტიტუცია (შემდგომში მოხსენებულია როგორც CPR), მუხლები მე-13, მე-19(6), 35(3)-ე, 41-ე, 43(2)-ე, 51(3)-ე, 55(4)-ე, 59(1)-ე და 288(გ)-ე;
- 22 ივნისის “რელიგიური თავისუფლების” კანონი 16/2001 (შემდგომში LRL), შევსებული 28 ივნისის დეკრეტ-კანონით 134/2003, ეხებოდა იურიდიული პირების რეგისტრაციას, 23 აგვისტოს დეკრეტ-კანონი 194/2003 ეხებოდა ფულად გადასახადებს, 10 დეკემბრის დეკრეტ-კანონით 308/2003 რელიგიური თავისუფლება (CRL) ძალაში შედიოდა;
- 1940 წლის 7 მაისის კონკორდატი, რომელიც შეიცვალა და დამტკიცდა 1975 წლის 15 თებერვლის პროტოკოლის შესაბამისად (კონკ. 1940), 2004 წლის 18 მაისის კონკორდატი (კონკ. 2004)⁵¹⁷;

516 იხ. Jorge Miranda, *Manual de Direito Constitucional...*, 425-8; Vinicio Ribeiro, *Constituição da República Portuguesa*, Coimbra, 1993, გვ. 75-76 (ეს უკანასკნელი ახდენს კანონმდებლობის ციტირებას, საპრეცედენტო სამართალი და სხვა წყაროები); David Valente e Alberto Franco, *Liberdade Religiosa. Nova Lei anotada e comentada*, Lisboa, 2002.

517 1940 წლის კონკორდატი კვლავ ძალაში იყო ამ ნაშრომის დაწერის მომენტისათვის. მოგვიანებით იგი შეიცვალა ახალი კონკორდატით, რომელსაც ხელი მოეწერა 2004 წლის 18 მაისს პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა და წმინდა საყდრის მუდმივმა მდივანმა ვატიკანში. მისი რატიფიცირება მოხდა 2004 წლის 16 ნოემბერს, ძალაში შევიდა 2004 წლის დეკემბრიდან. ამჟამად არსებული ტექსტი ეხება ორივეს – როგორც ძველი კონკორდატის შინაარსს, ასევე ახალ კონკორდატს.

- 1940 წლის სამისიონერო შეთანხმება წმინდა საყდარსა და პორტუგალიას შორის;
- 5 ივლისის დეკრეტ-კანონი 323/83, 2 ივლისის განკარგულება (Portaria) 333-/86, 14 ოქტომბრის კანონი 46/86 (განსაკუთრებით 47-ე პუნქტი), 16 ოქტომბრის განკარგულება (Portaria) 831/87, 31 მაისის განკარგულება (Portaria) 344/88, 29 აგვისტოს დეკრეტ-კანონი 286/89 (განსაკუთრებით მე-7 პუნქტი), 16 ნოემბრის დეკრეტ-კანონი 407/89, 2 ნოემბრის დეკრეტ-კანონი 329/98 (ყველა უკავშირდება რელიგიის სწავლებას სახელმწიფო სკოლებში), 9 თებერვლის დეკრეტ-კანონი 79/83 და 23 აგვისტოს დეკრეტ-კანონი 345/85 კაპულანების საქმიანობის შესახებ საპატიმროებსა და ახალგაზრდების სახლებში;
- 24 იანვრის დეკრეტ-კანონი 34-A/90, 26 თებერვლის დეკრეტ-კანონი 93/91, რომელიც შეიცვალა 3 მარტის 54/97 დეკრეტ-კანონის შესაბამისად და 18 სექტემბრის განკარგულება (Portaria) 302/91, რომელიც ეხება სამხედრო კაპულანების ინსტიტუტს;
- 10 ოქტომბრის მარეგულირებელი ბრძანებულება 58/80, 18 ივნისის განკარგულება 603/82 და 3 აგვისტოს მარეგულირებელი ბრძანება 22/90, რომელიც ეხება კაპულანების მოღვაწეობას საავადმყოფოებში;
- 14 ივლისის კანონი 31-A/98 (პუნქტი 45(გ)), რომელიც ეხებოდა მაუნციებლობის დროს თითოეული კონფესიისათვის სახელმწიფო ტელევიზიაში;
- 12 მაისის კანონი 7/92 (სამხედრო სამსახურზე უარის თქმა რელიგიური მოსაზრებებით).
- რამდენიმე სხვადასხვა დებულება საეკლესიო მსახურების არჩევის დაუშვებლობაზე პარლამენტში და სხვა სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში: 29 სექტემბრის დეკრეტ-კანონი 701-B/76 (მე-4 პუნქტი, მუნიციპალიტეტები), 16 მაისის კანონი 14/79 (პუნქტი მე-6(1), Assembleia da República და რეგიონალური პარლამენტები);
- როგორც მნიშვნელოვანი პრეცედენტები, საკონსტიტუციო სასამართლოს 7 ნოემბრის გადაწყვეტილებები 92/84; 26 ნოემბრის 423/87 და 17 თებერვლის 174/93 გადაწყვეტილებები.

2. სისტემური მიდგომა

სინდისის და რელიგიის თავისუფლება ყველა მოქალაქის და კონფესიის განუყოფელი უფლებაა. ასეთივე მიდგომა აგრეთვე უნდა გამოიყენონ იმ მოქალაქეების მიმართ, რომელთაც არ გააჩნიათ რელიგიური რწმენა⁵¹⁸. სახელმწიფო ორგანოებმა უფალთან და მის მსახურებთან დაკავშირებით უნდა შეინარჩუნონ ნეიტრალური მიდგომარეობა. სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა CPR-ის მიერ, წარმოადგენს თანასწორობის და განცალკევების სისტემას სახელმწიფოსა და კონფესიებს შორის (CPR-ის პუნქტი 41-ე, განსაკუთრებით პარაგრაფი მე-4)⁵¹⁹. ისეთი სოციოლოგიური ცნება, როგორცაა “ერის ტრადიციული რელიგია”, რომელიც შეტანილი იყო წინა კონსტიტუციებში, აღარ გამოიყენა CPR-მა. როგორც ჩანს, CPR-ის მიდგომა სრულად ახალია პორტუგალიის კონსტიტუციონალიზმის ისტორიულ კონტექსტში⁵²⁰. ეს სიახლე თანასწორობის და ნეიტრალიტეტის განვითარების ტემპის შენელების ძირითადი მიზეზი იყო. გარდა ამისა, მკვეთრი განსხვავება შეინიშნებოდა მისი გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობაში. თეორიაში, ისევე როგორც პრაქტიკაში, არსებობს დომინირებული პოზიცია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფრაზით: “არც სრული თანასწორობა, არც სრული განცალკევება”.

518 არსებობს პრობლემა ზოგიერთი უფლების განხორციელებაში მხარდაჭერის ან განვრცობის თაობაზე, რომლებიც ჩვეულებრივ ახასიათებს ეკლესიების წევრებს, იმ პირებზე რომელთაც არ გააჩნიათ რელიგიური რწმენა ან რელიგიის და ღმერთის მიმართ აქვთ აგნოსტიკური დამოკიდებულება. მაგალითად, უფლება რელიგიის სწავლების საათებზე სახელმწიფო სკოლებში, დაფუძნებული ჰუმანისტურ შეხედულებებზე. იმ სტუდენტების და მშობლების მიმართ არათანაზომიერი მიდგომა, რომლებიც თავს იკავებენ რელიგიურ მეცადინეობებზე დასწრებისაგან სახელმწიფო სკოლებში, აშკარადაა გამოხატული 333/86 განკარგულების მე-11 პუნქტში (Portaria) (სახელმწიფო სკოლებში კათოლიკური რელიგიის და მორალის სწავლების თაობაზე). ასეთი სტუდენტებისა და მშობლებისათვის რელიგიური სწავლების საათების განმავლობაში ერთ-ერთი ვარიანტია ან მონაწილეობის მიღება სკოლის რომელიმე საქმიანობაში, რომელიც არ არის წინასწარ განსაზღვრული, ან, თუ ეს არ არის შესაძლებელი, თვითდასაქმების ორგანიზაცია სკოლის გარეთ. იხ. შემდგომი არგუმენტი მოსამართლეთა განსხვავებულ შეხედულებაში: Luis Nunes de Almeida, Armindo Ribeiro Mendes and António Vitorino იმათ შესახებ, ვინც არიან წინააღმდეგი 174/93 of CC. Disagreeing Paulo P. Adragão, A Liberdade..., p. 427.

519 ეს პრინციპი ითვალისწინებს კონსტიტუციის გადახედვის მატერიალურ შეზღუდვასაც კი: პუნქტი. 288(c), CPR.

520 Jónatas Eduardo Mendes Machado, O regime concordatário, n.3, above, p. 41, იყენებს შესაბამის გამონათქვამს “პორტუგალიის კონსტიტუციონალიზმის ახალი პარადიგმა”. იხ. აგრეთვე Liberdade Religiosa..., 183 e segs.

IV. რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი – ზოგადი პრინციპები

მიუხედავად კონსტიტუციური პროგრესისა თანასწორობასა და განცალკევებასთან დაკავშირებით, სოციოლოგიური ფაქტორების კომბინაციას, ისტორიას და კანონმდებლობას მიყვარათ ორ ვარაუდთან: (ა) თანასწორი მიდგომის პრინციპი სრულად არ არის გამყარებული; (ბ) განცალკევების პრინციპი იმგვარად არის ინტერპრეტირებული, რომ იგი სრულიად არ არის მკაცრი.

2001 წლის LRL იყო საკვანძო აქტი თანასწორი მიდგომის კუთხით: იგი ყველა რელიგიური დენომინაციისთვის იძლევა თანასწორი მიდგომის გარანტიას; ანიჭებს მათ რიგ უფლებებს და პრივილეგიებს, რომლებიც 1940 წლის კონკორდატის შესაბამისად⁵²¹ წინათ გააჩნდა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას.

LRL-ს შეიძლება დაემატოს კონკორდატი კათოლიკურ ეკლესიასთან და ხელშეკრულებები სახელმწიფოსა და სხვა ეკლესიებს ან რელიგიურ საზოგადოებებს შორის.

რადგან კონკორდატი საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც ეროვნულ კანონზე მაღლა დგას, სავალდებულო არაა, იგი შეესაბამებოდეს რელიგიის თავისუფლების კანონს. მიუხედავად ამისა, კონკორდატი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. ამის გამო კათოლიკური ეკლესიის სტატუსი არ უნდა იყოს სხვა კონფესიების სტატუსის მთლად იდენტური, მაგრამ განსხვავება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს არის გამართლებული იმ ფაქტით, რომ კათოლიკური ეკლესია არის დომინანტი რელიგია. თანაბარი მიდგომის დონეს სხვადასხვა კონფესიის მიმართ მიაღწევს რელიგიის თავისუფლების კანონით. 2004 წლის კონკორდატს ასეთივე

521 ტექსტის პირველ გამოცემაში წერია: “იმის გათვალისწინებით, რომ როგორც პრაქტიკული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით შეუძლებელია კათოლიკური ეკლესიისთვის თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული უფლებების და პრივილეგიების შეკვეცა, თანაბარუფლებიანობის სტრატეგიის შესაბამისად, საჭირო იქნება ამ უფლებების და პრივილეგიების უმეტესობის გავრცელება სხვა დენომინაციებზე”. სხვადასხვა დენომინაციას შორის თანასწორუფლებიანობის დასამყარებლად არსებობდა მოსაზრება, რომ “ამოქმედებულიყო საერთო კანონი (ან ძირფესვიანად შეცვლილიყო არსებული კანონი 4/71), ამ ცვლილების მოსამზადებლად კი საჭირო იყო ურთიერთშეთანხმება. კონკორდატი და სხვა საეკლესიო ხელშეკრულებები იზრუნებდა თითოეული დენომინაციის სპეციფიკურ თვისებებზე, ხოლო კონსტიტუცია და კანონი იქნებოდა ზოგადი პრინციპების, ძირითადი უფლებების და პრივილეგიების წყარო”. ეს იყო ძირითადად 2001 წელს კანონმდებლის მიერ გამოყენებული მეთოდი.

მიმართულება აქვს აღებული, თუმცა კათოლიკური ეკლესია კვლავ მოითხოვს პრივილეგიების გარკვეულ დონეს.

აღნიშნულის განვითარების საქმეში დიდ როლს შეასრულებს რელიგიური თავისუფლების კომისია, რომელიც შექმნილია LRL-ის საფუძველზე, ხოლო საქმიანობა რეგულირდება 10 დეკემბრის დეკრეტი-კანონის 308/2003 შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, ყველაზე მნიშვნელოვანია კანონები (LRL და კონსტიტუცია) სხვადასხვა კონფესიასთან დაკავშირებით. შემდგომ მოცემული იქნება ახსნა-განმარტება კათოლიკური ეკლესიის სპეციალური სტატუსის თაობაზე, რომლის საფუძველიცაა 1940 და 2004 წლების კონკორდატი.

1. დენომინაციების უფლებები

პორტუგალიის კანონმდებლობა ცნობს ეკლესიის და რელიგიური საზოგადოების სამ კატეგორიას:

- ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები სამართალსუბიექტობის გარეშე, რადგან ისინი არაა შეტანილი რელიგიური პირების საერთო რეესტრში;
- ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები, რომლებიც შეტანილი არიან რელიგიური პირების საერთო რეესტრში და ამის გამო აქვთ სამართალსუბიექტობა, როგორც კოლექტიურ რელიგიურ პირებს;
- დაფუძნებული ან დამკვიდრებული ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები.

კონსტიტუციური პრინციპები და რელიგიის თავისუფლების კანონი შეიცავს აუცილებელ და პირდაპირ შედეგებს ყველა ეკლესიისა და რელიგიური საზოგადოებისათვის:

- უფლებას თანასწორ მოპყრობაზე და როგორც თანასწორის მოპყრობას;
- უფლებას სამართლებრივი პირის სტატუსის მოპოვებაზე სპეციალური რეგისტრაციის მეშვეობით;
- გაერთიანების თავისუფლებას, სწავლების, შემადგენლობის, კომპეტენციის და ფუნქციონირების განკარგვას, მისი წარმომადგენლების, საეკლესიო მსახურების, მისიონერების და დამხმარე პირების დანიშვნას, ფუნქციებს და

უფლებებს ფედერაციების ან კონფესიათაშორისი ასოციაციების დაარსებაში მონაწილეობის მიღების ან მათზე მიერთების უფლებას;

- უფლებას აღმსარებლობის ადგილების ან რელიგიური მიზნებით შეხვედრების ადგილების შექმნაზე და თავიანთი ფუნქციების განხორციელებას, რელიგიური წესების დაცვის ჩათვლით – როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ., ქუჩები, მოედნები);
- რელიგიური დახმარების განცვის უფლებას თავისი წევრებისთვის;
- სახელმწიფოს მიერ რელიგიურ სფეროში ჩაურევლობას და სახელმწიფო ინსტიტუტების ნეიტრალიტეტის უფლებას;
- სახელმწიფოს არ შეუძლია შეასრულოს რაიმე რელიგიური ფუნქცია, რიტუალი ან ცერემონია, ან გამოსცეს სამთავრობო აქტი, რომელიც რელიგიურ წესებს მისდევს;
- მორწმუნეებისგან მომსახურების და შემონირულებების მიღების უფლებას და თავშეყრის უფლების განხორციელებას;
- ეკლესიების და რელიგიური საზოგადოებების უფლებას სახელმწიფოსთან თანამშრომლობაზე, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- სასულიერო ხასიათის სემინარიების, ტრენინგ-ცენტრების და სკოლების დაარსების თავისუფლებას სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის ან კონტროლის გარეშე;^{522 523}
- კერძო ან კოოპერაციული სკოლების დაარსების თავისუფლებას სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ, რელიგიის სწავლების უფლებას ამ სკოლებში⁵²⁴;
- არაკონფესიური სწავლების უფლებას სახელმწიფო სკოლებში;

522 ეს არის CPR-ის ძირითადი რეჟიმის გამონაკლისი 75(2)-ე პუნქტი: იხ. Canotilho/Moreira, *Constituição da República Portuguesa anotada*, p. 245.

523 კათოლიკური ეკლესიისათვის, იხ. სპეციფიკური დებულებები კონკორდატში (პუნქტი XX), ახალი კონკორდატი (მე-20 პუნქტი) და Mário Bigotte Chorão, "Formação eclesial e educação católica", in *A Concordata de 1940*, p. 239. მე უნდა გავემიჯნო იმ მოსაზრებებს, რომლებსაც ეყრდნობა ავტორი თავისი არგუმენტების დასამტკიცებლად.

524 M. B. Chorão, *Id.*

- პროზელიტიზმის თავისუფლებას;
- საკუთარი რწმენის გავრცელების და მხარდაჭერის უფლებას საკუთარი გაზეთების, რადიოსადგურების და სატელევიზიო ქსელების მეშვეობით;
- უძრავი ქონების საკუთრების აღიარებას და კონსულტაციების ჩატარებას, როდესაც სახელმწიფო აპირებს დაანგრიოს ან სხვაგვარად გამოიყენოს შენობა, რომელიც აღნიშნულ პერიოდამდე საზოგადოებრივი აღმასარებლობისათვის იყო განკუთვნილი⁵²⁵.
- ეკლესიების და რელიგიური საზოგადოებების ჩაურევლობას სახელმწიფოს ორგანიზაციულ მოწყობაში ან მართვაში. საეკლესიო მსახურთა არჩევის დაუშვებლობას პოლიტიკურ პოზიციებზე (მაგ., 16 მაისის კანონი № 14/79, პუნქტი მე-6(1); დეკრეტი-კანონი 701-B/76, 20 სექტემბერი⁵²⁶);
- სასულიერო მსახურებს და რელიგიური საზოგადოებების სხვა წევრებს უფლება არ აქვთ, იმსახურონ როგორც საჯარო მოსამსახურეებმა, რაც გამომდინარეობს მათი საეკლესიო სტატუსიდან;
- რელიგიური საზოგადოებების მსახურების პრივილეგიას, არ დაექვემდებარონ დაკითხვას იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა აღსარების დროს⁵²⁷;

525 საკითხთან დაკავშირებით, იხ. Vasco Vieira da Silva, *Património...*, გვ. 135.

526 რელიგიის მსახურთა მიერ ზოგი პოზიციის დაკავების შეუძლებლობა განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. დღემდე საკონსტიტუციო სასამართლო არ განუცხადებია ტექსტში მოყვანილი სამართლებრივი დებულებების არაკონსტიტუციურობის შესახებ, მაგრამ გამოთქვა გარკვეული ეჭვი: იხ. გადანყვეტილება 602/89, წყარო: *Acórdãos do Tribunal Constitucional*, ტომი. 14 (1989), გვ. 561. იხ. აგრეთვე მოსაზრებები და ეჭვები (1974 წლამდე) სამღვდლოების წარმომადგენლების უფლებებზე ამგვარი შეზღუდვების დასაბუთების შესახებ თავის შეკავებისთვის (1974 წლიდან) იხილეთ, J. Miranda, *Manual...*, IV, q., გვ. 428.

527 Paulo P. Adragão, *A Liberdade...*, 357, აკრიტიკებს ტერმინი “პრივილეგიის” გამოყენებას აღნიშნულ კონტექსტში. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აქ ტერმინი გამოიყენება კლასიკური მნიშვნელობით Wesley Newcomb Hohfeld-ის მიხედვით, ფუნდამენტური სამართლებრივი ცნებები, როგორც ისინი გამოიყენება იურიდიული კამათის დროს, ვესტპორტი, 1919, რომელიც გამოიყენება “თავისუფლების” ეკვივალენტურად. ამასთან დაკავშირებით, იხ. Vitalino Canas, *Relação Jurídico-Pública*, in *Dicionário Jurídico da Administração Pública*, VII, 207-234.

- კათოლიკურ ეკლესიას, ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც შეტანილია კოლექტიური რელიგიური პირების რეესტრში და აღიარებულ ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს აქვთ დამატებითი უფლებები.

2. კათოლიკური ეკლესიის სპეციალური სტატუსი

LRL შეიცავს შენიშვნას (58-ე პუნქტი), რომელიც იძლევა გარანტიას, რომ კონკორდატი პორტუგალიასა და წმინდა საყდარს შორის დარჩება ძალაში დამატების სახით კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებულ სხვა კანონებთან ერთად. ამისგან განსხვავებით, LRL იძლევა განმარტებას, რომ მისი ეკლესიებთან ან რელიგიურ საზოგადოებებთან დაკავშირებული დებულებები არ გამოიყენება კათოლიკური ეკლესიის მიმართ.

ეს იწვევს სიძნელეს ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული კანონების დელიმიტაციასთან მიმართებაში. ეჭვგარეშეა, რომ ნორმატიული აქტების, რომლებიც უკავშირდება პიროვნების რელიგიური თავისუფლების პრინციპებს (თავი I/LRL) და უფლებებს, გამოიყენება შეიძლება კათოლიკური რწმენის პრაქტიკაში. გარდა ამისა, რელიგიის თავისუფლების კანონის III თავში არის დებულებები, რომლებიც აგრეთვე შეიძლება გამოიყენონ კათოლიკური ეკლესიის მიმართ: მაგალითად, დებულება ცხოველთა რელიგიური მიზნით დაკვლავ (26-ე პუნქტი), მონაწილეობა განვითარების გეგმების შემუშავებაში და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება რიგ სფეროებში რელიგიური მიზნების განხორციელების თაობაზე (28-ე პუნქტი), საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული დებულებები (პუნქტები 31-ე, 32-ე) და ა.შ.

ამრიგად, 2004 წლის კონკორდატი მხარს არ უჭერს III თავის გამოყენებას. ამის ნაცვლად იგი არეგულირებს ამ ასპექტებს, თუმცა იმგვარად, რომელიც რელიგიის თავისუფლების კანონის მიდგომის საკმაოდ მსგავსია. 2004 წლის კონკორდატი ნათლად არეგულირებს კათოლიკური ეკლესიის უფლებას, რომ მისი აზრი ყოფილიყო გათვალისწინებული ზოგიერთი სფეროს მიმართვაზე რელიგიური მიზნებისათვის (25-ე პუნქტი). ასევე ეპისკოპოსების კონფერენციას უფლება მიეცა, კათოლიკური ეკლესია შეეტანა საგადასახადო შემოსავლების შეგროვების სისტემაში. მისი პირობები განსაზღვრულია სპეციალური ხელშეკრულებით (27-ე პუნქტი). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგიის თავისუფლების კანონის დებულებები არ არის პირდაპირ გამოსაყენებელი.

რელიგიის თავისუფლების კანონის 58-ე პუნქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ LRL ხაზს უსვამს კათოლიკური ეკლესიის მოთხოვნას მისთვის სპეციალური სტატუსის შენარჩუნების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში არ არის ნახსენები რომელიმე კონკრეტული რელიგია – განსხვავებით ევროპის სხვა კონსტიტუციებისგან – კანონმდებელმა მიიღო გადაწყვეტილება, მიენიჭებინა კათოლიკური ეკლესიისათვის სპეციალური სტატუსი, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო შეთანხმებით და არა მხოლოდ თავისი ეროვნული კანონით.

2001 წლის რელიგიური თავისუფლების კანონმა დააახლოვა სხვა დენომინაციების სტატუსი კათოლიკური ეკლესიის სტატუსთან. ამასთან დაკავშირებით, 1940 წლის კონკორდატის რიგი დებულებები, რომლებიც წინათ არაკონსტიტუციური იყო, ამგვარად აღარ აღიქმებოდა, რადგან აღარ ირღვეოდა თანასწორი მიდგომის პრინციპი. მაგრამ 1940 წლის კონკორდატში იყო ისეთი დებულებები, რომლებიც დამტკიცდა ან შეიცვალა 1975 წელს და არ ვრცელდებოდა სხვა დენომინაციებზე რელიგიის თავისუფლების კანონით. ეს დებულებები გაუქმებულად და ძალადაკარგულად გამოცხადდა კონსტიტუციურ წესებთან და პრინციპებთან წინააღმდეგობის გამო. ეს ეხება შემდეგ დებულებებს⁵²⁸: (i) პუნქტი IX (საეკლესიო მაღალი პირების ვალდებულება, რომ ისინი ეროვნებით პორტუგალიელები იყვნენ), (ii) პუნქტი X (პორტუგალიის მთავრობის უფლება, არ დასთანხმებოდა არქიეპისკოპოსის და ეპისკოპოსის თანამდებობაზე მისთვის არასასურველი კანდიდატის დანიშვნას); (iii) პუნქტები XI და XV (სახელმწიფოს მიერ საეკლესიო პირების დაცვა, მსგავსად სახელმწიფო მოხელეებისა); (iv) პუნქტი XXI (სახელმწიფო სკოლებში სწავლება უნდა ხორციელდებოდეს კათოლიკური პრინციპების დაცვით, ის მოწაფეები, რომელთა მშობლები არ თხოულობენ გარკვეულ შეღავათებს (ანუ იმას, რომ მათი შვილები განთავისუფლდნენ გაკვეთილებზე დასწრებისგან), უნდა დაესწრონ რეგულარულ მეცადინეობებს რელიგიაში აღნიშნულ სკოლებში. სახელმწიფო მოვალეა ასწავლოს რელიგია ზოგიერთ დანესებულებაში)⁵²⁹. სამღვდელოების განთავისუფლება გადასახადებისგან, სახელობრ, საშემოსავლო გადასახადისგან (პუნქტი VIII) აგრეთვე წარმოადგენდა არაკონსტიტუციურ მუხლს – იგი არღვევდა თანასწორი მიდგომის პრინციპს, რადგან სხვა კონფესიებს არ ჰქონდა მსგავსი შეღავათები.

528 განსხვავებული თვალსაზრისი ზოგიერთ მოყვანილ ასპექტთან დაკავშირებით, იხ. Paulo P. Adragão, *A Liberdade...*, გვ. 378-385.

529 იხ. ნაწილი. V, 3, ქვემოთ, რომელიც ეხება ამჟამად არსებულ სიტუაციას.

ყველა ეს დებულება გაუქმდა და გამოცხადდა ძალადაკარგულად⁵³⁰.⁵³¹ მათი გაუქმება მოხდა 2004 წლის კონკორდატით.

1940 წლის კონკორდატის ზოგიერთი სხვა დებულება მხოლოდ ნაწილობრივ იყო არაკონსტიტუციური, მაგალითად, პუნქტი XVIII (პორტუგალიის რეპუბლიკის მოვალეობა უზრუნველყო კათოლიკური კაპელანობა არმიის მოსამსახურეთათვის). სახელმწიფოს ეს მოვალეობა აგრეთვე გაუქმდა 2004 წლის კონკორდატით.

V. რელიგიური ორბანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

1. ეკლესიებისა და რელიგიური საზოგადოებების განსაზღვრა, რეგისტრაცია და იურიდიული კლასიფიკაცია

კანონი განმარტავს საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს როგორც “ორგანიზებულ სოციალურ საზოგადოებებს, რომლებიც იძლევა ხანგრძლივი არსებობის პირობას და მათში მორწმუნეებს შეუძლიათ განახორციელონ საკუთარი რელიგიის შესაბამისი მიზნები” (პუნქტი მე-20, LRL).

იმის გამო, რომ კათოლიკური ეკლესია და სხვა კონფესიები ექვემდებარება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას, შესაბამისად განსხვავებულია იურიდიული პირის სტატუსის მისაღებად საჭირო მეთოდებიც. კათოლიკური ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის, სტატუსი აღიარებულია ხელშეკრულების

530 პუნქტი XXIV თავდაპირველი ფორმით (გაქორწინების აკრძალვა კათოლიკური ქორწინების შემთხვევაში) ასევე იყო გაუქმებული. მოცემული პუნქტი შეიცვალა 1975 წელს. გაქორწინება ამჟამად სამოქალაქო კანონით ნებადართულია ყველა შემთხვევაში, მიუხედავად ეკლესიის წინააღმდეგობისა, რომელსაც მოუხდა 1940 წლის შეცვლილი კონკორდატის აღიარება. იხ ანგარიში António Leite-ში, “A Concordata e o casamento”, A Concordata-ში, გვ. 293.

531 Canotilho/Moreira, Constituição-თვის, გვ. 221, პუნქტი XXV კონკორდატი 1940წ., რომელიც უკავშირდება Código Civil [სამოქალაქო კოდექსის] 1625-ე პუნქტს აგრეთვე იქნება ძალადაკარგული. პუნქტში XXV წარმოდგენილია ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ეხება კათოლიკური ქორწინების კანონიერებას და ისინი უნდა განიხილოს საეკლესიო სასამართლოებმა. განსხვავებული მიდგომისათვის, იხ. António Leite, “A Concordata e o casamento”, წყარო: A Concordata, p. 299, და J. Miranda, სახელმძღვანელო IV, p. 424.

ხელმოწერით საერთაშორისო კანონის ფარგლებში (1940 წლის და 2004 წლის ახალი კონკორდატის პუნქტი 1⁵³²).

სხვა ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები იღებს კოლექტიური რელიგიური ორგანიზაციის სტატუსს და შესაბამისად, იურიდიული პირის სტატუსს (და არა ალიარებას) რეგისტრაციის მეშვეობით კოლექტიური რელიგიური ორგანიზაციის რეესტრში, სპეციალურ რეესტრში, რომელიც შექმნილია 28 ივნისის დეკრეტ-კანონის 134/2003 შესაბამისად. რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, თუმცა ის ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები, რომელთაც სურთ კოლექტიური რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მიღება, უნდა დარეგისტრირდნენ.

საერთაშორისო ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს (როგორცაა shia ismaili) შეუძლია დარეგისტრირება როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც წარმოადგენს თავის მორწმუნეებს პორტუგალიაში, ან დარეგისტრირდეს უბრალოდ, როგორც მათი ეკლესიის ნაწილი (ან რელიგიური საზოგადოება), რომელიც არსებობს პორტუგალიაში.

თუ ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები გავლიან რეგისტრაციას, ისინი მიიღებენ დამატებით უფლებებს: უფლებას ასწავლონ რელიგია და მიაღებინონ ზნეობრივი განათლება სახელმწიფო სკოლებში (დანაყოფით და საშუალო სკოლებში), რომლებიც არ არის სავალდებულო, ასევე უფლებას სამაუწყებლო დროზე სახელმწიფო ტელევიზიასა და რადიოში, უფლებას, გაავრცელონ ინფორმაცია მათი შემდგომი განვითარების გეგმების შედგენისას, უფლებას სპეციალურ საგადასახადო შეღავათებზე. გარდა ამისა, მათ მორწმუნეებს და საეკლესიო მსახურებს აქვთ დამატებითი უფლებები.

რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ საზოგადოებებში კანონი განასხვავებს დამკვიდრებულ და არადამკვიდრებულ რელიგიებს.

ეკლესია ან რელიგიური საზოგადოება ითვლება დაფუძნებულად (ან დამკვიდრებულად), თუ იგი არსებობს პორტუგალიაში ორგანიზებული ფორმით, სულ მცირე, ოცდაათი წელი და მოსალოდნელია, რომ ის იქნება პერმანენტული

532 იურიდიულ პირთან დაკავშირებით არის გარკვეული ორპიროვნება: 1 პუნქტის საუკეთესო განმარტებაა ის განმარტება, რომ კათოლიკური ეკლესია (როგორცაა ვატიკანი და წმინდა ტახტი?) წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის იურიდიულ პირს და როგორც ასეთს, შეუძლია მოქმედება როგორც ადგილობრივ (შიდა) იურიდიულ პირს. ესადაგება თუ არა ეს თეორია ორგანიზაციებს და ასოციაციებს, რომლებიც შექმნილია კათოლიკური ეკლესიის მიერ საეკლესიო კანონის შესაბამისად პორტუგალიაში? ზოგიერთი მათგანი მანც (თუ ყველა არა) ექსკლუზიურად ქვეყნის შიგნით არსებული იურიდიული პირია.

ხასიათის, იღებენ რა მხედველობაში მორწმუნეთა რაოდენობას და მის ისტორიას პორტუგალიაში. ოცდაათწლიანი არსებობის მოთხოვნა პორტუგალიაში შეიძლება იგნორირებულ იქნეს, თუკი ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებას შეუძლია დაამტკიცოს, რომ იგი დაფუძნდა საზღვარგარეთ სამოც წელზე მეტი ხნის წინ. დამკვიდრებული ეკლესიის სტატუსს ანიჭებს სახელმწიფო, მას შემდეგ, რაც ამის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებენ რელიგიური თავისუფლების კომისიიდან. სხვა ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები არ ითვლება დამკვიდრებულად.

ეკლესიის ან რელიგიური საზოგადოების, როგორც დამკვიდრებულის, სტატუსი მნიშვნელოვანია, რადგან ამ ჯგუფს ენიჭება გარკვეული უფლებები და პრივილეგიები: (i) კანონიერი საქონლით ცერემონიალის განხორციელების უფლება, რომელიც ექვემდებარება შესაბამისი რელიგიის წესებს, (ii) საერთო ინტერესის საკითხებთან დაკავშირებით მთავრობასთან ხელშეკრულებების დადების უფლება, (iii) რელიგიური თავისუფლების კომისიასა და რელიგიური საზოგადოებებისთვის სამაუწყებლო დროის გამოყოფის კომისიაში მონაწილეობის მიღების უფლება, (iv) შესაძლებლობა, მიიღონ თავიანთი მრევლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 0.5 %, (v) უფლება დამატებული ღირებულების გადასახადის ანაზღაურებაზე რიგ შემთხვევებში.

დამკვიდრების პრინციპის გამოყენებით კანონი თავიდან იცილებს ახალი საექვო მიზნების და ზრახვების რელიგიური ჯგუფების არსებობას და მათ უფლებას სხვადასხვა პრივილეგიაზე – ამ საზომის არარსებობამ შეიძლება შექმნას რიგი ხელოვნურად წარმოქმნილი “რელიგიური” ჯგუფები.

მეორე მხრივ, ეს სისტემა უტოვებს გადაწყვეტილების მიღების უფლებას უფრო ძველ და უფრო კარგად ორგანიზებულ ეკლესიებსა და რელიგიურ საზოგადოებებს იმაზე, არის თუ არა ეკლესია ან რელიგიური საზოგადოება რეგისტრირებული როგორც დამკვიდრებული ან მხოლოდ არადამკვიდრებული, რადგან რეგისტრაციის გადაწყვეტილებას იღებს რელიგიური თავისუფლების კომისია. ეს კომისია შედგება მთავრობის, კათოლიკური ეკლესიის და უკვე დაფუძნებული ეკლესიების და რელიგიური საზოგადოებების (54-ე პუნქტი LRL) წარმომადგენლებისაგან. ეს საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მთავრობის რთულ მდგომარეობაში აღმოჩენა, რადგან მისი აბსოლუტური ნეიტრალიტეტის მდგომარეობა გამორიცხავს მის მიერ “რელიგიის” ცნების განსაზღვრას. ნეიტრალიტეტის ლიბერალური განმარტების თანახმად, განსაზღვრა, თუ რა არის ეკლესია ან სარწმუნოება და “რელიგია”, სახელმწიფოს მიერ იშვიათად და დამატებით უნდა იქნეს განხილული. ამიტომ კლასიფიკაციის საკმაოდ რისკიანი პროცესი, რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, იმასთან დაკავშირებით, შეუძლიათ თუ არა მუნიციპალური და საინტელოგებს, ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით, ჰქონდეთ სახელმწიფო სკოლებში სწავლების საშუალება და ა.შ., არ არის მთავრობის ამოცანა.

2. კონკორდატები და ხელშეკრულებები

როგორც ნახსენები იყო, რელიგიის თავისუფლების კანონი ადასტურებს კათოლიკური ეკლესიის განსაკუთრებულ პრივილეგიას, მაგ., წმინდა საყდრის პრივილეგიას, დადოს კონკორდატის ხელშეკრულება პორტუგალიის სახელმწიფოსთან. ამრიგად, კათოლიკური ეკლესია პორტუგალიის სახელმწიფოს მიერ ფორმალურად აღიარებული ერთადერთი დენომინაციაა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. გარდა ამისა, წმინდა საყდარი წარმოდგენილია პორტუგალიაში სამოციქულო ნუნციით (ელჩის სტატუსის წარმომადგენლი), ხოლო პორტუგალიის რესპუბლიკას ჰყავს წმინდა საყდართან კავშირისთვის ელჩი.

ამის სანაცვლოდ სხვა დაფუძნებულ კონფესიებს მიენიჭა უფლება, რომელიც წინათ მათთვის არ არსებობდა პორტუგალიურ სამართალში: უფლება, დაედო ხელშეკრულებები პორტუგალიის სახელმწიფოსთან (პუნქტები 45-51-ე, LRL). ეს არის ხელშეკრულებები, შიდა კანონის შესაბამისად, ატიჰური სტრუქტურით და ფორმით. მხოლოდ დაფუძნებულ ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები მსგავსი ხელშეკრულებების დასადებად. მთავრობა, თავის მხრივ, არაა ასეთი მოლაპარაკების ინიციატორი. მას შემდეგ, რაც ეკლესია ან რელიგიური საზოგადოება დაიწყებს მოლაპარაკების პროცესს და მიიღებს მთავრობის მხრიდან თანხმობას (მთავრობას უფლება აქვს, უარი განაცხადოს მოლაპარაკებაზე რიგი მიზეზების გამო), მის მიმდინარეობაში ერთგვარად “მოლაპარაკებების კომისია”, რომელიც ინიშნება იუსტიციის მინისტრის მიერ. მოლაპარაკების შემდეგ ნებისმიერ ხელშეკრულებას ამტკიცებს მინისტრთა საბჭო და ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრები. შემდეგ მას წარუდგენენ პარლამენტს კანონის რატიფიკაციის წინადადებასთან ერთად. პარლამენტს არ შეუძლია ხელშეკრულების არც ცალმხრივად შეცვლა და არც მოლაპარაკების წარმოება მასში ცვლილებების შესატანად. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების შეცვლა მის რატიფიკირებამდე შესაძლებელია, თუ ორივე მხარე ეთანხმება ამ ცვლილებებს. ამის გამო პარლამენტმა შეიძლება მოითხოვოს მთავრობისგან ხელახალი მოლაპარაკება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, თუკი სურს ცვლილებების შეტანა მასში. ხელშეკრულება ძალაში შედის პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

ამკარაა, რომ ეს ხელშეკრულებები დრამატული სიახლეა საკონსტიტუციო კანონმდებლობის თეორიის თვალსაზრისით. პირველად აღიარეს, რომ კანონი შეიძლება იყოს პარლამენტს, მთავრობას, კერძო პირსა და დაფუძნებულ კოლექტიურ რელიგიურ ორგანიზაციას შორის ოფიციალური მოლაპარაკების პირდაპირი შედეგი.

კოლექტიურ რელიგიურ ორგანოს – იქნება ის დაფუძნებული თუ დაუფუძნებელი – შეუძლია დადოს ხელშეკრულებები მთავრობასთან, ავტონომიურ რეგიონებთან ან მუნიციპალიტეტებთან იმისათვის, რომ მოახდინოს იმ მიზნების რეალიზება, რომლებიც არ საჭიროებს კანონით დამტკიცებას (პუნქტი 51-ე, LRL).

3. რელიგიური განათლება

კონსტიტუციაში ნათლად არის გამოხატული სასულიერო განათლების გარანტია თითოეული კონფესიისთვის (მუხლი 41(5)-ე). ეს მოიცავს სემინარიების და სხვა დაწესებულებების დაარსებას რელიგიური კულტურის ჩამოსაყალიბებლად (LRL-ის პუნქტი 23(i)-ე; 2004 წლის კონკორდატის პუნქტი მე-19(1)).

მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება არ გამომდინარეობს კონსტიტუციიდან, კათოლიკურ ეკლესიას (2004 წლის კონკორდატის პუნქტი მე-20), ისევე, როგორც სხვა ეკლესიებს ან რელიგიურ კონფესიებს (LRL-ის პუნქტი 27(a)), უფლება აქვს დააარსოს კერძო ან კოოპერაციული სკოლები, რომლებიც სახელმწიფო სკოლების ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება იყოს. ყოველივე ეს უდაოა, თუმცა სასულიერო განათლება სახელმწიფო სკოლებში საკამათო თემაა.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში პორტუგალიაში რელიგიის სწავლების საკითხი სახელმწიფო სკოლებში სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის (განსაკუთრებით კათოლიკურ ეკლესიას შორის) ურთიერთობის სასინჯუ ქვას წარმოადგენდა. 1976 წლამდე (ან 1974 წლამდე) სახელმწიფოს ჰქონდა კათოლიკური მორალის და რელიგიის სწავლების ვალდებულება სწავლების გარკვეულ საფეხურებზე. 1976 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ, გაჩაღდა ცხარე კამათი, იყო თუ არა სახელმწიფო კვლავ ვალდებული, განეხორციელებინა ეს სწავლება.

მიაღწიეს წინასწარ კონსენსუსს: განცალკევების პრინციპი მსგავსი ვალდებულების წინააღმდეგია. ეს ფაქტობრივად ერთხმად იქნა აღიარებული.

მაგრამ კამათი არ დასრულებულა. ნარმოიშვა ახალი სადაო თემა: დართავდა თუ არა სახელმწიფო ნებას კათოლიკურ ეკლესიას, ესწავლებინა რელიგია და მორალი სახელმწიფო სკოლებში? კანონმდებლის თვალსაზრისით, მას შეეძლო ამის გაკეთება და საკონსტიტუციო სასამართლოს სთხოვეს, განეხილა კანონმდებლის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. 1987 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად (acórdão 423/87), გამოცხადდა, რომ რელიგიური სწავლების უფლებამოსილება აღნიშნულ სკოლებში არ იყო განცალკევების საკონსტიტუციო პრინციპის (პუნქტი

41(4)-ე, CPR) და სახელმწიფო სკოლებში სწავლების არაკონფესიური ხასიათის სანინააღმდეგო (CPR-ის პუნქტი რტ. 43(3)-ე).

სასამართლოსთვის ასეთი უფლებამოსილება არა მხოლოდ ნების გამომხატველია, არამედ სავალდებულოც, რადგან, კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო მოვალეა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ყველას, განახორციელოს თავისი აღმსარებლობა. საბოლოოდ სახელმწიფომ უნდა მისცეს კათოლიკურ ეკლესიას, როგორც პორტუგალიის ძირითად ეკლესიას, შესაძლებლობა, ასწავლოს მორალი და რელიგია სახელმწიფო სკოლებში⁵³³.

განცალკევების და არაკონფესიურობის პატივისცემა მოითხოვს, რომ მხოლოდ სასულიერო კლასები წარმოადგენდეს კათოლიკური ეკლესიის ერთადერთ პასუხისმგებლობას და ისინი განუთვნილი იყოს მხოლოდ იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა მშობლებმაც ოფიციალურად მოითხოვეს ამ კლასების ორგანიზება.

გარდა ამისა, თანასწორი მიდგომის პრინციპი არ იქნა ხელყოფილი ფაქტით, რომ აღნიშნული საშუალებები მიეცა ცალსახად კათოლიკურ ეკლესიას. პრინციპს ზიანი ადგება მხოლოდ იმ ფაქტით, რომ კანონმდებელმა დანარჩენი კონფესიები დატოვა მსგავსი შესაძლებლობების გარეშე⁵³⁴.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ არ ამოწურა საკითხი. ათი წევრიდან, რომელთაც გააჩნდათ ხმის უფლება, ცხრამ ნაწილობრივ განსხვავებული აზრი გამოხატა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილების მეშვეობით იყო მცდელობა, დაბალანსებულიყო განცალკევების, არაკონფესიურობის და თანასწორობის მიდგომის პრინციპი რადიკალური და უფრო რბილი მიდგომის მომხრეებს შორის. საბოლოოდ, არც ერთი ამ ორი შეხედულებიდან, რომლებიც მიიღო სასამართლომ, არ იყო სრულად არგუმენტირებული სამართლებრივი თვალსაზრისით.

533 მოსამართლეების აზრთა სხვადასხვაობის დროს Luis Nunes de Almeida, Armindo Ribeiro Mendes and António Vitorino საკონსტიტუციო სასამართლოს 174/93 გადაწყვეტილებამდე არის გამმაგებული შეტევა ამ მოსაზრებაზე (რომელიც ნათლად არის აღიარებული გადაწყვეტილებაში), რომ ძირითად კონფესიას პორტუგალიაში მხოლოდ იმის გამო, რომ ყველაზე პოპულარულია, აქვს განსაკუთრებული მიდგომის უფლება. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ თანაბარი მიდგომის პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ დაიცვას უმცირესობა უმრავლესობისგან და არა პირიქით;; cf. Jónatas E. M. Machado, O regime concordatário..., p. 45.

534 გადაწყვეტილება 423/87, გვ. 115-6. განაჩენის ციტირება J. Miranda, Manual... IV, მე-2 გამოცემა, გვ. 375-6.

საკითხის შემდგომი განხილვის შესაძლებლობა გამოჩნდა ახალი საქმის წყალობით, მაგრამ ამ შემთხვევაში რბილმა მიდგომამ გადასცალა. ზოგი არგუმენტის გამოყენებით (და ზოგის დავინყებით), რომლებიც უკვე მოცემული იყო 423/87 გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლოს 174/93 ახალი გადაწყვეტილება ეფუძნებოდა განცალკევების პრინციპის ყველაზე ნაკლებად დამაჯერებელ ინტერპრეტაციას, არაკონფესიურობას და თანასწორ მიდგომას. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონსტიტუციური თვალსაზრისით მისაღებია ის დებულებები, რომელთა ერთიანობაც შექმნიდა საშუალებას განხორციელებულიყო: (i) კათოლიკური მორალის და რელიგიის სწავლება, (ii) როგორც რეგულარული სასწავლო საგანი, (iii) საჯარო მოსამსახურეების (ჩვეულებრივი მასწავლებლები) ან სხვების მიერ, (iv) რომელთა მომზადებას, დაფინანსებას და დანიშვნას (ეკლესიის დასახელების საფუძველზე) განახორციელებდა სახელმწიფო (v) სახელმწიფო სკოლებში (vi) ჩვეულებრივი სასკოლო საათების განმავლობაში (vii) იმ სასწავლო მასალის და სახელმძღვანელოების გამოყენებით, რომლებიც მომზადებული იქნებოდა ეკლესიის მიერ, მაგრამ აღიარებული სახელმწიფოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მისაღებია რელიგიის სწავლება სკოლაში და არა სკოლის მეშვეობით (ან სახელმწიფოს მეშვეობით). სასამართლოსთვის რელიგიის სწავლება სახელმწიფო სკოლებში შეიძლება იყოს მისაღები, რელიგიის სწავლება სახელმწიფო სკოლების მიერ კი – არა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ მოსწავლეების დასწრება რელიგიური ან მორალური განათლების მისაღებად დამოკიდებულია თითოეული მოსწავლის ან მისი სამართლებრივი მზრუნველის განცხადებაზე. ამის გამო გაკვეთილებს ესწრებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთაც ამკარად აირჩიეს ასეთი კლასები. კათოლიკური რელიგიის სწავლება სახელმწიფო სკოლებში არ იყო კონსტიტუციის დარღვევა, დარღვევას წარმოადგენდა ის, რომ ეს ნებადართული იყო მხოლოდ კათოლიკეებისთვის.

ამის შემდეგ კათოლიკური რელიგიური და მორალური განათლება არ გამხდარა იურიდიული დაპირისპირების საგანი და კანონმდებლობა დაფუძნდა და განვითარდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. 2004 წლის ახალი კონკორდატი აგრეთვე ცდილობს მოახდინოს ადაპტირება აღნიშნულ კანონმდებლობასთან (პუნქტი 19(2)).

საკონსტიტუციო სასამართლოს 1987 წლის ვერდიქტის შემდეგ მიიღეს განკარგულება, რომ გაკვეთილებს დაესწრობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებმაც ნათლად გამოხატეს თანხმობა ამზე (იხ. 31 მაისის განკარგულება №344/88).

ამასთან პრინციპი, რომელიც აყალიბებდა იმ აზრს, რომ არაკათოლიკურ დენომინაციებს ისეთივე საგანმანათლებლო შესაძლებლობების უფლება აქვს, როგორც კათოლიკეებს, თანდათან შევიდა ძალაში. თუმცა ამ უფლებების მოცულობა დამოკიდებულია შესაბამისი კონფესიების სოციალურ მნიშვნელობაზე. ამრიგად, დამკვიდრებულ არაკათოლიკურ დენომინაციებს 16 ნოემბრის №104/89 ბრძანების (Despacho Normativo) შესაბამისად, ექსპერიმენტის სახით ეძლეოდა ნებართვა რელიგიურ და მორალურ განათლებაზე დაწყებით და საშუალო სკოლებში. 1998 წლის 2 ნოემბრის დეკრეტ-კანონი №329/98, გაუქმდა, შესაბამისად ამ ნებართვის ექსპერიმენტული ხასიათიც და იგი გავრცელდა ყველა დაწყებით და საშუალო სკოლაზე (ზემოთ მოყვანილი დეკრეტ-ბრძანების პუნქტი მე-2). მიუხედავად იმისა, რომ ამ სწავლების პირობები არის იმგვარი, რომლებიც არ გამოიყენება კათოლიკური რელიგიური და მორალური განათლების მიმართ, იგი მაინც ემსახურება თანდათანობითი დაახლოების პრინციპს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა თანასწორი მიდგომის არაკონსტიტუციური პრინციპის დასრულება.

რელიგიის თავისუფლების კანონი (24-ე პუნქტი) ახდენს აღნიშნული ნაწილის კონსოლიდირებას, რომელიც დაკავშირებულია არაკათოლიკურ დენომინაციებთან არსებული კანონების ფუნდამენტური ასპექტების გაერთიანებასთან: (i) ეკლესიებმა და რელიგიურმა საზოგადოებებმა შეიძლება მოითხოვოს ნებართვა რელიგიური განათლების სწავლებისათვის დაწყებით და საშუალო სკოლებში; (ii) მორალისა და რელიგიური განათლების გაკვეთილები არჩევითია; (iii) გაკვეთილების ორგანიზებისთვის საჭირო იყო, სულ მცირე, 10 მოსწავლის დასწრება (ეს მინიმალური ოდენობა დადგინდა სხვა კანონით); (iv) მოსწავლეებმა ან მათმა მეურვეებმა ნათლად უნდა განაცხადონ თავიანთი სურვილი გაკვეთილებზე მონაწილეობის მისაღებად; (v) მასწავლებლებს, რომლებსაც აღებული აქვთ სასულიერო განათლების საათები, არ შეუძლიათ, ასწავლონ სხვა საგნები იმ მოსწავლეებს, რომლებიც რელიგიურ კლასებში ესწრებიან მათ გაკვეთილებს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა; (vi) მასწავლებლებს ასახელებს და ქირაობს სახელმწიფო ეკლესიასთან ან რელიგიურ

საზოგადოებასთან შეთანხმებით. იმ მასწავლებლებს, რომლებსაც არ მიიჩნევენ შესაფერის კანდიდატებად, აღარ ქირაობენ; (vii) ეკლესიები და რელიგიური საზოგადოებები ახდენს მასწავლებელთა ტრენინგს, ამუშავებს მათ სასწავლო პროგრამებს და ამტკიცებს მათ სასწავლო მასალებს⁵³⁵.

4. ეკლესია და კულტურა

საუკუნეების განმავლობაში კათოლიკური ეკლესია პორტუგალიაში ზოგადად იყო კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი, ხოლო გასულ საუკუნეებში – კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი. დღეისათვის, გარდა ლეთისმეტყველების კონფესიური სკოლებისა, რომლებიც სერიოზული პრობლემების წინაშე დგას მსმენელთა სიმცირის გამო, კათოლიკური ეკლესია ფლობს პრესტიჟულ უნივერსიტეტსაც (Universidade Católica⁵³⁶); მას ფილიალები აქვს ბევრ სხვა ქალაქში. აგრეთვე ეკუთვნის საკმაოდ ბევრი კოლეჯი და კერძო სკოლა. სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში, უნივერსიტეტების ჩათვლით, მასწავლებლების დიდი რაოდენობა კათოლიკური ეკლესიის მომსახურე პერსონალიდანაა.

ეს საგანმანათლებლო და კულტურული გავლენა ძლიერდება იმის გამოც, რომ ეკლესიას ეკუთვნის ეროვნული რადიომუშენებლობის არხი (Rádio Renascença). კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა კერძო სატელევიზიო არხი (მე-4 არხი)⁵³⁷, რომელიც გაიყიდა მისი შენახვისთვის საჭირო უზარმაზარი ხარჯის გამო.

535 კანონები, რომლებიც წინ უსწრებდა LRL-ს, იძლეოდა რელიგიის სწავლების გარანტიას მხოლოდ იმ კონფესიებისთვის, რომლებიც არ აღიარებდა იმგვარ “მორალურ და რელიგიურ ორიენტაციებს, რომლებიც ზიანს აყენებდა პორტუგალიელი საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებს”. ეს ბოლო ფორმულირება ძალიან ფართო იყო: იგი უტოვებდა ადმინისტრაციულ ორგანოებს დიდ შესაძლებლობებს, რათა აღეკვეთა ნებისმიერი კონფესიის აქტივობანი, რომელნიც არ აღიარებდნენ იმ მორალურ და რელიგიურ ფასეულობებს, რომლებიც შესაბამისობაში იყო სოციალურად დომინირებად ფასეულობებთან და არ აძლევდა მათ საშუალებას, რელიგიის სწავლების უფლება გამოეყენებინა სახელმწიფო სკოლებში. ეს შეზღუდვა არ არის რელიგიის თავისუფლების კანონის ნაწილი.

536 მოცემული უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე იხ 17 აპრილის დეკრეტ-კანონი 128/90. მოცემულმა პირობამ არ შეიცვალა სახე 2004 წლის კონკორდატში (პუნქტი 21(3)-ე).

537 საკონსტიტუციო საფუძველზე კონფესიებისთვის სატელევიზიო არხებზე მუშაობის უფლების თაობაზე, იხ. J. Miranda, “Televisão e confissões religiosas. Dois pareceres”, in O Direito, 1990, 1 (იანვარ-მარტი), გვ. 205.

მიუხედავად მებრძოლი განწყობისა, სხვა კონფესიების გავლენა უმნიშვნელოა. რამდენიმე მათგანი ამჟამად ცდილობს მოიპოვოს პოზიცია მასმედიაში თავიანთი აქტიური სოციალური და კულტურული საქმიანობის მეშვეობით.

ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ რელიგიის თავისუფლების კანონი გარანტიას აძლევს რეგისტრირებულ ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს, ჰქონდეს სამაუწყებლო დრო რადიოსა და ტელევიზიაში რელიგიური პროგრამების გადასაცემად, რათა შეძლონ თავიანთი რელიგიური მიზნების გავრცელება (პუნქტი 25-ე). სამაუწყებლო დროის გადაცემა და განაწილება განისაზღვრება იმ კონფესიის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელმაც ეს სურვილი გამოხატა.

სადავო საკითხია ისტორიული შენობების საკუთრება. ბევრ ასპექტში პორტუგალიის ისტორია და კათოლიკური ეკლესიის ისტორია ურთიერთგადაჯახვულ რთულ კავშირს ქმნის. ბევრი ისტორიულად მნიშვნელოვანი შენობა, რომლებიც თავდაპირველად ეკლესიას ეკუთვნოდა, მუდმივად იმ საფართოს ქვეშაა, რომ გამოცხადდეს ეროვნულ ძეგლად და საბოლოოდ ექსპროპრიირებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ. ეს დელიკატური საკითხია. ლიბერალური (1820 წ.) და რესპუბლიკური (1910 წ.) რევოლუციების დროს ბევრი კონფლიქტი სწორედ კათოლიკური ეკლესიის ქონების ექსპროპრიაციის საკითხით იყო გამოწვეული. ეს გამოცდილება აყენებს წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესებს შორის “უფლებების და მოვალეობების სამართლიანი განცალკევების მეშვეობით”. საერთოდ, ეკლესია ინარჩუნებს უფლებას შენობების მუდმივ გამოყენებაზე მაშინაც კი, როდესაც ისინი კლასიფიცირებულია როგორც “ეროვნული ძეგლები” ან “ეროვნული ინტერესის საგნები”. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა სამუშაოს ორგანიზებას, რომლებიც დაკავშირებულია ძეგლების კონსერვაციასთან და შეკეთებასთან (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი 22(1)-ე, ახალი კონკორდატის პუნქტი 2291-ე)⁵³⁸. მოცემული დროებითი შეთანხმება გაფორმდა 8 სექტემბერს № 107/2001 კანონის სახით (პორტუგალიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენახვის პოლიტიკის საფუძვლები და დებულებები), რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს კათოლიკური ეკლესიის და სხვა დენომინაციების საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპს (ზემოაღნიშნული კანონის მე-4 პუნქტი).

538 დეტალები იხ: Vasco Vieira da Silva, Património e regime fiscal da Igreja na Concordata, *supra*, გვ. 139.

5. შრომის კანონმდებლობა

კონსტიტუციის მიხედვით, დამქირავებლის მოვალეობაა, რომ, როგორც დამქირავებელმა, შეათანხმოს მომუშავეს რელიგიური თავისუფლება მის საკუთარ უფლებებთან პრაქტიკული შეთანხმების პრინციპის გამოყენებით⁵³⁹. ზოგადად, შრომითი კანონი (27 აგვისტოს კანონი 99/2003, Código do Trabalho (შრომითი კოდექსის კანონი)) არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც უკავშირდება რელიგიური თავისუფლების რეგულირებას. კოდექსი იცავს თანამშრომლების თავისუფლებას, დაკავშირებულს მათ მიერ რელიგიის არჩევასთან (მუხლი მე-16), კრძალავს პრივილეგიებს ან დისკრიმინაციას რელიგიურ საფუძველზე (მუხლები 22-ე და 23-ე), ასევე სამსახურიდან განთავისუფლებას რელიგიური რწმენის საფუძველზე (429(ბ)-ე და 438(4)-ე მუხლები).

გასაკვირი არ არის, რომ ყოველი კვირის დასვენების დღე ემთხვევა იმ დღეს, რომელიც ტრადიციულად და კათოლიკური კულტურის შესაბამისად არის განსაზღვრული. ზოგიერთი უფრო მნიშვნელოვანი დღე, რომელსაც აქვს რელიგიური მნიშვნელობა კათოლიკური ეკლესიისთვის, აგრეთვე წარმოადგენს ოფიციალურ დღესასწაულს (შრომითი კოდექსის კანონმდებლობის 208-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით, რელიგიის თავისუფლების კანონმა შემოიტანა რიგი მნიშვნელოვანი სიახლეები სხვა დენომინაციების წევრებისთვის. მე-14 პუნქტი საჯარო მოსამსახურეებს, სახელმწიფო იურიდიულ პირებს და კონტრაქტით აყვანილ მუშაკებს უფლებას აძლევს, მოითხოვონ შეღავათი კვირის დასვენების დღეებში, უქმე დღეებსა და სპეციალურ საათებში, თავიანთ მიერ აღიარებული რელიგიის მოთხოვნების შესაბამისად.

თუმცა ეს უფლებები დამოკიდებულია რიგ პირობებზე. თანამშრომელს ევალება: (i) გააჩნდეს მოქნილი სამუშაო გრაფიკი, (ii) იყოს აღიარებული ეკლესიის ან რელიგიური საზოგადოების წევრი, რომელმაც წარუდგინა მთავრობას თავისი რელიგიისთვის მნიშვნელოვანი დღეების და საათების ჩამონათვალი, (iii) სრულად აანაზღაუროს ის დრო, რომლის განმავლობაშიც იგი არ მუშაობდა.

6. საქორწინო და საოჯახო სამართალი

კონკორდატი გადასცემს კათოლიკურ ეკლესიას უფლებას, განახორციელოს ქორწინების რეგისტრაცია კანონიკური წესის მიხედვით, რომელსაც სამოქალაქო

⁵³⁹ შეთანხმება, Jónatas Machado, *Liberdade Religiosa...*, გვ. 269.

კანონმდებლობის ძალით მიენიჭა სრული სამართლებრივი ძალა (1940 წლის კონკორდატი, პუნქტები XXII, XXIII, 2004 წლის კონკორდატი, პუნქტები მე-13, მე-14). 1975 წლის რევიზიის შემდეგ, რომლის დროსაც შეიცვალა 1940 წლის კონკორდატის XXIV პუნქტი, შესაძლებელი გახდა განქორწინების პროცედურა ჩატარებულიყო სამოქალაქო კანონის შესაბამისად.

2004 წლის კონკორდატი ცნობს საეკლესიო უფლებამოსილი პირების უფლებას განსაზღვრონ, არის თუ არა ქორწინება გაუქმებული და ძალადაკარგული და ფიცისგან გაათავისუფლონ ადამიანები იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინება ჯერ არ არის ძალაში შესული. 1940 წლის კონკორდატის სანინაალმდეგოდ მსგავსი უფლებამოსილი პირების გადანყვეტილებები ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გადასინჯავენ და დაამტკიცებს პორტუგალიის რესპუბლიკის კომპეტენტური სასამართლო (მე-16 პუნქტი).

2001 წლამდე სხვა დენომინაციებს, კანონის შესაბამისად, ეკრძალებოდა ქორწინების რეგისტრაცია. რელიგიის თავისუფლების კანონმა მნიშვნელოვნად შეცვალა ეს სიტუაცია ქორწინებების სამართლებრივი ძალის აღიარებით სამოქალაქო კანონმდებლობაში (მე-19 პუნქტი). მოთხოვნები აღიარებისთვის შემდეგია: ქორწინება ჩატარდეს შესაბამისი ნოდების მქონე პირის მიერ, რომელიც ეკუთვნის დაფუძნებულ ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებას, დაცულ იქნეს გარკვეული პროცედურა; ამა თუ იმ ნოდების მქონე სასულიერო პირი აკმაყოფილებდეს და ასრულებდეს რიგ პირობებს⁵⁴⁰.

7. ფინანსები და სავადასახადო რეჟიმი

პორტუგალიას არ აქვს ეკლესიების სახელმწიფო დაფინანსების სისტემა, თუმცა არსებობს რიგი არაპირდაპირი დაფინანსების მექანიზმები ძირითადი გადასახადებიდან მნიშვნელოვანი განთავისუფლების სახით. პერიოდულად სახელმწიფო თანხმდება მხარი დაუჭიროს და დააფინანსოს სხვადასხვა კონკრეტული ინიციატივა, რომელთაც გააჩნია სოციალური ეფექტი, ძირითადად კათოლიკური ეკლესიის ინიციატივები, როგორცაა, მაგ., სახსრების მოძიება მნიშვნელოვანი საეკლესიო შენობების მშენებლობისთვის.

540 როგორც José Vera Jardim, რელიგიის თავისუფლების კანონის მთავარი მენტორი და მთავრობის და პარლამენტის წევრი აღნიშნავს, "Sobre a Lei da Liberdade Religiosa"-ში, Finisterra, n.ºs 42/43, 2002, გვ. 70, ამ უფლების გამოყენება მოითხოვს რიგ წინასწარ ნორმატივებს.

1940 წლის კონკორდატის შესაბამისად, კათოლიკურ ეკლესიას მიენიჭა საგადასახადო შეღავათები როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, საშემოსავლო და მონმარების გადასახადებზე, ასევე საგერბო გადასახადზე, უძრავი ქონების გადასახადზე და ა.შ. ამ დებულებების ყველაზე დელიკატური საკითხია დღე, რადგან მას უკავშირდება ევროპაში მოქმედი განსაკუთრებული წესები. საჭირო იყო თავიდან აეცილებინათ ეკლესიებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო შეღავათში. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური მექანიზმი და გადაწყდა, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მომხდარიყო იმ გადასახადის გადახდა, რომლის ამოღებაც ხდებოდა კათოლიკური ეკლესიის და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიერ საქონლის შექმნის და იმპორტის დროს (13 იანვრის დეკრეტი-კანონი № 20/90, რომელშიც ამ თარიღის შემდეგ ბევრი ცვლილება შევიდა). 1940 წლის კონკორდატთან შედარებით, 2004 წლის კონკორდატმა პრაქტიკულად უცვლელი დატოვა საგადასახადო რეზერვთან დაკავშირებით კათოლიკური ეკლესიისთვის დებულებები (26-ე პუნქტი)⁵⁴¹.

ამასთან ერთად, რელიგიის თავისუფლების კანონმა გაავრცელა ეს საგადასახადო დებულებები სხვა ეკლესიებსა და რელიგიურ საზოგადოებებზე, თუმცა შეზღუდა რიგი საგადასახადო შეღავათები აღიარებული და დამკვიდრებული ეკლესიებისა და რელიგიური საზოგადოებებისთვის.

ამრიგად, ყველა ეკლესია და რელიგიური საზოგადოება, მიუხედავად თავიანთი სტატუსისა, განთავისუფლებულია ყველა გადასახადისგან, თუ ისინი იღებენ მომსახურებას ან შემონირულებას მრევლიდან, მორწმუნეების რელიგიური მიზნების უზრუნველყოფის დროს, ან, თუ ისინი ახორციელებენ გადასახადების შეგროვებას (31(1)-ე პუნქტი). თუმცა კანონი შეიცავს გამონაკლისს: გადასახადით იბეგრება მომსახურება, რომელსაც აქვს ბიზნესხასიათი, მაგ. ფორმაცია, მკურნალობა ან სულიერი რჩევა (31(2)-ე პუნქტი).

რელიგიის თავისუფლების კანონის 32(1)-ე პუნქტის შესაბამისად, რეგისტრირებული კოლექტიური რელიგიური ჯგუფი განთავისუფლებულია გადასახადებისგან (მაგ., მუნიციპალური გადასახადებისაგან განთავისუფლება), თუ იგი დაკავშირებულია შენობებისა და ნაგებობების ექსპლოატაციასთან, ძირითადად ან ნაწილობრივ რიტუალური აქტებისთვის ან რელიგიური მიზნებისთვის რომ გამოიყენება. გარდა ამისა, რელიგიის თავისუფლების კანონის 32(2)-ე პუნქტი ათავისუფლებს მათ გადასახადებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ქონების გადაცემასთან როგორც სიცოცხლის განმავლობაში, ასევე გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

541 თუმცა, როგორც ნახსენები იყო, საეკლესიო მსახურების დაბეგრვა ამჟამად მიმდინარეობს ზოგადი დებულებების შესაბამისად.

გარდა ამისა, დამკვიდრებულ ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს უნაზღაურდება დღგ (პრივილეგია, რომელიც მინიჭებული ჰქონდა, როგორც ნახსენები იყო, კათოლიკურ ეკლესიას 1990 წელს) ზოგიერთ შემთხვევაში (რელიგიის თავისუფლების კანონი, პუნქტი 65(1)-ე) ალტერნატივის სახით; ამ დამკვიდრებულ ეკლესიებს და რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლია იმ სხვა ინოვაციური საგადასახადო პრივილეგიის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლების კანონის 32(4)-ის პუნქტის შესაბამისად: მათ წლიურად შეუძლიათ მიიღონ ფიზიკური პირების სამემოსავლო გადასახადიდან 0.5% (ფინანსური გადასახადი). დამკვიდრებული ეკლესიების ეს პრივილეგია დამოკიდებულია სხვადასხვა პირობაზე:

(i) ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებას წარდგენილი უნდა ჰქონდეს მოთხოვნა აღნიშნულ საგადასახადო შეღავათზე, რომლის მეშვეობითაც ისინი უარის ამბობენ დღგ-ის ანაზღაურებაზე, (ii) გადასახადის გადამხდელმა ნათლად უნდა განაცხადონ, რომ მათი გადასახადის აღნიშნული ნაწილი გამოყენებული იქნება რელიგიური მიზნებისთვის ან ქველმოქმედებისთვის (თუკი ისინი არ გააკეთებენ ასეთ განცხადებას, სახელმწიფო მიიღებს მთლიან გადასახადს), (iii) გადასახადის გადამხდელმა უნდა აირჩიოს კონკრეტული ეკლესია ან რელიგიური საზოგადოება, რომელიც მიიღებს მათთვის განკუთვნილ გადასახადის წილს.

თანხის შეგროვებას, რომელიც გადასახადების გადამხდელების მიერ არის განსაზღვრული თითოეული ეკლესიისათვის, აწარმოებს სახელმწიფო, რომელიც შემდეგ უხდის მას არჩეულ ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადის გადამხდელებს შეუძლიათ, როგორც ალტერნატივა, ან არ გააკეთონ მსგავსი არჩევანი, ან გააკეთონ იგი იურიდიული პირების სასარგებლოდ, რომლებიც საზოგადოებისათვის სარგებლიანობის მომტანნი არიან და რომელსაც აქვს საქველმოქმედო, საპასტორო ან ჰუმანიტარული ხასიათი, ან კერძო ინსტიტუტების სასარგებლოდ, რომელთაც აქვს სოციალური მიზნები (რელიგიის თავისუფლების კანონის პუნქტი 32(6)-ე).

ორი საბოლოო მოსაზრება: პირველი, მნიშვნელოვანია არ აურიოთ ერთმანეთში ეს მექანიზმი საეკლესიო გადასახადში, რომელიც არსებობს კანონის სხვა სისტემებში. მეორე, 2004 წლის კონკორდატი იძლევა ამ ახალი მექანიზმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ იგი არ გამოიყენება პირდაპირ კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში და აუცილებელია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შემდგომი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც შეეხება მოცემულ საკითხებს (იხ. 2004 წლის კონკორდატის 27-ე პუნქტი).

8. სასულიერო დახმარება სახელმწიფო ინსტიტუტებში

კათოლიკური ეკლესიის მიერ განხორციელებული სასულიერო უზრუნველყოფა სახელმწიფო ინსტიტუტებში ექვემდებარებოდა 1940 წლის კონკორდატის სხვადასხვა წესს, რომელთაგანაც ზოგიერთი კონფლიქტში იყო კონსტიტუციის დებულებებთან.

ზოგადად 1940 წლის კონკორდატი იძლეოდა კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურების თავისუფალი შესვლის საშუალებას საავადმყოფოებში, სახელმწიფო სკოლებში, თავშესაფრებში, საპატიმროებსა და მსგავს დაწესებულებებში იმისთვის, რომ მათ გაეწიათ სასულიერო დახმარება (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი XVII). გარდა ამისა, 1940 წლის კონკორდატი ძლიერ დეტალიზებული იყო სამხედრო სამსახურებში კაპელანობასთან დაკავშირებით და იძლეოდა ამ მომსახურების საშუალებას სავიწროებში (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი XVIII). ეს დებულება დაკავშირებული იყო 1940 წლის XIV პუნქტთან, რომელიც უზრუნველყოფდა ეკლესიის მღვდლების განთავისუფლებას სამხედრო ვალდებულებისგან და ახდენდა ამ მოვალეობის ჩანაცვლებას არმიამში საკაპელანო სამუშაოთი (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი XIV)⁵⁴².

როგორც განვმარტეთ (ნაწილი III. (1)), საკაპელანო სამუშაო ამ ინსტიტუტებში კვლავ რეგულირდება სხვადასხვა კანონით და დებულებით. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება აღნიშნოს შემდეგი: (i) საავადმყოფოები სამუშაოდ იყვანს კათოლიკე კაპელანებს (18 ივნისის განკარგულება № 603/82); (ii) სამხედრო სამსახურში არსებობს კათოლიკური საპასტორო მომსახურება, რომელიც თავად სამხედრო სტრუქტურის ნაწილია (26 თებერვლის დეკრეტი-კანონი №93/91) და მის თანამშრომლებს ანაზღაურებას უხდის სახელმწიფო (25 მარტის განკარგულება № 204/99); (iii) საპატიმროებში არიან პასტორები, რომლებიც ექვემდებარებიან ციხის უფროსებს, პასტორი ინტეგრირებულია სახელმწიფო პერსონალში და არის სახელმწიფო კმაყოფაზე (9 თებერვლის დეკრეტი-კანონი №79/83).

სულიერი დახმარების ინტეგრაციამ კათოლიკური ეკლესიის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტებში უნდა გაიაროს ძირეული ცვლილებები 2004 წლის კონკორდატის შესაბამისად. რაც შეეხება სულიერ დახმარებას ისეთ სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებიც ეხება ჯანმრთელობას, განათლებას ან თავისუფლების აღკვეთას, მე-18 პუნქტი იძლევა კათოლიკურ სულიერ დახმარებაზე გარანტიას – “unlimited performance” და არა ხელმისაწვდომობაზე. ის ფილოსოფია, რომელზეც ახალი

542 იხ. Miguel Falcão, “A Concordata de 1940 e a assistência religiosa às Forças Armadas”, წყარო: A Concordata..., გვ. 197.

კონკორდატი იყო დამყარებული, უეჭველად მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით ცვლილებებს შიდა დებულებებში, რომლებიც ეხება სასულიერო მომსახურებას.

კათოლიკურ სულიერ კეთილდღეობასთან დაკავშირებით შეიარაღებული ძალების წევრებისთვის ცვლილებები კიდევ უფრო ძირფესვიანი იქნება. ახალი კონკორდატის მე-17 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უკვე არ იძლევა კათოლიკური სასულიერო მომსახურების გარანტიას, აგრეთვე არ არის ვალდებული, უზრუნველყოს კაპელანების კორპუსი. გაუქმდა მთავრობასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის კაპელანების და უფროსი სამრევლო მღვდლის კანდიდატების ნამოყენების შეთანხმება. სახელმწიფო ზღუდავს თავის თავს, რომ მისცეს შეიარაღებული და უსაფრთხოების ძალების შემადგენლობას უფლება, თავისუფლად განახორციელოს რელიგიის თავისუფლება კათოლიკური სასულიერო კეთილდღეობის მეშვეობით. სასულიერო კეთილდღეობის უზრუნველყოფა ხორციელდება კათოლიკური ეკლესიის მიერ მხოლოდ მათთვის, ვისაც ამის სურვილი აქვს. სპეციფიკური პირობები ზემოაღნიშნული დებულებების განსახორციელებლად დამოკიდებულია შემდგომ ხელშეკრულებებსა და დებულებებზე.

აღნიშნულისა და რელიგიის თავისუფლების კანონის მიერ შემოტანილი ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდა კონფესიების თანასწორუფლებიანობა სასულიერო მომსახურებასთან დაკავშირებით.

რელიგიის თავისუფლების კანონის დებულებაში (მე-13 პუნქტი), რომელიც შეტანილია ინდივიდუალური უფლებების და რელიგიური თავისუფლების თავში და არ ეხება კოლექტიურ უფლებებს, სხვადასხვა კონფესიის წევრების უფლება სულიერ მომსახურებასა და რელიგიური აქტების აღნიშვნაზე განსაკუთრებულ შემთხვევებში უზრუნველყოფილია: შეიარაღებული, უსაფრთხოების ძალების (forças de segurança) და პოლიციის ძალების წარმომადგენლებისთვის, სამხედრო და საზოგადოებრივი სამსახურებისთვის, საავადმყოფოებისთვის, საერთო საცხოვრებლებისთვის, კოლეჯებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტებისთვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებისთვის და ა.შ. სახელმწიფო ვალდებულია “საპასტორო მომსახურებისთვის შექმნას შესაბამისი პირობები”, მაგრამ ამ ვალდებულების უარყოფა შეიძლება უსაფრთხოების ან ფუნქციური მიზეზების გამო. თუმცა ეს არ შეიძლება მოხდეს მანამ, ვიდრე შესაბამისი ეკლესიის მსახურს არ ექნება შესაძლებლობა, გააკეთოს განცხადება გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ.

რელიგიის თავისუფლების კანონი არ იძლევა ახსნა-განმარტებას, თუ რა იგულისხმება ტერმინის “შესაბამისი პირობების შექმნა საპასტორო სამსახურისთვის”. ეს ფრაზა შეიძლება გავიგოთ იმ მნიშვნელობით, რომ თანასწორი მიდგომა საჭიროებს სისტემას, რომელიც ახალი კონკორდატის

მსგავსი სისტემის იდენტური იქნება; მას გამოიყენებენ კათოლიკური ეკლესიის მიმართ ახალი კონკორდატის რატიფიკაციის და განხორციელების შემდეგ.

მაგრამ საეჭვოა, რამდენად არის შესაძლებელი (ან საჭიროც კი თანასწორობის საფარქვეშ) ამ სისტემის კოპირება სხვა კონფესიებში.

9. სისხლის სამართლის კანონი და რელიგია

1982 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (Código Penal), რომელმაც 1995 წელს განიცადა საფუძვლიანი ცვლილებები, “სპეციალურ ნაწილში” შეიცავს თავს, რომელიც ეხება დანაშაულს, მიმართულს ოჯახისა და რელიგიური გრძნობების წინააღმდეგ. ასევე დასჯადია გარდაცვლილის უპატივცემულობა. ამ თავში დანაშაული რელიგიურ იძულებასა და დისკრიმინაციაზე ისჯება კანონით. თუმცა ეს დანაშაული კონკრეტულად არ არის ნახსენები, მაგრამ არის ნაწილი უფრო კონკრეტული დანაშაულის შესახებ, სახელდობრ, იძულება (154-ე პუნქტი) და რელიგიურ/რასობრივი დისკრიმინაცია (240-ე პუნქტი). გარდა ამისა, სისხლის სამართლის კანონი იძლევა ორი დანაშაულის მაგალითს, რომლებიც უშუალოდ რელიგიური გრძნობების წინააღმდეგ არის მიმართული: რელიგიური რწმენის შეურაცხყოფა (251-ე პუნქტი) და რიტუალური აქტების აღკვეთა, მასში ჩარევა ან შეურაცხყოფა და მისი მნიშვნელობის დაკნინება (252-ე პუნქტი)⁵⁴³.

10. საეკლესიო მსახურთა სამართლებრივი სტატუსი

1940 წლის კონკორდატი შეიცავდა ეკლესიის მსახურთა სტატუსის მრავალრიცხოვან დებულებებს. ზოგიერთი მათგანი არ შევიდა 2004 წლის კონკორდატში, ალბათ იმიტომ, რომ ისინი იყო არაკონსტიტუციური ან არ იყო შესაძლებელი თანხმობის მიღწევა მათ შესახებ. ესენია: (i) საგადასახადო შეღავათი ნოდებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (პუნქტი VIII), (ii) პორტუგალიელი ეროვნების ვალდებულება (პუნქტი IX), (iii) მოთხოვნა სამთავრობო დამტკიცების აუცილებლობაზე წარდგენასთან დაკავშირებით (პუნქტი X), (iv) სახელმწიფოს მხრიდან იდენტური დაცვის უფლება, როგორც გარანტირებული აქვთ სახელმწიფო იურიდიულ პირებს (პუნქტი XI), (v) საეკლესიო სამოსის არასწორი გამოყენება, იგი ისჯება ისევე, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ უნიფორმების არასწორი გამოყენება (პუნქტი XV).

543 ამასთან დაკავშირებით, იხ. José J. A. Lopes, “Os crimes contra a liberdade religiosa”, წყარო: Liberdade Religiosa. Realidades e Perspectivas, , Lisboa, 1998, გვ. 177-237.

1940 წლის კონკორდატის სხვა დებულებები, მცირედენი შესწორების გარდა, შენარჩუნებულ იქნა 2004 წლის კონკორდატის მიერ. ეს ეხება შემდეგ დებულებებს: (i) საკონფესიო საიდუმლოს დაცვის უფლებას სასამართლოს ან სხვა სახელისუფლო სტრუქტურის წინაშე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც სასულიერო პირისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი XII, 2004 წლის კონკორდატი მე-5 პუნქტი), (ii) განთავისუფლება ნაფიცი მსაჯულობისა და სხვა მსგავსი მოვალეობებისაგან (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი XIII, 2004 წლის კონკორდატი, პუნქტი მე-6), (iii) სამხედრო სამსახურის შეცვლა საკაპელანო სამსახურით არმიაში (1940 წლის კონკორდატი, პუნქტი XIV, 2004 წლის კონკორდატი, პუნქტი მე-17(4), რომელიც ნებადართული იყო მხოლოდ რელიგიურ-ზნეობრივი მიზეზით). ამ დებულებებს ემატება სხვები, რომლებიც მოცემულია ეროვნულ საკანონმდებლო დოკუმენტებში და უზრუნველყოფს საეკლესიო მსახურებისთვის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში პრივილეგიების გარანტიას (იხ. 31 იანვრის მარეგულირებელი ბრძანება №5/83).

ამ ცვლილებებით, რომლებიც შეიტანეს 2004 წლის ახალ კონკორდატში, კათოლიკურ საეკლესიო მსახურთა მდგომარეობა უფრო დაემსგავსება სხვა კონფესიების საეკლესიო მსახურთა პოზიციას, როგორც ეს მოცემულია რელიგიის თავისუფლების კანონში. ამ კანონის შესაბამისად, ყველა კონფესიის მღვდელს უფლება აქვს უარი თქვას: (i) ჩვენების მიცემაზე მოსამართლეებისთვის ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის იმ ფაქტებზე, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობიდან გამომდინარე (პუნქტი მე-16(2)), (ii) სოციალური უზრუნველყოფის გადასახადებზე (პუნქტი მე-16(4)); (iii) სამხედრო სამსახურის ჩანაცვლებაზე საკაპელანო სამუშაოთი არმიაში (პუნქტი მე-17(1)), (iv) განთავისუფლებაზე ნაფიცი მსაჯულთა სამსახურიდან (პუნქტი მე-18).

11. საეკლესიო კანონის დამუშავება: რელიგიური თავისუფლების კომიტეტი

10 დეკემბრის დეკრეტ-კანონმა №308/2003 დაასრულა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზა რელიგიის თავისუფლების კანონის დამუშავებაში. მან შემოიტანა რელიგიის თავისუფლების კომიტეტის დებულებები. ეს კომიტეტი მთავრობისგან დამოუკიდებელია და შედგება ხუთი წევრისგან, რომლებსაც ირჩევენ კონფესიები (აქედან ორი დასახელებულია კათოლიკური ეკლესიის მიერ), აგრეთვე მთავრობის მიერ არჩეული ხუთი წევრისაგან, რომლებიც უნდა იყვნენ შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენციის მქონენი. პრეზიდენტის არჩევა და დანიშვნა ხდება მთავრობის მიერ. სულ ახლახან მოხდა რელიგიის თავისუფლების კომიტეტის შემადგენლობის დასახელება.

რელიგიის თავისუფლების კომიტეტის მოვალეობაა საეკლესიო კანონმდებლობის შემდგომი დამუშავება და რელიგიური თავისუფლების რეალიზაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში რელიგიის თავისუფლების კომიტეტს ევალება შემდეგის განხორციელება: (i) აკონტროლოს რელიგიის თავისუფლების კანონის გამოყენება, განვითარება და რევიზია, (ii) გააკეთოს განცხადებები კონფესიების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, (iii) უფრო განავითაროს ეკლესიების, რელიგიური საზოგადოებებისა და მოძრაობების კვლევა და სამეცნიერო შესწავლა პორტუგალიაში. იგი მოიცავს რელიგიის თავისუფლების კანონის შეხედულებას სამომავლო ხელშეკრულებებზე ეკლესიებსა/რელიგიურ საზოგადოებებსა და მთავრობას შორის, საკითხზე – არის თუ არა ეკლესია ან რელიგიური საზოგადოება დაფუძნებული პორტუგალიაში და მოხდა თუ არა ამ ეკლესიების/რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაცია რელიგიური იურიდიული პირების რეესტრში. სხვა მოვალეობებთან ერთად იგი ვალდებულია შეატყობინოს ხელისუფლების შესაბამის ნარმომადგენლებს რელიგიის თავისუფლების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე ან აგრესიულ ქმედებებზე რელიგიურ თავისუფლებასთან ან დისკრიმინაციასთან დაკავშირებით (რელიგიის თავისუფლების კანონის სხვა კომპეტენციებზე იხ. პუნქტი მე-2 დეკრეტ-კანონი №308/2003).

VI. დასკვნა

შევაჯამებთ რა პორტუგალიის 1976 წლის კონსტიტუციის შესაბამის დებულებებს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ჩარევა რელიგიის საკითხებში უმნიშვნელოა: (i) განცალკევების პრინციპები სახელმწიფოსა და კონფესიებს შორის, (ii) ნეიტრალიტეტი, (iii) თანასწორი მიდგომის პრინციპი სათანადოდ არის განსაზღვრული და აღიარებული. 1911 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით 1976 წლის კონსტიტუცია თავს არიდებს რადიკალიზმს და მტრულ დამოკიდებულებას რელიგიისა და რელიგიური ინსტიტუტების მიმართ. განსხვავებით 1822, 1826, 1838 და 1933 წლების კონსტიტუციებისა, იგი თავს არიდებს რომელიმე რელიგიის, ეკლესიის ან კონფესიის მითითებას. რასაკვირველია, არსებობს სიმშაბათი რელიგიის მიმართ, როგორც სოციალურად მომგებიანი ფენომენისადმი, თუმცა იგი ენაცვლება მისადმი სრულ ნეიტრალიტეტს.

მიუხედავად ამისა, რომაულ-კათოლიკური რელიგიის ფაქტობრივი სოციალური წონა საკმარისი იყო, რათა მას მოეპოვებინა სპეციალური სტატუსი და შესაბამისი უფლებამოსილება კათოლიკური ეკლესიისთვის იმ დონეზე, რომელიც განსხვავდებოდა კონსტიტუციით დადგენილისგან. ამან გამოიწვია დე ფაქტო უთანასწორობა და განცალკევების პრინციპის არაადეკვატური ინტერპრეტაცია.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ უთანასწორობის არსებული დე ფაქტო სიტუაცია იყო თანასწორობის პრინციპის გამოხატვა, რადგან იგი შეესაბამებოდა კათოლიკური ეკლესიის სოციალურ მნიშვნელობას პორტუგალიაში. თუმცა მდგომარეობა მნიშვნელოვნად შერბილდა 2001 წლის რელიგიური თავისუფლების კანონით და 2004 წლის 18 მაისის კონკორდატით.

ზოგადი დასკვნის სახით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობის სისტემა პორტუგალიაში მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც განცალკევების შემსუბუქებული ფორმა.

VII. ბიბლიოგრაფია

Paulo Pulido Adragão, *A Liberdade Religiosa e o Estado*, Coimbra, 2002.

Pedro Amaral e Almeida, *As seitas e a liberdade religiosa*, in *O Direito*, January-June, 1998, . p. 105-130.

Miguel Almeida Andrade, *La Liberté Religieuse*, in *Boletim do Ministério da Justiça*, January-June 1994, n. 57-58, p. 205-230.

José de Sousa Brito, *La Jurisprudence Constitutionnelle en Matière de Liberte Confessionnelle au Portugal*, texto apresentado na XI ème Conference des Cours Constitutionnelles Européennes, Varsóvia, 17-21, May 1999.

Cabral/Vala/Pais/Ramos (org.), *Atitudes e Práticas Religiosas dos Portugueses*, Lisboa, 2000

J.J. Gomes Canotilho, – *Anotação ao acordo 423/87*, in *Revista de Legislação e de Jurisprudência*, 126, n. 3832-3834, p. 271.

J.J. Gomes Canotilho, / Vital Moreira, – *Constituição da República Portuguesa anotada*, 3rd. ed., Coimbra, 1993.

- J.J. Gomes Canotilho, / Jónatas Machado, Bens culturais, propriedade privada e liberdade religiosa, in *Revista do Ministério Público*, October-December 1995, n. 64.
- Mário Bigotte Chorão, – Formação eclesial e educação católica segundo a Concordata de 1940 (artigos XX e XXI), in *O Direito*, y. 123, 1991, p. 387; also in *A Concordata de 1940 (col.)*, p. 233-70.
- Magalhães Colaço, – O regime de separação in *BFDUC*, y. IV, n. 39 and 40, 1918, p. 654.
- Manuel Braga da Cruz, *O Estado Novo e a Igreja Católica*, Lisboa, 1998.
- Miguel Falcão, – A Concordata de 1940 e a assistência religiosa às Forças Armadas, in *A Concordata...*, (ob. col.), p. 195-231.
- António de Sousa Franco, *La Iglesia y el poder (1974-1987)*, in *Revista de Estudios Políticos*, 1988, n. 60/61.
- António Leite, – A religião no Direito Constitucional português, in *Estudos sobre a Constituição*, vol. II, Lisboa, 1978, p. 265.
- António Leite, – Acordos entre a Santa Sé e Portugal anteriores à Concordata de 1940, in *Brotéria*, 132, p. 493, and *A Concordata de 1940 (col.)* p. 11-27.
- António Leite, – A Concordata e o casamento, in *A Concordata de 1940 (col.)*, p. 271-305.
- Jónatas Eduardo Mendes Machado, – O regime concordatário entre a «libertas ecclesiae» e a liberdade religiosa. *Liberdade de religião ou liberdade da Igreja*, Coimbra, 1993.
- A Constituição e os Movimentos Religiosos Minoritários, in *BFDUC*, 1996, vol. LXXII, p. 193-271.
- Liberdade Religiosa numa Comunidade Constitucional Inclusiva. Dos Direitos da Verdade aos Direitos dos Cidadãos*, Coimbra, 1996.
- Jorge Miranda, *Manual de Direito Constitucional*, IV volume, 3.ª ed., Coimbra, 2000
- Direitos fundamentais: liberdade religiosa e liberdade de aprender e ensinar*, in *Direito e Justiça*, vol. III, 1987/8.
- Televisão e confissões religiosas. Dois pareceres, in *O Direito*, 1990, 1 (Jan-Mar), p. 205.

A Concordata e a ordem constitucional portuguesa, in *Direito e Justiça*, vol. V, 1991, p. 154; also in *A Concordata de 1940*, col., Lisboa, 1993, 69 ff..

A liberdade religiosa em Portugal e o ante-projecto de 1997, in *Direito e Justiça*, 1998, vol. XII, 2, p.. 3-24.

J. A. Teles Pereira, A liberdade religiosa e as relações Igreja-Estado em Portugal nos anos noventa, in *Revista do Ministério Público*, January-March 1996, n. 65, p.. 77-96.

David Valente e Alberto Franco, *Liberdade Religiosa. Nova Lei anotada e comentada*, Lisboa, 2002.

António Marques dos Santos, *Citoyens et Fideles dans les Pays de L'Union Europeenne: Rapport Portugais*, in *Consorzio Europeo di Ricerca tra Stati e Confessioni Religiose (org.), Cittadini e Fedeli nei Paesi dell'Unione Europea*, Reggio Calabria, 1998.

Paula Costa e Silva, *A jurisdição nas relações entre Portugal e a Santa Sé*, Coimbra, 2004

Vasco Vieira da Silva, – *Património e regime fiscal da Igreja na Concordata*, in *A Concordata de 1940 (col)*, p. 133-163.

Antunes Varela, – *Lei da liberdade religiosa e Lei de imprensa, revista e anotada*, Coimbra, 1972.

A Concordata de 1940 Portugal-Santa Sé (col.), Lisboa, 1993.

Liberdade Religiosa. Realidades e Perspectivas (ob. Col.), Centro de Estudos de Direito Canónico da Universidade Católica Portuguesa, Lisboa, 1998.

სახელმწიფო და ეკლესია სლოვენიაში

I. სოციალური ფაქტები

სხვა არსებულ რელიგიურ თემებთან შედარებით რომის კათოლიკურ ეკლესიას (შემდგომში – კათოლიკურ ეკლესიას) სლოვენიაში განსაკუთრებული პოზიცია უჭირავს. ისტორიული წინაპირობა და კათოლიკური ეკლესიის წევრთა ამჟამინდელი რაოდენობა ამართლებს კათოლიციზმის პრეტენზიას ქვეყნის მთავარი რელიგიის წოდებაზე. მთლიანად სლოვენიაში 36 რეგისტრირებული რელიგიური თემია.

ცხრილი №1. სლოვენიის რელიგიური დემოგრაფიული მაჩვენებლები 1991 წლის აღწერით

კონფესია	მოსახლეობის პროცენტი
კათოლიკეები	71.40%
მართლმადიდებელი ქრისტიანები	2.40%
მუსლიმანები	1.50%
პროტესტანტები	1.00%
სხვა რელიგიის წარმომადგენლები	0.30%
ათეისტები	4.20%
პასუხზე უარი განაცხადა	4.20%
პასუხი უცნობია	15.00%

ცხრილი №2. სლოვენის რელიგიური დემოგრაფიის მაჩვენებლები 2002 წლის აღწერით

კონფესია	მოსახლეობის პროცენტი
კათოლიკეები	57.80%
მუსლიმანები	2.40%
მართლმადიდებელი ქრისტიანები	2.30%
პროტესტანტები	0.80%
სხვა რელიგიის წარმომადგენლები	0.30%
მორწმუნეები, რომელთაც კონკრეტული რელიგია არ გააჩნიათ	3.50%
ათეისტები	10.10%
პასუხზე უარი განაცხადა	15.70%
პასუხი უცნობია	7.10%

II ისტორიული ფონი

ჰაბსბურგის იმპერიის საზღვრებში, რომელშიც სლოვენიაც შედიოდა, კათოლიციზმი დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფო რელიგიად ითვლებოდა. XVIII საუკუნის დასასრულს სახელმწიფოს სეკულარიზაცია მოხდა (ჟოზეფიზმი), მაგრამ ეკლესიამ საზოგადოებაში კარგა ხნის განმავლობაში შეინარჩუნა განსაკუთრებული პოზიცია. მაგალითად, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა თითქმის მთლიანად მის ხელში დარჩა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში (ისფრ) კათოლიკური ეკლესია სასტიკად შეავიწროვა სახელმწიფომ და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა 1966 წელს ვატიკანსა და იუგოსლავიას შორის ხელახალი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამდე.

გამოცხადებული პრინციპის მიუხედავად, რომლის თანახმაც ეკლესია თითქოსდა სახელმწიფოსგან იყო გამოყოფილი, 1945 წლიდან 1990 წლამდე სლოვენიაში ყველა ეკლესია სახელმწიფოს მკაცრ კონტროლქვეშ იმყოფებოდა. რელიგიური თემების სამართლებრივი სტატუსი და რეალური მდგომარეობა ყოფილი იუგოსლავიის კომუნისტური რეჟიმის დროს განსაზღვრული იყო არა მხოლოდ ოფიციალური სამართლებრივი აქტებით, არამედ ფაქტობრივად თავიდან ბოლომდე (განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიის შემთხვევაში) მკაცრად კონფიდენციალური სამართლებრივი წესებით, რომლებმაც სხვა დებულებებთან ერთად პარალელური საიდუმლო სამართლებრივი სისტემა

ჩამოაყალიბა. მაგალითად, 1967, 1970, 1982 და 1985 წლებში სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დოკუმენტები ვრცლად ეხებოდა კათოლიკურ ეკლესიას. საერთო იდეა, რაც ამ საიდუმლო შინაგან წესებს აკავშირებს, იყო ის, რომ კათოლიკური ეკლესია “მუდმივი საშინაო მტერია”, ხოლო მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ვატიკანსა და ისფრ-ს შორის ხელშეკრულებას, უარყო იდეა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმს, რის შემდეგაც “დაიწყო იდეოლოგიური კონფრონტაცია მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციებთან”⁵⁴⁴. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციურად გარანტირებული იყო, კათოლიკურ ეკლესიას და სხვა რელიგიებს უფლება არ ჰქონდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიეღო მონაწილეობა.

1945 წლიდან ყოფილმა იუგოსლავიამ აკრძალა ყველა კერძო სკოლა. ბევრი კერძო სკოლა, რომლებიც აქამდე ფუნქციონირებდა, აკრძალვამდე ნაციონალიზებულ იქნა. ეს აკრძალვა დღევანდელი სლოვენის ტერიტორიაზე 1991 წლამდე გრძელდებოდა. რელიგიურ თემებს სკოლების დაარსება მხოლოდ სასულიერო პირების აღსაზრდელად შეეძლო. ამ რელიგიური სკოლების დიპლომებს სახელმწიფო არ ცნობდა. 1945 და 1991 წლებს შორის რელიგიურ თემებს ეკრძალებოდა “საზოგადოებრივი ან სოციალური მნიშვნელობის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება”. აკრძალულ საქმიანობათა რიგს განეკუთვნებოდა საგანმანათლებლო საქმიანობაც. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სლოვენიაში ათეიზმი პრივილეგიური იდეოლოგია იყო და ფართოდ ინერგებოდა განათლების სისტემაში.

III. სამართლებრივი წყაროები

სლოვენის რესპუბლიკის კონსტიტუცია (რომელიც ძალაში შევიდა 1991 წელს) მე-7 მუხლში განსაზღვრავს სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის ურთიერთობას. რელიგიური თემების სამართლებრივი პოზიცია შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება: (1) სახელმწიფოსგან რელიგიური თემების გამოყოფას; (2) რელიგიური თემების თანასწორობას და (3) კანონის ფარგლებში რელიგიური თემების შეუზღუდავ საქმიანობას.

სლოვენის სამართლებრივ სისტემაში სინდისისა და რწმენის თავისუფლება დაცულია კონსტიტუციის 41-ე მუხლით და მას “სინდისის თავისუფლება”

544 იხ. OdiUS VI, 69, გვ. 390

ენოდება. ეს დებულება ფართოდ იცავს თვითგამორკვევის თავისუფლებას და შეეხება არა მხოლოდ რელიგიურ რწმენას, არამედ ასევე მორალს, ფილოსოფიურ და სხვა შეხედულებებს ცხოვრებაზე. მუხლი მოიცავს სამ დებულებას: სინდისის თავისუფლების გარანტიას, ანუ პოზიტიურ უფლებას; პიროვნების უფლებას, არ გააჩნდეს ან არ გამოამჟღავნოს რაიმე რელიგიური ან სხვა რწმენა, ანუ ნეგატიურ უფლებას; აგრეთვე მშობლების უფლებას, გადანყვიტონ, თუ რა გზით წარმართონ თავიანთი შვილების აღზრდა სინდისის თავისუფლების კუთხით. პირველი დებულება იცავს ყველა ადამიანის უფლებას, თავისუფლად იალმსარებლოს საკუთარი რელიგია და ისარგებლოს თავის კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითგამორკვევის სხვაგვარი გამოხატულების უფლებითაც. კონსტიტუცია უფრო დანვრილებით არ მიუთითებს, კერძოდ, რა სახის საქმიანობას ითვალისწინებს სინდისის თავისუფლება. პიროვნების სინდისის თავისუფლება გულისხმობს როგორც პოზიტიურ ელემენტს – პიროვნების უფლებას, საკუთარი სურვილისამებრ იქონიოს, შეიცვალოს და გამოხატოს ესა თუ ის რელიგიური თუ სხვაგვარი რწმენა, ისე ნეგატიურ ელემენტს – პიროვნების უფლებას, არ იქონიოს ან არ გამოხატოს რაიმე რელიგიური თუ სხვაგვარი რწმენა. კონსტიტუციის განმარტებით, ნეგატიური უფლების თანახმად, არც ერთი პიროვნება არ არის ვალდებული, აღიაროს რომელიმე რელიგიური თუ სხვა რწმენა.

სინდისის თავისუფლების ერთ-ერთი ასპექტით, კონსტიტუცია მშობლებს ანიჭებს უფლებას, თავიანთ შვილებს მისცენ საკუთარი რწმენის შესაბამისი რელიგიური და მორალური აღზრდა. ბავშვისთვის მიცემული რელიგიური თუ მორალური აღზრდა ბავშვის ასაკის შესაფერისი უნდა იყოს. ამგვარი აღზრდა აგრეთვე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის სინდისის თავისუფლებასა და რელიგიურ თუ სხვა რწმენას ან შეხედულებებს.

კონსტიტუციის მე-16 მუხლში ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული დებულებების თანახმად, სინდისის თავისუფლება განეკუთვნება ადამიანის შვიდ ისეთ უფლებათა და თავისუფლებათა რიცხვს, რომელთა ხელყოფა დროებითაც კი დაუშვებელია, თვით საომარი მოქმედებების დროს.

რელიგიური მოსაზრებით სამსახურისგან თავის არიდების უფლება აგრეთვე კონსტიტუციით, კერძოდ, მისი 46-ე მუხლითაა დაცული. ეს უფლება დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როცა შესაბამისი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს, რომ იგი არ შელახავს სხვა ადამიანთა თავისუფლებებსა და უფლებებს. რელიგიური მოსაზრებით სამსახურიდან თავის არიდება დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში: სახელმწიფოს თავდაცვის სტრუქტურებში სამსახურისას და სამედიცინო პროცედურების ჩატარების დროს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ

მოქალაქეებს, რომელთაც თავიანთი რელიგიური, ფილოსოფიური თუ ჰუმანური შეხედულებების გამო არ სურთ გაიარონ სამხედრო სამსახური, ეძლევათ შესაძლებლობა, სხვაგვარად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს თავდაცვაში. იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა გასათვალისწინებელი რელიგიური მიზეზით სამსახურიდან თავის არიდების უფლება, მხედველობაში უნდა მიიღონ რელიგიის ფაქტორი. რელიგიური მიზეზით სამსახურიდან თავის არიდების უფლება ეძლევა ყველას, ვისზეც სამხედრო ვალდებულება ვრცელდება: ახალწვეულებს, ჯარისკაცებს სამხედრო ვალდებულებების შესრულებისას და ოფიცრებს. ექიმებს უფლება აქვთ, უარი თქვან, მაგალითად, ოპერაციის ჩატარებაზე, თუ ეს ოპერაცია ეწინააღმდეგება მათი სინდისისა და საერთაშორისო სამედიცინო ეთიკის ნორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება. ამ უფლებით სარგებლობისთვის მათ თავდაპირველად უნდა აუნყონ თავიანთი სამედიცინო დანესებულებას, სამედიცინო დანესებულებამ კი პატივი უნდა სცეს ამგვარ გადაწყვეტილებას, მაგრამ, ამავე დროს, დაიცვას პაციენტის უფლება ჯანდაცვაზე⁵⁴⁵.

სხვა კონსტიტუციური დებულებები არეგულირებს არა მხოლოდ ცალკეულ პირებსა და სახელმწიფოს შორის რელიგიურ ურთიერთობას, არამედ ცალკეულ პირებს შორისაც. 63-ე მუხლით იკრძალება რელიგიური დისკრიმინაციის პროვოცირება და რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გავლევება. მე-14 მუხლიც კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიის ან სხვა რწმენის საფუძველზე. თანასწორუფლებიანობის დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევა სლოვენის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, ვინაიდან ამით ირღვევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

სლოვენის სამართლებრივი სისტემა ეკლესიებსა და რელიგიურ თემებს მხოლოდ ზოგადად ეხება. იგი არ შეიცავს ცალკეულ ეკლესიებისა თუ რელიგიური თემების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებს. თუმცა 1999–2000 წელს, სლოვენის ხელისუფლებამ მოლაპარაკების შემდეგ, ხელი მოაწერა კათოლიკურ ეკლესიასთან რამდენიმე შეთანხმებას სხვადასხვა იურიდიულ საკითხთან დაკავშირებით. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მეშვიდე დღის ადვენტისტურ ეკლესიასთან და სლოვენის ისლამურ საზოგადოებასთან. სლოვენის ხელისუფლებასა და ვატიკანს შორის პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2001 წელს. ეს ხელშეკრულება

545 ეს უფლებები უფრო დანერგულია განხილული “ჯანდაცვის სამსახურების შესახებ” აქტში (1992 წ.).

განხილვის საგანი იყო 2003 წლის 19 ნოემბრამდე, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას განაცხადებდა⁵⁴⁶.

“რელიგიური თემების იურიდიული მდგომარეობის” (რთიმ)⁵⁴⁷ აქტი რელიგიური თემების იურიდიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით დადგენილებებს შეიცავს. რთიმ-ის აქტი მიიღეს 1976 წელს და იგი ჯერ კიდევ ძალაშია. თუმცაღა დროთა განმავლობაში ამ აქტის ნაკლი უფრო და უფრო აშკარად გამოიკვეთა. გარდა იმისა, რომ თანამედროვე განვითარებადმა საზოგადოებამ ეს აქტი მოძველებულად მიიჩნია, იგი აგრეთვე შეუთავსებელია ახალ კონსტიტუციასა და თავისუფალ დემოკრატიასთან. რთიმ-ის აქტი ორჯერ იქნა შესწორებული: 1986 წლის შესწორებებით ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ნორმები, ხოლო 1991 წელს მიღებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით სლოვენიაში პირველად დაუშვეს კერძო რელიგიური სკოლების დაარსება და ფუნქციონირება.

რთიმ-ის აქტის ძირითადი პრინციპია ადამიანის რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა. ამ აქტით ეს თავისუფლება განიმარტება, როგორც პიროვნების პირადი საქმე. როცა ეს აქტი მიიღეს, ამ დებულებით ივარაუდებოდა, რომ ყველაფერი, რაც რელიგიას ეხებოდა, პიროვნულ სფეროს განეკუთვნებოდა. რელიგიას, როგორც ასეთს, არ ჰქონდა ადგილი არც მასმედიის საშუალებებში, არც პროფესიულ ცხოვრებაში და არც სკოლებში. როგორც აღინიშნა, საგანმანათლებლო სისტემა იყო არა მხოლოდ საერო და ნეიტრალური, არამედ ხაზგასმით ათეისტურიც კი. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს იდეოლოგიად ათეიზმი იყო აღიარებული⁵⁴⁸.

კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ფარგლებში რელიგიური და სხვა რწმენის თავისუფლებას ითვალისწინებს, ამგვარი დებულება არაკონსტიტუციური იყო, მით უფრო, რომ თვით რთიმ-ის აქტში აღნიშნულია რელიგიური თემების დაარსების თავისუფლება. ყველა რელიგიური თემი თანაბარი უფლებებით სარგებლობს, გამოყოფილია სახელმწიფოსგან და აქვს უფლება, არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში შეასრულოს თავიანთი რელიგიური წესები. გარდა ამისა, ამ თემებს სამოქალაქო სამართალი განიხილავს, როგორც იურიდიულ პირებს, რომლებიც იურიდიულ სტატუსს

546 დადგენილება № Rm-1/02-21, 2003 წლის 19 ნოემბერი.

547 Official Gazette SRS, № 15/76 და 42/86, და Official Gazette RS, № 22/91.

548 იხილეთ ოუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია, V ნაწილი (1974 წლის თებერვალი), რომლის თანახმადაც აღზრდა და განათლება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს, განსაკუთრებით მარქსიზმს.

იძენს რელიგიური თემების საქმეთა უწყებაში რეგისტრაციის გავლით. რთიმ-ის აქტი აგრეთვე შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც ეხება რელიგიურ პრესას, მსახურების წესების შესრულებას, რელიგიური სკოლების დაარსებას და რელიგიის სწავლებას, რელიგიურ თემებში მოძღვრის საქმიანობას, რელიგიური თემების ფინანსურ და საკუთრებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებებს, აგრეთვე სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულ სანქციებს.

რთიმ-ის აქტის გარდა, სლოვენის რესპუბლიკის რელიგიურ თემთა იურიდიულ მდგომარეობას აგრეთვე განსაზღვრავს სხვა სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების რამდენიმე დებულება⁵⁴⁹. დისკრიმინაცია რელიგიის საფუძველზე, რომელიც აკრძალულია კონსტიტუციით, სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. ამ მუხლის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც განსხვავებული რელიგიის გამო სხვა ადამიანს ართმევს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ და კონსტიტუციითა და დებულებებით გარანტირებულ ადამიანურ უფლებებს ან ფუნდამენტურ თავისუფლებებს, ან რომელიც ზღუდავს ასეთ უფლებას ან თავისუფლებას, ან რომელიც სხვა ადამიანს ანიჭებს რაიმე განსაკუთრებულ

549 ამ სტატუტების დებულებებში მკაფიოდ არის ნახსენები რელიგიური თემები და დაკრულია რელიგიის თავისუფლება, მაგალითად, ზოგი იცავს გარკვეულ რელიგიურ ფასეულობებს (აქტები “მედიის შესახებ”, “ფილმების დაფინანსების შესახებ”, “სამხედრო სამსახურის შესახებ”, “ჯანდაცვის მომსახურების შესახებ”, სისხლის სამართლის კოდექსი); ზოგი – ადამიანისა და მისი სულიერი მოძღვრის საიდუმლო ურთიერთობას (აქტები “სისხლის სამართლის პროცესის შესახებ”, “სამოქალაქო პროცესის შესახებ”, “ზოგადი ადმინისტრაციული პროცესის შესახებ”); ზოგი ხელს უწყობს სხვადასხვა სფეროებში რელიგიის თავისუფლების განხორციელებას (აქტები “საზოგადოებრივი შეხვედრებისა და წარმოდგენების შესახებ”, “სასაფლაოებისა, დაკრძალვის პროცედურებისა და სასაფლაოების მონაწილის შესახებ”); ზოგი ხელს უწყობს ან ზღუდავს რელიგიური თემების ზოგიერთ საქმიანობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას (აქტები “ბავშვების აღზრდა-განათლების ორგანიზებისა და დაფინანსების შესახებ”, “სლოვენის რადიოსა და ტელევიზიის შესახებ”, “საარჩევნო კამპანიის შესახებ”, “პოლიტიკური პარტიების შესახებ”, “ინსტიტუტების შესახებ”); ზოგი განსაზღვრავს რელიგიური თემებისა და სასულიერო პირების სპეციალურ გადასახადო სტატუსს (აქტები “ოურიდიული პირების მოგებისა და გაყიდვების გადასახადების შესახებ”, “სამშენებლო მიწების შესახებ”, “საგარეო ვაჭრობის შესახებ”, “სამშენებლო გადასახადის შესახებ”) და მღვდელთა დაზღვევის სპეციალურ სისტემას (აქტები “სოციალური უზრუნველყოფის შესახებ”, “პენსიისა და ინვალიდების დაზღვევის შესახებ”); ზოგიც – ქონების დაბრუნებას დენაციონალიზაციის პროცესში და საკუთრების დაბრუნებას რელიგიური თემებისთვის (აქტი “დენაციონალიზაციის შესახებ”). აგრეთვე მისაღებია ყველა ის ზოგადი სამართლებრივი აქტი, რომელიც ვრცელდება ამა თუ იმ ტიპის ოურიდიულ პირზე თუ სამოქალაქო სამართლის ქვეშ მყოფ ოურიდიულ პირზე.

უფლებას ან პრივილეგიას დისკრიმინაციის საფუძველზე, თანასწორობის პრინციპს არღვევს. ამგვარი დანაშაულისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. თუ დანაშაული ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ თავისი ოფიციალური თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებით, სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

IV. სისტემის ძირითადი კატეგორიები

1. ზოგადი პერსპექტივები

კონსტიტუციის მე-7 მუხლი სახელმწიფოს და რელიგიურ თემთა ერთმანეთისგან გამოყოფას ითვალისწინებს. რთიმ-ის აქტი შეიცავს თითქმის იდენტურ დებულებას. ამ დებულების მნიშვნელობის განმარტება გულისხმობს, რომ სახელმწიფო ნეიტრალურია ყველა რელიგიის მიმართ, არ მიიღებს არანაირ გადანყვეტილებას მსოფლიო ხედვასთან დაკავშირებით და არ მოახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას რომელიმე ცალკეულ რელიგიასთან თუ რელიგიურ საზოგადოებასთან. ამგვარად, სლოვენიაში სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს. გარდა ამისა, აკრძალულია როგორც დისკრიმინაცია, ისე პრივილეგიების მინიჭება რომელიმე რელიგიური თემის წევრებისთვის. ეს წევრები არ სარგებლობენ არანაირი განსაკუთრებული სტატუსით საჯარო სამართალთან მიმართებაში და არ აქვთ უფლება, შეასრულონ რაიმე სახის საჯარო ხელისუფლების ფუნქცია. შესაბამისად, ამ აქტიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ რელიგიურ თემებსა და მათ შესაბამის ორგანოებს კერძო სამართალი განიხილავს, როგორც იურიდიულ პირებს, მათი დადგენილებები კი არ არის სავალდებულო. რელიგიური თემების მიერ გამოცემული აქტები, რომლებსაც საჯაროდ აღიარებენ, არის მხოლოდ კერძო რელიგიური სკოლების მიერ გაცემული სერტიფიკატები და დიპლომები⁵⁵⁰.

ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის პრინციპი გულისხმობს არა მარტო იმას, რომ რელიგიური თემები თავიანთ საშინაო საქმეებში ავტონომიის უფლებით სარგებლობს, არამედ იმასაც, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება საერო ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური თემები გარკვეული ავტონომიით სარგებლობს, ისინი უნდა დაექვემდებაროს კონსტიტუციას, სტატუტებსა და სხვა

550 აკრედიტაციის სტანდარტები როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური კერძო სკოლებისთვის ერთნაირია.

დებულებებს. შესაბამისად, სახელმწიფო მათ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს და გარკვეულ უფლებებს ანიჭებს, მათ შორის თავისუფლად დარეგისტრირების შესაძლებლობასაც, თუმცა არ ერევა მათ რელიგიურ საკითხებში, დავებში თუ რელიგიების შინაარსის განხილვაში.

1994 წლით დათარიღებული სპეციალური დოკუმენტი, რომელიც მიიღო კათოლიკური ეკლესიისა და სლოვენიის ხელისუფლების ერთობლივმა კომისიამ, ადგენს, რომ სლოვენიის დემოკრატიული სახელმწიფო არ იჭერს არც რელიგიური და არც არარელიგიური პირის მხარეს, თუმცა პატივს სცემს მოქალაქეთა რელიგიურობას თუ არარელიგიურობას, მოქალაქის უფლებას თავისუფლად, ინდივიდუალურად, კოლექტიურად, იდეოლოგიურად თუ პრაქტიკულად განახორციელოს თავისი რელიგიური ან არარელიგიური მრწამსი. ამგვარად, იგი აცნობიერებს, რომ მოქალაქეებს გააჩნიათ სხვადასხვა რელიგიური თუ არარელიგიური მრწამსი და იგი ვალდებულია, პატივი სცეს ყველა ადამიანის თავისუფლებას.

სეკულარიზაციის პრინციპის განმარტებამ მასმედიის საშუალებებით, ხელისუფლების ინტერპრეტაციით და საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის შემდგომი გადაწყვეტილებებით სლოვენია სეკულარიზაციის მეტად მკაცრი მოდელის მქონე ქვეყნად აქცია.

2. კონსტიტუციის ქრილში განხილვა

თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლოში გაკეთებული განცხადებები რელიგიური თემებისთვის ხელსაყრელი იყო.

სამხედრო სამსახურის აქტი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას იმ ნაწილში, რომლითაც რელიგიური მიზეზით სამსახურისგან თავის არიდების უფლების გამოყენება დაშვებული იყო მხოლოდ სამხედრო განვევის დროს და არა შემდგომ⁵⁵¹.

საეკლესიო ორგანიზაციები და დაწესებულებები ექვემდებარება სახელმწიფო კანონმდებლობის მიერ რეგულირებას და სამართლებრივი სტატუსის საკითხში სახელმწიფოს დადგენილებებზეა დამოკიდებული. ეს ორგანიზაციები განიხილება როგორც შიდა იურიდიული პირები და შესაბამისად მათზე ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობა⁵⁵².

551 OdlUS IV, 50 (დადგენილება № U-I-48/94, 1995 წლის 25 მაისი).

552 OdlUS II, 23 (დადგენილება № U-I-25/95, 1993 წლის 4 მარტი).

ეკლესიები და რელიგიური თემები საქველმოქმედო ორგანიზაციებად ითვლება⁵⁵³.

ეკლესიები და რელიგიური თემები საზოგადოებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს⁵⁵⁴.

1999 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო დანვრილებით განიხილა ეკლესიისა და რელიგიური თემების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი და მათი ერთმანეთისაგან მკვეთრი გამოყოფა მოითხოვა.

არაკონსტიტუციურია რელიგიური საქმიანობის აკრძალვა იმ კერძო საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, რომელთაც ამის ნებართვა სახელმწიფოსგან აქვს მიღებული განათლების შესახებ აქტით⁵⁵⁵. საკონსტიტუციო სასამართლომ იურიდიული ძალის მქონედ ცნო კანონი, რომელიც ყველანაირ რელიგიურ საქმიანობას კრძალავს სახელმწიფო საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. სასამართლო ამას ხსნიდა იმით, რომ არამორწმუნეთა უფლებებისა და სეკულარიზაციის პრინციპის გამო აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოების პირობებში რელიგიის სწავლება მთლიანად აღმოეფხვრათ არა მხოლოდ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებიდან, არამედ საერთოდ ამ დაწესებულებების შენობებიდანაც კი.

2001 წლის აღწერის აქტი აღწერაში მონაწილე პირს ანიჭებს უფლებას, თავისუფლად განაცხადოს თავისი რელიგიის შესახებ, ან სულაც არ უპასუხოს ამ შეკითხვას. სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება არ ეწინააღმდეგება რელიგიური თემების სახელმწიფოსგან გამოყოფის პრინციპს⁵⁵⁶.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში განაცხადა, რომ სლოვენის სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას იმდენად, რამდენადაც სეკულარიზაციის პრინციპი სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის არა მხოლოდ ამ ხელშეკრულების, არამედ ყველა მომავალი ხელშეკრულების პირობების დაცვისას⁵⁵⁷.

553 Odius V, 174 (დადგენილება № U-I-107/96, 1996 წლის 5 დეკემბერი).

554 Odius VII, 190 (დადგენილება № U-I-326/98, 1998 წლის 14 ოქტომბერი).

555 Odius X, 192 (დადგენილება № U-I-68/98, 2001 წლის 22 ნოემბერი).

556 Odius XI, 25 (დადგენილება № U-I-92/01, 2002 წლის 28 თებერვალი).

557 დადგენილება № Rm-1/02-21, 2003 წლის 19 ნოემბერი.

V. რელიგიურ საზოგადოებათა სამართლებრივი სტატუსი

სლოვენის სამართლებრივი სისტემა არ ცნობს განსხვავებას ეკლესიებსა და რელიგიურ თემებს შორის და აღიარებს მხოლოდ რელიგიური თემის ზოგად ცნებას. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი სისტემა იყენებს ტერმინს “ეკლესია” – ეს მხოლოდ პირობითი ფრაზაა “ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის” კონტექსტში. ეს ფრაზა ძირითადად საჯარო განხილვებისას გამოიყენება.

რთიმ-ის აქტით, რომელიც არეგულირებს რელიგიურ თემთა რეგისტრაციის პროცესს, გათვალისწინებულია, რომ რელიგიურ თემთა დაარსების (ან გაუქმების) შესახებ მოახსენონ რელიგიური თემების საქმეთა უწყებას (შემდგომში “უწყება”). ეს უწყება სლოვენის მთავრობის სპეციალური ორგანოა და რეგისტრაციის სერტიფიკატს გასცემს. რელიგიური თემი სახელმწიფოსგან არანაირ განსაკუთრებულ აღიარებას არ ეძიებს, მაგრამ უწყებას იგი შეჰყავს სლოვენიაში მოქმედ რელიგიურ თემთა რეესტრში. რეგისტრაცია რელიგიური თემის სტატუსით საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა და არა რაიმე განსაკუთრებულ პრივილეგიებს. მაგალითად, დარეგისტრირებულ რელიგიურ თემს შეუძლია გახსნას და ისარგებლოს საბანკო ანგარიშით. აგრეთვე საშუალება ეძლევა, მიმართოს სახელმწიფოს მისთვის სპეციალურად გამოყოფილი სახსრების მისაღებად.

მსგავსი სისტემა აგრეთვე შექმნილია რელიგიური თემების ფარგლებში არსებული ორგანიზაციული ერთეულებისთვის⁵⁵⁸, იმისთვის, რომ მათაც თანაბარი სამართლებრივი სტატუსი ჰქონდეს. რთიმ-ის აქტი ამ ერთეულებისთვის

558 ეს საორგანიზაციო ერთეულები შეიძლება იყოს ან რელიგიური თემის ადგილობრივი კონგრეგაციები, როგორცაა კათოლიკური ეკლესიის მრევლი, ან რელიგიური თემის ორგანოები, როგორცაა გამოცემლობა, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო ან საქველმოქმედო ორგანიზაცია. ეს შეზღუდვა გამომდინარეობს “საქმიანობის სტანდარტული კლასიფიკაციის შემოღებისა და გამოყენების” ბრძანებიდან და აცხადებს, რომ დამოუკიდებელ რელიგიურ ოურიდიულ პირებს არ აქვთ უფლება, დარეგისტრირდნენ როგორც საგანმანათლებლო ან საქველმოქმედო დაწესებულებები, რომლებიც რელიგიურ თემთა შემადგენელი ნაწილია და მის ფარგლებს გარეთ მოქმედებს (მაგალითისათვის ისინი უნდა დარეგისტრირდნენ როგორც კერძო დაწესებულებები). ამ ბრძანების თანახმად, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა უნდა გაემიჯნოს რელიგიურ საქმიანობას ამ წესიდან. გამონაკლისია კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია “კარიტასი”, რომელიც ჯერ კიდევ ბრძანების ძალაში შესვლამდე დარეგისტრირდა.

დასრულებულ სარეგისტრაციო სისტემას კი არ ითვალისწინებს, არამედ რელიგიურ თემებსა და მათში გაერთიანებულ ორგანოებს აძლევს უფლებას, იურიდიულ პირებად განიხილებოდეს სამოქალაქო სამართლის ფარგლებში. დროთა განმავლობაში საპრეცედენტო სამართალმა მიაღწია იმ სტადიას, როცა ის საშუალებას აძლევს რელიგიურ თემებში შემავალ ორგანოებსა თუ დაწესებულებებს მოიპოვოს იურიდიული სტატუსი, თუკი მათ სხვა სამართლებრივი ფორმა არ გააჩნია, როგორცაა, მაგალითად, “ინსტიტუტების შესახებ” აქტით გათვალისწინებული ინსტიტუტის სტატუსი, “საზოგადოებათა შესახებ” აქტით გათვალისწინებული საზოგადოების სტატუსი, ან “კომპანიების შესახებ” აქტით გათვალისწინებული კომპანიის სტატუსი. დღესდღეობით უწყება გასცემს სერტიფიკატებს, რომლებიც რელიგიური თემის შემადგენელ ნაწილებს ანიჭებს იურიდიულ სტატუსს, თუკი მათ უკვე მიღებული აქვს რელიგიური თემის კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი სერტიფიკატი⁵⁵⁹. მაგალითად, მრევლს შეუძლია დამოუკიდებელ იურიდიულ პირად დარეგისტრირდეს, თუ შესაბამისი საეკლესიო ორგანო ამ გადაწყვეტილებას მოიწონებს და შესაბამის სერტიფიკატს გასცემს.

ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე საპრეცედენტო სასამართლო პრაქტიკა რელიგიურ თემებს შორის დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ასეთი დავა განიხილება, როგორც სამოქალაქო სამართლის დავა სამოქალაქო სამართლის ორ სუბიექტს შორის და არა როგორც ადმინისტრაციული საკითხი. მსგავს დავათა გადაწყვეტაში რელიგიურ თემთა ორგანოების კომპეტენციას მათი შიდაგანაწესი განსაზღვრავს. სახელმწიფო ამ სფეროში არ ერევა.

რეგისტრირებულ რელიგიურ საზოგადოებებს სახელმწიფო არანაირ განსაკუთრებულ ზედამხედველობას არ უწევს, თუმცა ისინი, სხვა იურიდიული პირების მსგავსად, ზოგად ზედამხედველობას ექვემდებარება, ვინაიდან მათი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, სტატუტებსა და სხვა დებულებებს. მაგალითად, რელიგიური თემების რეგისტრაცია მიზნად ისახავს მესამე მხარეთა დაცვას. რელიგიურმა თემებმა ფინანსური ოპერაციები უნდა აწარმოოს ბანკების მეშვეობით და სავადასახადო ადმინისტრაციის ზედამხედველობით.

როგორც წესი, რელიგიური ცერემონიები უნდა ტარდებოდეს ეკლესიების შენობებში. ერთადერთი გამონაკლისი სასაფლაოებზე დაკრძალვაა. დაკრძალვის დროს ჩატარებული ასეთი ცერემონიები შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების

559 რელიგიური თემების შიდაგანაწესი განსაზღვრავს, თუ თემის რომელ ორგანოს შეუძლია გასცეს ასეთი სერტიფიკატები.

ორგანოს მიერ შეიძლება შეჩერდეს, თუ საჭირო გახდება ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმების დაცვა. ეკლესიის გარეთ ნებისმიერი ცერემონიის ჩატარება შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვას საჭიროებს, თუმცა ამგვარ მოთხოვნაზე პასუხის გაუცემლობა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ნებართვის მიცემა.

სლოვენიის კანონმდებლობაში გარკვევით არსად ფიგურირებს რაიმე ცნობა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისა და ზეიმების შესახებ. ეს არის ადამიანის იმ უფლების ნაწილი, რომელიც გულისხმობს საკუთარი რელიგიის აღმსარებლობას, როგორც კერძოდ, ისე საზოგადოდ. ზოგიერთი საეკლესიო დღესასწაული სლოვენიის ეროვნული დღესასწაულიცაა. ესენია: შობა (25 დეკემბერი), აღდგომის შემდგომი ორშაბათი, სამებობის შემდგომი კვირა, ღვთისმშობლის მიძინება (15 აგვისტო) და პროტესტანტული რეფორმაციის დღე (31 ოქტომბერი).

VI. კულტურა

1. განათლება

ამ სფეროს მარეგულირებელი მთავარი აქტია “ბავშვთა აღზრდისა და განათლების ორგანიზებისა და დაფინანსების აქტი” (შემდგომში “საგანმანათლებლო აქტი”). ამ აქტით დაკანონდა სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთმანეთისგან გამოყოფა. სახელმწიფო პროგრამების მსგავსად, კერძო დაწესებულებებსაც შეუძლია სერტიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, კერძო დაწესებულებების მიერ გაცემული დიპლომები აღიარებულია ოფიციალურ დოკუმენტებად, თუ მათი გამცემი დაწესებულებები იცავს იმავე სტანდარტებს, რასაც საჯარო სკოლები. ეს დაკანონებული სტანდარტები მოითხოვს გარკვეული მინიმალური დონის დაკმაყოფილებას თანამშრომელთა ტრენინგისა და განათლების, შენობების ექსპლუატაციისა და მოწყობილობის ხელმისაწვდომობის მხრივ. სლოვენიაში საჯარო საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლებს აარსებს მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თემები, ხოლო სახელმწიფო, როგორც წესი, აარსებს და აფინანსებს საშუალო სკოლებს. მუნიციპალიტეტებს სახელმწიფოსთან შეთანხმებით აგრეთვე შეუძლია დააარსოს ზოგადი საშუალო სკოლები. საჯარო სკოლები (ისევე, როგორც საბავშვო ბაღები) რელიგიურად ნეიტრალური უნდა იყოს. საგანმანათლებლო აქტით, კონსტიტუციაში რელიგიური თემების სახელმწიფოსგან

გამოყოფის არსებული დებულების მკაცრი განმარტების საფუძველზე რელიგიური საქმიანობა იკრძალება. ეს აკრძალვა ეხება როგორც საჯარო საბავშვო ბალებსა და სკოლებს, ისე იმ კერძო საბავშვო ბალებსა და სკოლებს, რომელთაც სახელმწიფო ლიცენზია აქვს. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია ისეთი საჯარო სკოლა, რომელზეც სახელმწიფო ლიცენზია გაცა საგანმანათლებლო აქტის ძალაში შესვლამდე. 2001 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აკრძალვა, რომელიც ვრცელდებოდა სახელმწიფო ლიცენზიაგაცემულ საბავშვო ბალებსა და სკოლებზე, კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. ამის შემდეგ, 2002 წელს, საგანმანათლებლო აქტში შესწორებები შეიტანეს, თუმცა გარკვეული შეზღუდვები დღესაც ძალაშია. კერძო სკოლებში რელიგიური საქმიანობა სასწავლო პროგრამის ფარგლებს გარეთ უნდა მიმდინარეობდეს. არსებული სასწავლო პროგრამის შეფერხება დაუშვებელია მისი მიმდინარეობისას, ასევე სასწავლო დანესებულების შენობაში.

საჯარო სკოლებისთვის მოქმედი შეზღუდვით აკრძალულია:

- რელიგიის გავრეითილები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვებისთვის რომელიმე კონკრეტული რელიგიის სწავლებას;
- ისეთი გავრეითილები, რომელთა სასწავლო პროგრამას, სახელმძღვანელოების შინაარსს, მასწავლებელთა საგანმანათლებლო კრიტერიუმებს და მასწავლებელთა სწავლებისთვის შესაფერისობას რელიგიური თემები განსაზღვრავს;
- რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარების ორგანიზება⁵⁶⁰.

განსაკუთრებულ შემთხვევებში განათლების მინისტრმა შეიძლება რელიგიის გავრეითილების ჩატარების ნება დართოს საბავშვო ბალებსა და სკოლის შენობებში. ასეთი გავრეითილები დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ თემში არ არსებობს ამისთვის სხვა “შესაფერისი ადგილი”. გარდა ამისა, რელიგიის ეს კურსი უნდა დაამტკიცოს სკოლის დირექტორმა, იგი უნდა ტარდებოდეს სკოლაში არსებული სასწავლო გეგმისა და ჩვეულებრივი სამუშაოსგან თავისუფალ საათებში. ფაქტობრივად “სხვა შესაფერისი ადგილის არარსებობა” გულისხმობს შემდეგ შემთხვევებს: თუ ადგილობრივ თემში არ არის არანაირი შესაფერისი შენობა. თუ არსებობს მხოლოდ ისეთი შენობა, რომლის მდგომარეობა იმდენად ცუდია, რომ ადამიანისთვის საბიფათოა და მის ჯანმრთელობას შეიძლება ზიანი მიადგეს. თუ შენობა სკოლიდან ან საბავშვო ბაღიდან ოთხ კილომეტრზე მეტი

560 საგანმანათლებლო აქტი (1996 წლის თებერვალი).

მანძილითაა დაშორებული, ან თუ იგი ოთხ კილომეტრზე ახლოა, მაგრამ ამ შენობამდე მგზავრობა ბავშვებისთვის უსაფრთხო არ არის.

საგანმანათლებლო აქტში აღნიშნულია, რომ ბავშვების აღზრდისა და განათლების ერთ-ერთი მიზანია დამოუკიდებლობა. აქტის თანახმად, დამოუკიდებლობისთვის ზრუნვა გამოიხატება სასწავლო პროგრამაზე დამატებით “ცოდნისა და შეხედულებების სახეობებსა და მრავალფეროვნებაში” და პიროვნებების ოპტიმალურ განვითარებაში მათი რელიგიისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, აქტი მოითხოვს, რომ სკოლები რელიგიური თვალსაზრისით რელიგიური თემებისგან ნეიტრალური და დამოუკიდებელი იყოს. გარდა ამისა, ავტონომიის ეს პრინციპი კრძალავს ნებისმიერი რელიგიის დისკრიმინაციას და მოუწოდებს შემწყნარებლობისკენ.

თუკი კონსტიტუცია რელიგიის გაკვეთილების ორგანიზების საკითხს არ არეგულირებს, საგანმანათლებლო აქტი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ისეთ გაკვეთილებს, რომლებიც ბავშვების რომელიმე რელიგიური მიმდევრობის სწავლებისკენაა მიმართული. ეს აკრძალავს ვრცელდება საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე. “დანყებითი სკოლების შესახებ” აქტი სკოლებს ავალდებულებს, სასწავლო კურსის ფარგლებში ჩაატაროს არარელიგიური ხასიათის გაკვეთილები რელიგიისა და ეთიკის თემაზე⁵⁶¹. ყველა რელიგიურ თემს საშუალება აქვს, მისთვის განკუთვნილ შენობაში ნებისმიერ დროს ორგანიზება გაუწიოს რელიგიის გაკვეთილების ჩატარებას, მაგრამ ეს არ არის სკოლის ან სახელმწიფოს საზრუნავი. ეს საკითხი მოსწავლეების გადასაწყვეტია. რაც შეეხება რელიგიის გაკვეთილებს, რთიმ-ის აქტი აცხადებს, რომ რელიგიურ თემებს შეუძლია ისინი ჩაატაროს იმ შენობებში, რომლებიც მათთვის სპეციალურად რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ჩასატარებლადაა გამოყოფილი, ან სხვა შენობებში, სადაც რელიგიური თემი მუდმივად ეწევა თავის რელიგიურ საქმიანობას. არასრულწლოვნებს შეუძლიათ დაესწრონ ამ გაკვეთილებს, თუ ისინი და მათი მშობლები ან მეურვეები ამასზე თანახმა არიან.

როგორც აღინიშნა, საგანმანათლებლო აქტით აკრძალულია საჯარო სკოლებში ისეთი გაკვეთილების ჩატარება, რომლებშიც სასწავლო პროგრამას, სახელმძღვანელოებს, მასწავლებლებისთვის საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და ამა თუ იმ მასწავლებლის კვალიფიკაციას განსაზღვრავს რელიგიური თემი. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, ეკლესიებს ეკრძალება საჯარო სკოლებისთვის რელიგიის გაკვეთილების შემუშავება და ამ კურსებისთვის მასწავლებლების დანიშვნა.

561 “დანყებითი სკოლების შესახებ” აქტი, მე-17 მუხლი, მე-2 პარაგრაფი.

რელიგიის გაკვეთილები აკრძალულია საჯარო სკოლებში. არალიცენზირებულ კერძო (რელიგიურ) სკოლებში ეს გაკვეთილები შეიძლება იყოს სავალდებულო კურსის ნაწილი, რაც ჩვეულებრივ სწორედ ასე ხდება ხოლმე. სტატუტებით საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბალებში იკრძალება ისეთი რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარება, როგორცაა კოლექტიური ლოცვა. თუმცა ეს აკრძალვა არ ვრცელდება ისეთ კერძო სკოლებზე, რომელთაც ლიცენზია მიეცა სტატუტის ძალაში შესვლამდე. სტატუტის ძალაში შესვლამდე ასეთი ნებართვა მიენიჭა სამ კათოლიკურ – ზოგად, კერძო, საშუალო – სკოლას. ასეთ სკოლებში ლოცვა დაშვებულია, მაგრამ არ არის სავალდებულო.

მიუხედავად იმისა, რომ, კანონმდებლობით, ერთმნიშვნელოვნად არ იკრძალება სკოლის შენობებზე ჯვარცმის ამსახველი სცენის ან ჯვრის გავრა (მათ შორის განსხვავება არ არის დადგენილი), პრაქტიკაში ეს სიმბოლოები იკრძალება და რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფოსგან გამოყოფის პრინციპის დარღვევად ითვლება. თუმცა არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ რომელიმე საჯარო სკოლას ოდესმე ჰქონოდა მცდელობა, გამოეფინა ჯვარი ან ჯვარცმის ამსახველი სცენა, ან საკონსტიტუციო სასამართლოს ამასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება გამოეტანა.

სლოვენის კანონმდებლობა არ ასხვავებს კერძო რელიგიურ საბავშვო ბალებსა და სკოლებს სხვა კერძო საბავშვო ბალებისა და სკოლებისგან. საგანმანათლებლო აქტი ასწავლებს ზოგადად კერძო სკოლებს და არ აღნიშნავს რელიგიურ სკოლებს. რელიგიურ თემებს საბავშვო ბალებისა და სკოლების დაარსება შეუძლია იმავე პირობებით, როგორცაა კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს.

იმ კერძო რელიგიური სკოლებისთვის, რომელთაც ლიცენზიები საგანმანათლებლო აქტის მიღებამდე მიეცა, მოქმედებს მათი დაფინანსების მარეგულირებელი სპეციალური დროებითი წესები⁵⁶². ამ სკოლებმა მიიღეს ისეთი ლიცენზიები, რომლებიც მათ 100%-ით უზრუნველყოფდა სახელმწიფო დაფინანსებით. ახალი საგანმანათლებლო აქტის ძალით ისინი მხოლოდ 85%-ით დაფინანსდებოდა⁵⁶³. ახალი აქტის გარდამავალი დებულებების თანახმად, ამგვარი “უფრო ფულუხვი” დაფინანსება შეწყდება, თუ მმართველები არ შეცვლიან სასწავლო პროგრამას და არ შეუსაბამებენ მას საგანმანათლებლო აქტის იმ დებულებებს, რომლებიც

562 ეს სკოლები დაარსდა და მოქმედებს 1991 წლის “ბავშვების აღზრდა-განათლების ორგანიზებისა და დაფინანსების შესახებ” აქტის საფუძველზე. მათი ლიცენზიები დამოკიდებულია სახელმწიფო საგანმანათლებლო და ინსტიტუციურ მოთხოვნებზე, რომლებიც ძალაში იყო საგანმანათლებლო აქტის მიღებამდე.

563 საგანმანათლებლო აქტი, 86-ე მუხლი (1996 წლის თებერვალი).

რელიგიურ ნეიტრალიტეტს მოითხოვს. ამგვარი გარდამავალი დებულები
გარეშე ის, ვინც ადრე მოასწრო ლიცენზიის აღება,⁵⁶⁴ იძულებული გახდებოდა,
გადასულიყო საგანმანათლებლო აქტის 86-ე მუხლით გათვალისწინებულ
ამჟამინდელ სისტემაზე (რომელიც დაფინანსების 85%-ს ითვალისწინებს),
ან თავისი ლიცენზიის შესანარჩუნებლად ეხელმძღვანელა მხოლოდ საჯარო-
საგანმანათლებლო პროგრამებით. თუ ისინი საჯარო-საგანმანათლებლო
პროგრამებს მიჰყვებოდნენ, მაშინ უნდა დაეცვათ სკოლების ავტონომია, რაც მათ
თავიანთი რელიგიური საქმიანობის წარმართვაში ხელს შეუშლიდა.

კერძო სკოლების დაარსება თავისუფლად შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ
“რეგისტრაციის” აქტის საფუძველზე საჭიროა საგანმანათლებლო ორგანიზაცია
შევიდეს სასამართლოს რეესტრში ან ნებისმიერ სხვა შესაბამის რეესტრში.
თუ კერძო სკოლებს არ სურს სახელმწიფო ლიცენზიის მიღება, მათ შეუძლია
საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამებით ხელმძღვანელობა. ასეთ შემთხვევაში
მათ სლოვენის მთავრობისგან ან მისი შესაბამისი პროფესიული საბჭოსგან
უნდა მიიღონ დასტური, რომ მათი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება
იმევე საგანმანათლებლო სტანდარტს, როგორცაც საჯარო-საგანმანათლებლო
პროგრამა. სკოლების დამაარსებლები შეიძლება იყვნენ როგორც ადგილობრივი,
ისე უცხოელი იურიდიული პირები. თუმცა დაწყებითი სკოლების დაარსება
მხოლოდ ადგილობრივ კერძო ან იურიდიულ პირებს შეუძლიათ. სლოვენიაში
კერძო დაწყებითი სკოლები არ არსებობს. იქ 448 საჯარო დაწყებითი სკოლაა
(ცხრანლიანი პროგრამით). 130 საშუალო სკოლას შორის ოთხი კერძო რელიგიური
ზოგადი საშუალო სკოლაა (რაც საშუალო სკოლების საერთო რაოდენობის 3% და
ყველა სკოლების საერთო რაოდენობის 0.7%-ია).

სახელმწიფო ზედამხედველობს სკოლების რეგისტრაციას და ლიცენზირებული
სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებს, თუ ამ სკოლებს სურს, რომ მათ მიერ
გაცემული დიპლომები საჯარო დოკუმენტებად აღიარონ. თუმცა სახელმწიფო
არ ერევა სკოლების შიდაორგანიზაციულ საკითხებში, გარდა იმ შემთხვევებისა,
როდესაც იგი ლიცენზიებს გასცემს, რის შემდეგაც სანესდებო დებულებები – *ex lege* –
ვრცელდება ლიცენზიებზე. თუ სახელმწიფო საჯარო ტენდერის მოთხოვნის
საფუძველზე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებს სალიცენზიო
ხელშეკრულებებს საჯარო მომსახურების განევაზე, საგანმანათლებლო აქტის
ყველა დებულება გავრცელდება ლიცენზირებულ საჯარო საბავშვო ბაღებსა და

564 აქამდე არსებული ლიცენზიების მქონე სკოლებია სამი – კათოლიკური, ზოგადი, საშუალო
სკოლა: საეპისკოპოსო კლასიკური ზოგადი საშუალო განათლების სკოლა ლიუბლიანაში,
რელიგიური საშუალო სკოლა ვიპავაში და რელიგიური საშუალო სკოლა ზელიმიეში.

სკოლებზე. ამ დებულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ეხება სტუდენტებისა და მათი მშობლების თანასწორუფლებიანობას, პროგრამების შესრულების სტაბილურ ხარისხიანობას, შიდა საორგანიზაციო საკითხებს, პროგრამების დაფინანსებას და პროფესიონალი თანამშრომლებისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის პირობებს.

კერძო სკოლებს სრული თავისუფლება ეძლევა სტუდენტების ჩარიცხვისა და მიღების კრიტერიუმების განსაზღვრაში. როგორც ცნობილია, ოთხი არსებული კათოლიკური ზოგადი საშუალო სკოლიდან მხოლოდ ერთი მოითხოვს კანდიდატისგან ნათლობის სერტიფიკატს და მღვდლის რეკომენდაციას. არსებულ წესებში არ არის მითითებული სხვა რელიგიების მიმდევრებისა თუ ათეისტების რეგისტრაციის შესახებ, მაგრამ იგულისხმება, რომ მოსწავლეებმა უნდა დაიცვან ამ სკოლებში დამკვიდრებული მუშაობის წესი, ორიენტაცია და პროგრამები, მათ შორის რელიგიის სავალდებულო კურსი. არსებული რელიგიური კერძო სკოლების (ზოგადი საშუალო სკოლების) მიერ გაცემული სერტიფიკატები აღიარებულია, როგორც საჯარო დოკუმენტები.

კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება შეიძლება ორგვარად იქნეს ორგანიზებული: მათზე გაიცემა ლიცენზიები, ან მათი დაფინანსება უშუალოდ სტატუტის საფუძველზე ხდება. ლიცენზიის მიღება ნიშნავს, რომ სავარაუდოდ კერძო საბავშვო ბაღი ან სკოლა არის საჯარო-საგანმანათლებლო ქსელის ნაწილი. შესაბამისად, ყველა პირობა, რომელიც საჯარო სკოლებზე ან საბავშვო ბაღებზე ვრცელდება, ასევე გავრცელდება ლიცენზირებულ სკოლაზე – მათ უნდა განახორციელონ იგივე საგანმანათლებლო პროგრამა და დააკმაყოფილონ ყველა დანარჩენი პირობა (ამასთან, თანაბრად დაარეგულირონ მოსწავლეებისა და მათი მშობლების უფლება-მოვალეობები, პროგრამების განხორციელებისას დაიცვან სტაბილური ხარისხი, შიდა ორგანიზება მონეობილი ჰქონდეთ თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით და უზრუნველყონ ყველა პროფესიონალი თანამშრომლისთვის პროგრამების დაფინანსებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის პირობების თანაბარი დაცვა).

სტატუტის თანახმად, თუ ის კერძო საბავშვო ბაღები, კერძო დაწყებითი და მუსიკალური სკოლები, ასევე ზოგადი საშუალო სკოლები (პროფესიული სკოლების გარდა), რომლებიც საჯარო პროგრამებს ახორციელებს, მაგრამ არ აქვს მიღებული ლიცენზია, აკმაყოფილებს სტატუტებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მათ უნაზღაურდება იმ სახსრების 85%, რომლებსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თემი საჯარო სკოლებში თითოეულ სტუდენტზე ხელფასისა და

მატერიალური დანახარჯისთვის გამოყოფს⁵⁶⁵. ერთადერთი პირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, არის ის, რომ ამავე მიდამოში საჯარო სკოლების არსებობას არ დაემუქროს რაიმე საფრთხე. სტატუტის ძალაში შესვლამდე, გარდამავალ პერიოდში (1999 წლის 15 მარტამდე), ასეთ სკოლებს კერძო სკოლების დაარსების ხელშეწყობის მიზნით შეეძლო სახელმწიფოსგან სახსრების 100% მიეღო. დაფინანსების ორივე პირობა რელიგიური კერძო სკოლების დაფინანსების საშუალებას იძლევა. თუმცა სახელმწიფოს მიერ არაპირდაპირ დაფინანსებას სლოვენის კანონმდებლობა არ არეგულირებს.

სახელმწიფომ დაანესა სკოლების ინსპექცია, რომელიც გააკონტროლებს საჯაროდ ლიცენზირებული სკოლების პროგრამების შინაარსს. ეს ინსპექცია უკვე შეუდგა პირველი ფაზის მეთვალყურეობას. ამგვარად მას უფლება ექნება, საჯარო აღიარება მიანიჭოს საგანმანათლებლო პროგრამებს, თუკი სლოვენის რესპუბლიკის შესაბამისი პროფესიული საბჭო დაასკვნის, რომ ეს პროგრამები აკმაყოფილებს იმავე სტანდარტებს, როგორსაც საჯარო-საგანმანათლებლო პროგრამები. ზედამხედველობისას გამოყენებული კრიტერიუმები სტატუტებით არ

565 ZOFVI-ის 86-ე მუხლით სკოლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

- მათ უნდა განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამები სკოლაში სწავლის პირველიდან ბოლო წლამდე;
- მათ პირველ წელს უნდა უზრუნველყონ ან დაარეგისტრირონ, სულ მცირე, ორი კლასი, ხოლო მუსიკალური სკოლის შემთხვევაში – თავისი საგანმანათლებლო მუსიკალური პროგრამის ფარგლებში ორგანიზება გაუწიონ გაკვეთილებს სამ ორკესტრულ ინსტრუმენტში და დაარეგისტრირონ, სულ მცირე, 35 მოსწავლე;
- სტატუტისა და სხვა დებულებების შესაბამისად, უნდა აიყვანონ ან სხვაგვარად უზრუნველყონ საჯარო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მასწავლებლების ან რეპეტიტორების ყოლა.

კერძო სკოლების უფლება, მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება, აგრეთვე მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც ეხება: სწავლების ხარჯების დადგენას (იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ გადააჭარბებენ სახელმწიფო სტიპენდიის მიღებისთვის განსაზღვრულ ჯამს, არა უმეტეს 15%-ისა, იმ ფონდების საერთო ოდენობიდან, რომელიც სახელმწიფოს მიერ საჯარო სკოლის ერთ სტუდენტზე გათვლილი); პროფესიონალი თანამშრომლების ხელფასს (რომლის ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს საჯარო სკოლის პროფესიონალ თანამშრომელთა ხელფასის ოდენობას). სახელმწიფო სახსრების ხარჯვის პროცედურას სლოვენის რესპუბლიკის აუდიტორთა სასამართლო ზედამხედველობს. სახსრების ხარჯვას, განსაკუთრებით კი სტატუტის შესაბამისად, საჯარო პროგრამების ორგანიზებასა და განხორციელებას მეთვალყურეობს სკოლების ინსპექტორატი (სლოვენის რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის ინსპექტორატი). რაც შეეხება საბავშვო ბალებს, მასწავლებელთა ხელფასები არ უნდა აღემატებოდეს საჯარო საბავშვო ბალების ხელფასებს (“საბავშვო ბალების შესახებ” აქტის 23-ე მუხლი).

არის განსაზღვრული. საჯარო პროგრამების განმასხორციელებელი კერძო სკოლები უნდა აკმაყოფილებდეს სკოლების პროფესიონალი თანამშრომლებისთვის დადგენილ პირობებს. თუ მასწავლებლები აკმაყოფილებენ სტატუტების პირობებს (განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც მათ განათლებას შეეხება), კერძო სკოლებს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს თავიანთი პერსონალი. დღემდე სლოვენიაში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა შრომითი ხელშეკრულების მოშლა სკოლის გარკვეული ტიპის გამო.

2. მედია

“მედიის” აქტი არეგულირებს საჯარო ინფორმაციის თავისუფლების, მასმედიის საშუალებების და ჟურნალისტების უფლება-მოვალეობების განხორციელებას. იგი იმ ბიულეტენების, გაზეთებისა და ბეჭდვითი ინფორმაციის სხვა სახეობების გამოცემის თავისუფლებას უზრუნველყოფს, რომლებიც საეკლესიო ორგანიზაციების გამოყენებისთვისაა გათვლილი. რელიგიურ თემს შეუძლია საჯაროდ გამოსცეს გაზეთი, თუ იგი მის საქმიანობას ასახავს. გამონაკლისია რადიო და სატელევიზიო პროგრამები. რაც შეეხება წეს-ჩვეულებებს, არსებობს ე.წ. მოკლე მიმოხილვების უფლება, რაც გულისხმობს ყველა რადიო და სატელევიზიო ორგანიზაციის უფლებას, მოკლედ (წუთ-ნახევრამდე დროის მონაკვეთში) მიმოიხილოს მნიშვნელოვანი წარმოდგენები და ღონისძიებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის და ზოგადად ინტერესის საგანს წარმოადგენს. ასეთი მიმოხილვისთვის საჭიროა შესაბამისი რელიგიური თემის განსაკუთრებული ნებართვა. დაუშვებელია რელიგიაზე რეპორტაჟის სარეკლამო რგოლით შეწყვეტა.

“სლოვენიის რადიოსა და ტელევიზიის” აქტით იკრძალება სლოვენიის რადიოსა და ტელევიზიის (RTV) პროგრამებით რელიგიური პროპაგანდა. პროგრამების შექმნისა და მომზადებისას სლოვენიის RTV-მ პატივი უნდა სცეს სხვადასხვა მოსაზრების, მსოფლმხედველობის და რელიგიური პლურალიზმის პრინციპებს. რელიგიური თემები უშუალოდ ნიშნავს ერთ ნევრს (სულ ოცდათექვსმეცხე) სლოვენიის RTV-ის საჯარო დაწესებულების მმართველ ორგანოში – სლოვენიის RTV-ის საბჭოში. თავისი ეთერის რამდენიმე საათს RTV უთმობს რელიგიური შინაარსის, მათ შორის სხვადასხვა მიმდინარეობისთვის მიძღვნილ გადაცემებს.

კულტურის მინისტრს არ აქვს უფლება, ნებართვა გასცეს სლოვენიაში ისეთი ფილმის ჩვენებაზე, რომლის შინაარსიც შეუწყნარებლობის პროვოცირებას გამოიწვევს.

სლოვენის წამყვანი ყოველდღიური გაზეთი – “Delo” სადაც გარდაცვალების შესახებ უწყებათა უმეტესობა იბეჭდება, მკაცრ უარს აცხადებს განცხადების ტექსტში რელიგიური სიმბოლოების (მაგალითად, ჯვრის) გამოსახვასზე.

VII. შრომის მარეგულირებელი სამართალი და რელიგიური თემები

ეკლესიების ფარგლებში არ მოქმედებს შრომის მარეგულირებელი სამართლის რაიმე განსაკუთრებული დებულება. ეს შეიძლება ძნელი გასაგები იყოს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ სხვა ქვეყნების პრაქტიკას, მაგრამ რელიგიური ორგანიზაციებისთვის არ არსებობს ისეთი თავისუფლება, რომელიც მათ რელიგიური კრიტერიუმებით სამსახურში აყვანის ან განთავისუფლების საშუალებას მისცემდა. ზოგადი შრომითი სამართალი ვრცელდება მხოლოდ რამდენიმე ეკლესიის თანამშრომელზე; ძირითადად ისინი ეკლესიების მიერ დაფინანსებული კერძო სკოლებში არიან.

VIII. რელიგიური თემების დაფინანსება

სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური თემების დაფინანსება შეიძლება იყოს პირდაპირი, მაგალითად გრანტების სახით, ან არაპირდაპირი, როგორცაა, მაგალითად, გადასახადებისგან განთავისუფლება. სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს უშუალო დაფინანსება განსაზღვრული მიზნის ფარგლებში, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ დაფინანსების მიმღებ რელიგიურ თემს შეუძლია განკარგოს ეს სახსრები. თუმცა, მოთხოვნისამებრ, რელიგიურმა თემმა უნდა მოახსენოს სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოს, თუ როგორ დაიხარჯა სპეციალური მიზნით გამოყოფილი სახსრები. სახელმწიფო ძალიან მცირე თანხას გამოჰყოფს რელიგიური თემების სასარგებლოდ. 2002 წელს ამ თანხამ მთლიანობაში 3,790,000 სიტი (16,840 ევრო) შეადგინა. ამ ფულს სახელმწიფო რელიგიურ თემებში რეგისტრირებული პროექტების პროპორციულად ანაწილებს. დახმარების დიდი ნაწილი გაიცემა სოციალური ტრანსფერების სახით, რათა დაიფაროს მღვდლებისთვის ჯანმრთელობისა და პენსიის დაზღვევის ხარჯების ნაწილი. ამ თანხას სახელმწიფო 1991 წლიდან იხდის. 2002 წელს თანხამ 1116 მღვდლისთვის (მათ შორის სხვადასხვა რელიგიური ორდენის წევრებისთვის) მთლიანობაში 282,020,000 სიტი (1,252,422 ევრო), ანუ ერთ მღვდელზე წელიწადში 1,123 ევრო შეადგინა.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები ძირითადად რელიგიური თავყვანისცემის ობიექტების რეკონსტრუქციის დაფინანსებას და თანადაფინანსებას ხმარდება (30%-50%), რაც სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს შეადგენს. სინამდვილეში ამ შემთხვევაში ხდება არა რელიგიური თემების დაფინანსება, როგორც ასეთი, არამედ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა, რომელთა სათანადო მდგომარეობა აგრეთვე (ან განსაკუთრებით) სახელმწიფოს ინტერესებშია.

არაპირდაპირი დაფინანსება ხდება ფინანსურ საკითხებში გარკვეული თავისუფლებებისა და შეღავათების მინიჭებით. მაგალითად, რელიგიური თემები საშემოსავლო გადასახადებისგან თავისუფალია. ეს სტატუსი, ჩვეულებრივ, შემდეგნაირად განიმარტება: ვინაიდან მიღებულია, რომ რელიგიური თემები და საზოგადოებები იქმნება არამომგებიანი მიზნით, შესაბამისად ისინი არ იხდიან გადასახადებს, თუმცა მათ გადასახადი უნდა გადაიხადონ ყველა სახის მომგებიან საქმიანობაზე, მაგალითად, წიგნების გამოცემასა და გაყიდვაზე. ისინი აგრეთვე გათავისუფლებულნი იქნებიან კერძო და იურიდიული პირებისგან მიღებულ საჩუქრებზე დაწესებული გადასახადებისგან. გარდა ამისა, პიროვნების მიერ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ბაზა შეზღუდულია (მაქსიმუმ 3%) ნებაყოფლობითი ფულადი შემოწირულობებისა და ნატურის სახით მიღებული საჩუქრებისთვის დაწესებული გადასახადებით; რელიგიური თემების მიერ იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობები განიხილება როგორც საქმიანი ხარჯი, რაც მათ საგადასახადო ბაზას ამცირებს. რელიგიური თემები განთავისუფლებულია გადასახადისგან თავიანთი პროდუქციის გაყიდვისას, რომლის ამონაგებიც გამიზნულია მოხუცებულების, ინვალიდებისა და ბავშვებისათვის. აგრეთვე ისინი თავისუფლდება რელიგიური მომსახურებისთვის არსებული გაყიდვების გადასახადისგან. სტატუსით განსაზღვრულია, რომ ორგანიზაცია “კარიტასი” განეკუთვნება ისეთი ორგანიზაციების რიცხვს, რომლებიც არ იხდიან გადასახადს იმ პროდუქციაზე, რომელსაც ისინი იძენენ შემდგომი უფასოდ განაწილების ან გაყიდვის მიზნით, რაც ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში შედის (მას შეუძლია, გაყიდოს მხოლოდ სამკერდე ნიშნები, საფოსტო მარკები და სხვა გრაფიკული პროდუქტები, რომელზეც გამოსახულია ორგანიზაციის სიმბოლო და რომლის შინაარსი შეზღუდულია თავისი საქმიანობით). რელიგიური თემები აგრეთვე განთავისუფლებულია რელიგიური საქმიანობის მიზნით გამოყენებულ შენობებზე შემოღებული ქონების გადასახადისგან⁵⁶⁶. გარდა ამისა, რელიგიური და სხვა არამომგებიანი მიზნების შესრულებისას ისინი არ იხდიან საბაჟო გადასახადს საქონლის ვაგზავნისა და მიღების დროს მომსახურების განევისას.

566 აქტი “მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის შესახებ”.

მღვდლი, ისევე როგორც ყველა სხვა მოქალაქე, ვალდებულია შეავსოს საგადასახადო დეკლარაცია, თუმცა, სხვა პირების მსგავსად, რომლებიც ე.წ. დამოუკიდებელი პროფესიონალების სტატუსით სარგებლობენ, მასაც შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი მოგება განისაზღვროს შემოსავლიდან 40%-ის გამოკლებით, რაც საქმიან ხარჯად ჩაითვლება.

ქონებრივი სამართლის ფარგლებში, რელიგიურ თემებს, ისევე როგორც სახელმწიფო იურისდიქციაში მყოფ ყველა სხვა სუბიექტს, ეძლევა კონსტიტუციის 23-ე მუხლით დაცული კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის ხელშეუხებლობის გარანტია. ტრანზსაქციებსა და ფინანსურ საკითხებში, ყველაფერი, რაც კერძო სამართლის ფარგლებში იურიდიულ პირებზე ვრცელდება, ვრცელდება აგრეთვე რელიგიურ საზოგადოებებზე, განსაკუთრებით კი ის პირობა, რომ მათ შეუძლია, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში საკუთარი ინტერესებისთვის დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა იურიდიულ ტრანზსაქციებში, ყველა უფლებისა და ვალდებულების დაცვით.

რთიმ-ის აქტი აცხადებს, რომ სლოვენის რელიგიურ თემებს შეუძლია თავისუფლად განკარგოს ის თანხა, რომელიც მიღებულია მათი ქონებიდან, მორწმუნეების მიერ მათთვის რიტუალებისა და მსახურების შესრულებისთვის გაცემული საზღაურისა და შემონირულობებიდან, საჩუქრებიდან, კერძო და იურიდიული პირებისგან მიღებული მემკვიდრეობიდან და ნაჩუქრობის აქტებიდან. სლოვენიაში არ არსებობს საეკლესიო გადასახადი. სტატუტში მკაფიოდ აღნიშნული დებულების თანახმად, მორწმუნეთა შემონირულებები ნებაყოფლობითა და მათი შეგროვება ნებადართულია მხოლოდ ნეს-ჩვეულებების აღსრულებისთვის განსაზღვრულ შენობებსა და რელიგიური თემების სხვა შენობებში, ხოლო ამ შენობების გარეთ – მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს) ნებართვით. ცალკეული პირების მოთხოვნით რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად მღვდლებს შეუძლიათ მიიღონ ანაზღაურება როგორც ფულით, ისე ნატურით (მაგალითად, პროდუქტების სახით).

რელიგიურ თემთა საკუთრების უფლებებმა ცვლილებები განიცადა დენაციონალიზაციის პროცესში. 1991 წელს მიღებული დენაციონალიზაციის აქტის შესაბამისად, აგრარული რეფორმის, ნაციონალიზაციისა და კონფისკაციის დროს, ასევე სხვა დებულებებითა და სტატუტით განსაზღვრულ გარემოებებში ჩამორთმეული ქონება უნდა დაბრუნდეს ნატურით, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, უნდა გაიცეს კომპენსაცია (მაგალითად, სანაცვლო ქონება, ფასიანი ქაღალდები ან ფული). დენაციონალიზაციის აქტით, ქონების დაბრუნებაზე პრეტენზიის

მქონე პირების რიცხვში შედის ის ეკლესიები და რელიგიური თემები, რომელთა დაწესებულებები თუ ორდენები სტატუტის ძალაში შესვლის მომენტში სლოვენის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს. მეგვიდრეობის უფლება მათი ავტონომიური კანონების მიხედვით განისაზღვრება. ჩამორთმეული ქონების დაბრუნების პროცესი გართულებების გარეშე როდი მიმდინარეობს. სულ ცოტა ხნის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დენაციონალიზაციის აქტის დებულებების კონსტიტუციურობის შესახებ.

IX. რელიგიური მომსახურება სახელმწიფო დაწესებულებებში

მას შემდეგ, რაც სლოვენის მთავრობამ 2000 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერა სპეციალურ ხელშეკრულებებს რომის კათოლიკურ, ასევე პროტესტანტურ ეკლესიებთან, 2000 წლის ნოემბერში სლოვენის სამხედრო სამსახურის წესები შეიცვალა და ამჟამად სლოვენის სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ, უფრო ადვილად აღასრულონ საკუთარი რელიგიური წეს-ჩვეულებები. წესების შეცვლით შესაძლებელი გახდა, რელიგია გამხდარიყო სამხედრო დაწესებულების მუშაობისა და ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამ წესებმა დაამკვიდრა სამხედრო კაპელანის ინსტიტუტი, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. ამასთანავე, განსაკუთრებულ სიტუაციაში სამხედრო კაპელანებს შეუძლიათ სამხედრო პირს შეადგენინონ ანდერძი, წაიკითხონ რელიგიური და მორალური შინაარსის ლექციები და ჩაატარონ რელიგიური ცერემონიები საზეიმო ღონისძიებებსა და დაკრძალვებზე.

სლოვენის სამართლებრივ სისტემაში ეროვნული თავდაცვის სტრუქტურებში მომსახურე სამხედრო პირების უფლება, შეუფერხებლად იალმსარებლონ საკუთარი რელიგია, 2002 წელს დაამკვიდრეს. სამხედრო პირებს შეუძლიათ დაესწრონ რელიგიურ მსახურებას თავისუფალ დროს, თუ შტაბის, სამხედრო ნაწილისა თუ დაწესებულების დატოვება ხელს არ შეუშლის მათი სამხედრო მოვალეობების შესრულებას.

სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში რელიგიური მსახურება უფრო შეზღუდულია და სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება. საავადმყოფოებში, მოხუცებულთა სახლებსა და მსგავს დაწესებულებებში მყოფ ადამიანებს ხშირად არ შეუძლიათ დაესწრონ მსახურებას, რომელიც ამ დაწესებულებების გარეთ ტარდება, თუმცა მათი ან მათი ნათესავების თხოვნით შეიძლება ეწვიოთ სასულიერო პირი. სასულიერო პირებს ასევე შეუძლიათ, ასეთ დაწესებულებებში აღასრულონ

მსახურება და რელიგიური საიდუმლოებები, მაგრამ, ამავე დროს, პატივი უნდა სცენ შიდაგანანეს და ხელი არ უნდა შეუშალონ იმ ადამიანებს, რომელთაც არ მოუთხოვიათ სასულიერო პირის ვიზიტი ან მსახურება.

სასჯელალსრულების დაწესებულებებში და ფსიქიატრიული საავადმყოფოების სპეციალურ საკნებში იძულებითი წესით მოთავსებული ადამიანების მონახულება უკვე მიღებული პრაქტიკაა. პატიმრების მონახულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თვითონ გამოხატავენ ამის სურვილს.

რაც შეეხება პოლიციას, იქ არ არსებობს რამენაირი რელიგიური მომსახურება.

X. მღვდლებისა და რელიგიური ორდენების წევრების ნეკროპოლის სამართლებრივი სტატუსი

მღვდლებსა და რელიგიური ორდენების წევრებს არ გააჩნიათ სხვა პირებისგან რამეთი გამორჩეული, განსაკუთრებული სტატუსი. მიუხედავად ამისა, არსებობს მთელი რიგი შეუთავსებლობანი, რომლნიც სხვადასხვა საერო თანამდებობას ეხება და არ განისაზღვრება რომელიმე კანონით, თუმცა პრაქტიკაში გამოიყენება.

სასულიერო პირი განთავისუფლებულია ვალდებულებისგან, მისცეს ჩვენება იმის შესახებ, რაც მათ მოპასუხის ან რომელიმე მხარისგან შეიტყვეს ამ პირის ან მხარის სულიერი მოძღვრის როლში. რელიგიური მოძღვრის ნებაა, მისცემს თუ არა იგი ჩვენებას, მაგრამ ჩვენების მიცემისას მან სიმართლე უნდა თქვას. რელიგიურ მოძღვრებს, სხვების მსგავსად, არ ევალებათ განაცხადონ დამნაშავეის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

მღვდლისთვის აგრეთვე ნებადართულია შესაბამისი უფლებამოსილების მიღების გარეშე გაამხილოს საქმიანი საიდუმლო, თუკი იგი ამას ზოგადად სიკეთისთვის ან რომელიმე ადამიანის სასიკეთოდ აკეთებს, რაც საიდუმლოს შენახვის სიკეთეზე მეტია. ამასთან იგულისხმება, რომ მღვდლებმა ასეთი ინფორმაცია საიდუმლოდ უნდა შეინახონ მას შემდეგაც, რაც დაასრულებენ თავის პროფესიულ მოღვაწეობას. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლება დაიწყოს კერძო საქმის აღძვრის საფუძველზე (სლოვენის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის თანახმად).

XI. საქორწინო და საოჯახო სამართალი

კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულია სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება. სახელმწიფო არც ერთ რელიგიურ თემს არ აძლევს რამე საჯარო უფლებამოსილებას. შესაბამისად, მათ არ აქვთ უფლება, იურიდიული წესით ჩაატარონ ქორწინება. მაგრამ აქვთ წყვილების დაქორწინების და განქორწინების უფლება მხოლოდ თავიანთი წესდების შესაბამისად, რასაც არ აქვს რაიმე იურიდიული შედეგი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს თვალსაზრისით ეს აქტები სავალდებულო არ არის.

ოჯახურ მდგომარეობაზე ინფორმაციის შემცველ რეესტრს სახელმწიფო ინახავს. კათოლიკური ეკლესიის საარქივო მასალები (ისტორიული დოკუმენტები, დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების შესახებ ჩანაწერები) ეკლესიის დოკუმენტური მასალებიდან უნდა გამოირჩეს ამ ეკლესიის წესდების შესაბამისად. მაგრამ, ამასთანავე, სლოვენის ეპისკოპოსთა კონფერენციასთან შეთანხმებით კულტურის მინისტრი ეკლესიის არქივის საქმიანობისთვის სპეციალურ პირობებსა და საშუალებებს ადგენს⁵⁶⁷.

567 აქტი “საარქივო მასალებისა და არქივების შესახებ”, მე-37 მუხლი.

XII. ბიბლიოგრაფია

Constitutional jurisprudence in the area of the freedom of religion and beliefs, XI the Conference of the European Constitutional Courts, Tribunal Konstytucyjny, Warsaw 2000, National report by the Constitutional Court of Slovenia, p. 677-718.

Andrej Graselli, Sporazum s Svetim sedežem (Agreement with the Holy See), *Pravnik* 55, 2000, 1-3, str. 94-106.

OdlUS: Decisions and Rulings of the Constitutional Court I-XII, Ljubljana 1992-2003:

Urša Prepeluh, Pravni položaj verskih skupnosti v Sloveniji (The legal status of religious communities in Slovenia), Ljubljana 1997. Website www.us-rs.si.

Anton Stres, *Država in cerkev* (State and Church), Ljubljana 1998.

Lovro Šturm (ed.), *Cerkev in država. Pravna ureditev razmerja med državo in cerkvijo* (Church and State. Legal regulation of the relationship between the state and the church), comparative survey, Ljubljana 2000, p. 1-360.

Lovro Šturm: The State and Church relationship in Slovenia, p. 157-196, in: *The status of the states applying for membership to the European Union*. Francis Messner (ed.). Milano 2002.

Lovro Šturm: The Legal Status of Religious Communities in the Republic of Slovenia at the Time of Its Inclusion in the Free Democratic Society of Modern Europe, p. 385-398, in A. Šelih (ed). *State and Church. Selected historical and legal issues*, Slovenian Academy of Sciences and Arts, Ljubljana 2002.

Lovro Šturm: (ed), *Komentar Ustave Republike Slovenije* (Commentary of the Constitution of the Republic of Slovenia, Ljubljana, 2002, p. 1-1247.

Lovro Šturm: Church and State in Slovenia, in: Silvio Ferrari, W. Cole Durham (eds.), *Law and Religion in Post-Communist Europe*, 2003.

სახელმწიფო და ეკლესია სლოვაკეთის რესპუბლიკაში

I. სოციალური მონაცემები

დღეს სლოვაკეთის ყოველ სტუმარს ნებისმიერ წიგნის მალაზიაში შეუძლია შეიძინოს მოზრდილი ზომის წიგნი, სახელწოდებით “კათოლიკური სლოვაკეთი”, სურათები, გამოცემული სლოვაკეთში ბერძენი კათოლიკეების ან ახალი ევანგელისტური ეკლესიის მიერ. თოთხმეტი წლის წინ ამის გაფიქრებაც შეუძლებელი იყო. ელემენტარული რელიგიური ლიტერატურაც კი კონტრაბანდული გზით შემოდიოდა სლოვაკეთში იტალიიდან, ოუგოსლავიიდან, პოლონეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან. 1989 წლამდე იკრძალებოდა პილიგრიმოება და ამას მკაცრად ადევნებდა თვალყურს სახელმწიფოს უშიშროების სამსახური. დღესდღეობით სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი ესწრებიან რელიგიურ მსახურებას.

1989 წლამდე, სანამ მოხდებოდა პოლიტიკური გადატრიალება ყოფილი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, რომელმაც შეცვალა ტოტალიტარული რეჟიმი⁵⁶⁸ დემოკრატიულით, რელიგია, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, მოიაზრებოდა სოციალისტური რესპუბლიკის განვითარების შემაფერხებლად და მტრად. მოსახლეობის აღწერისას არ არსებობდა კითხვა რელიგიური კუთვნილების შესახებ. ეკლესიის, ყოველი რელიგიური ჯგუფის წამომადგენლის ან უბრალო მორწმუნის ნებისმიერ საზოგადოებრივ განაცხადს მკაცრად აკონტროლებდა სახელმწიფო უშიშროების სამსახური, ხოლო ასეთ პიროვნებას დევნიდა და აფერხებდა მის კარიერულ ზრდას. კვლევები რელიგიურ სფეროში მიმდინარეობდა მხოლოდ მეცნიერული კომუნიზმის ინსტიტუტებში.

568 ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მაშინდელ კონსტიტუციაში (დადგენილება № 100/1960) 3.4-ის მიხედვით, კომუნისტურ პარტიას მინიჭებული ჰქონდა წამყვანი როლი საზოგადოებაში.

სლოვაკეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველად 2001 წლის მაისში⁵⁶⁹ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა.

მოსახლეობის აღწერის დროს რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული მონაცემები შეიკრიბა თვითშეფასების მეთოდით, სხვა დემოგრაფიული მახასიათებლებისგან განცალკევებით⁵⁷⁰. თითოეულ პიროვნებას ნება მისცეს (ეს არ იყო ვალდებულება) თავისუფლად გამოეთქვა თავისი რელიგიური კუთვნილება. 15 წლამდე ბავშვების რელიგიური კუთვნილება განისაზღვრებოდა მათი მშობლების რელიგიური კუთვნილებით.

მოსახლეობის წინა აღწერასთან შედარებით, რომელიც ჩატარდა 1991 წლის მარტში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნებოდა მოსახლეობის მახასიათებელ პუნქტებში. იმ ხალხის რიცხვი, რომელმაც გამოავლინა ერთგულება რომელიმე ეკლესიის ან რელიგიური ჯგუფის მიმართ, გაიზარდა 72,8%-დან 84,1%-მდე, ანუ 11,3%-ით. რიცხოვნობივად ეს ზრდა 3,840,949-დან 4,521,549-მდე შეადგენდა, ანუ 680,600 მოქალაქეს. თუკი 5,379,445 მოსახლიდან 4,5 მილიონი თავიანთ თავს მიიჩნევს რომელიმე ეკლესიის ან რელიგიური ჯგუფის წევრად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რელიგიამ არა მარტო შეინარჩუნა თავისი მნიშვნელოვნება, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა თავისი გავლენა.

მეორე მხრივ, გაიზარდა იმ მოქალაქეთა რიცხვიც, რომლებიც არ თვლიან თავიანთ თავს რომელიმე ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების წევრად, ანუ არიან კონფესიის გარეშე. 1991 წელს ასეთი პიროვნებების რიცხვი იყო 515,511, ანუ მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების 9,8%, ბოლო აღწერის შემდეგ კი მათი რიცხვი გაიზარდა 697,308 ადამიანამდე, ანუ 12,96%-ით, რიცხოვნობივად ეს მატება არის 181,797 პირი, ხოლო პროცენტულად – 3,16%.

თანდათან ხდება რელიგიური მსოფლმხედველობის და ზოგადად რელიგიის მიმართ დამოკიდებულების ფორმირება და დაბრუნება იმ ფესვებისკენ, რომლის მოშლასაც ასე ცდილობდნენ 1989 წლამდე. ეს შესაძლებელია პიროვნული

569 2001 წელს, მოსახლეობის, ბინებისა და სახლების აღწერის შესახებ No 165/1998 დადგენილების შესაბამისად.

570 Sčítanie obyvateľstva, domov a bytov 2001. Základné údaje. Náboženské vyznanie obyvateľstva. no. 600-0615/2001. Bratislava: Štatistický úrad Slovenskej republiky, 2001. 240 p.

გადაწყვეტილების საფუძველზე. ადამიანები განეწიანდნენ რელიგიურ გაერთიანებებში ცხოვრებისა და აზროვნების ინდივიდუალური მოტივაციის საფუძველზე, იმ სულიერი გარემოს პოვნის გზით, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პიროვნების ცხოვრება, ან გაავლოს საბოლოო მიჯნა რომელიმე ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების მიმართ და სწორედ ეს არჩევანი აისახება აღწერისას.

ეკლესიების დაფინანსების ახალ მოდელთან დაკავშირებით უდავოდ განსაკუთრებული როლი ითამაშა საზოგადოებრივმა დისკუსიამ, რომელიც წინ უსწრებდა აღწერას, ასევე მისმა შემდგომმა კამპანიამ, განსაკუთრებით მემარცხენეების მხრიდან, რომელთა აზრითაც, სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ ეკლესიებში ჩადებული სახსრები იფლანგება.

1991 წელს 917,835 მოქალაქემ უარი განაცხადა ელიარებინა თავისი კუთვნილება რომელიმე სარწმუნოების მიმართ. ძნელი სათქმელია, რა მოხდება ამ თვალსაზრისით შემდეგი აღწერის დროს. დღეისათვის ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი რიცხვი შემცირდა 757,238-მდე და სლოვაკეთის მხოლოდ 160,598 მოქალაქემ განაცხადა უარი ელიარებინა თავისი რელიგიური კუთვნილება.

გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ღიად აცხადებდა, რომ მიეკუთვნებოდა (არარეგისტრირებულ) “სხვა რელიგიურ გაერთიანებას ან ეკლესიას”. დღეისათვის მათი რიცხვია 6,294, მაშინ, როცა 1991 წელს მხოლოდ 3,625 იყო. ეს მაგება განაპირობა სლოვაკეთში ახლად დაარსებულმა რელიგიურმა გაერთიანებებმა.

იმ ადამიანთა რიცხოვრივი ზრდა, რომლებიც თავიანთ თავს მიაკუთვნებენ სპეციფიკურ ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს, განპირობებულია იმით, რომ 1991 წელს მცხოვრებთა დიდი რაოდენობა აღიარებდა ისეთ სარწმუნოებას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაფუძნებული. როგორც ჩანს, ასეთი ეკლესიების წიაღში მიმდინარეობდა პასტორული მუშაობა და საინფორმაციო კამპანია, ასევე თითოეული მოქალაქე ან იცვლიდა რელიგიურ აღმსარებლობას, ან უარს ამბობდა დაბრუნებოდა წინაპრების აღმსარებლობას⁵⁷¹.

571 Comp. Moravčíková, M.; Cipár, M., *Religiozita na Slovensku II*. Bratislava: Ústav pre vzťahy štátu a cirkvi, 2002. p. 8 – 11 nn.

	განსხვავება	რაოდენობა 2001წ.	რაოდენობა 1991წ.
რომაულ-კათოლიკური ეკლესია	+ 520,737 + 8.6 %	3,708,120 68.9 %	3,187,383 60.3 %
ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია	+ 41,098 + 0.69 %	219,831 4.1 %	178,733 3.41 %
აუგსბურგის კონფესიის პროტესტანტული ეკლესია	+ 46,461 + 0.7 %	372,858 6.9 %	326,397 6.2 %
რეფორმისტული ქრისტიანული ეკლესია	+ 27,190 + 0.4 %	109,735 2.0 %	82,545 1.6 %
მართლმადიდებელი ეკლესია	+ 15,987 + 0.3 %	50,363 0.9 %	34,376 0.6 %
პროტესტანტულ-მეთოდისტური ეკლესია	+ 2,988	7,347	4,359
იელოვას მონმეთა რელიგიური გაერთიანება		20,630	
ბაპტიტთა ძმობის კავშირი	+ 1,097	3,562	2,465
“ძმათა” ეკლესია	+ 1,356	3,217	1,861
მეშვიდე დღის ადვენტიტთა ეკლესია	+ 1,708	3,429	1,721
სამოციქულო ეკლესია	+ 2,789	3,905	1,116
ებრაელთა რელიგიური გაერთიანებები	+ 1,398	2,310	912
ძველი კათოლიკური ეკლესია	+ 851	1,733	882
ქრისტიანული კონგრეგაციები	+ 5,819	6,519	700
ჩეხოსლოვაკიის ჰუსიტთა ეკლესია	+ 1,071	1,696	625
ალმსარებლობის გარეშე	+181,797 + 3.16 %	697,308, 12.96 %	515,511, 9.8 %
ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წევრები	+680,600 + 11.3 %	4,521,549 84.1 %	3,840,949 72.8 %
სხვა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წევრები	+ 2,669	6,294	3,625
პასუხის გარეშე	- 757,237 - 14.42 %	160,598 2.98 %	917,835 17.4 %

II. ისტორიული მიმოხილვა

დღევანდელი სლოვაკეთის ტერიტორიაზე ნაკლებად სარწმუნო ცნობებია შემორჩენილი კერპთაყვანისმცემლური კულტის შესახებ. არ არის არც ერთი გადმოცემა, არსებობს მხოლოდ რამდენიმე ლეგენდა. დუნაის ჩრდილოეთით მცხოვრები სლავების ყოფილი ინდოევროპული მონოთეისტური სარწმუნოება ქრისტიანობის არაძალადობრივი გზით მისაღები წინაპირობა იყო.

პირველი ქრისტიანული ეკლესია დღევანდელი სლოვაკეთის ტერიტორიაზე 828 წელს აშენდა ნიტრაში. ამაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ბიზანტიურმა მისიამ (სხვა მისიებთან ერთად – მისია აღმოსავლეთიდან, ფრანკების იმპერიიდან, ირლანდიიდან და შოტლანდიიდან, ასევე სამხრეთიდან). რასტისლავმა, დიდი მორავიის იმპერიის მმართველმა, სთხოვა ბიზანტიის იმპერატორ მიქაილ III-ს ეკლესიისთვის იერარქები და მენტორები. 863 წელს მან სოლუნიდან დიდი მორავიაში გააგზავნა ძმები კონსტანტინე (შემდგომში მას ეწოდა მონასტრული სახელი კირილი) და მეთოდი. ჩასვლამდე კონსტანტინემ შეადგინა სლავური შრიფტი – გლაგოლიცა, პირველი სლავური ლიტერატურული ენა – ძველი საეკლესიო სლავური და თარგმნა ამ ენაზე უმნიშვნელოვანესი რელიგიური და ლიტერატურული ტექსტები⁵⁷². ორივე ძმამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში არა მხოლოდ ქრისტიანობას, არამედ ზოგადად კულტურულ აღმავლობას.

X საუკუნის დასაწყისში, დიდი მორავიის იმპერიის დამხობის შედეგად, სლოვაკეთი ხანგრძლივი დროით გახდა სხვადასხვა სახელმწიფოს ნაწილი: X–XVI საუკუნეებში – უნგრული სახელმწიფოს, XVI საუკუნიდან 1867 წლამდე – ჰაბსბურგის მონარქიის, ხოლო 1867-1918 წლამდე – ავსტრო-უნგრეთის მონარქიის.

დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს დაარსების შესახებ № 11/1918 აქტისა და დადგენილებების შესაბამისად, ავსტროუნგრული სამართლებრივი დებულებები გავრცელდა ახლად დაარსებული ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. ეს შეეხო საეკლესიო სამართალსაც: ქვეყანამ მიიღო ისეთივე ორგანიზაციული და სამართლებრივი სტრუქტურის მქონე ეკლესიები.

ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების საკითხი და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კონსტიტუციური გადაწყვეტა იყო ყველაზე რთული პრობლემა, რაც დადგა ახალგაზრდა სახელმწიფოს საწყისი პოლიტიკური და სამართლებრივი პროგრამის წინაშე. ამიტომ არც 1918 წლის დროებითი კონსტიტუცია და არც მისი 1919 წლის შესწორება ამ საკითხს არ შეხებია.

1928 წელს მიიღეს *Modus Vivendi* – ეს იყო ჩეხოსლოვაკიისა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება. ის იძლეოდა ახალ მხარეებს შორის ერთმანეთის პატივისცემის გარანტიას, თუმცა ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, პრინციპში, არ შეცვლილა ავსტროუნგრული მონარქიის პერიოდის შემდგომ.

572 Comp. Papastathis, Ch., K., L'Œuvre législative de la Mission cyrillo-méthodienne en Grande Moravie. Thessalonique: Association hellénique d'Études slaves, 1978, 142 p.

სლოვაკეთის სამხედრო სახელმწიფომ, რომელიც დაარსდა 1939 წლის 14 მარტს, კონსტიტუციის პრეამბულაში თავის თავს უწოდა ქრისტიანული სახელმწიფო. ჯოზეფ ტისო, კათოლიკე ღვთისმსახური, პრეზიდენტი გახდა და სლოვაკეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა ერთი მეხუთედი ასევე იყო სასულიერო პირი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ეკლესიის გავლენის შესუსტების მცდელობა და 1948 წელს, როდესაც ძალაუფლება გადავიდა კომუნისტების ხელში, სლოვაკეთის ტერიტორიაზე ეკლესიის ისტორიის ტრაგიკული პერიოდი დაიწყო. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა შეწყდა 1989 წლის შემდგომ პერიოდამდე. კომუნისტური რეჟიმის მიზანი იყო ხელში ჩაეგდო და საკუთარი ზრახვებისთვის გამოეყენებინა ეკლესიები. როდესაც ეს მცდელობა ჩაიშალა და ამან სასურველი შედეგი არ მოიტანა, კომუნისტურმა რეჟიმმა გადაიწყვიტა თავისი ანტიეკლესიური საქმიანობა, რათა მინიმუმამდე დაეყვანა ეკლესიის გავლენა და მასზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლი დაემყარებინა.

№ 217/1949 Zb. დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრალური ორგანო – ეკლესიის საქმეთა სახელმწიფო სამმართველო.
№ 218/1949 Zb. დადგენილებით ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპი. ეკლესიებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა დაკარგა თავიანთი თვითმყოფადობა და ეკონომიკურადაც გახდა სრულად დამოკიდებული სახელმწიფოზე. სახელმწიფო აკონტროლებდა ლიტურგიულ, პასტორულ, სოციალურ, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, ფინანსურ და ყველა სხვა სახის საეკლესიო საქმიანობას. სახელმწიფომ დააკანონა ეკლესიების სავალდებულო რეგისტრაცია და სამღვდელოებას უფლება ჰქონდა ემუშავა მხოლოდ სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე, რაც თავისთავად დამოკიდებული იყო ამა თუ იმ რელიგიური პირის რესპუბლიკის მიმართ ლოიალურობაზე.

კომუნისტურ სახელმწიფოს არასოდეს განუხილავს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების საკითხი. იგი თვლიდა, რომ ეს ნაბიჯი გაზრდიდა ეკლესიის სოციალურ გავლენას და გადაიღებდა სამღვდელოებაზე კონტროლს ეკლესიის იერარქიის მხრიდან, ეს გამოიწვევდა არა ეკლესიის შიგნიდან ნგრევას, რაც იყო მიზანი, არამედ სრულიად სანინააღმდეგო შედეგს. ეკლესიების მკაცრმა ტოტალიტარულმა კონტროლმა გამოიწვია სამღვდელოების, ცალკეული მორწმუნეებისა და სხვადასხვა ჯგუფის არალეგალური საქმიანობა, რაც სახელმწიფო უშიშროების სისტემის სამიზნედ იქცა.

1989 წლის ნოემბრის შემდეგ, როდესაც მოხდა ეგრეთ წოდებული ხავერდოვანი რევოლუცია, დიდი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ფონზე შეიცვალა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მდგომარეობაც. ეკლესიებმა აღიდგინა თავიანთი დამოუკიდებლობა და პოზიციები სლოვაკეთის საზოგადოებაში. ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების ორ დამოუკიდებელ ერთეულად მშვიდობიანი გაყოფის შემდეგ, 2003 წლის 1 იანვარს, დაარსდა სლოვაკეთის რესპუბლიკა.

III ძირითადი სტრუქტურები

1. რელიგიის შესახებ სლოვაკეთის კანონის სამართლებრივი წყაროები

მას შემდეგ, რაც ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა, სლოვაკეთის რესპუბლიკა გახდა ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მემკვიდრე, როგორებიცაა: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ოქმები, ასევე ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპული კონვენცია.

რელიგიური თავისუფლების, სინდისის თავისუფლების და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ელემენტარული პრინციპების გარანტია სლოვაკეთის რესპუბლიკაში შემდეგი სამართლებრივი წყაროებია:

სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია №460/1992 Zb. აღსრულებული

საკონსტიტუციო აქტი №244/1998 Z. z., საკონსტიტუციო აქტი №9/1999 Z. z., საკონსტიტუციო აქტი №90/2001 Z. z., საკონსტიტუციო აქტი №140/2004 Z. z. და საკონსტიტუციო აქტი №323/2004 Z. z.

საკონსტიტუციო აქტი №23/1991 Zb. განიხილავს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების ბილს კანონპროექტი შეიცავს ისეთ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც არ გვხვდება კონსტიტუციაში და პირიქით.

აქტი №308/1991 Zb. შესწორებული აქტით №394/2000 Z. z. რელიგიური რწმენის თავისუფლების და ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის შესახებ.

აქტი №163/1990 Zb. თეოლოგიური კოლეჯების შესახებ.

აქტი №192/1992 Zb. ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის შესახებ, რომელიც არეგულირებს ეკლესიის რეგისტრაციის პირობებს.

ქონებრივი ურთიერთობა ბერძნულ-კათოლიკურ⁵⁷³ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის გადაწყდა სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის №211/1990 Zb. შეთანხმების სამართლებრივ საფუძველზე. იგი დამტკიცდა ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 2000 წლის 20 დეკემბერს სლოვაკეთის მთავრობას, სლოვაკეთის რესპუბლიკაში ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიასა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ქონებრივ საკითხებზე საბოლოო შეთანხმებით.

სლოვაკეთის რესპუბლიკა იყო პირველი პოსტკომუნისტური ქვეყანა, რომელმაც თანამიმდევრულად გადაწყვიტა ეკლესიის ქონებრივი საკითხი №282/1993 Z.z. აქტის საფუძველზე. სამართლებრივი რეგულირებით დადგინდა იმ ქონების ნაწილობრივი რესტიტუციის პირობები და მეთოდები, რომელიც ჩამოერთვა ეკლესიებს 1945 წლის 8 მაისის შემდგომ, ხოლო ებრაულ რელიგიურ გაერთიანებებს – 1938 წლის 2 ნოემბრიდან 1990 წლის იანვრამდე.

ეკლესიების დაფინანსება რეგულირდება სახელმწიფოს მიერ ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების ეკონომიკური უზრუნველყოფის შესახებ №218/1949 აქტით. სალველოების ჯამაგირს მთლიანად იხდის სახელმწიფო, ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების⁵⁷⁴ სამლველოების პერსონალური შეღავათების

573 უნიატური ეკლესია განიცდიდა მკაცრ დევნას კომუნისტური რეჟიმის პერიოდში. 1950 წლის აპრილში შეიკრიბა “პრესოვ სობორი”, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებდა ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის დევნას უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში. საქმე ეხებოდა ბერძენ კათოლიკეთა ე.წ. დაბრუნების აქტს რომანულ-კათოლიკურ ეკლესიაში, რაც მიღებულ იქნა სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1950 წლის 7 იანვრის რეზოლუციის საფუძველზე. ისარგებლა რა 1968 წელს ჩატარებული “პრადის გაზაფხულით”, რომლის მიზანი იყო სოციალიზმის ჰუმანური კუთხით წარმოჩენა, ბერძენ-კათოლიკე ეპისკოპოსმა ვასილ ჰოპკომ სთხოვა ალექსანდრ დუბჩეკს, კომუნისტური პარტიის მაშინდელ გენერალურ მდივანს, ალედგინა და განეახლებინა ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის საქმიანობა. 13 ივნისის № 70/1968 Zb. სამთავრობო დადგენილებით, რომელიც ხელმოწერილი იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილის, ვუსტავ ჰუსაკის მიერ, ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას ნება დართეს ალედგინა თავისი საქმიანობა.

574 შესწორებულია 2004 წლის 1 დეკემბრის სამთავრობო დადგენილებით № 691/2004 Z.z. სამლველოების სახელფასო სკალა გაიზარდა 42%-მდე, ხოლო მათი სატარიფო განაკვეთი შესაძლოა გაიზარდოს 30%-ით.

რეგულაციის შესახებ №578/1990 Zb სახელმწიფო დადგენილების შესაბამისად. №16/1990 Zb. აქტით ჩასწორდა აქტი №218/1949 Zb. ასე მოხდა ეკლესიებზე სახელმწიფო კონტროლის ანულირება.

2000 წლის 30 ნოემბერს სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ მიიღო №326/2001 Z.z. საბაზისო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის. ეს ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობას სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის. მას ხელი მოაწერეს 2000 წლის 24 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2000 წლის 18 დეკემბერს. ხელშეკრულება ადასტურებს, რომ კონტრაქტის მხარეები დებენ ოთხ კერძო შეთანხმებას. პირველი, № 648/2002 Z.z. ეხება სამღვდლოების სამსახურს შეიარაღებულ ძალებში, იგი რატიფიცირებულია ვატიკანში 2002 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო მეორე ეხება კათოლიკურ აღზრდასა და განათლებას. იგი მიღებულია 2004 წლის 4 ივნისს.

2002 წლის 11 აპრილს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას № 250/2002 Z.z. სლოვაკეთის რესპუბლიკასა და სრ-ში რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის. იგი ნებადართული იყო სრ-ის მთავრობის და ეროვნული საბჭოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება განსხვავებული ბუნებისაა (არ არის საერთაშორისო შეთანხმება), იგი თითქმის სრ-სა და ვატიკანს შორის დადებული საბაზისო ხელშეკრულების (მათი შინაარსი თითქმის იგივეა) იდენტურია. ამ ხელშეკრულების თანახმად, თერთმეტ რეგისტრირებულ ეკლესიას და რელიგიურ გაერთიანებას მიეცა შესაძლებლობა, დადოს ხელშეკრულებები სახელმწიფოსთან, რაც, №394/2002 Z.z. აქტის მიხედვით, ხელმისაწვდომია ყველა რეგისტრირებული ეკლესიისთვის.

სლოვაკეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 1995 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, კონსტიტუციური სასამართლო არ ადასტურებდა რაიონის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ არსებობდა შეუსაბამობა სამოქალაქო სამსახურის კანონსა და კონსტიტუციას შორის. იმ შემთხვევაში, თუ წვევამდელმა შეიცვალა აღმსარებლობა ან რელიგია ისეთ რელიგიაზე, რომელიც ათავისუფლებს სამხედრო სამსახურისგან, მას შეუძლია უარი თქვას სამხედრო სამსახურზე სრ-ის კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად: “არავინ შეიძლება აიძულო გაიაროს სამხედრო სამსახური, თუკი ეს ეწინააღმდეგება მის სინდისს ან რელიგიურ კონფესიას. დეტალების რეგულირება ხდება კანონით”.

სინდისი, რელიგიური კონფესია, აზროვნება და რელიგია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პიროვნების სულიერი უფლება – forum

internum. არავის აქვს უფლება აიძულოს ადამიანი, შეიცვალოს აზროვნება, აღმსარებლობა ან რელიგია. ეს უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს კანონით – მათ აქვთ აბსოლუტური, შეუზღუდავი ხასიათი. პიროვნების ნებისმიერი გარეგნული ქმედება, მოტივირებული თავისი სინდისით, რელიგიური კონფესიით ან რწმენით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ითვლება გარეგანი განზომილებით უფლებად forum externum. ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით, თუკი იგი აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისთვის, ჯანმრთელობისთვის, მორალის ან სხვა თავისუფლებებისთვის (კონსტიტუცია 24(4)). ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის (1) და (2) პარაგრაფი შეიცავს საკითხის იმავე გადაწყვეტას: არ შეიძლება შეიზღუდოს თავად თავისუფლება, თუმცა შეზღუდვას ექვემდებარება მისი გამოხატულება.

ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკა პატივს სცემს პიროვნების უფლებას, უარი განაცხადოს სამხედრო სამსახურში მონაწილეობაზე სინდისის ან რელიგიური აღმსარებლობის მიზეზით, მაგრამ ეს უფლება ადამიანთა თითოეული ჯგუფისთვის მაშინ არის გარანტირებული, თუ ეს განაცხადი გაკეთებულია კანონით დადგენილ ვადებში. ასეთი შეზღუდვის მიზეზია ქვეყნის არმიის სრულ მზადყოფნაში ყოფნის აუცილებლობა და არ დაშვება იმისა, რომ რელიგიური აღმსარებლობის ან სინდისის თავისუფლების მომიზეზება გახდეს სამხედრო სამსახურისგან განთავისუფლების საშუალება. მაგალითად, უარი უწყების მიღებისთანავე ან სამხედრო სამსახურის მოხდის პერიოდში, ან ქვეყნის სამხედრო მზადყოფნის პერიოდში.

2001 წლის 31 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მოქალაქის სარჩელი, რომელიც ენებოდა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას რაიონული და სამხარეო სასამართლოების მხრიდან. ვინაიდან საქმე ენებოდა სამართლებრივ ურთიერთობას მოსარჩელესა და ეკლესიის მმართველობას შორის, სასამართლოებმა საქმე განიხილა საეკლესიო სამართლის შესაბამისად და არა სლოვაკეთის რესპუბლიკის კანონის თვალსაზრისით. ამგვარად, მოსარჩელის საკითხი სრ-ის კანონგარეშე დადგა. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითების შესაბამისად, სასამართლომ უნდა განიხილოს მოსარჩელის ეკლესიასთან სამართლებრივი ურთიერთობის თითოეული ასპექტი სლოვაკეთის რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და არა ისე, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ ეკლესიის შიდა კანონების გათვალისწინებით და მათთვის სრ-ის კანონებთან შედარებით უპირატესობის მინიჭებით. ამ სასამართლოების მიერ არ განიხილებოდა მოსარჩელის უფლებები მოქმედი

კანონის შესაბამისად. შედეგად, იხატებოდა აშკარა უპატივცემულობა მოსარჩელის უფლებების მიმართ, ილახებოდა მისი სამართლებრივი დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებული ჰქონდა სრ-ის კონსტიტუციის 46(1)-ე მუხლით. ეს მუხლი მოითხოვდა, რომ პიროვნების საქმე ეკლესიის წინააღმდეგ განხილულიყო ზოგადი სასამართლოს მიერ სრ-ის კანონის შესაბამისად ან იმ წესების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის სრ-ის კანონს. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოსარჩელე, როგორც სამღვდელოების წარმომადგენელი, დისკრიმინირებული იყო თავის სასამართლო უფლებებში. იმავდროულად მან დააადგინა, რომ ზოგადმა სასამართლომ არ შელახა მოსარჩელის უფლებები, ვინაიდან მან გაითვალისწინა მისი ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამოუტანია საეკლესიო ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ეს ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ თვლის, რომ მოსარჩელე დამარაღდა საეკლესიო ხელისუფლების ქმედებით.

2. ძირითად სისტემათა კატეგორიები

ევროპულ სისტემათა შორის სლოვაკეთის მიდგომა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისადმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც “საშუალო” მკაცრ განცალკევებასა და სახელმწიფო საეკლესიო სისტემას შორის. ეს არის პარიტეტული და შეთანხმებული ურთიერთობა. არც ერთი ეკლესია არაა სახელმწიფო ეკლესია, რომელსაც აქვს განსაკუთრებული პრივილეგიები. კანონმდებლობას საქმე აქვს ზოგადად ეკლესიასთან. ეკლესია, როგორც იურიდიული პირი, გარკვეულად იზღუდება მოქმედი კანონმდებლობით.

ძირითადი კანონის შესაბამისად, რელიგიასა და იდეოლოგიასთან მიმართებაში სლოვაკეთის რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა.

კონსტიტუციის პრეამბულაში სლოვაკეთის რესპუბლიკა ადასტურებს კირილ-მეთოდის სულიერ და დიდი მორავიის ისტორიულ მემკვიდრეობას.¹ პარაგრაფში მითითებულია, რომ სრ არ გამოყოფს კონკრეტულად რომელიმე იდეოლოგიას ან რელიგიას. 24-ე პარაგრაფი იძლევა აზროვნების, სინდისის, რელიგიური აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლების გარანტიას. თითოეულ პიროვნებას აქვს უფლება, არ აღიარებდეს არც ერთ რელიგიურ კონფესიას. ასევე თითოეულ პიროვნებას აქვს უფლება განაცხადოს თავისი რელიგიის თუ მრწამსის შესახებ მარტომ ან ჯგუფთან ერთად, კერძო საუბრისას ან საზოგადოებაში, რელიგიური საქმიანობის, მსახურების და რელიგიური განათლების მიღების გზით.

ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები სარგებლობს ავტონომიური უფლებებით. ისინი აარსებენ საკუთარ დაწესებულებებს, ნიშნავენ სამღვდელეობას, უზრუნველყოფენ რელიგიურ სწავლებას და ქმნიან მონასტრულ და სხვა საეკლესიო ორგანიზაციებს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. კონსტიტუციის შესაბამისად, ეს საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სპეციალური დადგენილებით იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

სრ-ის კონსტიტუციის მე-11 პარაგრაფის შესაბამისად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც სრ-ის მიერ რატიფიცირებულ და გამოქვეყნებულ იქნა კანონის დაცვით, ითვლება უპირატესი იურიდიული ძალის მქონედ, თუკი უფრო ფართო სპექტრით წარმოაჩენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

რელიგიური რწმენის თავისუფლებისა და ეკლესიების და რელიგიური გაერთიანებების შესახებ №308/1991 Zb. აქტი იღებს და ავსებს კონსტიტუციის 24-ე პარაგრაფის პირობებს. ამ აქტის შესაბამისად, რელიგიური აღმსარებლობა მიზეზი არაა იმისათვის, რომ შეიზღუდოს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლება და უფლებები, განსაკუთრებით, განათლების, სამუშაოს არჩევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. ასევე მორწმუნეებს აქვთ უფლება, რელიგიური მოთხოვნების შესაბამისად იდღესასწაულონ და მსახურებით აღნიშნონ თავიანთი დღესასწაულები ზოგადი სამართლებრივი ნორმების ფარგლებში.

დღეისათვის სლოვაკეთის რესპუბლიკას აქვს ხუთი ეროვნული დღესასწაული, რომელთაგან ერთი არის რელიგიური ხასიათის – წმ. კირილისა და მეთოდის ხსენების დღე (5 ივლისი). არსებობს 11 დასვენების დღე, რომელთაგან ცხრა არის რელიგიური ხასიათის – უფლის გამოცხადების დღე, ვნების კვირის პარასკევი, აღდგომის კვირა-ორშაბათი, სლოვაკეთის მფარველის დღე, ყოველთა წმინდანთა დღე, შობის წინა დღე, შობის დღესასწაული და მისი მეორე დღე. ხსენების დღეები – 9 სექტემბერი, რასისტული ძალადობისა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსენების დღე, 31 ოქტომბერი – რეფორმაციის დღე და 30 დეკემბერი – სლოვაკეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

სრ-სა და ვატიკანს შორის დადებულ ძირითად ხელშეკრულებაში სრ აცხადებს, რომ პატივს სცემს და აღიარებს დასვენების დღედ კვირა დღეს, 1 იანვარს (არის სრ-ის დაარსების აღსანიშნავი ეროვნული დღესასწაული), ღვთისმშობლის დღეს, უფლის წინადაცვეთის დღეს, ბასილი დიდის ხსენების დღეს და ზემოაღნიშნულ წმინდა დღეებს.

სლოვაკეთის რესპუბლიკის კანონით გაცხადებულმა უფლებებმა და თავისუფლებებმა დაცვა უნდა პოვოს ზოგადი მართლმსაჯულების სფეროში, მათ შორის ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში ან საკონსტიტუციო სასამართლოში. თუკი ეს საშუალებები ამონურულია, შესაძლებელია მიმართონ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში.

სლოვაკეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, კომპეტენციის აქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს სახელმწიფო ადმინისტრირებას ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სფეროში.

IV. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი

რაც შეეხება ეკლესიებთან ურთიერთობას, სლოვაკეთის რესპუბლიკა აღიარებს მათ, როგორც უნიკალური საზოგადოებრივი და სახელმწიფო-სამართლებრივი ერთეულის, სოციალურ-სამართლებრივ სტატუსს და თანამშრომლობს მათთან პარტნიორობის პრინციპების შესაბამისად. ამაზე მეტყველებს მთავრობის პოლიტიკა. იგი ფინანსურად ეხმარება რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს საქველმოქმედო საქმიანობაში, იძლევა მათი სამართლებრივი სტატუსის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ფუნქციონირების გარანტიას; განიხილავს მათ, როგორც ზნეობრივი პოტენციალის შეუცვლელ ინსტიტუტებს, რომელთაგანაც ელის დახმარებას საზოგადოების ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. ეკლესიას იგი აღიქვამს, როგორც სახელმწიფოს სოციალური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს და საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი შეგნების ჩამომყალიბებელ ძირითად ფაქტორს. სრ-სა და ეკლესიების ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პარიტეტული.

ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები განსაკუთრებული ტიპის სამართლებრივი ერთეულებია, რომელთაც აქვს სპეციალური სტატუსისთვის (კონსტიტუციის 24-ე პარაგრაფის შესაბამისად) დამახასიათებელი კონსტიტუციით მინიჭებული სხვადასხვა უფლება. ამ უფლებებს შორის შეიძლება გამოვყოთ: ხელშეუხებლობა, ქონების დაცვა, პეტიციის უფლება, შეკრებისა და გაერთიანების უფლება, სასამართლოს უფლება და სხვა სამართლებრივი დაცვის უფლებები.

ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების №308/1991 Zb. აქტი განიხილავს ეკლესიად ან

რელიგიურ გაერთიანებად იდენტიური აღმსარებლობის ადამიანების ორგანიზაციად გაერთიანებას, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი სტრუქტურა, შიდაგანანესი და მსახურება. ისინი იურიდიული პირებია და შეუძლია გაერთიანება. მათ შეუძლია საზოგადოებების, ასოციაციების და მსგავსი დაწესებულებების შექმნა.

სახელმწიფო ცნობს მხოლოდ რეგისტრირებულ ეკლესიებს და რელიგიურ გაერთიანებებს. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის შესახებ №192/1992 Zb. აქტის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოა სრ-ის კულტურის სამინისტრო. ეკლესიამ ან რელიგიურმა ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენლობაში შედის სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, სულ მცირე, 20,000 ზრდასრული პირი. თავისი დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია კულტურის სამინისტრომ უნდა გადასცეს სრ-ის სტატისტიკის ბიუროს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

ამ მოთხოვნებთან ერთად რეგისტრაციისთვის აუცილებელია განცხადება, რომელშიც განმცხადებელი ეკლესია ან რელიგიური გაერთიანება აღიარებს კანონისა და სამართლებრივი ნორმების სრულ პატივისცემას და სხვა ეკლესიების, რელიგიური გაერთიანებების და სარწმუნოების არმქონე ადამიანების პატივისცემას. თუ განმცხადებელმა მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე, უფლება აქვს, გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სრ-ის უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 60 დღეში.

აქტის შესაბამისად, კულტურის სამინისტრო კურირებს ეკლესიების, რელიგიური გაერთიანებების და იმ იურიდიული პირების რეგისტრაციას, რომლებიც განაცალკევებენ მათ სამართლებრივ სტატუსს ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისგან, ვინაიდან ისინი არ ექვემდებარება სხვა რეგისტრაციას. თუკი ეკლესია ან რელიგიური გაერთიანება მოქმედებს ამ აქტის ან რეგისტრირების პირობების საპირისპიროდ, კულტურის სამინისტრო ვალდებულია მიიღოს ზომები და გააუქმოს რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაშიც არსებობს შესაძლებლობა, გადაწყვეტილება გასაჩივრდეს სრ-ის უზენაეს სასამართლოში.

რეგისტრირებული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების უმეტესობა არ ასრულებს წევრობის პირობებს. ისინი რეგისტრირებული იყვნენ აქტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ის ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც უკვე ახორციელებდნენ თავიანთ საქმიანობას ან აქტის მიხედვით, ან სახელმწიფოს თანხმობის საფუძველზე, იმ დროისათვის როცა აქტი ძალაში შევიდა, ისინი ითვლებოდა რეგისტრირებულად. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების უმეტესობა სრ-ში საქმიანობს სწორედ ამგვარი “რეგისტრაციის” საფუძველზე.

მას შემდეგ, რაც ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების აქტი ძალაში შევიდა, მხოლოდ ერთმა რელიგიურმა საზოგადოებამ გაიარა რეგისტრაცია, რადგან აკმაყოფილებდა წევრობის კრიტერიუმებს. ეს იყო რელიგიური გაერთიანება იელოვას მონაწილეები, რომლის რეგისტრაციაც მოხდა 1993 წელს. სანამ ძალაში შევიდოდა №308/1991 Zb. აქტი, ახალმა სამოციქულო ეკლესიამ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები სრ-ის ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად. მისი რეგისტრაცია მოხდა 2001 წლის სექტემბერში და ამიტომ იგი არ შევიდა 2001 წლის მაისის აღწერაში.

2003 წლის 12 ოქტომბრისთვის სლოვაკეთის რესპუბლიკაში რეგისტრაცია გაიარა შემდეგმა ეკლესიებმა:

- სამოციქულო ეკლესია სლოვაკეთში;
- ბაპტისტთა ძმობის კავშირი სლოვაკეთის რესპუბლიკაში;
- მეშვიდე დღის ადვენტიტთა ეკლესია, სლოვაკეთის ასოციაცია;
- "ძმთა" ეკლესია სლოვაკეთის რესპუბლიკაში;
- ჩეხოსლოვაკიის ჰუსიტთა ეკლესია სლოვაკეთში;
- აუგსბურგის კონფესიის პროტესტანტული ეკლესია სლოვაკეთში;
- პროტესტანტულ-მეთოდისტური ეკლესია სლოვაკიის ტერიტორიაზე;
- ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია სლოვაკეთის რესპუბლიკაში;
- ქრისტიანული კონგრეგაციები სლოვაკეთში;
- იელოვას მონაწილე რელიგიური გაერთიანება;
- ახალი სამოციქულო ეკლესია სლოვაკეთის რესპუბლიკაში;
- მართლმადიდებელი ეკლესია სლოვაკეთში;
- რეფორმისტული ქრისტიანული ეკლესია სლოვაკეთში;

- რომაულ-კათოლიკური ეკლესია სლოვაკეთში;
- ძველი კათოლიკური ეკლესია;
- ებრაელ რელიგიურ გაერთიანებათა ცენტრალური კავშირი სლოვაკეთის რესპუბლიკაში.

სხვა ფუნქციების გარდა, ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლია აღასრულოს სულიერი და მატერიალური სამსახური, ასწავლოს რელიგია, მისცეს განათლება თავიანთ სასულიერო პირებსა და საერო თანამშრომლებს საკუთარ სკოლებში, თეოლოგიურ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, ჩაატაროს შეკრებები წინასწარი თანხმობის გარეშე. მათ უფლება აქვთ საკუთრებაში ჰქონდეთ მოძრავი და უძრავი ქონება. ჰქონდეთ ქონებრივი უფლებები, დააარსონ და ამუშაონ სპეციალიზებული ობიექტები, პრესა, გამომცემლობა და სტამბა, შექმნან და მართონ საკუთარი კულტურული დაწესებულებები და ობიექტები, ასევე ობიექტები ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის სფეროში, უზრუნველყონ ეს მომსახურება სახელმწიფო დაწესებულებებში სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ გაგზავნონ წარმომადგენლები საზღვარგარეთ და მიიღონ საზღვარგარეთიდან ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები.

ვატიკანთან დადებული ძირითადი ხელშეკრულების და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებთან დადებული შეთანხმების საფუძველზე სლოვაკეთის რესპუბლიკა იძლევა იმ წმ. ქალაქებისა და კათედრალის ხელშეუხებლობის გარანტიას, რომლებიც იმართება საეკლესიო სამართლისა და ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების შიდა დირექტივების საფუძველზე. წმინდა ადგილების ხელშეუხებლობის საკითხში გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრებისთვის საშიშ მოვლენასთან.

მორწმუნეებს უფლება აქვთ აირჩიონ საეკლესიო ან მონასტრული ცხოვრების სტილი და მიიღონ გაერთიანებებში, რელიგიურ ორდენებსა და მსგავს საძმობებში ცხოვრების გადაწყვეტილება.

სლოვაკეთის საზოგადოება დადგა ახალი და არატრადიციული რელიგიების მოძრაობათა ფენომენის წინაშე, განსაკუთრებით 1989 წლიდან, როდესაც დაინგრა ყოფილი რეჟიმი და საზღვრების გახსნამ გამოიწვია, ერთი მხრივ, სასულიერო საკითხების მიმართ დიდი ინტერესი და მეორე მხრივ, სლოვაკეთში შემოვიდნენ ახალი სასულიერო მოძრაობების მისიონერები და პროპაგანდისტები. ამის შედეგად სლოვაკეთის სასულიერო სფეროში გამოიკვეთა 200-ზე მეტი

ახალი და არატრადიციული რელიგიური გაერთიანება და მოძრაობა. ყველაზე მეტად მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: უკანასკნელი დღის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია (მორმონები), Zazen International Slovakia, საინტოლოგიური ეკლესია, კრიშნას მიმდევართა გაერთიანება სლოვაკეთში და სხვა გაერთიანებები, რომლებიც დამყარებულია ქრისტიანობაზე, ბუდიზმზე, ინდუიზმსა და ეზოთერულ საფუძვლებზე. დღეისათვის ნევრთა მოთხოვნილი რიცხვის მიღწევა შესაძლოა გახდეს საფუძველი იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანება.

V. ეკლესიები და კულტურა

კონსტიტუციის 23-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები “უზრუნველყოფს რელიგიურ განათლებას”. №308/1991 Zb. აქტის თანახმად, მორწმუნეებს უფლება აქვთ აიმაღლონ სულიერება ან ასწავლონ რელიგია მას შემდეგ, რაც აღასრულებენ ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების შიდა დირექტივებს და ძირითად სამართლებრივ ნორმებს. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი რეგულირებულია სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულებით და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებთან დადებული შეთანხმებით, ამასთან ორივე მათგანი საჭიროებს სამომავლოდ დეტალურ რეგულირებას ცალკეულ ხელშეკრულებებში. რელიგიური სწავლების უფლება დაწყებით და საშუალო სკოლებში დადგენილია №29/1984 Zb. აქტით. რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს უფლება ეძლევა, რელიგიური განათლებით უზრუნველყოს სრ-ის საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ყველა სკოლა და მისი ობიექტი. რელიგიის მასწავლებელს აქვს იგივე სამართლებრივი სტატუსი, როგორც სხვა საგნის მასწავლებელს, მაგრამ მისი საქმიანობის აუცილებელი პირობაა, ჰქონდეს შესაბამისი რეგისტრირებული ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების ნებართვა. თხუთმეტ წლამდე ბავშვების რელიგიური განათლების საკითხს წყვეტს მშობელი ან ბავშვის მეურვე. ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, დააარსოს და მართოს დაწყებითი და საშუალო სკოლები, უნივერსიტეტები და სხვა სასწავლო ობიექტები. საეკლესიო სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებს აქვს იგივე სტატუსი, როგორც სახელმწიფო სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებს. ისინი სრ-ის განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სლოვაკეთის რესპუბლიკა აღიარებს ასეთი სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ სერტიფიკატს და თვლის მას სახელმწიფო სკოლის მიერ გაცემული სერტიფიკატის თანასწორად. იგივე ეხება აკადემიური ხარისხის სერტიფიკატებს.

საეკლესიო სკოლების დაარსება სლოვაკეთში დაიწყო 1989 წლის შემდეგ სულ მალე, მაგრამ ახლად დაარსებული სკოლების რიცხვი თანდათან იკლებს. მიუხედავად ამისა, განათლების სფეროში კვლევების შედეგად ისინი პირველ ადგილზეა მოთხოვნის თვალსაზრისით. არსებობს უდიდესი ინტერესი განსაკუთრებით საეკლესიო დამწყები და საშუალო სკოლების მიმართ. დღეისათვის სლოვაკეთში არსებობს კათოლიკური უნივერსიტეტი, 45 საეკლესიო სკოლა, 11 საეკლესიო საშუალო ტექნიკური სკოლა, N5 საეკლესიო საშუალო ტექნიკური ტრენინგის სკოლა, 103 საეკლესიო დამწყები სკოლა და 18 საეკლესიო საბავშვო ბაღი. სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულება ამ სკოლების მოსწავლეების მიმართ ისეთივეა, როგორც სახელმწიფო სკოლების მოსწავლეების მიმართ.

თეოლოგიური კოლეჯები რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილს შეადგენს. ესენია: რომაულ-კათოლიკური, პროტესტანტული, მართლმადიდებლური და ბერძნულ-კათოლიკური. ასევე დაარსებულია თეოლოგიური ინსტიტუტები და სემინარიები. აუცილებელი პირობა ამ დანესებულებებში სწავლებისთვის არის *Missio canonica* ან საეკლესიო კომისია. თეოლოგიური კოლეჯებისა და კონფესიური უნივერსიტეტების შიდა ინსტრუქციები დამტკიცებულია აკადემიური სენატის მიერ, მას შემდეგ, რაც მათ წარადგენს შესაბამისი ეკლესია ან რელიგიური გაერთიანება. № 131/2002 Z. z. აქტი განსაზღვრავს, მისი რომელი პარაგრაფი გამოიყენება “პროპორციულად” კონფესიური უნივერსიტეტებისა და თეოლოგიური კოლეჯების მიმართ. ამ აქტის შესაბამისია უნივერსიტეტის აქტის 22-ე პარაგრაფი. იგი ეხება აკადემიურ უფლებებსა და თავისუფლებას, ფაკულტეტების დაარსებას, აკადემიურ თვითმმართველობას და მის კომპეტენციას, რექტორებს, დეკანებს, მისაღებ პროცედურას და დისციპლინას, სტუდენტთა და პედაგოგთა უფლება-მოვალეობებს, სამეცნიერო და აკადემიურ საბჭოს და საზოგადოებრივი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მართვის კომპეტენციას.

2000 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ დააარსა კათოლიკური უნივერსიტეტი რუზომბეროკში⁵⁷⁵. მისი შენახვის ხარჯები თავის თავზე აიღო სახელმწიფომ. იგი დააარსა სლოვაკეთის ეპისკოპოსთა კონფერენციამ. კათოლიკური უნივერსიტეტში არის ხელოვნების, განათლების და საღვთისმეტყველო ფაკულტეტები (კოსიციში).

დამატებით არსებობს პასტორული ცენტრები, რომლებიც ემსახურება სტუდენტებს საუნივერსიტეტო ქალაქებში. მათ სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს კათოლიკური ეკლესია. სხვა ეკლესიები ძირითადად ნიშნავენ სტუდენტ-კაპელანებს სტუდენტებთან პასტორული საქმიანობისთვის.

575 დაფუძნებულია რუზომბეროკში კათოლიკური უნივერსიტეტის დაარსების შესახებ № 167/2000 Z. z. აქტის საფუძველზე.

ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვს გამოიყენოს საზოგადოებრივი ტელე-რადიომაუწყებლობა. სლოვაკეთის ტელევიზიასა და რადიოში მაუწყებლობის დაახლოებით 3% ეთმობა რელიგიურ პროგრამებს. რელიგიური მაუწყებლობა არ შეიძლება შეწყდეს კომერციული მიზნით. რელიგიურ პროგრამებს ქმნის სლოვაკეთის რადიოს რელიგიური მაუწყებლობის ფჯუფი და სლოვაკეთის ტელევიზიის სასულიერო პროგრამების ცენტრი. კათოლიკური ეკლესია ფლობს და ამუშავებს რადიო "Lumen"-ს და ვიდეოსტუდია "LUX Communication"-ს. ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს აქვთ საგამომცემლო სახლები. მათგან ყველაზე ძველია კათოლიკური გამომცემლობის სახლი "St Vojtech Fraternity" და პროტესტანტული "Tranoscius". დღეისათვის იყიდება ასზე მეტი სხვადასხვა რელიგიური პერიოდული გამოცემა.

ეკლესიის მფლობელობაში არსებული ქონების დაახლოებით 23% უძრავი ქონებაა. სლოვაკეთის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი – კულტურული ძვირფასეულობა – ასევე მის საკუთრებაშია.

2004 წლის 20 იანვარს სრ-ის ეროვნული საბჭო დათანხმდა კათოლიკური აღზრდისა და განათლების შესახებ ხელშეკრულების დადებას სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის (რეტიფიცირებულია 2004 წლის 4 ივნისს, ძალაში შევიდა 2004 წლის 9 ივლისს), ასევე – აღზრდისა და განათლების შესახებ ხელშეკრულებას სლოვაკეთის რესპუბლიკასა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის (ხელმოწერილია 2004 წლის 13 მაისს, იმავე დღეს, რა დღესაც ხელშეკრულება კათოლიკური აღზრდისა და განათლების შესახებ).

ამ დოკუმენტების თანახმად, რელიგიური სწავლება შემოდის სლოვაკეთის რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც ფაკულტატიური საგანი, რომლის ალტერნატივად მოიპოვება ეთიკა. რელიგიური სწავლებისთვის კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობაა თორმეტი, თუმცა რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს, წინასწარი შეთანხმებით, შეუძლია სხვადასხვა ასაკისა და აღმსარებლობის მოსწავლეთაგან შემდგარი კლასების ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, თუ კლასი არ შედგა, სკოლის დირექტორი ნებას რთავს სწავლება მოხდეს სხვა კონფესიების რელიგიური სწავლების ან ეთიკის სწავლების პერიოდში, ან გაკვეთილების დამთავრების შემდეგ. ხელშეკრულებით, სლოვაკეთის რესპუბლიკამ თავის თავზე აიღო რელიგიური სწავლების უზრუნველყოფა სკოლამდელ დაწესებულებებში. რელიგიური სწავლების პროგრამის ინსტრუქცია მტკიცდება შესაბამისი ეკლესიის მიერ მას შემდეგ, რაც სრ-ის განათლების სამინისტრო განიხილავს მას. სწავლებისთვის პროფესიულ

კვალიფიკაციასთან ერთად აუცილებელია *Missio canonica* ან ეკლესიის/რელიგიური გაერთიანების ნებართვა. იგივე მოეთხოვებათ თეოლოგიური საგნების პედაგოგებს უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში.

ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს საკუთარი სკოლების და ნებისმიერი ტიპის სასკოლო ობიექტების დაარსების და მართვის უფლება აქვს. სახელმწიფო იძლევა იმის გარანტიას, რომ არ მოითხოვს საეკლესიო სკოლებისგან ისეთი პროგრამების გამოყენებას, რომელიც არ შეესაბამება შესაბამისი ეკლესიის აღზრდისა და სწავლების ნორმებს.

ეკლესიები თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, რომ ძირითადი და ფაკულტატიური საგნების სწავლება იქნება იმავე ტიპის სახელმწიფო სკოლების სწავლების ეკვივალენტური. საეკლესიო სკოლების დაფინანსება უნდა იყოს ისეთივე, როგორც ჩვეულებრივ სკოლებში. ხელშეკრულების შესაბამისად, ეკლესიებს უფლება აქვს დააარსოს პედაგოგიური ან კატეხიზმის სწავლების ცენტრები, რათა უზრუნველყოს როგორც კვალიფიციური და მეთოდური სწავლება საეკლესიო სკოლებში, ისე ამ სკოლების პედაგოგებისა და სხვა პერსონალის პროფესიული ტრენინგი. სახელმწიფო თავის თავზე იღებს თეოლოგიური ფაკულტეტების მხარდაჭერას და ხელს არ უშლის პასტორული ცენტრების დაარსებასა და საქმიანობას. რელიგიური აღზრდისა და განათლების შესახებ სრ-სა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დადებული ხელშეკრულების მე-6 პარაგრაფი გვამცნობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ყველა მონაწილე ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების თანხმობა, ხელშეკრულებას შეიძლება შეუერთდეს სხვა რეგისტრირებული ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები. სლოვაკეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ რეგისტრირებულ ეკლესიას ან რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც არაა ხელშეკრულების მხარე, შეუძლია გამოთქვას სლოვაკეთის რესპუბლიკასთან მსგავსი ხელშეკრულების დადების სურვილი.

VI. შრომის კანონი ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებში

რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებში მუშაობს დაახლოებით 4,700 სასულიერო პირი და ექვსასზე მეტი სხვა თანამშრომელი. დასაქმების აქტი⁵⁷⁶ ათავისუფლებს ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს

576 მოგვიანებით შესწორებული დასაქმების აქტი № 387/1996 Z.z.

შეზღუდული შესაძლებლობებისა და გონებრივი ან სულიერი დეფექტების მქონე ადამიანების დასაქმების მოთხოვნისგან.

შრომის კოდექსის⁵⁷⁷ თანახმად, საეკლესიო სამუშაოს შესრულებისას, შრომითი ურთიერთობა ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს და მათ მუშაკებს შორის უნდა მყარდებოდეს დასაქმების კანონის საფუძველზე, ან ცალკეული დირექტივის, საერთაშორისო ხელშეკრულების, სრ-სა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დადებული ხელშეკრულების, ან ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების შიგა დირექტივების საფუძველზე. შრომის კოდექსის 52-ე პარაგრაფის თანახმად, სამუშაო დროის ფაქტორი და კოლექტიური შრომითი ურთიერთობა არ გამოიყენება ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მუშაკებისთვის საეკლესიო სამუშაოების შესრულებისას.

სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება ვატიკანს ექსკლუზიურ უფლებას აძლევს დააკომპლექტოს ეკლესიის მმართველობა საეკლესიო კანონის შესაბამისად, დამოუკიდებლად აარჩიოს საეპისკოპოსო კანდიდატები და მიიღოს მათი დანიშვნის, გადაყვანის, პენსიაზე გაშვებისა და გადაყენების გადაწყვეტილება. კათოლიკურ ეკლესიას ასევე აქვს ექსკლუზიური უფლება მიიღოს დანიშვნის, გადაყვანის, პენსიაზე გაშვებისა და გადაყენების გადაწყვეტილება ეკლესიის სხვა ოფისთან მიმართებაში ან დანიშვნა დაკავშირებული ეკლესიის სამოციქულო მისიასთან. სრ-სა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დადებული ხელშეკრულება უფლებას აძლევს ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს დააკომპლექტოს ეკლესიები თავიანთი შიდადირექტივების საფუძველზე. მათ უფლება აქვთ აირჩიონ და დანიშნონ, გადააყენონ თავიანთი წევრები ან შეზღუდონ მათი მსახურება.

შრომის კოდექსი ძალაშია და გამოიყენება ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც არ აღასრულებენ სასულიერო საქმიანობას, ან რომელთა მუშაობაც არ არის რეგულირებული ზემოხსენებული დირექტივებით. იგი ასევე ძალაშია ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც არ არის ცალკე რეგულირებული. დეტალები ინდივიდუალური მუშაკების სამუშაოზე აყვანის კონტრაქტშია განხილული. ამ შემთხვევაშიც დამქირავებელი, იურიდიული პირი, ისევე როგორც ყველა სხვა დამქირავებელი, მოქმედებს №308/1991 Zb. აქტის საფუძველზე.

577 მოგვიანებით შესწორებული შრომის კოდექსის პროექტის აქტი № 311/2001 Z.z.

VII. ეკლესია და კანონი ქორწინებისა და ოჯახის შესახებ.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში ქორწინება ტარდება მამაკაცისა და ქალის განცხადების საფუძველზე, სახელმწიფოს ან ეკლესიის, ან რელიგიური გაერთიანების უფლებამოსილი პირის წინაშე, თუ საეკლესიო ცერემონია სახალხოდ, ორი მონმის თანხლებით, ხდება, იგი უნდა ჩატარდეს შესაბამისი წესის თანახმად, სასულიერო პირის ან რელიგიური გაერთიანების შესაბამისი სასულიერო პირის მიერ. ოჯახის შესახებ №94/1963 Zb. აქტის შესაბამისად, ეკლესიის უფლებამოსილმა პირმა უნდა გადასცეს ქორწინების სერტიფიკატი შესაბამისი რაიონის სარეგისტრაციო განყოფილების წარმომადგენელს.

საეკლესიო კანონის თანახმად, ქორწინების საკითხები რეგულირებულია სრ-სა და ვატიკანს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულების მე-10 პარაგრაფით. თუ ქორწინება შედგა სრ-ის კანონში მოცემული ყველა პირობის შესაბამისად, მაშინ მას ისეთივე სამართლებრივი სტატუსი და ძალა აქვს, როგორც სრ-ის ტერიტორიაზე აღსრულებულ სამოქალაქო ქორწინებას. იგივე პირობაა მოცემული სრ-სა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დადებული ხელშეკრულების მე-10 პარაგრაფშიც.

VIII. ეკლესიების დაფინანსება

1989 წლის შემდგომ ახალმა კანონმდებლობამ საშუალება მისცა ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს, ჰქონდეს სრული შიდა თვითმმართველობა, თუმცა ეს არ გამოორიცხავს მათ ფინანსურ დამოკიდებულებას სახელმწიფოზე.

ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების ფინანსური პირობების შესახებ ცვლილებები შეტანილია №218/1949 Zb. აქტში. იგი გამოორიცხავს ეკლესიების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას და სახელმწიფო კონტროლს და გამოხატავს მზრუნველობით დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ ფინანსურ სფეროში. თავის დროზე ამ აქტის მიღებით კომუნისტურმა სახელმწიფომ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებზე გაავრცელა პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდირების უნიფიცირებული ფორმა. სუბსიდიას უნდა შეეცვალა ინდივიდუალურად დიფერენცირებული ტრადიციული შემოსავლის მთელი სპექტრი. 1948 წლის 25 თებერვალსა და 1949 წლის 1 ნოემბერს შორის პერიოდში, როცა №218/1949 Zb. აქტი ძალაში შევიდა, ეკლესიების შემოსავლიანი ქონების ძირითადი ნაწილი ნაციონალიზებული იყო, განსაკუთრებით მიწისა და აგრარული

რეფორმების შედეგად. ეკლესიის ქონების რესტიტუცია არის ერთ-ერთი პროცესი, რომელიც საშუალებას მისცემს ეკლესიებს, დაიწყოს ზრუნვა ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის.

სამონასტრო ორდენების და კონგრეგაციების და Olomouc საარქიეპისკოპოსოს ქონებრივი ურთიერთობის რეგულაციის შესახებ №298/1990 Zb ფედერალური აქტის საფუძველზე სამონასტრო ორდენებს და კონგრეგაციებს ქონების ნაწილი დაუბრუნდა.

სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 95 მონასტერია. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების ქონების მიმართ უსამართლო დამოკიდებულების შესარბილებლად № 282/1993 Z.z. აქტი რამდენიმე შემთხვევაში აღადგენს საკუთრების უფლებას. ეს ეხება უძრავ და მოძრავ ქონებას, რომელიც ჩამოერთვა ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილების, სამოქალაქო კანონისა და ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე 1938 წლის 2 ნოემბრიდან 1945 წლის 8 მაისამდე პერიოდს შორის, ხოლო ებრაული გაერთიანებების შემთხვევაში – 1990 წლის 1 იანვრამდე. აქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე უარის თქმა ათავისუფლებს პირს ადმინისტრაციული და სასამართლო გადასახადებისგან, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფს ასეთი უძრავი ქონების შესაბამისი ღირებულების (დაკავშირებულია გეოგრაფიულ მდებარეობასთან) კომპენსაციას. №282/1993 Z.z. ძირითადი აქტის შესწორებული ვარიანტი №97/2002 Z.z. აქტი დასაბრუნებელი ქონების ნუსხას ამატებს იმ ტყეებს, რომლებიც ნაციონალური პარკების ნაწილია.

დღეისათვის №218/1949 Zb. ძირითადი აქტისა და მისი შესწორებული №522/1992 Zb. აქტის საფუძველზე, ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მოთხოვნისამებრ, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები ფულადი სახსრებით სასულიერო პირთა ჯამაგირის გადასახდელად (მათ შორისაა სახსრები სოციალურ, ჯანდაცვის და დასაქმების სფეროში). ეს არ ეხება იმ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც პერსონალურად სარგებლობდა უპირატესობებით თავიანთი სამღვდლოებისთვის 1989 წლის 31 დეკემბრამდე. თექვსმეტი რეგისტრირებული ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებიდან ასეთია ოთხი⁵⁷⁸. სასულიერო პირთა ანაზღაურების დონე და კლასიფიკაცია რეგულირდება სრ-ის სამთავრობო დადგენილებით⁵⁷⁹.

578 იელოვას მონმეთა რელიგიური გაერთიანება, ქრისტიანული კონგრეგაციები, მეშვიდე დღის ადვენტიცისტა ეკლესია, ახალი სამოციქულო ეკლესია.

579 სრ-ის მთავრობის დადგენილება №578/1990 Zb. შესწორებული №187/1997 Z.z. მთავრობის დადგენილებით.

სახელმწიფოს თავისი წვლილი შეაქვს რეგისტრირებული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მმართველი ორგანოების საქმიანობაში. ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის სრ-ის ეროვნული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფინანსურ დახმარებას ხელმძღვანელობს სრ-ის კულტურის სამინისტრო. საეკლესიო დეპარტამენტის მეშვეობით იგი ყოველთვიურად გადასცემს დადგენილ თანხას თითოეული ეკლესიის მმართველ ორგანოს. ეროვნულ ბიუჯეტსაც თავისი წვლილი შეაქვს სლოვაკეთის კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და ევანგელისტური დიაკონიის დაფინანსებაში. სახელმწიფოს შეუძლია ფინანსური წვლილი (80%-მდე ღირებულების) შეიტანოს საეკლესიო კულტურული განძის დასაცავად ელექტრონული დაცვის მოწყობილობების დამონტაჟებაში.

გადასახადისგან განთავისუფლებულია ეკლესიის შემონირობები, ეკლესიის საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი, რეგისტრირებული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წევრთა რეგულარული შენატანები. სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების ჰუმანიტარული, საქველმოქმედო და რელიგიური მიზნისთვის განკუთვნილი საგნების ღირებულება შეიძლება გამოაკლონ პიროვნებებისა და იურიდიული პირების იმ შემოსავლს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. მიწა, რომელზეც მდებარეობს ის შენობები ან შენობათა ნაწილი, რელიგიური ცერემონიის შესასრულებლად რომ გამოიყენება და ის შენობები ან შენობათა ნაწილი, რომლებიც გამოიყენება ეკლესიის ადმინისტრაციის ოფისებად, განთავისუფლებულია მიწის გადასახადისგან. ასევე გადასახადს არ ექვემდებარება მიწა, რომელზეც არის სასაფლაო. ის შენობები ან შენობათა ნაწილი, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური ცერემონიების შესასრულებლად და ის შენობები ან შენობათა ნაწილი, რომლებიც გამოიყენება ეკლესიის ადმინისტრაციის ოფისებად, განთავისუფლებულია გადასახადისგან, რომელიც დანესებულია შენობებზე (შენობის გადასახადი). მემკვიდრეობა და ნაჩუქრობა, რომელთაც იყენებს რეგისტრირებული ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები⁵⁸⁰ გაფართოებისა და განვითარებისთვის, განთავისუფლებულია მემკვიდრეობაზე დანესებული გადასახადისგან (მემკვიდრეობის გადასახადი). №17/1994 Z.z. დადგენილების შესაბამისად, ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის განკუთვნილი რელიგიური საგნები და ნაჩუქრები განთავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან.

580 საშემოსავლო გადასახადის აქტი №366/1999 Z.z., უძრავი ქონების გადასახადის აქტი №317/1992 Zb., მემკვიდრეობის გადასახადის აქტი №318/1992 Zb., ნაჩუქრობის გადასახადი და ტრანსფერის გადასახადი და უძრავი ქონების ტრანსფერი.

საშემოსავლო გადასახადის შესახებ ბოლო შესწორებების გათვალისწინებით და №366/1999 Z.z. აქტის 48-ე პარაგრაფის საფუძველზე ყოველ გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო უწყების მეშვეობით, გადაურიცხოს თავისი საშემოსავლო გადასახადის 1%-ის ეკვივალენტი თანხა ერთ-ერთ განსაზღვრულ იურიდიულ პირს⁵⁸¹, რომელთა შორისაცაა ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სააგენტოები. ამასთან, ეკლესიებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა, ისევე როგორც მათ სტრუქტურაში არსებულმა იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციებმა, შეიძლება მოიპოვოს გრანტები და სუბსიდიები. ეკლესიებს შეუძლია გააკეთოს განაცხადი გრანტებზე, რომლებიც საჭიროა მათ მფლობელობაში არსებული კულტურული ღირსშესანიშნაობების დაცვისა და აღდგენისთვის, ასევე სოციალური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტებისთვის.

2000 წლიდან წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის ახალი მოდელის შესაქმნელად. 2001 წელს კულტურის სამინისტრომ წარმოადგინა ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის ანგარიში. ამ ანგარიშში შენარჩუნებულია არსებული მოდელის ძირითადი ელემენტები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ფინანსური უზრუნველყოფისას გათვალისწინებულია თითოეული ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების წევრთა რაოდენობა და საქმიანობის სპეციფიკური პირობები, მათი სიდიდის შესაბამისად. ანგარიშმა გაიარა საკანონმდებლო პროცესი სრ-ის ეროვნული საბჭოს სხდომაზე განხილვამდე. მაგრამ იგი ამოიღეს დღის წესრიგიდან ერთ-ერთი დეპუტატის წინადადებით და დღემდე არ განუხილავთ. როგორც ჩანს, ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების ფართო კონსენსუსი კვლავ არ შედგება.

IX. რელიგიური დახმარება საჯარო ინსტიტუტებში

რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და ეკლესიების და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის №308/1991 Zb. აქტის მე-9 პარაგრაფის შესაბამისად, პიროვნებებს, რომლებიც აღასრულებენ სასულიერო საქმიანობას, უფლება აქვთ

581 რეგისტრირებული ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები, მომსახურების საშუალებების გარდა, მოიცავს სამოქალაქო ასოციაციებს, ფონდებს, არასაინვესტიციო ფონდებს, არამომგებიან ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მომგებიან საქმიანობასაც, საერთაშორისო ელემენტების მქონე ორგანიზაციებს და სლოვაკეთის წითელ ჯვარს.

ჩამოაყალიბონ საზოგადოების სოციალური მზრუნველობის, ჯანმრთელობისა და ბავშვთა სახლები. მათ ასევე უფლება აქვთ ითანამშრომლონ თავდაცვის ძალებთან, გამოიჩინონ მზრუნველობა და ჩაატარონ აღმზრდელობითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ასეთ დაწესებულებებში ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეზიაროს სულიერ ცხოვრებას, აირჩიოს მოძღვარი, აირჩიოს და იქონიოს სასულიერო და რელიგიური ლიტერატურა.

სამხედრო სამსახურის №370/1997 Z.z. აქტის შესაბამისად, ჯარისკაცს უფლება აქვს სამხედრო ბაზაზე თავისუფალ დროს მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალში. 1994 წლიდან სრ-ის არმიაში ფუნქციონირებს სამხედრო კაპელანის ინსტიტუტი. სრ-ის თავდაცვის სამინისტროს 1995 წლის ბრძანების საფუძველზე ამ სამინისტროსთან დაარსდა სამხედრო კაპელანების ოფისი. ოფისი თავდაცვის სამინისტროს პირდაპირ დაქვემდებარებაშია. ესაა რელიგიურ სფეროში თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი სპეციალიზებული ორგანო და ამავე დროს, სამხედრო და სასულიერო მსახურების აღმასრულებელი ორგანო. სრ-ის არმიის გენერალური შტაბის სამხედრო Deanery არის ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც ევალება სრ-ის არმიის ნევრთა სულიერ და რელიგიურ მოთხოვნებზე ზრუნვა. სასულიერო და რელიგიური საქმიანობის დეტალები, მათი ორგანიზება და აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პირობები საჯარისო კორპუსებსა და სამხედრო სკოლებში და კაპელანთა მოვალეობები რეგულირდება სრ-ის თავდაცვის სამინისტროს შიდა დირექტივებით. სასულიერო მსახურებას აღასრულებენ იმ რელიგიური კონფესიის სამხედრო კაპელანები, რომელსაც ჰყავს ყველაზე მეტი ნევრი შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო სტრუქტურებში. ასეთია ძირითადად კათოლიკური და აუგსბურგის კონფესიის ეკლესიები.

2002 წელს დაარსდა პოლიციის კაპელანთა ოფისი დირექტორის ხელმძღვანელობით, იგი პირდაპირ ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს. ოფისი უზრუნველყოფს პოლიციელებსა და მათ ოჯახებს ინდივიდუალური და კოლექტიური სასულიერო და ლიტურგიკული სამსახურით.

შეიარაღებულ ძალებში კათოლიკე მორწმუნეთათვის სასულიერო მომსახურების შესახებ სრ-სა და ვატიკანს შორის დადებული №648/2002 Z.z. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2002 წლის 27 ნოემბერს⁵⁸². ხელშეკრულების საფუძველზე სრ-ის შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო ორგანოებში დაარსდა ორდინარიატები

582 სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოახდინა 2002 წლის 11 ოქტომბრის ხელშეკრულების რატიფიცირება, ხოლო რატიფიცირების დოკუმენტების გაცვლა მოხდა 2002 წლის 28 ოქტომბერს.

ეპარქიების დონეზე და ორდინარები (საეკლესიო მსახურების ზედამხედველები) – მღვდელმთავრის დონეზე⁵⁸³. ხელშეკრულება არეგულირებს სასულიერო მსახურების საკითხებს სრ-ის შეიარაღებულ ძალებში, პოლიციის ორგანოებში, ციხეებისა და სასამართლოს დაცვის ორგანოებში, ასევე რკინიგზის პოლიციაში მომუშავე კათოლიკეებისთვის. მსგავსი ხელშეკრულება მომზადებულია სხვა რეგისტრირებული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვისაც.

ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვს დააარსოს და უხელმძღვანელოს ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების დაწესებულებებს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ დაწესებულებებში მსახურების უზრუნველყოფაში. რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის აქტი უფლებას აძლევს სასულიერო საქმიანობის აღმასრულებელ პირს, ჩამოაყალიბოს საზოგადოების სოციალური მზრუნველობის, ჯანმრთელობისა და ბავშვთა სახლები. ეს საკითხები რეგულირდება სრ-სა და ვატიკანს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულებითა და სრ-სა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დადებული ხელშეკრულებით. ზემოხსენებული ხელშეკრულებები აფართოებს და ხელს უწყობს სასულიერო პირთა კავშირს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში მყოფ პირებთან და ნარკომანებთან, რომლებიც გადიან მკურნალობის და რეაბილიტაციის კურსს სახელმწიფო დაწესებულებებში. ამ დაწესებულებებში სასულიერო პირთა საქმიანობის პირობები დაკავშირებულია ზოგად სამართლებრივ ნორმებთან და თითოეული დაწესებულების სპეციფიკასთან, ამიტომ ისინი რეგულირდება ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

X. რელიგია და სისხლის სამართლის კანონმდებლობა

აქტი № 140/1961 Zb. ითვალისწინებს დანაშაულს ან კრიმინალურ აქტს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული რელიგიასთან ან მის გამოხატულებასთან. ის სანქციის სახით აწესებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით ან ჯარიმას იმ პირის მიმართ, რომელიც ძალადობით ან ძალადობრივი მუქარით, ან სხვაგვრად აიძულებს მეორე პირს, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ აქტში, ან ნებისმიერი ხერხით ხელს უშლის მეორე პირს

583 ორდინარიაცს გააჩნია კანონიკური და სახელმწიფო იურიდიული პირის სტატუსი, ორდინარი ინიშნება ვატიკანის მიერ, იგი არის სლოვაკეთის ეპისკოპოსთა კონფერენციის წევრი და ამავე დროს, შედის სრ-ის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

აღმსარებლობის თავისუფლებაში. რელიგიურ აქტად განიხილება ნებისმიერი აქტი ან ცერემონია, რომელიც დაკავშირებულია რწმენასთან, ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების კონფესიასთან, საღვთო მსახურებასთან, აღსარებასთან, ევქარისტიასთან და ა.შ. აღმსარებლობის თავისუფლად გამოვლენის შემაფერებელ მაგალითად ასევე შეიძლება მოვიყვანოთ რელიგიური ცერემონიის აღსრულებისთვის აუცილებელი საგნების დაზიანება ან განადგურება. აქტი ასევე ითვალისწინებს ძალადობას მოქალაქეთა ჯგუფის ან პირის მიმართ მათი აღმსარებლობის მიზეზით, ან იმ მიზეზით, რომ ისინი (ის) არ მიეკუთვნება არც ერთ რელიგიურ კონფესიას. დენომინაცია გულისხმობს აქტიურ ან პასიურ კავშირს რომელიმე განსაზღვრულ რელიგიასთან, იდეოლოგიას ან მსოფლმხედველობას წარმოდგენილს განსაზღვრული ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების მიერ. ძალადობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როცა პიროვნებას უმსხვრევენ მსოფლმხედველობას, ან როცა ადამიანთა ჯგუფი იკრიბება დანაშაულებრივი მიზნით. რელიგიური აზრის დევამაცია ეფუძნება საზოგადოებრივ დევამაციას – მოქალაქეთა ჯგუფის ლანძღვას და დამცირებას – მათი რელიგიური შეხედულების ან რელიგიური აღმსარებლობის არარსებობის გამო.

თავისუფლების აღკვეთის აქტი უკრძალავს მსჯავრდებულს იქონიოს ან შეიძინოს საბეჭდი მონყობილობები ან ნებისმიერი ნივთი, რომელიც გამოყენებული იქნება რელიგიური ტოლერანტობის წინააღმდეგ. ეს აქტი საშუალებას აძლევს საეკლესიო ორგანიზაციებს, მიიღონ კომპენსაცია. თავისუფლების აღკვეთის აქტი ადასტურებს მსჯავრდებულის უფლებას სასულიერო მომსახურებაზე. თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავისუფლების აღკვეთის მიზეზი და კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროებას.

XI. სასულიერო პირთა სამართლებრივი მდგომარეობა

არც ადმინისტრაციული და არც სამოქალაქო სამართალი არ ითვალისწინებს სასულიერო პირთა განსაკუთრებულ სტატუსს. ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცედურების შემთხვევაში მათი სტატუსი არაფრით განსხვავდება საერო (არასასულიერო) პირის სტატუსისგან. თუ მღვდელი მოქმედებს ეკლესიის იურიდიული ერთეულის სახელით, მაშინ მას კერძო იურიდიული პირის წარმომადგენლის სტატუსი აქვს. იგივე შეეხება სისხლის სამართლის სფეროს, აღსარების საიდუმლოს საკითხის გამოკლებით.

№308/1991 Zb. აქტის მე-8 პარაგრაფის თანახმად, სახელმწიფო უშვებს საიდუმლოს შენახვის ფიცს იმ პირებისათვის, რომლებიც აღასრულებენ სასულიერო საქმეს.

თითოეული მოქალაქის სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობის აქტის პირობა არ ეხება პირს, რომელიც იცავს აღმსარებლობის საიდუმლოს, განდობილს მისთვის ზეპირად ან წერილობით. სისხლის სამართლის კანონი №141/1961 Zb. უფლებას აძლევს მოწმედ წარდგენილ სამღვდლოების წარმომადგენელს, ამ მიზეზით უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. სისხლის სამართლის კანონის გარდა, აღსარების საიდუმლოს დაცვასა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების ხელშეუხებლობა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გარანტირებულია სრ-სა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულებითა და სრ-სა და რეგისტრირებულ ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

რელიგიური აღმსარებლობის და ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის №308/1991 Zb. აქტის თანახმად, ადამიანებს, რომლებიც აღასრულებენ სასულიერო საქმიანობას, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების მხრიდან ნებართვა, მათი შიდა დირექტივებისა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ეკლესიებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა უნდა უზრუნველყოს სამღვდლოების წარმომადგენელთა დასაქმება თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად. შიდა დადგენილებების შესაბამისად, ეკლესიები ნიშნავენ პირებს, რომლებიც აღასრულებენ სასულიერო საქმიანობას და რელიგიის პედაგოგებს სხვადასხვა თანამდებობაზე სხვადასხვა რაიონში.

შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო ორგანოებში კათოლიკე მორწმუნეთათვის სრ-სა და ვატიკანს შორის სასულიერო მომსახურების ხელშეკრულება გარანტიას აძლევს სამღვდლოებას, რომ მათი სულიერი სამსახური ჩაითვლება ეროვნული სამსახურის ტოლფასად. შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო ორგანოებში სამღვდლოებას ეძლევა არმიის ან პოლიციის ოფიცრის შესაბამისი ანაზღაურება თავიანთი წოდებისა და მსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად. სამღვდლოებისთვის ასევე გამოიყენება ისეთივე სოციალური შეღავათები, როგორც შეიარაღებული ძალების წევრებისთვის.

XII. სამოქალაქო საეკლესიო სამართლის განვითარების ზოგიერთი საკითხი

სლოვაკეთის რესპუბლიკასა და ეკლესიებს შორის ურთიერთობის საკითხი და ეკლესიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხშირად იკვეთება სლოვაკეთის პოლიტიკურ სცენაზე. ვატიკანთან დადებული ხელშეკრულების მიღების შემდეგ რეგისტრირებული ეკლესიები ჩართულია ეროვნული ბიუჯეტის მიღების თუ ორსულობის იძულებით შეწყვეტის ან აბორტის პრობლემების განხილვის

პროცესში. ლიბერალური და მემარცხენე ფრთის პარტიები ყველაზე ხშირად მოუწოდებენ ეკლესიას და სახელმწიფოს სრული განცალკევებისკენ.

უახლოეს მომავალში იგეგმება ორი ახალი ხელშეკრულების დადება სრ-სა და ვატიკანს შორის. ისინი ეხება სინდისის თავისუფლებისა და ფინანსურ საკითხებს. პირველ საკითხზე ხელშეკრულება ამჟამად განიხილება და მიმდინარეობს დებატები, ხოლო, რაც შეეხება ფინანსებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას, მსჯელობის საგანია, განიხილონ იგი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კანონპროექტის შესწორებამდე თუ შესწორების შემდეგ. სხვა რეგისტრირებულმა ეკლესიებმა და რელიგიურმა ორგანიზაციებმაც უნდა დადონ ამგვარი ხელშეკრულებები სლოვაკეთის რესპუბლიკასთან.

სახელმწიფოს ურთიერთობაში ახალ და არატრადიციულ რელიგიურ მოძრაობებთან წარმოიქმნა რამდენიმე სამართლებრივი პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია რეგისტრირებული ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის მოპოვებასთან. ახალი რელიგიური მიმდინარეობები დაინტერესებულნი არიან რეგისტრაციის მიღებით, მაგრამ არ ასრულებენ იურიდიულ პირობას წევრების რაოდენობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, საეკლესიო რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები მალე მიიპყრობს სახელმწიფო ორგანოების ყურადღებას.

XIII. ბიბლიოგრაფია

Cipár, Marián; Moravčíková, Michaela. Cirkvi a náboženské spoločnosti v zjednocujúcej sa Európe. In: Vznik a perspektívy politickej vedy na Slovensku. Trnava: Fakulta humanistiky Trnavskej univerzity v Trnave, 2002, p. 52-57, ISBN 80-89074-33-2.

Jozefčiaková, Silvia. Cirkvi a náboženské spoločnosti v Slovenskej republike. Bratislava: Ústav pre vzťahy štátu a cirkví, 2002, 93 p., ISBN 80-968559-7-2.

Moravčíková, Michaela, Cipár, Marián. Religiozita na Slovensku. In: Ročenka ústavu pre vzťahy štátu a cirkví 1997, Bratislava: Ústav pre vzťahy štátu a cirkví, 1998, p. 124-139, ISBN 80-968072-5-0.

Moravčíková, Michaela, Cipár, Marián. Religiozita na Slovensku II. Bratislava: Ústav pre vzťahy štátu a cirkví, 2003, 110 p., ISBN 80-89096-05-0.

Moravčíková, Michaela, Procedure of Declaration of Consent by the National Council of the Slovak Republic with the Principal Treaty between the Slovak Republic and the Holy See. In: Šmid, Marek, Vasil', Cyril (a cura) Relazioni internazionali giuridiche bilaterali tra la Santa Sede e gli stati: esperienze e prospettive. Città del Vaticano: Libreria Editrice Vaticana, 2003, p. 271-278, ISBN 88-209-7431-2.

Moravčíková, Michaela; Cipár, Marián. Cisárovi cisárovo. Ekonomické zabezpečenie cirkví a náboženských spoločností. Bratislava: Ústav pre vzťahy štátu a cirkví, 2001, 277 p., ISBN 80-968559-0-5.

Papastathis, Charalambos, K. L'Œuvre législative de la Mission cyrillo-méthodienne en Grande Moravie. Thessalonique: Association hellénique d'Études slaves, 1978. 142 p.

Potz, Richard; Schwarz, Karl; Synek, Eva Maria; Wieshaider, Wolfgang. Recht und Religion in Mittel- und Osteuropa. Band 1 Slowakei. Koordinatoren Mulík, Peter, Wieshaider, Wolfgang. Wien: WUV/Universitätverlag, 2001. 150 p. ISBN 3-85114-461-9.

Sčítanie obyvateľstva domov a bytov 2001. Základné údaje. Náboženské vyznanie obyvateľstva. Č. 600-0615/2001. Bratislava: Štatistický úrad Slovenskej republiky, 2001. 240 p.

Šmid, Marek. Svätá stolica ako osobitný subjekt medzinárodného práva: zmluvné vzťahy so štátmi. Štúdie a materiály. Zošit IX. Bratislava: Slovenská spoločnosť pre medzinárodné právo pri Slovenskej akadémii vied, 2003. 53 p.

სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში

I. სოციალური ფაქტები

საზოგადოდ რელიგიური დენომინაციებისთვის მიკუთვნების კრიტერიუმი გარკვეულწილად განსხვავდება თითოეული დენომინაციის ტრადიციების შესაბამისად. მაგალითად, ფინეთში უმრავლესი ქრისტიანული ეკლესიისთვის ეს კრიტერიუმი ნათლობაა. ეკლესიათა უმრავლესობა აღიარებს სხვა ეკლესიაში განხორციელებულ ნათლობის ფაქტს. ამრიგად, ერთი ეკლესიის მრევლიდან მეორე ეკლესიის მრევლში გადასვლისთვის საჭიროა მხოლოდ კონკრეტული პირის განცხადება და მის მიერ იმ საეკლესიო დოგმების აღიარება, რომლებსაც სთავაზობს ახალი რელიგიური საზოგადოება. უმცირესობათა კონფესიები, რომლებიც არ აღიარებენ ბავშვების ნათლობას (მაგ. ბაპტისტები და ორმოცდაათიანელთა რამდენიმე ეკლესია), მოითხოვენ მოზრდილთა ნათლობას, რაც განპირობებულია მისი წევრების რელიგიური აღმსარებლობით. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფინეთში გაიზარდა მუსლიმანთა რაოდენობა, მაგრამ თავდაპირველად მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოახერხა რეგისტრირებულ რელიგიურ დაჯგუფებად გაერთიანება. XXI საუკუნის დასაწყისიდან კი (2000 წელს 1,199 და 2001 წელს 2,104) მათი რაოდენობა აშკარად გაიზარდა.

2000 წლისთვის ფინეთში რეგისტრირებული რელიგიური კონფესიების წევრები წარმოდგენილი არიან შემდეგი სახით:

584 ნაწილები 1-2-ე, მე-5, მე-7, მე-9, 11-12-ე, ეკუთვნის მარკუ ჰაიკილას და ირაკი კნუშტილას, ნაწილები მე-3, მე-4, მე-6, მე-8, მე-10 მარტინ შაინინს.

		%
მთლიანი მოსახლეობა	5,181,115	100
ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია	4,408,381	85.1
სხვა ლუთერანული ეკლესიები	2,228	0
ფინეთის ბერძნულიმართლმადიდებლური ეკლესია	55,692	1.1
სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები	1,088	0
იელოვას მონაწილეები	18,492	0.4
ფინეთის თავისუფალი ეკლესია	13,474	0.3
მეშიდე დღის ადვენტიტები	4,316	0.1
რომაულ-კათოლიკური ეკლესია	7,247	0.1
ბოლო დღის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია	3,307	0.1
ბაპტიტების რელიგიური ძმობა	2,395	0
მეთოდისტური ეკლესია	1,260	0
ებრაელების რელიგიური ძმობა	1,157	0
ისლამური რელიგიური ძმობა	1,199	0
სხვები	920	0
პირები, რომლებიც არ ეკუთვნიან არც ერთ რელიგიურ გაერთიანებას	650,979	12.7

1980 და 2000 წლებში ლუთერანული ეკლესიის წევრების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა; მართალია, ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ მისი ფარდობითი წილი შემცირდა (1980 წელს 90.2% და 2000 წელს 85.1%). მართლმადიდებლური ეკლესია, იელოვას მონაწილეები და ფინეთის თავისუფალი ეკლესია იმ ეკლესიებს შორისაა, რომელთა წევრების რაოდენობაც გაიზარდა. კათოლიკური ეკლესიის წევრთა რაოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა (1980 წელს 3,051 და 2000 წელს 7,227), მაგრამ იგი ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი ჯგუფია. ორმოცდაათიანელთა რელიგიური გაერთიანების მორწმუნეთა რაოდენობა დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც მართლმადიდებლური ეკლესიის, თუმცა ორმოცდაათიანელთა ეკლესია არ არის რეგისტრირებული როგორც რელიგიური საზოგადოება. ამის გამო მის წევრებს სტატისტიკურ მონაცემებში აკუთვნებენ იმ პირებს, რომლებიც არც ერთ რელიგიურ საზოგადოებაში არ არიან გაერთიანებული. მათი საერთო რაოდენობა თითქმის გაორმაგდა (1980 წელს 372,640 და 2000 წელს 659,979).

585 ფინეთის სტატისტიკური ყოველწლიური 2002, გვ. 117-ე.

II. ისტორიული მონაცემები

ფინეთის უმეტესი ნაწილი შეუერთდა შვედეთს XII-XIII საუკუნეში და ამგვარად აღმოჩნდა დასავლეთის ქრისტიანობის გავლენის ქვეშ. მხოლოდ კარელიის ნაწილი დარჩა მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის სფეროში. შუა საუკუნეებში ფინეთში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ეკლესია ფლობდა როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ძალაუფლებას. ეკლესია იყო დამოუკიდებელი და უფრო მეტი ძალაუფლების მქონე კი, ვიდრე საერო ხელისუფლება; ტურკუს ეპისკოპოსი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული და გავლენიანი ადამიანი იყო.

რეფორმაციამ, რომელიც 1530 წლიდან 1593 წლამდე გრძელდებოდა, ძლიერ შეასუსტა ეკლესიის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება შვედეთში და ეკლესია დაუქვემდებარა სახელმწიფო ხელისუფლებას. პაპის ნაცვლად მეფე გახდა ეკლესიის ხელმძღვანელი, ხოლო პროტესტანტული ეკლესია – ერთადერთი ეკლესია სამეფოში. საეკლესიო ყრილობა გადაიქცა სამეფო დაწესებულებად და ეკლესიის უძრავი ქონება გადავიდა სამეფო ოჯახის საკუთრებაში. ეპისკოპოსს ნიშნავდა მეფე და იგი სამეფოს ოფიციალურ პირს წარმოადგენდა.

XVII საუკუნეში, როცა შვედეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, ეკლესია გარდაიქმნა სახელმწიფო ეკლესიად და რელიგიური საქმიანობა საერო ხელისუფლების დაცვის ქვეშ მიმდინარეობდა. ასეთ ვითარებაში საეკლესიო დოგმებს ხელი უნდა შეეწყოს სოციალური წონასწორობის შენარჩუნებისათვის და გაემყარებინა სახელმწიფო ძალაუფლების იდეოლოგიური საფუძვლები. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა უცვლელი დარჩა XVIII საუკუნეში, იმ პერიოდამდე, ვიდრე შვედეთმა საბოლოოდ არ დაკარგა თავისი პოზიცია, როგორც მნიშვნელოვანმა და ანგარიშგასაწევმა ძალამ.

1686 წელს სამეფო ხელისუფლებამ მიიღო საეკლესიო კოდექსი, რომელიც ვრცელდებოდა სამეფოს ყველა სუბიექტზე; იგი ძალაში შევიდა მეფის განკარგულების მიხედვით, ისევე როგორც სხვადასხვა აქტი, რომლებიც ეხებოდა საეკლესიო მსახურებს და მათ საქმიანობას. XVIII საუკუნეში სამღვდლოება გახდა სამეფოს ოთხ ნოდებათაგან ერთ-ერთი, რამაც მას გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა.

1809 წლისთვის, როდესაც ფინეთი რუსეთის ნაწილი გახდა, ურთიერთობა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, ისევე როგორც საეკლესიო კოდექსი, რომელიც უკავშირდებოდა შვედეთის მმართველობის პერიოდს, შენარჩუნდა. სახელმწიფო ეკლესიამ (ლუთერანულმა) მართლმადიდებელი დიდი მთავრების მმართველობის პერიოდში ცვლილებები არ განიცადა. ფაქტობრივად ეს განპირობებული იყო ლუთერანული შეხედულებებით და დოქტრინით

ძალაუფლებაზე, რის გამოც პოლონეთში განვითარებული მოვლენებისაგან განსხვავებით რუსეთის მმართველობაში ფინეთის გადასვლა მშვიდობიანად განხორციელდა.

XIX საუკუნეში ლიბერალიზმმა და ახალმა თეოლოგიურმა მოძრაობებმა ხელი შეუწყო ეკლესიისა და საზოგადოების უაღრესად ახლო კავშირის შესუსტებას. 1869 წლის საეკლესიო კოდექსი (რომელიც გამიზნული იყო ფინეთის ლუთერანული ეკლესიისთვის) ეხებოდა მხოლოდ ლუთერანული კონფესიის წევრებს. 1869 წლის საეკლესიო კოდექსი განსაკუთრებულად მდიდარი იყო მასში წარმოდგენილი სამართლებრივი ტექსტების რაოდენობით. იყო მრავალი მცდელობა, დაებლოკათ ყველა შესაძლებლობა, რათა რუსეთის დიდ მთავარს არ მიეღო ისეთი დეკრეტები, რომლებიც გავლენას მოახდენდა ეკლესიის შიდა ორგანიზაციაზე. ჯერ კიდევ არ იყო შესაძლებელი, რეალობად ქცეულიყო რელიგიისთვის შეთავაზებული თავისუფლება, რადგან რუსეთში რელიგიის პოლიტიკასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო მართლმადიდებელ ქრისტიანებს არ ჰქონდათ უფლება, ეკლესიის იგნორირება მოეხდინათ. რეგენტი – რუსეთის დიდი მთავარი – პარლამენტის წინადადების შესაბამისად გამოსცემდა საეკლესიო კანონებს.

მხოლოდ საეკლესიო სინოდს ჰქონდა საეკლესიო კანონების ინიცირების უფლება. საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ უფლება, გავლენა მოეხდინათ კანონმდებლობის შინაარსზე. მათი როლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ წარმოდგენილი კანონის მიღებით ან უარყოფით. 1889 წლის კანონმა, რომელიც ეხებოდა დისიდენტებს, მოახდინა პროტესტანტული უმცირესობის პირველი ეკლესიების ლეგალიზება.

სახელმწიფოს კონფესიურმა ნეიტრალიტეტმა და რელიგიის თავისუფლებამ ხორცშესხმა პოვა დამოუკიდებელი ფინეთის 1919 წლის საკონსტიტუციო აქტში. რელიგიური თავისუფლების პრინციპები უფრო ზუსტად იყო ასახული რელიგიური თავისუფლების კანონში, რომელიც ძალაში შევიდა 1922 წელს. ამავე დროს, ლუთერანულ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს საჯარო კანონმდებლობაში, განსხვავებით სხვა რელიგიური საზოგადოებებისაგან, მინიჭებული ჰქონდა განსაკუთრებული სტატუსი. ეს უპირატესობა განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ეკუთვნოდა ამ ეროვნულ ეკლესიებს.

ეკლესიის, როგორც ერის მორალური შემაკავშირებლის, როლი მეორე მსოფლიო ომის დროს უმნიშვნელოვანესი გახდა. 1963 წელს საეკლესიო კოდექსში განხორციელებული ცვლილება ეხებოდა მხოლოდ კოდიფიკაციას, მაგრამ პარალელურმა მსჯელობამ ეკლესიის პოლიტიკაზე გამოიწვია ეკლესიის ადმინისტრაციული სტრუქტურის ცვლილება, რაც განპირობებული იყო იმ მოტივით, რომ იგი შესაბამისობაში მოსულიყო დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან.

როგორც პოლიტიკის, ისე ეკლესიის სფეროში, დღეს დიდი დამოუკიდებლობაა, ერთი მხრივ, ეკლესიის და მეორე მხრივ – სახელმწიფოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, 1993 წელს ლუთერანული ეკლესიის კანონი დაიყო ორ ნაწილად. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული საეკლესიო კოდექსი არეგულირებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას, მაშინ, როდესაც საეკლესიო დირექტივა, რომელიც ძალაში შევიდა ეკლესიის მიერ, არეგულირებდა თავად ეკლესიას, მის დოქტრინასა და ცხოვრებას.

ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანულმა ეკლესიამ, რომლის წევრია ფინეთის მოსახლეობის უმრავლესობა, ადრევე იზრუნა ფინეთის ძირითადი მოსახლეობის დარეგისტრირებაზე. 1998 წლიდან ფინეთის მოქალაქეების ძირითადი ნაწილის რეგისტრაციის პასუხისმგებლობაზე სახელმწიფო ზრუნავდა. ახლა ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია თვალყურს ადევნებს თავისი მოსახლეობის რეგისტრაციას. მას შეუძლია გააფორმოს სამოქალაქო ქორწინება და გასცეს ქორწინების სერტიფიკატი ეკლესიის მრევლზე.

1997–2000წწ.-ში ფინეთის სახელმწიფოსა და ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიას შორის ურთიერთობამ რიგი ცვლილებები განიცადა. ამ პერიოდის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა ახალ ურთიერთობას სახელმწიფოს, ეპისკოპოსებსა და საკათედრო ტაძარს შორის. ამან ბოლო მოუღო XVI საუკუნიდან მოყოლებულ ძველ ტრადიციას. ეპისკოპოსის – სახელმწიფო ოფიციალური პირის – სტატუსი საეკლესიო მსახურით შეიცვალა. როგორც ამ ფაქტის გამოვლინება, არჩეული ეპისკოპოსები აღარ სახელდებიან სახელმწიფოს ხელმძღვანელის, ფინეთის პრეზიდენტის მიერ. ამის ნაცვლად ეპისკოპოსებს ირჩევს და საეპისკოპოსო წოდებაზე დანიშვნის თაობაზე ოფიციალურ წერილს გასცემს საკათედრო ტაძარი. გარდა ამისა, ამჟამად ეპისკოპოსების ხელფასებზე და საკათედრო ტაძრის დაფინანსებაზე პასუხისმგებელია არა სახელმწიფო, არამედ ეკლესია.

ფინეთის ახალი კონსტიტუცია მიიღეს 1999 წელს. ამ კონსტიტუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული პიროვნების თავისუფლება. ამის გამო რელიგიის თავისუფლების კანონი განახლდა და 2003 წელს მიიღეს რელიგიური თავისუფლების ახალი კანონი. ეს კანონი სახელმწიფოსა და ეკლესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს განიხილავს. იგი ისწავფვის ყველა ქრისტიანული ეკლესიის და სხვა რელიგიური საზოგადოებების მეტი თანასწორუფლებიანობისკენ. ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის დომინანტური როლი შემცირდა. ამას ისიც მონიშნავს, რომ ლუთერანული რელიგიური განათლებისგან განთავისუფლების უფლების მიღებას აღარ სჭირდება იმ მოსწავლეთა ოჯახებიდან მოთხოვნა, რომლებიც არ არიან ფინეთის ევანგელისტური ეკლესიის წევრები, ისინი ავტომატურად თავისუფლდებიან სწავლებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც ოჯახი მოითხოვს მოსწავლისათვის ლუთერანული რელიგიის საკითხებში განათლების მიღებას. გარდა ამისა, მასწავლებლებს, რომლებიც ეკუთვნიან სხვა რელიგიებს, ნება ეძლევათ ასწავლონ ლუთერანული რელიგია. ყველა ქრისტიანული ეკლესიის და სხვა რელიგიური საზოგადოებების თანასწორობის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ეკლესიიდან ან რელიგიური საზოგადოებიდან ადვილად გამოსვლა.

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

ა) საკონსტიტუციო დებულებები

1995 წელს დაიწყო ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის პირობების გადამსინჯვის პროცესი, რაც განხორციელდა 1919 წლის საკონსტიტუციო აქტის ფარგლებში და კონსტიტუციის შემდგომი ერთიანი რეფორმით. პროცესი დასრულდა 2000 წელს, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა 1999 წლის კონსტიტუცია. რელიგიის თავისუფლების დებულებები ასახულია ფინეთის ახალი კონსტიტუციის მე-11⁵⁸⁶ ნაწილში.

მე-11 ნაწილი – რელიგიის და სინდისის თავისუფლება

ყველას აქვს რელიგიის და სინდისის თავისუფლება. რელიგიის და სინდისის თავისუფლება გულისხმობს რელიგიის აღიარებისა და შესაბამისი რიტუალების განხორციელების უფლებას, ასევე საკუთარი რწმენის გამოხატვის უფლებას და რელიგიური საზოგადოების წევრობის ან მასზე უარის თქმის უფლებას. არავინ არ არის ვალდებული, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღოს აღმსარებლობაში.

მე-11 ნაწილის შევსების თვალსაზრისით თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი პუნქტი მე-6 ნაწილში მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებას რელიგიური რწმენის ან შეხედულების საფუძველზე.

586 1999 წლის აქტი 731. ოუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული თარგმანი ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე შეგიძლიათ იხილოთ: <http://www.om.fi/74.htm>.

კონსტიტუციის ერთიანი რეფორმის ფარგლებში ოთხი ცალკეული დოკუმენტი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა საკონსტიტუციო სტატუსი, შეიცვალა ერთიანი კონსტიტუციით. იგი ნაწილობრივ განხორციელდა როგორც ამ სტრუქტურული ცვლილების შედეგი, ისე საზოგადოებაში არსებული ცვლილებების ასახვა. ლუთერანული ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის საკონსტიტუციო აღიარება ნაკლებად თვალშისაცემია კონსტიტუციაში, ვიდრე წინათ იყო, მიუხედავად ამისა, ორივე ტრადიციული და განსაკუთრებული – სტატუსი და კონსტიტუციურად დაცული ეკლესიის ავტონომია კვლავ ასახულია ახალი კონსტიტუციის 76-ე ნაწილში, რომელიც აცხადებს:

ნაწილი 76-ე – საეკლესიო აქტი

საეკლესიო აქტში მოცემულია ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ორგანიზების და მართვის დებულებები.

საეკლესიო აქტის გარკვეული დებულებები მართავენ სამართლებრივ პროცედურებს საეკლესიო აქტის (საეკლესიო კოდექსის) ძალაში შესვლის მიზნით, ასევე საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის უფლებას.

როგორც ძველი კონსტიტუციის ფარგლებში იყო, კონსტიტუციის მოცემული პუნქტი შეიცავს შუზღედვას კანონმდებლის სუვერენიტეტზე, იმ თვალსაზრისით, რომ საეკლესიო აქტის ცვლილების პროცედურას განსაზღვრავს თავად ეკლესია.

კონსტიტუციის 127(2)-ე ნაწილი გულისხმობს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლებას რელიგიურ-ეთიკური მოსაზრებებით:

აქტში მოცემულია დებულება, რომლის შესაბამისადაც სინდისის თავისუფლებიდან გამომდინარე შესაძლებელია უარის თქმა სამხედრო ძალებში სამსახურზე.

განხილული უფლების განხორციელება ხდება ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის აქტის შესაბამისად⁵⁸⁷.

1999 წლის კონსტიტუცია აღარ მოითხოვს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნოს ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსები⁵⁸⁸. ეს ცვლილება ასახავს სახელმწიფოს და ეკლესიის თანდათანობითი განცალკევების ზოგად ტენდენციებს.

587 1991 წლის აქტი 1723

588 1919 წლის საკონსტიტუციო აქტი შეადარეთ ნაწილს 87-ე

ბ) პარლამენტის სხვა აქტები

საეკლესიო აქტი⁵⁸⁹ ლუთერანული ეკლესიის “კონსტიტუციაა”. მეორე თავის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ ლუთერანული ეკლესიის გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეიტანოს წინადადება ცვლილებების შესახებ საეკლესიო აქტში, პრეზიდენტის და პარლამენტის როლი კი მხოლოდ ასამბლეის მიერ წარმოდგენილი წინადადებების მიღებასა თუ უარყოფაშია.

არსებობს აგრეთვე მართლმადიდებლურ ეკლესიასთან⁵⁹⁰ დაკავშირებული პარლამენტის ცალკე აქტი. ამ აქტის I ნაწილი წარმოადგენს ეკლესიის კონფესიის აღიარებას. მე-9 ნაწილის თანახმად, ფინეთის მთავრობა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უნდა აღიაროს უმაღლეს ხელისუფლებად.

ახალი კონსტიტუციის განხორციელების მიზნით რელიგიის თავისუფლების ახალი აქტი⁵⁹¹ ძალაში შევიდა რელიგიის თავისუფლების სფეროში, რომელიც ფორმულირებულია კონსტიტუციის მე-11 ნაწილში. იგი უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლების შემდგომ დაცვას და აყალიბებს სამართლებრივ სტრუქტურას რელიგიური საზოგადოებრიობის დაფუძნებისა და მოქმედებისთვის, ლუთერანული და სხვა ქრისტიანული ეკლესიების გამოკლებით, რომელთა სამართლებრივი ბაზა მოცემულია ზემოაღნიშნულ ცალკეულ კანონებში⁵⁹². რელიგიური საზოგადოება შეიძლება შეიქმნას ჯგუფის მიერ, რომელშიც შედის, სულ მცირე, 20 პირი, ხოლო პატენტების და რეგისტრაციის ეროვნული საბჭოს წინაშე დგას ამოცანა, მოახდინოს ამგვარი საზოგადოებების რეგისტრაცია⁵⁹³.

რელიგიის თავისუფლების აქტი არეგულირებს რელიგიურ საზოგადოებაში⁵⁹⁴ გაერთიანების ან გაერთიანებაზე უარის თქმის უფლებას, ხოლო იმ პირების უფლება, განთავისუფლდნენ რელიგიური განათლების მიღებისგან სკოლებში, რომლებიც არ არიან რელიგიური საზოგადოების წევრები, დღეისათვის რეგულირდება საგანმანათლებლო დანესებულებების კანონმდებლობის შესაბამისად. 1922 წლის რელიგიის თავისუფლების აქტში ნათქვამი იყო, რომ

589 1993 წლის აქტი 1054

590 1969 წლის აქტი 521

591 2003 წლის აქტი 453

592 მიუხედავად ამისა, რელიგიის თავისუფლების შესახებ აქტის თავები 1 და მე-3 გამოიყენება ორი ეკლესიის მიმართ

593 იხ. რელიგიის თავისუფლების აქტის მე-2 თავი (ნაწილები 7-27)

594 ნაწილები მე-3 და მე-4

რელიგიური განათლება, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა უმრავლესობის რელიგიურ კუთვნილებას, უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სკოლების სასწავლო პროგრამის ნაწილი, გამონაკლისი დასაშვები იყო მათთვის, ვინც არ იყვნენ უპირატესი რელიგიის წარმომადგენლები⁵⁹⁵. მართალია, ახალი კანონმდებლობის ამოსავალი ნერტილი იყო რელიგიური განათლების არაკონფესიურობა, რელიგიის სწავლება მაინც უნდა განხორციელებულიყო მოსწავლეთა უმეტესობის რელიგიის შესაბამისად. ისინი, ვინც არ იყვნენ უმრავლესობის წევრები, უნდა განთავისუფლებულიყვნენ ამ სწავლებიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მათი რაოდენობა, სულ მცირე, სამს შეადგენდა, მათ ჰქონდათ უფლება, აერჩიათ განათლება თავიანთი საკუთარი რელიგიური რწმენის მიხედვით⁵⁹⁶. მოსწავლეებს, რომელიც არ ეკუთვნიან არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, ამასთან არ სურთ უმრავლესობის რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება, შეუძლიათ ამ პერიოდში შეისწავლონ ეთიკა. ძველი კანონმდებლობის ფარგლებში მოსწავლეთა უმეტესობის რელიგიის მოხსენიება პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფო სკოლას შეტანილი აქვს სასწავლო პროგრამაში ლუთერანული რელიგიის სწავლება.

გ) საერთაშორისო გარანტიები

ფინეთი ადამიანის უფლებათა დაცვის რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე მხარეა, რომელიც არეგულირებს რელიგიური თავისუფლებების საკითხებს. ეს უპირველესად ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, ბავშვის უფლებების დეკლარაციას და ქალთა დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრის კონვენციას. როგორც წესი, ეს ხელშეკრულებები შეადგენს შესაბამისი შიდა კანონის საფუძველს, რადგან ისინი ადაპტირებულ იქნა ფინეთის კანონმდებლობაში პარლამენტის აქტის მეშვეობით, რომელიც

595 1992 წლის 267-ე აქტის ნაწილი მე-8 .

596 ზოგადსაგანმანათლებლო აქტის მე-13 ნაწილი (1998 წლის აქტი № 628), რომელმაც ცვლილება განიცადა 2003 წლის 454-ე აქტის მიხედვით. საშუალო სკოლის აქტის მე-9 ნაწილი (1998 წლის აქტი №629), რომელშიც ცვლილებები შევიდა 2003 წლის 455-ე აქტით. იმ მოსწავლეთა მდგომარეობა, რომლებიც ეკუთვნიან მართლმადიდებლურ ეკლესიას, გარკვეულწილად განსხვავდება, რადგან ცალკე განათლების უზრუნველყოფა მათ რელიგიაში მოითხოვს მინიმუმ სამი მოსწავლის არსებობას, რომლებიც ეკუთვნიან არსებულ ეკლესიას და არ მონაწილეობენ უპირატესი რელიგიის განათლებაში. სხვა სიტყვებით, არ არის საჭირო მსგავსი განათლების შესახებ მოთხოვნის წარდგენა.

ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული⁵⁹⁷. ფინეთი აგრეთვე თანახმაა ყველა არსებული საერთაშორისო საკონტროლო მექანიზმის გამოყენებაზე ნახსენები ხელშეკრულებების ფარგლებში.

2. სისტემური მიდგომა

ფინეთის სახელმწიფო არც დენომინაციურია და არც არადენომინაციური. მჭიდრო ინსტიტუციური და საკანონმდებლო კავშირებია სახელმწიფოსა და ლუთერანულ ეკლესიას შორის და სახელმწიფო განათლების სისტემაში, რომელსაც მუნიციპალიტეტები მართავს და ნაწილობრივ სახელმწიფო აფინანსებს, სასწავლო პროგრამაში შეიყვანა უმრავლესობის რელიგიის არაკონფესიური სწავლება⁵⁹⁸. გარდა ამისა, მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს სპეციალური ინსტიტუციური სტატუსი, მაშინ, როცა კონსტიტუცია და სხვა საერო კანონები რელიგიის თავისუფლებას და რელიგიური და არარელიგიური უმცირესობის უფლებებს უზრუნველყოფს. უმცირესი რელიგიის წევრებს და პირებს, რომლებიც არ ეკუთვნიან რომელიმე რელიგიურ საზოგადოებას, აქვთ კონსტიტუციური უფლება, არ მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ საქმიანობაში. სასკოლო სისტემისთვის ეს ცალკე განათლების უფლებას ნიშნავს უმცირესობის რელიგიაში ან განათლებას ეთიკის საკითხებში, ან მსგავსი სწავლებიდან სავსებით განთავისუფლებას.

ლუთერანული ეკლესიის საეკლესიო აქტი საპარლამენტო აქტია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არც პრეზიდენტს, არც პარლამენტს არ აქვს უფლება, შეცვალოს ეკლესიის გენერალური ასამბლეის მიერ ფორმულირებული ტექსტი. საეკლესიო აქტი შეიცავს დებულებებს, რომელთაც მკაფიო კონფესიური ხასიათი⁵⁹⁹ აქვს. მართლმადიდებლური ეკლესიის კონფესია და სტრუქტურა აგრეთვე რეგულირდება საპარლამენტო აქტით. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინეთში კვლავ არის ორი სახელმწიფო ეკლესია, თუმცა ამჟამად კონსტიტუციური თუ სხვა სახის კავშირების შესუსტების პროცესი სახელმწიფოსა და ამ ორ ეკლესიას შორის.

597 ხელშეკრულებიდან, რომლებიც მოყვანილია ტექსტში, საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე გამოწვევისა, რადგან მისი რეგისტრირება მოხდა არა საპარლამენტო აქტის, არამედ პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა გასცა თანხმობა მის რატიფიკაციაზე.

598 შესაბამის კანონებში გამოყენებული ფორმულირება ნეიტრალურია: იგი მიუთითებს მოსწავლეთა უმეტესობის კონფესიას სკოლებში. პრაქტიკულად, გარდა რიგი ცალკეული რელიგიური სკოლებისა, ყველა ფინურ სკოლას ჰყავს ლუთერანული უმრავლესობა.

599 ი. ნ. თავი, რომელიც მოიცავს ლუთერანული ეკლესიის კონფესიის მოკლე ფორმულირებას.

IV. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი

ლუთერანული ეკლესია და მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენს თვითმართვად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. მათი შიდა სტრუქტურა და ურთიერთობა სახელმწიფოსთან განისაზღვრება პარლამენტის კონკრეტული აქტებით. ლუთერანული ეკლესიის ავტონომია “ძლიერი” ავტონომიაა იმ გაგებით, რომ მხოლოდ ეკლესიას შეიძლება წაუყენონ წინადადებები საეკლესიო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ორი სახელმწიფო ეკლესიის საჯარო სამართლის ბუნება ვლინდება იმ ფაქტშიც, რომ ორივე ეკლესიას აქვს თავისი საკუთარი შიდა სასამართლო სისტემა⁶⁰⁰.

სხვა რელიგიური საზოგადოებები კერძო სამართლის სუბიექტებია, რომლებიც საქმიანობას წარმართავენ რელიგიური თავისუფლების აქტის შესაბამისად. პატენტების და რეგისტრაციის ეროვნული საბჭოში რეგისტრაციის შემდეგ (ადრინდელი განათლების სამინისტრო) მათ აქვთ სრული სამართლებრივი ქმედითობა როგორც ავტონომიურ იურიდიულ პირებს⁶⁰¹ და ცალკეული წევრები არ არიან პირადად პასუხისმგებელნი თავიანთი საზოგადოების ვალზე⁶⁰².

უწინდელი შებლუდები, რომლებიც არსებობდა რელიგიური საზოგადოებებისთვის კერძო საკუთრების ფლობაზე, გაუქმდა 2003 წლის რელიგიის თავისუფლების აქტის მიღების შემდეგ. ახალი აქტის შესაბამისად, რელიგიური საზოგადოების მიზანი არ უნდა იყოს ეკონომიკური მოგების მიღება ან ეკონომიკური საქმიანობის წარმოება⁶⁰³.

რელიგიის თავისუფლების აქტი მოიცავს შედარებით დეტალურ დებულებებს რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციის მოთხოვნების შესახებ⁶⁰⁴. ეს მოთხოვნები უპირატესად ტექნიკური ხასიათისაა და არ ზღუდავს რელიგიური საზოგადოებების ავტონომიას თავიანთი კონფესიების და რელიგიების გამოხატვის ფორმების განსაზღვრად. თუმცა კანონი მოიცავს მოთხოვნას, რომ ყველა რელიგიურმა საზოგადოებამ პატივი სცეს კონსტიტუციით გარანტირებულ თუ

600 იხ. საეკლესიო აქტის მე-19, 23-ე და 24-ე თავები და მართლმადიდებლური ეკლესიის აქტის მე-6 თავი.

601 რელიგიური თავისუფლების აქტის მე-17 ნაწილი.

602 ნაწილი მე-17(2).

603 ნაწილი მე-7(3).

604 ნაწილები მე-9, მე-10 და მე-18.

სხვა ადამიანთა უფლებებს თავიანთი საქმიანობის დროს⁶⁰⁵. ეს პირობა ავსებს ეკონომიკური მოგების აკრძალვას და ზოგად პუნქტს, რომელიც აყალიბებს, რომ რელიგიური საზოგადოების მიზანი უნდა იყოს ღვთისმსახურების ორგანიზება და მხარდაჭერა⁶⁰⁶.

იმ შემთხვევაში, როცა რელიგიური საზოგადოების საქმიანობა ეწინააღმდეგება კანონს ან მის მიერ გაცხადებულ მიზანს, საერო სასამართლოები კომპეტენტური არიან შეწყვიტონ საზოგადოების საქმიანობა ან გამოსცენ ბრძანება მისი ლიკვიდაციის შესახებ განათლების სამინისტროს, პროკურორის ან განხილვის ქვეშ არსებული საზოგადოების წევრის მიერ სასამართლო სარჩელის წარდგენის საფუძველზე⁶⁰⁷.

საეკლესიო მსახურებისათვის არ არსებობს დაბრკოლება პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. საარჩევნო სისტემა სპეციალურ სტატუსს ანიჭებს ერთეულებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან როგორც პოლიტიკური პარტიები, მათ აქვს უფლებამოსილება, დაასახელონ კანდიდატები. რელიგიურ საზოგადოებებს არ გააჩნია მსგავსი სტატუსი, მაგრამ შესაძლებელია ხმის მიმცემთა ხელმოწერების შეგროვება დამოუკიდებელი კანდიდატების დასახელების მიზნით⁶⁰⁸.

V. ეკლესია და კულტურა

ფინეთში სავალდებულო განათლების უზრუნველყოფაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო კომუნალურ სისტემას ეკისრება.

სკოლების მთლიან რაოდენობასთან შედარებით ლიცენზირებული კერძო სკოლების რაოდენობა მცირეა. ჰელსინკში ინგლისური სკოლა კათოლიკური წარმომავლობის არის. გაიცა აგრეთვე ლიცენზია რამდენიმე იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობაზე, რომლებსაც საფუძვლად რელიგიური აღმსარებლობა უდევს.

ამჟამინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვს მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილი ყოველდღიური მოვლის მომსახურების უფლება აქვს. რელიგიური და ეთიკური სწავლება ყოველდღიური

605 ნაწილი მე-7(2).

606 ნაწილი მე-7(1).

607 ნაწილები 25 და 26.

608 არჩევის აქტი, 1998 წლის №714 აქტი.

მოვლის სავალდებულო ნაწილია. იმისათვის, რომ მომსახურებით ბავშვთა რაც შეიძლება მეტმა რაოდენობამ ისარგებლოს, რელიგიურ განათლებას ფართო ქრისტიანული ხასიათი აქვს. სულ უფრო იზრდება ბავშვების ეროვნული და კულტურული სხვადასხვაობა, რაც განაპირობებს, რომ ყოველდღიური მოვლის სამსახურით მოსარგებლე ბავშვები რელიგიური და კულტურული შეხედულებებით განსხვავდებიან ფინური ტრადიციებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რელიგიური განათლებისათვის ყოველდღიური მოვლის სფეროში უფრო მეტ პრობლემებს ქმნის.

რელიგიური თავისუფლების კანონის და ამჟამად არსებული საგანმანათლებლო კანონის საფუძველზე ზოგადასაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ყველა მოსწავლეს თავისი რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისი რელიგიური განათლების უფლება აქვს. განათლების კომუნალური სისტემა პასუხისმგებელია მის ორგანიზებასა და დაფინანსებაზე. სტუდენტები, რომლებიც არ ეკუთვნიან ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებას, მონაწილეობენ მსოფლმხედველობის (ეთიკის) სწავლებაში. უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე შესაძლებელია რელიგიაზე ან მსოფლმხედველობის საკითხებზე ტესტის არჩევა. იმ სტუდენტთა მზარდი რაოდენობის გამო, რომლებიც სხვადასხვა კულტურას წარმოადგენენ, საჭირო შეიქნა მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზება ისლამის საკითხებზე.

ფინეთის ყველა უნივერსიტეტი სახელმწიფოს ეკუთვნის. ისინი ღვთისმეტყველების სამ ფაკულტეტს მოიცავს: 1640 წელს ტურკუს ძველი აკადემიის საფუძველზე შეიქმნილი ფაკულტეტი ჰელსინკის უნივერსიტეტში; შვედურენოვანი ფაკულტეტი, რომელიც 1924 წელს დაარსდა “ახალ” Åbo Akademi-ში და 2002 წელს ჟოენსუს უნივერსიტეტში დაარსებული ფაკულტეტი. ეს უკანასკნელი მოიცავს დასავლეთის ღვთისმეტყველების განყოფილებებს და მართლმადიდებლური თეოლოგიის განყოფილებას, რომელიც პასუხისმგებელია მართლმადიდებლური ეკლესიების მღვდლებისა და ლოტბარების განათლებაზე. თეოლოგიური კვლევა და სწავლება ამ უნივერსიტეტებში არაკონფესიურია, სკანდინავიური ტრადიციის შესაბამისად.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ფინეთში დაარსდა 20-ზე მეტი საერთო ან ფონდების მეშვეობით შექმნილი პროფესიული სკოლა და პოლიტექნიკური სასწავლებელი. სახელმწიფო ფარავს მათ ძირითად ხარჯებს. ამ ინსტიტუტებში შედის Diaconia Polytechnic, რომელიც რამდენიმე ცენტრთან ერთად ჩართულია დიაკონიის საკითხებისა და ახალგაზრდების ლიდერული უნარ-ჩვევების სწავლების ქსელში.

ამჟამად არსებული კონტრაქტების შესაბამისად, ლუთერანული ეკლესიის საკომუნიკაციო ცენტრი კოორდინირებას უწევს რელიგიური პროგრამების მინოდებას ეროვნული მაუწყებლობის სატელევიზიო და რადიო არხებისათვის.

რელიგიური ღვთისმსახურება გადაიცემა პირდაპირ ეთერში, ძირითადად TV2-ისა და Yle Suomi-ის რადიოარხზე. მცირე კონფესიების ღვთისმსახურება გადაიცემა ერთობლივად შეთანხმებული პროგრამების მეშვეობით. რელიგიასთან დაკავშირებული პერიოდული გადაცემები ეროვნული სამაუწყებლო კომპანიის ნებისმიერი ტელე და რადიოარხის მეშვეობით შეიძლება გადაიცეს. პერვოს საეპისკოპოსო საბჭო (Porvoo Diocesan Council) კოორდინირებს უწევს შვედურენოვან მსახურებას და რელიგიურ დოკუმენტურ ფილმებს ფინეთის შვედურ ტელევიზიასთან ერთად.

კონგრეგაციებს და რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლია საეთერო დროის შექმნა რეგიონალური და ადგილობრივი ტელე და რადიოარხებიდან. 1990 წლიდან რამდენიმე ქრისტიანული ასოციაცია ჩართულია რადიომაუწყებლობაში. ერთადერთი ქრისტიანული ადგილობრივი რადიოსადგური ფინეთში – dei – დაარსდა 1997 წელს. დაარსების დღიდან მას 30-ზე მეტი პარტნიორი ჰყავდა, მაგალითად, როგორებიცაა: ლუთერანული სამრევლოები და ასოციაციები, ორმოცდაათიანელთა საალმის კონგრეგაცია და ქრისტიანული ცენტრი. 1999 წელს სახელმწიფო საბჭომ რადიო dei-ს უფლება მისცა განეგრძო თავისი საქმიანობა რიგ სხვა რაიონებში.

VI. შრომითი კანონი ეკლესიაში

ზოგიერთი ლუთერანული და მართლმადიდებლური ეკლესიის პერსონალი საჯარო მოხელედ ითვლება. გარდა ამისა, საჯარო სამართლის ამ ერთეულებს თავადაც შეუძლია კერძო სამართლის დასაქმების კონტრაქტების გაფორმება. სხვა რელიგიური საზოგადოებების მიერ დაქირავებულ პირებს შეუძლიათ იმუშაონ კერძო სამართლის დასაქმების კონტრაქტის პირობებზე, რომლებსაც შრომითი კანონმდებლობა არეგულირებს.

საკლესიო კოდექსის მე-2 ნაწილი (მე-5 და მე-6 თავი) შეიცავს საჯარო და კერძო სამართლის შრომითი ურთიერთობების დეტალურ დებულებებს ლუთერანული ეკლესიის ფარგლებში. ორივე კატეგორიის პერსონალისთვის არსებობს მოლაპარაკებების და კოლექტიური ხელშეკრულებების სისტემა.

დებულება, რომელიც ეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, ეფუძნება იმავე ძირითად კლასიფიკაცას, თუმცა კონკრეტული წესები არც ისე თანამედროვე და სრულყოფილია⁶⁰⁹.

609 იხ. მართლმადიდებლური ეკლესიის აქტი და განკარგულება მართლმადიდებლურ ეკლესიაზე (No. 179 of 1970).

ლუთერანული და მართლმადიდებლური ეკლესიების სახელმწიფო ეკლესიის ბუნება ადრევე აისახებოდა იმ ფაქტში, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავდა ორივე ეკლესიის ეპისკოპოსს, თუმცა ეს პრაქტიკა შეწყდა 2000 წელს⁶¹⁰.

VII. საქორწინო და საოჯახო კანონი

საქორწინო და საოჯახო კანონთან დაკავშირებით ეკლესიის და საზოგადოების ინტერესი ფინეთის ისტორიაში ყოველთვის განსხვავებული იყო.

მხოლოდ შვედეთის მმართველობის დროს, კერძოდ, 1734 წლის შვედეთის კანონის შესაბამისად, მიიღო ფინეთის ეკლესიამ უფლება, ჩაეტარებინა თავისი მრევლის წარმომადგენლების საქორწინო რიტუალი (რომელსაც კანონიერი ძალა ჰქონდა). საეკლესიო ქორწინება, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისთვის ნორმა იყო, ამ პერიოდამდე იურიდიული თვალსაზრისით აღქმული იყო როგორც არსებული ქორწინების მხოლოდ ეკლესიური კურთხევა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეკლესია ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა თავისი წევრების ქორწინების უფლება. ეს კანონი ასევე ასახავდა სხვა ეკლესიების შეხედულებას ქორწინებასა და ოჯახზე. სახელმწიფოს და ეკლესიის ახლო ურთიერთობის გამო საეკლესიო ქორწინება პრაქტიკაში ქორწინების ერთადერთი ფორმა გახდა. ეს სიტუაცია შენარჩუნდა რუსეთის მმართველობის დროსაც, XX საუკუნის დასაწყისამდე. მართლმადიდებლური ქორწინება განიხილებოდა, როგორც გამონაკლისი (მართლმადიდებლურ ეკლესიასაც ჰქონდა უფლება გაეფორმებინა ქორწინება). საუკუნის დამლევეს ახალმა იდეოლოგიებმა, მაგალითად ათეისტურმა, ისევე, როგორც სხვა ქრისტიანული გაერთიანებების ზრდამ, განაპირობა სამოქალაქო რეესტრში ქორწინების გაფორმების შესაძლებლობის შესახებ მსჯელობა.

1917 წელს, ფინეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამოქალაქო რეესტრში ქორწინების გაფორმება საეკლესიო ქორწინების ალტერნატივა გახდა შემდეგი კანონების შესაბამისად: 1917 წლის სამოქალაქო ქორწინების კანონი, 1922 წლის რელიგიის თავისუფლების კანონი და 1929 წლის ქორწინების კანონი. გარდა ამისა, რამდენიმე ეკლესიას და რელიგიურ გაერთიანებას, რომელთაც ეკლესიის თავისუფლების კანონით თანაბარი პოზიციები ჰქონდა, სახელმწიფომ უფლება მისცა, ჩაეტარებინათ ქორწინების ცერემონიალი თავიანთი მრევლისათვის. ამ კანონების

610 იხ. 2000წ. აქტი №201, რომელიც ახდენს ეკლესიის აქტის თავი 18(4)-ის შესწორებას და 2000წ. № 880 განკარგულება, რომელიც ცვლის მართლმადიდებლური ეკლესიის განკარგულების 153 ნაწილს.

შესაბამისად, ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების მიერ გაფორმებული ქორწინება იყო ქორწინების უფრო ბუნებრივი ფორმა, ვიდრე სამოქალაქო ქორწინება, რომელიც განსაკუთრებული შემთხვევების დროს, როგორც მისი ალტერნატივა ისე გამოიყენებოდა. ასეთი განსაკუთრებული შემთხვევების რიგს განეკუთვნებოდა ის შემთხვევები, როდესაც სასიძო და საპატარძლო არ იყვნენ ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების წევრები ან სასიძო, საპატარძლო, ან ორივე ერთად ეკუთვნოდა იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც არ ჰქონდა ქორწინების ჩატარების უფლება, ან როცა სასიძოს და საპატარძლოს ერჩივნათ ქორწინების გაფორმება სამოქალაქო რეესტრში. გარდა ამისა, სხვადასხვა ეკლესიის და რელიგიურ გაერთიანებას აქვს თავისი წინაპირობა საეკლესიო ქორწინების გასაფორმებლად.

XX საუკუნეში ქორწინების ყველაზე პოპულარული ფორმა იყო ქორწინება ლუთერანულ ეკლესიაში, რომელიც უდიდესი რელიგიური საზოგადოება იყო და ჰქონდა დაქორწინების უფლება. რელიგიური საზოგადოების ყველა წევრს, რომელთაც გაფორმებული ჰქონდათ სამოქალაქო ქორწინება, შეეძლო აგრეთვე საეკლესიო კურთხევის მიღება. სასიძო და საპატარძლო, რომლებიც სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებას მიეკუთვნებიან, ქორწინდებიან (რაც კანონიერი ქორწინებაა) ეკლესიაში, რომელშიც მათი სახელები გამოაცხადეს. შემდეგ სხვა ეკლესია, მაგალითად, რომაულ-კათოლიკური, რომელიც განიხილავს ქორწინებას, როგორც საეკლესიო საიდუმლოს, იძლევა ლოცვა-კურთხევას ქორწინებაზე თავისი პრაქტიკის შესაბამისად.

1929 წლის ქორწინების კანონი განსაზღვრავს ქორწინების წინაპირობას (მაგ., ქორწინების სამართალუნარიანობა, ეკლესიაში დასაქორწინებელი წყვილის სახელების გამოცხადება), ოჯახის წევრების კანონიერ მდგომარეობას და განქორწინებას, რომელიც შესაძლებელი გახდა ფინეთში XVI საუკუნიდან. ეს წესები ნათლად ასახავს ქრისტიანულ მორალს. XX საუკუნეში საქორწინო კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებების მიუხედავად (ბოლო სერიოზული ჩასწორება გაკეთდა 1987 წელს), სოციალური განვითარების მთელი პროცესის განმავლობაში იგივე ძირითადი პრინციპები დარჩა. ქორწინებისა და ოჯახის კანონში ყველა განხორციელებული ცვლილება ტრადიციული ქრისტიანული შეხედულებებიდან უკანდახევა იყო საზოგადოებაში მიღებული ახალი ცნებების სასარგებლოდ, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მაგალითად, მამაკაცის და ქალის თანასწორობის საკითხებსა და სიტყვა “ოჯახის” უფრო ფართო განმარტებაში.

XXI საუკუნის დამდეგს ქორწინების და საოჯახო კანონი გაცხოველებული მსჯელობის საგანი გახდა ორი კუთხით და ორივე ეხებოდა სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობას.

ამჟამად თანაცხოვრების ფართოდ გავრცელების გამო გამოიკვეთა ბევრი ახალი პრობლემა. მაგალითად, თანამცხოვრებ პარტნიორებს არ აქვთ ისეთივე უფლება მემკვიდრეობაზე, როგორც დაქორწინებულ წყვილს. ფინეთის იუსტიციის სამინისტრომ შექმნა სამუშაო ჯგუფი იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი მემკვიდრეობის საკითხი თანამცხოვრებ პარტნიორებთან დაკავშირებით, როდესაც გარდაიცვლება ერთ-ერთი მათგანი (შეადარეთ სიტუაციას შვედეთში). თუკი თანამცხოვრებ პარტნიორებთან დაკავშირებით მემკვიდრეობაზე იარსებებს ისეთივე სამართლებრივი უფლება, როგორც დაქორწინებულ პირებზე, საზოგადოების მიერ ისინი იქნება აღქმული როგორც თანასწორი. ეს არ შეესაბამება ქორწინების ლუთერანულ დოქტრინას: ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია არ იძლევა სასულიერო პირების თანაცხოვრების ნებათვას.

2001 წელს ფინეთის პარლამენტმა მიიღო ერთი და იმავე სქესის მქონე პირების თანაცხოვრების გადაწყვეტილება და მიანიჭა მას ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორც – ქორწინებას. ამ კანონის შესაბამისად, ერთი და იმავე სქესის პირებმა შეიძლება ოფიციალურად დააკანონ თავიანთი ურთიერთობა სამოქალაქო ქორწინების გაფორმებით. ამან გაცხოველებული კამათი გამოიწვია, განსაკუთრებით ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიაში საკითხზე, თუ რა ფარგლებში შეუძლია ეკლესიას მსგავსი პარტნიორობის აღიარება. ზოგ ეპისკოპოსს, პასტორს და საერო პირს სურვილი ექნება აკურთხოს ამგვარი პარტნიორობა. მეორე მხრივ, ზოგი ეპისკოპოსი, პასტორი და საერო პირი უარს იტყვის მსგავს კურთხევაზე, რადგან ისინი საერთოდ არ აღიარებენ ჰომოსექსუალობას და ჰომოსექსუალურ პარტნიორობას.

VIII. ეკლესიების დაფინანსება

როგორც ლუთერანული, ასევე მართლმადიდებლური ეკლესია უფლებამოსილია მოახდინოს გადასახადების შეგროვება თავიანთი წევრებისგან⁶¹¹. გადასახადებს აგროვებს საგადასახადო ადმინისტრაცია სახელმწიფო და მუნიციპალურ გადასახადებთან ერთად და თუ აუცილებელია, ამას ახორციელებენ სახელმწიფო პირები. რელიგიური გაერთიანებების გარდა, იურიდიული პირები – რომელიც კომპანიებს და ასოციაციებს წარმოადგენენ – ვალდებული არიან, მონაწილეობა

611 საეკლესიო აქტი, თავი მე-15(2); აქტი ევანგელისტურ-ლუთერანული ეპარქიების ოფიციალურ შენობებსა და ფონდებზე (1966 წლის აქტი № 106); აქტი მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, ნაწილები მე-11, 30-ე და 31-ე.

მიიღონ ლუთერანული ან მართლმადიდებლური ეკლესიების დაფინანსებაში საშემოსავლო გადასახადის მეშვეობით, რომლის გარკვეული ნაწილი მიმართულია ორი ეკლესიისთვის⁶¹². არ არსებობს საგადასახადო შეღავათები კომპანიების ან სხვა იურიდიული პირების მიმართ, რომელთა აქციონერები ან წევრები ეკუთვნიან უმცირეს რელიგიებს.

ლუთერანული ეკლესია, მართლმადიდებლური ეკლესია და რელიგიური გაერთიანებები განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან⁶¹³. სასაფლაოები კი განთავისუფლებულია უძრავი ქონების გადასახადისგან⁶¹⁴.

IX. რელიგიური დახმარება საჯარო დაწესებულებებში

სამხედრო ძალებში საეკლესიო საქმიანობა მოიცავს ლუთერანული და მართლმადიდებლური ეკლესიების საქმიანობას ახალწვეულთა, თანამშრომელთა, რეზერვისტთა და მშვიდობისმოყვარეთა შორის. საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ლუთერანი გენერალური კაპელანი, რომელსაც თავის დაქვემდებარებაში ჰყავს 25 სრულ შტატზე მომუშავე პირი, 13 ნახევარშტატზე მომუშავე პირი და ხუთი ანაზღაურებადი არმიის კაპელანი. არმიის ყველა სრულ ანაზღაურებაზე მყოფი კაპელანი ლუთერანია. მართლმადიდებლური და უმცირესი რელიგიური გაერთიანებების მოთხოვნათა დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ ანაზღაურებადი ოფიციალური პირების მიერ. გარდა ამისა, რელიგიურ საქმიანობაში ჩართული არიან მღვდლები და ღვთისმეტყველების სტუდენტები, რომლებიც როგორც ახალწვეულები მსახურობენ.

612 იხ. საშემოსავლო გადასახადის აქტის ნაწილები 1-ლი და 124-ე (1992 წლის აქტი, № 1535). იურიდიული პირების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ამჟამად დასაბეგრი შემოსავლის 29%-ს შეადგენს. 1998 წლის აქტი № 532-ის ნაწილი 12-ის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების განაწილებას და რომელშიც შეტანილია ცვლილება 2003 წლის № 1003 აქტის თანახმად, ლუთერანული ეკლესია იღებს საგადასახადო შემოსავალს 1.79856%-ს და მართლმადიდებელი ეკლესია 0.00144%-ს იმ გადასახადიდან, რომელსაც იხიდიან იურიდიული პირები.

613 საშემოსავლო გადასახადის აქტი, ნაწილი 21(2)-ე, 1999 წლის № 1343 აქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების მიხედვით საეკლესიო ეპარქიებმა და სხვა რელიგიურმა საზოგადოებებმა უნდა გადაუხადოს საშემოსავლო გადასახადი მუნიციპალიტეტს.

614 უძრავი ქონების გადასახადის აქტი (1992 წლის აქტი № 654), ნაწილი მე-3(2).

სასულიერო საქმიანობის უდიდესი ნაწილი, რომელიც საპატიმროებში ხორციელდება, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. 1999 წელს საპატიმროებში მუშაობდა 17 სრულ ანაზღაურებაზე მყოფი მღვდელი. ერთი მათგანი იყო მართლმადიდებელი. მათი საკომისიო ანაზღაურება მათივე ეკლესიებიდან იფარება, მაგრამ ხელფასებს სახელმწიფო უხდის. გარდა ამისა, საპატიმროებში მუშაობენ დიაკონები, რომელთაც გასამრჯელოს ლუთერანული ეკლესია უხდის, ასევე სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელი მოხალისეები.

საავადმყოფოებში სულიერ დახმარებას უმრავლესობის კონგრეგაციები ან სამრევლო კავშირები აფინანსებს. 1999 წელს ამ პოზიციაზე მუშაობდა 112 სრულ და 12 ნახევარშტატზე დასაქმებული კონსულტანტი. ამ კონსულტანტთა მიზანი იყო, რომ ისინი, ვინც ამ თანამდებობებზე იყვნენ დანიშნულნი, მონაწილეობას მიიღებდნენ საეკლესიო განათლების ცენტრის მიერ მომზადებულ ტრენინგსა და სამუშაოს ზედამხედველობაში, რათა თავიანთი ძირითადი ცოდნის სრულყოფა მოეხდინათ.

X. სისხლის სამართლის კანონი და რელიგია

სისხლის სამართლის კოდექსის⁶¹⁵ მე-17 თავი მოიცავს რიგ დებულებებს, რომელთა მიზანია შესაბამისი სახეცხებით რელიგიური ერთეულების დაცვა და რელიგიის თავისუფლად გამოხატვა. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მე-17 თავის მე-10 ნაწილმა, რომელიც რელიგიის ხელშეუხებლობას ეხება, შეინარჩუნა ქრისტიანობის სპეციალური სტატუსი, განსაკუთრებით გულისხმობდა რა “ღმერთს”, დამატებით შემდეგ ნეიტრალურ ფორმულირებებზე – “რაც სხვაგვარად ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანების მიერ წმინდად არის აღიარებული” და “რელიგიური რიტუალი ან დაკრძალვა”.

იმავე თავის მე-11 ნაწილი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს ღვთისმსახურებისათვის ხელის შეშლას, ხოლო მე-12 ნაწილის შესაბამისად სასაფლავო ხელყოფისთვის სასჯელად დაწესებულია ჯარიმა.

გარდა ამისა, მე-11 თავის მე-8⁶¹⁶ ნაწილი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს ეთნიკური მღელვარებისაკენ ან საჯარო აგიტაციისკენ მიმართულ აგიტაციას, რომლის დროსაც ხდება რელიგიური ჯგუფის დაშინება, დამცირება და

615 შესწორებული 1998 წლის აქტით № 563

616 შესწორებული 195 წლის აქტით №578

შეურაცხყოფა. ამის მსგავსად, იმავე თავის მე-9 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება დისკრიმინაცია, რომელიც ხორციელდება გარკვეული პიროვნებების მიმართ მათი რელიგიური რწმენის გამო.

XI. სამღვდელოების სამართლებრივი სტატუსი

1. სისხლის სამართლის და სამოქალაქო პროცედურა; აღსარების კონფიდენციალურობა

ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიაში საეკლესიო პირები ექვემდებარებიან როგორც სამოქალაქო, ასევე საეკლესიო კანონს. პასტორი შეიძლება გასამართლდეს ვალდებულებების ან დისციპლინის დარღვევისთვის. თუ მას ადანაშაულებენ ვალდებულებების დარღვევაში, მაგალითად, ოფიციალური მოვალეობის საწინააღმდეგო ქმედებაში ან სისხლის სამართლის ზოგადი კოდექსის დარღვევაში, საქმე განიხილება სასამართლოში. თუკი პასტორს ადანაშაულებენ დისციპლინური გადაცდომისათვის, მაგალითად სამსახურებრივი დაუდევრობისთვის, საქმეს განიხილავს საეკლესიო ყრილობა. თუ ეკლესიის მსახურს, მაგალითად, როგორიცაა დიაკონი, ადანაშაულებენ დისციპლინური გადაცდომისთვის, საქმე განიხილება საეკლესიო საბჭოში ან სამრევლო საბჭოს სამრევლოში, სადაც ეს პირი საქმიანობს.

საეკლესიო თავყრილობაზე და საეკლესიო საბჭოს ან სამრევლოს საბჭოზე, სპეციალური დისციპლინური დამცველი მოქმედებს როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის განმხორციელებელი. თითოეულ საეპარქიოს უნდა ჰყავდეს მსგავსი წარმომადგენელი. მას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ხარისხი და ერეკვოდეს საეკლესიო საქმიანობაში, მის ადმინისტრირებაში.

საეკლესიო კოდექსის და ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის საეკლესიო განკარგულების შესაბამისად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გაუშხელენ პასტორს პირადი აღსარების დროს, აღსარების საიდუმლოა. მისი გამხელა არ შეიძლება მესამე მხარისთვის. იგივე წესი ეხება იმ პირის სახელს, რომელმაც გაუშხილა თავისი ცოდვები პასტორს. ეს დებულება მოცემულია სამართალწარმოების ზოგად კოდექსში (Oikeudenkäyntikaari 17:23,2). ყოველივე აქედან გამომდინარე, პასტორმა არ უნდა გაუშხილოს აღსარების საიდუმლო სასამართლოს, თუმცა უნდა განაცხადოს ყველაფერი, რაც იცის საქმის ან საკითხის გარშემო.

XII. სამოქალაქო-საეკლესიო კანონმდებლობის განსაკუთრებული საკითხები და არსებული ვითარება

2003 წლის რელიგიის თავისუფლების აქტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის სამომავლო განვითარებაზე ფინეთში. გარდაუვალია, რომ კავშირი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შესუსტდება. არ არის აუცილებელი, რომ ამას მკვეთრად გამოხატული ხასიათი ჰქონდეს. ძველი ტრადიციები ალბათ კვლავ იარსებებს. ფინეთის პრეზიდენტი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები ისევ მიიღებენ მონაწილეობას ფინეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და პარლამენტის ახალი სესიის ჩგახსნის ცერემონიაში. თუმცა ინტერცესიის ოთხი დღის შინაარსის სახელმძღვანელო პრინციპებს შექმნის არა სახელმწიფო, არამედ ფინეთის ეკუმენიური საბჭო.

ამჟამად მიმდინარეობს კომპანიების და ასოციაციების მიერ გადასახადების გადახდის პროცესების რეფორმა. ეს რეფორმა გარკვეულწილად შეცვლის ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ფინანსურ მდგომარეობას. არის მცდელობა, ეს ცვლილებები გაუმჯობესდეს რიგ ეპარქიებში ახალი ფონდების დაარსებით.

XIII. პიპლიოგრაფია

Kirkon tilastollinen vuosikirja 2002, Statistik årsbok för kyrkan 2002, Suomen evankelis-luterilainen kirkko, kirkkohallitus. Evangelisk-lutherska kyrkan i Finland, kyrkostyrelsen. Helsingfors 2003, p. 245.

Kirkko uudelle vuosituhannelle, Suomen evankelis-luterilainen kirkko vuosina 1996-1999. Kirkon tutkimuskeskus 2000. Jyväskylä 2000, p. 336.

Hannu Juntunen, Oikeuden idean teologiset perusteet. Oikeusteologian hahmottelua oikeusjärjestyksen teologisena kritiikkinä. Helsinki 2000, p. 291.

Pekka Leino, Kirkko ja perusoikeudet. Suomalaisen lakimiesyhdistyksen julkaisuja E-sarja N:o 6. Saarijärvi 2003, p. 369.

Pekka Leino, Kirkkolaki vai laki kirkosta. Suomalaisen lakimiesyhdistyksen julkaisuja A-sarja N:o 231. Vammala 2002, p. 376.

Juha Seppo, Uskonnonvapaus 2000-luvun Suomessa. Helsinki. 2003, p. 251.

Suomen tilastollinen vuosikirja 2002, Statistisk årsbok för Finland 2002, Statistical Yearbook of Finland 2002, Tilastokeskus, Statistikcentralen, Statistics Finland. Helsinki 2002, p. 703.

სახელმწიფო და ეკლესია შვედეთში

I. სოციალური ფაქტები

შვედეთის მოსახლეობის უმეტესობა თავს შვედეთის ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიას მიაკუთვნებს (80,8 %, 2002წ.)⁶¹⁷. მეორე უდიდესი რელიგიური ჯგუფი შვედეთში რომაულ-კათოლიკური ეკლესიაა (1 %-ზე მეტი)⁶¹⁸. დაახლოებით ისეთივე რაოდენობრივი შემადგენლობისაა შვედეთის სამისიონერო "Covenant Church" და ორმოცდაათიანელთა მოძრაობა, როგორც მუსლიმანთა ჯგუფები. შვედეთში აგრეთვე ცხოვრობენ ებრაელები, მეთოდისტები, ბუდისტები და ინდუსები.

ქრისტიანული ეკლესიები და ასოციაციები თავისი წევრების რაოდენობას უმეტესად ითვლის ნათლობის ტრადიციის გამოყენებით: ნებისმიერი პირი, რომელიც მონათლა მათ ან სხვა ეკლესიაში. თუმცა 1996 წლამდე შვედეთის ეკლესიას, იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ სახელმწიფო ეკლესიას, შეეძლო კანონიერ წევრებად მიეღო ის პირები, რომელთა მშობელი ან მშობლები მიეკუთვნებოდნენ ამ ეკლესიას. ამის გამო შვედეთის ეკლესიის მრევლად კვლავ რჩებიან პირები, რომლებიც არ იყვნენ მონათლულნი.

მუსლიმანური გაერთიანებების წევრთა რაოდენობა ოფიციალურად არ არის დაზუსტებული. შვედეთში მუსლიმანების რაოდენობის მონიტორინგს რელიგიური საზოგადოებებისთვის⁶¹⁹ ახორციელებს შვედეთის სახელმწიფო გრანტების კომისია.

შვედეთის მოსახლეობის უმეტესობა ეკუთვნის ეკლესიას ან სხვა სარწმუნოებრივ ჯგუფს. ზოგიერთი შვედი ლეგალურად არის დაფიქსირებული როგორც სარწმუნოების არმქონე. თუმცა შვედეთის ჰუმანისტურ ასოციაციაში⁶²⁰ მხოლოდ რამდენიმე ასეული წევრია გაერთიანებული. მიუხედავად ამისა, იზრდება იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც არც ერთი კონფესიის წევრები არ არიან.

617 Nyckeln till Svenska kyrkan – verksamhet och ekonomi 2002.

618 www.sst.a.se.

619 Sw. Samarbetsnämnden för statsbidrag till trossamfund.

620 Sw. Humanisterna.

წევრთა დიდი ოდენობა არ ნიშნავს რელიგიურ აქტიურობას, რადგან მხოლოდ წევრთა უმცირესობა ესწრება რეგულარულად მსახურებას. ეს განსაკუთრებით ეხება შვედეთის ეკლესიას. სხვა ეკლესიებსა და კონფესიებში აქტიურობის დონე უფრო მაღალია. დებატების საგანია, გამოხატავს თუ არა საეკლესიო აქტიურობის მაღალი ან დაბალი დონე მისი წევრების რწმენის განსხვავებულობას.

II. ისტორიული მონაცემები

შვედეთი ქრისტიანული ქვეყანა დაახლოებით 1000 წელს გახდა. შვედეთის პირველი ქრისტიანი მეფე იყო ოლოფ სკოტკონუნგი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ამ პერიოდისთვის ქვეყანას მართავდა. სახელმწიფო რელიგია – ქრისტიანობა – რომაულ-კათოლიკური ფორმით გახდა.

ლუთერანული რეფორმაცია შვედეთში 1527 წელს დაიწყო. 1523 წელს ქვეყნის მეფე გუსტავ ვაზა გახდა. 1527 წელს შვედეთის პარლამენტმა, მეფის წინადადებით, გადაწყვიტა, ეკლესიის “ზედმეტი ქონება” გადასცემოდა სახელმწიფოს და დაადასტურა ის ინტერვენციული მიდგომა, რომელიც განხორციელდა ეპისკოპოსების და მონასტრების წინააღმდეგ ცოტა ხნით ადრე. თუმცა შემდგომში ამ დოქტრინაზე მუშაობა გადაიდო გარკვეული ხნით.

მდგომარეობა გუსტავ ვაზას შვილების მეფობის დროს შეიცვალა. გუსტავ ვაზას შვილიშვილი, სიგიზმუნდი, იმავდროულად პოლონეთის მეფე და კათოლიკე იყო. იგი ტახტიდან ჩამოაგდო თავისმა ბიძამ, შემდგომში მეფე კარლ IX-მ, რომელიც ლუთერანი იყო. 1593 წელს კარლ IX-მ მოიწვია უჰსალას შეხვედრა, რომლის დროსაც შვედეთის ეკლესიამ აღიარა აუგსბურგის კონფესია. ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა შვედეთის ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიას.

შემდეგი საუკუნის განმავლობაში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია ერთადერთი ნებადართული ეკლესია იყო შვედეთში. სიტუაცია თანდათან შეიცვალა XVIII საუკუნის შუახნიდან. უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც შვედეთში ცხოვრობდნენ, უფლება მიეცათ გამხდარიყვნენ სხვა ქრისტიანული ეკლესიების წევრები, ასეთივე თავისუფლება გარანტირებული იყო ებრაელებისთვისაც.

1860 წელს შვედეთის მოქალაქეებს უფლება მისცეს, დაეტოვებინათ შვედეთის ეკლესია, თუკი ისინი განაცხადებდნენ, რომ აპირებდნენ გამხდარიყვნენ სხვა აღიარებული ეკლესიის ან კონფესიის წევრები. ეს იყო სხვა ქრისტიანული ეკლესიების დაარსების საწყისი პერიოდი შვედეთში. 1951 წლიდან შვედებს

მიეცათ სრული რელიგიური თავისუფლება. უკვე ამ დროისთვის მათ შეეძლოთ დაეტოვებინათ შვედეთის ეკლესია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

მოკლე ხანში, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მიიღო რელიგიური თავისუფლების გადანყვეტილება, დაიწყო დისკუსია სახელმწიფო ეკლესიის სისტემის გაუქმების თაობაზე. 1958 წელს მთავრობამ შექმნა კომიტეტი, რომლის ამოცანაც იყო პრობლემების ანალიზი და შესაძლო გადანყვეტილებების მიღება. ათი წლის შემდეგ კომიტეტმა წარმოადგინა ოთხი სხვადასხვა წინადადება: ერთი მათგანი ითვალისწინებდა არსებული სისტემის შენარჩუნებას, მაშინ, როდესაც დანარჩენი სამი გულისხმობდა უფრო საფუძვლიანი ცვლილებების გატარებას. წინადადებები გადაეცა ახალ კომიტეტს, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატი საეკლესიო მინისტრი. კომიტეტმა წამოაყენა სახელმწიფო ეკლესიის ახალი ურთიერთობის წინადადება, რომელიც ფაქტობრივად ნიშნავდა სახელმწიფო-ეკლესიის სისტემის დასასრულს. თუმცა 1973 წლის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს მთავრობამ გარკვეულწილად ზეწოლის გამო გამოაცხადა სახელმწიფო ეკლესიის არსებული სისტემის შენარჩუნების შესახებ.

1979 წელს ლიბერალურმა მთავრობამ წარმოადგინა სახელმწიფო ეკლესიის ახალი ურთიერთობის წინადადება არსებული სისტემის შეცვლის მიზნით. იმ დროისთვის ცვლილებების შეტანა საეკლესიო კანონში კვლავ რჩებოდა ისეთ საკითხად, რომელსაც ესაჭიროებოდა გენერალური სინოდის თანხმობა. სინოდმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე.

შემდგომმა კომიტეტმა, რომელიც დაინიშნა 1992 წელს, წარმოადგინა ახალი წინადადებები 1994 წლისათვის. 1995 წელს გენერალურმა სინოდმა (რომელიც იმ პერიოდისთვის კვლავ სახელმწიფო ორგანო იყო) ხმათა უმრავლესობით მიიღო კომიტეტის წინადადებები სახელმწიფო-ეკლესიის ახალი ურთიერთობების თაობაზე. იმავე წელს ახალ პრინციპებზე თანხმობა პარლამენტმაც განაცხადა.

ამის შემდგომ დაიწყო რეფორმების დაგეგმვის პერიოდი. დეტალურად დამუშავდა ახალი ურთიერთობა და რამდენიმე აქტი კონსტიტუციის ცვლილებებთან ერთად, რომელიც ძალაში შევიდა გენერალური სინოდის და პარლამენტის მიერ. 2000 წლის 1 იანვარს ასევე ძალაში შევიდა სახელმწიფო ეკლესიის ურთიერთობის ახალი სისტემა.

III. ძირითადი სტრუქტურა

1. სამართლებრივი წყაროები

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის არსებული სისტემა აისახა 1973 წლის კონსტიტუციაში, ისევე როგორც 1809 წლის – ძველ კონსტიტუციაში, რომლის გარკვეული ნაწილი კვლავ ძალაშია. საკონსტიტუციო აქტი ტახტის მემკვიდრეობით გადაცემაზე (1810წ.) აგრეთვე შეიცავს არაერთ საეკლესიო დებულებას. 1973 წლის კონსტიტუციამ (შესწორდა 2000 წელს) დაადგინა, რომ დებულებები, რომლებიც ეხებოდა შვედეთის ეკლესიას, ისევე, როგორც სხვა ეკლესიებს ან კონფესიებს, უნდა განხორციელდეს საპარლამენტო აქტების მეშვეობით⁶²¹. იგი აგრეთვე ადგენდა, რომ პარლამენტს შეეძლო შეეცვალა ან გაუქმებინა ამგვარი აქტები ორმაგი იდენტური გადაწყვეტილების საფუძველზე, ან პარლამენტის ერთი გადაწყვეტილებით, რომელიც იქნებოდა მიღებული ხმათა 75%-იანი უმრავლესობით. დებულება, რომელიც ეხებოდა მეფეს და მისი ტახტის მემკვიდრეს, შეიცავდა განცხადებას იმის თაობაზე, რომ ისინი უნდა აღიარებდნენ “წმინდა ევანგელისტურ დოქტრინას იმ სახით, როგორც იგი დამტკიცებულია და განმარტებულია აუსბურგის კონფესიაში და უქსალას 1593 წლის შეხვედრის გადაწყვეტილებაში”. კონსტიტუცია შვედეთის მოქალაქეებს ანიჭებს რელიგიური თავისუფლების გარანტიას. ეს უფლება ვლინდება “რელიგიური რწმენის თავისუფლად გამოხატვაში როგორც პიროვნულად, ასევე ჯგუფურად”⁶²². კონსტიტუციის შესაბამისად, მოქალაქეები სახელმწიფოსთან და სახელისუფლებო ორგანოებთან მიმართებაში დაცულნი არიან ვალდებულებისგან, დააფიქსირონ თავიანთი რელიგიური შეხედულება. თითოეული მოქალაქე აგრეთვე დაცულია ვალდებულებისგან, ეკუთვნოდეს რომელიმე კონფესიას⁶²³. შვედეთს რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და რელიგიური თავისუფლების უფლება შესაბამისად გარანტირებული აქვთ პირებს, რომლებიც არ არიან შვედეთის მოქალაქეები. კონვენცია რატიფიცირებულია პარლამენტის აქტით⁶²⁴, რომელიც შვედეთის საკანონმდებლო აქტია⁶²⁵.

621 8:6 regeringsformen.

622 2:1 regeringsformen.

623 2:2 regeringsformen.

624 Lagen (1994:1219) om den europeiska konventionen angående skydd för de mänskliga rättigheterna och de grundläggande friheterna.

625 ვიდრე შვედეთი ვახდებოდა ევროკავშირის წევრი, საერთაშორისო შეთანხმება უნდა ყოფილიყო მიღებული შვედეთის კანონმდებლობით იმისათვის, რომ გამხდარიყო უშუალოდ მოქმედი შვედეთის ფარგლებში.

შვედეთის სამართლებრივი სისტემა შედგება საკონსტიტუციო აქტებისგან, საპარლამენტო აქტებისა და წესდებებისგან. შემდგომი საფეხური წარმოდგენილია დირექტივებით, რომლებიც გაცემულია ცენტრალური ან რეგიონალური ხელისუფლების მიერ მთავრობის სახელით.

პარლამენტის ორი ცენტრალური აქტი რელიგიის სფეროში წარმოდგენილია “კონფესიების აქტით”⁶²⁶ და “შვედეთის ეკლესიის აქტით”⁶²⁷. ორივე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალი ურთიერთობის ნაწილია. კონფესიების აქტი აცხადებს, რომ შვედეთის ეკლესია რეგისტრირებული კონფესიაა. იგი აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს, სხვა ეკლესიებს და კონფესიებს გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის მეშვეობით ისინი იძენს უფლებაუნარიანობას, როგორც რელიგიური მიმდინარეობები. თუმცა რეგისტრაცია არ არის სავალდებულო. ეკლესიას ან კონფესიას შეუძლია იმოქმედოს სხვა სამართლებრივი ფორმით, როგორც ასოციაციამ ან როგორც ფონდმა. გარდა იურიდიული პირის სტატუსისა, რეგისტრაცია არ იძლევა სპეციალურ უპირატესობას ეკლესიის ან კონფესიისათვის. თუმცა მხოლოდ რეგისტრირებულმა კონფესიებმა შეიძლება გამოიყენოს საგადასახადო სისტემა ნევრებისგან გადასახადის მისაღებად. მათ აქვთ უფლება, გააფორმონ ქორწინება და მიიღონ სახელმწიფოსგან დახმარება. ამგვარი წესით დარეგისტრირებულია დაახლოებით 40 ეკლესია თუ კონფესია.

შვედეთის ეკლესიის აქტი უზრუნველყოფს შვედეთის ეკლესიის ევანგელურ-ლუთერანულ მიმართულებას. ეკლესია ღიაა მთელი ერისთვის, რომელიც დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ეკლესიების სამღვდლოებას შორის პარტნიორობით ეწევა საქმიანობას მთელი ქვეყანის მასშტაბით⁶²⁸. ეს დებულებები ხაზს უსვამს შვედეთის ეკლესიის ინდივიდუალობას. შესაძლოა, მოულოდნელი იყოს, რომ ეკლესიის ინდივიდუალობა, რომელიც აღარაა სახელმწიფო ეკლესია, მოცემულია საპარლამენტო აქტში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფო აქტი იძლევა ეკლესიის თვითმყოფადობის უწყვეტობის გარანტიას. შვედეთის ეკლესიის აქტი აგრეთვე შეიცავს დებულებებს ეკლესიის შიდა ორგანიზების თაობაზე. ამ დებულებების მიზანი იყო ეკლესიის ძირითადი ორგანიზაციის უწყვეტობის გარანტირება.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალი ურთიერთობის პრინციპების შემუშავებისას პარლამენტმა გამოსცა შვედეთის ეკლესიის წარდგენის აქტი⁶²⁹. ეს აქტი შედგება დებულებებისგან, რომელთა უმეტესობა ეხება ეკლესიის ქონებას. ამ

626 Lagen (1998:1593) om trossamfund.

627 Lagen (1998:1591) om Svenska kyrkan.

628 1-2 §§.

629 Lagen (1998:1592) om införande av lagen om Svenska kyrkan.

აქტით, ქონების უმეტესობა გადაეცა ეკლესიას ან მის ეპარქიებს. ხოლო ქონების ის ნაწილი, რომელიც თავიდანვე გამიზნული იყო, როგორც სამღვდლოების შესანახი ხარჯი, კვლავ რჩება განსაკუთრებულ ერთეულად⁶³⁰. მიუხედავად ამისა, შვედეთის ეკლესიის აქტი უზრუნველყოფს, ეს საკუთრება სატრასტო უფლებით დარჩეს შვედეთის ეკლესიის საკუთრებაში.

კიდევ ერთი აქტი, რომელიც მნიშვნელოვანია რელიგიის მდგომარეობისთვის შვედეთში, არის დაკრძალვის აქტი⁶³¹. ეს აქტი ადგენს, რომ დაკრძალვის რიტუალს შვედეთის ეპარქიებში ძირითადად ახორციელებენ შვედეთის ეკლესიის მღვდლები (თუმცა შვედეთის ორ ქალაქში მასზე პასუხისმგებელი არიან საზოგადოებები). ამ აქტის შესაბამისად, შვედეთის ეკლესიის ეპარქია ვალდებულია უზრუნველყოს დასაკრძალი ფართით ის მოქალაქეებიც, რომლებიც არ არიან ეკლესიის წევრები. ეკლესიას არ აკისრია ვალდებულება გახადოს თავისი საეკლესიო შენობა ხელმისაწვდომი ყველასთვის, გარდა საკუთარი ეკლესიის წევრებისა.

შვედეთის ეკლესიის წევრები სარიტუალო გადასახადს იხდიან საეკლესიო გადასახადებით⁶³². შვედეთის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ეკლესიის წევრები, იხდიან წლიურ სარიტუალო გადასახადს⁶³³, იგი მათი შემოსავლის პროპორციული უნდა იყოს და მას აგროვებს საგადასახადო ორგანოები სხვა საშემოსავლო გადასახადებთან ერთად. სარიტუალო გადასახადის რაოდენობა განსხვავდება ქვეყნის რეგიონების მიხედვით, ადგილობრივი ხარჯებიდან გამომდინარე, მაგრამ მას განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოები.

კულტურული მემკვიდრეობის აქტი შეიცავს ნათლად გამოხატულ დებულებებს საეკლესიო კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით⁶³⁴. საეკლესიო შენობის არქიტექტურა, რომელიც ეკუთვნის შვედეთის ეკლესიას და აშენდა 1940 წლამდე (აგრეთვე ნივთები, რომლებიც მიეკუთვნება ამგვარ საეკლესიო შენობებს) შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზედამხედველი წარმომადგენლის ნებართვით. მეორე მხრივ, შვედეთის ეკლესიას უფლება აქვს, მიიღოს სახელმწიფო შენატანი საეკლესიო შენობების შენახვისათვის. არსებობს აგრეთვე ამ სფეროში შვედეთის სახელმწიფოსა (მთავრობის მეშვეობით) და შვედეთის ეკლესიას შორის თანამშრომლობის შეთანხმება.

630 Sw. prästlönetillgångar.

631 Begravningslagen (1990:1144).

632 Sw. kyrkoavgift.

633 Sw. begravningsavgift.

634 Lagen (1988:950) om kulturminnen m.m.

შვედეთის ეკლესიას შეუძლია აირჩიოს და გამოიყენოს სახელმწიფო საგადასახდო სისტემა საეკლესიო გადასახადების შესაგროვებლად. სახელმწიფო ამის უფლებას აძლევს სხვა ეკლესიებსაც და დენომინაციებსაც (რეგისტრირებული დენომინაციების გადასახადების აქტი⁶³⁵). გარდა შვედეთის ეკლესიისა, შვიდი ეკლესია და დენომინაცია იყენებს საგადასახდო სისტემას გადასახადების შესაგროვებლად. დენომინაციების დახმარების აქტი⁶³⁶ ხელმისაწვდომს ხდის სახელმწიფოს დახმარებას ეკლესიისა და სხვა დენომინაციებისთვის. ეკლესიას ან დენომინაციას, რომელმაც აირჩია საგადასახდო სისტემის გამოყენება გადასახადების შესაგროვებლად (და აქვს მთავრობის თანხმობა ამას), უმცირდება ფინანსური დახმარება. შვედეთის ეკლესია არ იღებს ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოსგან აქტის პირობებით, მას აქვს მხოლოდ საგადასახდო სისტემის გამოიყენების უფლება.

მთავრობამ ეკლესიებს და დენომინაციებს შვედეთში ქორწინებების გაფორმების უფლება მისცა (ქორწინებების აქტი სხვა დენომინაციებში, გარდა შვედეთის ეკლესიისა⁶³⁷). შვედეთის ეკლესიის მღვდლებს აქვთ მსგავსი უფლება საქორწინო აქტის შესაბამისად.⁶³⁸

გარდა ამ დებულებებისა, ეკლესიებს და დენომინაციებს არ გააჩნია სხვა რაიმე ისეთი უფლება, რომლებითაც არ სარგებლობენ შვედეთის საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხარე დისკუსიის თემა იყო ცხოველთა და ფრინველთა რელიგიურ-რიტუალური დაკვლის საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო მუსლიმანი და ებრაელი მორწმუნეების ცხოვრების წესთან და ეწინააღმდეგეოდა ცხოველთა მიმართ სისასტიკის გამოვლენის ალკვეთის აქტს⁶³⁹. დღემდე ეს აქტი არ შეუცვლიათ.

2. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სისტემა

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი სამართლებრივი აქტები, რომლებიც ძალაში შევიდა 2000 წელს და დამკვიდრებული ახალი სისტემა ხშირად მოიხსენიება როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება. თუმცა ეს არ შეესაბამება სრულ სიმართლეს.

635 Lagen (1999:291) om avgift till registrerat trossamfund.

636 Lagen (1999:932) om stöd till trossamfund.

637 Lagen (1993:305) om rätt att förrätta vigsel inom andra trossamfund än Svenska kyrkan.

638 Äktenskapsbalken.

639 Djurskyddslagen (1988:534).

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კვლავ არსებობს მრავალმხრივი კავშირი. ამ ცვლილებებმა, როგორც მოულოდნელიც უნდა იყოს, გამოიწვია სახელმწიფოსა და სხვა ეკლესიებისა და დენომინაციების დაახლოება.

შვედეთში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალი ურთიერთობის ქვაკუთხედი ახლად დასხვადასხვა ეკლესიის და დენომინაციის თანასწორობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მართებულია თეორიულად, რეალობა სხვაგვარია. რასაკვირველია, შვედეთის ეკლესია თავისი მასშტაბით, ეკონომიკური სიძლიერით და ისტორიით ძნელად შესადარებელია სხვა ეკლესიებთან და კონფესიებთან შვედეთში, მაგრამ, მეორე მხრივ, სხვა ეკლესიის წევრები გაცილებით უფრო აქტიურნი არიან, ვიდრე შვედეთის ეკლესიის წევრები. აქტიური მორწმუნეების პროპორცია ამ ეკლესიებში გაცილებით უფრო მაღალია.

შვედეთის საეკლესიო აქტის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შვედეთის ეკლესიას განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია. ამ აქტით იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სპეციალური პრივილეგია, რომელიც მინიჭებული აქვს შვედეთის ეკლესიას. მაგრამ აქტი შეიცავს, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიის იდენტურობასა და მის ორგანიზებასთან დაკავშირებულ დებულებებს. ამრიგად, მეორე მხრივ, აქტი შეიძლება იყოს განხილული როგორც შვედეთის ეკლესიის შეზღუდვა ზოგიერთ არსებით საკითხში. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა იმის გასარკვევად, თუ რა მიზანი ამოძრავებდა სახელმწიფოს შვედეთის ეკლესიისთვის იმ შეზღუდვების გამო, რომლებიც არ ვრცელდებოდა სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე. პასუხი ამგვარია: თავად შვედეთის ეკლესიამ სინოდის მეშვეობით, რომელიც იმ დროისთვის კვლავ სახელმწიფო ორგანოდ რჩებოდა, მოითხოვა ეს შეზღუდვები. ყველაზე სავარაუდოა, რომ ასეთი მოთხოვნის მიზეზი ეკლესიის შიგნით არსებული სხვადასხვა ჯგუფის სურვილში მდგომარეობდა, იმ დროს, როცა იგი უკვე აღარ იყო სახელმწიფო ეკლესია, რათა ეკლესია უცვლელი დარჩენილიყო იდენტურობის და ორგანიზების თვალსაზრისით.

როგორც ვთქვით, შვედეთის ეკლესიას განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია როგორც შვედეთის სარიტუალო სისტემასთან, ასევე ძველ საეკლესიო შენობებთან დაკავშირებით. შვედეთის ეკლესიის პასუხისმგებლობა დაკრძალვასთან მიმართებით ძირითადად ისტორიული ხასიათისაა და უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მას შემდეგ, რაც შვედეთი გახდა ქრისტიანული ქვეყანა, დასაკრძალი ადგილების საკითხი სახელმწიფო ეკლესიის ზრუნვის საგანი შეიქნა. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალი ურთიერთობის დამყარების შემდგომ მხოლოდ შვედეთის ეკლესია იყო მზად, ეკისრა ეს პასუხისმგებლობა. შვედეთის საზოგადოებაში არც სხვა ეკლესიები და არც დენომინაციები ან ორგანიზაციები არ იყო კრიტიკულად განწყობილი იმის მიმართ, რომ შვედეთის ეკლესიას

ემართა დასაკრძალი ადგილების საკითხი. ამგვარად, ამ საკითხის რეგულირება რჩება შვედეთის ეკლესიის კომპეტენციაში. ეკლესიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, მოექცეს პატივისცემით იმ მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან მისი წევრები. შვედეთის ეკლესია ვალდებულია უზრუნველყოს დასაკრძალი ადგილებით ის მოქალაქეები, რომლებსაც არ სურთ დაკრძალვა ქრისტიანულ სასაფლაოზე.

შვედეთის ძველი საეკლესიო შენობებით წარმოდგენილ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა შვედეთის ეკლესიის ამოცანაა და ის ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების მეშვეობით. კულტურული მემკვიდრეობის აქტი ეხება შვედეთის ეკლესიას. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ სხვა ეკლესიებს არსებითად არ გააჩნია ძველი საეკლესიო შენობები, რადგან XIX საუკუნემდე შვედეთში პრაქტიკულად არ მოქმედებდა სხვა ეკლესია.

შვედეთში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალმა ურთიერთობამ საშუალება მისცა შვედეთის ეკლესიას, სხვა ეკლესიებთან და დენომინაციებთან ერთად, მიეღო სამართლებრივი სტატუსი როგორც რეგისტრირებულ დენომინაციას. იურიდიულ პირად გახდომა აგრეთვე შეეძლო თითოეული ეკლესიის და დენომინაციის შემადგენელ ნაწილს (მაგ. ეპარქია, რაიონი ან სამრევლო). ამ თვალსაზრისით, ეკლესიები და დენომინაციები განიხილება როგორც თანასწორ-უფლებიანი ერთეულები. ამგვარი თანასწორობა ეხება აგრეთვე ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობას სახელმწიფოსგან ან საგადასახადო სისტემის გამოყენებას მათი წევრებისგან გადასახადების შესაგროვებლად და ქორწინებების გასაფორმებლად. სახელმწიფო დასაკრძალი ადგილების განკარგვა ხორციელდება შვედეთის ეკლესიის მიერ, მაგრამ ყველა ეკლესიას და დენომინაციას საშუალება აქვს ჰქონდეს თავისი კერძო დასაკრძალი ადგილი.

IV. რელიგიური ორბანიზაციების სამართლებრივი სტატუსი

როგორც ითქვა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალი ურთიერთობა საშუალებას აძლევს ეკლესიებს და სხვა დენომინაციებს, იყოს იურიდიული პირი – რეგისტრირებული დენომინაცია. შვედეთის ეკლესიისათვის ეს დიდი ცვლილებაა, რადგან ეკლესიას, როგორც სახელმწიფოს ნაწილს, ადრე არ ჰქონდა იურიდიული პირის სტატუსი. შვედეთის ეკლესიამ მოიპოვა რეგისტრირებული კონფესიის სტატუსი კანონმდებლობის მეშვეობით, სხვა ეკლესიებს და დენომინაციებს ამგვარი სტატუსი ენიჭება რეგისტრაციის შემდეგ.

დღეისათვის დაახლოებით 40 სხვადასხვა ეკლესია და მორწმუნეთა ჯგუფი წარმოადგენს “რეგისტრირებულ დენომინაციას”. ეს ეხება რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას ისევე, როგორც სხვადასხვა მუსლიმანურ ორგანიზაციას. ისეთი დენომინაციაც კი, რომელიც აღიარებს ძველ სკანდინავიურ წარმართულ ღმერთებს, არის დარეგისტრირებული. რეგისტრაციის საკითხებს წარმართავს სამართლებრივი, ფინანსური და ადმინისტრაციული მომსახურების სააგენტო⁶⁴⁰. სააგენტოს გადამწყვეტილებები გულისხმობს დენომინაციის დოქტრინის შეფასებას. რეგისტრაციის ერთადერთი კრიტერიუმია ეკლესიის ან კონფესიის მიერ ღვთაებრივი სამსახურის, როგორც მიზნის განხორციელება და კონფესიის წევრთა რაოდენობა. ამის დამტკიცება შეიძლება წევრების შესახებ ჩანაწერებით, ან იმით, რომ ეკლესია ან კონფესია მსოფლიო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნაწილია. “შვედეთის ჰუმანიტარული ასოციაციას” უარი ეთქვა რეგისტრაციაზე იმ ფაქტის გამო, რომ მისი მიზანი არ იყო ღვთის სამსახური. მეორე მხრივ, გამონათქვამი “საღვთო სამსახური” ინტერპრეტირებულია საკმაოდ ფართოდ, მაგალითად ბუდისტურ ორგანიზაციასთან დაკავშირებით, მასში პირდაპირი აღმსარებლობის ელემენტი შედარებით შეზღუდულია, მაგრამ ის უფლებამოსილია გაიაროს რეგისტრაცია. სააგენტო ითხოვს დადასტურებას, რომ საღვთო სამსახური ხორციელდება განმცხადებლის ეკლესიის ან კონფესიის ფარგლებში: ჩვეულებრივ ამისათვის საკმარისია განცხადება ეკლესიიდან ან დენომინაციიდან. მაგალითად, ასე გახდა საინტელოგიური ეკლესია რეგისტრირებული კონფესია შვედეთში.

რეგისტრაცია სავალდებულო არაა იმ ეკლესიისთვის ან დენომინაციისთვის, რომელსაც სურს აქტიურად იმოღვაწეოს შვედეთის საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყველა ეკლესია და დენომინაცია რეგისტრირებულია შვედეთში, არსებობს ალტერნატივა მათთვის, ვინც გადაწყვეტს, არ გაიაროს რეგისტრაცია. მათ შეუძლია სხვა სამართლებრივი ფორმების არჩევა.

როგორც აღინიშნა, თავად რეგისტრაცია არ იძლევა გარანტიას რაიმე განსაკუთრებულ უფლებებზე. თუმცა რეგისტრაცია აუცილებელია საგადასახადო სისტემის გამოყენების უფლებისთვის საწევრო გადასახადის შესაგროვებლად, სახელმწიფოსაგან ფინანსური დახმარების მისაღებად და ქორწინების სარეგისტრაციოდ. თუმცა იმ ეკლესიებმა და დენომინაციებმა, რომელთაც ჰქონდა ქორწინების ოფიციალურად გაფორმების უფლება 2000 წლამდე, არ დაკარგა ეს უფლება, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მიმდინარე რეფორმის თანამდევ ეფექტს წარმოადგენდა.

უკვე ვახსენეთ, რომ რეგისტრირებულ ეკლესიას ან დენომინაციას შეიძლება არ ჰქონდეს სარიტუალო-დასაკრძალი ტერიტორიები.

640 Sw. Kammarkollegiet.

შვედეთში ეკლესიებს და დენომინაციებს არ აქვს მინიჭებული სხვა განსაკუთრებული უფლებები. მათ შეიძლება გააჩნდეს სასკოლო დაწესებულებები და რიგ ეკლესიებს აქვს კიდეც ისინი, მაგრამ იმ პირობების დაცვით, რომლებსაც იცავს სხვა ორგანიზაციებიც. ეკლესია ან დენომინაცია შეიძლება ხელმძღვანელობდეს საავადმყოფოს ან ხანდაზმულთა სახლებს. შვედეთის სასკოლო და ჯანდაცვის სისტემები მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო გაერთიანებების და სოციალურ-საეკონომიკური ფონდების ფინანსურ დახმარებასთან. პრაქტიკულად შეუძლებელიცაა ეკლესიისათვის ან კონფესიისათვის საჯარო ფინანსური დახმარების გარეშე სკოლის ან საავადმყოფოს გახსნა. ამრიგად, საკითხი ეკლესიის “უფლების” თაობაზე, განახორციელოს ამგვარი საქმიანობა, არაა დიდი ინტერესის საგანი. ამის ნაცვლად უფრო აქტუალურია მსჯელობა “საზოგადოებრივი დახმარების უფლებაზე”.

არ არსებობს დახმარების პირდაპირი უფლება. ალტერნატიული სკოლების ან საავადმყოფოებისთვის დახმარების აღმოსაჩენად გადაწყვეტილებას სახელმწიფო ორგანოები იღებს ადგილობრივად ან რეგიონალურად და ხშირად პოლიტიკური თვალსაზრისის გათვალისწინებით. ამრიგად, ეკლესიების მიერ ორგანიზებული რელიგიური სკოლები და ჯანდაცვის დაწესებულებები საკმაოდ იშვიათია შვედეთში, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში შეინიშნებოდა გარკვეული პროგრესი სკოლებთან დაკავშირებით.

არ არსებობს აგრეთვე პოლიტიკურ სისტემასთან ეკლესიის კონტაქტების სპეციალური დებულებები. სამღვდლოებს არ ეკრძალება პოლიტიკური მოღვაწეობა. მეორე მხრივ, არსებობს სპეციალური რელიგიური მოძრაობები პოლიტიკურ სისტემაში. შვედეთში არის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც პარლამენტში ადგილების 10% უკავია. შვედეთში პარტია დაკავშირებული არაა რომელიმე ეკლესიასთან ან დენომინაციასთან.

V. ეკლესია და კულტურა

უკვე აღინიშნა, რომ შვედეთში არ არსებობს სპეციალური წესები ეკლესიებისთვის ან სხვა დენომინაციებისთვის, რათა მათ უხელმძღვანელონ სკოლებს. მეორე მხრივ, შვედეთში არსებობს საეკლესიო სკოლები, მაგრამ ისინი ექვემდებარება საერთო კანონებს.

შვედეთის ეკლესიას, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ეკლესიას, აქვს თავისი საკუთარი საგანმანათლებლო ინსტიტუტები სამღვდლოებისა და ეპარქიის სხვა

მუშაკებისთვის. ისინი ზოგჯერ ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოსაგან იღებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც განათლების ამგვარი დაწესებულება ორგანიზებულია, როგორც სახალხო უნივერსიტეტი⁶⁴¹, რომელიც უმაღლესი განათლების განსაკუთრებული სკანდინავიური ფორმაა და მას ძირითადად ხელმძღვანელობს რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა იდეოლოგიური ორგანიზაციები. სამღვდლოების განათლებისათვის სახელმწიფო სუბსიდიები არ არსებობს – ეს ეხება როგორც შვედეთის ეკლესიას, ასევე სხვა ეკლესიებს.

განათლება სახელმწიფო სკოლებში არაკონფესიურია. რელიგიის საგანი სავალდებულოა როგორც დაწყებითი, ასევე საშუალო სკოლებისთვის.

სახელმწიფო უნივერსიტეტები აგრეთვე არაკონფესიურია. შვედეთის ეკლესიის სამღვდლოება ჩვეულებრივ გამოცდებს აბარებს თეოლოგიის განხრით უნივერსიტეტში, ვიდრე მიიღებს განათლებას სასულიერო ნოდების მოსაპოვებლად, რასაც უზრუნველყოფს ეკლესია. შვედეთის სხვა ეკლესიები, რომლებიც ახორციელებს სამღვდლოების სწავლებას, არ ითხოვს საუნივერსიტეტო განათლების, როგორც წინაპირობის, არსებობას.

აგრეთვე არ არსებობს სპეციალური დებულებები ეკლესიასა და მედიასთან დაკავშირებით. ეკლესიას არ გააჩნია განსაკუთრებული უფლება სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ სამაუწყებლო კომპანიებში. ფაქტობრივად ძირითადი რადიო და სატელევიზიო არხები საკმაოდ ფართოდ მოიცავს რელიგიის სფეროს: ეს მათი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლების, ამოცანის ნაწილია. ყოველ კვირას გადაიცემა როგორც შვედეთის ეკლესიის, ასევე სხვა ეკლესიების ღვთისმსახურება რადიოთი და ტელევიზიით. ეკლესიებს არ ჰყავს წარმომადგენლობა მედიაკომპანიებში.

VI. შრომითი კანონმდებლობა

შვედეთს არ აქვს სპეციალური შრომითი საკანონმდებლო დებულებები ეკლესიებთან და დენომინაციებთან დაკავშირებით. მათზე ვრცელდება იგივე შრომითი კანონმდებლობა, როგორც ყველა სხვა იურიდიულ პირზე. წარსულში ამან შექმნა პრობლემები შეუქმნა შვედეთის ეკლესიას, როგორც სახელმწიფო ეკლესიის სტატუსის მქონე ორგანიზაციას. ეკლესიაში სამღვდლოების წარმომადგენლების დასაქმება ზოგად შრომით კანონს ექვემდებარება. ასე რომ,

641 Sw. Folkhögskola.

თუ, მაგალითად, მღვდელი დაარღვევდა დასაქმების პირობას, საკითხი უნდა დარეგულირებულიყო არა საეკლესიო, არამედ შრომითი კანონის საფუძველზე. სახელმწიფოსთან ახალი ურთიერთობის ფონზე შვედეთის ეკლესიამ შეძლო, შეეცვალა სისტემა იმგვარად, რომ მღვდლის სასულიერო ნოდებზე კურთხევა აღარ არის დასაქმების კონტრაქტის ნაწილი (იგი შრომითი კანონის ნაწილად რჩება).

შვედეთის შრომის ბაზარზე პრევალირებს კოლექტიური ხელშეკრულებები. ასე რომ, ეკლესიებიცა და სხვა დენომინაციებიც უმეტესწილად დამსაქმებელთა სხვადასხვა ასოციაციის წევრს წარმოადგენს. შვედეთის ეკლესიას აქვს თავისი საკუთარი ასოციაცია – შვედეთის საეკლესიო ეპარქიების ასოციაცია⁶⁴². ეკლესიების თანამშრომლებიც ხშირად სხვადასხვა პროფკავშირის წევრები არიან. შვედეთის ეკლესიის მღვდლებმა (და სხვა თანამშრომლებმა) შექმნეს შვედეთის ეკლესიის თანამშრომლების ასოციაცია⁶⁴³.

VII. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა

შვედეთის საქორწინო და საოჯახო კანონი შვედეთის სახელმწიფო კანონის ნაწილია, თუმცა, როგორც ითქვა, ეკლესიებისა და დენომინაციების უმეტესობას ქორწინების ოფიციალური გაფორმების უფლება მისცეს. განქორწინების ან განცალკევების საკითხები არ შედის რელიგიური გაერთიანებების კომპეტენციაში.

VIII. ეკლესიების ფინანსები

როგორც აღინიშნა, შვედეთში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ახალი ურთიერთობა 2000 წლიდან ზოგიერთი ეკლესიისა და დენომინაციისთვის მოიცავს დებულებას, რომლის შესაბამისადაც მათ შეუძლია საგადასახადო სისტემის გამოიყენება სანევრო გადასახადების შესაგროვებლად. შვედეთის ეკლესიას მინიჭებული აქვს ეს უფლება კანონის შესაბამისად. სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს გრანტების გაცემას სხვა ეკლესიებისა და დენომინაციებისთვის, რაც ყოველწლიურად 50 მილიონ შვედურ კრონს უტოლდება. ეკლესიას, რომელსაც საგადასახადო სისტემის გამოყენების უფლება აქვს, შესაბამისად უმცირდება გრანტის რაოდენობაც.

642 Sw. Svenska kyrkans församlingsförbund.

643 Sw. Kyrkans Akademikerförbund.

ახალი წესების მიხედვით, შვედეთის ეკლესია აგრეთვე იღებს სახელმწიფო დახმარებას ეკლესიის კულტურული მემკვიდრეობის მოვლისა და შესანარჩუნებლად. პარლამენტმა ვალდებულება აიღო უზრუნველყოს სახსრების გაცემა 2010 წლამდე.

ზოგი ეკლესია და დენომინაცია ქონებიდან მიღებულ ამონაგებს თავის შემოსავლად მიიჩნევს. შვედეთის ეკლესიას ქონება გადაეცა 2000 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

შვედეთში ამჟამადაც გრძელდება დისკუსია, უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს საეკლესიო ქონება სამართლებრივი თვალსაზრისით სახელმწიფო ქონებად თუ მიენიჭოს განსხვავებული სტატუსი, მაგალითად სატრასტო. 2000 წლიდან ნათელი გახდა, რომ ეკლესიების ქონების უმეტესობას, შემონიშნულებს სამლვედლოების ხელფასების გადასახდელად⁶⁴⁴, სამართლებრივი თვალსაზრისით, უნდა ჰქონდეს სატრასტო ფორმა. კანონის შესაბამისად, შვედეთის ეკლესია ოფიციალურად დაინიშნა ამ ტრასტების ადმინისტრატორად. ტრასტის ქონება ძირითადად შედგება ტყეებისგან, რომელთა ღირებულება დაახლოებით 10 მილიონი შვედური კრონის ტოლია. ეკლესიის სხვა ქონება კანონიერად გადაეცა შვედეთის ეკლესიას, მის საეპარქიოებსა და სამრევლოებს. შვედეთის ეკლესიის წარმომადგენლობითი აქტი შეიცავს დებულებას, რომლის მეშვეობითაც ყველას, ვინც შეძლებს დამტკიცოს თავისი უფლება აღნიშნული ქონების ნაწილზე, შეუძლია მიიღოს ფინანსური კომპენსაცია სახელმწიფოსგან. დღემდე არ ყოფილა განაცხადი ამგვარი უფლების თაობაზე. ამ დებულების ერთ-ერთი მიზანი იყო საკუთრების უფლების დაცვა ევროპული კონვენციის შესაბამისად.

ეკლესიებს და კონფესიებს, რომლებიც საერთაშორისო ეკლესიების (ან დენომინაციების) ნაწილს შეადგენს, შეუძლია მიიღოს გრანტები საზღვარგარეთიდან.

IX. სასულიერო დახმარება სახელმწიფო ინსტიტუტებში

შეიარაღებულ ძალებსა და შვედეთის ეკლესიას შორის არსებობს სულიერი დახმარებისთვის შეთანხმება. ხელშეკრულება ავალდებულებს ეკლესიას, აუნაზღაუროს სამხედრო ძალებში მუშაობის ღირებულება სამხედრო მოძღვარს, რომელიც შტაბის წევრია; იგი ინიშნება შეიარაღებული ძალების მიერ შვედეთის ეკლესიასთან კონსულტაციის საფუძველზე.

644 Sw. Prästlönetillgångar.

მშვიდობიანი პერიოდის დროს სასულიერო დახმარებას სამხედრო დაწესებულებებში ახორციელებენ ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული კაპელანები. სამხედრო მოძღვარი კაპელანებს ზედამხედველობს. კაპელანი შეიძლება იყოს შვედეთის ეკლესიის მღვდელი ან მოვლინებული რომელიმე სხვა ქრისტიანული ეკლესიიდან. სამხედრო ხელმძღვანელობა კაპელანს ნიშნავს ადგილობრივ ეკლესიასთან კონსულტაციის საფუძველზე. დღეისთვის არ მომხდარა მუსლიმანი ან ებრაელი კაპელანის დანიშვნა.

ომის დროს შვედეთის შეიარაღებული ძალებში სამსახური ყველა მამაკაცისათვის სავალდებულოა – ეს ეხება მღვდლებსაც და პასტორებსაც, რომლებიც ხშირად ინიშნებიან კაპელანებად.

პატიმრებისთვის სასულიერო მომსახურების ორგანიზებას ახორციელებს შვედეთის ქრისტიანული საბჭო ეროვნული საპატიმროების და პრობაციის ადმინისტრაციის სახელით. საბჭო თითქმის ყველა ქრისტიანული ეკლესიის და კონფესიის ერთობლივი ასოციაციაა შვედეთში. საბჭო ინარჩუნებს ახლო ურთიერთობას შვედეთის ისლამურ და ებრაულ ორგანიზაციებთან. ყველა საპატიმროს უნდა ჰყავდეს ორი კაპელანი, ერთი შვედეთის ეკლესიიდან და ერთი ნებისმიერი ქრისტიანული ეკლესიიდან და კონფესიიდან. კაპელანები პასუხისმგებელი არიან რწმენათაშორის კონტაქტებზე. საჭიროების შემთხვევაში ისინი ორგანიზებას უწევენ იმამის ან ბუდისტი სასულიერო პირის ვიზიტს.

სასულიერო დახმარების მიღება შესაძლებელია შვედეთის თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში და მას ახორციელებენ მღვდლები, დიაკვნები და სხვა რელიგიის წარმომადგენლები. ამ პროცესს წარმართავს შვედეთის ეკლესია სხვა ქრისტიანული ეკლესიების და კონფესიების დახმარებით. ადგილობრივი ეპარქია, რომელშიც საავადმყოფო ან ჯანდაცვის სხვა დაწესებულება მდებარეობს, პასუხისმგებლობას კისრულობს ამგვარ დახმარებაზე. საჭიროების შემთხვევაში საავადმყოფოს კაპელანები სხვა რელიგიის წარმომადგენლებს რთავენ ასეთ საქმიანობაში. შვედეთის სოციალური უზრუნველყოფის სტრუქტურის გამო ამ ქვეყანაში პრაქტიკულად არაა კერძო საავადმყოფოები. ფაქტობრივად ყველა საავადმყოფო შვედეთში სახელმწიფოა და მათი უმეტესობის მართვა რეგიონალურ დონეზე ხორციელდება.

ეკლესიებს და კონფესიებს შვედეთში არ გააჩნია განსაკუთრებული უფლებამოსილება სკოლებში ან პოლიციის განყოფილებებში სასულიერო დახმარების აღმოჩენაზე. რასაკვირველია, არსებობს კონტაქტი და თანამშრომლობა სკოლების, პოლიციის ხელმძღვანელობასა და ეკლესიებს შორის (უმეტესად ეს ეხება შვედეთის ეკლესიას). ზოგ ეკლესიას და კონფესიას აქვს საკუთარი სკოლა, მაგრამ ისეთივე საფუძველზე, როგორც არასაჯარო სკოლებთან მიმართებაში არსებობს.

X. სისხლის სამართლის კანონი და რელიგია

შვედეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არაა ისეთი დებულებები, რომლებიც მიზნობრივად მიმართულია რელიგიური საკითხებისადმი. როგორც ეს ხდება უმეტეს ქვეყანაში, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება დისკრიმინაცია კონკრეტული ჯგუფის მიმართ მისი რასის ან რწმენის გამო. ახლახან საქმე აღიძრა იმ პირების მიმართ, რომლებიც საჯაროდ იყენებდნენ ნაციისტურ მისალმებას ან სიმბოლიკას⁶⁴⁵. რელიგიურ საფუძველზე არანაირი გამონაკლისი არ არსებობს სისხლის სამართლის კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით.

XI. სამღვდლოების სამართლებრივი სტატუსი

სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცედურების თანახმად, შვედეთის სასამართლოებში მღვდელი (ან სასულიერო პირი) არ შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე იმ საქმეზე, რომელზეც ინფორმაცია მან მიიღო აღსარების ან სულიერი დახმარების აღმოჩენის დროს⁶⁴⁶. ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა შვედეთის საზოგადოებაში, როდესაც ამ ქვეყნის სააპელაციო სასამართლო⁶⁴⁷ საზოგადოებრივი საქმეების⁶⁴⁸ ომბუდსმენმა გააკრიტიკა. საქმე ეხებოდა მღვდლის მიერ სასამართლოზე მიცემულ ჩვენებას, ეს მღვდელი დაჰკითხეს როგორც მოწმე, ბრალდებულმა სთხოვა მას, რომ მისი აღსარება მოეყვანათ როგორც დამამტკიცებელი საბუთი. ომბუდსმენის თვალსაზრისით, ეს არ იყო სწორი, რადგან მღვდლის მიერ აღსარების საიდუმლოების დაცვის ვალდებულება უნდა ყოფილიყო “აბსოლუტური”. სასამართლოს არ ჰქონდა არჩევანის შესაძლებლობა და უნდა გაეთვალისწინებინა ეს ვალდებულება⁶⁴⁹.

საპროცედურო საკითხთა აქტის ზემონახსენები დებულების მიუხედავად⁶⁵⁰, შვედეთში არ არსებობს რამე განსაკუთრებული სამართლებრივი დებულება სამღვდლოებასთან ან სხვა რელიგიურ ხელმძღვანელებთან მიმართებაში.

645 უზენაესი სასამართლო (Sw. Högsta Domstolen) 1996 p. 577.

646 36:5 rättegångsbalken.

647 Sw. Svea Hovrätt.

648 Sw. Justitieombudsmannen.

649 ომბუდსმენის გადანყვეტილება, 1993 წლის 16 ივლისი.

650 Sw. Rättegångsbalken.

XII. ბიბლიოგრაფია

Doe (ed.), *The portrayal of religion in Europe: the media and the arts* (Leuven 2004).

Dübeck & Overgaard (ed.), *Social Welfare, Religious Organizations, and the State* (Milano 2003).

Edqvist, Friedner, Lundqvist-Norling & Tibbling, *Kyrkoordning för Svenska kyrkan – med kommentarer och angränsande lagstiftning* (Stockholm 2003).

Ekström, *Makten över kyrkan – om Svenska kyrkan, folket och staten* (Stockholm 2003).

Ekström, *Svenska kyrkan – historia, identitet, verksamhet och organisation* (Stockholm 2004).

Göransson, *Svensk kyrkorätt – en översikt* (Stockholm 1993).

სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში

გაერთიანებული სამეფო არის სახელმწიფო, რომელიც საკუთარი სამართლებრივი სისტემის მქონე სამი სხვადასხვა ქვეყნისგან შედგება: ინგლისი და უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთი ირლანდია. ინგლისისა და შოტლანდიის სამართლის ისტორია ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, ზოგიერთ საკითხში კი – მკვეთრად. თითოეული ქვეყანა თანამედროვე კანონმდებლობას წმირ შემთხვევაში დამოუკიდებლად იღებს. 1999 წელს, 292-წლიანი შუალედის შემდეგ, აღდგა შოტლანდიის პარლამენტი. გარკვეულ საკითხებს, მათ შორის (დაუნერელი) კონსტიტუციის იმ ასპექტებს, რომლებიც ეხება სამეფო ტახტს, ინგლისისა და შოტლანდიის გაერთიანებას⁶⁵¹, ასევე ეკლესიასთან და სახელმწიფოსთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ საკითხებს, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი განიხილავს. ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობა ინგლისის კანონმდებლობას ეფუძნება, თუმცა 1920 წლის შემდეგ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ჩრდილოეთ ირლანდიას ცალკე დაქვემდებარებული კანონმდებლობა⁶⁵² ჰქონდა. უელსის ასამბლეა შეიქმნა 1999 წელს, მაგრამ იგი უფლებამოსილი არაა, მიიღოს რაიმე ძირითადი კანონი.

კიდევ უფრო დიდი სირთულეებს ვაწყდებით ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კუთხით. არსებობს ინგლისის სახელმწიფო ეკლესია (ინგლისის ეკლესია), რომლის უზენაესი მმართველი დედოფალია. უელსისა⁶⁵³ და ჩრდილოეთ ირლანდიის⁶⁵⁴ ანგლიკანური ეკლესიები სახელმწიფოსაგან გამოყოფილია, ხოლო შოტლანდიაში მათი რიცხვი შოტლანდიის (სახელმწიფო) ეკლესიასთან⁶⁵⁵ შედარებით საკმაოდ მცირეა. დედოფალი, რომელიც თავისი სამეფოს სამხრეთ

651 1998 წლის აქტი შოტლანდიის შესახებ, ს. 30, ტაბ. 5, პარაგრაფი 1 (ა)(ბ).

652 1998 წლის ჩრდილოეთ ირლანდიის აქტით აღდგა ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეა, რომელიც სხვადასხვა დროს წყვეტდა არსებობას ჩრდილოეთ ირლანდიაში გაჭიანურებული რთული პოლიტიკური ვითარების გამო.

653 უელსის ეკლესია, რომელიც 1920 წელს ინგლისის ეკლესიის უელსური ეპარქიებისაგან შეიქმნა.

654 ირლანდიის ეკლესია, რომლის ეპარქიები მოიცავს არა მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიას, არამედ მთელ ირლანდიას.

655 შოტლანდიის ეპისკოპალური ეკლესია.

ნაწილში საეპისკოპოსო ეკლესიის მმართველია, აგრეთვე მისი ჩრდილოეთი ნაწილის ⁶⁵⁶ რეფორმირებული, პრესვიტერიანული ეკლესიის წევრია.

ამ სირთულეების გათვალისწინებით მკითხველმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი დებულება შეეხება მთლიანად გაერთიანებულ სამეფოს, ზოგი კი – მხოლოდ ინგლისს ან ინგლისსა და უელსს, ან შოტლანდიას. ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებული სიტუაციის ცალკეული ასპექტი ზოგადად ირლანდიის ისტორიას ასახავს.

I. სოციალური ფაქტები

2001 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ფარგლებში ბოლო 150 წლის განმავლობაში პირველად დაისვა რელიგიის შესახებ კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა ნებაყოფლობითი იყო. ეს კითხვა ითვალისწინებდა ცხრილ 1-ში მოცემულ პასუხის ვარიანტებს. შოტლანდიაში კი დაისვა დამატებითი კითხვებიც, რომლებითაც იკვლევდნენ, რომელი დიდი ქრისტიანული დენომინაციების ერთგული იყო მოსახლეობა.

ცხრილი 1: რელიგიური გაერთიანებები დიდ ბრიტანეთში, 2001 წ.

(მოსახლეობის პროცენტული შეფარდება)

	ინგლისი	უელსი	შოტლანდია	სულ დიდი ბრიტანეთი
ქრისტიანობა	71.74	71.90	65.08	71.16
ისლამი	3.10	0.75	0.84	2.78
ინდუიზმი	1.11	0.19	0.11	0.98
სიქიზმი	0.67	0.07	0.13	0.59
იუდაიზმი	0.52	0.08	0.13	0.47
ბუდიზმი	0.28	0.19	0.13	0.26
სხვა	0.29	0.24	0.53	0.31
არც ერთი რელიგია	14.59	18.53	27.55	15.94
ზემოჩამოთვლილი რელიგიებიდან არც ერთი	7.69	8.07	5.49	7.51

656 ინგლისის ეკლესიას მენის კუნძულზე (სადაც სოდორისა და მენის ეპისკოპოსი საკანონმდებლო ხელისუფლებაში ადვილს იკავებს), გერნსისა და ჯერსის კუნძულების ბეილიფის ოლქებში განსაკუთრებული სტატუსი აქვს, თუმცა ამ ტერიტორიებიდან არც ერთი არაა გაერთიანებული სამეფოს ნაწილი.

როგორც არსებული საერთო სურათი ცხადყოფს, იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც საკუთარ თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ (რაც მთელი დიდი ბრიტანეთის 71.16%-ს შეადგენს), საკმაოდ მაღალია, რაც ერთგვარად სიურპრიზადაც კი აღიქვს, ვინაიდან ბევრი უფრო დაბალ მაჩვენებელს მოელოდა. რელიგიური კუთვნილების, როგორც ასეთის, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შოტლანდიაში აღინიშნა (სადაც ყოველმა მესამემ პასუხში მიუთითა: “არც ერთი რელიგია” ან უარი თქვა პასუხის გაცემაზე), არაქრისტიანული აღმსარებლობების დიდი წილი კი ინგლისშია თავმოყრილი.

არაქრისტიანი მოსახლეობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადად იმიგრანტთა თემებიდანაა. მოსახლეობის აღწერის შედეგები მოიცავს ეთნიკური ჯგუფების ანალოზს მათი რელიგიური კუთვნილების მიხედვით. მაგალითად, მუსლიმანების თითქმის 80%-მა აღნიშნა, რომ ისინი აზიური ან აფრიკული წარმოშობისანი არიან, ხოლო მოსახლეობაში მუსლიმანების პროცენტული შეფარდების უმაღლესი მაჩვენებლის მქონე ტერიტორია (Tower Hamlets, in Greater London) იმიგრანტების მაღალი პროცენტით გამოირჩევა. დიდი ხნის წინ დაარსებული ებრაელთა თემი ყველაზე მეტად კონცენტრირებულია ჩრდილოეთ ლონდონში. ბუდიზმიც ის ერთადერთი რელიგია, რომელიც სრულიად განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს და რომლის მიმდევრების თითქმის 40%-მა საკუთარი თავი თეთრი რასის წარმომადგენლად გამოაცხადა.

სხვადასხვა ქრისტიანული დენომინაციის შედარებითი სიძლიერის შესახებ ცნობების მოპოვება და მისი განმარტება, როგორც წესი, საკმაოდ ძნელია. ცხრილი 2 ემყარება ავტორიტეტული ორგანიზაციის – “ქრისტიანული კვლევის” – მიერ სხვადასხვა ეკლესიის შესახებ შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებს. ეს მონაცემები 2001 წელს დაიბეჭდა გამოცემაში “რელიგიური ტენდენციები 4” (2003წ.). ჩვეულებრივ, ინფორმაცია კონგრეგაციების (რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილია ნაგებობით) და მღვდლების შესახებ უფრო სანდოა, ვიდრე ამ კონგრეგაციებში განწევრიანებული ადამიანების რაოდენობის შესახებ, რომელიც ხშირ შემთხვევაში გარკვეულ სამართლებრივ სტატუსსაც განსაზღვრავს. მაგალითად, ინგლისის ეკლესიის მიმდევართა რაოდენობის მონაცემები ასახავს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ეკლესიის საარჩევნო სიებში, ხოლო ზოგიერთი სხვა ეკლესია ერთმანეთისგან განასხვავებს ფორმალურ “წევრობასა” და გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან “თემს”. ინფორმაცია მღვდლების შესახებ კი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს: ამის მაგალითია მეთოდნიზმი, რომელსაც საერო “ადგილობრივი მქადაგებლები” ძლიერი ტრადიცია აქვს. ეს პირები შეყვანილი არ არიან ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რადგან მეთოდისტური ეკლესია მხოლოდ მღვდლად კურთხეულ პირებს მოიცავს.

ცხრილი 2: ბრიტანეთში არსებული ქრისტიანული დენომინაციები, 2001 წ.

	წევრები	კონგრეგაციები	მღვდლები
ინგლისი			
ინგლისის ეკლესია	1,372,000	16,220	12,587
რომის კათოლიკური ეკლესია	930,000	3,351	5,144
მეთოდისტური ეკლესიები	308,300	5,906	2,200
სახარების რწმენის ეკლესიები	225,700	2,414	3,805
მართლმადიდებელი ეკლესიები	225,500	253	217
ბაპტისტური ეკლესიები	164,800	2,586	2,382
ხსნის არმია	43,600	657	1,253
სამების სხვა ეკლესიები	314,800	4,963	3,420

უელსი			
ეკლესია უელსში (ანგლიკანური)	80,900	1,510	653
პრესვიტერიანული/ რეფორმირებული ეკლესიები	44,300	974	139
რომის კათოლიკური ეკლესია	39,500	231	253
მეთოდისტური ეკლესიები	15,300	402	98
სამების სხვა ეკლესიები	70,300	1,000	452

შოტლანდია			
შოტლანდიის ეკლესია	587,700	1,543	1,090
რომის კათოლიკური ეკლესია	212,500	461	851
შოტლანდიის საეპისკოპოსო ეკლესია	48,000	310	158
სხვა პრესვიტერიანული ეკლესიები	31,000	99	218
მეთოდისტური ეკლესია	5 700	75	35
სამების სხვა დენომინაციები	79 300	911	689

თვალშისაცემია ის მევეთრი კონტრასტი, რომელიც არსებობს ცხრილ 2-ში მოცემულ ამა თუ იმ ეკლესიის წევრთა რაოდენობასა და ამავე წელს მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებულ სურათს შორის. ეკლესიების ანგარიშმა ცხადყო, რომ ეკლესიების წევრების რაოდენობა 4.8 მილიონს შეადგენს, ხოლო, 2001 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, 40.6 მილიონმა ადამიანმა აღნიშნა, რომ იგი “ქრისტიანია”. აღწერაში თანდართული დამატებითი ინფორმაცია შოტლანდიისათვის ადასტურებს იმავე მოვლენას: იქ აღწერილია 2,146,251 ადამიანი,

რომლებიც თავიანთ თავს შოტლანდიის ეკლესიის წევრებად მიიჩნევენ და 803,732 კი – რომის კათოლიკური ეკლესიის წევრად. ყველა შემთხვევაში მოსახლეობის აღწერისას მიღებული რიცხვი ეკლესიების მიერ მონოდეულ რიცხვებს თითქმის ოთხჯერ აღემატება. ყოველივე ეს მიუთითებს ნომინალური, არააქტიური ან ყოფილი წევრების არსებობას, რომლებიც საკუთარ თავს აიგივებენ არა უშუალოდ ქრისტიანობასთან, არამედ მის გარკვეულ გამოხატულებასთან. როგორც ზოგჯერ ამბობენ, მათ იციან, თუ რომელი ეკლესიის მსახურებას არ ესწრებიან.

სრული სურათის მისაღებად უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთში აგრეთვე არიან იმ ეკლესიების მიმდევრები, რომლებიც არ აღიარებენ წმინდა სამებას. მათ შორის არის 177,000 მორმონი და 125 იელოვას მოწმე.

ეკლესიური მსახურებაზე დასწრების ტენდენცია აშკარად დაბლა იწევს. “ქრისტიანული კვლევის” მონაცემებით, 1980 წელს დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 11% დადიოდა კვირაობით ეკლესიაში, 2000 წელს კი მხოლოდ 7.7%. ინგლისის ეკლესიის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, “ეკლესიაში მოსიარულეთა” რიცხვის კლება შედარებით უფრო მცირეა, თუმცა მათი ნაწილი ეკლესიაში ნაკლები სიხშირით დადის.

იმის მიუხედავად, რომ ჩრდილოეთ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს ნაწილია, იქ ეკლესიები ფუნქციონირებს მთელ ირლანდიაში გავრცელებული წესით და ამ კონტექსტში ყველაზე კარგად განიხილება სულ ცოტა კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიების ისტორია. ცხრილი 3 შედგენილია მოსახლეობის აღწერის მონაცემების (რომელიც შოტლანდიაზე უფრო მეტად დეტალურიც კი არის) და ეკლესიების ოფიციალური მოხსენებების საფუძველზე დიდი ბრიტანეთისთვის მოცემული პრინციპით.

ცხრილი 3: ძირითადი ქრისტიანული ეკლესიები ჩრდილოეთ ირლანდიაში, 2001 წ.

	ეკლესიისადმი დაქვემდებარება მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით	ეკლესიის წევრები	სამღვდლოების რაოდენობა
რომის კათოლიკური ეკლესია	678,462	522,000	547
ირლანდიის პრესვიტერიანული ეკლესია	348,742	189,000	370
ირლანდიის (ანგლიკანური) ეკლესია	257,788	160,700	300
ირლანდიის მეთოდისტური ეკლესია	59,173	14,300	93

ძირითადი ქრისტიანული ეკლესიებიდან მხოლოდ კათოლიკურსა და ანგლიკანურს აქვს ეპარქიული სტრუქტურა. ინგლისის ეკლესიაში შედის 44 ეპარქია⁶⁵⁷, რომლებიც ქმნის 2 “პროვინციას” – კენტერბერის და იორკის. უელსის ეკლესიას აქვს 6 ეპარქია, შოტლანდიის საეპისკოპოსო ეკლესიას – 7 და ირლანდიის ეკლესიას – 12 ეპარქია, რომლებიც მთელ ირლანდიაშია – არმაგისა და დუბლინის პროვინციებში. რომის კათოლიკურ ეკლესიაში არის ხუთი სარქიეპისკოპოსო და 17 ეპარქია ინგლისსა და უელსში, ორი სარქიეპისკოპოსო და ექვსი ეპარქია შოტლანდიაში და ოთხი სარქიეპისკოპოსო და ოცდასამი ეპარქია ირლანდიაში.

II. ისტორიული ფონი

ინგლისის ეკლესიას (Ecclesia Anglicana) რეფორმაციამდეც ჰქონდა რომისგან გარკვეული დამოუკიდებლობა. ინგლისში კანონიკურ სამართალში შესწორებების შეტანა ხორციელდებოდა პროვინციული “კონსტიტუციების” მეშვეობით. ამასთანავე კენტერბერისა და იორკის სინოდთა ფარგლებში იმართებოდა ეპისკოპოსებისა და სამღვდლოების ასამბლეა (ეს სინოდები ჯერ კიდევ არსებობს, როგორც ინგლისის ეკლესიის მმართველი ორგანოს – გენერალური სინოდის – ნაწილი). მეფე ჰენრი VIII-ის დროს პაპის ძალაუფლება ინგლისის ეკლესიაზე გაუქმდა და 1534 წლის “ინგლისის მეფის მიერ ეკლესიის მეთაურობის შესახებ” აქტით მასზე მეფის უმაღლესი ხელისუფლება გამოცხადდა. ამავე წელს მიღებული “სამღვდლოების მორჩილების კანონის” შესაბამისად, კონვოკაციებს ამა თუ იმ კანონის მისაღებად უნდა მოეპოვებინა მეფის თანხმობა.

ინგლისური რეფორმაციის პირველი საფეხური პოლიტიკური უფრო იყო, ვიდრე დოქტრინული, მაგრამ ედუარდ VI-ის დროს (1547-1553) ეკლესიამ პროტესტანტული პოზიცია დაიკავა. 1553 წელს დედოფალმა მერი I-მა ტახტზე ასვლისთანავე აღადგინა რომის პაპის იურისდიქცია, მაგრამ 1558 წლიდან დედოფალმა ელისაბედ I-მა დაამკვიდრა ანგლიკანური ეკლესიის დამოუკიდებლობა და კლასიკური ანგლიკანური თეოლოგია, რომელიც იყო “ერთდროულად როგორც კათოლიკური, ისე რეფორმისტული”. უელსში ანგლიკანური ეპარქიები სახელმწიფოს 1920 წელს გამოეყო, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა უელსის დამოუკიდებელი ეკლესია.

657 მათ შორის ერთი ეპარქია ევროპაში (მისი ოფიციალური სახელწოდებაა “გიბრალტარის ეპარქია ევროპაში”) ევროპის კონტინენტზე არსებული ანგლიკანური საკაპულანობისათვის.

შოტლანდიაში რეფორმაცია დასაბამს იღებს 1560 წლიდან. 1952 წელს შოტლანდიის პარლამენტმა გასცა ეკლესიისა და მისი მმართველობის პრესვიტერიანული ფორმის თავისუფლების გარანტია; ეს უკანასკნელი აღდგა 1690 წელს, საეპისკოპოსო შუალედის შემდეგ. საეპისკოპოსოებმა კი შემდეგ ჩამოაყალიბეს შოტლანდიის (ანგლიკანური) საეპისკოპოსო ეკლესია.

ირლანდიაში ინგლისელთა ბატონობის შედეგად შეიქმნა ირლანდიის (ანგლიკანური) ეკლესია, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოს გამოეყო 1871 წელს, მაგრამ შეინარჩუნა უძველესი საკათედრო ტაძრები და საეპარქიო ეკლესიები. იგი ყოველთვის უმცირესობაში იყო, რადგან ირლანდიაში უმრავლესობა რომის კათოლიკური ეკლესიის ერთგული რჩებოდა. ჩრდილოეთში მოსახლე შოტლანდიაში დიდმა რაოდენობამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ დღევანდელ პოლიტიკურ სირთულეებს ირლანდიაში, არამედ ირლანდიის პრესვიტერიანული ეკლესიის ზრდასაც, რომლის ცენტრი უოლსტერში იყო.

III. ზოგადი სტრუქტურა

ეკლესიებს არეგულირებს სამი საკმაოდ მკვეთრად გამოკვეთილი სამართლებრივი ნორმა. ეკლესიების უმეტესობისათვის, გარდა ინგლისისა და შოტლანდიის ეკლესიებისა, მოქმედებს ისეთი სამართლებრივი პრინციპები, როგორებიცაა: საქველმოქმედო დაწესებულებების საერთო კანონი, განსაკუთრებით კი საქველმოქმედო ტრასტების შესახებ. სახელმწიფოსაგან გამოყოფილ ეკლესიებს, როგორც წესი, აქვს მოხალისეობრივი გაერთიანების ფორმა და მათ ქონებას მეურვეები მართავენ (რომლებიც შეიძლება იყოს დარეგისტრირებული კომპანიები) ჩვეულებრივი საერო სამართლის საფუძველზე. ასეთ გაერთიანებებს არ აქვს რამე განსაკუთრებული სტატუსი.

რაც შეეხება სახელმწიფო ეკლესიებს, ინგლის-შოტლანდიის საზღვრის ჩრდილოეთით და სამხრეთით არსებული მდგომარეობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.

შოტლანდიაში 1592 წლის გენერალური ასამბლეის აქტი შოტლანდიის რეფორმირებული ეკლესიის (რომელსაც ხშირად “კირკად” მოიხსენიებენ) პრესვიტერიანული ხასიათის ერთადერთ სამართლებრივ საფუძვლად რჩება. ინგლისის და შოტლანდიის გაერთიანების ხანაში, კერძოდ 1706 წელს, შოტლანდიის პარლამენტმა მიიღო პროტესტანტული რელიგიისა და პრესვიტერიანული ეკლესიის აქტი (“უსაფრთხოების აქტი”) და მოითხოვა

ნებისმიერ დროს მისი პირობების აღიარება “კავშირის შესახებ შეთანხმების” ფუნდამენტურ და მთავარ პირობად⁶⁵⁸. “შოტლანდიის აქტის” თანახმად, რომელითაც ძალაში შედიოდა გაერთიანება, “მიზანშეწონილი და აუცილებელიც კი იყო ჭეშმარიტი პროტესტანტული რელიგია, რომელსაც სამეფოში აღმსარებლობდნენ, თავისი აღმსარებლობის დისციპლინითა და ეკლესიის მმართველობით. იგი ეფექტურად და მუდმივად უნდა ყოფილიყო დაცული, ხოლო პრესვიტერიანული მმართველობა გამხდარიყო შოტლანდიის სახელმწიფოში ერთადერთ მმართველობად”.

მეცხრამეტე საუკუნეში “კირკთან” მიმართებაში ბევრი სადავო საკითხი არსებობდა. ამ საკითხებიდან ერთ-ერთი ყველაზე მწვავე იყო ის, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს უფლება, ჩარეულიყო ეკლესიის საქმეში და გაეუქმებინა ეკლესიის მიერ მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება თუ კანონი. ნარმოიშვა რამდენიმე დამოუკიდებელი ეკლესია, რომელთა უმრავლესობა კვლავ გაერთიანდა 1921 წელს. ამ გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით პარლამენტმა მიიღო 1921 წლის შოტლანდიის ეკლესიის აქტი, რომელშიც კანონიერად ცნო შოტლანდიის ეკლესიის კონსტიტუციის განმარტებითი მუხლები. ეს მუხლები ეხებოდა იმ სასულიერო საკითხებს, რომლებზეც მოილაპარაკა “კირკმა” და გაერთიანებულმა თავისუფალმა შოტლანდიურმა ეკლესიამ და ისინი აქტის დანართ სიაში იყო მოცემული. ეს მუხლები შეიცავდა სასულიერო საკითხებში ეკლესიის დამოუკიდებელი იურისდიქციის განცხადებას, რითაც ეკლესიას დიდ თავისუფლებას ანიჭებდა მისი მმართველობის თვალსაზრისით. ძირითად დებულებას IV მუხლი შეიცავდა:

M. აღნიშნული ეკლესია, როგორც მსოფლიო ეკლესიის წევრი, რომლის მმართველობაც უფალმა იესო ქრისტემ ეკლესიის მოხელეებს უბოძა, მისგან, ზეციური მეფისაგან, და მხოლოდ მისგან იღებს უფლებასა და ძალაუფლებას, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთი საერო ხელისუფლების კანონმდებლობას ან რაიმე განკარგულებას ეკლესიის დოქტრინის, თავყვანისცემის, მმართველობის თუ დისციპლინის შესახებ, მათ შორის უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება ამ ეკლესიის წევრობას თუ მსახურებას, კონსტიტუციას და მისი სასამართლოს წევრებს, აგრეთვე თანამდებობის პირთა არჩევის წესებს, და ბოლოს, მისი სამღვდელოებისა და სხვა თანამდებობის პირთათვის მათ მოღვაწეობაში რაიმე საზღვრის დადგენას. საერო ხელისუფლების მხრიდან ამ ეკლესიის სასულიერო საკითხებში არსებული დამოუკიდებელი

658 1706 წლის “ინგლისის აქტი”, რომელიც ზოგჯერ მოიხსენიებოდა, როგორც “აქტი ინგლისის ეკლესიის მმართველობის შესახებ”, შესაბამის მოთხოვნას ითვალისწინებდა ინგლისის ეკლესიასთან მიმართებაში.

მმართველობისა და იურისდიქციის აღიარებით რა ფორმითაც უნდა ყოფილიყო გამოხატული, არანაირად არ ეხება მის ხასიათს, რომ ეს მმართველობა და იურისდიქცია მომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის ზეციური წინამძღვრიდან და არც ის, რომ საერო ხელისუფლებას აქვს რაიმე უფლება, ჩაერიოს ეკლესიის პროცესებსა თუ დასკვნებში, რომლებიც ამ ეკლესიის სასულიერო მმართველობისა თუ იურისდიქციის სფეროს ფარგლებშია მოქცეული.

შოტლანდიის ეკლესიის მმართველობა იმედოვნებს, რომ ეს აქტი ამ ეკლესიას დაიცავს ნებისმიერი სამართლებრივი დევნიდან⁶⁵⁹. ერთ-ერთ უკანასკნელ საქმეში, დაბალი ინსტანციის ერთ-ერთ სასამართლოში⁶⁶⁰ გამოითქვა კიდევ მოსაზრება, რომ 1921 წლის აქტს დაეცვა შოტლანდიის ეკლესია იმ კანონმდებლობისგან, რომელიც ძალაში შეჰყავდა ევროგაერთიანების დირექტივებს, თუმცა ეს წინადადება მაღალი ინსტანციის სასამართლომ უარყო.

შოტლანდიის ეკლესიის პოზიცია მეტად უჩვეულოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ შეესაბამება ეკლესიების ტრადიციულ კატეგორიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ მას სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი აქვს, 1921 წლის შოტლანდიის ეკლესიის აქტი მას ფართო ავტონომიას ანიჭებს, როგორც ეს იქნებოდა სახელმწიფოსაგან გამოყოფილი ეკლესიის შემთხვევაში.

ინგლისში ინგლისის ეკლესიის სახელმწიფო ეკლესიად ყოფნას სრულიად განსხვავებული ხასიათი აქვს. ეკლესიას მტკიცე კავშირი აქვს სახელმწიფოს საქმეებთან, სამეფო ტახტის პატრონაჟით ხდება ბევრ მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნა, ლორდების პალატაშიც კი რამდენიმე ეპისკოპოსია (მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება დებატები იმის შესახებ, განაპირობებს თუ არა ლორდების პალატის შემდგომი რეფორმა მათ დათხოვნას). ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არ შეიძლება არსებობდეს შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა. ინგლისის საეკლესიო სამართალი, რომელიც ინგლისის ეკლესიას ეხება (მათ შორის მისი კანონიკური სამართალი), განიხილება როგორც ინგლისის კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი. მის

659 საქმე *Ballantyne v Presbytery of Wigtown* (1936 წ.), SC 625 (დავა ორი მრევლის გაერთიანების შესახებ); საქმე *Logan v Presbytery of Dumbarton* 1995 წ. SLT 1228 (საქმე სასულიერო პირების ქცევის შესახებ); *Percy v Church of Scotland Board of National Mission*, 2001 წ., SLT 497 (კიდევ ერთი საქმე ქცევის შესახებ, სქესობრივი დისკრიმინაციის მინიშნებით).

660 საქმე *Percy v Church of Scotland Board of National Mission* 1995 წ., SLT 1228 (დასაქმების სააპელაციო სასამართლოში).

უწყვეტობას წინარეფორმაციული პერიოდიდან დღემდე განაპირობებს პრინციპი, რომელიც აღიარებს, რომ წინარეფორმაციულ საეკლესიო კანონს შეიძლება დაეყრდნო იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ეს კანონი აღიარებული იყო და მოქმედებდა რეფორმაციის დროიდან; ამგვარი “ტესტის” გავლის შემდეგ ეს წესი განიხილება, როგორც ინგლისში მიღებული საერთო სამართლის ნაწილი⁶⁶¹. მე-16 საუკუნიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე პარლამენტში მიიღეს ბევრი კანონი, რომლებიც ეხებოდა ეკლესიას.

ამ სამართლებრივ სფეროში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება მემკვიდრეობით ერგო გენერალურ სინოდს⁶⁶². სინოდი შედგება სამი – ეპისკოპოსების (რომელიც დოქტრინის სფეროში განსაკუთრებული უფლებამოსილებებით სარგებლობს), სამღვდელოების⁶⁶³ და საერო წარმომადგენლების – პალატისაგან. აქედან უკანასკნელი ორი 250 ამორჩეული წარმომადგენლისგან შედგება. ნებისმიერი განაცხადი, უნდა მოიწონოს სამივე პალატამ, რაც იმას ნიშნავს, რომ საერო პირებსაც შეუძლიათ სრულყოფილად მიიღონ მონაწილეობა საეკლესიო კანონების მიღებაში.

სინოდი უფლებამოსილია, დაამტკიცოს საკანონმდებლო ღონისძიებები ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რომლებიც ინგლისის ეკლესიას შეეხება. ყოველ ასეთ განსახორციელებელ ქმედებას პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ტოლფასი ძალა აქვს და მისი მეშვეობით შესაძლებელია კანონში შესწორების შეტანა ან სულაც მისი გაუქმება. ფაქტობრივად, სინოდი სარგებლობს ზოგიერთი ისეთი უფლებამოსილებით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტისათვის არის დამახასიათებელი. პარლამენტზე დაწესებულია გარკვეული კონტროლი: იმისათვის, რომ საკანონმდებლო ღონისძიება, რომელსაც სინოდი მიიღებს, გახდეს სრულყოფილი კანონი, იგი უნდა წარდგეს სამეფო სანქციონირებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას პარლამენტის ყველა პალატა მოიწონებს; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს შეუძლია უარყოს საკანონმდებლო ღონისძიება (მიუხედავად იმისა, რომ ამას ძალიან იშვიათად აკეთებს), მას მის ტექსტში რაიმე შესწორების შეტანის უფლება არ აქვს.

661 იხ. ლორდ უესტბერის საქმეში Lord Westbury in Bishop of Exeter v Marshall (1868), LR 3 HL 17.

662 1919 წლის ინგლისის ეკლესიის სხდომის აქტი (უფლებამოსილებების შესახებ); Synodical Government Measure 1969. გენერალური სინოდი არის 1919 წლის აქტით შექმნილი საეკლესიო კრების მემკვიდრე.

663 ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების პალატები პრაქტიკულად შედგება კენტერბერისა და იორკის უძველესი კონვოკაციების ზემო და ქვემო პალატების გაერთიანებისაგან და ცალ-ცალკე იშვიათად თუ იკრიბებიან.

ინგლისის ეკლესიის კანონიკურ სამართალს სინოდი პარლამენტისაგან დამოუკიდებლად ადგენს, თუმცა ახალი კანონის ფორმალური გამოქვეყნებისათვის საჭიროა სამეფო სანქციისა და ლიცენზიის მიღება. ეს არის ფორმალური აქტი, რომელიც აღიარებს ინგლისის დედოფლის უზენაეს მმართველობას ინგლისის ეკლესიაზე. ამ მოვლენის სამართლებრივი მნიშვნელობა ისაა, რომ დედოფალს არ ურჩევენ, ისეთი კანონის სანქციონირებას, რომელიც ინგლისის სამართლის უფრო ფართო ცნებას ეწინააღმდეგება. ამიტომ სინოდს ერთ საკითხზე ხშირად ორი ტიპის კანონმდებლობის გავლა სჭირდება, ესენია: ეკლესიის საკანონმდებლო ღონისძიება, რომელიც მოხსნის იურიდიულ ბარიერს, იმისთვის რომ შედგეს კანონიკური კანონპროექტი და თვით ამ კანონის მიერ სასურველი ცვლილებების შეტანა.

ინგლისის არც ერთ სხვა ეკლესიას (ინგლისში არსებული შოტლანდიის ეკლესიების გარდა) არ აქვს რამე ისეთი, რაც სახელმწიფომ შეიძლება აღიაროს “საეკლესიო კანონად”.

გაერთიანებულ სამეფოს არ აქვს დანერგილი კონსტიტუცია და ამდენად, რელიგიური თავისუფლების არანაირი ფორმალური საკონსტიტუციო გარანტია არ არსებობს. თუმცაღა გაერთიანებული სამეფო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რის შემდეგაც 1998 წლის “ადამიანის უფლებათა” აქტით იგი დამტკიცდა, როგორც ინგლისის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი. 1998 წლის აქტის შედეგად კონვენციით გარანტირებული თავისუფლებები, მათ შორის მე-9 მუხლით აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება დაცული იქნება ინგლისის სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ე.წ. “განცხადება შეუსაბამობის შესახებ”, რაც ნიშნავს, რომ ძირითადი კანონმდებლობის ესა თუ ის ნაწილი კონვენციას ეწინააღმდეგება⁶⁶⁴. ასეთი განცხადების გაკეთების შემთხვევაში სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით შეიძლება გატარდეს შესწორებითი ქმედება, მაგრამ, თუ ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც კითხვის ქვეშ დგება, გენერალური სინოდის მიერ მიღებული საკანონმდებლო ღონისძიებაა, მაშინ საჭირო ქმედებას თვით სინოდი განახორციელებს.

სავარაუდოდ, ევროპული კონვენციის მიღებამდეც რელიგიის თავისუფლება აღიარებული უფლება იყო. ინგლისის სამართლის შესახებ დანერგილ ერთ-ერთ ენციკლოპედიურ ნაშრომში⁶⁶⁵ მოცემულია ამის ასეთი მტკიცებულება:

664 აქტი ადამიანის უფლებათა შესახებ, 1998, პარაგრაფები 4,21(1)

665 ჰელსბერის ინგლისის კანონები, მე-14 ტომი, პარაგრაფი 339

სამოქალაქო ხელისუფლება, აწესებს რა სრულ კონტროლს ყველა წოდებისა და სოციალური მდგომარეობის მქონე სასულიერო თუ საერო პირზე, უზრუნველყოფს მათ სათანადო დაცვას უკანონო ქმედებისაგან, თავს იკავებს ამა თუ იმ სასულიერო ხასიათის ფუნქციების შესრულებისგან და გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც შეიძლება ვაითვალისწინონ მოქმედი სამართლით⁶⁶⁶, აღიარებს და ყოველთვის აღიარებდა ყველა ადამიანის უფლებას, მიჰყვეს საკუთარი სინდისის ხმას და ჰქონდეს საკუთარი რელიგიური შეხედულება.

IV. რელიგიურ ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსი

ზემოაღნიშნული საკითხის გაგებისათვის მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ იმ ფაქტს, რომ სხვა ეკლესიები, მაგ., რომის კათოლიკური ეკლესია, ისევე როგორც პროტესტანტული დენომინაციები და სხვა აღმსარებლობები, საზოგადოდ, არ სარგებლობს ნებისმიერი სხვა ფორმის მოხალისეობრივ ორგანიზაციაზე მეტი უფლებებით. მათი კანონიკური სამართალი (თუ ისინი ამ ტერმინს იყენებენ; უმრავლესობა არ იყენებს) წარმოდგენილია მათ ნევრებს შორის კონტრაქტის სტატუსით. ქონებრივი საკითხები საზოგადოდ წყდება “ტრასტის” საშუალებით, რაც ინგლისის საკუთრების სამართლის უნივერსალური მექანიზმია; მაგრამ განსაკუთრებით უფრო დიდ ეკლესიებში, სადაც საჭიროა ეკლესიის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს შორის ფუნქციების კომპლექსური განაწილება, იგი შეიძლება შეივსოს პარლამენტის კერძო აქტით⁶⁶⁷.

იმავე მიზეზის გამო არ არსებობს იმ ეკლესიების ოფიციალური ნუსხა, რომლებიც “აღიარებულია” სახელმწიფოს მიერ. ღვთისმსახურების ადგილები შეიძლება დარეგისტრირდეს სხვადასხვა მიზნით, რომელთაგან ძირითადია ქორწინების ცერემონიის ჩატარება⁶⁶⁸. ასევე ინგლისურ სამართალს არ გააჩნია სრულად განვითარებული სახით საჯარო სამართლის სტატუსის ან უფლებების ცნება;

666 ყველაფერზე მაღლა მდგომი კონსტიტუციის არა რსებობის შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანი შენიშვნაა

667 კერძო აქტი არის ისეთი აქტი, რომელსაც მხარს უჭერს პარლამენტი კერძო პეტიციის შედეგად. იგი არ იბეჭდება საკანონმდებლო აქტების ყოველწლიურად გამოცემულ კრებულში.

668 1885 წლის ღვთისმსახურების ადგილების რეგისტრაციის აქტი.

ეკლესიის, როგორც საჯარო სამართლის დაქვემდებარებაში მყოფი კორპორაციის, ცნება ყოველგვარ აზრს მოკლებულია ინგლისელი იურისტისათვის.

რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოიშვას სირთულე ამა თუ იმ ორგანიზაციის ეკლესიური ბუნების დადგენისას. მაგალითად, საინტელოგიურ ეკლესიას სურდა შენობის, როგორც ღვთისმსახურების ადგილის, რეგისტრაცია, თუმცა სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ეს გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხალხი შეიკრიბებოდა ღვთის, ანუ ზენაარის, უზენაესის სადიდებლად, ხოლო საერო ფილოსოფიის სასწავლო კურსი ამისათვის არასაკმარისი პირობა იყო⁶⁶⁹. ჰუმანიტურ ორგანიზაციას – South Place Ethical Society – მსგავსი მიზეზების გამო არ მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი; იგი არ იყო შექმნილი რელიგიური მიზნებისთვის⁶⁷⁰. მორმონების ეკლესია თითქოს დააკმაყოფილებდა ეკლესიად აღიარების კრიტერიუმებს, რომ არა ის ფაქტი, რომ მისი ტაძარი ინგლისში ღიაა მხოლოდ “კარგი რეპუტაციის” მქონე მორმონებისათვის, რომლებიც ამ მიზნისათვის საგანგებოდ არიან შერჩეული და შეუძლებელი იყო მისი საჯარო ღვთისმსახურების ადგილად აღიარება ადგილობრივი დაბეგვრის მიზნისთვის⁶⁷¹.

ამიტომაც ზოგადი პოზიციია ის, რომ ეკლესიებს ისეთივე უფლებები აქვს, როგორც სხვა მოხალისეობრივ გაერთიანებებს, რომ დადოს ხელშეკრულებები და ჰქონდეს ქონება, დასაჯოს თავიანთი მოხელეები და წევრები (მოანყოს შიდა ტრიბუნალებიც საკუთარი სურვილის მიხედვით) და აამოქმედოს სოციალური უზრუნველყოფის ან სხვა საქველმოქმედო (ან კომერციული) სანარმოები. ყველა ეკლესიისათვის მოქმედებს განსაკუთრებული დებულებები, რომლებიც აღნიშნულია ქვემოთყვანილ მასალაში; თუმცა რამდენად პარადოქსულიც უნდა იყოს, ინგლისის ეკლესიის სახელმწიფო სტატუსის გამო მისი ავტონომია მრავალი თვალსაზრისით გარკვეული კომპრომისის საგანია.

669 R v Registrar-General, ex parte Segerdal [1970] ლორდი დენინგი აღიარებდა, რომ ბუდიზმი შესაძლოა იყო გამონაკლისი; იგი უეჭველად იყო რელიგია, მაგრამ გაუგებარია, მისი რწმენა მოიცავდა თუ არა უზენაესს, ზენაარს, ამ საკითხზე იხილეთ Barralet v. Attorney-General {1980} 3 All ER 918.

670 საქმე Barralet v Attorney-General (1980 წ.), All ER 918. რეფორმებმა, რომლებიც განიხილებოდა 2003 წელს საქველმოქმედო ორგანიზაციების კანონის გარშემო, შესაძლებელია უფრო მკვეთრად გაუსვას ხაზი საზოგადოებისთვის სარგებელიანობას. ეს ეხება რელიგიური და საგანმანათლებლო სფეროს საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

671 საქმე Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v Henning (Valuation Officer) (1963) 2 All ER 733 (HL).

ერთ-ერთი ასეთი ასპექტი, რომელიც უკვე აღინიშნა, არის პარლამენტის მხრიდან არსებული კონტროლი გენერალური სინოდის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებზე, რომლებიც საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ეხება. ეკლესიამ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ეს განსაკუთრებული უფლებამოსილებები მოიპოვა მაშინ, როცა “სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მოძრაობამ” 1919 წელს ხელისუფლებას მიაღებინა “ინგლისის ეკლესიის ასამბლეის (უფლებამოსილებების)” აქტი (შემოკლ. – უფლებამოსილების მინიჭების აქტი).

ამ აქტის მოქმედების ფარგლები განიხილა 1992 წელს გენერალურმა სინოდმა მიღებული კანონმდებლობის მაგალითზე, რომელიც ნებას რთავდა ქალებს, მღვდლად კურთხეულიყვნენ. ქალის მღვდლად კურთხევის მონინაალმდეგეები ეჭვქვეშ აყენებდნენ კანონპროექტის შესაბამისობას და უმაღლეს სასამართლოს მიმართავდნენ, განეხილა ეს საკითხი იმ საბაბით, რომ “უფლებამოსილების მინიჭების აქტი” სინამდვილეში არ აძლევდა სინოდს იმის უფლებას, რაც მან განახორციელა. 1919 წლის აქტი ნებას რთავს სინოდს, ინგლისის ეკლესიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეიმუშაოს საკანონმდებლო დებულებანი საკანონმდებლო ღონისძიებების მეშვეობით, მაგრამ მიაჩნიათ, რომ მისი ინტერპრეტაცია გამორიცხავს “ფუნდამენტური” ჩვეულებების, რიტუალების თუ დოქტრინის ნებისმიერ ცვლილებას. უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა 1919 წლის აქტის გასაგები ენის ამგვარ შეზღუდვაზე. ბატონი ჯასტის თაქის განმარტებით, 1919 წლის აქტის მიღებით პარლამენტი მხარს უჭერდა იმას, რომ ეკლესიას უნდა ჰქონოდა უფლება ეკამათა ისეთ საკითხზე, როგორიცაა ქალების მღვდლად კურთხევა, სამართლებრივად მოენსრიგებინა საკუთარი საქმეები და წარედგინა ისინი პარლამენტისათვის, რათა ამ უკანასკნელს დაემტკიცებინა ან უარეყო ისინი⁶⁷².

ეკლესიის თავისუფლების უფრო მეტი წინააღმდეგობრივი შეზღუდვის გამოხატველია მონარქის (დედოფლის) უფლება, პრემიერ-მინისტრის რჩევით, დანიშნოს ინგლისის ეკლესიის არქიეპისკოპოსები და საეპარქიო ეპისკოპოსები. ეს უფლება ამჟამად რეგულირდება ეკლესიის ლიდერთა და მაშინდელ მთავრობას შორის 1977 წლის შეთანხმებით, რომელიც მონარქს აიძულებს, არჩევანი გააკეთოს იმ შეზღუდული სფეროდან, რომელსაც ეკლესიის მიერ დასახელებული კანდიდატები შეადგენენ.

672 R v Ecclesiastical Committee of the Houses of Parliament, დედოფლის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო, 1993 წლის 28 ოქტომბერი.

ამ სისტემის მოქმედებას ახორციელებს სამეფო დანიშვნების კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის 14 წევრი: 2 არქივისკოპოსი, 3 მღვდელი და 3 საერო პირი, რომელთაც გენერალური სინოდიდან თვით სინოდი ირჩევს, და 6 ადამიანი, რომელსაც განსახილველი ეპარქია ირჩევს. ორი მოხელე – არქივისკოპოსის დანიშვნის მდივანი და პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მდივანი – ეპარქიაში ატარებს სათანადო მუშაობას, რათა შეავსოს და დააზუსტოს ეპარქიის საჭიროებათა განაცხადი. ზემოაღნიშნული კომისია უგზავნის ორი პიროვნების სახელს პრემიერ-მინისტრს და შესაძლოა, მიუთითოს მათგან რომელს ანიჭებს უპირატესობას. პრემიერ-მინისტრი წყვეტს, თუ რომელი წარუდგინოს დედოფალს. მას არ აქვს უფლება, წარადგინოს რომელიმე სხვა კანდიდატი, თუმცა შეუძლია არსებული ორი კანდიდატიდან ამოარჩიოს ერთ-ერთი ან მოითხოვოს დამატებით სხვა პირების წარდგენა, თუ, მაგალითად, ერთი ან ორივე თავდაპირველი ნომინანტი უარს იტყვის დანიშვნაზე. პრემიერ-მინისტრის როლი ამ პროცესში ხშირად კრიტიკის საგნად იქცევა ხოლმე. ლორდთა პალატის წევრებისთვის კომისიის დანიშვნის ახალი პრაქტიკის (ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი იძულებული ხდება, ანგარიში გაუწიოს მათ რეკომენდაციებს) შედეგად კვლავ გაისმა მოწოდება რეფორმის ჩატარებაზე. საკმაოდ აქტუალური გახდა მოსაზრება, რომ მონარქს ეპისკოპოსების დანიშვნის საკითხში რჩევას უნდა აძლევდეს არა პრემიერ-მინისტრი, არამედ არქივისკოპოსები, რომლებიც თავიანთი თანამდებობის ფარგლებში ფარული საბჭოს წევრებიც არიან.

V. ეკლესიები და კულტურა.

1. სკოლები

ინგლისში⁶⁷³ სკოლები ან “სუბსიდირებაზე მყოფია” (ე.ი. სახელმწიფო), ან დამოუკიდებელი (ზოგჯერ დამაბნეველია ის, რომ მათ ხშირად მოიხსენიებენ “საჯარო სკოლებად”). მრავალი საუკუნის განმავლობაში ეკლესიები იყო განათლების ძირითადი წყარო და ბევრი სკოლა დღესდღეობითაც ეკლესიის დაქვემდებარებაშია: “სუბსიდირებაზე მყოფი” ასეთი სკოლები “მოხალისეობრივ” საფუძველზე იმართება ან იღებს დახმარებას. ამ უკანასკნელი ტიპის სკოლებში ეკლესია თავის თავზე იღებს ნებისმიერი შენობის ხარჯის 15%-ს, რის გამოც სხვებთან შედარებით უფრო ძლიერი პოზიციით სარგებლობს ამ სკოლის მმართველთა საბჭოში.

673 შემოკლების მიზნით გამოტოვებულია ანგარიშები გაერთიანებული სამეფოს სხვა დანარჩენი შემადგენელი ნაწილების მდგომარეობის შესახებ.

ყველა სახელმწიფო სკოლაში “ძირითადი სასწავლო პროგრამა” მოიცავს რელიგიურ განათლებას ყველა მოსწავლისათვის⁶⁷⁴ და სახელმწიფო სასწავლო პროგრამას, რომელიც შედგება მთელი რიგი სხვა საგნებისგან; ამრიგად, რელიგიური განათლება სარგებლობს განსაკუთრებული სტატუსით. 1870 წლიდან ინგლისის სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლება არადენომინაციური ხასიათისაა. ადგილობრივი “შეთანხმებული სასწავლო პროგრამების” შედგენა ექვემდებარება საკმაოდ რთულ პროცედურას, რომელიც პირველად 1944 წელს წარმოადგინეს. ამ დროს ინვევენ კონფერენციას, რომელიც ოთხი კომისიისგან შედგება. ყველა კომისიამ უნდა მოიწონოს წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა. ეს კომისიები წარმოადგენს:

- ა) ინგლისის ეკლესიას (რომელიც არ წარმოადგენს უელსის გარკვეულ ნაწილს)
- ბ) ისეთ ქრისტიანულ და სხვა აღმსარებლობებს, რომლებიც ასახავს მოცემული ოლქის ძირითად რელიგიურ ტრადიციებს;
- გ) მასწავლებელთა კავშირებს;
- დ) ადგილობრივ საგანმანათლებლო ხელისუფლების ორგანოს⁶⁷⁵.

ამ პროცედურით ინგლისის ეკლესიის წარმომადგენლებს ეძლევათ ვეტოს უფლება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, დაჟინებით მოითხოვონ სასწავლო პროგრამაში ისეთი ელემენტის შეტანა, რომელიც სხვა ჯგუფებისათვის მიუღებელი იქნებოდა, აგრეთვე – კონფესიური ხასიათის სასწავლო მასალის შეტანა. ნებისმიერი შეთანხმებული სასწავლო პროგრამა უნდა ასახავდეს იმ გარემოებას, რომ დიდი ბრიტანეთის რელიგიური ტრადიციები ძირითადად ქრისტიანულია, თუმცა აგრეთვე ითვალისწინებს სხვა ძირითად რელიგიებს, რომლებიც გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში⁶⁷⁶.

1998 წლის სასკოლო სტანდარტებისა და სტრუქტურის აქტი შეიცავს დებულებებს ე.წ. “სარეზერვო მასწავლებლების” დანიშვნასთან დაკავშირებით. ისეთი მოხალისეობრივ (ანუ საეკლესიო) სკოლაში, რომელსაც ორზე მეტი მასწავლებელი ჰყავს, ერთ-ერთ მასწავლებელს მაინც უნდა ჰქონდეს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ ასწავლოს რელიგია ეკლესიის პრინციპების

674 საგანმანათლებლო აქტი, 2002 წელი, პარაგრაფი მე-80(1).

675 საგანმანათლებლო აქტი, 1996 წელი, ცხრილი 31

676 საგანმანათლებლო აქტი, 1996 წელი, პარაგრაფი 375(3)-ე.

შესაბამისად; ეს ციფრი პერსონალის მთლიან რაოდენობასთან ერთად იცვლება⁶⁷⁷. არადენომინაციური სკოლებისათვის მოქმედებს დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც ღვთისმსახურებაზე დასწრებამ ან დაუსწრებლობამ არანაირი გავლენა არ უნდა მოახდინოს მასწავლებლის დანიშვნაზე, დანიშნულებასა თუ ანაზღაურებაზე⁶⁷⁸. “რელიგიური ხასიათის” მოხალისეობრივი ან საფონდო სკოლის დირექტორის დანიშვნისას სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს კანდიდატის “შესაძლებლობითა და მზადყოფნით, შეინარჩუნოს და განავითაროს სკოლის რელიგიური ხასიათი”⁶⁷⁹. მოხალისეობრივ საფუძველზე დაფინანსებულ სკოლებში მასწავლებლის დანიშვნისას შეიძლება გაითვალისწინონ რელიგიური შეხედულებები, წესების დაცვა და სურვილი, ჩაატაროს რელიგიის გაკვეთილები ეკლესიის პრინციპების თანახმად; ამ პრინციპების დარღვევა კი შეიძლება დათხოვნის მიზეზიც გახდეს⁶⁸⁰.

1988 წლის განათლების რეფორმის აქტი შეიცავს აგრეთვე სახელმწიფო სკოლებში რელიგიური ღვთისმსახურების დებულებებს. თითოეულ სასწავლო დღეს ყველა მოსწავლე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური ღვთისმსახურების აქტში⁶⁸¹. მას უნდა ჰქონდეს “მთლიანად ან ძირითადად ფართო ქრისტიანული ხასიათი”, მაგრამ არ უნდა იყოს დამახასიათებელი რომელიმე განსაზღვრული დენომინაციისთვის. არ არის აუცილებელი ღვთისმსახურება მხოლოდ ქრისტიანული იყოს, რადგან ზოგიერთი ადგილის სოციალური ვითარება ისეთია, რომ მოსწავლეთა უმეტესობა შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა რწმენას; მაგრამ აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში ღვთისმსახურება შესრულდეს მოსწავლეთა უმრავლესობის რწმენის შესაბამისად⁶⁸².

რა თქმა უნდა, ეკლესიებს უფლება აქვს დააფუძნოს საკუთარი დამოუკიდებელი სკოლები და გამოიყენოს ღვთისმსახურების დენომინაციური ფორმები, ამასთანავე წარმართოს რელიგიური განათლება თავიანთი მოთხოვნების შესაბამისად. ეკლესიებმა დიდი წვლილი შეიტანა მასწავლებელთა მომზადებაში საეკლესიო განათლების კოლეჯების საშუალებით. მათი რაოდენობა დღესდღეობით შემცირებულია სასწავლებელთა გაერთიანების ხარჯზე (ზოგჯერ შერწყმა ხდება არასაეკლესიო კოლეჯებთან), მაგრამ ისინი მსურველებს სთავაზობენ უმაღლესი განათლების სხვადასხვანაირ კურსს, ხშირად უნივერსიტეტთან ასოციაციამი, ბევრმა კოლეჯმა მოიპოვა საკუთარი სამეცნიერო ხარისხის გაცემის უფლება.

677 აქტი სკოლის სტანდარტებისა და სტრუქტურის შესახებ, 1998 წ., პარაგრაფი 58-ე.

678 იქვე, პარ. 59-ე.

679 იქვე, პარ. მე-60(4).

680 იქვე, პარ. მე-60(5).

681 იქვე, პარ. 70-ე.

682 იქვე, სქემა 20, პარ. მე-3.

2. უნივერსიტეტები

ამჟამად არ არსებობს რელიგიური ტესტები რომელიმე უნივერსიტეტში შესასვლელად. ძირითადად ოქსფორდის და დურჰამის უნივერსიტეტების თეოლოგიურ ფაკულტეტებზე არსებობს მთელი რიგი თანამდებობები, რომლებიც შესაბამისობაშია ინგლისის ეკლესიის საკათედრო ტაძრების⁶⁸³ კანონიკურ ნოდებასთან და შესაბამისად, ამ თანამდებობებზე ინიშნებიან მხოლოდ და მხოლოდ ანგლიკანი მღვდლები. რაც შეეხება სხვა უნივერსიტეტებს, თეოლოგიური ფაკულტეტებისა და კათედრების თანამშრომლები ინიშნებიან უნივერსიტეტში ჩვეულებრივ გავრცელებული პროცედურებით ეკლესიის ჩარევის გარეშე; შესაბამისად, მათგან არ მოითხოვენ რომელიმე რელიგიის აღმსარებლობას.

თეოლოგიური კოლეჯები უზრუნველყოფს სამღვდლოების მომზადებას და ზოგ შემთხვევაში – სხვა თეოლოგიურ განათლებასაც (მაგ. დაუსწრებელი სწავლების პროგრამები საერო სტუდენტებისთვის). როგორც წესი, თეოლოგიური კოლეჯის მფლობელია ტრასტი, თუმცა იგი ექვემდებარება შემონმებას საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან, რომელიც წყვეტს, რომელ კოლეჯში შეიძლება მომზადდეს მღვდლები და აზუსტებს ასეთ კოლეჯებში ვაკანტური ადგილების რაოდენობას. კოლეჯების სულ უფრო მზარდი რაოდენობა უკავშირდება ადგილობრივ უნივერსიტეტებს. კოლეჯები რჩება დამოუკიდებელი (და სტუდენტთა უმრავლესობა არ იღებს გრანტს სახელმწიფო ფონდებიდან), მაგრამ შესაბამის უნივერსიტეტს შეუძლია კოლეჯის სტუდენტები მიიღოს თავის კურსებზე.

3. საინფორმაციო საშუალებები

ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია, საჯარო მაუწყებლობის ძირითადი წყარო, დიდი ხანია დაინტერესებულია რელიგიური გადაცემებით. მაგალითად, ყოველ კვირა გადაიცემა დილის წირვა, აგრეთვე ტელევიზიაში არის რეგულარული რელიგიური პროგრამები (ასევეა სხვა სატელევიზიო არხებზე). სახელმწიფო და ადგილობრივ რადიო და სატელევიზიო სადგურებთან არსებობს რელიგიური სათათბირო კომიტეტები, რომლებშიც წარმოდგენილია შესაბამისი ტერიტორიის უდიდესი ეკლესიები. ეს ყველაფერი პრაქტიკის საკითხია, ისევე როგორც დიდი საკათედრო ტაძრების ჩართვა ადგილობრივ ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობაში.

683 ოქსფორდში მდებარე საკათედრო ტაძარი უნივერსიტეტის კოლეჯის ტერიტორიაზეა აგებული და იგი კოლეჯის სამრეკლოდ გამოიყენება; დურჰემში ძველი საკათედრო ტაძარი უნივერსიტეტის ტერიტორიის შუაგულშია განლაგებული.

2003 წლის კომუნიკაციების შესახებ აქტით რადიო, სატელევიზიო და ტელეტექსტთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებთან მიმართებაში ისეთი ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის, რომელთა ობიექტი მთლიანად ან ძირითადად რელიგიური ხასიათისაა, იკრძალება გარკვეული ტიპის ლიცენზიების გაცემა (მაგალითად, სახელმწიფო ხმოვანი მაუწყებლობის თუ საჯარო ტელეტექსტურ სერვისზე). რაც შეეხება სხვა ტიპის ლიცენზიებს, ასეთ პირებს შეუძლიათ, ისინი მიიღონ მხოლოდ და მხოლოდ ამ აქტით განსაზღვრული საკომუნიკაციო ოფისისაგან. საკომუნიკაციო ოფისმა უნდა წარმოადგინოს ის ძირითადი მიმართულებები, რომლებითაც მან უნდა იხელმძღვანელოს კრიტერიუმების განსაზღვრისას, თუმცა ასეთი მიმართულებები მას ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია.

VI. შრომის სამართალი ეკლესიების ფარგლებში

როგორც ინგლისის, ასევე ევროგაერთიანების კანონმდებლობის თანახმად, თანამშრომლად არ ითვლება ყველა ის პირი, ვინც მუშაობს; ზოგიერთი თვითდასაქმებულია ან სახელმწიფო თანამდებობის პირია. იმისათვის, რომ პირი თანამშრომლად ჩაითვალოს, იგი დასაქმებული უნდა იყოს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე; საპრეცედენტო სამართალში დასაქმების სიტუაციის დადგენა ხდება მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: სამსახურში აყვანის, გადახდის მეთოდი, ან თუნდაც ის, თუ როგორია სამუშაოსათვის საჭირო ტანსაცმლისა თუ ინსტრუმენტების მოწოდების პირობები. ზოგიერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი სულაც არ ითვლება დასაქმებულად, რის გამოც ის დასაქმების სამართლის მიღმა რჩება⁶⁸⁴.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის პერსონალის ზოგიერთი მომსახურე წევრი შეიძლება იყოს თანამშრომელი, მღვდლები ყველა ეკლესიაში ითვლებიან "თანამდებობის პირებად" და არა თანამშრომლებად⁶⁸⁵. განსაზღვრულ

684 იხ. საქმე *Barthorpe v Exeter Diocesan Board of Finance* (1979), I.ჩ.დ. 900 (დასაქმების სააპელაციო სასამართლო)

685 *Re National Insurance Act 1911; re Employment of Church of England Curates* [1912] 2 Ch 563; *President of the Methodist Conference v Parfitt* [1984] Q B 368 (CA); *Davies v Presbyterian Church of Wales* [1986] 1 WLR 323; *Coker v Diocese of Southwark* [1998] ICR 140 (CA). See P Petchey 'Ministers of Religion and Employment Rights: an Examination of the Issues' (2003) 7 *Ecc.L.J.* 157.

შემთხვევებში პიროვნების, როგორც თანამდებობის პირის, კლასიფიკაციამ შეიძლება მისთვის უზრუნველყოს სამსახურის მეტი დაცულობა, რადგან მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში საჭიროა განსაკუთრებული მოთხოვნების შესრულება. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ბევრი ანგლიკანი მღვდლის მდგომარეობა, რომელთა სამსახურიდან განთავისუფლება ძალიან ძნელი მისაღწევია. ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ მრევლის მღვდელი "ბენეფიციუმის" მფლობელია. ეს არის სამართლებრივი კონცეფცია, რომელიც მოიცავს სამრევლო მღვდლის საეკლესიო თანამდებობას, მასთან დაკავშირებულ შემოსავალს და "ბენეფიციუმის" მფლობელის საცხოვრებელ სახლს; იგი განიხილება, როგორც ქონება, რომელსაც მღვდელი ფლობს ე.წ. "ფრიჰოლდით" (ქონების თავისუფალი ფლობა) და ეს ქონება არ შეიძლება ჩამოერთვას სათანადო სამართლებრივი პროცესის გარეშე, რაც ძირითადად 2003 წლის სამართლებრივი ღონისძიება "სამღვდელოების დისციპლინითაა" გათვალისწინებული და დისციპლინურ პროცესს მოიცავს. ის მღვდლები, რომლებიც არ სარგებლობენ ე.წ. "ფრიჰოლდით", გაცილებით ნაკლებად არიან დაცულნი. ამ ფაქტმა გამოიწვია არა მარტო სასამართლო დავა⁶⁸⁶, არამედ ევროპის პარლამენტის 2001 წლის 7 ნოემბრის რეზოლუციაც კი, რომლითაც ინგლისს მოუწოდეს, გადაესინჯა არსებული მდგომარეობა. სხვა ეკლესიებში "ფრიჰოლდის" კონცეფცია არ არსებობს, რის გამოც მეტი საჭიროებაა, დაცვისთვის მიმართონ საერო სამართალს; აქედან გამომდინარე, ამ ეკლესიებში თანამდებობის პირთათვის თანამშრომლის სტატუსის დღის წესრიგში დაყენება უფრო ხშირია⁶⁸⁷. მსგავსი გადაწყვეტილებები მიუღიათ არაქრისტიან რელიგიურ პირებთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთი იყო სიქების ტაძრის მსახური⁶⁸⁸, ხოლო მეორე – რაბინი⁶⁸⁹.

"დასაქმების ურთიერთობის" აქტის 23-ე პარაგრაფით ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მდივანს მიენიჭა უფლება, განეგრძო დაქირავებულ პირთათვის მოქმედი ზოგიერთი უფლება აგრეთვე "არატიპურ" მუშაკებზე, რომელთა რიცხვს განეკუთვნებიან რელიგიის მსახურები. ეს უფლებები ეხება განსაზღვრული ოდენობის კუთვნილ შვებულებას, პროცედურულ გარანტიებს, როგორებიცაა: სამუშაოსა და ანაზღაურების წერილობითი განმარტება, დავების

686 See the well-known case of the Reverend Raymond Owen: in the English courts, R v Bishop of Stafford ex parte Owen High Court, QBD, unreported, 5 April 2000; Court of Appeal, unreported, 14 August 2000; and in the European Court of Human Rights: Owen v United Kingdom (app 37983/97), held inadmissible, 28 August 2001.

687 President of the Methodist Conference v Parfitt [1984] QB 368 (CA); Davies v Presbyterian Church of Wales [1986] 1 WLR 323 (HL).

688 საქმე Santokh Singh v Guru Nanak Gurdwara [1990] ICR 309. [1990] ICR 309.

689 საქმე R v Jacobovits, ex parte Wachman, The Times, 8 January 1991.

გადაწყვეტის პროცედურების ხელმისაწვდომობა და რაც ყველაზე მთავარია – სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვნის თუ სხვა დაცული უფლებების დარღვევის შემთხვევაში დასაქმების სასამართლოში სარჩელის შეტანის საშუალება. ეს უფლება ჯერ კიდევ არავის გამოუყენებია; თუმცა ეკლესიებს 2002 წელს ჩაუტარდა კონსულტაციები. უმეტესობამ ჩათვალა, რომ ეს საკითხები თვითრეგულაციას ექვემდებარებოდა. ინგლისის ეკლესიის არქივიზისკოპოსთა საბჭომ აღიარა, რომ გარკვეული კატეგორიის მღვდელთათვის ეკლესიის მიერ მიღებული ზომები საკმარისი არ იყო უსამართლობისაგან თავის დასაცავად და საჭირო იყო ხელახლა განხილულიყო ის ბალანსი, რომელიც სამღვდლოების უფლებებსა და მოვალებებს შორის არსებობდა, ე.წ. "ფრიჰოლდზე" მინიშნების გაკეთებით. დღესდღეობით მიმდინარეობს შესაბამისი კანონპროექტის განხილვა.

ახლა ეკლესიები განთავისუფლებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულებისაგან, რომლებიც სქესობრივ დისკრიმინაციას ეხება. ამგვარად, 1975 წლის სქესობრივი დისკრიმინაციის აქტი (რომელიც აგრეთვე სქესთა შორის სამუშაოს გადანაწილებას ეხება) არ ვრცელდება დასაქმების ისეთ ტიპებზე, რომელთა მიზანია "ორგანიზებული რელიგიის მსახურება, როცა თანამშრომლობა შეზღუდულია ერთი სქესის წარმომადგენლებით, იმიტომ რომ არ დაირღვეს რელიგიის დოქტრინა და არ მოხდეს მის მიმდევართა მნიშვნელოვანი ნაწილის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა"⁶⁹⁰. ამ გამონაკლისის შინაარსი განიხილება ევროსაბჭოს 76/207/EEC დირექტივის შესწორებების საფუძველზე, რომლებიც ეხება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის 2002/73/EC დირექტივის შესრულებას. ანალოგიური დებულებები მოქმედებებს აგრეთვე სქესობრივი ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის შემთხვევაში⁶⁹¹. თუმცა გაურკვეველია, სწორად გამოიყენება თუ არა ეს დებულებები ევროსაბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის 2000/78/EC დირექტივის კონტექსტში, რომელიც სამუშაო ადგილზე თანაბარ მოპყრობას ეხება.

ერთი საკითხი, რომელმაც აღძრა გარკვეული ინტერესი, ეხება ინდივიდის რელიგიური ვალდებულებების გავლენას დასაქმებაზე. ბევრ შემთხვევაში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უეჭველად უსამართლო როდია დაქირავებული მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა, თუ რელიგიური ვალდებულებების აღსრულება ხელს უშლის მის ყოფნას სამსახურში ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ სამუშაო დროს. ასეთივე დასკვნა გამოიტანეს საკმაოდ განსხვავებულ

690 აქტი სქესობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1975 წ., პარ. მე-19.

691 დასაქმების თანაბარი პირობები (სქესობრივი ორიენტაცია), რეგულაციები 2003 წ., 2003 No. 1661, რეგ.მე-7(3).

სამართლებრივ კონტექსტში იმ შემთხვევაში, როდესაც მუსლიმანური სკოლის მასწავლებელი აცდენდა პარასკევი დღის ნაწილს, რათა დასწრებოდა ლოცვებს მეჩეთში. სააპელაციო სასამართლოს უმეტესობამ გამოიტანა დადგენილება, რომ მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება გაეცდინა სკოლა ხელფასის დაქვითვის გარეშე, რადგან დამქირავებელს სჭირდებოდა მისი მთელი დღით ყოფნა სკოლაში, ამიტომ დამქირავებელმა მოიგო ეს საქმე⁶⁹². ამდაგვარი საქმე დღესდღეობით 2003 წლის დასაქმების თანაბარი პირობების შესახებ რეგულაციების ქრილში განიხილებოდა⁶⁹³.

VII. საქონინო და სამოჯახო სამართალი

მთელ გაერთიანებულ სამეფოში დაქორწინების მსურველებს ეს ცერემონია შეუძლიათ ჩაატარონ სამოქალაქო წესით სარეგისტრაციო ოფისში ან ამ მიზნისთვის ლიცენზირებულ რომელიმე სხვა ადგილას (მაგალითად, სასტუმროში), ან რელიგიური წესით. ინგლისის ეკლესიისა და უელსის ეკლესიის შემთხვევაში მთელი პროცედურა მოიცავს წინასწარ ღონისძიებებს შეტყობინებების და ლიცენზიების ჩათვლით და ხორციელდება ეკლესიის მიერ. სხვა შემთხვევებში რელიგიური ცერემონია მოითხოვს განსაზღვრულ სამოქალაქო წინაპირობებს, როგორებიცაა: “მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ოფისის ხელმძღვანელის სერტიფიკატის გრანტი და შეტყობინება ქორწინების შესახებ 21 დღით ადრე. ინგლისში (მაგრამ არა შოტლანდიაში, სადაც სხვა კანონებს იყენებენ) არაანგლიკანური რელიგიური ცერემონია უნდა ჩატარდეს რეგისტრირებულ შენობაში (ან ისტორიული მიწებების გამო სინაგოგაში ან “მეგობართა საზოგადოების შეხვედრების სახლში”), ხოლო ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოახდინოს ან საამისოდ უფლებამოსილმა მღვდელმა, ან (სამოქალაქო) რეგისტრატორმა. სახელმწიფოს რეკომენდაციებმა ინგლისის კანონმდებლობაში შეიძლება გამოიწვიოს რადიკალური რეფორმები, რომელთა შესაბამისადაც ნებისმიერ შემთხვევაში ქორწინების წინაპირობები (წინასწარი შეტყობინება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ე.წ. “ბანების რეკვას”, ანუ საეპარქიო ეკლესიაში სამი კვირა დღის განმავლობაში წინასწარი განცხადების გაკეთებას ითვალისწინებს) საერო ხასიათის იქნება და შესაძლებელია მომავალში რეგისტრირებული შენობების ინგლისური ჩვეულებიდან შოტლანდიაში გავრცელებულ ტრადიციებზე გადასვლა, როდესაც ქორწინების ცერემონიალს ამისთვის საგანგებოდ დანიშნული მღვდელი ატარებს.

692 საქმე Ahmad v Inner London Education Authority [1978] QB 36.

693 S.I. 2003 No. 1660 – საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივის 2000/78/EC განხორციელება

მიუხედავად იმისა, რომ რომის კათოლიკური ეკლესია ინარჩუნებს საეპარქიო სასამართლოების სისტემას განქორწინების საქმეების განსახილველად, მათ გადანყვეტილებებს გაერთიანებულ სამეფოში არ აქვს სამართლებრივი სტატუსი. ანგლიკანურ კონსისტორიულ სასამართლოს, რომელიც ინგლისის სამართლებრივი სისტემის ნაწილს შეადგენდა, 1857 წლიდან აღარ აქვს საქორწინო იურისდიქცია და ეს ფუნქცია ეკისრება საერო სასამართლოს. საქორწინო იურისდიქცია, რომელსაც პირდაპირ არ აღიარებს ინგლისის სამართალი, არსებობს რაბინების სასამართლოში. ამ იურისდიქციის ზოგიერთ შედეგს არეგულირებს 2002 წლის განქორწინების აქტი (რელიგიური ქორწინებების შემთხვევაში). ამ აქტის შექმნის მიზეზი გახდა ზოგიერთი ებრაელი ქალის რთული მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ მას შეუძლია განქორწინების უფლება მოიპოვოს სამოქალაქო სასამართლოში მაშინ, როცა მისი მეუღლე უარს აცხადებს განქორწინების რელიგიური პროცედურის – “get”-ის – გავლზე რაბინთა სასამართლოში. ეს აქტი კი სასამართლოს საშუალებას აძლევს, გამოაცხადოს, რომ სამოქალაქო განქორწინება არ იქნება სრულფასოვანი, სანამ ორივე მხარე არ დაადასტურებს ყველა შესაბამისი რელიგიური პროცედურის გავლას⁶⁹⁴.

ეკლესიები, განსაკუთრებით ინგლისის ეკლესია, რეგულარულ კონსულტაციებს იძლევა საოჯახო სამართლის საკითხებზე. საოჯახო სამართალში ნებისმიერ ცვლილებას (მაგ., 1986 წ. განხორციელებული კანონის შერბილება ნათესაობასთან დაკავშირებით) წინ უძღვის კონსულტაცია; აღნიშნულ შემთხვევაში საეკლესიო დასკვნა მომზადდა და გამოქვეყნდა კენტერბერის არქიებისკოპოსის მიერ, სანამ სახელმწიფო საოჯახო სამართლის კანონში საბოლოოდ შეიტანდა ცვლილებებს.

VIII. ეკლესიების დაფინანსება

გაერთიანებულ სამეფოში უკიდურესად შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ ეკლესიების ფინანსური მხარდაჭერა. ისინი სარგებლობენ განსაზღვრული უპირატესობებით სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების მსგავსად ზოგიერთ გადასახადისგან განთავისუფლების თვალსაზრისით (მაგრამ ეს არ ეხება მაგ., დამატებითი ღირებულების გადასახადს), აქვე აღსანიშნავია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ინდივიდის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის საჩუქრად ქონების გადაცემის შემთხვევაში მიმღებს გადაეცემა იმ საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება, რომელსაც ამ ქონებაზე იხდიდა დონორი.

694 აქტი საქორწინო საქმეების შესახებ, 1973 წ., s.10A – განქორწინების (რელიგიური ქორწინებების) აქტი, 2002, s.1(1).

სახელმწიფო არ აფინანსებს სამღვდლოების ხელფასებს, პენსიებს ან სხვა ეკლესიების სამოქმედო ხარჯებს, თუმცა კანონი მოითხოვს, რომ ინგლისის ეკლესიის სამღვდლოებამ ჩაატაროს ქორწინებების და დაკრძალვების რიტუალი და საამისოდ ჰონორარი დაფიქსირებულია კანონით, მაგრამ ამ ჰონორარის გადახდის საკითხს წყვეტს მხარეები და არა სახელმწიფო.

სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ ისტორიული შენობების შენახვას. ინგლისის ეკლესიისათვის ეს საკმაოდ აქტუალური პრობლემაა: საეპარქიო ეკლესიების მთლიანი რაოდენობიდან (16,000) 13,000 დაგეგმარების კანონმდებლობის “სიაში” ირიცხება, აქედან 4,000 უმაღლეს – 1-ელ – კატეგორიაში შედის. უმოქმედო ეკლესიების შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება გრანტები გამოუყოს ეკლესიების კონსერვაციის ტრასტს 1969 წელს უმოქმედო ეკლესიებისა და სხვა რელიგიური შენობების შესახებ აქტის საფუძველზე. 1978 წლიდან სახელმწიფომ სააგენტო “ინგლისის მემკვიდრეობის” მეშვეობით გამოყო გრანტები მოქმედი ეკლესიების შესაკეთებლად (და უკანასკნელ ხანს – ტაძრებისაც). ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 2002 წელს იგი იმედოვნებდა დამატებითი ღირებულების გადასახადის არსებული 17.5%-დან 5%-მდე დაწევას ზემოაღნიშნული საქმიანობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს უარყო ევროპის სხვა ქვეყნებმა. ასეთივე შედეგს მიაღწიეს გრანტების იმ ოდენობით გაზრდით, რომელიც შეინახებოდა დღე-ის დაწვევის შემთხვევაში. სახელმწიფო დაფინანსების წილი საეკლესიო ფონდებთან შედარებით მცირეა. 1999 წელს ინგლისის ეკლესიის ეპარქიებმა ეკლესიების კაპიტალურ შეკეთებებზე 86 მილიონ გირვანჯა სტერლინგზე მეტი დახარჯეს, ხოლო დანარჩენი 13 მილიონი – საეკლესიო დარბაზებსა და დამხმარე ნაგებობებზე. მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე კი დამატებით 20 მილიონი გირვანჯა სტერლინგი დაიხარჯა.

IX. რელიგიური დახმარება საჯარო დაწესებულებებში

შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახური და სატყუალეობის სისტემა სარგებლობს კაპელანების მიერ განეული რელიგიური მომსახურებით. მათ ინვევენ სხვადასხვა დენომინაციის მიერ ნაკურთხი მღვდლებიდან და ორ უკანასკნელ შემთხვევაში სამუშაო უპირატესად გულისხმობს არასრულ სამუშაო დღეს. სრული სამუშაო დღით მომუშავე კაპელანებისთვის ხელფასს (და გასამრჯელო არასრული დატვირთვის მქონე კაპელანებისთვის) გასცემს მათი დამქირავებელი სამსახური; რა თქმა უნდა, ეკლესიები წინასწარ იხდის ფულს სასულიერო პირთა სანყისი სწავლებისთვის, ეკლესიების პასტორების მეშვეობით კი სხვადასხვა ფორმით კაპელანთა მუშაობაზე ზედამხედველობას ახორციელებს.

X. რელიგია და სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება მკრეხელური, ღვთისმგმობი მასალის გამოქვეყნება. ასეთია მასალა, რომელიც წესიერების ფარგლების დარღვევით თავს ესხმის ქრისტიანული რელიგიის ან ღმერთის არსებობის ჭეშმარიტებას. მკრეხელობაზე სასამართლო დევნა იშვიათია და წინააღმდეგობრივი. 1979 წელს პირველ სასამართლო პროცესში 60 წლის განმავლობაში, საქმეში *Withhouse v Gay News Ltd*⁶⁹⁵ გამოიტანეს დასკვნა, რომ აპირებდა რა მასალის გამოქვეყნებას, მოპასუხეს განზრახული არ ჰქონდა ქრისტიანობაზე თავდასხმა და მორწმუნეთა შეურაცხყოფა. იურიდიულმა კომისიამ⁶⁹⁶ შემოიტანა წინადადება მკრეხელობის დანაშაულის გაუქმების და მისი იმ ქმედებით ჩანაცვლების, რომელიც დანაშაულად მიიჩნევა ღვთისმსახურების ადგილების მოხსენიებას შეურაცხმყოფელი ენით. მაგრამ ეს არ განხორციელებულა. რეფორმის მოთხოვნა გამაფრდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ კანონი მკრეხელობის შესახებ იცავდა მხოლოდ ქრისტიანობას და არა რომელიმე სხვა რელიგიას⁶⁹⁷.

ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში 2001 წელს ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით, შემოეტანათ ახალი დანაშაულის – რელიგიური სიძულვილისკენ მოწოდების – განმარტება. ეს ინიციატივა პარლამენტმა არ მოიწონა, რის გამოც იგი არ ასახულა არც მოგვიანებით, იმავე 2001 წელს, მიღებულ ტერორისტულ ქმედებებთან და დანაშაულთან ბრძოლისა და უსაფრთხოების აქტში. მსგავსი წინადადებები შემოიტანეს ლორდთა პალატაში საკანონმდებლო აქტის სახით, რის შემდეგაც პალატამ დაადგინა რელიგიურ დანაშაულთა სპეციალური კომიტეტი, რომელმაც მოხსენება გააკეთა 2003 წლის აპრილში. ამ რეპორტში არ გამოთქმულა რამე კონკრეტული რეკომენდაციები, თუმცა აღინიშნა რელიგიის მნიშვნელოვანი ადგილი (“დიდი ბრიტანეთი არ არის საერო სახელმწიფო”), რითაც კომისიამ უბრალოდ დააფიქსირა თავისი შეხედულება, რომ ყველა რწმენა თანაბრად დაცული უნდა ყოფილიყო – როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის ნორმებით.

695 (1979) AC 617 (HL).

696 სამართლის კომისია, №79 1981.

697 საქმე *R v Chief Metropolitan Magistrate, ex p Choudhury* [1991] 1 All ER 306. საქმეში ფიგურირებდა სატანისტური ლექსები სალმან რაშდის ავტორობით. ლორდთა პალატამ უარი თქვა აპელაციის ნებართვის გაცემაზე.

XI. სამღვდელმოქმის სამართლებრივი სტატუსი

ბოლო დრომდე სამღვდელმოქმის გარკვეულ ნაწილს არ ჰქონდა თემთა პალატაში კენჭისყრის უფლება. ამ წესის ისტორია დასაბამს იღებს კენტერბერის და იორკის სამღვდელმოქმის კონფოკაციებში და არა პარლამენტში წარმომადგენლობით, თუმცა შოტლანდიასთან გაერთიანების შემდეგ მან კანონის ძალა მიიღო. თემთა პალატის 1801 წლის აქტმა (მღვდლებისათვის უფლების ჩამორთმევის შესახებ) თემთა პალატაში წარმომადგენლობის უფლება ჩამოართვა “მღვდლად ან დიაკვნად კურთხეულ პირებსა და შოტლანდიის ეკლესიის მღვდლებს”. ამ აქტის თანახმად, შეზღუდვა ვრცელდებოდა არა მხოლოდ ინგლისისა და შოტლანდიის, არამედ სხვა ანგლიკანური ეკლესიებისა⁶⁹⁸ და რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდლებზეც⁶⁹⁹. ეკლესიებთან საფუძვლიანი კონსულტაციის შემდეგ სახელმწიფომ დაამტკიცა 2001 წლის თემთა პალატის აქტი (მღვდლებისათვის უფლების ჩამორთმევის გაუქმების შესახებ). ვესტმინსტერში პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც იმ დროს უკვე ძალაში იყო უელსის ასამბლეისა და შოტლანდიის პარლამენტისთვის⁷⁰⁰. ამიერიდან კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეეძლო სამღვდელმოქმის ნებისმიერ წარმომადგენელს, გარდა “სულიერ მამებად” წოდებული ანგლიკანი ეპისკოპოსებისა, რომლებიც ლორდთა პალატის წევრები იყვნენ. ამ ეპისკოპოსებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება თემთა პალატაში არჩევნების დროს.

როგორც ჩანს, სამღვდელმოქმება აღმსარებლობის საიდუმლოს თვალსაზრისით არანაირი პრივილეგიით არ სარგებლობს. ეს ვარაუდი ემყარება არაოფიციალურ კომენტარებს და გადმოცემებს, მის საფუძვლიანობას ეჭვქვეშ აყენებს ანგლიკანური (კანონიკური) კანონი, რომელიც განიხილება, როგორც სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი კანონი. იგი შეიცავს იმ ერთადერთ დებულებას, რომელიც 1603 წლიდან (კანონების მიღების დროიდან) შეუცვლელი დარჩა. ამ დებულების თანახმად, ასეთი საიდუმლოს გამხელა იკრძალება, “გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საიდუმლო მალავს ისეთ დანაშაულს, რომლის დამალვამაც, სამეფოს კანონების თანახმად, საიდუმლოს შემნახველი პირის სიცოცხლე შეიძლება სასიკვდილო განაჩენის წინაშე დააყენოს”. ეს ისეთი

698 Re MacManaway [1951] AC 161, საქმე ეხებოდა ირლანდიის ეკლესიის მღვდელს.

699 რომის კათოლიკური ეკლესიის სამღვდელმოქმისათვის დაწესებული შეზღუდვა ნათლად იყო გადმოცემული 1829 წლის რომის კათოლიკური დახმარების აქტში, რომელმაც გააუქმა შეზღუდვა კათოლიკე საერო პირზე, დენიელ ოდონელზე, რათა მას ემსახურა ირლანდიაში Co. Clare-ის ამორჩეულ წევრად.

700 1998 წლის აქტი უელსის ხელისუფლების შესახებ, s. 13(1)(b), 1998 წლის აქტი შოტლანდიის ხელისუფლების შესახებ, 16 (1)(b).

გამონაკლისია, რომელმაც სახელმწიფო ლალატისთვის სიკვდილით დასჯის მუხლის გაუქმების შემდეგ აზრი დაკარგა⁷⁰¹. გადანყდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებში მღვდლისათვის ჩაბარებული აღსარების ჩვენებად გამოყენების პრაქტიკა გამორიცხებულიყო, როგორც “უსამართლო”, ხოლო სამოქალაქო საქმეებში ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი კანონის გამო – კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით⁷⁰².

შეიძლება ჩაითვალოს, რომ დავა ცალკეულ პირთა რელიგიური სტატუსის შესახებ “სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება”, ვინაიდან სასამართლოებს არ სურს, შევიდეს დებატებში ქრისტიანულ⁷⁰³ თუ სხვა რომელიმე რელიგიურ⁷⁰⁴ დოქტრინასთან დაკავშირებით. შესაძლებელია, ინგლისის ეკლესიის კანონიკური სამართალი, როგორც სახელმწიფოში მოქმედი სამართლის ნაწილი, საჭიროებს ამ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების განსხვავებულ განხილვას⁷⁰⁵.

XI. სხვა განსაკუთრებული პრობლემები

ინგლისში ძალაში რჩება გარკვეული კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც მიმართულია რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევართა წინააღმდეგ და გამიზნულია ტახტის პროტესტანტული მემკვიდრეობითი ფლობის უზრუნველსაყოფად. მონარქი აუცილებელად უნდა იყოს ნევერი და მიმდევარი ინგლისის ეკლესიისა, რომლის უმაღლესი ხელმძღვანელიც თვითონ არის და ყველა, ვინც გახდება კათოლიკე ან დაქორწინდება კათოლიკეზე, გამოირიცხება ტახტის მემკვიდრეობიდან. ეს კანონები ასახავს ისტორიულ მოვლენებს (და გარკვეულწილად ცრურწმენის ნაშთებს), მაგრამ ხელს არ უშლის კათოლიკური ეკლესიის და სახელმწიფოს ან სხვა ეკლესიების და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობას; რამდენიმე წლის წინ დიპლომატიურ კორპუსში დაუშვეს რომის პაპის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი. ეს იყო მოვლენა, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა გასულ ათწლეულებში.

701 იხ. R Bursell, 'The Seal of the Confessional' (1990) 2 Ecc LJ 84.

702 იხ. M Hill, Ecclesiastical law (2nd ed., 2001), პრ. 5.61.

703 საქმე Blake v Associated Newspapers Ltd [2003] EWHC 1960 (ცილისწამების შემთხვევა, როდესაც ეჭვქვეშ დააყენეს მოჩივარი მხარის ეპისკოპოსად კურთხევის ნამდვილობა).

704 საქმე "R უფროსი რაბინის წინააღმდეგ" [1992] 1 WLR 1036; Ali v Iman of Bury Park Jame Masjid. Luton (CA, The Times, 1993 წლის 20 მაისი).

705 იხ. განხილვა ნაშრომში M. Hill, 'Judicial Approaches to Religious Disputes', in Law and Religion (რედაქტირებულია რ. ოდერისა და ა. ლოუისის მიერ), OUP 2001.

XIII. ბიბლიოგრაფია

In recent years there has been a notable increase in the available literature.

Books include:

R. H. Bursell, *Liturgy, Order and the Law* (Oxford University Press, 1996);

N. Doe, *The Legal Framework of the Church of England*, Oxford University Press, 1996;

N. Doe, *Canon Law in the Anglican Communion*, Oxford University Press, 1998;

M. Hill, *Ecclesiastical Law* (2nd ed), Oxford University Press, 2001;

L. Leeder, *Ecclesiastical Law Handbook*, Sweet and Maxwell, 1997;

E. G. Moore, *Introduction to English Canon Law* (ed T Briden and B J T Hanson), 3rd edn, Mowbray 1992;

English Canon Law: Essays in Honour of Bishop Eric Kemp (ed N Doe, M Hill and R Ombres), University of Wales Press, Cardiff, 1998;

Essays in Canon Law: a Study of the Law of the Church in Wales (ed N Doe), University of Wales Press, Cardiff, 1992;

Law and Religion (Current Legal Issues volume 4) (ed R O'Dair and A Lewis), Oxford University Press, 2001;

Legal Opinions Concerning the Church of England, Church House Publishing, 1994; new edition pending;

and valuable material is to be found in the dissertations submitted by candidates for the degree in Canon Law offered by Cardiff University and in the *Ecclesiastical Law Journal*, published since 1989 by the Ecclesiastical Law Society.

სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში

I. სოციალური და ისტორიული ფაქტები

ისტორიულ გამოცდილებას, ემოციურ კავშირებსა და ზოგადად მრწამსს არანაკლები გავლენა აქვს სამართლის გარკვეულ სფეროებზე, ვიდრე სამოქალაქო-საეკლესიო სამართალზე (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მარეგულირებელი სამართალი). ევროკავშირის ქვეყნების სამოქალაქო-საეკლესიო სამართლის მრავალფეროვნება ნევრი-ქვეყნების კულტურისა და ეროვნული იდენტურობის მრავალფეროვნებას ასახავს. ევროკავშირის ახალმა ნევრებმა რელიგიის საკითხებში სპეციფიკური გამოცდილება და საჭიროებები შემოიტანა, რისი თქმაც თითქმის ყველა ახალ ნევრზე მართებული იქნებოდა, თუმცა განსაკუთრებით ეს ეხება ყოფილი კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებს. ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სახელმწიფოს ჩარევა რელიგიურ საკითხებში ან ანტიეკლესიური პოლიტიკა, რელიგიის როლი გარდამავალ პროცესში და რესტიტუციის საკითხები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ საკუთრებას, არამედ საჯარო პოზიციებსაც, კიდევ უფრო ამიდრებს ევროკავშირის ისტორიულ გამოცდილებას.

მეორე მხრივ, ერთმანეთისგან განსხვავებულ სისტემებს გამოცდილების კუთხით ისტორიაში ბევრი საერთო აქვს და ყველა ეს სისტემა საერთო ქრისტიანულ საფუძველზეა აგებული. ზოგადად, ევროპის სამართალთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო-საეკლესიო სამართალი განსაკუთრებით ქრისტიანობაშია ფესვადგმული. თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ის წვლილიც, რომელიც ევროპის კულტურაში ისლამმა და იუდაიზმმა შეიტანა. დღესდღეობით ეს ორივე რელიგია მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროკავშირის ნევრ-სახელმწიფოთა უმეტესობისთვის, რაც საეკლესიო სამართალმა მხედველობაში უნდა მიიღოს. და ბოლოს, არსებობს უამრავი მცირერიცხოვანი რელიგიური თემი, ხშირ შემთხვევაში მჭიდრო კავშირით დიდ გაერთიანებებთან, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომლებიც სამოქალაქო-საეკლესიო სამართლის სტრუქტურის ერთ-ერთ სოციალურ ფაქტორს ქმნის.

ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა სტატისტიკურ მონაცემებში დიდი განსხვავება შეინიშნება მოძიებული ცნობების საფუძველსა და არსებულ სოციალურ ფონს შორის. ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, საკმაოდ მცირეა დამაჯერებელი მონაცემები. მაგალითად, გერმანიაში სტატისტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ინფორმაცია ნათლობისა და მოქალაქეთა ეკლესიის წევრობიდან გასვლის შესახებ, ხოლო სხვა სახელმწიფოებში წყაროს მხოლოდ ნათლობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს ან გამოკითხვის შედეგად მოსახლეობის მიერ საკუთარ თავზე გაცემული ინფორმაცია.

მოცემული ცხრილი არსებული მდგომარეობის მეტ-ნაკლებად სწორ სურათს იძლევა:

კათოლიკეები	55,40%
პროტესტანტები	13,40%
ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრები	6,70%
მართლმადიდებელი ქრისტიანები	3,10%
მუსლიმანები	2,90%
ოუდეველები	0,30%
სხვა მიმდინარეობები ან პირები, რომლებიც არც ერთ მიმდინარეობას არ მიეკუთვნებიან	18,25%

სხვადასხვა სამოქალაქო-საეკლესიო სამართლებრივ სისტემას შორის განსხვავებას ძირითადად საფუძველად უდევს რეფორმაციის დროს სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული განსხვავებული შედეგი და XVI-XVII საუკუნეების რელიგიური ომები. რეფორმაცია ფართოდ გავრცელდა ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ესპანეთსა და პორტუგალიას თითქმის არ შეხება. რეფორმაციის შედეგად ზოგან ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო ეკლესიის არსებობას ითვალისწინებდა. შედეგები კვლავ განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნებისთვის, სადაც თანაარსებობდა სხვადასხვა, დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე დენომინაცია. ეს განსაკუთრებით გერმანიასა და ნიდერლანდებს ეხება.

XVII და XVIII საუკუნეებში კონტინენტური ევროპის ქვეყნებმა თანაბრად განიცადა აბსოლუტური სახელმწიფო ეკლესიის მმართველობა. ევროკავშირის რიგმა სახელმწიფოებმა XIX საუკუნის დასასრულს განსხვავებული აქტიურობით და აქედან გამომდინარე განსხვავებული შედეგით მიიღო მონაწილეობა ე.წ. კულტურკამპში (kulturkampf), რომლის შედეგებიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა დღევანდელ საფრანგეთში. მუსლიმანური მოსახლეობის ბოლოდროინდელი იმიგრაცია ახალ კითხვებს ბადებს რელიგიასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმართ მთელ ევროპაში.

II. სისტემათა ტიპები

ევროკავშირის ქვეყნებში განასხვავებენ სამოქალაქო-საეკლესიო სამართლებრივი სისტემის სამ ძირითად ტიპს. პირველი ძირითადი ტიპისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო ეკლესია, ანუ დომინანტი ეკლესია. ასეთი სისტემის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის არსებული მტკიცე კავშირი და ამ სისტემებს მიეკუთვნება ინგლისის, დანიის, საბერძნეთის, მალტისა და ფინეთის ეკლესიები. მეორე მხრივ, არსებობს სახელმწიფოსგან ეკლესიის მკვეთრი გამოყოფის იდეაზე დაფუძნებული სისტემა, რომლის მაგალითია საფრანგეთი, თავისი სამი აღმოსავლური ტერიტორიული ერთეულის გამოკლებით, აგრეთვე ნიდერლანდები. მნიშვნელოვან სამართლებრივ გამოყოფას ვხვდებით აგრეთვე ირლანდიაში. მესამე ტიპს განეკუთვნება სახელმწიფოსა და ეკლესიის გამოყოფა იმავდროულად ისეთი ამოცანების დასახვით, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო თანამშრომლობით. ამ ჯგუფში შედის: ბელგია, პოლონეთი, ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, ავსტრია, ბალტიისპირეთის ქვეყნები და პორტუგალია. ზოგიერთ ასეთ სახელმწიფოში მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ასრულებს არსებული შეთანხმებები და აქედან გამომდინარე, ბევრს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს და ეკლესიის ასეთი ურთიერთობა შეთანხმებითი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმებები მნიშვნელოვანია, ამ მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. როგორც ჩანს, ისინი კი არ ადგენს, არამედ ასახავს სინამდვილეში არსებულ თანამშრომლობის სისტემას.

სამართლებრივი და თეორიული მოსაზრებების თანახმად, ასეთი კლასიფიკაცია შეფერადებულია და საკამათოც კი იმ არსებული სოციალური გარემოებების ფონზე, რომელიც სხვანაირ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ირლანდიაში, სადაც კათოლიკეები უმრავლესობაში არიან, კათოლიციზმის გავლენა სახელმწიფოზე სავარაუდოდ უფრო ძლიერი და პირდაპირია, ვიდრე ეს საკონსტიტუციო დებულებებითაა ფორმულირებული. იგივენაირად სოციალური შესაბამისობის საკითხთან მიმართებაში, საბერძნეთი უფრო ახლო დგას ესპანეთსა და იტალიასთან, ვიდრე დანიასთან ან გაერთიანებულ სამეფოსთან.

ევროპის სხვადასხვა სისტემას შორის არსებული ამდენი განსხვავების მიუხედავად, მანაც არსებობს გარკვეული თანხვედრა. ეკლესიისა და სამღვდელოების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება, რომელიც ადრე ბევრ ქვეყანაში სუფევდა, საუკუნეების განმავლობაში თანდათანობით გაქრა და ამის იურიდიული შედეგიც უკვე ნაკლებად შესამჩნევია.

რელიგიურ გაერთიანებებს მოქმედების უფრო ფართო ასპარეზი და დიდი თავისუფლება მიეცა. რელიგია სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად აღიარეს, გარდა ამისა, სახელმწიფომ ხელსაყრელი პირობები შექმნა რელიგიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის. ხშირ შემთხვევაში ეს განპირობებულია ადამიანის ძირითადი უფლებების უკეთ გაცნობიერებით, რაც საზოგადოებას მიზნად უსახავს შექმნას წინაპირობები ამ უფლებათა დასაცავად. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, იგი აღარ აღიქმება მხოლოდ დამცავ მექანიზმად სახელმწიფოს მხრიდან მათი დარღვევის საწინააღმდეგოდ. ბოლოს და ბოლოს, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ღონისძიებების სრული მხარდაჭერის დროს დაუშვებელია ასეთი სახის ღონისძიებებიდან რელიგიური თემების გამორიცხვა და დისკრიმინაცია.

მეორე მხრივ, აშკარაა სახელმწიფო ეკლესიების სახელმწიფოსგან გამოყოფის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ამის ნათელი მაგალითია ინგლისის ეკლესიის გენერალური სინოდი, რომელსაც სულ უფრო და უფრო დიდ უფლებებს ანიჭებენ გადაწყვეტილებების მისაღებად. შედეგთმაც მნიშვნელოვანწილად განყვიტა ის ახლო კავშირი, რომელიც მასა და ლუთერანულ ეკლესიას შორის არსებობდა.

აგრეთვე შეინიშნება რელიგიურ გაერთიანებათა თვითგამორკვევის უფლების გააზრების ტენდენცია. ზოგიერთ სისტემაში, სადაც ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს სახელმწიფო ეკლესიის ტრადიციას, სხვადასხვა წმინდა რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის. მაგრამ მათ, ვისაც არ სურს დაექვემდებაროს ასეთ გადაწყვეტილებას, შეუძლია თავისუფლად შექმნას საკუთარი დამოუკიდებელი გაერთიანება. რელიგიის თავისუფლება საზოგადოდ და მთლიანად ინდივიდუალურ უფლებად არის აღიარებული. არც ერთი იურიდიული დებულება არ მიანიშნებს, რა უნდა იწამოს ადამიანმა და რა – არა.

თვალსაჩინოა ის მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რომელიც არსებობს რელიგიურ გაერთიანებათა სხვადასხვა სამართლებრივ ტიპს შორის. თუ ზოგიერთ სისტემაში თვითონ რელიგიური გაერთიანებები, მათი ასოციაციები და ქვეგანყოფილებები წარმოადგენს იურიდიულ პირებს, სხვა სისტემებში ეს ხდება რელიგიურ თემთა სამართლებრივი კლასიფიკაციის გარეშე. თუმცა ყველგან არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რითაც რელიგიურ გაერთიანებებს საშუალება აქვს იმოქმედოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, თუნდაც არაპირდაპირ, საკულტო ასოციაციების, ეპარქიების ან რწმუნებულების მეშვეობით.

აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა ეკლესიის თვითგამორკვევის უფლება ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით. რამდენიმე ქვეყნის კონსტიტუციაში ეს უფლება ღიად არის ნახსენები, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ამ უფლების მინიჭება სხვადასხვანაირად ხდება. ზოგიერთ ქვეყანაში თვითგამორკვევის უფლება შეიძლება ეხებოდეს ყველა დაწესებულებას, რომლებიც საკმაოდ შორსაა “ეკლესიის” ცნებასთან ოფიციალური ეკლესიის ან სახელმწიფოს სინოდური სტრუქტურების მიერ შემოთავაზებული ვინრო მნიშვნელობით. სხვა ქვეყნებში ეს უფლება შეიძლება მხოლოდ ეკლესიით ან მსგავსი დაწესებულებებით შემოიფარგლებოდეს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც ჩანს, არსებობს რელიგიის განსაკუთრებული ასპექტების არსებობის ალიარების გაბატონებული ტენდენცია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ეს პრინციპი გარკვეული იდეოლოგიისაკენ მიდრეკილი ორგანიზაციებისთვის მოქმედებს და მის თანახმად, ამ ორგანიზაციის იდეოლოგიური ტენდენცია, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური, გავლენას ახდენს თანამშრომლის ამ ორგანიზაციის მიმართ ერთგულებაზე ან ამ დაწესებულების შიდა საორგანიზაციო სტრუქტურაზე. ასეთი მოთხოვნების ერთიანობას უფრო საფუძვლიანად მოიცავს რელიგიის თავისუფლების იდეა, რომელიც უფრო უშუალოდ და ზუსტად გამოხატავს ეკლესიებისა და რელიგიური თემების განსაკუთრებულ მოთხოვნებს.

II. ევროკავშირში არსებული რელიგიის კანონმდებლობა

1. განვითარების თავისებურებები

სამოქალაქო-საეკლესიო სამართალი თანდათანობით ექცევა ევროკავშირის სამართალმცოდნეობის მზარდი ყურადღების ქვეშ. თავდაპირველად ევროპული თანამეგობრობის სამართალი ამ სფეროს დიდი ხნის განმავლობაში მთლიანად უგულებელყოფდა, ევროკავშირის ცხოვრების ახლანდელ ეტაპზე კი რელიგიური ფაქტორის გაცნობიერების საოცრად მაღალი დონე შეინიშნება. ის უზალისობა, რომელიც ადრე იგრძნობოდა, ევროპის გაერთიანების ისტორიით შეიძლება აიხსნას, რაც თავიდან ძირითადად აღიქმებოდა ეკონომიკურ პროცესად და ასეც განხორციელდა. მიუხედავად ამისა, იგი თავიდავე მიმართული იყო ევროპის სამართლებრივი იდეების საერთო-ევროპული კულტურის

და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების კულტურების გაერთიანებისკენ. დღესდღეობით საკმაოდ შორს წავიდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ამ სფეროში ნაკლებმოსალოდნელია ახალი მნიშვნელოვანი იმპულსები. ევროპის კონსტიტუციის კანონპროექტი და ევროპის ადამიანის უფლებათა ქარტია, რომლებიც ახალ კონსტიტუციაში უნდა შევიდეს, ნათლად უჩვენებს ევროპული ინტეგრაციის ამ ახალ საფეხურს.

1992 წლის 7 თებერვლის ევროკავშირის ხელშეკრულების ხელმოწერის დროიდან სულ უფრო ცხადი ხდება გაერთიანების მასშტაბი და მისი გაძლიერება კულტურული და სოციალური კომპონენტების მეშვეობით. მისი ჰორიზონტი ამჟამად უკვე უშუალოდ ეკლესიებთან დაკავშირებულ სფეროებზეც ვრცელდება. ევროპის კონსტიტუციის მე-2 მუხლი აცხადებს, რომ ევროპული თანამეგობრობის ამოცანა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაა. მან აგრეთვე უნდა მიიღოს სათანადო ზომები წევრი-სახელმწიფოების კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის და ხელი შეუწყოს მაღალი სტანდარტების მქონე ზოგადი და პროფესიული განათლების უზრუნველყოფას. ეს ფორმულირება აგრეთვე იძლევა იმ საკითხების განმარტებას საეკლესიო სამართლისთვის, რომელსაც წარსულში ძირითადად არ ექცეოდა ყურადღება, კერძოდ, ევროკავშირის კომპეტენცია განათლებისა და კულტურის საკითხებში, ასევე ეკონომიკურ, შრომის, საგადასახადო და სოციალურ სამართალში. ეს საკითხები დღესდღეობით პირდაპირ თუ ირიბად ეხება ეკლესიებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ძირითად უფლებათა ევროპის კავშირის ქარტიას ჯერ არ “მოუპოვებია” საკმარისი იურიდიული ძალა, მის დებულებებს გარკვეული იურიდიული გავლენა მაინც აქვს. არც ერთ იურიდიულ აქტს ევროპის სამართლის სივრცეში არ შეუძლია გვერდი აუაროს მას.

2. ძირითადი სტრუქტურები

ამჟამად, ცხადია, რელიგიასთან დაკავშირებული ევროპის სამართლის ძირითადი სტრუქტურები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის თავისუფლება, ევროპული თანამეგობრობის სამართლის ერთ-ერთი ელემენტია. შემდგომი სტრუქტურული პრინციპები ევროკავშირის ავალდებულებს, იყოს ნეიტრალური რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებში, გამოიჩინოს ტოლერანტობა სხვადასხვა რელიგიისა და ფილოსოფიის მიმართ, და თანაბრად მოეპყროს სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების კულტურებისა და ეროვნული იდენტობების დასაცავად მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი ევროკავშირს ავალდებულებს, განსაკუთრებული პატივისცემა გამოიჩინოს მის წევრ-სახელმწიფოებში ტრადიციულად არსებული სამოქალაქო-საეკლესიო სამართლის ინსტიტუტების მიმართ. თანამეგობრობის ლოიალურობის

პრინციპით, რომელიც წევრი-სახელმწიფოების საკონსტიტუციო სტრუქტურის პატივისცემაში გამოიხატება, იკრძალება კანონის ცალმხრივი ასიმილაცია იქ, სადაც საქმე ამ საკითხებს ეხება და ბოლოს, ევროპის კანონმდებლობის მე-5 მუხლის თანახმად, გარკვეულ თავდაჭერილობას საჭიროებს შეთავსებადობის პრინციპი ევროკავშირის მხრიდან რელიგიის საკითხებზე კანონმდებლობასთან მიმართებაში.

თანამეგობრობის მეორადი სამართალიც პატივს სცემს რელიგიურ მოთხოვნებს. გარდა თანამეგობრობის ოფიციალური პირების შესახებ საკანონმდებლო აქტისა, პრობლემისადმი მიდგომის მცდელობა აგრეთვე შეინიშნება ტელევიზიის შესახებ დირექტივაში, რომლის მიხედვითაც, საეკლესიო მსახურების ტრანსლაცია ან პროგრამით გათვალისწინებული 30 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის რელიგიური გადაცემები არ უნდა შეწყდეს სარეკლამო რგოლებით (მე-11 მუხლი, მე-5 ნაწილი). სატელევიზიო რეკლამებმა არ უნდა შეურაცხყონ რელიგიური გრძნობები (მე-12 “ც” მუხლი)⁷⁰⁶. ეკლესიათა თვითგამორკვევის უფლებაზე უდიდეს გავლენას ახდენს დირექტივის მე-4 მუხლი, რომელიც სამსახურში დაქირავების თუ პროფესიული საქმიანობისას თანასწორ მოპყრობას ეხება⁷⁰⁷.

706 Dir 89/552/EEC.

707 საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივა 2000/78/EC, რომელიც აყალიბებს დასაქმებისა და საქმიანობისას თანაბარი მოპყრობის ძირითად ჩარჩოებს მე-4 მუხლის თანახმად, სამუშაოს მოთხოვნები

1...

2. წევრ სახელმწიფოებს ამ დირექტივის მიღების დღისათვის შეიძლება გააჩნდეს საკუთარი სახელმწიფო კანონმდებლობა ან მომავალში უზრუნველყონ კანონმდებლობის მიღება, რომელიც მოიცავს დირექტივის დღისათვის არსებულ სახელმწიფო პრაქტიკას. ამ პრაქტიკის შესაბამისად ეკლესიებსა და სხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებში რელიგიური თუ რწმენითი ხასიათის პროფესიული საქმიანობისას, ადამიანის რელიგიასა თუ მრწამსზე აგებული განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად არ ჩაითვლება მაშინ, როდესაც ამ საქმიანობის მიზნისა თუ ხასიათიდან, ან იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რომელშიც ის წარმართება, ადამიანის რელიგია ან მრწამსი ნამდვილი, კანონიერი და გამართლებული მოთხოვნაა, რომელიც ორგანიზაციის ხასიათს ეხება. განსხვავებული მოპყრობა უნდა გამოიყენონ წევრი-სახელმწიფოების პირობებისა თუ პრინციპების და თანამეგობრობის სამართლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით და არ უნდა ამართლებდეს სხვა მიზეზით მომხდარ დისკრიმინაციას.
- დირექტივამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ეკლესიებისა და სხვა რელიგიური თუ რწმენითი ხასიათის საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების უფლებას, რომლებიც კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს, მოსთხოვონ მათთან მომუშავე პირებს კეთილსინდისიერება და ორგანიზაციისადმი ერთგულება.

3. საპრეცედენტო სამართალი

ევროპის სასამართლომ რელიგიური თავისუფლების უფლება მის ძირითად პრინციპად პირველად 1976 წელს *Prais v. Council* წინააღმდეგ⁷⁰⁸ საქმეში აღიარა გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც უზრუნველყოფს რელიგიური მოთხოვნების არსებით პატივისცემას.

ევროპის სასამართლოს სხვა კონტექსტშიც ჰქონია შესაძლებლობა, ეკლესიებთან მიმართებაში შესაბამისი გადაწყვეტილებები გამოეტანა. 1988 წლის *Baghwan* საქმეში⁷⁰⁹ გამოცხადდა, რომ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განეულ ანაზღაურებად შრომას ან მომსახურებას ევროკავშირის ფარგლებში, შეუძლია ეკონომიკური ცხოვრების ნაწილი შეადგინოს.

ის სირთულეები, რომელსაც თანამეგობრობის სამართალი წააწყდა ეკლესიის არსებობის განსაკუთრებულ მახასიათებლებთან მიმართებაში, ცხადად გამოიკვეთა საქმეში *Van Rosmaalen v. Bestuur van de Bedrijfsvereniging*⁷¹⁰. ვან როსმაალენს, პრემონსტრატენიელ მღვდელს და მისიონერს, ზაირში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ინახავდა არა მისი ორდენი, არამედ მისი სამისიონერო თემი. ამის გამო ევროპის სასამართლომ მღვდელი თვითდასაქმებულად ცნო. აქედან გამომდინარე, წევრი-სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, მას პენსია ეკუთვნოდა. იმის მოუხედავად, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო, ნათლად წარმოჩნდა ის ფაქტი, რომ დიდი ხნის განმავლობაში თანამეგობრობის სამართლის კატეგორიები სათანადოდ ვერ მართავდა საეკლესიო საკითხებს. ამასთან ხაზი გაესვა თანამეგობრობის სამართლის ფარგლებში რელიგიის შესახებ პირდაპირი კანონების საჭიროებას, რაც ხელს შეუწყობდა რელიგიის სფეროს მიმართ ღია და შეგნებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

4. საბაზისო სამართლებრივი საფუძვლები

ეკლესიების თვითგამორკვევის უფლებას, უპირველეს ყოვლისა, ზურგს უმაგრებს რელიგიის თავისუფლება. ეს კარგად გააცნობიერა ევროპის სასამართლომ. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ევროკავშირი პატივს სცემს ძირითად უფლებებს,

708 საქმე 130/75, [1976] ECR, გვ. 1589, შეადარეთ *Alexander Hollerbach*, *Europa und das Staatskirchenrecht*, ZevkR 35 (1990 წ.), გვ. 263; *Ingolf Pernic*, *Religionsrechtliche Aspekte im Europäischen Gemeinschaftsrecht*, JZ 1977, გვ. 777.

709 საქმე 196/87, [1988] ECR, გვ. 6159.

710 საქმე 300/84, [1986] ECR, გვ. 3097.

როგორც ეს გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და თანამეგობრობის სამართლის ძირითადი პრინციპი შეიძლება გამომდინარებდეს ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური ტრადიციიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი იცავს რელიგიის თავისუფლებას, როგორც ცალკეული ადამიანებისა და გაერთიანებების უფლებას. ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ ამ უფლებასთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანონ ევროპის სასამართლოს შესაბამის ორგანოებში, რომლებსაც კომპენსაციის გაცემის მოთხოვნის საშუალება აქვთ, თუკი ეს ეკლესიები თუ რელიგიური გაერთიანებები შეძლებენ დაამტკიცონ მე-9 მუხლით გარანტირებული მათი უფლებების დარღვევა.

ევროკავშირის წევრი-ქვეყნების რელიგიის კანონმდებლობის საკითხებში თანამეგობრობის სამართლის მოქმედების შეზღუდვა შეიძლება განაპირობოს შეთავსებადობის პრინციპმა. მე-5 მუხლი აცხადებს, რომ შეთავსებადობის პრინციპის შესაბამისად, თანამეგობრობა შეიძლება ამოქმედდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წევრი-სახელმწიფოების დონეზე ვერ მოხერხდება დასახულ ღონისძიებათა მიზნების მიღწევა და მათი მასშტაბურობიდან ან ეფექტიანობიდან გამომდინარე შეიძლება უკეთ განხორციელდეს თანამეგობრობის დონეზე. რელიგიური საკითხების სფეროში სასურველი მიზნის უკეთ მიღწევა ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ მეტი სივრცე უნდა მიეცეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ რელიგიურ აღმსარებლობებს, რომელთაც განაპირობებს ეროვნული თუ რეგიონალური დონის გარემოებები, ემოციური კავშირი თუ ისტორიული გამოცდილება. შედეგად, ამ საკითხებში სასურველი მიზნის მიღწევა შესაძლებელია ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების და არა თანამეგობრობის დონეზე.

მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი ევროკავშირს ავალდებულებს, პატივი სცეს წევრი-სახელმწიფოების ეროვნულ იდენტურობას. ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში არსებული რელიგიური გარემოებების მრავალფეროვნება და მათ მიმართ სამართლებრივი დამოკიდებულება ცხადყოფს, რამდენად დიდია ეკლესიების გავლენა ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების ეროვნულ იდენტურობაზე. სამოქალაქო-საეკლესიო სამართლის სისტემის გავლენა ყოველთვის შესამჩნევი იყო ამ სახელმწიფოების ისტორიაში, კულტურასა და ტრადიციებში.

ევროკავშირის სახელმწიფოების საერთო-საკონსტიტუციო ტრადიციები ჯერ კიდევ საფუძვლად უდევს თანამეგობრობის სამართალში რელიგიური სამართლებრივი სტრუქტურების განვითარებას, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის უფლებების საკითხებით. ამ წიგნისთვის მოწოდებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ნამდვილად არსებობს საერთო-საკონსტიტუციო

ტრადიციების სიმრავლე. ევროკავშირის ყველა ქვეყანაში აღიარებულია რელიგიის თავისუფლება, ხოლო ეკლესიები სარგებლობს ინსტიტუციური დამოუკიდებლობით. ეს მართებულია ისეთი სისტემებისთვისაც კი, სადაც სახელმწიფო ეკლესია არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ნევრი-სახელმწიფოს ისეთი რელიგიური გაერთიანებებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ეკლესიას. მაგალითად, შრომით კანონმდებლობაში ეკლესიების რელიგიური კონცეფციით საკუთარი თავის დამსაქმებლებად მიჩნევა, ცხადია, უნდა მიიღონ მხედველობაში.

151-ე მუხლი თანამეგობრობას ავალდებულებს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას. “სახელმწიფოს და ეკლესიის” კანონი უდავოდ ამ კულტურის შემადგენელი ნაწილია. ევროპის კონსტიტუციის 151-ე მუხლის თანახმად, იცავს რა ნევრი-სახელმწიფოების ეროვნულ და რეგიონალურ მრავალფეროვნებას, თანამეგობრობა თვითონ უწყობს ხელს ამ კულტურის განვითარებას. ამ ასპექტში ხზგასმულია ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობა და განსაკუთრებით არის აღნიშნული ევროპის რელიგიური ფესვები და ტრადიციები. თუმცა 151-ე მუხლს საფუძვლად უდევს კულტურის შეზღუდული გაგება. კულტურის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება: მეცნიერული კვლევები და განათლება, ზოგადი და პროფესიული, სამხატვრო და ლიტერატურული შემოქმედება, ისტორიული ძეგლების დაცვა, აგრეთვე ლიტერატურა, არქიტექტურა და მასმედია. გაერთიანების უფლებამოსილებებს პროფესიული და ზოგადი განათლების სფეროში საფუძვლად შეიძლება დაედოს 149-ე მუხლი. აქედან გამომდინარე, ყველა საეკლესიო-საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორებიცაა: კერძო სკოლები, თეოლოგიური ფაკულტეტები და საეკლესიო აკადემიები, აგრეთვე რელიგიური განათლების გაკვეთილები, სარგებლობს დახმარებით, რომელსაც თანამეგობრობის სამართალი ითვალისწინებს. 149-ე მუხლი, ამავე დროს, მკაცრად გამორიცხავს ნევრი-სახელმწიფოების სამართლებრივი ან ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ჰარმონიზაციას. თანამეგობრობა ნევრი-სახელმწიფოების საქმიანობასა და მათ თანამშრომლობას ხელს უწყობს და რეკომენდაციებს აძლევს, ეხმარება და ავსებს, რამდენადაც ამის საჭიროება არსებობს.

307-ე მუხლის თანახმად, ევროპის კავშირის შექმნის შესახებ მასტრიხის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ევროკავშირის ნევრ-სახელმწიფოსა და მესამე სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოცემული უფლებები და ვალდებულებები არ განიხილება მასტრიხის ხელშეკრულებაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები არ შეესაბამება ევროპის კონსტიტუციას, ევროკავშირის ნევრი-სახელმწიფოები ვალდებული არიან, გამოასწორონ ეს შეუსაბამობები, თუ საჭირო გახდა, ხელახალი მოლაპარაკებების გზითაც.

მე-300 მუხლის თანახმად, ევროპულ თანამეგობრობას შეუძლია ხელშეკრულება დადოს სხვა სახელმწიფოებთანაც. Ratio Legis-ის თანახმად, ეს ნესი ვრცელდება ვატიკანზეც, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტზე. რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობის პრინციპის თანახმად, ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობა სხვა რელიგიურ გაერთიანებებთანაც შეიძლება ჩამოყალიბდეს. საერთაშორისო სამართალში ასეთ რელიგიურ გაერთიანებებს იურიდიული სტატუსი არ აქვს, მაგრამ ზემოაღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს არა უშუალოდ მე-300 მუხლის, არამედ 308-ე მუხლის (მე-300 მუხლის გათვალისწინებით), აგრეთვე 282-ე მუხლის დებულებებისა და ზოგადად, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე. რაც უფრო ხელშესახები ხდება თანამეგობრობის სამართლის შედეგები რელიგიური თემების მდგომარეობისთვის, მით უფრო მიზანშეწონილია მხედველობაში იქნეს მიღებული ამ სახელშეკრულებო პრაქტიკის შესაძლებლობა.

IV. კონსტიტუცია ევროპისათვის

ევროპის კონსტიტუციის კანონპროექტში ფართოდ განიხილება რელიგიის საკითხი. პრეამბულაში რელიგიური მემკვიდრეობის მითითება სახელმწიფო ეკლესიის საკითხთან პირდაპირ კავშირში არაა. თუმცა კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ევროპა განაგრძობს ცივილიზაციის გზაზე სვლას და ეს ჩანაწერი მოსდევს იმ პუნქტს, რომელშიც რელიგიური მემკვიდრეობაა ნახსენები და ეს გარემოება ნათლად მიუთითებს რელიგიური თემების მნიშვნელოვან როლზე ევროპული ცივილიზაციის ფარგლებში.

I-7 მუხლში ძირითადი უფლებების საყოველთაო აღიარებისას კონსტიტუციაში აგრეთვე ნახსენებია რელიგიურ კონტექსტთან შესაბამისი ძირითადი უფლებები, რომლებიც მოცემულია ძირითადი უფლებების ქარტილაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების საერთო-საკონსტიტუციო ტრადიციები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს I-52 მუხლს, რომელიც ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსს ეხება. ეს მუხლი აცხადებს:

1. კავშირი პატივს სცემს და არ ეწინააღმდეგება წევრი-სახელმწიფოების ეკლესიებისა და რელიგიური ასოციაციების სტატუსს სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად;

2. კავშირი თანაბარ პატივს სცემს ფილოსოფიურ და არაკონფესიურ ორგანიზაციებს;
3. აღიარებს რა ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების იდენტურობასა და განსაკუთრებულ წვლილს, კავშირი მათთან ღია, გამჭვირვალე და რეგულარულ დიალოგს გამართავს.

I-52 მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილს საფუძვლად უდევს ამსტერდამის შეთანხმების დასკვნითი აქტის მე-11 დეკლარაცია. ამგვარად, ამ დეკლარაციის იურიდიული შესაბამისობის საკითხი გადაწყვეტილია და იგი სავალდებულო საკონსტიტუციო კანონად იქცევა. I-52 მუხლი რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხების მიმართ ევროკავშირის ნეიტრალიტეტის გამოხატულებაა. ამ დებულების განმარტებით, ეს ნეიტრალიტეტი ეხება ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების რელიგიის კანონმდებლობას, ხოლო ირიბად – ეკლესიებსა და რელიგიურ და ფილოსოფიურ გაერთიანებებს.

ეს დებულება ეკლესიებს თანამეგობრობის სამართლის სუბიექტად აღიარებს. იგი პატივს სცემს წევრი-სახელმწიფოების რელიგიის სფეროში უფლებამოსილებებს. სხვადასხვა ევროპულმა ინსტიტუტმა ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებში თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას პატივი უნდა სცენ და ზიანი არ მიაყენონ წევრ-სახელმწიფოებში რელიგიის არსებულ კანონმდებლობას. ევროპულ კონსტიტუციაში მოცემული ერთიანობის პრინციპის გამო ეს ინსტიტუტები ევროპის საკონსტიტუციო კანონმდებლობის სხვა დებულებებსაც ექვემდებარება, რაც ამ სფეროზე ისეთი პრინციპების გავლენას განაპირობებს, როგორებიცაა: რელიგიის თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და დემოკრატია.

I-52 მუხლი არ ითვალისწინებს ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში სახელმწიფოს ეკლესიასთან მუდმივ ურთიერთობას. ამ ქვეყნებს შეუძლია სრულიად თავისუფლად ამ ურთიერთობის განვითარება. მათ განსაკუთრებით პატივი უნდა სცენ დროის კონკრეტულ მონაკვეთში არსებული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსს.

I-52 მუხლის მე-3 სექცია ითვალისწინებს დიალოგს, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და მის ინსტიტუტებს, ხოლო, მეორე მხრივ – ეკლესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის. დიალოგი უნდა მიმდინარეობდეს რელიგიურ ერთეულთა იდენტურობის, განსაკუთრებული მოთხოვნებისა და შესაბამისობის სრული პატივისცემით. ყველაფერთან ერთად აქ იგულისხმება მათთან ხელშეკრულებების დადებაც. დიალოგი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და რეგულარული. ამ ეკლესიებისა და გაერთიანებების

განსაკუთრებული წვლილის აღიარებით კონსტიტუცია ფაქტობრივად აღიარებს მათ სულიერ, სოციალურ და კულტურულ წვლილს. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის ზეგავლენა ევროპის მოქმედ კონსტიტუციებზე ღიადაა აღიარებული, ეს არავითარ შემთხვევაში არ უგულებელყოფს სხვა რელიგიური და ფილოსოფიური მიმდინარეობების მიერ შეტანილ წვლილს. როდესაც ახსენებენ ტერმინ “ეკლესიას”, განსაკუთრებით ქრისტიანობა იგულისხმება ხოლმე, ვინაიდან ეს ტერმინი ქრისტიანულია. ამგვარად, პრეამბულაში ქრისტიანობის დაუფარავი ხსენების შესახებ საჯარო დებატები ზედმეტად ცხარედ შეიძლება მოგვეჩვენოს. I-47 მუხლთან შედარებით საინტერესო პარალელებსა და განსხვავებებს დავინახავთ I-52 მუხლში. ეს ბოლო დებულება ეხება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ინსტიტუტებთან ღია, გამჭვირვალე და რეგულარულ დიალოგს. ეკლესიებთან და რელიგიურ თუ ფილოსოფიურ გაერთიანებებთან დიალოგს საფუძვლად უდევს იგივე პრინციპები, რაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან დიალოგს. ეკლესიები და მსგავსი დაწესებულებები არ უნდა ჩააყენონ უარეს პოზიციებში. კონსტიტუციაში მათთვის განსაკუთრებული ადგილის მინიჭებით ევროკავშირი აღიარებს, რომ ყველა ეკლესია, რელიგიური თუ ფილოსოფიური გაერთიანება სამოქალაქო საზოგადოების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია. პირიქით, კონსტიტუცია აღიარებს ამ ეკლესიებისა და რელიგიური თუ ფილოსოფიური თემების განსაკუთრებულ წვლილსა და იდენტურობას.

I-47 მუხლის მე-3 სექციის თანახმად, ეკლესიები და რელიგიური თუ ფილოსოფიური გაერთიანებები საკითხის მოსმენისას მისაღებ და შესაფერის პარტნიორებად ითვლებიან, ხოლო I-47 მუხლის მე-4 სექციის თანახმად კი, კავშირის მოქალაქეთა გარკვეულ რაოდენობას შეუძლია ჩაატაროს რეფერენდუმი ამა თუ იმ რელიგიური საკითხის გადასაწყვეტად.

II-70 მუხლის თანახმად, ძირითადი უფლებების ქარტია ითვლება რელიგიის თავისუფლების გარანტიად იმავე განმარტებითა და იმავე მნიშვნელობით, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლია. ვინაიდან II-112 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების დებულებები რამდენადმე უფრო მკაცრია, ვიდრე ის – მე-9 მუხლის მე-2 სექცია. II-112 მუხლის მე-3 სექციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: II-70 მუხლით დადგენილი რელიგიის თავისუფლებისთვის დაწესებული შეზღუდვები შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 სექციას და სხვა სახის შეზღუდვები ამ შემთხვევაში უმოქმედოა.

II-81 მუხლით იკრძალება დისკრიმინაცია რელიგიისა და რწმენის საფუძველზე. II-82 მუხლის თანახმად, ევროკავშირი პატივს სცემს კულტურების, რელიგიებისა და ენების მრავალფეროვნებას.

ევროპის გაერთიანებამ თავისი არსებობის საწყის ეტაპზევე უნდა გაითვალის-
წინოს ეკლესიების ფენომენი, თუ სურს, კულტურულ, ტრადიციულ და ისტორიულ
საფუძველს გრძელვადიანი და უსაფრთხო მომავალი ჰქონდეს. ასეთი კულტურა
ავტონომიასა და თვითგამორკვევაზეა დამოკიდებული. თანამეგობრობის სამარ-
თალმა არ უნდა მოახდინოს რელიგიური გაერთიანებების მონოპოლიზება
და არ უნდა ცდილობდეს მათ შორის არსებული განსხვავების ძირფესვიან
აღმოფხვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ეკლესიების პროვოცირება და
ევროპის გაერთიანების პროცესი შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს, რადგან
შიდა უთანხმოებას შეუძლია შექმნას დაპირისპირება და მის დესტრუქციულ
ენერგიასთან მარტოოდენ ეკონომიკური ერთიანობით დაპირისპირება
შეუძლებელი იქნება⁷¹¹.

711 იხ. Gerhard Robbers, Die Fortentwicklung des Europarechts und seine Auswirkungen auf
die Beziehungen zwischen Staat und Kirche in der Bundesrepublik Deutschland, in: Essener
Gespräche zum Thema Staat und Kirche (27), ed. by Heribert Heinemann and Heiner
Marré, Münster 1993, p. 81.

V. ბიბლიოგრაფია

Jean Baubérot (ed.) Religions et Laïcité dans l'Europe des Douze, 1994 წ.

Consortio Europeo di Ricerche Sui Rapporti tra Stati e Confessioni Religiose (ed.), Stati e confessioni religiose in Europa, modelli di finanziamento pubblico, scuola e fattore religioso, 1992 წ.

Consortium européen pour l'étude des relations Eglises-Etat (ed.), Le statut des confessions religieuses des Etats candidats à l'Union européenne, 2002 წ.

Consortio Europeo di Ricerca Sui Rapporti tra Stati e Confessioni Religiose (ed.), cittadini e fedeli nei Paesi dell'Unione Europee, 1998 წ.

Cole W. Durham/Silvio Ferrari (ed.), Laws on Religion and the State in Post-Communist Europe, 2004 წ.

Norman Doe (ed.), The Portrayal of Religion in Europe: the Media and the Arts, 2004 წ.

European Consortium for Church and State Research (ed.), Churches and Labor Law in the EC Countries, 1993 წ.

European Consortium for Church and State Research (ed.), The Legal Status of Religious Minorities in the Countries of the European Union, 1994 წ.

European Consortium for Church and State Research (ed.), Religions in European Union Law, 1996 წ.

Silvio Ferrari/ Iván C. Ibán, Diritto e religione in Europa occidentale, 1997 წ.

Silvio Ferrari/Cole W. Durham (ed.), Law and Religion in Post Communist Europe, 2004 წ.

Alexander Hollerbach, Europa und das Staatskirchenrecht, in: Zeitschrift für evangelisches Kirchenrecht 35 (1990), 33-263.

Stefan Mückl, Religions- und Weltanschauungsfreiheit im Europarecht, Schriften der philosophisch-historischen Klasse der Heidelberger Akademie der Wissenschaften, 8081 24, 2002 წ.

Peter-Christian Müller-Graff / Heinrich Shneider (ed.), Kirchen und Religionsgemeinschaften in der Europäischen Union, 1. ed., 2003 წ.

Richard Potz/Wolfgang Wieshaider (ed.), *Islam and the European Union*, 2004 ƒ.

Gehard Robbers, *Die Fortentwicklung des Europarechts und seine Auswirkungen auf die Beziehungen zwischen Staat und Kirche in der Bundesrepublik Deutschland*, in: *Essener Gespräche zum Thema Staat und Kirche (27)*, Heribert Heinemann und Heiner Marré (ed.), 1993 ƒ.

Gehard Robbers, *Europarecht und Kirchen*, in: Joseph Listl/Dietrich Person (ed.), *Handbuch des Staatskirchenrechts der Bundesrepublik Deutschland*, 2. Aufl. 1994 ƒ., ƒƒ. 315.

Gehard Robbers, *Religion-Related Norms in European Law*, Institut für europäisches Verfassungsrecht, Trier 2001 ƒ. (as of: 2003).

Gehard Robbers, *Community Law on Religion. Cases, Sources and Trends*, in: *European Journal for church-State Research* 2001 ƒ. (ƒmđn 8)

Michał Rynkowski, *Status prawny kościołów I związków wyznaniowych w Unii Europejskiej*, 2004 ƒ.

Marco Ventura, *La Laicità dell'Unione europea. Diritti, Mercato, Religione*, Collana di studi di diritto canonico ed ecclesiastico, 2001 ƒ.

